Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ეროლეტარიატის ყველა ძვეყნისა, შეერთდით!

ლენინი

თხზულებანი

3

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სხრკ საბჭოების
II ყრილობის
• დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1941

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1948

ვ. ი. ლენინი

ტომი

3

კაპიტალიზმის განვითარება
რუსეთში

ᲘᲐ. ᲛᲔᲜᲨᲘᲚᲘᲡ
1897

კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში

მსხვილი მრეწველობის[1] შინაური ბაზრის წარმოშობის პროცესი

დაწერილია 1896 — 1899 წწ.
პირველად დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1899 წ. მარტის ბოლოს

იბეჭდება 1908 წლის მეორე გამოცემის ტექსტის მიხედვით

ИЗДАНІЕ М. И. ВОДОВОЗОВОЙ.

Владиміръ Ильинъ.

РАЗВИТІЕ КАПИТАЛИЗМА ВЪ РОССІИ.

Процессъ образованія внутренняго рынка для крупной промышленности.

Цѣна 2 р. 50 к.

С.-ПЕТЕРБУРГЪ.
Типо-литографія А. Лейферта. Бол. Морская 65.
1899.

ვ. ი. ლენინის წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» პირველი გამოცემის გარეკანი. — 1899 წ.

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

ამ ნაშრომში ავტორი მიზნად ისახავს განიხილოს საკითხი: როგორ იქმნება რუსეთის კაპიტალიზმის შინაური ბაზარი? ცნობილია, რომ ეს საკითხი უკვე დიდი ხანია დასმულია ნაროდნიკულ შეხედულებათა მთავარი წარმომადგენლების მიერ (ბბ. ვ. ვ.-ის და ნ. —ონის მეთაურობით [1]), და ჩვენი ამოცანა ამ შეხედულებათა კრიტიკაში მდგომარეობს. ჩვენ შესაძლებლად არ მიგვაჩნდა ამ კრიტიკაში მოწინააღმდეგეთა შეცდომებისა და არასწორი შეხედულებების განხილვას დავჯერებოდით; დასმულ კითხვაზე პასუხის მისაღებად ჩვენ საკმარისად არ ვთვლიდით მოგვეყვანა ისეთი ფაქტები, რომლებიც შინაური ბაზრის წარმოშობასა და ზრდას მოწმობენ, ვინაიდან მაშინ შეიძლებოდა ეთქვათ, — ასეთი ფაქტები თვითნებურადაა შერჩეული და გამოტოვებულია ფაქტები, რომლებიც წინააღმდეგს მეტყველებენო. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა განგვეხილა და ვცდილიყავით გამოგვესახა რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების მთელი პროცესი მთლიანად. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ფართო ამოცანას ერთი პირი ვერ დასძლევდა, თუ მასში შეტანილი არ იქნებოდა მთელი რიგი შეზღუდვები. ჯერ ერთი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების საკითხს ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ შინაური ბაზრის თვალსაზრისით ვიღებთ და განზე ვტოვებთ საგარეო ბაზრის საკითხს და მონაცემებს საგარეო

ვაჭრობის შესახებ. მეორეც, ჩვენს გამოკვლევას მარტო რეფორმისშემდგომი ეპოქით ვფარგლავთ. მესამეც, ჩვენ უმთავრესად და თითქმის მარტოოდენ იმ მონაცემებს ვიღებთ, რომლებიც შიდა, წმინდა რუსულ გუბერნიებს შეეხება. მეოთხეც, ჩვენ პროცესის მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ მხარეს ვეხებით. მაგრამ, ყველა აღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად, თემა მაინც მეტისმეტად ფართო რჩება. ავტორს კარგად ესმის, თუ რა ძნელია და სახიფათოც კი ასეთი ფართო თემის აღება, მაგრამ მას ჰგონია, რომ რუსეთის კაპიტალიზმის შინაური ბაზრის საკითხის გამოსარკვევად უეჭველად საჭიროა ცხადვყოთ იმ პროცესის ცალკეულ მხარეთა კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ხდება საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგში. ამიტომ ჩვენ ამ პროცესის მხოლოდ ძირითად ნიშნებს განვიხილავთ, მის უფრო სპეციალურ შესწავლას კი შემდგომ გამოკვლევებს მივანდობთ.

ჩვენი ნაშრომის გეგმა ასეთია. I თავში განვიხილავთ, რაც შეიძლება მოკლედ, აბსტრაქტული პოლიტიკური ეკონომიის ძირითად თეორიულ დებულებებს კაპიტალიზმის შინაური ბაზრის საკითხზე. ეს, ასე ვთქვათ, შესავალი იქნება თხზულების დანარჩენი, ფაქტიური ნაწილისა და თავიდან აგვაცილებს საჭიროებას — შემდგომ გადმოცემაში ხშირად მივუთითოთ თეორიაზე. სამ მომდევნო თავში შეეცდებით დავახასიათოთ რეფორმისშემდგომი რუსეთის მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუცია, სახელდობრ: II თავში გავარჩევთ საერობო სტატისტიკურ მონაცემებს გლეხობის დაშლის შესახებ, III-ში — მონაცემებს მემამულური მეურნეობის გარდამავალი მდგომარეობისა და ამ მეურნეობის საბატონო სისტემის კაპიტალისტურ სისტემად შეცვლის შესახებ, და IV-ში — მონაცემებს იმ ფორმების შესახებ, რომლებშიც ჩნდება სავაჭრო და კაპიტალისტური მიწათმოქმედება. სამი შემდგომი თავი მიეძღვნება ჩვენს მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების ფორმებსა და სტადიებს: V თავში ჩვენ განვიხილავთ კაპიტალიზმის პირველ სტადიებს მრეწვე-

ლობაში, სახელდობრ წვრილ გლეხურ (ეგრეთწოდებულ კუსტარულ) მრეწველობაში; VI თავში — მონაცემებს კაპიტალისტური მანუფაქტურისა და კაპიტალისტური შინამუშაობის შესახებ და VII თავში — მონაცემებს მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარების შესახებ. უკანასკნელ (VIII) თავში შეეცდებით აღვნიშნოთ პროცესის ცალკეულ, ზემოჩამოთვლილ მხარეთა ურთიერთკავშირი და წარმოვადგინოთ ამ პროცესის საერთო სურათი.

P. S.[3] დიდად სამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არ მოგვეცა გვესარგებლნა ამ თხზულებისათვის «კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოფლის მეურნეობის განვითარების» იმ შესანიშნავი ანალიზით, რასაც იძლევა კ. კაუტსკი თავის წიგნში: «Die Agrarfrage» (Stuttgart, Dietz, 1899; I. Abschn. «Die Entwicklung der Landwirtschaft in der kapitalistischen Gesellschaft» *) **.

ეს წიგნი (რომელიც ჩვენ მხოლოდ მაშინ მივიღეთ, როცა ამ თხზულების მეტი ნაწილი უკვე აწყობილი იყო) წარმოადგენს უახლესი ეკონომიური ლიტერატურის ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენას «კაპიტალის» მე-3 ტომის შემდეგ. კაუტსკი იკვლევს მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუციის «ძირითად ტენდენციებს», მისი ამოცანაა — განიხილოს თანამედროვე სოფლის მეურნეობის სხვადასხვანაირი მოვლენები, როგორც «ერთი საერთო პროცესის კერძო გამოხატულებანი» (Vorrede ***, VI). საინტერესოა აღინიშნოს, თუ რაოდენ ერთი და იგივეა ამ საერთო პროცესის ძირითადი ნიშნები დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი უდიდეს თავისებურებათა ქვეყანაა როგორც ეკონომიური, . ისე არაეკონომიური მხრით. მაგალითად,

---

* — «აგრარული საკითხი» (შტუტგარტი, დიტცი, 1899; I განყოფილება: «სოფლის მეურნეობის განვითარება კაპიტალისტურ საზოგადოებაში»). რ ე დ.

** არის რუსული თარგმანი.

*** — წინასიტყვაობა. რ ე დ.

თანამედროვე (moderne) კაპიტალისტური მიწათმოქმედებისათვის საერთოდ ტიპიურია შრომის უფრო და უფრო მზარდი დანაწილება და მანქანების გამოყენება (Kautsky*, IV, b, c), რასაც ვხედავთ რეფორმისშემდგომ რუსეთშიც (იხ. ქვემოთ, თ. III, § VII და VIII; თ. IV, განსაკუთრებით § IX). პროცესი «გლეხობის გაპროლეტარებისა» (კაუტსკის წიგნის VIII თავის სათაური) ყველგან გამოიხატება წვრილ გლეხთა ყოველგვარი სახის დაქირავებული შრომის გავრცელებით (Kautsky, VIII, b); — ამის პარალელურად რუსეთში ჩვენ ვხედავთ ნადელიანი დაქირავებული მუშების მრავალრიცხოვანი კლასის გაჩენას (იხ. ქვემოთ, თ. II). ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში წვრილი გლეხობის არსებობა აიხსნება არა წვრილი წარმოების ტექნიკური უპირატესობით მიწათმოქმედებაში, არამედ იმით, რომ წვრილი გლეხები თავიანთ მოთხოვნილებებს იმცირებენ დაქირავებული მუშების მოთხოვნილებათა დონესთან შედარებით და გაცილებით უფრო მეტად წყდებიან წელში შრომისაგან, ვიდრე დაქირავებული მუშები (Kautsky, VI, b; «სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშა უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე წვრილი გლეხი», — არა ერთხელ ამბობს კაუტსკი: S.** 110, 317, 320); ანალოგიურ მოვლენას ვამჩნევთ რუსეთშიც (იხ. ქვემოთ, თ. II, § XI, B[4]). ამიტომ ბუნებრივია, რომ დასავლეთ-ევროპელი და რუსი მარქსისტები ერთმანეთს ეთანხმებიან, მაგალითად, ისეთი მოვლენების შეფასებაში, როგორიცაა «სამიწათმოქმედო გარესარეწავები», რუსული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ან «მოხეტიალე გლეხთა დაქირავებული სამიწათმოქმედო მუშაობა», როგორც გერმანელები ამბობენ (Kautsky, S. 192; შეად. ქვემოთ, თ. III, § X); — ანდა ისეთი მოვლენა, როგორიცაა სოფლიდან მუშებისა და გლეხების გასვლა ქალაქებში და ქარხნებში (Kautsky, IX, e; განსაკუთრებით 343-ე S.; და მრავალი სხვ. შეად. ქვემოთ, თ. VIII, § II); — მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის გადატანა სოფლად

* — კაუტსკი. რ ე დ.

** — Seite — გვერდი. რ ე დ.

(Kautsky, S. 187. შეად. ქვემოთ VII, § VIII). ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის ისტორიული მნიშვნელობის ერთნაირ შეფასებაზე (Kautsky, passim *, განსაკუთრებით S. 289, 292, 298. შეად. ქვემოთ, თ. IV, § IX), წინაკაპიტალისტურ ურთიერთობასთან შედარებით მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური ურთიერთობის პროგრესულობის ერთნაირ აღიარებაზე [Kautsky, S. 382: «თანდათანი გამოდევნა des Gesindes (პირადად დამოკიდებული მოჯამაგირეებისა, შინაყმებისა) და der Instleute («მოჯამაგირესა და მოიჯარადრეს შორის საშუალო»: გლეხი, რომელიც მიწას იჯარით იღებს შრომამიგებისათვის) დღიური მუშების მიერ, რომლებიც, როცა არ მუშაობენ, თავისუფალი ადამიანები არიან, დიდი სოციალური პროგრესი იქნებოდა». შეად. ქვემოთ, თ. IV, § IX, 4]. კაუტსკი კატეგორიულად აღიარებს, რომ სოფლის თემიდან თანამედროვე მსხვილი მიწათმოქმედების თემურად წარმოებაზე გადასვლის შესახებ «ფიქრიც კი ზედმეტია» (S. 338); რომ ის აგრონომები, რომლებიც მოითხოვენ დასავლეთ ევროპაში თემის განმტკიცებასა და განვითარებას, — სოციალისტები კი არ არიან, არამედ მსხვილ მიწათმფლობელთა ინტერესების წარმომადგენელნი, რადგან სწორედ მსხვილ მიწათმფლობელებს სწადიათ შებორკონ მუშები მათთვის მიწის მცირე ნაკვეთების მიცემით (S. 334); რომ ევროპის ყველა ქვეყანაში მიწათმფლობელთა ინტერესების წარმომადგენელნი მოწადინებული არიან შებორკონ სოფლის მუშები მათთვის მიწის მიცემის გზით და უკვე ცდილობენ გაატარონ კანონმდებლობაში სათანადო ღონისძიებანი (S. 162); რომ შინამრეწველობის (Hausindustrie) — კაპიტალისტური ექსპლოატაციის ამ უცუდესი სახის — დანერგვის საშუალებით წვრილი გლეხობისათვის დახმარების გაწევის ყოველი ცდის წინააღმდეგ «უაღრესად გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ» (S. 181). ვინაიდან ნაროდნიკობის წარმომადგენლები ხელახლა

---

* — სხვადასხვა ადგილას. რედ.

ცდილობენ მკვეთრად განასხვაონ ერთმანეთისაგან დასავლეთ-ევროპელი და რუსი მარქსისტები (იხ. ბ-ნ ვ. ვორონცოვის 1899 წ. 17 თებერვლის განცხადება რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშემწყობ საზოგადოებაში, «ნოვოე ვრემია», 1899, № 8255, 19 თებერვალი)[5],—ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ მათი შეხედულებების სრული სოლიდარობა.

Владиміръ Ильинъ.

РАЗВИТІЕ КАПИТАЛИЗМА въ Россіи.

Процессъ образованія внутренняго рынка для крупной промышленности.

ИЗДАНІЕ ВТОРОЕ, ДОПОЛНЕННОЕ.

Цѣна 2 р. 25 к.

С.-ПЕТЕРБУРГЪ.
КНИГОИЗДАТЕЛЬСТВО „ПАЛЛАДА".
1908.

ვ. ი. ლენინის წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» მეორე გამოცემის გარეკანი ავტორის საკუთარი წარწერით. — 1908 წ.

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა[6]

ეს თხზულება დაწერილია რუსეთის რევოლუციის წინახანში, ერთგვარი სიწყნარის დროს, რომელიც 1895—1896 წლების დიდ გაფიცვათა აზვირთების შემდეგ დამყარდა. მუშათა მოძრაობა მაშინ ძალ-ღონეს იკრებდა, — იგი ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა და 1901 წლის დემონსტრაციული მოძრაობის დასაწყისს ამზადებდა.

რუსეთის საზოგადოებრივ-სამეურნეო წყობილების და, მაშასადამე, კლასობრივი აგებულების ის ანალიზი, რომელიც ეკონომიური გამოკვლევისა და სტატისტიკური ცნობების კრიტიკული განხილვის საფუძველზე მოცემულია ამ თხზულებაში, ახლა დასტურდება რევოლუციის მსვლელობაში ყველა კლასის აშკარა პოლიტიკური გამოსვლით. სავსებით გამოაშკარავდა პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი. გამოაშკარავდა ისიც, რომ მისი ძალა ისტორიულ მოძრაობაში განუზომლად უფრო დიდია, ვიდრე მისი წილი მოსახლეობის საერთო მასაში. ამ შრომაში ცხადყოფილია ორივე ამ მოვლენის ეკონომიური საფუძველი.

შემდეგ, რევოლუცია ახლა სულ უფრო და უფრო ააშკარავებს გლეხობის ორმაგ მდგომარეობასა და ორმაგ როლს. ერთი მხრით, საბატონო მეურნეობის ვეებერთელა ნარჩენები და ბატონყმობის ყოველგვარი გადმონაშთები და ამავე დროს ღარიბი გლეხობის უმაგალითო გაღატაკება და გაჩანაგება

სავსებით ნათელს ხდიან გლეხობის რევოლუციური მოძრაობის ღრმა წყაროებს, გლეხობის, როგორც მასის, რევოლუციურობის ღრმა ფესვებს. მეორე მხრით, რევოლუციის მსვლელობაშიც, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ხასიათშიც და მრავალ იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობაშიც აშკარავდება ამ მასის შინაგანი წინააღმდეგობრივი კლასობრივი აგებულება, მისი წვრილბურჟუაზიულობა, მეპატრონული და პროლეტარული ტენდენციების ანტაგონიზმი მის შიგნით. გაღატაკებული წვრილი მეპატრონის მერყეობა კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასა და რევოლუციურ პროლეტარიატს შორის ისევე აუცილებელია, როგორც აუცილებელია ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ის მოვლენა, რომ წვრილ მწარმოებელთა უმნიშვნელო უმცირესობა მდიდრდება, «კაცი ხდება», ბურჟუად იქცევა, უდიდესი უმრავლესობა კი ან სავსებით ჩანაგდება და დაქირავებული მუშა ან პაუპერი ხდება, ანდა მუდამ პროლეტარული მდგომარეობის საზღვარზე რჩება. გლეხობის ამ ორივე მიმდინარეობის ეკონომიური საფუძველი ცხადყოფილია ამ შრომაში.

ამ ეკონომიურ საფუძველზე რუსეთის რევოლუცია, რა თქმა უნდა, აუცილებლად ბურჟუაზიულ რევოლუციას წარმოადგენს. მარქსიზმის ეს დებულება სრულიად დაუძლეველია. მისი დავიწყება არასდროს არ შეიძლება. იგი ყოველთვის უნდა გამოვიყენოთ რუსეთის რევოლუციის ყველა ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხში.

მაგრამ უნდა შეგეძლოს მისი გამოყენება. სხვადასხვა კლასის მდგომარეობისა და ინტერესების კონკრეტული ანალიზი უნდა განსაზღვრავდეს ამ ჭეშმარიტების ზუსტ მნიშვნელობას ამა თუ იმ საკითხში მისი გამოყენების დროს. ამის საწინააღმდეგო მსჯელობის წესი კი, რასაც ხშირად მიმართავენ მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატები პლეხანოვის მეთაურობით, ე. ი. მისწრაფება — კონკრეტული საკითხების პასუხი ეძიონ ჩვენი რევოლუციის ძირითადი ხასიათის შესახებ ზოგადი ჭეშმარიტების უბრალო ლოგიკურ განვითარებაში,— არის მარქსიზმის შერყვნა და დიალექტიკური მატერიალიზ-

მის მთლად სასაცილოდ აღება. ასეთ ადამიანებზე, რომლებსაც, მაგალითად, «ბურჟუაზიის» ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში ან სოციალისტების მიერ ლიბერალებისათვის მხარდაჭერის საჭიროება გამოჰყავთ ზოგადი ჭეშმარიტებიდან ამ რევოლუციის ხასიათის შესახებ, მარქსი, ალბათ, გაიმეორებდა მის მიერ ერთხელ ჰეინედან ციტირებულ სიტყვებს: «დრაკონები დავთესე, რწყილები კი მოვიმკეო»[7].

რუსეთის რევოლუციის მოცემულ ეკონომიურ საფუძველზე ობიექტურად შესაძლებელია მისი განვითარებისა და დაბოლოების ორი ძირითადი ხაზი:

ან ძველი მემამულური მეურნეობა, რომელიც ათასნაირი ძაფით არის დაკავშირებული ბატონყმობასთან, რჩება და ნელნელა გადაიქცევა წმინდა კაპიტალისტურ, «იუნკრულ» მეურნეობად. შრომამიგებიდან კაპიტალიზმზე საბოლოოდ გადასვლის საფუძველია ბატონყმური მემამულური მეურნეობის შინაგანი გარდაქმნა. სახელმწიფოს მთელი აგრარული წყობილება კაპიტალისტური ხდება და დიდი ხნით ინარჩუნებს ბატონყმობის ნიშნებს. ან ძველ მემამულურ მეურნეობას ამსხვრევს რევოლუცია, რომელიც სპობს ბატონყმობის ყველა ნაშთს და უწინარეს ყოვლისა მსხვილ მიწათმფლობელობას. შრომამიგებიდან კაპიტალიზმზე საბოლოოდ გადასვლის საფუძველია თავისუფალი განვითარება წვრილი გლეხური მეურნეობისა, რომელსაც, გლეხობის სასარგებლოდ მემამულეთა მიწების ექსპროპრიაციის მეოხებით, დიდი იმპულსი ეძლევა. მთელი აგრარული წყობილება კაპიტალისტური ხდება, ვინაიდან გლეხობის დაშლა მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, რაც უფრო სრულადაა მოსპობილი ბატონყმობის კვალი. სხვანაირად რომ ითქვას: ან — მემამულური მიწათმფლობელობის მთავარი მასის და ძველი «ზედნაშენის» მთავარი ფუძეების დატოვება; აქედან — ლიბერალ-მონარქისტი ბურჟუას და მემამულის გაბატონებული როლი, შეძლებული გლეხობის სწრაფი გადასვლა მათ მხარეზე, გლეხთა მასის დაქვეითება, რომელიც არათუ ხდება განუზომელი ექსპროპრიაციის მსხვერპლი, არამედ ამასთან ერთად მონად იქცევა

ამა თუ იმ კადეტური გამოყიდვით, გლახაკდება და ყეყეჩ-
დება რეაქციის ბატონობის გამო; ასეთი ბურჟუაზიული რევო-
ლუციის ნებისამსრულებელნი იქნებიან ოქტიაბრისტების[8].
მსგავსი პოლიტიკოსები. ან — მემამულური მიწათმფლობელო-
ბისა და სათანადო ძველი «ზედნაშენის» ყველა მთავარი ფუ-
ძის დანგრევა; პროლეტარიატისა და გლეხთა მასის გაბატო-
ნებული როლი და მერყევი ან კონტრრევოლუციური ბურ-
ჟუაზიის ნეიტრალიზაცია; საწარმოო ძალების რაც შეიძ-
ლება სწრაფი და თავისუფალი განვითარება კაპიტალის-
ტურ საფუძველზე და მუშათა და გლეხთა მასის მდგომარე-
ობის გაუმჯობესება იმდენად, რამდენადაც ეს საზოგადოდ
შესაძლებელია სასაქონლო წარმოების პირობებში; აქედან —
რაც შეიძლება უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნა მუშა-
თა კლასის მიერ თავისი ნამდვილი და ძირითადი ამოცანის—
სოციალისტური გარდაქმნის შემდგომი განხორციელები-
სათვის. შესაძლებელია, რა თქმა უნდა, კაპიტალისტური
ევოლუციის ამა თუ იმ ტიპის ელემენტთა უამრავი სხვადა-
სხვაგვარი შეზავება, და მხოლოდ უიმედო პედანტებს შეუძ-
ლიათ ასეთ შემთხვევაში წამოჭრილი თავისებური და რთული
საკითხები მხოლოდ იმ გზით გადაწყვიტონ, რომ მარქსის
მიერ სხვა ისტორიული ეპოქის შესახებ გამოთქმული ესა თუ
ის აზრი დაიმოწმონ.

ეს თხზულება რუსეთის წინარევოლუციური ეკონომიკის
ანალიზს წარმოადგენს. რევოლუციურ ეპოქაში ქვეყნის ცხოვ-
რება ისე სწრაფად და გამალებით მიმდინარეობს, რომ მწვა-
ვე პოლიტიკური ბრძოლის დროს შეუძლებელი ხდება ეკონო-
მიური ევოლუციის დიდი შედეგების განსაზღვრა. ბბ. სტო-
ლიპინები, ერთი მხრით, ლიბერალები, მეორე მხრით (და არა
მარტო კადეტები à la * სტრუვე, არამედ ყველა კადეტი
საზოგადოდ), სისტემატურად, დაჟინებით და თანმიმდევრუ-
ლად მუშაობენ იმისათვის, რომ რევოლუცია პირველი ნიმუ-
შის მიხედვით დამთავრდეს. 1907 წ. 3 ივნისის სახელმწიფო

* — მსგავსად. რ ე დ.

გადატრიალება, რაც ჩვენ ეს-ეს არის განვიცადეთ, მოასწავებს კონტრრევოლუციის გამარჯვებას, რომელიც ცდილობს უზრუნველჰყოს მემამულეთა დიდი უმრავლესობა რუსეთის ეგრეთწოდებულ სახალხო წარმომადგენლობაში [9]. მაგრამ თუ რამდენად მტკიცეა ეს «გამარჯვება», — სხვა საკითხია, და ბრძოლა რევოლუციის მეორე დაბოლოებისათვის გრძელდება. მეტი თუ ნაკლები სიმტკიცით, მეტი თუ ნაკლები თანმიმდევრობით, მეტი თუ ნაკლები შეგნებით ამგვარი დაბოლოებისაკენ მიისწრაფვის არა მარტო პროლეტარიატი, არამედ გლეხობის ფართო მასაც. უშუალო მასობრივი ბრძოლა, თუმცა კონტრრევოლუცია ყოველნაირად ცდილობს ჩაახშოს იგი პირდაპირი ძალდატანებით, თუმცა კადეტები ყოველნაირად ცდილობენ ჩაახრჩონ იგი თავიანთი უხამსი და თვალთმაქცური უბადრუკი კონტრრევოლუციური იდეებით, — ეს ბრძოლა, ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც იჩენს თავს ხან აქ, ხან იქ, და თავის ბეჭედს ასვამს «ტრუდოვიკული», ნაროდნიკული პარტიების პოლიტიკას, თუმცა წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკოსთა ზედაფენები (განსაკუთრებით «სახალხო სოციალისტები» და ტრუდოვიკები) უეჭველად შეპყრობილი არიან გამცემლობის კადეტური სულისკვეთებით, მოლჩალინობით და ზომიერი და წესიერი მეშჩანების თუ მოხელეების თვითკმაყოფილებით.

რით გათავდება ეს ბრძოლა, როგორი იქნება რუსეთის რევოლუციის პირველი იერიშის საბოლოო შედეგი, — ამის თქმა ჯერჯერობით შეუძლებელია. ამიტომ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო (ამასთან მუშათა მოძრაობის მონაწილის უშუალო პარტიული მოვალეობანიც მოცლილობას შეუძლებელს ხდიან), რომ ეს თხზულება სავსებით იქნას გადამუშავებული *. მეორე გამოცემა არ შეიძლება რუსეთის წ ი ნ ა რევოლუციური ეკო-

* შესაძლებელია, რომ ასეთმა გადამუშავებამ მოითხოვოს ამ ნაშრომის გაგრძელება: მაშინ პირველი ტომი რუსეთის წინარევოლუციური ეკონომიკის ანალიზით შემოიფარგლებოდა, მეორე ტომი კი რევოლუციის შედეგების შესწავლას მიეძღვნებოდა.

ნომიკის დახასიათების ფარგლებს გასცილდეს. ავტორი იძულებული იყო დასჯერებოდა ტექსტის გადასინჯვასა და შესწორებას, აგრეთვე უახლესი სტატისტიკური მასალიდან აღებულ მეტად საჭირო დამატებებს. ასეთია ცხენთა უკანასკნელი აღწერების, მოსავალთა სტატისტიკის მონაცემები, სრულიად რუსეთის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის შედეგები, საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ახალი მონაცემები და ა. შ.

ავტორი.

1907 წლის ივლისი.

Das Kapital.

Kritik der politischen Oekonomie.

Von

Karl Marx.

Dritter Band, erster Theil.

Buch III:
Der Gesammtprocess der kapitalistischen Produktion.
Kapitel I bis XXVIII.

Herausgegeben von Friedrich Engels.

Das Recht der Uebersetzung ist vorbehalten.

Hamburg
Verlag von Otto Meissner.
1894.

კ. მარქსის «კაპიტალის» მესამე ტომის პირველი ნაწილის
გერმანული გამოცემის (1894 წ.) გარეკანი.
ამ წიგნით სარგებლობდა ვ. ი. ლენინი.

თ ა ვ ი I

ეკონომისტ-ნაროდნიკების თეორიული შეცდომები[10]

ბაზარი არის კატეგორია სასაქონლო მეურნეობისა, რომელიც თავისი განვითარებისას კაპიტალისტურ მეურნეობად იქცევა და მხოლოდ ამ მეურნეობის დროს მოიპოვებს სრულ ბატონობას და საყოველთაო გავრცელებას. ამიტომ შინაური ბაზრის შესახებ ძირითად თეორიულ დებულებათა განსახილველად ჩვენ უნდა მივმართოთ მარტივ სასაქონლო მეურნეობას და თვალყური ვადევნოთ მის თანდათანობით გადაქცევას კაპიტალისტურ მეურნეობად.

I. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება

სასაქონლო მეურნეობის საფუძველს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება წარმოადგენს. დამმუშავებელი მრეწველობა ცალკევდება მოპოვებითი მრეწველობისაგან, და თვითეული მათგანი იყოფა წვრილ სახეებად და ქვესახეებად, რომლებიც საქონლის ფორმით ჰქმნიან განსაკუთრებულ პროდუქტებს და სცვლიან მათ ყველა სხვა წარმოებასთან. ამგვარად, სასაქონლო მეურნეობის განვითარება იწვევს მრეწველობის ცალკეული და დამოუკიდებელი დარგების რაოდენობის გადიდებას; ამ განვითარების ტენდენცია იმაში

მდგომარეობს, რომ მრეწველობის განსაკუთრებულ დარგად გადაიქცეს არა მარტო ყოველი ცალკე პროდუქტის წარმოება, არამედ პროდუქტის ყოველი ცალკე ნაწილის წარმოებაც კი; და არა მარტო პროდუქტის წარმოება, არამედ პროდუქტის მოსახმარებლად გამზადებისათვის საჭირო ცალკეული ოპერაციებიც. ნატურალური მეურნეობის დროს საზოგადოება შესდგებოდა მრავალი ერთგვაროვანი სამეურნეო ერთეულისაგან (პატრიარქალური გლეხური ოჯახებისაგან, პრიმიტიული სოფლური თემებისაგან, ფეოდალური მამულებისაგან), და ყოველი ასეთი ერთეული ასრულებდა ყველა სახის სამეურნეო სამუშაოს, დაწყებული სხვადასხვა სახის ნედლეულის მოპოვებით და გათავებული მოსახმარებლად მისი საბოლოო გამზადებით. სასაქონლო მეურნეობის დროს იქმნება სხვადასხვაგვაროვანი სამეურნეო ერთეულები, მატულობს მეურნეობის ცალკეული დარგების რიცხვი, კლებულობს იმ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც ერთსა და იმავე სამეურნეო ფუნქციას ასრულებენ. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სწორედ ეს პროგრესული ზრდა წარმოადგენს ძირითად მომენტს კაპიტალიზმის შინაური ბაზრის შექმნის პროცესში. «...საქონლის წარმოებაში და მის აბსოლუტურ ფორმაში — კაპიტალისტურ წარმოებაში..., — ამბობს მარქსი, — პროდუქტი მხოლოდ იმდენად წარმოადგენს საქონელს, ე. ი. საცვლელი ღირებულების მქონე, გასასაღებელ, ფულად გადასაქცევ სასარგებლო საგანს, რამდენადაც სხვა საქონელი შეადგენს მის ექვივალენტს, რამდენადაც სხვა პროდუქტი უპირისპირდება მას, როგორც საქონელი და როგორც ღირებულება; სხვანაირად რომ ითქვას, იმდენად, რამდენადაც ეს პროდუქტი იქმნება არა როგორც უშუალო საარსებო საშუალება მათთვის, ვინც მას ჰქმნის, არამედ როგორც საქონელი, როგორც პროდუქტი, რომელიც სახმარი ღირებულება ხდება მხოლოდ საცვლელ ღირებულებად (ფულად) გადაქცევის გზით, გასხვისების გზით. ამ საქონელთა ბაზარი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გამო ვითარდება; საწარმოო სამუშაოთა დანაწილება ამ სამუშაოთა პრო-

დუქტებს აქცევს ურთიერთ საქონლად, ერთიმეორის ექვივალენტად, რადგან მათ ერთმანეთისათვის ბაზრად ხდის» («Das Kapital», III, 2, 177—178*. რუს. თარგმ. 526[11]. ხაზგასმა ჩვენია, ისევე როგორც ყველა სხვა ციტატაში, სადაც კი წინააღმდეგი არ არის აღნიშნული).

თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული განცალკევება დამმუშავებელი მრეწველობისა მოპოვებითი მრეწველობისაგან, მანუფაქტურისა მიწათმოქმედებისაგან, თვითონ მიწათმოქმედებასაც აქცევს მრეწველობად, ე. ი. მეურნეობის ისეთ დარგად, რომელიც საქონელს აწარმოებს. სპეციალიზაციის ის პროცესი, რომელიც ერთმანეთისაგან განაცალკევებს პროდუქტების დამუშავების სხვადასხვა სახეს და მრეწველობის სულ უფრო და უფრო მეტ დარგს ჰქმნის, — თავს იჩენს მიწათმოქმედებაშიც, სადაც ჰქმნის მიწათმოქმედების სპეციალიზებულ რაიონებს (და სამიწათმოქმედო მეურნეობის სისტემებს) ** და იწვევს არა მარტო მიწათმოქმედებისა და მრეწველობის პროდუქტთა, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტის გაცვლას. სავაჭრო (და კაპიტალისტური) მიწათმოქმედების ეს სპეციალიზაცია თავს იჩენს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, თავს იჩენს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, თავს იჩენს რეფორმისშემდგომ რუსეთშიც, რასაც ჩვენ დაწვრილებით ცხადვყოფთ ქვემოთ.

---

* — «კაპიტალი», ტ. III, ნ. 2, გვ. 177—178. რედ.

** ასე, მაგ., ი. ა. სტებუტი თავის შრომაში — «მემინდვრეობის კულტურის საფუძვლები» მიწათმოქმედებაში განასხვავებს მეურნეობის სისტემებს მთავარი საბაზრო პროდუქტის მიხედვით. მეურნეობის მთავარი სისტემა სამია: 1) მემინდვრეობა (მარცვლეული, ბ-ნ ა. სკვორცოვის სიტყვით); 2) მესაქონლეობა (მთავარი საბაზრო პროდუქტი — მესაქონლეობის პროდუქტები) და 3) მექარხნეობა (ტექნიკური, ბ-ნ ა. სკვორცოვის სიტყვით); მთავარი საბაზრო პროდუქტია მიწათმოქმედების პროდუქტები, რომლებიც ტექნიკურად გადამუშავდება ხოლმე. იხ. ა. სკვორცოვი. «ორთქლის ტრანსპორტის გავლენა სოფლის მეურნეობაზე». ვარშავა, 1890. გვ. 68 და შემდ.

ამნაირად, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება არის სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის განვითარების მთელი პროცესის საფუძველი. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ნაროდნიკობის ჩვენი თეორეტიკოსები ამ პროცესს ხელოვნური ზომების შედეგად, «გზიდან გადახვევის» და სხვა ამგვარ მიზეზთა შედეგად აცხადებდნენ და ცდილობდნენ მიეჩქმალათ ფაქტი რუსეთში შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა ან შეესუსტებინათ ამ ფაქტის მნიშვნელობა. ბ-ნი ვ. ვ. თავის სტატიაში: «სამიწათმოქმედო და სამრეწველო შრომის დანაწილება რუსეთში» («ვესტნიკ ევროპი», 1884, № 7) «უარჰყოფდა» «რუსეთში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პრინციპის ბატონობას» (გვ. 347) და აცხადებდა, რომ ჩვენში შრომის საზოგადოებრივი დანაწილება «ხალხის ცხოვრების სიღრმიდან კი არ აღმოცენებულა, არამედ ცდილობდა იქ გარედან შეჭრილიყო» (გვ. 338). ბ-ნი ნ.—ონი თავის «ნარკვევებში» შემდეგნაირად მსჯელობდა გასაყიდი პურის რაოდენობის გადიდების შესახებ: «ამ მოვლენას შეეძლო ეჩვენებინა, რომ მოყვანილი პური უფრო თანაზომიერად ნაწილდება სახელმწიფოში, რომ არხანგელსკელი მეთევზე ახლა სამარის პურს ჭამს, ხოლო სამარელი გლეხი სადილად არხანგელსკის თევზს მიირთმევს. სინამდვილეში კი არაფერი ამის მსგავსი არ ხდება» («ჩვენი რეფორმისშემდგომი საზოგადოებრივი მეურნეობის ნარკვევები». სპბ. 1893, გვ. 37). სრულიად უსაბუთოდ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების წინააღმდეგ, აქ პირდაპირ დეკრეტის წესით ცხადდება, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება რუსეთში არ არსებობსო! ნაროდნიკული თეორია რუსეთში კაპიტალიზმის «ხელოვნურობის» შესახებ სხვანაირად ვერც შეიქმნებოდა, თუ კი თვით საფუძველი ყოველგვარი სასაქონლო მეურნეობისა — შრომის საზოგადოებრივი დანაწილება — უარყოფილი ან «ხელოვნურ» რამედ არ იქნებოდა გამოცხადებული.

II. სამრეწველო მოსახლეობის ზრდა სამიწათმოქმედო მოსახლეობის ანგარიშზე

ვინაიდან დამმუშავებელი მრეწველობა სასაქონლო მეურნეობის წინახანში შეერთებულია მომპოებელ მრეწველობასთან, ხოლო ამ უკანასკნელის სათავეში მიწათმოქმედება დგას, ამიტომ სასაქონლო მეურნეობის განვითარება წარმოადგენს მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის სხვადასხვა დარგის თანდათანობით გამოცალკევებას. იმ ქვეყნის მოსახლეობა, სადაც სასაქონლო მეურნეობა სუსტად არის განვითარებული (ან სრულიადაც არ არის განვითარებული), თითქმის მხოლოდ და მხოლოდ სამიწათმოქმედო მოსახლეობაა; მაგრამ ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოსახლეობა მარტოოდენ მიწათმოქმედებას მისდევდეს: ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა, რომელიც მიწათმოქმედებას მისდევს, თვითონ ამუშავებს მიწათმოქმედების პროდუქტებს, რომ გაცვლა და შრომის დანაწილება თითქმის არ არსებობს. მაშასადამე, სასაქონლო მეურნეობის განვითარება, eo ipso* ნიშნავს მოსახლეობის სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილის ჩამოშორებას მიწათმოქმედებისაგან, ე. ი. სამრეწველო მოსახლეობის ზრდას სამიწათმოქმედო მოსახლეობის ანგარიშზე. «თ ვ ი თ ბ უ ნ ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წ ე ს ი ს ა ი ს ე თ ი ა, რ ო მ ი გ ი მ უ დ ა მ ა მ ც ი რ ე ბ ს ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს ა რ ა ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ, რადგან მრეწველობაში (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) მუდმივი კაპიტალის ზრდა ცვალებადი კაპიტალის ანგარიშზე დაკავშირებულია ცვალებადი კაპიტალის აბსოლუტურ ზრდასთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეფარდებით კლებულობს. პირიქით, მიწათმოქმედებაში ცვალებადი კაპიტალი, რომელიც საჭიროა მიწის განსაზღვრული ნაკვეთის დასამუშავებლად,

* — ამით. რ ე დ.

აბსოლუტურად კლებულობს; მაშასადამე, ცვალებადი კაპიტალის ზრდა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ახალი მიწა მუშავდება, ეს კი ისევ ჰგულისხმობს არასამიწათმოქმედო მოსახლეობის კიდევ უფრო მეტად გამრავლებას» («Das Kapital», III, 2, 177. რუს. თარგმ., გვ. 526)[12]. ამრიგად, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კაპიტალიზმი ისე, თუ სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა არ მატულობს სამიწათმოქმედო მოსახლეობის ანგარიშზე, და ყველამ იცის, რომ ეს მოვლენა სავსებით აშკარად იჩენს თავს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ გარემოებას შინაური ბაზრის საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი განუყრელად დაკავშირებულია როგორც მრეწველობის ევოლუციასთან, ისე მიწათმოქმედების ევოლუციასთან; სამრეწველო ცენტრების გაჩენას, მათს გამრავლებას და მათ მიერ მოსახლეობის მიზიდვას არ შეუძლია უაღრესად ღრმა გავლენა არ მოახდინოს სოფლის მთელ წყობაზე, არ შეუძლია არ გამოიწვიოს სავაჭრო და კაპიტალისტური მიწათმოქმედების ზრდა. მით უფრო ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ ნაროდნიკული ეკონომიის წარმომადგენლები სრულიად უგულებელჰყოფენ ამ კანონს როგორც თავიანთ წმინდა თეორიულ მსჯელობაში, ისე რუსეთის კაპიტალიზმის შესახებ მსჯელობისას (თუ რა თავისებურებებით იჩენს თავს ეს კანონი რუსეთში, ამაზე ჩვენ დაწვრილებით ვილაპარაკებთ ქვემოთ, VIII თავში). ბბ. ვ. ვ.-ის და ნ.—ონის თეორიებში კაპიტალიზმის შინაური ბაზრის შესახებ გაუთვალისწინებელია მხოლოდ უბრალო წვრილმანი: მიწათმოქმედებიდან მოსახლეობის მიზიდვა მრეწველობაში და ამ ფაქტის გავლენა მიწათმოქმედებაზე*.

---

* დასავლეთ-ევროპელი რომანტიკოსები და რუსი ნაროდნიკები ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდის საკითხს რომ ერთნაირად უყურებენ, ეს ჩვენ აღნიშნული გვქონდა სტატიაში: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის. სისმონდი და ჩვენი თანამემამულე სისმონდისტები» (იხ. თხზულებანი, ტომი მე-2. რ ე დ.).

III. წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგება

აქამდე ჩვენ მარტივ სასაქონლო წარმოებაზე ვლაპარაკობდით. ახლა გადავდივართ კაპიტალისტურ წარმოებაზე, ე. ი. ვგულისხმობთ, რომ მარტივ საქონელმწარმოებელთა ნაცვლად ჩვენს წინ არის, ერთი მხრით, წარმოების საშუალებათა მფლობელი და, მეორე მხრით — დაქირავებული მუშა, სამუშაო ძალის გამყიდველი. წვრილი მწარმოებლის დაქირავებულ მუშად გადაქცევა ჰგულისხმობს მის მიერ წარმოების საშუალებათა — მიწის, სამუშაო იარაღების, სახელოსნოს და სხვათა დაკარგვას, ე. ი. მის «გაღარიბებას», «გაჩანაგებას». ჩნდება შეხედულება, რომ ეს გაჩანაგება «ამცირებს მოსახლეობის სყიდვითს უნარს», «ამცირებს შინაურ ბაზარს» კაპიტალიზმისათვის (ბ-ნი ნ. —ონი, l. c.*, გვ. 185. იგივე, გვ. 203, 275, 287, 339 — 340 და სხვ. ასეთივე თვალსაზრისი აქვს გამოთქმული აგრეთვე ბ-ნ ვ. ვ.-ს თავის ნაწარმოებთა უმეტეს ნაწილში). ჩვენ აქ არ ვეხებით ფაქტიურ მონაცემებს რუსეთში ამ პროცესის მსვლელობის შესახებ,— შემდეგ თავებში დაწვრილებით განვიხილავთ ამ მონაცემებს. ახლა კი საკითხი წმინდა თეორიულად ისმის, ე. ი. ისმის საკითხი საზოგადოდ სასაქონლო წარმოებისა მისი კაპიტალისტურ წარმოებად გადაქცევის დროს. აღნიშნული მწერლებიც ამ საკითხს აგრეთვე თეორიულად სვამენ, ე. ი. მხოლოდ წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგების ფაქტიდან ასკვნიან შინაური ბაზრის შემცირებას. ასეთი შეხედულება სრულიად შემცდარია, და მისი ხანგრძლივი არსებობა ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში მხოლოდ ნაროდნიკობის რომანტიკული ცრურწმენებით აიხსნება (შეად. შენიშვნაში მოხსენიებული სტატია). ავიწყდებათ, რომ როცა მწარმოებელთა ერთი ნაწილი წარმოების საშუალებათაგან «თავისუფლდება», ეს აუცილებლად ჰგულისხმობს, რომ ეს საშუალებანი სხვის ხელში გადადიან, კაპიტალად იქცევიან;— ჰგულისხმობს, მაშასადამე,

* — loco citato — ციტირებულ ადგილას. რ ე დ.

რომ ამ წარმოების საშუალებათა ახალი მფლობელნი საქონლის სახით აწარმოებენ იმ პროდუქტებს, რომლებიც მანამდე თვით მწარმოებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდებოდა, ე. ი. აფართოებენ შინაურ ბაზარს; რომ თავიანთი წარმოების გაფართოებით ეს ახალი მფლობელნი მოთხოვნილებას უყენებენ ბაზარს ახალ იარაღებზე, ნედლ მასალაზე, სატრანსპორტო საშუალებებზე და სხვ., აგრეთვე მოხმარების საგნებზე (ამ ახალ მფლობელთა გამდიდრება ბუნებრივად ჰგულისხმობს მათი მოხმარების ზრდასაც). ავიწყდებათ, რომ ბაზრისათვის მნიშვნელობა აქვს სრულიადაც არა მწარმოებლის კეთილდღეობას, არამედ მის ხელში ფულად საშუალებათა არსებობას; იმ პატრიარქალური გლეხის კეთილდღეობის დაცემა, რომელიც წინათ უმთავრესად ნატურალურ მეურნეობას ეწეოდა, შესაძლებელია სავსებით შეეთავსოს მის ხელში ფულად საშუალებათა ზრდას, ვინაიდან, რაც უფრო ჩანაგდება ასეთი გლეხი, მით უფრო იძულებული ხდება იგი გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა, მით უფრო მეტი ნაწილი თავისი (თუმცაღა უფრო მცირე) საარსებო საშუალებებისა უნდა შეიძინოს ბაზარზე. «სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილის (მიწისაგან) განთავისუფლებასთან ერთად თავისუფლდებიან აგრეთვე მისი წინანდელი საარსებო საშუალებანი. ისინი ახლა ცვალებადი კაპიტალის ნივთიერ ელემენტებად იქცევიან» (იმ კაპიტალისა, რომელიც სამუშაო ძალის საყიდად იხარჯება) («Das Kapital», I, 776). «სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილის ექსპროპრიაცია და განდევნა არათუ ათავისუფლებს მუშებთან ერთად მათს საარსებო საშუალებებს და მათს სამუშაო მასალას მრეწველი კაპიტალისტისათვის, არამედ ჰქმნის შ ი ნ ა უ რ ბ ა ზ ა რ ს აც» (ibid.*, 778)[13]. ამრიგად, აბსტრაქტულ-თეორიული თვალსაზრისით, წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგება ისეთ საზოგადოებაში, სადაც სასაქონლო მეურნეობა და კაპიტალიზმი ვითარდება, სწორედ იმის საწინააღმდეგოს ნიშნავს, რისი

* — ibidem — იქვე. რ ე დ.

დასკვნაც აქედან სწადიათ ბბ. ნ.—ონს და ვ. ვ.-ს, მოასწავებს შინაური ბაზრის შექმნას და არა მის შემცირებას. და თუ იმავე ბ-ნ ნ.—ონს, რომელიც a priori* აცხადებს, რუს წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგება შინაური ბაზრის შემცირებას ნიშნავსო, მაინც მოჰყავს ჩვენ მიერ მარქსიდან ახლა ციტირებული საწინააღმდეგო მტკიცება («ნარკვევები», გვ. 71 და 114), ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ამ მწერალს ჰქონია შესანიშნავი უნარი — «კაპიტალის» ციტატებით გაიცამტვეროს თავი.

IV. ზელირებულების რეალიზების შეუძლებლობის ნაროდნიკული თეორია

შინაური ბაზრის თეორიის შემდეგი საკითხი ასეთია. ცნობილია, რომ პროდუქტის ღირებულება კაპიტალისტურ წარმოებაში შემდეგ სამ ნაწილად იყოფა: 1) პირველი ნაწილი ანაზღაურებს მუდმივ კაპიტალს, ე. ი. იმ ღირებულებას, რომელიც ადრევეც არსებობდა ნედლი და დამხმარე მასალების, მანქანებისა და წარმოების იარაღების და სხვ. სახით და რომელიც მხოლოდ ხელახლა წარმოიქმნება მზა პროდუქტის გარკვეულ ნაწილში; 2) მეორე ნაწილი ანაზღაურებს ცვალებად კაპიტალს, ე. ი. ხმარდება მუშის შენახვას, და, ბოლოს, 3) მესამე ნაწილი შეადგენს ზედმეტ ღირებულებას, რომელიც კაპიტალისტს ეკუთვნის. ჩვეულებრივ მიღებულია (ჩვენ ამ საკითხს ბბ. ნ.—ონისა და ვ. ვ.-ს მსგავსად განვმარტავთ), რომ პირველი ორი ნაწილის რეალიზაცია (ე. ი. სათანადო ექვივალენტის მონახვა, ბაზარზე გასაღება) ძნელი არ არის, ვინაიდან პირველი ნაწილი წარმოებას უნდება, ხოლო მეორე ნაწილი — მუშათა კლასის მოხმარებას. მაგრამ როგორ რეალიზდება მე-3 ნაწილი — ზედმეტი ღირებულება? ხომ შეუძლებელია, რომ იგი მთლიანად კაპიტალისტებმა მოიხმარონ! და ჩვენი ეკონომისტები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ზელირებულების[14] რეალიზა-

---

* — წინდაწინ. რ ე დ.

ციის «სიძნელიდან გამოსავალს» წარმოადგენს «საგარეო ბაზრის მოპოვებაო» (ნ. —ონი, «ნარკვევები», განყ. II, § XV საზოგადოდ და გვ. 205 განსაკუთრებით; ვ. ვ., «ბაზრის ჭარბი მომარაგება საქონლით» 1883 წ. «ოტეჩესტვენნიე ზაპისკი»-ში და «თეორიული ეკონომიის ნარკვევები», სპბ. 1895 წ., გვ. 179 და შემდ.). კაპიტალისტური ერისათვის საგარეო ბაზრის საჭიროებას აღნიშნული მწერლები იმით ხსნიან, რომ კაპიტალისტებს სხვანაირად არ შეუძლიათ პროდუქტები გაასაღონო. რუსეთის შინაური ბაზარი მცირდება გლეხობის გაჩანაგების გამო და იმიტომ, რომ საგარეო ბაზრის უქონლად ზეღირებულების რეალიზება შეუძლებელია, საგარეო ბაზარი კი მიუწვდომელია ახალგაზრდა ქვეყნისათვის, რომელიც კაპიტალისტური განვითარების გზაზე ძალიან დაგვიანებით გამოდის, — და აი რუსეთის კაპიტალიზმის უნიადაგობა და უსიცოცხლობა დამტკიცებულად ცხადდება მარტოოდენ აპრიორულ (და ამასთან ერთად თეორიულად შემცდარ) მოსაზრებათა საშუალებით!

ბ-ნ ნ. —ონს, როცა ის რეალიზაციაზე მსჯელობდა, ეტყობა, მხედველობაში ჰქონდა მარქსის მოძღვრება ამ საგანზე (თუმცა მას მარქსი ერთი სიტყვითაც არ უხსენებია თავისი «ნარკვევების» ამ ადგილას), მაგრამ როგორც ახლავე დავინახავთ, მარქსი მას სრულიადაც ვერ გაუგია და წარმოუდგენლად დაუმახინჯებია. სწორედ ამით აიხსნება ის კურიოზული გარემოება, რომ მისი შეხედულება ყოველივე არსებითში ეთანხმება ბ-ნ ვ. ვ.-ს შეხედულებას, ხოლო ვ. ვ.-ს ყოვლად შეუძლებელია თეორიის «გაუგებლობა» დავწამოთ, ვინაიდან უდიდესი უსამართლობა იქნებოდა მისთვის თეორიის სულ მცირედი ცოდნაც კი დაგვებრალებინა. ორივე ავტორი იმნაირად გადმოგვცემს თავიანთ მოძღვრებას, თითქოს ისინი პირველნი ყოფილიყვნენ, რომლებმაც ილაპარაკეს ამ საგანზე და რომლებიც «თავისი ჭკუით» მივიდნენ განსაზღვრულ გადაწყვეტილებებამდე; ორივენი ზვიადად უგულებელჰყოფენ ძველი ეკონომისტების მსჯელობას ამ საკითხზე, და ორივენი იმეორებენ ძველ შეცდომებს, რომლებიც ძალიან

საფუძვლიანად უარყოფილია «კაპიტალის» II ტომში*. ორივე ავტორს ჰგონია, რომ მთელი საკითხი პროდუქტის რეალიზაციისა ზეღირებულების რეალიზაციაში მდგომარეობს; ისინი, ალბათ, ფიქრობენ, რომ მუდმივი კაპიტალის რეალიზაცია სიძნელეს არ წარმოადგენს. ეს გულუბრყვილო შეხედულება უდიდეს შეცდომას შეიცავს, რომლისგანაც წარმოიშვა რეალიზაციაზე ნაროდნიკული მოძღვრების ყველა შემდგომი შეცდომა. ნამდვილად კი, რეალიზაციის ახსნის დროს საკითხის სიძნელე სწორედ მუდმივი კაპიტალის რეალიზაციის ახსნაში მდგომარეობს. მუდმივი კაპიტალის სარეალიზაციოდ საჭიროა, რათა ეს კაპიტალი ხელახლა მოხმარდეს წარმოებას, ეს კი უშუალოდ მხოლოდ ისეთი კაპიტალის მიმართ შეიძლება განხორციელდეს, რომლის პროდუქტი წარმოების საშუალებათაგან შესდგება. ხოლო თუ კაპიტალის მუდმივი ნაწილის ამნაზღაურებელი პროდუქტი მოხმარების საგნებს წარმოადგენს, მაშინ წარმოებაში მისი უშუალო გამოყენება შეუძლებელია, ამისათვის საჭირო ხდება გ ა ც ვ ლ ა საზოგადოებრივი პროდუქციის იმ ქვედარგსა, რომელიც წარმოების საშუალებებს ამზადებს, და მოხმარების საგნების დამამზადებელ ქვედარგს შორის. სწორედ აქ არის საკითხის მთელი სიძნელე, რომელსაც ჩვენი ეკონომისტები ვ ე რ ა მ ჩ ნ ე ვ ე ნ. ბ-ნ ვ. ვ.-ს საქმე საზოგადოდ ისე წარმოუდგენია, თითქოს კაპიტალისტური წარმოების მიზანი იყოს არა დაგროვება, არამედ მოხმარება; იგი ღრმაზროვნად მსჯელობს იმის შესახებ, რომ «უმცირესობის ხელში იყრის თავს მატერიალური საგნების იმოდენა მასა, რომელიც აღე-

* ამასთან განსაკუთრებით გასაოცარია ბ-ნ ვ. ვ.-ს სითამამე, რომელიც ყოველგვარ, ლიტერატურულად დასაშვებ საზღვრებს ლახავს. თავისი მოძღვრების გადმოცემისას ბ-ნი ვ. ვ. ამყღავნებს, რომ სრულიად არ იცნობს «კაპიტალის» მეორე ტომს, სადაც სწორედ რეალიზაციაზეა ლაპარაკი, და თანაც იქვე დაჟინებით აცხადებს, რომ თითქოს მას სწორედ მარქსის თეორიით ესარგებლნოს «თავის დებულებათა ჩამოსაყალიბებლად»!! («თეორიული ეკონომიის ნარკვევები», ნარკვევი III. «წარმოების, განაწილებისა და მოხმარების კაპიტალისტური კანონი» (sic!?!), გვ. 162).

მატება ორგანიზმის მოხმარებითს უნარს» (sic! *) «მისი განვითარების ამა თუ იმ მომენტში» (l. c., 149), რომ «მეფაბრიკეთა მოკრძალებულობა და თავდაჭერილობა კი არ არის პროდუქტთა სიჭარბის მიზეზი, არამედ განსაზღვრულობა და არასაკმაო ელასტიკურობა ადამიანის ორგანიზმისა (!!), რომელიც ვერ ასწრებს თავისი მოხმარებითი უნარის ისეთი სისწრაფით გაფართოებას, რა სისწრაფითაც ზედმეტი ღირებულება იზრდება» (ib., 161). ბ-ნი ნ.—ონი ცდილობს საქმე ისე წარმოგვიდგინოს, თითქოს ის მოხმარებას არ სთვლიდეს კაპიტალისტური წარმოების მიზნად, თითქოს ის მხედველობაში იღებდეს წარმოების საშუალებათა როლსა და მნიშვნელობას რეალიზაციის საკითხში, მაგრამ ნამდვილად კი ის სრულიად ვერ გარკვეულა მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის ბრუნვისა და რეპროდუქციის პროცესში და მთელ რიგ წინააღმდეგობებში გახლართულა. ჩვენ დაწვრილებით არ შევჩერდებით მთელ ამ წინააღმდეგობათა გარჩევაზე (ბ-ნ ნ.—ონის «ნარკვევები», გვ. 203—205)—ეს მეტად უმადური ამოცანაა (რომელიც ნაწილობრივ უკვე შეასრულა ბ-მა ბულგაკოვმა** თავის წიგნში: «ბაზრები კაპიტალისტური წარმოების დროს». მ. 1897, გვ. 237—245); ამასთან ბ-ნ ნ.—ონის მსჯელობათა ახლა მოყვანილი შეფასების დასასაბუთებლად საკმარისია გავარჩიოთ მისი საბოლოო დასკვნა, სახელდობრ ის, რომ საგარეო ბაზარი გამოსავალია იმ სიძნელიდან, რომელსაც ზეღირებულების რეალიზაცია წარმოადგენსო. ბ-ნ ნ.—ონის ეს დასკვნა (რომელიც არსებითად ბ-ნ ვ. ვ.-ს დასკვნის უბრალო განმეორებაა) სავსებით აშკარად გვაჩვენებს, რომ მას სრულიად ვერ გაუგია ვერც პრო-

* — ასე! რ ე დ.

** ზედმეტი არ იქნება თანამედროვე მკითხველს მოვაგონოთ, რომ ბ-ნი ბულგაკოვი, აგრეთვე ქვემოთ არა ერთხელ ციტირებულნი ბბ. სტრუვე და ტუგან-ბარანოვსკი 1899 წელს ცდილობდნენ მარქსისტები ყოფილიყვნენ. ახლა კი ისინი ყველანი «მარქსის კრიტიკოსებიდან» არხეინად გადაიქცნენ ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ეკონომისტებად. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს[15]).

დუქტის რეალიზაცია კაპიტალისტურ საზოგადოებაში (ე. ი. შინაური ბაზრის თეორია) და ვერც საგარეო ბაზრის როლი. მართლაც, არის თუ არა ნამცეცი საღი გონიერება იმაში, რომ საგარეო ბაზარი დაუკავშირო «რეალიზაციის» საკითხს? რეალიზაციის საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოიძებნოს ბაზარზე კაპიტალისტური პროდუქტის თვითეული ნაწილისათვის პროდუქტის სხვა ნაწილი, რომელიც შესცვლიდა მას ღირებულებისა (მუდმივი კაპიტალი, ცვალებადი კაპიტალი და ზეღირებულება) და მატერიალური ფორმის (წარმოების საშუალებანი, მოხმარების საგნები, კერძოდ, საჭიროების საგნები და ფუფუნების საგნები) მხრივ. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს საგარეო ვაჭრობის აბსტრაგირება, ვინაიდან მისი მოშველიება ოდნავადაც ვერ სწყვეტს საკითხს, არამედ მხოლოდ ართულებს საქმეს, რამდენადაც მას საკითხი ერთი ქვეყნიდან რამდენიმეზე გადააქვს. იგივე ბ-ნი ნ.—ონი, რომელმაც ზეღირებულების რეალიზაციის «სიძნელიდან გამოსავალი» საგარეო ვაჭრობაში ჰპოვა, ხელფასზე, მაგალითად, მსჯელობს ამნაირად: წლიური პროდუქტის იმ ნაწილით, რასაც უშუალო მწარმოებლები—მუშები ხელფასის სახით იღებენ, «შეიძლება ბრუნვიდან მიღებულ იქნას საარსებო საშუალებათა მხოლოდ ისეთი ნაწილი, რომელიც თავისი ღირებულებით ხელფასის საერთო თანხას უდრის» (203). საკითხავია, საიდან იცის ჩვენმა ეკონომისტმა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის კაპიტალისტები სწორედ იმდენს და სწორედ ისეთი ხარისხის საარსებო საშუალებებს დაამზადებენ, რომ მათი რეალიზაცია შესაძლებელი იყოს ხელფასით? საიდან იცის მან, რომ ამ შემთხვევაში საგარეო ბაზარი საჭირო არ იქნება? აშკარაა, რომ ამის ცოდნა მას არ შეუძლია, რომ მან პირდაპირ გვერდი აუარა საგარეო ვაჭრობის საკითხს, ვინაიდან ცვალებადი კაპიტალის რეალიზაციაზე მსჯელობაში მნიშვნელობა აქვს პროდუქტის ერთი ნაწილის მეორე ნაწილით შეცვლას და სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმას, მოხდება

თუ არა ეს შეცვლა ერთი ქვეყნის თუ ორი ქვეყნის შიგნით. მაგრამ ზეღირებულების შესახებ ის განზე ტოვებს ამ აუცილებელ პირობას და საკითხის გადაჭრის ნაცვლად პირდაპირ გაურბის საკითხს, საგარეო ბაზარზე რომ ლაპარაკობს. საგარეო ბაზარზე პროდუქტის გასაღება თვითონ მოითხოვს ახსნას, ე. ი. საჭიროა იპოვნო პროდუქტის გასასაღებელი ნაწილის ექვივალენტი, იპოვნო კაპიტალისტური პროდუქტის სხვა ნაწილი, რომელსაც შეეძლოს ამ გასასაღებელი ნაწილის შეცვლა. აი რატომ ამბობს მარქსი, რომ საგარეო ბაზარი, საგარეო ვაჭრობა რეალიზაციის საკითხის განხილვისას «სრულიად არ უნდა მივიღოთ მხედველობაში», ვინაიდან «პროდუქტის ყოველწლიურად ხელახლა წარმოქმნილი ღირებულების ანალიზში საგარეო ვაჭრობის შეტანას შეუძლია მხოლოდ არევდარიოს საქმე, რამდენადაც იგი არც თვით ამოცანისათვის, არც მისი გადაწყვეტისათვის ახალ მომენტს არ იძლევაო» («Das Kapital», II, 469)[16]. ბბ. ვ. ვ.-ს და ნ.—ონს ეგონათ, რომ მათ კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი ღრმად ჰქონდათ შეფასებული, როცა ისინი ზეღირებულების რეალიზაციის სიძნელეებს აღნიშნავდნენ. ნამდვილად კი ისინი მეტისმეტად ზერელედ აფასებდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, ვინაიდან, თუ რეალიზაციის «სიძნელეებზე», აქედან გამომდინარე კრიზისებზე და სხვა ასეთ რამეებზე ვილაპარაკებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს «სიძნელენი» არათუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა არა მარტო ზეღირებულების მიმართ, არამედ კაპიტალისტური პროდუქტის ყველა ნაწილის მიმართაც. ამგვარი სიძნელეები, რომლებიც დამოკიდებულია წარმოების სხვადასხვა დარგის განაწილების არაპროპორციულობაზე, მუდამ იჩენენ თავს არა მარტო ზეღირებულების რეალიზაციის დროს, არამედ ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის რეალიზაციის დროსაც; არა მარტო მაშინ, როცა პროდუქტის რეალიზაცია ხდება მოხმარების საგნების სახით, არამედ მაშინაც, როცა ეს რეალიზაცია წარმოების საშუალებათა სახით ხდება. ამგვარი «სიძნელეებისა» და საზოგადოდ კრი-

ზისების გარეშე შეუძლებელია არსებობდეს კაპიტალისტური წარმოება, განცალკევებულ მწარმოებელთა წარმოება მათთვის უცნობი მსოფლიო ბაზრისათვის.

V. ა. სმიტის შეხედულებანი მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებასა და გრუნვაზე კაპიტალისტურ საზოგადოებაში და ამ შეხედულებათა კრიტიკა მარქსის მიერ

იმისათვის, რომ გავერკვეთ მოძღვრებაში რეალიზაციის შესახებ, ჩვენ უნდა დავიწყოთ ად. სმიტით, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა შემცდარ თეორიას ამ საკითხზე; ეს თეორია სავსებით გამეფებული იყო პოლიტიკურ ეკონომიაში მარქსამდე. ა. სმიტი საქონლის ფასს მხოლოდ ორ ნაწილად ჰყოფდა: ცვალებად კაპიტალად (ხელფასად, მისი ტერმინოლოგიით) და ზედირებულებად («მოგებასა» და «რენტას» იგი არ აერთიანებდა, ასე რომ, ნამდვილად, სულ სამ ნაწილს ითვლიდა) *. სწორედ ასევე ჰყოფდა ის საქონელთა მთელ გროვას, საზოგადოების მთელ წლიურ პროდუქტს იმავე ნაწილებად და პირდაპირ ათავსებდა ამ ნაწილებს საზოგადოების ორი კლასის — მუშებისა და კაპიტალისტების (სმიტის მიხედვით — მეწარმეთა და მიწათმფლობელთა) «შემოსავალში» **.

რას ემყარება ად. სმიტი, ღირებულების მესამე შემადგენელ ნაწილს—მუდმივ კაპიტალს—რომ გამორიცხავს? შეუძლებელია, რომ ად. სმიტს ეს მესამე ნაწილი არ დაენახა,

---

* Adam Smith. «An Inquiry into the nature and causes of the wealth of nations», მე-4 გამოცემა, 1801, vol. I, p. 75 (ადამ სმიტი. «ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების გამოკვლევა», მე-4 გამოც., 1801, ტომი I, გვ. 75. რ ე დ.). წიგნი I: «შრომის საწარმოო ძალის გადიდების მიზეზებისა და ხალხის სხვადასხვა ფენებს შორის შრომის პროდუქტის განაწილების ბუნებრივი წესის შესახებ», თ. 6: «საქონლის ფასის შემადგენელი ნაწილების შესახებ». რუს. თარგმ. ბიბიკოვისა (სპბ. 1866), ტ. I, გვ. 171.

** L. c., I, p. 78. რუს. თარგმ., I, გვ. 174.

მაგრამ იგი ფიქრობდა, რომ მუდმივი კაპიტალიც ხელფასად და ზეღირებულებად დაიყვანებაო. აი როგორ მსჯელობდა ის ამ საგანზე: «პურის ფასში, მაგალითად, ერთი ნაწილი ისტუმრებს მიწათმფლობელის რენტას, მეორე — ხელფასს ან იმ მუშისა და მუშა პირუტყვის სარჩოს, რომელიც ამ პურის მოსაყვანად იყო გამოყენებული, და მესამე ნაწილი ფერმერის მოგებას წარმოადგენს. ეს სამი ნაწილი, როგორც ჩანს, უშუალოდ ან საბოლოო ანგარიშით შეადგენს პურის მთელ ფასს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საჭიროა კიდევ მეოთხე ნაწილი ფერმერის კაპიტალის ასანაზღაურებლად, ანდა მისი მუშა პირუტყვისა და სხვა სამიწათმოქმედო იარაღების გაცვეთის ასანაზღაურებლადო. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მეურნეობის ყოველი იარაღის, მაგალითად, მუშა ცხენის, ფასი თვითონ შესდგება იმავე 3 ნაწილისაგან» (სახელდობრ: რენტისა, მოგებისა და ხელფასისაგან). «ამიტომ, თუმცა პურის ფასი ისტუმრებს ცხენის საფასურს და სარჩოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელი მისი ფასი, უშუალოდ თუ საბოლოო ანგარიშით, იმავე სამ ნაწილად იყოფა: რენტად, ხელფასად და მოგებად»*. მარქსი სმიტის ამ თეორიას «გასაოცარს» უწოდებს (II, S. 366) [17]. «მისი საბუთი მხოლოდ იმავე მტკიცების განმეორებაში მდგომარეობს». სმიტი «ჩვენ პონტიდან პილატესთან გვგზავნის» (I. B., 2. Aufl., S. 612 **)[18]. როცა სმიტი ამბობს, მეურნეობის იარაღთა ფასი თ ვ ი თ ო ნ იყოფა იმავე სამ ნაწილადო, მას ავიწყდება დასძინოს: და წარმოების იმ საშუალებათა ფასად, რომლებიც გამოყენებულია ამ იარაღთა გასაკეთებლად. პროდუქტის ფასიდან კაპიტალის მუდმივი ნაწილის შეცდომით გამორიცხვა ა. სმიტის (და აგრეთვე მერმინდელი ეკონომისტების) ნაწერებში დაკავშირებულია იმასთან, რომ შემცდარად არის გაგებული დაგროვება კაპიტალისტურ მეურნეობაში, ე. ი. წარმოების

* Ibid., v. I, p. 75 — 76. რუს. თარგმ., I, c. 171.

** — I ტომი, მე-2 გამოცემა, გვ. 612. რ ე დ.

გაფართოება, ზეღირებულების კაპიტალად გადაქცევა. ა. სმიტი აქაც გამორიცხავდა მუდმივ კაპიტალს, ვინაიდან ფიქრობდა, რომ ზეღირებულების ის ნაწილი, რომელიც გროვდება და კაპიტალად იქცევა, მთლიანად მოიხმარება მწარმოებელი მუშების მიერ, ე. ი. მთლად უნდება ხელფასსო, მაშინ როცა ნამდვილად ზეღირებულების დაგროვებული ნაწილი იხარჯება მუდმივ კაპიტალზე (წარმოების იარაღები, ნედლეული და დამხმარე მასალები) პლუს ხელფასი. მარქსი აკრიტიკებდა სმიტის (აგრეთვე რიკარდოს, მილისა და სხვ.) ამ შეხედულებას «კაპიტალის» I ტომში (განყ. VII, «დაგროვების პროცესი», თ. 22: «ზეღირებულების გადაქცევა კაპიტალად», § 2. «გაფართოებული რეპროდუქციის მცდარი გაგება პოლიტიკო-ეკონომების მიერ») და იქვე შენიშნავდა: II ტომში «ნაჩვენები იქნება, რომ ა. სმიტის დოგმამ, ყველა მისი მემკვიდრის მიერ შეთვისებულმა, ხელი შეუშალა პოლიტიკურ ეკონომიას საზოგადოებრივი რეპროდუქციის პროცესის ყველაზე ელემენტარული მექანიზმიც კი გაეგო» (I, 612)[19]. ად. სმიტს ეს შეცდომა იმიტომ მოუვიდა, რომ მან ერთმანეთში აურია პროდუქტის ღირებულება და ახლად შექმნილი ღირებულება: ეს უკანასკნელი, მართლაც, იყოფა ცვალებად კაპიტალად და ზეღირებულებად, მაშინ როცა პროდუქტის ღირებულება ამას გარდა მუდმივ კაპიტალსაც შეიცავს. ეს შეცდომა უკვე გამომჟღავნებული იყო მარქსის მიერ ღირებულების ანალიზში, სადაც მან დაადგინა განსხვავება აბსტრაქტულ, ახალი ღირებულების შემქმნელ შრომასა და კონკრეტულ, სასარგებლო შრომას შორის, რომელიც სასარგებლო პროდუქტის ახალ ფორმაში აღადგენს ადრე არსებულ ღირებულებას[20].

მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციისა და ბრუნვის პროცესის განმარტება განსაკუთრებით საჭიროა, როცა სწყვეტ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნაციონალური შემოსავლის საკითხს. მეტისმეტად საინტერესოა, რომ ა. სმიტი, როცა იგი ამ უკანასკნელ საკითხზე ლაპარაკობს, ვეღარ ჩერდება თავის შემცდარ თეორიაზე, რომელიც ქვეყ-

ნის მთელი პროდუქტიდან გამორიცხავს მუდმივ კაპიტალს. «დიდი ქვეყნის ყველა მცხოვრების მთლიანი შემოსავალი (gross revenue) მოიცავს მათი მიწისა და მათი შრომის მთელ წლიურ პროდუქტს, ხოლო წმინდა შემოსავალი (neat revenue) მოიცავს იმას, რაც რჩება, ჯერ ერთი, მათი ძირითადი კაპიტალის და, მეორეც, მათი საბრუნავი კაპიტალის შენარჩუნების ხარჯების გამოკლებით, ე. ი. წმინდა შემოსავალი მოიცავს იმას, რაც მათ, თავიანთი კაპიტალის ხელუხლებლად, შეუძლიათ აქციონ მარაგად (stock) უშუალო მოხმარებისათვის, ან დახარჯონ საარსებო საშუალებებზე, ცხოვრების კარგად მოწყობასა და სიამოვნებაზე» (A. Smith, წ. II. «მარაგის ბუნების, დაგროვებისა და მოხმარების შესახებ», თავი II, vol. II, p. 18. რუს. თარგმ., II, გვ. 21). ამრიგად, ქვეყნის მთელი პროდუქტიდან ა. სმიტი გამორიცხავდა კაპიტალს და ამტკიცებდა, რომ იგი ნაწილდება ხელფასად, მოგებად და რენტად, ე. ი. (წმინდა) შემოსავლად; მაგრამ საზოგადოების მთლიან შემოსავალში ის მოაქცევს კაპიტალს, რომელსაც აცალკევებს მოხმარების საგნებისაგან (=წმინდა შემოსავალი). სწორედ ამ წინააღმდეგობაში იჭერს მარქსი ად. სმიტს. როგორ შეიძლება კ ა პ ი ტ ა ლ ი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ შ ი იყოს, თუ კ ა პ ი ტ ა ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ შ ი არ იყო? (შეად. «Das Kapital», II, S. 355[21]). ად. სმიტი აქ თავისდა შეუმჩნევლად სცნობს მთელი პროდუქტის ღირებულების სამ შემადგენელ ნაწილს: არა მარტო ცვალებად კაპიტალსა და ზეღირებულებას, არამედ მუდმივ კაპიტალსაც. შემდგომი მსჯელობისას ად. სმიტი აწყდება სხვა უაღრეს განსხვავებასაც, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რეალიზაციის თეორიისათვის. «ცხადია,—ამბობს ის,—რომ ძირითადი კაპიტალის შენარჩუნების ყველა ხარჯი უნდა გამოირიცხოს საზოგადოების წმინდა შემოსავლიდან. არც მასალებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ სასარგებლო მანქანები, სამრეწველო იარაღები, სასარგებლო ნაგებობანი და სხვ. წესიერად იქნას შენახული, ა რ ც ა მ მ ა ს ა ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა მ ო ს ა დ ე გ ი ფ ო რ მ ი ს მ ი ს ა ც ე მ ა დ ს ა ჭ ი რ ო შ რ ო მ ი ს

პროდუქტს არასოდეს არ შეუძლიათ წმინდა შემოსავლის ნაწილები გახდნენ. მართალია, ამ შრომის ფასი შეიძლება წმინდა შემოსავლის ნაწილი გახდეს, რადგან ამ შრომაში ჩაბმულ მუშებს შეუძლიათ თავიანთი ხელფასის მთელი ღირებულება უშუალო მოხმარების მარაგად გადააქციონ». მაგრამ შრომის სხვა სახეებში (შრომის) «ფასიც» და (შრომის) «პროდუქტიც» «შედის უშუალო მოხმარების ამ მარაგში: სახელდობრ — შრომის ფასი შედის მუშების მარაგში, პროდუქტი კი — სხვა პირთა მარაგში» (A. Smith, ibid.). აქ გამოსჭვივის იმის შეგნება, რომ საჭიროა განვასხვაოთ ორგვარი შრომა: ერთი, რომელიც იძლევა მოხმარების საგნებს, რაც შეიძლება შევიდეს «წმინდა შემოსავალში»; მეორე, რომელიც იძლევა «სასარგებლო მანქანებს, სამრეწველო იარაღებს, ნაგებობებს და სხვ.», ე. ი. ისეთ საგნებს, რომლებიც პირადი მოხმარებისათვის არასოდეს არ შეიძლება იქნას გამოყენებული. აქედან კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია იმის აღიარებამდე, რომ რეალიზაციის ასახსნელად საჭიროა განვასხვაოთ ორგვარი მოხმარება: პირადი და საწარმოო (=გამოყენება წარმოებისათვის). სწორედ იმან, რომ მარქსმა გამოასწორა სმიტის ეს ორი შეცდომა (პროდუქტის ღირებულებიდან მუდმივი კაპიტალის გამორიცხვა და პირადი და საწარმოო მოხმარების ერთმანეთში არევა),— სწორედ ამან მისცა მარქსს შესაძლებლობა შეექმნა თავისი შესანიშნავი თეორია კაპიტალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციისა.

რაც შეეხება სხვა ეკონომისტებს ად. სმიტსა და მარქსს შორის განვლილ პერიოდში, ისინი ყველანი იმეორებდნენ ად. სმიტის შეცდომას *, და ამიტომ მათ ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ წინ. თუ რა არევდარევა სუფევს ამის გამო

* მაგ., რიკარდო ამტკიცებდა: «ყოველი ქვეყნის ნიადაგისა და შრომის მთელი პროდუქტი სამ ნაწილად იყოფა: ერთი მათგანი მიეკუთვნება ხელფასს, მეორე — მოგებას, მესამე — რენტას» («თხზულებანი», თარგმანი ზიბერისა. სპბ. 1882, გვ. 221).

შემოსავლის შესახებ არსებულ მოძღვრებებში, ამაზე ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ. იმ დავაში, რომელსაც აწარმოებდნენ საერთო სასაქონლო ჭარბი წარმოების შესაძლებლობის შესახებ, ერთი მხრით, რიკარდო, სეი, მილი და სხვ., ხოლო, მეორე მხრით — მალთუსი, სისმონდი, ჩომერსი, კირხმანი და სხვ., ორივე მხარე სმიტის შემცდარი თეორიის ნიადაგზე იდგა, და ამიტომ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ბ-ნი ს. ბულგაკოვი, «ამოსავალ თვალსაზრისთა მცდარობისა და თვით პრობლემის არასწორი ფორმულირების დროს, ამ დავას მხოლოდ უშინაარსო და სქოლასტიკური სიტყვაპაექრობა შეიძლებოდა მოჰყოლოდა» (l. c., გვ. 21. ამ სიტყვაპაექრობის გადმოცემა იხ. ტუგან-ბარანოვსკის შრომაში: «სამრეწველო კრიზისები და სხვ.». სპბ. 1894, გვ. 377 — 404).

VI. მარქსის რეალიზაციის თეორია

ზემონათქვამიდან უკვე თავისთავად გამომდინარეობს, რომ ძირითადი წანამძღვრები, რომლებზეც აგებულია მარქსის თეორია, შემდეგ ორ დებულებაში მდგომარეობენ. პირველი დებულება — კაპიტალისტური ქვეყნის მთელი პროდუქტი, ერთეული პროდუქტის მსგავსად, სამი შემდეგი ნაწილისაგან შესდგება: 1) მუდმივი კაპიტალი, 2) ცვალებადი კაპიტალი, 3) ზეღირებულება. იმისთვის, ვინც იცნობს კაპიტალის წარმოების პროცესის ანალიზს, რომელიც მარქსის «კაპიტალის» I ტომშია მოცემული, ეს დებულება თავისთავად იგულისხმება. მეორე დებულება, საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ კაპიტალისტური წარმოების ორი დიდი ქვედარგი, სახელდობრ (I ქვედარგი) წარმოების საშუალებათა წარმოება — ისეთი საგნებისა, რომლებიც განკუთვნილი არიან საწარმოო მოხმარებისათვის, ე. ი. წარმოებაში გამოსაყენებლად, რომლებსაც მოიხმარენ არა ადამიანები, არამედ კაპიტალი, და (II ქვედარგი) მოხმარების საგნების წარმოება, ე. ი. ისეთი საგნებისა, რომლებიც პირადი მოხმარებისათვის არიან განკუთვნილნი. «მარტო ამ დაყოფაში მეტი თეორიული

აზრია, ვიდრე მთელ წინანდელ სიტყვაპაექრობაში ბაზრების თეორიის შესახებ» (ბულგაკოვი, l. c., 27). იბადება კითხვა, რატომ არის საჭირო პროდუქტთა ასეთი დაყოფა მათი ნატურალური ფორმის მიხედვით სწორედ ახლა, საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციის ანალიზის დროს, მაშინ როცა ინდივიდუალური კაპიტალის წარმოებისა და რეპროდუქციის ანალიზი არ საჭიროებდა ასეთ დაყოფას და სრულიად უყურადღებოდ ტოვებდა პროდუქტის ნატურალური ფორმის საკითხს. რა საბუთით შეგვიძლია პროდუქტის ნატურალური ფორმის საკითხი შევიტანოთ პროდუქტის საცვლელ ღირებულებაზე მთლიანად დამყარებული კაპიტალისტური მეურნეობის თეორიულ გამოკვლევაში? საქმე ის არის, რომ ინდივიდუალური კაპიტალის წარმოების ანალიზის დროს საკითხი, თუ სად და როგორ გაიყიდება პროდუქტი, სად და როგორ იყიდიან მოხმარების საგნებს მუშები და წარმოების საშუალებებს — კაპიტალისტები, განზე იყო დატოვებული, როგორც ისეთი საკითხი, რომელიც არაფერს არ იძლევა ამ ანალიზისათვის და რომელსაც მასთან დამოკიდებულება არა აქვს. იქ განსახილველი იყო მხოლოდ წარმოების ცალკეული ელემენტების ღირებულებისა და წარმოების შედეგის საკითხი, ახლა კი საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ საიდან მიიღებენ მუშები და კაპიტალისტები თავიანთ მოსახმარ საგნებს? საიდან მიიღებენ კაპიტალისტები წარმოების საშუალებებს? რანაირად დაფარავს ნაწარმოები პროდუქტი ყველა ამ მოთხოვნილებას და რანაირად შეჰქმნის წარმოების გაფართოების შესაძლებლობას? აქ ჩვენ, მაშასადამე, გვაქვს არა მარტო «ღირებულების ანაზღაურება, არამედ პროდუქტის ნატურალური ფორმის ანაზღაურებაც» (Stoffersatz. — «Das Kapital», II, 389)[22], და ამიტომ აუცილებლად საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ პროდუქტები, რომლებიც სრულიად სხვადასხვაგვარ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი მეურნეობის პროცესში.

რაკი ეს ძირითადი დებულებანი მიღებულია მხედველობაში, — კაპიტალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი პრო-

დუქტის რეალიზაციის საკითხი სიძნელეს აღარ წარმოადგენს. წარმოვიდგინოთ ჯერ მარტივი რეპროდუქცია, ე. ი. წარმოების პროცესის განმეორება წინანდელ ფარგლებში, როცა დაგროვება არ ხდება. ცხადია, რომ II ქვედარგის ცვალებადი კაპიტალი და ზეღირებულება (რომლებიც მოხმარების საგნების ფორმით არსებობენ) რეალიზდება ამ ქვედარგის მუშებისა და კაპიტალისტების პირადი მოხმარების სახით (ვინაიდან მარტივი რეპროდუქცია ჰგულისხმობს, რომ მთელი ზედმეტი ღირებულება მოიხმარება, და არც ერთი მისი ნაწილი არ იქცევა კაპიტალად). შემდეგ, წარმოების საშუალებათა ფორმით არსებული ცვალებადი კაპიტალი და ზეღირებულება (I ქვედარგი) სარეალიზაციოდ გადაცვლილ უნდა იქნან მოსახმარ საგნებზე კაპიტალისტებისა და მუშებისა, რომლებიც წარმოების საშუალებათა დამზადებით არიან დასაქმებულნი. მეორე მხრით, მუდმივი კაპიტალიც, რომელიც მოსახმარი საგნების ფორმით არსებობს (II ქვედარგი), არ შეიძლება რეალიზებულ იქნას ისე, თუ იგი არ გაიცვალა წარმოების საშუალებებზე, რათა შემდეგ წელს კვლავ დაუბრუნდეს წარმოებას. ამნაირად, ჩვენ ვიღებთ წარმოების საშუალებებად გამოსახული ცვალებადი კაპიტალისა და ზეღირებულების გაცვლას მოსახმარ საგნებად გამოსახულ მუდმივ კაპიტალზე; ამგვარად, მუშები და კაპიტალისტები (წარმოების საშუალებათა ქვედარგში) იღებენ საარსებო საშუალებებს, ხოლო კაპიტალისტები (მოხმარების საგნების ქვედარგში) ასაღებენ თავიანთ პროდუქტს და იღებენ მუდმივ კაპიტალს ახალი წარმოებისათვის. მარტივი რეპროდუქციის პირობებში ეს გასაცვლელი ნაწილები ერთმანეთს უნდა ეთანაბრებოდნენ: წარმოების საშუალებებად გამოსახული ცვალებადი კაპიტალისა და ზეღირებულების თანხა უნდა უდრიდეს მოხმარების საგნებად გამოსახულ მუდმივ კაპიტალს. პირიქით, თუ წარმოვიდგენთ გაფართოებულ რეპროდუქციას, ე. ი. დაგროვებას, მაშინ პირველი სიდიდე მეორეზე მეტი უნდა იყოს, რადგან ა ხ ა ლ ი წარმოების დასაწყებად წარმოების საშუალებათა სიჭარბე უნდა არსებობდეს. მაგრამ ვუბრუნდებით მარტივ რეპროდუქციას. გაუ-

რეალიზებელი დაგვრჩა კიდევ ერთი ნაწილი საზოგადოებრივი პროდუქტისა, სახელდობრ მუდმივი კაპიტალი წარმოების საშუალებათა სახით. იგი რეალიზდება ნაწილობრივ ამავე ქვედარგის კაპიტალისტებს შორის გაცვლით (მაგალითად, ქვანახშირი გადაიცვლება რკინაზე, ვინაიდან თვითეული ამ პროდუქტთაგანი საჭირო მასალას ან იარაღს წარმოადგენს მეორის წარმოებაში), ხოლო ნაწილობრივ უშუალოდ მოიხმარება წარმოებაში (მაგალითად, ქვანახშირი, მოპოვებული იმისათვის, რომ ამავე საწარმოში მოიხმარონ ისევ ქვანახშირის მოსაპოვებლად; მარცვლეული სოფლის მეურნეობაში და სხვ.). რაც შეეხება დაგროვებას, მის ამოსავალ პუნქტს, როგორც ვნახეთ, წარმოადგენს წარმოების საშუალებათა სიჭარბე (რაც მიიღება ამ ქვედარგის კაპიტალისტთა ზეღირებულებიდან), რომელიც აგრეთვე მოითხოვს მოსახმარ საგნებად გამოსახული ზეღირებულების ნაწილის კაპიტალად გადაქცევას. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია დაწვრილებით განვიხილოთ საკითხი, თუ რანაირად შეუერთდება ეს დამატებითი წარმოება მარტივ რეპროდუქციას. ჩვენს ამოცანას არ შეადგენს რეალიზაციის თეორიის სპეციალური განხილვა, ხოლო ნაროდნიკ-ეკონომისტების შეცდომების გამოსარკვევად და შინაური ბაზრის შესახებ გარკვეული თეორიული დასკვნების მისაღებად ზემონათქვამიც საკმარისია *.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე — შინაური ბაზრის შესახებ — მარქსის რეალიზაციის თეორიიდან გამომდინარე მთავარი დასკვნა შემდეგია: კაპიტალისტური წარმოება და, მაშასადამე, შინაური ბაზარი იზრდება არა იმდენად მოხმარების საგნების ანგარიშზე, რამდენადაც წარმოების საშუალებათა

* იხ. «Das Kapital», II. Band, III. Abschn. («კაპიტალი», ტომი II, განყოფილება III [23]. რ ე დ.), სადაც დაწვრილებით გამოკვლეულია დაგროვებაც, მოხმარების საგნების დაყოფაც საჭიროების საგნებად და ფუფუნების საგნებად, ფულის ტრიალიც, ძირითადი კაპიტალის გაცვეთაც და ა. შ. იმ მკითხველებისათვის, რომლებსაც საშუალება არა აქვთ გაეცნონ «კაპიტალის» II ტომს, შეგვიძლია მივუთითოთ მარქსის რეალიზაციის თეორიის გადმოცემაზე ბ-ნ ს. ბულგაკოვის წიგნში, რაც ზემოთ იყო ციტი-

ანგარიშზე. სხვანაირად რომ ითქვას: წარმოების საშუალებათა ზრდა წინ უსწრებს მოხმარების საგანთა ზრდას. მართლაც, ჩვენ დავინახეთ, რომ მოხმარების საგანთა სახით მოცემული მუდმივი კაპიტალი (II ქვედარგი) გადაიცვლება ცვალებად კაპიტალზე + ზეღირებულება წარმოების საშუალებათა სახით (I ქვედარგი). მაგრამ, კაპიტალისტური წარმოების ზოგადი კანონის მიხედვით, მუდმივი კაპიტალი ცვალებად კაპიტალზე უფრო სწრაფად იზრდება. მაშასადამე, მოხმარების საგნებად გამოსახული მუდმივი კაპიტალი უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს, ვიდრე მოხმარების საგნებად გამოსახული ცვალებადი კაპიტალი და ზეღირებულება, ხოლო წარმოების საშუალებებად გამოსახული მუდმივი კაპიტალი ყველაზე უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს, წინ უნდა უსწრებდეს როგორც წარმოების საშუალებებად გამოსახული ცვალებადი კაპიტალის (+ ზეღირებულება), ისე მოხმარების საგნებად გამოსახული მუდმივი კაპიტალის ზრდას. მაშასადამე, საზოგადოებრივი წარმოების ის ქვედარგი, რომელიც წარმოების საშუალებებს ამზადებს, უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს, ვიდრე ის ქვედარგი, რომელიც მოხმარების საგნებს ამზადებს. ამრიგად, კაპიტალიზმის შინაური ბაზრის ზრდა რამდენადმე «დამოუკიდებელია» პირადი მოხმარების ზრდისაგან და უფრო საწარმოო მოხმარების ანგარიშზე ხდება. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ეს «დამოუკიდებლობა» ისე გაგვეგო, თითქოს საწარმოო მოხმარებასა და პირად მოხმარებას შორის არავითარი კავშირი არ იყოს: პირველი შეიძლება და კიდეც უნდა იზრდებოდეს მეორეზე უფრო სწრაფად (სწორედ ამით განისაზღვრება მისი «დამოუ-

---

რებული. ბ-ნ ბულგაკოვის გადმოცემა უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე გადმოცემა ბ-ნ მ. ტუგან-ბარანოვსკისა («სამრეწველო კრიზისები», გვ. 407—438), რომელმაც თავისი სქემების აგებაში მეტად უხეიროდ გადაუხვია მარქსს და არასაკმაოდ განმარტა მარქსის თეორია; — უფრო დამაკმაყოფილებელია აგრეთვე, ვიდრე გადმოცემა ბ-ნ ა. სკვორცოვისა («პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები». სპბ. 1898, გვ. 281—295), რომელიც შემცდარ შეხედულებებს ადგას მეტად მნიშვნელოვან საკითხებში — მოგებისა და რენტის საკითხებში.

კიდებლობა»), მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ საბოლოო ანგარიშით საწარმოო მოხმარება ყოველთვის დაკავშირებული რჩება პირად მოხმარებასთან. მარქსი ამის გამო ამბობს: «ჩვენ დავინახეთ (წიგნი II, განყ. III), რომ მუდმივ კაპიტალსა და მუდმივ კაპიტალს შორის მუდმივი ტრიალი წარმოებს...» (მარქსს მხედველობაში აქვს წარმოების საშუალებებად გამოსახული მუდმივი კაპიტალი, რაც იმავე ქვედარგის კაპიტალისტთა შორის გაცვლა-გამოცვლით რეალიზდება), «... რომელიც, ერთი მხრით, დამოუკიდებელია პირადი მოხმარებისაგან იმ გაგებით, რომ იგი არასოდეს არ შედის ამ უკანასკნელში, მაგრამ რომელიც, მიუხედავად ამისა, საბოლოო ანგარიშით განსაზღვრულია პირადი მოხმარებით, ვინაიდან მუდმივი კაპიტალის წარმოება არასოდეს არ ხდება თვითონ მისთვის, არამედ ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მუდმივი კაპიტალი მეტი მოიხმარება წარმოების იმ დარგებში, რომელთა პროდუქტები შედის პირად მოხმარებაში» («Das Kapital», III, 1, 289. რუს. თარგ., გვ. 242) [24].

მუდმივი კაპიტალის ეს მეტი მოხმარება სხვა არაფერია, თუ არა საწარმოო ძალთა მაღალი განვითარება, საცვლელი ღირებულების ტერმინებით გამოხატული, ვინაიდან სწრაფად მზარდ «წარმოების საშუალებათა» მთავარ ნაწილს შეადგენენ მასალები, მანქანები, იარაღები, ნაგებობანი და მსხვილი და სპეციალურად მანქანური წარმოების ყოველგვარი სხვა მოწყობილობა. ამიტომ საკვლევით ბუნებრივია, რომ კაპიტალისტური წარმოება, რომელიც ავითარებს საზოგადოების საწარმოო ძალებს და ჰქმნის მსხვილ წარმოებასა და მანქანურ ინდუსტრიას, განსხვავდება საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ დარგის განსაკუთრებული გაფართოებითაც, რომელიც წარმოების საშუალებებისაგან შესდგება... «ამ მხრივ (სახელდობრ — წარმოების საშუალებათა დამზადების მხრივ) კაპიტალისტური საზოგადოება ველურისაგან განსხვავდება სრულიადაც არა იმით, რაშიც ამ განსხვავებას ხედავს სენიორი, რომელსაც ჰგონია, ველურს განსაკუთრებული პრივილეგია აქვს ზოგჯერ ისე დახარჯოს თავისი შრომა, რომ ვერ მიიღოს ვერავი-

თარი ისეთი პროდუქტი, რომელიც შემოსავალს, ე. ი. მოხმარების საგნებს იძლეოდეს. ნამდვილად კი განსხვავება შემდეგში მდგომარეობს:

a) კაპიტალისტური საზოგადოება მის განკარგულებაში არსებული წლიური შრომის მეტ ნაწილს მოიხმარს წარმოების საშუალებათა (მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის) საწარმოებლად, რომელნიც ვერ დანაწევრდებიან შემოსავლად ვერც ხელფასის ფორმით, ვერც ზეღირებულების ფორმით და მხოლოდ კაპიტალის სახით შეიძლება მოქმედებდნენ.

b) თუ ველური ამზადებს შვილდს, ისრებს, ქვის ჩაქუჩებს, ნაჯახებს, კალათებს და სხვ., მას სრულიად მკაფიოდ აქვს შეგნებული, რომ ამაზე დახარჯული დრო მას მოსახმარი საგნების წარმოებისათვის არ მოუნდომებია, ე. ი. რომ მან წარმოების საშუალებათა საკუთარი მოთხოვნილება დაიკმაყოფილა და მეტი არაფერი» («Das Kapital», II, 436. რუს. თარგმ., 333)[25]. წარმოებასთან თავისი დამოკიდებულების ეს «მკაფიო შეგნება» უკვე დაკარგულია კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ფეტიშიზმის გამო, რომელსაც ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოუდგენია პროდუქტთა ურთიერთობის სახით, რადგან ყოველი პროდუქტი იქცევა საქონლად, რომელიც დამზადებულია უცნობი მომხმარებლისათვის და უცნობ ბაზარზე უნდა იქნას რეალიზებული. და ვინაიდან ცალკეული მწარმოებლისათვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სახის პროდუქტს ამზადებს იგი, — ყოველი პროდუქტი «შემოსავალს» იძლევა, — ესევე ზერელე, ინდივიდუალური თვალსაზრისი იქნა შეთვისებული თეორეტიკოს-ეკონომისტების მიერ მთელი საზოგადოების მიმართ, და ამ თვალსაზრისმა ხელი შეუშალა იმას, რომ გაეგოთ კაპიტალისტურ მეურნეობაში მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის რეპროდუქციის პროცესი.

წარმოების (და, მაშასადამე, აგრეთვე შინაური ბაზრის) განვითარება უპირატესად წარმოების საშუალებათა ანგარიშზე პარადოქსული გვეჩვენება და, უეჭველია, წინააღმდეგობას

წარმოადგენს. ეს არის ნამდვილი «წარმოება წარმოებისათვის», — წარმოების გაფართოება მოხმარების სათანადოდ გაუფართოებლად. მაგრამ ეს არის არა დოქტრინის, არამედ ნამდვილი ცხოვრების წინააღმდეგობა; ეს სწორედ ისეთი წინააღმდეგობაა, რომელიც თვით კაპიტალიზმის ბუნებას და საზოგადოებრივი მეურნეობის ამ სისტემის დანარჩენ წინააღმდეგობებს შეესაბამება. წარმოების სწორედ ეს გაფართოება და ამავე დროს მოხმარების სათანადოდ გაუფართოებლობა შეესაბამება კაპიტალიზმის ისტორიულ მისიას და მის სპეციფიკურ საზოგადოებრივ სტრუქტურას: პირველი მდგომარეობს საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებაში; მეორე შეუძლებელს ხდის მოსახლეობის მასის მიერ ამ ტექნიკურ მონაპოვართა გამოყენებას. წარმოების გაფართოებისაკენ განუსაზღვრელ, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ, მისწრაფებასა და ხალხის მასების განსაზღვრულ (მათი პროლეტარული მდგომარეობის გამო განსაზღვრულ) მოხმარებას შორის უეჭველი წინააღმდეგობა არსებობს. სწორედ ამ წინააღმდეგობას აღნიშნავს მარქსი იმ დებულებებში, რომლებიც ხალისით მოჰყავთ ნაროდნიკებს, თითქოს ეს დებულებანი ადასტურებდნენ მათ შეხედულებებს შინაური ბაზრის შემცირების, კაპიტალიზმის არაპროგრესულობის და სხვ. და სხვ. შესახებ. აი ზოგიერთი ამ დებულებათაგანი: «წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგობა: მუშებს, როგორც საქონლის მყიდველებს, დიდი მნიშვნელობა აქვთ ბაზრისათვის. მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებას აქვს ტენდენცია შეზღუდოს ისინი ფასის მინიმუმით, როგორც თავიანთი საქონლის — სამუშაო ძალის — გამყიდველნი» («Das Kapital», II, 303)[26].

«...რეალიზაციის პირობები... ისაზღვრება წარმოების სხვადასხვა დარგის პროპორციულობით და საზოგადოების მოხმარებითი შესაძლებლობით... რაც უფრო ვითარდება საწარმოო ძალა, მით უფრო ვარდება იგი წინააღმდეგობაში იმ ვიწრო საფუძველთან, რომელზეც დამყარებულია მოხმარებითი ურთიერთობა» (ibid., III, 1, 225 — 226)[27]. «ფარგლები,

რომლებშიც მხოლოდ შესაძლებელია კაპიტალის ღირებულების შენარჩუნება და გადიდება, რაც მწარმოებელთა მასის ექსპროპრიაციასა და გაღატაკებაზეა დამყარებული, — ეს ფარგლები მუდამ წინააღმდეგობაშია წარმოების იმ მეთოდებთან, რომლებსაც კაპიტალმა ძალაუნებურად უნდა მიმართოს თავისი მიზნის მისაღწევად და რომლებიც ისწრაფვიან წარმოების უსაზღვროდ გაფართოებისაკენ, საზოგადოებრივი საწარმოო ძალების უსათუო განვითარებისაკენ და თვითკმარ მიზნად ისახავენ წარმოებას... ამიტომ, თუ წარმოების კაპიტალისტური წესი ისტორიული საშუალებაა მატერიალური საწარმოო ძალის განსავითარებლად, ამ ძალის შესაფერი მსოფლიო ბაზრის შესაქმნელად, იგი ამავე დროს წარმოადგენს მუდმივ წინააღმდეგობას მის ასეთ ისტორიულ ამოცანასა და მის დამახასიათებელ წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობას შორის» (III, 1, 232. რუს. თარგ., გვ. 194)[28]. «ყველა ნამდვილი კრიზისის უკანასკნელ მიზეზად ყოველთვის რჩება მასების სიღარიბე და მათი მოხმარების შეზღუდულობა, რაც ეწინააღმდეგება კაპიტალისტური წარმოების მისწრაფებას — იმგვარად განავითაროს საწარმოო ძალები, თითქოს მათი განვითარების საზღვარი მხოლოდ საზოგადოების აბსოლუტური მოხმარებითი უნარიანობა იყოს»* (III, 2, 21. რუს. თარგმ., 395)[30]. ყველა ამ დებულებაში

---

* სწორედ ეს ადგილი მოჰყავდა სახელგანთქმულ (ჰეროსტრატესავით სახელგანთქმულ) ედ. ბერნშტეინს თავის «სოციალიზმის წანამძღვრებში» («Die Voraussetzungen etc.», Stuttg., 1899, S. 67)[29]. რა თქმა უნდა, ჩვენმა ოპორტუნისტმა, რომელმაც პირი იბრუნა მარქსიზმიდან ძველი ბურჟუაზიული ეკონომიისაკენ, მყისვე განაცხადა, ეს მარქსის კრიზისების თეორიის წინააღმდეგობა არისო; მარქსის ესა და ეს შეხედულება «ბევრად არაფრით განირჩევა როდბერტუსის კრიზისების თეორიისაგანო». ნამდვილად კი «წინააღმდეგობა» არსებობს, ერთი მხრით, მხოლოდ ბერნშტეინის პრეტენზიებსა და, მეორე მხრით, მის უაზრო ეკლექტიზმსა და მარქსის თეორიისადმი ჩაფიქრებით მიდგომის სურვილის უქონლობას შორის. თუ რამდენად ვერ გაუგია ბერნშტეინს რეალიზაციის თეორია, ეს ჩანს მისი იმ ჰეშმარიტად კურიოზული მსჯელობიდან, თითქოს ზედმეტი პროდუქ-

დასტურდება აღნიშნული წინააღმდეგობა წარმოების უსაზღვროდ გაფართოების მისწრაფებასა და შეზღუდულ მოხმარებას შორის, და მეტი არაფერი *. არაფერია იმაზე უფრო უაზრო, ვიდრე ის, რომ «კაპიტალის» ამ ადგილებიდან დაასკვნა, თითქოს მარქსი შეუძლებლად სთვლიდა ზეღირებულების რეალიზებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, თითქოს იგი კრიზისებს არასაკმაო მოხმარებით ხსნიდა და სხვ. მარქსმა რეალიზაციის ანალიზში ცხადჰყო, რომ «ბრუნვა მუდმივ კაპიტალსა და მუდმივ კაპიტალს შორის საბოლოო ანგარიშით განსაზღვრულია პირადი მოხმარებით», მაგრამ ამავე ანალიზმა ცხადჰყო ამ «განსაზღვრულობის» ჭეშმარიტი ხასიათი[31], ცხადჰყო, რომ მოხმარების საგნები შინაური ბაზრის წარმოქმნაში ნაკლებ როლს ასრულებენ წარმოების საშუალებებთან შედარებით. და შემდეგ, არაფერია იმაზე უფრო უაზრო, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგობებიდან დაასკვნა მისი შეუძლებლობა, არაპროგრესულობა და სხვ. — ეს იმას ნიშნავს, რომ რომანტიკულ ოცნებათა ზეციურ სამყაროში დაემალო არასასიამოვნო, მაგრამ უეჭველ სინამდვილეს. წინააღმდეგობა წარმოების უსაზღვროდ გაფართოებისაკენ მისწრაფებასა და შეზღუდულ მოხმარებას შორის — როდია ერთადერთი წინააღმდეგობა კაპიტალიზმისა, რომელსაც საზოგადოდ არ შეუძლია უწინააღმდეგობებოდ არსებობა და

ტის მასის უზარმაზარი ზრდა უ ს ა თ უ ო დ უნდა ნიშნავდეს შეძლებულთა რიცხვის გადიდებას (ან მუშების კეთილდღეობის ამაღლებას), ვინაიდან, წარმოიდგინეთ, თვითონ კაპიტალისტებს და მათ «მსახურთ» (sic! Seite 51 — 52) არ შეუძლიათ მთელი ზედმეტი პროდუქტი «მოიხმარონო»!! (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს).

* შემცდარია აზრი ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკისა, რომელიც ფიქრობს, რომ მარქსი, ამ დებულებებს რომ აყენებს, რეალიზაციის თავის საკუთარ ანალიზს ეწინააღმდეგებაო («მირ ბოჟიი», 1898, № 6, გვ. 123, სტატია: «კაპიტალიზმი და ბაზარი»). არავითარი წინააღმდეგობა მარქსს არ მოეპოვება, ვინაიდან რეალიზაციის ანალიზშიც აღნიშნულია საწარმოო და პირადი მოხმარების ურთიერთკავშირი.

განვითარება. კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი მოწმობენ მის ისტორიულად წარმავალ ხასიათს, ააშკარავებენ მისი დაშლისა და უმაღლეს ფორმად გადაქცევის პირობებსა და მიზეზებს, — მაგრამ ისინი სრულებითაც არ გამორიცხავენ არც კაპიტალიზმის შესაძლებლობას, არც მის პროგრესულობას საზოგადოებრივი მეურნეობის წინანდელ სისტემებთან შედარებით *.

VII. ნაციონალური შემოსავლის თეორია

მარქსის რეალიზაციის თეორიის ძირითად დებულებათა გადმოცემის შემდეგ, ჩვენ კიდევ უნდა აღვნიშნოთ მოკლედ ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს ერის «მოხმარების», «განაწილების» და «შემოსავლის» თეორიისათვის. ყველა ეს საკითხი, განსაკუთრებით უკანასკნელი, ეკონომისტებისათვის დღემდე პირდაპირ თავსატეხ საკითხებს წარმოადგენდა. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდნენ და წერდნენ ამაზე, მით უფრო მეტი დაბნეულობა იქმნებოდა, რომელიც ა. სმიტის ძირითადი შეცდომიდან გამომდინარეობს. ჩვენ აღვნიშნავთ აქ ამ დაბნეულობის ზოგიერთ მაგალითს.

საინტერესოა აღინიშნოს, მაგალითად, რომ პრუდონმა, არსებითად, გაიმეორა იგივე შეცდომა, ოღონდ მან ძველ თეორიას რამდენადმე სხვანაირი ფორმულირება მისცა. ის ამბობდა:

«A (აქ იგულისხმება ყველა მესაკუთრე, მეწარმე და კაპიტალისტი) იწყებს წარმოებას 10 000 ფრანკით, ხელფასს წინდაწინ აძლევს მუშებს, რომლებმაც სამაგიეროდ პროდუქტები უნდა დაამზადონ; მას შემდეგ, რაც A-მ თავისი ფული ამრიგად საქონლად აქცია, მან წარმოების დამთავრების შემდეგ, მაგ., ერთი წლის შემდეგ, საქონელი კვლავ ფულად უნდა აქციოს. ვის მიჰყიდის იგი თავის საქონელს? რა თქმა უნდა,

* შეად. «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის. სისმონდი და ჩვენი თანამემამულე სისმონდისტები» (იხ. თხზულებანი, ტომი მე-2. რ ე დ.).

მუშებს, რადგან საზოგადოებაში მხოლოდ ორი კლასია — ერთი მხრით მეწარმენი, მეორე მხრით კი — მუშები. ამ მუშებმა, რომლებმაც თავიანთი შრომის პროდუქტებში ხელფასად მიიღეს 10 000 ფრანკი, რაც აკმაყოფილებს მათს აუცილებელ საარსებო მოთხოვნილებებს, ახლა უნდა გადაიხადონ 10 000 ფრანკზე მეტი, სახელდობრ — კიდევ დანამატი, რომელსაც A იღებს პროცენტებისა და სხვა მოგების სახით, რაც მას გათვალისწინებული ჰქონდა წლის დასაწყისში: ამ 10 000 ფრანკის დაფარვა მუშას მხოლოდ სესხად შეუძლია, რის გამო იგი სულ უფრო და უფრო მეტ ვალსა და სიღატაკეში ვარდება. აუცილებლად უნდა მოხდეს ორში ერთი რამ: ან მუშას შეუძლია მოიხმაროს 9 მაშინ, როცა მან შეჰქმნა 10, ანდა ის მეწარმეს უხდის მხოლოდ თავის ხელფასს, მაგრამ მაშინ თვით მეწარმე კოტრდება და გაჭირვებაში ვარდება, რადგან ის ვერ იღებს კაპიტალის პროცენტებს, რაც მან თავის მხრივ მაინც უნდა გადაიხადოს» (Diehl, «Proudhon», II, 200 *, ციტირებულია კრებულიდან «მრეწველობა». სტატიები «Handwörterbuch der Staatswissenschaften»-დან **. მ. 1896, გვ. 101).

როგორც მკითხველი ხედავს, ეს იგივე სიძნელეა — როგორ მოხდეს ზეღირებულების რეალიზება, — რომლის გამო თავს იტეხენ ბბ. ვ. ვ. და ნ. — ონიც, ოღონდ პრუდონმა იგი რამდენადმე თავისებური ფორმით გამოთქვა. და მისი ფორმულირების ეს თავისებურება კიდევ უფრო აახლოებს მასთან ჩვენს ნაროდნიკებს: ესენიც, ისევე როგორც პრუდონი, «სიძნელეს» სწორედ ზეღირებულების (პრუდონის ტერმინოლოგიით — პროცენტის ან მოგების) რეალიზაციაში ხედავენ; მათ არ ესმით, რომ ის დაბნეულობა, რაც ძველი ეკონომისტებისაგან შეუთვისებიათ, ხელს უშლის არათუ მარტო ზეღირებულების, არამედ აგრეთვე მუდმივი კაპიტალის რეალიზაციის ახსნასაც, ე. ი. მათი «სიძნელე» იმაში მდგომარეობს, რომ

* — დილი. «პრუდონი», ტ. II, გვ. 200. რედ.
** — «სახელმწიფოებრივ მეცნიერებათა ლექსიკონი». რედ.

მათ არ გაეგებათ კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციის მთელი პროცესი.

პრუდონის ამ „თეორიის“ შესახებ მარქსი სარკასტულად შენიშნავს:

«პრუდონი თავის უუნარობას — გაიგოს ეს» (სახელდობრ, პროდუქტის რეალიზაცია კაპიტალისტურ საზოგადოებაში) «ამჟღავნებს შემდეგი უაზრო ფორმულით: l'ouvrier ne peut pas racheter son propre produit (მუშას არ შეუძლია ხელახლა იყიდოს თავისი საკუთარი პროდუქტი), იმიტომ რომ მასში შედის პროცენტი, რომელიც ემატება წარმოების ხარჯებს (prix-de-revient)» («Das Kapital», III, 2, 379. რუს. თარგმ., 698, შეცდომებით)[32].

და მარქსს მოჰყავს შენიშვნა, მიმართული პრუდონის წინააღმდეგ ერთი ვულგარული ეკონომისტის, ვინმე ფორკადის (Forcade) მიერ, რომელიც «სავსებით სწორად განაზოგადებს იმ სიძნელეს, რაც პრუდონს ასე ვიწრო ფორმით აქვს წარმოდგენილიო», სახელდობრ, ფორკადი ამბობდა, რომ საქონლის ფასი შეიცავს არა მარტო ხელფასის ნამეტს, მოგებას, არამედ იმ ნაწილსაც, რომელიც მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს. მაშასადამე, — დაასკვნიდა ფორკადი პრუდონის წინააღმდეგ, — კაპიტალისტსაც არ შეუძლია თავისი მოგებით კვლავ იყიდოს საქონელიო (თვით ფორკადმა არათუ ვერ გადაჭრა ეს პრობლემა, არამედ ვერც კი გაიგო).

სწორედ ასევე არაფერი მოუცია ამ საკითხზე როდბერტუსსაც. როდბერტუსი განსაკუთრებული ხაზგასმით აყენებს იმ დებულებას, რომ «მიწის რენტა, მოგება კაპიტალზე და ხელფასი შემოსავალს წარმოადგენენო»*, მაგრამ მას «შემოსავლის» ცნება სრულიად არა აქვს გამორკვეული. როდბერტუსი ლაპარაკობს იმაზე, თუ რანაირი იქნებოდა პოლიტი-

* Dr. Rodbertus-Jagetzow. «Zur Beleuchtung der sozialen Frage». Berlin, 1875, S. 72 u. ff. (დ-რი როდბერტუს-იაგეცოვი. «სოციალური საკითხის განხილვისათვის». ბერლინი, 1875, გვ. 72 და შემდეგი. რ ე დ.).

კური ეკონომიის ამოცანები, იგი «სწორ მეთოდს» (l. c., S. 26) რომ მისდევდეს, და ეხება აგრეთვე ნაციონალური პროდუქტის განაწილებას: «მას» (ე. ი. ჭეშმარიტს «ს ა ხ ა ლ ხ ო მეურნეობის მეცნიერებას» — ხაზი როდბერტუსისაა) «უნდა ეჩვენებინა, როგორ არის, რომ მთელი ნაციონალური პროდუქტის ერთი ნაწილი ყოველთვის განეკუთვნება წარმოებაში მოხმარებული ან გაცვეთილი კაპიტალის ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ ა ს, ხოლო მეორე ნაწილი — ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს სახით — საზოგადოების და მისი წევრების უშუალო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას» (ibid., S. 27). თუმცა ნამდვილ მეცნიერებას ეს უნდა ეჩვენებინა, მაგრამ როდბერტუსის «მეცნიერებამ» ვერაფერიც ვერ გვიჩვენა. მკითხველი ხედავს, რომ როდბერტუსმა მხოლოდ გაიმეორა სიტყვა-სიტყვით ად. სმიტის აზრი და, როგორც ეტყობა, ვერც კი შეამჩნია, რომ საკითხი სწორედ აქ იწყება. რომელი მუშები «ანაზღაურებენ» ნაციონალურ კაპიტალს? როგორ რეალიზდება მათი პროდუქტი? — ამაზე მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს. როდბერტუსი, თავის თეორიას ცალკე თეზისების სახით რომ აჯამებს (diese neue Theorie, die ich der bisherigen gegenüberstelle *, S. 32), ჯერ ნაციონალური პროდუქტის განაწილებაზე ამბობს შემდეგს: «რენტა» (ცნობილია, რომ როდბერტუსი ამ ტერმინით ჰგულისხმობდა იმას, რასაც ჩვეულებრივ ზეღირებულებას უწოდებენ) «და ხელფასი, მაშასადამე, ნაწილებია, რომლებადაც იყოფა პროდუქტი, რამდენადაც იგი შემოსავალს წარმოადგენს» (S. 33). ამ მეტად მნიშვნელოვან შენიშვნას იგი უნდა მიეყვანა ყველაზე არსებით საკითხამდე: მან ეს-ეს არის სთქვა, შემოსავლად იგულისხმება საგნები, რომლებიც «უშუალო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის» არიან განკუთვნილიო. მაშასადამე, არის პროდუქტები, რომლებიც პირადი მოხმარებისათვის არ არიან განკუთვნილნი. როგორღა ხდება მათი

* — ამ ახალ თეორიას, რომელსაც მე ვუპირისპირებ ყველა აქამდე არსებულ თეორიას. რ ე დ.

რეალიზება? — მაგრამ როდბერტუსი ვერ ამჩნევს აქ გაურკვევლობას, მალე ივიწყებს აღნიშნულ შენიშვნას და ლაპარაკობს პირდაპირ «პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ს ა მ ნ ა წ ი ლ ა დ დ ა ყ ო ფ ა ზ ე» (ხელფასი, მოგება და რენტა) (S. 49 — 50 და სხვ.). ამნაირად, როდბერტუსმა, არსებითად, გაიმეორა ად. სმიტის მოძღვრება მისი ძირითადი შეცდომითურთ და სრულებით ვერაფერი ვერ ახსნა შემოსავლის საკითხში. ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ებ ი ს ახალი სრული და უკეთესი თეორიის დაპირება* ცარიელი სიტყვა გამოდგა. ნამდვილად კი როდბერტუსს ერთი ნაბიჯითაც არ წაუწევია წინ თეორია ამ საკითხში; თუ რამდენად დაბნეული იყო მისი წარმოდგენა «შემოსავალზე», ამას გვიჩვენებს მისი ფრიად გრძელი მსჯელობა მე-4 სოციალურ წერილში ფონ-კირხმანისადმი («Das Kapital», Berlin**, 1884) იმაზე, ჩაითვლება თუ არა ფ უ ლ ი ნაციონალურ შემოსავლად, საიდან მიიღება ხელფასი — კაპიტალიდან თუ შემოსავლიდან, — მსჯელობა, რომლის შესახებ ენგელსმა სთქვა — «სქოლასტიკის სფეროს ეკუთვნისო» («კაპიტალის» II ტომის Vorwort***, S. XXI)**** [33].

ნაციონალური შემოსავლის საკითხში ეკონომისტთა შორის დღემდეც სრული არევდარევა სუფევს. ასე, მაგალითად, გერკნერი თავის სტატიაში «კრიზისების» შესახებ «Handwör-

---

* Ibid., S. 32: «... bin ich genötigt, der vorstehenden Skizze einer besseren Methode auch noch eine vollständige, solcher besseren Methode entsprechende Theorie, wenigstens der V e r t e i l u n g d e s N a t i o n a l p r o d u k t s, hinzuzufügen» (იქვე, გვ. 32: «... მე იძულებული ვარ საუკეთესო მეთოდის ამ ნარკვევს დავუმატო აგრეთვე სრული, ამ საუკეთესო მეთოდის შესაფერისი, თეორია ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ებ ი ს ა მ ა ი ნ ც». რ ე დ.).

** — «კაპიტალი», ბერლინი. რ ე დ.

*** — წინასიტყვაობა. რ ე დ.

**** ამიტომ სრულებით არ არის მართალი K. Diehl (კ. დილი. რ ე დ.), როცა ამბობს, როდბერტუსმა «შემოსავლის განაწილების ახალი თეორია» მოგვცაო. [«Handwörterbuch der Staatswissenschaften», Art. «Rodbertus», B. V. S. 448 («სახელმწიფოებრივ მეცნიერებათა ლექსიკონი». სტატია «როდბერტუსი». ტომი V, გვ. 448. რ ე დ.)].

terbuch der Staatswissenschaften»-ში (დასახელებული კრებული, გვ. 81), როცა ლაპარაკობს კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციაზე (§ 5 — «განაწილება»), «მოსწრებულად» სთვლის კ. გ. რაუს მსჯელობას, თუმცა ეს ავტორი მხოლოდ იმეორებს ა. სმიტის შეცდომას, რადგან საზოგადოების მთელ პროდუქტს შემოსავლებზე ჰყოფს. რ. მეიერს თავის სტატიაში «შემოსავლის» შესახებ (იქვე, გვ. 283 და შემდეგი) მოჰყავს დაბნეული განსაზღვრანი ა. ვაგნერისა (რომელიც აგრეთვე იმეორებს ა. სმიტის შეცდომას), ამასთან იგი გულახდილად აღიარებს: «ძნელია შემოსავლის გარჩევა კაპიტალისაგან», ხოლო «ყველაზე უფრო ძნელია გამორჩენისა (Ertrag) და შემოსავლის (Einkommen) ერთმანეთისაგან გარჩევაო».

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომისტებმა, რომლებიც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ — კლასიკოსები (და მარქსი) «განაწილებასა» და «მოხმარებას» არასაკმაო ყურადღებას აქცევენო, ოდნავადაც ვერ შესძლეს გამოერკვიათ «განაწილებისა» და «მოხმარების» ყველაზე ძირითადი საკითხები. ეს გასაგებიცაა, რადგან შეუძლებელია იმსჯელო «მოხმარებაზე», თუ არ გესმის მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციის და საზოგადოებრივი პროდუქტის ცალკეულ შემადგენელ ნაწილთა ანაზღაურების პროცესი. ამ მაგალითით ერთხელ კიდევ დადასტურდა, თუ რა უაზროა გამოჰყო «განაწილება» და «მოხმარება», როგორც მეცნიერების რაღაც დამოუკიდებელი დარგები, რომლებიც ვითომ შეესაბამებიან სამეურნეო ცხოვრების რაღაც დამოუკიდებელ პროცესებსა და მოვლენებს. პოლიტიკური ეკონომიის საგანია სრულიადაც არა «წარმოება», არამედ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოებაში, წარმოების საზოგადოებრივი წყობა. რაკი ეს საზოგადოებრივი ურთიერთობა ბოლომდე გამორკვეულია და შესწავლილი, — ა მ ი თ განსაზღვრულია აგრეთვე თვითეული კლასის ადგილი წარმოებაში და, მაშასადამე, ნაციონალური მოხმარების ის წილიც, რასაც იგი იღებს. და იმ პრობლემის გადაჭრა, რომლის წინაშე

შეჩერდა კლასიკური პოლიტიკური ეკონომია და რომელიც ოდნავადაც ვერ წასწია წინ «განაწილების» და «მოხმარების» საკითხთა ვერც ერთმა სპეციალისტმა, — მოგვცა თეორიამ, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება სწორედ კლასიკოსებს და რომელსაც ბოლომდე მიჰყავს როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი კაპიტალის წარმოების ანალიზი.

«ნაციონალური შემოსავლისა» და «ნაციონალური მოხმარების» საკითხი, რომლის გადაჭრა სრულიად შეუძლებელია, თუ ეს საკითხი დამოუკიდებლად ისმება, და რომელიც მხოლოდ სქოლასტიკურ მსჯელობას, დეფინიციებსა და კლასიფიკაციებს ამრავლებს, — სავსებით გადაჭრილი აღმოჩნდება, როცა მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის წარმოების პროცესს ანალიზი გაუკეთდება. ეს კიდევ ცოტაა: ამ საკითხის ცალკე არსებობაც შეუძლებელი ხდება, როცა გამორკვეულია ნაციონალური მოხმარების მიმართება ნაციონალური პროდუქტისადმი და ამ პროდუქტის ყოველი ცალკე ნაწილის რეალიზაცია. საჭიროა მხოლოდ სახელი ეწოდოს ამ ცალკეულ ნაწილებს.

«საქმე რომ არ აირდაირიოს ამაო სიძნელეთა შექმნით, საჭიროა განვასხვაოთ მთლიანი ამონაგები (Rohertrag) და წმინდა ამონაგები მთლიანი შემოსავლისა და წმინდა შემოსავლისაგან.

მთლიანი ამონაგები ან მთლიანი პროდუქტი არის მთელი რეპროდუქცირებული პროდუქტი...

მთლიანი შემოსავალი არის ის ნაწილი ღირებულებისა (და მით გაზომილი ის ნაწილი მთლიანი პროდუქტისა — Bruttoprodukts oder Rohprodukts), რაც რჩება მთელ წარმოებაში ღირებულების იმ ნაწილის (და მით გაზომილ პროდუქტის ნაწილის) გამოკლებით, რომელიც ანაზღაურებს წარმოებაში მოთავსებულ და იქ მოხმარებულ მუდმივ კაპიტალს. მთლიანი შემოსავალი, მაშასადამე, უდრის ხელფასს (ან პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც ხელახლა უნდა იქცეს მუშის შემოსავლად) + მოგება + რენტა. წმინდა შემოსავალი კი არის

ზეღირებულება, მაშასადამე — ზედმეტი პროდუქტი, რომელიც რჩება ხელფასის გამოკლების შემდეგ და რომელიც წარმოადგენს კაპიტალის მიერ რეალიზებულ და მიწათმფლობელთან გასაყოფ ზედმეტ ღირებულებას (და მით გაზომილ ზედმეტ პროდუქტს).

... ხოლო თუ მთელი საზოგადოების შემოსავალს განვიხილავთ, მაშინ ნაციონალური შემოსავალი შესდგება ხელფასისაგან პლუს მოგება, პლუს რენტა, ე. ი. მთლიანი შემოსავლისაგან. თუმცაღა, ესეც მხოლოდ აბსტრაქციაა, რადგან კაპიტალისტური წარმოების დროს მთელი საზოგადოება კაპიტალისტურ თვალსაზრისზე დგება და წმინდა შემოსავლად მხოლოდ იმ შემოსავალს სთვლის, რომელიც მოგებად და რენტად იყოფა» (III, 2, 375 — 376; რუს. თარგმ., გვ. 695 — 696)[34].

ამრიგად, რეალიზაციის პროცესის განმარტებით შეტანილ იქნა სიცხადე შემოსავლის საკითხშიც და გადაიჭრა ძირითადი სიძნელე, რომელიც ხელს უშლიდა ამ საკითხის გარკვევას, სახელდობრ: რანაირადაა, რომ «ერთის შემოსავალი კაპიტალად იქცევა მეორისათვის»? რანაირადაა, რომ პროდუქტი, რომელიც შესდგება პირადი მოხმარების საგნებისაგან და სავსებით იყოფა ხელფასად, მოგებად და რენტად, შეიძლება შეიცავდეს კიდევ კაპიტალის მუდმივ ნაწილს, რომელიც არასოდეს არ იქცევა შემოსავლად? რეალიზაციის იმ ანალიზმა, რაც მოცემულია «კაპიტალის» მეორე ტომის III განყოფილებაში, სავსებით გადაჭრა ეს საკითხები, და მარქსს «კაპიტალის» III ტომის დასკვნითს განყოფილებაში, რომელიც «შემოსავლის» საკითხს ეხება, მხოლოდ ის დასჭირდა, რომ საზოგადოებრივი პროდუქტის ცალკეული ნაწილებისათვის სახელები ეწოდებინა და ამ, მეორე ტომში მოცემულ, ანალიზზე მიეთითებინა *.

---

* იხ. «Das Kapital», III. 2. VII. Abschnitt: «Die Revenuen», თ. 49: «Zur Analyse des Produktionsprozesses» («კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2. განყ. VII: «შემოსავალი», თ. 49: «წარმოების პროცესის ანალიზისა-

VIII. რატომ არის საჭირო კაპიტალისტური ერისათვის საგარეო ბაზარი?

კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციის ზემოთ გადმოცემული თეორიის გამო შეიძლება აღიძრას შემდეგი კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება ეს თეორია იმ დებულებას, რომ კაპიტალისტური ერი ვერ შეელევა საგარეო ბაზრებს?

უნდა გვახსოვდეს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციის მოყვანილი ანალიზი გამომდინარეობდა საგარეო ვაჭრობის უქონლობის ვარაუდიდან: ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ეს ვარაუდი და ცხადვყავით მისი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ასეთი ანალიზის დროს. აშკარაა, რომ პროდუქტების შემოტანა და გატანა მხოლოდ არევდა საქმეს და ოდნავადაც ვერ შეუწყობდა ხელს საკითხის განმარტებას. ბბ. ვ. ვ.-ს და ნ. —ონის შეცდომა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ზეღირებულების რეალიზაციის ა ს ა ხ ს ნ ე ლ ა დ ისინი საგარეო ბაზარს მიმართავენ: საგარეო ბაზარზე მითითება სრულიად არაფერს არ ხსნის და მხოლოდ ჰფარავს მათ თეორიულ შეცდომებს; ეს — ერთი მხრით. მეორე მხრით, ეს მათ საშუალებას აძლევს, ამ შემცდარი «თეორიების» შემწეობით, თავი დააღწიონ აუცილებლობას — ა ხ ს ნ ა ნ რუსეთის კაპიტალიზმის შინაური ბაზრის განვითარების ფაქტი *. «საგარეო ბაზარი» მათთვის უბრალო მომიზეზებაა, რომელიც ჩქმალავს კაპიტალიზმის (და, მაშასადამე, აგრეთვე ბაზრის) განვითარებას ქვეყნის შიგნით, — მომიზეზება მით უფრო ხელსაყრელი, რომ იგი მათ ათავისუფლებს

თვის». რ ე დ .) (რუს. თარგმ., გვ. 688 — 706). აქ მარქსი აღნიშნავს აგრეთვე იმ გარემოებებს, რომლებიც წინანდელ ეკონომისტებს ხელს უშლიდნენ გაეგოთ ეს პროცესი (გვ. 379 — 382. რუს. თარგმ., გვ. 698 — 700) [35].

* ბ-ნი ბულგაკოვი ძალიან სწორად შენიშნავს ზემოთ ციტირებულ წიგნში: «აქამდე ბამბეულის წარმოება, რომელიც საგლეხო ბაზრისათვის არის ნავარაუდევი, განუწყვეტლად იზრდება, მაშასადამე, სახალხო მოხმარების ეს აბსოლუტური შემცირება...» (რაზედაც ბ-ნი ნ. —ონი ლაპარაკობს) «... მხოლოდ თეორიულადაა წარმოსადგენი» (გვ. 214 — 215).

აგრეთვე აუცილებლობისაგან — განიხილონ ფაქტები, რომლებიც მოწმობენ რუსეთის კაპიტალიზმის მიერ საგარეო ბაზრების დაპყრობას *.

კაპიტალისტური ქვეყნისათვის საგარეო ბაზრის საჭიროება განისაზღვრება სრულიადაც არა საზოგადოებრივი პროდუქტის (და კერძოდ — ზეღირებულების) რეალიზაციის კანონებით, არამედ, ჯერ ერთი, იმით, რომ კაპიტალიზმი შედეგია მხოლოდ ფართოდ განვითარებული საქონელბრუნვისა, რომელიც სცილდება სახელმწიფოს ფარგლებს. ამიტომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კაპიტალისტური ერი საგარეო ვაჭრობის გარეშე, და ასეთი ერი არც არსებობს.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს მიზეზი ისტორიული ხასიათისაა. და მას ნაროდნიკები თავიდან ვერ მოიცილებდნენ ორიოდე გაცვეთილი ფრაზით «კაპიტალისტების მიერ ზეღირებულების მოხმარების შეუძლებლობაზე». აქ საჭირო გახდებოდა, თუკი ისინი მართლაც მოისურვებდნენ საგარეო ბაზრის საკითხის დასმას, განხილული ყოფილიყო საგარეო ვაჭრობის განვითარების ისტორია, საქონელბრუნვის განვითარების ისტორია. ხოლო თუ ეს ისტორია განხილული იქნებოდა, მაშინ, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა დაეხატათ კაპიტალიზმი გზიდან შემთხვევით გადახვეულ მოვლენად.

მეორეც, ის თანაფარდობა საზოგადოებრივი წარმოების ცალკეულ ნაწილებს შორის (ღირებულებით და ნატურალური ფორმით), რომელსაც აუცილებლად ჰგულისხმობდა საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციის თეორია და რომელიც სინამდვილეში მყარდება როგორც მხოლოდ მთელ რიგ მუდმივ რყევათა საშუალო ოდენობა, — ეს თანაფარდობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუდამ ირღვევა უცნობი ბაზრისათვის მომუშავე ცალკეულ მწარმოებელთა განკერძოების გამო. მრეწველობის სხვადასხვა დარგები, რომ-

* ვ ო ლ გ ი ნ ი. «ნაროდნიკობის დასაბუთება ბ-ნ ვორონცოვის შრომებში». სპბ. 1896. გვ. 71 — 76[30].

ლებიც ერთიმეორისათვის «ბაზარს» წარმოადგენენ, თანაზომიერად კი არ ვითარდებიან, არამედ ერთიმეორეს უსწრებენ, და უფრო განვითარებული მრეწველობა ეძებს საგარეო ბაზარს. ეს სრულიადაც არ ნიშნავს «ზეღირებულების რეალიზაციის შეუძლებლობას კაპიტალისტური ერისთვის», როგორც ნაროდნიკი მზად არის ღრმაზროვნად დაასკვნას. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ცალკეულ წარმოებათა განვითარება არაპროპორციულად ხდება. ნაციონალური კაპიტალის სხვანაირად განაწილებისას პროდუქტების იგივე რაოდენობა შეიძლებოდა ქვეყნის შიგნით ყოფილიყო რეალიზებული. მაგრამ იმისათვის, რომ კაპიტალმა მრეწველობის ერთი დარგი დატოვოს და მეორეში გადავიდეს, საჭიროა კრიზისი ამ დარგში, და რა მიზეზებს შეუძლიათ შეაკავონ კაპიტალისტები, რომლებსაც ასეთი კრიზისი ემუქრება, ეძიონ საგარეო ბაზარი? ეძიონ დახმარება და პრემიები გატანის გასაადვილებლად და ა. შ.?

მესამეც, წარმოების წინაკაპიტალისტური წესების კანონია წარმოების პროცესის განმეორება წინანდელ ფარგლებში, წინანდელ საფუძველზე: ასეთია მემამულეთა საბატონო მეურნეობა, გლეხთა ნატურალური მეურნეობა, მრეწველთა ხელოსნური წარმოება. პირიქით, კაპიტალისტური წარმოების კანონია წარმოების წესების მუდმივი გარდაქმნა და წარმოების ოდენობის განუსაზღვრელი ზრდა. წარმოების ძველი წესების დროს სამეურნეო ერთეულებს საუკუნეობით შეეძლოთ არსებობა ისე, რომ ისინი არ შეცვლილიყვნენ არც ხასიათით და არც ოდენობით, არ გასცილებოდნენ მემამულის სამფლობელოს ფარგლებს, გლეხთა სოფელს ან სოფლელი ხელოსნებისა და წვრილი მრეწველებისათვის (ეგრეთწოდებული შინამრეწველებისათვის) განკუთვნილ პატარა მახლობელ ბაზარს. პირიქით, კაპიტალისტური საწარმო აუცილებლად გადალახავს თემის, ადგილობრივი ბაზრის, ოლქის და შემდეგ — სახელმწიფოს საზღვრებსაც. და რადგანაც სახელმწიფოთა განკერძოება და კარჩაკეტილობა უკვე დარღვეულია საქონლის ბრუნვით, ამიტომ მრეწველობის

თვითეული კაპიტალისტური დარგის ბუნებრივი ლტოლვა მისთვის აუცილებელს ხდის «ეძიოს საგარეო ბაზარი».

ამრიგად, საგარეო ბაზრის ძებნის აუცილებლობა სრულიადაც არ ამტკიცებს კაპიტალიზმის უილაჯობას, როგორც ნაროდნიკ-ეკონომისტებს უყვართ ხოლმე საქმე წარმოგვიდგინონ. სრულიად პირიქით. ეს აუცილებლობა თვალსაჩინოდ ამჟღავნებს კაპიტალიზმის პროგრესულ ისტორიულ მუშაობას; კაპიტალიზმი არღვევს მეურნეობის სისტემათა ძველებურ განკერძოებულობასა და კარჩაკეტილობას (მაშასადამე, სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების შეზღუდულობასაც) და მთლიან სამეურნეო ერთეულად აკავშირებს მსოფლიოს ყველა ქვეყანას.

აქედან ვხედავთ, რომ საგარეო ბაზრის აუცილებლობის ორი უკანასკნელი მიზეზი ისევ ისტორიული ხასიათის მიზეზებია. მათ გასარკვევად საჭიროა განვიხილოთ მრეწველობის ყოველი ცალკე დარგი, მისი განვითარება ქვეყნის შიგნით, მისი გადაქცევა კაპიტალისტურ დარგად, — ერთი სიტყვით, უნდა ავიღოთ ფ ა ქ ტ ე ბ ი ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარებისა, — და არაფერია საკვირველი, რომ ნაროდნიკები სარგებლობენ შემთხვევით — გვერდი აუარონ ამ ფაქტებს და თავი შეაფარონ ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულ (და არაფრისმთქმელ) ფრაზებს როგორც შინაური, ისე საგარეო ბაზრის «შეუძლებლობის» შესახებ.

IX. პირველი თავიდან გამომდინარე დასკვნები

შევაჯამოთ ახლა ზემოთ განხილული თეორიული დებულებანი, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ შინაური ბაზრის საკითხთან.

1) შინაური ბაზრის შექმნის (ე. ი. სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის განვითარების) ძირითად პროცესს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება წარმოადგენს. ეს დანაწილება იმაში მდგომარეობს, რომ მიწათმოქმედებას ზედიზედ გამოეყოფა ნედლეულის დამუშავების სხვადასხვა სახე (და ამ

დამუშავების სხვადასხვა ოპერაცია) და ჩნდება მრეწველობის დამოუკიდებელი დარგები, რომლებიც თავიანთ პროდუქტებს (ახლა უკვე ს ა ქ ო ნ ე ლ ს) მიწათმოქმედების პროდუქტებზე გადაცვლიან. მიწათმოქმედება ამრიგად თვითონ იქცევა მრეწველობად (ე. ი. საქონლის წარმოებად), და იქაც ხდება სპეციალიზაციის იგივე პროცესი.

2) წინა დებულებიდან უშუალოდ გამომდინარეობს ყოველგვარი განვითარებადი სასაქონლო და მით უფრო კაპიტალისტური მეურნეობის ის კანონი, რომ ინდუსტრიული (ე. ი. არამიწათმოქმედი) მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მიწათმოქმედი მოსახლეობა, სულ უფრო და უფრო მეტი მოსახლეობა გადადის მიწათმოქმედებიდან დამუშავებელ მრეწველობაში.

3) უშუალო მწარმოებლის გამოცალკევება წარმოების საშუალებათაგან, ე. ი. მისი ექსპროპრიაცია, რაც მოასწავებს მარტივი სასაქონლო წარმოებიდან კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლას (და ამ გადასვლის აუცილებელ პირობას შეადგენს), ჰ ქ მ ნ ი ს შინაურ ბაზარს. შინაური ბაზრის ამ შ ე ქ მ ნ ი ს პროცესი ორი მხრით მიმდინარეობს: ერთი მხრით, წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი, რომელთაგანაც «თავისუფლდება» წვრილი მწარმოებელი, კაპიტალად იქცევიან მათი ახალი მფლობელის ხელში, გამოიყენებიან საქონლის საწარმოებლად და, მაშასადამე, თვითონ გადაიქცევიან საქონლად. ამრიგად, ამ წარმოების საშუალებათა მარტივი რეპროდუქციაც კი ახლა უკვე მოითხოვს მათ ყიდვას (წინათ ეს წარმოების საშუალებანი მეტწილად ხელახლა წარმოიქმნებოდა ნატურალური სახით და ნაწილობრივ შინ მზადდებოდა), ე. ი. ჰქმნის წარმოების საშუალებათა ბაზარს, ხოლო შემდეგ საქონლად იქცევა პროდუქტიც, რომელიც ახლა წარმოების ამ საშუალებებით დამზადებულა. მეორე მხრით, ს ა ა რ ს ე ბ ო ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი ამ წვრილი მწარმოებლისათვის იქცევიან ცვალებადი კაპიტალის, ე. ი. იმ ფულადი თანხის ნივთიერ ელემენტებად, რომელსაც მუშების დასაქირავებლად ხარჯავს მეწარმე (სულ ერთია — მიწათმფლობელი, მოიჯარადრე, ტყის მრეწველი,

მეფაბრიკე თუ სხვა ვინმე). ამრიგად, ეს საარსებო საშუალებანიც ახლა აგრეთვე საქონლად იქცევიან, ე. ი. მოხმარების საგნებისათვის შინაურ ბაზარს ჰქმნიან.

4) კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაცია (და, მაშასადამე, ზეღირებულების რეალიზაციაც) არ შეიძლება აიხსნას, თუ არ გავითვალისწინეთ: 1) რომ საზოგადოებრივი პროდუქტი, ისევე როგორც ერთეული პროდუქტი, ღირებულების მხრივ იყოფა სამ ნაწილად და არა ორ ნაწილად (მუდმივ კაპიტალად + ცვალებადი კაპიტალი + ზეღირებულება, და არა მარტო ცვალებად კაპიტალად + ზეღირებულება, როგორც ასწავლიდა ადამ სმიტი და მთელი მომდევნო პოლიტიკური ეკონომია მარქსამდე) და 2) რომ თავისი ნატურალური ფორმით იგი უნდა გაიყოს ორ დიდ ქვედარგად: წარმოების საშუალებებად (რაც მოიხმარება წარმოებისათვის) და მოხმარების საგნებად (რაც მოიხმარება პირადად). ამ ძირითად თეორიულ დებულებათა დადგენით მარქსმა სავსებით ახსნა კაპიტალისტურ წარმოებაში საერთოდ პროდუქტის და კერძოდ ზეღირებულების რეალიზაციის პროცესი და გამოამჟღავნა რეალიზაციის საკითხისათვის საგარეო ბაზრის გამოყენების სრული უსაფუძვლობა.

5) მარქსის რეალიზაციის თეორიამ შუქი მოჰფინა ნაციონალური მოხმარებისა და შემოსავლის საკითხსაც.

ზემოთქმულიდან თავისთავად ცხადია, რომ შინაური ბაზრის საკითხი, როგორც კაპიტალიზმის განვითარების დონის საკითხისაგან დამოუკიდებელი, ცალკე, თავისთავადი საკითხი, სრულიადაც არ არსებობს. ამიტომაც არის, რომ მარქსის თეორია არსად და არასოდეს არ აყენებს ამ საკითხს ცალკე. შინაური ბაზარი მაშინ ჩნდება, როცა ჩნდება სასაქონლო მეურნეობა; იგი ამ სასაქონლო მეურნეობის განვითარებით იქმნება, და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების წვლილადობის დონე განსაზღვრავს მისი განვითარების სიმაღლეს; იგი ვრცელდება, როცა სასაქონლო მეურნეობა პროდუქტებიდან სამუშაო ძალაზე გადაიტანება, და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სამუშაო ძალა საქონლად იქცევა, კაპიტალიზმი მოიცავს ქვეყ-

ნის მთელ წარმოებას და ვითარდება უმთავრესად წარმოების საშუალებათა ანგარიშზე, რომლებიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. «შინაურ ბაზარს» კაპიტალიზმისათვის ჰქმნის თვით განვითარებადი კაპიტალიზმი, რომელიც აღრმავებს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას და უშუალო მწარმოებლებს ჰყოფს კაპიტალისტებად და მუშებად. შინაური ბაზრის განვითარების დონე ამავე დროს ქვეყნის კაპიტალიზმის განვითარების დონესაც წარმოადგენს. შინაური ბაზრის ფარგლების საკითხის დასმა კაპიტალიზმის განვითარების დონის საკითხისაგან განცალკევებით (როგორც ამას ეკონომისტ-ნაროდნიკები შვრებიან), სწორი არ არის.

ამიტომ ის საკითხიც, თუ როგორ იქმნება რუსეთის კაპიტალიზმის შინაური ბაზარი, შემდეგი საკითხით გამოიხატება: როგორ და რა მიმართულებით ვითარდება რუსეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა მხარე? რაში მდგომარეობს ამ სხვადასხვა მხარეთა კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება?

შემდგომი თავები მიეძღვნება სწორედ იმ მონაცემების განხილვას, რომლებიც შეიცავენ ამ კითხვების პასუხს.

თავი II

გლეხობის დაშლა

ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალისტურ წარმოებაში შინაური ბაზრის შექმნის საფუძველს წარმოადგენს პროცესი წვრილ მიწათმოქმედთა დაყოფისა სოფლის მეურნეობის მეწარმეებად და მუშებად. თითქმის ყველა თხზულება, რომელიც კი ეხება რუსი გლეხობის რეფორმისშემდგომი ეპოქის ეკონომიურ მდგომარეობას, გლეხობის ეგრეთწოდებულ «დიფერენციაციაზე» მიუთითებს. მაშასადამე, ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შევისწავლოთ ამ მოვლენის ძირითადი ნიშნები და განვსაზღვროთ მისი მნიშვნელობა. შემდგომ გადმოცემაში ჩვენ ვსარგებლობთ საერობო სტატისტიკის კომლობრივ აღწერათა მონაცემებით [37].

I. საერობო სტატისტიკის მონაცემები ნოვოროსიის შესახებ

ბ-ნ ვ. პოსტნიკოვს თავის თხზულებაში: «სამხრეთ რუსეთის გლეხური მეურნეობა» (მ. 1891) [38] შეუკრებია და დაუმუშავებია საერობო სტატისტიკის მონაცემები თავრიდის, ნაწილობრივ აგრეთვე ხერსონისა და ეკატერინოსლავის გუბერნიების შესახებ. ლიტერატურაში გლეხობის დაშლის შესახებ ამ თხზულებას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს, და ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს მიერ მიღებული სისტემის მიხედვით დავალაგოთ ბ-ნ პოსტნიკოვის მიერ შეკრებილი მონაცე-

მები და ზოგჯერ შევავსოთ ისინი საერობო კრებულთა მონაცემებით. თავრიდის ერობის სტატისტიკოსები გლეხთა კომლებს ნათესი ფართობის სიდიდის მიხედვით აჯგუფებენ, რაც ძალიან მოხერხებული წესია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ ყოველი ჯგუფის მეურნეობაზე, რამდენადაც ამ მხარეში სჭარბობს მეურნეობის მარცვლეული სისტემა ექსტენსიური მიწათმოქმედების პირობებში. აი საერთო მონაცემები თავრიდელი გლეხობის სამეურნეო ჯგუფების შესახებ *.

	დნეპროვსკის მაზრაში			სამ მაზრაში					
		1 კომლზე							
გლეხთა ჯგუფები	კომლთა მთელი რიცხვის %	ნარვეს სტენ-სის პირნი	მომუშ. მამა-კაცები	კომლთა მთელი-ლი რიცხვის %	ნათესის საშუა-ლო ფართობი 1 კომლზე დე-სეტინებით	ნათესის მთელი ფართობი დე-სეტინებით			
I. არამთესველი	9	4,6	1,0	7,5	—	—	—		
II. მთესველი 5 დეს.-დე	11	4,9	1,1	11,7	3,5	34 070	2,4	12,1	40,2
III. » 5—10 »	20	5,4	1,2	21	8,0	140 426	9,7		
IV. » 10—25 »	41,8	6,3	1,4	39,2	16,4	540 093	37,6	37,6	39,2
V. » 25—50 »	15,1	8,2	1,9	16,9	34,5	494 095	34,3	50,3	20,6
VI. » 50 დეს. მეტი	3,1	10,1	2,3	3,7	75,0	230 583	16,0		
სულ	100	6,2	1,4	100	17,1	1 439 267	100		

ნათესის განაწილების უთანაბრობა მეტად დიდია: კომლთა მთელი რიცხვის $^2/_5$ (რაც შეიცავს $^3/_{10}$-მდე მოსახლეობას, ვინაიდან აქ ოჯახის შემადგენლობა საშუალოზე მცირეა) ფლობს მთელი ნათესის $^1/_8$-მდე ნაწილს და ამგვარად ეკუთვნის მცირემთესველ, ღარიბ ჯგუფს, რომელიც ვერ იკმაყოფილებს მოთხოვნილებას თავისი მიწათმოქმედების შემოსავლით. შემდეგ, საშუალო გლეხობა მოიცავს აგრეთვე კომლთა მთელი რიცხვის დაახლოებით $^2/_5$-ს, რომლებიც მიწის შემოსავლით ჰფარავენ თავიანთ საშუალო ხარჯებს (ბ-ნი პოსტ-

* ქვემოთ მოყვანილი ცნობები მეტწილად შეეხება თავრიდის გუბ. სამ ჩრდილო-მატერიკულ მაზრას: ბერდიანსკის, მელიტოპოლისა და დნეპროვსკის, ანდა მხოლოდ უკანასკნელს.

ნიკოვი ფიქრობს, რომ ოჯახის საშუალო ხარჯების დასაფარავად საჭიროა 16 — 18 დესეტინა ნათესი). დასასრულ, შეძლებული გლეხობის (კომლთა $^1/_5$-მდე და მოსახლეობის $^3/_{10}$) ხელშია მთელი ნათესის ნახევარზე მეტი, ამასთან ნათესი ფართობის ოდენობა, რომელიც 1 კომლს უწევს, ნათლად გვაჩვენებს ამ ჯგუფის მიწათმოქმედების «კომერციულ», სავაჭრო ხასიათს. სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით ამ სავაჭრო მიწათმოქმედების ოდენობის ზუსტად განსაზღვრისათვის ბ-ნი პოსტნიკოვი შემდეგ ხერხს მიმართავს: მეურნეობის მთელი ნათესი ფართობიდან იგი გამოჰყოფს მასაზრდოებელ ფართობს (რომელიც იძლევა პროდუქტს ოჯახისა და მოჯამაგირეთა შესანახად), საკვებ ფართობს (პირუტყვის გამოსაკვებად), სამეურნეო ფართობს (სათესლესათვის, კარ-მიდამოსათვის და სხვ.) და ამრიგად განსაზღვრავს იმ ს ა ბ ა ზ რ ო ან ს ა ვ ა ჭ რ ო ფართობის ოდენობას, რომლის პროდუქტი გასაყიდად არის განკუთვნილი. ირკვევა, რომ ჯგუფში, რომელსაც 5-დან 10 დესეტინამდე ნათესი აქვს, მხოლოდ 11,8 % პროცენტი ნათესი ფართობი იძლევა საბაზრო პროდუქტს, მაშინ როცა ნათესის გადიდების კვალობაზე (ჯგუფების მიხედვით) ეს პროცენტი შემდეგნაირად მატულობს: 36,5% — 52% — 61%. მაშასადამე, შეძლებული გლეხობა (2 უმაღლესი ჯგუფი) უკვე სავაჭრო მიწათმოქმედებას ეწევა და წლიურად 574 — 1 500 მან. საერთო ფულად შემოსავალს იღებს. ეს სავაჭრო მიწათმოქმედება უკვე კაპიტალისტურ მიწათმოქმედებად იქცევა, რადგან შეძლებულ გლეხთა ნათესის ფართობის ოდენობა აღემატება ოჯახის სამუშაო ნორმას (ე. ი. მიწის იმ რაოდენობას, რომლის დამუშავებაც შეუძლია ოჯახს თავისი შრომით), რაც აიძულებს მათ დ ა ი ქ ი რ ა ვ ო ნ მ უ შ ე ბ ი: თავრიდის გუბერნიის სამ ჩრდილოეთ მაზრაში შეძლებული გლეხობა, ავტორის გამოანგარიშებით, ქირაობს 14 ათასზე მეტ სოფლელ მუშას. პირიქით, ღარიბი გლეხობა «იძლევა მუშებს» (5 ათასზე მეტს), ე. ი. ჰყიდის თავის სამუშაო ძალას, რადგან მიწათმოქმედების შემოსავალი, მაგალითად, 5-დან 10 დესეტინამდე ნათესი ფართობის მქონე ჯგუფში იძლევა

მხოლოდ 30 მანეთამდე ფულად შემოსავალს თითო კომლზე*. მაშასადამე, აქ ჩვენ ვხედავთ შინაური ბაზრის შექმნის სწორედ იმ პროცესს, რომელზეც კაპიტალისტური წარმოების თეორია ამბობს: «შინაური ბაზარი» იზრდება, ერთი მხრით, იმის გამო, რომ სავაჭრო, მეწარმოებითი მიწათმოქმედების პროდუქტი საქონლად იქცევა; მეორე მხრით—იმის გამო, რომ საქონლად იქცევა სამუშაო ძალა, რომელსაც შეუძლო გლეხობა ჰყიდის.

ამ მოვლენას უფრო ახლოს რომ გავეცნოთ, გავითვალისწინოთ გლეხობის თვითეული ჯგუფის მდგომარეობა. დავიწყოთ უმაღლესი ჯგუფით. აი მონაცემები ამ ჯგუფის მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ:

	თავრიდის გუბ. დნეპროვსკის მაზრა სახნავი დესეტინობით 1 კომლზე			
კომლთა ჯგუფები	სანადელო	ნაყიდი	იჯარით აღებული	სულ
I. არამთესველი	6,4	0,9	0,1	7,4
II. მთესველი 5 დეს.-დე	5,5	0,04	0,6	6,1
III. » 5—10 »	8,7	0,05	1,6	10,3
IV. » 10—25 »	12,5	0,6	5,8	18,9
V. » 25—50 »	16,6	2,3	17,4	36,3
VI. » 50 დესეტინაზე მეტი	17,4	30,0	44,0	91,4
საშუალოდ	11,2	1,7	7,0	19,9

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ შეძლებული გლეხობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი უაღრესად უზრუნველყოფილია სანადელო მიწით, თავს უყრის დიდძალ ნაყიდ და საიჯარო მიწას და ამგვარად იქცევა წვრილ მიწათმფლობელად და ფერ-

* ბ-ნი პოსტნიკოვი სამართლიანად შენიშნავს, რომ სინამდვილეში ჯგუფებს შორის განსხვავება მიწისაგან მიღებულ ფულადი შემოსავლის სიდიდის მიხედვით გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან გამოანგარიშებაში მიღებულია 1) თანაბარი მოსავლიანობა და 2) გასაყიდი პურის თანაბარი ფასი. ნამდვილად კი შეძლებულ გლეხებს უკეთესი მოსავალი აქვთ და უფრო ხელსაყრელად ჰყიდიან პურს.

მერად*. 17 — 44 დესეტინის იჯარაზე იხარჯება წლიურად, ადგილობრივი ფასების მიხედვით, 70 — 160 მანეთამდე. ცხადია, რომ ჩვენ აქ უკვე საქმე გვაქვს კომერციულ ოპერაციასთან: მიწა იქცევა საქონლად, «ფულის მოსაგებ მანქანად».

შემდეგ ავიღოთ მონაცემები ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის შესახებ:

		თავრიდის გუბ. სამ მაზრაში				**დნეპროვ. მაზ.**	
		1 კომლზე მოდის პირუტყვი			% კომლთა, რომელთაც მუშა პირუტყვი არა ჰყავთ	1 კომლზე მოდის ინვენტარი**	
	კ ო მ ლ თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი	მუშა პირუტყვი	სხვა	სულ		ტვირთსაზიდავი	სახნავი
I.	არამთესველი	0,3	0,8	1,1	80,5	—	—
II.	მთესველი 5 დეს.-დე	1,0	1,4	2,4	48,3	—	—
III.	» 5—10 »	1,9	2,3	4,2	12,5	0,8	0,5
IV.	» 10—25 »	3,2	4,1	7,3	1,4	1,0	1,0
V.	» 25—50 »	5,8	8,1	13,9	0,1	1,7	1,5
VI.	» 50 დეს. მეტი	10,5	19,5	30,0	0,03	2,7	2,4
	ს ა შ უ ა ლ ო დ	3,1	4,5	7,6	15,0		

შეძლებული გლეხობა ბევრად უფრო უზრუნველყოფილია ინვენტარით, ვიდრე ღარიბი და საშუალო გლეხობაც კი. საკმარისია თვალი გადაავლოთ ამ ცხრილს, რომ გაიგოთ სრული ფიქციურობა იმ «საშუალო» ციფრებისა, რომელთა გამოყენება ასე უყვართ ჩვენში, როცა «გლეხობაზე» ლაპარაკობენ. გლეხური ბურჟუაზიის სავაჭრო მიწათმოქმედებას აქ ემატება სავაჭრო მესაქონლეობაც, სახელდობრ: უხეშმატყლიანი ცხვრის მოშენება. რაც შეეხება მკვდარ ინვენტარს, მონაცემებს მოვიყვანთ კიდევ საერობო-სტატისტიკური კრებუ-

* შევნიშნავთ, რომ არამთესველთა ხელში ნაყიდი მიწის შედარებით დიდი რაოდენობის თავმოყრა იმით აიხსნება, რომ ამ ჯგუფში მოქცეული არიან მედუქნეები, საწარმოო დაწესებულებათა პატრონები და სხვ. ამგვარი «გლეხების» არევა მიწათმოქმედებთან საერობო სტატისტიკის მონაცემთა ჩვეულებრივ ნაკლს შეადგენს. ჩვენ ქვემოთ კიდევ ვილაპარაკებთ ამ ნაკლზე.

** ტვირთსაზიდავი ინვენტარი — ბრიჩკა, ფორანი, ფურგონი და სხვა. სახნავი ინვენტარი — გუთანი, ბუკერი (სწრაფმხვნელი) და სხვ.

ლებიდან გაუმჯობესებული იარაღების შესახებ*. სამკელი და სათიბი მანქანების მთელი რაოდენობიდან (3 061) — 2 841, ე. ი. 92,8%, არის გლეხური ბურჟუაზიის (კომლთა მთელი რაოდენობის 1/5) ხელში.

სავსებით ბუნებრივია, რომ შეძლებულ გლეხობას მიწათმოქმედების ტექნიკაც საშუალოზე გაცილებით უფრო მაღალი აქვს (მეურნეობის უფრო მეტი ოდენობა, უფრო ბევრი ინვენტარი, მეტი თავისუფალი ფული და სხვ.), სახელდობრ: შეძლებული გლეხები «თესენ უფრო ჩქარა, უკეთესად სარგებლობენ ხელსაყრელი ამინდით, უფრო ტენიან მიწაში ჰყრიან თესლს», თავის დროზე იღებენ პურს; გამოზიდვის ერთდროულად ლეწავენ მას და სხვ. ბუნებრივია აგრეთვე, რომ მიწათმოქმედების პროდუქტთა წარმოების ხარჯი კლებულობს (პროდუქტის ერთეულზე) იმდენად, რამდენადაც მატულობს მეურნეობის ოდენობა. ბ-ნი პოსტნიკოვი ამ დებულებას ძალიან დაწვრილებით ამტკიცებს, ამასთან სარგებლობს შემდეგი გაანგარიშებით: ის განსაზღვრავს მომუშავეების (დაქირავებულებთან ერთად), მუშა პირუტყვის, იარაღების და სხვ. რაოდენობას 100 დესეტინა ნაკვეთ მიწაზე გლეხობის სხვადასხვა ჯგუფში. ირკვევა, რომ ეს რაოდენობა კლებულობს იმდენად, რამდენადაც მატულობს მეურნეობა. მაგალითად, იმათ, ვინც თესავს 5 დესეტინამდე, 100 დესეტინა ნაკვეთ მიწაზე უწევს 28 მომუშავე, 28 მუშა პირუტყვი, 4,7 გუთანი და ბუკერი, 10 ბრიჩკა, ხოლო იმათ, ვინც თესავს 50 დესეტინაზე მეტს — 7 მომუშავე, 14 მუშა პირუტყვი, 3,8 გუთანი და ბუკერი, 4,3 ბრიჩკა. (ჩვენ ვტოვებთ უფრო დეტალურ მონაცემებს ყველა ჯგუფის შესახებ, და ვისაც აინტერესებს დეტალები, ვურჩევთ მიმართოს ბ-ნ პოსტნიკოვის წიგნს). ავტორის საერთო დასკვნა ასეთია: «მეურნეობისა და სახნავის გადიდებასთან ერთად გლეხთა ხარჯი მუშახელის,

* «მელიტოპოლის მაზრის სტატ. ცნობების კრებული». სიმფეროპოლი, 1835 წ. (ტ. I. «თავრიდის გუბ. სტატ. ცნობების კრებული»)[89], — «დნეპროვსკის მაზრის სტატ. ცნობების კრებული», ტ. II. სიმფ. 1886 წ.

მოჯამაგირეებისა და პირუტყვის შესანახად, — ეს უმთავრესი ხარჯი სოფლის მეურნეობაში, — პროგრესულად კლებულობს, და ბევრისმთესველი ჯგუფები ერთ დესეტინა ნათესზე თითქმის ორჯერ უფრო ნაკლებს ხარჯავენ, ვიდრე მცირემთესველი ჯგუფები» (გვ. 117 დასახ. თხზულებისა). მსხვილ გლეხურ მეურნეობათა მეტი პროდუქტულობის და, მაშასადამე, მეტი სიმყარის კანონს ბ-ნი პოსტნიკოვი სრულიად სამართლიანად აკუთვნებს დიდ მნიშვნელობას და ამტკიცებს მას ძალიან დაწვრილებითი ცნობებით არა მარტო ნოვოროსიის, არამედ რუსეთის ცენტრალური გუბერნიების შესახებაც*. რაც უფრო მეტად იჭრება სასაქონლო წარმოება მიწათმოქმედებაში, რაც უფრო ძლიერდება, მაშასადამე, კონკურენცია მიწათმოქმედთა შორის, ბრძოლა მიწისთვის, ბრძოლა სამეურნეო დამოუკიდებლობისათვის, — მით უფრო მეტი სიძლიერით უნდა იჩინოს თავი ამ კანონმა, რომელიც იწვევს

---

* «საერობო სტატისტიკა უდავო სიცხადით ააშკარავებს, რომ რაც უფრო დიდია გლეხური მეურნეობა, მით უფრო ნაკლები ინვენტარი, მუშახელი და მუშა პირუტყვი მოდის ამ სახნავ მიწაზე» (გვ. 162 დასახ. თხზ.).

საინტერესოა აღვნიშნოთ, თუ როგორ დაეტყო ეს კანონი ბ-ნ ვ. ვ. - ს მსჯელობას. ზემოთ ციტირებულ სტატიაში («ვესტნ. ევრ.», 1884, № 7) მას ასეთი დაპირისპირება მოჰყავს: ცენტრალური შავმიწიანი ზოლის ფარგლებში გლეხის ერთ ცხენზე მოდის 5 — 7 — 8 დეს. სახნავი, მაშინ როდესაც «სამმინდვრიანი თესლბრუნვის წესების მიხედვით» უნდა მოდიოდეს 7 — 10 დეს. (ბატალინის «კალენდარი»). «მაშასადამე, რუსეთის ამ ოლქის მოსახლეობის ერთი ნაწილის უცხენობა რამდენადმე უნდა შევაფასოთ როგორც ნორმალური თანაფარდობის აღდგენა მუშა პირუტყვის რაოდენობასა და დასამუშავებელი მიწის ფართობს შორის» (გვ. 346 დასახ. სტატიისა). მაშასადამე, გლეხობის გაჩანაგება იწვევს სოფლის მეურნეობის პროგრესს. ბ-ნ ვ. ვ.- ს ყურადღება რომ მიექცია ამ პროცესის არა მარტო აგრონომიული, არამედ საზოგადოებრივ-სამეურნეო მხარისთვისაც, მას შეეძლო დაენახა, რომ ეს არის კაპიტალისტური მიწათმოქმედების პროგრესი, რადგან მუშა პირუტყვსა და სახნავს შორის «ნორმალური თანაფარდობის აღდგენა» მისაწვდომია ან მემამულეთათვის, რომელნიც იძენენ თავის ინვენტარს, ან მსხვილმთესველი გლეხებისათვის, ე. ი. გლეხური ბურჟუაზიისათვის.

საშუალო და ღარიბი გლეხობის გამოდევნას გლეხური ბურჟუაზიის მიერ. ოღონდ საჭიროა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში ტექნიკის პროგრესი სხვადასხვანაირად გამოიხატება იმისდა მიხედვით, თუ როგორია სოფლის მეურნეობის სისტემა, როგორია მემინდვრეობის სისტემა. თუ მეურნეობის ხორბლეული სისტემისა და ექსტენსიური მიწათმოქმედების დროს ეს პროგრესი შეიძლება გამოიხატოს ნათესის უბრალო გაფართოებით და ნათესი ფართობის ერთეულზე მუშების რიცხვის, პირუტყვის და სხვ. რაოდენობის შემცირებით, მეურნეობის მეცხოველეობის ან ტექნიკური სისტემის დროს, ინტენსიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის დროს, იგივე პროგრესი შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, ძირხვენა მცენარეთა თესვით, რაც ნათესი ფართობის ერთეულზე მუშების მეტ რაოდენობას მოითხოვს, ან მეწველი პირუტყვის გაჩენით, საკვები ბალახების თესვით და სხვ. და სხვ.

გლეხობის უმაღლესი ჯგუფის დასახასიათებლად საჭიროა დავუმატოთ კიდევ დაქირავებული შრომის მნიშვნელოვნად გამოყენება. აი მონაცემები თავრიდის გუბერნიის სამი მაზრის შესახებ:

კომლთა ჯგუფები				მოჯამაგირიან მეურნეობათა პროცენტი	თვითეული ჯგუფის ნათესის წილი (%-ობით)	
I.	არამთესველი			3,8	—	
II.	მთესველი	5 დეს.-დე		2,5	2	
III.	»	5—10	»	2,6	10	
IV.	»	10—25	»	8,7	38	
V.	»	25—50	»	34,7	34	50
VI.	»	50 დესეტ.	მეტი	64,1	16	
			სულ	12,9	100	

ბ-ნი ვ. ვ. ხსენებულ სტატიაში ამ საკითხზე შემდეგნაირად მსჯელობდა: ის იღებდა მოჯამაგირიან მეურნეობათა რიცხვის პროცენტულ თანაფარდობას გლეხურ მეურნეობათა მთელ რიცხვთან და ასკვნიდა: «იმ გლეხთა რიცხვი, რომელნიც მიწის დასამუშავებლად მიმართავენ დაქირავებულ შრომას, ხალხის საერთო მასასთან შედარებით, სრულებით მცი-

რეა: 2 — 3, maximum* 5 მეურნე 100-დან, — აი ყველა წარმომადგენელი გლეხური კაპიტალიზმისა... ეს» (მოჯამაგირიანი გლეხური მეურნეობა რუსეთში) «თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების პირობებში მტკიცედ დამკვიდრებული სისტემა კი არ არის, არამედ შემთხვევითობაა, როგორიც იყო 100 და 200 წლის წინათაც» («ვესტნ. ევრ.», 1884, № 7, გვ. 332). რა აზრი აქვს მოჯამაგირიან მეურნეობათა რიცხვის ასეთ დაპირდაპირებას «გლეხურ» მეურნეობათა მთელ რიცხვთან, როდესაც ამ უკანასკნელ რიცხვში მოჯამაგირეთა მეურნეობებიც შედის? ამნაირი საშუალებით ხომ შეიძლება კაპიტალიზმის უარყოფა რუსეთის მრეწველობაშიც: საკმარისი იქნებოდა აგვეღო დაქირავებული მუშების მყოლ მესარეწეთა ოჯახების (ე. ი. დიდ და პატარა მეფაბრიკეთა ოჯახების) პროცენტი რუსეთის მესარეწე ოჯახების მთელ რიცხვთან შედარებით; მივიღებდით «სრულებით მცირე» თანაფარდობას «ხალხის მასასთან». გაცილებით უფრო სწორია დავუპირისპიროთ მოჯამაგირიან მეურნეობათა რიცხვი მხოლოდ ნამდვილად დამოუკიდებელ მეურნეობათა რიცხვს, ე. ი. ისეთ მეურნეობათა რიცხვს, რომელნიც მარტო მიწათმოქმედებით ცხოვრობენ და თავის სამუშაო ძალას არ ჰყიდიან. შემდეგ, ბ-ნ ვ. ვ.-ს მხედველობიდან გამორჩენია ერთი წვრილმანი: სახელდობრ — მოჯამაგირიანი გლეხური მეურნეობანი ეკუთვნიან უმსხვილეს მეურნეობათა რიცხვს: «საერთოდ და საშუალოდ» «მცირე» პროცენტი მოჯამაგირიანი მეურნეობებისა თურმე ძალიან დიდი გამოდის (34 — 64%) იმ შეძლებული გლეხობის ჯგუფში, რომლის ხელშიც არის მთელი წარმოების ნახევარზე მეტი და რომელსაც მოჰყავს დიდძალი მარცვლეული გასაყიდად. აქედან შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმ მოსაზრების შეუსაბამობაზე, თითქოს მოჯამაგირიანი მეურნეობა «შემთხვევითი მოვლენაა», რომელიც 100 — 200 წლის წინათაც არსებობდა! მესამეც, მხოლოდ მიწათმოქმედების ნამდვილ თავისებურებათა უგულე-

* — სულ დიდი. რ ე დ.

ბელყოფის დროს შეიძლება, რომ «გლეხურ კაპიტალიზმზე» მსჯელობისათვის მხედველობაში მივიღოთ მარტო მოჯამაგირეები, ე. ი. მუდმივი მუშები, და გვერდი ავუაროთ დღიურ მუშებს. ცნობილია, რომ დღიური მუშების დაქირავებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში*.

გადავდივართ დაბალ ჯგუფზე. ეს ჯგუფი შესდგება არამთესველ და მცირემთესველ მეურნეთაგან; ისინი «ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან თავიანთი სამეურნეო მდგომარეობით... როგორც ერთნი, ისე მეორენი ან მოჯამაგირეებად მსახურობენ თანასოფლელებთან, ანდა გარეშე, უმეტეს ნაწილად იმავე სამიწათმოქმედო სამუშაოს ეწევიან» (ხსენებული თხზულება, გვ. 134), ე. ი. დგებიან სოფლის პროლეტარიატის რიგებში. შევნიშნავთ, რომ, მაგალითად, დნეპროვსკის მაზრაში დაბალ ჯგუფს შეადგენს კომლთა 40%, ხოლო სახნავ იარაღებს მოკლებულნი შეადგენენ კომლთა მთელი რიცხვის 39%-ს. სოფლის პროლეტარიატი თავისი სამუშაო ძალის გაყიდვასთან ერთად შემოსავალს იღებს თავისი სანადელო მიწის იჯარით გაცემით:

კომლთა ჯგუფები		დნეპროვსკის მაზრა პროცენტები მეურნეებისა, რომლებიც იჯარით აძლევენ სანადელო მიწას	 იჯარით გაცემული სანადელო მიწისა
I.	არამთესველი	80	97,1
II.	მთესველი 5 დეს.-დე	30	38,4
III.	» 5—10 »	23	17,2
IV.	» 10—25 »	16	8,1
V.	» 25—50 »	7	2,9
VI.	» 50 დესეტ. მეტი	7	13,8
	მთელ მაზრაში	25,7	14,9

* ინგლისი სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის კლასიკური ქვეყანაა. და ამ ქვეყანაში ფერმერების 40,8%-ს დაქირავებული მუშები არა ჰყავს; ფერმერთა 68,1%-ს ჰყავს არა უმეტეს 2 მუშისა; ფერმერთა 82%-ს ჰყავს არა უმეტეს 4 მუშისა (იანსონი. «შედარებითი სტატისტიკა», ტ. II, გვ.

სულ თავრიდის გუბერნიის სამ მაზრაში იჯარით იცემოდა (1884 — 1886 წწ.) გლეხთა მთელი სახნავი მიწის 25 %, ამასთან აქ არ არის მითვლილი მიწა, რომელიც გაცემულია არა გლეხებზე, არამედ «რაზნოჩინეცებზე». სულ ამ სამ მაზრაში მიწას იჯარით სცემს მოსახლეობის $^1/_3$-მდე, ამასთან სოფლის პროლეტარიატის ნადელებს უმთავრესად გლეხური ბურჟუაზია იღებს იჯარით. აი მონაცემები ამის შესახებ.

| | | |

თან». პირიქით, გლეხური ბურჟუაზიის ხელში იყრის თავს ძაფები როგორც სავაჭრო კაპიტალისა (ფულის სესხად გაცემა მიწის დაგირავებით, სხვადასხვა პროდუქტის შესყიდვა და სხვ.), ისე სამრეწველო კაპიტალისა (სავაჭრო მიწათმოქმედება მუშების დაქირავების საშუალებით და სხვ.). გარეშემო არსებულ პირობებზე, აზიურობის მეტად თუ ნაკლებად გამოდევნასა და ჩვენს სოფელში კულტურის გავრცელებაზეა დამოკიდებული, თუ კაპიტალის რომელი ამ ფორმათაგანი განვითარდება მეორის ანგარიშზე.

ვნახოთ, ბოლოს, თუ რა მდგომარეობაშია საშუალო ჯგუფი (კომლზე 10—25 დეს. ნათესი, საშუალოდ 16,4 დეს.). მისი მდგომარეობა გარდამავალია: მიწათმოქმედების ფულადი შემოსავალი (191 მან.) რამდენადმე ნაკლებია იმ თანხასთან შედარებით, რომელსაც წლიურად ხარჯავს საშუალო თავრიდელი გლეხი (200—250 მან.). მუშა პირუტყვი აქ თითო კომლზე მოდის 3,2 სული, მაშინ როცა მთელი «გამწევი ძალისათვის» საჭიროა 4 სული. ამიტომ საშუალო გლეხის მეურნეობა მერყევ მდგომარეობაშია, და თავისი მიწის დასამუშავებლად ის იძულებულია მიმართოს ნადს («супряга»)*.

მიწის დამუშავება ნადით, რასაკვირველია, უფრო ნაკლებ პროდუქტულია (დროს ხარჯვა გადასვლა-გადმოსვლაზე, ცხენების ნაკლებობა და სხვ.), ასე რომ, მაგალითად, ერთ სოფელში ბ-ნ პოსტნიკოვს აცნობეს, რომ «მენადეები დღეში ხშირად ამუშავებენ ბუკერით არა უმეტეს ერთი დესეტინისა, ე. ი. ნორმაზე ორჯერ უფრო ნაკლებს»**. თუ ამას დავუ-

* მელიტოპოლის მაზრაში ამ ჯგუფის 13 789 კომლიდან მიწას თვითონ ამუშავებს მხოლოდ 4 218 კომლი, 9 201 კომლი კი ამუშავებს «ნადით». დნეპროვსკის მაზრაში 8 234 კომლიდან მიწას თვითონ ამუშავებს 4 029, ხოლო 3 835 ამუშავებს «ნადით». იხ. საერობო-სტატისტიკური კრებულები მელიტოპოლის მაზრისა (გვ. ბ. 195) და დნეპროვსკის მაზრისა (გვ.ბ. 123).

** ბ-ნი ვ. ვ. აღნიშნულ სტატიაში ბევრს ლაპარაკობს «ნადზე», როგორც «კოოპერაციის პრინციპზე» და სხვ. მართლაც, ეს ძალიან ადვილი საქმეა: მიჩქმალო ის ფაქტი, რომ გლეხობა იყოფა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფებად, რომ «ნადი» არის კოოპერაცია დაქვეითების გზაზე დამდგარი მეურნეობებისა, რომლებსაც ბოლოს უღებს სოფლის

მატებთ, რომ საშუალო ჯგუფში კომლთა $^1/_5$-მდე მოკლებულია სახნავ იარაღებს, რომ ეს ჯგუფი სამუშაო ძალას უფრო იძლევა, ვიდრე ქირაობს (ბ-ნ პოსტნიკოვის გამოანგარიშებით), — მაშინ ჩვენთვის ცხადი შეიქნება ამ ჯგუფის მერყეევი, გლეხურ ბურჟუაზიასა და სოფლის პროლეტარიატს შუა გარდამავალი ხასიათი. მოგვყავს რამდენადმე უფრო დაწვრილებითი მონაცემები ამ საშუალო ჯგუფის გამოდეევნის შესახებ.

თავრიდის გუბ. დნეპროვსკის მაზრა*

მეურნეთა ჯგუფები	% ჯამის მიმართ		სანადელო მიწა		ნაყიდი მიწა		იჯარით აღებული მიწა		იჯარით გაცემული მიწა		ჯგუფის მთელი მიწათსარგ.		სათესი ფართობი	
	კომლთა	ორივე სქესის პირთა	დესეტ.	%	დესეტ.	%	დესეტ.	%	დესეტ.	%	დესეტ.	%	დესეტ.	%
ღარიბი	39,9	32,6	56445	25,5	2003	6	7839	6	21551	65,5	44736	12,4	38439	11
საშ.	41,7	42,2	102794	46,5	5376	16	48398	35	8311	25,3	148257	41,2	137344	43
შეძლ.	18,4	25,2	61844	28	26531	78	81646	59	3039	9,2	166982	46,4	150614	65
სულ მაზრაში	100	100	221083	100	33910	100	137883	100	32901	100	359975	100	326397	100

ამრიგად, სანადელო მიწის განაწილება ყველაზე «გათანაბრებითია», თუმცა აქაც შესამჩნევია უმაღლესი ჯგუფების მიერ დაბალი ჯგუფის შევიწროება. მაგრამ საქმე რადიკალურად იცვლება, როცა გადავდივართ ამ *სავალდებულო* მიწათმფლობელობიდან *თავისუფალზე*, ე. ი. ნაყიდ და იჯარით აღებულ მიწაზე. ხდება მისი უზარმაზარი კონცენტ-

ბურჟუაზია, და შემდეგ ილაპარაკო «საზოგადოდ» «კოოპერაციის პრინციპზე», ალბათ, სოფლის პროლეტარიატსა და სოფლის ბურჟუაზიას შორის კოოპერაციაზე!

* ცნობები აღებულია საერობო-სტატისტიკური კრებულიდან. ცნობები შეეხება მთელ მაზრას იმ სოფლებიანად, რომლებიც თემებზე არ არიან მიწერილნი. ცნობები სვეტისა: «ჯგუფის მთელი მიწათსარგებლობა» ჩემი გამოანგარიშებულია; შეერთებულია სანადელო, იჯარით აღებული და ნაყიდი მიწის რაოდენობა და გამოკლებულია იჯარით გაცემული მიწა.

რაცია, და ამის გამო გლეხთა მთელი მიწათსარგებლობის განაწილება სრულებითაც არა ჰგავს სანადელო მიწის განაწილებას: საშუალო ჯგუფი უკან იწევს მეორე ადგილზე (46 % ნადელი — 41 % მიწათსარგებლობა), შეძლებული ჯგუფი მეტად მნიშვნელოვნად აფართოებს თავის მიწათმფლობელობას (28 % ნადელი — 46 % მიწათსარგებლობა), ღარიბი ჯგუფი კი იდევნება მიწათმოქმედთა რიცხვიდან (25 % ნადელი — 12 % მიწათსარგებლობა).

მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს საინტერესო მოვლენას, რომელსაც ჩვენ კიდევ შევხვდებით, სახელდობრ: სანადელო მიწის როლის შემცირებას გლეხთა მეურნეობაში. დაბალ ჯგუფში ეს ხდება მიწის იჯარით გაცემის გამო, ხოლო უმაღლესში — იმის გამო, რომ საერთო სამეურნეო ფართობში დიდად სჭარბობს ნაყიდი და იჯარით აღებული მიწა. რეფორმამდელი წყობილების ნაშთებს (გლეხების მიმაგრებას მიწაზე და გათანაბრებითს ფისკალურ მიწათმფლობელობას) საბოლოოდ სპობს მიწათმოქმედებაში შეჭრილი კაპიტალიზმი.

რაც შეეხება კერძოდ იჯარას, მოყვანილი მასალები საშუალებას გვაძლევენ განვიხილოთ ერთი ძალიან გავრცელებული შეცდომა, რომელსაც ვხვდებით ეკონომისტ-ნაროდნიკების მსჯელობაში ამ საკითხზე. ავიღოთ ბ-ნ ვ. ვ.-ის მსჯელობა. ციტირებულ სტატიაში ის პირდაპირ სვამდა საკითხს, თუ რა დამოკიდებულება აქვს იჯარას გლეხობის დაშლასთან. «ხელს უწყობს თუ არა იჯარა გლეხურ მეურნეობათა დაშლას წვრილ და მსხვილ მეურნეობებად და საშუალო, ტიპიური ჯგუფის მოსპობას?» («ვესტნ. ევრ.», 1. c., გვ. 339 — 340). ეს საკითხი ბ-ნმა ვ. ვ. უარყოფითად გადაჭრა. აი მისი მოსაზრებანი: 1) «იმ პირთა დიდი პროცენტი, რომელნიც მიმართავენ იჯარას». მაგალითები: 38 — 68 %; 40 — 70 %; 30 — 66 %; 50 — 60 % სხვადასხვა გუბერნიის სხვადასხვა მაზრაში. — 2) დიდი არ არის თითო კომლზე იჯარით აღებული მიწის ნაკვეთები: 3 — 5 დეს. ტამბოვის სტატისტიკის ცნობებით. — 3) მცირე ნადელის მქონე გლეხები უფრო მეტს იღებენ იჯარით, ვიდრე მეტი ნადელის მქონენი.

მკითხველმა რომ ნათლად შეაფასოს ასეთ მოსაზრებათა არა თუ საფუძვლიანობა, არამედ უბრალო გამოსადეგობაც კი, მოვიყვანთ შესაფერ მონაცემებს დნეპროვსკის მაზრის შესახებ *.

	მოიჯარადრე კომლთა %	დესეტინა სახნავი 1 მოიჯარადრე კომლზე	1 დესეტინის ფასი მანეთობით
მთესველი 5 დეს.-დე	25	2,4	15,25
» 5—10 »	42	3,9	12,00
» 10—25 »	69	8,5	4,75
» 25—50 »	88	20,0	3,75
50 დესეტ. მეტი	91	48,6	3,55
მ თ ე ლ მ ა ზ რ ა შ ი	56,2	12,4	4,23

საკითხავია, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ აქ «საშუალო» ციფრებს? ნუთუ ის ფაქტი, რომ მოიჯარადრე «ბევრია» — 56 %, — სპობს მდიდრების მიერ იჯარის კონცენტრაციას? განა სასაცილო არ არის აიღო იჯარის «საშუალო» ოდენობა [12 დეს. მოიჯარადრე კომლზე. ხშირად იღებენ ხოლმე არა მოიჯარადრე კომლზე, არამედ არსებულ კომლზეც კი. ასე იქცევა, მაგ., ბ-ნი კარიშევი თავის თხზულებაში «გლეხთა არასანადელო იჯარები» (დერპტი, 1892; «საერობო სტატისტიკის შედეგების» მეორე ტომი)], — და ამრიგად შეაერთო გლეხები, რომელთაგან ერთი იღებს 2 დ ე ს ე ტ ი ნ ა ს განსაცვიფრებელ ფასად (15 მან.), ცხადია, უკიდურესი გაჭირვების გამო, გამაჩანაგებელ პირობებში, მეორე კი იღებს 48 დ ე ს ე ტ ი ნ ა ს, თავისი მიწის საკმაო რაოდენობის გადამეტებით, ბ ი თ უ მ ა დ «ყიდულობს» მიწას გაცილებით უფრო იაფად, 3,55 მანეთად დესეტინას? არანაკლებ უშინაარსოა მე-3 მოსაზრებაც: ბ-ნმა ვ. ვ. თვითონ იზრუნა გაებათილებინა იგი, როცა აღიარა, რომ ცნობები, რომლებიც ეხება «მთელ თემებს» (ნადელის მიხედვით გლეხების განაწილების

* სავსებით ანალოგიური ცნობებია მელიტოპოლისა და ბერდიანსკის მაზრების შესახებაც.

დროს), «არ იძლევიან სწორ წარმოდგენას იმაზე, თუ რა ხდება თვით თემში» (დასახელებული სტატია, გვ. 342)*.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გლეხური ბურჟუაზიის ხელში იჯარის კონცენტრაცია განისაზღვრება ერთპიროვნული იჯარით და არ ვრცელდება საზოგადოებრივ, სათემო იჯარაზე. არაფერი ამის მსგავსი. იჯარით აღებული მიწა ნაწილდება ყოველთვის «ფულის მიხედვით», და თანაფარდობა გლეხობის ჯგუფთა შორის სრულებითაც არ იცვლება სათემო იჯარის დროს. ამიტომ მსჯელობა, მაგალითად, ბ-ნ კარიშევისა, თითქოს ერთპიროვნულ იჯარასთან სათემო იჯარის დამოკიდებულებაში თავს იჩენდეს «ორი საწყისის ბრძოლა (!?) — სათემოსი და პირადულისა» (გვ. 159, l. c.), თითქოს სათემო იჯარის «დამახასიათებელია შრომითი საწყისი და პრინციპი აღებული ნაკვეთის თანაბარი განაწილებისა მეთემეთა შორის» (230, ibid.),— ეს მსჯელობა მთლიანად ნაროდნიკულ ცრურწმენათა სფეროს ეკუთვნის. მიუ-

* ბ-ნ პოსტნიკოვს მოყავს ერობის სტატისტიკოსთა ამგვარივე შეცდომის საინტერესო მაგალითი. ის აღნიშნავს შეძლებულ გლეხთა კომერციული მეურნეობის ფაქტს, მათ მიერ მიწის მოთხოვნას და მიუთითებს, რომ «ერობის სტატისტიკოსები გლეხურ ცხოვრებაში ასეთი მოვლენების გაჩენას, ალბათ, უკანონო რამედ სთვლიან, ცდილობენ მიჩქმალონ ისინი» და დაამტკიცონ, რომ იჯარას განსაზღვრავს არა მდიდრების კონკურენცია, არამედ გლეხების მცირემიწიანობა. «თავრიდის გუბ. სამახსოვრო წიგნაკის» (1889) შემდგენელს, ბ-ნ ვერნერს, ამის დასამტკიცებლად, ნადელის სიდიდის მიხედვით დაუჯგუფებია მთელი თავრიდის გუბ. გლეხები, რისთვისაც აუღია 1 — 2 მომუშავისა და 2—3 მუშა პირუტყვის მყოლ გლეხთა ჯგუფი. აღმოჩნდა, რომ ამ ჯგუფის ფარგლებში, ნადელის ოდენობის გაფართოებასთან ერთად კლებულობს მოიჯარადრე კომლებისა და იჯარით აღებული მიწის რაოდენობა. ცხადია, ამგვარი წესი არაფერს არ ამტკიცებს, რადგან აღებულია მხოლოდ ისეთი გლეხები, რომლებსაც მუშა პირუტყვი თანაბარი რაოდენობით ჰყავთ, და გამოტოვებულია სწორედ უკიდურესი ჯგუფები. სავსებით ბუნებრივია, რომ თუ მუშა პირუტყვის რაოდენობა თანაბარია, თანაბარი უნდა იყოს დასამუშავებელი მიწის ოდენობაც, და, მაშასადამე, რაც უფრო ნაკლებია ნადელი, მით უფრო მეტია იჯარა. საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ნაწილდება იჯარა კომლთა შორის მუშა პირუტყვის, ინვენტარისა და სხვა რათანაბარი რაოდენობის დროს.

ხედავად იმისა, რომ ბ-ნ კარიშევის ამოცანას შეადგენდა «საერობო სტატისტიკის შეჯამება», მან გულმოდგინედ აუარა გვერდი მთელ უხვ საერობო-სტატისტიკურ მასალას შეძლებული გლეხობის მცირე ჯგუფების ხელში იჯარის კონცენტრაციის შესახებ. მოვიყვანოთ მაგალითი. თავრიდის გუბერნიის სამ დასახელებულ მაზრაში გლეხთა საზოგადოებების მიერ ხაზინისაგან იჯარით აღებული მიწა ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

	მოიჯარადრე კომლების რიცხვი	რამდენი დასეტინაა	% ჯამის მიმართ		რამდენი დესეტ. მოდის ერთ მოიჯ. კომლზე
მთესველი 5 დეს.-დე	83	511	1	4	6,1
» 5—10 »	444	1 427	3		3,2
» 10—25 »	1 732	8 711	20		5,0
» 25—50 »	1 245	13 375	30	76	10,7
» 50 დესეტ. მეტი	632	20 283	46		32,1
სულ	4 136	44 307	100		10,7

მცირედი ილუსტრაცია «შრომის საწყისისა» და «თანაბარი განაწილების პრინციპისა»!

ასეთია საერობო სტატისტიკის მონაცემები სამხრეთ რუსეთის გლეხური მეურნეობის შესახებ. გლეხობის სრული დაშლა, სოფლად გლეხური ბურჟუაზიის სრული ბატონობა უეჭველი ხდება ამ მონაცემების მიხედვით *. ამიტომ ძალიან საინტერესოა, როგორ უყურებენ ამ მონაცემებს ბბ. ვ. ვ. და ნ.—ონი, მით უმეტეს, რომ ორივე მწერალი წინათ საჭიროდ სცნობდა დასმული ყოფილიყო გლეხობის დაშლის საკითხი (ბ-ნი ვ. ვ. დასახელებულ სტატიაში — 1884 წელს,

* ჩვეულებრივ ამბობენ, რომ მონაცემები ნოვოროსიის შესახებ ზოგადი დასკვნების გამოყვანის საშუალებას არ იძლევიან ამ კუთხის თავისებურებათა გამოო. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ მიწათმოქმედი გლეხობის დაშლა აქ უფრო ძლიერია, ვიდრე დანარჩენ რუსეთში, მაგრამ შემდეგიდან დავინახავთ, რომ ნოვოროსიის თავისებურება არც ისე დიდია, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ.

ბ-ნი ნ. —ონი «სლოვოში» — 1880 წ., სადაც შენიშნავდნენ, რომ თვით თემში ხდება საყურადღებო მოვლენა: «არამეურნე» გლეხები თავს ანებებენ მიწას, ხოლო «მეურნე» გლეხები საუკეთესო მიწას ეპატრონებიანო; იხ. «ნარკვევები», გვ. 71). საჭიროა აღინიშნოს, რომ ბ-ნ პოსტნიკოვის თხზულებას ორმაგი ხასიათი აქვს: ერთი მხრით, ავტორს ოსტატურად შეუკრებია და გულმოდგინედ დაუმუშავებია უაღრესად მნიშვნელოვანი საერობო-სტატისტიკური ცნობები, ამასთან ერთად მოუხერხებია განთავისუფლებულიყო «მისწრაფებისგან — განეხილა გლეხობა როგორც რაღაც ერთი მთელი და ერთგვაროვანი, როგორადაც ის დღემდეც წარმოდგენილი აქვს ჩვენს ქალაქის ინტელიგენციას» (დასახ. თხზ., გვ. 351). მეორე მხრით, ავტორმა, რომელიც არ ხელმძღვანელობდა თეორიით, სრულებითაც ვერ შესძლო შეეფასებინა თავის მიერ დამუშავებული ცნობები, შეხედა მათ «ღონისძიებათა» მეტად ვიწრო თვალსაზრისით და შეუდგა პროექტების თხზვას «მიწათმოქმედ-ხელოსნურ-საქარხნო თემების» შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა «შეზღუდვა», «დავალება», «თვალყურის დევნება» და სხვ. და სხვ. და აი ჩვენი ნაროდნიკები შეეცადნენ არ შეემჩნიათ ბ-ნ პოსტნიკოვის თხზულების პირველი, დადებითი ნაწილი და მთელი ყურადღება მიაქციეს მეორე ნაწილს. როგორც ბ-ნი ვ. ვ., ისე ბ-ნი ნ.—ონიც მეტად სერიოზული გამომეტყველებით შეუდგნენ ბ-ნ პოსტნიკოვის სრულიად არასერიოზული «პროექტების» «გაბათილებას» (ბ-ნი ვ. ვ. «რუსსკაია მისლში», 1894 წ., № 2; ბ-ნი ნ.—ონი «ნარკვევებში», გვ. 233, შენიშ.) და წაუყენეს ბრალდება: ცუდი განზრახვა აქვს — სურს რუსეთში კაპიტალიზმი შემოიღოსო; ამასთან ისინი ყოველნაირად გვერდს უვლიან იმ ცნობებს, რომლებმაც გამოააშკარავეს კაპიტალისტური ურთიერთობის ბატონობა სამხრეთ რუსეთის თანამედროვე სოფელში *.

* «საგულისხმოა»,— წერდა ბ-ნი ნ.—ონი, — რომ ბ-ნი პოსტნიკოვი «ადგენს 60-დესეტინიან გლეხურ მეურნეობათა გეგმას». მაგრამ «რაკი სოფლის მეურნეობა კაპიტალისტების ხელში ჩავარდა», შრომის ნაყოფიერება შეიძ-

II. საერობო სტატისტიკის მონაცემები სამარის გუბერნიის შესახებ

სამხრეთი განაპირა მხარიდან გადავიდეთ აღმოსავლეთის მხარეზე, სამარის გუბერნიაზე. ვიღებთ ყველაზე უკანასკნელად გამოკვლეულ ნოვოუზენსკის მაზრას; კრებულში ამ მაზრის შესახებ მოცემულია გლეხების ყველაზე დაწვრილებითი დაჯგუფება სამეურნეო ნიშნის მიხედვით *. აი საერთო მონაცემები გლეხობის ჯგუფებზე (შემდგომი ცნობები შეეხება ნადელიანი მოსახლეობის 28 276 კომლს — 164 146 სულს ორივე სქესისას, ე. ი. მაზრის მხოლოდ რუს მოსახლეობას, გერმანელებისა და იმ «ხუტორელი» მეკომურების გამოკლებით, რომლებიც მეურნეობას ეწევიან როგორც თემში, ისე ხუტორებში. გერმანელებისა და «ხუტორელების» მიმატება მნიშვნელოვნად გააძლიერებდა დაშლის სურათს).

მეურნეთა ჯგუფები		% კომლთა მთელი რიცხვის მიმართ		ნათესის საშ. ოდ. 1 კომლზე დესეტინობით	% სათესი ფართობისა ჯამის მიმართ	
ღარიბი	მუშა პირუტ. არმყოლი	20,7	37,1%	2,1	2,8	8,0%
	1 მუშა პირუტყვით	16,4		5,0	5,2	
საშუალო	2—3 »	26,6	38,2%	10,2	17,1	28,6%
	4 »	11,6		15,9	11,5	
მდიდარი	5 —10 »	17,1	24,7%	24,7	26,9	63,4%
	10—20 »	5,8		53,0	19,3	
	20 და მეტი	1,8		149,5	17,2	
	სულ	100		15,9	100	

ლება «ხვალ» კიდევ გაიზარდოს, «საჭირო იქნება (!) 60-დესეტინიანი მეურნეობანი გადააქციონ 200- ან 300-დესეტინიანად». ხედავთ, რა უბრალო რამ არის: რ ა დ გ ა ნ ჩვენი სოფლის დღევანდელ წვრილ ბურჟუაზიას ხვალ ემუქრება მსხვილი ბურჟუაზია, — ა მ ი ტ ო მ ბ-ნ ნ.—ონს არ უნდა იცნოს არც დღევანდელი წვრილი და არც ხვალინდელი მსხვილი ბურჟუაზია!

* «კრებული სტატისტიკური ცნობებისა სამარის გუბერნიის შესახებ, ტ. VII, ნოვოუზენსკის მაზრა». სამარა, 1890 წ. ერთგვაროვანი დაჯგუფებაა მოცემული ნიკოლაევის მაზრის შესახებაც (ტ. VI, სამარა, 1889),

სამიწათმოქმედო წარმოების კონცენტრაცია მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: «მეთემე» კაპიტალისტებს (კომლთა მთელი რიცხვის $^1/_{14}$-ს, სახელდობრ — 10 და მეტი სული მუშა პირუტყვის მყოლ კომლებს) აქვთ მთელი სათესი მიწის 36,5 % — იმდენივე, რამდენიც აქვს 75,3% საშუალო და ღარიბ გლეხობას, ერთად აღებულს! «საშუალო» ციფრი (15,9 დეს. სათესი მიწა ერთ კომლზე) აქაც, როგორც ყოველთვის, სრულიად ფიქციურია და საერთო სიუხვის ილუზიას ჰქმნის. ვნახოთ სხვა ცნობები სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობის შესახებ.

მეურნეთა ჯგუფები	% მეურნეებისა, რომელნიც საკუთარი ინვენტარით აღჭურვავენ მთელ ნადელს	% მეურნეებისა, რომელნიც გაუმჯობესებ. ნიადაგები აქვთ	რაოდენობა მთელი პირუტყვისა (მსხვილფეხა ითვლებიან ერთ ცხენად)	% პირუტყვის მთელი რაოდენობის მიმართ	
მუშა პირუტყვის არმყოლი	2,1	0,03	0,5	1,5	6,4 %
1 მუშა პირუტყვით	35,4	0,1	1,9	4,9	
2— 3 »	60,5	4,5	4,0	16,8	28,6 %
4 »	74,7	19,0	6,6	11,8	
5—10 »	82,4	40,3	10,9	29,2	65,0 %
10—20 »	90,3	41,6	22,7	20,4	
20 და მეტი »	84,1	62,1	55,5	15,4	
სულ	52,0	13,9	6,4	100*	

ამრიგად, დაბალ ჯგუფში დამოუკიდებელ მეურნეთა რიცხვი ძალიან მცირეა; ღარიბ გლეხობას გაუმჯობესებული იარაღები სრულიად არ ხვდება, საშუალო გლეხობას კი ხვდება ძალიან მცირე რაოდენობით. პირუტყვის კონცენტრაცია უფრო ძლიერია, ვიდრე ნათესის კონცენტრაცია;

მაგრამ ცნობები აქ გაცილებით ნაკლებ დაწვრილებითია. «შენაჯერი კრებული სამარის გუბერნიის შესახებ» (ტ. VIII, ნაკვ. 1, სამარა, 1892) იძლევა დაჯგუფებას მხოლოდ ნადელის მიხედვით, რაც დამაკმაყოფილებელი არ არის და რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ცხადია, რომ შეძლებული გლეხობა მსხვილ კაპიტალისტურ ნათესებთან აერთებს კაპიტალისტურ მესაქონლეობას. მოპირდაპირე პოლუსზე ვხედავთ «გლეხებს», რომლებიც უნდა მიეკუთვნონ ნადელის მქონე მოჯამაგირეებსა და დღიურ მუშებს, რადგან მათი არსებობის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს სამუშაო ძალის გაყიდვა (როგორც ახლა დავინახავთ); ზოგჯერ თვით მიწათმფლობელნი აძლევენ თავიანთ მოჯამაგირეებს თითო-ოროლა სულ პირუტყვს, რომ ამით მიაჯაჭვონ ისინი თავის მეურნეობას და დასწიონ მათი ხელფასი.

თავისთავად ცხადია, რომ გლეხთა ჯგუფები განირჩევიან არა მარტო მეურნეობის სიდიდით, არამედ მისი გაძღოლის წესითაც: ჯერ ერთი, უმაღლეს ჯგუფში მეურნეთა ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი (40 — 60%) მომარაგებულია გაუმჯობესებული იარაღებით (უმთავრესად, გუთნებით, შემდეგ — ცხენის და ორთქლის სალეწებით, სანიავებლებით, სამკელებით და სხვ.). უმაღლესი ჯგუფის კომლების 24,7%-ის ხელში თავმოყრილია მთელ გაუმჯობესებულ იარაღთა 82,9%; საშუალო ჯგუფის კომლების 38,2%-ის ხელშია გაუმჯობესებულ იარაღთა 17,0%; ღარიბ გლეხობის 37,1%-ს აქვს 0,1% (7 იარაღი 5 724-დან) *. მეორეც, ცოტაცხენიან გლეხებს, მრავალცხენიანებთან შედარებით, აუცილებლობის

* საინტერესოა, რომ ბ-ნ ვ. ვ.-ს («პროგრესული მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობაში». სპბ. 1892, გვ. 225) ამავე ცნობებიდან გამოჰყავდა «გლეხთა მასის» მოძრაობა, მიმართული ჩამორჩენილი იარაღების გაუმჯობესებულით შეცვლისაკენ (გვ. 254). ხერხი, რომლითაც მიღებულია ეს სრულებით ყალბი დასკვნა, ძალიან მარტივია: ბ-ნ ვ. ვ.-ს საერობო კრებულიდან მხოლოდ შეჯამებული ცნობები აუღია და თავი არ შეუწუხებია ჩაეხედნა ცხრილებში, რომლებიც იარაღების განაწილებას გვიჩვენებენ! პროგრესი კაპიტალისტ-ფერმერებისა (თემის წევრებისა), რომლებიც მანქანებს ხმარობენ სასაქონლო პურის წარმოების გასაიაფებლად, ერთი კალმის მოსმით გადაქცეულია «გლეხთა მასის» პროგრესად. და ბ-ნი ვ. ვ. მოურიდებლად წერდა: «თუმცა მანქანებს შეძლებული მეურნენი იძენენ, მაგრამ ამ მანქანებით ყველა (sic!!) გლეხი სარგებლობსო» (221). კომენტარები ზედმეტია.

გამო აქვთ «მეურნეობის სხვა სისტემა, მთელი სამეურნეო საქმიანობის სხვა წყობა», როგორც ამბობს ნოვოუზენსკის მაზრის შესახები კრებულის შემდგენელი (გვ. 44 — 46). შეძლებული გლეხები «ასვენებენ მიწას... შემოდგომიდან გუთნებით ხნავენ... გაზაფხულზე ხელახლად ხნავენ, ფარცხავენ და თესენ... დახნულ ნასვენს საგორავებით ტკეპნიან, როცა მიწას ქარი გამოაშრობს... ორჯერ ხნავენ ჭვავისთვის», შეუძლო გლეხები კი «არ ასვენებენ მიწას და წლიდან წლამდე თესენ მასზე რუსულ ხორბალს... სახორბლედ ხნავენ ერთხელ გაზაფხულზე... ჭვავისთვის მიწას არ ასვენებენ და არ ხნავენ, თესენ მხოლოდ დაფარცხვით... ხორბლისთვის ხნავენ გვიან გაზაფხულზე, რის გამო პური ხშირად არ ამოდის... ჭვავისთვის ხნავენ ერთხელ, ანდა მხოლოდ ფარცხავენ, ისიც არა თავის დროზე... ხნავენ ამაოდ ერთსა და იმავე მიწას ყოველწლიურად, არ ასვენებენ». «და სხვ. და სხვ. დაუსრულებლივ» — აბოლოებს ამ სიას შემდგენელი. «აღნუსხულ ფაქტებს, რომლებიც მოწმობენ, რომ შეძლებულ და შეუძლო გლეხთა სამეურნეო სისტემებს შორის რადიკალური განსხვავებაა, შედეგად მოსდევს ცუდი ხარისხის მარცვლეული და ცუდი მოსავალი ზოგიერთისათვის და შედარებით უკეთესი მოსავალი სხვებისათვის» (ibid.).

მაგრამ როგორ გაჩნდა ასეთი მსხვილი ბურჟუაზია სამიწათმოქმედო თემურ მეურნეობაში? ამის პასუხს იძლევიან ციფრები მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ ჯგუფების მიხედვით. ჩვენ მიერ აღებულ გლეხთა ქვეჯგუფს სულ აქვს 57 128 დეს. ნაყიდი მიწა (76 კომლს) და 304 514 დეს. იჯარით აღებული მიწა, მათ შორის 177 789 დეს. ნადელგარეშე იჯარა — 5 602 კომლს; 47 494 დეს. იჯარით აღებული სანადელო მიწა სხვა საზოგადოებებში — 3 129 კომლს და 79 231 დეს. იჯარით აღებული სანადელო მიწა საკუთარ საზოგადოებაში — 7 092 კომლს. ეს უზარმაზარი სივრცე, რომელიც გლეხების მთელი სათესი ფართობის $^2/_3$-ზე მეტს შეადგენს, ასეა განაწილებული:

მეურნეთა ჯგუფები	% კომლთა, რომლებსაც აქვთ ნაყიდი მიწა	დესეტინა 1 კომლზე	% მთელი ნაყიდი მიწისა	ნადელგარეშე მიწის იჯარა: % მოიჯარ. კომლებისა	ნადელგარეშე მიწის იჯარა: დესეტინა 1 კომლზე	სანადელო მიწის იჯარა, სხვა საზოგადოებებში: % კომლებისა	სანადელო მიწის იჯარა, სხვა საზოგადოებებში: დესეტინა 1 კომლზე	სანადელო მიწის იჯარა, საკუთარ საზოგადოებაში: % კომლებისა	სანადელო მიწის იჯარა, საკუთარ საზოგადოებაში: დესეტინა 1 კომლზე	% იჯარით აღებ. მთელი მიწის ჯამის მიმართ	% არამეურნე კომლთა, რომლებიც მიწას იჯარით სცემენ
მუშა პირუტ. არმყოლი	0,02	100	0,2	2,4	1,7	1,4	5,9	5	3	0,6	47,0
1 სული მუშა პირუტ.	—	—	—	10,5	2,5	4,3	6,2	12	4	1,6	18,0
2—3 » » »	0,02	93	0,5	19,8	3,8	9,4	5,6	21	5	5,8	2,0
4 » » »	0,07	29	0,1	27,9	6,6	15,8	6,9	34	6	5,4	0,8
5—10 » » »	0,1	101	0,9	30,4	14,0	19,7	11,6	44	9	16,9	0,4
10—20 » » »	1,4	151	6,0	45,8	54,0	29,6	29,4	58	21	24,3	0,2
20 და მეტი » »	8,2	1 254	92,3	65,8	304,2	36,1	67,4	58	74	45,4	0,1
სულ	0,3	751	100	19,8	31,7	11,0	15,1	25	11	100	12

ჩვენ აქ ვხედავთ ნაყიდი და იჯარით აღებული მიწის უდიდეს კონცენტრაციას. მთელი ნაყიდი მიწის $^9/_{10}$-ზე მეტი უმდიდრესი კომლების 1,8 % -ის ხელშია. მთელი იჯარით აღებული მიწის 69,7% თავმოყრილია გლეხ-კაპიტალისტთა ხელში და 86,6 % — გლეხობის უმაღლესი ჯგუფის ხელში. სანადელო მიწის იჯარით აღებისა და გაცემის ცნობების დაპირისპირება ნათლად გვიჩვენებს მიწის გადასვლას გლეხური ბურჟუაზიის ხელში. მიწის საქონლად გადაქცევა აქაც იწვევს მიწის ბითუმად ყიდვის გაიაფებას (და, მაშასადამე, მიწის ვაჭრობასაც). იჯარით აღებული ერთი დესეტინა არასანადელო მიწის ფასის განსაზღვრა იძლევა ასეთ ციფრებს დაბალი ჯგუფიდან უმაღლესისაკენ; 3,94; 3,20; 2,90; 2,75; 2,57; 2,08; 1,78 მან. რათა ცხადვყოთ, თუ რა შეცდომებს სჩადიან ნაროდნიკები იჯარის კონცენტრაციის ამ უგულებელყოფის გამო, მოვიყვანთ მაგალითისთვის ბ-ნ კარიშევის მსჯელობას, რასაც ვხვდებით მის ცნობილ წიგნში: «მოსავლისა და პურის ფასის გავლენა რუსეთის სახალხო მეურნეობის ზოგიერთ მხარეზე» (სპბ. 1897 წ.). როცა კარგი მოსავალის დროს პურის ფასი ეცემა, ხოლო საიჯარო ფასი მატულობს, მაშინ, — დაასკვნის ბ-ნი კარიშევი, — მოიჯარადრე-მეწარმეებმა მოთხოვნილება უნდა შეამცირონ და, მაშასადამე, მოხმარებითი მეურნეობის წარმომადგენელნი იჯარის ფასს მაღლა

სწევენ (I, 288). დასკვნა ყოვლად თვითნებურია: სავსებით შესაძლებელია, რომ გლეხური ბურჟუაზია მაღლა სწევს იჯარის ფასს, მიუხედავად პურის ფასის დაკლებისა, რადგან მოსავლის გაუმჯობესებას შეუძლია ფასების დაკლების კომპენსირება. სავსებით შესაძლებელია, რომ შეძლებული გლეხები მაშინაც, როცა ასეთი კომპენსაცია არ ხდება, მაღლა სწევენ იჯარის ფასებს და ამცირებენ პურის წარმოების ღირებულებას მანქანების შემოღებით. ჩვენ ვიცით, რომ სოფლის მეურნეობაში მანქანების ხმარება იზრდება და რომ ეს მანქანები გლეხური ბურჟუაზიის ხელში იყრის თავს. იმის ნაცვლად, რომ შეესწავლა გლეხობის დაშლის საკითხი, ბ-ნი კარიშევი აყენებს თვითნებურ და შემცდარ დებულებებს საშუალო გლეხობის შესახებ. ამიტომ ყველა მისი ანალოგიურად გამოყვანილი დასკვნა, რასაც ციტირებულ გამოცემაში ვხვდებით, მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას.

გლეხობის სხვადასხვაგვარი ელემენტების განსაზღვრის შემდეგ ჩვენ ადვილად შეგვიძლია გავერკვეთ შინაური ბაზრის საკითხში. თუკი შეძლებული გლეხობის ხელთაა მთელი სამიწათმოქმედო წარმოების $^2/_3$-მდე, ცხადია, რომ იგი უნდა იძლეოდეს გაცილებით კიდევ უფრო მეტ გასაყიდ პურს. მას პური გასაყიდად მოჰყავს, მაშინ როცა შეუძლო გლეხობა, რომელსაც საკუთარი პური არ ჰყოფნის, იძულებულია თავისი სამუშაო ძალა გაჰყიდოს და დანაკლისი პური იყიდოს. აი ცნობები ამის შესახებ *:

მ ე უ რ ნ ე თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი	% მეურნეებისა, რომლებსაც ჰყავთ დაქირავებული მომუშავენი	% სამიწათმოქმედო სარეწავებში დაბანდებული მამრობითი სქესის მომუშავეებისა
მუშა პირუტყვის არმყოლი	0,7	71,4
1 სული მუშა პირუტყვით	0,6	48,7
2—3 » » »	1,3	20,4
4 » » »	4,8	8,5
5—10 » » »	20,3	5,0
10—20 » » »	62,0	3,9
20 და მეტი	90,1	2,0
ს უ ლ	9,0	25,0

* სამუშაო ძალის გაყიდვას ჩვენ ვუთანაბრებთ იმას, რასაც სტატისტიკოსები უწოდებენ «სამიწათმოქმედო სარეწავებს» (ადგილობრივსა და გარესარეწაოს). ამ «სარეწავებში» მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ო ბ ა ს ა და დ ღ ი უ-

წინადადებას ვაძლევთ მკითხველებს ეს ცნობები შინაური ბაზრის შექმნის პროცესის შესახებ შეადარონ ჩვენი ნაროდნიკების მსჯელობას... «თუ გლეხი მდიდარია, — ფაბრიკაც აყვავების გზაზეა, და პირიქით» (ვ. ვ. «პროგრესული მიმდინარეობანი», გვ. 9). ბ-ნ ვ. ვ.-ს, ცხადია, სრულებით არ აინტერესებს საკითხი იმ სიმდიდრის საზოგადოებრივი ფორმისა, რომელიც საჭიროა «ფაბრიკისათვის» და რომელიც იქმნება მხოლოდ იმ გზით, რომ საქონლად იქცევა, ერთი მხრით, პროდუქტი და წარმოების საშუალებანი, მეორე მხრით — სამუშაო ძალა. ბ-ნი ნ.—ონი, როცა პურის გაყიდვაზე ლაპარაკობს, იმით ინუგეშებს თავს, რომ ეს პური «მხვნელ-მთესველი გლეხის» პროდუქტია («ნარკვევები», გვ. 24), რომ «რკინიგზები არსებობენ გლეხის მეოხებით», რადგან მათ გადააქვთ ეს პური (გვ. 16). — მართლაც, ეს «მეთემე»-კაპიტალისტები განა «გლეხები» არ არიან? «ჩვენ როდისმე კიდევ გვექნება შემთხვევა აღვნიშნოთ,—წერდა ბ-ნი ნ. —ონი 1880 წელს და იმეორებდა 1893 წ.,— რომ იმ ადგილებში, სადაც თემური მიწათმფლობელობა სჭარბობს, კაპიტალისტურ საფუძველზე მოწყობილი მიწათმოქმედება თითქმის სრულებით არ მოიპოვება (sic!!) და რომ ასეთი მიწათმოქმედება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც თემური ურთიერთობა ან სავსებით დარღვეულია ან ირღვევა» (გვ. 59). ასეთი «შემთხვევა» ბ-ნ ნ.—ონს არასოდეს არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგან ფაქტები სწორედ იმას მოწმობენ, რომ «მეთემეთა» შ ო რ ი ს* სწორედ კაპიტალის-

---

რ ა დ მუშაობას რომ ჰგულისხმობენ, ეს ნათლად ჩანს სარეწავთა ცხრილიდან («შენაჯერი კრებული სამარის გუბერნიის შესახებ», ტ. VIII): 14 063 მამაკაციდან, რომელნიც «სოფლის მეურნეობის სარეწავებში» არიან ჩაბმულნი, მოჯამაგირეები და დღიური მუშები (მწყემსთა და მხვნელ-მთესველთა ჩათვლით) შეადგენენ 13 297 კაცს.

* ნოვოუზენსკის მაზრა, რომელიც ჩვენ მიერ აღებულია საილუსტრაციოდ, გვიჩვენებს «თემის» განსაკუთრებულ «გამძლეობას» (ბ-ნ ვ. ვ.-ს და კომპ. ტერმინოლოგიით): «შენაჯერი კრებულის» ცხრილიდან (გვ. 26) ჩვენ ვხედავთ, რომ იქ მიწის გადაყოფა მოუხდენია თემების 60%-ს, მაშინ როცა სხვა მაზრებში — მხოლოდ 11—23% (გუბერნიაში —თემების 13,8%-ს).

ტური მიწათმოქმედება ვითარდება და რომ ნაქები «თემობრივი კავშირი» სავსებით ეგუება მსხვილ მხვნელ-მთესველთა მოჯამაგირიან მეურნეობას.

სავსებით ანალოგიურია გლეხთა ჯგუფების შეფარდება ნიკოლაევის მაზრაშიც (ციტირ. კრებ., გვ. 826 და შემდ. ჩვენ არ ვთვლით იმათ, ვინც სხვაგან ცხოვრობს და ვინც უმიწაწყლოა). ასე, მაგალითად, მდიდართა (10 და მეტი მუშა პირუტყვის მყოლ კომლთა) 7,4%, რომელიც შეადგენს მოსახლეობის 13,7%-ს, ჰფლობს მთელი პირუტყვის 27,6%-ს და იჯარით აღებული მიწის 42,6%-ს, მაშინ როდესაც ღარიბთა (უცხენოთა და ერთცხენიანთა) კომლების 29%-ს, რომელიც შეადგენს მოსახლეობის 19,7%-ს, გააჩნია პირუტყვის მხოლოდ 7,2% და იჯარის 3%. ვიმეორებთ, რომ ცხრილები ნიკოლაევის მაზრის შესახებ, სამწუხაროდ, მეტისმეტად მოკლეა. სამარის გუბერნიას რომ მოვრჩეთ, ჩვენ მოგვყავს ამ გუბერნიის გლეხობის მდგომარეობის შემდეგი მეტად საყურადღებო დახასიათება «შენაჯერი კრებულიდან»:

«...მოსახლეობის ბუნებრივი მატება, დასავლეთ გუბერნიებიდან მცირემიწიანი გლეხების იმიგრაციით უფრო გაძლიერებული, და, ამასთან, მოგების მიზნით მიწის მოვაჭრე-სპეკულანტების გაჩენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასპარეზზე, წლითიწლობით სულ უფრო ართულებდნენ მიწის დაქირავების ფორმებს, მაღლა სწევდნენ მიწის ფასს, აქცევდნენ მიწას საქონლად, რამაც ასე ჩქარა და ასე ძლიერად გაამდიდრა ზოგიერთნი და გააჩანაგა ბევრი სხვა. ამ უკანასკნელი გარემოების საილუსტრაციოდ აღვნიშნავთ ზოგიერთი სამხრეთელი ვაჭრისა და გლეხის მეურნეობათა სახნავ-სათესის ოდენობას, რომელიც ხშირად აღწევს 3 — 6 ათას დესეტინას; ზოგიერთები კი თესენ 8 — 10 — 15 ათას დესეტინამდე, როცა იჯარით იღებენ რამდენიმე ათეულ ათას დესეტინა სახაზინო მიწას.

მიწათმოქმედი (სოფლის) პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ნაწილი სამარის გუბერნიაში წარმოიშვა და გაიზარდა ამ უკანასკნელ დროს, როცა თანდათან ვითარდებოდა

გასაყიდი მარცვლეულის წარმოება, მატულობდა საიჯარო ფასები, იხვნებოდა ყამირი და საძოვარი მიწები, იკაფებოდა ტყეები და სხვ. უმიწაწყლო კომლი მთელ გუბერნიაში ითვლება სულ 21 624, მაშინ როცა უუფროსო კომლთა რაოდენობა უდრის 33 772 (მონადელეთა რიცხვიდან), ხოლო უცხენონი ან ერთცხენიანნი ერთად შეადგენენ 110 604 ოჯახს — ორივე სქესის 600 ათას სულს, 5-ზე ცოტა მეტ სულს თვითეულ ოჯახზე. ჩვენ ვბედავთ ისინიც პროლეტარებად ჩავთვალოთ, თუმცა იურიდიულად მათ განკარგულებაშია სათემო მიწის ნაკვეთის ესა თუ ის ნაწილი; ფაქტიურად ესენი არიან მსხვილ მეურნეობებში დღიურად მომუშავენი, მხვნელ-მთესველნი, მწყემსები, მკელები და სხვა ამგვარი მუშები, რომლებიც შინ დარჩენილი ოჯახის გამოსაკვებად თავის სანადელო მიწაზე თესენ $^1/_2$—1 დესეტინას» (გვ. 57—58).

ამნაირად, მკვლევარნი პროლეტარიატად სთვლიან არა მარტო უცხენო, არამედ ერთცხენიან გლეხებსაც. ჩვენ აღვნიშნავთ ამ მნიშვნელოვან დასკვნას, რომელიც სავსებით ეთანხმება ბ-ნ პოსტნიკოვის დასკვნას (და ჯგუფური ცხრილების ცნობებს) და ცხადჰყოფს გლეხობის დაბალი ჯგუფის ნამდვილ საზოგადოებრივ-სამეურნეო მნიშვნელობას.

III. საერობო სტატისტიკის მოწაცემები სარატოვის გუბერნიის შესახებ

გადავდივართ ახლა შავმიწიან შუა ზოლზე, სარატოვის გუბერნიაზე. ვიღებთ კამიშინის მაზრას — ამ ერთადერთ მაზრას, რომლის შესახებაც მოცემულია გლეხების საკმაოდ ვრცელი დაჯგუფება მუშა პირუტყვის მიხედვით*.

* გუბერნიის დანარჩენ 4 მაზრაში მუშა პირუტყვის მიხედვით დაჯგუფება აერთებს საშუალო და შეძლებულ გლეხობას. იხ. «კრებული სტატისტიკური ცნობებისა სარატოვის გუბერნიის შესახებ», ნაწ. I, სარატოვი, 1888. ბ. სარატოვის გუბერნიის კომბინაციური ცხრილები გლეხთა ჯგუფების მიხედვით.—კომბინაციური ცხრილები სარატოველ სტატისტიკოსებს ასე აქვთ შედგენილი: ყველა მეურნე დაყოფილია

აი ცნობები მთელი მაზრის შესახებ (40 157 კომლი, 263 135 სული ორივე სქესისა. 435 945 დესეტინა სათესი მიწა, ე. ი. 10,8 დესეტინა «საშუალო» კომლზე):

მეურნეთა ჯგუფები	% კომლებისა		% ორივე სქესის მოსახლეობისა	ნათესის საშუალო ოდენობა დესეტინებით	% მთელი ნათესობისა		% ნათესი კომლებისა	სულ პირუტყვი (მსხვილფეხა პირუტყვზე გადაყვანით) 1 კომლზე	% პირუტყვის მთელი რაოდენობის მიმართ	
მუშა პირუტ. არმყ.	26,4	46,7	17,6	1,1	2,8	12,3	72,3	0,6	2,9	11,8
1 მუშა პირუტყვით	20,3		15,9	5,0	9,5		13,1	2,3	8,9	
2 » »	14,6	32,2	13,8	8,8	11,8	34,4	4,9	4,1	11,1	32,1
3 » »	9,3		10,3	12,1	10,5		1,5	5,7	9,8	
4 » »	8,3		10,4	15,8	12,1		0,6	7,4	11,2	
5 და მეტი	21,1	21,1	32,0	27,6	53,3	53,3	0,2	14,6	56,1	56,1
სულ	100		100	10,8	100		22,7	5,2	100	

ამნაირად, ჩვენ ისევ ვხედავთ აქ ნათესების კონცენტრაციას მსხვილ მთესველთა ხელში: შეძლებულ გლეხობას, რომელიც შეადგენს კომლთა მხოლოდ ერთ მეხუთედს (და მოსახლეობის დაახლოებით ერთ მესამედს)*, ხელთ აქვს ნახევარზე მეტი მთელი სახნავ-სათესი მიწა (53,3%), ამასთან

---

6 კატეგორიად სანადელო მიწის მიხედვით, თვითეული კატეგორია — 6 ჯგუფად მუშა პირუტყვის მიხედვით და თვითეული ჯგუფი — 4 ქვეჯგუფად მამრობითი სქესის მომუშავეთა რიცხვის მიხედვით. ჯამი გამოყვანილია მხოლოდ კატეგორიებად, ასე რომ ჯგუფობრივი ჯამები თვითონ უნდა გამოიყვანო. ასეთი ცხრილის მნიშვნელობაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

* უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა კომლებს შეძლებულობის ან მეურნეობის ოდენობის მიხედვით ვაჯგუფებთ, ჩვენ ყოველთვის ვიღებთ გლეხობის შეძლებულ ფენებში ოჯახის უფრო დიდ შემადგენლობას. ეს მოვლენა მაჩვენებელია იმისა, რომ გლეხური ბურჟუაზია დაკავშირებულია მრავალრიცხოვან ოჯახებთან, რომელნიც უფრო მეტ ნადელებს იღებენ;— რამდენადმე პირიქითაც: ეს მოწმობს, რომ შეძლებულ გლეხობაში გაყოფის მისწრაფება უფრო სუსტია. მაგრამ შეძლებულ გლეხთა ასეთი მრავალოჯახიანობის მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ. როგორც ჩვენი ცნობებიდან ჩანს, შეძლებული გლეხები მუშებს ყველაზე დიდი რაოდენობით ქირაობენ. ამნაირად, «ოჯახური კოოპერაცია», რომლის შესახებაც ასე უყვართ ლაპარაკი ჩვენს ნაროდნიკებს, კაპიტალისტური კოოპერაციის ბაზისია.

ნათესის სივრცე ნათლად გვიჩვენებს მის კომერციულ ხასიათს: საშუალოდ 27,6 დეს. კომლზე. შეძლებულ გლეხობაში კომლზე მოდის აგრეთვე პირუტყვის თვალსაჩინო რაოდენობა — 14,6 სული (მსხვილფეხა პირუტყვზე გადაყვანით, ე. ი. თუ ჩავთვლით, რომ 10 სული წვრილფეხა პირუტყვი უდრის ერთ სულ მსხვილფეხა პირუტყვს), და მაზრის გლეხთა პირუტყვის მთელი რაოდენობის თითქმის $^3/_5$ (56%) თავმოყრილია გლეხური ბურჟუაზიის ხელში. სოფლის მეორე პოლუსზე ჩვენ ვხედავთ საწინააღმდეგო მოვლენას: სავსებით დაბეჩავებულთა დაბალ ჯგუფს, სოფლის პროლეტარიატს, რომელიც ჩვენს მაგალითში შეადგენს კომლთა რაოდენობის $^1/_2$-ზე ცოტათი ნაკლებს (მოსახლეობის დაახლოებით $^1/_3$-ს), მაგრამ სახნავ-სათესის საერთო ნაწილიდან ღებულობს მხოლოდ $^1/_8$-ს, პირუტყვის მთელი რაოდენობიდან კი — ამაზე ნაკლებსაც (11,8%). ესენი უმეტეს ნაწილად უკვე არიან ნადელის მქონე მოჯამაგირენი, დღიური მუშები და მრეწველობის მუშები.

სახნავ-სათესის კონცენტრაციასთან და მიწათმოქმედების სავაჭრო ხასიათის ზრდასთან ერთად, ხდება მისი კაპიტალისტურ მიწათმოქმედებად გადაქცევა. ჩვენ ვხედავთ უკვე ნაცნობ მოვლენას: სამუშაო ძალის გაყიდვას დაბალ ჯგუფებში და მის ყიდვას უმაღლეს ჯგუფებში.

მეურნეთა ჯგუფები	% მეურნ., რომლებსაც დაქირავებული ჰყავთ მამრ. სქ. მუშები	% სარეწაო მეურნეობებისა
მუშა პირუტყვის არმყოლი	1,1	90,9
1 მუშა პირუტყვით	0,9	70,8
2 » »	2,9	61,5
3 » »	7,1	55,0
4 » »	10,0	58,6
5 და მეტი »	26,3	46,7
სულ	8,0	67,2

აქ საჭიროა მნიშვნელოვანი ახსნა-განმარტება. ჯერ კიდევ პ. ნ. სკვორცოვმა შენიშნა ერთ თავის სტატიაში სავსებით სამართლიანად, რომ საერობო სტატისტიკაში გადაჭარბებულად «ფართო» მნიშვნელობა ეძლევა ტერმინს «სარეწავი»

(ანუ «საშოვარი»). მართლაც, «სარეწავს» მიაკუთვნებენ გლეხის ყ ვ ე ლ ა და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ მოსაქმეობას ნადელს გარეთ. მეფაბრიკეები და მუშები, წისქვილებისა და ბახჩების პატრონები და დღიური მუშები, მოჯამაგირეები; შემყიდველები, ვაჭრები და შავი მუშები; ხე-ტყის მრეწველნი და ტყის მჭრელები; მოიჯარადრეები და მშენებელი მუშები; თავისუფალი პროფესიების წარმომადგენელნი, მოსამსახურენი და მათხოვრები და სხვ. — ესენი ყველანი «მრეწველები» არიან! ეს გასაოცარი სიტყვახმარება არის გადმონაშთი იმ ტრადიციული — ჩვენ უფლებაც კი გვაქვს ვთქვათ: ოფიციალური — შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც «ნადელი» არის გლეხის «ნამდვილი», «ბუნებრივი» მოსაქმეობა, ყოველივე დანარჩენი მოსაქმეობა კი განურჩევლად მიჩნეულია «გარეშე» სარეწავად. ბატონყმობის დროს სიტყვის ასეთ ხმარებას ჰქონდა თავისი raison d'être *, მაგრამ ახლა ეს აშკარა ანაქრონიზმია. ამგვარი ტერმინოლოგია ჩვენში შემორჩენილია რამდენადმე იმიტომაც, რომ ის შესანიშნავად ეთანხმება ფიქციას «საშუალო» გლეხობის შესახებ და პ ი რ დ ა პ ი რ გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს შ ე ს ა ძ ლ ებ ლ ო ბ ა ს — შესწავლილ იქნას გლეხობის დაშლა (განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც გლეხების «გარე» მოსაქმეობა მრავალი და სხვადასხვანაირია. გავიხსენოთ, რომ კამიშინის მაზრა წარმოადგენს სარპინის სარეწის გამოჩენილ ცენტრს). გლეხური მეურნეობის შესახებ კომლობრივი ცნობების დამუშავება ** არ იქნება დამაკმაყოფილებელი, სანამ გლეხთა «სარეწავები» მათი ეკონომიური ტიპების მიხედვით არ განაწილდება, სანამ «მრეწველებს» შორის არ იქნებიან გარჩეულნი მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ე ბ ი დ ა ქ ი რ ა ვ ებ უ ლ ი მ უ შ ებ ი ს ა გ ა ნ. ესაა ეკონომიური ტიპების მინიმალური რაოდენობა, რომელთა განურჩევლად

* — საფუძველი. რ ე დ.

** ვამბობთ «დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა», იმიტომ რომ კომლობრივი აღწერების დროს გლეხთა სარეწავების შესახებ ძალიან საფუძვლიანი და დაწვრილებითი ცნობები იკრიბება.

ეკონომიური სტატისტიკა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. სასურველია, რა თქმა უნდა, უფრო დაწვრილებითი დაჯგუფება, მაგალითად: დაქირავებული მუშების მყოლი მეპატრონეები — დაქირავებული მუშების არმყოლი მეპატრონეები — ვაჭრები, შემყიდველები, მედუქნეები და სხვ.— ხელოსნები მომხმარებლისათვის მომუშავე მრეწველთა აზრით და სხვ.

ვუბრუნდებით ჩვენს ცხრილს და აღვნიშნავთ, რომ ჩვენ გვქონდა მაინც ერთგვარი უფლება «სარეწავები» მიგვეჩნია სამუშაო ძალის გაყიდვად, რადგან ჩვეულებრივად გლეხ «მრეწველებს» შორის უმრავლესობას დაქირავებული მუშები შეადგენენ. შესაძლებელი რომ იყოს ამ «მრეწველთაგან» მარტო დაქირავებული მუშების გამოყოფა, მაშინ ჩვენ, რასაკვირველია, მივიღებდ'ით «მრეწველთა» გაცილებით ნაკლებ პროცენტს უმაღლეს ჯგუფებში.

რაც შეეხება ცნობებს დაქირავებული მუშების შესახებ, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ სავსებით შემცდარია ბ-ნ ხარიზომენოვის აზრი, თითქოს «ხანმოკლე დაქირავება (მუშებისა) სამკელად, სათიბად და დღიურ სამუშაოდ, რაც მეტისმეტად გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს, არ შეიძლება მეურნეობის სიძლიერის ან სისუსტის დამახასიათებელ ნიშნად ჩაითვალოს» (გვ. 46 «კრებულის» «შესავალისა»). პირიქით, თეორიული მოსაზრებანიც, დასავლეთ ევროპის მაგალითიც, რუსეთის ცნობებიც (მათზე ქვემოთ) გვაიძულებენ დღიური მუშების დაქირავება სოფლის ბურჟუაზიის ფრიად დამახასიათებელ ნიშნად მივიჩნიოთ.

ბოლოს, ცნობები იჯარის შესახებ გვიჩვენებენ, რომ აქაც გლეხური ბურჟუაზია მის მტაცებლობას ეწევა. აღვნიშნავთ, რომ სარატოველი სტატისტიკოსების კომბინაციურ ცხრილებში მოცემული არ არის რიცხვი მეპატრონეთა, რომელნიც იჯარით იღებენ და სცემენ მიწას, არის მხოლოდ რაოდენობა იჯარით აღებული და გაცემული * მიწისა; ამიტომ

* სულ მაზრაში იჯარით იცემა 61 639 დეს. სახნავ-სათესი მიწა, ე. ი. მთელი სანადელო სახნავ-სათესი მიწის (377 305 დესეტინა) 1/6-მდე.

ჩვენ იძულებული ვხდებით იჯარით აღებული და გაცემული მიწის ოდენობა განვსაზღვროთ არა მოიჯარადრე კომლის, არამედ ა რ ს ე ბ უ ლ ი კომლის მიხედვით.

მეურნეთა ჯგუფები	1 მენადელე კომლზე მოდის დესეტინობით: სანადელო სან�-სათესი	იჯარით აღებული მიწა	იჯარით გაცემული მიწა	% მთელი მიწის ოდენობის მიმართ: სანადელო		იჯარით აღებული		იჯარით გაცემული		მიწათსარგებლობა საერთოდ (სანადელო მიწა +იჯარა —გაცემა) %
მუშა პირუტ. არმყ.	5,4	0,3	3,0	16		1,7		52,6		5,5
1 მუშა პირუტყვით	6,5	1,6	1,3	14		6		17,8		10,3
2 » »	8,5	3,5	0,9	13		9,5		8,4		12,3
3 » »	10,1	5,6	0,8	10	34	9,5	30,1	4,8	17,3	10,4 34,6
4 » »	12,5	7,4	0,7	11		11,1		4,1		11,9
5 და მეტი	16,1	16,6	0,9	36		62,2		12,3		49,6
ს უ ლ	9,3	5,4	1,5	100		100		100		100

ამრიგად, აქაც იმავეს ვხედავთ: რაც უფრო შეძლებულია გლეხობა, მით უფრო მ ე ტ მიწას იღებს ის იჯარით, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ იმისა, რომ ის სანადელო მიწით უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი. აქაც ვხედავთ, რომ შეძლებული გლეხობა ავიწროებს საშუალოს და რომ სანადელო მიწის როლი გლეხურ მეურნეობაში სოფლის ორივე პოლუსზე შემცირების ტენდენციას იჩენს.

შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით ამ ცნობებზე იჯარის შესახებ. ამ ცნობებთან დაკავშირებულია ბ-ნ კარიშევის ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოკვლევები და მოსაზრებანი (ციტირებ. «შედეგები») და ბ-ნ ნ.—ონის «შესწორებანი» მათ გამო.

ბ-ნმა კარიშევმა ცალკე თავი (III) მიუძღვნა «იჯარის დამოკიდებულებას მოიჯარადრის შეძლებისაგან». საერთო დასკვნა, რომელიც მან მიიღო, იმაში მდგომარეობს, რომ «ს ხ ვ ა თ ა ნ ა ს წ ო რ პ ი რ ო ბ ებ ში ბრძოლა იჯარით ასაღები მიწისათვის უფრო შეძლებულთა სასარგებლოდ თავდება» (გვ. 156). «შედარებით უფრო უზრუნველყოფილი კომლები... უკან სწევენ ნაკლებად უზრუნველყოფილ კომლთა ჯგუფს» (154).

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ საერობო სტატისტიკის ცნობების ზოგადი განხილვიდან ისეთივე დასკვნა გამომდინარეობს, როგორიც ჩვენ მიერ შესწავლილი ცნობებიდან გამოდის. ამასთან ნადელის ოდენობაზე იჯარის ოდენობის დამოკიდებულების შესწავლამ ბ-ნი კარიშევი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნადელის მიხედვით დაჯგუფება «აბუნდოვანებს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის აზრს» (გვ. 139): «მეტი იჯარებით... სარგებლობენ a) მიწით უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენები, მაგრამ b) მათში უფრო მეტად უზრუნველყოფილი ჯგუფები. ცხადია, აქ საქმე გვაქვს ორ ერთმანეთის მოპირდაპირე გავლენასთან, რომელთა ერთიმეორეში არევა ხელს უშლის თვითეული მათგანის მნიშვნელობის გაგებას» (ib.). ეს დასკვნა თავისთავად იგულისხმება, თუ ჩვენ თანამიმდევრულად გავატარებთ იმ თვალსაზრისს, რომელიც გლეხთა ჯგუფებს ერთმანეთისაგან მათი შეძლების მიხედვით განასხვავებს: ჩვენ მიერ მოყვანილ ცნობებში ყველგან დავინახეთ, რომ შეძლებული გლეხობა ხელთ იგდებს იჯარას, თუმცა ის უკეთ არის მიწით დაკმაყოფილებული. ცხადია, რომ სწორედ კომლის შეძლებულობა არის განმსაზღვრელი ფაქტორი იჯარის დროს და რომ ეს ფაქტორი, ნადელის პირობებისა და იჯარის პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, მხოლოდ სახეს იცვლის, მაგრამ კვლავ რჩება განმსაზღვრელი. მაგრამ ბ-ნი კარიშევი, თუმცა მან გამოიკვლია «შეძლების» გავლენა, თანამიმდევრულად არ იდგა აღნიშნულ თვალსაზრისზე და ამიტომ არაზუსტად ახასიათებს მოვლენას, როცა ამბობს, მოიჯარადრის მიწით უზრუნველყოფასა და იჯარას შორის პირდაპირი დამოკიდებულება არსებობსო. ეს ერთი მხრით. მეორე მხრით, ბ-ნ კარიშევს მისი გამოკვლევის ცალმხრივობამ ხელი შეუშალა შეეფასებინა მდიდრების მიერ იჯარის ხელში ჩაგდების მთელი მნიშვნელობა. როცა იკვლევს «ნადელგარეშე იჯარას», ის კმაყოფილდება იმით, რომ საერობო-სტატისტიკურ ცნობებს იჯარის შესახებ მოიჯარად-

რის საკუთარი მეურნეობისაგან დამოუკიდებლად აჯამებს. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი, უფრო ფორმალური, შესწავლისას იჯარის და «შეძლების» თანაფარდობის, იჯარის ვაჭრული თუ კომერციული ხასიათის საკითხის გადაჭრა შეუძლებელი იყო. ბ-ნ კარიშევს, მაგალითად, ხელთ ჰქონდა იგივე ცნობები კამიშინის მაზრის შესახებ, მაგრამ ის დაკმაყოფილდა მარტო იჯარის აბსოლუტური ციფრების გადმობეჭდვით (იხ. დამატება № 8, გვ. XXXVI) და ყოველ არსებულ კომლზე იჯარის საშუალო ოდენობის გამოანგარიშებით (ტექსტი, გვ. 143). იჯარის კონცენტრაცია შეძლებული გლეხობის ხელში, მისი სამრეწველო ხასიათი, მისი კავშირი გლეხობის დაბალი ჯგუფის მიერ მიწის იჯარით გაცემასთან, — ყოველივე ეს განზე დარჩა. ამრიგად, ბ-ნ კარიშევს არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ საერობო-სტატისტიკური ცნობები უარჰყოფენ ნაროდნიკულ წარმოდგენას იჯარაზე და ცხადჰყოფენ შეძლებული გლეხობის მიერ ღარიბთა გამოდევნას. მაგრამ მან არაზუსტად დაახასიათა ეს მოვლენა, ვერ შეისწავლა იგი ყოველმხრივ, ამ ცნობების მიმართ წინააღმდეგობაში მოექცა და განიმეორა ძველი სიმღერა «შრომითს საწყისზე» და სხვ. მაინც გლეხობაში არსებული ეკონომიური წინააღმდეგობისა და ბრძოლის უბრალო აღნიშვნაც კი ერეს ად მოეჩვენათ ბბ. ნაროდნიკებს, და ისინი შეუდგნენ ბ-ნ კარიშევის თავისებურად «შესწორებას». აი როგორ შვრება ამას ბ-ნი ნ.—ონი, რომელიც «იყენებს», როგორც თვითონ ამბობს (გვ. 153, შენიშ.), ბ-ნ ნ. კაბლუკოვის შენიშვნებს ბ-ნ კარიშევის წინააღმდეგ. თავისი «ნარკვევების» IX §-ში ბ-ნი ნ.—ონი მსჯელობს იჯარისა და მისი სხვადასხვანაირი ფორმების შესახებ. «როცა გლეხის მფლობელობაში, — ამბობს ის, — არის იმდენი მიწა, რომ მას შეუძლია საკუთარ მიწაზე გაწეული სამიწათმოქმედო შრომით არსებობა, მაშინ ის მიწას იჯარით არ იღებს» (152). ამნაირად, საგლეხო იჯარის მეწარმეობითს ხასიათს, მდიდრების მიერ იჯარის ხელში ჩაგდებას, რომლებიც ხვნა-თესვას სავაჭრო მიზნით ეწევიან, ბ-ნი ნ.—ონი უყოყმანოდ უარჰყოფს. მისი დამამტკიცებელი საბუთები? —

სრულიად არავითარი: «სახალხო წარმოების» თეორია კი არ მტკიცდება, არამედ დეკრეტის სახით ცხადდება. ბ-ნ კარიშევის წინააღმდეგ ბ-ნ ნ.—ონს ხვალინსკის მაზრის საერობო კრებულიდან მოჰყავს ცხრილი, რომელიც ამტკიცებს, რომ «მუშა პირუტყვის თანაბარი რაოდენობის პირობებში, რაც უფრო ნაკლებია სანადელო მიწა, მით უფრო საჭირო ხდება ამ დანაკლისის იჯარით შევსებაო» (153)*, და კიდევ: «თუ გლეხები პირუტყვის ფლობის მხრით სრულებით თანაბარ პირობებში არიან ჩაყენებულნი, და თუ მათ მეურნეობაში მოეპოვებათ საკმაო მუშახელი, მაშინ ისინი მით უფრო მეტ მიწას იღებენ, რაც უფრო ნაკლებ ნადელს ჰფლობენ» (154). მკითხველი ხედავს, რომ ამგვარი «დასკვნები» უბრალო სიტყვიერი ჩხირკედელაობაა ბ-ნ კარიშევის არაზუსტი ფორმულირების გამო, რომ ბ-ნი ნ.—ონი საკითხს, თუ რა კავშირი აქვს იჯარას შეძლებასთან, პირდაპირ აფუჩეჩებს უშინაარსო წვრილმანებით. განა თავისთავად ცხადი არ არის, რომ მუშა პირუტყვის თანაბარი რაოდენობის პირობებში, რაც უფრო ნაკლებია საკუთარი მიწა, მით უფრო მეტია იჯარა? ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან აქ თანაბარ რაოდენობად არის მიჩნეული სწორედ ის შეძლება, რომლის განსხვავებაზეც არის მსჯელობა. ბ-ნ ნ.—ონის მტკიცება, რომ გლეხები, რომელთაც საკმარისი მიწა აქვთ, იჯარას არ იღებენო, ამით სრულიად არ დასტურდება, და ბ-ნ ნ.—ონის ცხრილები მხოლოდ იმას ამჟღავნებენ, რომ მას არ ესმის თავის მიერვე მოყვანილი ციფრები: სანადელო მიწის რაოდენობის მიხედვით გლეხების ერთმანეთთან შეტოლებით ის კიდევ უფრო აშკარად ხდის «შეძლების» როლს და მდიდრების მიერ იჯარის ხელში ჩაგდებას ღარიბთა მიერ მიწის გაცემასთან დაკავშირებით (რა-

* სავსებით ასეთსავე ცხრილს იძლევიან სტატისტიკოსები კამიშინის მაზრის შესახებაც. «სარატოვის გუბ. სტატისტიკური ცნობების კრებული», ტ. XI. კამიშინის მაზრა, გვ. 249 და შემდ. ამიტომ ჩვენ სავსებით შეგვიძლია ვისარგებლოთ ცნობებით ჩვენ მიერ აღებული მაზრის შესახებ.

საკვირველია, მიწის ეს გაცემა ხდება იმავე შეძლებულ გლეხებზე)*. გაიხსენოს მკითხველმა ახლა მოყვანილი ცნობები კამიშინის მაზრაში იჯარის განაწილების შესახებ; წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ გამოვყავით «მუშა პირუტყვის თანაბარი რაოდენობის მყოლი» გლეხები, დავყავით ისინი კატეგორიებად ნადელის კვალობაზე და ქვეჯგუფებად მომუშავეთა მიხედვით და ვაცხადებთ, რომ რაც უფრო ნაკლებია მიწა, მით უფრო მეტ მიწას იღებენ ისინი იჯარით და სხვ. განა ასეთი ხერხის გამო გაჰქრება შეძლებული გლეხობის ჯგუფი? ბ-მა ნ.—ონმა კი თავის ცარიელი ფრაზებით მიაღწია სწორედ იმას, რომ ეს ჯგუფი გაჰქრა, და ბ-ნ ნ.—ონს საშუალება მიეცა ძველი ნაროდნიკული ცრუაზრები გაემეორებინა.

ბ-ნ ნ.—ონის ამ სრულიად გამოუსადეგარ ხერხს — გლეხთა იჯარის გამოანგარიშებას თვითეულ კომლზე 0,1, 2 და მეტი მომუშავის მყოლი ჯგუფების მიხედვით — იმეორებს ბ-ნი ლ. მარესიც თავის წიგნში «მოსავლისა და პურის ფასის გავლენა და სხვ.» (I, 34). აი პატარა მაგალითი იმ «საშუალო» ციფრებისა, რომლებითაც თამამად სარგებლობს ბ-ნი მარესი (წიგნის სხვა ავტორების მსგავსად, რომელიც დაწერილია წინასწარ განზრახული ნაროდნიკული თვალსაზრისით). მელიტოპოლის მაზრაშიო, — მსჯელობს ის, — თვითეულ მოიჯარადრე კომლზე მოდის 1,6 დესეტინა იჯარა იქ, სადაც მამრ. სქესის მუშები არა ჰყავთ; 4,4 დეს., — სადაც თითო მუშაა; 8,3, — სადაც ორი მუშაა; 14,0, — სადაც სამი მუშაა (გვ. 34). დასკვნა კი ასეთია: «იჯარა დაახლოებით თანაბრად არის განაწილებული ყოველ სულზე»!! ბ-მა მარესმა საჭიროდ არ მიიჩნია დაენახა იჯარის ნამდვილი განაწილება სხვადასხვა სამეურნეო შეძლების კომლთა ჯგუფების მიხედვით, თუმცა მას ეს შეეძლო გაეგო ბ-ნ ვ. პოსტნიკოვის წიგნიდანაც და საერობო კრებულებიდანაც. «საშუალო» ციფრი —

* ჯერ კიდევ ბ-მა პ. სტრუვემ მიუთითა თავის «კრიტიკულ შენიშვნებში», რომ ბ-ნ ნ.—ონის მიერ მოყვანილი ცნობები მისსავე დასკვნებს აბათილებენ.

4,4 დეს. იჯარა თვითეულ მოიჯარადრე კომლზე იმ ჯგუფში, სადაც კომლზე ერთი მამრ. სქესის მუშა მოდის, მიღებულია ისეთი ციფრების შ ე ე რ თ ე ბ ი თ, როგორც 4 დ ე ს. იმ კომლთა ჯგუფში, რომელნიც თესენ 5 — 10 დეს. და რომელთაც ჰყავთ 2 — 3 მუშა პირუტყვი, — და 38 დეს. იმ კომლთა ჯგუფში, რომელნიც თესენ 50 დესეტინაზე მეტს და რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი მუშა პირუტყვი (იხ. კრებული მელიტოპოლის მაზრის შესახებ, გვ. დ. 10 — 11). გასაკვირველი არ არის, რომ მდიდრების და ღარიბების შ ე ე რ თ ე ბ ი თ და საკრებთა რიცხვზე გაყოფით შეიძლება ყველგან, სადაც გნებავთ, მიიღოთ «თანაბარი განაწილება»!

ნამდვილად კი მელიტოპოლის მაზრაში მდიდართა 21% კომლს (რომელნიც თესენ 25 და მეტ დესეტინას), რაც შეადგენს გლეხური მოსახლეობის 29,5%, — მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველაზე მეტად არიან უზრუნველყოფილნი სანადელო და ნაყიდი მიწით, — ეკუთვნის იჯარით აღებული მთელი სახნავ-სათესი მიწის 66,3% (კრებული მელიტოპოლის მაზრის შესახებ, გვ. ბ. 190 — 194). პირიქით, ღარიბთა 40% კომლს (რომელნიც თესენ 10 დესეტინამდე), რაც შეადგენს გლეხური მოსახლეობის 30,1%-ს, თუმცა ისინი სანადელო და ნაყიდი მიწით ყველაზე ნაკლებად არიან უზრუნველყოფილნი, ეკუთვნის იჯარით აღებული მთელი სახნავი მიწის 5,6%. როგორც ხედავთ, ეს ძალიან ჰგავს «თანაბარ სულადობრივ განაწილებას»!

ბ-ნი მარესი მთელ თავის გაანგარიშებას გლეხური იჯარის შესახებ იმ «ვარაუდზე» ამყარებს, რომ «მოიჯარადრე კომლები უმეტეს ნაწილად ეკუთვნიან ორ, უზრუნველყოფილობის მხრით დაბალ ჯგუფს» (იგულისხმება ნ ა დ ე ლ ი თ უზრუნველყოფა); რომ «იჯარით აღებული მიწა მოიჯარადრე მოსახლეობაში თანაბრად არის განაწილებული სულადობის (sic!) მიხედვით»; რომ «იჯარა განაპირობებს გლეხების გადასვლას უზრუნველყოფილობის მხრივ დაბალი ჯგუფებიდან უმაღლეს ჯგუფებში» (34 — 35). ჩვენ უკვე ცხადვყავით, რომ ბ-ნ მ ა რ ე ს ი ს მ თ ე ლ ი ე ს «ვ ა რ ა უ დ ი» პ ი რ დ ა პ ი რ ე წ ი-

ნააღმდეგება სინამდვილეს. სინამდვილეში ყოველივე ეს სულ სხვანაირად არის, ბ-ნ მარესს არ შეეძლო არ შეემჩნია ეს, თუ სამეურნეო ცხოვრების უთანასწორობაზე მსჯელობის დროს (გვ. 35) აიღებდა ცნობებს კომლთა დაჯგუფებაზე სამეურნეო ნიშნების (და არა ნადელის ფლობის) მიხედვით და არ დაკმაყოფილდებოდა ნაროდნიკული ცრუაზრების ცარიელი «ვარაუდით».

შევადაროთ ახლა კამიშინის მაზრა სარატოვის გუბერნიის სხვა მაზრებს. გლეხთა ჯგუფებს შორის თანაფარდობა ყველგან ერთგვარია, როგორც ამას მოწმობენ ქვემომოყვანილი ცნობები იმ 4 მაზრისა (ვოლსკის, კუზნეცკის, ბალაშოვისა და სერდობსკის), სადაც, როგორც ვთქვით, შეერთებულია საშუალო და შეძლებული გლეხობა:

სარატოვის გუბერნიის ოთხი მაზრა

%%-ობით ჯამის მიმართ

მეურნეთა ჯგუფები	კომლები	ორივე სქესის მოსახლეობა	პირუტყვი სულ	სანადელო მიწა	ივარა	მთელი მიწათ-სარგებლობა	ნათესი
მუშა პირუტყ. არმყ.	24,4	15,7	3,7	14,7	2,1	8,1	4,4
1 სული მუშა პირ.	29,6	25,3	18,5	23,4	13,9	19,8	19,2
2 და მეტი	46,0	59,0	77,8	61,9	84,0	72,1	76,4
სულ	100	100	100	100	100	100	100

მაშასადამე, ჩვენ ყველგან ვხედავთ ღარიბი გლეხობის შევიწროებას შეძლებული გლეხობის მიერ. მაგრამ კამიშინის მაზრაში შეძლებული გლეხობა რიცხობრივადაც უფრო მეტია და უფრო მდიდარი, ვიდრე სხვა მაზრებში. ასე, გუბერნიის 5 მაზრაში (კამიშინის მაზრის ჩათვლით) მუშა პირუტყვის მიხედვით კომლები ნაწილდებიან შემდეგნაირად: მუშა პირუტყვის არმყოლნი — 25,3%; ერთი სული პირუტყვით — 25,5%; ორით — 20%; სამით — 10,8%; ოთხით და მეტით — 18,4%, მაშინ როდესაც კამიშინის მაზრაში, როგორც დავინახეთ, შეძლებული ჯგუფი მეტია, მაგრამ, სამაგიეროდ, მცირე შეძლების გლეხთა რიცხვი რაოდენადმე უფრო ნაკლებია.

შემდეგ, თუ შევაერთებთ საშუალო და შეძლებულ გლეხობას, ე. ი. ავიღებთ კომლებს, რომლებსაც 2 და მეტი მუშა პირუტყვი ჰყავთ, მივიღებთ ასეთ შედეგებს მაზრების მიხედვით:

მოდის 1 კომლზე, რომელსაც 2 და მეტი სული მუშა პირუტყვი ჰყავს

	კამიშინის	ვოლსკის	კუზნეცკის	ბალაშოვის	სერდობსკის
მუშა პირუტყვი	3,8	2,6	2,6	3,9	2,6
სულ »	9,5	5,3	5,7	7,1	5,1
სანადელო მიწა, დეს.	12,4	7,9	8	9	8
იჯარით აღებ. » »	9,5	6,5	4	7	5,7
ნათესი » »	17	11,7	9	13	11

ესე იგი კამიშინის მაზრაში შეძლებული გლეხობა უფრო მდიდარია. ეს მაზრა ყველაზე მრავალმიწიანი მაზრაა: მამრ. სქესის თვითეულ სარევიზიო[40] სულზე მოდის 7,1 დეს., მთელ გუბერნიაში კი — 5,4 დეს. მაშასადამე, «გლეხობის» მრავალმიწიანობა მხოლოდ გლეხური ბურჟუაზიის მეტ სიმრავლეს და მეტ სიმდიდრეს მოასწავებს.

ამით ვათავებთ სარატოვის გუბერნიაზე ცნობების განხილვას, ამასთან საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ გლეხთა კომლების დაჯგუფების საკითხზე. როგორც მკითხველი, ალბათ, შეამჩნევდა, ჩვენ უარვყოფთ a limine* ნადელის მიხედვით დაჯგუფებას და ვსარგებლობთ დაჯგუფებით მხოლოდ და მხოლოდ სამეურნეო შეძლების მიხედვით (მუშა პირუტყვისა და ნათესის მიხედვით). საჭიროა ამ ხერხის დასაბუთება. ნადელის მიხედვით დაჯგუფება გაცილებით უფრო მეტად არის გავრცელებული ჩვენს საერობო სტატისტიკაში, და მის დასაცავად ჩვეულებრივ მოჰყავთ ორი შემდეგი, პირველი შეხედვით ძალიან დამაჯერებელი საბუთი**. ჯერ ერთი, ამბობენ, მიწათმოქმედი გლეხობის ყოფაცხოვ-

---

* — თავიდანვე. რ ე დ.

** იხ., მაგალითად, სარატოვის გუბერნიის «კრებულის», სამარის გუბერნიის «შენაჯერი კრებულის», ვორონეჟის გუბ. 4 მაზრის შეფასებითი მონაცემების «კრებულის» შესავალები და სხვ. საერობო-სტატისტიკური გამოცემები.

რების შესასწავლად ბუნებრივი და აუცილებელია მიწის მიხედვით დაჯგუფებაო. — ასეთი საბუთი უგულებელჰყოფს რუსეთის ცხოვრების არსებით თავისებურებას, სახელდობრ: არათავისუფალ ხასიათს სანადელო მიწათმფლობელობისას, რომელსაც, კანონის ძალით, გათანაბრებითი ხასიათი აქვს და რომლის მობილიზაცია უაღრესად შეზღუდულია. მიწათმოქმედი გლეხობის დაშლის მთელი პროცესი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრება გვერდს უვლის ამ იურიდიულ ჩარჩოებს. როცა ვსარგებლობთ ნადელის მიხედვით დაჯგუფებით, ჩვენ ვაერთებთ ღარიბს, რომელიც იჯარით სცემს მიწას, და მდიდარს, რომელიც იჯარით იღებს ან ყიდულობს მიწას; — ღარიბს, რომელიც ტოვებს მიწას, და მდიდარს, რომელიც მას «ჰკრებს»; — ღარიბს, რომელიც ეწევა უცუდეს მეურნეობას და რომელსაც ძალიან ცოტა პირუტყვი ჰყავს, და მდიდარს, რომელსაც ჰყავს დიდძალი პირუტყვი, ანოყიერებს მიწას, შეაქვს თავის მეურნეობაში გაუმჯობესება და სხვ. და სხვ. სხვანაირად რომ ვთქვათ, — ჩვენ ვაერთებთ სოფლის პროლეტარს სოფლის ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან. ასეთი შეერთებით მიღებული «საშუალო» სავსებით ჩ ქ მ ა ლ ა ვ ს დ ა შ ლ ა ს და ამიტომ იგი სავსებით ფიქციურია*. ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი კომბი-

* ვსარგებლობთ იშვიათი შემთხვევით, რომ აღვნიშნოთ ჩვენი სოლიდარობა ბ-ნ ვ. ვ.-ს აზრთან; იგი თავის 1885 და შემდგომი წლების საჟურნალო წერილებში მიესალმა «საერობო-სტატისტიკური გამოცემების ახალ ტიპს», სახელდობრ კომბინაციურ ცხრილებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ კომლობრივი ცნობები დავაჯგუფოთ არა მარტო ნადელის, არამედ სამეურნეო შეძლების მიხედვითაც. «საჭიროა, — წერდა მაშინ ბ-ნი ვ. ვ., — ციფრობრივი ცნობები შეუფარდო გ ლ ე ხ ე ბ ი ს ა რ ა ს უ ლ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ე კ ო ნ ო მ ი უ რ ჯ გ უ ფ თ ა ი ს ე თ კ ო ნ გ ლ ო მ ე რ ა ტ ს, რ ო გ ო რ ი ც ა ა ს ო ფ ე ლ ი ა ნ თ ე მ ი, ა რ ა მ ე დ თ ვ ი თ ა მ ჯ გ უ ფ ე ბ ს» (ვ. ვ. «ადგილობრივი სტატისტიკური გამოცემის ახალი ტიპი», გვ. 189 და 190, «სევერნი ვესტნიკ», 1885 წ., № 3. ციტირებულია სარატოვის გუბ. «კრებულის» შესავალში, გვ. 36). დიდად სამწუხაროდ, ბ-ნი ვ. ვ. თავის არც ერთ მერმინდელ ნაშრომში არ ცდილა განეხილა ცნობები გლეხობის სხვადასხვა ჯგუფის შესახებ და, როგორც დავინახეთ,

ნაციური ცხრილები სარატოველი სტატისტიკოსებისა შესაძლებლად ხდიან ნათლად დავინახოთ ნადელის მიხედვით დაჯგუფების უვარგისობა. ავიღოთ, მაგალითად, უნადელო გლეხების კატეგორია კამიშინის მაზრაში (იხ. «შენაჯერი», გვ. 450 და შემდ. კამიშინის მაზრის კრებული, ტ. XI, გვ. 174 და შემდ.). «შენაჯერის» შემდგენელი, როცა ახასიათებს ამ კატეგორიას, მის ნათეს ფართობს «მეტად მცირედად» სთვლის («შესავალი», გვ. 45), ე. ი. მიაკუთვნებს მას ღარიბ გლეხობას. ავიღოთ ცხრილები. ამ კატეგორიის «საშუალო» ნათესი ფართობია 2,9 დეს. თითო კომლზე. მაგრამ შეხედეთ, საიდან გამოდის ეს «საშუალო»: შეერთებული არიან მსხვილი მთესველნი (18 დეს. კომლზე 5 და მეტი სული მუშა პირუტყვის მყოლ ჯგუფში; ამ ჯგუფის კომლთა რიცხვი მთელ კატეგორიაში $^1/_8$-მდეა, მაგრამ მათ ხელშია ამ კატეგორიის მთელი ნათესის ნახევრამდე) — და ღარიბები, უცხენოები, რომლებსაც კომლზე 0,2 დესეტინა ნათესი აქვთ! აიღეთ მოჯამაგირიანი კომლები. სულ ისინი კატეგორიაში ძალიან ცოტანი არიან — 77, ე. ი. 2,5%. მაგრამ ამ 77-დან 60 ეკუთვნის უმაღლეს ჯგუფს, რომელიც თესავს 18 დეს. კომლზე, და მასში მოჯამაგირიანი კომლები შეადგენენ უკვე 24,5%. ცხადია, რომ ჩვენ ვჩქმალავთ გლეხობის დაშლას, უკეთეს მდგომარეობაში წარმოვიდგენთ შეუძლო გლეხობას, ვიდრე ეს ნამდვილად არის (მდიდრების მიმატებით და საშუალო გლეხების გამოკლებით), მდიდარი გლეხობა კი, პირიქით, უფრო ნაკლებ შეძლებულად გამოგვყავს, რადგან მრავალნადელიანთა კატეგორიაში შეძლებულთა უმრავლესობასთან ერთად შედიან შეუძლონიც (ცნობილია, რომ მრავალნადელიან თემებშიც ყოველთვის არიან შეუძლონი). ჩვენთვის ახლა ცხადია, რომ ნადელის მიხედვით დაჯგუფების

მიჩქმალა კიდეც ბ-ნ ვ. პოსტნიკოვის წიგნის ფაქტიური ნაწილი, რომელშიც ავტორმა თითქმის პირველმა სცადა დაემუშავებინა ცნობები გლეხობის სხვადასხვა ჯგუფის შესახებ და არა «სულ სხვადასხვაგვარ ჯგუფთა კონგლომერატების შესახებ». რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

დასაცავად წამოყენებული მეორე საბუთიც არ არის სწორი. ამბობენ, რომ ასეთი დაჯგუფების დროს ჩვენ, ნადელის ოდენობის გადიდების კვალობაზე, ყოველთვის ვიღებთ შეძლების ნიშნების (პირუტყვის, ნათესის და სხვ. რაოდენობა) სწორ გადიდებას. — ეს ფაქტი უდავოა, რადგან სანადელო მიწა კეთილდღეობის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომ მრავალნადელიან გლეხობაში ყოველთვის მეტია გლეხური ბურჟუაზიის წარმომადგენელი, რის გამო ნადელის «საშუალო» ციფრებიც მთელი კატეგორიისთვის მატულობენ. მაგრამ ყოველივე აქედან სრულიად არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს კვლევის ასეთი ხერხი, რომელიც აერთებს სოფლის ბურჟუაზიას და სოფლის პროლეტარიატს, სწორი იყოს.

დასკვნა: გლეხობის შესახებ კომლობრივი მონაცემების დამუშავების დროს არ შეიძლება ნადელის მიხედვით დაჯგუფებას დავჯერდეთ. ეკონომიურმა სტატისტიკამ დაჯგუფებას აუცილებლად უნდა დაუდოს საფუძვლად მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ო დ ე ნ ო ბ ა დ ა ტ ი პ ე ბ ი. ამ ტიპების განსხვავების ნიშნები უნდა შევარჩიოთ ადგილობრივი პირობებისა და მიწათმოქმედების ფორმების შესაბამისად; თუ ექსტენსიური მარცვლეული მეურნეობის მიმართ შეიძლება დავჯერდეთ ნათესის (ანდა მუშა პირუტყვის) მიხედვით დაჯგუფებას, სხვა პირობებში საჭიროა მხედველობაში მივიღოთ სამრეწველო მცენარეები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნიკური დამუშავება, ძირხვენა მცენარეების ან საკვები ბალახის თესვა, სარძეო მეურნეობა, მებოსტნეობა და სხვ. როცა გლეხობა ფართო მასშტაბით აერთებს როგორც სამიწათმოქმედო, ისე სამეწარმეო მოსაქმეობას, — მაშინ საჭიროა დაჯგუფების ორი აღნიშნული სისტემის კომბინაცია, ე. ი. მიწათმოქმედების ოდენობისა და ტიპების მიხედვით დაჯგუფებისა და «სარეწავის» ოდენობისა და ტიპების მიხედვით დაჯგუფებისა. გლეხური მეურნეობის შესახებ კომლობრივი ჩანაწერების შეჯამების ხერხთა საკითხი არც ისე ვიწრო-სპეციალურია და მეორეხარისხოვანი, როგორც პირველი შე-

ხედვით შეიძლება იფიქროს ვინმემ. პირიქით, სრულებით გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ახლა ეს საერობო სტატისტიკის ძირითადი საკითხია. კომლობრივი ცნობების სისრულე და მათი შეკრების ტექნიკა* ახლა უაღრესად გაუმჯობესებულია, მაგრამ არადამაკმაყოფილებელი შეჯამების გამო მრავალი ფრიად ძვირფასი ცნობა პირდაპირ იკარგება, და მკვლევარის განკარგულებაში რჩება მხოლოდ «საშუალო» ციფრები (თემების, ვოლოსტების, გლეხთა ჯგუფების მიხედვით, ნადელის სიდიდის და სხვ. მიხედვით). ეს «საშუალო» ციფრები კი, როგორც უკვე დავინახეთ და ქვემოთაც დავინახავთ, ძალიან ხშირად სრულიად ფიქციურია.

IV. საერობო სტატისტიკის მონაცემები პერმის გუბერნიის შესახებ

განვიხილოთ ახლა საერობო სტატისტიკის მონაცემები ისეთი გუბერნიის შესახებ, რომელიც სავსებით განსხვავებულ პირობებში იმყოფება: პერმის გუბერნიის შესახებ. ვიღებთ კრასნოუფიმსკის მაზრას, რომლის შესახებაც გვაქვს კომლთა დაჯგუფება სამიწათმოქმედო მეურნეობის სიდიდის მიხედვით**. აი საერთო ცნობები მაზრის სამიწათმოქმედო ნაწი-

---

* საერობო აღწერათა ტექნიკის შესახებ, ზემოდასახელებულ გამოცემებს გარდა, იხილე ბ-ნ ფორტუნატოვის სტატია «საერობო სტატისტიკის შედეგების» I ტომში. კომლობრივი ბარათების ნიმუშები დაბეჭდილია «სამარის გუბერნიის შენაჯერი კრებულის» და სარატოვის გუბერნიის «შენაჯერის» «შესავალში», «ორიოლის გუბერნიის სტატისტიკური ცნობების კრებულში» (ტ. II, ელეცის მაზრა), «პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრის სტატისტიკის მასალებში», ნაკვეთი IV. განსაკუთრებული სისრულით არის შედგენილი ბარათი პერმის გუბერნიის შესახებ.

** «პერმის გუბ. კრასნოუფიმსკის მაზრის სტატისტიკის მასალები». ნაკვ. III. ცხრილები. ყაზანი, 1894. შესადარებლად ქვემოთ მოვიყვანთ უმთავრეს ცნობებს ეკატერინბურგის მაზრის შესახებაც, სადაც ასეთივე დაჯგუფება არის ნაჩვენები. «პერმის გუბ. ეკატერინბურგის მაზრის სტატისტიკური ცნობების კრებული». ეკატერინბურგის სამაზრო ერობის გამოცემა. ეკატერინბურგი, 1891.

ლის შესახებ (23 574 კომლი — 129 439 სული ორივე სქესისა).

მეურნეთა ჯგუფები	კომლთა %	% ორივე სქესის მოსახლეობისა	ნათესი 1 კომლ., დეს.	% ნათესის მთელი რაოდენობის მიმართ				პირუტყვი 1 კომლზე: მეზა პირუტყვი	სულ. მსხ. პირუტ. დაფაუ.	% პირუტყვის მთელი რაოდენ. მიმართ	
მიწას არ ამუშავებ.	10,2	6,5	—	—	8,9			0,3	0,9	1,7	15,4
ამუშავებენ 5 დეს.	30,3	24,8	1,7	8,9				1,2	2,3	13,7	
» 5—10 »	27,0	26,7	4,7	22,4				2,1	4,7	24,5	
» 10—20 »	22,4	27,3	9,0	35,1				3,5	7,8	33,8	
» 20—50 »	9,4	13,5	17,8	28,9	33,6	68,7		6,1	12,8	23,2	26,3	60,1
» 50 დეს. მეტს	0,7	1,2	37,3	4,7				11,2	22,4	3,1	
სულ	100	100	5,8	100				2,4	5,2	100	

მაშასადამე, აქაც, მიუხედავად იმისა, რომ ნათესის ოდენობა გაცილებით უფრო მცირეა, ჩვენ ვხედავთ იმავე თანაფარდობას ჯგუფთა შორის, ნათესისა და პირუტყვის იმავე კონცენტრაციას შეძლებული გლეხობის მცირე ჯგუფის ხელში. თანაფარდობა მიწათმფლობელობასა და მიწის ნამდვილ სამეურნეო სარგებლობას შორის აქაც ისეთივეა, როგორიც ჩვენთვის უკვე ცნობილ გუბერნიებში *.

მეურნეთა ჯგუფები	კომლი	ორივე სქესის მოსახლეობა	პროცენტი მიწის მთელი რაოდენობის მიმართ: სანადელო	იჯარით აღებული	იჯარით გაცემული	მთელი მიწათ-სარგებლობა
მიწას არ ამუშავებენ	10,2	6,5	5,7	0,7	21,0	1,6
ამუშავებენ 5 დეს.-დე	30,3	24,8	22,6	6,3	46,0	13,7
» 5—10 »	27,0	26,7	26,0	15,9	19,5	19,8
» 10—20 »	22,4	27,3	28,3	33,7	10,3	32,8
» 20—50 »	9,4	13,5	15,5	36,4	2,9	29,8
» 50 დეს. მეტს	0,7	1,2	1,9	7,0	0,3	5,3
სულ	100	100	100	100	100	100

* სულ ამ გლეხებს (ყველა ჯგუფს) აქვთ სანადელო მიწა — 410 428 დეს., ე. ი. «საშუალოდ» თითო კომლზე 17,5 დეს. შემდეგ, გლეხების მიერ იჯარით აღებული სახნავ-სათესი — 53 882 დეს. და სათიბები — 597 180 დეს., სულ, მაშასადამე, 651 062 დეს. (სახნავ-სათესი იჯარით აღებული

იგივე სურათია: უფრო უზრუნველყოფილი და შეძლებული გლეხების მიერ იჯარის ხელში ჩაგდება; სანადელო მიწის გადასვლა შეუძლო გლეხობისაგან შეძლებული გლეხების ხელში (იჯარით გაცემის საშუალებით); სანადელო მიწის როლის შემცირება, რაც ხდება ორი სხვადასხვა მიმართულებით, სოფლის ორივე პოლუსზე. მკითხველმა უფრო კონკრეტულად რომ წარმოიდგინოს ეს პროცესები, მოგვყავს უფრო დაწვრილებითი ცნობები იჯარის შესახებ:

მეურნეთა ჯგუფები	ერთ კომლზე ორივე სტესის პირნი	ერთ კომლზე სანადელო მიწა, დესეტ.	% სახნავ-სათესის მოიჯ. კომლებისა	1 მოიჯ. კომლზე სახნავ-სათესი, დესეტ.	% სათიბის მოიჯარადრე კომლებ.	სათიბი 1 მოიჯარ. კომლზე, დესეტ.
მიწას არ ამუშავებენ	3,51	9,8	0,0	0,7	7,0	27,8
ამუშავებენ 5 დეს.-დე	4,49	12,9	19,7	1,0	17,7	31,2
» 5—10 »	5,44	17,4	34,2	1,8	40,2	39,0
» 10—20 »	6,67	21,8	61,1	4,4	61,4	63,0
» 20—50 »	7,86	28,8	87,3	14,2	79,8	118,2
» 50 დეს. მეტს	9,25	44,6	93,2	40,2	86,6	261,0
სულ	5,49	17,4	37,7	6,0	38,9	65,0

მაშასადამე, გლეხობის უმაღლეს ჯგუფებში (რომელთა ხელში, როგორც უკვე ვიცით, თავმოყრილია იჯარის უმეტესი ნაწილი) იჯარას, ეკონომისტ-ნაროდნიკების საყოველთაოდ გავრცელებული აზრის წინააღმდეგ, აშკარად სამრეწველო, მეწარმოებითი ხასიათი აქვს.

გადავდივართ ცნობებზე დაქირავებული შრომის შესახებ; ამ მაზრის სათანადო მონაცემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი სისრულის გამო (სახელდობრ: დამატებულია ცნობები დღიური მუშების დაქირავების შესახებ):

აქვს 8 903 კომლს, სათიბი — 9 167 კომლს) და იჯარით სცემენ სანადელო მიწას: სახნავს — 50 548 დეს. (8 553 მეურნე) და სათიბს — 7 186 დეს. (2 180 მეურნე), სულ 57 734 დეს.

მეურნეობათა ჯგუფები	მუშა მამაკაცთა რიცხვი 1 კომლზე	მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც დაქირავებული ჰყავთ მუშები				% მეურნეობათა, რომელთაც დაქირავებული ჰყავთ მუშები			
		ვადიანი მუშები	სეზონიანად	საშუალოდ	სულწარად	ვადიანი მუშები	სეზონიანად	საშუალოდ	სულწარად
მიწას არ ამუშავებ.	0,6	4	16	—	—	0,15	0,6	—	—
ამუშ. 5 დეს.	1,0	51	364	340	655	0,7	5,1	4,7	9,2
» 5—10 »	1,2	268	910	1 385	1 414	4,2	14,3	20,1	22,3
» 10—20 »	1,5	940	1 440	2 325	1 371	17,7	27,2	43,9	25,9
» 20—50 »	1,7	1 107	1 043	1 542	746	50,0	47,9	69,6	33,7
» 50 დეს. მეტს	2,0	143	111	150	77	83,1	64,5	87,2	44,7
სულ	1,2	2 513	3 884	5 742	4 263	10,6	16,4	24,3	18,8

ჩვენ აქ ვხედავთ სარატოველ სტატისტიკოსთა იმ აზრის თვალსაჩინო გაბათილებას, თითქოს დღიური მუშების დაქირავება მეურნეობის ძლიერების თუ სისუსტის დამახასიათებელი ნიშანი არ იყოს. პირიქით, ეს უაღრესად დამახასიათებელი ნიშანია გლეხური ბურჟუაზიისა. დღიურად დაქირავების ყველა სახეობის მხრით ჩვენ ვამჩნევთ დამქირავებელ მეურნეთა პროცენტის ზრდას შეძლების ზრდასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ უფრო შეძლებული გლეხობა უფრო უზრუნველყოფილია ოჯახის მუშებითაც. ოჯახური კოოპერაცია აქაც კაპიტალისტური კოოპერაციის ბაზისს წარმოადგენს. შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ მუშების დღიურად დამქირავებელ მეურნეობათა რიცხვი $2\frac{1}{2}$-ჯერ აღემატება იმ მეურნეობათა რიცხვს, რომელნიც ქირაობენ ვადიან მუშებს (საშუალოდ მთელ მაზრაში) — ჩვენ ვიღებთ დღიურად დაქირავებულ მკელებს. სამწუხაროდ, სტატისტიკოსები არ იძლევიან იმ მეურნეობათა საერთო რიცხვს, რომელნიც ქირაობენ დღიურ მუშებს, თუმცა ასეთი ცნობები მოიპოვება. სამ უმაღლეს ჯგუფში 7 679 კომლიდან 2 190 კომლი ქირაობს მოჯამაგირეებს, ხოლო დღიურ' მუშებს სამკელად ქირაობს 4 017 კომლი, ე. ი. შეძლებულ გლეხთა ჯგუფის უმრავლესობა. რასაკვირველია, დღიური მუშების დაქირავება მარტო პერმის გუბერნიის თავისებურება როდია, და თუ ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ გლეხობის შეძლებულ ჯგუფებში მოჯამაგირეებს ქირაობენ ამ ჯგუფების მეურნეთა მთელი რიცხვის 2-დან 6 და 9 მეათედამდე, აქედან პირდაპირ

გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა. შეძლებულ გლეხთა კომლების უმრავლესობა ამა თუ იმ ფორმით სარგებლობს დაქირავებული შრომით. შეძლებული გლეხობის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების კონტინგენტის გაჩენა. ბოლოს, დიდად საინტერესოა აღინიშნოს, რომ დღიური მუშების დამქირავებელ მეურნეობათა რიცხვის შეფარდება მოჯამაგირეების დამქირავებელ მეურნეობათა რიცხვთან კლებულობს გლეხობის დაბალი ჯგუფებიდან უმაღლესი ჯგუფებისკენ. დაბალ ჯგუფებში დღიური მუშების დამქირავებელ მეურნეობათა რიცხვი ყოველთვის აღემატება, და ბევრადაც აღემატება, მოჯამაგირეების დამქირავებელ მეურნეობათა რიცხვს. უმაღლეს ჯგუფებში კი, პირიქით, მოჯამაგირეების დამქირავებელ მეურნეობათა რაოდენობა ზოგჯერ უფრო მეტიც არის, ვიდრე დღიური მუშების დამქირავებელ მეურნეობათა რაოდენობა. ეს ფაქტი აშკარად მოწმობს გლეხობის უმაღლეს ჯგუფებში ნამდვილ მოჯამაგირიან მეურნეობათა გაჩენას, რომელნიც დამყარებულნი არიან დაქირავებული შრომის მუდმივად გამოყენებაზე; დაქირავებული შრომა უფრო თანაბრად ნაწილდება წლის დროთა მიხედვით და საჭირო აღარ ხდება დღიური მუშების დაქირავება, რაც უფრო ძვირი ჯდება და უფრო მეტ დავიდარაბასაც იწვევს. აქვე მოვიყვანოთ ცნობები ვიატკის გუბ. ელაბუგის მაზრაში დაქირავებული შრომის შესახებ (შეძლებული გლეხობა აქ შეერთებულია საშუალოსთან).

მეურნეთა ჯგუფები	კომლი		ორივე სქესის პირთა	დაქირავებული მუშები				მთელი პირუტყვ.	სანადელო სახნავ-საო�	% კომლ.	
				ვადიანი		დღიური				მოჯამაგირეები	მიწის გაქცევი
	რიცხ.	%	%	რიცხ.	%	რიცხ.	%	%	%		
უცხენონი	4 258	12,7	8,8	56	3,2	16 131	10,6	1,4	5,5	7,9	42,3
1 ცხენიანნი	12 851	38,2	33,3	218	12,4	28 015	18,6	24,5	27,6	23,7	21,8
მრავალცხენიან.	16 484	49,1	58,4	1 481	84,4	106 318	70,8	74,1	66,9	35,3	9,1
სულ	33 593	100	100	1 755	100	150 364	100	100	100	27,4	18,1

თუ ვიგულისხმებთ, რომ ყოველი დღიური მუშა თითო თვეს მუშაობს (28 დღე), მაშინ დღიური მუშების რიცხვი სამჯერ მეტი იქნება ვადიანი მუშების რიცხვთან შედარებით. გაკვრით აღვნიშნავთ, რომ ვიატკის გუბერნიაშიც იმავე, ჩვენთვის უკვე ცნობილ, შეფარდებას ვხედავთ ჯგუფთა შორის მუშების დაქირავების, მიწის იჯარით აღებისა და გაცემის მხრივ.

ფრიად საინტერესოა პერმელ სტატისტიკოსთა მიერ მოყვანილი კომლობრივი ცნობები მიწის განოყიერების შესახებ. აი ამ ცნობების დამუშავების შედეგი.

მ ე უ რ ნ ე თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი		% მეურნეობათა, რომელთაც საზოგადოდ გააქვთ ნაკელი	1 კომლზე გაჰქონდათ ნაკელი ურმობით (გამტან კომლ.)
დამმუშავებელნი	5 დეს.-მდე	33,9	80
»	5—10 »	66,2	116
»	10—20 »	70,3	197
»	20—30 »	76,9	358
»	50 დეს. მეტისა	84,3	732
	ს უ ლ	51,7	176

ამნაირად, აქაც ვხედავთ ღრმა განსხვავებას მეურნეობის სისტემაში და წესში, რაც არსებობს ღარიბ და შეძლებულ გლეხთა შორის. და ასეთი განსხვავება უნდა იყოს ყველგან, რადგან შეძლებული გლეხობა ყველგან ეუფლება გლეხის პირუტყვის უმეტეს ნაწილს და მეტი შესაძლებლობა აქვს დახარჯოს თავისი შრომა მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ამიტომ, თუ ჩვენ, მაგალითად, ვიცით, რომ რეფორმის შემდეგდროინდელი «გლეხობა» ერთსა და იმავე დროს კიდეც ჰქმნიდა უცხენო და უპირუტყვო კომლთა კონტინგენტს და კიდეც «აუმჯობესებდა სოფლის მეურნეობის კულტურას» მიწის განოყიერებით (რაც დაწვრილებით აწერილი აქვს ბ-ნ ვ. ვ.-ს თავის წიგნში: «პროგრესული მიმართულებანი გლეხურ მეურნეობაში», გვ. 123 — 160 და შემდ.), ეს სრული სიცხადით გვიჩვენებს, რომ «პროგრესული მიმართულებანი» მხოლოდ და მხოლოდ სოფლის ბურჟუაზიის პროგრესს მოასწავებენ. კიდევ უფრო აშკარად მეღავნდება ეს გაუმ-

ჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღთა განაწილებით, რომელთა შესახებაც არის აგრეთვე ცნობები პერმის სტატისტიკაში. თუმცაღა, ეს ცნობები შეკრებილია მაზრის არა მთელი სამიწათმოქმედო ნაწილის, არამედ მისი მხოლოდ მე-3, მე-4 და მე-5 რაიონების შესახებ, რომელნიც მოიცავენ 15 076 კომლს 23 574 კომლიდან. აღნუსხულია შემდეგი გაუმჯობესებული იარაღები: სანიავებელი — 1 049, დამხარისხებელი — 225 და სალეწი — 354, სულ — 1 628. განაწილება ჯგუფთა შორის ასეთია:

მეურნეთა ჯგუფები	100 მეურნეობაზე მოდის გაუმჯობესებული იარაღი	სულ გაუმჯობესებული იარაღები	% გაუმჯობესებულ იარაღთა რაოდენობის ჯამის მიმართ
მიწას არ ამუშავებენ	0,1	2	0,1
ამუშავებენ 5 დეს.-დე	0,2	10	0,6
» 5—10 »	1,8	60	3,7
» 10—20 »	9,2	299	18,4
» 20—50 »	50,4	948	58,3 } 77,2
» 50 დეს. მეტს	180,2	309	18,9 }
სულ	10,8	1 628	100

აი კიდევ ილუსტრაცია ბ-ნ ვ. ვ.-ს იმ «ნაროდნიკული» დებულებისა, თითქოს გაუმჯობესებული იარაღებით «ყველა» გლეხი სარგებლობდეს!

ცნობები «სარეწავთა» შესახებ ამჯერად საშუალებას გვაძლევენ გამოვყოთ «სარეწავთა» ორი ძირითადი ტიპი, რომლებიც მოასწავებენ 1) გლეხობის გადაქცევას სოფლის ბურჟუაზიად (სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მფლობელობა) და 2) გლეხობის გადაქცევას სოფლის პროლეტარიატად (სამუშაო ძალის გაყიდვა, ეგრეთწოდებული «სამიწათმოქმედო სარეწავები»). აი ამ დიამეტრალურად მოპირდაპირე ტიპის «მრეწველთა» განაწილება ჯგუფებად *:

* «სამიწათმოქმედო სარეწავები» გამოყოფილია აგრეთვე მხოლოდ სამ უკანასკნელ რაიონში. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება სულ არის 692, სახელდობრ: 132 წყლის წისქვილი, 16 ერბო-კარაქის სახდელი, 97 ფისის და კუპრის სახდელი, 283 «სამჭედლო და სხვ.» და 164 «დუქანი, სამიკიტნო და სხვ.».

მეურნეთა ჯგუფები	100 მეურნეზე მოდის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება	სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულ. განაწ. ჯგუფ. შორის %-ბით ჯამის მიმართ		% სამიწათმოქმედო სარეწავთა მქონე მეურნეობებისა
მიწას არ ამუშავებენ	0,5	1,7		52,3
ამუშავებენ 5 დეს.-დე	1,4	14,3		26,4
» 5—10 «	2,4	22,1		5,0
» 10—20 »	4,5	34,3	61,9	1,4
» 20—50 »	7,2	23,1		0,3
» 50 დეს. მეტს	18,0	4,5		—
სულ	2,9	100		16,2

ამ ცნობების შედარება ნათესის განაწილებისა და მუშების დაქირავების ცნობებთან კვლავ გვიჩვენებს, რომ გლეხობის დაშლა ჰქმნის შინაური ბაზარს კაპიტალიზმისათვის.

ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, თუ რა დიდად მახინჯდება სინამდვილე, როცა მოსაქმეობის სრულიად სხვადასხვაგვარ ტიპებს მოაქცევენ ერთ გროვად «სარეწავთა» ან «საშოვართა» სახელით, როცა «მიწათმოქმედების შეერთებას სარეწავებთან» სახავენ (როგორც, მაგალითად, ბბ. ვ. ვ. და ნ. —ონი) რაღაც თანაბარ, ერთგვაროვან და კაპიტალიზმის გამომრიცხველ რამედ.

დასასრულ, მივუთითებთ ეკატერინბურგის მაზრის ცნობების ერთგვაროვნობაზე. თუ მაზრის 59 709 კომლიდან გამოვყოფთ უმიწო კომლებს (14 601), მარტო სათიბის მქონე კომლებს (15 679) და იმათ, ვისაც მთელი ნადელი (1 612) მიტოვებული აქვთ, დანარჩენი 27 817 კომლის შესახებ მივიღებთ ასეთ ცნობებს: 20 ათას არამთესველ ან მცირემთესველ (5 დეს.-დე) 'კომლს აქვს სულ 41 ათასი დესეტინა ნათესი 124 ათასი დესეტინიდან, ე. ი. $^1/_3$-ზე ნაკლები. პირიქით, 2 859 შეძლებულ კომლს (10 დესეტინაზე მეტი ნათესით) აქვს 49 751 დესეტინა ნათესი, 53 ათასი დესეტინა იჯარა 67 ათასი დესეტინიდან (აქედან 47 ათასი დესეტინა იჯარით აღებული საგლეხო მიწა 55 ათასი დესეტინიდან). ორი მოპირდაპირე ტიპის «სარეწავთა», აგრეთვე მოჯამაგირიან კომლთა განაწილება ეკატერინბურგის მაზრაში სავსებით ისეთივეა, როგორიც არის დაშლის ამ ორი მაჩვენებლის განაწილება კრასნოუფიმსკის მაზრაში.

V. საერთო სტატისტიკის მონაცემები ორიოლის გუბერნიის შესახებ

ჩვენს განკარგულებაშია 2 კრებული ამ გუბერნიის ორი მაზრის — ელეცის და ტრუბჩევის შესახებ. კრებულები იძლევიან გლეხთა კომლების დაჯგუფებას მუშა ცხენების რაოდენობის მიხედვით *.

ვაერთებთ ამ ორ მაზრას და მოგვყავს საერთო ცნობები ჯგუფების მიხედვით.

მეურნეთა ჯგუფები	% ოჯახებისა	% ორივე სქესის მოსახლეობისა	საშუალ. მიწა 1 კომლზე დესეტინობ.	% მიწისა: საშუალო	ნაყიდი	% მოიჯარადე კომლებისა	% მიწისა: იჯარით აღებული	გაცემული	მთლად მიწათსარგებლობა: %-ით	1 კომლზე	პირუტყვის სულადობა (ცხვრებიც გადაყვ.)	1 კომლზე	% მთელი პირუტ-ყვისა
უცხენონი	22,9	15,6	5,5	14,5	3,1	11,2	1,5	85,8	4,0	1,7	0,5	3,8	
1-ცხენიანნი	33,5	29,4	6,7	28,1	7,2	46,9	14,1	10,0	25,8	7,5	2,3	23,7	
2—3 »	36,4	42,6	9,6	43,8	40,5	77,4	50,4	3,0	49,3	13,3	4,6	51,7	
4 და მეტ ცხენ.	7,2	12,4	15,2	13,6	49,2	90,2	34,0	1,2	20,9	28,4	9,3	20,8	
სულ	100	100	8,6	100	100	52,8	100	100	100	9,8	3,2	100	

აქედან ჩანს, რომ საერთო თანაფარდობა ჯგუფთა შორის აქაც ისეთივეა, როგორიც ზემოთ დავინახეთ (ნაყიდი და საიჯარო მიწის კონცენტრაცია შეძლებულთა მიერ, ღარიბთა მიწების გადასვლა მათ ხელში და სხვ.). სავსებით ერთგვაროვანია აგრეთვე თანაფარდობა ჯგუფთა შორის დაქირავებული შრომის, «სარეწავთა» და მეურნეობაში «პროგრესულ მიმდინარეობათა» მხრითაც:

* «ორიოლის გუბ. სტატისტიკური ცნობების კრებული», ტ. II, მ. 1887. ელეცის მაზრა, და ტ. III, ორიოლი, 1887, ტრუბჩევის მაზრა. ამ უკანასკნელი მაზრის შესახებ ცნობებში შეტანილი არ არის ქალაქთან ახლომდებარე თემები. ცნობებს იჯარის შესახებ ვიღებთ საერთოს — ვაერთებთ სანადელო და არასანადელო იჯარას. იჯარით გაცემული მიწის რაოდენობა ჩვენ მიერ განსაზღვრულია დაახლოებით იმ კომლთა რიცხვის მიხედვით, რომელნიც მთელ ნადელს სცემენ იჯარით. მიღებული ციფრების საფუძველზე გამორკვეულია თვითეული ჯგუფის მიწათსარგებლობაც (ნადელი + ნაყიდი მიწა + იჯარა — გაცემა).

მეურნეთა ჯგუფები	% დაქირავებ. მუშების მყოფ. მეურნეობათა	% სარეწავიან ეკონომია	100 მეურნეობაზე სავაჭრო-სამრეწ. დანესებულება	100 მეურნეობაზე მოდის ინვალი	% ინვალიდთა მთელი რაოდენობისა
					გაუმჯობესებული ინვალიდები (ელეცის მაზრა)
უცხენონი	0,2	59,6	0,7	0,01	0,1
1-ცხენიანნი	2,3	37,4	1,1	0,2	3,8
2 — 3 »	4,9	32,2	2,6	3,5	42,7
4 და მეტ ცხენიანნი	19,4	30,4	11,2	36,0	53,4
ს უ ლ	3,5	39,9	2,3	2,2	100

ამრიგად, ორიოლის გუბერნიაშიც ჩვენ ვხედავთ გლეხობის დაშლას ორ პოლარულად მოპირდაპირე ტიპად: ერთი მხრით, სოფლის პროლეტარიატად (მიწის მიტოვება და სამუშაო ძალის გაყიდვა), მეორე მხრით, გლეხურ ბურჟუაზიად (მიწის ყიდვა, იჯარის მნიშვნელოვანი ოდენობით აღება, განსაკუთრებით ნადელების იჯარა, მეურნეობის გაუმჯობესება, მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების დაქირავება, რაც აქ გამოტოვებულია, მიწათმოქმედებასთან სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა შეერთება). მაგრამ გლეხობის სამიწათმოქმედო მეურნეობის ოდენობა აქ საზოგადოდ გაცილებით დაბალია, ვიდრე ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში; მსხვილ მხვნელ-მთესველთა რიცხვი შეუდარებლად ნაკლებია, და ამიტომ, თუ ამ ორი მაზრის მიხედვით ვიმსჯელებთ, გლეხობის დაშლაც უფრო სუსტად წარმოგვიდგება. ჩვენ ვამბობთ «წარმოგვიდგება» აი რა მოსაზრებებით: ჯერ ერთი, თუ აქ ჩვენ ვხედავთ, რომ «გლეხობა» გაცილებით უფრო ჩქარა იქცევა სოფლის პროლეტარიატად და სოფლის ბურჟუათა ძლივს შესამჩნევ ჯგუფებს გამოჰყოფს, სამაგიეროდ ჩვენ უკვე ვნახეთ საწინააღმდეგო მაგალითებიც, რომელნიც მოწმობენ, რომ სოფლად ეს უკანასკნელი პოლუსი განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება. მეორეც, აქ მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი გლეხობის დაშლა (ჩვენ ამ თავში ვკმაყოფილდებით სწორედ მიწათმოქმედი გლეხობით) იჩრდილება «სარეწავებით», რომლებიც განსაკუთრებულ განვითარებას აღწევენ (ოჯახთა 40 %). აქაც «მრეწველთა» რიცხვში, დაქირავებულ მუშათა უმრავლესობასთან ერთად, ხვდებიან ვაჭრები, შემყიდ-

ველები, მეწარმენი, მეპატრონეები და სხვ., რომლებიც უმ-ცირესობას შეადგენენ; მესამეც, აქ გლეხობის დაშლა იჩრდილება ადგილობრივი მიწათმოქმედების იმ მხარეთა შესახებ ცნობების უქონლობით, რომელნიც ყველაზე უფრო ძლიერად არიან დაკავშირებულნი ბაზართან. სავაჭრო, საბაზრო მიწათ-მოქმედების განვითარება აქ მიმართულია არა ნათესის გა-ფართოებისაკენ, რომ მარცვლეული გასაღებულ იქნას, არამედ კანაფის წარმოებისაკენ. აქ სავაჭრო ოპერაციების უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია ამ პროდუქტთან, კრებულში მოყვანი-ლი ცხრილების ცნობები კი არ გამოჰყოფენ მიწათმოქმედების სწორედ ამ მხარეს სხვადასხვა ჯგუფში. «კანაფიანი ადგი-ლები აძლევენ გლეხებს უმთავრეს შემოსავალს» (ე. ი. ფულად შემოსავალს. ტრუბჩევის მაზრის კრებული, გვ. 5 სოფლობრივი აღწერისა და მრავ. სხვ.), «კანაფის დამუშავებას ექცევა გლეხე-ბის უმთავრესი ყურადღება...მთელი ნაკელი...უნდება კანაფია-ნი ადგილების გაპოხიერებას» (ibid., 87), «კანაფში» ყველგან იღებენ სესხს, კანაფით იხდიან ვალს (ibid., passim). კანაფის ნათესის გასაპოხიერებლად შეძლებული გლეხები ყიდულობენ ნაკელს ღარიბებისაგან (ორიოლის მაზ. კრებ., ტ. VIII. ორიო-ლი, 1895, გვ. 91—105), კანაფის ნათესებს იჯარით სცემენ და იღებენ როგორც საკუთარ, ისე სხვა თემებში (ibid., 260), კანაფის დამუშავებას ეწევა იმ «სამრეწველო დაწესებულება-თა» ნაწილი, რომელთა კონცენტრაციაზე ვლაპარაკობდით. ცხადია, თუ რამდენად სრული არ არის დაშლის ის სურათი, რომელსაც აკლია ცნობები ადგილობრივი მიწათმოქმედების სწორედ მთავარი სავაჭრო პროდუქტის შესახებ *.

---

* ორიოლის მაზრის კრებულის შემდგენელი აღნიშნავს (ცხრილი № 57), რომ შეძლებულ გლეხებში 1 სულ მსხვილფეხა პირუტყვზე მოდის თითქმის ორჯერ მეტი ნაკელი, ვიდრე შეუძლო გლეხებში (391 ფუთი 1 სულ პირუტყვზე, როცა კომლს 7,4 პირუტყვი ჰყავს, და 208 ფუთი 1 სულ პირუტყვზე, როცა კომლს 2,8 პირუტყვი ჰყავს. ეს შედეგიც მიღე-ბულია ნადელის მიხედვით დაჯგუფებისას, რომელიც ასუსტებს დაშლის ნამდვილ სიღრმეს). აიხსნება ეს იმით, რომ ღარიბი გლეხობა იძულებუ-ლია ბზე და ნაკელი სათბობად მოიხმაროს, გაყიდოს და სხვ. ნაკელის

VI. საერობო სტატისტიკის მონაცემები ვორონეჟის გუბერნიის შესახებ

ვორონეჟის გუბერნიის კრებულები გამოირჩევიან ცნობების განსაკუთრებული სისრულით და დაჯგუფებათა სიმრავლით. ჩვეულებრივ ნადელის კვალობაზე დაჯგუფების გარდა, ჩვენ გვაქვს რამდენიმე მაზრის შესახებ დაჯგუფება მუშა პირუტყვის, მომუშავეების (ოჯახთა სამუშაო ძალის) და სარეწავთა მიხედვით (ვინც არ მისდევს სარეწავს; ვინც მისდევს სარეწავს: a) სასოფლო-სამეურნეოს, b) შერეულს და c) სავაჭრო-სამრეწველოს), აგრეთვე მოჯამაგირეების მიხედვით (მეურნეობანი, საიდანაც მოჯამაგირეებად მიდიან; მეურნეობანი, სადაც მოჯამაგირეებს არ ქირაობენ და არც მოჯამაგირეებად ქირავდებიან; მეურნეობანი, რომელნიც მოჯამაგირეებს ქირაობენ). უკანასკნელი დაჯგუფება გატარებულია მაზრების უმეტეს ნაწილში, და პირველი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ ის ყველაზე უფრო გამოსადეგია გლეხობის დაშლის შესასწავლად. ნამდვილად კი ეს ასე არ არის: იმ მეურნეობათა ჯგუფი, რომელნიც მოჯამაგირეებს იძლევიან, სრულებითაც ვერ მოიცავს სოფლის მთელ პროლეტარიატს, რადგან ამ ჯგუფში არ შედიან მეურნეობანი, რომელნიც იძლევიან დღიურ მუშებს, შავ მუშებს, ფაბრიკა-ქარხნის მუშებს, მშენებელ და მიწის მუშებს, ხელზე მოსამსახურეებს და სხვ. მოჯამაგირეები შეადგენენ იმ დაქირავებული მუშების მხოლოდ ნაწილს, რომელთაც იძლევა «გლეხობა». მოჯამაგირეების დამქირავებელ მეურნეობათა ჯგუფიც მეტისმეტად არასრულია, რადგან მასში შეტანილი არ არის მეურნეობანი, რომელნიც დღიურ მუშებს ქირაობენ. ნეიტრალური ჯგუფი (რომელიც

«ნორმალური» დაგროვება თითო სულ პირუტყვზე (400 ფუთი) შესაძლებელია, მაშასადამე, მხოლოდ გლეხური ბურჟუაზიისათვის. ბ-ნ ვ. ვ.-ს შეეძლო ამის გამოც ემსჯელნა (ისე როგორც ის მსჯელობს უცხენობის გამო) პირუტყვის რაოდენობასა და ნაკელის რაოდენობას შორის «ნორმალური თანაფარდობის აღდგენის» შესახებ.

არც იძლევა და არც ქირაობს მოჯამაგირეებს) ყოველ მაზრაში ერთად აქუჩებს ათეულ ათასობით ოჯახს, — აერთებს ათასობით უცხენო ოჯახს ათასობით მრავალცხენიანთან, აერთებს მიწის მოიჯარადრეებს მიწის იჯარით გამცემებთან, აერთებს მიწათმოქმედსა და არამიწათმოქმედს, აერთებს ათასობით დაქირავებულ მუშას და მეპატრონეთა უმცირესობას და სხვ. ყველა ნეიტრალური ჯგუფისათვის საერთო «საშუალო» მიიღება, მაგალითად, უმიწაწყლო კომლების ან 1 კომლზე 3 — 4 დესეტინის მქონეთა (სანადელო და ნაყიდი მიწა ერთად) შეერთებით იმ კომლებთან, რომლებსაც აქვთ 25, 50 დესეტინაზე მეტი სანადელო მიწა და რომელნიც აგრეთვე ყიდულობენ საკუთრებად ათობით და ასობით დესეტინა მიწას (ბობროვის მაზრის კრებული, გვ. 336, სვ. № 148; ნოვოხოპერსკის მაზრის კრებული, გვ. 222), — ოჯახზე 0,8 — 2,7 სული პირუტყვის მყოლი კომლების შეერთებით 12 — 21 სული პირუტყვის მყოლ კომლებთან (ibid.). ცხადია, ასეთ «საშუალოთა» დახმარებით ვერ წარმოვიდგენთ გლეხობის დაშლას, და ჩვენ იძულებული ვართ ავიღოთ დაჯგუფება მუშა პირუტყვის კვალობაზე, რადგან იგი ყველაზე უფრო უახლოვდება სამიწათმოქმედო მეურნეობის ოდენობის მიხედვით დაჯგუფებას. ჩვენს განკარგულებაშია ასეთი დაჯგუფების მქონე 4 კრებული (ზემლიანსკის, ზადონსკის, ნიჟნედევიცკის და კოროტოიაკსკის მაზრების შესახებ), რომელთაგან უნდა ამოვარჩიოთ ზადონსკის მაზრა, რადგან სხვა მაზრების მასალებში მოყვანილი არ არის ცალკეული ცნობები, თუ რამდენია ნაყიდი და იჯარით გაცემული მიწა ჯგუფების მიხედვით. ქვემოთ მოვიყვანთ შეჯამებულ ცნობებს ოთხივე მაზრის შესახებ, და მკითხველი დაინახავს, რომ ამ ცნობებიდან იგივე დასკვნები გამომდინარეობენ. აი საერთო ცნობები ზადონსკის მაზრის ჯგუფების შესახებ (15 704 კომლი, 106 288 სული ორივე სქესისა, 135 656 დესეტ. სანადელო მიწა, 2 882 დესეტ. ნაყიდი მიწა, 24 046 დესეტ. იჯარით აღებული, 6 482 დესეტ. იჯარით გაცემული მიწა).

მეურნეთა ჯგუფები	% კომლებისა	1 კომლზე ორივე სქესის სული	% ორივე სქესის ზოსახლეობისა	სანადელო მიწა 1 კომლზე, დესეტ.	% მიწისა: სანადელო	ნაყიდი	იჯარ. აღებ.	გაცემული	სულ მიწათ-სარგებ-ლობა: 1 კომლზე	%	სულ დამუ-შავებ. მიწა: 1 კომლზე	%	სულ პირუტყვი 1 კომლზე
უცხენონი	24,5	4,5	16,3	5,2	14,7	2,0	1,5	36,9	4,7	11,2	1,4	8,9	0,6
1-ცხენიანნი	40,5	6,1	36,3	7,7	36,1	14,3	19,5	41,9	8,2	32,8	3,4	35,1	2,5
2—3 »	31,8	8,7	40,9	11,6	42,6	35,9	54,0	19,8	14,4	45,4	5,8	47,0	5,2
4 და მეტ ცხენ.	3,2	13,6	6,5	17,1	6,6	47,8	25,0	1,4	33,2	10,6	11,1	9,0	11,3
სულ	100	6,8	100	8,6	100	100	100	100	10,1	100	4,0	100	3,2

ჯგუფთა შორის თანაფარდობა აქაც იმგვარიეა, როგორც ზემოთ დასახელებულ გუბერნიებსა და მაზრებში (ნაყიდი მიწისა და იჯარის კონცენტრაცია, სანადელო მიწის გადასვლა მისი იჯარით გამცემი შეუძლო გლეხების ხელიდან მოიჯარადრე და შეძლებული გლეხების ხელში და სხვ.), მაგრამ შეძლებული გლეხობის მნიშვნელობა აქ გაცილებით უფრო ნაკლებია. გლეხების სამიწათმოქმედო მეურნეობის უკიდურესი სიმცირე ბუნებრივად ასეთ საკითხსაც კი აყენებს: მიეკუთვნება თუ არა ადგილობრივი გლეხობა მიწათმოქმედებს, და არა «მრეწველებს»? აი ცნობები «სარეწავებზე», — პირველ ყოვლისა მათი ჯგუფებად განაწილების შესახებ.

მეურნეთა ჯგუფები	გაუმჯობეს. იარაღები: 100 მეურნეზე	% მათი ჯამის მიმართ	% მეურნეობათა: ვინც ჭირობს მოჯამაგირეებს	ვინც იძლევა მოჯამაგირეებს	100 მეურნეობაზე საავჭრო-სამრეწველო დაუსებულება	% მეურნეობათა: «სარეწავიანი»	ენის გამოდგენი	ენის მეცდენი	% ფულადი შემოსავლისა: «სარეწავი-ანი»	მიწათმოქმედ. ეროდ. ენტების გაყიდვისაგან
უცხენონი	—	—	0,2	29,9	1,7	94,4	7,3	70,5	87,1	10,5
1-ცხენიანნი	0,06	2,1	1,1	15,8	2,5	89,6	31,2	55,1	70,2	23,5
2—3 »	1,6	43,7	7,7	11,0	6,4	86,7	52,5	28,7	60,0	35,2
4 და მეტ ცხენ.	23,0	54,2	28,1	5,3	30,0	71,4	60,0	8,1	46,1	51,5
სულ	1,2	100	3,8	17,4	4,5	90,5	33,2	48,9	66,0	29,0

გაუმჯობესებული იარაღების და «სარეწავთა» ორი მოპირდაპირე ტიპის (სამუშაო ძალის გაყიდვა და სავაჭრო-სამრეწველო მოსაქმეობა) განაწილება აქაც ისეთივეა, როგორც ზემოთ განხილულ მონაცემებში. «სარეწავიან» მეურნეობათა მეტად

დიდი პროცენტი, პურის მყიდველ მეურნეობათა სიჭარბე პურის გამყიდველ მეურნეობებთან შედარებით, «სარეწავთაგან» ფულადი შემოსავლის სიჭარბე მიწათმოქმედების ფულად შემოსავალთან შედარებით *, — ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს, რომ ხსენებული მაზრა უფრო «სარეწაო» მაზრად ჩაითვალოს, ვიდრე სამიწათმოქმედოდ. მაგრამ ვნახოთ, რას წარმოადგენენ ეს სარეწავები? «ზემლიანსკის, ზადონსკის, კოროტოიაკსკისა და ნიჟნედევიცკის მაზრათა საგლეხო მიწათმფლობელობის შეფასებითი ცნობების კრებულში» (ვორონეჟი, 1889) ჩამოთვლილია როგორც ადგილობრივ, ისე გარეთ გასულ «მრეწველთა» ყველა პროფესია (სულ 222 პროფესია), მათი ნადელის კვალობაზე ჯგუფებად განაწილებით და თვითეული პროფესიის შემოსავლის ოდენობის აღნიშვნით. ამ ნუსხიდან ჩანს, რომ გ ლ ე ხ უ რ ი «ს ა რ ე წ ა ვ ე ბ ი ს» უ დ ი დ ე ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ ი თ მ უ შ ა ო ბ ა შეადგენს. ზადონსკის მაზრაში 24 134 «მრეწველიდან» 14 135 არის მოჯამაგირე, მზიდველი, მწყემსი, შავი მუშა, 1 813 მშენებელი მუშა, 298 ქალაქის, ქარხნის და სხვ. მუშა, 446 კერძო მომსახურებას ეწევა, 301 მათხოვარია და სხვ. სხვანაირად რომ ვთქვათ, «მრეწველთა» უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ სოფლის პროლეტარიატის წარმომადგენლები, ნ ა დ ე ლ ი ა ნ ი დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ე ბ ი, რომლებიც ჰყიდიან თავიანთ სამუშაო ძალას სოფლის და ინდუსტრიულ მეწარმეებზე **. ამრიგად, თუ ავიღებთ ამა თუ იმ გუბერნიაში

* გლეხობის მცირერიცხოვან უმაღლეს ჯგუფში გვხვდება საწინააღმდეგო მოვლენა: პურის გაყიდვის სიჭარბე ყიდვასთან შედარებით, ფ უ ლ ა დ ი შემოსავლის მიღება უმთავრესად მიწიდან, მაღალი პროცენტი მეურნეებისა, რომლებსაც ჰყავთ მოჯამაგირენი, აქვთ გაუმჯობესებული იარაღები და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი. გლეხური ბურჟუაზიის ყველა ტიპიური ნიშანი აქაც აშკარად იჩენს თავს (მიუხედავად მისი მცირერიცხოვნობისა), იჩენს თავს სავაჭრო და კაპიტალისტური მიწათმოქმედების ზრდის სახით.

** საერობო სტატისტიკაში «სარეწავთა» ცნების შესახებ ზემონათქვამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ უფრო დაწვრილებით ცნობებს ამ ადგილის გლეხურ სარეწავებზე. ეროობის სტატისტიკოსებს სარეწავები დაყოფილი აქვთ 6 თანრიგად: 1) სოფლის მეურნეობის სარეწავები (59 277

ან ამა თუ იმ მაზრაში გლეხობის სხვადასხვა ჯგუფთა შორის არსებულ თანაფარდობას, ჩვენ ყველგან დავინახავთ დაშლის ტიპიურ ნიშნებს, როგორც მრავალმიწიან ველიან გუბერნიებში, სადაც გლეხებს შედარებით დიდი სახნავ-სათესი მიწები აქვთ, ისე ყველაზე მცირემიწიან ადგილებშიც, სადაც გლეხური «მეურნეობანი» მინიატურული ხასიათისაა; მიუხედავად იმისა, რომ აგრარული და სოფლის მეურნეობის პირობების მხრით ღრმა განსხვავება არსებობს, გლეხობის უმაღლესი ჯგუფის შეფარდება დაბალ ჯგუფთან ყველგან ერთნაირია. და თუ ერთმანეთს შევადარებთ სხვადასხვა ადგილებს, დავინახავთ, რომ ზოგან უფრო რელიეფურად მჟღავნდება გლეხთაგან სოფლის მეწარმეთა გაჩენა, სხვაგან — სოფლის პროლეტარიატის გაჩენა. თავისთავად ცხადია, რომ რუსეთში, ისევე როგორც ყოველ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში, დაშლის პროცესის უკანასკნელი მხარე მოიცავს წვრილ მიწათმოქმედთა გაცილებით მეტ რიცხვს (და, ალბათ, ადგილების მეტ რაოდენობასაც), ვიდრე პირველი.

კაცი 4 მაზრის «მრეწველთა» მთელი რიცხვიდან — 92 889 კაციდან). დაქირავებული მუშების დიდ უმრავლესობაში აქ შეგხვდებათ მეპატრონეებიც (მებახჩეები, მებოსტნეები, მეფუტკრეები, შეიძლება, მეეტლეთა ნაწილი და სხვ.). 2) ხელოსნები და შინამრეწველნი (20 784). ნამდვილ ხელოსანთა (=მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ე ლ თ ა დაკვეთით მომუშავეთა) შორის აქ ძალიან ბევრია დაქირავებული მუშა, განსაკუთრებით მშენებელი მუშა და სხვ.. უკანასკნელნი ჩვენ დავითვალეთ 8 ათასზე მეტი (ამათში, ალბათ, ურევია მეპატრონეებიც: მეფუნთუშეები და სხვ.). 3) შინამოსამსახურეები — 1 737 კაცი. 4) მოვაჭრენი და მეპატრონე-მრეწველნი — 7 104 კაცი. როგორც უკვე ვთქვით, განსაკუთრებით საჭიროა ამ თანრიგის გამოყოფა «მრეწველთა» მთელი მასიდან. 5) თავისუფალი პროფესიები — 2 881 კაცი, ამათგან 1 090 — მათხოვარი; ამათ გარდა, მოხეტიალენი, ჟანდარმები, როსკიპები, პოლიციელები და სხვ.. 6) ქალაქის ქარხნის და სხვა მუშები — 1 106 კაცი. ადგილობრივი მრეწველები — 71 112, გარეთგასულნი — 21 777; მამაკაცები — 85 255, ქალები — 7 634. ხელფასის ოდენობა სულ სხვადასხვანაირია: მაგალ., ზადონსკის მაზრაში 8 580 შავი მუშა იღებს 234 677 მანეთს, ხოლო 647 ვაჭარ-მრეწველი — 71 799 მან. წარმოსადგენია, თუ რა დომხალი გამოვა, ყველა ეს სულ სხვადასხვაგვარი «სარეწავი» ერთმანეთში რომ ავრიოთ, — და სწორედ ასე იქცევიან ჩვეულებრივად ჩვენი ეროობის სტატისტიკოსები და ჩვენი ნაროდნიკები.

VII. საერობო სტატისტიკის მონაცემები ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის შესახებ

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის სამი მაზრის — კნიაგინინსკის, მაკარევსკისა და ვასილსკის — საერობო-სტატისტიკური კომლობრივი აღწერის ცნობები მოცემულია ჯგუფურ ცხრილად, რომელიც გლეხურ მეურნეობებს (მხოლოდ სანადელოს და ამასთან მხოლოდ იმ გლეხებისას, რომლებიც თავიანთ სოფლებში ცხოვრობენ) ჰყოფს 5 ჯგუფად მუშა პირუტყვის რაოდენობის მიხედვით («ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის მიწების შეფასების მასალები. ეკონომიური ნაწილი». ნაკვ. IV, IX და XII. ნიჟნი-ნოვგოროდი. 1888, 1889, 1890).

როცა ამ სამ მაზრას ვაერთებთ, ვიღებთ შემდეგ ცნობებს მეურნეობათა ჯგუფების შესახებ (დასახელებულ სამ მაზრაში ეს ცნობები მოიცავენ 52 260 კომლს, ორივე სქესის 294 798 სულს. სანადელო მიწა — 433 593 დეს., ნაყიდი მიწა — 51 960 დეს., იჯარით აღებული — 86 007 დეს.; აქ გათვალისწინებულია ყოველგვარი მიწის იჯარა, როგორც სანადელოსი, ისე არასანადელოსი, როგორც სახნავ-სათესისა, ისე სათიბისა; იჯარით გაცემული მიწა — 19 274 დეს.):

მეურნეთა ჯგუფები	კომლთა %	ორივე სქესის სულ-ლოდობა 1 კომლზე	ორივე სქესის მოსახლეობის %	სანადელო მიწა: 1 კომლზე, დეს.	სანადელო მიწა: % ჯამის მიმართ	ნაყიდი მიწა: % ჯამის მიმართ	% მთელი მიწის მიმართ: იჯარით აღებული	% მთელი მიწის მიმართ: გაცემული	ჯგუფის მთელი მიწათსარგებლობა: 1 კომლზე, დეს.	ჯგუფის მთელი მიწათსარგებლობა: % ჯამის მიმართ	პირუტყვის მთელი რაოდენობა: 1 კომლზე პირუტყვი	პირუტყვის მთელი რაოდენობა: % ჯამის მიმართ
უცხენონი	30,4	4,1	22,2	5,1	18,6	5,7	3,3	81,7	4,4	13,1	0,6	7,2
1-ცხენიანნი	37,5	5,3	35,2	8,1	36,6	18,8	25,1	12,4	9,4	34,1	2,4	33,7
2 »	22,5	6,9	27,4	10,5	28,5	29,3	38,5	3,8	13,8	30,2	4,3	34,9
3 »	7,3	8,4	10,9	13,2	11,6	22,7	21,2	1,2	21,0	14,8	6,2	16,5
4 და მეტ ცხენ.	2,3	10,2	4,3	16,4	4,7	23,5	11,9	0,9	34,6	7,8	9,0	7,7
სულ	100	5,6	100	8,3	100	100	100	100	10,3	100	2,7	100

აქაც, მაშასადამე, ვხედავთ, რომ შეძლებული გლეხობა, თუმცა ის უკეთ არის უზრუნველყოფილი სანადელო მიწით (სანადელო მიწის პროცენტული წილი უმაღლეს ჯგუფებში უფრო მაღალია, ვიდრე პროცენტული წილი მათი მოსახლეობისა), თავს უყრის ნაყიდ მიწას (შეძლებული კომლების

9,6%-ს აქვს ნაყიდი მიწის 46,2%, მაშინ როცა შეუძლო გლეხთა კომლების $^2/_3$-ს მთელი ნაყიდი მიწის ერთ მეოთხედზე ნაკლები აქვს), თავს უყრის იჯარასაც, «ჰკრებს» სანადელო მიწასაც, რომელსაც სცემს ღარიბი გლეხობა, და, ყოველივე ამის მეოხებით, «გლეხობის» სარგებლობაში მყოფი მიწის ნ ა მ დ ვ ი ლ ი განაწილება სრულებით არ ემსგავსება სანადელო მიწის განაწილებას. უცხენოებს ნამდვილად უფრო ნაკლები მიწა აქვთ თავიანთ განკარგულებაში, ვიდრე მათთვის კანონით უზრუნველყოფილი ნადელი. ერთცხენიანები და ორცხენიანები თავიანთ მიწათმფლობელობას მხოლოდ 10%—30%-ით ადიდებენ (8,1 დეს.-ნიდან 9,4 დეს.-მდე, 10,5 დეს. — 13,8 დეს.-მდე), მაშინ როცა შეძლებული გლეხები თავიანთ მიწათმფლობელობას ე რ თ ნ ა ხ ე ვ ა რ - ო რ ჯ ე რ ადიდებენ. მაშინ როცა სანადელო მიწის რაოდენობის მხრით ჯგუფთა შორის განსხვავება სრულიად უმნიშვნელოა, — მათ შორის უზარმაზარი განსხვავება აღმოჩნდება ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი ო დ ე ნ ო ბ ი ს მხრით, როგორც ეს ჩანს ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან პირუტყვის შესახებ და ქვემოთ მოყვანილი ცნობებიდან ნათესის შესახებ:

მ ე უ რ ნ ე თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი	ნათესი 1 კომლზე, დეს.	% სათესი მიწის მთელი რაოდენობის მიმართ	% მოჯამაგირიან კომლთა	% საგ.-სამრეწ. დაწესებ. მეორე მეურნეთა *	% გარესაშოვარზე გასულ კომლთა
უცხენონი	1,9	11,4	0,8	1,4	54,4
1-ცხენიანნი	4,4	32,9	1,2	2,9	21,8
2 »	7,2	32,4	3,9	7,4	21,4
3 »	10,8	15,6	8,4	15,3	21,4
4 და მეტ ცხენ.	16.6	7,7	17,6	25,1	23,0
ს უ ლ	5,0	100	2,6	4,6	31,6

ჯგუფთა შორის განსხვავება ნათესის ოდენობის მიხედვით კიდევ უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე განსხვავება მათი ნამდვილი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოდენობის მიხედვით, რომ აღარ ვილაპარაკოთ ნადელის რაო-

* მხოლოდ კნიაგინინსკის მაზრაში.

დენობის მიხედვით განსხვავებაზე *. ეს კიდევ და კიდევ გვიჩვენებს, რომ სრულიად გამოუსადეგარია დაჯგუფება სანადელო მიწათმფლობელობის მიხედვით, რომლის «გამთანაბრებლობა» ახლა მარტოოდენ იურიდიულ ფიქციად არის გადაქცეული. ცხრილის დანარჩენი სვეტები გვიჩვენებენ, თუ როგორ ხდება გლეხობაში «მიწათმოქმედების შეერთება სარეწავთან»: შეძლებული გლეხობა აერთებს სავაჭრო და კაპიტალისტურ მიწათმოქმედებას (მოჯამაგირიან კომლთა მაღალი პროცენტი) სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებთან, მაშინ როცა ღარიბი გლეხობა აერთებს თავისი სამუშაო ძალის გაყიდვას («გარესაშოვრები») ნათესის სრულებით უმნიშვნელო ოდენობასთან, ე. ი. იქცევა ნადელის მქონე მოჯამაგირედ და დღიურ მუშად. ის გარემოება, რომ აქ არ არის გარესაშოვარზე წასულ კომლთა პროცენტის სწორი დაკლება, აიხსნება ნიჟნი-ნოვგოროდის გლეხობის ამ «საშოვართა» და «სარეწავთა» მეტისმეტი სხვადასხვაობით: სოფლის მეურნეობის მუშებსა, შავ მუშებსა, მშენებელ, გემის მუშებს და სხვათა გარდა, მრეწველთა რიცხვში აქ შედარებით მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობით შედიან «შინამრეწველები», სამრეწველო სახელოსნოთა პატრონები, ვაჭრები, შემყიდველები და სხვ.. ცხადია, რომ ესოდენ სხვადასხვანაირი ტიპის «მრეწველთა» ერთმანეთში არევა არღვევს იმ ცნობების სისწორეს, რომლებიც «საშოვარზე გასულ კომლებს» შეეხება **.

სამიწათმოქმედო მეურნეობაში გლეხების სხვადასხვა ჯგუფთა განსხვავების საკითხის გამო შევნიშნავთ, რომ ნიჟნი-

* უცხენო გლეხების სანადელო მიწის რაოდენობას თუ მივიღებთ 100-ად (1 კომლზე), მაშინ უმაღლესი ჯგუფებისათვის სანადელო მიწის რაოდენობა გამოიხატება ციფრებით: 159, 206, 259, 321. თვითეული ჯგუფის ნამდვილი მიწათმფლობელობის შესაბამისი ციფრები იქნება ასეთი: 100, 214, 314, 477, 786; ხოლო სათესი სივრცისა ჯგუფების მიხედვით: 100, 231, 378, 568, 873.

** ნიჟნი-ნოვგოროდის გლეხობის «სარეწავთა» შესახებ იხ. მ. პლოტნიკოვის: «ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის შინასარეწავები» (ნიჟნი-ნოვგოროდი, 1894), წიგნის ბოლოში მოთავსებული ცხრილები და საერობო-სტატისტიკური კრებულები, განსაკუთრებით გორბატოვისა და სემიონოვსკის მაზრების შესახებ.

ნოვგოროდის გუბერნიაში «გაპოხიერება... წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პირობას, რომელიც განსაზღვრავს» სახნავი მიწის «ნაყოფიერების დონეს» (გვ. 79 კნიაგინინსკის მაზრის კრებულისა). ჭვავის საშუალო მოსავალი სწორად მატულობს სასუქის მომატების მიხედვით: 100 დესეტინაზე 300 — 500 ურემი ნაკელის შეტანისას ჭვავის მოსავალი უდრის 47,1 ჩეტვერიკს ერთ დესეტინაზე, ხოლო 1 500 და მეტი ურემი იძლევა 62,7 ჩეტვერიკს (გვ. 84, ibid.). ამიტომ ცხადია, რომ სამიწათმოქმედო წარმოების ოდენობის მიხედვით ჯგუფთა შორის განსხვავება უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე განსხვავება ნათესი მიწის რაოდენობის მიხედვით, და რომ ნიჟნი-ნოვგოროდელი სტატისტიკოსები დიდ შეცდომას სჩადიოდნენ, როცა ცალ-ცალკე კი არ იკვლევდნენ შეუძლო და შეძლებული გლეხობის ყანების მოსავლიანობის საკითხს, არამედ საერთოდ გლეხთა ყანების მოსავლიანობის საკითხს იკვლევდნენ.

VIII. სხვა გუბერნიების საერთო სტატისტიკის მონაცემების მიმოხილვა

როგორც მკითხველი უკვე შეამჩნევდა, ჩვენ გლეხობის დაშლის შესასწავლად ვსარგებლობთ მხოლოდ და მხოლოდ საერობო-სტატისტიკური კომლობრივი აღწერებით, თუ ისინი მოიცავენ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან რაიონებს, თუ ისინი იძლევიან საკმაოდ დაწვრილებითს ცნობებს დაშლის უმთავრესი ნიშნების შესახებ და თუ (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) ისინი დამუშავებულნი არიან ისე, რომ შესაძლებელი იყოს გლეხების სხვადასხვა ჯგუფის გამოყოფა მათი სამეურნეო შეძლების მიხედვით. ზემოთ მოყვანილი ცნობებით, რაც 7 გუბერნიას შეეხება, ამოიწურება საერობო-სტატისტიკური მასალა, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობებს და რომლითაც ჩვენ საშუალება გვქონდა გვესარგებლნა. სისრულის ინტერესებისათვის ჩვენ ახლა მოკლედ აღვნიშნავთ ამგვარი ხასიათის კიდევ სხვა, ნაკლებად სრულ, ცნობებს (ე. ი. ცნობებს, რომლებიც დამყარებულია მთლიან კომლობრივ აღწერებზე).

ნოვგოროდის გუბერნიის დემიანსკის მაზრის შესახებ გლეხურ მეურნეობათათვის ჩვენ გვაქვს ჯგუფური ცხრილი ცხენების რაოდენობის მიხედვით («ნოვგოროდის გუბერნიის საადგილმამულო მიწების შეფასების მასალები. დემიანსკის მაზრა». ნოვგოროდი, 1888). აქ არ არის ცნობები მიწის იჯარის და გაცემის შესახებ (დესეტინობით), მაგრამ ის ცნობებიც, რომლებიც მოიპოვება, მოწმობენ შეძლებული და შეუძლო გლეხების თანაფარდობის სრულ ერთგვარობას ამ გუბერნიაში სხვა გუბერნიებთან შედარებით. აქაც, მაგალითად, დაბალი ჯგუფიდან უმაღლესი ჯგუფისაკენ (უცხენოებიდან სამ და მეტცხენიანებისაკენ) მატულობს ნაყიდი და იჯარით აღებული მიწის მქონე მეურნეობათა პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალცხენიანები საშუალოზე მეტად არიან უზრუნველყოფილნი სანადელო მიწით. სამ და მეტცხენიან კომლთა 10,7%-ს, რაც შეადგენს მთელი მოსახლეობის 16,1%, აქვს 18,3% მთელი სანადელო მიწა, 43,4% ნაყიდი მიწა, 26,2% იჯარით აღებული მიწა (თუ შეიძლება ამაზე წარმოდგენა ვიქონიოთ ჭვავით და შვრიით დათესილი, იჯარით აღებული მიწის ოდენობის მიხედვით), «სამრეწველო ნაგებობათა» მთელი რაოდენობის 29,4%, მაშინ როცა უცხენო და ერთცხენიან კომლთა 51,3%-ს, რაც შეადგენს მოსახლეობის 40,1%-ს, აქვს მხოლოდ 33,2% სანადელო მიწა, 13,8% ნაყიდი მიწა, 20,8% იჯარით აღებული მიწა (აღნიშნული განმარტებით), «სამრეწველო ნაგებობათა» 28,8%. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეძლებული გლეხობა აქაც «აგროვებს» მიწას და მიწათმოქმედებასთან აერთებს სავაჭრო-სამრეწველო «სარეწავებს», შეუძლო გლეხები კი სტოვებენ მიწას და იქცევიან დაქირავებულ მუშებად (იმ პირთა პროცენტი, რომელთაც აქვთ «სარეწავი», კლებულობს დაბალი ჯგუფიდან უმაღლესისაკენ, უცხენოთა 26,6%-დან 3 და მეტცხენიანთა 7,8%-დე). რადგანაც ეს ცნობები სრული არ არის, ჩვენ იძულებული ვართ არ მოვათავსოთ ისინი ქვემოთ მოყვანილ შეჯამებულ მასალაში გლეხობის დაშლის შესახებ.

ამავე მიზეზით არ ვათავსებთ ცნობებს ჩერნიგოვის გუბერნიის კოზელეცკის მაზრის ერთი ნაწილის შესახებ («საადგილმამულო მიწების შეფასების მასალები, შეკრებილი ჩერნიგოვის გუბ. ერობის გამგეობის სტატისტიკური განყოფილების მიერ», ტ. V, ჩერნიგოვი, 1882; მუშა პირუტყვის რაოდენობის მიხედვით დაჯგუფებულია ცნობები მაზრის შავმიწიანი რაიონის 8 717 კომლის შესახებ). ჯგუფთა შორის თანაფარდობა აქაც იგივეა: მუშა პირუტყვის არმყოლ 36,8% კომლს, რაც შეადგენს მოსახლეობის 28,8%-ს, აქვს 21% საკუთარი და სანადელო მიწა, 7% იჯარით აღებული მიწა, სამაგიეროდ — ამ 8 717 კომლის მიერ იჯარით გაცემული მიწის მთელი რაოდენობის 63%. კომლთა 14,3%-ს, რომელთაც 4 და მეტი სული მუშა პირუტყვი ჰყავთ და რომელნიც მოსახლეობის 17,3% შეადგენენ, აქვს 33,4% საკუთარი და სანადელო მიწა, 32,1% საიჯარო მიწა და მხოლოდ 7% იჯარით გაცემული მიწა. სამწუხაროდ, დანარჩენი კომლები (1—3 სული მუშა პირუტყვის მყოლნი) არ არიან დაყოფილნი უფრო წვრილ ჯგუფებად.

«ირკუტსკისა და ენისეის გუბერნიების სოფლის მოსახლეობის მიწათსარგებლობისა და სამეურნეო ყოფაცხოვრების გამოკვლევის მასალებში» მოცემულია ძალიან საინტერესო ჯგუფური ცხრილი (მუშა ცხენების რაოდენობის მიხედვით) ენისეის გუბერნიის 4 ოლქის გლეხთა და გადმოსახლებულთა მეურნეობის შესახებ (ტ. III, ირკუტსკი, 1893, გვ. 730 და შემდ.). ძალიან საინტერესოა ის გარემოება, რომ შეძლებული ციმბირელის შეფარდება გადმოსახლებულთან (და საეჭვოა, რომ ამ შეფარდებაში ყველაზე თავგამოდებულმა ნაროდნიკმაც კი დაიწყოს ნაქები თემობრიობის ძებნა!) არსებითად ისეთივეა, როგორც ჩვენი შეძლებული მეთემეების შეფარდება მათს უცხენო და ერთცხენიან «მოძმეებთან». როცა ვაერთებთ გადმოსახლებულებს და ადგილობრივ მკვიდრ გლეხებს (ასეთი შეერთება საჭიროა, რადგან პირველნი წარმოადგენენ სამუშაო ძალას მეორეთათვის), ჩვენ ვიღებთ იმავე ნაცნობ ნიშნებს, რომლებიც ახასიათებენ

მაღალ და დაბალ ჯგუფებს. დაბალ ჯგუფთა 39,4%-ს (უცხენოები, 1 — 2-ცხენიანები), რაც შეადგენს მოსახლეობის 24%, აქვს მთელი სახნავი მიწის მხოლოდ 6,2% და ჰყავს მთელი პირუტყვის 7,1 პროცენტი, მაშინ როცა 5 და მეტცხენიან კომლთა 36,4%-ს, რაც შეადგენს მოსახლეობის 51,2%-ს, მოეპოვება სახნავის 73% და მთელი პირუტყვის 74,5%. უკანასკნელი ჯგუფები (5 — 9, 10 და მეტი ცხენის მყოლნი), რომელთაც თვითეულ კომლზე აქვთ 15 — 36 დესეტ. სახნავი, ფართოდ სარგებლობენ დაქირავებული შრომით (მეურნეობათა 30 — 70%-ს ჰყავს დაქირავებული მუშები), მაშინ როცა სამი დაბალი ჯგუფი, რომელთაც თვითეულ კომლზე აქვთ 0 — 0,2 — 3 — 5 დეს. სახნავი, ი ძ ლ ე ვ ა მუშახელს (მეურნეობათა 20 — 35 — 59%). ცნობები მიწის იჯარით აღებისა და გაცემის შესახებ წარმოადგენენ საერთო წესის (შეძლებულთა მიერ იჯარის კონცენტრაციის შესახებ) ერთადერთ გამონაკლისს, რაც ჩვენ შეგვხვდა, და ეს ისეთი გამონაკლისია, რომელიც ადასტურებს ამ წესს. საქმე ისაა, რომ ციმბირში არ არის სწორედ ის პირობები, რომლებმაც შეჰქმნეს ეს წესი, იქ არ არის სავალდებულო და «გათანაბრებითი» ნადელი, ჩამოყალიბებული არ არის მიწის კერძო საკუთრება. შეძლებული გლეხი არც ყიდულობს და არც იჯარით იღებს მიწას, არამედ იტაცებს მას (ასე იყო, ყოველ შემთხვევაში, აქამდე); მიწის იჯარით გაცემა-აღებას უფრო მეზობლური გაცვლის ხასიათი აქვს, და ამიტომ ჯგუფური ცნობები მიწის იჯარით აღებისა და გაცემის შესახებ არავითარ კანონზომიერებას არ გვიჩვენებენ *.

---

* «მიწის იჯარით გაცემისა და აღების შესახებ ადგილობრივ შეკრებილი მასალების დამუშავება საჭიროდ არ იყო მიჩნეული, რადგან თვით მოვლენა მხოლოდ ჩანასახში არსებობს; მიწის იჯარით გაცემისა და აღების ცალკეული შემთხვევები იშვიათად ხდება, მათ სრულიად შემთხვევითი ხასიათი აქვთ, და ენისეის გუბერნიის ეკონომიურ ცხოვრებაზე ისინი ჯერ-ჯერობით არავითარ გავლენას არ ახდენენ» («მასალები», ტ. IV, ნაკვ. 1, გვ. V, შესავალი). 424 624 დესეტინა რბილმიწიანი სახნავი-

ჩვენ შეგვიძლია პოლტავის გუბერნიის სამი მაზრისათვის დაახლოებით გამოვარკვიოთ ნათესის განაწილება (რაკი ვიცით ნათესის სხვადასხვა ოდენობის მქონე მეურნეობათა რიცხვი, რაც კრებულებში განსაზღვრულია დესეტინობით — «ამდენიდან ამდენამდე», თვითეული ჯგუფის კომლთა რიცხვს ვამრავლებთ ნათესის საშუალო სიდიდეზე აღნიშნულ ფარგლებში). ჩვენ მივიღებთ ასეთ ცნობებს 76 032 კომლის შესახებ (ყველა მოსახლე, მეშჩანების გამოკლებით), რომელთაც აქვთ 362 298 დესეტ. ნათესი: 31 001 კომლი (40,8%) მოკლებულია ნათესს ანდა თესავს მხოლოდ 3 დესეტინამდე კომლზე, მათ სულ აქვთ 36 040 დეს. ნათესი (9,9%); 19 017 კომლი (25%) თესავს 6 დესეტინაზე მეტს კომლზე; მათ აქვთ 209 195 დეს. ნათესი (57,8%). (იხ. «პოლტავის გუბ. სამეურნეო სტატისტიკის კრებულები», კონსტანტინოგრადის, ხოროლსკისა და პირიატინის მაზრები[41]). ნათესის გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა აქ ძალიან ჰგავს იმას, რაც ჩვენ თავრიდის გუბერნიაში ვნახეთ, მიუხედავად იმისა, რომ აქ, საერთოდ, ნათესის ო დ ე ნ ო ბ ა უფრო ნაკლებია. ცხადია, რომ ესოდენ უთანაბრო განაწილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნაყიდი და საიჯარო მიწა თავმოყრილია უმცირესობის ხელში. ჩვენ არა გვაქვს სრული ცნობები ამის შესახებ, რადგან კრებულებში მოცემული არ არის კომლთა დაჯგუფება მათი სამეურნეო შეძლებულობის მიხედვით, და ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ შემდეგი ცნობებით კონსტანტინოგრადის მაზრის შესახებ. კრებულის შემდგენელი თავში, რომელიც ეხება სოფლის წოდებათა მეურნეობას (თავი II, § 5 «მიწათმოქმედება»), აღნიშნავს ასეთ ფაქტს: «საზოგადოდ, თუ იჯარას დავყოფთ სამ თანრიგად, როცა თვითეულ მონაწილეზე მოდის 1) 10 დესეტინამდე იჯარა,

---

დან, რომელიც ენისეის გუბ. მკვიდრ გლეხთა ხელშია, 417 086 დესეტ. ეკუთვნის «საგვარეულო-დანატაც» მიწას. იჯარა (2 686 დეს.) თითქმის უდრის გაცემას (2 639 დეს.), მაგრამ მთელი დატაცებული მიწის ერთ პროცენტსაც კი არ შეადგენს.

2) 10 დესეტინიდან 30 დესეტინამდე და 3) 30 დესეტინაზე მეტი, მაშინ თვითეული თანრიგისათვის მივიღებთ შემდეგ მონაცემებს *:

	შედარებითი რიცხვი			
	მონაწილეთა %	იჯარით აღებული მიწის %	1 მონაწილეზე მოდის მიწა, დეს.	იჯარით აღებული მიწიდან სხვებზე იცემა %-ობით
წვრილი იჯარა (10 დეს.-დე)	86,0	35,5	3,7	6,6
საშუალო (10 — 30 დეს.-დე)	8,3	16,6	17,5	3,9
მსხვილი (30 დეს. მეტი)	5,7	47,9	74,8	12,9
სულ	100	100	8,6	9,3

კომენტარები ზედმეტია.

კალუგის გუბერნიის შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ შემდეგი, მეტად ნაწყვეტ-ნაწყვეტი და არასრული ცნობები იმაზე, თუ რამდენი პურეული ნათესი აქვს 8 626 კომლს (გუბერნიის გლეხთა კომლების მთელი რაოდენობის დაახლოებით $^1/_{20}$-ს) **.

კომლთა ჯგუფები ნათესის ოდენობის მიხედვით
შემოდგომის პურეულის მთესველნი ჩეტვერიკობით

	არამთესველი	15-დე	15—30	30—45	45—60	60-ზე მეტი	სულ
კომლთა %	7,4	30,8	40,2	13,3	5,3	3,0	100
ორივე სქესის %	3,3	25,4	40,7	17,2	8,1	5,3	100
სათესი მიწის %	—	15,0	39,9	22,2	12,3	10,6	100
მუშა ცხენების მთელი რაოდ. %	0,1	21,6	41,7	19,8	9,6	7,2	100
ნათესის მთლიანი შემოსავლ. %	—	16,7	40,2	22,1	21,0		100
თვით. კომლზე ნათესი. დეს. %	—	2,0	4,2	7,2	9,7	14,1	—

ესე იგი, კომლთა 21,6%, რაც მოსახლეობის 30,6% შეადგენს, ჰყავს 36,6% მუშა ცხენი, აქვს 45,1% ნათესი, 43,1% მთლიანი შემოსავალი ნათესიდან. ცხადია, რომ ეს ციფრებიც მოწმობენ ნაყიდი და იჯარით აღებული მიწის კონცენტრაციას შეძლებული გლეხობის მიერ.

* კრებული, გვ. 142.

** «კალუგის გუბერნიის 1896 წლის სტატ. მიმოხილვა», კალუგა, 1897 გვ. 43 და შემდ., 83, 113 დამატებისა.

ტვერის გუბერნიის შესახებ, კრებულებში ბლომად მოთავსებული ცნობების მიუხედავად, კომლობრივი აღწერების დამუშავება ძალიან უსრულოა. მოცემული არ არის კომლების დაჯგუფება მათი სამეურნეო შეძლებულობის კვალობაზე. ამ ნაკლით სარგებლობს ბ-ნი ვიხლიაევი «ტვერის გუბ. სტატ. ცნობების კრებულში» (ტ. XIII, ნაკვ. 2. «გლეხური მეურნეობა». ტვერი, 1897), რათა უარჰყოს გლეხობის «დიფერენციაცია», დაინახოს მისწრაფება «მეტი თანაბრობისაკენ» და ჰიმნი უმღეროს «სახალხო წარმოებას» (გვ. 312) და «ნატურალურ მეურნეობას». ბ-ნი ვიხლიაევი მიმართავს ძალიან სახიფათო დალიტონ მსჯელობას «დიფერენციაციის» შესახებ; მას არათუ არ მოჰყავს არავითარი ზუსტი ცნობები გლეხთა ჯგუფების შესახებ, არამედ ვერც კი გაუგია ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ დაშლა ხდება თემის შიგნით, ამიტომ ილაპარაკო «დიფერენციაციაზე» და დაჯგუფებანი აიღო მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ თემებად და ვოლოსტებად — ეს პირდაპირ სასაცილოა*.

---

* როგორც კურიოზი, მოგვყავს ერთი ნიმუში. ბ-ნ ვიხლიაევის «საერთო დასკვნა» ასეთია: «ტვერის გუბერნიის გლეხების მიერ მიწის ყიდვას აქვს ტენდენცია — გაათანაბროს მიწათმფლობელობის ოდენობა» (გვ. 11). დამამტკიცებელი საბუთები?—თუ ავიღებთ თ ე მ ე ბ ი ს ჯ გ უ ფ ე ბ ს ნადელის ოდენობის მიხედვით, დავინახავთ, რომ მცირენადელიან თ ე მ ე ბ შ ი აღმოჩნდება მეტი პროცენტი კომლებისა, რომლებსაც ნაყიდი მიწა აქვთ. — მიწას მცირენადელიანი თემების შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი წევრები რომ ყიდულობენ, ამას ბ-ნი ვიხლიაევი ვერც კი მიმხვდარა! ცხადია, რომ ამ თავგამოდებული ნაროდნიკის ამგვარი «დასკვნების» გარჩევა საჭირო არ არის, მით უმეტეს, რომ ბ-ნ ვიხლიაევის გამბედაობამ სირცხვილში ჩააგდო მისივე ბანაკის ეკონომისტებიც კი. თუმცა ბ-ნი კარიშევი «რუსსკოე ბოგატსტვოში» (1898, № 8) თავის ღრმა თანაგრძნობას უცხადებს იმას, რომ ბ-ნი ვიხლიაევი «კარგად ერკვევა იმ ამოცანებში, რომლებიც მიმდინარე მომენტში დგება ქვეყნის ეკონომიკის წინაშე», მაგრამ მაინც იძულებულია აღიაროს, რომ ბ-ნი ვიხლიაევი მეტისმეტი «ოპტიმისტია», რომ მისი დასკვნები თანაბრობისაკენ მისწრაფების შესახებ «ნაკლებად დასაბუთებულია», რომ მისი ცნობები «არაფერს არ მოწმობენ», ხოლო მისი დასკვნები «საფუძველს მოკლებულიაო».

IX. გლეხობის დაშლის შესახებ ზემოთგანხილული საეროგო-სტატისტიკური ცნობების ნაკრები

იმისათვის, რომ ზემომოყვანილი ცნობები გლეხობის დაშლის შესახებ ერთმანეთს შევადაროთ და ერთად დავაჯგუფოთ, ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია ავიღოთ აბსოლუტური ციფრები და ჯგუფების მიხედვით შევაერთოთ: ამისთვის საჭირო იქნებოდა სრული ცნობები რაიონების მთელი ჯგუფის შესახებ და დაჯგუფების წესის ერთნაირობა. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ და დავუპირისპიროთ მხოლოდ მაღალი და დაბალი ჯგუფების თანაფარდობანი (მიწის, პირუტყვის, იარაღის და სხვ. მფლობელობის მიხედვით). თანაფარდობა, გამოხატული, მაგალითად, იმით, რომ კომლთა 10%-ს აქვს ნათესის 30%, წარმოადგენს აბსოლუტურ ციფრთა შორის არსებული განსხვავების აბსტრაგირებას და ამიტომ გამოსადეგია ყოველ ადგილას არსებულ ყველა მსგავს თანაფარდობასთან შესადარებლად. მაგრამ ასეთი შედარებისთვის საჭიროა სხვა ადგილასაც გამოვყოთ კომლთა სწორედ 10%, არც მეტი და არც ნაკლები. ამავე დროს კი ჯგუფების ოდენობა სხვადასხვა მაზრასა და გუბერნიაში თანასწორი არ არის. მაშასადამე, საჭირო ხდება ამ ჯგუფების დაწილადება, რომ ყოველი ადგილიდან ავიღოთ კომლთა ერთნაირი პროცენტული წილი. პირობითად ავიღოთ კომლთა 20% შეძლებული გლეხობისათვის და 50%— შეუძლოსათვის, ე. ი. უმაღლესი ჯგუფებიდან შევადგინოთ კომლთა 20%-იანი ჯგუფი და დაბალი ჯგუფებიდან — კომლთა 50%-იანი ჯგუფი. ეს წესი განვმარტოთ მაგალითით. ვთქვათ, ჩვენ გვყავს ხუთი ჯგუფი ასეთი თანრიგისა — დაბალიდან უმაღლესისაკენ: კომლების 30%, 25%, 20%, 15% და 10% (S=100%). დაბალი ჯგუფის შესადგენად ვიღებთ პირველ ჯგუფს და მეორე ჯგუფის $^4/_5$ $\left(30+\frac{25.4}{5}=50\%\right)$, ხოლო უმაღლესი ჯგუფის შესადგენად ვიღებთ უკანასკნელ ჯგუფს და უკანასკნელის

წინა ჯგუფის $^2/_3$-ს $\left(10+\frac{15\cdot 2}{3}=20\%\right)$. ამასთან, ცხადია, რომ ნათესის, პირუტყვის, იარაღის და სხვ. პროცენტული წილიც ამგვარადვე განისაზღვრება. ესე იგი, თუ ნათესის პროცენტული წილი, რაც მოდის კომლთა აღნიშნულ წილზე, იქნება ასეთი: 15%, 20%, 20%, 21% და 24% (S=100%), მაშინ ჩვენ მიერ აღებულ უმაღლეს ჯგუფს — კომლთა 20%-ს მოუწევს $\left(24+\frac{21.2}{3}=\right)$ 38% ნათესი, ხოლო დაბალ ჯგუფს — კომლთა 50%-ს მოუწევს $\left(15+\frac{20\cdot 4}{5}=\right)$ 31% ნათესი. აშკარაა, რომ ჯგუფთა ამგვარი დაწილადებით ჩვენ ოდნავადაც არ ვცვლით გლეხთა მაღალ და დაბალ ფენებს შორის არსებულ ნამდვილ თანაფარდობას*. ასეთი დაწილადება კი საჭიროა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენ ამრიგად 4 — 5 — 6 — 7 სხვადასხვანაირი ჯგუფის მაგივრად ვიღებთ მკაფიოდ გამოხატული ნიშნების მქონე სამ მსხვილ ჯგუფს**; მეორეც, მხოლოდ ასეთი გზით ხდება შესაძლებელი ერთმანეთს შევადაროთ ცნობები სულ სხვადასხვა ადგილას და სულ სხვადასხვა პირობებში მყოფი გლეხობის დაშლის შესახებ.

ჯგუფთა ურთიერთდამოკიდებულების განსახილველად ჩვენ ვიღებთ შემდეგ ცნობებს, რომლებსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვთ დაშლის საკითხში: 1) კომლთა რიცხვი; 2) გლეხთა მოსახლეობის ორივე სქესის პირთა რაოდენობა; 3) რაოდენობა სანადელო მიწისა; 4) ნაყიდისა; 5) იჯარით აღებულისა; 6) იჯარით გაცემულისა; 7) ჯგუფის მთელი

---

* ამგვარი წესი უშვებს ცოტაოდენ შეცდომას, რის გამოც დაშლა უფრო სუსტი გვეჩვენება, ვიდრე ნამდვილად არის. სახელდობრ: უმაღლეს ჯგუფს ემატება საშუალო ჯგუფები და არა შემდეგი ჯგუფის უმაღლესი წარმომადგენელნი; დაბალ ჯგუფს ემატება საშუალო ჯგუფები და არა შემდეგი ჯგუფის დაბალი წარმომადგენელნი. ცხადია, რომ ეს შეცდომა მით უფრო დიდია, რაც უფრო მსხვილია ჯგუფები, რაც უფრო ნაკლებია ჯგუფთა რიცხვი.

** შემდეგ პარაგრაფში დავინახავთ, რომ ჩვენ მიერ აღებული ჯგუფთა ოდენობა ძალიან უახლოვდება მთელი რუსი გლეხობის ჯგუფებს, როცა ეს გლეხობა დანაწილებულია იმის მიხედვით, თუ რამდენი ცხენი მოდის თითო კომლზე.

მიწათმფლობელობა ან მიწათსარგებლობა (სანადელო მიწა+ ნაყიდი +იჯარა — იჯარით გაცემული მიწა); 8) ნათესი ფართობი; 9) მუშა პირუტყვი; 10) მთელი პირუტყვი; 11) მოჯამაგირიანი კომლები; 12) კომლები, რომელთაც საშოვარი აქვთ (შეძლებისდაგვარად ისეთი «საშოვრების» გამოყოფით, რომლებშიც სჭარბობს დაქირავებით მუშაობა, სამუშაო ძალის გაყიდვა); 13) სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და 14) გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღები. ხაზგასმულ ცნობებს («მიწის გაცემა» და «საშოვრები») უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ისინი გვიჩვენებენ მეურნეობის დაქვეითებას, გლეხის გაჩანაგებას და მუშად გადაქცევას. ყველა დანარჩენი ცნობა კი დადებითი ხასიათისაა და მოწმობს მეურნეობის გაფართოებას და გლეხის სოფლელ მეწარმედ გადაქცევას.

ყველა ამ ცნობის მიხედვით ჩვენ ვანგარიშობთ მეურნეობათა თვითეული ჯგუფისთვის პროცენტულ დამოკიდებულებას ჯამთან ამა თუ იმ გუბერნიის ერთი ან რამდენიმე მაზრის ფარგლებში და შემდეგ ვარკვევთ (ჩვენ მიერ აწერილი წესით), რა პროცენტული წილი მიწა, ნათესი, პირუტყვი და სხვ. მოუწევს უმაღლესი ჯგუფების კომლთა 20%-ს და დაბალი ჯგუფების კომლთა 50%-ს *.

მოგვყავს ამნაირად შედგენილი ცხრილი, რომელიც ეხება 7 გუბერნიის 21 მაზრას და მოიცავს ცნობებს 558 570 გლეხური მეურნეობის შესახებ, სადაც არის ორივე სქესის 3 523 418 მოსახლე.

* ვთხოვთ მკითხველს არ დაივიწყოს, რომ ახლა ჩვენ საქმე გვაქვს არა აბსოლუტურ ციფრებთან, არამედ მხოლოდ გლეხობის უმაღლესი და დაბალი ფენების თანაფარდობასთან. ამიტომ, მაგალითად, ჩვენ ახლა ვიღებთ მოჯამაგირიან (ან «საშოვრებიან») კომლთა რიცხვის პროცენტულ თანაფარდობას მოცემული ჯგუფის კომლთა რაოდენობასთან კი არა, არამედ მაზრის მოჯამაგირიან (ან «საშოვრებიან») კომლთა მთელ რაოდენობასთან, ე. ი. ახლა ვარკვევთ არა იმას, თუ რამდენად სარგებლობს ყოველი ჯგუფი დაქირავებული შრომით (ანდა ჰყიდის სამუშაო ძალას), არამედ ვარკვევთ მხოლოდ იმას, თუ როგორია უმაღლეს და დაბალ ჯგუფთა თანაფარდობა დაქირავებული შრომის გამოყენების მიხედვით (ან «საშოვრებში», სამუშაო ძალის გაყიდვაში მონაწილეობის მხრით).

ცხრილი ა*. უმაღლესი ჯგუფებისაგან

გუბერნიები	მაზრები	ხაზების ნომრები დიაგრამაზე	პროცენტული		
			გაცემული მიწა	«საშუალო» კომლები	კომლები მთლად
თავრიდის	დნეპროვსკის, მელიტოპოლის და ბერდიანსკის	1	9,7	12,6	20
სამარის	ნოვოუზენსკის ნიკოლაევის საშუალო	— — 2	0,7 0,3 0,5	— 4,1 4,1	20 20 20
სარატოვის	კამიშინის	3	11,7	13,8	20
პერმის	კრასნოუფიმსკის ეკატერინბურგის საშუალო	— — 4	7,8 — 7,8	0,6 4,3 2,4	20 20 20
ორიოლის	ელეცის და ტრუბჩევსკის	5	2,7	15,8	20
ვორონეჟის	ზადონსკის ზადონსკის, ზემლიანსკის, კოროტოიაკსკის და ნიჟნედევიცკის	6 —	11,9 12,5	11,6 12,6	20 20
ნიჟნი-ნოვგოროდის	კნიაგინინსკის, ვასილსკის და მაკარიევსკის	7	3,8	13,7	20

* შენიშვნები ცხრილის შესახებ იხ. გვ. 140.

შედგენილია ჯგუფი, რომელიც უდრის კომლთა 20%-ს

დამოკიდებულება მაზრების ან მაზრათა ჯგუფების ჯამებთან										
ორივე სქესის მოსახლეობა	მიწა				ნათესი	პირუტყვი		საკვებრო-საამრეწველო დანესებულებანი	მოჯამაგირიანი კომლები	გაუმჯობესებული იარაღები
	სანადელო	ნაყიდი	იჯარით აღებული	სულ სარგებლობაში		მეწმა პირუტყვი	ს ულ			
27,0	36,7	78,8	61,9	49,0	49,1	42,3	44,6	—	62,9	85,5
28,4	—	99	82	—	56	62	57	—	78,4	72,5
29,7	—	—	60,1	—	—	48,6	47,1	—	62,7	—
29,	—	99	71	—	56	55,3	52,0	—	70,5	72,6
30,3	34,1	—	59	47	50,5	57,4	53,2	—	65,9	—
26,8	30	—	58.3	49,6	49,2	42,5	41,8	42,8	66,4	86,1
26,1	—	—	83,7	—	55,1	42,3	41,8	37,0	74,9	—
26,4	30	—	71	49,6	52,1	42,4	41,5	39,9	70,6	86,1
27,4	29,0	63,4	51,7	38,2	—	42,1	37,8	49,8	57,8	75,5
28,1	29,1	66,8	53,6	34,6	33,9	41,7	39,0	47,4	56,5	77,3
28,1	30,9		49,2	34,1	—	38	37,2	45,9	48,4	70,1
27,8	29,4	59,7	50,8	36,5	38,2	46,3	40,3	51,2	54,5	—

ცხრილი ბ*. დაბალი ჯგუფებისაგან

გუბერნიები	მაზრები	ხაზების ნომრები დიაგრამაზე	პროცენტული		
			გაცემული მიწა	«საშოვრიანი» კომლები	კომლები მთლად
თავრიდის	დნეპროვსკის, მელიტოპოლის და ბერდიანსკის	1	72, 7	68,2	50
სამარის	ნოვოუზენსკის	—	93,8	74,6	50
	ნიკოლაევის	—	98	78,6	50
	საშუალო	2	95,9	76,6	50
სარატოვის	კამიშინის	3	71,5	60,2	50
	ვოლსკის, კუზნეცკის, ბალაშოვის და სერდობსკის	—	64,6	—	50
პერმის	კრასნოუფიმსკის	—	74	93,5	50
	ეკატერინბურგის	—	—	65,9	50
	საშუალო	4	74	79,7	50
ორიოლის	ელეცის და ტრუბჩევსკის	5	93,9	59,3	50
ვორონეჟის	ზადონსკის	6	63,3	65,3	50
	ზადონსკის, ზემლიანსკის, კოროტოიაკსკის და ნიჟნედევიცკის	—	67	63,8	50
ნიჟნი-ნოვგოროდის	კნიაგინინსკის, ვასილსკის და მაკარიევსკის	7	88,2	65,7	50

* შენიშვნები ცხრილის შესახებ იხ. გვ. 140.

შედგენილია ჯგუფი, რომელიც უდრის კომლთა 50 %-ს

დამოკიდებულება მაზრების ან მაზრათა ჯგუფების ჯამებთან										
ორივე სქესის მოსახლეობა	მიწა				ნათესი	პირუტყვი		სავეჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი	მოჯამაგირეთა კომლები	გაწმენდილობანი
	სანადელო	ნაყიდი	იჯარით აღებული	სულ სარგებლობაში		მუშა პირუტყვი	სულ			
41,6	33,2	12,8	13,8	23,8	21,5	26,6	26	—	15,6	3,6
39,6	—	0,4	5,0	—	16,3	11,3	14,3	—	4,4	2,8
38	—	—	11,1	—	—	17,8	20,3	—	7,1	—
38,8	—	0,4	8	—	16,3	14,5	17,3	—	5,7	2,8
36,6	33	—	9,8	18,6	14,9	9,6	14,3	—	7,5	—
37,6	35	—	14,1	25,2	21	14,7	19,7	—	—	—
40,7	37,4	—	6,5	19,2	16,7	23,1	24	23,8	6,1	2
44,7	—	—	8,7	—	21,2	30,5	30,8	35,6	10,4	—
42,7	37,4	—	7,6	19,2	18,9	26,8	27,4	29,7	8,2	2
39,4	37,2	8,9	12,9	24,9	—	17,7	23	20,2	7,8	2,4
39,2	37,5	11	13,8	31,9	31	20	24,6	23,2	9,1	1,3
37,2	33,6		15,4	29,9	—	20,3	23,4	17,3	13,1	3,6
40,6	37,7	15,4	16,4	30,9	28,6	17,2	24,8	16,1	18,9	—

შენიშვნები ა და ბ ცხრილებისათვის

1. თავრიდის გუბერნიის ცნობები იჯარით გაცემული მიწის შესახებ ეხება მხოლოდ ორ მაზრას: ბერდიანსკისა და დნეპროვსკისას.

2. იმავე გუბერნიაში გაუმჯობესებული იარაღებისადმი მიკუთვნებულია სათიბი და სამკელი მანქანები.

3. სამარის გუბერნიის ორივე მაზრაში იჯარით გაცემული მიწის პროცენტის ნაცვლად აღებულია ნადელის გამცემი უუფროსო კომლების პროცენტი.

4. ორიოლის გუბერნიაში იჯარით გაცემული მიწის რაოდენობა (და, მაშასადამე, სარგებლობაში მყოფი მთელი მიწა) განსაზღვრულია დაახლოებით. იგივე ითქმის ვორონეჟის გუბერნიის ოთხი მაზრის შესახებაც.

5. ორიოლის გუბერნიის ცნობები გაუმჯობესებული იარაღების შესახებ შეგროვილია მხოლოდ ელეცის მაზრიდან.

6. ვორონეჟის გუბერნიისათვის საშოვრიან კომლთა რაოდენობის ნაცვლად აღებულია (სამ მაზრაში: ზადონსკის, კოროტოიაკსკის და ნიჟნედევიცკის) იმ კომლების რიცხვი, რომელნიც მოჯამაგირეებს იძლევიან.

7. ვორონეჟის გუბერნიის ცნობები გაუმჯობესებული იარაღების შესახებ არის მხოლოდ ორი მაზრიდან — ზემლიანსკისა და ზადონსკის.

8. ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში საზოგადოდ «სარეწავიანი» კომლების ნაცვლად აღებულია გარესარეწავიანი კომლები.

9. ზოგიერთი მაზრის შესახებ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა რაოდენობის ნაცვლად იძულებული ვიყავით აგვეღო იმ კომლთა რაოდენობა, რომელთაც სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი აქვთ.

10. როცა კრებულებში გვხვდება რამდენიმე სვეტი «საშოვრების» შესახებ,—ჩვენ ვცდილობდით გამოგვეყო ისეთი «საშოვრები», რომლებიც უფრო ზუსტად გამოსახავენ დაქირავებით მუშაობას, სამუშაო ძალის გაყიდვას.

11. იჯარით აღებული მიწა მოცემულია, შეძლებისდაგვარად, მთლად: როგორც სანადელო, ისე არასანადელო, როგორც სახნავ-სათესი, ისე სათიბი.

12. მოვაგონებთ მკითხველს, რომ ნოვოუზენსკის მაზრაში გამორიცხული არიან ხუტორელები და გერმანელები; კრასნოუფიმსკის მაზრაში აღებულია მაზრის მხოლოდ სამიწათმოქმედო ნაწილი; ეკატერინბურგის მაზრაში გამორიცხული არიან უმიწაწყლო გლეხები და ისეთები, რომელთაც მხოლოდ სათიბი აქვთ; ტრუბჩევსკის მაზრაში გამორიცხული არიან ქალაქთან მდებარე თემები; კნიაგინინსკის მაზრაში გამორიცხულია სარეწავებიანი სოფელი ბოლშოე მურაშკინო და სხვ. ეს გამორიცხვანი ნაწილობრივ ჩვენ მიერაა მოხდენილი, ნაწილობრივ კი თვით მასალის ხასიათიდან გამომდინარეობენ. ამიტომ ცხადია, რომ ნამდვილად გლეხობის დაშლა უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვიდრე ის წარმოდგენილია ჩვენს ცხრილსა და დიაგრამაში.

ეს ნაკრები ცხრილი რომ დავასურათოთ და ნათელვყოთ გლეხობის მაღალ და დაბალ ჯგუფებს შორის არსებული თანაფარდობის სრული ერთგვარობა სულ სხვადასხვა ადგილებში, ჩვენ შევადგინეთ ქვემოთმოყვანილი დიაგრამა, რომელზეც შეტანილია ცხრილის პროცენტული მონაცემები. იმ სვეტის მარჯვნივ, რომელიც კომლთა მთელი რაოდენობის პროცენტულ წილს განსაზღვრავს, გაყვანილია სამეურნეო შეძლების დ ა დ ე ბ ი თ ი ნიშნების მაჩვენებელი ხაზი (მიწათმფლობელობის გაფართოება, პირუტყვის რაოდენობის გადიდება და სხვ.), მარცხნივ კი გაყვანილია სამეურნეო შეძლების უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნიშნების მაჩვენებელი ხაზი (მიწის გაცემა, სამუშაო ძალის გაყიდვა; ეს სვეტები გამოყოფილია განსაკუთრებული შტრიხით). მანძილი დიაგრამის ზ ე დ ა ჰორიზონტული ხაზიდან თვითეულ მ თ ლ ი ა ნ მრუდე ხაზამდე გვიჩვენებს შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი ჯგუფების წილს გლეხური მეურნეობის საერთო ჯამში, ხოლო მანძილი დიაგრამის ქ ვ ე დ ა ჰორიზონტული ხაზიდან თვითეული პ უ ნ ქ ტ ი რ ი ს მრუდე ხაზამდე გვიჩვენებს გლეხობის შ ე უ ძ ლ ო ჯგუფების წილს გლეხური მეურნეობის მთელ ჯამში. ბოლოს, ნაკრები ცნობების საერთო ხასიათის უკეთ გამოსახატავად, ჩვენ გავიყვანეთ «საშუალო» ხაზი (რაც მიღებულია საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშებით იმ პროცენტული მონაცემებიდან, რომლებიც დიაგრამაზეა აღნუსხული. «საშუალო» ხაზი სხვა ხაზებიდან გამოსარჩევად წითელი ფერისაა). ეს «საშუალო» ხაზი გვიჩვენებს თანამედროვე რუსი გლეხობის, ასე ვთქვათ, ტიპიურ დაშლას.

ახლა, დაშლის შესახებ ზემოთ (§§ I—VII) მოყვანილი ცნობების შესაჯამებლად, განვიხილოთ ეს დიაგრამა სვეტობით.

პირველი სვეტი იმ სვეტის მარჯვნივ, რაც გვიჩვენებს კომლთა პროცენტებს, აღნიშნავს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს წილს, რომელიც მოდის მაღალ და დაბალ ჯგუფზე. ჩვენ ვხედავთ, რომ შეძლებული გლეხობის ოჯახთა შემადგენლობა ყველგან

საშუალოზე მეტია, შეუძლო გლეხობისა კი — საშუალოზე ნაკლები. ამ ფაქტის მნიშვნელობაზე უკვე ვილაპარაკეთ. დავუმატებთ მხოლოდ, რომ სწორი არ იქნებოდა ყველა შედარებისათვის ერთეულად აგვეღო არა კომლი, ოჯახი, არამედ 1 სული მცხოვრები (როგორც ამას ჩვეულებრივ შვრებიან ნაროდნიკები). თუ შეძლებული ოჯახის ხარჯი იზრდება ოჯახის დიდი შემადგენლობის გამო, სამაგიეროდ, დიდოჯახიან კომლში მრავალი ხარჯი მცირდება (ხარჯები შენობების ასაგებად, ოჯახის მოწყობილობის შეძენისა და მეურნეობისათვის და სხვ. და სხვ.. მეურნეობის მხრით დიდი ოჯახის სარგებლიანობას განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ენგელგარდტი «წერილებში სოფლიდან»[42] და ტრიროგოვი წიგნში «თემი და გამოსაღები». სპბ. 1882). ამიტომ შედარებათა ერთეულად 1 სული მცხოვრების აღება, ხარჯების ასეთი შემცირების მხედველობაში მიუღებლად, ნიშნავს დიდსა და პატარა ოჯახში «სულის» მდგომარეობის ხელოვნურად და ყალბად გათანაბრებას. თუმცაღა, დიაგრამა ცხადად გვიჩვენებს, რომ გლეხობის შეძლებული ჯგუფი სამიწათმოქმედო წარმოების გაცილებით უფრო მეტ წილს იკრებს თავის ხელში, ვიდრე მას მოუწევდა მოსახლეობის თვითეულ სულზე ანგარიშის მიხედვით.

შემდეგი სვეტი — სანადელო მიწაა. მის განაწილებას ემჩნევა ყველაზე მეტი გათანაბრება, რაც ასეც უნდა იყოს ნადელის იურიდიულ თვისებათა გამო. თუმცა აქაც იწყება შეძლებულთა მიერ ღარიბების გამოდევნის პროცესი: ყ ვ ე ლ გ ა ნ ვხედავთ, რომ მაღალი ჯგუფები ფლობენ სანადელო მიწის რამდენადმე უფრო მეტ წილს იმასთან შედარებით, მოსახლეობის რა წილსაც ისინი შეადგენენ, დაბალი ჯგუფები კი უფრო ნაკლებს ფლობენ. «თემი» გლეხური ბურჟუაზიის ინტერესების მხარეზე იხრება. მაგრამ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ა რ ს ე ბ უ ლ მიწათმფლობელობასთან შედარებით სანადელო მიწის განაწილების უთანაბრობა ჯერ კიდევ სრულიად უმნიშვნელოა. ნადელის განაწილება (როგორც ეს აშკარად

ჩანს დიაგრამიდან) არავითარ წარმოდგენას არ იძლევა მიწისა და მეურნეობის ნამდვილი განაწილების შესახებ *.

შემდეგ—სვეტი ნაყიდი მიწის შესახებ. ყველგან ხდება ამ მიწის კონცენტრაცია შეძლებულთა ხელში: კომლთა ერთი მეხუთედის ხელშია დაახლოებით $^{6}/_{10}$ თუ $^{7}/_{10}$ მთელი საგლეხო ნაყიდი მიწა, მაშინ როცა ღარიბი გლეხობის კომლთა ნახევარს უწევს maximum 15%! აქედან ადვილი გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს «ნაროდნიკულ» ზრუნვას იმაზე, რომ «გლეხობამ» მოახერხოს რაც შეიძლება მეტი მიწის ყიდვა და რაც შეიძლება იაფად.

შემდეგი სვეტი — იჯარა. აქაც ყველგან ვხედავთ მიწის კონცენტრაციას შეძლებულთა ხელში (კომლთა ერთ მეხუთედს უწევს მთელი იჯარით აღებული მიწის $^{5}/_{10}$—$^{8}/_{10}$), ამასთან შეძლებულნი უფრო იაფად იღებენ მიწას, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ. გლეხური ბურჟუაზიის მიერ იჯარის ხელში ჩაგდება აშკარად ამტკიცებს, რომ «გლეხურ იჯარას» სამრეწველო ხასიათი აქვს (მიწის ყიდვა პროდუქტის გასაყიდად) **. როცა ამას ვამბობთ, ამით

---

* საკმარისია ერთი თვალის გადავლება დიაგრამაზე, რომ აშკარა შეიქნას ნადელის მიხედვით დაჯგუფების გამოუსადეგრობა გლეხობის დაშლის შესასწავლად.

** მეტად კურიოზულია ბ-ნ კარიშევის წიგნში იჯარის შესახებ «დასკვნა» (თავი VI). გლეხური იჯარის არასამრეწველო ხასიათის შესახებ ყველა თავისი უსაფუძვლო და საერობო სტატისტიკის მონაცემთა საწინააღმდეგო მტკიცების შემდეგ, ბ-ნი კარიშევი აქ აყენებს «იჯარის თეორიას» (რაც მას გადმოღებული აქვს ვ. როშერისა და სხვებისაგან), ესე იგი დასავლეთ ევროპის ფერმერობის მეცნიერულად შეკაზმულ desiderata-ს (სურვილებს. რ ე დ.): «იჯარის გრძელვადიანობა» («საჭიროა მიწათმოქმედი «მეურნეობრივად» მოეპყრას... მიწას», გვ. 371) და ზომიერი საიჯარო ქირა, რომელიც მოიჯარადრის ხელში სტოვებს ხელფასს, პროცენტს, მის მიერ გამოყენებული კაპიტალის საზღაურს და სამეწარმეო მოგებას (373). ბ-ნ კარიშევს სრულებით არ აწუხებს ის, რომ ამგვარი თეორია გვევლინება შემდეგი ჩვეულებრივი ნაროდნიკული რეცეპტის გვერდით: «თავიდან იქნას აცილებულიო» (398). ფერმერობის «თავიდან ასაცილებლად» ბ-ნი კარიშევი მიმართავს ფერმერობის «თეორიას»! ამგვარი «დასკვნა» ბუნებრივად აგვირგვინებს ბ-ნ კარიშევის წიგნის ძირითად

სრულიადაც არ უარვყოფთ გაჭირვების გამო წარმოშობილი იჯარის ფაქტს. პირიქით, დიაგრამა გვიჩვენებს, რომ იჯარას სრულიად სხვანაირი ხასიათი აქვს ღარიბი გლეხობისათვის, რომელიც ებღაუჭება მიწას (კომლთა $^1/_2$-ს უწევს მთელი იჯარის $^1/_{10}$—$^2/_{10}$). გლეხიც არის და გლეხიც.

«გლეხურ მეურნეობაში» იჯარის წინააღმდეგობრივი მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, როცა ერთმანეთს ვადარებთ იჯარის სვეტს და მიწის გაცემის სვეტს (პირველი სვეტი მარცხნივ, ე. ი. უარყოფითი ნიშნების რიგში). აქ ჩვენ ვხედავთ სრულიად წინააღმდეგს: მიწის უმთავრესი გამცემნი არიან დაბალი ჯგუფები (კომლთა $^1/_2$-ზე მოდის გაცემული მიწის 7 — 8 მეათედი), რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ ნადელს, რაც (კანონით აკრძალვისა და შეზღუდვის მიუხედავად) მეპატრონეთა ხელში გადადის. ამნაირად, როცა ჩვენ გვეუბნებიან, «გლეხობა» იჯარით იღებს მიწას და «გლეხობავე» სცემს მიწასო, ჩვენ ვიცით, რომ პირველი ეხება უმთავრესად გლეხურ ბურჟუაზიას, მეორე კი — გლეხურ პროლეტარიატს.

მიწის ყიდვის, იჯარისა და გაცემის დამოკიდებულება ნადელთან განსაზღვრავს ჯგუფთა ნამდვილ მიწათმფლობელობასაც (მე-5 სვეტი მარჯვნივ). ჩვენ ყველგან ვხედავთ, რომ გლეხების განკარგულებაში არსებული მთელი მიწის ნამდვილ განაწილებას უკვე საერთო არაფერი აქვს ნადელის «გამთანაბრებლობასთან». კომლთა 20 %-ზე მოდის მთელი მიწის 35 %-დან 50 %-მდე, კომლთა 50 %-ზე კი — 20 %-დან 30 %-მდე. ნათესის განაწილებაში (შემდეგი

წინააღმდეგობას: ბ-ნი კარიშევი, ერთი მხრით, იზიარებს ყველა ნაროდნიკულ ცრუშეხედულებას და სულით და გულით თანაუგრძნობს წვრილი ბურჟუაზიის ისეთ კლასიკურ თეორეტიკოსებს, როგორიცაა სისმონდი (იხ. კ ა რ ი შ ე ვ ი. «მიწების მუდმივ-მემკვიდრეობითი დაქირავება ევროპის კონტინენტზე». მ. 1885), მეორე მხრით კი, არ შეუძლია არ აღიაროს, რომ იჯარა «ბიძგს» აძლევს (გვ. 396) გლეხობის დაშლას, რომ «უფრო შეძლებული ფენები» ავიწროებენ ნაკლებად შეძლებულებს, რომ აგრარული ურთიერთობის განვითარება სწორედ მოჯამაგირეობას იწვევს (გვ. 397).

სვეტი) მაღალი ჯგუფის მიერ დაბალი ჯგუფის შევიწროება კიდევ უფრო მკაფიოდ აშკარავდება, — ალბათ, იმიტომ, რომ შეუძლო გლეხობას ხშირად საშუალება არა აქვს მეურნეობრივად გამოიყენოს თავისი მიწა და სტოვებს მას. ორივე სვეტი (მთელი მიწათმფლობელობის და ნათესის შესახებ) გვიჩვენებს, რომ მიწის ყიდვა და იჯარა იწვევს მეურნეობის საერთო სისტემაში დაბალი ჯგუფების წილის შ ე მ ც ი რ ე ბ ა ს, ე. ი. მათ შევიწროებას შეძლებული უმცირესობის მიერ. ეს უმცირესობა ახლა უკვე უმთავრეს როლს ასრულებს გლეხურ მეურნეობაში, რადგან მის ხელში თავმოყრილია იმდენივე წილი ნათესისა, რამდენიც აქვს მთელ დანარჩენ, ერთად აღებულ გლეხობას.

ორი შემდეგი სვეტი გვიჩვენებს მუშა პირუტყვის და საზოგადოდ პირუტყვის განაწილებას გლეხობაში. პირუტყვის პროცენტული წილი ძალიან მცირედ განსხვავდება ნათესის პროცენტული წილისაგან: და ეს არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო, რადგან მუშა პირუტყვის (აგრეთვე მთელი პირუტყვის) რაოდენობა განსაზღვრავს ნათესის ოდენობას და თავის მხრით განისაზღვრება ამ უკანასკნელით.

შემდეგი სვეტი გვიჩვენებს გლეხობის სხვადასხვა ჯგუფის წილს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა საერთო ჯამში. კომლთა ერთ მეხუთედს (შეძლებულ ჯგუფს) თავის ხელში აქვს ამ დაწესებულებათა $^1/_2$-მდე, ღარიბ კომლთა $^1/_2$-ს კი — მხოლოდ $^1/_5$-მდე *, ე. ი. «სარეწავნი», რომელნიც გამოხატავენ გლეხობის ბურჟუაზიად გადაქცევას, თავს იყრიან უმთავრესად ყველაზე უფრო შეძლებულ მიწათმოქმედთა ხელში. მაშასადამე, შეძლებული გლეხები კაპიტალს აბანდებენ მიწათმოქმედებაშიც (მიწის ყიდვა, იჯარა, მუშების

* ეს ციფრიც (ყველა დაწესებულების $^1/_5$-მდე), რასაკვირველია, გაზვიადებულია, რადგან არამთესველთა, უცხენო და ერთცხენიან გლეხთა თანრიგში სოფლის მეურნეობის მუშები, შავი მუშები და სხვები არეული არიან არამიწათმოქმედებთან (მედუქნეებთან, ხელოსნებთან და სხვ.).

დაქირავება, იარაღთა გაუმჯობესება და სხვ.), სამრეწველო დაწესებულებებშიც, ვაჭრობაშიც და მევახშეობაშიც: სავაჭრო და სამეწარმეო კაპიტალი მჭიდროდ არის ერთიმეორესთან დაკავშირებული, და გარშემო არსებულ პირობებზეა დამოკიდებული, კაპიტალის ამ ფორმებისგან რომელი მოიპოვებს უპირატესობას.

ცნობები «საშოვრიან» კომლთა შესახებ (პირველი· სვეტი მარცხნივ, უარყოფით ნიშნებს შორის) ახასიათებენ აგრეთვე «სარეწავებს», რომლებსაც ამასთან სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვთ და რომლებიც მოასწავებენ გლეხის პროლეტარად გადაქცევას. ეს «სარეწავები» თავმოყრილია ღარიბთა ხელში (კომლთა 50%-ზე მოდის საშოვრიან კომლთა მთელი რიცხვის 60—90%), მაშინ როცა შეძლებული ჯგუფები მათში სრულიად უმნიშვნელო მონაწილეობას იღებენ (არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვერ შევძელით «მრეწველთა» ამ თანრიგშიც ზუსტად გამოგვეყო მეპატრონეები მუშებისაგან). საკმარისია ერთმანეთს დაუპირისპიროთ ცნობები «საშოვრებისა» და «სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა» შესახებ, რომ გამოაშკარავდეს «სარეწავთა» ამ ორი ტიპის სრული პირდაპირობა, რომ გასაგები შეიქნეს, თუ რა წარმოუდგენელ არევ-დარევას იწვევს მათი ერთიმეორეში შერევა.

მოჯამაგირიანი კომლები ყველგან მოქცეული არიან შეძლებული გლეხობის ჯგუფში (კომლთა 20%-ზე მოდის მოჯამაგირიან მეურნეობათა მთელი რაოდენობის 5—7 მეათედი), რომელსაც (მიუხედავად მისი მრავალოჯახიანობისა) არ შეუძლია არსებობა ისე, თუ არ იქნა მისი «შემავსებელი» სოფლის მეურნეობის მუშების კლასი. ჩვენ აქ ვხედავთ იმ დებულების თვალსაჩინო დადასტურებას, რომელიც ზემოთ გამოვთქვით: სახელდობრ, რომ მოჯამაგირიან მეურნეობათა რაოდენობის შედარება გლეხურ «მეურნეობათა» საერთო რაოდენობასთან (მათ შორის მოჯამაგირეთა «მეურნეობებთანაც») — სისულელეა. გაცილებით უფრო სწორია მოჯამაგირიან მეურნეობათა რაოდენობის შედარება გლეხთა კომლების ერთ მეხუთედ ნაწილთან, რადგან შეძლებული უმცირე-

სობის ხელშია თავმოყრილი მოჯამაგირიან მეურნეობათა მთელი რაოდენობის $^3/_5$-მდე ან $^2/_3$-იც კი. გლეხობაში სამეწარმეო მიზნით მუშების დაქირავება გაცილებით აღემატება მუშების დაქირავებას გაჭირვების გამო, ოჯახში მუშახელის ნაკლებობის გამო: შეუძლო და მ ც ი რ ე ო ჯ ა ხ ი ა ნ ი გლეხობის 50%-ზე სულ მოდის მოჯამაგირიან მეურნეობათა მთელი რაოდენობის $^1/_{10}$-მდე (თუმცაღა, აქაც შეუძლოთა რიცხვში მოხვდნენ მედუქნეები, მრეწველები და სხვ., რომლებიც გაჭირვების გამო როდი ქირაობენ მუშებს).

უკანასკნელი სვეტისათვის, რომელიც გვიჩვენებს გაუმჯობესებული იარაღების განაწილებას, შეიძლებოდა, ბ-ნ ვ. ვ.-ს მაგალითისამებრ, მიგვეცა ასეთი სათაური: «პროგრესული მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობაში». უფრო «სამართლიანად» უნდა ჩაითვალოს ამ იარაღების განაწილება სამარის გუბერნიის ნოვოუზენსკის მაზრაში, სადაც შეძლებულ კომლთა ერთ მეხუთედ ნაწილს აქვს მხოლოდ 73 იარაღი 100-დან, ღარიბ კომლთა ნახევარს კი — მთელი სამი ცალი ასიდან.

გადავიდეთ სხვადასხვა ადგილის ერთმანეთთან შედარებაზე გლეხობის დაშლის დონის მიხედვით. დიაგრამაზე ამ მხრივ თვალსაჩინოდ გამოიყოფიან ორგვარი ადგილები: თავრიდის, სამარის, სარატოვის და პერმის გუბერნიებში მიწათმოქმედი გლეხობის დაშლა შესამჩნევად უფრო ძლიერია, ვიდრე ორიოლის, ვორონეჟის, ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიებში. პირველი ოთხი გუბერნიის ხაზები დიაგრამაზე გაყოლებულია საშუალო წითელი ხაზის დაბლა, ხოლო უკანასკნელი სამი გუბერნიის ხაზები მიდის საშუალოზე ზევით, ე. ი. გვიჩვენებენ შეძლებული უმცირესობის ხელში მეურნეობის ნაკლებ კონცენტრაციას. პირველგვარი ადგილები ყველაზე უფრო მრავალმიწიანი და მხოლოდ სამიწათმოქმედო ადგილებია, რომლებსაც ახასიათებთ ექსტენსიური მიწათმოქმედება (პერმის გუბერნიის მაზრებში გამოყოფილია მაზრების სამიწათმოქმედო ნაწილები). ასეთი ხასიათის მიწათმოქმედების პირობებში მიწათმოქმედი გლეხობის დაშლა

უფრო ადვილი აღსარიცხავია და ამიტომ უფრო თვალსაჩინოა. პირიქით, მეორეგვარ ადგილებში ჩვენ ვხედავთ, ერთი მხრით, სავაჭრო მიწათმოქმედების ისეთ განვითარებას, რომელიც ჩვენს ცნობებში გათვალისწინებული არ არის, მაგალითად, კანაფის ნათესები ორიოლის გუბერნიაში. მეორე მხრით, ჩვენ ვხედავთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს აქ «სარეწავებს», როგორც დაქირავებით მუშაობის აზრით (ვორონეჟის გუბერნიის ზადონსკის მაზრა), ისე არასამიწათმოქმედო მოსაქმეობის აზრით (ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნია). ორივე ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედი გლეხობის დაშლის საკითხისათვის. პირველის შესახებ (სავაჭრო მიწათმოქმედებისა და სოფლის მეურნეობის პროგრესის ფორმის განსხვავება სხვადასხვა ადგილას) ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მეორის მნიშვნელობა («სარეწავთა» როლი) არანაკლებ ცხადია. თუ ამა და ამ ადგილას გლეხობის მასა შესდგება ნადელის მქონე მოჯამაგირეებისაგან, დღიური მუშებისაგან ან დაქირავებული მესარეწე მუშებისაგან, მაშინ, რასაკვირველია, მიწათმოქმედი გლეხობის დაშლა აქ ძალიან სუსტად იქნება გამოსახული *. მაგრამ საქმის ვითარების სწორად წარმოდგენისათვის საჭიროა სოფლის პროლეტარიატის ეს ტიპიური წარმომადგენლები შევადაროთ გლეხური ბურჟუაზიის ტიპიურ წარმომადგენლებს. ვორონეჟელი ნადელიანი დღიური მუშა, რომელიც მიდის «საშოვარზე» სამხრეთისაკენ, უნდა შევადაროთ თავრიდელ გლეხს, რომელსაც უზარმაზარი ნათესები აქვს. კალუგის, ნიჟნი-ნოვგოროდის, იაროსლავლის დურგალი უნდა შევადაროთ იაროსლავლელ, მოსკოველ მებოსტნეს ან გლეხს, რომელსაც ჰყავს პირუტყვი რძის გასაყიდად, და სხვ. სწორედ ასევე, თუ ადგილობრივი გლეხობის მასა ჩაბმულია დამმუშავებელ მრეწველობაში და

* ძალიან შესაძლებელია, რომ შუა შავმიწიან გუბერნიებში, როგორიც არის ორიოლის, ვორონეჟის და სხვ., გლეხობის დაშლა მართლაც უფრო სუსტი იყოს მიწის ნაკლებობის, გამოსაღებთა სიმძიმის გამო, შრომამიგების დიდად განვითარების გამო: ყოველივე ეს დაშლის შემაფერხებელი პირობებია.

თავისი ნადელებიდან საარსებო საშუალებათა მხოლოდ მცირე ნაწილს იღებს, — მაშინ ცნობები მიწათმოქმედი გლეხობის დაშლის შესახებ უნდა შეივსოს ცნობებით მესარეწე გლეხობის დაშლის შესახებ. V თავში ჩვენ შევუდგებით ამ უკანასკნელი საკითხის განხილვას, ახლა კი მხოლოდ ტიპიური მიწათმოქმედი გლეხობის დაშლა გვაინტერესებს.

X. საერობო სტატისტიკისა და სამხედრო ცხენთაღწერის მონაცემთა შენაჯამები [43]

ჩვენ ცხადვყავით, რომ გლეხობის მაღალ და დაბალ ჯგუფებს შორის არსებული თანაფარდობა სწორედ იმავე ნიშნებით ხასიათდება, როგორიც დამახასიათებელია სოფლის ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის თანაფარდობისათვის; — რომ ეს თანაფარდობა გასაოცრად ერთგვაროვანია სულ სხვადასხვა ადგილას, რომლებიც სულ სხვადასხვა პირობებში არიან; — რომ ამ თანაფარდობის რიცხვობრივი გამოხატულებანიც კი (ე. ი. ჯგუფების პროცენტული წილი ნათესის, პირუტყვის და სხვ. საერთო რაოდენობაში) შედარებით მეტად მცირე ფარგლებში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბუნებრივად იბადება საკითხი: რამდენად შესაძლებელია, რომ ეს მონაცემები სხვადასხვა ადგილას არსებულ ჯგუფთა თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ი ს შესახებ გამოვიყენოთ, რათა შევადგინოთ სწორი წარმოდგენა ი მ ჯ გ უ ფ ე ბ ზ ე, რომლებადაც იყოფა მთელი რუსი გლეხობა? სხვანაირად რომ ითქვას: რა ცნობების საშუალებით შეიძლება ვიმსჯელოთ მთელი რუსი გლეხობის მაღალი და დაბალი ჯგუფების შემადგენლობის და მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ?

ასეთი ცნობები ჩვენ ძალიან ცოტა მოგვეპოვება, რადგან რუსეთში არ ტარდება სოფლის მეურნეობის აღწერები, რომლებიც მასობრივად აღრიცხავდნენ ქვეყნის ყველა სამიწათმოქმედო მეურნეობას. ერთადერთი მასალა იმ სამეურნეო ჯგუფების გასათვალისწინებლად, რომლებადაც იყოფა ჩვენი გლეხობა, არის საერობო სტატისტიკის და სამხედრო ცხენთაღწერის ნაკრები მონაცემები გლეხურ

კომლთა შორის მუშა პირუტყვის (ან ცხენების) განაწილების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალა მეტად უკმარია, მისგანაც შესაძლებელია გამოვიყვანოთ საყურადღებო დასკვნები (რასაკვირველია, მეტად ზოგადი, დაახლოებითი და საერთო ხასიათისა), განსაკუთრებით იმის მეოხებით, რომ მრავალცხენიანი და მცირეცხენიანი გლეხობის თანაფარდობა ჩვენ უკვე განვიხილეთ და აღმოჩნდა, რომ ეს თანაფარდობა სულ სხვადასხვა ადგილას გასაოცრად ერთგვაროვანია.

ბ-ნ ბლაგოვეშჩენსკის «საერობო კომლობრივ აღწერათა სამეურნეო ცნობების შენაჯერი კრებულის» (ტ. I. «გლეხური მეურნეობა». მ. 1893)[44] ცნობებით, საერობო აღწერები მოიცავენ 22 გუბერნიის 123 მაზრას და ეხებიან 2 983 733 გლეხურ კომლს და ორივე სქესის მოსახლეობის 17 996 317 სულს. მაგრამ მონაცემები მუშა პირუტყვის მიხედვით კომლთა განაწილების შესახებ ყველგან ერთგვაროვანი როდია. სახელდობრ, სამ გუბერნიაში ჩვენ უნდა გამოვრიცხოთ 11 მაზრა *, რადგან იქ განაწილება მოხდენილია არა ოთხ, არამედ მხოლოდ სამ ჯგუფად. დანარჩენი 21 გუბერნიის 112 მაზრისათვის ჩვენ მივიღეთ შემდეგი ნაკრები მონაცემები, რომლებიც ეხება თითქმის $2^1/_2$ მილიონ კომლს 15 მილიონი მცხოვრებით:

მეურნეობათა ჯგუფები	კომლები	% კომლებისა		რამდენი მუშა პირუტყვი **	% მთელი მუშა პირუტყვის რაოდენობისა	მუშა პირუტყვი თითო კომლზე
მუშა პირუტყვის არმყოლნი	613 238	24,7	53,3	—	—	—
1 მუშა პირუტყვით	712 256	28,6		712 256	18,6	1
2 » »	645 900	26,0		1 291 800	33,7	2
3 » »	515 521	20,7		1 824 969	47,7	3,5
სულ	2 486 915	100		3 829 025	100	1,5

ეს მონაცემები მოიცავენ ევროპული რუსეთის მთელ გლეხურ კომლთა რიცხვის ერთ მეოთხედზე ცოტათი ნაკ-

* 5 მაზრა სარატოვის გუბერნიისა, 5 — სამარისა და 1 — ბესარაბიისა.

** აქ ცხენებზე მითვლილია ხარებიც, რომლებიც ორ-ორი ნაანგარიშევია თითოდ.

ვ. ი. ლენინის რვეულის ერთი გვერდი
ამონაწერებით და გაანგარიშებებით
ნ. ა. ბლაგოვეშჩენსკის წიგნიდან
«შეჯამებული სტატისტიკური კრებული» (1895

ლებს («ევროპული რუსეთის სოფლის მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის შესახები სტატისტიკური მასალების ნაკრები» — მინისტრთა კომიტეტის კანცელარიის გამოცემა. სპბ. 1894 — ანგარიშობს ევროპული რუსეთის 50 გუბერნიის თემებში 11 223 962 კომლს, მათ შორის 10 589 967 გლეხურ კომლს). გლეხებს შორის ცხენების განაწილების მონაცემები მთელი რუსეთისათვის ჩვენ გვაქვს შემდეგ წყაროებში: «რუსეთის იმპერიის სტატისტიკა. XX. 1888 წლის სამხედრო ცხენთაღწერა» (სპბ. 1891) და იგივე: «რუს. იმპ. სტატისტიკა. XXXI. 1891 წლის სამხედრო ცხენთაღწერა» (სპბ. 1894). პირველი გამოცემა შეიცავს იმ მონაცემების დამუშავებას, რომლებიც შეკრებილია 1888 წელს და შეეხება 41 გუბერნიას (მათ შორის პოლონეთის სამეფოს 10 გუბერნიას), ხოლო მეორე — ევროპული რუსეთის 18 გუბერნიას კავკასიის, ყალმუხეთის ველისა და დონის ჯარის ოლქის მიმატებით.

როდესაც გამოვყოფთ ევროპული რუსეთის 49 გუბერნიას (დონის ოლქის შესახებ ცნობები სრული არ არის) და შევაერთებთ 1888 და 1891 წლების მონაცემებს, მივიღებთ სოფლის საზოგადოებებში გლეხთა კუთვნილი ცხენების მთელი რაოდენობის განაწილების შემდეგ სურათს.

ევროპული რუსეთის 49 გუბერნიაში

მეურნეობათა ჯგუფები	გლეხთა კომლები			რამდენი ცხენი ჰყავთ მათ			1 კომლზე მოდის ცხენი
	სულ	%-ბით		სულ	%-ბით		
უცხენონი	2 777 485	27,3	55,9	—	—		—
1-ცხენიანნი	2 909 042	28,6		2 909 042	17,2		1
2 »	2 247 827	22,1		4 495 654	26,5		2
3 »	1 072 298	10,6	22,0	3 216 894	18,9	56,3	3
4 და მეტცხენ.	1 155 907	11,4		6 339 198	37,4		5,4
სულ	10 162 559	100		16 960 788	100		1,6

ამრიგად, მუშა ცხენების განაწილება მთელი რუსეთის გლეხობაში ძალიან უახლოვდება დაშლის იმ «საშუალო» სიდიდეს, რომელიც ზემოთ გამოვიყვანეთ ჩვენს დიაგრამაში. ნამდვილად დაშლა, თურმე, რამდენადმე უფრო

ღრმაც კი ყოფილა: კომლთა 22%-ის ხელში (2,2 მილიონი კომლი 10,2 მილიონიდან) თავმოყრილია $9^1/_2$ მილიონი ცხენი 17 მილიონიდან, ე. ი. მთელი რაოდენობის 56,3%. უზარმაზარი მასა — 2,8 მილიონი კომლი სრულებით უცხენოდაა, ხოლო 2,9 მილიონ ერთცხენიან კომლს ჰყავს ცხენთა მთელი რაოდენობის მხოლოდ 17,2%*.

ჯგუფთა თანაფარდობის იმ კანონშეწონილობაზე დაყრდნობით, რომელიც ჩვენ ზემოთ გამოვიყვანეთ, შეგვიძლია ახლა განვსაზღვროთ ამ მონაცემების ნამდვილი მნიშვნელობა. თუ კომლთა ერთი მეხუთედის ხელში თავმოყრილია ცხენთა მთელი რაოდენობის ნახევარი, აქედან შეუცდომლად შეიძლება დავასკვნათ, რომ მის ხელთაა გლეხების მთელი სამიწათმოქმედო წარმოების ნახევარზე არა ნაკლები (და შეიძლება მეტიც). წარმოების ასეთი კონცენტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ამ შეძლებული გლეხობის ხელში კონცენტრირებულია ნაყიდი მიწის და როგორც არასანადელო, ისე სანადელო მიწების საგლეხო იჯარის უმეტესი ნაწილი. უმთავრესად სწორედ ეს შეძლებული უმცირესობა ყიდულობს და იჯარით იღებს მიწებს, მიუხედავად იმისა, რომ ის, უეჭველია, უკეთესად არის უზრუნველყოფილი სანადელო მიწით. თუ «საშუალო» რუსი გლეხი ყველაზე მოსავლიან წელიწადში ძლივსძლობით ირჩენს თავს (და ისიც გამოურკვეველია, ირჩენს თუ არა თავს), ეს შეძლებული უმცირესობა, რომელიც საშუალოზე გაცილებით უკეთესადაა უზრუნველყოფილი, არათუ

---

* თუ როგორ იცვლება ამ უკანასკნელ დროს ცხენების განაწილება გლეხობაში, ამაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ 1893 — 1894 წწ. სამხედრო ცხენთაღწერის შემდეგი ცნობებით («რუსეთის იმპერიის სტატისტიკა». XXXVII). 1893 — 1894 წწ. ევრ. რუსეთის 38 გუბერნიაში იყო: 8 288 987 გლეხური კომლი; ამათგან უცხენო — 2 641 754, ანუ 31,9%; ერთცხენიანი — 31,4%; ორცხენიანი — 20,2%; სამცხენიანი — 8,7%; ოთხ და მეტცხენიანი — 7,8%. გლეხებს ჰყავდათ სულ 11 560 358 ცხენი; აქედან ერთცხენიანებზე მოდიოდა 22,5%; ორცხენიანებზე — 28,9%; სამცხენიანებზე — 18,8% და მრავალცხენიანებზე—29, 8%. ამრიგად, შეძლებული გლეხების 16,5%-ს ჰყავდა ცხენების მთელი რაოდენობის 48,6%.

ფარავს მთელ თავის ხარჯს საკუთარი მეურნეობით, არამედ ზედმეტსაც იღებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი არის საქონელ-მწარმოებელი, რომ იგი გასაყიდად აწარმოებს მიწათ-მოქმედების პროდუქტებს. კიდევ მეტი: იგი იქცევა სოფლის ბურჟუაზიად იმით, რომ თავის შედარებით მსხვილ საადგილ-მამულო მეურნეობასთან აერთებს სავაჭრო-სამრეწველო საწარ-მოებს, — ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ სწორედ ამგვარი «სა-რეწავები» ყველაზე უფრო ტიპიურია რუსი «მეურნეობრი-ვი» გლეხისათვის. მიუხედავად ოჯახების უფრო მრავალ-წევრიანობისა, მიუხედავად შინამომუშავეთა უფრო დიდი რიცხვისა (შეძლებულ გლეხობას ყოველთვის ახასიათებს ეს ნიშნები, და კომლთა რაოდენობის $^1/_5$ წილზე უნდა მოდიოდეს მოსახლეობის მეტი წილი, დაახლოებით, $^3/_{10}$-დე), — ეს შეძლე-ბული უმცირესობა მეტად ფართოდ სარგებლობს მოჯამაგირე-ებისა და დღიური მუშების შრომით. რუსეთის იმ გლეხურ მეურნეობათა მთელი რაოდენობიდან, რომლებიც მოჯამაგი-რეებსა და დღიურ მუშებს ქირაობენ, მნიშვნელოვანი უმრავ-ლესობა უნდა მოდიოდეს ამ შეძლებულ უმცირესობაზე. ჩვენ უფლება გვაქვს ასეთი დასკვნა გამოვიყვანოთ როგორც წი-ნანდელი ანალიზის საფუძველზე, ისე ამ ჯგუფის მოსახლეობის წილის მუშა პირუტყვის წილთან შედარების მიხედვით, — მაშასადამე, ნათესის და საზოგადოდ მეურნეობის წილთან შედარების მიხედვით. ბოლოს, მხოლოდ ამ შეძლებულ უმცი-რესობას შეუძლია მიიღოს მტკიცე მონაწილეობა «გლეხური მეურნეობის პროგრესულ მიმდინარეობებში» [45]. ასეთი უნდა იყოს ამ უმცირესობის თანაფარდობა დანარჩენ გლეხობას-თან. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ აგრარული პირობე-ბის, სოფლის მეურნეობის სისტემების და სავაჭრო მიწათ-მოქმედების ფორმების განსხვავების გამო, ეს თანაფარდობა სხვადასხვანაირ სახეს იღებს და სხვაგვარად მჟღავნდება *. ერთი საქმეა — გლეხობის დაშლის ძირითადი ტენდენციები

* ადვილად შესაძლებელია, მაგალითად, რომ იმ ადგილებში, სადაც სარ-ძეო მეურნეობაა, გაცილებით უფრო სწორი იყოს დაჯგუფება არა ცხენების

და სხვა საქმეა — მისი ფორმები სხვადასხვანაირი ადგილობრივი პირობების მიხედვით.

უცხენო და ერთცხენიანი გლეხობის მდგომარეობა პირდაპირ საწინააღმდეგოა. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ეროების სტატისტიკოსები ერთცხენიან გლეხებსაც (უცხენოებზე ლაპარაკიც მეტია) მიაკუთვნებენ სოფლის პროლეტარიატს. ამიტომ არა გვგონია, რომ გადაჭარბება იყოს ჩვენს მიერ მოყვანილ დაახლოებით გაანგარიშებაში, რომელიც სოფლის პროლეტარიატს მიაკუთვნებს ყველა უცხენო გლეხს და ერთცხენიან გლეხთა $^3/_4$-მდე ნაწილს (კომლთა მთელი რიცხვის დაახლოებით $^1/_2$-ს). ეს გლეხობა ყველაზე ნაკლებადაა უზრუნველყოფილი სანადელო მიწით, ხშირად ამ მიწას იჯარით სცემს ინვენტარის, თესლის და სხვ. უქონლობის გამო. მიწის საერთო გლეხური იჯარისა და ყიდვისაგან მას წილად ხვდება რაღაც სრულიად უმნიშვნელო ნამცეცები. საკუთარი მეურნეობით ის თავს ვერასოდეს ვერ გამოიკვებს, და მის მთავარ საარსებო წყაროს შეადგენს «სარეწავები» ან «საშოვრები», ე. ი. თავისი საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვა. ეს არის კლასი ნადელიანი დაქირავებული მუშებისა, მოჯამაგირეებისა, დღიური მუშებისა, შავი მუშებისა, მშენებელი მუშებისა და სხვ. და სხვ.

XI. 1888 — 1891 და 1896 — 1900 წლების სამხედრო ცხენთაღწერების შედარება

1896 წლის და 1899 — 1901 წლების სამხედრო ცხენთაღწერები საშუალებას გვაძლევენ ახლა შევადაროთ უახლესი ცნობები ზემოთ უკვე მოყვანილ ცნობებს.

სამხრეთის 5 გუბერნიის (1896) და 43 დანარჩენის (1899 — 1900) შეერთებით ვიღებთ შემდეგ ცნობებს ევროპული რუსეთის 48 გუბერნიის შესახებ:

რაოდენობის, არამედ ძროხების რაოდენობის მიხედვით. ბოსტნეული კულტურის პირობებში არც ერთი და არც მეორე ნიშანი არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი იყოს და სხვ.

1896 — 1900 წწ.

მეურნეობათა ჯგუფები	გლეხთა კომლები			მათ ჰყავთ ცხენები			1 კომლზე მოდის ცხენი
	სულ	%-ბით		სულ	%-ბით		
უცხენოები	3 242 462	29,2	59,5	—	—		—
1-ცხენიანები	3 361 778	30,3		3 361 778	19,9		1
2 »	2 446 731	22,0		4 893 462	28,9		2
3 »	1 047 900	9,4	18,5	3 143 700	18,7	51,2	3
4 და მეტცხენ.	1 013 416	9,1		5 476 503	32,5		5,4
სულ	11 112 287	100		16 875 443	100		1,5

ჩვენ მოვიყვანეთ 1888 — 1891 წლების ცნობები 49 გუბერნიის შესახებ. ამათში არაა უახლესი ცნობები მხოლოდ ერთი გუბერნიის, სახელდობრ არხანგელსკის გუბერნიის შესახებ. ზემოთ მოყვანილ ცნობებს რომ გამოვაკლოთ ცნობები არხანგელსკის გუბერნიის შესახებ, მივიღებთ იმავე 48 გუბერნიის შესახებ 1888 — 1891 წლების ასეთ სურათს:

1888 — 1891 წწ.

მეურნეობათა ჯგუფები	გლეხთა კომლები			მათ ჰყავთ ცხენები			1 კომლზე მოდის ცხენი
	სულ	%-ბით		სულ	%-ბით		
უცხენოები	2 765 970	27,3	55,8	—	—		—
1-ცხენიანები	2 885 192	28,5		2 885 192	17,1		1
2 »	2 240 574	22,2		4 481 148	26,5		2
3 »	1 070 250	10,6	22,0	3 210 750	18,9	56,4	3
4 და მეტცხენ.	1 154 674	11,4		6 333 106	37,5		5,5
სულ	10 116 660	100		16 910 196	100		1,6

1888 — 1891 და 1896 — 1900 წლების შედარება გვიჩვენებს გლეხობის მზარდ ექსპროპრიაციას. კომლთა რიცხვი თითქმის 1 მილიონით გადიდდა. ცხენების რაოდენობა, თუმცა ძალიან სუსტად, მაგრამ მაინც შემცირდა. უცხენო კომლების რიცხვი განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა, და მათმა პროცენტმა აიწია 27,3%-დან 29,2%-მდე. 5,6 მილიონი ღარიბი (უცხენო და ერთცხენიანი) .გლეხის ნაცვლად ჩვენ უკვე გვყავს 6,6 მილიონი. კომლთა რიცხვის მთელი ნამატი ღარიბ კომლთა რიცხვის ზრდით გამოიხატა. ცხენებით მდიდარი კომლების პროცენტმა დაიკლო. 2,2 მილიონი მრავალცხენიანის ნაცვლად არის მხოლოდ 2,0 მილიონი. საშუალო და შეძლებულ კომლთა რიცხვი ერთად (2 და მეტცხენიანთა) თითქმის უცვლელი დარჩა (4 465 ათასი 1888 — 1891 წლებში, 4 508 ათასი 1896 — 1900 წლებში).

ამრიგად, დასკვნები ამ ცნობებიდან შემდეგია.

გლეხობის სიღატაკისა და ექსპროპრიაციის ზრდა ეჭვს არ იწვევს.

რაც შეეხება გლეხობის მაღალი და დაბალი ჯგუფების თანაფარდობას, ეს თანაფარდობა თითქმის არ შეცვლილა. თუ ჩვენ, ზემოთ აწერილი წესით, შევადგენთ დაბალ ჯგუფებს კომლთა 50%-დან და მაღალს — კომლთა 20%-დან, მივიღებთ შემდეგს. 1888 — 1891 წლებში ღარიბ კომლთა 50%-ს ჰყავდა 13,7% ცხენი, მდიდრების 20%-ს — 52,6%. 1896 — 1900 წლებში ღარიბ კომლთა 50%-ს ჰყავდა გლეხთა ცხენების მთელი რაოდენობის იგივე 13,7%, მდიდრების 20%-ს კი — ცხენთა საერთო რაოდენობის 53,2%. მაშასადამე, ჯგუფთა თანაფარდობა თითქმის არ შეცვლილა.

ბოლოს, საერთოდ მთელი გლეხობა უფრო ღარიბი შეიქნა ცხენებით. შემცირდა მრავალცხენიანთა რიცხვიც და პროცენტიც. ერთი მხრით, ეს, როგორც ჩანს, მოასწავებს ევროპული რუსეთის მთელი გლეხური მეურნეობის დაცემას. მეორე მხრით კი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთში ცხენების რაოდენობა სოფლის მეურნეობაში არანორმალურად დიდია კულტურული მიწის ფართობთან შედარებით. წვრილგლეხურ ქვეყანაში ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაშასადამე, ცხენების რაოდენობის დაკლება ერთგვარად წარმოადგენს «სახნავი მიწის რაოდენობისადმი მუშა პირუტყვის ნორმალური თანაფარდობის აღდგენას» გლეხური ბურჟუაზიისათვის (შეად. ბ-ნ ვ. ვ.-ს მსჯელობა ამის შესახებ ზემოთ, II თავში, § I).

აქ უადგილო არ იქნება შევეხოთ იმ მსჯელობას, რომელსაც ამ საკითხზე ვხვდებით უახლეს თხზულებებში: ბ-ნ ვიხლიაევისა («რუსეთის სოფლის მეურნეობის სინამდვილის ნარკვევები». სპბ. ჟურნალ «ხოზიაინის» გამოცემა) და ბ-ნ ჩერნენკოვისა («გლეხური მეურნეობის დახასიათებისათვის». ნაკვ. I. მ. 1905). ისინი ისე გაუტაცნია გლეხობაში ცხენების განაწილების ციფრების სიჭრელეს, რომ ეკონომიური ანალიზი მათ სტატისტიკურ ვარჯიშობად გადაუქცევიათ. გლეხური მეურნეობის ტიპების

(დღიური მუშა, საშუალო გლეხი, მეწარმე) შესწავლის ნაცვლად, ისინი, როგორც მოხალისენი, სწავლობენ ციფრების უსასრულო სვეტებს, თითქოს მიზნად დაესახოთ ქვეყნის გაკვირვება თავიანთი არითმეტიკული გულმოდგინებით.

ციფრების მხოლოდ ასეთი თამაშის მეოხებით შეეძლო ბ-ნ ჩერნენკოვს შემკამათებოდა და ეთქვა, თითქოს მე «წინასწარი განზრახვით» განვმარტავდე «დიფერენციაციას», როგორც ახალს (და არა ძველს) და რატომღაც უთუოდ კაპიტალისტურ მოვლენას. საიდან მოუვიდა ფიქრად ბ-ნ ჩერნენკოვს, თითქოს მე მავიწყდებოდეს ეკონომიკა და დასკვნებს მხოლოდ სტატისტიკაზე ვამყარებდე! თითქოს ვამტკიცებდე რაიმეს მხოლოდ ცხენების რაოდენობასა და მათ განაწილებაში მომხდარი ცვლილებით! საზრიანად რომ შევხედოთ გლეხობის დაშლას, უნდა ავიღოთ ყველაფერი მთლიანად: იჯარაც, მიწის ყიდვაც, მანქანებიც, საშოვრებიც, სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდაც და დაქირავებული შრომაც. ან, იქნებ, ბ-ნ ჩერნენკოვისათვის ესეც არა «ახალი» და არა «კაპიტალისტური» მოვლენებია?

XII. საერობო-სტატისტიკური ცნობები გლეხური ბიუჯეტების შესახებ

გლეხობის დაშლის საკითხს რომ მოვრჩეთ, საჭიროა მისი განხილვა კიდევ მეორე მხრით — გლეხური ბიუჯეტების შესახებ ყველაზე უფრო კონკრეტული ცნობების მიხედვით. ამრიგად ჩვენ ნათლად დავინახავთ, თუ რაოდენ ღრმა განსხვავებაა გლეხობის იმ ტიპებს შორის, რომლებზეც ლაპარაკი გვაქვს.

«ზემლიანსკის, ზადონსკის, კოროტოიაკსკისა და ნიჟნედევიცკის მაზრების გლეხური მიწათმფლობელობის შეფასებითი ცნობების კრებულის» (ვორონეჟი, 1889) დამატებაში მოცემულია «ტიპიურ მეურნეობათა შემადგენლობისა და ბიუჯეტების სტატისტიკური ცნობები», რომლებიც განირჩევიან უაღრესი სისრულით *. 67 ბიუჯეტიდან ჩვენ გამო-

* ამ ცნობების დიდ ნაკლს შეადგენს: ჯერ ერთი ის, რომ დაჯგუფება არ არის მოხდენილი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით; მეორე, არ არის ტექსტი, სა-

ვტოვებთ ერთს, როგორც მეტისმეტად არასრულს (ბიუჯეტი № 14 კოროტოიაკსკის მაზრისა), ხოლო დანარჩენებს ვყოფთ 6 ჯგუფად მუშა პირუტყვის მიხედვით: ა — უცხენო; ბ — 1-ცხენიანი; გ — 2-ცხენ.; დ — 3-ცხენ.; ე — 4-ცხენ. და ვ — 5 და მეტცხენიანი (ქვემოთ ჯგუფების აღსანიშნავად ვხმარობთ მხოლოდ ამ ასოებს: ა — ვ). ამ ნიშნის მიხედვით დაჯგუფება, მართალია, სავსებით როდია გამოსადეგი მოცემული ადგილისათვის (როგორც მაღალ, ისე დაბალ ჯგუფთა მეურნეობაში «სარეწავთა» უდიდესი მნიშვნელობის გამო), მაგრამ ჩვენ მაინც უნდა მივიღოთ იგი, რადგან მაშინ შესაძლებელია ბიუჯეტის ცნობები შედარებულ იქნას ზემოთ გარჩეულ კომლობრივ აღწერათა ცნობებთან. ასეთი შედარება მიღწეულ იქნება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ «გლეხობას» ჯგუფებად დავყოფთ, მაშინ როცა საერთო და ხელაღებით აღებულ «საშუალოებს» მხოლოდ ფიქციური მნიშვნელობა აქვთ, როგორც ეს უკვე დავინახეთ და ქვემოთაც დავინახავთ *. სხვათა შორის, აქ აღვნიშნავთ იმ საინტერესო მოვლენას, რომ ბიუჯეტის «საშუალო» ცნობები თითქმის ყოველთვის ახასიათებენ მეურნეობას, რომელიც საშუალო ტიპზე უფრო მაღლა დგას, ე. ი. გვიხატავენ სინამდვილეს უკეთესად, ვიდრე ის არის **. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ თვით ცნება «ბიუ-

---

დაც აღნიშნული იყოს ცნობები იმ ამორჩეულ მეურნეობათა შესახებ, რომლებიც ვერ შევიდნენ ცხრილებში (ასეთი ტექსტი დართული აქვს, მაგალითად, ცნობებს ოსტროგოჟსკის მაზრის ბიუჯეტების შესახებ). მესამე, მეტისმეტად დაუმუშავებელია ცნობები ყველა არასამიწათმოქმედო მოსაქმეობისა და ყოველგვარი «საშოვარის» შესახებ (ყველა «სარეწავზე» გამოყოფილია მ ხ ო ლ ო დ 4 ს ვ ე ტ ი, მაშინ როცა მარტო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის აღწერილობას უკავია 152 სვეტი!).

* მარტოოდენ ასეთი «საშუალოებით» სარგებლობს, მაგალითად, ბ-ნი შჩერბინა როგორც ვორონეჟის ერობის გამოცემებში, ისე თავის სტატიაში გლეხური ბიუჯეტების შესახებ, რომელიც მოთავსებულია წიგნში: «მოსავლის და პურის ფასების გავლენა და სხვ.».

** ეს შეეხება, მაგალითად, მოსკოვის გუბერნიის ბიუჯეტის ცნობებს («კრებულის» VI და VII ტ.), ვლადიმირის გუბერნიისას («ვლადიმირის გუბერნიის სარეწავები»), ვორონეჟის გუბ. ოსტროგოჟსკის მაზრისას («კრე-

ჯეტი» ჰგულისხმობს ცოტად თუ ბევრად შეთანასწორებულ მეურნეობას, ასეთი კი ადვილი მოსანახი როდია ღარიბ გლეხობაში. ილუსტრაციისათვის შევადაროთ კომლთა განაწილება მუშა პირუტყვის მხრივ ბიუჯეტის და დანარჩენი ცნობების მიხედვით.

ბიუჯეტების რიცხვი
პროცენტობით

მეურნეობათა ჯგუფები		საზოგადოდ	სულ %-ბით		ვორონეჟის გუბ. 4 მაზ.	ვორონეჟის გუბ. 9 მაზ.	21 გუბერნ. 112 მაზრ.	ევრ. რუსეთის 49 გუბერნ.
მუშა პირუტყ. არმყოლი		12	18,18		17,9	21,7	24,7	27,3
1 მუშა პირუტყ. მყოლი		18	27,27		34,7	31,9	28,6	28,6
2 » » »		17	25,76		28,6	23,8	26,0	22,1
3 » » »		9	13,64					
4 » » »		5	7,575	28,79	18,8	22,6	20,7	22,0
5 » და მეტის »		5	7,575					
სულ		66	100		100	100	100	100

აქედან ცხადია, რომ ბიუჯეტის ცნობებით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ საშუალოთა გამოყვანით გლეხობის ყოველი ცალკე ჯგუფისათვის. სწორედ ასე დავამუშავეთ ჩვენ დასახელებული ცნობები. ვალაგებთ ამ ცნობებს სამ რუბრიკად: (ა) ბიუჯეტების საერთო შედეგები; (ბ) სამიწათმოქმედო მეურნეობის დახასიათება და (გ) ცხოვრების დონის დახასიათება.

(ა) საერთო ცნობები გასავალ-შემოსავლის ოდენობის შესახებ ასეთია:

ბული», ტ. II, ნაკვ. 2) და განსაკუთრებით ბიუჯეტებს, რომლებიც მოყვანილია «შინამრეწველობის გამომკვლევი კომისიის შრომებში» [46] (ვიატკის, ხერსონის, ნიჟნი-ნოვგოროდის, პერმის და სხვ. გუბერნიების შესახებ). ბბ. კარპოვისა და მანოხინის ბიუჯეტები დასახელებულ «შრომებში», აგრეთვე ბ-ნ პ. სემიონოვისა («სოფლის თემის შესწავლის მასალების კრებული». სპბ. 1880) და ბ-ნ ოსადჩისა («ხერსონის გუბერნიის ელისავეტგრადის მაზრის შჩერბაკოვის თემი») დადებითად განსხვავდებიან სხვებისაგან იმით, რომ ახასიათებენ გლეხობის ცალკეულ ჯგუფებს.

ერთ მეურნეობაზე მოდის (მანეთობით)

	1 ოჯახზე რამდ. სულია ორივე სქესისა	მთლიანი			ფულადი				
		შემოსავალი	გასავალი	წმინდა შემოსავალი	შემოსავალი	გასავალი	ბალანსი	რამდენი მანეთი ენდა გასაიბადს	გასასაბადის ნარჩენი
ა)	4,08	118,10	109,08	9,02	64,57	62,29	+ 2,28	5,83	16,58
ბ)	4,94	178,12	174,26	3,86	73,75	80,99	— 7,24	11,16	8,97
გ)	8,23	429,72	379,17	50,55	196,72	165,22	+ 31,50	13,73	5,93
დ)	13,00	753,19	632,36	120,83	318,85	262,23	+ 56,62	13,67	2,22
ე)	14,20	978,66	937,30	41,36	398,48	439,86	— 41,38	42,00	—
ვ)	16,00	1 766,79	1 593,77	173,02	1 047,26	959,20	+ 88,06	210,00	6
	8,27	491,44	443,00	48,44	235,53	217,70	+ 17,83	28,60	7,74

ამნაირად, ჯგუფების მიხედვით აღებულ ბიუჯეტებს შორის განსხვავება უზარმაზარი ყოფილა; უკიდურესი ჯგუფები განზეც რომ დავტოვოთ, ე ჯგუფის ბიუჯეტი მაინც ხუთჯერ მეტია, ვიდრე ბ ჯგუფის ბიუჯეტი, მაშინ როცა ე ჯგუფის ოჯახის შემადგენლობა თითქმის სამჯერ უფრო დიდია, ვიდრე ბ ჯგუფის ოჯახისა.

ვნახოთ გასავლის განაწილება *:

გასავლის საშუალო ოდენობა 1 მეურნეობაზე

	საკმელზე		დანარჩენ პირად მოხმარებაზე		მეურნეობაზე		გამოსაღები და ბეგარა		ს უ ლ	
	მან.	%	მან.	%	მან.	%	მან.	%	მან.	%
ა)	60,98	55,89	17,51	16,05	15,12	13,87	15,47	14,19	109,08	100
ბ)	80,98	46,47	17,19	9,87	58,32	33,46	17,77	10,20	174,26	100
გ)	181,11	47,77	44,62	11,77	121,42	32,02	32,02	8,44	379,17	100
დ)	283,65	44,86	76,77	12,14	222,39	35,17	49,55	7,83	632,36	100
ე)	373,81	39,88	147,83	15,77	347,76	37,12	67,90	7,23	937,30	100
ვ)	447,83	28,10	82,76	5,19	976,84	61,29	86,34	5,42	1 593,77	100
	180,75	40,80	47,30	10,68	180,60	40,77	34,35	7,75	443,00	100

* «კრებული» გამოჰყოფს ყველა «ხარჯს პირადი და სამეურნეო საჭიროებისათვის, სასმელ-საკმლის გარდა», პირუტყვის შესანახი ხარჯებისაგან, ამასთან პირველ რუბრიკაში ერთადაა მოთავსებული, მაგალითად, განათებისა და იჯარის ხარჯები. ცხადია, რომ ეს სწორი არ არის. ჩვენ გამოვყავით პ ი რ ა დ ი მოხმარება ს ა მ ე უ რ ნ ე ო («წარმოებითი») მოხმარებისაგან და ამ უკანასკნელს მივაკუთნეთ კუარის, თოკის, ცხენის და-

საკმარისია თვალი გადავავლოთ იმას, თუ რა წილი მოდის თვითეული ჯგუფის გასავლის საერთო ჯამში მეურნეობის ხარჯებზე, რათა დავინახოთ, რომ აქ ჩვენს წინაშე არიან პროლეტარებიც და მეპატრონეებიც: ა ჯგუფის სამეურნეო ხარჯები უდრის მთელი გასავლის მხოლოდ 14%, ᲑᲐ ჯგუფის კი — 61%-ს. სამეურნეო ხარჯების აბსოლუტური რაოდენობის მხრით განსხვავებაზე ლაპარაკიც მეტია. არათუ უცხენო, არამედ ერთცხენიანი გლეხისთვისაც ეს ხარჯი სრულებით უმნიშვნელოა, და ერთცხენიანი «მეპატრონე» გაცილებით უფრო ახლო დგას ნადელიანი მოჯამაგირისა და დღიური მუშის ჩვეულებრივ (კაპიტალისტურ ქვეყნებში) ტიპთან. აღვნიშნოთ აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი განსხვავება საქმლის ხარჯების პროცენტის მხრივ (ᲑᲐ ჯგუფის ხარჯები თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე Ბ ჯგუფისა): როგორც ცნობილია, ამ პროცენტის სიდიდე მოწმობს ცხოვრების დაბალ დონეს და წარმოადგენს მეპატრონისა და მუშის ბიუჯეტების მეტად მკვეთრ განსხვავებას.

ავიღოთ ახლა შემოსავლის შემადგენლობა *:

	საშუალო შემოსავალი 1 მეურნეობაზე				«სარეწების» შემოსავ. შემადგენლობა			
	მიწათმოქმედებისა	«სარეწებისა»	წინა წლების ნარჩენი	ᲯᲐᲛᲘ	«პირადი სარეწებისა»	«ქირაზე ტარებისა»	«სამრეწ. დაწ. და საკარმოთა»	«ხელადასხვა მცირე-საკვლ»
ა)	57,11	59,04	1,95	118,10	36,75	—	—	22,29
ბ)	127,69	49,22	1,21	178,12	35,08	6	2,08	6,08
გ)	287,40	108,21	34,11	429,72	64,39	17,65	14,41	11,56
დ)	496,52	146,67	110	753,19	48,77	22,22	48,88	26,80
ე)	698,06	247,60	33	978,66	112	100	35	0,60
ვ)	698,39	975,20	93,20	1 766,79	146	84	754,40	40,80
	292,74	164,67	34,03	491,44	59,09	19,36	70,75	15,47

ჭედვის, შენობათა რემონტის, ინვენტარის, ცხენის მოსართავის, მუშებისა და ნარდი სამუშაოების, მწყემსის, მიწის იჯარის, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის შესანახი ხარჯები.

* «წინა წლების ნარჩენი» შესდგება პურისა (ნატურით) და ფულისაგან; აქ მოცემულია საერთო ჯამი, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს მთლიან,

ამნაირად, «სარეწების» შემოსავალი აღემატება მიწათმოქმედების მთლიან შემოსავალს ორ უკიდურეს ჯგუფში: პროლეტარის — უცხენოს და სოფლის მეწარმის ჯგუფებში. გლეხების დაბალ ჯგუფთა «პირადი სარეწები», რასაკვირველია, უმთავრესად, წარმოადგენენ დაქირავებით მუშაობას, ხოლო «სხვადასხვა შემოსავალში» დიდი ადგილ• უჭირავს შემოსავალს მიწის გაცემით. «მეპატრონე-მიწათმოქმედთა» საერთო რიცხვში ხვდებიან ისეთებიც კი, რომელთაც მიწის გაცემა ცოტათი ნაკლებ, ზოგჯერ კი მეტ შემოსავალს აძლევს, ვიდრე მიწათმოქმედების მთლიანი შემოსავალია: მაგალითად, ერთ უცხენოს მთლიანი შემოსავალი მიწათმოქმედებიდან აქვს 61,9 მან., მიწის გაცემით კი — 40 მან.; მეორეს — მიწათმოქმედებიდან — 31,9 მან., ხოლო მიწის გაცემით — 40 მან. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიწის გაცემით ან მოჯამაგირეობით მიღებული შემოსავალი მთლად ხმარდება «გლეხის» პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ხოლო მიწათმოქმედების მთლიან შემოსავალს უნდა გამოვაკლოთ სამიწათმოქმედო მეურნეობისათვის საჭირო ხარჯი. ასეთი გამოკლების შემდეგ მივიღებთ, რომ უცხენოს წმინდა შემოსავალი მიწათმოქმედებიდან უდრის 41,99 მან., «სარეწებიდან» კი — 59,04 მან., ერთცხენიანისა — 69,37 და 49,22 მან. მარტო ამ ციფრების შედარება გვიჩვენებს, რომ ჩვენს წინ არის ტიპები ისეთი ნადელის მქონე სასოფლო-სამეურნეო მუშებისა, რომელიც ფარავს მათი შესანახი ხარჯების ნაწილს (და რომელიც ამის გამო ამცირებს ხელფასს). ასეთი ტიპების არევა მეპატრონეებში (მიწათმოქმედებსა

როგორც ნატურალურ, ისე ფულად, შემოსავალ-გასავალთან. — «სარეწთა» ოთხი რუბრიკა გადმოწერილია «კრებულის» სათაურებიდან, რომელიც მეტს არაფერს იძლევა «სარეწთა» შესახებ. შევნიშნავთ, რომ ე — ჯგუფში სამრეწველო საწარმოებს, ალბათ, უნდა მიემატოს ქირაზე ტარებაც, რომელიც ამ ჯგუფის ორ მეპატრონეს აძლევს 250 მანეთ შემოსავალს თვითეულს, ამასთან ერთ-ერთ მეპატრონეს ჰყავს მოჯამაგირე.

და მრეწველებში) ნიშნავს მეცნიერული კვლევისათვის საეალდებულო ყოველგვარი მოთხოვნის აშკარა დარღვევას.

სოფლის მეორე პოლუსზე ვხედავთ სწორედ ისეთ მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ე ბ ს, რომლებიც დამოუკიდებელ სამიწათმოქმედო მეურნეობასთან აერთებენ სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციებს, რაც იძლევა მნიშვნელოვან (თუ არსებულ ცხოვრების დონეს მივიღებთ მხედველობაში) შემოსავალს, — რამდენიმე ასეულ მანეთს. «პირადი სარეწების» რუბრიკის სრული გაურკვევლობა ჰფარავს ჩვენგან იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ამ მხრით დაბალ და მაღალ ჯგუფთა შორის, მაგრამ უკვე ამ «პირად სარეწთა» შემოსავლის რაოდენობა თავისთავად გვიჩვენებს აღნიშნული განსხვავების სიღრმეს (გავიხსენოთ, რომ ვორონეჟის სტატისტიკის «პირად სარეწთა» თანრიგში შეიძლება შეტანილ იქნას მათხოვრობაც, მოჯამაგირეობაც, ნოქრად და მმართველად სამსახურიც და სხვ. და სხვ.).

წმინდა შემოსავლის ოდენობის მხრივ ისევ მკვეთრად გამოიყოფიან უცხენონი და ერთცხენიანები, რომელთაც აქვთ სრულიად უმნიშვნელო «ნაშთი» (1 — 2 მანეთი) და დეფიციტიც კი ფულის ბალანსში. ამ გლეხთა რესურსები დაქირავებული მუშების რესურსებზე ნაკლები თუ არა, მეტი მაინც არ არის. მხოლოდ ორცხენიანი გლეხებით დაწყებული, ვამჩნევთ ცოტაოდენ წმინდა შემოსავალს და რამდენიმე ათეულ მანეთ ნაშთს (ურომლისოდაც მეურნეობის ცოტათი მაინც სწორ წარმართვაზე ლაპარაკიც მეტია). შეძლებულ გლეხობაში წმინდა შემოსავალი აღწევს ისეთ თანხას (120 — 170 მან.), რომელიც მკვეთრად განასხვავებს მას რუსეთის მუშათა კლასის საერთო დონისაგან *.

* მოჩვენებით გამონაკლისს წარმოადგენს დიდი დეფიციტის (41 მ.) მქონე ე — თანრიგი, თუმცა ეს დეფიციტი დაფარულია სესხით. საქმე ის არის, რომ 3 კომლში (ამ თანრიგის 5 კომლიდან) იყო ქორწილი, რომელიც დაჯდა 200 მან. (5 კომლის მთელი დეფიციტი=206 მ. 90 კ.). ამიტომ ამ ჯგუფის გასავალმა პირად მოხმარებაზე, საკმლის გარდა, მიაღწია ძალიან დიდ ციფრს — 10 მ. 41 კ. ორივე სქესის 1 სულზე, მაშინ როცა არც

გასაგებია, რომ მუშებისა და მეპატრონეების შეერთება ერთ მთელად და «საშუალო» ბიუჯეტის გამოყვანა იძლევა «ზომიერი კმაყოფისა» და «ზომიერი» წმინდა შემოსავლის სურათს: 491 მან. შემოსავალი, 443 მან. გასავალი, 48 მან. ნაჭარბი, აქედან — 18 მან. ფულად. მაგრამ ამგვარი საშუალო სრულიად ფიქციურია. ის მხოლოდ ჰფარავს იმ დაბალი გლეხობის მასის სრულ სიღატაკეს (ა და ბ, ე. ი. 30 ბიუჯეტს 66-დან), რომელსაც სრულებით უმნიშვნელო შემოსავლის გამო (მ თ ლ ი ა ნ ი შემოსავალი ოჯახზე უდრის 120 — 180 მან.) არ შეუძლია თავი ირჩინოს და რომელიც, უმთავრესად, მოჯამაგირეობით და დღიური მუშაობით არსებობს.

ფულადი და ნატურალური შემოსავალისა და გასავლის ზუსტი აღრიცხვა საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ გლეხობის დაშლის დამოკიდებულება ბ ა ზ ა რ თ ა ნ, რომლისთვისაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ფულად შემოსავალსა და გასავალს. ბიუჯეტის ფულადი ნაწილის წილი საერთო ბიუჯეტში ჯგუფების მიხედვით ასეთია:

ფულადი ნაწილის პროცენტი

გასავლისა		შემოსავლისა
	მ თ ლ ი ა ნ	
გასავალთან		შემოსავალთან
ა) 57.10		54,6
ბ) 46,47		41,4
გ) 43.57		45,7
დ) 41.47		42,3
ე) 46.93		40,8
ვ) 60,18		59,2
49,14		47,9

ერთ სხვა ჯგუფში, მდიდრების (ვ) გამოუკლებლადაც, ეს გასავალი 6 მანეთსაც კი არ აღწევს. მაშასადამე, ეს დეფიციტი თავისი ხასიათით სრულებით სხვანაირია. ვიდრე ღარიბთა დეფიციტი. ეს დეფიციტი წარმოსდგება არა მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეუძლებლობის გამო, არამედ მოთხოვნილების გაზრდის გამო, რომელიც არ შეეფარდება უწყებული წლის შემოსავალს.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ფულადი შემოსავლისა და გასავლის (უფრო სწორად — გასავლის) პროცენტი იზრდება საშუალო ჯგუფებიდან უკიდურესი ჯგუფებისაკენ. ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატული სავაჭრო ხასიათი აქვს უცხენო და მრავალცხენიანი მეპატრონის მეურნეობას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორივე ცხოვრობს, უმთავრესად, საქონლის გაყიდვით, ოღონდ ერთისათვის ასეთ საქონელს წარმოადგენს მისი სამუშაო ძალა, ხოლო მეორისათვის — პროდუქტი, რომელიც გასაყიდად შექმნილია დაქირავებული შრომის მნიშვნელოვანი გამოყენებით (როგორც დავინახავთ), ე. ი. პროდუქტი, რომელიც იღებს კაპიტალის ფორმას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ბიუჯეტებიც გვიჩვენებენ, რომ გლეხობის დაშლა ჰქმნის შინაურ ბაზარს კაპიტალიზმისათვის, — იგი აქცევს გლეხს, ერთი მხრით, მოჯამაგირედ და, მეორე მხრით, წვრილ საქონელმწარმოებლად, წვრილ ბურჟუად.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი დასკვნა ამ ცნობებიდან ისაა, რომ გლეხობის ყველა ჯგუფში მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე სავაჭრო ხასიათისა, ბაზრისაგან დამოკიდებული შეიქნა: 40%-ზე დაბლა არსად არ იწევს შემოსავლის თუ გასავლის ფულადი ნაწილი. ეს პროცენტი კი მაღალ პროცენტად უნდა ჩაითვალოს, რადგან აქ ლაპარაკია წვრილ მიწათმოქმედთა მთლიან შემოსავალზე, რომელშიც ნაანგარიშევია პირუტყვის შესანახიც კი, ე. ი. ბზე, ჩალა და სხვ. * ცხადია, რომ შუა შავმიწიანი ზოლის (სადაც ფულადი მეურნეობა საზოგადოდ უფრო სუსტად არის განვითარებული, ვიდრე სამრეწველო ზოლში ანდა ველიან განაპირა რაიონებში) გლეხობასაც კი სრულიად არ შეუძლია იარსებოს ყიდვა-გაყიდვის გარეშე,

* პირუტყვის შესანახი ხარჯი თითქმის მთლად ნატურალურია: 6 316,21 მანეთიდან, რასაც ხარჯავს ამაზე ყველა ეს 66 მეურნეობა, ფულად დახარჯულია მხოლოდ 1 535,2 მან., აქედან 1 102,5 მან. მოდის ერთ მეწარმე-მეპატრონეზე, რომელსაც ჰყავს 20 ცხენი, ალბათ, სამრეწველო მიზნით.

ის უკვე სავსებით დამოკიდებულია ბაზარზე, ფულის ძალაუფლებაზე. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს და რა ღრმა შეცდომას სჩადიან ჩვენი ნაროდნიკები, როცა ისინი, სამუდამოდ დასამარებული თავიანთი ნატურალური მეურნეობით გატაცებულნი, ცდილობენ მის მიჩქმალვას *. თანამედროვე საზოგადოებაში შეუძლებელია ცხოვრება ისე, თუ რაიმე არ გაყიდე, და ყველაფერი ის, რაც აფერხებს სასაქონლო მეურნეობის განვითარებას, იწვევს მხოლოდ მწარმოებელთა მდგომარეობის გაუარესებას. «წარმოების კაპიტალისტური წესის მავნე მხარეები, — ამბობს მარქსი გლეხის შესახებ, — ... ემთხვევიან აქ იმ ვნებას, რომელიც წარმოსდგება წარმოების კაპიტალისტური წესის არასაკმაოდ განვითარებისაგან. გლეხი იქცევა ვაჭრად და მრეწველად იმ პირობების გარეშე, რომლებშიც მას შეეძლო თავისი პროდუქტი ეწარმოებინა როგორც საქონელი» («Das Kapital», III, 2, 346. რუსული თარგმანი, გვ. 671) [49].

შევნიშნავთ, რომ ბიუჯეტის ცნობები სავსებით აბათილებენ იმ, ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებულ, შეხედულებას, რომელიც სასაქონლო მეურნეობის განვითარებაში გამოსაღებს დიდ როლს აკუთვნებს. უეჭველია, რომ ფულადი ღალა და გამოსაღები თავის დროზე წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ფაქტორს გაცვლის განვითარებაში, მაგრამ ახლა სასაქონლო მეურნეობამ უკვე სავსებით მოიმაგრა ფეხი, და გამოსაღებთა აღნიშნული მნიშვნელობა სრულიად მეორეხარისხოვანი ხდება. როცა ვადარებთ გამოსაღებითა და ბეგარით გამოწვეულ გასავალს გლეხის მთელ ფულად გასავალთან, ვიღებთ შემდეგ თანაფარდობას: 15,8% (ჯგუფების მიხედვით: ა — 24,8%; ბ — 21,9%; გ — 19,3%; დ — 18,8%; ე — 15,4% და ვ — 9,0%). მაშასადამე, მაქსიმალური გასავალი გამოსაღებზე სამჯერ უფრო ნაკლებია დანარჩენ ფუ-

* განსაკუთრებით ხშირად იყო გავრცელებული ეს შეცდომა პურის დაბალი ფასების მნიშვნელობის შესახებ კამათის დროს (1897 წელს) [48].

ლად გასავალთან შედარებით, რომელიც სავალდებულოა გლეხისათვის საზოგადოებრივი მეურნეობის თანამედროვე პირობებში. ხოლო თუ ჩვენ ვილაპარაკებთ არა იმაზე, თუ რა როლს ასრულებს გამოსაღები გაცვლის განვითარებაში, არამედ იმაზე, თუ რა შეფარდებაშია ის შემოსავალთან, დავინახავთ, რომ ეს თანაფარდობა განუზომლად მაღალია. თუ როგორ ძლიერ მოქმედებს თანამედროვე გლეხზე რეფორმისწინადროინდელი ტრადიციები, ეს ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩანს გამოსაღებთა არსებობიდან, რომელნიც ნთქამენ წვრილი მიწათმოქმედის, ან თუნდაც ნადელიანი მოჯამაგირის მ თ ლ ი ა ნ ი გასავლის ერთ მეშვიდედ ნაწილს. გარდა ამისა, გამოსაღებთა განაწილება თემის ფარგლებში საოცრად უთანაბროა: რაც უფრო შეძლებულია გლეხი, მით უფრო ნაკლებ წილს შეადგენს გამოსაღები მთელი მისი გასავლის მიმართ. უცხენო გლეხი თავის შემოსავალთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტს იხდის, ვიდრე მრავალცხენიანი (იხ. ზემოთ გასავლის განაწილების ცხრილი). ჩვენ ვლაპარაკობთ გამოსაღებთა განაწილებაზე თემის შიგნით, იმიტომ რომ, თუ გამოსაღებისა და ბეგრის ოდენობა 1 დესეტინა ნადელზე გავიანგარიშეთ, მაშინ მათი ოდენობა თითქმის გათანაბრებითი აღმოჩნდება. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ არ უნდა გაგვაკვირვოს ამ უთანაბრობამ; იგი აუცილებელია ჩვენს თემში, სანამ ეს თემი თავის ვალდებულებითს, საბეგრო ხასიათს ინარჩუნებს. როგორც ცნობილია, გლეხები ყველა გამოსაღებს ჰყოფენ მიწის მიხედვით: გამოსაღების წილი და მიწის წილი ერთდება მათთვის ერთ ცნებაში — «სული» *. ამავე დროს გლეხობის დაშლა, როგორც დავინახეთ, იწვევს სანადელო მიწის როლის შემცირებას თანამედროვე სოფლის

* იხ. ვ. ო რ ლ ო ვ ი. «გლეხური მეურნეობა». «მოსკ. გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. IV, ნაკვ. I. — ტ რ ი რ ო გ ო ვ ი. «თემი და გამოსაღები». — Keussler. «Zur Geschichte und Kritik des bäuerlichen Gemeindebesitzes in Russland» (კ ე ი ს ლ ე რ ი. «რუსეთის გლეხური თემური მფლობელობის ისტორიისა და კრიტიკისათვის». რ ე დ.). — ვ. ვ. «გლეხური თემი» («საერობო სტატისტიკის შედეგები», ტ. I).

ორივე პოლუსზე. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში გამოსაღებთა განაწილება სანადელო მიწის მიხედვით (რაც განუყრელად დაკავშირებულია თემის ვალდებულებითს ხასიათთან) იწვევს გამოსაღებთა სიმძიმის გადატანას შეძლებული გლეხობიდან ღარიბ გლეხობაზე. თემი (ე. ი. ურთიერთთავდებობა და მიწაზე უარისთქმის უფლების უქონლობა) სულ უფრო და უფრო მ ა ვ ნ ე ხდება ღარიბი გლეხობისათვის *.

(ბ) გადავდივართ გლეხური მიწათმოქმედების დახასიათების საკითხზე და თავდაპირველად მოვიყვანთ საერთო ცნობებს მეურნეობათა შესახებ:

ჯგუფები	მეურნეთა რიცხვი	რამდენი სული მოდის ერთ ოჯახზე ორივე სქესისა	რამდენი მომუშავეა 1 ოჯახზე: საკუთარი	დაქირავებული	ს ე ნ	მოჯამაგირიანი ოჯახი	მეურნეთა რიცხვი: მიწის გამცემი	მიწის მოიჯარადე	ნადელი: მიწა 1 ოჯახზე, დესეტინობით	სათესი 1 ოჯახზე, დესეტინობ.: საკუთარ მიწაზე	იჯარით აღებულ მიწაზე	ს ე ნ	რამ. დეს. სათ. მოდის 1 სულზე ორივე სქესისა	% იჯარით აღებული მიწის საკუთარი მიწის მიმართ
ა)	12	4,08	1	—	1	—	5	—	5,9	1,48	—	1,48	0,36	—
ბ)	18	4,94	1	0,17	1,17	3	3	5	7,4	2,84	0,58	3,42	0,69	20,5
გ)	17	8,23	2,17	0,12	2,29	2	—	9	12,7	5,62	1,31	6,93	0,84	23,4
დ)	9	13,00	2,66	0,22	2,88	2	—	6	18,5	8,73	2,65	11,38	0,87	30,4
ე)	5	14,20	3,2	0,2	3,4	1	—	5	22,9	11,18	6,92	18,10	1,27	61,9
ვ)	5	16,00	3,2	1,2	4,4	2	—	5	23	10,50	10,58	21,08	1,32	100,7
სულ	66	8,27	1,86	0,21	2,07	10	8	30	12,4	5,32	2,18	7,5	0,91	41,0

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ჯგუფთა შორის თანაფარდობა მიწის იჯარით გაცემისა და აღების, ოჯახისა და ნათესის ოდენობის, მოჯამაგირეთა დაქირავების და სხვ. მხრით საკვლევით ერთგვაროვანია როგორც ბიუჯეტის, ისე ზემოთ განხილული მასობრივი მონაცემებით. კიდევ მეტი: აბსოლუტური მონაცემებიც თვითეული ჯგუფის მეურნეობის შესახებ ძალიან უახლოვდება მონაცემებს მთელი მაზრების შესახებ. აი ბიუჯეტის და ზემოთ განხილული მონაცემების შედარება:

* თავისთავად ცხადია, რომ კიდევ უფრო მეტ ვნებას მოუტანს ღარიბ გლეხობას სტოლიპინის მიერ «თემის» დანგრევა (1906 წ. ნოემბერი) [10]. ეს არის რუსული «enrichissez-vous» («გამდიდრდით». რ ე დ.): შავ-

ერთ კომლზე მოდის *

	უცხენონი				ერთცხენიანები			
	სულ ორივე სქესისა	იჯარა, დეს.	სათესი, დეს.	სულ პირუტყვი	სულ ორივე სქესისა	იჯარა, დეს.	სათესი, დეს.	სულ პირუტყვი
ბიუჯეტები	4,1	—	1,5	0,8	4,9	0,6	3,4	2,6
ვორონეჟის გუბ. 4 მაზრა	4,4	0,1	1,4	0,6	5,9	0,7	3,4	2,7
სამარის გუბ. ნოვოუზ. მაზრა	3,9	0,3	2,1	0,5	4,7	1,4	5,0	1,9
სარატოვის გუბ. 4 მაზრა	3,9	0,4	1,2	0,5	5,1	1,6	4,5	2,3
სარატოვის გუბ. კამიშინის მაზ.	4,2	0,3	1,1	0,6	5,1	1,6	5,0	2,3
ნიჟნი-ნოვგოროდის გუბ. 3 მაზ.	4,1	0,2	1,8	0,7	5,2	1,1	4,4	2,4
ორიოლის გუბერნიის 2 მაზრა	4,4	0,1	?	0,5	5,7	1,0	?	2,3

ამრიგად, უცხენო და ერთცხენიანი გლეხის მდგომარეობა ყველა ამ დასახელებულ ადგილას თითქმის ერთნაირია, ასე რომ ბიუჯეტის მონაცემები შეიძლება საკმარისად ტიპიურად ჩაითვალოს.

მოგვყავს ცნობები გლეხთა სხვადასხვა ჯგუფის ქონებისა და ინვენტარის შესახებ.

ჯგუფები	ერთ მეურნეობაზე მოდის ღირებულება მანეთობით						მოდის მანეთობით			ზენობათა რაოდენობა 1 მეურნეობაზე	ბოლო პირ. მსხვილფეხა პირ. გადაყვ. 1 მეურ.		ერთი ძუძა ცხენ. ღირებ.					ამ იარაღ. ღირებულება
	ზენობები	ინვენტარი	პირუტყვი და ფრინველი	ავეჯი	ტანსაცმელი	სულ	სულ ორივე სქესის 1 სულზე	ინვენტარი და პირუტყვი	ორივე ერთ დესეტინა სათესზე				იმ მეურ. ტიპ., რომელ.		იმ მეურ. ტიპ., რომელ.			
ა)	67,25	9,73	16,87	14,61	39,73	148,19	36,29	26,60	18,04	3,8	0,8	—	8	—	—			
ბ)	133,28	29,03	62,04	19,57	61,78	305,70	61,83	91,07	26,56	5,9	2,6	27	—	—	—			
გ)	235,76	76,35	145,80	51,95	195,43	705,33	85,65	222,24	32,04	7,6	4,9	37	—	—	—			
დ)	512,33	85,10	368,94	54,71	288,73	1 309,81	100,75	454,04	33,86	10,2	9,1	61	—	1	50			
ე)	495,80	174,16	442,06	81,71	445,66	1 639,39	115,45	616,22	34,04	11,4	12,8	52	—	1	50			
ვ)	656,20	273,99	934,06	82,04	489,38	2 435,67	152,23	1 208,05	57,30	13,0	19,3	60	—	3	170,3			
სულ	266,44	74,90	212,13	41,24	184,62	779,33	94,20	287,03	38,20	7,5	5,8	52	8	5	270.8			

რახმელებო — მდიდარო გლეხებო! ძარცვეთ რამდენიც გინდათ, ოღონდ ხურგი გაუმაგრეთ წასაქცევად განწირულ აბსოლუტიზმს! (შ ე ნ ი შ. მე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

* ნათესის ოდენობა ვორონეჟის გუბ. არა 4 მაზრის, არამედ მხოლოდ ხადონსკის მაზრისაა.

ეს ცხრილი ნათლად გვიჩვენებს განსხვავებას, რომელიც არსებობს სხვადასხვა ჯგუფებს შორის ინვენტარითა და პირუტყვით უზრუნველყოფის მხრით და რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით მასობრივი მონაცემების საფუძველზე. ჩვენ აქ ვხედავთ სხვადასხვა ჯგუფთა სრულიად სხვადასხვანაირ ქონებრივ უზრუნველყოფილობას, ამასთან ეს განსხვავება იქამდე მიდის, რომ შეუძლო გლეხის ცხენიც კი სხვანაირია, ვიდრე შეძლებულისა *. ერთცხენიანი გლეხის ცხენი — ეს ნამდვილი «ცოცხალი ნაწევარია», მართალია, მაინც არა «მეოთხედი ცხენისა», არამედ მთელი «ოცდაშვიდი ორმოცდამეთორმეტედი» ნაწილი ცხენისა! ** [52].

ავიღოთ შემდეგ ცნობები მეურნეობაზე გაწეული ხარჯების შემადგენლობის შესახებ ***:

მეურნეობის ხარჯების შემადგენლობა მანეთობით ერთ კომლზე

ჯგუფები	მწყემსის და ბარგები	შევსება და რემონტი: შენობები	ინვენტარი და პირუტყვი	სულ	იჯარა	მექანიკური ნარდი	ჯამი	პირუტყვის საკვები	სულ
ა)	0,52	2,63	0,08	2,71	0,25	3,52	7,00	8,12	15,12
ბ)	2,94	4,59	5,36	9,95	6,25	2,48	21,62	36,70	58,32
გ)	5,73	14,38	8,78	23,16	17,41	3,91	50,21	71,21	121,42
დ)	12,01	18,22	9,70	27,92	49,32	6,11	95,36	127,03	222,39
ე)	19,32	13,60	30,80	44,40	102,60	8,20	174,52	173,24	347,76
ვ)	51,42	56,00	75,80	131,80	194,35	89,20	466,77	510,07	976,84
ს უ ლ	9,37	13,19	13,14	26,33	35,45	10,54	81,69	98,91	180,60

* გერმანულ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაში არის დრეკსლერის მონოგრაფიები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს სხვადასხვა ჯგუფის მიწათმფლობელთა პირუტყვის წ ო ნ ა ზ ე მიწის რაოდენობის მიხედვით [51]. ეს ცნობები ზემომოყვანილი **რუსული** საერობო სტატისტიკის ციფრებზე კიდევ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებენ წვრილი გლეხების პირუტყვის გ ა ნ უ ზ ო მ ლ ა დ უ ა რ ე ს ხარისხს მსხვილი გლეხების და განსაკუთრებით მემამულეების პირუტყვთან შედარებით. იმედი მაქვს, რომ ამ ცნობებს ახლო მომავალში დავამუშავებ დასაბეჭდად. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

** ეს ბიუჯეტის ნორმები გლეხობის სხვადასხვა ჯგუფის შენობების, ინვენტარის და პირუტყვის ღირებულების შესახებ რომ შევუფარდოთ ზემომოყვანილ შეჯამებულ ცნობებს ევროპ. რუსეთის 49 გუბერნიის შესახებ, აღმოჩნდება, რომ გლეხთა კომლების ერთი მეხუთედი ნაწილი ფლობს წარმოების საშუალებათა გაცილებით მეტ რაოდენობას, ვიდრე მთელი დანარჩენი გლეხობა.

*** პირუტყვის შესანახ ხარჯს უმთავრესად ნატურალური ხასიათი აქვს, მეურნეობის დანარჩენ ხარჯებს კი — უმეტეს ნაწილად ფულადი.

ეს ცნობები მეტად მჭევრმეტყველურია. ისინი მკაფიოდ გვიჩვენებენ, რომ სრულიად მცირეა არა მარტო უცხენო, არამედ ერთცხენიანი გლეხის «მეურნეობაც». ისინი გვიჩვენებენ იმასაც, რომ სავსებით უსაფუძვლოა ჩვეულებრივი ხერხი ასეთი გლეხების განხილვისა მცირერიცხოვან, მაგრამ შეძლებულ გლეხობასთან ერთად, რომელიც ას მანეთობით ხარჯავს მეურნეობაზე და რომელსაც საშუალება აქვს გაიუმჯობესოს ინვენტარი, დაიქირავოს «მუშებიც», ფართოდ «შეიყიდოს» მიწაც და წლიურად 50—100—200 მანეთი იჯარის ქირა გადაიხადოს *. ამასთან აღვნიშნავთ, რომ უცხენო გლეხის შედარებით დიდი გასავალი «მომუშავეებზე და ნარდ სამუშაოებზე» აიხსნება, ალბათ, იმით, რომ სტატისტიკოსებმა ამ სვეტში აურიეს ორი სრულიად სხვადასხვა რამ: დაქირავება მუშისა, რომელმაც დამქირავებლის ინვენტარით უნდა იმუშაოს, ე. ი. მოჯამაგირის ან დღიური მუშის დაქირავება, და დაქირავება მეზობელი მეურნისა, რომელმაც თავისი ინვენტარით უნდა დაამუშაოს დამქირავებლის მიწა. «დაქირავების» ეს ორი, თავისი მნიშვნელობით დიამეტრალურად საწინააღმდეგო სახე მკაცრად უნდა განვასხვაოთ, როგორც ამას სჩადის, მაგალითად, ვ. ორლოვი (იხ. «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VI, ნაკვ. 1).

განვიხილოთ ახლა ცნობები მიწათმოქმედების შემოსავლის შესახებ. სამწუხაროდ, ეს ცნობები «კრებულში» სრულიადაც არ არის საკმაოდ დამუშავებული (ნაწილობრივ, იქნებ, იმის გამო, რომ მათი რიცხვი მცირეა). მაგალითად, არ არის დამუშავებული მოსავლიანობის საკითხი; არ არის ცნობები ყოველი ცალკე სახის პროდუქტის გაყიდვისა და

* რამდენად სასიამოვნო უნდა იყოს ასეთი «მეურნე გლეხისათვის» ბ-ნ კარიშევის «იჯარის თეორია», რომელიც მოითხოვს ხანგრძლივ საიჯარო ვადებს, იჯარის გაიაფებას, გაუმჯობესებისათვის გასამრჯელოს და სხვ. ესაა სწორედ ის, რაც ასეთ გლეხს უნდა.

ამ გაყიდვის პირობების შესახებ. ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ შემდეგ მცირე ცხრილს.

მიწათმოქმედების შემოსავალი მანეთობით

ჯგუფები	სულ 1 მეურნეობაზე	სულ 1 სულზე ორივე სქ.	ფულადი შემოსავალი 1 მეურნეობაზე	% მიწათმოქმედების მთელი შემოსავლის მიმართ	სარეწის შემოსავალი 1 მეურნეობაზე
ა)	57,11	13,98	5,53	9,68	59.04
ბ)	127,69	25,82	23,69	18,55	49,22
გ)	287,40	34,88	54,40	18,93	108,21
დ)	496.52	38,19	91,63	18,45	146,67
ე)	698.06	49.16	133,88	19,17	247,60
ვ)	698.39	43.65	42.06	6,02	975,20
	292,74	35,38	47,31	16,16	164,67

ამ ცხრილში მაშინვე გეცემათ თვალში ერთი მკაფიო გამონაკლისი: მიწათმოქმედების ფულადი შემოსავლის პროცენტის დიდად დაკლება უმაღლეს ჯგუფში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფის ხელთაა ყველაზე მეტი ნათესი. ამნაირად, ყველაზე მსხვილი სამიწათმოქმედო მეურნეობა, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო ნატურალური ყოფილა. უაღრესად საინტერესოა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს მოჩვენებითი გამონაკლისი, რომელიც ნათელს ჰფენს ფრიად მნიშვნელოვან საკითხს — მიწათმოქმედების კავშირს სამეწარმეო ხასიათის «სარეწებთან». როგორც უკვე დავინახეთ, ამგვარ სარეწთა მნიშვნელობა მრავალცხენიან მეურნეთა ბიუჯეტებში განსაკუთრებით დიდია. განსახილველად აღებული ცნობების მიხედვით, ამ ადგილას გლეხური ბურჟუაზიისათვის განსაკუთრებით ტიპიურია მისწრაფება — შეაერთოს მიწათმოქმედება სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებთან *. ძნელი არ არის დავინახოთ ის, რომ, ჯერ ერთი,

* 12 უცხენო მეურნიდან არც ერთი არ იღებს შემოსავალს სამრეწველო დაწესებულებათა და საწარმოთაგან; 18 ერთცხენიანთაგან იღებს

არ არის სწორი ამგვარ მეურნეთა შედარება წმინდა მიწათმოქმედებთან; მეორეც ის, რომ მიწათმოქმედება ასეთ პირობებში ხშირად მხოლოდ გვეჩვენება როგორც ნატურალური. როცა მიწათმოქმედებას ერთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნიკური დამუშავება (ფქვა, ზეთის, კარტოფილის სახამებლის წარმოება, არაყის გამოხდა და სხვა წარმოებანი), მაშინ ასეთი მეურნეობის ფულადი შემოსავალი შეიძლება მიეკუთვნოს არა მიწათმოქმედების შემოსავალს, არამედ სამრეწველო დაწესებულების შემოსავალს. ამ შემთხვევაში მიწათმოქმედება ნამდვილად იქნება არა ნატურალური, არამედ საეჯრო ხასიათისა. იგივე უნდა ითქვას ისეთ მეურნეობაზეც, სადაც მიწათმოქმედების პროდუქტების მასა მოიხმარება ნატურალური სახით მოჯამაგირეებისა და ცხენების შესანახად, რომელნიც საჭირონი არიან რომელიმე სამრეწველო წამოწყებისათვის (მაგ., საფოსტო მიმოსვლისათვის). და სწორედ ამგვარი მეურნეობა გვაქვს უმაღლესი ჯგუფის მეურნეობათა შორის (კოროტოიაკსკის მაზრის ბიუჯეტი № 1. 18 სულისაგან შემდგარი ოჯახი, ოჯახის 4 მომუშავე, 5 მოჯამაგირე, 20 ცხენი; მიწათმოქმედების შემოსავალი — 1 294 მანეთი, თითქმის მთლად ნატურალური, სამრეწველო საწარმოთა შემოსავალი კი — 2 675 მანეთი. და ამგვარ «ნატურალურ გლეხურ მეურნეობას» უერთებენ უცხენო და ერთცხენიან მეურნეობებს საერთო «საშუალოს» გამოსაყვანად). ამ მაგალითით ერთხელ კიდევ ვხედავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ოდენობისა და სახეობის მიხედვით სამიწათმოქმედო მეურნეობის დაჯგუფების შეერთებას ოდენობისა და ტიპის მიხედვით «საარეწაო» მეურნეობის დაჯგუფებასთან.

(ბ) განვიხილოთ ახლა ცნობები გლეხთა საარსებო დონის შესახებ. საჭმლის ხარჯი ნატურით «კრებულში» არ არის

ერთი; 17 ორცხენიანთაგან — ორი; 9 სამცხენიანთაგან — სამი: 5 ოთხცხენიანთაგან — ორი; 5 მეურნიდან, რომელთაც 4-ზე მეტი ცხენი ჰყავთ, — ოთხი.

სრულად ნაჩვენები. ჩვენ გამოვყოფთ უმთავრესს: მიწათმოქმედების პროდუქტებს და ხორცს*.

ორივე სქესის 1 სულზე მოდის

ჯგუფები	პურეული პროდუქტები: ბალის ფქვილი, ჩეტვერიკობით	ქერისა და ფქვილის ფქვილი, ფუთობით	ფქვილი და ყურძენი, ჩეტვერიკობით	ხორბლის ფქვილი და ბალი, ბერვანკობით	კარტოფილი, ჩეტვერიკობით	იგივე ბალავზე გადატანით, ფუთობით: ბალი და ხორბალი	სხვა პურეული	ჯამი	ხორცი, ფუთობით
ა)	13,12	0,12	1,92	3,49	13,14	13,2	4,2	17,4	0,59
ბ)	13,21	0,32	2,13	3,39	6,31	13,4	3,0	16,4	0,49
გ)	19,58	0,27	2,17	5,41	8,30	19,7	3,5	23,2	1,18
დ)	18,85	1,02	2,93	1,32	6,43	18,6	4,2	22,8	1,29
ე)	20,84	—	2,65	4,57	10,42	20,9	4,2	25,1	1,79
ვ)	21,90	—	4,91	6,25	3,90	22,0	4,2	26,2	1,79
	18,27	0,35	2,77	4,05	7,64	18,4	3,8	22,2	1,21

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენ მართალი ვიყავით, როცა ვაერთებდით უცხენო და ერთცხენიან გლეხებს და ვუპირისპირებდით მათ დანარჩენებს. გლეხობის აღნიშნული ჯგუფების განმასხვავებელი ნიშანია საზრდოს ნაკლებობა და მისი ღირსების გაუარესება (კარტოფილი). ერთცხენიანი გლეხი ზოგიერთი მხრით უარესადაც კი საზრდოობს, ვიდრე უცხენო გლეხი. საერთო «საშუალო» ამ საკითხშიც თურმე სრულიად ფიქციურია და ფარავს გლეხთა მასის არასაკმაო კვებას დამაკმაყოფილებელი კვებით შეძლებული გლეხობისა, რომელიც ხმარობს თითქმის ერთნახევარჯერ მეტ მიწათ-

* ამ ტერმინით ვაერთებთ «კრებულის» რამდენიმე სვეტს: საქონლის, ცხვრის, ღორის ხორცი და ღორის ქონი. სხვა პურეული ბალავზე გადატანილია იანსონის «შედარებითი სტატისტიკის» ნორმების მიხედვით, რომლებიც მიღებულია ნიჟნი-ნოვგოროდელი სტატისტიკოსების მიერ (იხ. გორბატოვის მაზრის «მასალები». გადატანის საფუძველია შესათვისებელი ცილეულის პროცენტი)[53].

მოქმედების პროდუქტებს და სამჯერ მეტ ხორცს*, ვიდრე ღარიბი გლეხობა.

გლეხთა კვების დანარჩენი ცნობების შესადარებლად საჭიროა, რომ ყველა პროდუქტი გამოსახულ იქნას მათი ღირებულების მიხედვით — მანეთობით.

1 სულზე მოდის მანეთობით

ჯგუფები	ყოვლისაირი ფქვილი და ბურღული	ბოსტნეული, სავარცელი ხეხილი და ბოლი	კარტოფილი	მიწათმოქმედების პროდუქტები სულ	მესაქონლეობის პროდუქტები სულ **	ნაყიდი პროდუქტები ***	პროდუქტები სულ	აქედან ფულად	ფულადი გასავალი: მიწათმოქმედების პროდუქტებზე	ფულადი გასავალი: მესაქონლეობის პროდუქტებზე
ა)	6,62	1,55	1,62	9,79	3,71	1,43	14,93	5,72	3,58	0,71
ბ)	7,10	1,49	0,71	9,30	5,28	1,79	16,37	4,76	2,55	0,42
გ)	9,67	1,78	1,07	12,52	7,04	2,43	21,99	4,44	1,42	0,59
დ)	10,45	1,34	0,85	12,64	6,85	2,32	21,81	3,27	0,92	0,03
ე)	10,75	3,05	1,03	14,83	8,79	2,70	26,32	4,76	2,06	—
ვ)	12,70	1,93	0,57	15,20	6,37	6,41	27,98	8,63	1,47	0,75
	9,73	1,80	0,94	12,47	6,54	2,83	21,84	5,01	1,78	0,40

ამრიგად, საერთო ცნობები გლეხთა კვების შესახებ ადასტურებენ ზემოთ ნათქვამს. მკაფიოდ გამოირჩევა სამი

* თუ რამდენად ნაკლებ ხორცს ხმარობენ სოფლად გლეხები ქალაქის მცხოვრებლებთან შედარებით, ჩანს თუნდაც შემდეგი არასრული ცნობებიდან. მოსკოვის ქალაქის სასაკლაოებში 1900 წელს დაუკლავთ 4 მილიონ ფუთამდე პირუტყვი, რომლის ღირებულება სულ 18 986 714 მან. და 59 კაპ. შეადგენს («მოსკოვსკიე ვედომოსტი», 1901, № 55). ეს იძლევა ორივე სქესის 1 სულზე დაახლოებით 4 ფუთს ანუ 18 მანეთს წელიწადში. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

** საქონლის, ღორის და ცხვრის ხორცი, ღორის ქონი, ძროხის ერბო, რძის პროდუქტები, ქათმები და კვერცხები.

*** მარილი, ნედლი და დამარილებული თევზი, ქაშაყი, არაყი, ლუდი, ჩაი და შაქარი.

ჯგუფი: დაბალი (უცხენოები და ერთცხენიანები), საშუალო (2 და 3-ცხენიანები) და უმაღლესი, რომელიც იკვებება თითქმის ორჯერ უკეთესად, ვიდრე დაბალი ჯგუფი. საერთო «საშუალო» შლის ორივე უკიდურეს ჯგუფს. ფ ულ ა დ ი გ ა ს ა ვ ა ლ ი საკმელი აბსოლუტურადაც და შედარებითაც უფრო მეტია ორივე უკიდურეს ჯგუფში: სოფლის პროლეტარების და სოფლის ბურჟუაზიის ჯგუფებში. პირველნი ყ ი დ უ ლ ო ბ ე ნ მ ე ტ ს, თ უ მ ც ა ხ მ ა რ ო ბ ე ნ უ ფ რ ო ნ ა კ ლ ებ ს საშუალო გლეხთან შედარებით, ყიდულობენ სრულებით აუცილებელ მიწათმოქმედების პროდუქტებს, რომელთა ნაკლებობას ისინი განიცდიან. უკანასკნელნი ყიდულობენ მეტს, რადგან მეტს ხმარობენ, და აფართოებენ განსაკუთრებით არასამიწათმოქმედო პროდუქტების მოხმარებას. ამ ორი უკიდურესი ჯგუფის დაპირისპირება ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ იქმნება კაპიტალისტურ ქვეყანაში პირადი მოხმარების საგანთა შინაური ბაზარი*.

დანარჩენი ხარჯები პირად მოხმარებაზე ასეთია:

გასავალი ორივე სქესის 1 სულზე მანეთობით

ჯგუფები	ტანსაცმელი, ქუდ-ფეხსაცმელი	სათბობი (ხილა)	ტანსაცმელი, ფეხსაცმელი	განათება	დანარჩენი ოჯახური საჭირო-ებანი	სულ პირად მოხმარებაზე, საკმელის გაით.	აქედან ფულად	სულ საკმელზე და ოჯახურ. პირად მოხმარ.	აქედან ფულად
ა)	9,73	0,95	1,46	0,23	1,64	4,28	3,87	19,21	9,59
ბ)	12,38	0,52	1,33	0,25	1,39	3,49	3,08	19,86	7,84
გ)	23,73	0,54	2,47	0,22	2,19	5,42	4,87	27,41	9,31
დ)	22,21	0,58	1,71	0,17	3.44	5,90	5,24	27,71	8,51
ე)	31,39	1,73	4,64	0,26	3,78	10,41	8,93	36,73	13,69
ვ)	30,58	1,75	1,75	0,21	1,46	5,17	3,10	33,15	11,73
	22,31	0,91	2,20	0,22	2,38	5,71	4,86	27,55	9,87

* მიწათმოქმედების პროდუქტებზე გაწეულ ფულად ხარჯში პირველი ადგილი უჭირავს ჭკვავის ყიდვას — უმთავრესად ღარიბთა მიერ; შემდეგ — ბოსტნეულის ყიდვას. ბოსტნეულის ხარჯი შეადგენს 85 კაპ. ორივე სქესის 1 სულზე (ჯგუფების მიხედვით: ბ ჯგუფის 56 კაპ.-დან ე ჯგუფის 1 მან. 31 კაპ.-მდე), აქედან ფულად — 47 კაპ. ეს საინტერესო ფაქტი გვიჩვენებს, რომ არათუ ქალაქის, არამედ სოფლის მოსახლეობაშიც ჩნდება ბაზარი საგაჭრო მიწათმოქმედების ერთ-ერთი ფორმის პროდუქტებისათვის — სა-

ეს ხარჯები როდი შეიძლება ყოველთვის სწორად გამოიანგარიშოთ ორივე სქესის თითო სულზე, რადგან, მაგალითად, სათბობის, განათების, საოჯახო მოწყობილობის და სხვ. ღირებულება პროპორციული არ არის ოჯახის წევრთა რიცხვის მიმართ.

ეს ცნობებიც გვიჩვენებენ გლეხობის დაყოფას (საარსებო დონის მიხედვით) სამ სხვადასხვა ჯგუფად. ამასთან მეღავნდება შემდეგი საინტერესო თავისებურება: მთელ პირად მოხმარებაზე გასავლის ფულადი ნაწილი ყველაზე მეტია დაბალ ჯგუფებში (ა ჯგუფში ფულადი ხარჯი შეადგენს მთელი ხარჯის თითქმის ნახევარს), მაშინ როცა უმაღლეს ჯგუფებში ფულადი გასავალი მაღლა არ იწევს და შეადგენს მხოლოდ ერთ მესამედამდე. რანაირად შეიძლება ამის შერიგება ზემოაღნიშნულ ფაქტთან, რომელიც მოწმობს, რომ ფულადი გასავლის პროცენტი საზოგადოდ მატულობს ორივე უკიდურეს ჯგუფში? ცხადია, რომ უმაღლეს ჯგუფებში ფულადი გასავალი უნდება უმთავრესად წარმოებითს მოხმარებას (მეურნეობის გასავალი), მაშინ როცა დაბალ ჯგუფებში — პირად მოხმარებას. აი ზუსტი ცნობები ამის შესახებ:

ჯგუფები	ფულადი გასავალი 1 მეურნეობაზე მანეთობით				იგივე %-ებით				გასავლის ფულადი ნაწ. %	
	პირად მოხმარებაზე	მეურნეობაზე	გამოსაღებსა და ბეგარაზე	სულ	პირად მოხმარებაზე	მეურნეობაზე	გამოსაღებსა და ბეგარაზე	სულ	პირად მოხმარებაზე	მეურნეობაზე
ა)	39,16	7,66	15,47	62,29	62,9	12,3	24,8	100	49,8	50,6
ბ)	38,89	24,32	17,77	80,98	48,0	30,0	22,0	100	39,6	41,7
გ)	76,79	56,35	32,02	165,16	46,5	34,1	19,4	100	34,0	46,4
დ)	110,60	102,07	49,55	262,22	42,2	39,0	18,8	100	30,7	45,8
ე)	190,84	181,12	67,90	439,86	43,4	41,2	15,4	100	38,0	52,0
ვ)	187,83	687,03	84,34	959,20	19,6	71,6	8,8	100	35,4	70,3
	81,27	102,23	34,20	217,70	37,3	46,9	15,8	100	35,6	56,5

ხელდობრ მებოსტნეობისათვის. ხარჯი სამარხვო ზეთზე — $^2/_3$-ით ნატურალურია; ეს ნიშნავს, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ სჭარბობს შინაური წარმოება და პრიმიტიული ხელოსნობა.

მაშასადამე, გლეხობის გადაქცევა სოფლის პროლეტარიატად ჰქმნის უმთავრესად მოხმარების საგნების ბაზარს, მისი გადაქცევა კი სოფლის ბურჟუაზიად ჰქმნის უმთავრესად წარმოების საშუალებათა ბაზარს. სხვანაირად რომ ვთქვათ, «გლეხობის» დაბალ ჯგუფებში ჩვენ ვამჩნევთ სამუშაო ძალის გადაქცევას საქონლად, უმაღლეს ჯგუფებში კი — წარმოების საშუალებათა გადაქცევას კაპიტალად. ორივე ეს გადაქცევა იძლევა სწორედ შინაური ბაზრის შექმნის იმ პროცესს, რომელიც თეორიით დადგენილია საზოგადოდ კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ. ამიტომაც წერდა ფრ. ენგელსი 1891 წლის შიმშილობის შესახებ, რომ ის კაპიტალიზმისათვის შინაური ბაზრის გაჩენას მოასწავებსო[51]; ეს დებულება ნაროდნიკებისათვის სრულიად გაუგებარია, რადგან ისინი გლეხობის გაჩანაგებაში ხედავენ მხოლოდ «სახალხო წარმოების» დაცემას და არა პატრიარქალური მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობად გადაქცევას.

ბ-მა ნ. —ონმა დაწერა მთელი წიგნი შინაური ბაზრის შესახებ, მაგრამ მისთვის შეუმჩნეველი დარჩა პროცესი გლეხობის დაშლის გამო შინაური ბაზრის შექმნისა. თავის სტატიაში «რით უნდა აიხსნას ჩვენი სახელმწიფო შემოსავლის ზრდა?» («ნოვოე სლოვო», 1896, № 5, თებერვალი) ის ეხება ამ საკითხს და შემდეგნაირად მსჯელობს: ამერიკელი მუშის შემოსავლის ცხრილები გვიჩვენებენ, რომ, რაც უფრო ნაკლებია შემოსავალი, მით უფრო მეტია, შედარებით, საჭმლის ხარჯიო. მაშასადამე, თუ საჭმლის მოხმარება მცირდება, მით უფრო მცირდება სხვა პროდუქტების მოხმარებაც. რუსეთში კი მცირდება პურის და არაყის მოხმარება, მაშასადამე, მცირდება სხვა პროდუქტების მოხმარებაც, აქედან კი გამომდინარეობს, რომ გლეხობის შეძლებული «ფენის» (70 გვ.) უმეტესი მოხმარება წონასწორდება მასის მოხმარების დაკლებითო. — ამ მსჯელობაში სამი შეცდომაა: ჯერ ერთი, ბ-ნი ნ. —ონი გლეხის მაგიერ იღებს მუშას და ამით პირდაპირ გვერდს უქცევს საკითხს; საქმე კი სწორედ მუ-

შებისა და მეპატრონეების წარმოშობის პროცესს ეხება. მეორეც, გლეხის მაგიერ მუშას რომ იღებს, ბ-ნი ნ. — ონი მთელ მოხმარებას პირად მოხმარებად აცხადებს და ივიწყებს წარმოებითს მოხმარებას, წარმოების საშუალებათა ბაზარს. მესამეც, ბ-ნ ნ. — ონს ავიწყდება, რომ გლეხობის დაშლის პროცესი ამავე დროს არის ნატურალური შეურნეობის სასაქონლო მეურნეობით შეცვლის პროცესი, რომ, მაშასადამე, ბაზარს ჰქმნის არა მოხმარების ზრდა, არამედ ის, რომ ნატურალური მოხმარება (თუნდაც უფრო უხვი) იქცევა ფულად მოხმარებად ანუ ფულის გადამხდელ მოხმარებად (თუნდაც ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებად უხვი იყოს). ჩვენ ახლა დავინახეთ პირადი მოხმარების საგნების მიმართ, რომ უცხენო გლეხები ნაკლებს მოიხმარენ, მაგრამ მეტს ყიდულობენ, ვიდრე საშუალო გლეხობა. ისინი უფრო ღარიბდებიან, ამავე დროს კი მეტ ფულს იღებენ და მეტს ხარჯავენ, — კაპიტალიზმისათვის კი პროცესის სწორედ ორივე ეს მხარეა აუცილებელი *.

დასასრულ, ჩვენ ვისარგებლებთ ბიუჯეტის ცნობებით გლეხების და სოფლის მუშების საარსებო დონის შესადარებლად. თუ პირადი მოხმარების ოდენობას გავიანგარიშებთ არა მოსახლეობის 1 სულზე, არამედ ერთ სრულწლოვან მომუშავეზე (ნიჟნი-ნოვგოროდელი სტატისტიკოსების ნორმების მიხედვით, რაც მოცემულია ზემოთ დასახელებულ კრებულში), მივიღებთ ასეთ ცხრილს:

---

* ეს ფაქტი, რომელიც პირველი შეხედვით პარადოქსად გვეჩვენება, ნამდვილად სავსებით ჰარმონიულად ეთანხმება კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობებს, რომლებიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ნამდვილ ცხოვრებაში. ამიტომ იმათ, ვინც სოფლის ყოფაცხოვრებას ყურადღებით ადევნებდა თვალყურს, უკვე შეამჩნიეს ეს ფაქტი თეორიისაგან სრულიად დამოუკიდებლად. «მისი მოქმედების გასავითარებლად, — ამბობს ენგელგარდტი კულაკზე, ჩარჩზე და სხვ., — საჭიროა, რომ გლეხები ღარიბები იყვნენ... რომ გლეხები იღებდნენ ბევრ ფულს» («წერილები სოფლიდან», გვ. 493). «მტკიცე (sic!) მიწათმოქმედებითი ყოფაცხოვრებისადმი» (ibid.) თანაგრძნობა ენგელგარდტს ზოგჯერ არ უშლიდა ხელს გადაეშალა ნაქები თემის შიგნით არსებული უღრმესი წინააღმდეგობანი.

ერთ მოზრდილ მომუშავეზე მოდის

ჯგუფები	სახმარი პროდუქტები							ხარჯი მაწეთობით		
	ბვავის ფქვილი, ჩეტვერიკობით	ქერის და ფქვილი, ჩეტვერიკობით	ფეტვი და ფიზალი, ჩეტვერიკობით	ხორბლის ფქვილი და პიკი, ჩეტვერიკობით	კარტოფილი, ჩეტვერიკობით	სულ მიწ. პროდუქტები ფქვილზე გადაყვანილი	ხორცი, ფუთობით	სულ	დასარჩენ პირად მოხმარებაზე	სულ
ა)	17,3	0,1	2,5	4,7	17,4	23,08	0,8	19,7	5,6	25,3
ბ)	18,5	0,2	2,9	4,7	8,7	22,89	0,7	22,7	4,8	27,5
გ)	26,5	0,3	3,0	7,3	12,2	31,26	1,5	29,6	7,3	36,8
დ)	26,2	1,4	4,3	2,0	9,0	32,21	1,8	30,7	8,3	39,0
ე)	27,4	—	3,4	6,0	13,6	32,88	2,3	32,4	13,9	46,3
ვ)	30,8	—	6,9	8,5	5,5	36,88	2,5	39,3	7,2	46,5
	24,9	0,5	3,7	5,5	10,4	33,78	1,4	29,1	7,8	36,9

ამ ცნობებთან სოფლის მუშების საარსებო დონის მონაცემების შესადარებლად შეგვიძლია ავიღოთ, ჯერ ერთი, შრომის საშუალო ფასები. ვორონეჟის გუბერნიაში 10 წლის მანძილზე (1881 — 1891) წლიური მოჯამაგირის საშუალო ქირა უდრიდა 57 მან., ხოლო თუ მის შესანახსაც ვიანგარიშებთ — 99 მან.*, ასე რომ შენახვა ჯდებოდა 42 მანეთი. ნადელიანი მოჯამაგირეების და დღიური მუშების (უცხენო და ერთცხენიანი გლეხების) პირადი მოხმარების ოდენობა ამ დონეზე უფრო დაბლა დგას. უცხენო «გლეხის» ოჯახის (4-სულიანი) შენახვის მთელი ხარჯი შეადგენს სულ 78 მან. და ერთცხენიანი გლეხის (5-სულიანი) ოჯახისა — 98 მან., ე. ი. უფრო ნაკლებს, ვიდრე ჯდება მოჯამაგირის შენახვა. (უცხენო და ერთცხენიანი გლეხის ბიუჯეტიდან ჩვენ გამოვრიცხეთ მეურნეობის, გამოსაღებისა და ბეგრის ხარჯები, რადგან ნადელი ამ ადგილას იმაზე უფრო იაფად არ იცემა, ვიდრე გამოსაღები ღირს.) როგორც მოსალოდნელი იყო, ნადელზე მიჯაჭვული მუშის მდგომარეობა უარესია, ვიდრე

* «სასოფლო-სამეურნეო და სტატისტიკური ცნობები, მიღებული მეპატრონეებისაგან». მიწათმოქმედების დეპარტამენტის გამოცემა, ნაკვ. V. სპბ. 1892. ს. ა. კოროლენკო: «თავისუფალი დაქირავებული შრომა მეურნეობებში და ა. შ.».

იმ მუშის მდგომარეობა, რომელიც თავისუფალია ამ მიჯაჭვულობისაგან (იმაზე აღარ ვლაპარაკობთ, თუ როგორ უაღრესად ავითარებს ნადელზე მიმაგრება კაბალისა და პირადი დამოკიდებულების ურთიერთობას). მოჯამაგირის ფულადი ხარჯი გაცილებით მეტია, ვიდრე ერთცხენიანი და უცხენო გლეხის პირადი მოხმარების ფულადი ხარჯი. მაშასადამე, ნადელზე მიმაგრება აფერხებს შინაური ბაზრის ზრდას.

მეორეც, ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ საერობო სტატისტიკის ცნობებით მოჯამაგირეთა მოხმარების შესახებ. ავიღოთ მონაცემები «ორიოლის გუბ. სტატ. ცნობების კრებულიდან» კარაჩევის მაზრის შესახებ (ტ. V, ნაკვ. II, 1892), რომლებიც დამყარებულია მოჯამაგირეობის 158 შემთხვევის ცნობებზე*. თვიური ულუფის წლიურზე გადაყვანით მივიღებთ:

	მოჯამაგირის შესანახი ორიოლის გუბერნიაში			«გლეხის» შესანახი ვორონეჟის გუბერნიაში	
	minim.	maxim.	საშუალო	ერთცხენიანი	უცხენო
ბვავის ფქვილი, ფუთობით	15,0	24,0	21,6	18,5	17,3
პიკი, ფუთობით	4,5	9,0	5,25	2,9	2,5
ფეტვი, ფუთობით	1,5	1,5	1,5	+4,8 გირ. ბვავის ფქვ.	4,9
კარტოფილი, ჩეტვერიკობით	18,0	48,0	26,9	8,7	17,4
სულ ბვავზე გადატანით**	22,9	41,1	31,8	22,8	23,0
ქონი, გირვანქობით	24,0	48,0	33,0	28,0	32,0
მთელი საკმლის ღირებულება წელიწადში, მანეთობით	—	—	40,5	27,5	25,3

მაშასადამე, თავისი საარსებო დონით ერთცხენიანი და უცხენო გლეხები მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ებ ზ ე მ ა ღ ლ ა ა რ დგანან, პირიქით, უფრო უახლოვდებიან მოჯამაგირის ცხოვრების დონის minimum-ს.

---

* ორიოლისა და ვორონეჟის გუბერნიების პირობებს შორის დიდი განსხვავება არ არის, და ცნობები, როგორც დავინახავთ, მოყვანილია ჩვეულებრივი. ჩვენ არ ვიღებთ ცნობებს ს. ა. კოროლენკოს ზემოთ დასახელებული თხზულებიდან (იხ. ამ ცნობების შედარება ბ-ნ მარესის სტატიაში: «მოსავლის გავლენა და სხვ.», I, 11), რადგან ავტორიც კი აღიარებს, რომ ბბ. მიწათმფლობელნი, რომელთაგანაც მიღებულია ეს ცნობები, ხანდახან «გატაცებულნი» იყვნენო...

** გამოანგარიშებულია ზემოთ აღნიშნული წესით.

მაშასადამე, საერთო დასკვნა ამ ცნობების მიმოხილვიდან, რომლებიც გლეხობის დაბალ ჯგუფს ეხება, ასეთია: როგორც მისი მიმართებით სხვა ჯგუფებთან, რომლებიც მიერეკებიან დაბალ გლეხობას მიწათმოქმედებიდან, ისე მეურნეობის ოდენობით, რომლის შემოსავალი საოჯახო ხარჯების მხოლოდ ნაწილს ჰფარავს, აგრეთვე არსებობის საშუალებათა წყაროს მხრით (სამუშაო ძალის გაყიდვა) და, ბოლოს, ცხოვრების დონით ეს ჯგუფი უნდა მიეკუთვნოს ნადელიან მოჯამაგირეებს და დღიურ მუშებს*.

ვამთავრებთ რა ამით გლეხთა ბიუჯეტების შესახებ საერობო სტატისტიკური ცნობების გადმოცემას, არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ იმ ხერხების გარჩევაზე, რომლებსაც ხმარობს ბიუჯეტის ცნობების დასამუშავებლად ბ-ნი შჩერბინა, «შეფასებითი ცნობების კრებულის» შემდგენელი და ავტორი სტატიისა გლეხური ბიუჯეტების შესახებ, რაც მოთავსებულია ცნობილ წიგნში: «მოსავლისა და პურის ფასების გავლენა და სხვ.» (ტ. II)[55]. ბ-ნი შჩერბინა რატომღაც აცხადებს «კრებულში», რომ ის სარგებლობს «ცნობილი პოლიტიკო-ეკონომის კ. მარქსის» თეორიით (გვ. 111); ნამდვილად კი ის პირდაპირ ამახინჯებს ამ თეორიას, ერთმანეთში ურევს განსხვავებას მუდმივ და ცვალებად კაპიტალს შორის განსხვავებასთან ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის (ibid.), სრულიად უაზროდ გადააქვს განვითარებული კაპიტალიზმის ეს ტერმინები და კატეგორიები გლეხურ მიწათ-

* მოჯამაგირეთა და გლეხობის დაბალი ჯგუფის ცხოვრების დონის ჩვენი შედარებიდან ნაროდნიკები, ალბათ, იმ დასკვნას გამოიყვანენ, თითქოს ჩვენ ვიყოთ «მომხრე» გლეხობის მიერ მიწაწყლის დაკარგვისა და სხვ. ასეთი დასკვნა მართალი არ იქნება. წათქვამიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ჩვენ «მომხრე ვართ», რათა გაუქმდეს ყოველგვარი შეზღუდვა გლეხთა უფლებისა თავისუფლად მოიხმარონ მიწა, უარი სთქვან ნადელზე, გამოვიდნენ თემიდან. იმის განსჯა, თუ რა უფრო ხელსაყრელია — ნადელიანი მოჯამაგირე იყო თუ უნადელო მოჯამაგირე, მხოლოდ თვით გლეხს შეუძლია. ამიტომ ასეთი შეზღუდვა არავითარ შემთხვევაში და არაფრით არ გამართლდება. ნაროდნიკების მიერ ამ შეზღუდვათა დაცვა კი მათ ჩვენი აგრარიების ინტერესების მსახურებად ხდის.

ზოქმედებაზე (passim) და სხვ. ბ-ნ შჩერბინას მიერ ბიუჯეტის ზონაცემების მთელი დამუშავება წარმოადგენს «საშუალო სიდიდეთა» სულერთიანად და წარმოუდგენლად ბოროტგამოყენებას. ყველა შეფასებითი ცნობა შეეხება «საშუალო» გლეხს. ზიწის შემოსავალი, რომელიც გამოანგარიშებულია 4 მაზრისათვის, იყოფა მეურნეობათა რაოდენობაზე (გაიხსენეთ, რომ ეს შემოსავალი უცხენოს აქვს 60 მანეთამდე ოჯახზე, მდიდარს კი — 700 მანეთამდე). განისაზღვრება «მუდმივი კაპიტალის ოდენობა» (sic!!?) «1 მეურნეობაზე» (გვ. 114), ე. ი. მთელი ქონების ღირებულება, განისაზღვრება ინვენტარის «საშუალო» ღირებულება, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა (sic!) საშუალო ღირებულება — 15 მანეთი 1 მეურნეობაზე. ბ-ნი შჩერბინა ყურადღებას არ აქცევს იმ წვრილმანს, რომ ეს დაწესებულებანი შეძლებული უმცირესობის კერძო საკუთრებას შეადგენენ, და მათ ყველაზე ჰყოფს «თანაბრად»! განისაზღვრება იჯარის «საშუალო» გასავალი (გვ. 118), რაც შეადგენს, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, 6 მანეთს ერთცხენიანისათვის და 100 — 200 მან. მდიდრისათვის. ყველაფერი ეს ერთდება და იყოფა მეურნეობათა რიცხვზე. განისაზღვრება «კაპიტალების რემონტის» «საშუალო» გასავალიც კი (ibid.). რას ნიშნავს ეს, — ალაჰმა უწყის. თუ ეს ნიშნავს ინვენტარისა და პირუტყვის შევსებას და რემონტს, მაშინ აი ჩვენ მიერ უკვე ზემოთ მოყვანილი ციფრები: უცხენოსათვის ეს გასავალი შეადგენს 8 (რვა) კაპიკს 1 მეურნეობაზე, მდიდრისათვის კი — 75 მანეთს. განა ცხადი არ არის, რომ თუ ჩვენ ასეთი «გლეხური მეურნეობანი» შევაერთეთ და გავყავით საკრებ რიცხვზე, მივიღებთ «საშუალო მოთხოვნილებათა კანონს», რომელიც აღმოაჩინა ბ-მა შჩერბინამ ჯერ კიდევ ოსტროგოუსკის მაზრის კრებულში (ტ. II, ნაკვ. II, 1887) და რომელიც მან შემდეგში ესოდენ ბრწყინვალედ გამოიყენა? ასეთი «კანონიდან» კი შემდეგ უკვე ძნელი არ არის იმ დასკვნის გამოყვანა, რომ «გლეხი იკმაყოფილებს არა მინიმალურ მოთხოვნილებებს, არამედ მათს საშუალო დონეს» (გვ. 123 და მრავალი სხვა), რომ გლეხური მეურნეობა წარმოადგენს

«განვითარების» განსაკუთრებულ «ტიპს» (გვ. 100) და სხვ. და სხვ. სოფლის პროლეტარიატისა და სოფლის ბურჟუაზიის «გათანაბრების» ამ უბრალო ხერხის დასაყრდენს წარმოადგენს ჩვენთვის უკვე ცნობილი დაჯგუფება ნადელის მიხედვით. ეს დაჯგუფება ჩვენ რომ გამოგვეყენებინა, მაგალითად, ბიუჯეტის ცნობების მიმართ, ერთ ჯგუფად შევაერთებდით, მაგალითად, ასეთ გლეხებს (მრავალნადელიან კატეგორიაში, ერთ ოჯახზე 15 — 25 დეს. ნადელი): ერთი სცემს ნახევარ ნადელს (23,5 დეს.), თესავს 1,3 დეს., ცხოვრობს უმთავრესად «პირადი სარეწებით» (საკვირველია, როგორ კარგად ისმის ეს!), იღებს შემოსავალს 190 მან. ორივე სქესის 10 სულზე (კოროტოიაკსკის მაზრის ბიუჯეტი № 10). მეორე იჯარით იღებს 14,7 დეს., თესავს 23,7 დეს., ქირაობს მოჯამაგირეებს, იღებს 1 400 მან. შემოსავალს ორივე სქესის 10 სულზე (ზადონსკის მაზრის ბიუჯეტი № 2). განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ მივიღებთ «განვითარების» განსაკუთრებულ «ტიპს», თუკი ერთად შევაერთეთ მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების მეურნეობანი და მოჯამაგირეთა დამქირავებელი გლეხების მეურნეობანი და გავყავით ჯამი საკრებთა რიცხვზე? საკმარისია ყოველთვის და მარტოოდენ ვისარგებლოთ «საშუალო» მონაცემებით გლეხური მეურნეობის შესახებ, რომ ყველა «უკულმართი იდეა» გლეხობის დაშლისა სამუდამოდ განდევნილი აღმოჩნდეს. სწორედ ასე იქცევა ბ-ნი შჩერბინა, როცა ასეთ საშუალებას მიმართავს en grand * თავის სტატიაში, რომელიც მოთავსებულია წიგნში: «მოსავლის გავლენა» და სხვ. აქ არის გრანდიოზული ცდა — სულ იმავე ნაცადი «საშუალო» რიცხვების საშუალებით მთელი რუსი გლეხობის ბიუჯეტების გამოანგარიშებისა. რუსული ეკონომიური ლიტერატურის მომავალი ისტორიკოსი გაკვირვებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ნაროდნიკობის ცრუშეხედულებებმა გამოიწვიეს ეკონომიური სტატისტიკის იმ სრულიად ელემენტარული მოთხოვნების დავიწყება, რომლებიც სავალდებულოდ

* — დიდი მასშტაბით. რ ე დ.

ხდიან მეპატრონეებისა და დაქირავებული მუშების სასტიკად განსხვავებას, მიწათმფლობელობის რა ფორმითაც არ უნდა იყვნენ ისინი გაერთიანებულნი, რა რიგ მრავალრიცხოვანნი და სხვადასხვაგვარნი არ უნდა იყვნენ გარდამავალი ტიპები მათ შორის.

XIII. მე-II თავიდან გამომდინარე დასკვნები

ვარეზუმებთ უმთავრეს დებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ზემოთ განხილული ცნობებიდან:

1) საზოგადოებრივ-ეკონომიური ვითარება, რომელშიც მოქცეულია თანამედროვე რუსი გლეხობა, არის სასაქონლო მეურნეობა. ცენტრალური სამიწათმოქმედო ზოლის ფარგლებშიც კი (რომელიც ამ მხრივ ყველაზე უფრო ჩამორჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა მხარეებთან ანდა სამრეწველო გუბერნიებთან შედარებით) გლეხი სავსებით ექვემდებარება ბაზარს, რომლისგანაც ის დამოკიდებულია როგორც თავისი პირადი მოხმარების, ისე მეურნეობის მხრით, გამოსაღებზედაც კი რომ არ ვილაპარაკოთ.

2) გლეხობის (მიწათმოქმედი და მეთემე) საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა წყობა გვიჩვენებს ყველა იმ წინააღმდეგობათა არსებობას, რომლებიც ახასიათებენ ყოველ სასაქონლო მეურნეობას და ყოველ კაპიტალიზმს: კონკურენციას, სამეურნეო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, მიწების (როგორც ნაყიდის, ისე საიჯაროს) ხელში ჩაგდებას, წარმოების თავმოყრას უმცირესობის ხელში, უმრავლესობის გადასროლას პროლეტარიატის რიგებში, მის ექსპლოატაციას უმცირესობის მხრით სავაჭრო კაპიტალისა და მოჯამაგირეების დაქირავების საშუალებით. გლეხობაში არ არის არც ერთი ეკონომიური მოვლენა, რომელსაც არა ჰქონდეს ეს, სპეციფიკურად კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი, წინააღმდეგობრივი ფორმა, ე. ი. რომელიც არ გამოსახავდეს ინტერესების ბრძოლასა და შეხლა-შემოხლას, არ ნიშნავდეს ერთი მხარისათვის პლუსს და მეორისათვის — მინუსს. ასეთია იჯარაც, მიწის ყიდვაც, «სარე-

წებიც» მათი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ტიპების სახით; ასეთივეა მეურნეობის ტექნიკური პროგრესიც.

ამ დასკვნას ჩვენ ვაკუთვნებთ კარდინალურ მნიშვნელობას არა მარტო რუსეთის კაპიტალიზმის საკითხში, არამედ საზოგადოდ ნაროდნიკული დოქტრინის მნიშვნელობის საკითხშიც. სწორედ ეს წინააღმდეგობანი გვიჩვენებენ აშკარად და უდავოდ, რომ ეკონომიურ ურთიერთობათა წყობა «თემურ» სოფელში სრულებითაც არ წარმოადგენს რაღაც განსაკუთრებულ წყობას («სახალხო წარმოებას» და სხვ.), არამედ ჩვეულებრივი წვრილბურჟუაზიული წყობაა. იმ თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც გაბატონებული იყვნენ ჩვენში ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, რუსი მეთემე გლეხობა კაპიტალიზმის ანტაგონისტი კი არ არის, არამედ, პირიქით, მისი უღრმესი და უმკვიდრესი საფუძველია. უღრმესი, — იმიტომ რომ სწორედ აქ, ყოველივე «ხელოვნური» ზემოქმედებისაგან დაშორებით და მიუხედავად იმ წესებისა, რომლებიც ზღუდავენ კაპიტალიზმის განვითარებას, ჩვენ ვხედავთ კაპიტალიზმის ელემენტების მუდმივ გაჩენას თვით «თემის» წიაღში. უმკვიდრესი, — იმიტომ რომ მიწათმოქმედება საზოგადოდ და გლეხობა განსაკუთრებით ყველაზე მეტად განიცდიან ძველი ტრადიციების, პატრიარქალური ყოფაცხოვრების ტრადიციების ზეგავლენას და ამის გამო გარდამქმნელი მოქმედება კაპიტალიზმისა (საწარმოო ძალთა განვითარება, მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლა და სხვ.) აქ მეტისმეტად ნელა და თანდათანობით მეღავნდება *.

3) ყველა ეკონომიური წინააღმდეგობის ერთობლიობა გლეხობაში წარმოადგენს სწორედ იმას, რასაც ჩვენ გლეხობის დაშლას ვუწოდებთ. თვით გლეხები მეტად მოსწრებულად და მკაფიოდ ახასიათებენ ამ პროცესს ტერმინით: «განგლეხება» **. ეს პროცესი ნიშნავს ძველი პატრიარქალური

* შად. «Das Kapital», I², S. 527 [56].

** 1892 წლის «ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა».

გლეხობის ძირიანფესვიანად დაშლას და სოფლის მოსახლეობის ახალი ტიპების შექმნას.

სანამ შევუდგებოდეთ ამ ტიპების დახასიათებას, უნდა შევნიშნოთ შემდეგი. ამ პროცესზე დიდი ხნიდან და ძალიან ხშირად მიუთითებდნენ ჩვენს ლიტერატურაში. მაგალითად, ჯერ კიდევ ბ-მა ვასილჩიკოვმა, რომელიც სარგებლობდა ვალუევის კომისიის[57] შრომებით, აღნიშნა «სოფლის პროლეტარიატის» გაჩენა რუსეთში და «გლეხური წოდების დაშლა» («მიწათმფლობელობა და მიწათმოქმედება», 1-ლი გამოც., ტ. I, თავი IX). ამ ფაქტს აღნიშნავდა ვ. ორლოვიც («მოსკოვის გუბ. სტატისტიკური ცნობების კრებული», ტ. IV, ნაკვ. 1, გვ. 14) და შრავალი სხვა. მაგრამ ყველა ამ მითითებას სრულიად ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხასიათი ჰქონდა. არასოდეს არ ყოფილა ცდა, რომ ეს შოვლენა სისტემატურად შეესწავლათ, და ამიტომ ჩვენ აქამდე არა გვაქვს საკმაო ცნობები ამ მოვლენის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უხვი მასალები საერობო-სტატისტიკური კომლობრივი აღწერებისა. ამასთან დაკავშირებულია ის გარემოებაც, რომ იმ ავტორთა უმრავლესობა, რომლებიც ამ საკითხს ეხებოდნენ, გლეხობის დაშლას უყურებს როგორც უბრალო ქონებრივი უთანასწორობის გაჩენას, როგორც უბრალო «დიფერენციაციას», როგორც უყვართ ლაპარაკი ნაროდნიკებს საზოგადოდ და ბ-ნ კარიშევს განსაკუთრებით (იხ. მისი წიგნი «იჯარების» შესახებ და წერილები «რუსსკოე ბოგატსტვოში»). უეჭველია, რომ ქონებრივი უთანასწორობის გაჩენა მთელი ამ პროცესის ამოსავალი პუნქტია, მაგრამ პროცესი მარტო ამ «დიფერენციაციით» სრულიადაც არ ამოიწურება. ძველი გლეხობა არათუ «დიფერენციაციას» განიცდის, არამედ სავსებით ნადგურდება, არსებობას სწყვეტს, რადგან თანდათან გამოიდევნება სოფლის მოსახლეობის სრულიად ახალი ტიპებით, — ტიპებით, რომლებიც წარმოადგენენ იმ საზოგადოების ბაზისს, სადაც გაბატონებულია სასაქონლო მეურნეობა და კაპიტალისტური წარმოება. ეს ტიპებია სოფლის ბურჟუაზია (განსაკუთრებით წვრილი) და სოფლის პროლეტარიატი, საქონელ-

მწარმოებელთა კლასი მიწათმოქმედებაში და სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშების კლასი.

დიდად საგულისხმოა, რომ სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის გაჩენის პროცესის წმინდა თეორიული ანალიზი ცხადჰყოფს წვრილ მწარმოებელთა დაშლას, როგორც ამ პროცესის მნიშვნელოვან ფაქტორს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს «კაპიტალის» მე-3 ტომის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თავი, სახელდობრ 47-ე თავი: «კაპიტალისტური საადგილმამულო რენტის გენეზისი». ამ გენეზისის ამოსავალ პუნქტად მარქსი იღებს შრომით ანაზღაურების რენტას (Arbeitsrente)* — «როცა უშუალო მწარმოებელი კვირის ერთ ნაწილს მუშაობს მიწაზე, რომელიც ფაქტიურად მას ეკუთვნის, წარმოების იარაღების (გუთნის, პირუტყვის და სხვ.) საშუალებით, რომლებიც მას ეკუთვნიან ფაქტიურად ან იურიდიულად, ხოლო კვირის დანარჩენ დღეებში მუქთად მუშაობს მიწათმფლობელის მამულში, მუშაობს მიწათმფლობელისათვის» («Das Kapital», III, 2, 323. რუს. თარგ. 651). რენტის შემდეგ ფორმას წარმოადგენს რენტა პროდუქტებით (Produktenrente) ანუ ნატურალური რენტა, როცა უშუალო მწარმოებელი მთელ პროდუქტს აწარმოებს იმ მიწაზე, რომლის ექსპლოატაციასაც თვითონ ეწევა, და მიწათმფლობელს ნატურით აძლევს მთელ ზედმეტ პროდუქტს. მწარმოებელი აქ უფრო დამოუკიდებელი ხდება, მას საშუალება ეძლევა თავისი შრომით შეიძინოს იმ რაოდენობაზე რამდენადმე მეტი პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებს მის აუცილებელ მოთხოვნილებებს. რენტის «ამ ფორმასთან ერთად» «თავს იჩენს უფრო დიდი განსხვავებანი ცალკე უშუალო მწარმოებელთა სამეურნეო მდგომარეობაში. ყოველ შემთხვევაში, ჩნდება ამის შესაძლებლობა და იმის შესაძლებლობაც კი, რომ ეს უშუალო მწარმოებელი

* რუსულ თარგმანში (გვ. 651 და შემდ.) ეს ტერმინი გადმოცემულია სიტყვით «შრომითი რენტა». ჩვენი თარგმანი უფრო სწორად მიგვაჩნია, რადგან რუსულ ენაში არსებობს სპეციალური სიტყვა «отработки» («შრომით ანაზღაურება»), რომელიც ნიშნავს სწორედ დამოკიდებული მიწათმოქმედის მუშაობას მიწათმფლობელის სასარგებლოდ [58].

საშუალებებს იძენს, რათა თავის მხრით პირდაპირ გასწიოს სხვისი შრომის ექსპლოატაცია» (S. 329. რუს. თარგ. 657)[59]. ამრიგად, ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს, დამოკიდებული გლეხების დამოუკიდებლობის პირველივე გაფართოებისას, უკვე ჩნდება მათი დაშლის ჩანასახები. მაგრამ ამ ჩანასახთა განვითარება შესაძლებელია მხოლოდ რენტის შემდეგი ფორმისას, ფ უ ლ ა დ ი რ ე ნ ტ ი ს დროს, რომელიც ნატურალური რენტის ფორმის უბრალო შეცვლას წარმოადგენს. უშუალო მწარმოებელი მიწათმფლობელს აძლევს არა პროდუქტებს, არამედ ამ პროდუქტების ფასს *. ამ სახის რენტის ბაზისი იგივე რჩება: უშუალო მწარმოებელი წინანდებურად ტრადიციული მფლობელია მიწისა, მაგრამ «ეს ბაზისი აქ თავისი საკუთარი დაშლისაკენ მიექანება» (330). ფულადი რენტა «უკვე გულისხმობს ვაჭრობის, ქალაქის მრეწველობის, საზოგადოდ სასაქონლო წარმოების და მასთან ერთად ფულის ბრუნვის უფრო მნიშვნელოვნად განვითარებას» (331)[60]. დამოკიდებული გლეხის ტრადიციული, ადათზე დამყარებული ურთიერთობა მიწათმფლობელთან აქ იქცევა წმინდა ფულად ურთიერთობად, რომელიც დამყარებულია ხელშეკრულებაზე. ეს იწვევს, ერთი მხრით, ძველი გლეხობის ექსპროპრიაციას, მეორე მხრით — გლეხის მიერ თავისი მიწის და თავისი თავისუფლების გამოყიდვას. «შემდეგ, ნატურალური რენტის ფულად რენტად გადაქცევას არათუ

* საჭიროა სასტიკად განვასხვაოთ ფულადი რენტა კაპიტალისტური საადგილმამულო რენტისაგან: უკანასკნელი ჰგულისხმობს მიწათმოქმედებაში კაპიტალისტებს და დაქირავებულ მუშებს; პირველი — დამოკიდებულ გლეხებს. კაპიტალისტური რენტა არის ზედირებულების ნაწილი, რომელიც რჩება მეწარმოებითი მოგების გამოკლების შემდეგ, ფულადი რენტა კი არის მთელი ზედმეტი პროდუქტის ფასი, რომელსაც გლეხი იხდის მიწათმფლობელის სასარგებლოდ. ფულადი რენტის მაგალითს რუსეთში წარმოადგენს გლეხური ღალა მემამულის სასარგებლოდ. უეჭველია, რომ ჩვენი გლეხების ახლანდელ გამოსაღებშიც არის ფულადი რენტის ერთგვარი წილი. ხანდახან მიწის გლეხური იჯარაც უახლოვდება ფულად რენტას, როცა მიწის მაღალი ქირა გლეხს მხოლოდ მცირე ხელფასს უტოვებს.

აუცილებლად თან სდევს, არამედ წინ უსწრებს კიდეც უქონელი დღიური მუშების კლასის გაჩენა, რომლებიც ქირავდებიან ფულად. მათი წარმოშობის პერიოდის განმავლობაში, როცა ეს ახალი კლასი მხოლოდ სპორადულად ჩნდება, უფრო ფეხმომაგრებულ, ღალით ვალდებულ (rentepflichtigen) გლეხებს აუცილებლობის გამო უვითარდებათ ჩვეულება თავის მაგივრად სოფლის დაქირავებული მუშების ექსპლოატაციისა... ამრიგად, მათთვის თანდათანობით შესაძლებელი ხდება დააგროვონ ერთგვარი ქონება და თვითონ გადაიქცნენ მომავალ კაპიტალისტებად. ამრიგად, მიწის წინანდელ მფლობელთა შორისაც, რომელნიც თვითონ ამუშავებდნენ მიწას, ჩნდება კაპიტალისტ-მოიჯარადრეთა წარმომშობი ნიადაგი, რომელთა განვითარება დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ფარგლებს გარეთ კაპიტალისტური წარმოების საერთო განვითარებაზე» («Das Kapital», III, 2, 332. რუს. თარგ. 659—660)[61].

4) გლეხობის დაშლა საშუალო «გლეხობის» ანგარიშზე ავითარებს მის უკიდურეს ჯგუფებს და ჰქმნის სოფლის მოსახლეობის ორ ახალ ტიპს. ორივე ტიპის საერთო ნიშანია მეურნეობის სასაქონლო, ფულადი ხასიათი. პირველი ახალი ტიპია სოფლის ბურჟუაზია ანუ შეძლებული გლეხობა. ამას ეკუთვნიან დამოუკიდებელი მეურნენი, რომელნიც ეწევიან სავაჭრო მიწათმოქმედებას მისი ყოველნაირი ფორმით (IV თავში ჩვენ ავწერთ უმთავრეს ფორმებს); შემდეგ — სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მფლობელნი, სავაჭრო საწარმოთა მეპატრონენი და სხვ. სავაჭრო მიწათმოქმედების შეერთება სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებთან წარმოადგენს «მიწათმოქმედების და სარეწთა შეერთების» სახეს, რომელიც სპეციფიკურად ახასიათებს ამ გლეხობას. ამ შეძლებული გლეხობიდან წარმოიშობა ფერმერთა კლასი, რადგან პურის გაყიდვის მიზნით მიწის იჯარით აღება ასრულებს (სამიწათმოქმედო ზოლში) უდიდეს როლს მათ მეურნეობაში, ხშირად უფრო დიდს, ვიდრე ნადელი. უმეტეს შემთხვევაში აქ ოჯახის მუშა-ძალა ვერ აუდის მეურნეობას, და ამიტომ

სოფლის მოჯამაგირეების, მით უფრო დღიური მუშების კონტინგენტის გაჩენა შეძლებული გლეხობის არსებობის აუცილებელი პირობაა*. თავისუფალი ფული, რასაც წმინდა შემოსავლის სახით იღებს ეს გლეხობა, ხმარდება ან სავაჭრო და სავახშო ოპერაციებს, რაც ასე უსაზღვროდაა განვითარებული ჩვენს სოფელში, ან — ხელსაყრელ პირობებში — იხარჯება მიწის საყიდად, მეურნეობის გასაუმჯობესებლად და სხვ. ერთი სიტყვით, ესენი წვრილი აგრარიები არიან. რიცხვობრივად გლეხური ბურჟუაზია შეადგენს მთელი გლეხობის პატარა უმცირესობას, — ალბათ, არა უმეტეს კომლთა ერთი მეხუთედისა (რაც დაახლოებით უდრის მოსახლეობის სამ მეათედს), ამასთან ეს თანაფარდობა სხვადასხვა ადგილას, რა თქმა უნდა, ძალიან იცვლება. მაგრამ თავისი მნიშვნელობით მთელ გლეხურ მეურნეობაში, — გლეხობის კუთვნილ წარმოების საშუალებათა საერთო ჯამში, გლეხობის მიერ ნაწარმოებ მიწათმოქმედების პროდუქტთა საერთო რაოდენობაში, — გლეხურ ბურჟუაზიას უეჭველად უპირატესი ადგილი უჭირავს. ის თანამედროვე სოფლის ბატონია.

5) მეორე ახალი ტიპია სოფლის პროლეტარიატი, დ ა ქ ი რ ა ვ ებ უ ლ ი მ უ შ ებ ის კ ლ ა ს ი ნ ა დ ე ლ ი თ. ამაში შედის შეუძლო გლეხობა, მათ შორის სრულიად უმიწაწყლოც, მაგრამ რუსეთის სოფლის პროლეტარიატის უაღრესად ტიპიური წარმომადგენელი არის მოჯამაგირე, დღიური მუშა, შავი მუშა, მშენებელი ან სხვა რომელიმე მუშა ნადელით. სულ მცირე მეურნეობა ნაჭერ მიწაზე და ისიც ისეთი მეურნეობა, რომელიც სავსებით დაქვეითებულია (რასაც განსაკუთრებული სიამკარავით მოწმობს მიწის იჯარით

* აღვნიშნავთ, რომ დაქირავებული შრომის გამოყენება არ წარმოადგენს წვრილი ბურჟუაზიის ცნების აუცილებელ ნიშანს. ეს ცნება შეიცავს ყოველნაირ დამოუკიდებელ წარმოებას ბაზრისათვის, როცა მეურნეობის საზოგადოებრივ წყობილებაში არსებობს ჩვენ მიერ ზემოთ პ. მე-2) აწერილი წინააღმდეგობანი, — კერძოდ, როცა მწარმოებელთა მასა იქცევა დაქ ირავებულ მუშებად.

გაცემა), სამუშაო ძალის გაუყიდავად (=შეუძლო გლეხობის «სარეწები») არსებობის შეუძლებლობა, უკიდურესად დაბალი საარსებო დონე, რომელიც, ალბათ, უნადელო მუშის საარსებო დონეზეც დაბალია, — აი ამ ტიპის დამახასიათებელი თვისებები*. გლეხთა კომლების მთელი რაოდენობის არანაკლებ ნახევარი (რაც შეადგენს დაახლოებით მოსახლეობის $^4/_{10}$), ე. ი. ყველა უცხენო გლეხი და ერთცხენიანი გლეხების უმრავლესობა უნდა მიეკუთვნოს სოფლის პროლეტარიატს (რასაკვირველია, ეს მხოლოდ მასობრივი დაახლოებითი გაანგარიშებაა, რომელიც სხვადასხვა რაიონში, ადგილობრივი პირობების მიხედვით, მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის). საბუთები, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ გლეხობის ასეთი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ახლა ეკუთვნის სოფლის პროლეტარიატს, მოყვანილი იყო ზემოთ**.

---

* იმის დასამტკიცებლად, რომ შეუძლო გლეხობის დაქირავებული ნადელიანი მუშების კლასზე მიწერა სწორია, საჭიროა არათუ იმის ჩვენება, როგორ და რომელი გლეხობა ჰყიდის თავის სამუშაო ძალას, არამედ იმისიც, როგორ და რომელი მეწარმე ყიდულობს მას. ეს ნაჩვენები იქნება შემდეგ თავებში.

** პროფ. კონრადი გერმანიის ნამდვილი გლეხისათვის ნორმად სთვლის ერთ უღელ მუშა პირუტყვს (Gespannbauerngüter), იხ. «მიწათმფლობელობა და სოფლის მეურნეობა» (მ. 1896), გვ. 84 — 85. რუსეთისათვის უფრო მართებული იქნებოდა, ეს ნორმა მომატებული აგვეღო, როცა კონრადი განსაზღვრავს ცნებას «გლეხი», ის იღებს სწორედ იმ პირთა ან კომლთა პროცენტს, რომელნიც «დაქირავებულ მუშაობას» ან საერთოდ «დამხმარე სარეწებს» ეწევიან (ibid.). — პროფ. სტებუტი, რომლის ავტორიტეტი ფაქტიურ საკითხებში არ შეიძლება უარყოფილ იქნას, 1882 წელს წერდა: «ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხი თავისი წვრილი სამეურნეო ერთეულით, მარტოოდენ პურეულის მოწევისას, მაშასადამე, უმთავრესად რუსეთის შუა შავმიწიან ზოლში, უმეტეს შემთხვევაში უკვე გადაიქცა ხელოსნად, მოჯამაგირედ ან დღიურ მუშად, რომელიც სოფლის მეურნეობას მხოლოდ სხვათა შორის მისდევს» («სტატიები რუსეთის სოფლის მეურნეობაზე, მის ნაკლოვანებებსა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებზე». მ. 1883. გვ. 11). ცხადია, რომ აქ ხელოსნებს მიეკუთვნებიან მრეწველობაში დაქირავებული მუშებიც (მშენებლები და სხვ.). თუმცა ეს სიტყვახმარება სწორი არ არის, ის მაინც ძალიან გავრცელებულია ჩვენს ლიტერატურაში, სპეციალურ ეკონომიურ ლიტერატურაშიც კი.

უნდა დავძინოთ, რომ ჩვენს ლიტერატურაში ხშირად ძალიან შაბლონურად ესმით თეორიის ის დებულება, რომ კაპიტალიზმი თავისუფალ, უმიწაწყლო მუშას საჭიროებს. ეს საკუთარ მართალია, როგორც ძირითადი ტენდენცია, მაგრამ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმი განსაკუთრებით ნელა და ფორმების უაღრესი სხვადასხვაობით იჭრება. სოფლის მუშას მიწას ხშირად თვით სოფლის მეურნეთა ინტერესების სასარგებლოდ აძლევენ ხოლმე, და ამიტომ ნადელიანი სოფლელი მუშის ტიპი ყველა კაპიტალისტური ქვეყნის თვისებას წარმოადგენს. სხვადასხვა სახელმწიფოში ის იღებს სხვადასხვა ფორმას: ინგლისელი კოტერი (cottager) იგივე არ არის, რაც საფრანგეთის ან რეინის პროვინციების პარცელიანი გლეხი, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იგივე არ არის, რაც ბოგანო ან კნეხტი პრუსიაში. ყოველი მათგანი ატარებს განსაკუთრებული აგრარული წესების, აგრარული ურთიერთობის განსაკუთრებული ისტორიის ნიშნებს, — მაგრამ ეს ხელს არ უშლის ეკონომისტს განაზოგადოს ისინი სასოფლო-სამეურნეო პროლეტარის ერთ ტიპად. თუ რა იურიდიული საფუძველი აქვს მის უფლებას ნაჭერი მიწის მიმართ, ეს სრულებით უმნიშვნელოა ასეთი კვალიფიკაციისთვის. ეკუთვნის მას მიწა სრული საკუთრების უფლებით (როგორც პარცელიან გლეხს) ან მხოლოდ სარგებლობის წესით აძლევს მას ლენდლორდი ან Rittergutsbesitzer-ი *, ან, ბოლოს, ის ფლობს მიწას, როგორც ველიკორუსული გლეხური თემის წევრი, — საქმე ამით სრულებითაც არ იცვლება **. როცა ჩვენ უქონებელ გლეხობას სოფლის პროლეტარიატს მივაკუთვნებთ, ამით არაფერს ახალს არ ვამბობთ. ბევრ მწერალს უკვე არა ერთ-

* — აზნაური მემამულე. რ ე დ.

** მოვიყვანოთ მიწათმოქმედებაში დაქირავებული შრომის სხვადასხვა ევროპული ფორმის მაგალითები «Handwört. der staatswiss.»-იდან («მიწათმფლობელობა და სოფლის მეურნეობა». მ. 1896). «გლეხის მამული, — ამბობს ი. კონრადი, — უნდა განვასხვაოთ პ ა რ ცე ლ ი ს ა გ ა ნ, «ბოგანოს» ან «მებოსტნის» ნაკვეთისაგან, რომლის პატრონი იძულებულია კიდევ განზე ეძიოს სამუშაო და საშოვარი» (გვ. 83 — 84). «საფრანგეთში, 1881 წ. აღ-

ხელ უხმარია ეს სახელწოდება, და მხოლოდ ეკონომისტი-ნაროდნიკები მსჯელობენ დაჟინებით გლეხობაზე საერთოდ, როგორც რაღაც ანტიკაპიტალისტურზე, და თვალს არიდებენ იმას, რომ «გლეხობის» მასამ უკვე დაიკავა კაპიტალისტური წარმოების საერთო სისტემაში სავსებით გარკვეული ადგილი, სახელდობრ, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დაქირავებული მუშის ადგილი. ჩვენში, მაგალითად, ძალიან უყვართ განდიდება ჩვენი აგრარული წყობილებისა, რომელიც ინარჩუნებს თემსა და გლეხობას და სხვ. და ამ წყობილების დაპირისპირება ოსტზეურ წყობილებასთან მისი მიწათმოქმედების კაპიტალისტური ორგანიზაციით. ამიტომ უინტერესო არაა იმის გათვალისწინება, თუ სოფლის მოსახლეობის რა ტიპები მიეკუთვნება ზოგჯერ მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების კლასს ოსტზეის მხარეში [63]. გლეხები ოსტზეის გუბერნიებში იყოფიან მრავალმიწიანებად (25 — 50 დეს. ცალკე ნაკვეთი), ბოგანოებად (3 — 10 დეს., ბოგანოების ნაკვეთები) და უმიწოებად. ბოგანო, როგორც სამართლიანად შენიშნავს ბ-ნი ს. კოროლენკო, «ყველაზე უფრო უახლოვდება ცენტრალური გუბერნიების რუსი გლეხის საერთო ტიპს» («ნებით დაქირავებული შრომა», გვ. 495); ის მუდამ იძულებულია მთელი თავისი

წერით, 18 მილიონი კაცი, ე. ი. მოსახლეობის ნახევარზე ცოტათი ნაკლები, სოფლის მეურნეობით ცხოვრობდა: 9 მილიონამდე იყო მიწათმფლობელი, 5 მილიონი მოიჯარადრე — მონახევრე, 4 მილიონი დღიური მუშა და მიწის წვრილი მესაკუთრე ან მოიჯარადრე, რომელნიც ცხოვრობდნენ უმეტეს ნაწილად დაქირავებული შრომით... ფიქრობენ, რომ საფრანგეთში სოფლის მუშების სულ ცოტა 75 % აქვს საკუთარი მიწა» (გვ. 233. გოლცი). გერმანიაში სოფლის მუშებს ეკუთვნის შემდეგი კატეგორიები, რომლებიც ფლობენ მიწას: 1) «კუტნიკები», ბოგანოები, მებოსტნეები (რაღაც ჩვენებური ნაბოძები გლეხების მსგავსნი); 2) დაკონტრაქტებული დღიური მუშები; ისინი ფლობენ მიწას და ქირავდებიან წლის გარკვეული ხნის განმავლობაში (შეადარეთ «სამდღიურები» ჩვენში) [62]. «დაკონტრაქტებული დღიური მუშები შეადგენენ სოფლის მეურნეობის მუშების უმთავრეს მასას გერმანიის იმ ადგილებში, სადაც მსხვილი მიწათმფლობელობა სჭარბობს» (გვ. 236); 3) სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებიც ეწევიან მეურნეობას იჯარით აღებულ მიწაზე (გვ. 237).

დრო გაანაწილოს ხან სხვადასხვა საშოვრის საძებნად და ხან საკუთარ მეურნეობაში სამუშაოდ. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მოჯამაგირეების ეკონომიური მდგომარეობა. საქმე ის არის, რომ თვით მემამულეებს ხელსაყრელად მიაჩნიათ მათთვის მიწის დარიგება ქირის ანგარიშში. აი ოსტზეელ მოჯამაგირეთა მიწათმფლობელობის მაგალითები: 1) 2 დეს. მიწა (ჩვენ დესეტინაზე გადაგვაქვს ლოფშტელი: Lofstelle=$^1/_3$ დეს.); ქმარი მუშაობს 275 დღეს, ცოლი — 50 დღეს წელიწადში, ქირა — 25 კაპ. დღეში; 2) $2^2/_3$ დეს. მიწა; «მოჯამაგირეს ჰყავს 1 ცხენი, 3 ძროხა, 3 ცხვარი და 2 ღორი» (გვ. 508, 518), მოჯამაგირე მუშაობს კვირაგამოშვებით, ცოლი კი — 50 დღეს; 3) 6 დეს. მიწა (ბაუსის მაზრა, კურლანდიის გუბ.), «მოჯამაგირეს ჰყავს 1 ცხენი, 3 ძროხა, 3 ცხვარი და რამდენიმე ღორი» (გვ. 518), ის მუშაობს კვირაში 3 დღეს, ცოლი — 35 დღეს წელიწადში; 4) კურლანდიის გუბ. გაზენპოტის მაზრაში — 8 დეს. მიწა, «მოჯამაგირეებს ყველა შემთხვევაში მუქთად ეძლევათ საფქვავი, საექიმო დახმარება და წამალი, მათი შვილები კი სკოლაში სწავლობენ» (გვ. 519) და სხვ. ჩვენ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ამ მოჯამაგირეების მიწათმფლობელობისა და მეურნეობის ოდენობაზე, — ე. ი. სწორედ იმ პირობებზე, რომლებიც, ნაროდნიკების აზრით, გამოჰყოფენ ჩვენს გლეხობას კაპიტალისტური წარმოების შესაბამი საერთო ევროპული აგრარული წყობილებიდან. შევაერთოთ ციტირებულ გამოცემაში მოყვანილი ყველა მაგალითი: 10 მოჯამაგირეს აქვს $31^1/_2$ დესეტინა მიწა, მაშასადამე, საშუალოდ 3,15 დეს. თითო მოჯამაგირეზე. მოჯამაგირეებს აქ მიეკუთვნება ის გლეხებიც, რომლებიც წლის განმავლობაში ნაკლებ დროს მუშაობენ მემამულისათვის ($^1/_2$ წელიწადს ქმარი და 35 — 50 დღეს ცოლი), მიეკუთვნება ერთცხენიანებიც, რომლებსაც ჰყავთ ორ-ორი და თითქმის სამ-სამი ძროხა. იბადება კითხვა, რაში მდგომარეობს ეს ნაქები განსხვავება ჩვენი «მეთემე გლეხისა» ამგვარი ტიპის ოსტზეელი მოჯამაგირისაგან? ოსტზეის მხარეში საგანს თავის საკუთარ სახელს

უწოდებენ, ჩვენში კი ერთცხენიან მოჯამაგირეებს უერთებენ მდიდარ გლეხებს, გამოჰყავთ «საშუალო» ციფრები, სიამოვნებით მსჯელობენ «თემურ სულზე», «შრომის საწყისზე», «სახალხო წარმოებაზე», «სარეწებთან მიწათმოქმედების შეერთებაზე»...

6) «გლეხობის» ამ რეფორმისშემდგომ ტიპებს შორის არსებულ რგოლს წარმოადგენს ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ო ბ ა. ის განირჩევა სასაქონლო მეურნეობის ყ ვ ე ლ ა ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი განვითარებით. დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო შრომა მხოლოდ საუკეთესო წელს და განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში თუ აძლევს ასეთ გლეხობას თავის შენახვის საშუალებას, და ამიტომ ის უკიდურესად მერყევ მდგომარეობაში იმყოფება. უმეტეს შემთხვევაში საშუალო გლეხს არ შეუძლია თავის გატანა, თუ მან შრომამიგებითს სესხს არ მიმართა, თუ მან არ მოძებნა «დამხმარე» სხვა საშოვარი, რომელიც აგრეთვე ნაწილობრივ სამუშაო ძალის გაყიდვაში მდგომარეობს, და სხვ. ყოველი მოუსავლობა საშუალო გლეხობის მასებს პროლეტარიატის რიგებისაკენ მიერეკება. თავისი საზოგადოებრივი ურთიერთობით ეს ჯგუფი ქანაობს ორ ჯგუფს შუა: უმაღლეს ჯგუფს შორის, რომლისკენაც ის ილტვის და რომელსაც აღწევს მხოლოდ ბედნიერთა პატარა უმცირესობა, და დაბალ ჯგუფს შორის, რომელშიც მას მოაქცევს საზოგადოებრივი ევოლუციის მთელი მსვლელობა. ჩვენ დავინახეთ, რომ გლეხური ბურჟუაზია უ კ ა ნ ა რ ი გ შ ი ს წ ე ვ ს გლეხობის არათუ დაბალ, არამედ საშუალო ჯგუფსაც. ამრიგად სწარმოებს კაპიტალისტური მეურნეობისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელი გამოდევნა საშუალო წევრებისა და უკიდურესობათა გაძლიერება — «განგლეხება».

7) გ ლ ე ხ ო ბ ი ს დ ა შ ლ ა ჰ ქ მ ნ ი ს შ ი ნ ა უ რ ბ ა ზ ა რ ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ა თ ვ ი ს. დაბალ ჯგუფში ბაზრის ეს გაჩენა ხდება მოხმარების საგნების ანგარიშზე (პირადი მოხმარების ბაზარი). სოფლის პროლეტარი, საშუალო გლეხთან შედარებით, უფრო ნ ა კ ლ ე ბ ს ხ მ ა რ ო ბ ს, ამასთან ხმარობს უარესი ღირსების პროდუქტებს (კარტოფილს პურის ნაცვლად და-

სხვ.), — მაგრამ მეტს ყიდულობს. გლეხური ბურჟუაზიის გაჩენა და განვითარება ჰქმნის ბაზარს ორნაირი გზით: უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად — წარმოების საშუალებათა ანგარიშზე (საწარმოო მოხმარების ბაზარი), რადგან შეძლებული გლეხობა ისწრაფვის გადააქციოს კაპიტალად წარმოების ის საშუალებანი, რომლებსაც ის «ჰკრებს» როგორც «დაკნინებულ» მემამულეთაგან, ისე გაჩანაგების გზაზე შემდგარ გლეხთაგან. მეორეც, ბაზარი იქმნება აქ პირადი მოხმარების ანგარიშზეც, — უფრო შეძლებული გლეხების მოთხოვნილებათა გაფართოების გამო*.

8) იმ საკითხზე, მიდის თუ არა წინ და რა სისწრაფით გლეხობის დაშლა, — ჩვენ არა გვაქვს ზუსტი სტატისტიკური ცნობები, რომლებიც შეიძლება გვერდით ამოვუყენოთ კომბინაციური ცხრილების მონაცემებს (§§ I — VI). ეს გასაკვირიც არ არის, რადგან აქამდე (როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ) არც კი ყოფილა ცდა — სისტემატურად შეესწავლათ გლეხობის დაშლის სტატიკაც კი და ეჩვენებინათ ის ფორმები, რომლებშიც ეს პროცესი ხდება**. მაგრამ ყველა ზოგადი ცნობა ჩვენი სოფლის ეკონომიკის შესახებ მოწმობს დაშლის განუწყვეტელ და სწრაფ ზრდას: ერთი

---

* გლეხობის დაშლის გამო შინაური ბაზრის შექმნის მარტო ამ ფაქტით შეიძლება აიხსნას, მაგალითად, ბამბეული პროდუქტების შინაური ბაზრის უზარმაზარი ზრდა, რომელთა წარმოება ასე სწრაფად ვითარდებოდა გლეხობის მასობრივ გაჩანაგებასთან ერთად რეფორმისშემდგომ პერიოდში. ბ-ნი ნ. — ონი, რომელიც თავის თეორიებს შინაური ბაზრის შესახებ ასურათებს სწორედ ჩვენი საფეიქრო ინდუსტრიის მაგალითით, სრულებითაც ვერ ხსნის, თუ როგორ შეიძლებოდა მოეხდარიყო ეს წინააღმდეგობრივი მოვლენა.

** ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს ი. გურვიჩის მშვენიერი ნაშრომი: «The economics of the russian village». New York, 1892. რუსული თარგმანი: «რუსული სოფლის ეკონომიური მდგომარეობა». მ. 1896. გაკვირვებას იწვევს ის, თუ როგორი ხელოვნებით აქვს დამუშავებული ბ-ნ გურვიჩს საერობო-სტატისტიკური კრებულები, რომლებიც არ იძლევიან კომბინაციურ ცხრილებს გლეხთა ჯგუფებზე მათი სამეურნეო შეძლებულობის მიხედვით.

მხრით, «გლეხები» სტოვებენ და იჯარით სცემენ მიწას, იზრდება უცხენო გლეხების რიცხვი, «გლეხები» გარბიან ქალაქებში და სხვ., — მეორე მხრით, თავისი წესითა და რიგით ვითარდება «პროგრესული მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობაში», «გლეხები» ყიდულობენ მიწას, აუმჯობესებენ მეურნეობას, იძენენ გუთნებს, ავითარებენ ბალახთესვას, სარძეო მეურნეობას და სხვ. ჩვენ ახლა ვიცით, თუ რ ო მ ე ლ ი «გლეხები» მონაწილეობენ პროცესის ამ ორ პოლარულად მოპირდაპირე მხარეზე.

შემდეგ, საგადასახლებო მოძრაობის განვითარება დიდად უწყობს ხელს გლეხობის, განსაკუთრებით კი მიწათმოქმედი გლეხობის დაშლას. ცნობილია, რომ გლეხები უმთავრესად სამიწათმოქმედო გუბერნიებიდან გადასახლდებიან ხოლმე (სამრეწველო გუბერნიებიდან ემიგრაცია სრულიად უმნიშვნელოა) და ამასთან — სწორედ მჭიდროდ დასახლებული ცენტრალური გუბერნიებიდან, სადაც ყველაზე უფრო განვითარებულია შრომამიგება (რომელიც აფერხებს გლეხობის დაშლას). ეს ერთი. მეორეც ის, რომ იმ რაიონებიდან, საიდანაც გადასახლება ხდება, მიდის უმთავრესად ს ა შ უ ა ლ ო შ ე ძ ლ ე ბ ი ს გლეხობა, ადგილობრივ კი რჩებიან უმთავრესად გლეხობის უკიდურესი ჯგუფები. ამნაირად, გადასახლება აძლიერებს გლეხობის დაშლას გასვლის ადგილებში და ავრცელებს დაშლის ელემენტებს დასახლების ადგილებში (ახალგადასახლებულთა მოჯამაგირეობა ციმბირში მათი ახალი ცხოვრების პირველ პერიოდში *). გადასახლების ეს კავშირი გლეხობის დაშლასთან საესებით დამტკიცებული აქვს ი. გ ო ო ვ ი ჩ ს თავის საუცხოო გამოკვლევაში: «გლეხთა გადასახლება ციმბირში» (მ. 1888). ჩვენ ძალიან ვურჩევთ მკითხველს ამ წიგნს, რომლის მიჩქმალვას ასე გულმოდგინედ ცდილობდა ჩვენი ნაროდნიკული პრესა **.

---

* ამნაირად, გადასახლების შეზღუდვა დიდ შემაფერხებელ გავლენას ახდენს გლეხობის დაშლაზე.

** იხ. აგრეთვე ბ-ნ პრიიმაკის ნაშრომი: «ციფრობრივი მასალა ციმბირში გადასახლების შესასწავლად». (შ ე ნ ი შ. მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

9) როგორც ცნობილია, ჩვენს სოფელში უდიდეს როლს ასრულებს სავაჭრო და სავახშო კაპიტალი. ჩვენ ზედმეტად ვთვლით მოვიყვანოთ ამ მოვლენის დამადასტურებელი მრავალრიცხოვანი ფაქტები და წყაროები: ეს ფაქტები საყოველთაოდ ცნობილია და მათ პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ ჩვენს თემასთან. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ საკითხი: რა დამოკიდებულება აქვს ჩვენს სოფელში სავაჭრო და სავახშო კაპიტალს გლეხობის დაშლასთან? არის თუ არა კავშირი გლეხთა ჯგუფების ზემოგანხილულ თანაფარდობასა და გლეხ მოვალეებთან გლეხი კრედიტორების თანაფარდობას შორის? არის თუ არა მევახშეობა დაშლის ფაქტორი და მამოძრავებელი ძალა, თუ ის აფერხებს ამ დაშლას?

ჯერ აღვნიშნავთ, თუ როგორ აყენებს ამ საკითხს თეორია. კაპიტალისტური წარმოების იმ ანალიზში, რომელიც მოგვცა «კაპიტალის» ავტორმა, როგორც ცნობილია, მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სავაჭრო და სავახშო კაპიტალს. მარქსის შეხედულებათა ძირითადი დებულებანი ამ საკითხზე მდგომარეობენ შემდეგში: 1) ერთი მხრით, სავაჭრო და სავახშო კაპიტალი, მეორე მხრით, სამრეწველო კაპიტალი [ე. ი. კაპიტალი, რომელიც დაბანდებულია წარმოებაში, სულერთია — სამიწათმოქმედო თუ ინდუსტრიულ წარმოებაში], წარმოადგენს ისეთი ეკონომიური მოვლენის ერთ ტიპს, რომელიც გამოიხატება ზოგადი ფორმულით: საქონლის ყიდვა -მის მოგებით გასაყიდად («Das Kapital», I, 2. Abschnitt *, მე-4 თავი, მეორე გერმანული გამოცემა, განსაკუთრებით გვ. 148 — 149 [64]). — 2) სავაჭრო კაპიტალი და სავახშო კაპიტალი ისტორიულად ყოველთვის უსწრებენ წინ სამრეწველო კაპიტალის წარმოშობას და ლოგიკურად წარმოადგენენ ამ წარმოშობის აუცილებელ პირობას («Das Kapital», III, 1, S. 312 — 316; რუს. თარგ., გვ. 262 — 265; III, 2, 132 — 137, 149; რუს. თარგ., გვ. 488 — 492, 502), მაგრამ თავისთავად არც სავაჭრო კაპიტალი და არც სავახშო კაპიტალი

* — «კაპიტალი», ტ. I, მე-2 განყ. რ ე დ.

ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ საკმარის პირობას სამრეწველო კაპიტალის (ე. ი. კაპიტალისტური წარმოების) გასაჩენად. ისინი ყოველთვის როდი შლიან წარმოების ძველ წესს და როდი აყენებენ მის ადგილზე კაპიტალისტური წარმოების წესს; ამ უკანასკნელის გაჩენა «სავსებით დამოკიდებულია განვითარების ისტორიულ საფეხურზე და არსებულ გარემოებებზე» (ibid., 2, 133; რუს. თარგმ., 489)[65]. «თუ რა შორს მიდის წარმოების ძველი წესის ეს დაშლა» (ვაჭრობით და სავაჭრო კაპიტალით), «ეს უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მის სიმტკიცეზე და მის შინაგან წყობილებაზე. და რას იწვევს დაშლის ეს პროცესი, ე. ი. წარმოების რა ახალი წესი მყარდება ძველის ადგილზე, — ეს დამოკიდებულია არა ვაჭრობაზე, არამედ თვით წარმოების წესის ხასიათზე» (ibid., III, 1, 316; რუს. თარგ., 265)[66]. — 3) სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება პირუკუ მიმართებაშია კაპიტალისტური წარმოების განვითარების დონესთან (ibid., S. 312, რუს. თარგ., 262)[67]; რაც უფრო ძლიერად არის განვითარებული სავაჭრო და სავახშო კაპიტალი, მით უფრო სუსტად არის განვითარებული სამრეწველო კაპიტალი (= კაპიტალისტური წარმოება), და პირიქით.

მაშასადამე, რუსეთთან შეფარდებით გადასაწყვეტია საკითხი: დაკავშირებულია თუ არა ჩვენში სავაჭრო და სავახშო კაპიტალი სამრეწველოსთან? იწვევს თუ არა ვაჭრობა და მევახშეობა, რომელნიც შლიან წარმოების ძველ წესს, მის შეცვლას წარმოების კაპიტალისტური ან სხვა რაიმე წესით? *.

* ბ-ნი ვ. ვ. შეეხო ამ საკითხს თავის «კაპიტალიზმის ბედის» პირველსავე გვერდზე, მაგრამ არც აქ და არც სხვა რომელიმე თავის თხზულებაში არ ცდილა განეხილა ცნობები რუსეთში სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის თანაფარდობის შესახებ. თუმცა ბ-ნი ნ. — ონი იჩემებდა, მარქსის თეორიას ერთგულად მივდევო, მაგრამ მან უმჯობესად მიიჩნია შეეცვალა ზუსტი და ცხადი კატეგორია: «სავაჭრო კაპიტალი» თავის გამოგონილი ბუნდოვანი და გაურკვეველი ტერმინით: «კაპიტალიზაცია» ან «შემოსავლის კაპიტალიზაცია», და ამ ბუნდოვანი ტერმინის საშუალებით მშვიდობიანად გვერდი აუარა ამ საკითხს, პირდაპირ გვერდი აუარა. რუსეთში კაპიტალისტური წარმოების წინამორბედად ის სთვლის არა სავაჭრო კაპიტალს, არამედ... «სახალხო წარმოებას»! [68].

ესაა ფაქტის საკითხები, საკითხები, რომლებიც უნდა გადაიჭრას რუსეთის სახალხო მეურნეობის ყველა მხარის მიმართ. გლეხური მიწათმოქმედების მიმართ ზემოთ განხილული მონაცემები შეიცავენ პასუხს ამ საკითხზე, სახელდობრ — დადებით პასუხს. ჩვეულებრივი ნაროდნიკული შეხედულება, რომ «კულაკი» და «მეურნე გლეხი» წარმოადგენენ არა ერთი და იმავე ეკონომიური მოვლენის ორ ფორმას, არამედ ერთიმეორისაგან სრულებით დამოუკიდებელ და ერთმანეთის საპირდაპირო მოვლენათა ტიპებს, — ეს შეხედულება სრულებით უსაფუძვლოა. ეს ნაროდნიკობის ერთი ცრუშეხედულებათაგანია, რომელთა დამტკიცება ზუსტი ეკონომიური მონაცემების ანალიზით არავის და არასოდეს არც კი უცდია. მონაცემები წინააღმდეგს მეტყველებენ. ქირაობს გლეხი მუშებს წარმოების გასაფართოებლად, ვაჭრობს გლეხი მიწას (გაიხსენეთ ზემოთ მოყვანილი ცნობები მდიდრების იჯარის სიდიდის შესახებ) თუ საბაყლო საქონელს, ვაჭრობს კანაფს, თივას, პირუტყვს და სხვ. ან ფულს (მევახშე), — ის წარმოადგენს ერთ ეკონომიურ ტიპს, მისი ოპერაციების საფუძველს წარმოადგენს ერთი და იგივე ეკონომიური ურთიერთობა. შემდეგ, — რუსულ თემურ სოფელში კაპიტალის როლი რომ არ ამოიწურება კაბალით და მევახშეობით, კაპიტალი რომ მიემართება აგრეთვე წარმოებაშიც, ეს ჩანს იქიდან, რომ შეძლებული გლეხობა არათუ სავაჭრო დაწესებულებებს და საწარმოებს ახმარს ფულს (იხ. ზემოთ), არამედ მეურნეობის გაუმჯობესებასაც, მიწის ყიდვას და იჯარას, ინვენტარის გაუმჯობესებას, მუშების დაქირავებას და სხვა. კაპიტალი ჩვენს სოფელში რომ უძლური იყოს კაბალისა და მევახშეობის მეტი სხვა რამეც შექმნას, მაშინ ჩვენ არ შეგვეძლო, წარმოების შესახებ არსებული ცნობების მიხედვით, დაგვედასტურებინა გლეხობის დაშლა, სოფლის ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის წარმოშობა, — მაშინ მთელი გლეხობა იქნებოდა საკმაოდ თანაბარი ტიპი გაჭირვებით დაბეჩავებული მეურნეებისა, რომელთა შორის უნდა გამორჩეულიყვნენ მხოლოდ მევახშეები, გამორჩეულიყვნენ მარტოოდენ თავიანთი ფულადი

ქონების ოდენობით, და არა სამიწათმოქმედო წარმოების სიდიდითა და მოწყობით. ბოლოს, ზემოთ განხილული ცნობებიდან ის მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს, რომ სავაჭრო და სავახშო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება ჩვენს სოფელში აფერხებს გლეხობის დაშლას. რაც უფრო განვითარდება ვაჭრობა, რაც უფრო დააახლოებს იგი სოფელს ქალაქთან, მოსპობს სოფლის პრიმიტიულ ბაზრებს და ძირს გამოუთხრის სოფლის მედუქნის მონოპოლიურ მდგომარეობას, რაც უფრო განვითარდება კრედიტის ევროპულად სწორი ფორმები და გამოიდევნება სოფლის მევახშე, — მით უფრო შორს და უფრო ღრმად უნდა წავიდეს გლეხობის დაშლა. შეძლებული გლეხების კაპიტალი, რომელიც გამოიდევნება წვრილი ვაჭრობიდან და მევახშეობიდან, უფრო ფართო მასშტაბით მოხმარდება წარმოებას, სადაც ის ახლაც იწყებს შეჭრას.

10) ჩვენი სოფლის ეკონომიკაში მეორე მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც აფერხებს გლეხობის დაშლას, წარმოადგენს საბატონო მეურნეობის ნაშთები, ე. ი. შრომამიგება. შრომამიგება დამყარებულია შრომის ნატურალურ ანაზღაურებაზე, მაშასადამე, სასაქონლო მეურნეობის სუსტ განვითარებაზე. შრომამიგება გულისხმობს და მოითხოვს სწორედ საშუალო გლეხს, რომელიც არ იქნება სავსებით შეძლებული (მაშინ ის არ დაიდგამდა შრომამიგების უღელს), მაგრამ არც პროლეტარი იქნება (შრომამიგებისათვის საჭიროა საკუთარი ინვენტარი, საჭიროა იყო ცოტათი მაინც «წესიერი» მეურნე).

როცა ზემოთ ვამბობდით, გლეხური ბურჟუაზია თანამედროვე სოფლის ბატონიაო, ჩვენ განვაყენებდით დაშლის შემაფერხებელ ამ ფაქტორებს: კაბალას, მევახშეობას, შრომამიგებას და სხვ. ნამდვილად კი თანამედროვე სოფლის სრული ბატონები ხშირად არიან არა გლეხური ბურჟუაზიის წარმომადგენლები, არამედ სოფლის მევახშეები და მეზობელი მიწათმფლობელნი. მაგრამ ამგვარი განყენება სრულიად კანონიერ ხერხად უნდა ჩაითვალოს, რადგან სხვანაირად შეუძ-

ლებელია გლეხობაში არსებული ეკონომიური ურთიერთობის შინაგანი წყობის შესწავლა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასეთ ხერხს ნაროდნიკიც ხმარობს, ოღონდ შუა გზაზე ჩერდება და არ აბოლოებს თავის მსჯელობას. როცა ბ-ნი ვ. ვ. თავის «კაპიტალიზმის ბედში» ლაპარაკობს გამოსაღებთა სიმძიმეზე და სხვ., ის შენიშნავს, რომ თემისათვის, «სოფლისათვის», ამ მიზეზების გამო, «ბუნებრივი (sic!) ცხოვრების პირობები უკვე აღარ არსებობს» (287). ძალიან კარგი. მაგრამ მთელი საკითხი ხომ სწორედ ის არის, თუ როგორია ეს «ბუნებრივი პირობები», რომლებიც ჩვენი სოფლისათვის ჯერ არ არსებობს. ამ საკითხზე პასუხის გასაცემად საჭიროა შეისწავლო თემის შიგნით არსებული ეკონომიურ ურთიერთობათა წყობა, ასე ვთქვათ, წამოსწიო ძველი, რეფორმისწინადროინდელი ნაშთები, რომლებიც ჩრდილავენ ჩვენი სოფლის ცხოვრების ამ «ბუნებრივ პირობებს». ბ-ნი ვ. ვ. ასე რომ მოქცეულიყო, დაინახავდა, რომ სოფლის ურთიერთობის ეს წყობა ცხადჰყოფს გლეხობის სრულ დაშლას, რომ, რაც უფრო სავსებით განიდევნება კაბალა, მევახშეობა, შრომამიგება და სხვ., მით უფრო ღრმად იწარმოებს გლეხობის დაშლა *. ზემოთ ჩვენ საერობო-სტატისტიკური მონაცემების საშუალებით ცხადვყავით, რომ ეს დაშლა ახლა უკვე მომხდარი ფაქტია, რომ გლეხობა სავსებით გაითიშა მოწინააღმდეგე ჯგუფებად.

---

* სხვათა შორის, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ბ-ნ ვ. ვ.-ს «კაპიტალიზმის ბედზე», სახელდობრ VI თავზე, საიდანაც მოყვანილია ციტატი, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ იქ არის ძალიან კარგი და სრულიად სამართლიანი ადგილები. სახელდობრ — ის გვერდები, სადაც ავტორი ლაპარაკობს ა რ ა «კაპიტალიზმის ბედზე» და სრულიადაც ა რ ა კაპიტალიზმზე, არამედ გამოსაღებთა გადახდევინების საშუალებებზე. დამახასიათებელია, რომ ბ-ნი ვ. ვ. ამასთან ვერ ამჩნევს განუწყვეტელ კავშირს ამ საშუალებებსა და იმ საბატონო მეურნეობის ნაშთებს შორის, რ ო მ ლ ი ს გ ა ი დ ი ა ლ ე ბ ა მ ა ს (როგორც ქვემოთ დავინახავთ) შ ე უ ძ ლ ი ა!

თ ა ვ ი III[69]

მიწათმფლობელთა გადასვლა საბატონო მეურნეობიდან კაპიტალისტურ მეურნეობაზე

გლეხური მეურნეობიდან ჩვენ ახლა უნდა გადავიდეთ მემამულური მეურნეობაზე. ჩვენს ამოცანას შეადგენს ზოგადად განვიხილოთ მოცემული საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება მემამულური მეურნეობისა და დავასურათოთ ამ წყობილების ევოლუციის ხასიათი რეფორმის შემდეგდროინდელ ეპოქაში.

I. საბატონო მეურნეობის ძირითადი ნიშნები

მემამულური მეურნეობის თანამედროვე სისტემის განხილვის დროს ამოსავალ წერტილად აღებულ უნდა იქნას ამ მეურნეობის ის წყობილება, რომელიც გამეფებული იყო ბატონყმობის ეპოქაში. მაშინდელი სამეურნეო სისტემის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მიწის მეურნეობის მოცემული ერთეულის, ე. ი. მოცემული მამულის მთელი მიწა იყოფოდა საბატონო და საგლეხო მიწად; უკანასკნელი ნადელად ეძლეოდათ გლეხებს, რომლებიც (გარდა ამისა, იღებდნენ წარმოების სხვა საშუალებებსაც — მაგალითად, ხე-ტყეს, ზოგჯერ პირუტყვს და სხვ.) თავისი შრომით და ინვენტარით ამუშავებდნენ მას და იღებდნენ მისგან სარჩოს. გლეხთა ამ შრომის პროდუქტი წარმოადგენდა აუცილებელ პროდუქტს, თეორიული პოლიტიკური ეკონომიის ტერმინოლოგიით; აუცილებელს — გლეხებისათვის, რადგან ის აძლევდა მათ საარ-

Вытѣсненіе барщиннаго хозяйства капиталистическимъ въ современномъ русскомъ земледѣліи *).

I.

За исходный пунктъ при разсмотрѣніи современной системы помѣщичьяго хозяйства необходимо взять тотъ строй этого хозяйства, который господствовалъ въ эпоху крѣпостного права. Сущность тогдашней хозяйственной системы состояла въ томъ, что вся земля данной единицы земельнаго хозяйства, т. е. данной вотчины, раздѣлялась на барскую и крестьянскую; послѣдняя отдавалась въ надѣлъ крестьянамъ, которые (получая сверхъ того и другія средства производства—напримѣръ, лѣсъ, иногда скотъ и т. п.) своимъ трудомъ и своимъ инвентаремъ обрабатывали ее, получая съ нея свое содержаніе. Продуктъ этого труда крестьянъ представлялъ изъ себя необходимый продуктъ, по терминологіи теоретической политической экономіи; необходимый — для крестьянъ, какъ дающій имъ средства къ жизни,—для помѣщика, какъ дающій ему рабочія руки; совершенно точно такъ же, какъ продуктъ, возмѣщающій перемѣнную часть стоимости капитала, является необходимымъ продуктомъ въ капиталистическомъ обществѣ. Прибавочный же трудъ крестьянъ состоялъ въ обработкѣ ими *тѣмъ же* инвентаремъ помѣщичьей земли; продуктъ этого труда шелъ въ пользу помѣщика. Прибавочный трудъ отдѣлялся здѣсь, слѣдовательно, пространственно отъ необходимаго: на помѣщика обрабатывали барскую землю, на себя — свои надѣлы; на помѣщика работали одни дни недѣли, на себя—другіе. «Надѣлъ» крестьянина служилъ такимъ образомъ въ этомъ хозяйствѣ, какъ бы натуральной заработной платой (выражаясь примѣнительно къ современнымъ понятіямъ), или средствомъ обезпеченія помѣщика рабочими руками. «Собственное хозяйство крестьянъ на своемъ надѣлѣ было условіемъ помѣщичьяго хозяйства, имѣло цѣлью «обезпеченіе» не крестьянина — средствами къ жизни, а помѣщика—рабочими руками **).

*) Настоящая статья представляетъ отрывокъ изъ большого изслѣдованія автора о развитіи капитализма въ Россіи. *Ред.*

**) Чрезвычайно рельефно характеризуетъ этотъ строй хозяйства А. Энгельгардтъ въ своихъ «Письмахъ изъ деревни» (Спб. 1882, стр. 554). Онъ совершенно справедливо указываетъ, что крѣпостное хозяйство было извѣстной правильной и законченной системой, распорядителемъ которой былъ помѣщикъ, надѣлявшій крестьянъ землей и назначавшій ихъ на тѣ или на другія работы.

ჟურნალ «ნაჩალოს» 1899 წ. მე-3 ნომრის 93-ე გვერდი. ამ ჟურნალში მოთავსებული იყო ვ. ი. ლენინის წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» — III თავის პირველი ექვსი პარაგრაფი.

სებო საშუალებებს; აუცილებელს — მემამულისათვის, რადგან ის აძლევდა მას მუშახელს; სწორედ ისევე, როგორც პროდუქტი, რომელიც ანაზღაურებს კაპიტალის ღირებულების ცვალებად ნაწილს, წარმოადგენს აუცილებელ პროდუქტს კაპიტალისტურ საზოგადოებაში. გლეხების ზედმეტი შრომა კი მდგომარეობდა მათ მიერ ი მ ა ვ ე ინვენტარით მემამულის მიწის დამუშავებაში; ამ შრომის პროდუქტი მემამულის სასარგებლოდ მიდიოდა. მაშასადამე, ზედმეტი შრომა აქ სივრცობრივად გამოეყოფოდა აუცილებელ შრომას: მემამულისათვის ამუშავებდნენ საბატონო მიწას, თავისთვის — თავის ნადელებს; მემამულისათვის მუშაობას ანდომებდნენ კვირის განმავლობაში განსაზღვრულ დღეებს, თავისთვის — დანარჩენ დღეებს. ამნაირად, გლეხის «ნადელი» ამ მეურნეობაში თითქოს იყო ნატურალური ქირა (თანამედროვე ცნებებთან შეფარდებით რომ ვთქვათ), ანდა მუშახელით მემამულის უზრუნველყოფის საშუალება. გლეხთა «საკუთარი» მეურნეობა თავიანთ ნადელზე მემამულური მეურნეობის პირობა იყო, მას მიზნად ჰქონდა არა გლეხის «უზრუნველყოფა» საარსებო საშუალებებით, არამედ მემამულისა — მუშახელით*.

მეურნეობის სწორედ ამ სისტემას ვუწოდებთ ჩვენ საბატონო მეურნეობას. ცხადია, რომ ამ სისტემის გაბატონებული მდგომარეობა ჰგულისხმობდა შემდეგ აუცილებელ პირობებს: ჯერ ერთი, ნატურალური მეურნეობის ბატონობას. ბატონყმური მამული უნდა ყოფილიყო თვითკმარი, კარჩაკეტილი მთელი, რომელსაც ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოსთან. მემამულეთაგან პურის გასაყიდად წარმოება, რაც განსაკუთრებით განვითარდა ბატონყმობის არსებობის უკანასკნელ დროს, უკვე ძველი რეჟიმის დაშლის

* ძალიან მკაფიოდ ახასიათებს ა. ენგელგარდტი მეურნეობის ამ წყობას თავის «წერილებში სოფლიდან» (სპბ. 1885, გვ. 556 — 557). ის სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბატონყმური მეურნეობა წარმოადგენდა ერთგვარ სწორ და დასრულებულ სისტემას, რომლის განმკარგულებელი იყო მემამულე; ეს უკანასკნელი აძლევდა გლეხებს მიწას და ნიშნავდა მათ ამა თუ იმ სამუშაოზე.

მაუწყებელი იყო. მეორეც, ასეთი მეურნეობისათვის საჭიროა, რომ უშუალო მწარმოებელს მიცემული ჰქონდეს წარმოების საშუალებანი საზოგადოდ და მიწა კერძოდ; ესეც ცოტაა — საჭიროა, რომ ის მიმაგრებული იყოს მიწაზე, რადგან სხვანაირად მემამულე მუშახელით არ იქნება უზრუნველყოფილი. მაშასადამე, ზედმეტი პროდუქტის მიღების წესები საბატონო და კაპიტალისტური მეურნეობის დროს დიამეტრულად ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს: პირველი დამყარებულია მწარმოებლისათვის მიწის მიცემაზე, მეორე — მიწისაგან მწარმოებლის განთავისუფლებაზე*. მესამეც, მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან. მემამულეს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა. საჭიროა, მაშასადამე, «გარეეკონომიური იძულება», როგორც ამბობს მარქსი, როცა ახასიათებს ამ სამეურნეო რეჟიმს (რომელსაც ის, როგორც ზემოთ უკვე იყო ნაჩვენები, შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ი თ ი რ ე ნ ტ ი ს კატეგორიას მიაკუთვნებს. «Das kapital», III, 2, 324)[71]. ამ იძულების ფორმა და ხარისხი შესაძლებელია სულ სხვადასხვანაირი იყოს, დაწყებული ბატონყმური მდგომარეობით და გათავებული გლეხის წოდებრივი არასრულუფლებიანობით. ბოლოს,

---

* პასუხად ჰენრი ჯორჯისა, რომელიც ამბობდა, რომ მოსახლეობის მასის ექსპროპრიაცია სიღატაკისა და ჩაგვრის უდიდესი და უნივერსალური მიზეზიაო, ენგელსი წერდა 1887 წელს: «ისტორიულად ეს სავსებით მართალი არ არის... შუა საუკუნეებში მ ი წ ი ს ა გ ა ნ ხალხის განთავისუფლება (expropriation) კი არა, არამედ, პირიქით, ხალხის მ ი წ ა ზ ე მიმაგრება (appropriation) იყო ფეოდალური ექსპლოატაციის წყარო. გლეხი ინარჩუნებდა თავის მიწას, მაგრამ მიჯაჭვული იყო მასზე როგორც ყმა და ვალდებული იყო ეხადა ამაში ქირა მიწათმფლობელისათვის შრომით ან პროდუქტით» [«The condition of the working class in England in 1844». New York, 1887. Preface, p. III («მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში 1844 წელს». ნიუ-იორკი, 1887. წინასიტყვაობა, გვ. III. რ ე დ.)] [70].

მეოთხეც, ასაწერი სამეურნეო სისტემის პირობა და შედეგი იყო ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა, რადგან მეურნეობის გაძღოლა წვრილ გლეხთა ხელში იყო, რომელნიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებული იყვნენ.

II. მეურნეობის საბატონო სისტემის შეერთება კაპიტალისტურთან

მეურნეობის საბატონო სისტემას ძირი გამოუთხარა ბატონყმობის გაუქმებამ. შეირყა ამ სისტემის ყველა მთავარი საფუძველი: ნატურალური მეურნეობა, საბატონო მამულის კარჩაკეტილობა და თვითკმარი ხასიათი, მჭიდრო კავშირი მის ცალკეულ ელემენტებს შორის, მემამულის ძალაუფლება გლეხებზე. ხდებოდა გლეხის მეურნეობის გამოყოფა მემამულის მეურნეობისაგან; გლეხს უნდა გამოეყიდა თავისი მიწა სრულ საკუთრებად, მემამულე უნდა გადასულიყო მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემაზე, რომელიც დამყარებულია, როგორც ახლა აღვნიშნეთ, დიამეტრულად საწინააღმდეგო საფუძვლებზე. მაგრამ ამგვარი გადასვლა სრულიად სხვა სისტემაზე, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა ერთბაშად მომხდარიყო, არ შეიძლებოდა ორი სხვადასხვა მიზეზით. ჯერ ერთი, კიდევ არ იყო ის პირობები, რომლებიც აუცილებელია კაპიტალისტური წარმოებისათვის. საჭირო იყო კლასი ადამიანებისა, რომლებიც დაქირავებით მუშაობას იქნებოდნენ შეჩვეულნი, საჭირო იყო გლეხური ინვენტარის შეცვლა მემამულის ინვენტარით; საჭირო იყო მიწათმოქმედება მოწყობილიყო როგორც ყოველი სხვა სავაჭრო-სამრეწველო საწარმო და არა როგორც ბატონის საქმე. ყველა ეს პირობა მხოლოდ თანდათანობით შეიძლებოდა შექმნილიყო, და ზოგიერთი მემამულის ცდა რეფორმის პირველ ხანებში — საზღვარგარეთიდან გამოეწერათ იქაური მანქანები და იქაური მუშებიც კი, არ შეიძლებოდა სრული მარცხით არ დამთავ-

რებულიყო. მეორე მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შეიძლებოდა უეცრად გადასვლა საქმის კაპიტალისტურად მოწყობაზე, იმაში მდგომარეობდა, რომ მეურნეობის ძველი, საბატონო სისტემა მხოლოდ ძირგამოთხრილი იყო, მაგრამ საბოლოოდ არ იყო მოსპობილი. გლეხური მეურნეობა საესებით არ იყო გამოყოფილი მემამულეთა მეურნეობისაგან, რადგან უკანასკნელთა ხელში დარჩა გლეხური ნადელების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი: «ჩამონაჭერი მიწები», ტყეები, მდელოები, წყალსალევები, საძოვრები და სხვ. ამ მიწებს (ან სერვიტუტებს) მოკლებულ გლეხებს სრულებით არ შეეძლოთ დამოუკიდებელი მეურნეობის გაძღოლა, და მემამულეებს ამრიგად საშუალება ჰქონდათ განეგრძოთ მეურნეობის ძველი სისტემა შრომამიგების ფორმით. «გარეეკონომიური იძულების» შესაძლებლობაც რჩებოდა: დროებითვალდებულებითი მდგომარეობა, ურთიერთთავდებობა[72], გლეხის ფიზიკური დასჯა, მისი საზოგადოებრივ სამეშაოზე მიცემა და სხვ.

ამნაირად, კაპიტალისტური მეურნეობა უეცრად ვერ გაჩნდებოდა, საბატონო მეურნეობა უეცრად ვერ გაქრებოდა. მაშასადამე, მეურნეობის ერთადერთი შესაძლებელი სისტემა იყო გარდამავალი სისტემა, სისტემა, რომელიც აერთიანებდა როგორც საბატონო, ისე კაპიტალისტური სისტემის ნიშნებს. მართლაც, მემამულეთა მეურნეობის რეფორმისშემდგომი წყობილება სწორედ ამ ნიშნებით ხასიათდება. მიუხედავად ფორმების უსასრულო სხვადასხვაობისა, რაც გარდამავალ ეპოქას ახასიათებს, თანამედროვე მემამულური მეურნეობის ეკონომიური ორგანიზაცია ყალიბდება სულ სხვადასხვანაირად შეზავებულ ორ ძირითად სისტემად — სახელდობრ შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ი ს* და კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ სისტემად. პირველი მდგომარეობს მიწის დამუშავებაში ახლომახლო მიდამოს გლეხების ინვენტარით, ამასთან ქირის ფორმა ვერ სცვლის ამ სისტემის არსს (ფუ-

* ჩვენ ვცვლით ახლა ტერმინს «საბატონოს» ტერმინით «შრომამიგება», რადგან უკანასკნელი უფრო შეეფერება რეფორმისშემდგომ ურთიერთობას და უკვე მიღებულია ჩვენს ლიტერატურაში.

ლით იქნება ეს ქირა, როგორც ნარდად დაქირავების დროს, თუ პროდუქტით, როგორც მონახევრეობის დროს, თუ მიწით ან სავარგულებით, როგორც შრომამიგების დროს, სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით). ეს საბატონო მეურნეობის პირდაპირი ნაშთია*, და ამ უკანასკნელის გამო ზემოთ მოცემული ეკონომიური დახასიათება თითქმის მთლიანად უდგება შრომამიგების სისტემას (ერთადერთი გამონაკლისი ის არის, რომ შრომამიგების სისტემის ერთ-ერთი ფორმის დროს ისპობა საბატონო მეურნეობის ერთ-ერთი პირობა, სახელდობრ — ნარდად დაქირავების დროს შრომის ნატურალური ქირის მაგიერ ჩვენ ვხედავთ ფულად ქირას). კაპიტალისტური სისტემა მდგომარეობს (წლიური, ვადიანი, დღიური და სხვ.) მუშების დაქირავებაში, რომლებიც ამუშავებენ მიწას მფლობელის ინვენტარით. დასახელებული სისტემები სინამდვილეში სრულიად სხვადასხვანაირად და გასაოცრად გადაეხლართებიან ხოლმე ერთმანეთს: მრავალ სამამულო მეურნეობაში ორივე სისტემა შეერთებულია და შეფარდებულია სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოსთან **. საკვლევით ბუნებრივია,

* აი მაგალითი, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებული სიცხადით: «ელეცის მაზრის სამხრეთ ნაწილში» (ორიოლის გუბერნია), — წერს მიწათმოქმედების დეპარტამენტის ერთი კორესპონდენტი, — «მსხვილ მემამულურ მეურნეობებში, წლიური მუშების მიერ მიწის დამუშავებასთან ერთად, მიწის მნიშვნელოვან ნაწილს ამუშავებენ გლეხები, რისთვისაც მათ იჯარით ეძლევათ მიწა. ყოფილი ყმები განაგრძობენ თავის წინანდელ მებატონეთაგან მიწის იჯარით აღებას და ამისათვის ამუშავებენ მათ მიწას. ასეთი სოფლები ისევ ატარებენ ამა და ამ მემამულის «ს ა ბ ა ტ ო ნ ო» სოფლის სახელს» (ს. ა. კოროლენკო, «ნებით დაქირავებული შრომა და სხვ.», გვ. 118). ანდა კიდევ: «ჩემს ეკონომიაში, — წერს მეორე მემამულე, — ყველა სამუშაოს ასრულებენ ჩემი ყოფილი გლეხები (8 სოფელი, დაახლოებით 600 სული), რისთვისაც იღებენ პირუტყვის გასაშვებს (2 000 — 2 500 დეს.); ოღონდ მიწას პირველად აბრუნებენ და სათესი მანქანებით თესენ ვადიანი მუშებიო» (ibid., გვ. 325. კალუგის მაზრიდან).

** «მეურნეობათა უმეტესი რაოდენობა ისეა დაყენებული, რომ მიწის ერთ ნაწილს, თუმცა მეტად უმნიშვნელოს, ამუშავებენ მფლობელები საკუთარი ინვენტარით, წლიური» და სხვა «მუშებით, მთელ დანარჩენ

რომ მეურნეობის ესოდენ სხვადასხვანაირი და, უფრო მეტიც — მოპირდაპირე სისტემების შეერთება სინამდვილეში იწვევს მთელ რიგ უღრმეს და ურთულეს კონფლიქტებსა და წინააღმდეგობათ, რომ ამ წინააღმდეგობათა გამო მთელი რიგი მეურნეები ნადგურდებიან და სხვა. ყველაფერი ეს ყოველი გარდამავალი ეპოქის დამახასიათებელი მოვლენებია.

ჩვენ რომ დავსვათ ამ ორი სისტემის შეფარდებითი გავრცელების საკითხი, იძულებული ვიქნებით უწინარეს ყოვლისა ვთქვათ, რომ ამ საკითხზე ზუსტი სტატისტიკური ცნობები არ მოიპოვება და საეჭვოც არის, რომ მათი შეგროვება შესაძლებელი ყოფილიყოს: ამისათვის საჭირო გახდებოდა არათუ ყველა მამულის, არამედ ყველა მამულში წარმოებული ყველა სამეურნეო ოპერაციის აღრიცხვაც. ცნობები მხოლოდ დაახლოებითია, იმ ცალკე ადგილების ზოგადი დახასიათების სახით, სადაც სჭარბობს ესა თუ ის სისტემა. ნაკრები სახით მთელი რუსეთის შესახებ ასეთი ცნობები მოყვანილია მიწათმოქმედების დეპარტამენტის ზემოთ ციტირებულ გამოცემაში: «ნებით დაქირავებული შრომა და სხვ.». ბ-ნ ანენსკის ამ ცნობების საფუძველზე შეუდგენია მეტად თვალსაჩინო კარტოგრამა, რომელიც გვიჩვენებს ორივე სისტემის გავრცელებას («მოსავლის გავლენა და სხვ.»[78], I, 170). ერთმანეთს ვადარებთ ამ მონაცემებს ცხრილის სახით და ვავსებთ მას ცნობებით კერძო მეფლობელობის მიწებზე 1883 — 1887 წლების ნათესი ფართობის შესახებ («რუსეთის იმპერიის სტატისტიკა». IV. საშუალო მოსავალი

მიწას კი გლეხებს აძლევენ დასამუშავებლად ან სანახევროდ», ან მიწის მიცემით, ან ფულად («ნებით დაქირავებული შრომა», ibid., 96)... «მამულების უმეტეს ნაწილში ერთსა და იმავე დროს არსებობს დაქირავების თითქმის ყველა ანდა მრავალი წესი» (ე. ი. «მეურნეობისათვის მუშახელის მიწოდების» წესი). «რუსეთის სოფლისა და ტყის მეურნეობა». მიწათმოქმედების დეპარტამენტის გამოცემა ჩიკაგოს გამოფენისათვის. სპბ. 1893, გვ. 79.

ევროპულ რუსეთში 1883—1887 წლების ხუთწლეულის მანძილზე. სპბ. 1888)*.

გუბერნიათა ჯგუფები, სადაც მიწათმფლობელთა შორის სჭარბობს მგურნეობისესათუის სისტემა	გუბერნიათა რიცხვი			რამდენია დათესილი ყოველნაირი პურეული და კარტოფილი კერძო მფლობელობის მიწებზე (ათას. დეს.)
	შავნიადაგიან ზოლში	არაშავნიადაგიან ზოლში	სულ	
I. გუბერნიები, სადაც კაპიტალისტური სისტემა სჭარბობს. . .	9	10	19	7 407
II. გუბერნიები, სადაც შერეული სისტემა სჭარბობს.	3	4	7	2 222
III. გუბერნიები, სადაც შრომამიგების სისტემა სჭარბობს. . .	12	5	17	6 281
სულ	24	19	43	15 910

ამნაირად, თუ წმინდა რუსულ გუბერნიებში შრომამიგება სჭარბობს, სამაგიეროდ საერთოდ ევროპულ რუსეთში ამჟამად მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა სჭარბობს. ამასთან ჩვენი ცხრილი ამ სიჭარბეს სრულად როდი გამოსახავს, რადგან გუბერნიების I ჯგუფში არიან ისეთები,

* ევროპული რუსეთის 50 გუბერნიიდან გამორიცხულია არხანგელსკის, ვოლოგდის, ოლონეცის, ვიატკის, პერმის, ორენბურგისა და ასტრახანის გუბერნიები, სადაც 1883—1887 წლებში იყო სულ 562 ათასი დესეტინათესი ფართობი კერძო მფლობელობის მიწებზე; ევროპულ რუსეთში კი საერთოდ ამგვარი ნათესი ფართობი უდრიდა 16 472 ათას დესეტინას. I ჯგუფში შევიდა შემდეგი გუბერნიები: 3 ბალტიისპირეთისა, 4 დასავლეთისა (კოვნოსი, ვილნოსი, გროდნოსი და მინსკისა), 3 სამხრეთ-დასავლეთისა (კიევისა, ვოლინისა, პოდოლისა), 5 სამხრეთისა (ხერსონისა, თავრიდისა, ბესარაბიისა, ეკატერინოსლავისა, დონისა), 1 სამხრეთ-აღმოსავლეთისა (სარატოვისა), შემდეგ პეტერბურგისა, მოსკოვისა და იაროსლავლისა. II ჯგუფში: ვიტებსკის, მოგილიოვის, სმოლენსკის, კალუგის, ვორონეჟის, პოლტავისა და ხარკოვის. III ჯგუფში შევიდა დანარჩენი გუბერნიები.— მეტი სიზუსტისათვის საჭირო იყო გამოგვეკლო კერძო მფლობელობის მიწის მთელი ნათესიდან მოიჯარადრეთა კუთვნილი ნათესი, მაგრამ საამისო ცნობები არ მოიპოვება. შევნიშნავთ, რომ ამგვარ შესწორებას არა გვგონია შეეცვალა ჩვენი დასკვნა კაპიტალისტური სისტემის სიჭარბის შესახებ, რადგან შავნიადაგიან ზოლში სამფლობელო სახნავი მიწების უდიდესი ნაწილი იჯარით იცემა, ხოლო ამ ზოლის გუბერნიებში შრომამიგების სისტემა სჭარბობს.

სადაც შრომამიგება სრულებით არ არსებობს (მაგალითად, ბალტიისპირა გუბერნიებში), მაშინ როცა III ჯგუფში არ არის არც ერთი გუბერნია, ალბათ, არც ერთი მემამულის ისეთი მეურნეობაც კი, სადაც კაპიტალისტური სისტემა ნაწილობრივ მაინც არ იყოს შემოღებული. აი ამის ილუსტრაცია საერობო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით (რ ა ს პ ო პ ი ნ ი. «კერძო მფლობელობის მეურნეობა რუსეთში საერობო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით». «იურიდიჩესკი ვესტნიკ», 1887 წ., №№ 11—12. № 12, გვ. 634):

ურსკის გუბერ-ნიის მაზრები	% მამულებისა, ნებით დაქირავებული მუშების გამოყენებით		% მამულებისა, სადაც მოჯამაგირეები ჰყავთ	
	საშუალო	მსხვილი	საშუალო	მსხვილი
დმიტროვის	53.3	84,3	68,5	85,0
ფატეჟის	77.1	88,2	86,0	94,1
ლგოვის	58,7	78,8	73,1	96,9
სუჯანის	53,0	81,1	66,9	90,5

ბოლოს, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ შრომამიგების სისტემა ზოგჯერ გადადის კაპიტალისტურში და იმდენად შეერთვის მას, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება მათი ერთიმეორისაგან განცალკევება და გარჩევა. მაგალითად, გლეხი იჯარით იღებს ნაჭერ მიწას და კისრულობს ვალდებულებას ამისათვის იმუშაოს გარკვეული დღეების განმავლობაში (ეს მოვლენა, როგორც ვიცით, ყველაზე უფრო გავრცელებულია. იხ. მაგალითები შემდეგ პარაგრაფში). როგორ შეიძლება ასეთი «გლეხის» განსხვავება იმ დასავლეთ-ევროპელი ან ოსტზეელი «მოჯამაგირისაგან», რომელიც ნაჭერ მიწას იღებს და ვალდებულია ამისათვის გარკვეული დღეების განმავლობაში იმუშაოს? ცხოვრება ჰქმნის ისეთ ფორმებს, სადაც გასაკვირველი თანდათანობით ერთდებიან მეურნეობის იმნაირი სისტემები, რომლებიც თავისი ძირითადი ნიშნებით ერთმანეთის საწინააღმდეგონი არიან. შეუძლებელი ხდება იმის თქმა, თუ სად თავდება «შრომამიგება» და სად იწყება «კაპიტალიზმი».

ამრიგად, ჩვენ დავადგინეთ ის ძირითადი ფაქტი, რომ თანამედროვე მემამულური მეურნეობის ფორმების მთელი

სხვადასხვაობა გამოიხატება ორი სისტემის — შრომამიგებ-ების და კაპიტალისტური სისტემების სხვადასხვანაირი შეზავებით. ახლა გადავიდეთ ამ ორი სისტემის ეკონომიურ დახასიათებაზე და ვნახოთ, თუ რომელი ამ სისტემათაგანი ავიწროებს მეორეს ეკონომიური ევოლუციის მთელი მსვლელობის გავლენით.

III. შრომამიგების სისტემის დახასიათება

შრომამიგების სახეები, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, მეტად მრავალგვარია. ხანდახან გლეხები ფულად ქირავდებიან საკუთარი ინვენტარით კერძო მფლობელობის მიწების დასამუშავებლად — ეგრეთწოდებული «ნარდი სამუშაო», «დესეტინობრივი გასამრჯელო»*, მიწების «წრეობრივი»** დამუშავება (ე. ი. ერთი დესეტინა გაზაფხულის და ერთი დესეტინა შემოდგომის ნათესისა) და სხვ. ხანდახან გლეხები ვალად ღებულობენ პურს ან ფულს და ვალდებულებას კისრულობენ შრომამიგებით გაისტუმრონ ან მთელი ვალი, ან ვალის პროცენტები***. ამ ფორმის დროს განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს საერთოდ შრომამიგების სისტემის დამახასიათებელი ნიშანი, სახელდობრ ასეთი დაქირავების კაბალური, მევახშური ხასიათი. ხანდახან გლეხები მუშაობენ «წანახედისათვის» (ე. ი. ვალდებული არიან მუშაობით გადაიხადონ წანახედისათვის კანონით დაწესებული ჯარიმა), მუშაობენ პირდაპირ «სინდისის გამო» (შეად. ენგელგარდტი, I. c., გვ. 56) — ე. ი. მუქთად, მხოლოდ ჭამასმისთვის, რომ არ დაეკარგოთ სხვა «საშოვარი» მიწათმფლო-

---

* «რიაზანის გუბ. სტატისტიკური ცნობების კრებულები».

** ენგელგარდტი, I. c.

*** «მოსკოვის გუბ. სტატისტიკური ცნობების კრებული», ტ. V, ნაკვ. 1. მ. 1879, გვ. 186 — 189. ჩვენ მივუთითებთ წყაროებს მხოლოდ მაგალითისათვის. მთელი ლიტერატურა გლეხური და კერძომფლობელობითი მეურნეობის შესახებ მრავალ ასეთ მითითებას შეიცავს.

ბელთან. ბოლოს, ძალიან გავრცელებულია შრომამიგება მიწის მისაღებად, ან მონახევრეობის ფორმით, ანდა გლეხებზე იჯარით გაცემული მიწის, სავარგულებისა და სხვათა ასანაზღაურებლად მუშაობის ფორმითაც კი.

ამასთან ძალიან ხშირად იჯარით აღებული მიწის საფასური სულ სხვადასხვანაირ ფორმებს იღებს, რომელნიც ზოგჯერ ერთდებიან კიდეც, ასე რომ ფულადი საფასურის გვერდით ვხვდებით პროდუქტით ანაზღაურებასაც და «შრომამიგებასაც». აი ორიოდე მაგალითი: თვითეული დესეტინისათვის დამუშავებულ უნდა იქნას $1^1/_2$ დეს. + 10 კვერცხი + 1 ქათამი + ქალის ერთი სამუშაო დღე; 43 დეს. გაზაფხულის ნათესისათვის ფულად თორმეტ-თორმეტი მან. და 51 დეს. შემოდგომის ნათესისათვის თექვსმეტ-თექვსმეტი მან. ფულად + ამდენი და ამდენი ბულული შვრიის, 7 ბულული წიწიბურის და 20 ბულული ჭვავის გალეწვა + იჯარით აღებული მიწის არანაკლებ 5 დესეტინის დანაკელება საკუთარი პირუტყვის ნაკელით, თითო დესეტინაზე 300 ურმის ანგარიშით (კარიშევი, «იჯარა», გვ. 348). აქ გლეხის პირუტყვის ნაკელიც კი იქცევა კერძომფლობელობითი - მეურნეობის შემადგენელ ნაწილად! თუ რაოდენ გავრცელებული და ნაირნაირია შრომამიგება, ამას მოწმობს მისი გამომხატველი მრავალი ტერმინიც: отработки, огбýчи, отбýтки, барщина, басаринка, пособка, паньщина, пóступок выемка და სხვ. (ibid., 342). ხანდახან გლეხს ამასთან ვალდებულებას აკისრებენ იმუშაოს ისე, «როგორც უბრძანებს მფლობელი» (ibid., 346), ავალდებულებენ საერთოდ «გაუგონოს», «დაუჯეროს», «დაეხმაროს» მას. შრომამიგება მოიცავს «სასოფლო სამუშაოთა მთელ ციკლს. შრომამიგების საშუალებით სრულდება ყველა სასოფლო-სამეურნეო ოპერაცია — ყანების დამუშავება, პურისა და თივის აღება, შეშის მომარაგება, ტვირთის გადაზიდვა» (346 — 347), სახურავებისა და ბუხრების შეკეთება (354, 348), ავალდებულებენ ქათმებისა და კვერცხების მიწოდებას (ibid.). ს.-პეტერბურგის გუბერნიის გდოვის მაზრის მკვლევარი სამართლიანად ამბობს, რომ შრომამიგების სა-

ხეები «წინანდელ რეფორმამდელ საბატონო ხასიათს» ატარებენო (349)*.

განსაკუთრებით საინტერესოა მიწისათვის შრომამიგების ფორმა — ეგრეთწოდებული შრომამიგებითი და ნატურალური იჯარა**. წინა თავში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ იჩენს თავს გლეხურ იჯარაში კაპიტალისტური ურთიერთობა; აქ ჩვენ ვხედავთ «იჯარას», რომელიც პირდაპირ საბატონო მეურნეობის უბრალო ნაშთს წარმოადგენს*** და რომელიც ხანდახან შეუმჩნევლად იქცევა კაპიტალისტურ სისტემად, რაც გამოიხატება იმით, რომ მამულს სოფლის მუშებით უზრუნველყოფენ მათთვის ნაჭერი მიწის დარიგებით. საერობო სტატისტიკის ცნობები უდავოდ ადასტურებენ ასეთი «იჯარების» კავშირს მიწის გამცემთა საკუთარ მეურნეობასთან. «კერძო მფლობელობის მამულებში საკუთარი სახნავების გაფართოების დროს მფლობელთ უჩნდებათ მოთხოვნილება — უზრუნველჰყონ თავისთვის მუშების შოვნა საჭირო დროს. ამიტომ მრავალ ადგილას

---

* საგულისხმოა, რომ შრომამიგების სხვადასხვა ფორმის, იჯარის სხვადასხვა ფორმის და მისი ყოველგვარი დამატებითი გადასახადის და სხვათა მთელი გიგანტური მრავალნაირობა რუსეთში მთლად ამოიწურება მიწათმოქმედების წინაკაპიტალისტური წესების იმ ძირითადი ფორმებით, რომლებიც განმარტა მარქსმა «კაპიტალის» III ტომის მე-47 თავში. წინა თავში უკვე აღნიშნული იყო, რომ ასეთი ძირითადი ფორმა სამია: 1) შრომამიგებითი რენტა; 2) რენტა პროდუქტებით ანუ ნატურალური რენტა და 3) ფულადი რენტა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ მარქსმა მიწის რენტის განყოფილების საილუსტრაციოდ მოისურვა სწორედ რუსეთის ცნობები აეღო.

** «საერობო სტატისტიკის შედეგების» მიხედვით (ტ. II), გლეხები მათ მიერ იჯარით აღებული მთელი მიწის 76%-ს იღებენ ფულად; 3 — 7%-ს — შრომამიგებით, 13 — 17%-ს პროდუქტის ნაწილის გადახდით და, ბოლოს, ნერეულ ფასად — 2 — 3%-ს.

*** შეად. მაგალითები, მოყვანილი შენიშვნაში მე-211 გვერდზე. საბატონო მეურნეობის დროს მემამულე გლეხს აძლევდა მიწას, რათა გლეხს მემამულისათვის ემუშავნა. შრომამიგებაში მიწის გაცემის დროს, ცხადია, საქმის სამეურნეო მხარე იგივე რჩება.

ბელთან. ბოლოს, ძალიან გავრცელებულია შრომამიგება მიწის მისაღებად, ან მონახევრეობის ფორმით, ანდა გლეხებზე იჯარით გაცემული მიწის, სავარგულებისა და სხვათა ასანაზღაურებლად მუშაობის ფორმითაც კი.

ამასთან ძალიან ხშირად იჯარით აღებული მიწის საფასური სულ სხვადასხვანაირ ფორმებს იღებს, რომელნიც ზოგჯერ ერთდებიან კიდეც, ასე რომ ფულადი საფასურის გვერდით ვხვდებით პროდუქტით ანაზღაურებასაც და «შრომამიგებასაც». აი ორიოდე მაგალითი: თვითეული დესეტინისათვის დამუშავებულ უნდა იქნას $1^1/_2$ დეს. + 10 კვერცხი + 1 ქათამი + ქალის ერთი სამუშაო დღე; 43 დეს. გაზაფხულის ნათესისათვის ფულად თორმეტ-თორმეტი მან. და 51 დეს. შემოდგომის ნათესისათვის თექვსმეტ-თექვსმეტი მან. ფულად + ამდენი და ამდენი ბულული შვრიის, 7 ბულული წიწიბურის და 20 ბულული ჭვავის გალეწვა + იჯარით აღებული მიწის არანაკლებ 5 დესეტინის დანაკელება საკუთარი პირუტყვის ნაკელით, თითო დესეტინაზე 300 ურმის ანგარიშით (კარიშევი, «იჯარა», გვ. 348). აქ გლეხის პირუტყვის ნაკელიც კი იქცევა კერძომფლობელობითი · მეურნეობის შემადგენელ ნაწილად! თუ რაოდენ გავრცელებული და ნაირნაირია შრომამიგება, ამას მოწმობს მისი გამომხატველი მრავალი ტერმინიც: отработки, отбýчи, отбýтки, барщина, басаринка, пособка, паньщина. пóступок выемка და სხვ. (ibid., 342). ხანდახან გლეხს ამასთან ვალდებულებას აკისრებენ იმუშაოს ისე, «როგორც უბრძანებს მფლობელი» (ibid., 346), ავალდებულებენ საერთოდ «გაუგონოს», «დაუჯეროს», «დაეხმაროს» მას. შრომამიგება მოიცავს «სასოფლო სამუშაოთა მთელ ციკლს. შრომამიგების საშუალებით სრულდება ყველა სასოფლო-სამეურნეო ოპერაცია — ყანების დამუშავება, პურისა და თივის აღება, შეშის მომარაგება, ტვირთის გადაზიდვა» (346 — 347), სახურავებისა და ბუხრების შეკეთება (354, 348), ავალდებულებენ ქათმებისა და კვერცხების მიწოდებას (ibid.). ს.-პეტერბურგის გუბერნიის გდოვის მაზრის მკვლევარი სამართლიანად ამბობს, რომ შრომამიგების სა-

ხეები «წინანდელ რეფორმამდელ საბატონო ხასიათს» ატარებენო (349)*.

განსაკუთრებით საინტერესოა მიწისათვის შრომამიგების ფორმა — ეგრეთწოდებული შრომამიგებითი და ნატურალური იჯარა**. წინა თავში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ იჩენს თავს გლეხურ იჯარაში კაპიტალისტური ურთიერთობა; აქ ჩვენ ვხედავთ «იჯარას», რომელიც პირდაპირ საბატონო მეურნეობის უბრალო ნაშთს წარმოადგენს*** და რომელიც ხანდახან შეუმჩნევლად იქცევა კაპიტალისტურ სისტემად, რაც გამოიხატება იმით, რომ მამულს სოფლის მუშებით უზრუნველყოფენ მათთვის ნაჭერი მიწის დარიგებით. საერობო სტატისტიკის ცნობები უდავოდ ადასტურებენ ასეთი «იჯარების» კავშირს მიწის გამცემთა საკუთარ მეურნეობასთან. «კერძო მფლობელობის მამულებში საკუთარი სახნავების გაფართოების დროს მფლობელთ უჩნდებათ მოთხოვნილება — უზრუნველჰყონ თავისთვის მუშების შოვნა საჭირო დროს. ამიტომ მრავალ ადგილას

---

* საგულისხმოა, რომ შრომამიგების სხვადასხვა ფორმის, იჯარის სხვადასხვა ფორმის და მისი ყოველგვარი დამატებითი გადასახადის და სხვათა მთელი გიგანტური მრავალნაირობა რუსეთში მ თ ლ ა დ ამოიწურება მიწათმოქმედების წინაკაპიტალისტური წესების იმ ძირითადი ფორმებით, რომლებიც განმარტა მარქსმა «კაპიტალის» III ტომის მე-47 თავში. წინა თავში უკვე აღნიშნული იყო, რომ ასეთი ძირითადი ფორმა სამია: 1) შრომამიგებითი რენტა; 2) რენტა პროდუქტებით ანუ ნატურალური რენტა და 3) ფულადი რენტა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ მარქსმა მიწის რენტის განყოფილების საილუსტრაციოდ მოისურვა სწორედ რუსეთის ცნობები აეღო.

** «საერობო სტატისტიკის შედეგების» მიხედვით (ტ. II), გლეხები მათ მიერ იჯარით აღებული მთელი მიწის 76%-ს იღებენ ფულად; 3 — 7%-ს — შრომამიგებით, 13 — 17%-ს პროდუქტის ნაწილის გადახდით და, ბოლოს, ზერეულ ფასად — 2 — 3%-ს.

*** შეად. მაგალითები, მოყვანილი ზენიშვნაში მე-211 გვერდზე. საბატონო მეურნეობის დროს მემამულე გლეხს აძლევდა მიწას, რათა გლეხს მემამულისათვის ემუშავნა. შრომამიგებაში მიწის გაცემის დროს, ცხადია, საქმის სამეურნეო მხარე იგივე რჩება.

მათ უვითარდებათ მისწრაფება — დაურიგონ გლეხებს მიწა შრომამიგებაში ან შრომამიგებასთან ერთად პროდუქტის ნაწილის სანაცვლოდ...» მეურნეობის ეს სისტემა «...საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული. რაც უფრო ხშირია მიწის გამცემთა საკუთარი მეურნეობა, რაც უფრო ნაკლებია იჯარის გაცემის წინადადება და რაც უფრო მწვავეა მისი მოთხოვნილება, მით უფრო ფართოდ ვითარდება მიწის დაქირავების ეს სახეც» (ibid., გვ. 266, შეად. აგრეთვე 367). ამნაირად, ჩვენ აქ ვხედავთ სრულიად სხვაგვარ იჯარას, რომელიც გამოხატავს მფლობელის მიერ საკუთარ მეურნეობაზე უარისთქმას კი არა, არამედ კერძომფლობელობითი სახნავების განვითარებას, გამოხატავს არა გლეხის მეურნეობის განმტკიცებას მისი მიწათმფლობელობის გაფართოებით, არამედ გლეხის სოფლის მუშად გადაქცევას. წინა თავში ჩვენ დავინახეთ, რომ გლეხურ მეურნეობაში იჯარას საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს, ზოგისათვის ის წარმოადგენს მეურნეობის ხელსაყრელ გაფართოებას, ზოგისათვის კი — გაჭირვებით გამოწვეულ გარიგებას. ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ მემამულურ მეურნეობაშიც მიწის იჯარით გაცემას საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს: ხან ეს არის მეურნეობის გადაცემა სხვა პირისათვის და სამაგიეროდ რენტის მიღება, ხან კი არის საკუთარი მეურნეობის წარმართვის წესი, მუშახელით მამულის უზრუნველყოფის საშუალება.

გადავდივართ შრომამიგების სისტემის დროს შრომის ანაზღაურების საკითხზე. სხვადასხვა წყაროს ცნობები ერთხმად მოწმობენ, რომ შრომის საზღაური შრომამიგებითი და კაბალური დაქირავების დროს ყოველთვის უფრო დაბალია, ვიდრე კაპიტალისტური «თავისუფალი» დაქირავების დროს. ჯერ ერთი, ეს მტკიცდება იმით, რომ ნატურალური იჯარები, ე. ი. შრომამიგებითი და მონახევრეობითი (რომელნიც, როგორც ახლა დავინახეთ, გამოხატავენ მხოლოდ შრომამიგებითსა და კაბალურ დაქირავებას), საზოგადოდ ყველგან უფრო ძვირია, ვიდრე ფულადი, ამას-

თან გაცილებით უფრო ძვირია (ibid., 350), ზოგჯერ ერთიორად უფრო ძვირია (ibid., 356, ტვერის გუბერნიის რჟევის მაზრა). მეორეც, ნატურალური იჯარა ყველაზე უფრო განვითარებულია გლეხთა უღარიბეს ჯგუფებში (ibid., 261 და შემდეგი). ეს არის გაჭირვებით გამოწვეული იჯარა, იმ გლეხის «იჯარა», რომელსაც აღარ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მის ამნაირად გადაქცევას სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშად. შეძლებული გლეხები ცდილობენ მიწები ფულად აიღონ იჯარით. «დამქირავებელი ყოველნაირი შესაძლებლობით სარგებლობს, რომ იჯარის თანხა ფულად შეიტანოს და ამით გააიაფოს სხვისი მიწით სარგებლობის ღირებულება» (ibid., 265)— და არათუ გააიაფოს იჯარის ღირებულება, არამედ აგრეთვე თავიც გაითავისუფლოს კაბალური დაქირავებისაგან,— დავძენთ ჩვენი მხრით. დონის როსტოვის მაზრაში ისეთი შესანიშნავი ფაქტიც იყო აღნიშნული, როგორც ფულადი იჯარიდან საბულულო სამუშაოზე («სკოპშჩინა»)[74] გადასვლა იჯარის ფასების მომატებასთან ერთად, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ს ა ბ უ ლ უ ლ ო მ უ შ ა ო ბ ა შ ი გ ლ ე ხ თ ა წ ი ლ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს ა (გვ. 266, ibid.). ამ ფაქტით სავსებით ნათელი ხდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნატურალურ იჯარას, რომელიც საბოლოოდ აჩანაგებს გლეხს, სოფლის მოჯამაგირედ აქცევს მას*.

---

* შეჯამებული უახლესი ცნობები იჯარის შესახებ (ბ-ნი კარიშევი წიგნში: «მოსავლის გავლენა და სხვ.», ტ. I) სავსებით ადასტურებს, რომ მხოლოდ გაჭირვება აიძულებს გლეხებს აიღონ მიწა მონახევრეობის ან შრომამიგების საფუძველზე, შეძლებული გლეხები კი ამჯობინებენ აიღონ იჯარა ფულად (გვ. 317 — 320), რადგან ნატურალური იჯარა ყოველთვის და ყველგან შეუდარებლად უფრო ძვირია გლეხისათვის, ვიდრე ფულადი იჯარა (გვ. 342 — 346). მაგრამ ყველა ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია ბ-ნ კარიშევისათვის საქმე ისე დაესახა, რომ ვითომც «შეუძლო გლეხს... საშუალება ეძლევა უკეთ დაიკმაყოფილოს კვების მოთხოვნილება სხვის, მონახევრეობის პირობით აღებულ მიწაზე თავისი ნათესის ერთგვარი გაფართოებით» (321). აი რა გასაოცარ აზრებამდე მიჰყავს კაცი «ნატურალური მეურნეობისადმი» წინასწარ თანაგრძნობას! დამტკიცებულია, რომ ნატურალური იჯარა ფულად იჯარაზე უფრო ძვირია, რომ ის წარმოადგენს თავისებურ truck-system-ას[75] მიწათმოქმედებაში

მესამეც, შრომამიგებითი და კაპიტალისტური «თავისუფალი» დაქირავების დროს შრომის საზღაურის პირდაპირი შედარება გვიჩვენებს შრომის კაპიტალისტური საზღაურის უფრო მაღალ დონეს. მიწათმოქმედების დეპარტამენტის გამოცემაში: «ნებით დაქირავებული შრომა და სხვ.», რაც ზემოთ ციტირებული იყო, გაანგარიშებულია, რომ შემოდგომის ერთი დესეტინა პურეული ნათესის სრული დამუშავება გლეხის ინვენტარით ღირს საშუალოდ 6 მან. (შავნიადაგიანი შუა ზოლის 8 წლის, 1883—1891 წწ. ცნობები). იმავე სამუშაოს ღირებულება რომ გამოვიანგარიშოთ თავისუფალი დაქირავების პირობებში, მივიღებთ 6 მან. 19 კ. მხოლოდ ქვეითი შრომისათვის, ცხენის შრომის მიუთვლელად (ცხენის

რომ ის საბოლოოდ აჩანაგებს გლეხს და აქცევს მას მოჯამაგირედ, — ჩვენი ეკონომისტი კი კვების გაუმჯობესებაზე ლაპარაკობს! მონახევრეობით იჯარა, თურმე, «უნდა დაეხმაროს» «სოფლის მოსახლეობის... გაჭირვებულ ნაწილს» მიწის იჯარით მიღებაში (320). «დახმარებას» აქ ბ-ნი ეკონომისტი უწოდებს მიწის აღებას ყველაზე უარეს პირობებში, გლეხის მოჯამაგირედ გადაქცევის პირობებში! საკითხავია, სადღაა განსხვავება რუსეთის ნაროდნიკებსა და რუსეთის აგრარიებს შორის, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ და ყოველთვის მზად არიან გაუწიონ ამგვარი «დახმარება» «სოფლის მოსახლეობის გაჭირვებულ ნაწილს»? სხვათა შორის, აი საინტერესო მაგალითი. ბესარაბიის გუბ. ხოტინის მაზრაში მონახევრის საშუალო დღიური გასამრჯელო გამოანგარიშებულია 60 კაპ., დღიური მუშისა კი ზაფხულში—35—50 კაპ. «გამოდის, რომ მონახევრის გასამრჯელო მაინც უფრო მაღალია, ვიდრე მოჯამაგირის ქირა» (344; ხაზი ბ-ნ კარიშევისაა). ეს «მაინც» მეტად დამახასიათებელია. მაგრამ მონახევრე, მოჯამაგირისაგან განსხვავებით, ხომ ხარჯს ეწევა მეურნეობაზე? მას ხომ უნდა ჰყავდეს ცხენი და ჰქონდეს მისი მორთულობა? რატომ არ არის ნაანგარიშევი ეს გასავალი? თუ საშუალო დღიური ქირა ზაფხულობით ბესარაბიის გუბერნიაში უდრის 40—77 კაპ. (1883—1887 და 1888—1892 წწ.), მაშინ ცხენიანი მომუშავის საშუალო დღიური ქირა უდრის 124—180 კაპ. (1883—1887 და 1888—1892 წწ.). განა აქედან უფრო ის არ «გამოდის», რომ მოჯამაგირე მონახევრეზე «მაინც» მეტს ღებულობს? უცხენო მომუშავის საშუალო დღიური ქირა (საშუალო — მთელი წლისათვის) ბესარაბიის გუბერნიაში განისაზღვრება 67 კაპ. 1882—1891 წლების განმავლობაში (ibid., 178).

ქირა შეუძლებელია ვიანგარიშოთ 4 მ. 50 კ-ზე ნაკლები, I. c., 45). შემდგენელი ასეთ მოვლენას სამართლიანად სთვლის «სრულიად არანორმალურად» (ibid.). შევნიშნავთ მხოლოდ, რომ შრომის უფრო მაღალი ანაზღაურება წმინდა კაპიტალისტური დაქირავების დროს, კაბალისა და სხვა წინაკაპიტალისტური ურთიერთობის ყოველგვარ ფორმასთან შედარებით, არის ფაქტი, დადგენილი არა მარტო მიწათმოქმედებისათვის, არამედ მრეწველობისთვისაც, არა მარტო რუსეთისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც. აი საერობო სტატისტიკის უფრო ზუსტი და უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ საკითხის შესახებ («სარატოვის მაზრის სტატ. ცნობების კრებული», ტ. I., განყ. III, გვ. 18—19. ციტირებულია ბ-ნ კარიშევის «იჯარები»-დან, გვ. 353):

	სარატოვის მაზრა				
	ერთი დესეტინის დამუშავების საშუალო ფასი (მანეთობით)				
		შრომამიგების დროს სახნავის იჯარა		ნებით დაქირავებისას	
საზუშაოთა სახეები	საზამთრო გარიგების დროს ნელფასის 80—100%-ის წინდაწინ მიცემით	წერილობითი პირობით	ამღებთა ჩვენებით	დამქირავებლების ჩვენებით	დაქირავებლების ჩვენებით
სრული დამუშავება და აღება მიტანით და გალეწვით	9,6	—	9,4	20,5	17,5
იგივე გაულეწავად (გაბაფნული პური)	6,6	—	6,4	15,8	13,5
იგივე გაულეწავად (ბეჭოდგოის პური)	7,0	—	7,5	15,2	14,3
დამუშავება	2,8	2,8	—	4,3	3,7
აღება (ბომკა და გადაზიდვა).....	3,6	3,7	3,8	10,1	8,5
აღება (გადაუზიდველად).....	3,2	2,6	3,3	8,0	8,1
თიბვა (გადაუზიდველად).....	2,1	2,0	1,8	3,5	4,0

ამნაირად, შრომამიგების დროს (ისევე, როგორც მევახშეობასთან შეერთებული კაბალური დაქირავების დროს) შრომის გასამრჯელო ჩვეულებრივ ერთიორად და უფრო ნაკლებია კაპიტალისტურ დაქირავებასთან შედარებით *. რადგან შრომა-

* როგორ არ უნდა ეწოდოს ამის შემდეგ რეაქციული კაპიტალიზმის იმ კრიტიკას, რომელსაც იძლევა, მაგალითად, ისეთი ნაროდნიკი, როგორიც არის თ-დი ვასილჩიკოვი. თვით სიტყვა «ნებით დაქირავებული», —

მიგება შეუძლია იკისროს მხოლოდ ადგილობრივმა და მასთან ერთად აუცილებლად «ნადელით უზრუნველყოფილმა» გლეხმა, ეს ფაქტი ქირის დიდად შემცირებისა ნათლად გვიჩვენებს ნადელის, როგორც ნატურალური ხელფასის, მნიშვნელობას. ახლაც ნადელი ამგვარ შემთხვევებში ისევ წარმოადგენს მიწათმფლობელისათვის იაფი მუშახელის «უზრუნველმყოფელ» საშუალებას. მაგრამ განსხვავება თავისუფალ და «ნახევრადთავისუფალ»* მუშაობას შორის სრულიად არ ამოიწურება ქირის განსხვავებით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი სახის მუშაობა ყოველთვის გულისხმობს დამქირავებლისაგან დაქირავებულის პირად დამოკიდებულებას, ყოველთვის გულისხმობს «გარეეკონომიური იძულების» მეტ-ნაკლებად შენარჩუნებას. ენგელგარდტი ძალიან მოსწრებულად შენიშნავს, რომ შრომამიგებაში ფულის გაცემა აიხსნება ასეთი ვალების უდიდესი უზრუნველყოფილობით: აღმასრულებელი ფურცლით გლეხს ძნელია რაიმე გადაახდევინო, «სამუშაოს კი, რომელიც გლეხმა დაივალა, ხელისუფლება იძულებით შეასრულებინებს მას იმ შემთხვევაშიც, საკუთარი პურიც რომ მოუმკელი რჩებოდეს» (I. c., 216). «მხოლოდ მონობის, ბატონისათვის ბატონყმური მუშაობის მრავალი წლის განმავლობაში შეიძლებოდა გამომუშავებულიყო ასეთი გულგრილობა» (მხოლოდ მოჩვენებითი), რომლითაც მიწათმოქმედი სტოვებს თავის პურს წვიმის ქვეშ, რათა სხვისი ძნების გადასაზიდად წავიდეს (ibid., 429). თუ მოსახლეობა ამა თუ იმ ფორმით არ არის მამაგრებული საცხოვრებელ ადგილზე, «თემზე», თუ ის

პათეტიურად გაიძახის ის, — შეიცავს წინააღმდეგობას, რადგან დაქირავება გულისხმობს დამოკიდებულებას, რაც უარჰყოფს «თავისუფალ ნებას». კაპიტალიზმი თავისუფალ დამოკიდებულებას რომ აყენებს კაბალური დამოკიდებულების ადგილზე, ამას მონაროდნიკო მემამულე, რასაკვირველია, ივიწყებს.

* ეს გამოთქმა ბ-ნ კარიშევს ეკუთვნის, I. c. ტყუილად არ გამოიყენა ბ-ნმა კარიშევმა ისეთი დასკვნა, რომ მონახევრეობით იჯარა «ეხმარება» «ნახევრადთავისუფალი» შრომის მოსპობასო.

მოკლებული არ არის ერთგვარ მოქალაქობრივ სრულუფლებიანობას, ისე შრომამიგება, როგორც სისტემა, შეუძლებელი იქნებოდა. თავისთავად ცხადია, რომ შრომამიგების სისტემის აწერილი ნიშნების აუცილებელი შედეგია შრომის დაბალი ნაყოფიერება: შრომამიგებაზე დამყარებული მეურნეობის წესები შესაძლებელია მხოლოდ უაღრესად რუტინული იყოს; კაბალურ პირობებში მყოფი გლეხის შრომა არ შეიძლება თავისი ღირსებით ყმის შრომას არ უახლოვდებოდეს.

შრომამიგებისა და კაპიტალისტური სისტემების შეერთება მემამულური მეურნეობის თანამედროვე წყობილებას ეკონომიური ორგანიზაციის მხრივ მეტისმეტად ამსგავსებს იმ წყობილებას, რომელიც სჭარბობდა ჩვენს საფეიქრო ინდუსტრიაში მსხვილი მანქანური ინდუსტრიის გაჩენამდე. იქ ოპერაციების ერთ ნაწილს ვაჭარი საკუთარი იარაღებით და დაქირავებული მუშებით ასრულებდა (ნართის ქსელვა, ქსოვილის შეღებვა და გალამაზება და სხვ.), მეორე ნაწილს კი — გლეხ-შინამრეწველთა იარაღებით, რომელნიც მისთვის მუშაობდნენ მისივე მასალით; აქ ოპერაციების ნაწილი სრულდება დაქირავებული მუშებით, რომლებიც ხმარობენ მფლობელის ინვენტარს, ნაწილი კი — გლეხების შრომითა და ინვენტარით, რომელნიც მუშაობენ სხვის მიწაზე. იქ სამრეწველო კაპიტალს უერთდებოდა სავაჭრო კაპიტალი, და შინამრეწველს, კაპიტალს გარდა, აწვა ჩაგვრა, ოსტატთა შუამავლობა, truck-system და სხვ.; აქ სწორედ ამნაირადვე სამრეწველო კაპიტალს უერთდება სავაჭრო და სავახშო კაპიტალი ქირის დაწევის და მწარმოებლის პირადი დამოკიდებულების გაძლიერების ყოველნაირი ფორმით. იქ გარდამავალი სისტემა საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა და ემყარებოდა ხელით მუშაობის პრიმიტიულ ტექნიკას, და რაღაც სამიოდე ათეული წლის განმავლობაში დაამსხვრია მსხვილმა მანქანურმა ინდუსტრიამ; აქ კი შრომამიგება არსებობს თითქმის რუსეთის დასაბამიდან (მიწათმფლობელები ჯერ კიდევ «რუსსკაია პრავდის» [76] დროს ჩაგრავდნენ სმერდებს), იგი ამარადისებდა ძველ რუტინულ ტექნიკას და მხოლოდ

რეფორმისშემდეგდროინდელ ეპოქაში იწყებს ადგილის სწრაფად დათმობას კაპიტალიზმის სასარგებლოდ. როგორც იქ, ისე აქ ძველი სისტემა ნიშნავს მხოლოდ წარმოების ფორმების გაყინულობას (და, მაშასადამე, მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის გაყინულობასაც) და აზიურობის ბატონობას. იქაც და აქაც მეურნეობის ახალი, კაპიტალისტური ფორმები წარმოადგენენ დიდ პროგრესს, მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, რაც მათ ახასიათებს.

IV. შრომამიგების სისტემის დაცემა

ახლა იბადება საკითხი: რა დამოკიდებულებაშია შრომამიგების სისტემა რუსეთის რეფორმისშემდგომდროინდელ ეკონომიკასთან?

უწინარეს ყოვლისა, სასაქონლო მეურნეობის ზრდა ვერ ურიგდება შრომამიგების სისტემას, რადგან ეს სისტემა დამყარებულია ნატურალურ მეურნეობაზე, უძრავ ტექნიკაზე, მემამულისა და გლეხის განუწყვეტელ კავშირზე. ამიტომ ამ სისტემის სრული სახით განხორციელება ყოვლად შეუძლებელია, და სასაქონლო მეურნეობისა და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებაში გადადგმული ყოველი ნაბიჯი ძირს უთხრის მისი განხორციელების პირობებს.

გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თანამედროვე მემამულურ მეურნეობაში შრომამიგება უნდა გაიყოს ორ სახედ: 1) შრომამიგება, რის შესრულება შეუძლია მხოლოდ გლეხ მეურნეს, რომელსაც ჰყავს მუშა პირუტყვი და აქვს ინვენტარი (მაგალითად, «წრეობრივ» დესეტინის დამუშავება, დახვნა და სხვ.), და 2) შრომამიგება, რის შესრულება შეუძლია სოფლის პროლეტარსაც, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ინვენტარი (მაგალითად, მკა, თიბვა, ლეწვა და სხვ.). ცხადია, რომ როგორც გლეხური, ისე მემამულური მეურნეობისათვის პირველი და მეორე სახის შრომამიგებას საპირისპირო მნიშვნელობა აქვს, და რომ უკანასკ-

ნელი სახის შრომამიგება წარმოადგენს პირდაპირ გადასვლას კაპიტალიზმზე, რომელსაც იგი შეერთვის მთელი რიგი სრულიად შეუმჩნეველი გადასვლებით. ჩვეულებრივად ჩვენს ლიტერატურაში ლაპარაკობენ შრომამიგებაზე საერთოდ და ასეთ განსხვავებას არ ახდენენ. ამავე დროს, კაპიტალიზმის მიერ შრომამიგების გამოდევნის პროცესში პირველი სახის შრომამიგებიდან მეორე სახის შრომამიგებაზე სიმძიმის ცენტრის გადატანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აი მაგალითი «მოსკოვის გუბერნიის სტატ. ცნობების კრებულიდან»: «მამულთა უ დ ი დ ე ს ნაწილში... ყანების დამუშავება და თესვა, ე. ი. ისეთი სამუშაო, რომლის გულმოდგინედ შესრულებაზე დამოკიდებულია მოსავალი, სრულდება მუდმივი მუშების საშუალებით, პურის აღება კი, ე. ი. ისეთი სამუშაო, როცა ყველაზე მნიშვნელოვანია დაუგვიანებლობა და სიჩქარე, ეძლევათ ახლომახლო მიდამოს გლეხებს ფულად ან სავარგულის სანაცვლოდ» (ტ. V, ნაკვ. 2, გვ. 140). ამგვარ მეურნეობებში მუშების უდიდეს ნაწილს იძენენ შრომამიგების საშუალებით, მაგრამ აქ კაპიტალისტური სისტემა, უეჭველია, სჭარბობს, და «ახლომახლო მიდამოს გლეხები», არსებითად, იქცევიან სოფლის მუშებად, იმ გერმანელი «დაკონტრაქტებული დღიური მუშების» მსგავსად, რომლებიც აგრეთვე ფლობენ მიწას და აგრეთვე ქირავდებიან განსაზღვრული ხნით წლის განმავლობაში (იხ. ზემოთ, გვ. 193—194, შენიშვნა). 90-იანი წლების *

* 1893—1894 წწ. ცხენთაღწერამ, რაც 48 გუბერნიაში ჩატარდა, გამოარკვია, რომ ცხენების დანაკლისი ყველა ცხენთმფლობელთა შორის უდრის 9,6%-ს, ცხენთმფლობელთა რაოდენობის შემცირება — 28 321 კაცს. ტამბოვის, ვორონეჟის, კურსკის, რიაზანის, ორიოლის, ტულის და ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიებში 1888-დან 1893 წლამდე ცხენების დანაკლისი უდრიდა 21,2%-ს. დანარჩენ ზვიდ შავნიადაგიან გუბერნიაში 1891-დან 1893 წლამდე დანაკლისი უდრიდა 17%-ს. ევროპული რუსეთის 38 გუბერნიაში 1888—1891 წწ. იყო 7 922 260 გლეხური კომლი, მათგან ცხენიანი — 5 736 436; 1893—4 წწ. ამ გუბერნიებში იყო 8 288 987 კომლი, მათგან ცხენიანი — 5 647 233. მაშასადამე, ცხენიანი კომლების რიცხვი შემცირდა 89 ათასით, უცხენო კომლების რიცხვი გაიზარდა 456 ათასით. უცხენოთა პროცენტმა აიწია 27,6%-დან 31,9%-მდე («რუსეთის

მოუსავლობის გამო გლეხობაში ცხენების რაოდენობის უზარმაზარ დაკლებას და უცხენო კომლების გამრავლებას არ შეეძლო ძლიერი გავლენა არ მოეხდინა ამ პროცესის — შრომამიგების სისტემის კაპიტალისტური სისტემის მიერ გამოდევნის პროცესის დაჩქარებაზე *.

ბოლოს, შრომამიგების სისტემის დაცემის უმთავრეს მიზეზად მიჩნეულ უნდა იქნას გლეხობის დაშლა. შრომამიგების (პ ი რ ვ ე ლ ი სახის) კავშირი გლეხობის სწორედ საშუალო ჯგუფთან ცხადია a priori-ც, — როგორც ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, — და შეიძლება დამტკიცდეს ერობის სტატისტიკის ცნობებით. მაგალითად, ვორონეჟის გუბერნიის ზადონსკის მაზრის კრებულში მოყვანილია ცნობები გლეხობის სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობათა რაოდენობაზე, რომლებსაც სანარდო სამუშაოები აქვთ აღებული. აი ამ ცნობების პროცენტული თანაფარდობა:

მ ე უ რ ნ ე თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი	% ჯამის მიმართ		
	იმ მეურნეთა %, რომლებსაც სანარდო მუშაობა აქვთ აღებული, ჯგუფის მეურნეთა მთელი რაოდენობის მიმართ	სულ კომლთა რიცხვი	კომლთა რიცხვი, რომლებსაც აღებული აქვთ სანარდო სამუშაოები
უცხენოები	9.9	24,5	10,5
1-ცხენიანები	27,4	40,5	47,6
2—3-ცხენიანები	29,5	31,8	39,6
4 »	16.5	3,2	2,3
მ ა ზ რ ა შ ი	23,3	100	100

იმპერიის სტატისტიკა». XXXVII. სპბ. 1896). ზემოთ ჩვენ ცხადვყავით, რომ ევრ. რუსეთის 48 გუბერნიაში უცხენო კომლთა რიცხვი გაიზარდა 2,8 მილიონიდან 1888 — 1891 წლებში 3,2 მილიონამდე 1896 — 1900 წლებში, ე. ი. 27,3%-დან 29,2%-მდე. სამხრეთის 4 გუბერნიაში (ბესარაბიის, ეკატერინოსლავის, თავრიდის, ხერსონის) უცხენო კომლების რიცხვი გაიზარდა 305,8 ათასიდან 1896 წელს 341,6 ათასამდე 1904 წელს, ე. ი. 34,7%-დან 36,4%-მდე. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს თ ვ ი ს.)

* შეად. აგრეთვე ს. ა. კ ო რ ო ლ ე ნ კ ო, «ნებით დაქირავებული შრომა და სხვ.», გვ. 46 — 47, სადაც 1382 და 1888 წწ. ცხენთაღწერის საფუძველზე მოყვანილია მაგალითები იმის საჩვენებლად, რომ გლეხების ცხენების რაოდენობის შემცირებას თან სდევს კერძო მფლობელთა ცხენების რაოდენობის გადიდება.

აქედან ცხადად ჩანს, რომ სანარდო სამუშაოებში მონაწილეობა სუსტდება ორივე უკიდურეს ჯგუფში. კომლთა უდიდესი ნაწილი, რომლებიც იღებენ სანარდო სამუშაოს, მოდის გლეხობის საშუალო ჯგუფზე. რადგან საერობო-სტატისტიკურ კრებულებში ხშირად სანარდო სამუშაოებიც მიეკუთვნება საზოგადოდ «საშოვრებს», ამიტომ ჩვენ აქ, მაშასადამე, ვხედავთ საშუალო გლეხობის ტიპიური «საშოვრების» მაგალითს, — სწორედ ისევე, როგორც წინა თავში გავეცანით გლეხობის დაბალი და მაღალი ჯგუფების ტიპიურ «საშოვრებს». «საშოვრების» იქ განხილული სახეები გამოხატავენ კაპიტალიზმის განვითარებას (სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და სამუშაო ძალის გაყიდვა), «საშოვრების» ეს სახე კი, პირიქით, გამოხატავს კაპიტალიზმის ჩამორჩენილობას და შრომამიგების ჭარბობას (თუ ვიგულისხმებთ, რომ «სანარდო სამუშაოთა» საერთო ჯამში მეტია ისეთი სამუშაოები, რომლებიც ჩვენ პირველი სახის შრომამიგებას მივაკუთვნეთ).

რაც უფრო ქვეითდება ნატურალური მეურნეობა და საშუალო გლეხობა, მით უფრო ძლიერად უნდა გამოდევნოს კაპიტალიზმმა შრომამიგება. ცხადია, შეძლებული გლეხობა არ შეიძლება შრომამიგების სისტემის საფუძველს წარმოადგენდეს, რადგან მხოლოდ უკიდურესი გაჭირვება აიძულებს გლეხს ხელი მოკიდოს მისი მეურნეობის გამჩანაგებელ და უმცირესად დაფასებულ სამუშაოს. მაგრამ ასევე არც სოფლის პროლეტარიატია გამოსადეგი შრომამიგების სისტემისათვის, თუმცა უკვე სხვა მიზეზით: სოფლის პროლეტარს ან არ გააჩნია არავითარი მეურნეობა, ან აქვს უმნიშვნელო მიწის ნაჭერი, რომელთანაც ის ისე მიჯაჭვული არ არის, როგორც «საშუალო» გლეხი, და ამიტომ მისთვის გაცილებით უფრო ადვილია სხვაგან წავიდეს და «თავისუფალ» პირობებში დაქირავდეს, ე. ი. უფრო მეტი ხელფასი მიიღოს და ყოველგვარ კაბალას თავი დაალწიოს. აქედან წარმოსდგება ჩვენი აგრარიების საყოველთაო უკმაყოფილება გლეხების ქალაქში და საერთოდ «გარე საშოვრებზე» წასვლის გამო, აქედან წარმოსდგება მათი

ჩივილი, გლეხები «სუსტად არიან მიჯაჭვულნიო» (იხ. ქვემოთ, გვ. 281). წმინდა კაპიტალისტური დაქირავებული მუშაობის განვითარება ძირს უთხრის შრომამიგების სისტემას *.

უაღრესად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს განუწყვეტელი კავშირი გლეხობის დაშლასა და კაპიტალიზმის მიერ შრომამიგების გამოდევნას შორის, — კავშირი, რომელიც თეორიულად ესოდენ ნათელია, — უკვე დიდი ხანია შეამჩნიეს სასოფლო-სამეურნეო მწერლებმა, რომლებიც აკვირდებოდნენ მემამულურ მეურნეობებში მეურნეობის გაძღოლის სხვადასხვა წესს. პროფ. სტებუტი მის მიერ რუსეთის სოფლის მეურნეობის შესახებ 1857-დან 1882 წლამდე დაწერილი სტატიების კრებულის წინასიტყვაობაში ამბობს, რომ... «ნამდვილ თემურ გლეხურ მეურნეობაში სწარმოებს გ ა ყ ო ფ ა ს ო ფ ლ ი ს მ ე პ ა ტ რ ო ნ ე-მ რ ე წ ვ ე ლ ებ ს ა დ ა ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ე ებ ს შ ო რ ი ს. პ ი რ ვ ე ლ ნ ი ხ დ ე ბ ი ა ნ მ ს ხ ვ ი ლ ი მ ხ ვ ნ ე ლ-მ თ ე ს ვ ე ლ ნ ი, ი ყ ე ნ ებ ე ბ ე ნ მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ე ებ ს **და ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ა დ თ ა ვ ს ა ნ ებ ებ ე ნ ს ა ნ ა რ დ ო ს ა მ უ შ ა ო ებ ი ს ა ღ ებ ა ს, თ უ კ ი მ ა თ რ ა ი მ ე უ კ ი დ ურ ე ს ი ს ა ჭ ი რ ო ებ ა ა რ ა ი ძ უ ლ ებ ს შ ე ი მ ა-**

* აი მაგალითი, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით განირჩევა. ფულადი და ნატურალური იჯარის შედარებით გავრცელებულობას ეკატერინოსლავის გუბერნიის ბახმუტის მაზრის სხვადასხვა ადგილას ერობის სტატისტიკოსები შემდეგნაირად ხსნიან:

«ის ადგილები, სადაც ფულადი იჯარა ყველაზე მეტად არის გავრცელებული... მდებარეობენ ქვანახშირისა და ქვამარილის მრეწველობის რაიონში, ხოლო ადგილები, სადაც ყველაზე ნაკლებად არის იგი გავრცელებული, შედის ველის და წმინდა სამიწათმოქმედო რაიონში. გლეხები საზოგადოდ უხალისოდ მიდიან სხვის სამუშაოზე, მეტადრე კერძო «ეკონომიებში» სამუშაოზე, რომელიც უფრო შემავიწროებელია და არასაკმაოდ ფასობს. მაღაროებში და საზოგადოდ სამთამადნო საქმეში მუშაობა უფრო მძიმეა და ვნებს მუშის ჯანმრთელობას, მაგრამ ის, საერთოდ რომ ვთქვათ, უკეთ ფასდება და იზიდავს მუშას ფულის ყოველთვიურად ან ყოველკვირეულად მიღების პერსპექტივით; «ეკონომიაში» მუშაობის დროს კი ის ჩვეულებრივად ვერ ხედავს ფულს, რადგან იქ თავისი შრომის საფასურად ღებულობს მიწას, ჩალას, პურს ანდა მას წინდაწინ

ტონ კიდევ რამდენიმე სათესი მიწა ან ისარგებლონ პირუტყვის საბალახო სავარგულებით, რაც მეტწილად შეუძლებელია იქონიონ ისე, თუ არა სანარდო სამუშაოთა გზით; მეორეებს კი არ შეუძლიათ რაიმე სანარდო სამუშაოს აღება, რადგან მათ ცხენები არა ჰყავთ. აქედან წარმოსდგება მოჯამაგირიან მეურნეობაზე გადასვლის აშკარა საჭიროება და მით უფრო მალე გადასვლისა, რომ ის გლეხებიც, რომლებიც კიდევ იღებენ სანარდო სამუშაოს დესეტინობით, მათი ცხენების სისუსტისა და აღებული სამუშაოს სიდიდის გამო ცუდად ასრულებენ სამუშაოს როგორც ხარისხის, ისე ვადის მხრით» (გვ. 20).

მიმდინარე საერობო სტატისტიკაც აღნიშნავს, რომ გლეხობის გაჩანაგება იწვევს შრომამიგების გამოდევნას კაპიტალიზმის მიერ. მაგალითად, ორიოლის გუბერნიაში შემჩნეული იყო, რომ პურის ფასის დაცემამ გააჩანაგა მრავალი მოიჯარადრე, და მფლობელნი იძულებული შეიქნენ

აქვს მიღებული მთელი ფული თავისი მუდმივი საჭიროებისათვის და სხვ.

ყველაფერი ეს აიძულებს მუშას თავი აარიდოს «ეკონომიებში» მუშაობას. ასეც იქცევა, თუ კი მიეცა შესაძლებლობა «ეკონომიის» გარეშე იშოვოს ფული. ასეთი შესაძლებლობა კი უფრო მეტად იქ არის, სადაც ბევრი შახტაა და სადაც «კარგ» ხელფასს აძლევენ მუშებს. შახტებში მიღებული «გროშებით» გლეხს შეუძლია იჯარით აიღოს მიწა და ვალდებული არ გახდეს იმუშაოს «ეკონომიაში», და ამნაირად მყარდება ფულადი იჯარის ბატონობა» (მოყვანილია «საერობო სტატისტიკის შედეგები»-დან, ტ. II, გვ. 265). მაზრის ველიან, არასამრეწველო თემებში კი მყარდება საბულულო მუშაობა და შრომამიგებითი იჯარა.

ამნაირად, გლეხი შახტებშიც კი მიდის, ოღონდ შრომამიგებას თავი დააღწიოს! ხელფასის ნაღდ ფულად და თავის დროზე მიღება, დაქირავების უპიროვნო ფორმა და მოწესრიგებული მუშაობა «იზიდავს» მას ისე, რომ მიწის ქვეშ მუშაობასაც კი ამჯობინებს მიწათმოქმედებას, იმ მიწათმოქმედებას, რომელსაც ასე იდილიურად სახავენ ჩვენი ნაროდნიკები. საქმეც ის არის, რომ გლეხი თავის ზურგზე განიცდის, თუ რა არის ის შრომამიგება, რომელსაც ასე აიდეალებენ აგრარიები და ნაროდნიკები, და რამდენად მასზე უკეთესია წმინდა კაპიტალისტური ურთიერთობა.

გაეფართოებინათ ეკონომიური სახნავები. «ეკონომიური სახნავების გაფართოებასთან ერთად ყველგან შემჩნეულია მისწრაფება — შესცვალონ სანარდო შრომა მოჯამაგირის შრომით და თავი დააღწიონ გლეხური ინვენტარით სარგებლობას... მისწრაფება — გაუმჯობესებული იარაღების შემოღებით უკეთ დაამუშაონ ყანები... შესცვალონ მეურნეობათა სისტემა, შემოიღონ ბალახთესვა, გააფართოონ და გააუმჯობესონ მეჯოგეობა, მისცენ მას პროდუქტიული ხასიათი» («ორიოლის გუბერნიის 1887/88 წლის სოფლის მეურნეობის მიმოხილვა», გვ. 124 — 126. ციტირ. პ. სტრუვეს «კრიტიკული შენიშვნებიდან», გვ. 242 — 244). პოლტავის გუბერნიაში 1890 წელს, პურის დაბალი ფასების დროს, შემჩნეულია «გლეხების მიერ მიწის იჯარით აღების შემცირება... მთელ გუბერნიაში... ამის შესაბამისად ბევრ ადგილას, პურის ფასების დიდად დაცემის მიუხედავად, გაფართოვდა მფლობელთა საკუთარი სახნავები» («მოსავლის გავლენა და სხვ.», I, 304). ტამბოვის გუბერნიაში შემჩნეულია ცხენის სამუშაოთა ფასების დიდი მომატების ფაქტი: სამი წლის — 1892 — 1894 წწ. განმავლობაში ეს ფასები 25 — 30%-ით უფრო მეტი იყო, ვიდრე 1888 — 1891 წწ. განმავლობაში («ნოვოე სლოვო», 1895, № 3, გვ. 187). შეუძლებელია, რომ ცხენის სამუშაოთა გაძვირება, რაც გლეხთა ცხენების რაოდენობის დაკლების ბუნებრივი შედეგია, გავლენას არ ახდენდეს კაპიტალისტური სისტემის მიერ შრომამიგების გამოდევნაზე.

ჩვენ, რასაკვირველია, სრულიადაც არა გვაქვს განზრახული ამ ცალკეული მითითებებით დავამტკიცოთ კაპიტალიზმის მიერ შრომამიგების გამოდევნის დებულება: ამის შესახებ სრული სტატისტიკური ცნობები არ მოიპოვება. ჩვენ ამით მხოლოდ ნათელვყოფთ იმ დებულებას, რომ გლეხობის დაშლასა და კაპიტალიზმის მიერ შრომამიგების გამოდევნას შორის კავშირი არსებობს. საერთო და მასობრივი ცნობები, რომლებიც შეურყევლად ამტკიცებენ ამ გამოდევნის ფაქტს, შეეხებიან სოფლის მეურნეობაში მანქანების ხმარებას და ნებით დაქი-

რავებული შრომის გამოყენებას. მაგრამ სანამ ამ ცნობებზე გადავიდოდეთ, ჩვენ უნდა შევეხოთ ეკონომისტ-ნაროდნიკების შეხედულებებს რუსეთის თანამედროვე კერძომფლობელობითს მეურნეობაზე.

V. ნაროდნიკული დამოკიდებულება საკითხისადმი

იმ დებულებას, რომ შრომამიგების სისტემა საბატონო მეურნეობის უბრალო ნაშთია, არც ნაროდნიკები უარჰყოფენ. პირიქით, მას აღიარებენ — თუმცა არასაკმაოდ ზოგადი ფორმით — ბ-ნი ნ. — ონიც («ნარკვევები», § IX) და ბ-ნი ვ. ვ.—ც (განსაკუთრებული სიცხადით სტატიაში: «ჩვენი გლეხური მეურნეობა და აგრონომია», «ოტეჩ. ზაპ.», 1882, № 8 — 9). მით უფრო გასაკვირია ის გარემოება, რომ ნაროდნიკები მთელი ძალით გაურბიან იმ უბრალო და ნათელი ფაქტის აღიარებას, რომ კერძომფლობელობითი მეურნეობის თანამედროვე წყობილება წარმოადგენს შრომამიგებისა და კაპიტალისტური სისტემების შეერთებას, რომ, მაშასადამე, რაც უფრო განვითარებულია პირველი, მით უფრო სუსტია მეორე და პირიქით, — გაურბიან იმის ანალიზს, თუ რა დამოკიდებულებაშია ესა თუ ის სისტემა შრომის ნაყოფიერებასთან, მუშის შრომის საზღაურთან, რუსეთის რეფორმისშემდგომი ეკონომიკის ძირითად ნიშნობლივ მხარეებთან და სხვ. საკითხის ამ ნიადაგზე, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მ ი მ დ ი ნ ა რ ე «ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს» დადასტურების ნიადაგზე, დაყენება იქნებოდა კაპიტალიზმის მიერ შრომამიგების გამოდევნის აუცილებლობისა და ასეთი გამოდევნის პროგრესულობის აღიარება. ამ დასკვნის თავიდან ასაცილებლად ნაროდნიკები შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ი ს ი დ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა ს ა ც კი არ მოერიდნენ. ეს გასაოცარი იდეალიზაცია ძირითადი მხარეა ნაროდნიკული შეხედულებებისა მემამულური მეურნეობის ევოლუციაზე. ბ-ნი ვ. ვ. იმასაც კი წერს, რომ «ხალხი... სამიწათმოქმედო კულტურის ფორმისათვის ბრძოლაში გამარჯვებული რჩება, თუმცა მოპოვებულმა გამარჯვებამ კი-

დევ უფრო გააძლიერა მისი გაჩანაგებაო» («კაპიტალიზმის ბედი», გვ. 288). ასეთი «გამარჯვების» აღიარება უფრო რელიეფურია, ვიდრე დამარცხების აღიარება! საბატონო და შრომამიგებითი მეურნეობის დროს გლეხისათვის მიწის მიცემაში ბ-ნ ნ.—ონს დაუნახავს «მწარმოებლის და წარმოების საშუალებათა შეერთების» «პრინციპი», მაგრამ დავიწყებია ერთი პატარა გარემოება, რომ მიწის ეს მიცემა წარმოადგენდა მემამულისათვის მუშახელის უზრუნველყოფის საშუალებას. როგორც ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მარქსი, როცა ის ასწერს წინაკაპიტალისტური მიწათმოქმედების სისტემებს, ანალიზს უკეთებს ეკონომიურ ურთიერთობათა ყველა იმ ფორმას, რომელიც კი არსებობს რუსეთში, და გარკვევით უსვამს ხაზს, რომ წვრილი წარმოება და გლეხის კავშირი მიწასთან აუცილებელია როგორც შრომამიგებითი, ისე ნატურალური და ფულადი რენტის დროს. მაგრამ როგორ მოუვიდოდა მას აზრად — დამოკიდებული გლეხისათვის მიწის მიცემა გამოეცხადებინა მწარმოებლისა და წარმოების საშუალებათა საუკუნო კავშირის «პრინციპად»? ივიწყებს თუ არა ის თუნდაც ერთი წუთით, რომ ეს კავშირი მწარმოებლისა წარმოების საშუალებებთან შუა საუკუნეთა დროინდელი ექსპლოატაციის წყარო და პირობა იყო, რომ იგი განაპირობებდა ტექნიკურ და საზოგადოებრივ უძრაობას და აუცილებლად მოითხოვდა «გარეეკონომიური იძულების» ყოველნაირ ფორმას?

შრომამიგებისა და კაბალის სავსებით ანალოგიურ იდეალიზაციას ამჟღავნებენ ბბ. ორლოვი და კაბლუკოვი მოსკოვის საერობო სტატისტიკის «კრებულებში», როცა პოდოლის მაზრაში ვიღაც ქ-ნ კოსტინსკაიას კუთვნილ მეურნეობას სანიმუშო მეურნეობად ასაღებენ (იხ. ტ. V, ნაკვ. I, გვ. 175—176 და ტ. II, გვ. 59—62, განყ. II). ბ-ნ კაბლუკოვის აზრით, ეს მეურნეობა ამტკიცებს, რომ «შესაძლებელია საქმის ისე მოწყობა, რომელიც გამორიცხავს (sic!!) ასეთ დაპირისპირებას» (ე. ი. მემამულური და გლეხური მეურნეობის ინტერესთა დაპირისპირებას) «და ხელს შეუწ-

ყობს როგორც გლეხური, ისე კერძო მეურნეობის აყვავებას» (sic!) (ტ. V, ნაკვ. I, გვ. 175 — 176). თურმე, გლეხთა აყვავება გამოიხატება... შრომამიგებითა და კაბალით. მათ არა აქვთ საძოვრები დაპირუტყვის გასარეკი ადგილი (ტ. II, გვ. 60 — 61), — რაც ხელს არ უშლის ბბ. ნაროდნიკებს მიიჩნიონ ისინი «წესიერ» მეურნეებად, — ისინი იღებენ ამ სავარგულებს იჯარით დასამუშავებლად მიწათმფლობელი ქალისაგან, ასრულებენ «მის მამულში ყველა სამუშაოს... გულმოდგინედ, თავის დროზე და სწრაფად» *.

შეუძლებელია მეტი იდეალიზაცია იმ სამეურნეო სისტემისა, რომელიც საბატონო სისტემის პირდაპირ ნაშთს წარმოადგენს!

ყოველი ასეთი ნაროდნიკული მსჯელობის ხერხი ძალიან უბრალოა; საკმარისია დაივიწყო, რომ გლეხისათვის მიწის მიცემა არის საბატონო და შრომამიგებითი მეურნეობის ერთი პირობათაგანი, საკმარისია გვერდი აუარო იმ გარემოებას, რომ ეს ვითომც «დამოუკიდებელი» მიწათმოქმედი ვალდებულია იხადოს შრომამიგებითი, ნატურალური თუ ფულადი რენტა, — და ჩვენ მივიღებთ «წმინდა» იდეას «წარმოების საშუალებებთან მწარმოებლის კავშირის» შესახებ. მაგრამ კაპიტალიზმის ნამდვილი დამოკიდებულება ექსპლოატაციის წინაკაპიტალისტურ ფორმებთან სრულებით არ იცვლება ამ ფორმების უბრალო გვერდის ავლით **.

---

* შეად. ვოლგინი, დასახელ. თხზ., გვ. 280 — 281.

** «ამბობენ, რომ შრომამიგებითი იჯარის გავრცელება, ფულადის ნაცვლად... არის რეგრესული ფაქტი. განა ჩვენ ვამბობთ, რომ ეს სასურველი, ხელსაყრელი მოვლენაა? ჩვენ... არასოდეს არ გვიმტკიცებია, რომ ეს პროგრესული მოვლენაა», — განაცხადა ბ-მა ჩუპროვმა წიგნის — «მოსავლის გავლენა და სხვ.» ყველა ავტორის სახელით (იხ. თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებაში 1897 წ. 1 და 2 მარტს გამართული კამათის სტენოგრაფიული ანგარიში [77], გვ. 38). ეს განცხადება ფორმალურადაც არ არის სწორი, რადგან ბ-ნი კარიშევი (იხ. ზემოთ) შრომამიგებას გვიხატავდა როგორც «დახმარებას» სოფლის მოსახლეობისადმი. არსებითად კი, ეს განცხადება სავსებით ეწინააღმდეგება ყველა ნაროდნიკული თეორიის ნამდვილ შინაარსს, რამდენადაც ეს თეორიები შრომამიგების იდეალიზაციას შეი-

რამდენადმე შევჩერდეთ ბ-ნ კაბლუკოვის მეორე, ფრიად საგულისხმო, მსჯელობაზე. ჩვენ ვნახეთ, რომ ის აიდეალებს შრომამიგებას; მაგრამ შესანიშნავი ის არის, რომ როცა იგი, როგორც სტატისტიკოსი, ახასიათებს მოსკოვის გუბერნიის წმინდა კაპიტალისტურ მეურნეობათა ნამდვილ ტიპებს, მის გადმოცემაში, — მისივე ნების წინააღმდეგ, და დამახინჯებული სახით, — ისახება სწორედ ის ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ კაპიტალიზმის პროგრესულობას რუსეთის მიწათმოქმედებაში. ჩვენ ვთხოვთ მკითხველს ყურადღებას და წინასწარ ბოდიშს ვიხდით მის წინაშე რამდენადმე გრძელი ამონაწერების გამო.

ძველი ტიპების მეურნეობათა გარდა, სადაც ნებით დაქირავებულ შრომას იყენებენ, მოსკოვის გუბერნიაში არის კიდევ

«ახალი, ახლახან წარმოშობილი ტიპი მეურნეობათა, რომელთაც სავსებით უკუუგდიათ ყოველგვარი ტრადიცია და რომელნიც საქმეს ისე უბრალოდ მისდგომიან, როგორც უდგებიან ყოველგვარ წარმოებას, რომელიც შემოსავლის წყარო უნდა შეიქნეს. სოფლის მეურნეობას აქ უკვე აღარ უყურებენ როგორც... მეპატრონის გასართობს, როგორც ისეთ მოსაქმეობას, რომელსაც ყველას შეუძლია ხელი მოკიდოს... არა, აქ აუცილებელ საჭიროებად ითვლება... სპეციალური ცოდნა... გაანგარიშების საფუძველი» (წარმოების ორგანიზაციის შესახებ) «იგივეა, როგორც ყველა სხვა სახის წარმოებაში» («მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. V, ნაკვ. I, გვ. 185 — 186).

ცავენ. ბბ. ტ.-ბარანოვსკისა და სტრუვეს დიდ დამსახურებას შეადგენს პურის დაბალი ფასების მნიშვნელობის საკითხის სწორად დაყენება (1897 წ.): მათი შეფასების კრიტერიუმი ის უნდა იყოს, ხელს უწყობენ თუ არა ასეთი ფასები კაპიტალიზმის მიერ შრომამიგების გამოდევნას. ასეთი საკითხი, ცხადია, არის ფაქტის საკითხი, და ამ საკითხს ჩვენ რამდენადმე სხვანაირად ვუპასუხებთ, ვიდრე დასახელებული მწერლები. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მოყვანილია ტექსტში (იხ. განსაკუთრებით ამ თავის VII § და IV თავი), ჩვენ შესაძლებლად და სარწმუნოდაც კი მიგვაჩნია, რომ პურის დაბალი ფასების პერიოდი, პურის ადრინდელი მაღალი ფასების ისტორიულ პერიოდთან შედარებით, აღინიშნება კაპიტალიზმის მიერ შრომამიგების თუ მეტი არა, არანაკლებ ჩქარი გამოდევნით.

ბ-ნი კაბლუკოვი ვერც კი ამჩნევს, რომ ეს დახასიათება მეურნეობის ახალი ტიპისა, რომელიც სულ «ახლახან», 70-იან წლებში, «წარმოიშვა», ამტკიცებს სწორედ კაპიტალიზმის პროგრესულობას მიწათმოქმედებაში. პირველად სწორედ კაპიტალიზმმა გადააქცია მიწათმოქმედება «მებატონის გასართობიდან» ჩვეულებრივ მრეწველობად, პირველად სწორედ კაპიტალიზმმა აიძულა «უბრალოდ მისდგომოდნენ საქმეს», აიძულა «უკუეგდოთ ტრადიცია» და «სპეციალური ცოდნით» აღჭურვილიყვნენ. კაპიტალიზმამდე ეს საჭიროც არ იყო და შეუძლებელი იყო, რადგან ცალკეული მამულების, თემების, გლეხთა ოჯახების მეურნეობანი «თვითკმარნი იყვნენ», არ იყვნენ დამოკიდებულნი სხვა მეურნეობათაგან, და არავითარ ძალას არ შეეძლო გამოეყვანა ისინი საუკუნო უძრაობიდან. სწორედ კაპიტალიზმი იყო ის ძალა, რომელმაც შეჰქმნა (ბაზრის საშუალებით) ცალკე მწარმოებელთა წარმოების საზოგადოებრივი აღრიცხვა და რომელმაც აიძულა ისინი ანგარიში გაეწიათ საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებისათვის. სწორედ ამაში მდგომარეობს კაპიტალიზმის პროგრესული როლი ყველა ევროპული ქვეყნის მიწათმოქმედებაში.

მოვუსმინოთ შემდეგ, თუ როგორ ახასიათებს ბ-ნი კაბლუკოვი ჩვენს წმინდა კაპიტალისტურ მეურნეობებს:

«შემდეგ უკვე ანგარიშში მიიღება სამუშაო ძალა, როგორც ბუნებაზე ზემოქმედების აუცილებელი ფაქტორი, ურომლისოდაც მამულის ვერავითარი ორგანიზაცია ვერავითარ შედეგს ვერ მოგვცემს. ამრიგად, სცნობენ ამ ელემენტის მთელ მნიშვნელობას, მაგრამ ამავე დროს არ მიაჩნიათ იგი შემოსავლის დამოუკიდებელ წყაროდ, როგორც ეს იყო ბატონყმობის დროს ან როგორც ეს არის ახლაც იმ შემთხვევებში, როცა მამულის შემოსავლიანობას საფუძვლად ედება არა შრომის პროდუქტი, რომლის მიღება შრომის გამოყენების პირდაპირი მიზანია, არა მისწრაფება, რომ ეს შრომა მოხმარდეს უფრო მეტი ღირებულების მქონე პროდუქტების წარმოებას და ამ გზით ისარგებლონ მისი შედეგებით, არამედ პროდუქტის იმ ნაწილის შემცირებისადმი მისწრაფება, რომელსაც მუშა იღებს თავისთვის, სურვილი, რომ შრომის ღირებულება მეპატრონისათვის რაც შეიძლება ნოლამდე იქნას დაყვანილი» (186). აღნიშნავენ, რომ მეურნეობას ეწევიან ჩამონაჭრებისათვის. «ასეთ პირობებში შემოსავლიანობისათვის საჭირო არ არის

არც ცოდნა, არც მეპატრონის განსაკუთრებული თვისებები. ყველაფერი, რაც მიიღება ასეთი შრომით, უკვე შეადგენს მფლობელის წმინდა შემოსავალს ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთ შემოსავალს, რომელიც მიიღება საბრუნავი კაპიტალის თითქმის სრულიად დაუხარჯავად. მაგრამ ასეთი მეურნეობა, რა თქმა უნდა, კარგად ვერ წარიმართება, და მას არც შეიძლება ეწოდოს მეურნეობა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ისევე როგორც არ შეიძლება ეს სახელი ეწოდოს ყველა სავარგულის იჯარით გაცემას; აქ არ არის სამეურნეო ორგანიზაცია» (186). ავტორს მოჰყავს შრომამიგებაში ჩამონაჭრების გაცემის მაგალითები და დაასკვნის: «მეურნეობის სიმძიმის ცენტრი, მიწის შემოსავლის მიღების საშუალება მდგომარეობს არა მატერიასა და მის ძალებზე ზემოქმედებაში, არამედ მუშაზე ზემოქმედებაში» (189).

ეს მსჯელობა მეტად საინტერესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ დამახინჯებულად გამოიყურებიან ნამდვილი ფაქტები, როცა მათ მცდარი თეორიის თვალსაზრისით უყურებენ. ბ-ნი კაბლუკოვი ერთმანეთში ურევს წარმოებას და წარმოების საზოგადოებრივ წყობილებას. ყოველი საზოგადოებრივი წყობილების დროს წარმოება მდგომარეობს მუშის «ზემოქმედებაში» მატერიასა და მის ძალებზე. ყოველი საზოგადოებრივი წყობილების დროს მიწათმფლობელის «შემოსავლის» წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ ზედმეტი პროდუქტი. ორივე შემთხვევაში, წინააღმდეგ ბ-ნ კაბლუკოვის აზრისა, მეურნეობის შრომამიგების სისტემა სავსებით ერთგვაროვანია კაპიტალისტური სისტემისა. ნამდვილი განსხვავება კი მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ შრომამიგება აუცილებლად გულისხმობს შრომის მეტად დაბალ ნაყოფიერებას; ამიტომ შემოსავლის გასადიდებლად შეუძლებელია ზედმეტი პროდუქტის რაოდენობის გადიდება, ამისთვის რჩება მხოლოდ ერთი საშუალება: დაქირავების ყოველნაირი კაბალური ფორმის გამოყენება. პირიქით, წმინდა კაპიტალისტური მეურნეობის დროს დაქირავების კაბალური ფორმები უნდა გაქრეს, რადგან პროლეტარი, რომელიც მიწაზე მიჯაჭვული არ არის, კაბალისათვის უვარგისი ობიექტია; — შრომის ნაყოფიერების ზრდა არათუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც ხდება, როგორც ერთადერთი საშუალება შემოსავლის გადიდებისა და სასტიკი კონკურენციის ატანისა. ამნაირად,

ჩვენი წმინდა კაპიტალისტური მეურნეობების დახასიათება, - მოცემული სწორედ იმ ბ-ნ კაბლუკოვის მიერ, რომელიც ასე გულმოდგინედ ცდილობდა შრომამიგების იდეალიზებას, — სავსებით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რუსეთის კაპიტალიზმი ჰქმნის საზოგადოებრივ პირობებს, რომლებიც აუცილებლად მოითხოვენ მიწათმოქმედების რაციონალიზაციას და კაბალის მოსპობას, შრომამიგება კი, პირიქით, გამორიცხავს მიწათმოქმედების რაციონალიზაციის შესაძლებლობას, ამარადისებს ტექნიკურ უძრაობას და მწარმოებლის კაბალას. არაფერია იმაზე უფრო ქარაფშუტული, ვიდრე ნაროდნიკების ჩვეულებრივი ზეიმი იმის გამო, რომ კაპიტალიზმი ჩვენს მიწათმოქმედებაში სუსტია. მით უარესი, თუ ის სუსტია, რადგან ეს მოასწავებს მხოლოდ ექსპლოატაციის იმ წინაკაპიტალისტური ფორმების ძლიერებას, რომლებიც შეუდარებლად უფრო მძიმეა მწარმოებლისათვის.

VI. ენგელგარდტის მეურნეობის ისტორია

ნაროდნიკთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ენგელგარდტს. შრომამიგებისა და კაპიტალიზმის იმ შეფასების გაკრიტიკება, რომელსაც ის იძლევა, წინა პარაგრაფში ნათქვამის განმეორება იქნებოდა. გაცილებით უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ენგელგარდტის ნაროდნიკულ შეხედულებებს დავუპირისპიროთ ენგელგარდტისავე საკუთარი მეურნეობის ისტორია. ასეთ კრიტიკას დადებითი მნიშვნელობაც ექნება, რადგან ამ მეურნეობის ევოლუცია თითქოს მინიატურულად ასახავს რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის მთელი კერძომფლობელობითი მეურნეობის ევოლუციის ძირითად ნიშნებს.

როდესაც ენგელგარდტმა ხელი მოჰკიდა მეურნეობას, ეს მეურნეობა დამყარებული იყო ტრადიციულ შრომამიგებასა და კაბალაზე, რომლებიც შეუძლებელს ხდიან «წესიერ მეურნეობას» («წერილები სოფლიდან», 559). შრომამიგება განაპირობებდა ცუდ მეჯოგეობას, მიწის ცუდად დამუშავებას, მემინდვრეობის დაძველებული სისტემების ერთფეროვნებას

(118). «მე დავინახე, რომ ძველებურად მეურნეობის წარმოება... შეუძლებელია» (118). ტრამალის პურის კონკურენცია სცემდა ფასებს და არახელსაყრელს ხდიდა მეურნეობას (83) *. შევნიშნავთ, რომ მეურნეობაში შრომამიგების სისტემასთან ერთად თავიდანვე განსაზღვრულ როლს ასრულებდა კაპიტალისტური სისტემაც: დაქირავებული მუშები, თუმცა მეტად მცირე რაოდენობით, ძველი მეურნეობის დროსაც იყვნენ (პირუტყვის მომვლელი და სხვ.), და ენგელგარდტი ადასტურებს, რომ მისი მოჯამაგირის (იმ გლეხებიდან, რომელთაც მიღებული ჰქონდათ მიწა) ხელფასი «ზღაპრულად მცირე» იყო (11) — მცირე იმიტომ, რომ მეჯოგეობის ცუდი მდგომარეობის გამო «მ ე ტ ი ს მ ი ც ე მ ა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა». შრომის დაბალი ნაყოფიერება ხელფასის მომატების შესაძლებლობას სპობდა. ამნაირად, ენგელგარდტის მეურნეობაში ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ყველა რუსული მეურნეობის ჩვენთვის უკვე ცნობილი ნიშნები: შრომამიგება, კაბალა, შრომის მეტისმეტად დაბალი ნაყოფიერება, «გასაოცრად იაფი» საზღაური შრომისა, რუტინული მიწათმოქმედება.

რაში მდგომარეობს ის ცვლილებები, რომლებიც შეიტანა ამ წესებში ენგელგარდტმა? ის გადადის სელის — სავაჭრო-სამრეწველო მცენარის — თესვაზე, რაც ითხოვს დიდძალ მუშახელს. მაშასადამე, ძლიერდება მიწათმოქმედების საგაჭრო და კაპიტალისტური ხასიათი. მაგრამ როგორ იშოვოს მუშახელი? ენგელგარდტი თავდაპირველად ცდილობდა ახალ (სავაჭრო) მიწათმოქმედებაში გამოეყენებინა ძველი სისტემა: შრომამიგება. მაგრამ საქმე კარგად ვერ წავიდა, მუშაობდნენ ცუდად, «დესეტინობრივი შრომამიგება» აუტანელი აღმოჩნდა გლეხებისათვის, რომლებიც მთელი ძალით

* ის ფაქტი, რომ იაფფასიანი პურის კონკურენცია ტექნიკის გარდაქმნის და, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, შრომამიგების თავისუფალი დაქირავებით შეცვლის წამქეზებელ მიზეზს წარმოადგენს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ტრამალის პურის კონკურენცია თავს იჩენდა პურის მაღალი ფასების წლებშიც; დაბალი ფასების პერიოდი კი ამ კონკურენციას განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს.

ეწინააღმდეგებოდნენ «ნარდ» და კაბალურ მუშაობას. «საჭირო იყო სისტემის შეცვლა. ამ დროისათვის მე უკვე მოვლონიერდი, შევიძინე ცხენები, მოსართი, ურმები, სახნისები, ფარცხები და შემეძლო უკვე მომეწყო მოჯამაგირიანი მეურნეობა. მე დავიწყე სელის დამუშავება ნაწილობრივ ჩემი მოჯამაგირეების საშუალებით, ნაწილობრივ ნარდად, განსაზღვრულ სამუშაოებზე დაქირავებით» (218). ამგვარად, მეურნეობის ახალ სისტემაზე და სავაჭრო მიწათმოქმედებაზე გადასვლა მოითხოვდა შრომამიგების კაპიტალისტური სისტემით შეცვლას. შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით ენგელგარდტმა მიმართა კაპიტალისტური წარმოების ნაცად საშუალებას: საცალო მუშაობას. ქალებს ქირაობდა ბულულობით და ფუთობით სამუშაოდ, და ენგელგარდტი (რამდენადმე გულუბრყვილო აღტაცებით) მოგვითხრობს ამ სისტემის გამარჯვების ამბავს; დამუშავების ღირებულებამ აიწია (25 მანეთიდან 1 დესეტინაში — 35 მანეთამდე), სამაგიეროდ აიწია შემოსავალმაც 10 — 20 მანეთით, გაიზარდა მუშა ქალების შრომის ნაყოფიერება კაბალური მუშაობიდან ნებით დაქირავებულ მუშაობაზე გადასვლით (20 გირვანქიდან ერთ ღამეში 1 ფუთამდე), გადიდდა მათი ხელფასი 30 — 50 კაპ.-მდე დღეში («ჩვენს მიდამოებში გაუგონარი ხელფასია»). ადგილობრივმა მეფართლე-ვაჭარმა გულწრფელად შეაქო ენგელგარდტი: «სელის წარმოებით ვაჭრობა დიდად გამოაცოცხლეთო» (219).

ნებით დაქირავებული შრომა, რომელიც პირველად სავაჭრო მცენარის დასამუშავებლად იყო გამოყენებული, თანდათან გავრცელდა სხვა სასოფლო-სამეურნეო ოპერაციებზე. ერთ-ერთი პირველი ოპერაცია, რომელიც კაპიტალმა ჩამოართვა შრომამიგებას, ლეწვა აღმოჩნდა. ცნობილია, რომ საზოგადოდ ყველა კერძომფლობელობითს მეურნეობაშიც ეს სამუშაო უფრო ხშირად კაპიტალისტურად სრულდება. «მიწის ერთ ნაწილს, — წერდა ენგელგარდტი, — მე ვაძლევ გლეხებს წრეებად დასამუშავებლად, რადგან სხვანაირად გამიძნელდებოდა ჰვავის მომკისათვის თავი გამერთვა» (211).

მაშასადამე, შრომამიგება წარმოადგენს პირდაპირ გადასვლას კაპიტალიზმისაკენ და უზრუნველჰყოფს პატრონისათვის დღიური მუშების შრომას გაცხარებული მუშაობის დროს. თავდაპირველად წრეების დამუშავება იცემოდა გალეწვასთან ერთად, მაგრამ მუშაობის ცუდმა ხარისხმა აქაც აუცილებელი გახადა ნებით დაქირავებულ შრომაზე გადასვლა. წრეების დამუშავება უკვე გალეწვის გამოკლებით იცემოდა, გალეწვა კი სრულდებოდა ნაწილობრივ მოჯამაგირეების შრომით, ხოლო ნაწილობრივ ნარდად იცემოდა მოიჯარადრეზე, რომელსაც დაქირავებული მუშების არტელი ჰყავდა. აქაც შრომამიგების კაპიტალისტური სისტემით შეცვლის შედეგი იყო: 1) შრომის ნაყოფიერების გადიდება: წინათ 9 ასეულის გალეწვას დღეში 16 კაცი უნდებოდა, ახლა კი 8 კაცი ლეწავს 11 ასეულს; 2) ნალეწის გადიდება; 3) ლეწვის დროის შემცირება; 4) მუშის გასამრჯელოს მომატება; 5) მეპატრონის მოგების მომატება (212).

შემდეგ, კაპიტალისტური სისტემა მიწის დამუშავების ოპერაციებსაც მოიცავს. ძველი კავის მაგიერ ხმარებაში შემოდის გუთანი, და სამუშაო დაკაბალებული გლეხისაგან მოჯამაგირის ხელში გადადის. ენგელგარდტი ზეიმით იუწყება ახალი წესის წარმატებას, მუშების კეთილსინდისიერებას და სავსებით სამართლიანად ამტკიცებს, რომ მუშისათვის ჩვეულებრივად სიზარმაცისა და არაკეთილსინდისიერების დაბრალება «ბატონყმური დაღის» და «ბატონისათვის» კაბალური მუშაობის შედეგია, რომ მეურნეობის ახალი ორგანიზაცია მეპატრონისგანაც მოითხოვს თაოსნობას, ადამიანთა ცოდნას და მათთან მოპყრობის უნარს, მუშაობის და მისი ზომის ცოდნას, მიწათმოქმედების ტექნიკური და კომერციული მხარის გაცნობას, — ე. ი. ისეთ თვისებებს, რომლებიც არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ ბატონყმური და კაბალური სოფლის ობლომოვებს. სხვადასხვანაირი ცვლილებები მიწათმოქმედების ტექნიკაში ერთიმეორესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და აუცილებლად იწვევს ეკონომიკის გარდაქმნასაც. «ვთქვათ, თქვენ შემოიღეთ, მაგალითად, სელის და იონ-

ჯის თესვა, — მაშინვე საჭირო შეიქნება მრავალი სხვა ცვლილების შემოღება და, თუ ცვლილებანი არ მოვახდინეთ, საქმე ხეირიანად ვერ წავა. საჭირო გახდება სახნავი იარაღების შეცვლა და კავის მაგიერ გუთნისა, ხის ფარცხის მაგიერ რკინის ფარცხის ხმარება, ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს სხვანაირ ცხენებს, სხვაგვარ მუშებს, მეურნეობის სხვაგვარ სისტემას მუშების დაქირავების მიმართ და ა. შ.» (154 — 155).

ამრიგად, მიწათმოქმედების ტექნიკის შეცვლა განუყრელად დაკავშირებული აღმოჩნდა კაპიტალიზმის მიერ შრომამიგების გამოდევნასთან. ამასთან განსაკუთრებით საინტერესოა ამ გამოდევნის თანდათანობა: მეურნეობის სისტემა წინანდებურად აერთებს შრომამიგებასა და კაპიტალიზმს, მაგრამ სიმძიმის ცენტრი თანდათან გადადის პირველიდან მეორეზე. აი როგორი იყო ენგელგარდტის გარდაქმნილი მეურნეობის ორგანიზაცია:

«ახლა მე აუარებელი სამუშაო მაქვს, რადგან შევცვალე მეურნეობის მთელი სისტემა. მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს მოჯამაგირეები და დღიური მუშები ასრულებენ. სამუშაო სულ სხვადასხვანაირია: უვარგის ბუჩქნარიან ადგილებსაც ვწვავ პურის დასათესად, არყნალსაც ვასუფთავებ სელისათვის, მდელოებიც ავიღე დნეპრზე, სამყურაც დავთესე, ჭვავიც უთვალავი და სელიც აუარებელია. მრავალი მუშახელია საჭირო. მომუშავეები რომ იყოლიო, საჭიროა ადრევე დაიჭირო თადარიგი, იმიტომ რომ, როცა მუშაობის დრო დადგება, ყველას სამუშაო ექნება ან შინ, ანდა სხვა მეურნეობაში. მუშახელის ასეთი შეგროვება სწარმოებს ფულისა და პურის წინასწარი გაცემით მომავალი მუშაობის ანგარიშში» (116 — 117).

მაშასადამე, შრომამიგება და კაბალა «წესიერად» დაყენებულ მეურნეობაშიც დარჩენილა. მაგრამ, ჯერ ერთი, მათ დაუკავებიათ უკვე დაქვემდებარებული ადგილი ნებით დაქირავების მიმართ, და, მეორეც, — თვით შრომამიგებას შეუცვლია სახე, დარჩენილა უმთავრესად მეორე სახის შრომა-

მიგება, რომელიც გულისხმობს არა გლეხ-მეპატრონეებს, არამედ სასოფლო-სამეურნეო მოჯამაგირეებს და დღიურ მუშებს.

ამგვარად, ენგელგარდტის საკუთარი მეურნეობა ყოველ-გვარ მსჯელობაზე უკეთ აბათილებს ენგელგარდტის ნაროდ-ნიკულ თეორიებს. მან მიზნად დაისახა რაციონალური მე-ურნეობის მოწყობა, მაგრამ არსებულ საზოგადოებრივ-ეკონო-მიურ ურთიერთობათა პირობებში ეს სხვანაირად ვერ შეს-ძლო, თუ არა მოჯამაგირიანი მეურნეობის ორგანიზაციით. მიწათმოქმედების ტექნიკის განვითარება და შრომამიგე-ბის გამოდევნა კაპიტალიზმის მიერ ამ მეურნეობაში ერთსა და იმავე დროს ხდებოდა, — სწორედ ისე, როგორც ეს ერთსა და იმავე დროს ხდება საზოგადოდ რუსეთის ყველა კერძომფლობელობითს მეურნეობაში. ამ პროცესს განსაკუთ-რებული სიცხადით ამჟღავნებს რუსეთის სოფლის მეურ-ნეობაში მანქანების გამოყენება.

VII. მანქანების გამოყენება სოფლის მეურნეობაში

რეფორმისშემდგომი ეპოქა სასოფლო-სამეურნეო მან-ქანათმშენებლობისა და სოფლის მეურნეობაში მანქანების გამოყენების განვითარების მხრით იყოფა ოთხ პერიოდად *. პირველი პერიოდი მოიცავს უკანასკნელ წლებს საგლეხო

* იხ. «რუსეთის მრეწველობის ისტ.-სტატ. მიმოხილვა», ტ. I. სპბ. 1883 წ. (გამოცემა 1882 წლის გამოფენისათვის), ვ. ჩერნიავევის სტატია: «სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა». — იგივე, ტ. II. სპბ. 1886, IX ჯგუფში. — «რუსეთის სოფლისა და ტყის მეურნეობა» (სპბ. 1893, გამოცემა ჩიკაგოს გამოფენისათვის), ბ-ნ ვ. ჩერნიავევის სტატია: «სამიწათ-მოქმედო იარაღები და მანქანები» — «რუსეთის საწარმოო ძალები» (სპბ. 1896, გამოც. 1896 წლის გამოფენისათვის), ბ-ნ ლენინის სტატია: «სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები» (განყ. I). — «ვესტნიკ ფი-ნანსოვ», 1896, № 51 და 1897, № 21. — ვ. რ ა ს ტ ო პ ი ნ ი, ციტირე-ბული სტატია. მხოლოდ უკანასკნელი სტატია აყენებს საკითხს პოლიტი-კურ-ეკონომიურ ნიადაგზე, ყველა წინანდელი სტატია კი დაწერილია სპეციალისტ-აგრონომების მიერ.

რეფორმამდე და პირველ წლებს მის შემდეგ. მემამულეები მიეტანენ საზღვარგარეთული მანქანების ყიდვას, რომ ამით ყმების «მუქთი» შრომა მათთვის საჭირო აღარ ყოფილიყო და თავიდან აეცილებინათ თავისუფალი მუშების დაქირავების სიძნელენი. ეს ცდა, რასაკვირველია, მარცხით დასრულდა; ამ გატაცებამ მალე გაიარა, და 1863—1864 წლებიდან მოთხოვნილება საზღვარგარეთის მანქანებზე დაეცა. 70-იანი წლების მიწურულიდან დაიწყო მეორე პერიოდი, რომელიც 1885 წლამდე გრძელდებოდა. ეს პერიოდი ხასიათდება საზღვარგარეთიდან მანქანების შემოტანის უაღრესად წესიერი და უაღრესად ჩქარი ზრდით; მანქანების შინაური წარმოებაც იზრდება წესიერად, მაგრამ უფრო ნელა, ვიდრე შემოტანა. 1881 წლიდან 1884 წლამდე სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოტანა განსაკუთრებული სიჩქარით იზრდებოდა, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ 1881 წელს გააუქმეს თუჯისა და რკინის უბაჟო შემოტანა იმ ქარხნების საჭიროებისათვის, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ამზადებდნენ. მესამე პერიოდი — 1885 წლიდან 90-იანი წლების დამდეგამდე. სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომლებიც აქამდე უბაჟოდ შემოჰქონდათ, აღნიშნულ წელს დაედო ბაჟი (50 კაპ. ოქროთი ფუთზე). მაღალი ბაჟი ძალიან ამცირებს მანქანების შემოტანას, ამასთან სასოფლო-სამეურნეო კრიზისის გამო, რომლის დასაწყისი სწორედ ამ პერიოდზე მოდის, მანქანების შინაური წარმოებაც ნელა ვითარდება. ბოლოს, 1890-იანი წლების დამდეგიდან იწყება, როგორც ჩანს, მეოთხე პერიოდი, როცა ისევ მატულობს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოტანა და განსაკუთრებული სისწრაფით იზრდება მათი შინაური წარმოება.

მოგვყავს სტატისტიკური ცნობები ნათქვამის საილუსტრაციოდ. საზღვარგარეთიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა პერიოდობით:

პერიოდები		ათასობით ფუთი	ათასობით მან.
1869 — 1872	წლები	259,4	787,9
1873 — 1876	»	566,3	2 283,9
1877 — 1880	»	629,5	3 593,7
1881 — 1884	»	961,8	6 318
1885 — 1888	»	399,5	2 032
1889 — 1892	»	509,2	2 596
1893 — 1896	»	864,8	4 668

რუსეთში სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების წარმოების შესახებ, სამწუხაროდ, არ არსებობს ასეთი სრული და ზუსტი ცნობები. ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის არადამაკმაყოფილებლობა, საზოგადოდ მანქანების წარმოების არევა სახელდობრ სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებასთან, სასოფლო-სამეურნეო მანქანების «საფაბრიკო-საქარხნო» წარმოებისა და «შინამრეწველური» წარმოების ერთმანეთისაგან გამიჯვნის რაიმე მტკიცედ დადგენილი წესების უქონლობა, — ყველაფერი ეს შეუძლებლად ხდის წარმოვიდგინოთ რუსეთში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების სრული სურათი. ზემოთ დასახელებული წყაროების მონაცემებს რომ თავი მოვუყაროთ, მივიღებთ რუსეთში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების ასეთ სურათს:

სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების წარმოება, შემოტანა და მოხმარება

წლები	პოლონეთის საგუბერნიოში	ბალტიისპირეთის 3 გუბერნიაში	სამხრეთის 3 გუბ.: დონის, ყუბ., ტავრ.	ევროპიული რუსეთის დანარჩენ გუბერნიებში	სულ ევრო. რუსეთის 50 გუბერნიაში და ციხეთ.	საზღვარგარეთიდან -სულ. მანქანების შემოტანა	სას.-სამ. მარქანების მოხმარება
	ათას მანეთობით						
1876	646	415	280	988	2 329	1 628	3 957
1879	1 088	433	557	1 752	3 830	4 000	7 830
1890	496	217	2 860	1 971	5 046	2 519	7 565
1894	881	314	6 183	2 567	9 445	5 194	14 639

ამ ცნობებიდან ჩანს, თუ რა ძლიერად სწარმოებს პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებული

იარაღებით გამოდევნის პროცესი (და, მაშასადამე, მეურნეობის პრიმიტიული ფორმების კაპიტალიზმის მიერ გამოდევნის პროცესი). 18 წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოხმარება გაიზარდა $3^1/_2$-ჯერ და უფრო მეტად, და ეს უმთავრესად მოხდა შინაგანი წარმოების ზრდის ანგარიშზე, რომელიც 4-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა. საგულისხმოა აგრეთვე ამ წარმოების მთავარი ცენტრის გადასვლა ვისლისპირა და ბალტიისპირა გუბერნიებიდან სამხრეთ რუსეთის ველიან გუბერნიებში. თუ 70-იან წლებში რუსეთის სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის მთავარი ცენტრი დასავლეთი განაპირა მხარის გუბერნიები იყო, 1890-იან წლებში სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის კიდევ უფრო თვალსაჩინო რაიონები გაჩნდა წმინდა რუსულ გუბერნიებში *.

საჭიროა დავძინოთ ახლა მოყვანილი მონაცემების გამო, რომ, თუმცა ისინი დაფუძნებულია ოფიციალურ (და, რამდენადაც ვიცით, ერთადერთ) ცნობებზე ამ საკითხის შესახებ, მაინც მოკლებულნი არიან სისრულეს და სავსებით როდი შეიძლება მათი შედარება სხვადასხვა წლების მიხედვით. 1876—1879 წლების შესახებ არის ცნობები, საგანგებოდ შეკრებილი 1882 წ. გამოფენისთვის; ისინი გამოირჩევიან ყველაზე მეტი სისრულით და მოიცავენ სასოფლო-სამეურნეო იარაღების არათუ «საქარხნო», არამედ «შინამრეწველურ» წარმოებასაც; 1876—1879 წწ. ევროპულ რუსეთში პოლონეთთან ერთად საშუალოდ ითვლიდნენ 340 დაწესებულებას, მაშინ როცა «საფაბრიკო-საქარხნო» სტატისტიკის ცნობებით 1879 წელს ევროპულ რუსეთში იყო არა უმეტეს 66 ქარხნისა, რომლებიც ამზადებდნენ სასოფლო-

* თუ როგორ შეიცვალა ვითარება ამ ბოლო დროს, ამის ნათელსაყოფად მოგვყავს 1900—1903 წლების ცნობები «ეუეგოდნიკ როსსიიდან» (გამოც. ცენტ. სტატ. კომ. სპბ. 1906). სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება იმპერიაში აქ ნაანგარიშევია 12 058 ათას მანეთად, საზღვარგარეთიდან შემოტანა კი 1902 წ. — 15 240 ათას მან., 1903 წ. — 20 615 ათას მან. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

სამეურნეო მანქანებსა და იარაღებს (გამოანგარიშებულია ორლოვის 1879 წლის «ფაბრიკა-ქარხნების საძიებლის» მიხედვით). ამ ციფრების უზარმაზარი განსხვავება იმით აიხსნება, რომ 340 დაწესებულების რიცხვში ჩათვლილი იყო ერთ მესამედზე ნაკლები (100) ისეთები, რომელთაც აქვთ ორთქლის ძრავი, და ნახევარზე მეტი (196) ისეთები, სადაც მუშაობა მხოლოდ ხელით სწარმოებს; 340 დაწესებულებიდან 236-ს არა ჰქონდა თავისი თუჯჩამომსხმელები და ისინი თუჯის ნაწილებს სხვაგან ასხმევინებდნენ («ისტ.-სტატ. მიმოხილვა», l. c.). ამავე დროს, 1890 და 1894 წლების ცნობები ამოღებულია «რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მონაცემთა ნაკრებიდან» (ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპ.-ტის გამოცემა)*. ეს ცნობები მთლიანად არ მოიცავენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების «საქარხნო» წარმოებასაც კი; მაგალითად, 1890 წლის «ნაკრები» ევროპულ რუსეთში ითვლიდა 149 ქარხანას ამ წარმოებაში, მაშინ როცა ორლოვის «საძიებელში» დასახელებულია 163-ზე მეტი ქარხანა, რომლებიც ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და იარაღებს; 1894 წელს პირველი ცნობებით ევროპულ რუსეთში ითვლიდნენ 164 ამგვარ ქარხანას («ვესტნ. ფინ.», 1897, № 21, გვ. 544), «ფაბრიკა-ქარხნების სიის» მიხედვით კი 1894/95 წ. არის 173 ქარხანაზე მეტი, რომლებიც ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და იარაღებს. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების წვრილ, «შინამრეწველურ» წარმოებას, ის სრულებით არ შედის ამ ცნობებში**. ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ 1890

* 1897 წ. «ვესტ. ფინანსოვ»-ში, № 21, ეს ცნობები დაპირისპირებულია 1888 — 1894 წწ. მიმართ, მაგრამ მათი წყარო ზუსტად არ არის ნაჩვენები.

** სამიწათმოქმედო იარაღების დამამზადებელი და შემკეთებელი სახელოსნო 1864 წელს სულ ითვლებოდა 64; 1871 — 112; 1874 — 203; 1879 — 340; 1885 — 435; 1892 — 400 და 1895 — 400-მდე («რუსეთის სოფლისა და ტყის მეურნეობა», გვ. 358 და «ვესტ. ფინ.», 1896, № 51). «ნაკრები» კი 1888 — 1894 წწ. სთვლიდა მხოლოდ 157 — 217 (7 წლის განმავლობაში საშუალოდ 183) ამგვარ ქარხანას. აი მაგალითი, რომელიც

და 1894 წწ. ცნობები გაცილებით უფრო ნაკლებს აჩვენებენ, ვიდრე სინამდვილეშია; ამას ადასტურებენ სპეციალისტებიც, რომელთა გამოანგარიშებით 1890-იანი წლების დამდეგს რუსეთში დაახლოებით 10 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები მზადდებოდა («სოფლისა და ტყის მეურნეობა», 359), ხოლო 1895 წ. — დაახლოებით 20 მილიონი მან. («ვესტ. ფინ.», 1896, № 51).

მოვიყვანოთ რამდენადმე უფრო დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რაგვარი და რამდენი სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი მზადდებოდა რუსეთში. ანგარიშობენ, რომ 1876 წ. მზადდებოდა 25 835 იარაღი, 1877 წ. — 29 590; 1878 — 35 226; 1879 — 47 892 სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი. თუ რამდენად უკან მოტოვებულია ახლა ეს ციფრები, ჩანს შემდეგი ცნობებიდან. 1879 წ. გუთანი დამზადდა დაახლოებით $14^1/_2$ ათასი, 1894 წ. კი — $75^1/_2$ ათასი («ვესტ. ფინ.», 1897, № 21). «თუ ხუთი წლის წინათ გლეხურ მეურნეობებში გუთნების გასავრცელებლად ზომების მიღების საკითხი ისეთ საკითხს წარმოადგენდა, რომელიც გადაჭრას მოითხოვდა, ახლა ის თავისთავად გადაწყდა. ამა თუ იმ გლეხის მიერ გუთნის ყიდვა აღარ წარმოადგენს რაიმე გასაკვირველს, არამედ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, და ახლა გუთნების ყოველწლიური რაოდენობა, რომლებსაც იძენენ გლეხები, ათასობით დაითვლება»*. აუარებელი პრი-

ასურათებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების «საქარხნო» და «შინამრეწველური» წარმოების თანაფარდობას: 1894 წ. პერმის გუბერნიაში ითვლებოდა მხოლოდ 4 «ქარხანა» და მათი წარმოების თანხა უდრიდა 28 ათას მან., მაშინ როცა ამ დარგის «შინამრეწველური დაწესებულება» 1894/95 წ. აღწერით იყო 94 და მათი წარმოების თანხა უდრიდა 50 ათას მან., ამასთან «შინამრეწველურ დაწესებულებათა» ჯგუფში მოექცა ისეთებიც, რომელთაც, მაგალითად, 6 დაქირავებული მუშა ჰყავთ და რომელთა წარმოების თანხა აღემატება 8 ათას მან. («პერმის გუბერნიის შინამრეწველობის მდგომარეობის ნარკვევი». პერმი, 1896).

* «რუსეთის შინამრეწველობის ანგარიშები და გამოკვლევები». სახელმწ. ქონებათა სამინისტროს გამოც., ტ. I, სპბ. 1892, გვ. 202. გუთნების გლეხური წარმოება ამავე დროს ეცემა, რადგან ის ვერ უძლებს საქარხნო წარმოებას.

მიტიული სამიწათმოქმედო იარაღი, რომელსაც ხმარობენ რუსეთში, ჯერ კიდევ ფართო სარბიელს უტოვებს გუთნების წარმოებასა და გასაღებას*. გუთნის ხმარების პროგრესმა ელექტრობის მოხმარების საკითხიც კი წამოაყენა. «ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა» (1902, № 6) იტყობინება, რომ მეორე ელექტროტექნიკურ ყრილობაზე «დიდი ინტერესი გამოიწვია ვ. ა. რჟევსკის მოხსენებამ — «ელექტრობა სოფლის მეურნეობაში»». მომხსენებელმა მშვენივრად შესრულებული ნახატებით დაასურათა, თუ როგორ ამუშავებენ გერმანიაში გუთნით ყანას ელექტრონის ენერგიის საშუალებით და თავისი პროექტიდან და გაანგარიშებიდან, რაც მას შეუდგენია ერთი მემამულის წინადადებით ერთ-ერთ სამხრეთ გუბერნიაში არსებული მისივე მამულისათვის, მოიყვანა ციფრობრივი ცნობები ამ წესით ყანების დამუშავების ეკონომიურობის შესახებ. პროექტით ყოველწლიურად უნდა დახნულიყო 540 დეს.; აქედან ერთი ნაწილი — ორჯერ წელიწადში. ხვნის სიღრმე — $4^1/_2$ — 5 ვერშოკი; ნიადაგი — წმინდა შავი მიწა. გუთნების გარდა პროექტით გათვალისწინებულია მანქანების მოწყობილობა სხვა სამინდვრე სამუშაოებისთვის, აგრეთვე სალეწავი და წისქვილი, უკანასკნელი 25-ძალიანი, ყოველწლიურად ორ ათას საათს მომუშავე. მომხსენებლის გამოანგარიშებით, მამულის მთელი მოწყობილობა, ექვს ვერსზე ჰაერში 50 მილიმეტრი სისქის მავთულის გაყვანით, ჯდება 41 000 მანეთი. ერთი დესეტინის დახვნა, თუ წისქვილიც იქნება მოწყობილი, დაჯდება 7 მ. 40 კ., უწისქვილოდ — 8 მ. 70 კ. აღმოჩნდა, რომ მუშახელის, პირუტყვის და სხვ. ადგილობრივი ფასების მიხედვით ელექტრონული მოწყობილობის დროს პირველ შემთხვევაში ეკონომია უდრის 1 013 მან., მეორე შემთხვევაში კი, უწისქვილოდ, უფრო ნაკლები ენერგიის მოხმარების დროს, ეკონომია გამოიხატება 966 მანეთით.

სალეწავებისა და სანიავებლების წარმოებას არ ემჩნევა ასეთი სწრაფი გადატრიალება, რადგან ის უკვე დიდი ხანია

* «რუსეთის სოფლისა და ტყის მეურნეობა», გვ. 360.

შედარებით მტკიცედ არის დამკვიდრებული*. განსაკუთრებული ცენტრიც კი შეიქმნა ამ იარაღების «შინამრეწველური» წარმოებისათვის — რიაზანის გუბერნიის ქალ. საპოჟოკი გარშემო სოფლებით, და გლეხური ბურჟუაზიის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა ამ «სარეწით» საკმაო ფული შეიძინეს (შეად. «ანგარიშები და გამოკვლევები», I, 208—210). განსაკუთრებული სიჩქარით ფართოვდება სამკელების წარმოება. 1879 წ. მათი წარმოება უდრიდა დაახლოებით 780 ცალს წელიწადში; 1893 წ. სთვლიდნენ, რომ წელიწადში ეს სამკელები საღდება 7—8 ათასი ცალი, ხოლო 1894/95 წ.— 27 ათას ცალამდე. მაგალითად, 1895 წელს თავრიდის გუბერნიის ქ. ბერდიანსკში არსებულმა დ. გრიეზის ქარხანამ, რომელიც «ევროპაში უდიდეს ქარხანად ითვლება ამ წარმოებაში» («ვესტნ. ფინ.», 1896, № 51, ე. ი. სამკელების წარმოებაში), — დაამზადა 4 464 სამკელი. თავრიდის გუბერნიის გლეხობაში სამკელები ისეა გავრცელებული, რომ ცალკე ხელობად გადაიქცა სხვისი პურის მანქანებით აღება**.

---

* 1879 წელს მზადდებოდა $4^1/_2$ ათასამდე სალეწავი, 1894—1895 — დაახლოებით $3^1/_2$ ათასი. უკანასკნელი ციფრი არ მოიცავს შინამრეწველურ წარმოებას.

** 1893 წ., მაგალითად, «ფალც-ფეინის (მფლობელია 200 000 დესეტინისა) უსპენსკის ეკონომიაში მოგროვდა 700 გლეხური მანქანა სამუშაოს მიღების მიზნით, მაგრამ დაქირავებულ იქნა მხოლოდ 350, დანარჩენი კი უშედეგოდ გაბრუნდა უკან» (Шховскои: «სასოფლო-სამეურნეო გარეწაოეწები». მ. 1896, გვ. 161). მაგრამ სხვა ველიან გუბერნიებში, განსაკუთრებით ვოლგისიქითა გუბერნიებში, სამკელები ჯერ სუსტად არის გავრცელებული. თუმცაღა, ამ უკანასკნელ წლებში ეს გუბერნიებიც ძალიან მიისწრაფიან დაეწიონ ნოვოროსიას. ასე. სიზრან-ვიაზმის რკინიგზით გადატანილი იყო სამიწათმოქმედო მანქანები, ლოკომობილები და მათი ნაწილები: 1890 წელს — 75 ათასი ფუთი; 1891 წ. — 62 ათასი ფუთი; 1892 წ. — 88 ათასი ფუთი; 1893 წ. — 120 ათასი ფუთი და 1894 წ. — 212 ათასი ფუთი, ე. ი. რაღაც ხუთი წლის განმავლობაში გადაზიდვა გაიზარდა თითქმის სამჯერ. სადგურ უხოლოვოს 1893 წელს გაუგზავნია ადგილობრივი წარმოების სამიწათმოქმედო მანქანები დაახლოებით 30 ათასი ფუთი, 1894 წ. — დაახლოებით 82 ათასი ფუთი, მაშინ როცა 1892 წლამდე, — ამ წლის ჩართვით, — სასოფლო-სამეურნეო მანქანების გადაგზავნა ამ სადგურიდან 10

ამგვარივე ცნობები არსებობს კიდევ სხვა, უფრო ნაკლებად გავრცელებული სამიწათმოქმედო იარაღების შესახებ. მაგალითად, მობნევით მთესველი მანქანები უკვე მზადდება ათობით ქარხანაში, უფრო გაუმჯობესებული მწკრივადმთესველი მანქანები კი, რომლებიც 1893 წელს მხოლოდ ორ ქარხანაში მზადდებოდა («სოფლისა და ტყის მეურნეობა», 360), ახლა უკვე მზადდება შვიდ ქარხანაში («საწარმოო ძალები», I, 51) და მათი პროდუქცია ძალიან ფართოდ ვრცელდება ისევ სამხრეთ რუსეთში. მანქანების გამოყენება მოიცავს სამიწათმოქმედო წარმოების ყველა დარგს და ცალკეული პროდუქტების წარმოების ყველა ოპერაციას: სპეციალურ მიმოხილვებში მოყვანილია ცნობები სანიავებლების, დამხარისხებლების, მარცვალსაწმენდი მანქანების (ტრიერების), მარცვალსაშრობი მანქანების, თივის წნეხების, სელსათელების და სხვ. გავრცელების შესახებ. ფსკოვის გუბერნიის ერობის გამგეობის გამოცემაში: 1898 წ. «სოფლის მეურნეობაზე მოხსენების დანართში» («სევერნი კურიერ», 1889, №32) აღნიშნულია მანქანების, განსაკუთრებით სელსათელების გავრცელება, მოხმარებითი მესელეობიდან სავაჭრო მესელეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. იზრდება გუთნების რაოდენობა. შემჩნეულია ადგილებიდან მუშახელის გასვლის ზეგავლენა

ათას ფუთსაც კი არ აღწევდა წელიწადში. «უხოლოვოდან იგზავნება უმთავრესად სალეწავები, რომლებსაც ამზადებენ სოფელ კანინოში, სოფელ სმიკოვოში და ნაწილობრივ რიაზანის გუბერნიის სამაზრო ქალაქ საპოჟოკში. სოფ. კანინოში არის სამი თუჯჩამომსხმელი ქარხანა, რომლებიც ეკუთვნის ერმაკოვს, კარევს და გოლიკოვს და რომლებიც უმთავრესად სამიწათმოქმედო მანქანების ნაწილებს აკეთებენ. მანქანების საბოლოო გამართვა-აწყობაზე ორივე ზემოთ დასახელებულ სოფელში (კანინო და სმიკოვო) თითქმის ყველა მუშაობს» («სიზრან-ვიაზმის რკინიგზის 1894 წლის კომერციული საქმიანობის მოკლე მიმოხილვა». ნაკვ. IV. კალუგა, 1896, გვ. 62 — 63). ამ მაგალითში საინტერესოა, ჯერ ერთი, ფაქტი წარმოების უზარმაზარი ზრდისა, სწორედ უკანასკნელ წლებში — პურის დაბალი ფასების წლებში; მეორეც, «საფაბრიკო-საქარხნო» და ეგრეთწოდებული «შინამრეწველური» წარმოების კავშირის ფაქტი. «შინამრეწველური» წარმოება პირდაპირ ფაბრიკის «გარეგანყოფილებას» წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაოდენობის ზრდაზე და ხელფასის მომატებაზე. სტავროპოლის გუბერნიაში (იქვე, № 33), იმიგრაციის ზრდასთან დაკავშირებით, ძალიან ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო მანქანები. 1882 წ. იყო 908 ასეთი მანქანა; 1891 — 1893 წწ. საშუალოდ — 29 275; 1894 — 1896 წწ. საშუალოდ — 54 874; 1895 წ. — 64 ათასამდე სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი.

მანქანების გამოყენების ზრდა, ბუნებრივია, იწვევს მოთხოვნილებას მექანიკურ ძრავებზეც: ორთქლის მანქანებთან ერთად «ჩვენს მეურნეობებში უკანასკნელ დროს ფართოდ ვრცელდება ნავთის ძრავები» («საწარმოო ძალები», I, 56), და მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ პირველი ასეთი ძრავი მხოლოდ 7 წლის წინათ გაჩნდა, — ჩვენ უკვე გვაქვს 7 ქარხანა, რომლებიც მათ ამზადებენ. ხერსონის გუბერნიაში 70-იან წლებში ითვლებოდა მხოლოდ 134 ლოკომობილი სოფლის მეურნეობისათვის («მასალები ორთქლის ძრავების სტატისტიკისათვის რუსეთის იმპერიაში». სპბ. 1882), 1881 წ. — დაახლოებით 500 («ისტ.-სტატ. მიმოხილვა», ტ. II, სამიწათმოქმედო იარაღების განყოფილება). 1884 — 1886 წწ. გუბერნიის სამ მაზრაში (ექვსიდან) აღრიცხული იყო 435 ორთქლის სალეწავი. «ამჟამად (1895) ამ მანქანების რიცხვი უნდა ვიანგარიშოთ ორჯერ უფრო მეტი მაინც» (ტ ე ზ ი ა კ ო ვ ი: «სოფლის მეურნეობის მუშები და მათი სანიტარული ზედამხედველობის ორგანიზაცია ხერსონის გუბერნიაში». ხერსონი, 1896, გვ. 71). «ვესტნიკ ფინანსოვ» (1897, № 21) ამბობს, რომ ხერსონის გუბერნიაში ორთქლის სალეწავი «ითვლება 1 150-მდე, ყუბანის ოლქში მათი რიცხვი დაახლოებით ამდენივეა და სხვ. ...ორთქლის სალეწავების შეძენამ ამ ბოლო დროს სამრეწველო ხასიათი მიიღო... იყო ისეთი შემთხვევები, რომ ორი-სამი მოსავლიანი წლის განმავლობაში მეწარმე სავსებით ინაზღაურებდა ლოკომობილით აღჭურვილ ხუთათასმანეთიან სალეწავს და დაუყოვნებლივ იძენდა ახალს იმავე პირობებში. ამნაირად, ყუბანის ოლქის პატარა მეურნეობებში ხშირად შეიძლება შეხვდეთ 5 ასეთ მანქანას და ათსაცკი. იქ ეს მანქანები ყოველი, რამდენადმე კეთილმოწყობილი მეურნეობის,

აუცილებელ კუთვნილებად იქცნენ». «საერთოდ, ახლა სამხრეთ რუსეთში მუშაობს ათიათას ლოკომობილზე მეტი, რომელთაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება» («საწარმოო ძალები», IX, 151) *.

თუ გავიხსენებთ, რომ 1875—1878 წწ. მთელი ევროპული რუსეთის სოფლის მეურნეობაში ითვლებოდა მხოლოდ 1 351 ლოკომობილი, 1901 წელს კი არასრული ცნობებით («საფაბრიკო ინსპექტორთა 1903 წლის ანგარიშების ნაკრები») — 12 091, 1902 წ. — 14 609, 1903 წ. — 16 021, 1904 წ. — 17 287 სას-სამ. ლოკომობილი, — ჩვენთვის ცხადი შეიქნება, თუ რა გიგანტური რევოლუცია მოუხდენია კაპიტალიზმს ჩვენს მიწათმოქმედებაში უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის მანძილზე. ამ პროცესის დაჩქარებას დიდად შეუწყეს ხელი ერობებმა. 1897 წლის დამდეგს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების საერობო საწყობები «უკვე არსებობდა 11 საგუბერნიო და 203 სამაზრო ერობათა გამგეობებთან საერთოდ ერთ მილიონ მანეთამდე საბრუნავი კაპიტალით» («ვესტ. ფინ.», 1897, № 21). პოლტავის გუბერნიაში ერობათა

* შეად. კორესპონდენცია თავრიდის გუბერ. პერეკოპის მაზრიდან 1898 წ. 19 აგვისტოს «რუსსკიე ვედომოსტში» (№ 167). «ჩვენს მიწათმოქმედთა შორის სამკელი მანქანების და ორთქლით და ცხენით მომუშავე სალეწავების ფართო გავრცელების გამო, საყანე მუშაობა... ძალიან ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. ძველი წესი «საგორავებით» ლეწვისა წარსულს ჩაბარდა... ყირიმელი მიწათმოქმედი ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო აფართოებს ნათესის სივრცეს, ასე რომ ის ძალაუნებურად იყენებს გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და მანქანებს. მაშინ როცა საგორავებით ერთი დღის განმავლობაში შეიძლება გაილეწოს არა უმეტეს 150 — 200 ფუთი მარცვალი, 10-ძალიანი ორთქლის სალეწავი გალეწავს 2 000 — 2 500 ფუთს დღეში, ხოლო ცხენის სალეწავი — 700 — 800 ფუთს დღეში. აი რატომ იზრდება ყოველწლიურად მოთხოვნილება სამიწათმოქმედო იარაღებსა, სამკელებსა და სალეწავებზე ისე, რომ სამიწათმოქმედო იარაღების ქარხნები და ფაბრიკები, როგორც ეს მოხდა მიმდინარე წელსაც, საქონლის უმარაგოდ რჩებიან და ვერ აკმაყოფილებენ მიწათმოქმედთა მოთხოვნებს». გაუმჯობესებული იარაღების გავრცელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს პურის ფასების დაცემა, რაც ა ი ძ უ ლ ე ბ ს სოფლის მეურნეთ შეამცირონ წარმოების ღირებულება.

საწყობების ბრუნვა 22,6 ათასი მანეთიდან 1890 წელს გაიზარდა 94,9 ათას მანეთამდე 1892 წელს და 210,1 ათას მანეთამდე 1895 წელს. 6 წლის განმავლობაში გაყიდულია 12,6 ათასი გუთანი, 0,5 ათასი სანიავებელი და დამხარისხებელი, 0,3 ათასი სამკელი, 0,2 ათასი ცხენის სალეწავი. «საერობო საწყობთა იარაღების უმთავრესი მყიდველები არიან კაზაკები და გლეხები; მთელი გაყიდული გუთნებისა და ცხენის სალეწავების რაოდენობიდან მათი წილი შეადგენს 70%-ს. სათესებისა და სამკელების მყიდველები იყვნენ უმთავრესად მიწათმფლობელნი, ამასთან მსხვილი მიწათმფლობელნი, რომლებსაც 100 დესეტინა მიწაზე მეტი აქვთ» («ვესტ. ფინ.», 1897, № 4).

ეკატერინოსლავის გუბერნიის ერობის გამგეობის 1895 წლის ანგარიშით, «გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღების გავრცელება გუბერნიაში ძლიერ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს». მაგალითად, ვერხნედნეპროვსკის მაზრაში ითვლებოდა:

		1894	*1895*
გუთნები, ბუკერები და მჩატე სახნისები:	მფლობელების	5 220	6 752
» » » »	გლეხების	27 271	30 112
ცხენის სალეწავები	მფლობელების	131	290
» »	გლეხების	671	838

(«ვესტ. ფინ.», 1897, № 6).

მოსკოვის გუბერნიის ერობის გამგეობის ცნობებით, მოსკოვის გუბერნიის გლეხებს 1895 წელს ჰქონდათ 41 210 გუთანი; გუთნები ჰქონდა კომლთა მთელი რაოდენობის 20,2%-ს («ვესტნ. ფინ.», 1896, № 31). ტვერის გუბერნიაში, 1896 წლის საგანგებო აღრიცხვით, იყო 51 266 გუთანი, რაც შეადგენს 16,5%-ს კომლთა მთელი რიცხვის მიმართ. ტვერის მაზრაში 1890 წელს იყო მხოლოდ 290 გუთანი, 1896 წელს კი — 5 581 («ტვერის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. XIII, ნაკვ. 2, გვ. 91, 94). აქედან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა სიჩქარით მიმდინარეობს გლეხური ბურჟუაზიის მეურნეობის განმტკიცება და გაუმჯობესება.

VIII. მანქანების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში

რაკი გამოვარკვიეთ რეფორმისშემდეგდროინდელი რუსეთის მიწათმოქმედებაში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და მანქანების მოხმარების უაღრესად ჩქარი განვითარების ფაქტი, ჩვენ ახლა უნდა განვიხილოთ ამ მოვლენის საზოგადოებრივ-ეკონომიური მნიშვნელობის საკითხი. იქიდან, რაც ზემოთ ნათქვამი იყო გლეხური და მემამულური მიწათმოქმედების ეკონომიკაზე, გამომდინარეობს შემდეგი დებულებანი: ერთი მხრით, სწორედ კაპიტალიზმი წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც იწვევს და აფართოებს მანქანების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში; მეორე მხრით, მანქანების გამოყენება მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური ხასიათისაა, ე. ი. იწვევს კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმოშობას და მათ შემდგომ განვითარებას.

შევჩერდეთ პირველ დებულებაზე. ჩვენ დავინახეთ, რომ მეურნეობის შრომამიგებითი სისტემა და მასთან განუყრელად დაკავშირებული პატრიარქალური გლეხური მეურნეობა, თვით თავისი ბუნებით, დამყარებულია რუტინულ ტექნიკაზე, წარმოების ძველი წესების შენარჩუნებაზე. ამ სამეურნეო რეჟიმის შინაგან წყობილებაში არ არის არავითარი იმპულსი ტექნიკის გარდაქმნისა; პირიქით, მეურნეობის კარჩაკეტილობა და განცალკევებულობა, დამოკიდებული გლეხობის სიღატაკე და სიბეჩავე შეუძლებელს ხდიან გაუმჯობესებათა შემოღებას. კერძოდ, აღვნიშნავთ, რომ შრომამიგებითს მეურნეობაში შრომის საზღაური გაცილებით უფრო დაბალია (როგორც დავინახეთ), ვიდრე ნებით დაქირავებული შრომის გამოყენების დროს; ხოლო ცნობილია, რომ დაბალი ხელფასი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემაფერხებელი გარემოებაა მანქანების შემოღების საქმეში. და მართლაც, ფაქტები მოწმობენ, რომ ფართო მოძრაობა, მიმართული სამიწათმოქმედო ტექნიკის გარდაქმნისაკენ, დაიწყო მხოლოდ სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის განვითარების რეფორმისშემდგომ პერიოდში. კაპიტალიზმის

მიერ შექმნილმა კონკურენციამ და მსოფლიო ბაზრისაგან მიწათმოქმედის დამოკიდებულებამ აუცილებელი გახადეს ტექნიკის გარდაქმნა, ხოლო პურის ფასების დაცემამ განსაკუთრებით გაამწვავა ეს აუცილებლობა*.

მეორე დებულების გასაშუქებლად ჩვენ ცალკე უნდა განვიხილოთ მემამულური და გლეხური მეურნეობა. როცა მემამულე იძენს მანქანას ან გაუმჯობესებულ იარაღს, ის სცვლის გლეხის ინვენტარს (რომელიც მისთვის მუშაობდა) თავისი ინვენტარით; ის, მაშასადამე, გადადის მეურნეობის შრომამიგებითი სისტემიდან კაპიტალისტურზე. სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავრცელება მოასწავებს შრომამიგების გამოდევნას კაპიტალიზმის მიერ. შესაძლებელია, რა თქმა უნდა, რომ, მაგალითად, მიწის გაცემის პირობა იყოს შრომამიგება დღიური მუშაობის ფორმით და საკუთარი სამკელი მანქანის, სალეწავის და სხვ. გამოყენებით, მაგრამ ეს უკვე იქნება მეორე სახის შრომამიგება, ისეთი შრომამიგება, რომელიც გლეხს დღიურ მუშად აქცევს. ამგვარი «გამონაკლისები», მაშასადამე, მხოლოდ ადასტურებენ იმ საერთო წესს, რომ გაუმჯობესებული ინვენტარით კერძომფლობელობითი მეურნეობების აღჭურვა ნიშნავს დაკაბალებული (ნაროდნიკული ტერმინოლოგიით — «დამოუკიდებელი») გლეხის დაქირავებულ მუშად გადაქცევას, — სწორედ ისევე, როგორც

* «უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პურის დაბალი ფასების გავლენით, აგრეთვე იმის გავლენით, რომ რადაც უნდა დაჯდეს აუცილებელი ხდება სოფლის მეურნეობის სამუშაოთა გაიაფება, სამკელმა მანქანებმა... ისე სწრაფად იწყეს გავრცელება, რომ საწყობები თავის დროზე ვერ აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნას» (ტეზიაკოვი, I. c., გვ. 71). თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კრიზისი არის კაპიტალისტური კრიზისი. როგორც ყოველი კაპიტალისტური კრიზისი, ის აჩანაგებს ერთი ადგილის, ერთი ქვეყნის, მიწათმოქმედების ერთი დარგის ფერმერებს და მეპატრონეებს და ამავე დროს გიგანტურ ბიძგს აძლევს კაპიტალიზმის განვითარებას სხვა ადგილას, სხვა ქვეყანაში, მიწათმოქმედების სხვა დარგებში. თანამედროვე კრიზისისა და მისი ეკონომიური ბუნების ამ ძირითადი თვისების გაუგებლობა არის ამ საკითხზე ბატონების ნ. —ონის, ჯაბლუკოვის და სხვ. და სხვ. მსჯელობის მთავარი შეცდომა.

შემყიდველის მიერ, რომელიც სამუშაოს სახლებში არიგებს, წარმოების საკუთარი იარაღების შეძენა ნიშნავს დაკაბალებული «შინამრეწველის» დაქირავებულ მუშად გადაქცევას. მემამულური მეურნეობის აღჭურვა საკუთარი ინვენტარით აუცილებლად იწვევს ძირის გამოთხრას საშუალო გლეხობისათვის, რომელიც შრომამიგებით შოულობს საარსებო საშუალებებს. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ შრომამიგება არის სპეციფიკური «სარეწი» სწორედ საშუალო გლეხობისა, რომლის ინვენტარი, მაშასადამე, წარმოადგენს არა მარტო გლეხური, არამედ აგრეთვე მემამულური მეურნეობის შემადგენელ ნაწილს*. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და გაუმჯობესებული იარაღების გავრცელება და გლეხობის ექსპროპრიაცია ერთიმეორესთან განუყრელად დაკავშირებული მოვლენებია. გლეხობაში გაუმჯობესებული იარაღების გავრცელებას ასეთივე მნიშვნელობა რომ აქვს, ამას წინა თავში ნათქვამის შემდეგ არა გვგონია ახსნა-განმარტება სჭირდებოდეს. სოფლის მეურნეობაში მანქანების სისტემატური გამოყენება ისეთივე შეუბრალებლობით გამოდევნის ხოლმე პატრიარქალურ «საშუალო» გლეხს, როგორც ორთქლის საქსოვი დაზგა გამოდევნის ხელით მქსოველ ფეიქარ-შინამრეწველს.

მიწათმოქმედებაში მანქანების გამოყენების შედეგები ადასტურებენ ზემონათქვამს და გვიჩვენებენ კაპიტალისტური პროგრესის ყველა ტიპიურ მხარეს და მის დამახასიათებელ ყველა წინააღმდეგობას. მანქანები უაღრესად ადიდებენ

---

* ამ ჰეშმარიტებას (რომ საშუალო გლეხობის არსებობა მნიშვნელოვნად შეპირობებულია მემამულის მეურნეობის შრომამიგებითი სისტემის არსებობით) ბ-ნი ვ. ვ. ასე ორიგინალურად გამოსთქვამს: «მფლობელი, ასე ვთქვათ, მონაწილეობას იღებს მისი (გლეხის) ინვენტარის შენახვის ხარჯებში». ბ-ნი სანინი ამაზე სამართლიანად შენიშნავს: «გამოდის, რომ მუშა კი არ მუშაობს მიწათმფლობელისათვის, არამედ მიწათმფლობელი მუშაობს მუშისათვის». ა. ს ა ნ ი ნ ი: «რამდენიმე შენიშვნა სახალხო წარმოების თეორიის გამო» გურვიჩის წიგნის — «რუსეთის სოფლის ეკონომიური მდგომარეობის» რუსული თარგმანის დამატებაში. მ. 1896, გვ. 47.

შრომის ნაყოფიერებას მიწათმოქმედებაში, რომელიც თანამედროვე ეპოქამდე საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობიდან თითქმის სრულებით განზე რჩებოდა. ამიტომ რუსეთის მიწათმოქმედებაში მანქანების გამოყენების ზრდის ფაქტიც საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რაოდენ უსაფუძვლოა ბ-ნ ნ.—ონის მტკიცება რუსეთში პურის წარმოების «აბსოლუტური შეფერხებისა» («ნარკვევები», გვ. 32) და თვით სამიწათმოქმედო შრომის «ნაყოფიერების შემცირების» შესახებ. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ მტკიცებას, რომელიც ეწინააღმდეგება საყოველთაოდ დადგენილ ფაქტებს და რომელიც დასჭირდა ბ-ნ ნ.—ონს წინაკაპიტალისტური წესების იდეალიზაციისათვის.

შემდეგ, მანქანები იწვევენ წარმოების კონცენტრაციას და კაპიტალისტური კოოპერაციის გამოყენებას მიწათმოქმედებაში. მანქანების შემოღება, ერთი მხრით, მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალს და ამიტომ ხელმისაწვდომია მხოლოდ მსხვილ მეურნეთათვის; მეორე მხრით, მანქანის ანაზღაურება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა დიდძალი პროდუქტი მუშავდება. მანქანების შემოღებისას აუცილებელი ხდება წარმოების გაფართოება. ამიტომ სამკელი მანქანების, ორთქლის სალეწავებისა და სხვ. გავრცელება გვიჩვენებს სამიწათმოქმედო წარმოების კონცენტრაციას, — და ჩვენ ქვემოთ მართლაც დავინახავთ, რომ რუსეთის მიწათმოქმედების ის რაიონი, სადაც განსაკუთრებით განვითარდა მანქანების გამოყენება (ნოვოროსია), განსხვავდება მეურნეობათა მეტად მნიშვნელოვანი სიდიდითაც. ოღონდ შევნიშნავთ, რომ შეცდომა იქნებოდა მიწათმოქმედების კონცენტრაცია წარმოგვედგინა მხოლოდ ნათესების ექსტენსიური გაფართოების ფორმით (როგორც ამას სჩადის ბ-ნი ნ.—ონი): ნამდვილად სამიწათმოქმედო წარმოების კონცენტრაცია სულ სხვადასხვანაირი ფორმით გამოისახება, სავაჭრო მიწათმოქმედების ფორმების მიხედვით (იხ. ამის შესახებ შემდეგი თავი). წარმოების კონცენტრაცია განუყრელად დაკავშირებულია მეურნეობაში მუშების ფართო კოოპერაციასთან. ჩვენ

ზემოთ ვნახეთ მსხვილი ეკონომიის მაგალითი, რომელიც საკუთარი პურის ასაღებად ასობით სამკელ მანქანას ხმარობს ერთსა და იმავე დროს. «ცხენის სალეწავები, 4—8-ცხენიანები, საჭიროებენ 14—23-მდე და მეტ მუშას, რომელთაგან ნახევარს ქალები და მოზარდი ბიჭები, ე. ი. ნახევრადმუშები შეადგენენ... 8—10-ძალიან ორთქლის სალეწავებს, რაც შემოღებულია ყველა მსხვილ მეურნეობაში» (ხერსონის გუბ.), «ერთსა და იმავე დროს სჭირდებათ 50-დან 70-მდე მუშა, რომელთაგან ნახევარზე მეტს შეადგენენ ნახევრადმუშები, ქალიშვილები და ბიჭები 12 წლიდან 17 წლამდე ასაკისა» (ტეზიაკოვი, l. c., 93). «მსხვილი მეურნეობანი, სადაც ერთსა და იმავე დროს თავს იყრის 500—1 000 მუშა, შეიძლება თამამად მიედაროს სამრეწველო დაწესებულებებს», — სამართლიანად შენიშნავს იგივე ავტორი (გვ. 151)*. ამრიგად, სანამ ჩვენი ნაროდნიკები მსჯელობდნენ იმაზე, რომ «თემს» «ადვილად შეეძლო» მიწათმოქმედებაში კოოპერაციის შეტანაო, — ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა; კაპიტალიზმმა დაშალა თემი თავისი ინტერესებით მოპირდაპირე ეკონომიურ ჯგუფებად და შეჰქმნა მსხვილი მეურნეობანი, რომლებიც ემყარებიან დაქირავებული მუშების ფართო კოოპერაციას.

ზემონათქვამიდან ცხადია, რომ მანქანები ჰქმნიან კაპიტალიზმისათვის შინაურ ბაზარს: ჯერ ერთი, წარმოების საშუალებათა (მანქანათმშენებელი, სამთამადნო და სხვ. და სხვ. მრეწველობის პროდუქტების) ბაზარს, და, მეორეც, — მუშახელის ბაზარს. მანქანების შემოღება, როგორც უკვე დავინახეთ, იწვევს შრომამიგების შეცვლას ნებით დაქირავებული შრომით და მოჯამაგირიან გლეხურ მეურნეობათა შექმნას. სასოფლო-სამეურნეო მანქანების მასობრივად გამოყენება გულისხმობს სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშათა მასის არსებობას. იმ ადგილებში, სადაც სამიწათმოქმედო კაპიტალიზმი ყველაზე მეტად არის განვითარებული, ეს

* შეად. აგრეთვე შემდეგი თავი, § 2, სადაც მოყვანილია უფრო დაწვრილებითი ცნობები რუსეთის ამ რაიონში კაპიტალისტურ სამიწათმოქმედო ნეურნეობათა სიდიდის შესახებ.

პროცესი დაქირავებული შრომის გამოყენებისა, მანქანების შემოღებასთან ერთად, ენასკვება სხვა პროცესს, სახელდობრ: დაქირავებული მუშახელის გამოდევნას მანქანის მიერ. ერთი მხრით, გლეხური ბურჟუაზიის გაჩენა და მიწათმფლობელთა გადასვლა შრომამიგებიდან კაპიტალიზმზე ჰქმნის დაქირავებული მუშების მოთხოვნას; მეორე მხრით, იქ, სადაც მეურნეობა უკვე დიდი ხანია დამყარებულია დაქირავებულ შრომაზე, მანქანები აძევებენ დაქირავებულ მუშებს. როგორია ორივე პროცესის საერთო შედეგი მთელი რუსეთისათვის, ე. ი. მატულობს თუ კლებულობს სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშათა რიცხვი, — ამის შესახებ ზუსტი და მასობრივი სტატისტიკური მონაცემები არ მოიპოვება. ეჭვს გარეშეა, რომ აქამდე ეს რიცხვი მატულობდა (იხ. შემდეგი პარაგრაფი). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მატება ახლაც გრძელდება*: ჯერ ერთი, ცნობები, რომლებიც გვიჩვენებენ დაქირავებული მუშების მანქანებით გამოდევნას მიწათმოქმედებაში, მოიპოვება მხოლოდ ნოვოროსიის შესახებ, კაპიტალისტური მიწათმოქმედების სხვა რაიონებში კი (ბალტიისპირა და დასავლეთი მხარე, განაპირა აღმოსავლეთის მხარეები, ზოგიერთი სამრეწველო გუბერნია) ეს პროცესი ფართო მასშტაბით ჯერ არ ყოფილა დადასტურებული. რჩება კიდევ უდიდესი რაიონი, სადაც შრომამიგება სჭარბობს, და ამ რაიონში მანქანების შემოღება ჰქმნის დაქირავებული მუშების მოთხოვნას. მეორეც, მიწათმოქმედების ინტენსიურობის ზრდა (მაგალითად, ძირხვენა მცენარეების თესვის შემოღება) უაღრესად ადიდებს დაქირავებული შრომის მოთხოვნას (იხ. თავი IV). სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშების აბსოლუტური რიცხვის შემცირება (წინააღმდეგ სამრეწველო მუშებისა) უნდა დაიწყოს, რა თქმა უნდა, კაპიტალიზმის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, სა-

* არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ იმ ქვეყანაში, სადაც გლეხთა მასაა, სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშების რიცხვის აბსოლუტური ზრდა სრულებითაც არ ეწინააღმდეგება სოფლის მოსახლეობის არათუ შედარებით, არამედ აბსოლუტურ შემცირებასაც.

ხელდობრ, როცა მთელი ქვეყნის სოფლის მეურნეობა საკუთრებით კაპიტალისტურად მოეწყობა და მანქანების გამოყენება მიწათმოქმედების სრულიად სხვადასხვაგვარი ოპერაციებისათვის საყოველთაო ხასიათს მიიღებს.

რაც შეეხება ნოვოროსიას, ადგილობრივი მკვლევარნი აღნიშნავენ აქ დიდად განვითარებული კაპიტალიზმის ჩვეულებრივ შედეგებს. მანქანები აძევებენ დაქირავებულ მუშებს და ჰქმნიან მიწათმოქმედებაში კაპიტალისტურ სარეზერვო არმიას. «მუშახელზე ზღაპრული ფასების დრომ ხერსონის გუბერნიაშიც განვლო. სასოფლო-სამეურნეო იარაღების... ძლიერი გავრცელების გამო...» (და აგრეთვე სხვა მიზეზების გამოც) «მ უ შ ა ხ ე ლ ი ს ფ ა ს ი ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ა დ მ ც ი რ დ ე ბ ა» (ხაზი ავტორისაა)... «სამიწათმოქმედო იარაღების განაწილება მუშებზე დამოკიდებულებისაგან * ათავისუფლებს მსხვილ მეურნეობებს და ამავე დროს ამცირებს მუშახელის მოთხოვნილებას, რაც მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებს მუშებს» (ტეზიაკოვი, l. c., 66 — 71). ამასვე აღნიშნავს ერობის მეორე სანიტარული ექიმი, ბ-ნი კუდრიავცევი, თავის შრომაში: «სოფლის მეურნეობის მოსული მუშები თავრიდის გუბერნიის დაბა კახოვკას ნიკოლაევსკის ბაზრობაზე და მათი სანიტარული მეთვალყურეობა 1895 წელს» (ხერსონი, 1896). — «მუშახელის ფასი... სულ ეცემა, და მოსული მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი გარიყული, სრულიად უმუშევარი რჩება, ე. ი. იქმნება ეკონომიური მეცნიერების ენაზე ეგრეთწოდებული სარეზერვო მუშათა არმია — ხელოვნური ჭარბი მოსახლეობა» (61). შრომის ფასის დაცემა, ამ სარეზერვო

* ბ-ნი პონომარიოვი ამის შესახებ ლაპარაკობს ასე: «მანქანები, რომლებმაც მოაწესრიგეს მოსავლის აღების ფასები, ამავე დროს, ალბათ, აჩვევენ მუშებს დისციპლინას» (სტატია ჟურნალში: «სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა», ციტატი მოყვანილია «ვესტნ. ფინ.»-დან, 1896, № 14). გაიხსენეთ, როგორ მიესალმა «კაპიტალისტური ფაბრიკის პინდარი», დ-რი იური (Andrew Ure)[78] მანქანებს, რომლებიც ჰქმნიან «წესიერებას» და «დისციპლინას» მუშებს შორის. სამიწათმოქმედო კაპიტალიზმმა რუსეთში მოასწრო და შეჰქმნა არათუ «სამიწათმოქმედო ფაბრიკები», არამედ ამ ფაბრიკების «პინდარებიც».

არმიით გამოწვეული, ხანდახან იქამდე მიდის, რომ «ბევრი მეურნე, რომელთაც თავისი მანქანები აქვთ, ამჯობინებდა» (1895 წელს) «მოსავლის ხელით აღებას, ვიდრე მანქანით» (ibid., 66, «ხერსონის ერობის კრებულიდან», 1895, აგვისტო)! ეს ფაქტი ყოველნაირ მსჯელობაზე უფრო თვალსაჩინოდ და დამარწმუნებლად გვიჩვენებს იმ წინააღმდეგობათა მთელ სიღრმეს, რომლებიც მანქანების კაპიტალისტური მოხმარების თანდაყოლილ თვისებას წარმოადგენენ!

მანქანების მოხმარების მეორე შედეგს წარმოადგენს ქალისა და ბავშვის შრომის ფართოდ გამოყენება. წარმოშობილმა კაპიტალისტურმა მიწათმოქმედებამ შეჰქმნა საზოგადოდ მუშების ერთგვარი იერარქია, რომელიც ძალიან მოგვაგონებს ფაბრიკის მუშების იერარქიას. ასე, სამხრეთ რუსეთის ეკონომიებში განსხვავდებიან: ა) სრული მუშები— მოწიფული მამაკაცები, რომლებსაც ყოველნაირი მუშაობა შეუძლიათ; ბ) ნახევრადმუშები, ქალები და მამაკაცები 20 წლამდე; ნახევრადმუშები იყოფიან ორ კატეგორიად: აა) 12, 13 წლიდან 15, 16 წლამდე — ნახევრადმუშები ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით და ბბ) დიდღონიანი ნახევრადმუშები; «ეკონომიკის ენაზე «სამი მეოთხედი» მუშა»*, — 16-დან 20 წლამდე, რომლებსაც შეუძლიათ სრული მუშის ყველა სამუშაოს შესრულება, თიბვის გარდა. ბოლოს, გ) მცირეღონიანი ნახევრადმუშები, ბავშვები არანაკლებ 8 წლისა და არა უმეტეს 14 წლისა; ესენი ასრულებენ მეღორეთა, მეხბორეთა, მმარგლავთა და გუთნის მეხრეთა მოვალეობას. ესენი ხშირად მსახურობენ მხოლოდ საჭმლისა და ტანისამოსისათვის. სამიწათმოქმედო იარაღების შემოღება «აუფასურებს სრული მუშის შრომას» და ჰქმნის მისი უფრო იაფი შრომით — ქალისა და მოზარდის შრომით შეცვლის შესაძლებლობას. მამაკაცის შრომის ქალის შრომით გამოდევნას ადასტურებს სტატისტიკური ცნობები მოსული მუშების შესახებ: 1890 წელს დაბა კახოვკაში და ქალაქ

* ტეზიაკოვი, I. c., 72.

ხერსონში რეგისტრირებული იყო მუშების მთელი რიცხვიდან 12,7% ქალი; 1894 წ. მთელ გუბერნიაში — 18,2% (56 464-დან 10 239); 1895 წ. — 25,6% (48 753-დან 13 474). ბავშვები 1893 წელს — 0,7% (10 წლიდან 14 წლამდე), 1895 წ. — 1,69% (7 წლიდან 14 წლამდე). ხერსონის გუბერნიის ელისავეტგრადის მაზრის ადგილობრივი ეკონომიების მუშათა შორის ბავშვები შეადგენენ 10,6% (ibid.).

მანქანები ადიდებენ მუშების შრომის ინტენსივობას. მაგალითად, ყველაზე უფრო გავრცელებულ (ხელით საყრელ) სამკელ მანქანას უწოდებენ დამაბასიათებელ სახელს «любогрейка» ან «чубогрейка», რადგან მასზე მუშაობა მოითხოვს მუშისაგან ძალ-ღონის უაღრესად დაძაბვას: მუშა ასრულებს გადამყრელი აპარატის მაგიერობას (შეად. «საწარმოო ძალები», I, 52). ამნაირადვე მატულობს მუშაობის დაძაბულობა სალეწავებზეც. კაპიტალისტურად გამოყენებული მანქანა აქაც (ისე, როგორც ყველგან) ჰქმნის უდიდეს იმპულსს სამუშაო დღის გასადიდებლად. მიწათმოქმედებაშიც იწყება ღამით მუშაობა, რაც წინათ გაუგონარი იყო. «მოსავლიან წლებში... ზოგიერთ ეკონომიასა და მრავალ გლეხურ მეურნეობაში მუშაობა სწარმოებს ღამითაც კი» (ტეზიაკოვი, I. c.,126), ხელოვნურ სინათლეზე — ჩირაღდნებით (92). ბოლოს, მანქანების სისტემატური გამოყენება იწვევს სოფლის მეურნეობის მუშების ტრავმატიზმს; ქალიშვილებისა და ბავშვების მუშაობა მანქანებთან, ცხადია, იწვევს დასახიჩრების შემთხვევების განსაკუთრებულ სიმრავლეს. მაგალითად, ხერსონის გუბერნიის საერობო საავადმყოფოები და სამკურნალოები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სეზონის დროს ივსება «თითქმის მარტო ტრავმატული ავადმყოფებით», ისინი წარმოადგენენ «თავისებურ საველე ლაზარეთებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ულმობელი და გამანადგურებელი მოქმედების მსხვერპლთათვის, რომელნიც მუდმივად გამოდიან სოფლის მეურნეობის მუშების უზარმაზარი არმიის მწყობრიდან» (ibid., 126). უკვე იქმნება სპეციალური სამედიცინო ლიტერატურა სასოფლო-სამეურნეო

მანქანებით გამოწვეულ დასახიჩრებათა შესახებ. იძლევიან წინადადებებს გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების შესახებ (ibid.). მსხვილი მანქანური ინდუსტრია მიწათმოქმედებაში, ისე როგორც მრეწველობაში, რკინისებრი ძალით აყენებს წარმოების საზოგადოებრივი კონტროლისა და მოწესრიგების მოთხოვნებს. ამგვარი კონტროლის ცდების შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი ქვემოთ.

დასასრულ, აღვნიშნავთ ნაროდნიკების მეტისმეტად არათანმიმდევარ დამოკიდებულებას სოფლის მეურნეობაში მანქანების გამოყენების საკითხისადმი. აღიარო მანქანების გამოყენების სარგებლობა და პროგრესულობა, დაიცვა ყოველი ღონისძიება, რომელიც მას ავითარებს და აადვილებს, და ამავე დროს უგულებელჰყო, რომ რუსეთის მიწათმოქმედებაში ხდება მანქანების კაპიტალისტურად გამოყენება, — ეს ნიშნავს დაქვეითდე წვრილი და მსხვილი აგრარიების თვალსაზრისამდე. ჩვენი ნაროდნიკები კი სწორედ უგულებელჰყოფენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და გაუმჯობესებული იარაღების გამოყენების კაპიტალისტურ ხასიათს და არც კი ცდილობენ იმის გარკვევას, თუ რა ტიპის გლეხურ და მემამულურ მეურნეობებს შემოაქვთ ხმარებაში მანქანები. ბ-ნი ვ. ვ. გულმოსული უწოდებს ბ-ნ ვ. ჩერნიაევს «კაპიტალისტური ტექნიკის წარმომადგენელს» («პროგრესული მიმდინარეობანი», 11). ალბათ, სწორედ ბ-ნი ვ. ჩერნიაევი ან მიწათმოქმედების სამინისტროს რომელიმე სხვა მოხელეა დამნაშავე, რომ რუსეთში მანქანებს კაპიტალისტურად იყენებენ! ბ-ნი ნ. — ონი, — მიუხედავად მისი მაღალფარდოვანი დაპირებისა, რომ ის «ფაქტებს არ უღალატებს» («ნარკვევები», XIV), — ამჯობინებს გვერდი აუხვიოს იმ ფაქტს, რომ სწორედ კაპიტალიზმმა განავითარა ჩვენს მიწათმოქმედებაში მანქანების გამოყენება, და მან შეთხზა სასაცილო თეორიაც კი, რომლის მიხედვითაც გაცვლა ამცირებს შრომის ნაყოფიერებას მიწათმოქმედებაში (გვ. 74)! გაკრიტიკება ამ თეორიისა, რომელიც მასალებს

არავითარ ანალიზს არ უკეთებს და ისე დეკრეტულად არის გამოცხადებული, არც შესაძლებელია და არც საჭირო. ჩვენ დავკმაყოფილდებით ბ-ნ ნ.—ონის მსჯელობის პატარა ნიმუშის მოყვანით. «შრომის ნაყოფიერება ჩვენში ერთიორად რომ გაიზარდოს, მაშინ «ჩეტვერტი» ხორბალი ეღირებოდა 12 მანეთი კი არა, არამედ ექვსი. ეს არის და ეს» (234). არა, პატივცემულო ბ-ნო ეკონომისტო, ეს ყველაფერი როდია. «ჩვენში» (როგორც სასაქონლო მეურნეობის ყოველ საზოგადოებაში) ტექნიკას ცალკე მეურნეები აუმჯობესებენ, და მხოლოდ შემდეგ თანდათან გადააქვთ ის დანარჩენებს. «ჩვენში» ტექნიკის გაუმჯობესება შეუძლიათ მხოლოდ სოფლის მეწარმეებს. «ჩვენში» სოფლის მეწარმეთა, როგორც წვრილ, ისე მსხვილ მეწარმეთა, ეს პროგრესი აუცილებლად დაკავშირებულია გლეხობის გაჩანაგებასთან და სოფლის პროლეტარიატის გაჩენასთან. ამიტომ, სოფლის მეწარმეთა მეურნეობებში არსებული მაღალი ტექნიკა საზოგადოებრივ-აუცილებელ ტექნიკად რომ გადაიქცეს (მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიწევდა ფასი ერთიორად), მაშინ ეს იქნებოდა თითქმის მთელი მიწათმოქმედების გადასვლა კაპიტალისტების ხელში, ეს იქნებოდა მილიონობით გლეხის სრული გაპროლეტარება, არამიწათმოქმედი მოსახლეობის გიგანტური ზრდა და ფაბრიკების გამრავლება (იმისათვის, რომ ჩვენს მიწათმოქმედებაში შრომის ნაყოფიერება ერთიორად გაიზარდოს, საჭიროა მანქანათმშენებლობის, სამთო მრეწველობის, ორთქლის ტრანსპორტის უზარმაზარი განვითარება, ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო შენობების, მაღაზიების, საწყობების, არხების და სხვ. და სხვ. მასობრივად აგება). ბ-ნი ნ.—ონი იმეორებს აქ თავის მსჯელობათა ჩვეულებრივ მცირე შეცდომას: ის თავზე ახტება იმ თანმიმდევრულ საფეხურებს, რომლებიც აუცილებელია კაპიტალიზმის განვითარების დროს, თავზე ახტება საზოგადოებრივ-სამეურნეო გარდაქმნათა იმ რთულ კომპლექსს, რომელიც აუცი-

ლებლად თან სდევს კაპიტალიზმის განვითარებას, — და ამის შემდეგ ჩივის და მოსთქვამს კაპიტალისტური «მსხვრევის» საშიშროების გამო.

IX. დაქირავებული შრომა მიწათმოქმედებაში

ჩვენ ახლა გადავდივართ სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის მთავარ გამოხატულებაზე — ნებით დაქირავებული შრომის გამოყენებაზე. რეფორმისშემდგომი მეურნეობის ეს მხარე ყველაზე უფრო ძლიერად გამოიხატა ევროპული რუსეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ განაპირა მხარეებში, გამოიხატა სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშების იმ მასობრივი გადასვლა-გადმოსვლით, რაც ცნობილია «სამიწათმოქმედო გასვლის» სახელით. ამიტომ ჩვენ ჯერ მოვიყვანთ ცნობებს რუსეთის სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის ამ უმთავრესი რაიონის შესახებ, შემდეგ კი განვიხილავთ ცნობებს მთელი რუსეთის შესახებაც.

ჩვენი გლეხობის მასობრივი გადასვლა-გადმოსვლა დაქირავებით სამუშაოს საძებნად დიდი ხანია აღნიშნულ იქნა ჩვენს ლიტერატურაში. ამაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ ფლეროვსკი («მუშათა კლასის მდგომარეობა რუსეთში», სპბ. 1869), რომელიც ცდილობდა გამოერკვია მისი შედარებითი გავრცელებულობა სხვადასხვა გუბერნიაში. 1875 წელს ბ-მა ჩასლავსკიმ მოგვცა «სამიწათმოქმედო გარესარეწების» საერთო მიმოხილვა («სახელმწიფო ცოდნათა კრებული», ტ. II) და აღნიშნა მათი ნამდვილი მნიშვნელობა («გაჩნდა... რაღაც ნახევრადმოხეტიალე მოსახლეობა... მომავალი მოჯამაგირეების მსგავსი რამ»). 1887 წელს ბ-მა რასპოპინმა თავი მოუყარა მთელ რიგ საერობო-სტატისტიკურ მონაცემებს ამ მოვლენის შესახებ და შეხედა მას არა როგორც გლეხთა «საშოვარს» საზოგადოდ, არამედ როგორც მიწათმოქმედებაში დაქირავებულ მუშათა კლასის გაჩენის პროცესს. 90-იან წლებში გამოვიდა ბბ. ს. კოროლენკოს, რუდნევის, ტეზიაკოვის, კუდრიავცევის, შახოვსკოის შრომები, რომელთა საშუალებით ეს მოვლენა გაცილებით უფრო სრულად იქნა შესწავლილი.

მთავარი რაიონი, საითკენაც მიდიან სამიწათმოქმედო დაქირავებული მუშები, არის ბესარაბიის, ხერსონის, თავრიდის, ეკატერინოსლავის, დონის, სამარის, სარატოვის (სამხრეთი ნაწილი) და ორენბურგის გუბერნიები. ჩვენ ვჯერდებით მხოლოდ ევროპულ რუსეთს, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ მოძრაობა (განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს) უფრო შორს მიდის და მოიცავს ჩრდილო კავკასიასაც, ურალის ოლქსაც და სხვ. ამ რაიონის (სავაჭრო მარცვლეული მეურნეობის რაიონის) კაპიტალისტური მიწათმოქმედების შესახებ ცნობები მოყვანილი იქნება შემდეგ თავში; იქვე მივუთითებთ სხვა ადგილებსაც, საითკენაც მიეშურებიან მიწათმოქმედი მუშები. მთავარი რაიონი, საიდანაც მიდიან მიწათმოქმედი მუშები, არის შავნიადაგიანი შუა გუბერნიები: ყაზანის, სიმბირსკის, პენზის, ტამბოვის, რიაზანის, ტულის, ორიოლის, კურსკის, ვორონეჟის, ხარკოვის, პოლტავის, ჩერნიგოვის, კიევის, პოდოლსკის, ვოლინის *. ამრიგად, მუშების გადანაცვლება ხდება ყველაზე უფრო დასახლებული ადგილებიდან ყველაზე ნაკლებად დასახლებული, საკოლონიზაციო ადგილებისაკენ; — იმ ადგილებიდან, სადაც ყველაზე უფრო ძლიერად იყო განვითარებული ბატონყმობა, იმ ადგილებისაკენ, სადაც ის ყველაზე სუსტად იყო განვითარებული **; — იმ ადგილებიდან, სადაც შრომამიგება ყველაზე უფრო იყო განვითარებული, იმ ადგილებისკენ, სადაც შრომამიგება სუსტად იყო განვითარებული, ხოლო კაპიტალიზმი დიდად იყო განვითარებული. მუშები, მაშასადამე, გაურბიან «ნახევრადთავისუფალ» შრომას და მიისწრაფიან თავისუფალი შრომისაკენ. შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ეს ლტოლვა წარმოადგენს

* VIII თავში, სადაც ჩვენ განვიხილავთ დაქირავებული მუშების გადასვლა-გადმოსვლის პროცესს მთლიანად რუსეთში, უფრო დაწვრილებით შევეხებით მის ხასიათს და მიმართულებას სხვადასხვა ადგილებში.

** უკვე ჩასლავსკიმ მიუთითა იმაზე, რომ იმ ადგილებში, სადაც მიდიან მუშები, ყმების პროცენტი შეადგენდა 4 — 15%, ხოლო იმ ადგილებში, საიდანაც ისინი გამოდიან, — 40 — 60%-ს.

მხოლოდ მჭიდროდ დასახლებული ადგილებიდან ნაკლებად დასახლებული ადგილებისკენ გადანაცვლებას. მუშების გადანაცვლების შესწავლამ (ბ-ნი ს. კოროლენკო, I. c.) ცხადჰყო ის ორიგინალური და დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომ ბევრი ადგილიდან ისე დიდი რაოდენობით გადიან მუშები, რომ იქ იქმნება მუშების ნაკლებობა, რაც ივსება სხვა ადგილებიდან მოსული მუშებით. მაშასადამე, მუშების გასვლა გამოხატავს არა მარტო იმას, რომ მოსახლეობა მიისწრაფის უფრო თანაბრად განაწილდეს ამა თუ იმ ტერიტორიაზე, არამედ იმასაც, რომ მუშები მიისწრაფიან იქით, სადაც უკეთესი პირობებია. ეს მისწრაფება ჩვენთვის სავსებით გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ რაიონში, საიდანაც გადიან, შრომამიგების რაიონში, სოფლის მუშების ხელფასი განსაკუთრებით დაბალია, ხოლო იმ რაიონში, საითკენაც მიემართებიან, კაპიტალიზმის რაიონში, ხელფასი შეუდარებლად უფრო მაღალია*.

რაც შეეხება «სამიწათმოქმედო გასვლის» სიდიდეს, საერთო ცნობებს ამის შესახებ ვპოულობთ მხოლოდ ბ-ნ ს. კოროლენკოს ზემოდასახელებულ შრომაში, სადაც იგი ანგარიშობს მთელი ევროპული რუსეთისათვის 6 360 ათას ჭარბ მუშას (მუშახელის ადგილობრივ მოთხოვნასთან შედარებით), აქედან 2 137 ათასს — ზემოდასახელებულ 15 გუბერნიაში, საიდანაც ხდება მიწათმოქმედი მუშების გასვლა, მაშინ როცა 8 გუბერნიაში, საითკენაც მიიმართება მუშათა ეს მასა, მუშების ნაკლებობას იგი განსაზღვრავს 2 173 ათასი კაცით. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ კოროლენკოს გაანგარიშების წესი ყოველთვის როდია დამაკმაყოფილებელი, მისი საერთო დასკვნები (როგორც არაერთხელ დავინახავთ ქვემოთ) უნდა ჩაითვალოს დაახლოებით სწორად და მოხეტიალე მუშების რიცხვი — არათუ გაზვიადებულად, არამედ სინამდვილესთან შედარებით უფრო შემცირებულადაც კი. უეჭველია,

* იხ. ცხრილში მოყვანილი 10 წლის ცნობები VIII თავში, § 4: სამუშაო ძალის შინაგანი ბაზრის გაჩენა.

ამ ორი მილიონი მუშიდან, რომლებიც მოდის სამხრეთზე, ნაწილი ეკუთვნის არამიწათმოქმედ მუშებს. მაგრამ ბ-ნი შახოვსკოი (l. c.) სავსებით თვითნებურად, თვალდათვალ ანგარიშობს, რომ ამ რიცხვიდან ნახევარი არის მრეწველობის მუშა. ჯერ ერთი, ჩვენ ყველა წყაროდან ვიცით, რომ ამ რაიონში მუშების გასვლას აქვს უმთავრესად სამიწათმოქმედო ხასიათი, მეორეც, მიწათმოქმედი მუშები მიდიან არა მარტო ზემოდასახელებული გუბერნიებიდან. ბ-ნი შახოვსკოი თვითონ იძლევა ერთ ციფრს, რომელიც ადასტურებს ბ-ნ ს. კოროლენკოს გაანგარიშებას. სახელდობრ, ის გვამცნობს, რომ 11 შავნიადაგიან გუბერნიაში (რომლებიც შედიან მიწათმოქმედი მუშების გასვლის ზემოაღნიშნული რაიონის ფარგლებში) 1891 წელს გაიცა 2 000 703 პასპორტი და ბილეთი (l. c., გვ. 24), მაშინ როცა, ბ-ნ ს. კოროლენკოს გაანგარიშებით, ამ გუბერნიებიდან გასული მუშების რიცხვი უდრის მხოლოდ 1 745 913-ს. მაშასადამე, ბ-ნ ს. კოროლენკოს ციფრები სრულიადაც არ არის გაზვიადებული, და რუსეთში მოხეტიალე სოფლის მუშების მთელი რიცხვი, ცხადია, 2 მილიონზე მეტი უნდა იყოს*. «გლეხების» ასეთი მასა, რომელიც სტოვებს თავის სახლკარს და ნადელს (ვისაც კი სახლკარი და ნადელი გააჩნია), ნათლად ადასტურებს წვრილ მიწათმოქმედთა სოფლის პროლეტარებად გადაქცევის გიგანტურ პროცესს, მზარდი სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის უდიდეს მოთხოვნას დაქირავებულ შრომაზე.

---

* არის კიდევ ერთი საშუალება ბ-ნ ს. კოროლენკოს ციფრის შესამოწმებლად. ბბ. ტეზიაკოვის და კუდრიავცევის ზემოციტირებული წიგნებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ სოფლის იმ მუშათა რიცხვი, რომელნიც «საშოვარზე» გასვლის დროს ნაწილობრივად მაინც სარგებლობენ რკინიგზით, შეადგენს დაახლოებით მუშების მთელი რაოდენობის $^1/_{10}$-ს (ორივე ავტორის ცნობების შეერთებით ვიღებთ, რომ 72 635 დაკითხული მუშიდან მხოლოდ 7 827-ს უსარგებლნია რკინიგზით ნაწილობრივად მაინც). მუშების ის რაოდენობა კი, რაც 1891 წელს აღნიშნული მიმართულების სამ უმთავრეს რკინიგზას გადაუყვანია, არ აღემატება 200 ათას კაცს (170 — 189 ათასს), — როგორც გადმოგვცემს ბ-ნი შახოვსკოი (l. c., გვ. 71, რკინიგზების ცნობების მიხედვით). მაშასადამე, სამხრეთს მიმავალი მუშე-

ახლა ისმება კითხვა: რამდენია სულ ევროპ. რუსეთში სოფლის დაქირავებული მუშა, როგორც მოხეტიალე, ისე ბინადარი? ერთადერთი, ჩვენთვის ცნობილი, ცდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისა გვხვდება ბ-ნ რუდნევის წიგნში: «ევროპ. რუსეთის გლეხთა სარეწები» («სარატოვის ერობის კრებული», 1894 წ., №№ 6 და 11). ეს, მეტად საყურადღებო, შრომა იძლევა საერობო სტატისტიკის შეჯამებულ ცნობებს ევროპ. რუსეთის 19 გუბერნიის 148 მაზრის შესახებ. მამრობითი სქესის 5 129 863 მომუშავიდან (18—60 წ.) «მრეწველთა» რიცხვი ნაანგარიშევია სულ 2 798 122, რაც შეადგენს სამუშაოდ გასულ გლეხთა მთელი რიცხვის 55 %-ს *. «სასოფლო-სამეურნეო სარეწებს» ავტორი მიაკუთვნებს მხოლოდ დაქირავებით წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს (მოჯამაგირეები, დღიური მუშები, მწყემსები, ბაკების მსახურნი). რუსეთის სხვადასხვა გუბერნიისა და რაიონისათვის შრომითი ასაკის მამაკაცთა მთელი რიცხვის მიმართ სოფლის მეურნეობის მუშების პროცენტის განსაზღვრას ავტორი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ შავნიადაგიან

ბის მთელი რიცხვი უნდა მივიღოთ დაახლოებით 2 მილიონი. სხვათა შორის, ის გარემოება, რომ რკინიგზით სოფლის მუშების სულ მცირე ნაწილს უსარგებლნია, ცხადჰყოფს ბ-ნ ნ.—ონის შეცდომას, რომელიც ფიქრობდა, რომ ჩვენი რკინიგზების სამგზავრო მიმოსვლას ძირითად ტონს მიწათმოქმედი მუშები აძლევენო. ბ-ნ ნ.—ონს მხედველობიდან გაუშვია ის, რომ არამიწათმოქმედი მუშები, რომლებიც უფრო დიდ ხელფასს იღებენ, უფრო მეტად სარგებლობენ რკინიგზებით, ხოლო ამ მუშების გასვლის დრო (მაგალითად, მშენებლების, მიწის მთხრელების, დამტვირთავებისა და მრავ. სხვ.) აგრეთვე გაზაფხულსა და ზაფხულზე მოდის.

* «სარეწებს», როგორც ბ-ნი რუდნევიც მიუთითებს, მიეკუთვნება გლეხთა ყოველგვარი მოსაქმეობის ყველა სახე, გარდა მიწათმოქმედებისა, თავის, ნაყიდ და იჯარით აღებულ მიწებზე. უეჭველია, რომ ამ «მესარეწეთა» უმრავლესობას შეადგენენ მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში დაქირავებული მუშები. ამიტომ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებაზე, რომ ეს ცნობები უახლოვდება სოფლის პროლეტართა რაოდენობის ჩვენს განსაზღვრას: II თავში მიღებული იყო, რომ უკანასკნელნი გლეხთა დაახლოებით 40% შეადგენენ. აქ ვხედავთ 55% «მესარეწეებს», რომელთაგან, ალბათ, 40%-ზე მეტი ყოველგვარ დაქირავებით სამუშაოს ეწევა.

ზოლში დაქირავებით სასოფლო-სამეურნეო მუშაობას ეწევა მუშა მამაკაცთა მთელი რაოდენობის დაახლოებით 25% და არაშავნიადაგიან ზოლში — 10%-მდე. აქედან გამოდის, რომ სოფლის მეურნეობის მუშების რიცხვი ევროპ. რუსეთში უდრის 3 395 ათასს ანუ, დარგვალებით რომ ავიღოთ, $3^1/_2$ მილიონს (რუდნევი, I. c., გვ. 448. ეს რიცხვი შეადგენს შრომითი ასაკის მამაკაცთა მთელი რიცხვის 20%-მდე). საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ, ბ-ნ რუდნევის განცხადებით, «დღიურ და სანარდო სამიწათმოქმედო სამუშაოებს სტატისტიკოსები სარეწებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაკუთვნებდნენ, როცა ეს სამუშაოები წარმოადგენდნენ რომელიმე პირის ან ოჯახის ძირითად მოსაქმეობას» (I. c., 446) *.

ბ-ნ რუდნევის ეს ციფრი მინიმალურად უნდა ჩაითვალოს, რადგან, ჯერ ერთი, საერობო აღწერათა ცნობები მეტად თუ ნაკლებად დაძველებულია, ისინი ეკუთვნიან 80-იან და ზოგჯერ 70-იან წლებსაც კი. და, მეორეც, სოფლის მეურნეობის მუშების პროცენტის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ არის მიღებული დიდად განვითარებული სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის რაიონები — ბალტიისპირა და დასავლეთის გუბერნიები. მაგრამ, სხვა ცნობების უქონლობის გამო, იძულებული ვართ მივიღოთ ეს ციფრი — $3^1/_2$ მილიონი.

მაშასადამე, თურმე, გლეხების ერთ მეხუთედამდე უკვე ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მის «უმთავრეს მოსაქმეობას» შეძლებულ გლეხებთან და მემამულეებთან დაქირავებული მუშაობა შეადგენს. ჩვენ აქ ვხედავთ იმ მეწარმეთა პირველ ჯგუფს, რომლებიც აყენებენ მოთხოვნას სოფლის პროლეტარიატის სამუშაო ძალაზე. ესენი არიან სოფლის მეწარმენი, რომელნიც ამუშავებენ დაახლოებით გლეხობის დაბალი ჯგუფის ნახევარს. ამნაირად, სოფლის მეწარმეთა კლასის გაჩენასა და «გლეხობის» დაბალი ჯგუფის გაფართოე-

* მაშასადამე, ამ ციფრში არ შედის გლეხობის მასა, რომლისთვისაც დაქირავებული სამიწათმოქმედო მუშაობა შეადგენს არა უმთავრესს, მაგრამ მაინც ისეთსავე არსებითს მოსაქმეობას, როგორც მისი საკუთარი მეურნეობა.

ბას, ე. ი. სოფლის პროლეტართა რაოდენობის გადიდებას, შორის სრული ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. ამ სოფლის მეწარმეთა შორის თვალსაჩინო როლს ასრულებს გლეხური ბურჟუაზია: მაგალითად, ვორონეჟის გუბერნიის 9 მაზრაში მოჯამაგირეთა მთელი რიცხვის 43,4% დაქირავებულია გლეხების მიერ (რუდნევი, 434). ეს პროცენტი რომ მივიღოთ ნორმად ყველა სოფლის მუშისათვის და მთელი რუსეთისათვის, აღმოჩნდება, რომ გლეხური ბურჟუაზია აყენებს მოთხოვნას მილიონ-ნახევარ სოფლის მეურნეობის მუშაზე. ერთი და იგივე «გლეხობა» კიდეც ისტუმრებს ბაზარზე მილიონობით მუშას, რომელნიც ეძებენ დამქირავებლებს, და კიდეც აყენებს დიდ მოთხოვნას დაქირავებულ მუშებზე.

X. ნებით დაქირავებული შრომის მნიშვნელობა მიწათმოქმედებაში

ახლა შევეცდებით დავასურათოთ იმ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირითადი ნიშნები, რომელიც მყარდება მიწათმოქმედებაში ნებით დაქირავებული შრომის გამოყენების დროს, და გამოვარკვიოთ მისი მნიშვნელობა.

სოფლის მეურნეობის მუშები, რომლებიც ასე მასობრივად მიდიან სამხრეთში, ეკუთვნიან გლეხობის უღარიბეს ფენებს. ხერსონის გუბერნიაში მიმავალი მუშებიდან $^7/_{10}$ მოგზაურობს ქვეითად, რადგან მათ არ გააჩნიათ საშუალება იყიდონ რკინიგზის ბილეთი, ისინი «ასობით და ათასობით ვერსს გადიან რკინიგზების ლიანდაგისა და სანაოსნო მდინარეთა გასწვრივ, ტკბებიან სწრაფად მქროლი მატარებლებისა და წყნარად მცურავი გემების ლამაზი სურათებით» (ტეზიაკოვი, 35). საშუალოდ მუშებს თან მიაქვთ დაახლოებით 2 მანეთი *; ხშირად მათ არ ჰყოფნით ფული პასპორტისთვისაც კი, და ისინი იღებენ თვიურ ბილეთს ორ შაურად. მოგზაურობა 10 — 12 დღეს გრძელდება, და მგზავრებს

* სამგზავრო ფულს შოულობენ ქონების, აგრეთვე მონაგარის გაყიდვით, სანადელო მიწის დაგირავებით, ავეჯის, ტანისაცმლისა და სხვ. დაგირავებით, ფულის სესხებითაც «მღვდლებისაგან, მემამულეებისაგან და ადგილობრივი კულაკებისაგან» შრომაპიგების პირობით (შახოვსკოი, 55).

ამდენი სიარულით (ხანდახან ფეხშიშველა, გაზაფხულის ცივ ტალახში) ფეხები უსივდებათ, უკოჟრდებათ და ებეგვებათ. მუშათა დაახლოებით $^1/_{10}$ მიემგზავრება «დ უ ბ ე ბ ი თ» (დიდი, ფიცრული ნავები, რომლებიც 50 — 80 კაცს იტევენ და ჩვეულებრივ მეტისმეტად ივსებიან). ასეთი მგზავრობის უდიდესი საშიშროება აღნიშნულია ოფიციალური კომისიის (ზვეგინცევის)[79] შრომებში: «წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ერთი, ორი ან მეტი ასეთი «დუბი» არ ჩაიძიროს მგზავრებიანადო» (ibid., 34). მუშების დიდ უმრავლესობას სრულიად მცირე სანადელო მიწა აქვს. «არსებითად, — სამართლიანად შენიშნავს ბ-ნი ტეზიაკოვი, — სოფლის მეურნეობის მთელი ეს ათასობით მუშები არიან უმიწაწყლონი, სოფლის პროლეტარები, რომლებისთვისაც ახლა არსებობის ერთადერთი საშუალებაა გარესარეწები... უმიწაწყლობა ჩქარი ნაბიჯით ვითარდება და ამასთან ერთად იზრდება სოფლის პროლეტარიატის რიცხვიც» (77). ასეთი სწრაფი ზრდის თვალსაჩინო საბუთს წარმოადგენს ახალი მუშების რაოდენობა, ე. ი. ისეთებისა, რომლებიც პირველად გადიან დაქირავებით სამუშაოდ. ასეთი ახალი მუშები დაახლოებით 30%-ს შეადგენენ. სხვათა შორის, ამ ციფრის მიხედვით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ პროცესის სიჩქარეზე, რომელიც ჰქმნის მიწათმოქმედების მუშების მ უ დ მ ი ვ კადრებს.

მუშების მასობრივმა გადასვლა-გადმოსვლამ შეჰქმნა დაქირავების განსაკუთრებული ფორმები, რომელნიც დიდად განვითარებულ კაპიტალიზმს ახასიათებენ. სამხრეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში გაჩნდა მუშათა მრავალი ბაზარი, სადაც ათასობით იყრიან თავს მუშები და სადაც მიდიან დამქირავებლები. ასეთი ბაზრები ეწყობა ხშირად ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებთან, სავაჭრო სოფლებთან, ბაზრობებთან. ცენტრების სამრეწველო ხასიათი განსაკუთრებით იზიდავს მუშებს, რომელნიც ხალისით ქირავდებიან არასამიწათმოქმედო სამუშაოებზეც. მაგალითად, კიევის გუბერნიაში მუშათა ბაზრებს წარმოადგენენ დაბები შპოლა და სმელა (ჭარხლის შაქრის მრეწველობის მსხვილი ცენტრები) და ქალაქი

ბელაია ცერკოვი. ხერსონის გუბერნიაში მუშახელის ბაზრებს წარმოადგენენ სავაჭრო სოფლები (ნოვოუკრაინკა, ბირზულა, მოსტოვოე, სადაც კვირაობით თავს იყრის 9 ათასზე მეტი მუშა, და მრავალი სხვ.), რკინიგზის სადგურები (ზნამენკა, დოლინსკაია და სხვ.), ქალაქები (ელისავეტგრადი, ბობრინეეცი, ვოზნესენსკი, ოდესა და სხვ.). ოდესელი მეშჩანები, შავი მუშები და «კადეტები» (ასე ეძახიან ადგილობრივად მაწანწალებს) ზაფხულობით აგრეთვე მიდიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე საქირაოდ. ოდესაში სოფლის მუშები ქირავდებიან ეგრეთწოდებულ სერედინსკის მოედანზე (ანუ «კოსარკაზე»). «მუშები სხვა ბაზრებს გვერდს უვლიან და მიეშურებიან ოდესაში იმ იმედით, რომ იქ უფრო კარგ საშოვარს წააწყდებიან» (ტეზიაკოვი, 58). დაბა კრივოი როგი სამიწათმოქმედო და სამთამადნო სამუშაოებზე დაქირავების მსხვილი ბაზარია. თავრიდის გუბერნიაში განსაკუთრებით განთქმულია შრომის ბაზარი დაბა კახოვკაში, სადაც წინათ თავს იყრიდა 40 000-მდე მუშა, 90-იან წლებში — 20 — 30 ათასი, ახლა, ზოგიერთი ცნობების მიხედვით, — კიდევ უფრო ნაკლები. ბესარაბიის გუბერნიაში დასახელებულ უნდა იქნას ქალაქი აკერმანი, ეკატერინოსლავის გუბერნიაში — ქალაქი ეკატერინოსლავი და სადგური ლოზოვაია; დონისაში — დონის როსტოვი, სადაც ყოველწლიურად მიდის 150 ათასამდე მუშა; ჩრდილო კავკასიაში — ქალაქები ეკატერინოდარი და ნოვოროსიისკი, სადგური ტიხორეცკაია და სხვ.; სამარის გუბერნიაში — სლობოდა პოკროვსკაია (სარატოვის პირდაპირ), სოფელი ბალაკოვო და სხვ.; სარატოვის გუბერნიაში — ქალაქები ხვალინსკი და ვოლსკი; სიმბირსკის გუბერნიაში — ქალაქი სიზრანი. ამნაირად, განაპირა რაიონებში კაპიტალიზმმა შეჰქმნა «სარეწებთან მიწათმოქმედების შეერთების» ახალი ფორმა, სახელდობრ მან შეაერთა სამიწათმოქმედო და არასამიწათმოქმედო დაქირავებული შრომა. ასეთი შეერთება ფართო ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალიზმის უკანასკნელი, უმაღლესი სტადიის — მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ეპოქაში, რომელიც ძირს უთხრის

ხელოვანობის, «ხელსაქმობის» მნიშვნელობას, აადვილებს ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლას და ანიველირებს დაქირავების ფორმებს *.

და მართლაც, დაქირავების ფორმები ამ ადგილებში ძალიან ორიგინალურია და დიდად დამახასიათებელია კაპიტალისტური მიწათმოქმედებისათვის. აქ ისპობა დაქირავებით მუშაობის ყველა ის ნახევრადპატრიარქალური, ნახევრადკაბალური ფორმა, რომელიც ასე ხშირია შუა შავნიადაგიან ზოლში. რჩება მხოლოდ ერთადერთი ურთიერთობა — დამქირავებლისა დასაქირავებელთან, მხოლოდ ვაჭრული გარიგება სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. როგორც ყოველთვის ხდება განვითარებული კაპიტალისტური ურთიერთობის დროს, მუშები ამჯობინებენ დღიურად ან კვირეულად დაქირავებას, რაც მათ საშუალებას აძლევს შრომის მოთხოვნის შესაბამისად უფრო ზუსტად მოაწესრიგონ საზღაურის საკითხი. ფასები მყარდება თვითეული ბაზრის რაიონისთვის (გარშემო 40 ვერსის მანძილზე) მათემატიკური სიზუსტით, და დამქირავებლებს ფასების დაკლება ძალიან უძნელდებათ, რადგან მოსული გლეხი ამჯობინებს ბაზარზე უსაქმოდ იყოს ან სხვაგან წავიდეს, ვიდრე უფრო იაფად დაქირავდეს» (შახოვსკოი, 104). თავისთავად ცხადია, რომ შრომის ფასების ძლიერი რყევა იწვევს ხელშეკრულების ძალიან ხშირ დარღვევას, — მაგრამ არა მხოლოდ ერთი მხრიდან, როგორც ჩვეულებრივად ირწმუნებიან დამქირავებლები, არამედ ორივე მხრიდან: «გაფიცვები ხდება ორივე მხრით»: მუშები უთანხმდებიან ერთმანეთს მოითხოვონ მეტი ხელფასი, დამქირავებ-

* ბ-ნი შახოვსკოი აღნიშნავს სამიწათმოქმედო და არასამიწათმოქმედო შრომის შეერთების სხვა ფორმასაც. ქვევით მდებარე ქალაქებში დნეპრით ათასობით მიდის ტივები. ყოველ ტივზე არის 15 — 20 მუშა (მეტივე) — უმეტეს ნაწილად ბელორუსები და ველიკოროსები ორიოლის გუბერნიიდან. «მთელი ამ მეტივეობის განმავლობაში ისინი პირდაპირ გროშებს იღებენ» და უმთავრესად იმას ვარაუდობენ, რომ მიუსწრონ და ქირით დადგნენ მკისა და ლეწვის სამუშაოებზე. ეს ვარაუდი მათ მხოლოდ «კარგ» წლებში უმართლდებათ.

ლები კი — დაიქირავონ უფრო იაფად (ibid., 107)*. თუ როგორ აშკარად მეფობს აქ კლასების ურთიერთობაში «უსულგულო ანგარიში», ეს ჩანს, მაგალითად, შემდეგი ფაქტიდან: «გამოცდილმა დამქირავებლებმა კარგად იციან», რომ მუშები მხოლოდ მაშინ «მიდიან დათმობაზე», როცა შესჭამენ მთელ თავის პურს. «ერთი მეპატრონე მოგვითხრობდა, რომ ის მუშების დასაქირავებლად ჩავიდა ბაზარზე... დაიწყო მუშებს შორის სიარული და მათი ჩანთების ჯოხით სინჯვა (sic!): ვისაც პური აქვს, მას არც კი ელაპარაკება, სტოვებს ბაზარს» და უცდის, სანამ «ბაზარზე ჩანთები არ დაცარიელდება» («სელსკი ვესტნიკ»-იდან, 1890 წ., № 15, ibid., 107 — 108).

როგორც ყოველი განვითარებული კაპიტალიზმის დროს, აქაც ემჩნევა, რომ წვრილი კაპიტალი განსაკუთრებით აწვება მუშას. მსხვილ დამქირავებელს უბრალო კომერციული ანგარიში ** აიძულებს უარი სთქვას წვრილმან შევიწროებაზე, რომელიც ნაკლებად ხელსაყრელია მისთვის და დიდ ზარალს უქადის კონფლიქტის დროს. ამიტომ, მაგალითად, მსხვილი დამქირავებლები (რომლებიც ქირაობენ 300 — 800 მუშას) ცდილობენ არ გაუშვან მუშები ერთი კვირის შემდეგ და თვითონ აწესებენ ფასებს შრომაზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად; ზოგიერთები აწესებენ ქირაზე დამატების სის-

* «გაცხარებული მუშაობის დროს, როცა კარგი მოსავალია, მუშა ზეიმობს, და მისი დაყოლიება ძალიან ძნელია. მას აძლევენ ფასს, ის კი ყურადღებასაც არ აქცევს; ერთს გაიძახის: თუ მომცემ იმდენს, რამდენსაც ვითხოვ, წამოვალო. და ეს იმიტომ კი არა, რომ მუშახელის ნაკლებობა იყოს, არამედ იმიტომ, რომ, როგორც მუშები ამბობენ, «ჩვენი გადისო» (ერთი თემის მწერლის ცნობა, შახოვსკოი, 125).

«თუ პურეული ცუდი გამოვიდა და ხელფასი დაეცა, დამქირავებელი-კულაკი სარგებლობს ამით და ვადამდე ითხოვს მუშას, და გაცხარებული მუშაობის დრო მუშას ეკარგება ან იმავე რაიონში სამუშაოს ძებნაში ან მოგზაურობაში», — გულახდილად ამბობს ერთი მემამულე-კორესპონდენტი (ibid., 132).

** შეად. Fr. Engels. «Zur Wohnungsfrage». Vorwort (ფ. ენგელსი. «საბინაო საკითხისათვის». წინასიტყვაობა.რ ე დ.) [80].

ტემასაც კი ახლომახლო ადგილებში შრომის ფასების აწევის დროს, — და ყველაფერი მოწმობს, რომ ეს დანამატი ჭარბად ნაზღაურდება უკეთესი მუშაობით და კონფლიქტების აცილებით (ibid., 130 — 132; 104). პირიქით, წვრილი მეპატრონე არაფერს თაკილობს. «ხუტორელი გლეხები და კოლონისტი გერმანელები ქირაობენ მუშებს «არჩევით», აძლევენ მათ 15—20%-ით მეტს, მაგრამ მუშაობის რაოდენობაც, რომელსაც ისინი «სწურავენ» მუშებს,— ორმოცდაათი პროცენტით მეტია» (ibid., 116). «გოგოებს» ასეთი დამქირავებლის ხელში, როგორც თვითონ ამბობენ, «გასწორებული აქვთ დღე და ღამე». კოლონისტები, როცა მთიბავებს ქირაობენ, თავის შვილებს შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ი თ უკანასკნელ ადგილზე აყენებენ რიგში (მუშების მისადევნად!), ასე რომ ეს შემცვლელი მიმდევნები დღეში სამჯერ დგებიან რიგში განახლებული ძალით და მიდევნიან მუშებს: «ამიტომ გერმანელ კოლონისტებთან მომუშავენი ასე ადვილი გამოსაცნობნი არიან ღონემიხდილი გამომეტყველებით. საზოგადოდ ხუტორელი გლეხები და კოლონისტი გერმანელები ერიდებიან იმ მუშების დაქირავებას, რომლებიც წინათ სამფლობელო ეკონომიებში მსახურებდნენ. «თ ქ ვ ე ნ ჩ ვ ე ნ თ ა ნ ვ ე რ გ ა ძ ლ ე ბ თ ო»,—ეუბნებიან ისინი პირდაპირ» (ibid.) *.

მსხვილი მანქანური ინდუსტრია, რომელიც ერთად უყრის თავს მუშათა მასებს, გარდაჰქმნის წარმოების წესებს, სპობს ყოველ ტრადიციულ, პატრიარქალურ საფარს და სამოსელს, რაც ჩრდილავდა კლასების ურთიერთობას, ყოველთვის იწვევს

* ამნაირადვე ახასიათებენ ყუბანის ოლქის «კაზაკებს»: «მუშის ხელფასის დაწევას კაზაკი ცდილობს ყოველნაირი საშუალებით, ის აქ მოქმედებს როგორც ცალკე, ისე მთელი საზოგადოებით» (sic! სამწუხაროა, რომ ჩვენ არა გვაქვს უფრო დაწვრილებითი ცნობები «თემის» ამ უახლესი ფუნქციის შესახებ!): «შევიწროებით საქმელში, მუშაობაში, ანგარიშის გასწორების დროს, მუშების პასპორტების შეჩერებით, საზოგადოების განაჩენების გამოტანით, რომელნიც ვალდებულად ხდიან ცალკე მეპატრონეებს, ჯარიმის შიშით, არ დაიქირაონ მუშები განსაზღვრულ ფასზე უფრო ძვირად და სხვ.» («მოსული მუშები ყუბანის ოლქში» ა. ბელობოროდოვისა, «სევ. ვესტნ.», 1896, თებერვალი, გვ. 5).

საზოგადოებრივი ყურადღების მიქცევას ამ ურთიერთობაზე, საზოგადოებრივი კონტროლისა და მოწესრიგების ცდას. ეს მოვლენა, — რომელმაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გამოხატულება საფაბრიკო ინსპექციაში ჰპოვა, — უკვე თავს იჩენს რუსეთის კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაშიც, სახელდობრ მიწი უაღრესი განვითარების რაიონში. მუშების სანიტარული მდგომარეობის საკითხი დასმული იყო ხერსონის გუბერნიაში ჯერ კიდევ 1875 წელს ხერსონის ერობის ექიმთა მე-2 საგუბერნიო ყრილობაზე, შემდეგ ხელახლა იყო დაყენებული 1888 წ.; 1889 წ. შეადგინეს პროგრამა მუშების მდგომარეობის შესასწავლად. 1889 — 1890 წლებში მოხდენილმა სანიტარულმა გამოკვლევამ (თუმცა ის მეტად უსრულო იყო) ცოტაოდნად ფარდა ახადა მივარდნილ სოფლებში არსებულ შრომის პირობებს. აღმოჩნდა, მაგალითად, რომ საცხოვრებელი სადგომები მუშებისათვის უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს; თუ არის ყაზარმები, — ისინი ჩვეულებრივ მეტად ანტიჰიგიენურად არიან მოწყობილნი, «არც ისე იშვიათად» შეგხვდებათ მ ი წ უ რ ე ბ ი, სადაც ცხოვრობენ, მაგალითად, ჩობნები (ცხვრის მწყემსები), რომელნიც ძალიან იტანჯებიან სინესტისა, სივიწროვისა, სიცივისა, სიბნელისა და დახშული ჰაერისაგან. მუშების კვება ძალიან ხშირად არადამაკმაყოფილებელია. სამუშაო დღე საზოგადოდ გრძელდება $12^1/_2$-დან 15 საათამდე, ე. ი. გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი სამუშაო დღე მსხვილ მრეწველობაში (11 — 12 საათი). მუშაობისას შესვენება უდიდესი სიცხის დროს მხოლოდ «გამონაკლისია», — და ტვინის ავადმყოფობის შემთხვევები იშვიათი მოვლენა არ არის. მანქანებზე მუშაობა იწვევს შრომის პროფესიულ დანაწილებას და პროფესიულ დაავადებას. მაგალითად, სალეწავებზე მუშაობენ «მეხორგეები» (რომელნიც აწყობენ კონებს ხორგებად; ეს სამუშაო ძალიან საშიში და მეტისმეტად ძნელია: ხორგიდან მუშას პირდაპირ სახეში სცემს მცენარის მსხვილი მტვერი), «მიმწოდებლები» (რომლებიც კონებს აწვდიან; ეს სამუშაო ისე მძიმეა, რომ მუშაობენ მორიგეობით

ყოველი 1 — 2 საათის შემდეგ). ქალები ჰგვიან ნახორს, რომელიც ბავშვებს განზე გააქვთ, ხოლო 3 — 5 მუშა ძნებად დგამს. მთელ გუბერნიაში მლეწავთა რიცხვი 200 000 კაცს უნდა აღემატებოდეს (ტეზიაკოვი, 94)*. ბ-ნ ტეზიაკოვის დასკვნა სამიწათმოქმედო სამუშაოთა სანიტარული პირობების შესახებ ასეთია: «საზოგადოდ, ძველების აზრი, რომლებიც ამბობდნენ, მიწათმოქმედის შრომა «ყველაზე უფრო სასიამოვნო და სასარგებლო შრომა არისო», ახლა, როცა სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური სულია გამეფებული, ნაკლებად დასაჯერებელია. სოფლის მეურნეობაში მანქანური დამუშავების შეტანით სამიწათმოქმედო შრომის სანიტარული პირობები კი არ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა. სოფლის მეურნეობაში მანქანურმა დამუშავებამ შემოიტანა აქ იმდენად უცნობი სპეციალიზაცია შრომისა, რომ მას მოჰყვა სოფლის მოსახლეობაში პროფესიულ ავადმყოფობათა გავრცელება და სერიოზულ ტრავმატულ დაშავებათა მასობრივი შემთხვევები» (94).

სანიტარულ გამოკვლევებს (შიმშილობის წლისა და ხოლერის შემდეგ) მოჰყვა ცდა — შეექმნათ საექიმო-სასურსათო პუნქტები, ამასთან აღერიცხათ მუშები, მოეწყოთ მათი სანიტარული ზედამხედველობა და იაფფასიანი სადილები. რაც უნდა მცირე იყოს ამ წამოწყების ფარგლები და შედეგები, რაც უნდა მერყეევი იყოს მისი არსებობა**, ის მაინც რჩება დიდ ისტორიულ ფაქტად, რომელიც ააშკარავებს კაპიტალიზმის ტენდენციებს მიწათმოქმედებაში. ექიმების მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, ხერსონის გუბერნიის ექიმთა საგუბერნიო ყრილობას წინადადება მიეცა ეცნო საექიმო-სასურსათო

* შევნიშნავთ, სხვათა შორის, რომ ამ ოპერაციას — ლეწვას — განსაკუთრებით ხშირად ასრულებენ ნებით დაქირავებული მუშები. ამიტომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად დიდი უნდა იყოს მლეწავთა რიცხვი მთელ რუსეთში!

** ხერსონის გუბერნიის 6 სამაზრო საერობო კრებიდან, რომელთა აზრი მუშებზე ზედამხედველობის ორგანიზაციის შესახებ მოჰყავს ბ-ნ ტეზიაკოვს, — ოთხმა გაილაშქრა ამ სისტემის წინააღმდეგ. ადგილობრივი მიწათმფლობელნი ბრალად სდებდნენ გუბერნიის საერობო გამგეობას — ეს სისტემა «საბოლოოდ გააზარმაცებს მუშებსაო» და სხვ.

პუნქტების უაღრესი მნიშვნელობა, ეცნო, რომ საჭიროა მათი სანიტარული პირობების გაუმჯობესება, მათი საქმიანობის გაფართოება ისე, რომ ამ პუნქტებს შრომის ბირჟების ხასიათი მისცემოდა შრომის ფასების და მათი რყევის შესატყობინებლად, ეცნო, რომ საჭიროა, «სამრეწველო დაწესებულებათა მსგავსად», სანიტარული ზედამხედველობის გავრცელება ყველა ცოტად თუ ბევრად მსხვილ მეურნეობაზე, სადაც კი მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობაა (გვ. 155), რომ საჭიროა გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებისა და ტრავმების რეგისტრაციის შესახებ, აღიძრას მუშების უზრუნველყოფის უფლებისა და ორთქლის ტრანსპორტის გაუმჯობესების და გაიაფების საკითხი. რუსი ექიმების მეხუთე ყრილობამ დაადგინა მიექცეს დაინტერესებულ ერობათა ყურადღება ხერსონის ერობის მოღვაწეობას საექიმო-სანიტარული ზედამხედველობის მოწყობის საქმეში.

დასასრულ, ჩვენ ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით ნაროდნიკ-ეკონომისტებს. ზემოთ დავინახეთ, რომ ისინი აიდეალებენ შრომამიგებას და თვალს არიდებენ, მასთან შედარებით, კაპიტალიზმის პროგრესულობას. ახლა უნდა დავძინოთ, რომ ისინი უარყოფითად უყურებენ მუშების «გასვლასაც» და სიმპათიურად ეპყრობიან ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ «საშოვრებს». აი როგორ გამოთქვამს ამ ჩვეულებრივ ნაროდნიკულ შეხედულებას, მაგალითად, ბ-ნი ნ. —ონი: «გლეხები... სამუშაოს საძებნად მიდიან... საკითხავია, რამდენად სასარგებლოა ეს სამეურნეო მხრით? არა პირადად თვითეული გლეხისთვის ცალკე, არამედ მთელი გლეხობისათვის ერთად, სახელმწიფო-სამეურნეო მხრით?.. ჩვენ გვინდა მივუთითოთ, თუ რაოდენ უსარგებლოა წმინდა ეკონომიური თვალსაზრისით ყოველწლიური გასვლა, ღმერთმა უწყის სად, მთელი ზაფხულობით, როცა, თითქოს, შეიძლება სამყოფი სამუშაო იქვე ხელთ გქონდეს...» (23 — 24).

ჩვენ ვამტკიცებთ, ნაროდნიკული თეორიის წინააღმდეგ, რომ მუშების «გასვლა» არათუ მხოლოდ «წმინდა ეკონომი-

ურ» სარგებლობას აძლევს თვით მუშებს, არამედ საზოგადოდ მიჩნეულ უნდა იქნას პროგრესულ მოვლენად; რომ საზოგადოებრივი ყურადღება უნდა მიექცეს არა ადგილობრივი, «ხელთქონებული სამუშაოთი» გარესარეწთა შეცვლას, არამედ, პირიქით, გასვლის ყოველნაირი დაბრკოლების მოსპობას, მის ყოველმხრივ გაადვილებას, მუშების მისვლა-მოსვლის ყველა პირობის გაიაფებასა და გაუმჯობესებას და სხვ. ჩვენი მტკიცების საფუძველი შემდეგია:

1) ამ «გასვლას» მუშებისათვის «წმინდა ეკონომიური» სარგებლობა მოაქვს იმიტომ, რომ ისინი მიდიან ისეთ ადგილებში, სადაც მეტი ხელფასია, სადაც მათი მდგომარეობა, როგორც დასაქირავებლებისა, უკეთესია. თუმცა ეს მოსაზრება ძალიან მარტივია, მას მაინც ერთობ ხშირად ივიწყებენ ისინი, ვისაც უყვარს უმაღლეს, ვითომც «სახელმწიფო-სამეურნეო» თვალსაზრისამდე ამაღლება.

2) ეს «გასვლა» ძირს უთხრის დაქირავების კაბალურ ფორმებს და შრომამიგებას.

გავიხსენოთ, მაგალითად, რომ წინათ, როცა სამუშაოდ გასვლა სუსტად იყო განვითარებული, სამხრეთელი მიწათმფლობელნი (და სხვა მეწარმენი) ხალისით მიმართავდნენ დაქირავების ასეთ ხერხს: გზავნიდნენ თავის მოურავებს ჩრდილოეთ გუბერნიებში და (სოფლის თანამდებობის პირთა მეშვეობით) ქირაობდნენ მენარჩენეებს მათთვის სრულებით არახელსაყრელ პირობებში *. დამქირავებლები, მაშასადამე, სარგებლობდნენ კონკურენციის თავისუფლებით, დასაქირავებელნი კი — არა. ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ იმის მაგალითები, რომ გლეხი მზად არის შახტებსაც კი მიაშუროს, ოღონდ თავი დააღწიოს შრომამიგებასა და კაბალას.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მუშების «გასვლის» საკითხში ჩვენი აგრარიები მხარს უჭერენ ნაროდნიკებს.

* შახოვსკოი, l. c., 98 და შემდეგ. ავტორს ნიხრიც კი მოჰყავს მწერლებისა და მამასახლისების «დაჯილდოებისა» გლეხების ხელსაყრელ პირობებში დაქირავებისთვის. — ტეზიაკოვი: l. c., 65. — ტრიროგოვი: «თემი და გამოსაღები»; სტატია: «კაბალა სახალხო მეურნეობაში».

აიღეთ, მაგალითად, ბ-ნი ს. კოროლენკო. თავის წიგნში მას გადმოცემული აქვს მემამულეთა მთელი რიგი მოსაზრებანი მუშების «გასვლის» წინააღმდეგ და შემდეგ მოჰყავს უამრავი «საბუთი» «გარესარეწთა» წინააღმდეგ: «თარეში», «დაუდგრომელი ხასიათი», «ლოთობა», «არაკეთილსინდისიერება», «ოჯახის მიტოვების სურვილი, რომ თავი დააღწიონ მას და მშობლების ზედამხედველობას», «გართობისა და უფრო მხიარული ცხოვრების სურვილი» და სხვ. მაგრამ აი განსაკუთრებით საინტერესო საბუთი: «ბოლოს როგორც ანდაზა ამბობს, «უმოძრაო ქვასაც კი ხავსი ეკიდებაო», ადამიანი ადგილობრივად უეჭველად იძენს ქონებას და უფრთხილდება მას» (l. c., გვ. 84). ანდაზა, მართლაც, ძალიან მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს ადამიანზე ერთ ადგილზე მიმაგრება. ბ-ნ ს. კოროლენკოს განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს ის, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული, მოვლენა, რომ ზოგიერთი გუბერნიიდან მიდის «ძალიან» ბევრი მუშა და მათი დანაკლისი ივსება სხვა გუბერნიებიდან მოსული მუშებით. როცა ბ-ნი ს. კოროლენკო აღნიშნავს ამ ფაქტს, მაგალითად, ვორონეჟის გუბერნიის მიმართ, ის, როგორც ამ მოვლენის ერთ მიზეზთაგანს, ასახელებს ნაბოძარი ნადელის მქონე გლეხების სიმრავლეს. «ცხადია, ასეთი გლეხები, რომლებიც შედარებით უარეს მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებიან და არ უფრთხილდებიან თავის მეტად მცირე ქონებას, უფრო ხშირად არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და საერთოდ უფრო ადვილად მიდიან სხვა გუბერნიებში, მაშინაც კი, როცა მათ შინაც შეეძლოთ საკმაო საშოვარი გაეჩინათ». «ასეთი გლეხები, სუსტად მიჯაჭვულნი (sic!) თავის არასაკმარის ნადელზე, ხანდახან ინვენტარსაც კი მოკლებულნი, უფრო იოლად სტოვებენ თავის სახლს, მიდიან ბედის საძებნად შორს თავისი სოფლიდან, არ ზრუნავენ ადგილობრივ საშოვრის გამოძებნაზე და ხანდახან უზრუნველობას იჩენენ ნაკისრი ვალდებულებისადმიც კი, რადგან მათ ვერაფერს გადაახდევინებენ» (ibid.).

«სუსტად მიჯაჭვულნი»! აი ნამდვილი სიტყვა.

ამ სიტყვას უნდა ჩაუფიქრდნენ ისინი, ვინც ლაპარაკობს «გასვლის» უსარგებლობაზე, ადგილობრივი, «ხელთქონებული სამუშაოს» უპირატესობაზე! *.

3) «გასვლა» ნიშნავს მოსახლეობის მოძრაობის გაჩენას. გასვლა ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც ხელს უშლის გლეხებს «მოიკიდონ ხავსი», რითაც საკმაოზე მეტად დაუფარავს ისინი ისტორიას. მოსახლეობის ასეთი მოძრაობის გამოუწვევლად შეუძლებელია მისი განვითარებაც, და გულუბრყვილობა იქნებოდა ფიქრი, რომ რომელიმე სოფლის სკოლას შეეძლოს ადამიანისათვის იმის მიცემა, რასაც მას აძლევს უშუალო გაცნობა სხვადასხვა ურთიერთობისა და წესებისა სამხრეთსა და ჩრდილოეთში, მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში, სატახტო ქალაქსა და მივარდნილ ადგილებში.

---

* აი კიდევ იმის მაგალითი, თუ რა მავნე გავლენა აქვთ ნაროდნიკულ ცრუშეხედულებებს. ბ-ნი ტეზიაკოვი, რომლის მშვენიერი ნაშრომიდან ჩვენ არაერთხელ მოგვიყვანია ციტატები, აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ხერსონის გუბერნიიდან ბევრი ადგილობრივი მუშა მიდის თავრიდის გუბერნიაში, თუმცა პირველში მუშების დიდი ნაკლებობაა. ამას ის უწოდებს «მეტად უცნაურ მოვლენას»: «ზარალობენ როგორც მეურნეები, ისე მუშები, რომლებიც თავს ანებებენ შინ მუშაობას და რისკს ეწევიან, რომ სამუშაოს თავრიდში ვერ იშოვნიან» (33). ჩვენ, პირიქით, გვგონია, რომ ბ-ნ ტეზიაკოვის ეს განცხადებაა უცნაური. ნუთუ მუშებს არ ესმით საკუთარი სარგებლობა და უფლება არა აქვთ ეძიონ თავისთვის დაქირავების ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები? (თავრიდის გუბერნიაში სოფლის მუშების ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე ხერსონის გუბერნიაში). ნუთუ ჩვენ მართლაც ისე უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა იცხოვროს და იმუშაოს იქ, სადაც ის მიწერილია და «უზრუნველყოფილია ნადელით»?

თ ა ვ ი IV

საკვანძო მიწათმოქმედების ზრდა

გლეხური და მემამულური მეურნეობის შინაგანი ეკონომიური წყობილების განხილვის შემდეგ ჩვენ ახლა უნდა გადავიდეთ იმ ცვლილებათა საკითხზე, რაც ხდება სამიწათმოქმედო წარმოებაში: გამოხატავენ თუ არა ეს ცვლილებანი კაპიტალიზმისა და შინაური ბაზრის ზრდას?

I. რეფორმისშემდგომ რუსეთში სამიწათმოქმედო წარმოებისა და საკვანძო მიწათმოქმედების სახეების ზოგადი მონაცემები

უწინარეს ყოვლისა გადავხედოთ ზოგად სტატისტიკურ ცნობებს ევროპულ რუსეთში პურეულის წარმოების შესახებ. მოსავლიანობის მნიშვნელოვანი რყევა სრულებით გამოუსადეგრად ხდის ცალკე პერიოდებისა და ცალკე წლების ცნობებს *. საჭიროა ავიღოთ სხვადასხვა პერიოდი და მთელი რიგი წლების ცნობები. ჩვენს განკარგულებაშია შემდეგი მონაცემები: 60-იანი წლების პერიოდისა — 1864 — 1866 წლების მონაცემები («სამხედრო-სტატისტიკური კრებული», IV, სპბ. 1871, გუბერნატორთა ანგარიშების მონაცემები); 70-იანი წლებისა — მიწათმოქმედების დეპარტამენტის მთელი ათეული წლის მონაცემები («რუსეთის მრეწველობის ისტორიულ-

---

* მარტო ეს მიზეზიც საკმარისია იმისათვის, რომ სრულებით შემცდარად ჩაითვალოს ბ-ნ ნ. —ონის ხერხი, როცა მას ძალიან გაბედული დასკვნები გამოჰყავს ერთი ათწლედის (1871 — 1878) 8 წლის ცნობებიდან!

სტატისტიკური მიმოხილვა», ტ. I, სპბ. 1883); ბოლოს, 1880-იანი წლებისა — ხუთი წლის — 1883 — 1887 წლების მონაცემები («რუსეთის იმპერიის სტატისტიკა», IV). ამ ხუთ წელს შეუძლია წარმოგვიდგინოს მთელი ოთხმოციანი წლები, რადგან 10 წლის — 1880 — 1889 წლების საშუალო მოსავალი რამდენადმე უფრო მეტიც კი არის, ვიდრე ხუთი წლის — 1883 — 1887 წლებისა (იხ. «რუსეთის სოფლისა და ტყის მეურნეობა», გამოცემა ჩიკაგოს გამოფენისთვის, გვ. 132 და 142). შემდეგ, იმის წარმოსადგენად, თუ რა მიმართულებით ხდებოდა ევოლუცია 90-იან წლებში, ჩვენ ვიღებთ ათი წლის — 1885 — 1894 წლების ცნობებს («საწარმოო ძალები», I, 4). ბოლოს, 1905 წლის ცნობები («რუსეთის წელიწდეული», 1906) საკვლევით გამოსადეგია ახლანდელი დროის შესახებ მსჯელობისათვის. 1905 წელს მოსავალი ცოტათი ნაკლები იყო ხუთი წლის — 1900 — 1904 წლების — საშუალო მოსავალზე.

დავუპირისპიროთ ყველა ეს ცნობა ერთმანეთს *:

ევროპული რუსეთის 50 გუბერნია [81]

პერიოდები	ორივე სქესის მოსახლეობა მილიონობით	მილიონობით «ჩეტვერტი»				ერთ სულზე მოდის წმინდა მოსავალი «ჩეტვერტობით»		
		ნათესი	წმ. მოსავალი	ნათესი	წმ. მოსავალი			
		მთელი პურეული, ე. ი. მარცვლეული პლუს კარტოფილი		კარტოფილი		მარცვლეული	კარტოფილი	პურეული
1864—1866	61,4	72,2	152,8	6,9	17,0	2,21	0,27	2,48
1870—1879	69,8	75,6	211,3	8.7	30,4	2,59	0,43	3,02
1883—1887	81,7	80,3	255,2	10,8	36.2	2,68	0 44	3,12
1885—1894	86,3	92,6	265,2	16,5	44,3	2,57	0,50	3,07
(1900—1904)— —1905	107,6	103,5	396,5	24,9	93,9	2,81	0,87	3,68

* 1883 — 1887 წლების პერიოდისთვის აღებულია 1885 წლის მოსახლეობა; ზრდა ნაანგარიშევია = 1,2%. განსხვავება გუბერნატორთა ანგარიშების ცნობებსა და მიწათმოქმედების დეპარტამენტის ცნობებს შორის, როგორც ვიცით, უმნიშვნელოა. 1905 წლის ციფრები გამოანგარიშებულია ფუთის «ჩეტვერტზე» გადაყვანით.

აქედან ვხედავთ, რომ 1890-იან წლებამდე რეფორმის-შემდგომი ეპოქა ხასიათდება როგორც მარცვლეული პურეულის, ისე კარტოფილის მოყვანის უეჭველი ზრდით. სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერება მატულობს: ჯერ ერთი, წმინდა მოსავლის ოდენობა უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე ნათესის ოდენობა (ზოგიერთ კერძო გამონაკლისს გარდა); მეორეც, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ იმ მოსახლეობის წილი, რომელიც მიწათმოქმედებას მისდევს, აღნიშნული დროის განმავლობაში თანდათან კლებულობდა მოსახლეობის სოფლის მეურნეობიდან ვაჭრობასა და მრეწველობაში გადასვლის გამო, აგრეთვე ევროპული რუსეთის ფარგლებიდან გლეხთა გადასახლების გამო*. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იზრდება სწორედ ს ა ვ ა ჭ რ ო მიწათმოქმედება: მატულობს მოყვანილი პურის რაოდენობა (სათესლეს გამოკლებით) მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, ხოლო ამ მოსახლეობის შიგნით სულ უფრო და უფრო ვითარდება საზოგადოებრივი შრომის დანაწილება; მატულობს სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა; მიწათმოქმედი მოსახლეობა იყოფა სოფლის მეწარმეებად და სოფლის პროლეტარიატად; იზრდება თვით მიწათმოქმედების სპეციალიზაცია, ასე რომ გასაყიდად წარმოებული პურის რაოდენობა იზრდება გაცილებით უფრო ჩქარა, ვიდრე მთელ რუსეთში მოყვანილი პურის რაოდენობა. პროცესის კაპიტალისტური ხასიათი თვალსაჩინოდ იხატება იმით, რომ იზრდება კარტოფილის როლი სამიწათმოქმედო წარმოების საერთო რაოდენობაში **. კარტოფილის ნათესის გაფართოება ნიშნავს, ერთი მხრით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ამაღლებას (ძირხვენა მცენარეების

* სავსებით შემცდარია აზრი ბ-ნ ნ. —ონისა, რომელიც ამტკიცებს, რომ «არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიგულვოთ მათი რიცხვის დაკლებაო» (იმ პირთა რიცხვისა, რომელნიც ჩაბმული არიან სამიწათმოქმედო წარმოებაში), «სავსებით პირიქით» («ნარკვევი», 33, შენიშ.). იხ. თავი VIII, § II.

** 1864 — 1866 წლებიდან 1870 — 1879 წლებამდე კარტოფილის წმინდა მოსავალი მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით გაიზარდა ევროპული რუსეთის ყველა რაიონში გამოუკლებლად. 1870 — 1879 წლებიდან

თესვის შემოღება) და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნიკური დამუშავების ზრდას (არაყის გამოხდა და კარტოფილის სახამებლის წარმოება). მეორე მხრით, ის წარმოადგენს, სოფლის მეწარმეთა კლასის თვალსაზრისით, შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოებას (მუშა-ძალის შენახვის გაიაფება, ხალხის კვების გაუარესება). შემდეგ, 10 წლის — 1885 — 1894 წლების — ცნობები გვიჩვენებენ, რომ 1891 — 1892 წწ. კრიზისმა, რომელმაც მეტისმეტად გააძლიერა გლეხობის ექსპროპრიაცია, გამოიწვია მარცვლეული პურეულის წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება და ყველა პურეულის მოსავლიანობის დაკლება; მაგრამ მარცვლეული პურის კარტოფილით გამოდევნის პროცესი ისეთი ძალით გრძელდებოდა, რომ კარტოფილის წარმოებამ, მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, მოსავლის დაკლების მიუხედავად, მოიმატა. ბოლოს, უკანასკნელი ხუთი წელი (1900 — 1904) ამნაირადვე გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას, სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების გადიდებას და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესებას (კარტოფილის როლის ზრდა).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა მიწათმოქმედების სპეციალიზაციით გამოიხატება. მასობრივსა და ზოგად ცნობებს ყოველნაირი პურის წარმოების შესახებ შეუძლიათ მოგვცენ მხოლოდ (და ისიც არა ყოველთვის) სულ ზოგადი მითითებანი ამ პროცესზე,

---

1883 — 1887 წლებამდე მოსავალი გაიზარდა 7 რაიონში 11-დან (სახელდობრ: ბალტიისპირა, დასავლეთის, სამრეწველო, ჩრდილო-დასავლეთის, ჩრდილოეთის, სამხრეთის, ველის, ქვედა ვოლგის და ვოლგისიქითა რაიონებში).

შეად. «სოფლის მეურნეობის სტატისტიკური ცნობები მეურნეებისაგან მიღებული მასალების მიხედვით», ნაკვ. VII, სპბ. 1897 (მიწათმოქმედების სამინისტროს გამოცემა) [82]. 1871 წელს ევროპული რუსეთის 50 გუბერნიაში იყო კარტოფილით დათესილი 790 ათასი დეს., 1881 წელს — 1 375 ათასი დეს., 1895 წელს — 2 154 ათასი დეს., ე. ი. 15 წლის განმავლობაში გაზრდილა 55%-ით. თუ მივიღებთ კარტოფილის მოსავალს 1841 წელს 100-ად, შემდგომი დროისთვის მივიღებთ ასეთ ციფრებს: 1861 — 120; 1871 — 162; 1881 — 297; 1895 — 530.

რადგან სხვადასხვაგვარი რაიონების სპეციფიკური თავისებურებანი აქ ჰქრებიან. ამავე დროს, სწორედ მიწათმოქმედების სხვადასხვაგვარი რაიონების გამოცალკევება წარმოადგენს რეფორმისშემდგომი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშანს რუსეთში. ასე, ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ «რუსეთის მრეწველობის ისტორიულ-სტატისტიკურ მიმოხილვაში» (ტ. I, სპბ. 1883) აღნიშნულია შემდეგი სასოფლო-სამეურნეო რაიონები: მესელეობის რაიონი, «მხარე, სადაც მეჯოგეობას უპირატესი მნიშვნელობა აქვს», სადაც კერძოდ «სარძეო მეურნეობა მნიშვნელოვნად არის განვითარებული», მხარე, სადაც სჭარბობს მარცვლეული კულტურა, კერძოდ — სამმინდვრიანობის რაიონი და გაუმჯობესებული ნასვენი ან მრავალმინდვროვანი საბალახო სისტემის რაიონი (ნაწილი ველიანი ზოლისა, რომელიც «ხასიათდება უფრო ძვირფასი, უმთავრესად საზღვარგარეთ გასატანი, ეგრეთწოდებული წითელი პურეულის წარმოებით»), ჭარხლის რაიონი, არაყის გამოსახდელად კარტოფილის მოწევის რაიონი. «აღნიშნული სამეურნეო რაიონები გაჩნდნენ ევროპული რუსეთის ტერიტორიაზე შედარებით ამ მოკლე ხანში და წლითი-წლობით სულ უფრო და უფრო ვითარდებიან და ცალკევდებიან» (l. c., გვ. 15)*. მაშასადამე, ჩვენი ამოცანა ახლა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მიწათმოქმედების სპეციალიზაციის ამ პროცესის შესასწავლად უნდა გავიგოთ, იზრდება თუ არა სავაჭრო მიწათმოქმედება მისი სხვადასხვა სახით, ჩნდება თუ არა ამასთან კაპიტალისტური სოფლის მეურნეობა, ხასიათდება თუ არა სამიწათმოქმედო კაპიტალიზმი იმ თვისებებით, რომლებიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ გლეხური და მემამულური მეურნეობის

* შეად. აგრეთვე «რუსეთის სოფლისა და ტყის მეურნეობა», გვ. 84 — 88; აქ დამატებულია კიდევ თამბაქოს რაიონი. ბბ. დ. სემენოვისა და ა. ფორტუნატოვის მიერ შედგენილ რუკებზე აღნიშნულია რაიონები იმისდა მიხედვით, თუ რა მცენარე სჭარბობს მემინდვრეობის კულტურაში, მაგალითად, ფსკოვისა და იაროსლავლის გუბერნიები წარმოადგენენ ჭვავის, შვრიისა და სელის რაიონს; გროდნოსა და მოსკოვის გუბერნიები — ჭვავის, შვრიისა და კარტოფილის რაიონს, და სხვ.

ზოგადი ცნობების განხილვისას. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი მიზნისათვის საკმარისია დავკმაყოფილდეთ სავაჭრო მიწათმოქმედების უმთავრესი რაიონების დახასიათებით.

მაგრამ სანამ გადავიდოდეთ ცალკეული რაიონების ცნობებზე, შევნიშნავთ შემდეგს: ეკონომისტ-ნაროდნიკები, როგორც უკვე დავინახეთ, ყოველნაირად ცდილობენ გვერდი აუარონ იმ ფაქტს, რომ რეფორმისშემდგომი ეპოქა ხასიათდება სწორედ სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდით. ბუნებრივია, ამასთან ისინი უგულებელჰყოფენ იმ გარემოებასაც, რომ მარცვლეული პურის ფასების დაცემამ ხელი უნდა შეუწყოს მიწათმოქმედების სპეციალიზაციას და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაცვლას. აი მაგალითი: ავტორები ცნობილი წიგნისა «მოსავლისა და პურის ფასების გავლენა» სულ იმ დებულებიდან გამოდიან, რომ ნატურალური მეურნეობისთვის პურის ფასს არა აქვს მნიშვნელობა, და ამ «ჭეშმარიტებას» მრავალჯერ იმეორებენ. თუმცაღა, ერთმა მათგანმა, ბ-მა კაბლუკოვმა, შენიშნა, რომ სასაქონლო მეურნეობის საერთო პირობებში ეს დებულება, არსებითად, სწორი არ არისო. «შესაძლებელია, რა თქმა უნდა, — წერს ის, — რომ მარცვლეული, რომელიც გაქვთ ბაზარზე, მოყვანილია წარმოების ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე საკუთარ მეურნეობაში მოყვანილი, და მაშინ მოხმარებითი მეურნეობისთვისაც თითქოს უფრო ხელსაყრელია პურეულის მოწევიდან სხვა კულტურებზე გადასვლა» (ან სხვა რაიმე მოსაქმეობაზე — დავძენთ ჩვენი მხრით), «და, მაშასადამე, პურის საბაზრო ფასს მისთვისაც ენიჭება მნიშვნელობა, რამდენადაც ის არ შეეფარდება მის წარმოების დანახარჯებსო» (I, 98 შენიშ., ხაზი ავტორისაა). «მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ეს ანგარიშში», — ბრძანებს ის. — რატომ? თურმე იმიტომ: 1) რომ სხვა კულტურებზე გადასვლა შესაძლებელია «მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობის დროს». ასეთი უშინაარსო ტრიუიზმის საშუალებით (ქვეყნად ყველაფერი მხოლოდ გარკვეულ პირობებშია შესაძლებელი!) ბ-ნი კაბლუკოვი გულდამშვიდებით უვლის

გვერდს იმ ფაქტს, რომ რეფორმისშემდგომი ეპოქა ჰქმნიდა და ჰქმნის რუსეთში სწორედ იმ პირობებს, რომლებიც იწვევენ მიწათმოქმედების სპეციალიზაციას და მიწათმოქმედების მიტოვებას მოსახლეობის მიერ... 2) იმიტომ, რომ «ჩვენს კლიმატურ პირობებში შეუძლებელია მოინახოს ისეთი პროდუქტი, რომელიც თავისი სასურსათო მნიშვნელობით მარცვლეულ პურს შეედრებოდეს». ეს ძალიან ორიგინალური საბუთია, რომელიც საკითხის ბანზე აგდებას ნიშნავს. რა შუაშია აქ სხვა პროდუქტების სასურსათო მნიშვნელობა, თუკი საკითხი ამ სხვა პროდუქტების გაყიდვას და იაფფასიანი პურის ყიდვას ეხება?.. 3) იმიტომ, რომ «მოხმარებითი ტიპის მარცვლეულ მეურნეობებს ყოველთვის აქვთ რაციონალური საფუძველი თავისი არსებობისათვის». სხვანაირად რომ ვთქვათ: იმიტომ, რომ ბ-ნ კაბლუკოვს თავის «ამხანაგებთან ერთად» ნატურალური მეურნეობა «რაციონალურად» მიაჩნია. საბუთი, როგორც ხედავთ, დაუძლეველია...

II. სავაჭრო მარცვლეული მეურნეობის რაიონი

ეს რაიონი მოიცავს ევროპული რუსეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ განაპირა მხარეს, ნოვოროსიის და იმიერვოლგის ველიან გუბერნიებს. მიწათმოქმედება აქ განირჩევა ექსტენსიური ხასიათით და დიდძალი გასაყიდი მარცვლეულის წარმოებით. თუ ჩვენ ავიღებთ 8 გუბერნიას: ხერსონის, ბესარაბიის, თავრიდის, დონის, ეკატერინოსლავის, სარატოვის, სამარისა და ორენბურგის გუბერნიებს, აღმოჩნდება, რომ აქ 1883—1887 წლებში 13 877 ათას მოსახლეზე მოდიოდა 41,3 მილიონი «ჩეტვერტი» მარცვლეული პურის წმინდა მოსავალი (შვრიის გარდა), ე. ი. ევროპული რუსეთის 50 გუბ. მთელი წმინდა მოსავლის ერთ მეოთხედზე მეტი. ყველაზე უფრო აქ ითესება ხორბალი — მთავარი საექსპორტო პური*. აქ მიწათმოქმედება

* სარატოვის გუბერნიის გარდა, სადაც ხორბლით დათესილია მთელი ნათესი მიწის 14,3%, დანარჩენ დასახელებულ გუბერნიებში ხორბლის ნათესი შეადგენს 37,6% — 57,8%-ს.

ყველაზე უფრო სწრაფად ვითარდება (რუსეთის სხვა რაიონებთან შედარებით), და ეს გუბერნიები უკან იტოვებენ შუა შავნიადაგიან გუბერნიებს, რომლებიც წინათ პირველ ადგილზე იყვნენ:

გ უ ბ ე რ ნ ი ა თ ა რ ა ი ო ნ ე ბ ი	მარცვლეული პურის წმინდა მოსავალი მოსახლეობის 1 სულზე პერიოდებში *		
	1864—1866	1870—1879	1883—1887
სამხრეთი ველის	2,09	2,14	3,42
ქვედა ვოლგის და იმიერ-ვოლგის	2,12	2,96	3,35
შუა შავნიადაგიანი .	3,32	3,88	3,28

ამნაირად ხდება მარცვლეულის წარმოების მთავარი ცენტრის გ ა დ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ა: 1860-იან და 1870-იან წლებში შუა შავნიადაგიანი გუბერნიები ყველაზე წინ იდგნენ, 1880-იან წლებში კი მათ დაუთმეს პირველობა ველიან და ქვედა ვოლგის გუბერნიებს; მარცვლეულის წარმოება იქ უკვე კ ლ ე ბ უ ლ ო ბ დ ა.

დასახელებულ რაიონში სამიწათმოქმედო წარმოების უზარმაზარი ზრდის ეს საინტერესო ფაქტი აიხსნება იმით, რომ ველიანი განაპირა მხარეები რეფორმისშემდგომ ეპოქაში წარმოადგენდნენ ცენტრალური, დიდი ხნიდან დასახლებული ევროპული რუსეთის კ ო ლ ო ნ ი ა ს. თავისუფალი მიწების სიმრავლემ მიიზიდა აქ დიდძალი ახალი მოსახლე, რომლებიც სწრაფად აფართოებდნენ ნათესებს **. ს ა ვ ა ჭ რ ო მიზნით ნათესის ფართოდ

* წყაროები დასახელებულია ზემოთ. გუბერნიათა რაიონები მოყვანილია «ისტორ.-სტატ. მიმოხილვიდან». «ქვედა ვოლგის და იმიერვოლგის» რაიონი უხეიროდაა შედგენილი, რადგან ველიან გუბერნიებზე, სადაც მარცვლეულის უზარმაზარი წარმოებაა, მიკერებულია ასტრახანის (სადაც პური საკვებად არ ჰყოფნით), ყაზანის და სიმბირსკის გუბერნიები, რომლებიც უფრო ეკუთვნიან შუა შავნიადაგიან ზოლს.

** იხ. ბ-ნ ვ. მიხაილოვსკის სტატია («ნოვოე სლოვო», 1897, ივნისი) განაპირა მხარეებში მოსახლეობის უზარმაზარი ზრდისა და 1865 წლიდან 1897 წლამდე შიდა გუბერნიებიდან ასეულ ათასობით გლეხის გადმოსახლების შესახებ. ნათესის გაფართოების შესახებ იხ. ვ. პოსტნიკოვის ზემო-

განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმის გამო, რომ ამ კოლონიებს მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვთ, ერთი მხრით, ცენტრალურ რუსეთთან, მეორე მხრით — ევროპის ქვეყნებთან, რომლებსაც შეაქვთ მარცვლეული. მრეწველობის განვითარება ცენტრალურ რუსეთში და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება განაპირა მხარეებში ერთმანეთთან განუწყვეტლად დაკავშირებული არიან და ჰქმნიან ბაზარს ერთიმეორისათვის. სამრეწველო გუბერნიები იღებდნენ პურს სამხრეთიდან და იქ ასაღებდნენ თავისი ფაბრიკების პროდუქტებს, აწვდიდნენ კოლონიებს მუშახელს, ხელოსნებს (იხ. თავი V, § III, განაპირა ადგილებში წვრილ მრეწველთა გადასახლების შესახებ), წარმოების საშუალებებს (ხე-ტყეს, საშენ მასალებს, იარაღებს და სხვ.). შრომის მხოლოდ ასეთი საზოგადოებრივი დანაწილების მეოხებით შეეძლოთ ველიან ადგილებში გადმოსახლებულთ ხელი მიეყოთ მარტოოდენ მიწათმოქმედებისათვის და გაესაღებინათ დიდძალი მარცვლეული შინაურ და უფრო კი საზღვარგარეთულ ბაზრებზე. მხოლოდ შინაურ და საგარეო ბაზართან მჭიდრო კავშირის გამო შეიქნა შესაძლებელი ამ ადგილების ასეთი ჩქარი ეკონომიური განვითარება; და ეს იყო სწორედ კაპიტალისტური განვითარება, რადგან სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდასთან ერთად ასეთივე სიჩქარით სწარმოებდა მოსახლეობის მრეწველობისაკენ მიზიდვის პროცესი, ქალაქების ზრდისა და მსხვილი მრეწველობის ახალი ცენტრების გაჩენის პროცესი (შეად. ქვემოთ, VII და VIII თავები)*.

დასახელებული თხზულება, სამარის გუბერნიის საერობო-სტატისტიკური კრებულები; ვ. გრიგორიევის «რიაზანის გუბერნიის გლეხთა გადასახლება». უფის გუბერნიის შესახებ იხ. რემეზოვი: «ნარკვევები ველური ბაშკირეთის ცხოვრებიდან» — ცოცხალი აღწერილობა იმისა, თუ როგორ სპობდნენ «კოლონიზატორები» სახომალდო ტყეებს და როგორ აქცევდნენ «ველური» ბაშკირებისაგან «გაწმენდილ» მიწებს «ხორბლის ფაბრიკებად». ეს ისეთი ნიმუშია კოლონიური პოლიტიკისა, რომელიც გაუძლებს გერმანელთა მიერ სადღაც აფრიკაში ჩადენილ ყოველგვარ საგმირო საქმეებთან შედარებას.

* შეად. M a r x. «Das Kapital», III, 2, 289, — კაპიტალისტური კოლონიის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს თავისუფალი მიწების სიმ-

რაც შეეხება საკითხს, დაკავშირებულია თუ არა ამ რაიონში სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა სოფლის მეურნეობის ტექნიკურ პროგრესთან და კაპიტალისტური ურთიერთობის გაჩენასთან, — ამაზე უკვე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მეორე თავში დავინახეთ, თუ რა დიდი ნათესები აქვთ ამ ადგილებში გლეხებს, როგორ მკვეთრად იჩენს აქ თავს კაპიტალისტური ურთიერთობა თემის შიგნითაც კი. წინა თავში დავინახეთ, რომ ამ რაიონში განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა მანქანების გამოყენება, რომ განაპირა მხარეების კაპიტალისტური ფერმები ასიათასობით და მილიონობით იზიდავენ დაქირავებულ მუშებს, ავითარებენ მანამდე მიწათმოქმედებაში არნახულ მსხვილ მეურნეობებს დაქირავებული მუშების ფართო კოოპერაციის პირობებში და სხვ. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ცოტაოდენი რამ დავუმატოთ ამ სურათის შესავსებად.

ველიან განაპირა მხარეებში კერძომფლობელობითი მამულები ზოგჯერ არა მარტო თავისი უზარმაზარი ოდენობით ხასიათდებიან, არამედ იმითაც, რომ ისინი მეტად მსხვილ მეურნეობას უწევენ. ზემოთ ჩვენ ნაჩვენები გვქონდა, რომ სამარის გუბერნიაში ნათესის ფართობი უდრის 8 — 10 — 15 ათას დესეტინას. თავრიდის გუბერნიაში ფალც-ფეინს აქვს 200 000 დეს., მორდვინოვს — 80 000 დეს., ორ პირს — სამოც-სამოცი ათასი დესეტინა «და მრავალია ისეთი მფლობელი, რომელთაც აქვთ 10 ათასიდან 25 ათასამდე დესეტინა» (შახოვსკოი, 42). მეურნეობის ოდენობაზე შეიძლება წარმოდგენა მოგვცეს იმ ფაქტმა, რომ, მაგალითად, ფალც-ფეინის სათიბებზე 1893 წელს მუშაობდა 1 100 მანქანა (აქედან 1 000 მანქანა გლე-

---

რავლე, რომლებიც ადვილი მისაწვდომია გადმოსახლებულთათვის (ამ ადგილის რუსული თარგმანი, გვ. 623, სრულებით არ არის სწორი)[83]. აგრეთვე იხ. III, 2, 210, რუს. თარგ., გვ. 553, — სამიწათმოქმედო კოლონიებში პურის უზარმაზარი სიჭარბე აიხსნება იმით, რომ ამ კოლონიების მთელი მოსახლეობა თავდაპირველად «თითქმის მხოლოდ სოფლის მეურნეობას მისდევს და სპეციალურად მის მასობრივ პროდუქტებს აწარმოებს», რომლებიც იცვლება მრეწველობის პროდუქტებზე. «მსოფლიო ბაზრის საშუალებით თანამედროვე კოლონიები იღებენ მზად იმ პროდუქტებს, რაც სხვა პირობებში მათვე უნდა დაემზადებინათ»[84].

ხებისა იყო). 1893 წელს ხერსონის გუბერნიაში იყო 3,3 მილიონი დესეტინა ნათესი, აქედან 1,3 მილიონი დესეტინა კერძო მფლობელებს ეკუთვნოდა; გუბერნიის ხუთ მაზრაში (ოდესის მაზრის გამოკლებით) ითვლებოდა 1 237 საშუალო მეურნეობა (250 — 1 000 დესეტინა მიწა), 405 მსხვილი მეურნეობა (1 — $2^1/_2$ ათასი დეს.) და 226 მეურნეობა, რომელთაგან თვითეულს ჰქონდა $2^1/_2$ ათას დესეტინაზე მეტი. იმ ცნობებით, რომლებიც შეკრებილი იყო 1890 წ. 526 მეურნეობის შესახებ, მათში იყო 35 514 მუშა, ე. ი. თითო მეურნეობაზე საშუალოდ — 67 მუშა, ამათგან 16 — 30-მდე წლიურად დაქირავებული მუშა. 1893 წ. ელისავეტგრადის მაზრის 100 მეტ-ნაკლებად მსხვილ მეურნეობაში იყო 11 197 მუშა (საშუალოდ 112 ერთ მეურნეობაზე!), აქედან 17,4% წლიური, 39,5% ვადიანი და 43,1% დღიური მუშა*. აი ცნობები მაზრის ყველა სამიწათმოქმედო — როგორც კერძომფლობელობით, ისე გლეხურ, მეურნეობათა შორის ნათესების განაწილების შესახებ**:

				მათი ნათესი დაახლოებით ათას დესეტინობით	
მეურნეობანი, არა მხვნელ-მთესველნი		15 228		—	
» მხვნელ-მთესველნი 5 დეს.-მდე		26 963		74,6	
» » 5— 10 »		19 194		144	
» » 10— 25 »		10 234		157	
» » 25— 100 »		2 005	2 387	91	215
» » 100—1000 »		372		110	
» » 1000-ზე მეტი		10		14	
	სულ მაზრაში	74 006		590,6	

ამნაირად, მეურნეთა 3 პროცენტზე ცოტათი მეტს (ხოლო თუ ჩავთვლით მხოლოდ მხვნელ-მთესველებს, მაშინ 4%-ს) აქვს მთელი ნათესის მესამედზე მეტი, რომლის დასამუშავებ-

* ტეზიაკოვი, l. c.

** «ხერსონის გუბერნიის მიწების შეფასების მასალები», ტ. II, ხერსონი, 1886. ნათესების რაოდენობა დესეტინობით ყოველი ჯგუფისათვის გამოანგარიშებულია ნათესის საშუალო ოდენობის გამრავლებით მეურნეობათა რაოდენობაზე. ჯგუფთა რიცხვი შემცირებულია.

ლად და მოსავლის ასაღებად საჭიროა მრავალი ვადიანი და დღიური მუშა.

ბოლოს, აი ცნობები სამარის გუბერნიის ნოვოუზენსკის მაზრის შესახებ. ძე-II თავში ჩვენ ვიღებდით მხოლოდ რუს გლეხებს, რომლებიც ეწევიან მეურნეობას თემში; ახლა ვუმატებთ გერმანელებსაც და «ხუტორელებსაც» (გლეხებს, რომლებიც ცალკე ნაკვეთ მიწებზე ეწევიან მეურნეობას). სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაში არ არის ცნობები კერძომფლობელობით მეურნეობათა შესახებ *.

სამარის გუბერნიის ნოვოუზენსკის მაზრა	კომლი	მიწა: ნაყიდი (დესეტინა)	მიწა: იჯარით აღებული (დესეტინა)	მიწა: ნათესი (დესეტინა)	რავდენი პირუტყვია (სულ, მსხვილფეხა პირუტყვი გადაყვანილი)	გაუქირავებელი საბინა-მოქმედო იარაღები	დაქირავებული მუშები	საშუალოდ 1 კომლზე მოდის: მიწა: ნაყიდი (დესეტინა)	საშუალოდ 1 კომლზე მოდის: მიწა: იჯარით აღებული (დესეტინა)	საშუალოდ 1 კომლზე მოდის: მიწა: ნათესი (დესეტინა)	საშუალოდ 1 კომლზე მოდის: სულ. პირუტყვი (სულ, მსხვილ ფეხა პირუტყვ. გადაყვანილი)
სულ მაზრაში	51348	130 422	751 873	816 133	343 260	13 778	8 278	2,5	14,6	15,9	6,7
მეურნეობანი 10 და მეტი სული ნუშა პირუტყვით	3 958	117 621	580 158	327 527	151 744	10 598	6 055	29	146	82	38
უკანასკნელთა რიცხვიდან — რუსი ხუტორელები 20 და მეტი სული მუშა პირუტყვით	218	57 083	253 669	59 137	39 520	1 013	1 379	261	1 163	271	181

* კრებული ნოვოუზენსკის მაზრის შესახებ. — იჯარით აღებული მიწა მთლად არის აქ მოცემული: როგორც სახაზინო, ისე კერძომფლობელობითი და სანადელო. აი ნუსხა გაუმჯობესებული იარაღებისა, რომლებიც აქვთ რუს ხუტორელებს: 609 რკინის გუთანი, 16 ორთქლის სალეწავი, 89 ცხენის სალეწავი, 110 სათიბელი, 64 ცხენის ფოცხი, 61 სანიავებელი და 64 სამკელი მანქანა. დაქირავებული მუშების რიცხვში დღიური მუშები არ არიან შეტანილნი.

როგორც ჩანს, ამ ცნობების კომენტირება საჭირო აღარ არის. ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ეს რაიონი წარმოადგენს სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის ყველაზე უფრო ტიპიურ რაიონს რუსეთში, — ტიპიურს, რასაკვირველია, არა სასოფლო-სამეურნეო, არამედ საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრით. ეს ყველაზე უფრო თავისუფლად განვითარებული კოლონიები გვიჩვენებენ, თუ რა ურთიერთობა შეიძლებოდა და უნდა განვითარებულიყო დანარჩენ რუსეთშიც, რეფორმამდელი ყოფაცხოვრების მრავალი ნაშთი რომ არ აფერხებდეს კაპიტალიზმის განვითარებას. სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის ფორმები კი, როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, მეტად სხვადასხვანაირია.

III. სავაჭრო მესაქონლეობის რაიონი. სარძეო მეურნეობის განვითარების ზოგადი მონაცემები

ჩვენ ახლა გადავდივართ რუსეთის სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის მეორე უმნიშვნელოვანეს რაიონზე, სახელდობრ იმ ოლქზე, სადაც უმეტესი მნიშვნელობა აქვთ არა მარცვლეულ პროდუქტებს, არამედ მესაქონლეობის პროდუქტებს. ეს ოლქი მოიცავს, ბალტიისპირა და დასავლეთი გუბერნიების გარდა, ჩრდილოეთ, სამრეწველო გუბერნიებს და ზოგიერთი ცენტრალური გუბერნიის (რიაზანის, ორიოლის, ტულის, ნიჟნი-ნოვგოროდის) ნაწილებს. პირუტყვის პროდუქტიულობა აქ იღებს სარძეო მეურნეობის მიმართულებას და მიწათმოქმედების მთელი ხასიათი უფარდდება იმას, რომ მიღებულ იქნას ამ სახის ყველაზე ძვირფასი საბაზრო პროდუქტების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა *. «ჩვენს თვალწინ აშკარად

* რუსეთის სხვა ოლქებში მესაქონლეობას სხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, განაპირა სამხრეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში დამკვიდრებულია მესაქონლეობის უაღრესად ექსტენსიური ფორმა, სახელდობრ ნასუქი სახორცე პირუტყვის მეურნეობა. უფრო ჩრდილოეთით რქიან პირუტყვს მუშა-ძალის მნიშვნელობა ეძლევა. ბოლოს, შუა შავნიადაგიან ზოლში ის იქცევა «მანქანად, რომელიც იძლევა გასანოყიერებელ ნაკელს». ვ. კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი და ი. ლ ე ვ ი ტ ს კ ი: «ევროპული რუსეთის ჩრდილოეთი და შუა ზოლების სარძეო მეურნეობის სტატისტიკური ნარკვევი» (სპბ. 1879).

სწარმოებს გადასვლა ნაკელის მომცემი მესაქონლეობიდან სარძეო მესაქონლეობაზე; ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში» (ციტ. თხზ. წინა შენიშვნ., ibid.). ამ მხრით რუსეთის სხვადასხვა ოლქის სტატისტიკურად დახასიათება ძალიან ძნელია, რადგან აქ მნიშვნელობა აქვს რქიანი პირუტყვის აბსოლუტურ რაოდენობას კი არა, არამედ სწორედ რძის მომცემი პირუტყვის რაოდენობას და მის ხარისხს. თუ ავიღებთ პირუტყვის მთელ რაოდენობას 100 მცხოვრებზე, აღმოჩნდება, რომ რუსეთში ის ყველაზე მეტი მოდის ველიან განაპირა მხარეებზე, ყველაზე ნაკლები კი — არაშავნიადაგიან ზოლზე («სოფლისა და ტყის მეურნეობა», 274); თურმე, დროთა განმავლობაში ეს რაოდენობა მ ც ი რ დ ე ბ ა («საწარმოო ძალები», III, 6. შეად. «ისტ.-სტატ. მიმოხილვა», I). აქ ხდება, მაშასადამე, იგივე, რაც აღნიშნა ჯერ კიდევ როშერმა, სახელდობრ, პირუტყვის რაოდენობა მოსახლეობის ერთეულზე უფრო მეტია იმ ადგილებში, სადაც «ექსტენსიური მესაქონლეობაა» (W Roscher. «Nationaloekonomik des Ackerbaues». 7-te Aufl. Stuttg. 1873, S. 563 — 564*). ჩვენ კი გვაინტერესებს ინტენსიური მესაქონლეობა და კერძოდ სწორედ სარძეო მესაქონლეობა. ამიტომ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ დ ა ა ხ ლ ო ებ ი თ ი გამოანგარიშებით, რომელსაც იძლევიან ზემოაღნიშნული «ნარკვევის» ავტორები, ამასთან მოვლენის ზუსტ აღრიცხვას ჩვენ არ ვჩემულობთ; ასეთი გაანგარიშება თვალსაჩინოდ გვიჩვენებს რუსეთის სხვადასხვა ოლქის თანაფარდობას სარძეო მეურნეობის განვითარების

ამ შრომის ავტორები, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა უმრავლესობა, ძალიან ნაკლები ინტერესით ეკიდებიან საქმის საზოგადოებრივ-სამეურნეო მხარეს და იჩენენ მის ნაკლებად გაგებას. სრულიად შემცდარია, მაგალითად, ის დასკვნა, თითქოს მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდება პირდაპირ ნიშნავდეს «ხალხის კეთილდღეობისა და საზრდოობის» უზრუნველყოფას (გვ. 2).

* — ვ. რ ო შ ე რ ი, «მიწათმოქმედების ეკონომიკა». მე-7 გამოცემა, შტუტგარტი, 1873, გვ. 563 — 564. რ ე დ.

მხრით. მოგვყავს ეს გაანგარიშება in extenso* და ვუმატებთ ზოგიერთ გამოანგარიშებულ საშუალო ციფრს და ცნობებს 1890 წელს ყველის წარმოების შესახებ «საფაბრიკო-საქარხნო» სტატისტიკის მონაცემების მიხედვით.

გუბერნიათა ჯგუფები	ორივე სქესის მოსახლეობა, ათასობით (1878)	მეწველი ძროხები, ათასობით	რაოდენობა: რძე ათას ვედრობით	რაოდენობა: ერბო-კარაქი ათას ფუთობით	რამდენ ვედრს იძლევა 1 ძროხა საშუალოდ	100 მცხოვრებზე მოდის: მეწველი ძროხა	100 მცხოვრებზე მოდის: რძე ვედრობით	100 მცხოვრებზე მოდის: ერბო-კარაქი ფუთობით	ყველის, ხაჭოს და ერბო-კარაქის წარმოება ფაბრიკებში 1879 წ. ათას მანეთობით	ყველის წარმოება 1890 წ.
I. ბალტიისპირა და დასავლეთის (9)	8 127	1 101	34 070	297	31	13,6	420	3,6	?	469
II. ჩრდილოეთის (10)	12 227	1 407	50 000	461	35	11,4	409	3,7	3 370,7	563
III. სამრეწველო (არაშავნიადაგიანი) (7)	8 822	662	18 810	154	28	7,5	214	1,7	1 088	295
IV. შუა (შავნიადაგიანი) (8)	12 387	785	16 140	133	20	6,3	130	1,0	242,7	23
V. სამხრ. შავნიადაგ., სამხრეთ-დასავლ., სამხრეთის და აღმოს.-ველიანი (16)	24 087	1 123	20 880	174	18	4,6	86	0,7	—	—
სულ ევროპ. რუსეთის 50 გუბერნ.	65 650	5 078	139 900	1 219	27	7,7	213	1,8	4 701,4	1 350

ეს ცხრილი ნათლად გვიჩვენებს (თუმცა ძალიან დაძველებული ცნობების მიხედვით), რომ ხდება საძეო მეურნეობის სპეციალური რაიონების გამოყოფა, მათში სავაჭრო

* — მთლიანად. რედ.

მიწათმოქმედების განვითარება (რძის გასაღება და მისი ტექნიკური დამუშავება) და მეწველი პირუტყვის ნაყოფიერების მომატება.

იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ ვითარდებოდა დროთა განმავლობაში სარძეო მეურნეობა, შეგვიძლია ვისარგებლოთ ცნობებით მხოლოდ ერბო-კარაქის და ყველის წარმოების შესახებ. ეს წარმოება წარმოიშვა რუსეთში მე-18 საუკუნის სულ ბოლო ხანებში (1795 წ.); მემამულურმა ყველის წარმოებამ, რომელმაც მე-19 საუკუნეში დაიწყო განვითარება, განიცადა დიდი კრიზისი 1860-იან წლებში, საიდანაც იწყება გლეხური და სავაჭრო ყველის წარმოების ეპოქა.

ევროპული რუსეთის 50 გუბერნიაში ითვლებოდა ყველის საწარმო: *

1866	წ.	72	საწ.,	226	მუშა,	წარმოების ღირებულება	119	ათ. მან.
1879	»	108	»	289	»	»	» 225	»
1890	»	265	»	865	»	»	» 1 350	»

ამრიგად, 25 წლის განმავლობაში წარმოება ათჯერ და უფრო მეტად გაზრდილა; ეს ცნობები, რომლებიც ძალიან ნაკლები სისრულით განირჩევიან, საშუალებას იძლევიან მხოლოდ მოვლენის დინამიკაზე ვიქონიოთ წარმოდგენა. მოვიყვანთ ზოგიერთ უფრო დაწვრილებითს ცნობას. სარძეო მეურნეობის გაუმჯობესება ვოლოგდის გუბერნიაში დაიწყო 1872 წლიდან, როცა გაიხსნა იაროსლავლ-ვოლოგდის რკინი-

* ცნობები მოყვანილია «სამხედრო-სტატ. კრებული»-დან და ბ-ნ ორლოვის «საძიებლიდან» (1 და 3 გამოცემა). ამ წყაროების შესახებ იხ. VII თავი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მოყვანილი ციფრები ამცირებენ განვითარების ნამდვილ სიჩქარეს, რადგან ცნება «ქარხანა» უფრო ვიწრო აზრით იხმარებოდა 1879 წელს, ვიდრე 1866 წ., 1890 წელს კი კიდევ უფრო ვიწრო აზრით, ვიდრე 1879 წელს. «საძიებლის» მე-3 გამოცემაში მოყვანილია ცნობები 230 ქარხნის დაარსების დროის შესახებ: 1870 წლამდე მხოლოდ 26 ქარხანა ყოფილა დაარსებული; 70-იან წლებში — 68, 80-იან წლებში — 122 და 1890 წ. — 14. ესეც მოწმობს წარმოების ჩქარ ზრდას. რაც შეეხება უახლეს «ფაბრიკა-ქარხნების სიას» (სპბ. 1897), იქ სრული ქაოსი სუფევს: ორ-სამ გუბერნიაში აღნიშნულია ყველის წარმოება, დანარჩენებში კი მოხსენებულიც არ არის.

გზა; აქედან მოკიდებული «მეპატრონეები ზრუნავენ თავიანთი ჯოგების გაუმჯობესებაზე, იწყებენ ბალახის თესვას, გაუმჯობესებული იარაღების შეძენას... ცდილობენ სარძეო საქმე დააყენონ წმინდა კომერციულ ნიადაგზე» («სტატ. ნარკვევი», 20). იაროსლავლის გუბერნიაში «ნიადაგი მოამზადეს» 70-იანი წლების ეგრეთწოდებულმა ყველის «არტელურმა საწარმოებმა», და აქ «ყველის კეთება განაგრძობს განვითარებას კერძო თაოსნობის უფლებით, ამასთან მხოლოდ ინარჩუნებს «არტელის» სახელწოდებას» (25); «არტელური» ყველის საწარმონი — დავუმატებთ ჩვენი მხრით — «ფაბრიკა-ქარხნების საძიებელში» მოყვანილია როგორც დაქირავებული მუშებით მომუშავე საწარმონი. «ნარკვევის» ავტორები ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ცნობების მიხედვით სთვლიან, რომ ყველის და კარაქის წარმოების ღირებულება შეადგენს არა 295 ათას მანეთს, არამედ 412 ათასს (გამოანგარიშებულია წიგნში გაბნეული ციფრების საშუალებით), ამ ციფრის შესწორება კი კარაქისა და ყველის წარმოებისთვის იძლევა 1600 ათას მანეთს, ხოლო თუ ამას მივუმატებთ ერბოს და ხაჭოს, ბალტიისპირა და დასავლეთი გუბერნიების მიუთვლელად, მივიღებთ — 4 701,4 ათას მანეთს.

მერმინდელი ეპოქის შესახებ მოვიყვანთ შემდეგ აზრს მიწათმოქმედების დეპარტამენტის ზემოციტირებული გამოცემიდან: «ნებით დაქირავებული შრომა და სხვ.». საზოგადოდ სამრეწველო გუბერნიების შესახებ ჩვენ ვკითხულობთ: «სარძეო მეურნეობის განვითარებამ მთელი გადატრიალება მოახდინა ამ რაიონის მეურნეობის მდგომარეობაში», მან «არაპირდაპირი გავლენა იქონია აგრეთვე იქ მიწათმოქმედების აღორძინებაზეც», «რაიონში სარძეო საქმე წლითი-წლობით ვითარდება» (258). ტვერის გუბერნიაში «თავს იჩენს მისწრაფება— გააუმჯობესონ როგორც კერძო მფლობელთა, ისე გლეხთა პირუტყვის შენახვა»; მესაქონლეობის შემოსავალი 10 მილიონ მანეთად იანგარიშება (274). იაროსლავლის გუბერნიაში «სარძეო მეურნეობა... წლითი-წლობით ვითარდება... ყველისა და ერბო-კარაქის საწარმოები უკვე რამდენადმე სამრეწველო

ხასიათსაც კი იღებენ... რძეს... ყიდულობენ აგრეთვე მეზობლებისაგან და გლეხებისგანაც კი. შეხვდებით ყველის საწარმოებს, რომლებიც მფლობელთა მთელ კომპანიას უჭირავს» (285). «საერთო მიმართულება აქაური მფლობელობითი მეურნეობისა, — წერს ერთი კორესპონდენტი იაროსლავლის გუბერნიის დანილოვოს მაზრიდან, — ახლა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) სამმინდვროვანი თესლბრუნვიდან ხუთ — შვიდ-მინდვროვანზე გადასვლით და მინდვრებზე ბალახის თესვით; 2) ყამირი მიწების დახვნით; 3) სარძეო მეურნეობის შემოღებით და — როგორც ამის შედეგი — პირუტყვის უფრო უკეთ შერჩევით და მისი მოვლის გაუმჯობესებით» (292). იგივეა ნათქვამი სმოლენსკის გუბერნიის შესახებ, სადაც ყველისა და ერბო-კარაქის წარმოების ღირებულება 1889 წელს უდრიდა 240 ათას მანეთს გუბერნატორის ანგარიშით (სტატისტიკით — 136 ათას მან. 1890 წ.). სარძეო მეურნეობა ვითარდება კალუგის, კოვნოს, ნიჟნი-ნოვგოროდის, ფსკოვის, ესტლანდიის, ვოლოგდის გუბერნიებში. ამ უკანასკნელ გუბერნიაში ერბო-კარაქისა და ყველის წარმოება 1890 წლის სტატისტიკით უდრის 35 ათას მანეთს, გუბერნატორის ანგარიშით — 108 ათას მანეთს და 1894 წ. ადგილობრივი ცნობებით, რომლებიც ანგარიშობდნენ 389 ქარხანას, — 500 ათას მანეთს. «ეს — სტატისტიკის მიხედვით. ნამდვილად კი ქარხნების რიცხვი გაცილებით მეტია, რადგან, ვოლოგდის ერობის გამგეობის გამოკვლევით, მარტო ვოლოგდის მაზრაში ითვლება 224 ქარხანა». წარმოება კი განვითარებულია სამ მაზრაში და რამდენადმე უკვე შეიჭრა მე-4 მაზრაშიც*. ამით შეგვიძლია გავითვალისწინოთ, თუ რამდენჯერ უნდა გავადიდოთ ზემომოყვანილი ციფრები, რომ დავუახლოვდეთ სინამდვილეს. სპეციალისტის უბრალო ცნობა, რომ ახლა ერბო-კარაქისა და ყველის საწარმოთა რიცხვი «შეადგენს

* «ნედელია», 1896 წ., № 13. სარძეო საქმე ისე ხელსაყრელია, რომ მას დაეწაფნენ ქალაქის ვაჭრები, რომლებმაც. სხვათა შორის. შემოიღეს ისეთი ხერხები. როგორიცაა ანგარიშის გასწოლება საქონლით. ერთი ადგილობრივი მიწათმფლობელი, მსხვილი ქარხნის მეპატრონე, აწყობს არ-

რამდენიმე ათასსო» («რუსეთის სოფლისა და ტყის მეურნეობა», 299), უფრო სწორ წარმოდგენას იძლევა საქმეზე, ვიდრე ვითომდა ზუსტი ციფრი: 265 ქარხანა.

ამრიგად, ცნობები სრულებით ეჭვს გარეშე აყენებენ სავაჭრო მიწათმოქმედების ამ განსაკუთრებული სახის უზარმაზარ განვითარებას. კაპიტალიზმის ზრდას აქაც თან სდევდა რუტინული ტექნიკის გარდაქმნა. «ყველის წარმოებაში, — ვკითხულობთ, მაგალითად, «სოფლისა და ტყის მეურნეობაში», — უკანასკნელი 25 წლის მანძილზე იმდენი გაკეთდა რუსეთში, რომ საეჭვოა სხვა რომელიმე ქვეყანაში ამდენი გაკეთებულიყოს» (301). ამასვე ადასტურებს ბ-ნი ბლაჟინიც სტატიაში: «სარძეო მეურნეობის ტექნიკის წარმატებანი» («საწარმოო ძალები», III, 38—45). მთავარი გარდაქმნა იმაში მდგომარეობდა, რომ ნაღების «ძველებურად» დაყენების მაგიერ შემოღებულია ნაღების გამოყოფა ცენტრიდანული მანქანების (სეპარატორების) საშუალებით *. მანქანამ წარმოება ჰაერის ტემპერატურისაგან დამოუკიდებელი გახადა, 10%-ით გაადიდა რძიდან კარაქის გამოსავალი, გააუმჯობესა პროდუქტის ხარისხი, გააიაფა ერბო-კარაქის დამზადება (მანქანური წარმოების დროს საჭიროა უფრო ნაკლები მუშაობა, უფრო პატარა შენობა, ნაკლები ჭურჭელი, ყინული), გამოიწვია წარმოების კონცენტრაცია. გაჩნდა ერბო-კარაქის დამამზადებელი მსხვილი გლეხური ქარხნები, რომლებიც გადაამუშავებდნენ «500 ფუთამდე რძეს დღეში, რაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო... დალექების დროს» (ibid.). უმჯობესდება

ტელს «რძის ფულის თავის დროზე გაცემით» შემყიდველების კაბალისაგან გლეხთა გასათავისუფლებლად და «ახალი ბაზრების დასაპყრობად». ეს მაგალითი დამახასიათებელია, ის ააშკარავებს არტელების და ყბადაღებული «გასაღების ორგანიზაციის» ნამდვილ მნიშვნელობას: სავაჭრო კაპიტალისაგან «განთავისუფლებას» სამრეწველო კაპიტალის განვითარების საშუალებით.

* 1862 წლამდე სეპარატორები თითქმის სრულებით არ იყო რუსეთში. 1866 წლიდან ისინი ისე ჩქარა გავრცელდნენ, რომ საბოლოოდ განდევნეს დანზადების ძველი წესი. 1890-იან წლებში კარაქის ექსტრაქტორ-სეპარატორებიც კი გაჩნდა.

წარმოების იარაღები (მუდმივი ქვაბები, ხრახნილიანი წნეხები, გაუმჯობესებული სარდაფები), წარმოებას ეხმარება ბაქტერიოლოგია, რომელიც იძლევა რძის მჟავის ისეთი სახის ბაცილის წმინდა კულტურას, რაც ესაჭიროება ნაღების შედედებას.

ამრიგად, ჩვენს მიერ აწერილ სავაჭრო მიწათმოქმედების ორივე რაიონში ბაზრის მოთხოვნილებით გამოწვეული ტექნიკური გაუმჯობესება შეეხო უწინარეს ყოვლისა იმ ოპერაციებს, რომელთა გარდაქმნა ყველაზე უფრო ადვილია და რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ბაზრისათვის: მოსავლის აღებას, გალეწვას, პურის გაწმენდას სავაჭრო მარცვლეულ მეურნეობაში; მესაქონლეობის პროდუქტების ტექნიკურ გადამუშავებას სავაჭრო მესაქონლეობის რაიონში. თვით პირუტყვის შენახვა კი კაპიტალს ჯერჯერობით უფრო ხელსაყრელად მიაჩნია წვრილი მწარმოებლის მზრუნველობაში დასტოვოს: დაე, მან «ბეჯითად» და «გულმოდგინედ» მოუაროს «თავის» პირუტყვს (ასიამოვნოს თავისი ბეჯითობით ბ-ნ ვ. ვ.-ს, იხ. «პროგრესული მიმდინარეობანი», გვ. 73), დაე, იკისროს უმთავრესი ნაწილი უფრო მძიმე და უფრო შავი მუშაობისა რძის მომცემი მანქანის მოვლის საქმეში. კაპიტალს ხელთ აქვს ყველა უახლესი გაუმჯობესება და საშუალება არა თუ იმისათვის, რომ რძეს გამოაცალოს ნაღები, არამედ იმისთვისაც, რომ ამ «ბეჯითობას» გამოსწოვოს «ნაღები», ღარიბი გლეხის ბავშვს გამოაცალოს რძე.

IV. გაგრძელება. მემამულური მეურნეობის ეკონომიკა ზემოაღნიშნულ რაიონში

ზემოთ უკვე მოყვანილი იყო აგრონომებისა და სოფლის მეურნეების შეხედულებანი, რომ სარძეო მეურნეობა მემამულეთა მამულებში იწვევს მიწათმოქმედების რაციონალიზაციას. აქ დავუმატებთ, რომ ამ საკითხის შესახებ საერობო-სტატისტიკური ცნობების ანალიზი, შესრულებული ბ-ნ რასპოპინის მიერ *,

* ეს საკითხიც დაყენებული იყო ბ-ნ რასპოპინის მიერ (თითქმის პირველად ჩვენს ლიტერატურაში) სწორ, თეორიულად დასაბუთებულ თვალ-

სავსებით ადასტურებს ასეთ დასკვნას. მკითხველს თვითონ შეუძლია ბ-ნ რასპოპინის სტატიით გაეცნოს დაწვრილებით ცნობებს, ჩვენ კი აქ მოვიყვანთ მხოლოდ მის მთავარ დასკვნას. «მესაქონლეობის, სარძეო მეურნეობის მდგომარეობასა და მოუვლელი მამულების რაოდენობასა, მეურნეობის ინტენსივობას შორის ურთიერთდამოკიდებულება უდავოა. (მოსკოვის გუბერნიის) მაზრებში, სადაც ყველაზე მეტად არის განვითარებული რძის მომცემი პირუტყვის მოშენება და სარძეო მეურნეობა, არის მოუვლელი მამულების უმცირესი პროცენტი და ისეთი მამულების უდიდესი პროცენტი, სადაც მემინდვრეობა ძალიან განვითარებულია. მოსკოვის გუბერნიაში სახნავის რაოდენობა ყველგან მცირდება და იქცევა მდელოებად და საძოვრებად, მარცვლეულის თესლბრუნვა ადგილს უთმობს მრავალმინდვრიან მებალახეობას. არა პური, არამედ საკვები ბალახი და რძის მომცემი პირუტყვი ასრულებს უკვე უპირველეს როლს... არა მარტო მოსკოვის გუბერნიის ეკონომიებში, არამედ მთელ მოსკოვის სამრეწველო რაიონშიც» (l. c.).

ერბო-კარაქისა და ყველის წარმოების ოდენობას სწორედ იმიტომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ იგი ადასტურებს სრულ გადატრიალებას მიწათმოქმედებაში, რომელიც მეწარმეობითს ხასიათს იღებს და კავშირს სწყვეტს რუტინასთან. კაპიტალიზმი იმორჩილებს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პროდუქტს, და ამ მთავარ პროდუქტს ეფარდება მეურნეობის ყველა დანარჩენი მხარე. მეწველი პირუტყვის შენახვა იწვევს ბალახის თესვას, სამმინდვრიანობიდან მრავალმინდვრიან სისტემებზე გადასვლას და სხვ. ყველის წარმოებისას მიღებული ნარჩენი ხმარდება გასაყიდად განკუთვნილი პირუტყვის გასუქებას. საწარმოდ იქცევა არა მარტო რძის გადამუშა-

---

საზრისზე. ის თავიდანვე აღნიშნავს, რომ «მესაქონლეობის ნაყოფიერების ზრდა» — კერძოდ, სარძეო მეურნეობის განვითარება, — ჩვენში კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი გზით მიდის და მიწათმოქმედებაში კაპიტალის შეჭრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.

ვება, არამედ მთელი სოფლის მეურნეობაც *. ყველისა და ერბოკარაქის ქარხნების გავლენა არ ისაზღვრება იმ მეურნეობებით, სადაც ისინი მოწყობილი არიან, რადგან რძეს ხშირად იძენენ გარეშემო გლეხებისა და მემამულეებისაგან. რძის შეყიდვით კაპიტალი იმორჩილებს წვრილ მიწათმოქმედთაც, — განსაკუთრებით ეგრეთწოდებული «სარძეო პუნქტების» მოწყობის დროს, რომელთა გავრცელება აღნიშნული იყო ჯერ კიდევ 70-იან წლებში (იხ. «ნარკვევი» ბბ. კოვალევსკისა და ლევიტსკისა). ესენი წარმოადგენენ საწარმოებს, რომელნიც არსდებიან დიდ ქალაქებში, ან მათ ახლოს, და რომელნიც გადაამუშავებენ ხოლმე დიდძალ რძეს, რაც რკინიგზებით მოაქვთ. რძეს დაუყოვნებლივ ხდიან ნაღებს, რომელიც იყიდება ამ სახითვე, მოხდილი რძე კი იაფად საღდება ხელმოკლე მყიდველთა შორის. გარკვეული ღირსების პროდუქტით უზრუნველყოფილი რომ იყოს, ასეთი დაწესებულებანი მიმწოდებლებთან ხანდახან სდებენ კონტრაქტებს, რომლებიც ავალდებულებენ მათ დაიცვან ძროხის კვების განსაზღვრული წესები. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდია ამგვარი მსხვილი საწარმოების მნიშვნელობა: ერთი მხრით, ისინი იპყრობენ მასობრივ ბაზარს (ნაღებმოხდილი რძის გასაღება ხელმოკლე ქალაქელთა შორის), მეორე მხრით, დიდად აფართოებენ ბაზარს სოფლის მეწარმეთათვის. ამ უკანასკნელთ უძლიერესი

* თავის შრომაში: «სმოლენსკის გუბ. ფაბრიკა-ქარხნების სანიტარული გამოკვლევა» (სმოლენსკი, 1894, ნაკვ. I, გვ. 7) ექიმი ჟბანკოვი ამბობს, რომ «მუშების რიცხვი, რომლებიც უშუალოდ ყველის დამზადებაზე მუშაობენ... ძალიან უმნიშვნელოა... გაცილებით მეტია დამხმარე მუშები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს საჭირონი არიან როგორც ყველის წარმოებისათვის, ისე სოფლის მეურნეობისათვის; ესენი არიან მწყემსები, ძროხის მწველავი ქალები და სხვ.; ასეთი მუშების რიცხვი ყველა [ყველის მწარმოებელ] ქარხანაში სპეციალურ მეყველეებზე ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერ მეტია». აქვე აღვნიშნავთ, რომ, ექ. ჟბანკოვის აღწერით, მუშაობის პირობები აქ ძალიან ანტიჰიგიენურია, სამუშაო დღე მეტისმეტად დიდია (16 — 17 საათი) და სხვ. ამრიგად, სავაჭრო მიწათმოქმედების ამ რაიონისთვისაც არ მართლდება ტრადიციული წარმოდგენა მიწათმოქმედის იდილიური მუშაობის შესახებ.

სტიმული ეძლევათ, რომ უფრო მეტად გააფართოონ და გააუმჯობესონ სავაჭრო მიწათმოქმედება. მსხვილი მრეწველობა, ასე ვთქვათ, უბიძგებს მათ, როცა მოითხოვს განსაკუთრებული ღირსების პროდუქტს და დევნის ბაზრიდან (ანდა მევახშეებს უგდებს ხელში) იმ წვრილ მწარმოებელს, რომელიც «ნორმალურ» დონეზე დაბლა დგას. ამავე მიმართულებით უნდა მოქმედებდეს რძის შეფასებაც ღირსების მიხედვით (მაგ., ცხიმიანობის მიხედვით), რაზედაც ტექნიკა ასე გულმოდგინედ მუშაობს, როცა იგონებს სხვადასხვანაირ ლაქტოდენსიმეტრებს და სხვ. და რასაც ასე მხურვალედ იცავენ სპეციალისტები (შეად. «საწარმოო ძალები», III, 9 და 38). ამ მხრით სარძეო პუნქტების როლი კაპიტალიზმის განვითარებაში სავსებით ანალოგიურია ელევატორების როლისა სავაჭრო მარცვლეულ მეურნეობაში. ელევატორები, პურს ღირსების მიხედვით რომ ახარისხებენ, ხდიან მას არა ინდივიდუალურ, არამედ სახეობით პროდუქტად (res fungibilis *, როგორც ამბობენ ცივილისტები), ე. ი. პირველად სავსებით ამზადებენ მას გაცვლისათვის (შეად. მ. ზერინგის სტატია პურის ვაჭრობაზე ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში; მოთავსებულია კრებულში «მიწათმფლობელობა და სოფლის მეურნეობა», გვ. 281 და შემდ.). ამნაირად, ელევატორები მძლავრ ბიძგს აძლევენ პურის სასაქონლო წარმოებას და აჩქარებენ მის ტექნიკურ განვითარებას ხარისხობრივი შეფასების შემოღებითაც. ასეთი დაწესებულება ერთსა და იმავე დროს ორნაირად ურტყამს წვრილ მწარმოებელს. ჯერ ერთი, ის აქცევს ნორმად, აკანონებს მსხვილ მხვნელ-მთესველთა უფრო მაღალი ღირსების პურს და ამით საბოლოოდ უკარგავს ფასს ღარიბი გლეხობის უფრო ცუდ პურს. მეორეც, ის აწყობს პურის დახარისხებასა და შენახვას მსხვილი კაპიტალისტური ინდუსტრიის მსგავსად, რითაც ამცირებს სათანადო ხარჯს მსხვილი მხვნელ-მთესველებისათვის, უმსუბუქებს და უადვილებს მათ პურის გასაღებას, და ამით წვრილ მწარმოებელს,

* — შენაცვლებითი ნივთი. რ ე დ.

მისი პატრიარქალური და პირველყოფილი საურმო ვაჭრობით ბაზარზე, საბოლოოდ უგდებს ხელში კულაკებსა და მევახშეებს. მაშასადამე, ამ ბოლო დროს ელევატორების შენების ჩქარი განვითარება ნიშნავს კაპიტალის ისეთსავე დიდ გამარჯვებას პურის საქმეში და წვრილი საქონელმწარმოებლის დაქვეითებას, როგორიც იყო კაპიტალისტური «სარძეო პუნქტების» გაჩენა და განვითარება.

უკვე ზემომოყვანილი ცნობებიდან ცხადია, რომ სავაჭრო მესაქონლეობის განვითარება ჰქმნის შინაურ ბაზარს *, ჯერ ერთი, წარმოების საშუალებებისას—რძის გადასამუშავებელი ხელსაწყოები, შენობები, პირუტყვის სადგომები, გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღები რუტინული სამმინდვრიანობიდან მრავალმინდვრიან თესლბრუნვაზე გადასვლის დროს და სხვ., მეორეც, მუშა-ძალისას; სამრეწველო ნიადაგზე დაყენებული მესაქონლეობა გაცილებით მეტ მუშებს მოითხოვს, ვიდრე ძველი «სანაკელო» მესაქონლეობა. სარძეო მეურნეობის რაიონი — სამრეწველო და ჩრდილო-დასავლეთი გუბერნიები — მართლაც იზიდავს დიდძალ მიწათმოქმედ მუშას. სოფლის სამუშაოებზე დიდძალი ხალხი მიდის მოსკოვის, ს.-პეტერბურგის, იაროსლავლის და ვლადიმირის გუბერნიებში; უფრო ნაკლები, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი რაოდენობა, — ნოვგოროდის, ნიჟნი-ნოვგოროდის და სხვა არაშავნიადაგიან გუბერნიებში. მიწათმოქმედების დეპარტამენ-

* ბაზარი სავაჭრო მესაქონლეობისათვის იქმნება უმთავრესად ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდით, რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი (თავი VIII, § II). საგარეო ვაჭრობის საკითხზე ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: რეფორმისშემდგომი ეპოქის დასაწყისს ყველის გატანა გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე შემოტანა, მაგრამ 90-იან წლებში თითქმის გაუთანასწორდა მას (4 წლის განმავლობაში, 1891 — 1894 წლებში, შემოტანა საშუალოდ უდრიდა წლიურად 41,8 ათას ფუთს, გატანა კი — 40.6 ათას ფუთს; ხუთი წლის განმავლობაში, 1886 — 1890 წლებში, გატანა კიდეც სჭარბობდა შემოტანას). ძროხისა და ცხვრის ერბო-კარაქის გატანა ყოველთვის გაცილებით უფრო მეტი იყო შემოტანაზე; ამ გატანის ოდენობა სწრაფად იზრდება: 1866 — 1870 წწ. ყოველწლიურად საშუალოდ გაჰქონდათ 190 ათასი ფუთი, 1891 — 1894 წწ. — 370 ათასი ფუთი («საწარმოო ძალები», III, 37).

ტის კორესპონდენტთა ცნობებით, მოსკოვის და სხვა გუბერნიებში მფლობელობითი მეურნეობა უმთავრესად მოსული მუშების საშუალებით მუშავდება. ეს პარადოქსი — მიწათმოქმედი მუშების მოსვლა სამიწათმოქმედო გუბერნიებიდან (მოდიან უმთავრესად შუა შავნიადაგიანი გუბერნიებიდან, ნაწილი კი — ჩრდილო გუბერნიებიდან) სამრეწველო გუბერნიებში სამიწათმოქმედო სამუშაოებზე აქედან მასობრივად მიმავალი სამრეწველო მუშების ნაცვლად — დიდად დამახასიათებელი მოვლენაა (იხ. ამის შესახებ ს. ა. კოროლენკო, l. c.). ეს ყოველგვარ გამოანგარიშებასა და მსჯელობაზე უფრო დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ შუა შავნიადაგიან, ნაკლებად კაპიტალისტურ გუბერნიებში მუშა ხალხის ცხოვრების დონე და მდგომარეობა გაცილებით უფრო დაბალი და უარესია, ვიდრე სამრეწველო, უფრო კაპიტალისტურ გუბერნიებში; რომ რუსეთშიც საყოველთაო ფაქტად გადაქცეულა ყველა კაპიტალისტური ქვეყნის დამახასიათებელი ის მოვლენა, რომ მრეწველობაში მუშების მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე მუშების მდგომარეობა მიწათმოქმედებაში (რადგან მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის მხრით ჩაგვრას ემატება წინაკაპიტალისტური ექსპლოატაციის ფორმების სიმძიმე). ამიტომაცაა, რომ მიწათმოქმედებას გაურბიან და მრეწველობას ეტანებიან, მაშინ როცა სამრეწველო გუბერნიებიდან არათუ არ არის ლტოლვა მიწათმოქმედებისაკენ (მაგალითად, სრულიად არ ხდება იქიდან გადასახლება), არამედ, «გაგრია» სოფლის მუშებს ზემოდანაც კი დასცქერიან და უწოდებენ «მწყემსებს» (იაროსლ. გუბ.), «კაზაკებს» (ვლად. გუბ.), «მიწის მუშებს» (მოსკ. გუბ.).

შემდეგ საგულისხმოა აღინიშნოს, რომ პირუტყვის მოვლა ზამთრობით გაცილებით მეტ მუშას მოითხოვს, ვიდრე ზაფხულობით. ამ მიზეზით, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ წარმოებათა განვითარების გამო, მუშახელის მოთხოვნა ამ რაიონში არათუ ძლიერდება, არამედ უფრო თანაბრადაც ნაწილდება მთელი წლის და ცალკეული წლების მიხედვით. ამ საინტერესო ფაქტის გა-

მოსარკვევად ყველაზე საიმედო მასალას წარმოადგენს ცნობები ხელფასის შესახებ, თუკი ისინი აღებულია მთელი რიგის წლებისა. ჩვენ მოგვყავს ეს ცნობები მხოლოდ ველიკოროსული და მალოროსული გუბერნიების ჯგუფების შესახებ. დასავლეთ გუბერნიებს განზე ვტოვებთ ყოფაცხოვრების თავისებურებათა და მოსახლეობის ხელოვნური თავმოყრის გამო (ებრაელთა ბინადრობის მიჯნა), ბალტიისპირა გუბერნიები კი მოგვყავს მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, თუ რანაირი ურთიერთობა მკვიდრდება მიწათმოქმედებაში უფრო განვითარებული კაპიტალიზმის დროს *.

გუბერნიების ჯგუფები	საშუალო 10 წ. განმავლობაში (1881—1891)			საშუალო 8 წლის განმავლობაში (1883—1891)					
	მუშის ხელფ. მანეთობით		ხელფ. % ფლიურის მიმართ	დღიური მუშის ხელფ. მოსავლის აღების დროს კაპ.		განსხვავება მათ შორის	დღიური მუშის ხელფ. კაპ.		განსხვავება მათ შორის
	ფლიურის	საზაფხულ.	საზაფხ.	დაბ. საშ.	მაღ. საშ.		თესვის დროს	საშ. მოსავლის აღების დროს	
I. სამხრეთი და აღმოსავლეთი გარაპირა რაიონები	78	50	64%	64	181	117	45	97	52
II. შუა შავნიადაგიანი გუბერნიები	54	38	71%	47	76	29	35	58	23
III. არაშავნიადაგიანი გუბერნიები	70	48	68%	54	68	14	49	60	11
ბალტიისპირა გუბერნიები	62	53	65%	61	70	9	60	67	7

* I ჯგუფში (კაპიტალისტური მარცვლეული მეურნეობის რაიონი) შედის 8 გუბერნია: ბესარაბიის, ხერსონის, თავრიდის, ეკატერინოსლავის, დონის, სამარის, სარატოვისა და ორენბურგის; II ჯგუფში (ნაკლებად განვითარებული კაპიტალიზმის რაიონი) — 12 გუბერნია: ყაზანის, სიმბირსკის, პენზის, ტამბოვის, რიაზანის, ტულის, ორიოლის, კურსკის, ვორონეჟის, ხარკოვის, პოლტავისა და ჩერნიგოვის; III ჯგუფში (კაპიტა-

განვიხილოთ ეს ცხრილი, რომელშიც სამი მთავარი სვეტი აწყობილია კურსივით. პირველი სვეტი გვიჩვენებს ზაფხულის და წლის ხელფასის თანაფარდობას. რაც უფრო ქვევით იწევს ეს თანაფარდობა, რაც უფრო უახლოვდება ზაფხულის ხელფასი ნახევარი წლის ხელფასს, მით უფრო თანაბრად ნაწილდება მუშახელის მოთხოვნა წლის განმავლობაში, მით უფრო სუსტია უმუშევრობა ზამთრობით. ამ მხრით ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში არიან ჩაყენებულნი შუა შავნიადაგიანი გუბერნიები — შრომამიგებისა და სუსტად განვითარებული კაპიტალიზმის რაიონი*. სამრეწველო გუბერნიებში, სარძეო მეურნეობის რაიონში შრომის მოთხოვნა უფრო მაღალია და ზამთრის უმუშევრობა უფრო სუსტია. ცალკეული წლების მიხედვითაც რომ ავიღოთ, აქ ხელფასი უფრო ურყევია, როგორც ეს ჩანს მეორე სვეტიდან, რომელიც გვიჩვენებს მოსავლის აღების დროს დაბალ და მაღალ ხელფასს შორის არსებულ განსხვავებას. ბოლოს, ხელფასის განსხვავება თესვის დროს და მოსავლის აღების დროს — აგრეთვე უფრო ნაკლებია არაშავნიადაგიან ზოლში, ე. ი. მუშებზე მოთხოვნა უფრო თანაბრად არის განაწილებული გაზაფხულსა და ზაფხულს შორის. ყველა აღნიშნული მხრით ბალტიისპირა გუბერნიები კიდევ უფრო მაღლა დგანან, ვიდრე არაშავნიადაგიანი გუბერნიები, ხოლო ველიანი გუ-

---

ლისტური სარძეო მეურნეობის და სამრეწველო კაპიტალიზმის რაიონი) — 10 გუბერნია: მოსკოვის, ტვერის, კალუგის, ვლადიმირის, იაროსლავლის, კოსტრომის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ს.-პეტერბურგის, ნოვგოროდისა და ფსკოვის. ციფრები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელფასის ოდენობას, წარმოადგენენ საშუალოს, გამოყვანილს საგუბერნიო ციფრებიდან. წყარო: მიწათმოქმედების დეპარტამენტის გამოცემა: «ნებით დაქირავებული შრომა და სხვ.».

* ამგვარივე დასკვნა გამოჰყავს ბ-ნ რუდნევს: «იმ ადგილებში, სადაც წლიური მუშის ხელფასი შედარებით მაღალია, ზაფხულის მუშის ხელფასი უფრო უახლოვდება ნახევარი წლის ხელფასს. მაშასადამე, პირიქით, დასავლეთის გუბერნიებში და თითქმის ყველა მჭიდროდ დასახლებულ ცენტრალურ შავხიადაგიან გუბერნიაში მუშის შრომა ზაფხულობით ძალიან ცოტას ფასობს» (l. c., 455).

ბერნიები, რომლებიც მოსული მუშებითა და მოსავლიანობის უმეტესი რაოდენობით ხასიათდებიან, ხელფასის ნაკლები სიმკვიდრითაც განსხვავდებიან. ამნაირად, ცნობები ხელფასის შესახებ მოწმობენ, რომ ამ რაიონში სამიწათმოქმედო კაპიტალიზმი არათუ ჰქმნის დაქირავებული შრომის მოთხოვნას, არამედ უფრო თანაბრადაც ანაწილებს ამ მოთხოვნას მთელი წლის განმავლობაში.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს ხსენებულ რაიონში წვრილი მიწათმოქმედის კიდევ ერთი სახის დამოკიდებულება მსხვილი მეურნისაგან. ეს არის მემამულის ჯოგების რემონტი გლეხებისაგან პირუტყვის ყიდვით. მემამულეებს თავისთვის უფრო ხელსაყრელად მიაჩნიათ იყიდონ პირუტყვი გლეხებისაგან, რომლებიც გაჭირვების გამო «თავისთვის საზარალოდ» ჰყიდიან მას, ვიდრე თვითონ მოაშენონ პირუტყვი, — სწორედ ისევე, როგორც ჩვენებური შემყიდველები ეგრეთწოდებულ შინამრეწველობაში ხშირად ამჯობინებენ იყიდონ მზა პროდუქტი თვით შინამრეწველთაგან ამ უკანასკნელთა გამჩანაგებელ, იაფ ფასად, ვიდრე დაამზადონ ეს პროდუქტი საკუთარ სახელოსნოებში. ეს ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ წვრილი მწარმოებელი უკიდურესად დაბეჩავებულია, რომ წვრილ მწარმოებელს თანამედროვე საზოგადოებაში შეუძლია გაძლება მხოლოდ თავის მოთხოვნილებათა უკიდურესი შეზღუდვით, ბ-ნ ვ. ვ.-ს გადაუქცევია საბუთად წვრილი «სახალხო წარმოების» სასარგებლოდ!.. «ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ჩვენი მსხვილი მეურნენი... ვერ იჩენენ საკმაო დამოუკიდებლობას... გლეხი კი... იჩენს მეტ უნარს მეურნეობის ნამდვილ გაუმჯობესებაში» («პროგრესული მიმდინარეობანი», 77). დამოუკიდებლობის ეს ნაკლებობა გამოიხატება იმით, რომ «ჩვენი მერძევე მეურნეები... ყიდულობენ გლეხების (ძროხებს) ისეთ ფასად, რომელიც იშვიათად აღწევს მათი გამოზრდის ნახევარ ღირებულებას, ჩვეულებრივად არ აღემატება ამ ღირებულების $^1/_3$-ს, ხშირად $^1/_4$-საც კი» (ibid., 71). მეჯოგე მეურნეთა სავაჭრო კაპიტალმა საესებით დაიმორჩილა წვრილი გლეხები, გადააქცია ისინი თავის მესაქონლეებად, რომლებიც თითქმის მუქთად უზრდიან მას

პირუტყვს, გადააქცია მათი ცოლები თავისი ძროხების მწველავებად *. აქედან, თითქოს, ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ აზრი არა აქვს სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევის შეფერხებას, აზრი არა აქვს მხარი დაუჭირო წვრილ წარმოებას, რომელიც მწარმოებლის ცხოვრების დონეს მოჯამაგირის დონეზე უფრო დაბლა აყენებს. მაგრამ ბ-ნი ვ. ვ. სხვანაირად მსჯელობს. ის აღტაცებულია გლეხის «ბეჯითობით» (გვ. 73, 1. c.) პირუტყვის მოვლაში; აღტაცებულია იმით, თუ «რა კარგ შედეგებს ღებულობს მესაქონლეობისაგან» დედაკაცი, «რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს ძროხასთან და ცხვრებთან ატარებს» (80). რა დიდი მოწყალებაა! «მთელი სიცოცხლე ძროხასთან» (რომლის რძე გაუმჯობესებულ ნაღებსახდელში მიდის); და ამგვარი ცხოვრების ჯილდოდ — ამ ძროხის მოვლის ხარჯების «ღირებულების ერთი მეოთხედი»! აბა, ამის შემდეგ როგორ შეიძლება მხარი არ დაუჭირო «წვრილ სახალხო წარმოებას»!

---

* აი ორი აზრი საზოგადოდ რუსი გლეხის ცხოვრების დონისა და პირობების შესახებ. მ. ე. სალტიკოვი «ცხოვრების წვრილმანებში» წერს «მეურნე გლეხზე»... «გლეხს ყველაფერი სჭირდება; მაგრამ ყველაფერზე უფრო სჭირდება... უნარი წელში გაწყდეს, პირადი შრომა არ დაზოგოს... მეურნე გლეხი პირდაპირ თავს აკლავს მას» (მუშაობას). «ცოლიც და მოზრდილი ბავშვებიც, ყველანი იტანჯებიან უფრო მეტად, ვიდრე კატორღაში».

ვ. ვერესაევი სტატიაში «ლიზარი» («სევ. კურიერ», 1899, № 1) მოგვითხრობს ფსკოვის გუბერნიის გლეხზე — ლიზარზე, რომელიც ქადაგებდა წვეთების და სხვ. ხმარებას «ადამიანის შესამცირებლად». «შემდეგშიო, — აღნიშნავს ავტორი, — მე არა ერთხელ მსმენია ერობის ბევრი ექიმისაგან და მეტადრე ბებია-ქალებისაგან, რომ მათთვის სოფელში ხშირად მიუმართავს ასეთი თხოვნით მრავალ ცოლ-ქმარს». «გარკვეული მიმართულებით მიმავალმა ცხოვრებამ გამოიყენა ყველა გზა და ბოლოს მიებჯინა გაუვალ ჩიხს. ამ ჩიხიდან გამოსავალი არ არის. აი ამიტომ ბუნებრივად ისახება და სულ უფრო და უფრო მწიფდება საკითხის ახალი გადაჭრა».

გლეხის მდგომარეობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მართლაც, გამოუვალია და «ბუნებრივად» იწვევს თემურ რუსეთში, ისევე როგორც პარცელურ საფრანგეთში, არაბუნებრივს..., რა თქმა უნდა, «საკითხის გადაჭრას» კი არა, არამედ არაბუნებრივ საშუალებას — დროებით გადაარჩინონ დაღუპვას წვრილი მეურნეობა. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

V. ბაგრძელება. გლეხობის დაშლა სარძეო მეურნეობის რაიონში

გლეხის მდგომარეობაზე სარძეო მეურნეობის გავლენის საკითხის გამო ლიტერატურაში გამოთქმულ აზრებში ჩვენ ვაწყდებით მუდმივს წინააღმდეგობებს: ერთი მხრით, აღიარებენ მეურნეობის პროგრესს, შემოსავლის ზრდას, მიწათმოქმედების ტექნიკის წინსვლას, საუკეთესო იარაღების შეძენას; მეორე მხრით — კვების გაუარესებას, კაბალის ახალი ფორმების გაჩენას და გლეხების გაჩანაგებას. იმის შემდეგ, რაც ჩვენ ვთქვით მე-II თავში, არ უნდა გაგვაკვირვოს ამ ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებმა: ჩვენ ვიცით, რომ ეს წინააღმდეგობრივი აზრები გლეხობის ერთმანეთთან დაპირისპირებულ ჯგუფებს ეხება. ამ საგანზე უფრო სწორი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ავიღოთ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ნაწილდებიან გლეხთა კომლები თვითეული კომლის ძროხების რაოდენობის მიხედვით *.

კომლთა ჯგუფები	ს.-პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერის და სმოლენსკის გუბერნიების 18 მაზრა					ს.-პეტერბურგის გუბ., 6 მაზრა				
	კომლთა რიცხვი	%	ძროხების რაოდენობა	%	1 კომლზე ძროხა	კომლთა რიცხვი	%	ძროხების რაოდენობა	%	1 კომლზე ძროხა
უძროხო კომლები	59 336	20,5	—	—	—	15 196	21,2	—	—	—
1-ძროხიანები	91 737	31,7	91 737	19,8	1	17 579	24,6	17 579	13,5	1
2 »	81 937	28,4	163 874	35,3	2	20 050	28,0	40 100	31,0	2
3 და მეტი	56 069	19,4	208 735	44,9	3,7	18 676	26,2	71 474	55,5	3,8
ს უ ლ	289 079	100	464 346	100	1,6	71 501	100	129 153	100	1,8

* საერობო სტატისტიკის მონაცემები ბ-ნ ბლაგოვეშჩენსკის «შეჯამებული მონაცემების კრებულიდან». 14 ათასამდე კომლი ამ 18 მაზრაში არ

ამნაირად, არაშავნიადაგიანი ზოლის გლეხებს შორის ძროხების განაწილება, თურმე, ძალიან ემსგავსება შავნიადაგიანი გუბერნიების გლეხთა შორის მუშა პირუტყვის განაწილებას (იხ. II თავი). ამასთან მეწველი პირუტყვის კონცენტრაცია აღნიშნულ რაიონში, თურმე, უფრო ძლიერია, ვიდრე მუშა პირუტყვის კონცენტრაცია. ეს აშკარად მოწმობს, რომ გლეხობის დაშლას მჭიდრო კავშირი აქვს სავაჭრო მიწათმოქმედების სწორედ ადგილობრივ ფორმასთან. ამავე კავშირს ცხადჰყოფს, როგორც ჩანს, შემდეგი ცნობებიც (სამწუხაროდ, არასაკმარისად სრული). საერობო სტატისტიკის ჯამობრივი ცნობები რომ ავიღოთ (ბ-ნი ბლაგოვეშჩენსკი; 21 გუბერნიის 122 მაზრის შესახებ), მივიღებთ საშუალოდ 1 კომლზე 1,2 ძროხას. მაშასადამე, არაშავნიადაგიან ზოლში გლეხობა, როგორც ჩანს, უფრო მდიდარია ძროხებით, ვიდრე შავნიადაგიან ზოლში, პეტერბურგისა კი კიდევ უფრო მდიდარია, ვიდრე არაშავნიადაგიანი ზოლის გლეხობა საზოგადოდ. მეორე მხრით, უპირუტყვო კომლთა პროცენტი 22 გუბერნიის 123 მაზრაში უდრის 13 %-ს, ხოლო ჩვენს მიერ აღებულ 18 მაზრაში = 17 %-ს, პეტერბურგის გუბერნიის 6 მაზრაში კი = 18,8 %-ს. მაშასადამე, გლეხობის დაშლა (აღნიშნული მხრით) უფრო ძლიერი ყოფილა პეტერბურგის გუბერნიაში და შემდეგ საზოგადოდ არაშავნიადაგიან ზოლში. ეს მოწმობს, რომ გლეხობის დაშლის მთავარი ფაქტორი სწორედ სავაჭრო მიწათმოქმედებაა.

არის განაწილებული ძროხების რაოდენობის მიხედვით: სულ არის არა 289 079, არამედ 303 262 კომლი. ბ-ნ ბლაგოვეშჩენსკის მოყვანილი აქვს ასეთივე ცნობები შავნიადაგიანი გუბერნიების 2 მაზრის შესახებ, მაგრამ ეს მაზრები, როგორც ჩანს, ტიპიური არ არიან. ტვერის გუბერნიის 11 მაზრაში («სტატ. ცნობების კრებული», XIII, 2) ნადელიან კომლთა შორის უძროხოთა პროცენტი დიდი არ არის (9, 8), მაგრამ კომლთა 21,9%-ის ხელში, რომელთაც 3 და მეტი ძროხა ჰყავთ. თავმოყრილია ძროხების მთელი რაოდენობის 48,4%. უცხენოთა პროცენტი — 12,2%; სამ და მეტ-ცხენიან კომლთა რიცხვი შეადგენს მხოლოდ 5,1% და მათ ხელშია ცხენების მთელი რაოდენობის მხოლოდ 13,9%. შევნიშნავთ, რომ ცხენების უფრო ნაკლები კონცენტრაცია (ძროხების კონცენტრაციასთან შედარებით) შესამჩნევია სხვა არაშავნიადაგიან გუბერნიებშიც.

მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ გლეხთა კომლების (უძროხო და ერთძროხიანის) თითქმის ნახევარს მხოლოდ უარყოფითი მონაწილეობა შეუძლია მიიღოს სარძეო მეურნეობის დოვლათში. გლეხს, რომელსაც 1 ძროხა ჰყავს, მხოლოდ გაჭირვების გამო გააქვს რძე გასაყიდად, რითაც აუარესებს თავისი ბავშვების კვებას. პირიქით, კომლთა ერთ მეხუთედამდე (3 და მეტძროხიანი) თავის ხელში უყრის თავს, ალბათ, მთელი სარძეო მეურნეობის ნახევარზე მეტს, რადგან ამ კომლთა პირუტყვის ღირსება და მეურნეობის შემოსავლიანობა უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე «საშუალო» გლეხისა*. ამ დასკვნის საინტერესო ილუსტრაციას წარმოადგენს ცნობები დიდად განვითარებული სარძეო მეურნეობის და საზოგადოდ კაპიტალიზმის ერთი ადგილის შესახებ. ჩვენ ვლაპარაკობთ პეტერბურგის მაზრაზე**. განსაკუთრებით ფართოდ არის განვითარებული სარძეო მეურნეობა მაზრის სააგარაკო რაიონში, რომელიც უმთავრესად დასახლებულია რუსებით; აქ ყველაზე უფრო განვითარებულია ბალახთესვა (სანადელო სახნავის 23,5%, მაზრაში კი — 13,7%), შვრიის თესვა (სახნავის 52,3%) და კარტოფილის თესვა (10,1). მიწათმოქმედება ს.-პეტერბურგის ბაზრის პირდა-

* ეს ცნობები გლეხობის ურთიერთმოპირდაპირე ჯგუფების შესახებ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როცა ვხვდებით, მაგალითად, ასეთ ზერელე აზრს: «სარძეო მესაქონლეობის შემოსავალი 20-დან 200 მანეთამდე ოჯახზე წლიურად, ჩრდილო გუბერნიების უზარმაზარ სივრცეზე, წარმოადგენს არათუ უაღრესად სერიოზულ ბერკეტს მეჯოგეობის გასამრავლებლად და გასაუმჯობესებლად, არამედ მან გავლენაც მოახდინა მემინდვრეობის გაუმჯობესებაზეც და საშოვრად გასვლის შემცირებაზეც კი, რადგან მოსახლეობას იგი უჩენს სამუშაოს როგორც პირუტყვის მოვლის, ისე მანამდე მიტოვებული მიწების კულტურულ მდგომარეობაში მოყვანის სახით» («საწარმოო ძალები», III, 18). საერთოდ და მთლიანად საშოვარზე გასვლა კი არ მცირდება, არამედ მატულობს. ცალკეულ ადგილებში კი შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს ან შეძლებულ გლეხთა პროცენტის მომატებით, ან «შინმუშაობის», ე. ი. ადგილობრივი სოფლის მეწარმეების მიერ დაკირავებული მუშაობის განვითარებით.

** «ს.-პეტერბურგის სახალხო მეურნეობის სტატისტიკის მასალები», ნაკვ. V, ნაწ. II, სპბ. 1887.

პირი გავლენის ქვეშაა, რომელსაც ესაჭიროება შვრია, კარტოფილი, თივა, რძე, მუშა-ცხენი (l. c., 168). «სარძეო სარეწს» მისდევს მთელი მიწერილი მოსახლეობის 46,3 % ოჯახი. იყიდება ძროხების მთელი რაოდენობის 91 %-ის რძე. სარეწის შემოსავალი უდრის 713 470 მან. (203 მან. ერთ ოჯახზე, 77 მან. ერთ ძროხაზე). პირუტყვის ღირსება და მისი მოვლა მით უკეთესია, რაც უფრო ახლოს მდებარეობს ადგილი ს.-პეტერბურგთან. რძე საღდება ორნაირად: 1) ადგილობრივად შემყიდველებზე და 2) ს.-პეტერბურგის «სარძეო ფერმებზე» და სხვ. გასაღების უკანასკნელი სახე გაცილებით უფრო ხელსაყრელია, მაგრამ «მეურნეობათა უმრავლესობა, რომლებსაც ერთი ან ორი ძროხა ჰყავთ, ხანდახან მეტიც, მოკლებულია... საშუალებას თავისი პროდუქტი უშუალოდ ს.-პეტერბურგს გაიტანოს», რაც აიხსნება უცხენობით, წვრილ-წვრილად გატანის არახელსაყრელობით და სხვ. შემყიდველებს კი ეკუთვნიან არა მარტო ვაჭარი-სპეციალისტები, არამედ ის პირებიც, რომელთაც საკუთარი სარძეო მეურნეობა აქვთ. აი ცნობები მაზრის ორი თემის შესახებ:

ს.-პეტერბურგის მაზრის ორი თემი	ოჯახების რიცხვი	რამდენი ძროხა ჰყავთ	1 ოჯახს	ამ ოჯახების «შემოსავალი» მანეთობით	შემოსავალი	
					1 ოჯახზე	1 ძროხაზე
ოჯახები, რომლებიც შემყიდველებს აძლევენ რძეს	441	1 129	2,5	14 884	33,7	13,2
ოჯახები, რომლებიც ს.-პეტერბურგში ასაღებენ რძეს	119	649	5,4	29 187	245,2	44,9
ს უ ლ	560	1 778	3,2	44 071	78,8	24,7

აქედან შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ნაწილდება სარძეო მეურნეობის დოვლათი არაშავნიადაგიანი ზოლის მთელ გლეხობაში, რომელშიც, როგორც დავინახეთ, მეწველი პირუტყვის კონცენტრაცია კიდევ უფრო მეტია, ვიდრე ამ 560 ოჯახს შორის. დაგვრჩენია დავუმატოთ, რომ ს.-პეტერბურგის

მაზრის გლეხთა ოჯახების 23,1 % ქირაობს მუშებს (რომელთა შორის აქ, როგორც ყველგან მიწათმოქმედებაში, დღიური მუშები შეადგენენ უმრავლესობას). «თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სოფლის მეურნეობის მუშებს ქირაობენ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ის ოჯახები, რომლებსაც სრული სამიწათმოქმედო მეურნეობა აქვთ» (და ასეთები მაზრაში ოჯახთა მთელი რიცხვის მხოლოდ 40,4 %-ს შეადგენენ), «უნდა დავასკვნათ, რომ დაქირავებული შრომით ასეთ მეურნეობათა ნახევარზე მეტი სარგებლობს» (158).

ამნაირად, რუსეთის მოპირდაპირე განაპირა მხარეებში, სულ სხვადასხვა ადგილებში, პეტერბურგისა და რომელიმე თავრიდის გუბერნიაში, საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა «თემის» შიგნით სავსებით ერთგვაროვანია. «მიწის მხვნელ-მთესველი გლეხები» (ბ-ნ ნ.—ონის გამოთქმა) აქაც და იქაც გამოჰყოფენ თავისი წრიდან სოფლის მეწარმეთა უმცირესობას და სოფლის პროლეტარიატის მასას. მიწათმოქმედების თავისებურებას შეადგენს ის, რომ კაპიტალიზმი ერთ რაიონში სოფლის მეურნეობის ერთ მხარეს იმორჩილებს, მეორე რაიონში — მეორე მხარეს, და ამიტომ ერთგვაროვანი ეკონომიური ურთიერთობა თავს იჩენს სრულიად სხვადასხვანაირი აგრონომიული და ყოფაცხოვრებითი ფორმებით.

იმ ფაქტის დადგენის შემდეგ, რომ აღნიშნულ რაიონშიც გლეხობა მოპირისპირე კლასებად იყოფა, ჩვენ უკვე ადვილად შეგვიძლია გავერკვეთ იმ წინააღმდეგობრივ აზრებში, რომელთაც ჩვეულებრივ გამოსთქვამენ სარძეო მეურნეობის როლის შესახებ. სავსებით ბუნებრივია, რომ შეძლებულ გლეხობას ეძლევა იმპულსი მიწათმოქმედების განვითარებისა და გაუმჯობესებისა, რასაც შედეგად მოსდევს ბალახთესვის გავრცელება, რომელიც სავაჭრო მესაქონლეობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქცევა. ტვერის გუბერნიაში, მაგალითად, აღნიშნავენ ბალახთესვის განვითარებას, და ყველაზე მოწინავე კაშინის მაზრაში კომლთა 1/6 უკვე თესავს სამყურას («კრებული», XIII, 2, გვ. 171). ამას-

თან საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნაყიდ მიწებზე სახნავის უფრო მეტი ნაწილი უჭირავს ნათეს ბალახს, ვიდრე სანადელო მიწებზე: გლეხური ბურჟუაზია, ბუნებრივია, მიწის კერძო საკუთრებას ამჯობინებს, ვიდრე თემურ მფლობელობას *. «იაროსლავლის გუბერნიის მიმოხილვაში» (ნაკვ. II, 1896) შეხვდებით აგრეთვე მრავალ მითითებას, რომ ბალახთესვა იზრდება, და უმთავრესად ისევ ნაყიდ და იჯარით აღებულ მიწებზე **. იმავე გამოცემაში ვხვდებით ცნობებს გაუმჯობესებული იარაღების: გუთნების, სალეწავების, საგორავების და სხვ. გავრცელების შესახებ. ძლიერ ვითარდება ერბო-კარაქის, ყველის და სხვ. წარმოება. ნოვგოროდის გუბერნიაში ჯერ კიდევ 80-იანი წლების დამდეგს იყო შემჩნეული, გლეხური მესაქონლეობის საერთო გაუარესებასა და შემცირებასთან ერთად, მისი გაუმჯობესება ზოგიერთ ცალკე ადგილას, სადაც ხელსაყრელ პირობებში საღდება რძე, ანდა სადაც ძველთაგან შემოღებულია ხბოების გამოზრდა (ბიჩკოვი: «ნოვგოროდის მაზრის 3 თემის გლეხთა ეკონომიური მდგომარეობისა და მეურნეობის კომლობრივი გამოკვლევის ცდა». ნოვგ. 1882). ხბოების გამოზრდა, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს სავაჭრო მესაქონლეობის ერთ-ერთ სახეს, საერთოდ საკმაოდ გავრცელებული სარეწია ნოვგოროდისა და ტვერის გუბერნიებში და საზოგადოდ სატახტო ქალაქების ახლომახლო ადგილებში (იხ. «ნებით დაქირავებული შრომა და სხვ.», მიწათმოქმედების დეპარტამენტის გამოცემა). «ეს სარეწი, —

* მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოვლა-შენახვის არსებითი გაუმჯობესება შემჩნეულია მხოლოდ იქ, სადაც განვითარებულია რძის გაყიდვა (გვ. 219, 224),

** გვ. 39, 65, 136, 150, 154, 167, 170, 177 და სხვა. გამოსაღებთა ჩვენი რეფორმამდელი სისტემა აქაც აფერხებს სოფლის მეურნეობის პროგრესს. «ბალახთესვა, — იწერება ერთი კორესპონდენტი, — კარმიდამოთა შექუჩებულობის გამო, შემოღებულია თემში ყველგან, მაგრამ სამყურა ნარჩენის გადასახდელად იყიდება» (91). გამოსაღები ამ გუბერნიაში ზოგჯერ ისე დიდია, რომ მიწის იჯარით გამცემი ხშირად იძულებულია თავისი ჯიბიდან აძლიოს განსაზღვრული თანხა ნადელის ახალ მფლობელს.

ამბობს ბ-ნი ბიჩკოვი, — არსებითად შეადგენს შემოსავალს ისედაც შეძლებული გლეხებისას, რომლებსაც ძროხების საგრძნობი რაოდენობა ჰყავთ, რადგან ერთი ძროხის, ან ხანდახან ორი, მაგრამ ნაკლებად მეწველი ძროხის ამარა, ხბოების რძით გამოზრდა შეუძლებელია» (l. c., 101)*.

მაგრამ აღნიშნულ რაიონში გლეხური ბურჟუაზიის სამეურნეო წარმატებათა ყველაზე უფრო საგულისხმო ნიშანია გლეხების მიერ მუშების დაქირავების ფაქტი. ადგილობრივი მიწათმფლობელნი გრძნობენ, რომ ჩნდებიან მათი ახალი კონკურენტები, და თავის მოხსენებებში მიწათმოქმედების დეპარტამენტისადმი მუშების ნაკლებობას ხანდახან იმითაც კი ხსნიან, რომ მათ ქირაობენ შეძლებული გლეხები («ნებით დაქირავებული შრომა», 490). გლეხების მიერ მუშების დაქირავება შემჩნეულია იაროსლავლის, ვლადიმირის, ს.-პეტერბურგის, ნოვგოროდის გუბერნიებში (l. c., passim). აუარებელი მსგავსი ცნობები გაბნეულია აგრეთვე «იაროსლავლის გუბ. მიმოხილვაში».

მაგრამ შეძლებული უმცირესობის მთელი ეს პროგრესი მძიმე ტვირთად აწვება ღარიბ გლეხთა მასას. აი, მაგალითად, იაროსლავლის გუბერნიის რიბინსკის მაზრის კოპრინის თემში გავრცელებულია ყველის საწარმოები — «ყველის საარტელო საწარმოთა ცნობილი დამაარსებელის ვ. ი. ბლანდოვის» ინიციატივით**. «უფრო ღარიბი გლეხები, თითო

* აქვე აღვნიშნავთ, რომ ადგილობრივი გლეხობის «სარეწთა» სხვადასხვაობამ აიძულა ბ-ნი ბიჩკოვი გამოეყო მრეწავთა ორი ტიპი საშოვრის სიდიდის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ 100 მანეთზე ნაკლებს იღებს 3 251 კაცი (მოსახლეობის 27,4%), მათი საშოვარი=102 ათას მან., 31 მან. თითო კაცზე. 100 მანეთზე მეტს იღებს 454 კაცი (მოსახლეობის 3,8%): მათი საშოვარი=107 ათას მან., 236 მან. თითოზე. პირველ ჯგუფში შედიან უმთავრესად ყოველნაირი დაქირავებული მუშები, მეორეში — ვაჭრები, თივისა და ტყის მრეწველები და სხვ.

** კოპრინის თემის «ყველის არტელური საწარმოები» აღნიშნულია «ფაბრიკა-ქარხნების საძიებელში», ბლანდოვების ფირმა კი ყველაზე უფრო დიდია ყველის წარმოებაში: 1890 წელს მას ექვს გუბერნიაში ეკუთვნოდა 25 ქარხანა.

ძროხის პატრონები, როცა მათ რძე მოაქვთ (ყველის საწარმოში), რასაკვირველია, ამით ვნებენ საკუთარ საზრდოობას»; მაშინ როცა შეძლებულნი აუმჯობესებენ თავის პირუტყვს (გვ. 32 — 33). დაქირავებული შრომის სახეებს შორის ვხვდებით ყველის საწარმოებში სამუშაოდ წასვლას. ახალგაზრდა გლეხებისაგან დგება მეყველე ოსტატთა კონტინგენტი. პოშეხონის მაზრაში «ყველისა და ერბო-კარაქის საწარმოთა... რიცხვი წლითი-წლობით სულ უფრო და უფრო მატულობს», მაგრამ «ის სარგებლობა, რომელიც მოაქვთ გლეხური მეურნეობისათვის ყველისა და ერბო-კარაქის საწარმოებს, საეჭვოა საკმარისი იყოს იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რასაც იწვევენ ყველისა და ერბო-კარაქის საწარმოები გლეხის ცხოვრებაში». თვით გლეხების აღიარებით, ისინი ხშირად იძულებულნი არიან იშიმშილონ, რადგან, როცა სადმე ყველის საწარმო იხსნება, რძის პროდუქტები ამ ყველისა და ერბო-კარაქის საწარმოებში მიდის, და გლეხები ჩვეულებრივად იკვებებიან წყალნარევი რძით. ვითარდება ანგარიშის საქონლით გასწორება (გვ. 43, 54, 59 და სხვ.), და სამწუხაროა, რომ ჩვენს «სახალხო» წვრილ წარმოებაზე. არ ვრცელდება კანონი, რომელიც კრძალავს საქონლით ანგარიშის გასწორებას «კაპიტალისტურ» ფაბრიკებში *.

---

* აი დამახასიათებელი აზრი ბ-ნ სტარი მასლოდელისა: «ვისაც უნახავს და გაუცვნია თანამედროვე სოფელი, ვინც ამასთან გაიხსენებს ამ 40 — 50 წლის წინანდელ სოფელს, ის გაოცდება მათი განსხვავებით. ძველ სოფელში ყველა მოსახლის სახლები ერთნაირი იყო როგორც გარეგნული შესახედაობით, ისე შინაგანი ნაკეთობით; ახლა კი ქოხმახების გვერდით წამოჭიმულია მოხატული სახლები, ლატაკთა გვერდით ცხოვრობენ მდიდრები, დაბეჩავებულთა და შეურაცხყოფილთა გვერდით — მოქეიფენი და მოლხინენი. ძველად ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ისეთ სოფლებს, სადაც არც ერთი ბოგანო არ იყო, ახლა კი ყოველ სოფელში ხუთზე ნაკლები არსად აღარ არის, ზოგან კი ათიც მოიძებნება. და სიმართლე უნდა ითქვას: ერბო-კარაქის წარმოებას დიდი ბრალი მიუძღვის სოფლის ასეთ გამოცვლაში. 30 წლის განმავლობაში ერბო-კარაქის წარმოებით ბევრი გამდიდრდა, ბევრმა შეღება თავისი სახლი, მრავალმა გლეხმა — რძის მიმწოდებელმა — ერბო-კარაქის წარმოების განვითარების პერიოდში გაი-

ამნაირად, ამ პირთა ჩვენებით, რომელნიც უშუალოდ გაცნობილი არიან საქმეს, დასტურდება ჩვენი დასკვნა, რომ გლეხთა უმრავლესობის მონაწილეობა ადგილობრივი მიწათმოქმედების პროგრესში მხოლოდ უარყოფითია. სავაჭრო მიწათმოქმედების პროგრესი აუარესებს გლეხთა დაბალი ჯგუფების მდგომარეობას და საბოლოოდ მიერეკება მათ მიწათმოქმედთა რიგებიდან. შევნიშნავთ, რომ ნაროდნიკულ ლიტერატურაში აღნიშნული იყო ეს წინააღმდეგობა სარძეო მეურნეობის პროგრესსა და გლეხთა საზრდოობის გაუარესებას შორის (პირველად, მგონი, ენგელგარდტის მიერ). მაგრამ სწორედ ამ მაგალითით შეგვიძლია გავითვალისწინოთ იმ მოვლენების ნაროდნიკული შეფასების შეზღუდულობა, რომლებიც ხდება გლეხობაში და მიწათმოქმედებაში. ამჩნევენ ერთი ფორმის, ერთ ადგილას არსებულ წინააღმდეგობას, და არ ესმით, რომ ის მთელი საზოგადოებრივ-სამეურნეო წყობილების დამახასიათებელია და ყველგან სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს. ამჩნევენ ერთი რომელიმე «ხელსაყრელი სარეწის» წინააღმდეგობრივ მნიშვნელობას, — და დაჟინებით გვირჩევენ ყოველნაირი სხვა «ადგილობრივი სარეწების» «გავრცელებას» გლეხობაში. ამჩნევენ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პროგრესის წინააღმდეგობრივ მნიშვნელობას, — და არ ესმით, რომ მანქანებს, მაგალითად, სრულებით ისეთივე პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ მიწათმოქმედებაში, როგორც მრეწველობაში.

VI. მესელეოგბის რაიონი

კაპიტალისტური მიწათმოქმედების ორი პირველი რაიონის აღწერაზე ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ ეს რაიონები ვრცელია და იქ არსებული ურთი-

---

უმჯობესა კეთილდღეობა, შეიძინა მეტი პირუტყვი, მთელი საზოგადოებით და ცალ-ცალკე შეიყიდეს მიწები, მაგრამ უფრო მეტი გაღატაკდა, სოფლად გაჩნდნენ ბოგანოები და მათხოვრები» («ჟიზნ», 1899, № 8, ციტ. «სევ. კრაი»-დან, 1899, № 223). (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

ერთობაც ტიპიურია. შემდგომ გადმოცემაში ჩვენ დავკმაყოფილდებით უკვე მოკლე შენიშვნებით რამდენიმე უმნიშვნელოვანესი რაიონის შესახებ.

სელი ეგრეთწოდებულ «სამრეწველო მცენარეთა» შორის უმთავრესი მცენარეა. უკვე ეს ტერმინი მოწმობს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს სწორედ ს ა ვ ა ჭ რ ო მიწათმოქმედებასთან. მაგალითად, ფსკოვის გუბერნიაში, რომელიც ითვლება «სელის გუბერნიად», სელი უკვე ძველთაგანვე წარმოადგენს გლეხისათვის «პირველ ფულს», როგორც ადგილობრივად ამბობენ («სამხედრო-სტატ. კრებული», 260). სელის წარმოება პირდაპირ არის ფულის შოვნის ერთი საშუალებათაგანი. რეფორმისშემდგომი ხანა, საერთოდ, ხასიათდება სავაჭრო მესელეობის უეჭველი ზრდით. ასე, 60-იანი წლების დამლევს სელის წარმოების ოდენობა რუსეთში განისაზღვრებოდა დაახლოებით 12 მილიონი ფუთი ბოჭკოთი (ibid., 260); 80-იანი წლების დასაწყისს — 20 მილიონი ფუთი ბოჭკოთი («რუსეთის მრეწველობის ისტორიულ-სტატისტ. მიმოხილვა», ტ. I, სპბ. 1883, გვ. 74); ახლა ევროპული რუსეთის 50 გუბერნიაში იღებენ 26 მილიონ ფუთზე მეტ სელის ბოჭკოს *. საკუთრივ მესელეობის რაიონში

* ცენტ. სტატ. კომიტეტის ცნობებით, 1893 — 1897 წლების საშუალო რაოდენობა უდრის 26 291 ათას ფუთს. იხ. «ვესტ. ფინ.», 1897, № 9, და 1898, № 6. უფრო ადრინდელი დროის სტატისტიკურ ცნობებს სელის წარმოების შესახებ დიდი უზუსტობა ახასიათებდა, ამიტომ ჩვენ ვამჯობინეთ აგვეღო დაახლოებითი გაანგარიშება, დამყარებული სპეციალისტების მიერ სრულიად სხვადასხვანაირი წყაროების დაპირისპირება ზე. ცალკეული წლების მიხედვით სელის წარმოების ოდენობა მნიშვნელოვნად ირყევა. ამიტომ, მაგალითად, ბ-ნი ნ. —ონი, რომელმაც რაღაც ე ქ ვ ს ი წლის ცნობების მიხედვით ძალიან გაბედული დასკვნების გამოყვანა დაიწყო სელის წარმოების «დაკლების» და «სელის ნათესების შემცირების» შესახებ («ნარკვევი», გვ. 236 და შემდეგი), მეტად კურიოზულ შეცდომებში ჩაეფლო (იხ. მათი გარჩევა პ. ბ. სტრუვეს «კრიტიკულ შენიშვნებში», გვ. 233 და შემდეგი). ტექსტში ნათქვამს დავუმატებთ, რომ იმ ცნობებით, რომლებიც მოჰყავს ბ-ნ ნ. —ონს, სელის ნათესის მაქსიმალური ფართობი 1880-იან წლებში იყო 1 372 ათასი დესეტინა, ბოჭკოს მოსავალი კი —

(არაშავნიადაგიანი ზოლის 19 გუბერნია) სელის ნათესი ფართობი უკანასკნელ დროს ასე იცვლებოდა: 1893 — 756,6 ათასი დეს.; 1894 — 816,5 ათასი დეს.; 1895 — 901,8 ათასი დეს.; 1896 — 952,1 ათასი დეს. და 1897 — 967,5 ათასი დესეტინა. მთელ ევროპულ რუსეთში კი (50 გუბ.) 1896 წელს სელი დათესილი იყო 1 617 ათასი დეს., ხოლო 1897 — 1 669 ათასი დეს. («ვესტ. ფინ.», ibid., და 1898, № 7), მაშინ როცა 1890-იანი წლების დასაწყისს დათესილი იყო 1 399 ათასი დესეტინა («საწარმოო ძალები», I, 36). სწორედ ასევე ლიტერატურაში არსებული საერთო ცნობებიც მოწმობენ სავაჭრო მესელეობის ზრდას. მაგალითად, რეფორმისშემდგომი პირველი ორი ათეული წლის შესახებ «ისტორ.-სტატისტ. მიმოხილვა» ადასტურებს, რომ «სამრეწველო მიზნით სელის კულტურის გავრცელების რაიონი გაიზარდა რამდენიმე გუბერნიით» (l. c., 71), რაზედაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა რკინიგზის ქსელის გაფართოებამ. ვლადიმირის გუბერნიის იურიევის მაზრის შესახებ ბ-ნი ვ. პრუგავინი წერდა 80-იანი წლების დამდეგს: «სელის თესვა... აქ ამ უკანასკნელი 10 — 15 წლის განმავლობაში ძალიან ფართოდ გავრცელდა». «ზოგიერთი მრავალოჯახიანი მეურნე ყოველწლიურად 300 — 500 მანეთის და უფრო მეტ სელს ჰყიდის... ყიდულობენ» (სათესლე სელს) «ქ. როსტოვში... აქაური გლეხები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თესლის შერჩევას» («ვლადიმირის გუბერნიის იურიევის მაზრის სოფლის თემი, შინამრეწველობა და სამიწათმოქმედო მეურნეობა». მ. 1884, გვ. 86 — 89). ტვერის გუბ. ერობის სტატისტიკურ კრებულში (ტ. XIII, ნაკვ. 2) აღნიშნულია, რომ «გაზაფხულის ყანების უმნიშვნელოვანესი პურეული — ქერი და შვრია, ადგილს უთმობს კარტოფილს და სელს» (გვ. 151); ზოგიერთ მაზრაში სელს უჭირავს გაზაფხულის საყანე მიწის $^1/_3$-დან $^3/_4$-მდე, მაგალითად, ზუბცოვის, კაშინოს და სხვ. მაზრებში, «სადაც მესელეობამ მკაფიოდ

---

19 245 ათასი ფუთი, მაშინ როცა 1896—1897 წწ. ნათესი ავიდა 1 617— 1 669 ათას დესეტინამდე, ბოჭკოს მოსავალი კი—31 713— 30 139 ათას ფუთამდე.

გამოხატული სპეკულაციური სარეწის ხასიათი მიიღო» (გვ. 145) და სადაც იგი განსაკუთრებით ფართოდ ვითარდება იჯარით აღებულ ყამირსა და ახოებზე. ამასთან შემჩნეულია, რომ ზოგიერთ გუბერნიაში, სადაც კიდევ არის თავისუფალი მიწები (ყამირი, ცარიელი ადგილი, ტყისგან გაწმენდილი ნაკვეთი), მესელეობა განსაკუთრებით ფართოვდება, ზოგიერთ ძველთაგანვე მესელეობის გუბერნიაში კი «სელის კულტურა ან წინანდელ ფარგლებში რჩება, ანდა ადგილს უთმობს ახლად შემოღებულ კულტურას, მაგ., ძირხვენა მცენარეების, ბოსტნეულის და სხვ. კულტურას» («ვესტნ. ფინ.», 1898, № 6, გვ. 376, და 1897, № 29), ე. ი. ადგილს უთმობს სავაჭრო მიწათმოქმედების სხვა სახეებს.

რაც შეეხება სელის საზღვარგარეთ გატანას, პირველ ორ ათეულ წელში რეფორმის შემდეგ ის შესანიშნავი სისწრაფით იზრდებოდა: 4,6 მილიონი ფუთიდან საშუალოდ 1857 — 1861 წლებში 8,5 მილიონ ფუთამდე 1867 — 1871 წლებში და 12,4 მილიონ ფუთამდე 1877 — 1881 წლებში, მაგრამ შემდეგ გატანა თითქოს ჩერდება წინანდელ დონეზე და 1894 — 1897 წლებში შეადგენდა საშუალოდ 13,3 მილიონ ფუთს *. სავაჭრო მესელეობის განვითარება, ბუნებრივია, იწვევდა გაცვლას არა მხოლოდ მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის (სელის გაყიდვა და ფაბრიკატების ყიდვა), არამედ გაცვლას სავაჭრო მიწათმოქმედების სხვადასხვა სახეებს შორისაც (სელის გაყიდვა და პურის ყიდვა). აი ცნობები ამ საინტერესო მოვლენის შესახებ, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ შინაური ბაზარი კაპიტალიზმისათვის იქმნება არა მარტო მოსახლეობის მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ მიზიდვით, არამედ სავაჭრო მიწათმოქმედების სპეციალიზაციითაც **:

---

* ცნობები სელის, სელის ქულის და ძენძის გატანის შესახებ. იხ. «ისტორ.-სტატ. მიმოხილვა», პ. სტრუვე, «კრიტიკული შენიშვნები» და «ვესტ. ფინ.», 1897, № 26, და 1898, № 36.

** იხ. ნ. სტროკინი. «ფსკოვის გუბ. მესელეობა». სპბ. 1882. ავტორს ეს ცნობები გადმოღებული აქვს გამოსაღებთა კომისიის «შრომებიდან».

ტვირთის მოძრაობა რკინიგზით ფსკოვის («მესელეობის») გუბერნიისაკენ და იქიდან (საშუალო ოდენობა ათას ფუთობით)

პერიოდები	გატანილია სელი	შეტანილია მარცვალი და ფქვილი
1860—1861	255,9	43,4
1863—1864	551,1	464,7
1865—1866	793,0	842,6
1867—1868	1 053,2	1 157,9
1869—1870	1 406,9	1 809,3

როგორ მოქმედებს სავაჭრო მესელეობის ეს ზრდა გლეხობაზე, რომელიც, როგორც ვიცით, სელის მთავარი მწარმოებელია? *. «ფსკოვის გუბერნიაში გავლის დროს, თუ დააკვირდებით მის ეკონომიურ ყოფაცხოვრებას, არ შეიძლება არ შეამჩნიოთ, რომ იშვიათი მსხვილი მდიდარი ერთეულების, დასახლებული პუნქტებისა და სოფლების გვერდით მოთავსებულან უკიდურესად ღარიბი ერთეულები; ეს უკიდურესობანი შეადგენენ სელის რაიონის სამეურნეო ცხოვრების დამახასიათებელ ნიშანს». «სელის თესვამ აზარტული მიმართულება მიიღო» და სელის შემოსავლის «მეტი ნაწილი რჩება შემყიდველებს და იმათ, ვინც სელის დასათესად იჯარით იძლევა მიწას» (სტროკინი, 22 — 23). გამაჩანაგებელი საიჯარო ფასები წარმოადგენენ ნამდვილ «ფულად რენტას» (იხ. ზემოთ), და გლეხთა მასა «სავსებით და უიმედოდ დამოკიდებულია» შემყიდველებისაგან (სტროკინი, ibid.). სავაჭრო კაპიტალის ბატონობა დიდი ხანია დამკვიდრდა ამ ადგილას **, და რე-

* სელით დათესილი 1 399 ათას დესეტინა მიწიდან 745 400 დეს. მოდის არაშავხიადაგიან ზოლზე, სადაც მხოლოდ 13% ეკუთვნის მფლობელებს. შავნიადაგიან ზოლში 609 600 დესეტინა ნათესიდან 44,4% ეკუთვნის მფლობელებს («საწარმოო ძალები», I, 36).

** ჯერ კიდევ «სამხედრო-სტატისტ. კრებული» აღნიშნავდა, რომ «სელი, რომელიც დათესილია გლეხების მიერ, ძალიან ხშირად წარმოადგენს «ბულინების» (წვრილი შემყიდველების ადგილობრივი სახელწოდებაა) «საკუთრებას და გლეხები მხოლოდ მუშები არიან საკუთარ ყანაშიო» (595). შეად. «ისტორ.-სტატისტ. მიმოხილვა», გვ. 88.

ფორმისშემდგომი ეპოქის განსხვავება მდგომარეობს ამ კაპიტალის გიგანტურ კონცენტრაციაში, წინანდელი წვრილი შემყიდველების მონოპოლიური ხასიათის შერყევაში და «სელის კანტორების» გაჩენაში, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს სელის მთელი ვაჭრობა. მესელეობის მნიშვნელობა, — ამბობს ბ-ნი სტროკინი ფსკოვის გუბერნიის შესახებ, — «გამოიხატება... კაპიტალების რამდენიმე კაცის ხელში თავმოყრით» (გვ. 31). მესელეობის აზარტულ თამაშად გადაქცევით კაპიტალი აჩანაგებდა წვრილ მიწათმოქმედთა მასებს, რომლებიც აუარესებდნენ სელის ხარისხს, ფიტავდნენ მიწას, იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ იჯარით სცემდნენ ნადელებს და ბოლოს და ბოლოს ამრავლებდნენ «საშოვრად» გამსვლელი მუშების რიცხვს. შეძლებული გლეხებისა და ვაჭრების უმნიშვნელო უმცირესობას კი საშუალება მიეცა — და კონკურენციის გამო იძულებული შეიქნა — შემოეღო ტექნიკური გაუმჯობესებანი. გავრცელდა კუტეს სელსათესი მანქანები, როგორც ხელით სამუშაო (ფასი 25 მან.-დე), ისე ცხენის ძალით სამუშაო (სამჯერ უფრო ძვირი). 1869 წელს ფსკოვის გუბერნიაში ასეთი მანქანა მხოლოდ 557 ითვლებოდა, 1881 წელს კი — 5 710 (4 521 ხელის და 1 189 ცხენის) *. «ახლა, — ვკითხულობთ «ისტორ.-სტატ. მიმოხილვაში», — ყოველი წესიერი გლეხის ოჯახში, რომელიც მესელეობას მისდევს, არის ხელით სამუშაო კუტეს მანქანა, მას «ფსკოვის სათელი მანქანაც» კი დაერქვა» (l. c., 82 — 83). თუ რა თანაფარდობაა ამ მანქანებიან «წესიერ» მეურნეთა უმცირესობასა და დანარჩენ გლეხობას შორის, ჩვენ უკვე დავინახეთ II თავში. პირველყოფილი სატკაცუნეების მაგიერ, რომლებიც ძალიან ცუდად წმენდავდნენ თესლს, ფსკოვის ერობამ დაიწყო მარცვალსაწმენდი გაუმჯობესებული მანქანების (ტრიერების) შემოღება, და «უფრო შეძლებული გლეხი-მრეწველები» თავისთვის უკვე ხელსაყრელად სთვლიან ამ მანქანების შეძენას და მესელეებისათვის მიქირავებას («ვესტნ. ფინ.», 1897, № 29, გვ. 85).

* სტროკინი, 12.

სელის უფრო მსხვილი შემყიდველები აწყობენ საშრობებს, საწნეხებს, ქირაობენ მუშებს სელის დასახარისხებლად და გასაწეწად (იხ. მაგალითი ბ-ნ ვ. პრუგავინის წიგნში, l. c., 115). ბოლოს, უნდა დავძინოთ, რომ სელის ბოჭკოს დამუშავება განსაკუთრებით დიდძალ მუშახელს მოითხოვს: ანგარიშობენ, რომ 1 დესეტინა სელის დასამუშავებლად საჭიროა 26 სამუშაო დღე საკუთრივ სამიწათმოქმედო მუშაობისათვის და 77 დღე ჩალიდან ბოჭკოს დასამზადებლად («ისტორ.-სტატ. მიმოხილვა», 72). ამიტომ მესელეობის განვითარება, ერთი მხრით, იწვევს ზამთრობით მიწათმოქმედის მეტ მუშაობას; მეორე მხრით, — დაქირავებული შრომის მოთხოვნას იმ მემამულეთა და შეძლებული გლეხების მხრივ, რომელნიც სელს თესავენ (ამის მაგალითი იხ. III თავში, § VI).

ამგვარად, მესელეობის რაიონშიც სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდას მოსდევს კაპიტალის ბატონობა და გლეხობის დაშლა. ამ უკანასკნელი პროცესის დიდად შემაფერხებელ მიზეზს, უეჭველია, წარმოადგენს მიწის მაღალი, გამჩანაგებელი საიჯარო ფასები *, სავაჭრო კაპიტალის მხრივ შევიწროება, გლეხების მიმაგრება ნადელზე და სანადელო მიწების მაღალი გადასახდელი. ამიტომ, რაც უფრო ფართოდ განვითარდება გლეხების მიერ მიწის ყიდვა ** და სარეწად

* ახლა სელის სათესი მიწის საიჯარო ფასები ეცემა სელის ფასების დაცემის გამო, მაგრამ სელით დათესილი მიწის ფართობი, მაგალითად, ფსკოვის მესელეობის რაიონში 1896 წ. არ შემცირებულა («ვესტ. ფინ.», 1897, № 29).

** გლეხების მიერ მიწების ყიდვის განვითარების მხრით ფსკოვის გუბერნია ერთი პირველთაგანია რუსეთში. «სოფლის მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის სტატისტიკური მასალების კრებულის» ცნობით (მინისტრთა კომიტეტის კანცელარიის გამოცემა), აქ საგლეხო ნაყიდი მიწები შეადგენენ 23 %-ს მთელი სანადელო გამოსადეგი მიწის მიმართ; ეს არის maximum-ი ყველა 50 გუბერნიიდან. 1892 წლის 1 იანვრისათვის მამრობითი სქესის გლეხი მოსახლეობის თითო სულზე მოდიოდა 0,7 დესეტინა ნაყიდი მიწა; ამ მხრით ფსკოვის გუბერნიაზე წინ მხოლოდ ნოვგოროდისა და თავრიდის გუბერნიები დგანან.

გასვლა*, გაუმჯობესებული იარაღების და მიწათმოქმედების წესების გავრცელება, — მით უფრო მალე გამოდევნის სავაჭრო კაპიტალს სამრეწველო კაპიტალი, მით უფრო სწრაფად მოხდება გლეხობისაგან სოფლის ბურჟუაზიის გამოყოფა და მემამულური მეურნეობის შრომამიგებითი სისტემის კაპიტალისტური სისტემით გამოდევნა.

VII. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნიკური დამუშავება

ზემოთ ჩვენ უკვე შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა (თავი I, § I), რომ სოფლის მეურნეობის მწერლები სოფლის მეურნეობის სისტემებს ჰყოფენ მთავარი საბაზრო პროდუქტის მიხედვით და მეურნეობის საქარხნო ან ტექნიკურ სისტემას განსაკუთრებულ ტიპს მიაკუთვნებენ. ამ უკანასკნელი სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მიწათმოქმედების პროდუქტი, სანამ (პირადი ან წარმოებითი) მოხმარებისათვის წარიმართებოდეს, ტექნიკურად გადამუშავდება. ის დაწესებულებანი, რომელნიც ამ გადამუშავებას ასრულებენ, ან შეადგენენ თვით იმ მეურნეობის ნაწილს, სადაც ნედლი პროდუქტია მოპოვებული, ან ეკუთვნიან განსაკუთრებულ მრეწველებს, რომლებიც შეიყიდიან ხოლმე პროდუქტს სოფლის მეურნეთაგან. პოლიტიკურ-ეკონომიური მხრით ამ ორი ტიპის ურთიერთგანსხვავება არსებითი არ არის. კაპიტალიზმის განვითარების საკითხში სოფლის მეურნეობის ტექნიკურ წარმოებათა ზრდას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ეს ზრდა წარმოადგენს სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების ერთ-ერთ ფორმას, სახელდობრ ისეთ ფორმას, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს მიწათმოქმედების გადაქცევას კაპიტალისტური საზოგადოების მრეწველობის ერთ-ერთ დარგად. მეორეც, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექ-

* 1865 1875 წლებიდან 1896 წლამდე, სტატისტიკური ცნობებით, ფსკოვის გუბერნიიდან მამაკაცების გასვლა გაიზარდა თ ი თ ქ მ ი ს 4-ჯ ე რ («ფსკოვის გუბ. გლეხი მოსახლეობის სარეწები». ფსკოვი, 1898, გვ. 3).

ნიკური დამუშავების განვითარება ჩვეულებრივ განუყრელად არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ტექნიკურ პროგრესთან: ერთი მხრით, უკვე თვით გადასამუშავებელი ნედლეულის წარმოება ხშირად მოითხოვს მიწათმოქმედების გაუმჯობესებას (მაგალითად, ძირხვენა მცენარეების თესვა); მეორე მხრით, ნარჩენები, რაც გადამუშავების დროს მიიღება, ხშირად იხმარება მიწათმოქმედებისათვის, — ადიდებს მის წარმატებას, თუნდაც ნაწილობრივ აღადგენს მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის იმ წონასწორობას, იმ ურთიერთდამოკიდებულებას, რომლის დარღვევაშიც მდგომარეობს კაპიტალიზმის ერთ-ერთი უღრმესი წინააღმდეგობა.

მაშასადამე, ჩვენ ახლა უნდა დავახასიათოთ ტექნიკურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა განვითარება რეფორმისშემდგომ რუსეთში.

1) სპირტის გამოხდა

ჩვენ აქ განვიხილავთ სპირტის გამოხდას მხოლოდ სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით. ამიტომ ჩვენთვის საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, თუ რა სწრაფად ხდებოდა სპირტის გამოხდის კონცენტრაცია მსხვილ ქარხნებში (ნაწილობრივ სააქციზო სისტემის მოთხოვნათა გამო), რა სწრაფად ვითარდებოდა საქარხნო ტექნიკა და როგორ აიაფებდა იგი წარმოებას, როგორ უსწრებდა აქციზის ზრდა ამ გაიაფებას და თავის უზომო სიდიდით როგორ აფერხებდა მოხმარებისა და წარმოების ზრდას.

მოგვყავს ცნობები სპირტის გამოხდის შესახებ «სოფლის მეურნეობაში» მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით*:

---

* 1890 წლის 4 ივნისის კანონმა დააწესა სოფლის მეურნეობაში სპირტის გამოხდის შემდეგი ნიშნები: 1) სპირტის გამოხდის დრო, სახელდობრ, 1 სექტემბრიდან 1 ივნისამდე, როცა მინდვრის სამუშაოები არ არის; 2) გამოხდილი სპირტის რაოდენობისა და სახნავი მიწის (დესეტინობით) შესაბამისობა მამულში. იმ ქარხნებს, რომლებიც ეწევიან სპირტის ნაწილობრივ სასოფლო-სამეურნეო და ნაწილობრივ სამრეწველო გამოხდას, ეწოდება შერეული ქარხნები (შეად. «ვესტნ. ფინ.», 1896, № 25, და 1898, № 10).

სპირტსახდელი ქარხნები 1896/97 წ.	ქარხნების რიცხვი		გამოხდილია სპირტი ათას ვედრობით	
სასოფლო-სამეურნეო. . . .	1 474	1 878	13 521	24 331
შერეული	404		10 810	
სამრეწველო	159		5 457	
სულ	2 037		29 788	

ამნაირად, სპირტსახდელი ქარხნების მთელი რაოდენობის $^{9}/_{10}$-ზე მეტი (რომლებიც იძლევიან მთელი წარმოების $^{4}/_{5}$-ზე მეტს) უშუალოდ დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან. ეს ქარხნები წარმოადგენენ მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებს და ასეთსავე ხასიათს აძლევენ ყველა იმ მემამულურ მეურნეობას, სადაც ისინი მოწყობილია (სპირტსახდელი ქარხნები თითქმის მარტოოდენ მემამულეების და უმთავრესად თავადაზნაურობის საკუთრებას შეადგენს). სავაჭრო მიწათმოქმედების აღნიშნული დარგი განსაკუთრებით განვითარებულია შუა შავნიადაგიან გუბერნიებში, სადაც თავმოყრილია რუსეთის იმპერიის სპირტსახდელი ქარხნების მთელი რაოდენობის $^{1}/_{10}$-ზე მეტი (1896/97 წ. 239, აქედან 225 სასოფლო-სამეურნეო და შერეული), რომლებიც ხდიან მთელი სპირტის ერთ მეოთხედზე მეტს (7 785 ათასი ვედრო 1896/97 წ., აქედან 6 828—სასოფლო-სამეურნეო და შერეულ ქარხანაში). ამნაირად, რაიონში, სადაც შრომამიგება სჭარბობს, მიწათმოქმედების სავაჭრო ხასიათი უფრო ხშირად (სხვა რაიონებთან შედარებით) გამოიხატება პურეულისა და კარტოფილისაგან სპირტის გამოხდით. კარტოფილისაგან სპირტის გამოხდა განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა რეფორმისშემდგომ ეპოქაში, როგორც ეს ჩანს შემდეგი ცნობებიდან, რომლებიც მთელ რუსეთის იმპერიას შეეხება *:

* წყაროები: «სამხ.-სტატ. კრებული», 427; «საწარმოო ძალები», IX, 49 და «ვესტ. ფინ.», 1898, № 14.

		სპირტის გამოსახდელად გამოყენებული იყო მასალა ათას ფუთობით		
		სულ პურეული პროდუქტები	აქედან კარტოფილი	კარტოფილის %
1867 წ.		76 925	6 950	9,1
საშუალო	1873/74—1882/83	123 066	65 508	53
10 წელში	1882/83—1891/92	128 706	79 803	62
1893/94 წელს.		150 857	115 850	76
1896/97 »		144 038	101 993	70,8

ამნაირად, თუ სპირტის გამოსახდელი პურეულის რაოდენობა საერთოდ ერთიორად გაზრდილა, სპირტის გამოსახდელი კარტოფილის რაოდენობა გაზრდილა 15-ჯერ. ეს ფაქტი თვალსაჩინოდ ადასტურებს ზემოთ (ამ თავის § I) დადგენილ დებულებას, რომ კარტოფილის თესვისა და მოსავლის უზარმაზარი ზრდა ნიშნავს სწორედ სავაჭრო და კაპიტალისტური მიწათმოქმედების ზრდას და ამასთან ერთად მიწათმოქმედების ტექნიკის გაუმჯობესებას, სამმინდვრიანობის მრავალმინდვრიანი თესლბრუნვით შეცვლას და სხვ.*. სპირტის გამოხდის მხრივ ყველაზე განვითარებული რაიონი გამოირჩევა აგრეთვე კარტოფილის ყველაზე მეტი წმინდა მოსავლის მოწევით მოსახლეობის თითო სულზე (რუსულ გუბერნიებში, ე. ი. მხედველობაში არ არის მიღებული ბალტიისპირა და დასავლეთის გუბერნიები). ასე, 1864 — 1866, 1870 — 1879 და 1883 — 1887 წლებში ჩრდილოეთის შავნიადაგიან გუბერნიებში ეს რაოდენობა შეადგენდა 0,44 — 0,62 — 0,60 «ჩეტვერტს», მაშინ როცა მთელი ევროპული რუსეთისათვის (50 გუბერნიისათვის) შესაფერი ციფრები ასეთი იყო: 0,27 — 0,43 — 0,44 «ჩეტვერტი». ჯერ კიდევ 80-იანი წლების

* შეად. რასპოპინი, l. c. — «ისტ.-სტატ. მიმოხილვა», l. c., გვ. 14. სპირტსახდელი წარმოების ნარჩენს (დურდოს) ხშირად ხმარობენ (არა მარტო სასოფლო-სამეურნეო, არამედ კომერციული ქარხნებიც) სავაჭროსახორცე პირუტყვის მოსაშენებლად. — შეად. «სოფლის მეურნ. სტატ. ცნობები», ნაკვ. VII, გვ. 122, და passim.

დასაწყისს «ისტ.-სტატ. მიმოხილვა» აღნიშნავდა, რომ «ოლქი, სადაც შემჩნეულია კარტოფილის კულტურის ყველაზე მეტად გავრცელება, მოიცავს შავნიადაგიანი ზოლის შუა და ჩრდილო ნაწილის ყველა გუბერნიას, ვოლგისპირა და ვოლგისგაღმა და შუა არაშავნიადაგიან გუბერნიებს» (l. c., გვ. 44)*.

მემამულეებისა და შეძლებული გლეხების მიერ კარტოფილის კულტურის გაფართოება ნიშნავს დაქირავებული შრომის მოთხოვნის გადიდებას; ერთი დესეტინა კარტოფილის დამუშავება მოითხოვს გაცილებით მეტ შრომას **, ვიდრე ერთი დესეტინა მარცვლეული პურის დამუშავება, მანქანების ხმარება კი, მაგალითად, შუა შავნიადაგიან რაიონში ჯერ კიდევ ძალიან სუსტად არის განვითარებული. ამნაირად, თუ მუშების რიცხვი, რომლებიც საკუთრივ სპირტსახდელ წარმოებაში არიან დაბანდებულნი, მცირდებოდა ***, მეორე მხრით,

* თუ რა გიგანტური სისწრაფით იზრდებოდა სწორედ ცენტრალურ სამიწათმოქმედო გუბერნიებში კარტოფილის მოხმარება სპირტის გამოსახდელად, ეს ჩანს შემდეგი ცნობებიდან. 6 გუბერნიაში — კურსკის, ორიოლის, ტულის, რიაზანის, ტამბოვისა და ვორონეჟის — ხდიდნენ საშუალოდ 1864/65 — 1873/74 წწ. 407 ათას ფუთ კარტოფილს ყოველწლიურად; 1874/75 — 1883 84 წწ. — 7 482 ათას ფუთს; 1884/85 — 1893/94 წწ. — 20 077 ათას ფუთს. მთელი ევროპული რუსეთისათვის შესაბამისი ციფრები ასეთი იქნება: 10 633 ათასი ფუთი, 30 599 ათასი ფუთი და 69 620 ათასი ფუთი. ქარხნების რაოდენობა, რომლებიც სპირტის სახდელად ხმარობდნენ კარტოფილს, აღნიშნულ გუბერნიებში იყო საშუალოდ: 1867/68 — 1875/76 წწ. — 29 წელიწადში; 1876 77 — 1884/85 წწ. — 130; 1885/86 — 1893/94 წწ.— 163. მთელი ევროპული რუსეთისათვის შესაბამისი ციფრებია: 739 — 979 — 1 195 (იხ. «სოფ. მეურნ. სტატ. ცნობები», ნაკვ. VII).

** მაგალითად, ნიჟნი-ნოვგოროდის გუბ. ბალახნის მაზრის ერობის სტატისტიკურ კრებულში გამოანგარიშებულია, რომ ერთი დეს. კარტოფილის დამუშავება მოითხოვს 77,2 სამუშაო დღეს, აქედან მუშა ქალის 59,2 სამუშაო დღეს დასარგავად, მიწის შემოსაყრელად, გასამარგლავად და ამოსათხრელად. მაშასადამე, მოთხოვნილება განსაკუთრებით იზრდება ადგილობრივი გლეხი ქალების დღიურ შრომაზე.

*** 1867 წ. ევროპული რუსეთის სპირტსახდელ ქარხნებში ითვლებოდა 52 660 მუშა («სამხ.-სტატ. კრებული». VII თავში ჩვენ ცხადვყოფთ, რომ ეს წყარო საზოგადოდ დიდად აზვიადებს საფაბრიკო-საქარხნო მუშების რაოდენობას), ხოლო 1890 წ. — 26 102 (ორლოვის «საძიებლის» მიხედ-

მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის მიერ შრომამიგების გამოდევნა ძირხვენა მცენარეთა კულტურის გავრცელებასთან ერთად ზრდიდა მოთხოვნას სოფლის დღიურ მუშებზე.

2) შაქრის ჭარხლის წარმოება

ჭარხლის შაქრად გადამუშავება კიდევ უფრო ძლიერ კონცენტრირებულია მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებში, ვიდრე სპირტის გამოხდა, და შეადგენს, აგრეთვე, მემამულურ (უმთავრესად თავადაზნაურულ) მეურნეობათა საკუთრებას. ამ წარმოების მთავარი რაიონია სამხრეთ-დასავლეთის, შემდეგ სამხრეთის შავხიადაგიანი და შუა შავნიადაგიანი გუბერნიები. ჭარხლით დათესილი მიწის ფართობი 60-იან წლებში უდრიდა დაახლოებით 100 ათას დესეტინას *, 70-იან წლებში — დაახლოებით 160 ათას დეს. **, 1886 — 1895 წწ. — 239 ათას დეს. ***, 1896 — 1898 წწ. — 369 ათას დეს. ****, 1900 წ. — 478 778 დეს., 1901 წ. — 528 076 დეს. («ტორგ.-პრომ. გაზეტა», 1901 წ., № 123), 1905/06 წ. — 483 272 დეს. («ვესტნ. ფინ»., 1906, № 12). მაშასადამე, რეფორმისშემდგომ პერიოდში ნათესების ოდენობა გაზრდილა ხუთჯერ და უფრო მეტად. შეუდარებლად უფრო სწრაფად იზრდე-

ვით). მუშების რიცხვი, რომლებიც საკუთრივ სპირტსახდელ წარმოებაში მუშაობენ, დიდი არ არის, ამასთან ისინი სოფლის მუშებისაგან ნაკლებად განირჩევიან. «სოფლის ქარხნების ყველა მუშები, — ამბობს, მაგალითად, ექ. ჟბანკოვი, — რომელნიც ზაფხულობით ყანების სამუშაოდ მიდიან, რის გამოც ქარხნები მუდმივად არ მოქმედებენ, — მკაფიოდ განსხვავდებიან ფაბრიკის მუდმივი მუშებისაგან: ისინი დადიან გლეხურ ტანისამოსში, ინარჩუნებენ სოფლის ჩვეულებებს და ვერ იძენენ იმ განსაკუთრებულ ელფერს, რომელიც ახასიათებს ფაბრიკის მუშებს» (l. c., II, 121).

* «ფინ-თა სამ-ოს ყოველწლიური», ნაკვ. I. — «სამხ.-სტატ. კრებული». — «ისტ.-სტატ. მიმოხილვა», ტ. II.

** «ისტ.-სტატ. მიმოხილვა», I.

*** «საწარმოო ძალები», I, 41.

**** «ვესტნ. ფინ.», 1897, № 27, და 1898, № 36. ევროპულ რუსეთში, პოლონეთის სამეფოს გამოკლებით, 1896 — 1898 წწ. ითვლებოდა 327 ათასი დეს. ჭარხლით დათესილი მიწა.

ბოდა მოწეული და დამუშავებული ჭარხლის რაოდენობა: საშუალოდ 1860 — 1864 წწ. მთელ იმპერიაში გადამუშავდა 4,1 მილიონი ბერკოვეცი ჭარხალი, 1870 — 1874 წწ. — 9,3 მილიონი, 1875 — 1879 წწ. — 12,8 მილიონი, 1890 — 1894 წწ. — 29,3 მილიონი, 1895/96 — 1897/98 წწ. — 35 მილიონი ბერკოვეცი*. გადამუშავებული ჭარხლის რაოდენობა 60-იანი წლებიდან გაიზარდა 8-ჯერ და უფრო მეტად. მაშასადამე, უდიდესად იმატა ჭარხლის მოსავლიანობამ, ე. ი. შრომის ნაყოფიერებამ მსხვილ, კაპიტალისტურად მოწყობილ, მამულებში**. თესლბრუნვაში ისეთი ძირხვენა. მცენარის შემოღება, როგორიც არის ჭარხალი, განუყრელად დაკავშირებულია მემინდვრეობის უფრო სრულყოფილ სისტემაზე გადასვლასთან, მიწის დამუშავებისა და პირუტყვის კვების გაუმჯობესებასთან და სხვ. «საჭარხლედ მიწის დამუშავება, — ვკითხულობთ «ისტ.-სტატ. მიმოხილვაში» (ტ. I.), — საზოგადოდ საკმარისად რთული და ძნელი საქმე, ჭარხლის ბევრ მეურნეობაში აყვანილია გაუმჯობესების უმაღლეს დონემდე, განსაკუთრებით კი სამხრეთ-დასავლეთის და ვისლისპირა გუბერნიებში. დასამუშავებლად იხმარება სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი, მეტად თუ ნაკლებად გაუმჯობესებული, იარაღები და გუთნები; ცალკე შემთხვევებში კი შემოღებულია ორთქლის ძალით ხვნაც» (გვ. 109).

მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების ეს პროგრესი დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშების, მოჯამაგირეებისა და განსაკუთრებით დღიური მუშების მიმართ მოთხოვნის მეტად მნიშვნელოვან გადიდებასთან, ამასთან ქალებისა და ბავშვების შრომა განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული (შეად. «ისტ.-სტატ. მიმოხილვა», II, 32). მახლობელი გუბერნიების გლეხებს გაუჩნდათ საშოვარზე გასვლის ახალი სახე — «შაქარზე» გასვლა (ibid., 42). ანგარიშობენ,

* ზემოთ დასახელებულ წყაროებს გარდა იხ. «ვესტნ. ფინ.», 1898, № 32.

** საშუალოდ 1890 — 1894 წწ. 285 ათასი დესეტინა ჭარხლის ნათესიდან მთელ იმპერიაში ჭარხნებს ეკუთვნოდა 118 ათასი დეს., პლანტატორებს — 167 ათასი დეს. («საწარმოო ძალები», IX, 44).

რომ ერთი მორგი (=$^2/_3$ დეს.) ჭარხლის სრული დამუშავება მოითხოვს 40 სამუშაო დღეს («ნებით დაქირავებული შრომა», 72). «სოფლის მოსახლეობის მდგომარეობის მასალების კრებული» (მინისტრთა კომიტეტის გამოცემა) ანგარიშობს, რომ 1 დესეტინა ჭარხლის მანქანით დამუშავებისას საჭიროა 12, ხელით დამუშავებისას კი — 25 მამაკაცის სამუშაო დღე, ქალთა და მოზარდთა მუშაობის ჩაუთვლელად (გვ. X — XI). ამნაირად, ჭარხლის ყველა ნათესის დამუშავებას მთელ რუსეთში უნდა დასჭირდეს, ალბათ, არანაკლებ 300 ათასი სოფლელი დღიური მუშა მამაკაცი და ქალი, მაგრამ ჭარხლით დათესილი მიწის ფართობის ზრდის მიხედვით ჯერ კიდევ შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორია დაქირავებული შრომის მოთხოვნა, რადგან ზოგიერთი სამუშაო ნაზღაურდება ბერკოვეცი ჭარხლის კვალობაზე. აი რას ვკითხულობთ, მაგალითად, «რუსეთის შინამრეწველობის ანგარიშებსა და გამოკვლევებში» (სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამოცემა, ტ. II, სპბ. 1894, გვ. 82).

«როგორც ქალაქის, ისე მაზრის» (ლაპარაკია ჩერნიგოვის გუბერნიის ქალაქ კროლევეცზე) «მდედრობითი მოსახლეობა დიდად აფასებს ჭარხლის მინდვრებში მუშაობას; შემოდგომაზე ჭარხლის წმენდაში მათ აძლევენ 10 კაპ. ბერკოვეცზე. ორი ქალი წმენდს დღეში ექვსიდან ათ ბერკოვეცამდე, მაგრამ ზოგიერთი გარიგებით ღებულობს ქირას ზრდის დროს მოვლაში — მარგვლასა და მიწის შემოყრაში; მაშინ მთელ მოვლაში — ამოთხრით და გაწმენდით — იღებენ 25 კაპ. ბერკოვეც გაწმენდილ ჭარხალზე». მუშების მდგომარეობა ჭარხლის პლანტაციებში უაღრესად მძიმეა. მაგალითად, «ხარკოვის გუბერნიის საექიმო ქრონიკა» (1899, სექტ., ციტ. «რუს. ვედ»-დან, 1899, № 254) აღნიშნავს «მთელ რიგ მეტად სამწუხარო ფაქტებს ჭარხლის პლანტაციებში მომუშავეთა მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, ერობის ექიმი პოდოლსკი ახტირის მაზრის სოფ. კოტელვიდან წერს: «შემოდგომაზე ტიფის გავრცელების დაწყება ჩვეულებრივად შემჩნეულია იმ ახალგაზრდათა შორის, რომელნიც შეძლებული გლეხების ჭარხლის პლანტაციებში

მ უ შ ა ო ბ ე ნ. მუშების დასასვენებლად და ღამის გასათევად განკუთვნილი ფარდულები ძალიან ბინძურად აქვთ შენახული ასეთ პლანტატორებს; ჩალა, რომელზეც სძინავთ, სამუშაოს გათავებისას პირდაპირ ნეხვად არის ქცეული, რადგან არასოდეს არ იცვლება: აი სწორედ აქ ჩნდება გადამდები სენის ბუდე. იყო შემთხვევები, როცა ერთი და იგივე პლანტაციიდან ერთად მოუყვანიათ ტიფით დაავადებული 4 — 5 კაცი». ამავე ექიმის აზრით, «სიფილისიანების უმთავრესი კონტინგენტი მოდის ჭარხლის პლანტაციებიდან». ბ-ნი ფეინბერგი სავსებით სამართლიანად შენიშნავს: «პლანტაციებში მუშაობა თავისი მავნე გავლენით მუშებზე და გარეშემო მოსახლეობაზე არ ჩამოუვარდება ფაბრიკაში მუშაობას; პლანტაციებში მუშაობა განსაკუთრებით დამღუპველია იმიტომ, რომ მას ეწევიან ქალთა და მოზარდთა მასები, და რომ აქ მუშები მოკლებული არიან საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ ელემენტარულ დაცვასაც კი». ამის გამო ავტორი სავსებით უერთდება ექიმ რომანენკოს აზრს, რომელიც მან გამოსთქვა ხარკოვის გუბერნიის ექიმთა VII ყრილობაზე, რომ «ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო დადგენილებათა გამოცემის დროს საჭიროა აგრეთვე მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ო ბ ა ი ქ ნ ა ს გ ა მ ო ჩ ე ნ ი ლ ი ჭ ა რ ხ ლ ი ს პ ლ ა ნ ტ ა ც ი ე ბ ი ს მ უ შ ა თ ა მ ი მ ა რ თ. ეს მუშები მოკლებული არიან საშუალებას დაიკმაყოფილონ უპირველესი საჭიროებანი, მთელი თვეობით ცის ქვეშ ცხოვრობენ, სჭამენ საერთო ქვაბიდან».

ამნაირად, ჭარხლის წარმოების ზრდა დიდად აძლიერებდა სოფლის მუშახელის მოთხოვნას და აქცევდა გარეშემო გლეხობას სოფლის პროლეტარიატად. სოფლის მუშების რიცხვის ზრდა მხოლოდ უმნიშვნელოდ კლებულობდა საკუთრივ ჭარხლის შაქრის წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რაოდენობის ცოტაოდენი შემცირებით *.

* 1867 წ. ევროპულ რუსეთში ჭარხლის შაქრის და რაფინადის ქარხნებში ითვლებოდა 80 919 მუშა («ფინ. სამინისტროს ყოველწლიური», I. «სამხედრო-სტატ. კრებულმა» აქაც გააზვიადა ეს რიცხვი 92 ათასამდე, ალბათ, ორჯერ დაითვალა ერთი და იგივე მუშები). 1890 წ. შესაბამისი რიცხვი იყო 77 875 მუშა (ორლოვის «საძიებელი»).

3) კარტოფილის სახამებლის წარმოება

ტექნიკურ წარმოებათაგან, რაც მხოლოდ მემამულური მეურნეობისათვის არის ხელმისაწვდომი, გადავდივართ ისეთ წარმოებებზე, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად მისაწვდომია გლეხობისათვის. უწინარეს ყოვლისა აქ უნდა აღვნიშნოთ კარტოფილის (და რამდენადმე ხორბლისა და სხვა პურეულის) გადამუშავება სახამებლად და ბადაგად. სახამებლის წარმოება განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა რეფორმისშემდგომ ეპოქაში საფეიქრო მრეწველობის დიდი ზრდის გამო, რაც ჰქმნიდა სახამებლის მოთხოვნილებას. ამ წარმოების გავრცელების რაიონი არის უმთავრესად არაშავნიადაგიანი, სამრეწველო, რამდენადმე ჩრდილო შავნიადაგიანი გუბერნიები. «ისტ.-სტატ. მიმოხილვა» (ტ. II) სთვლის, რომ 60-იანი წლების შუახანებში იყო დაახლოებით 60-მდე ქარხანა, 270 ათასი მანეთის წარმოების თანხით, 1880 წელს კი — 224 ქარხანა, 1 317 ათასი მან. წარმოების თანხით. 1890 წელს «ფაბრიკა-ქარხნების საძიებელი» ანგარიშობდა 192 ქარხანას 3 418 მუშით და 1 760 ათასი მან. წარმოების თანხით *. სახამებლის წარმოება

* ჩვენ ვიღებთ «ისტ.-სტატ. მიმოხილვის» ცნობებს, რომლებიც უფრო ერთგვარი და უფრო შესადარია. «ფინანსთა სამინისტროს უწყების ცნობებისა და მასალების კრებული» (1866, № 4, აპრილი), ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის ოფიციალური ცნობების მიხედვით, სთვლიდა, რომ 1864 წელს რუსეთში იყო 55 სახამებლის ქარხანა და მათი წარმოების თანხა უდრიდა 231 ათას მანეთს. «სამხ.-სტატ. კრებული» სთვლის, რომ 1866 წელს იყო 198 ქარხანა და წარმოების თანხა უდრიდა 563 ათას მანეთს, მაგრამ, უეჭველია, ამაში შეტანილია წვრილი დაწესებულებანი, რომელნიც ახლა არ მიეკუთვნებიან ფაბრიკებს. საზოგადოდ ამ წარმოების სტატისტიკა ძალიან არადამაკმაყოფილებელია: წვრილი ქარხნები ხან ჩათვლილია და ხან (უფრო ხშირად) არა. მაგალითად, იაროსლავლის გუბერნიაში ორლოვის «საძიებელი» სთვლიდა 1890 წ. 25 ქარხანას (1894/95 წ. «სია»—20), ხოლო «იაროსლავლის გუბერნიის მიმოხილვის» მიხედვით (ნაკვ. II, 1896) მარტო როსტოვის მაზრაში იყო კარტოფილის ბადაგის 810 ქარხანა. ამიტომ ტექსტში მოყვანილ ციფრებს შეუძლიათ დაახასიათონ მხოლოდ მოვლენის დინამიკა და არა წარმოების ნამდვილი განვითარება.

«უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში გაიზარდა $4^1/_2$-ჯერ ქარხნების რაოდენობის მიხედვით, — ნათქვამია «ისტ.-სტატ. მიმოხილვაში», — და $10^3/_4$-ჯერ — ნაწარმოები პროდუქტის ჯამის მიხედვით. მაინც, ეს ნაყოფიერება სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს სახამებელზე არსებულ მოთხოვნილებას» (გვ. 116), რასაც მოწმობს საზღვარგარეთიდან სახამებლის შემოტანის ზრდა. საგუბერნიო ცნობების ანალიზის შემდეგ, «ისტ.-სტატ. მიმოხილვა» იმ დასკვნამდე მიდის, რომ კარტოფილის სახამებლის წარმოებას ჩვენში (წინაალმდეგ ხორბლის სახამებლის წარმოებისა) სასოფლო-სამეურნეო ხასიათი აქვს, რადგან ის თავმოყრილია გლეხებისა და მემამულეების ხელში. «მას დიდი განვითარება მოელის» მომავალში, «და ახლაც კარგი სარგებლობა მოაქვს ჩვენი სოფლის მოსახლეობისათვის» (126).

ჩვენ ახლავე დავინახავთ, თუ ვის ხვდება ეს სარგებლობა. მაგრამ ჯერ შევნიშნავთ, რომ სახამებლის წარმოების განვითარებაში საჭიროა გავარჩიოთ ორი პროცესი: ერთი მხრით, ახალი პატარა ქარხნების გაჩენა და გლეხური წარმოების ზრდა, მეორე მხრით, წარმოების კონცენტრაცია მსხვილ, ორთქლით მომუშავე ქარხნებში. მაგ., 1890 წ. იყო 77 ორთქლის ქარხანა, სადაც თავმოყრილი იყო მუშების მთელი რაოდენობის 52% და წარმოების თანხის 60%. ამ ქარხნებიდან მხოლოდ 11 არის დაარსებული 1870 წლამდე, 17 დაარსებულია 70-იან წლებში, 45 — 80-იან წლებში და 2 — 1890 წელს (ბ-ნ ორლოვის «საძიებელი»).

სახამებლის გლეხური წარმოების ეკონომიკის გასაცნობად მივმართოთ ადგილობრივ გამოკვლევებს. 1880/81 წ. მოსკოვის გუბერნიაში სახამებლის წარმოება მოიცავდა 4 მაზრის 43 სოფელს*. ქარხნების რიცხვს ანგარიშობდნენ 130-ს, რომლებშიც ითვლებოდა 780 მუშა; წარმოების ღირებულება შეადგენდა არანაკლებ 137 ათას მანეთს. სარეწი უმთავრესად რეფორმის შემდეგ გავრცელდა, ამასთან მისი

* «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VII, ნაკვ. 1, მ. 1882.

ტექნიკა თანდათან ვითარდებოდა, იქმნებოდა უფრო მსხვილი დაწესებულებანი, რომელნიც მოითხოვდნენ დიდძალ ძირითად კაპიტალს და განირჩეოდნენ შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერებით. ხელით საფხეკი შეიცვალა უფრო გაუმჯობესებული იარაღით, შემდეგ გაჩნდა ცხენის ძალით მომუშავე ამძრავი და, ბოლოს, შემოღებულ იქნა დ ო ლ უ რ ა — აპარატი, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და გააიაფა წარმოება. აი ჩვენ მიერ დამუშავებული ცნობები «შინამრეწველთა» კომლობრივი აღწერისა მათი საწარმოების სიდიდის მიხედვით:

საწარმოთა თანრიგი*	საწარმოთა რიცხვი	მუშების რიცხვი			მუშების რიცხვი 1 საწარმოში			საშუშაო კვირების საშუალო რიცხვი	წარმოების თანხა მანეთობით		
		ოჯახიანი	დაქირავებული	ს ე ნ	ოჯახიანი	დაქირავებული	ს ე ნ		ს ე ნ	1 საწარმოზე	1 მუშაზე 4 კვირაში
წვრილი	15	30	45	75	2	3	5	5,3	12 636	842	126
საშუალო	42	96	165	261	2,2	4	6,2	5,5	55 890	1 331	156
მსხვილი	11	26	67	93	2,4	6	8,4	6,4	61 282	5 571	416
ს უ ლ	68	152	277	429	2,2	4,1	6,3	5,5	129 808	1 908	341

ამნაირად, ჩვენ აქ ვხედავთ წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებს, რომლებშიც, წარმოების გაფართოების კვალობაზე, მატულობს დაქირავებული შრომის გამოყენება და იზრდება შრომის ნაყოფიერება. ეს საწარმონი მნიშვნელოვან მო-

* იხ. V თავის დამატება, სარეწი № 24.

გებას აძლევენ გლეხურ ბურჟუაზიას და აუმჯობესებენ მიწათმოქმედების ტექნიკასაც. მაგრამ ამ პატარ-პატარა ქარხნებში მუშების მდგომარეობა მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელია მუშაობის ანტიჰიგიენური პირობებისა და სამუშაო დღის სიდიდის გამო *.

იმ გლეხების მიწათმოქმედება, რომლებსაც «საფხეკი» საწარმოები აქვთ, მეტად ხელსაყრელ პირობებშია. კარტოფილის თესვა (სანადელო და უმთავრესად კი იჯარით აღებულ მიწაზე) გაცილებით უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე ჭვავისა და შვრიის თესვა. თავისი მეურნეობის გასაფართოებლად მექარხნეები ძალიან ეტანებიან ღარიბი გლეხობის ნადელებს. მაგალითად, სოფელ ციბინოში (ბრონიცკის მაზრა) სახამებლის 18 მექარხნე (105 მეპატრონიდან, რომელნიც ამ სოფელში ცხოვრობენ) იჯარით იღებს საშოვარზე გასული, აგრეთვე უცხენო გლეხების ნადელებს, და ამნაირად თავის 61 ნადელს უმატებს კიდევ იჯარით აღებულ 133 ნადელს; მათ ხელში თავმოყრილია სულ 194 ნადელი, ე. ი. ამ სოფლის ნადელების მთელი რაოდენობის 44,5%. «სავსებით ამგვარსავე მოვლენებს ვხვდებით სხვა სოფლებშიც, — ვკითხულობთ კრებულში, — სადაც კი მეტად თუ ნაკლებად განვითარებულია სახამებელ-ბადაგის წარმოება» (l. c., 42).**. სახამებლის მექარხნეებს ორჯერ უფრო მეტი პირუტყვი ჰყავთ, ვიდრე დანარჩენ გლეხებს: საშუალოდ 1 კომლზე მოდის 3,5 ცხენი და 3,4 ძროხა, დანარჩენ ადგილობრივ გლეხებს კი საერთოდ — 1,5 ცხენი და 1,7 ძროხა. 68 მექარხნიდან (რომელნიც მოჰყვნენ კომლობრივ აღწერაში) 10-ს აქვს ნაყიდი მიწა, 22-ს — ნადელგარეშე იჯარით აღებული და 23-ს — სანადელო.

---

* L. c., გვ. 32. სამუშაო დღე გლეხთა ამ პატარა ქარხნებში უდრის 13 — 14 საათს, მრეწველობის ამავე დარგის მსხვილ ქარხნებში კი (დემენტიევის ცნობით) — უმეტეს ნაწილად 12 საათს [86].

** შეადარეთ ამას ვ. ორლოვის საერთო აზრი მთელი მოსკოვის გუბერნიის შესახებ (კრებული, ტ. IV, ნაკვ. 1, გვ. 14): შეძლებული გლეხები ხშირად იღებენ იჯარით ღარიბთა ნადელებს და, ამგვარად, მათ ხელში ზოგჯერ თავს იყრის იჯარით აღებული 5 — 10 ნადელი.

ერთი სიტყვით, ესენი სოფლის ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენლები არიან.

სრულიად ანალოგიურ ურთიერთობას წარმოადგენს სახამებლის წარმოება ვლადიმირის გუბერნიის იურიევის მაზრაში (ვ. პრუგავინი, l. c., გვ. 104 და შემდ.). მექარხნეები წარმოებას აქაც უმთავრესად დაქირავებული შრომის საშუალებით ეწევიან (30 ქარხანაში 128 მუშიდან 86 დაქირავებულია); მექარხნეები აქაც გაცილებით უფრო მაღლა დგანან მასაზე თავისი მესაქონლეობით და მიწათმოქმედებით, ამასთან კარტოფილის დოლაბს ისინი ხმარობენ პირუტყვის საკვებად. გლეხებში ჩნდებიან ნამდვილი ფერმერებიც კი. ბ-ნი პრუგავინი აღწერს ერთი გლეხის მეურნეობას, რომელსაც აქვს სახამებლის ქარხანა (ღირებული $1^1/_2$ ათასამდე მან.) და ჰყავს 12 დაქირავებული მუშა. კარტოფილი მას თვითონ მოჰყავს თავის მეურნეობაში, რომელიც გაფართოებულია იჯარის საშუალებით. თესლბრუნვა შვიდმინდვრიანია; თესავს სამყურას. მიწის დასამუშავებლად ჰყავს 7 — 8 მუშა, რომლებსაც ქირაობს გაზაფხულიდან შემოდგომამდე («კონცევიე»-ბი). დოლაბი იხმარება პირუტყვის საკვებად, ხოლო ნარეცხი წყალი მეპატრონეს განზრახული აქვს გამოიყენოს ყანების მოსარწყავად.

ბ-ნი ვ. პრუგავინი ირწმუნება, რომ ეს ქარხანა «სრულიად განსაკუთრებულ პირობებში» იმყოფება. რასაკვირველია, ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოფლის ბურჟუაზია ყოველთვის სოფლის მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობა იქნება, და ამ მხრივ ის, თუ გნებავთ, «განსაკუთრებული» რამ არის. მაგრამ ამ სახელწოდებით არ მოისპობა ის ფაქტი, რომ სახამებლის წარმოების რაიონშიც და სავაჭრო მიწათმოქმედების ყველა სხვა რაიონში რუსეთში ჩნდება კლასი სოფლის მეწარმეთა, რომლებიც აწყობენ კაპიტალისტურ მიწათმოქმედებას *.

* როგორც კურიოზს, აღვნიშნავთ, რომ ბ-ნი პრუგავინიც (l. c., 107), მოსკოვის სარეწის აღწერის ავტორიც (l. c., 45) და ბ-ნი ვ. ვ.-ც («შინამრეწველობის ნარკვევები», 127) «არტელურ საწყისს» (ანუ «პრინციპს») იმაში ხედავენ, რომ ზოგიერთი საფხეკი საწარმო ეკუთვნის რამდენიმე

4) ზეთსახდელი წარმოება

სელის, კანაფის, მზესუმზირას და სხვ. ზეთის გამოხდა აგრეთვე არაიშვიათად წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ წარმოებას. რეფორმისშემდგომ ეპოქაში ზეთის წარმოების განვითარების შესახებ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმის მიხედვით, რომ 1864 წელს ზეთის წარმოების თანხა განისაზღვრებოდა 1 619 ათასი მან., 1879 წ. — 6 486 ათასი მან. და 1890 წ. — 12 232 ათასი მან*. ამ წარმოებაშიც ხდება განვითარების ორგვარი პროცესი: ერთი მხრით, სოფლად ჩნდება გლეხთა პატარა ზეთსახდელები (ხანდახან ისინი ეკუთვნიან მემამულეებსაც), რომლებიც ამზადებენ პროდუქტს გასაყიდად. მეორე მხრით, ვითარდება ორთქლით მომუშავე მსხვილი ქარხნები, რომლებიც თავს უყრიან წარმოებას და ნიადაგს აცლიან წვრილ საწარმოებს**. ჩვენ აქ გვაინტერე-

---

პატრონს. ჩვენმა გამჭრიახმა ნაროდნიკებმა შესძლეს შეემჩნიათ განსაკუთრებული «საწყისი» სოფლის მეწარმეთა ამხანაგობაში და ვერ შეამჩნიეს ვერავითარი ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური «საწყისი» თვით სოფლის მეწარმეთა კლასის არსებობასა და განვითარებაში.

* «ფინანსთა სამინისტროს უწყების ცნობებისა და მასალების კრებული», 1866, № 4. ორლოვის «საძიებელი», 1-ლი და მე-3 გამოცემა. ჩვენ არ მოგვყავს ცნობები ქარხნების რაოდენობის შესახებ, იმიტომ რომ ჩვენი საქარხნო-საფაბრიკო სტატისტიკა ერთმანეთში ურევს წვრილ სასოფლო-სამეურნეო და მსხვილ სამრეწველო ზეთსახდელებს, ხან ითვლის პირველებს და ხან არ ითვლის სხვადასხვა გუბერნიაში და სხვადასხვა დროს. 1860-იან წლებში, მაგალითად, «ქარხნებს» მიეკუთვნებოდა მრავალი წვრილი ზეთსახდელი.

** მაგალითად, 1890 წელს 383 ქარხანას ჰქონდა წარმოების თანხა 12 232 ათასი მანეთი, აქედან 11 ქარხანას ეკუთვნოდა 7 170 ათასი მანეთი. სოფლის მეწარმეებზე ინდუსტრიულ მეწარმეთა ეს გამარჯვება ღრმა უკმაყოფილებას იწვევს ჩვენს აგრარიებში (მაგ., ბ-ნი ს. კოროლენკო, l. c.) და ჩვენს ნაროდნიკებში (მაგ., ბ-ნი ნ. —ონი, «ნარკვევები», გვ. 241 — 242). ჩვენ არ ვიზიარებთ მათ აზრს. მსხვილი ქარხნები აამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას და განასაზოგადოებენ წარმოებას. ეს ერთი მხრით. მეორე მხრით კი, მსხვილ ქარხნებში მუშათა მდგომარეობა, ალბათ, უკეთესი იქნება, არა მარტო მატერიალურად, ვიდრე წვრილ სასოფლო-სამეურნეო ზეთსახდელებში.

სებს მხოლოდ ზეთოვანი მცენარეების სასოფლო-სამეურნეო გადამუშავება. «ისტ.-სტატ. მიმოხილვაში» (ტ. II) ვკითხულობთ: «კანაფის ზეთსახდელების პატრონები ეკუთვნიან გლეხობის შეძლებულ წარმომადგენლებს», განსაკუთრებით იმიტომ აფასებენ ისინი ზეთის წარმოებას, რომ ის მათ აძლევს მშვენიერ საკვებს პირუტყვისათვის (გამონაწურს). ბ-ნი პრუგავინი (l. c.) აღნიშნავს ვლადიმირის გუბერნიის იურიევის მაზრაში «სელის თესლიდან ზეთის გამოხდის ფართო განვითარებას» და ადასტურებს, რომ მისგან გლეხებს «არა მცირედი მოგება აქვთ» (გვ. 65—66), რომ ზეთსახდელი ქარხნების მეპატრონე გლეხების სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე გლეხობის მასისა, ამასთან ზოგიერთი ზეთისმხდელი ქირაობს აგრეთვე სოფლის მუშებს (l. c., ცხრილები, გვ. 26—27, 146—147). პერმის გუბერნიის შინამრეწველობის 1894/95 წ. აღწერამ სწორედ ამნაირადვე გვიჩვენა, რომ შინამრეწველ ზეთისმხდელთა სოფლის მეურნეობა გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე დანარჩენი მასისა (უფრო მეტი ნათესი, გაცილებით მეტი პირუტყვი, უკეთესი მოსავალი და სხვ.), და რომ მიწათმოქმედების ამ გაუმჯობესებას თან სდევს სოფლის მუშების დაქირავება*. ვორონეჟის გუბერნიაში რეფორმისშემდგომ ეპოქაში განსაკუთრებით გავრცელდა მზესუმზირას თესვა ს ა ვ ა ჭ რ ო მიზნით, რომლის გადამუშავებას ზეთად ახდენდნენ ადგილობრივ ზეთსახდელებში. 70-იან წლებში რუსეთში მზესუმზირა დათესილი იყო დაახლოებით 80 ათას დესეტინაზე («ისტ.-სტატ. მიმოხილვა», I), 80-იან წლებში — დაახლოებით 136 ათასი დეს., რომელთაგან $^2/_3$ გლეხებს ეკუთვნოდა; «თუმცა მას შემდეგ, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ამ მცენარით დათესილი ფართობი შესამჩნევად გაიზარდა ალაგ-ალაგ 100 და მეტი პროცენტით» («საწარმოო ძალები», I, 37). «მარტო ერთ სოფ. ალექსეევკაში» (ვორონეჟის გუბერ-

* ვ. ი ლ ი ნ ი. «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები». სპბ. 1899, გვ. 139—140 (იხ. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 475—477. რ ე დ.).

ნიის ბირიუჩენსკის მაზრა), ეკითხულობთ «ისტ.-სტატ. მიმოხილვაში», ნაწ. II, — «ითვლება 40-ზე მეტი ზეთსახდელი, და თვით ალექსეევკა მხოლოდ მზ სუმზირას მეოხებით გამდიდრდა და გადაიქცა ღარიბი სოფლიდან მდიდარ სოფლად, სადაც წამოჭიმულა თუნუქით დახურული სახლები და დუქნები» (გვ. 41). თუ როგორ დაეტყო გლეხური ბურჟუაზიის ეს სიმდიდრე გლეხობის მასას, ეს იქიდან ჩანს, რომ 1890 წელს სოფ. ალექსეევკის 2 273 მიწერილი ოჯახიდან (ორივე სქესის 13 386 სული) 1 761-ს არა ჰყავდა მუშა პირუტყვი, 1 699-ს არა ჰქონდა ინვენტარი, 1 480 არ ამუშავებდა მიწას, და მხოლოდ 33 ოჯახი არ მისდევდა რეწვას *.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ გლეხთა ზეთსახდელები საერობო კომლობრივი აღწერებით ჩვეულებრივად ითვლებიან იმ «სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა» რიცხვში, რომელთა განაწილებისა და როლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი II თავში.

5) მ ე თ ა მ ბ ა ქ ო ო ბ ა

დასასრულ მოვიყვანთ მოკლე ცნობებს მეთამბაქოობის განვითარების შესახებ. 1863 — 1867 წლების მანძილზე რუსეთში 32 161 დესეტინაზე საშუალოდ იღებდნენ 1 923 ათას ფუთს; 1872 — 1878 წწ. 46 425 დესეტინაზე — 2 783 ათას ფუთს; 80-იან წლებში 50 ათას დესეტინაზე — 4 მილიონ ფუთს**

---

* «ვორონეჟის გუბ. ბირიუჩენსკის მაზრის სტატ. ცნობების კრებული». — სამრეწველო დაწესებულება სოფელში დათვლილია 153. ბ-ნ ორლოვის «საძიებლის» მიხედვით 1890 წ. აქ იყო 6 ზეთსახდელი ქარხანა 34 მუშით და 17 ათასი მან. წარმოების თანხით, «ფაბრიკა-ქარხნების სიის» მიხედვით კი 1894/95 წ. იყო 8 ქარხანა 60 მუშით და 151 ათასი მან. წარმოების თანხით.

** «ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული», I. — «ისტ.-სტატ. მიმოხილვა», ტ. I. — «საწარმოო ძალები», IX, 62. თამბაქოს ნათესი ფართობი წლების მიხედვით ძალიან ირყევა: მაგ., 1889 — 1894 წწ.

იმავე პერიოდებში პლანტაციების რიცხვი ითვლებოდა 75 — 95 —650 ათასი, რაც, როგორც ეტყობა, მოწმობს წვრილ მიწათმოქმედთა რაოდენობის მეტად მნიშვნელოვან ზრდას, რომელნიც ჩაბმულნი იყვნენ ამ სახის სავაჭრო მიწათმოქმედებაში. თამბაქოს დამუშავება მუშების მნიშვნელოვან რაოდენობას მოითხოვს. ამიტომ არის, რომ სამიწათმოქმედო სამუშაოებზე გასვლის ერთ-ერთ სახედ ითვლება თამბაქოს პლანტაციებზე გასვლა (მეტადრე სამხრეთ განაპირა გუბერნიებში, სადაც ამ ბოლო დროს თამბაქოს კულტურა განსაკუთრებით სწრაფად ფართოვდებოდა). ლიტერატურაში უკვე აღნიშნული იყო, რომ თამბაქოს პლანტაციებში მუშების მდგომარეობა მეტისმეტად მძიმეა*.

მეთამბაქოობის, როგორც სავაჭრო მიწათმოქმედების დარგის, საკითხზე ჩვენ მოგვეპოვება მეტად დაწვრილებითი და საინტერესო ცნობები «რუსეთის მეთამბაქოობის მიმოხილვაში» (ნაკვ. II და III. სპბ. 1894, დაბეჭდილია მიწათმოქმედების დეპარტამენტის განკარგულებით). ბ-ნ ვ. ს. შჩერბაჩევს მალოროსიის მეთამბაქოობის აღწერის დროს მოჰყავს ზედმიწევნით ზუსტი ცნობები პოლტავის გუბერნიის სამი მაზრის (პრილუკის, ლოხვიცკისა და რომენსკის) შესახებ. ეს ცნობები, ავტორის მიერ შეკრებილი და პოლტავის გუბერნიის ერობის გამგეობის სტატისტ. ბიუროს მიერ დამუშავებული, მოიცავს სამივე მაზრაში თამბაქოს მთესველ 25 089 გლეხურ მეურნეობას, სადაც თამბაქო დათესილია 6 844 დესეტინაზე და პურეული — 146 774 დეს. ამ მეურნეობათა განაწილება ასეთია:

საშუალოდ დათესილი იყო 47 813 დეს. (4 180 ათასი ფუთი მოსავალი), 1892 — 1894 წწ. კი — 52 516 დეს., 4 878 ათასი ფუთი მოსავლით. იხ. «რუსეთის ცნობების კრებული». 1896, გვ. 208 — 209.

* ბ ე ლ ო ბ ო რ ო დ ო ვ ი, ზემოთ ციტირებული სტატია «სევ. ვესტნიკში», 1896, № 2. «რუს. ვედომ.», 1897 წ., № 127 (10 მაისი): ყირიმში თამბაქოს პლანტაციის პატრონის წინააღმდეგ 20 მუშა ქალის საჩივრის «სასამართლოში გარჩევამ ცხადჰყო აუარებელი ფაქტები, რომლებიც გვიხატავენ პლანტაციებში მომუშავე მუშების ყოვლად აუტანელ მდგომარეობას».

პოლტავის გუბ. სამი მაზრა (1888 წ.)

მეურნეობათა ჯგუფები პურეულის ნათესი ფართობის მიხედვით	მეურნეობათა რიცხვი	დათესილია დესეტინობით	
		თამბაქო	პურეული
1 დეს. ნაკლები	2 231	374	448
1—3 დესეტინამდე	7 668	895	13 974
3—6 »	8 856	1 482	34 967
6—9 »	3 319	854	22 820
9-ზე მეტი	3 015	3 239	74 565
სულ	25 089	6 844	146 774

ჩვენ ვხედავთ როგორც თამბაქოს, ისე პურეულის ნათესების უზარმაზარ კონცენტრაციას კაპიტალისტურ მეურნეობათა ხელში. მეურნეობათა ერთ მერვედზე ნაკლებს (3 ათასი 25 ათასიდან) უჭირავს მთელი პურეული ნათესის ნახევარზე მეტი (74 ათასი 147 ათასიდან); თითო მათგანზე საშუალოდ მოდის 25 დესეტინა. რაც შეეხება თამბაქოს ნათესებს, მათ ხელშია თამბაქოს პლანტაციების თითქმის ნახევარი (3,2 ათასი დესეტინა 6,8 ათასიდან), ამასთან თითო მეურნეობაზე მოდის 1 დესეტინაზე მეტი თამბაქოს ნათესი, მაშინ როცა ყველა დანარჩენ ჯგუფში თამბაქოს ნათესი არ აღემატება ერთ — ორ მეათედ დესეტინას კომლზე.

გარდა ამისა, ბ-ნი შჩერბაჩევი იძლევა ცნობებს თამბაქოს ნათესების ოდენობის მიხედვით იმავე მეურნეობათა დაჯგუფების შესახებ:

თამბაქოს პლანტაციების ჯგუფები	პლანტაციების რიცხვი		თამბაქოს ნათესი, დესეტინობით	
0,01 დეს. და ნაკლები	2 919		30	
0,01-დან 0,10 დეს.-დე	9 078		492	
0,10 » 0,25 »	5 989		931	
0,25 » 0,50 »	4 330		1 246	
0,50 » 1,00 »	1 834	2 773	1 065	4 145
1,00 » 2,00 »	615		720	
2,00 დეს. და მეტი	324		2 360	
სულ	25 089		6 844	

აქედან ცხადია, რომ თამბაქოს ნათესის კონცენტრაცია გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე პურეულის ნათესის კონცენტრაცია. სპეციალური სავაჭრო მიწათმოქმედების დარგი აღნიშნულ რაიონში უფრო თავმოყრილია კაპიტალისტების ხელში, ვიდრე მიწათმოქმედება საზოგადოდ. 25 ათასი მეურნეობიდან 2 773 მეურნეობის ხელშია 4 145 დესეტინა თამბაქოს ნათესი 6 844 დესეტინიდან, ე. ი. სამ მეხუთედზე მეტი. 324 უმსხვილეს მეთამბაქოეს (მეთამბაქოეთა საერთო რიცხვის ერთ მეათედზე ცოტა მეტს) აქვს 2 360 დეს. თამბაქოს ნათესი, ე. ი. საერთო რიცხვის ერთ მესამედზე მეტი. საშუალოდ თითო მეურნეობაზე მოდის 7 დესეტინაზე მეტი თამბაქოს ნათესი. იმის გამოსარკვევად, თუ რა ტიპის უნდა იყოს ეს მეურნეობა, გავიხსენოთ, რომ თამბაქოს კულტურას სჭირდება ძალიან ბევრი მუშახელი. ავტორი ანგარიშობს, რომ 1 დესეტინას, თამბაქოს ჯიშის მიხედვით, სჭირდება არანაკლებ ორი მუშა ზაფხულის 4-დან 8 თვემდე.

მაშასადამე, შვიდი დესეტინა თამბაქოს ნათესის პატრონს უნდა ჰყავდეს არანაკლებ 14 მუშა, ე. ი. ის უეჭველად დაქირავებულ შრომაზე უნდა აგებდეს თავის მეურნეობას. ზოგიერთი ჯიშის თამბაქო მოითხოვს 1 დესეტინაზე არა ორ, არამედ სამ ვადიან მუშას და, გარდა ამისა, დღიური მუშების დამატებითს მუშაობას. ერთი სიტყვით, ჩვენ სავსებით ნათლად ვხედავთ, რომ, რაც უფრო მეტად იღებს სავაჭრო ხასიათს მიწათმოქმედება, მით უფრო განვითარებულია მისი კაპიტალისტური ორგანიზაცია.

მეთამბაქოეთა შორის წვრილ და უწვრილეს მეურნეობათა სიჭარბე (25 089 მეურნეობიდან 11 997-ს დათესილი აქვს ერთ მეათედ დესეტინამდე) სრულებით ვერ უარჰყოფს სავაჭრო მიწათმოქმედების ამ დარგის კაპიტალისტურ ორგანიზაციას, რადგან ამ უწვრილეს მეურნეობათა მასის ხელში არის წარმოების სრულიად უმნიშვნელო ნაწილი (11 997 მეურნეობას, ე. ი. მეურნეობათა მთელი რაოდენობის თითქმის ნახევარს, ეკუთვნის სულ 522 დესეტინა 6 844 დესეტინიდან, ე. ი.

ერთ მეათედზე ნაკლები). ასევე «საშუალო» ციფრებიც, რომლებითაც ასე ხშირად კმაყოფილდებიან, არ იძლევიან წარმოდგენას საქმის მდგომარეობაზე (საშუალოდ, 1 მეურნეობაზე მოდის $^1/_4$ დესეტინაზე ცოტა მეტი თამბაქოს ნათესი).

ცალკეულ მაზრებში კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარება და წარმოების კონცენტრაცია კიდევ უფრო ძლიერია. მაგ., ლოხვიცკის მაზრაში 229 მეურნეობას 5 957-დან აქვს ოც-ოცი და მეტი დესეტინა პურეული ნათესი. ამ მეურნეთ აქვთ 22 799 დესეტინა პურეული ნათესი 44 751 დესეტინიდან, ე. ი. ნახევარზე მეტი. თვითეულ მეურნეს აქვს თითქმის 100 დესეტინა ნათესი. 2 003 დეს. თამბაქოს ნათესიდან მათ ხელშია 1 126 დესეტინა. ხოლო თუ ავიღებთ დაჯგუფებას თამბაქოს ნათესის ოდენობის მიხედვით, ამ მაზრაში 5 957-დან მივიღებთ 132 მეურნეს, რომელთაც აქვთ ორ-ორი და მეტი დესეტინა თამბაქოს ნათესი. ამ 132 მეურნეს აქვს 1 441 დესეტინა თამბაქოს ნათესი 2 003 დესეტინიდან, ე. ი. 72%, ათ-ათ დესეტინაზე მეტი თითო მეურნეობას. იმავე ლოხვიცკის მაზრაში მეორე პოლუსზე ვხედავთ 4 360 მეურნეობას (5 957-დან), რომელთაც მოეპოვებათ $^1/_{10}$ დესეტინამდე თამბაქოს ნათესი, სულ კი 133 დეს. 2 003 დესეტინიდან, ე. ი. 6%.

თავისთავად ცხადია, რომ აქ წარმოების კაპიტალისტურ ორგანიზაციას თან სდევს უძლიერესი განვითარება საავაჭრო კაპიტალისა და წარმოების სფეროს გარეშე ყოველნაირი ექსპლოატაციისა. წვრილ მეთამბაქოებს არა აქვთ თამბაქოს საშრობი ფარდულები, არა აქვთ პროდუქტის ფერმენტაციის (დადუღების) შესაძლებლობა, აგრეთვე იმის საშუალება, რომ თამბაქო (3—6 კვირის შემდეგ) გამზადებული გაყიდონ. ისინი მას გაუმზადებელს ნახევარფასად აძლევენ შემყიდველებს, რომლებიც ხშირად თვითონ თესავენ თამბაქოს იჯარით აღებულ მიწაზე. შემყიდველები «ყოველნაირად ავიწროებენ წვრილ პლანტატორებს» (ციტირ. გამოცემის 31 გვ.). სავაჭრო მიწათმოქმედება — სავაჭრო კაპი-

ტალისტური წარმოება, ეს თანაფარდობა შეიძლება ნათლად გავითვალისწინოთ (თუკი უნარი გვაქვს კვლევის სწორი წესი ავირჩიოთ) სოფლის მეურნეობის ამ დარგშიაც.

VIII. სამრეწველო მეგოსტნეობა და მებაღეობა; საგარეუბნო მეურნეობა

მას შემდეგ, რაც ბატონყმობა გაუქმდა, «მემამულური მებაღეობა», რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვნად იყო განვითარებული, «უცბად და სწრაფად დაქვეითდა თითქმის მთელ რუსეთში» *. რკინიგზების გაყვანამ შეცვალა მდგომარეობა, მან «ძლიერი ბიძგი» მისცა ახალი, კომერციული მებაღეობის განვითარებას და მოახდინა «სრული გადატრიალება უკეთესისაკენ» სავაჭრო მიწათმოქმედების ამ დარგში **. ერთი მხრით, სამხრეთიდან იაფფასიანი ხილის მოზიდვა ძირს უთხრიდა მებაღეობას მისი გავრცელების წინანდელ ცენტრებში***, მეორე მხრით, სამრეწველო მებაღეობა ვითარდებოდა, მაგალითად, კოვნოს, ვილნოს, მინსკის, გროდნოს, მოგილიოვის და ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიებში, სადაც ამასთან ერთად ფართოვდებოდა გასაღების ბაზრებიც ****. ბ-ნი ვ. პაშკევიჩი აღნიშნავს, რომ 1893/94 წ. მეხილეობის მდგომარეობის გამოკვლევამ ცხადჰყო მისი, როგორც სამრეწველო დარგის, მნიშვნელოვანი განვითარება ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მებაღეებზე და ბაღის მუშებზე მოთხოვნის ზრდა და სხვ. ***** სტატისტიკური ცნობები ადასტურებენ ამ აზრს: ხილის გადაზიდვა რუსეთის რკინიგზებზე მატულობს ******; საზღვარგარეთიდან ხილის შემოტანა, რაც რეფორმის შემდეგ

* «ისტ.-სტატ. მიმოხილვა», I, გვ. 2.

** Ibid.

*** მაგ., მოსკოვის გუბერნიაში. იხ. ს. კოროლენკო, «ნებით დაქირავებული შრომა და სხვ.», გვ. 262.

**** Ibid., გვ. 335, 344 და სხვ.

***** «საწარმოო ძალები», IV, 13.

****** Ibid., გვ. 31, და «ისტ.-სტატ. მიმოხილვა», გვ. 31 და შემდ.

პირველი ათი წლის განმავლობაში მატულობდა, ახლა კლებულობს *.

თავისთავად ცხადია, რომ სავაჭრო მებოსტნეობა, რომელიც მოსახლეობის შეუდარებლად უფრო დიდი მასებისათვის იძლევა მოხმარების საგნებს, ვიდრე მებაღეობა, კიდევ უფრო სწრაფად და უფრო ფართოდ ვითარდებოდა. სამრეწველო ბოსტნები მნიშვნელოვნად არის გავრცელებული, ჯერ ერთი, ქალაქების ახლოს**; მეორეც, საფაბრიკო და სავაჭრო-სამრეწველო დაბების ახლოს ***, აგრეთვე რკინიგზების გასწვრივ; მესამეც, ცალკეულ სოფლებში, რომლებიც გაბნეულია მთელ რუსეთში და განთქმულია ბოსტნეული მწვანილის მოყვანით****. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ პროდუქტებს მოითხოვს არა მარტო ინდუსტრიული, არამედ მიწათმოქმედი მოსახლეობაც: გავიხსენოთ, რომ ვორონეჟელ გლეხთა ბიუჯეტში ბოსტნეულის გასავალი შეადგენს 47 კაპ. მოსახლეობის 1 სულზე, ამ გასავლის ნახევარზე მეტი კი საყიდ პროდუქტებს უნდება.

იმ საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის გასაცნობად, რომელიც ამ სახის სავაჭრო მიწათმოქმედებაში მყარდება, უნდა მივმართოთ მებოსტნეობის განსაკუთრებით განვითარებული რაიონების ადგილობრივ გამოკვლევათა ცნობებს. მაგალითად, პეტერბურგის ახლოს ფართოდ არის განვი-

---

* 60-იან წლებში შემოჰქონდათ დაახლოებით 1 მილიონი ფუთი; 1878 — 1880 წლებში — 3,8 მილიონი ფუთი; 1886 — 1890 — 2,6 მილიონი ფუთი; 1889 — 1893 წლებში — 2 მილიონი ფუთი.

** წინასწარ აღვნიშნავთ, რომ 1863 წელს ევროპულ რუსეთში იყო 13 ქალაქი 50 ათასი და მეტი მცხოვრებით, ხოლო 1897 წ. — 44 (იხ. თავი VIII, § II).

*** იხ. ამ ტიპის დაბების მაგალითები VI და VII თავებში.

**** იხ. ასეთი სოფლების ჩამოთვლა «ისტ.-სტატ. მიმოხილვაში», I, გვ. 13 და შემდ., და «საწარმოო ძალები», IV, 38 და შემდ. —: ვიატკის, კოსტრომის, ვლადიმირის, ტვერის, მოსკოვის, კალუგის, პენზის, ნიჟნი-ნოვგოროდის და მრავალ სხვა გუბერნიაში. იაროსლავლის გუბერნიაზედაც რომ არაფერი ვთქვათ. შეად. აგრეთვე საერობო სტატისტიკური

თარებული კვალსათბურისა და სათბურის მებოსტნეობა, რომელიც შემოღებულია მოსული როსტოველი მებოსტნეების მიერ. მსხვილ მებოსტნეებს კვალსათბურის ჩარჩო ათასობით აქვთ, საშუალო მებოსტნეებს — ასობით. «ზოგიერთი მსხვილი მებოსტნე ათი ათას ფუთობით ამზადებს კომბოსტოს წნილს ჯარისათვის»*. საერობო სტატისტიკის ცნობებით, პეტერბურგის მაზრაში ადგილობრივი მოსახლეობიდან 474 კომლი მისდევს მებოსტნეობას (შემოსავალი უდრის დაახლოებით 400 მან. 1 კომლზე) და 230 — მებაღეობას. კაპიტალისტური ურთიერთობა მეტად ფართოდ არის განვითარებული როგორც სავაჭრო კაპიტალის ფორმით (სარეწი «ჩარჩი ქალების უსასტიკეს ექსპლოატაციას» განიცდის), ისე მუშების დაქირავების ფორმით. მაგალითად, მოსულ მოსახლეობაში ითვლება 115 მეურნე-მებოსტნე (შემოსავალი 3 ათას მანეთზე მეტია 1 მეპატრონეზე) და 711 მუშა-მებოსტნე (შემოსავალი თითოზე 116 მ.) **.

სოფლის ბურჟუაზიის ასეთსავე ტიპიურ წარმომადგენლებს ეკუთვნიან მოსკოვის გარეუბნელი გლეხი-მებოსტნეებიც. «დაახლოებითი გამოანგარიშებით, მოსკოვის ბაზრებზე ყოველწლიურად შემოაქვთ 4 მილიონ ფუთზე მეტი ბოსტნეული და მწვანილი. ზოგიერთი სოფელი დიდ ვაჭრობას აწარმოებს მჟავე ბოსტნეულით: ნოგატინის თემი დაახლოებით ერთ მილიონ ვედრო კომბოსტოს წნილს ჰყიდის ფაბრიკებსა და ყაზარმებში, ჰგზავნიან კრონშტადტშიც კი... სავაჭრო ბოსტნები გავრცელებულია მოსკოვის ყველა მაზრაში, უმთავრესად ქალაქებისა და ფაბრიკების ახლოს» ***. «კომბოსტოს

კრებულები ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის მაზრების — სემიონოვსკის, ნიჟნი-ნოვგოროდის და ბალახნისა.

* «საწარმოო ძალები», IV, 42.

** «ს.-პეტერბურგის გუბ. სახალხო მეურნეობის სტატისტიკის მასალები», ნაკვ. V. ნამდვილად კი მებოსტნეების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ტექსტშია ნაჩვენები, რადგან მათი უმრავლესობა მიკუთვნებულია კერძომფლობელობით მეურნეობაზე, მოტანილი ცნობები კი მხოლოდ გლეხურ მეურნეობას შეეხება.

*** «საწარმოო ძალები», IV, 49 და შემდ. საინტერესოა, რომ სხვადასხვა სოფელი ამა თუ იმ ბოსტნეულის წარმოებაში სპეციალდება.

საჭრელად ქირაობენ მუშებს, რომლებიც მოდიან ვოლოკოლამსკის მაზრიდან» («ისტ.-სტატ. მიმოხილვა», I, გვ. 19).

სავსებით ამგვარივეა ურთიერთობა იაროსლავლის გუბერნიის როსტოვის მაზრის მებოსტნეობით ცნობილ რაიონში, რომელიც მოიცავს 55 მებოსტნე სოფელს — პორეჩიეს, უგოდიჩს და სხვ. მთელი მიწა, საძოვრებსა და მდელოებს გარდა, აქ ძველთაგანვე უჭირავს ბოსტნებს. ძლიერ განვითარებულია ბოსტნეულის ტექნიკური გადამუშავება — კონსერვის წარმოება *. მიწის პროდუქტთან ერთად საქონლად იქცევა თვით მიწაც და სამუშაო ძალაც. «თემის» მიუხედავად, მიწათსარგებლობის უთანაბრობა, მაგალითად, სოფელ პორეჩიეში ძალიან დიდია: ერთს 4 სულზე 7 «ბოსტანი» აქვს, მეორეს 3 სულზე — 17; ეს აიხსნება იმით, რომ აქ მიწის საფუძვლიანი გადაყოფა არ ხდება; არის მხოლოდ ნაწილობრივი გადაყოფა, ამასთან გლეხები «თავისუფლად უცვლიან ერთიმეორეს» თავის «ბოსტნებს» და ნაკვეთებს («დელკებს») («იაროსლავლის გუბ. მიმოხილვა», 97 — 98)**. «მინდვრის სამუშაოთა დიდი ნაწილი... სრულდება დღიური მუშა მამაკაცებისა და ქალების საშუალებით, რომლებიც საზაფხულო მუშაობის დროს მრავლად მოდიან პორეჩიეში როგორც მეზობელი სოფლებიდან, ისე მეზობელი გუბერნიებიდან» (ibid., 99). მთელ იაროსლავლის გუბერნიაში ითვლება 10 322 კაცი (მათ შორის 7 689 როსტოველი), რომელნიც «სასოფლო-სამეურნეო და საბოსტნე» გ ა რ ე ს ა რ ე წ ე ბ ს მისდევენ, — ე. ი. უმეტეს შემთხვევაში ამ პროფესიის დაქირავე-

* «ისტ.-სტატ. მიმოხილვა», I. — ბ-ნ ორლოვის «ფაბრიკების საძიებელი». — «შინამრეწველობის გამომკვლევი კომისიის შრომები», ნაკვ. XIV, ბ-ნ სტოლპიანსკის სტატია. «საწარმოო ძალები», IV, 46 და ზემდ.— «იაროსლავლის გუბ. მიმოხილვა», ნაკვ. 2, იარ. 1896. ბ-ნ სტოლპიანსკის (1885) და «საძიებლის» (1890) ცნობების შედარება ცხადჰყოფს კონსერვების საფაბრიკო წარმოების დიდ ზრდას ამ რაიონში.

** ამნაირად, დასახელებულმა გამოცემამ სავსებით დაადასტურა ბ-ნ ვოლგინის მიერ გამოთქმული «ეჭვი» — «ბოსტნებით დაკავებული მიწის ხშირად გადაყოფის შესახებ» (დასახ. თხზ., 172, ზენიშ.).

ბული მუშები არიან *. ზემოთ მოყვანილი ცნობები სატახტო ქალაქების გუბერნიებში, იაროსლავლის გუბერნიაში და სხვ. სოფლის მუშების მოსვლის შესახებ დაკავშირებულ უნდა იქნას არა მარტო სარძეო მეურნეობის, არამედ აგრეთვე სავაჭრო მებოსტნეობის განვითარებასთან.

მებოსტნეობას ეკუთვნის აგრეთვე ბოსტნეულის სათბურებში გაშენება — სარეწი, რომელიც სწრაფად ვითარდება მოსკოვის და ტვერის გუბერნიების შეძლებულ გლეხობაში **. მოსკოვის გუბერნიაში 1880/81 წ. აღწერით ითვლებოდა 3 011 ჩარჩოს მქონე 88 წარმოება; მუშა — 213, მათგან დაქირავებული — 47 (22,6%); წარმოების თანხა — 54 400 მან. საშუალო სათბურს დაბანდებული უნდა ჰქონდეს «საქმეში» არანაკლებ 300 მანეთი. 74 მეურნისგან, რომელთა შესახებ შეკრებილია კომლობრივი ცნობები, 41-ს აქვს ნაყიდი მიწა და ამდენივე იჯარით აღებული მიწა; 1 მეურნეზე მოდის 2,2 ცხენი. აქედან ცხადია, რომ სათბურის სარეწი ხელმისაწვდომია მხოლოდ გლეხური ბურჟუაზიის წარმომადგენლებისათვის ***.

სამხრეთ რუსეთში სავაჭრო მიწათმოქმედების ამ დარგს ეკუთვნის აგრეთვე სამრეწველო მებახჩეობა. მოვიყვანთ მოკ-

---

* აქაც შემჩნეულია მიწათმოქმედების დამახასიათებელი სპეციალიზაცია: «შესანიშნავია ის, რომ იმ ადგილებში, სადაც საბოსტნე სარეწი მოსახლეობის ერთი ნაწილის სპეციალურ მოსაქმეობად გადაქცეულა, გლეხობის მეორე ნაწილი თითქმის სრულებით არ იწვევს რაიმე ბოსტნეულს და ყიდულობს მას ბაზარზე» (ს. კოროლენკო, l. c., 285).

** «საწარმოო ძალები», IV, 50 — 51. — ს. კოროლენკო, l. c., 273. — «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VII, ნაკვ. 1. — «ტვერის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VIII, ნაკვ. 1, ტვერის მაზრა: 1886 — 1890 წლების აღწერით აქ 174 გლეხს და 7 კერძო მფლობელს აქვთ 4 426 ჩარჩო, ე. ი. საშუალოდ 1 მეურნეზე მოდის დაახლოებით 25 ჩარჩო. «გლეხურ მეურნეობაში ეს (სარეწი) მნიშვნელოვანი დამხმარე დარგია, მაგრამ მხოლოდ შეძლებული გლეხებისათვის... თუ სათბური 20 ჩარჩოზე მეტია, ქირაობენ მუშებს» (გვ. 167).

*** იხ. ცნობები ამ სარეწის შესახებ V თავის დამატებაში, სარეწ. № 9.

ლე ცნობებს, თუ როგორ არის იგი განვითარებული ერთ-ერთ რაიონში, რომელიც აღწერილია «ვესტნ. ფინ.»-ის (1897, № 16) საინტერესო სტატიაში — «საზამთროს სამრეწველო წარმოების შესახებ». ეს წარმოება აღმოცენდა სოფ. ბიკოვოში (ასტრახანის გუბ., ცარევსკის მაზრა) 60-იანი წლების დამლევს და 70-იანი წლების დასაწყისს. პროდუქტი ჯერ ვოლგის მხარეში მიჰქონდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც რკინიგზები გაიყვანეს, ის მიაქვთ სატახტო ქალაქებში. 80-იან წლებში წარმოება «10-ჯერ მაინც გაიზარდა» იმ უზარმაზარი მოგების გამო (150 — 200 მან. 1 დესეტინაზე), რომელსაც იღებდნენ საქმის ინიციატორები. როგორც ნამდვილი წვრილი ბურჟუები, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მწარმოებელთა რიცხვის გამრავლებისათვის და უდიდესი სიფრთხილით უმალავდნენ მეზობლებს ამ ახალი მომგებიანი საქმის «საიდუმლოებას». რასაკვირველია, «მიწის მხვნელ-მთესველი გლეხის» * მთელი ეს გმირული ღონისძიება, რომ თავიდან აეცილებინა «საბედისწერო კონკურენცია» **, უმწეო გამოდგა, და წარმოება ფართოდ მოედო სარატოვის გუბერნიასაც და დონის ოლქსაც. 90-იან წლებში პურის ფასების დაცემამ ძალიან შეუწყო ხელი ამ წარმოებას და აიძულა «ადგილობრივი მიწათმოქმედნი გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოსავალი თესვის ნაყოფთა ცვლის სისტემებში ეძებნათ» ***. წარმოების გაფართოება ძალიან ადიდებდა მოთხოვნას დაქირავებული შრომის მიმართ (ბახჩების დამუშავება მოითხოვს დიდძალ შრომას, ასე რომ ერთი დესეტინის დამუშავება ჯდება 30 — 50 მან.), და კიდევ უფრო ადიდებდა მეწარმეთა მოგებას და მიწის რენტას. სადგურ «ლოგის» ახლოს (ცარიცინ-გრიაზის რკინიგზა) 1884 წელს საზამთრო დათესილი იყო 20 დეს., 1890 წ. — 500 — 600 დეს., 1896 წ. — 1 400 — 1 500 დეს., და საიჯარო ქირა 1 დე-

* რუსი გლეხის ასეთი სახელწოდება ეკუთვნის ბ-ნ ნ. —ონს.

** ეს სიტყვები ეკუთვნის ბ-ნ ვ. პრუგავინს.

*** საზამთროს მოწევა მოითხოვს ნიადაგის უკეთ დამუშავებას და უფრო ნაყოფიერს ხდის მას შემდეგ პურეულის დასათესად.

სეტინაზე მატულობდა 30 კაპ.-დან 1 მ. 50 კ. — 2 მან.-მდე და 4 — 14 მანეთამდე აღნიშნული წლების განმავლობაში. ნათესების ასე გამალებით გაფართოებამ, ბოლოს, 1896 წელს, გამოიწვია ჭარბწარმოება და კრიზისი, რამაც საბოლოოდ დაადასტურა სავაჭრო მიწათმოქმედების ამ დარგის კაპიტალისტური ხასიათი. საზამთროს ფასი ისე დაეცა, რომ ის ვერ ფარავდა რკინიგზით გადაზიდვის ხარჯებს. საზამთროებს აღარ ჰკრეფდნენ, ისე სტოვებდნენ ბაღჩებში. უზარმაზარი მოგების შემდეგ მეწარმეებმა ზარალიც იგემეს. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ის საშუალება, რომელიც მათ კრიზისთან საბრძოლველად აირჩიეს. ეს საშუალება მდგომარეობს ახალი ბაზრების დაპყრობაში, პროდუქტისა და რკინიგზის ტარიფის ისეთ გაიაფებაში, რომ პროდუქტი ფუფუნების საგნიდან მოსახლეობის მოხმარების საგნად გადაიქცეს (ხოლო წარმოების ადგილას — პირუტყვის საკვებადაც). «სამრეწველო მებახჩეობა, — ირწმუნებიან მეწარმენი, — შემდგომი განვითარების გზაზე დგას, — და მის შემდგომ ზრდას ტარიფის მეტი არაფერი ეღობება. პირიქით, ცარიცინ-ტიხორეცკაიას რკინიგზა, რომელიც ახლა შენდება, ...სამრეწველო მებახჩეობას ახალსა და მნიშვნელოვან რაიონს შეუქმნის». როგორიც უნდა იყოს ამ «სარეწის» მომავალი ბედი, ყოველ შემთხვევაში «საზამთროს კრიზისი» მეტად საგულისხმოა, რადგან ის წარმოადგენს მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუციის თუმცა პატარა, მაგრამ ძალიან მკაფიო სურათს.

ჩვენ დაგვრჩენია კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ს ა გ ა რ ე უ ბ ნ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს შესახებ. სავაჭრო მიწათმოქმედების ზემოაღწერილი სახეებისაგან იგი განირჩევა იმით, რომ იქ მთელი მეურნეობა რომელიმე ერთი მთავარი, საბაზრო პროდუქტის დამუშავებას მისდევს, აქ კი წვრილი მიწათმოქმედი ცოტ-ცოტათი ყველაფერს ვაჭრობს: თავის სახლსაც, რომელსაც ის აქირავებს მოაგარაკეებსა და მობინადრეებზე, თავის ეზოსაც, თავის ცხენსაც, თავისი სასოფლო და საეზოე მეურნეობის ყოველნაირ პროდუქტსაც — პურს, პირუტყვის საკვებს, რძეს, ხორცს, ბოსტნეულს, კენკრას, თევზს, ხე-

ტყეს და სხვ., ვაჭრობს თავისი ცოლის რძით (ბავშვის საზრდოობის სარეწი სატახტო ქალაქების მიდამოებში), შოულობს ფულს ჩამოსული ქალაქელების სულ სხვადასხვანაირი მომსახურებით (რომლის დასახელება ხანდახან უხერხულიცაა) * და სხვ. და სხვ. ** კაპიტალიზმის მიერ პატრიარქალური მიწათმოქმედის ძველებური ტიპის სრული გარდაქმნა, «ფულის მეუფეებისადმი» მისი სრული დამორჩილება აქ ისე მკაფიოდ გამოიხატება, რომ ქალაქის ახლო მცხოვრებ გლეხს ნაროდნიკი ჩვეულებრივად გამოჰყოფს და ამბობს, ეს «უკვე გლეხი აღარ არისო». მაგრამ ამ ტიპის განსხვავება ყველა წინანდელი ტიპისაგან მხოლოდ მოვლენის ფორმით განისაზღვრება. პოლიტიკურ-ეკონომიური არსი ამ გარდაქმნისა, რომელსაც წვრილი მიწათმოქმედი კაპიტალიზმის ყოველმხრივი გავლენით განიცდის, ყველგან სრულიად ერთი და იგივეა. რაც უფრო სწრაფად იზრდება ქალაქების რიცხვი, საფაბრიკო და სავაჭრო-სამრეწველო სოფლების რიცხვი, რკინიგზის სადგურების რიცხვი, მით უფრო ფართოდ სწარმოებს ჩვენი «მეთემის» გადაქცევა გლეხის ასეთ ტიპად. არ უნდა დავივიწყოთ ჯერ კიდევ ადამ სმიტის ნათქვამი, სახელდობრ ის, რომ გაუმჯობესებული გზები ყოველ სოფელს ქალაქის გარეუბნად გადაქცევას უქადისო ***. მიყრუებული და მივარდნილი ადგილები, რომლებიც ახლა უკვე გამონაკლისს წარმოადგენენ, დღითიდღე სულ უფრო და უფრო ანტიკვარულ იშვიათო-

* შეად. უსპენსკის «სოფლის დღიური».

** საილუსტრაციოდ დავასახელებთ ზემოთ ციტირებულ «მასალებს» პეტერბურგის მაზრის გლეხური მეურნეობის შესახებ. სულ სხვადასხვა სახის მეწვრილმანეობამ აქ მიიღო ფორმა სხვადასხვაგვარი «სარეწებისა»: სააგარაკო, საბინაო, სარძეო, საბოსტნე, საკენკრე, «ცხენით საშოვრის», ბავშვის საზრდოობის, კიბოს ჭერის, მეთევზეობის და სხვ. სავსებით ამგვარივეა ტულის გარეუბნებში მცხოვრები გლეხების სარეწები: იხ. ბ-ნ ბორისოვის სტატია «შინამრეწველობის გამომკვლევი კომისიის შრომების» IX ნაკვეთში.

*** «Good roads, canals and navigable rivers, by diminishing the expense of carriage, put the remote parts of the country more near'y upon a level with those in the neighbourhood of the town». L. c., vol.

ბად ხდებიან, და მიწათმოქმედი უფრო და უფრო სწრაფად იქცევა სასაქონლო წარმოების ზოგადი კანონებისადმი დაქვემდებარებულ მრეწველად.

ამით ვათავებთ სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდის ცნობების განხილვას, ამასთან ზედმეტად არ მიგვაჩნია აქ გავიმეოროთ, რომ ჩვენი ამოცანა სავაჭრო მიწათმოქმედების უმთავრესი (და არა ყველა) ფორმების განხილვაში მდგომარეობდა.

IX. დასკვნები რუსეთის მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის მნიშვნელობის შესახებ

რუსეთის მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის საკითხი II — IV თავებში განხილული იყო ორი მხრით. ჯერ განვიხილეთ გლეხურ და მემამულურ მეურნეობაში არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა წყობილება — წყობილება, რომელიც შეიქმნა რეფორმისშემდეგდროინდელ ეპოქაში. აღმოჩნდა, რომ გლეხობა უდიდესი სისწრაფით იყოფა რიცხვობრივად მცირე, მაგრამ თავისი ეკონომიური მდგომარეობით ძლიერ სოფლის ბურჟუაზიად და სოფლის პროლეტარიატად. «განგლეხების» ამ პროცესთან განუყრელად დაკავშირებულია მიწათმფლობელთა გადასვლა მეურნეობის შრომამიგებითი სისტემიდან კაპიტალისტურ სისტემაზე. შემდეგ ჩვენ იგივე პროცესი განვიხილეთ მეორე მხრით; ჩვენ ამოსავალ წერტილად ავიღეთ მიწათმოქმედების სასაქონლო წარმოებად გადაქცევის ფორმა და განვიხილეთ ის საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც ახასიათებს სავაჭრო მიწათმოქმედების ყოველ უმთავრეს ფორმას. აღმოჩნდა, რომ, სოფლის მეურნეობის პირობების მთელი სხვადასხვაობის მიუხედავად, გლეხურ და კერძომფლობელობითს მეურნეობაში წითელ ძაფად გავლებულია იგივე პროცესები.

განვიხილოთ ახლა ის დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ ყველა ზემომოყვანილი მონაცემებიდან.

I, p. 228 — 229 («კარგი გზები, არხები და სანაოსნო მდინარეები გადაზიდვის ხარჯებს ამცირებენ და ამით ქვეყნის შორეულ ნაწილებს ქალაქის მიდამოების დონეზე აყენებენ». ციტირებული თხზულება, ტომი I, გვ. 228 — 229. რ ე დ.).

1) მიწათმოქმედების რეფორმისშემდეგდროინდელი ევოლუციის ძირითადი ნიშანი იმაშ მდგომარეობს, რომ ის სულ უფრო და უფრო იღებს სავაჭრო, სამეწარმეო ხასიათს. კერძომფლობელობითი მეურნეობის მიმართ ეს ფაქტი იმდენად აშკარაა, რომ განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. რაც შეეხება გლეხურ მიწათმოქმედებას, ეს მოვლენა აქ არც ისე ადვილი დასანახია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დაქირავებული შრომის გამოყენება სოფლის წვრილი ბურჟუაზიის აუცილებლად საჭირო ნიშანს არ წარმოადგენს. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კატეგორიაში ხვდება ყოველი წვრილი საქონელმწარმოებელი, რომელიც თავის გასავალს დამოუკიდებელი მეურნეობის საშუალებით ფარავს, ოღონდ იმ პირობით, რომ მეურნეობის საერთო წყობილება დამყარებულია იმ კაპიტალისტურ წინააღმდეგობებზე, რომლებიც განხილული იყო II თავში. მეორეც, სოფლის წვრილი ბურჟუა (რუსეთშიც ისევე, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში) მთელი რიგი გარდამავალი საფეხურებით უერთდება პარცელურ «გლეხს» და სოფლის პროლეტარს, რომელსაც პატარა ნაკვეთი მიწა აქვს. ეს გარემოება წარმოადგენს იმ თეორიების გამძლეობის ერთ-ერთ მიზეზს, რომლებიც არ განასხვავებენ «გლეხობაში» სოფლის ბურჟუაზიასა და სოფლის პროლეტარიატს *.

2) თვით მიწათმოქმედების ბუნების გამო, მისი სასაქონლო წარმოებად გადაქცევა ხდება განსაკუთრებული გზით, რომელიც არ წააგავს სათანადო პროცესს ინდუსტრიაში. დამმუშავებელი მრეწველობა ნაწილდება ცალკეულ, სრულებით დამოუკიდებელ დარგებად, რომლებიც აწარმოებენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ რომელიმე პროდუქტს ან პროდუქტის ერთ რომელიმე ნაწილს. სამიწათმოქმედო მრეწველობა კი არ

* ამ გარემოების უგულებელყოფაზეა აგებული, სხვათა შორის, ეკონომისტ-ნაროდნიკების ჩვეულებრივი დებულება, რომ «რუსული გლეხური მეურნეობა უმეტეს შემთხვევაში არის წმინდა ნატურალური მეურნეობა» («მოსავლისა და პურის ფასების გავლენა», I, 52). საკმარისია მხოლოდ

ნაწილდება სავსებით ცალკეულ დარგებად, არამედ სპეციალიზდება ერთ შემთხვევაში ერთი საბაზრო პროდუქტისა, მეორე შემთხვევაში სხვა საბაზრო პროდუქტის წარმოებაზე, ამასთან სოფლის მეურნეობის დანარჩენი მხარეები ეგუებიან ამ მთავარ (ე. ი. საბაზრო) პროდუქტს. ამიტომ სავაჭრო მიწათმოქმედების ფორმები განირჩევიან უდიდესი სხვადასხვაობით და სახეს იცვლიან არათუ სხვადასხვა რაიონში, არამედ სხვადასხვა მეურნეობაშიც. ამიტომ სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდის საკითხის განხილვის დროს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაკმაყოფილდე იმ საერთო ცნობებით, რომლებიც მთელ სამიწათმოქმედო წარმოებას შეეხებიან*.

3) სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა ჰქმნის კაპიტალიზმის შინაურ ბაზარს. ჯერ ერთი, მიწათმოქმედების სპეციალიზაცია იწვევს გაცვლას სხვადასხვა სამიწათმოქმედო რაიონებს შორის, სხვადასხვა სამიწათმოქმედო მეურნეობებს შორის, სხვადასხვა სამიწათმოქმედო პროდუქტებს შორის. მეორეც, რაც უფრო ებმება მიწათმოქმედება საქონლის ბრუნვაში, მით უფრო ჩქარა იზრდება სოფლის მოსახლეობის მო-

---

«საშუალო» ციფრების აღება, რომლებიც აერთებენ სოფლის ბურჟუაზიასაც და სოფლის პროლეტარიატსაც, — და ამგვარი დებულება დამტკიცებულად გასაღდება!

* სახელდობრ, ასეთი ცნობებით კმაყოფილდებიან, მაგალითად, წინა შენიშვნაში დასახელებული წიგნის ავტორები, როცა ლაპარაკობენ «გლეხობაზე». ისინი ფიქრობენ, რომ ყოველი გლეხი თესავს სწორედ იმ პურეულს, რომელსაც თვითონ ხმარობს, თესავს ყველა იმ სახის პურეულს, რომელსაც თვითონ ხმარობს, თესავს სწორედ ისეთი პროპორციით, როგორიც საჭიროა მოხმარებისათვის. დიდი გარჯა აღარ არის საჭირო, რომ ასეთი «დებულებებიდან» (რომლებიც ეწინააღმდეგებიან ფაქტებს და უგულებელჰყოფენ რეფორმისშემდეგდროინდელი ეპოქის ძირითად ნიშნეულობას) გამოყვანილ იქნას «დასკვნა» ნატურალური მეურნეობის სიჭარბის შესახებ.

ნაროდნიკულ ლიტერატურაში შეიძლება შეხვდეთ აგრეთვე მსჯელობის ასეთ მახვილგონიერ ხერხს: სავაჭრო მიწათმოქმედების ყოველი ცალკე დარგი წარმოადგენს «გამონაკლისს» — საერთოდ მთელ სოფლის მეურნეობასთან შედარებით. ამიტომ მთელი სავაჭრო მიწათმოქმედებაც საზოგადოდ თითქოს გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს, ხოლო საერთო წე-

თხოვნილება დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქტებზე, რომლებიც პირად მოხმარებას აკმაყოფილებენ; მესამეც, მით უფრო ჩქარა იზრდება მოთხოვნილება წარმოების საშუალებებზე, რადგან ძველებურ «გლეხურ» იარაღთა, ნაგებობათა და სხვ. და სხვ. საშუალებით არც წვრილ და არც მსხვილ სოფლის მეწარმეს არ შეუძლია გაუძღვეს ახალ, სავაჭრო მიწათმოქმედებას. ბოლოს, მეოთხეც, იქმნება სამუშაო ძალის მოთხოვნილება, რადგან სოფლის წვრილი ბურჟუაზიის გაჩენა და კაპიტალისტურ მეურნეობაზე მიწათმფლობელთა გადასვლა გულისხმობს სოფლის მეურნეობის მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების კონტინგენტის გაჩენას. მხოლოდ სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდის ფაქტით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ რეფორმისშემდეგდროინდელი ეპოქა ხასიათდება კაპიტალიზმის შინაური ბაზრის გაფართოებით (კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარება, საზოგადოდ საფაბრიკო-მრეწველობის განვითარება, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარება, ეგრეთწოდებული გლეხური «სამიწათმოქმედო სარეწების», ე. ი. დაქირავებით მუშაობის და სხვ. განვითარება).

4) კაპიტალიზმი უდიდესად აფართოებს და ამწვავებს მიწათმოქმედ მოსახლეობაში იმ წინააღმდეგობებს, ურომლისოდაც საზოგადოდ შეუძლებელია წარმოების ამ წესის არსებობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამიწათმოქმედო კაპიტალიზმი რუსეთში, თავისი ისტორიული მნიშვნელობით, დიდ პროგრესულ ძალას წარმოადგენს. ჯერ ერთი, კაპიტალიზმმა მიწათმოქმედი, ერთი მხრით, «ხელმწიფე-მემამულიდან» და, მეორე მხრით, პატრიარქალური, დამოკიდებული გლეხიდან გადააქცია ისეთივე მ რ ე წ ვ ე ლ ა დ, როგორიც არის ყოველი სხვა მეურნე თანამედროვე საზოგადოებაში. კაპიტალიზმამდე მიწათმოქმედება რუსეთში ზოგიერთებისათვის იყო საბატონო საქმე, ბატონის თავშესაქცევი, სხვებისათვის კი —

სად ნატურალური მეურნეობა უნდა იქნას აღიარებული! ლოგიკის გიმნაზიურ სახელმძღვანელოებში, სოფიზმების განყოფილებაში, ასეთ მსჯელობათა მრავალი პარალელი შეიძლება მოინახოს.

ვალდებულება, ბეგარა, ამიტომაც ის სხვანაირად ვერ წარიმართებოდა, თუ არა საუკუნეობრივი რუტინის გზით; ეს კი აუცილებლად იწვევდა მიწათმოქმედის სრულ მოწყვეტას ყოველივე იმისაგან, რაც ხდებოდა ქვეყნად მისი სოფლის ფარგლებს გარეთ. შრომამიგების სისტემა — სიძველის ეს ცოცხალი ნაშთი თანამედროვე მეურნეობაში — თვალსაჩინოდ ადასტურებს ასეთ დახასიათებას. კაპიტალიზმმა მიწა საქონლად გადააქცია და ამით პირველად დაარღვია მიწათმფლობელობის წოდებრიობა. მიწათმოქმედის პროდუქტი გატანილ იქნა გასაყიდად, დაექვემდებარა საზოგადოებრივ აღრიცხვას ჯერ ადგილობრივ, შემდეგ ნაციონალურ და, ბოლოს, საერთაშორისო ბაზარზე, და ამნაირად საბოლოოდ იქნა მოსპობილი გაველურებული მიწათმოქმედის წინანდელი მოწყვეტილობა მთელი დანარჩენი მსოფლიოსაგან. ნებსით თუ უნებლიეთ, გაჩანაგების შიშით, მიწათმოქმედი იძულებული შეიქნა ანგარიში გაეწია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობისათვის როგორც თავის საკუთარ ქვეყანაში, ისე სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ერთიმეორესთან მსოფლიო ბაზრით. შრომამიგების სისტემაც კი, რომელიც წინათ უზრუნველჰყოფდა ობლომოვს უტყუარი შემოსავლით რაიმე რისკის გაუწევლად, კაპიტალის სრულიად დაუხარჯავად, წარმოების ძველთაძველი რუტინის შეუცვლელად, — ეს სისტემაც უძლური აღმოჩნდა ეხსნა ის ამერიკელი ფერმერის კონკურენციისაგან. აი რატომ არის, რომ რეფორმისშემდეგდროინდელ რუსეთსაც სავსებით შეეფერება ის, რაც ნახევარი საუკუნის წინათ ითქვა დასავლეთ ევროპის შესახებ, სახელდობრ, რომ სამიწათმოქმედო კაპიტალიზმი «იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომელმაც იდილია ისტორიულ მოძრაობაში ჩაითრია» *.

* «Misère de la philosophie» (Paris, 1896), p. 223 («ფილოსოფიის სიღატაკე» (პარიზი, 1896), გვ. 223. რ ე დ.); ავტორი ზიზღით უწოდებს რეაქციულ იერემიადებს იმათ სურვილებს, ვისაც წყურია კურთხეული პატრიარქალური ცხოვრების, უბრალო ზნე-ჩვეულებების და სხვ. და-

მეორეც, სამიწათმოქმედო კაპიტალიზმმა პირველად შეარყია ჩვენი სოფლის მეურნეობის საუკუნეობრივი უძრაობა, უძლიერესი იმპულსი მისცა მისი ტექნიკის გარდაქმნას, საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალების განვითარებას. ამ მხრივ კაპიტალისტური «მსხვრევის» რამდენიმე ათეულმა წელმა უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე წინანდელი ისტორიის მთელმა საუკუნეებმა. რუტინული ნატურალური შეურნეობის ერთგვარობა შეიცვალა სავაჭრო მიწათმოქმედების ფორმების სხვადასხვაობით; პირველყოფილმა სამიწათმოქმედო იარაღებმა თანდათან დაუთმეს ადგილი გაუმჯობესებულ იარაღებს და მანქანებს; მემინდვრეობის ძველებური სისტემების უძრაობას ძირი გამოუთხარეს კულტურის ახალმა წესებმა. ყველა ამ ცვლილების პროცესი განუყრელად დაკავშირებულია მიწათმოქმედების სპეციალიზაციის ზემოაღნიშნულ მოვლენასთან. თვით თავისი ბუნების გამო კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში (ისევე როგორც მრეწველობაში) თანაბრად ვერ განვითარდება: ერთ ადგილას (ერთ ქვეყანაში, ერთ რაიონში, ერთ მეურნეობაში) ის წინ სწევს სოფლის მეურნეობის ერთ მხარეს, მეორე ადგილას — მეორე მხარეს და სხვ. ერთ შემთხვევაში ის გარდაქმნის განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების ტექნიკას, მეორე

ბრუნება, ვინც გმობს «მიწის იმავე კანონებისადმი დამორჩილებას, რომლებიც მართავენ ყოველ სხვა მრეწველობას» [87].

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ტექსტში მოყვანილი მთელი არგუმენტი შეიძლება ნაროდნიკებს მოეჩვენოს არათუ არადამაჯერებლად, არამედ პირდაპირ გაუგებრად. მაგრამ მეტისმეტად უმადური საქმე იქნებოდა დაწვრილებით გაგვერჩია, მაგალითად, ასეთი აზრები, რომ მიწის მობილიზაცია «არანორმალური» მოვლენაა (ბ-ნი ჩუპროვი პურის ფასების შესახებ გამართულ კამათში; სტენგრ. ანგარიში, გვ. 39), რომ გლეხური ნადელების გაუსხვისებლობა ისეთი წესია, რომლის დაცვა შესაძლებელია, რომ მეურნეობის შრომამიგებითი სისტემა კაპიტალისტურ სისტემაზე უკეთესია, ან მასზე უარესი მაინც არ არის და სხვ. ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, წარმოადგენს იმ პოლიტიკურ-ეკონომიურ მოსაზრებათა დარღვევას, რომლებიც მოჰყავდათ ნაროდნიკებს ასეთი აზრების გასამართლებლად.

შემთხვევაში — სხვა სასოფლო-სამეურნეო ოპერაციებისას, მოწყვეტს მათ პატრიარქალური გლეხური მეურნეობისაგან ან პატრიარქალური შრომამიგების სისტემისაგან. რადგან მთელი ეს პროცესი სწარმოებს ბაზრის ახირებულ მოთხოვნილებათა ხელმძღვანელობით, რომელთა შესახებ მწარმოებელს ზოგჯერ წარმოდგენაც კი არა აქვს, ამიტომ კაპიტალისტური მიწათმოქმედება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (ხშირად ყოველ ცალკეულ რაიონში, ზოგჯერ ყოველ ცალკეულ ქვეყანაშიც) წინანდელთან შედარებით უფრო ცალმხრივი ხდება, მაგრამ სამაგიეროდ საერთოდ და მთლიანად ხდება განუზომლად უფრო მრავალმხრივი და რაციონალური, ვიდრე პატრიარქალური მიწათმოქმედება. სავაჭრო მიწათმოქმედების განსაკუთრებული სახეების გაჩენა შესაძლებელს და აუცილებელს ხდის კაპიტალისტურ კრიზისებს მიწათმოქმედებაში და კაპიტალისტური ჭარბი წარმოების შემთხვევებს, მაგრამ ეს კრიზისები (როგორც საზოგადოდ ყველა კაპიტალისტური კრიზისი) კიდევ უფრო ძლიერ ბიძგს აძლევს მსოფლიო წარმოებისა და შრომის განსაზოგადოების განვითარებას *.

მესამეც, კაპიტალიზმმა პირველად შეჰქმნა რუსეთში მსხვილი სამიწათმოქმედო წარმოება, დამყარებული მანქანების გამოყენებაზე და მუშების ფართო კოოპერაციაზე. კაპიტალიზმამდე მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოება ყოველთვის მიმდინარეობდა უცვლელი, მეტისმეტად წვრილი ფორმით, — როგორც იმ შემთხვევაში, როცა გლეხი მუშაობდა თავისი თავისათვის, ისე იმ შემთხვევაშიც, როცა ის მუშაობდა მემამულისათვის, — და მიწათფლობელობის ვერავითარი «თემობრივობა» ვერ არღვევდა წარმოების ამ გიგანტურ დაქუცმაცებულობას. წარმოების ამ დაქუცმაცებულობასთან განუყრელად იყო დაკავშირებული თვით მიწათ-

* დასავლეთ ევროპის რომანტიკოსები და რუსი ნაროდნიკები გულმოდგინედ უსვამენ ხაზს კაპიტალისტური მიწათმოქმედების ცალმხრიობას ამ პროცესში, კაპიტალიზმის მიერ შექმნილ მერყეობასა და კრიზისებს, — და ამ საფუძველზე უარჰყოფენ კაპიტალისტური წინსვლის პროგრესულობას წინაკაპიტალისტურ უძრაობასთან შედარებით.

მოქმედთა დაქუცმაცებულობა*. თავის ნადელზე, თავის პაწაწა «თემზე» მიჯაჭვულნი, ისინი დიდად იყვნენ დაშორებულნი მეზობელი თემის გლეხებისგანაც კი იმ თანრიგების განსხვავების გამო, რომლებსაც ეკუთვნოდნენ (ყოფილი საბატონო, ყოფილი სახელმწიფო და სხვ.), აგრეთვე თავისი მიწათმფლობელობის სიდიდის მხრივ განსხვავების გამო, — იმ პირობათა განსხვავების გამო, რომლებშიც მოხდა მათი ემანსიპაცია (და ეს პირობები ხანდახან დამოკიდებული იყო მემამულეთა პირად თვისებებსა და ჟინიანობაზე). კაპიტალიზმმა პირველად დაამსხვრია ეს წმინდა შუასაუკუნეობრივი ზღუდეები, — და ძალიან კარგიც ჰქნა, რომ დაამსხვრია. ახლა უკვე გლეხების თანრიგებს შორის, კატეგორიებს შორის განსხვავება მათი სანადელო მიწათმფლობელობის მიხედვით შე-

* ამიტომ, მიწათმფლობელობის სხვადასხვა ფორმის მიუხედავად, რუს გლეხს სავსებით მიუდგება ის, რასაც მარქსი ამბობს წვრილ ფრანგ გლეხზე: «წვრილი [პარცელური] გლეხები შეადგენენ უზარმაზარ მასას, რომლის წევრები ცხოვრობენ ერთნაირ პირობებში, მაგრამ რომელთა შორის ადგილი არა აქვს ამა თუ იმ ურთიერთობას. მათი წარმოების წესი აცალკევებს მათ ერთიმეორესაგან, იმის მაგივრად, რომ მათ შორის საურთიერთო კავშირი გააბას. ამ განცალკევებას კიდევ უფრო უწყობს ხელს საფრანგეთის ცუდი გზები და გლეხების სიღატაკე. მათი წარმოების ნიადაგი (Produktionsfeld), პარცელა, შეუძლებლად ხდის შრომის რაიმე დანაწილებას მისი დამუშავების დროს, შეუძლებლად ხდის მეცნიერების გამოყენებას და, მაშასადამე, განვითარების ყოველგვარ სხვადასხვაობას, ტალანტების განსხვავებას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნებას. ყოველი განცალკევებული გლეხის ოჯახი თავს თითქმის თვითონ იკმაყოფილებს, თვითონ აწარმოებს იმის უმეტეს ნაწილს, რასაც ხმარობს და ამნაირად თავის საარსებო საშუალებებს ის იძენს უფრო ბუნებასთან გაცვლაში, ვიდრე საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში. პარცელა, გლეხი და ოჯახი; გვერდით მეორე პარცელა, მეორე გლეხი და მეორე ოჯახი. ამ ერთეულების გროვა შეადგენს სოფელს, ხოლო სოფლების გროვა — დეპარტამენტს. ამნაირად, ფრანგი ერის უზარმაზარი მასა შესდგება თანამოსახელე ერთეულების უბრალო შეერთებით, როგორც, მაგალითად, კარტოფილით სავსე ტომარა წარმოადგენს ერთ ტომარა კარტოფილს» [«Der achtzehnte Brumaire des Louis Bonaparte», Hmb. 1885, S. 98 — 99. («ლუი ბონაპარტეს 18 ბრიუმერი», ჰამბურგი, 1885, გვ. 98 — 99. რ ე დ.)][88].

უდარებლად უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითეული თანრიგის, თვითეული კატეგორიის და თვითეული თემის შიგნით არსებული ეკონომიური განსხვავებანი. კაპიტალიზმი არღვევს ადგილობრივ კარჩაკეტილობას და შეზღუდულობას, მიწათმოქმედთა შუასაუკუნეობრივ წვრილ დაყოფას სცვლის მსხვილ დაყოფად, რომელიც მოიცავს მთელ ერს, სცვლის მიწათმოქმედთა კლასებად დაყოფად, რომლებსაც სხვადასხვანაირი ადგილი უჭირავთ კაპიტალისტური მეურნეობის საერთო სისტემაში *. თუ წინათ თვით წარმოების პირობები იწვევდნენ მიწათმოქმედთა მასის საცხოვრებელ ადგილზე მიმაგრებას, ახლა სავაჭრო და კაპიტალისტური მიწათმოქმედების სხვადასხვა ფორმებისა და რაიონების გაჩენას არ შეეძლო არ გამოეწვია მოსახლეობის უზარმაზარი მასების ადგილგადანაცვლება მთელ ქვეყანაში; მოსახლეობის უძრაობის დროს კი (როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული) წარმოუდგენელია მისი შეგნებულობისა და თვითმოქმედების განვითარება.

მეოთხეც, ბოლოს, სამიწათმოქმედო კაპიტალიზმმა რუსეთში პირველად გამოუთხარა ძირი შრომამიგებას და მიწათმოქმედის პირად დამოკიდებულებას. მეურნეობის შრომამიგებითი სისტემა განუსაზღვრელად ბატონობდა ჩვენს მიწათმოქმედებაში «რუსსკაია პრავდა»-დან მოკიდებული დღევანდლამდე — კერძომფლობელობითი ყანების გლეხური ინვენტარით დამუშავებამდე; მისი აუცილებელი თანამგზავრი იყო მიწათმოქმედის დაბეჩავებულობა და ველურობა; მიწათმოქმედი ქედმოხრილი იყო მისი შრომის თუ ბატონყმური არა,

* «კავშირის, გაერთიანების მოთხოვნილება კაპიტალისტურ საზოგადოებაში კი არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, განუზომლად გაიზარდა. მაგრამ ახალი საზოგადოების ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ძველი საზომის აღება სრული უაზრობაა. ეს ახალი საზოგადოება მოითხოვს უკვე, რომ, ჯერ ერთი, კავშირი არ იყოს ადგილობრივი, წოდებრივი, ჯგუფობრივი; მეორეც, რომ მისი ამოსავალი წერტილი იყოს მდგომარეობისა და ინტერესების ის განსხვავება, რომელიც შექმნილია კაპიტალიზმით და გლეხობის დაშლით» [ვ. ილინი, l. c., 91—92, შენიშ. (იხ. თხზულებანი, ტ. მე-2, გვ. 291. რ ე დ.)].

«ნახევრადთავისუფალი» ხასიათით მაინც; მიწათმოქმედის ერთგვარი მოქალაქობრივი არასრულუფლებიანობა რომ არა ყოფილიყო (როგორც, მაგალითად: დაბალი წოდებისადმი კუთვნილება; ფიზიკური სასჯელი; საზოგადოებრივ სამუშაოზე გაცემა; ნადელზე მიმაგრება და სხვ.), ისე შრომამიგებითი სისტემა წარმოუდგენელი იქნებოდა. ამიტომ შრომამიგების შეცვლა ნებით დაქირავებული შრომით სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის დიდი ისტორიული დამსახურებაა რუსეთში *. რეზიუმე რომ გავუკეთოთ ზემონათქვამს რუსეთის სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის პროგრესული ისტორიული როლის შესახებ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის განასაზოგადოებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. მართლაც, ის გარემოებაც, რომ მიწათმოქმედება უმაღლესი წოდების პრივილეგიიდან ან დაბალი წოდების ვალდებულებიდან ჩვეულებრივ სავაჭრო-სამრეწველო მოსაქმეობად გადაიქცა; ისიც, რომ მიწათმოქმედის შრომის პროდუქტი დაექვემდებარა საზოგადოებრივ აღრიცხვას ბაზარზე; ისიც, რომ რუტინული, ერთგვაროვანი მიწათმოქმედება სავაჭრო მიწათმოქმედების ტექნიკურად გარდაქმნილ და სხვადასხვანაირ ფორმებად იქცევა; ისიც, რომ ინგრევა წვრილი მიწათმოქმედის ადგილობრივი კარჩაკეტილობა და დაქუცმაცებულობა; ისიც, რომ კაბალისა და პირადი დამოკიდებულების სხვადასხვანაირი ფორმები იდევნება სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის უპიროვნო გარი-

* ბ-ნ ნ.—ონის ურიცხვ ჩივილსა და ოხვრაში კაპიტალისტური მსხვრევის გამო, რაც ჩვენში ხდება, ერთი რამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: «...არც საუფლისწულო არეულობა. არც თათრობა არ შეხებიან ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ფორმებს» («ნარკვევები», გვ. 284), მხოლოდ კაპიტალიზმმა გამოიჩინა «ათვალწუნებითი დამოკიდებულება საკუთარი ისტორიული წარსულისადმი» (283). წმინდა ჭეშმარიტებაა! სწორედ იმიტომაა რუსეთის მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმი პროგრესული, რომ მან გამოიჩინა «ათვალწუნებითი დამოკიდებულება» შრომამიგებისა და კაბალის «ძველისძველი», «საუკუნეობით ნაკურთხი» ფორმებისადმი, რომელთა მოსპობა მართლაც ვერ შესძლო ვერავითარმა პოლიტიკურმა ქარტეხილმა, ვერც «საუფლისწულო არეულობამ» და ვერც «თათრობამ».

გებით, — ყველაფერი ეს რგოლებია ერთი პროცესისა, რომელიც სამიწათმოქმედო შრომას განასაზოგადოებს და უფრო და უფრო ამწვავებს წინააღმდეგობას საბაზრო რყევათა ანარქიასა, ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ინდივიდუალურ ხასიათსა და მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების კოლექტიურ ხასიათს შორის.

ამნაირად (ერთხელ კიდევ ვიმეორებთ), როცა ჩვენ ხაზს ვუსვამთ კაპიტალიზმის პროგრესულ ისტორიულ როლს რუსეთის მიწათმოქმედებაში, სრულიადაც არ გვავიწყდება არც ამ ეკონომიური რეჟიმის ისტორიულად გარდამავალი ხასიათი და არც მისი დამახასიათებელი ღრმა საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი. პირიქით, ჩვენ ზემოთ ცხადვყავით, რომ სწორედ ნაროდნიკები, რომელთაც კაპიტალისტური «მსხვრევის» გამო მხოლოდ ცრემლების დაღვრა იციან, ძალიან ზერელედ აფასებენ ამ წინააღმდეგობებს, ჩქმალავენ გლეხობის დაშლას, უგულებელჰყოფენ ჩვენს მიწათმოქმედებაში მანქანების გამოყენების კაპიტალისტურ ხასიათს და სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშების კლასის გაჩენას ჩქმალავენ ისეთი გამოთქმებით, როგორიცაა «სამიწათმოქმედო სარეწები» ან «საშოვრები».

X. ნაროდნიკული თეორიები კაპიტალიზმის შესახებ მიწათმოქმედებაში. «ზამთრის დროის განთავისუფლება»

ზემომოყვანილ დადებით დასკვნებს კაპიტალიზმის მნიშვნელობის შესახებ საჭიროა დავუმატოთ ამ საკითხზე ჩვენს ლიტერატურაში გავრცელებული ზოგიერთი განსაკუთრებული «თეორიის» გარჩევა. ჩვენებურმა ნაროდნიკებმა უმეტეს შემთხვევაში სრულიად ვერ შესძლეს მოენელებინათ მარქსის ძირითადი შეხედულებანი სამიწათმოქმედო კაპიტალიზმზე. მათგან უფრო გულახდილნი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ მარქსის თეორია არ მოიცავს მიწათმოქმედებასო (ბ-ნი ვ. ვ. «ჩვენს მიმართულებებში»), მაშინ როცა სხვები (როგორც, მაგალითად, ბ-ნი ნ.—ონი) ამჯობინებდნენ დიპლომატიურად გვერდი აევლოთ საკითხისთვის, თუ რანაირი **დამოკი-**

დებულება არსებობს მათ შეხედულებათა «სისტემასა» და მარქსის თეორიას შორის. ნაროდნიკ-ეკონომისტთა შორის ერთ-ერთ ასეთ ყველაზე უფრო გავრცელებულ შეხედულებას წარმოადგენს «ზამთრის დროის განთავისუფლების» თეორია. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში *.

კაპიტალისტური წყობილობის დროს მიწათმოქმედება ხდება მრეწველობის განსაკუთრებულ დარგად, რომელიც სხვა დარგებთან არ არის დაკავშირებული. ამავე დროს მას სჭირდება არა მთელი წელიწადი, არამედ მხოლოდ 5—6 თვე. ამიტომ მიწათმოქმედების კაპიტალიზაცია იწვევს «ზამთრის დროის განთავისუფლებას», «მიწათმოქმედი კლასის სამუშაო დროის განსაზღვრას სამუშაო წლის ნაწილით», რაც «მიწათმოქმედი კლასების სამეურნეო მდგომარეობის გაუარესების» (ნ. —ონი, 229), «შინაური ბაზრის შემცირების» და საზოგადოების «საწარმოო ძალთა გაფლანგვის» «ძირითად მიზეზს» წარმოადგენს (ბ-ნი ვ. ვ.).

აი მთელი ეს ყბადაღებული თეორია, რომელიც ყველაზე ფართო ისტორიულ-ფილოსოფიურ დასკვნებს მარტოოდენ იმ დიად ჭეშმარიტებაზე ამყარებს, რომ მუშაობა მიწათმოქმედებაში მთელი წლის მანძილზე მეტისმეტად არათანაბრად ნაწილდება! მარტო ამ ერთი მხარის აღება, აბსტრაქტულ მოსაზრებათა დახმარებით მისი აბსურდამდე დაყვანა, იმ რთული პროცესის ყველა დანარჩენი თავისებურების უკუგდება, რომელიც პატრიარქალურ მიწათმოქმედებას კაპიტალისტურ მიწათმოქმედებად აქცევს, — ასეთია უბრალო ხერხები ამ უახლესი ცდისა — აღადგინონ რომანტიკული მოძღვრებანი წინაკაპიტალისტური «სახალხო წარმოების» შესახებ.

რათა ცხადვყოთ, თუ რა წარმოუდგენლად ვიწროა ეს აბსტრაქტული აღნაგობა, ჩვენ მოკლედ მივუთითებთ ნამდვილი პროცესის იმ მხარეებზე, რომლებსაც ან

* ვ. ვ. «თეორიული ეკონომიის ნარკვევები», გვ. 108 და შემდ. ნ. — ო ნ ი. «ნარკვევები», გვ. 214 და შემდ. იგივე იდეები აქვს გატარებული ბ-ნ კაბლუკოვს: «ლექციები სოფლის მეურნეობის ეკონომიის შესახებ», მ. 1897, გვ. 55 და შემდ.

სრულებით უყურადღებოდ სტოვებენ, ანდა საკმარისად არ აფასებენ ჩვენი ნაროდნიკები. ჯერ ერთი, რაც უფრო შორს მიდის მიწათმოქმედების სპეციალიზაცია, მით უფრო მეტად კლებულობს მიწათმოქმედი მოსახლეობა და იქცევა მთელი მოსახლეობის უფრო და უფრო მცირე ნაწილად. ნაროდნიკებს ავიწყდებათ ეს, ამავე დროს კი მიწათმოქმედების სპეციალიზაცია თავის აბსტრაქციაში მათ ისეთ დონემდე დაჰყავთ, რომელსაც მიწათმოქმედება ნამდვილად თითქმის არსად არ აღწევს. მათ ჰგონიათ, რომ მრეწველობის ცალკეულ დარგად გადაიქცნენ მხოლოდ პურეულის თესვის და აღების ოპერაციები; ნიადაგის დამუშავება და გაპოხიერება, პროდუქტის დამუშავება და გადაზიდვა, მესაქონლეობა, მეტყეველობა, ნაგებობათა და ინვენტარის რემონტი და სხვ. და სხვ. — ყველაფერი ეს გადაიქცა მრეწველობის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ კაპიტალისტურ დარგებად. ამგვარი აბსტრაქციების თანამედროვე სინამდვილესთან შეფარდება ბევრს არაფერს იძლევა მის გამოსარკვევად. მეორეც, მიწათმოქმედების ასეთი სრული სპეციალიზაციის ვარაუდი განაპირობებს მიწათმოქმედების წმინდა კაპიტალისტურ ორგანიზაციას, ფერმერ-კაპიტალისტებისა და დაქირავებული მუშების სრულ გათიშვას. ასეთ პირობებში «გლეხზე» ლაპარაკი (როგორც ამას სჩადის ბ-ნი ნ. — ონი, გვ. 215) ულოგიკობის უაღრესი ნიმუშია. მიწათმოქმედების წმინდა კაპიტალისტური ორგანიზაცია, თავის მხრით, გულისხმობს სამუშაოთა უფრო თანაბარ განაწილებას წლის განმავლობაში (ნაყოფთა ცვლის, რაციონალური მესაქონლეობის და სხვ. გამო), ბევრ შემთხვევაში პროდუქტის ტექნიკური დამუშავების შეერთებას მიწათმოქმედებასთან, დიდძალი შრომის დახარჯვას ნიადაგის წინასწარ მოსამზადებლად და სხვ.* მესამეც, კაპიტალიზმი

* ჩვენი ნათქვამი ლიტონ სიტყვად რომ არ დარჩეს, მოვიყვანთ მაგალითებს ჩვენი კერძომფლობელობითი ბეურნეობებიდან, რომელთა ორგანიზაცია უფრო უახლოვდება წმინდა კაპიტალისტურ ტიპს. ავიღოთ ორიოლის გუბერნია («კრომის მაზრის საერობო-სტატისტიკური კრებული», ტ. VI, ნაკვ. 2. ორიოლი, 1892). აზნაურ ხლიუსტინის მამული შეიცავს 1 129 დესეტინას

გულისხმობს სამიწათმოქმედო და სამრეწველო საწარმოთა ერთმანეთისაგან სრულ განცალკევებას. მაგრამ საიდან გამომდინარეობს, რომ ეს განცალკევება შეუძლებლად ხდის სამიწათმოქმედო და სამრეწველო დაქირავებული მუშაობის შეერთებას? ყოველ განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჩვენ ვხედავთ ასეთ შეერთებას. კაპიტალიზმი დახელოვნებულ მუშებს გამოჰყოფს უბრალო, შავი მუშებისაგან, რომლებიც ერთი სამუშაოდან მეორეზე გადადიან, ხან რომელიმე მსხვილ საწარმოში მუშაობენ და ხან კი

562 სახნავ-სათესია, 8 შენობა, სხვადასხვანაირი გაუმჯობესებული იარაღები. ხელოვნური ბალახთესვა. ცხენსაშენი. პირუტყვის მოშენება. ჭაობების გაშრობა თხრილების გაყვანით და დრენაჟით («ჭაობების გაშრობა წარმოებს უმეტეს ნაწილად თავისუფალ დროს», გვ. 146). ზაფხულობით მუშების რიცხვია 50 — 80 კაცი დღეში, ზამთრობით — 30 კაცამდე. 1888 წელს იყო 81 მუშა, მათგან — 25 ზაფხულისა. 1889 წ. მუშაობდა 19 დურგალი. — გრაფ რიბოპიერის მამული. 3 000 დეს. — 1 293 სახნავ-სათესი, 898 — გლეხებზე იჯარით გაცემული. 12-მინდვრიანი თესლბრუნვა. ტორფის დამუშავება მიწის გასაპოხიერებლად, ფოსფორიტების მოპოვება. 1889 წლიდან შემოღებულია საცდელი ნაკვეთი — 30 დესეტინა. ნაკელის გატანა ზამთარში და გაზაფხულზე. ბალახის თესვა. ტყის წესიერი ექსპლოატაცია (რაზედაც მუშაობს 200 — 300 ტყისმჭრელი ოქტომბრიდან მარტამდე). რქიანი პირუტყვის მოშენება. სარძეო მეურნეობა. მოსამსახურეთა რიცხვი 1888 წ. — 90, მათგან 34 — ზაფხულისა.— მენშჩიკოვის მამული მოსკოვის გუბერნიაში («კრებული», ტ. V, ნაკვ. 2) 23 000 დეს. მუშახელი — ჩამონაჭრების მიცემით და თავისუფალი დაქირავებით. სატყეო მეურნეობა. «ზაფხულობით ცხენები და მუდმივი მუშები ყანების ახლოს არიან დასაქმებულნი, გვიან შემოდგომაზე და ნაწილობრივ ზამთრობით ზიდავენ კარტოფილს და სახამებელს საშრობში და სახამებლის ქარხანაში, ზიდავენ შეშას ტყიდან... სადგურზე; ყოველივე ამის გამო შრომა საკმაოდ თანაბრად არის განაწილებული წლის განმავლობაში» (გვ. 145), რაც ჩანს, სხვათა შორის, უწყისიდან, სადაც აღნიშნულია ნამუშევარი დღეების რაოდენობა თვეობით: ცხენის დღეები საშუალოდ 293 თვეში; რყევა: 223-დან (აპრილი) 362-მდე (ივნისი). მუშა მამაკაცის დღეები საშუალოდ — 216, რყევა: 126-დან (თებერვალი) 279-მდე (ნოემბერი). მუშა ქალის დღეები საშუალოდ — 23, რყევა: 13-დან (იანვარი) 27-მდე (მარტი). ჰგავს თუ არა ეს სინამდვილე იმ აბსტრაქციას, რომელზეც ჯახირობენ ნაროდნიკები?

უმუშევართა რიგებში ექცევიან *. რაც უფრო მეტად ვითარდება კაპიტალიზმი და მსხვილი ინდუსტრია, მით უფრო ძლიერდება საზოგადოდ მუშახელზე მოთხოვნის რყევა არა მხოლოდ მიწათმოქმედებაში, არამედ მრეწველობაშიც **. ამიტომ, როცა ჩვენ ვგულისხმობთ კაპიტალიზმის მაქსიმალურ განვითარებას, უნდა ვიგულისხმოთ მუშების სამიწათმოქმედო სამუშაოებიდან არასამიწათმოქმედო სამუშაოებზე გადასვლის უაღრესად გაადვილება, უნდა ვიგულისხმოთ საერთო სარეზერვო არმიის გაჩენა, საიდანაც კრებენ მუშა-ძალას ყოველგვარი მეწარმენი. მეოთხეც. თუ ჩვენ ავიღებთ თანამედროვე სოფლის მეწარმეებს, არ შეიძლება, რა თქმა უნდა, იმის უარყოფა, რომ ისინი ხანდახან განიცდიან სიძნელეებს მეურნეობისათვის მუშა-ძალის შოვნაში. მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ მათ საშუალება აქვთ მიაჯაჭვონ მუშები თავის მეურნეობას, სახელდობრ, მათთვის მიწის მცირე ნაკვეთების მიცემით და სხვ. ასეთი ნაკვეთის მქონე სასოფლო-სამეურნეო მოჯამაგირე ან დღიური მუშის ტიპია, რომელიც ახასიათებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას. ნაროდნიკების ერთ-ერთი მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი

* მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა ჰქმნის მოხეტიალე მუშათა კლასს. ის სოფლის მოსახლეობიდან გამოდის, მაგრამ განსაკუთრებით სამრეწველო სამუშაოებს ასრულებს. «ესაა კაპიტალის მსუბუქი ინფანტერია, რომელსაც კაპიტალი თავისი საჭიროების მიხედვით ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაისვრის... მოხეტიალე მუშებს იყენებენ სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებზე, დრენაჟისათვის, აგურის წარმოებაში, კირის საწვავად, რკინიგზებზე სამუშაოდ და სხვ.» («Das Kapital», I³, S. 692)[89]. «საზოგადოდ ისეთ მსხვილ საწარმოებს, როგორიცაა რკინიგზები, მუშათა ბაზრიდან მიჰყავთ განსაზღვრული რიცხვი მუშებისა, რომლებსაც იძლევა მხოლოდ ზოგიერთი დარგი, მაგალითად, სოფლის მეურნეობა...» (ibid., II. B., S. 303) [90].

** მაგ., მოსკოვის სანიტარული სტატისტიკის აღრიცხვით ამ გუბერნიაში 114 381 საფაბრიკო-საქარხნო მუშაა; ეს არსებული რიცხვია; უდიდესი რიცხვი უდრის 146 338, უმცირესი — 94 214 («საერთო ნაკრები» და სხვ., ტ. IV, ნაწ. 1, გვ. 98). პროცენტებში: 128% — 100% — 82 %. საზოგადოდ მუშათა რაოდენობის რყევის გაძლიერებით, კაპიტალიზმი ამ მხრივაც სპობს განსხვავებას მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის.

უგულებელჰყოფენ ამგვარივე ტიპის გაჩენას რუსეთში. მეხუთეც. სრულიად არ არის სწორი, რომ მიწათმოქმედის ზამთრის დროის თავისუფლების საკითხი კაპიტალისტური ჭარბი მოსახლეობის საერთო საკითხისაგან დამოუკიდებლად დაისვას. უმუშევართა სარეზერვო არმიის გაჩენა საზოგადოდ ახასიათებს კაპიტალიზმს, და მიწათმოქმედების თავისებურებანი მხოლოდ განაპირობებენ ამ მოვლენის განსაკუთრებულ ფორმებს. ამიტომ არის, რომ, მაგალითად, «კაპიტალის» ავტორი მიწათმოქმედებაში სამუშაოთა განაწილების საკითხს ეხება «შედარებით ჭარბი მოსახლეობის» საკითხთან დაკავშირებით *, აგრეთვე სპეციალურ თავში «სამუშაო პერიოდისა» და «წარმოების დროის» განსხვავების შესახებ («Das Kapital», II. B., მე-13 თავი). სამუშაო პერიოდად იწოდება ის დრო, რომლის განმავლობაში პროდუქტი განიცდის შრომის ზემოქმედებას; წარმოების დრო ის დროა, რომლის განმავლობაში პროდუქტი იმყოფება წარმოებაში, იმ პერიოდის ჩათვლითაც, როცა ის შრომის ზემოქმედებას არ განიცდის. სამუშაო პერიოდი არ ემთხვევა წარმოების დროს მრეწველობის ძალიან ბევრ დარგში, რომელთა შორის მიწათმოქმედება არის მხოლოდ ყველაზე ტიპიური, მაგრამ არა ერთადერთი **. სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით რუსეთში ეს

* მაგალითად, ინგლისის სამიწათმოქმედო ურთიერთობათა შესახებ მარქსი ამბობს: «სოფლის მუშა ყოველთვის ძალიან ბევრია მიწათმოქმედების საშუალო მოთხოვნილებებთან შედარებით და ძალიან ცოტაა მისი განსაკუთრებული და დროებითი მოთხოვნილებებისათვის» (I², 725), ასე რომ, მიუხედავად მუდმივი «შედარებითი ჭარბი მოსახლეობისა», სოფელი საკმარისად დასახლებული არ არის ხოლმე. რამდენადაც კაპიტალისტური წარმოება ეუფლება მიწათმოქმედებას, — ამბობს მარქსი სხვა ადგილას, — იმდენად ჩნდება ჭარბი სოფლის მოსახლეობა. «სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი ყოველთვის გარდამავალ მდგომარეობაში იმყოფება, ის მზადაა გადაიქცეს ქალაქურ ან მანუფაქტურულ მოსახლეობად» (ib., 668) [91]; მოსახლეობის ეს ნაწილი მუდამ იტანჯება უმუშევრობისაგან; მისი მოსაქმეობა მეტისმეტად არარეგულარულია და ყველაზე უფრო ნაკლებად ფასობს (მაგ., შინშუშაობა მაღაზიებისათვის და სხვ.).

** განსაკუთრებით აღსანიშნავია ამასთან მარქსის შენიშვნა, რომ მიწათმოქმედებაშიც არის საშუალებანი შრომის მოთხოვნილების «უფრო თანაბრად განაწილებისა წლის განმავლობაში», სახელდობრ, უფრო სხვადა-

განსხვავება მიწათმოქმედებაში სამუშაო პერიოდსა და წარმოების დროს შორის განსაკუთრებით დიდია. «როცა კაპიტალისტური წარმოება ამთავრებს მანუფაქტურის მიწათმოქმედებისაგან გამოყოფას, — სოფლის მუშა სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება სრულიად შემთხვევითი გარეშე სამუშაოსაგან, და მისი მდგომარეობა ამის გამო უარესდება. კაპიტალისთვის... ბრუნვის პროცესში ყოველნაირი განსხვავება ისპობა, მუშისთვის კი — არა» (ib., 223 — 224) [92]. ამნაირად, ერთადერთი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ამ მხრივ მიწათმოქმედების თავისებურებათაგან, არის ის, რომ მიწათმოქმედი მუშის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი უნდა იყოს, ვიდრე მრეწველობის მუშისა. აქედან ჯერ კიდევ ძალიან შორსაა ბ-ნ ნ. —ონის «თეორიამდე», რომლის მიხედვითაც ზამთრის დროის განთავისუფლება არის «მიწათმოქმედი კლასების» (?!) მდგომარეობის გაუარესების «ძირითადი მიზეზი». სამუშაო პერიოდი ჩვენს მიწათმოქმედებაში რომ 12 თვეს უდრიდეს, — კაპიტალიზმის განვითარების პროცესი სწორედ ისეთივე იქნებოდა, როგორიც ახლა არის; მთელი განსხვავება გამოიხატებოდა მხოლოდ იმით, რომ მიწათმოქმედი მუშის მდგომარეობა რამდენადმე დაუახლოვდებოდა მრეწველობის მუშის მდგომარეობას *.

ამნაირად, ბბ. ვ. ვ.-ს. და ნ. —ონის «თეორია» სრულებით არაფერს არ იძლევა საზოგადოდ სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის განვითარების თუნდაც ზოგად საკითხზე. რუსეთის თავისებურებებს კი ის არათუ არკვევს, არამედ, პირიქით, აბუნდოვანებს. ზამთრობით ჩვენი გლეხობის უმუშევრობა დამოკიდებულია იმდენად კაპიტალიზმზე კი არა, რამდენადაც კაპიტალიზმის არასაკმაოდ განვითარებაზე. ჩვენ ზემოთ უკვე

სხვანაირი პროდუქტების წარმოება, სამმინდვრიანობის ნაყოფთა ცვლის სისტემით შეცვლა, ძირხვენა მცენარეების თესვა, ბალახთესვა და სხვ. მაგრამ ყველა ეს საშუალება «მოითხოვს წარმოებაში დაბანდებული საბრუნავი კაპიტალის გადიდებას, რომელიც იხარჯება ხელფასზე, გაპოხიერებაზე, თესლზე და სხვ.» (ibid., S. 225 — 226).

* ვამბობთ «რამდენადმე», რადგან მიწათმოქმედი მუშის მდგომარეობა არა მხოლოდ მუშაობის არარეგულარობის გამო უარესდება.

ცხადვყავით (ამ თავის IV §), ხელფასის მონაცემების შემწეობით, რომ ველიკოროსულ გუბერნიათა შორის ზამთრობით ყველაზე მეტი უმუშევრობით განირჩევიან ის გუბერნიები, სადაც კაპიტალიზმი ყველაზე ნაკლებად არის განვითარებული და სადაც შრომამიგება სჭარბობს. და ეს სავსებით გასაგებია. შრომამიგება აფერხებს შრომის ნაყოფიერების განვითარებას, აფერხებს მრეწველობისა და მიწათმოქმედების განვითარებას, მაშასადამე, მუშა-ძალის მოთხოვნის განვითარებასაც, და, ამავე დროს, ნადელზე გლეხის მიმაგრების გამო, არ უზრუნველჰყოფს მისთვის არც სამუშაოს ზამთარში, არც თავისი უმნიშვნელო მიწათმოქმედებით არსებობის შესაძლებლობას.

XI. გაგრძელება. — თემი. — მარქსის შეხედულებანი წვრილ მიწათმოქმედებაზე. — ენგელსის აზრი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კრიზისის შესახებ

«თემური საწყისი ხელს უშლის კაპიტალის მიერ სამიწათმოქმედო წარმოების დაპყრობას» — ასე გამოთქვამს ბ-ნი ნ. —ონი (გვ. 72) მეორე გავრცელებულ ნაროდნიკულ თეორიას, რომელიც ისევე აბსტრაქტულად არის აგებული, როგორც პირველი. II თავში ჩვენ მოვიყვანეთ მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ცხადჰყოფენ ამ მოარული დებულების მცდარობას. ახლა კი დავუმატებთ შემდეგს. საზოგადოდ შეცდომაა ფიქრი, რომ თვით სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის წარმოშობისათვის საჭირო იყოს მიწათმფლობელობის გარკვეული განსაკუთრებული ფორმა. «ის ფორმა, რომელშიც უსწრებს წარმოების ახალჩასახული კაპიტალისტური წესი მიწის საკუთრებას, არ შეეფერება ამ წესს. მისი შესაფერი ფორმა პირველად იქმნება მის მიერვე კაპიტალისადმი მიწათმოქმედების დამორჩილების საშუალებით; ამნაირად, ფეოდალური მიწის საკუთრებაც, კლანური საკუთრებაც და წვრილი გლეხური საკუთრებაც საადგილმამულო თემითურთ * (Markge-

* სხვა ადგილას მარქსი აღნიშნავს, რომ «თემური საკუთრება (Gemeineigentum) ყველგან პარცელური [წვრილი] მიწათმოქმედების დამატებას წარმოადგენს» («Das Kapital», III, 2, 341) [98].

meinschaft) გარდაიქმნებიან ეკონომიურ ფორმად, რომელიც შეეფერება წარმოების ამ წესს, რამდენადაც არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან მათი იურიდიული ფორმები» («Das Kapital», III, 2, 156). ამნაირად, თვით საქმის არსის გამო, მიწათმფლობელობის არავითარ თავისებურებას არ ძალუძს გადაულახავი დაბრკოლება შეუქმნას კაპიტალიზმს, რომელიც იღებს სხვადასხვა ფორმას, სხვადასხვანაირ სასოფლო-სამეურნეო, იურიდიული და ყოფაცხოვრებითი პირობების მიხედვით. აქედან ცხადია, თუ რამდენად შემცდარი იყო თვით საკითხის დ ა ყ ე ნ ე ბ ა ჩვენი ნაროდნიკების მიერ, რომლებმაც მთელი ლიტერატურა შეჰქმნეს თემაზე: «თემი თ უ კაპიტალიზმი?». თუ ვინმე ბრწყინვალე ანგლომანი დანიშნავდა პრემიას რუსეთში ფერმერობის შემოღების შესახებ დაწერილი საუკეთესო თხზულებისათვის, ან რომელიმე მეცნიერული საზოგადოება გამოვიდოდა გლეხების ხუტორებად დასახლების პროექტით, ან რომელიმე მოცლილი მოხელე შეთხზავდა პროექტს 60-დესეტინიანი ნაკვეთების შესახებ, — ნაროდნიკი იჩქაროდა მიეღო გამოწვევა და გამოეცხადებინა ბრძოლა ამ «ბურჟუაზიული პროექტების» წინააღმდეგ, «კაპიტალიზმის შემოღებისა» და «სახალხო წარმოების» პალადიუმის — თემის დანგრევის წინააღმდეგ. ამ გულუბრყვილო ნაროდნიკს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ სანამ ყოველგვარ პროექტებს თხზავდნენ და უარყოფდნენ, კაპიტალიზმი თავისი გზით მიდიოდა და თემური სოფელი იქცეოდა და კიდეც გადაიქცა * წვრილი აგრარიების სოფლად.

* თუ გვეტყვიან, რომ ჩვენ ასეთი მტკიცებით წინ გავრბივართ, ამაზე ვუპასუხებთ შემდეგს. იმის წინაშე, ვისაც სურს რომელიმე ცოცხალი მოვლენა მის განვითარებაში წარმოიდგინოს, გარდუვალად და აუცილებლად დგება დილემა: ან წინ გასწრება, ან ჩამორჩენა. შუა ადგილი აქ არ არის. და თუ ყველა ცნობა მოწმობს, რომ საზოგადოებრივი ევოლუციის ხასიათი სწორედ ისეთია, რომ ეს ევოლუცია უკვე ძალიან შორს წასულა (იხ. II თავი), თუ ამასთან ზუსტად არის ნაჩვენები ის გარემოებანი და დაწესებულებანი, რომელნიც ამ ევოლუციას აფერხებენ (უზომოდ დიდი გამოსაღები, გლეხობის წოდებრივი კარჩაკეტილობა, მიწის მობილიზაციის, მისვლა-მოსვლისა და გადასახლების სრული თავისუფლების უქონლობა), — მაშინ ამგვარ გასწრებაში არავითარი შეცდომა არ არის.

აი რატომ ვუყურებთ მეტად გულგრილად გლეხური მიწათმფლობელობის ფორმის საკითხს. როგორიც უნდა იყოს მიწათმფლობელობის ეს ფორმა, ამით სოფლის ბურჟუაზიის დამოკიდებულება სოფლის პროლეტარიატისადმი არსებითად სრულებით არ შეიცვლება. ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხი ეხება სულაც არა მიწათმფლობელობის ფორმას, არამედ წმინდა შუასაუკუნეობრივი სიძველის იმ ნაშთებს, რომლებიც ისევ აწევს გლეხობას: გლეხურ საზოგადოებათა წოდებრივი კარჩაკეტილობა, ურთიერთთავდებობა, გლეხური მიწის უზომო გადასახადებით დაბეგვრა, რომელიც სრულებით არ შეედრება კერძომფლობელობითი მიწების დაბეგვრას, გლეხური მიწების მობილიზაციის, გლეხობის მიმოსვლისა და გადასახლების სრული თავისუფლების უქონლობა*. ყველა ეს მოძველებული წესი სრულებითაც არ იცავს გლეხობას დაშლისაგან და მხოლოდ ამრავლებს შრომამიგებისა და კაბალის სხვადასხვანაირ ფორმებს და დიდად აფერხებს მთელ საზოგადოებრივ განვითარებას.

დასასრულ, უნდა შევჩერდეთ ნაროდნიკების ორიგინალურ ცდაზე — «კაპიტალის» III ტომში მარქსისა და ენგელსის მიერ გაკეთებული ზოგიერთი განცხადება განმარტონ თავიანთი აზრების სასარგებლოდ, რომ წვრილ მიწათმოქმედებას უპირატესობა აქვს მსხვილთან შედარებით და რომ სამიწათმოქმედო კაპიტალიზმი პროგრესულ ისტორიულ როლს არ ასრულებსო. ამ მიზნით ისინი უფრო ხშირად იმოწმებენ «კაპიტალის» III ტომიდან შემდეგ ადგილს:

«ისტორიის მორალი, — რომლის გამოყვანა აგრეთვე შეესაძლებელია, თუკი მიწათმოქმედებას სხვა თვალსაზრისით განვიხილავთ, — იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალისტური სისტემა ეწინააღმდეგება რაციონალურ მიწათმოქმედებას, ანდა რომ რაციონალური მიწათმოქმედება შეუთავსებელია

* ნაროდნიკების მიერ ზოგიერთი ამ წესის დაცვაში განსაკუთრებული სიაშკარავით მჟღავნდება მათი შეხედულებების რეაქციული ხასიათი, რომელნიც მათ თანდათან უფრო და უფრო აახლოებენ აგრარიებთან.

კაპიტალისტურ სისტემასთან (თუმცა ეს უკანასკნელი ხელს უწყობს მის ტექნიკურ განვითარებას) და მოითხოვს ან წვრილი, თავის შრომით მცხოვრები (selbst arbeitenden) გლეხის ხელს, ანდა შეკავშირებულ მწარმოებელთა კონტროლს» (III, 1, 98. რუს. თარგ., 83) [94].

რა გამომდინარეობს ამ მტკიცებიდან (რომელიც, სხვათა შორის, წარმოადგენს სრულებით ცალკე ნაწყვეტს, მოხვედრილს იმ თავში, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ნედლეულის ფასების შეცვლა მოგებაზე და არა VI განყოფილებაში, სადაც სპეციალურად მიწათმოქმედებაზეა ლაპარაკი)? კაპიტალიზმი რომ შეუთავსებელია მიწათმოქმედების (და აგრეთვე მრეწველობის) რაციონალურად დაყენებასთან, — ეს დიდი ხანია ცნობილია, და ნაროდნიკებთან დავა ამის გამო როდი წარმოებს. მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის პროგრესულ ისტორიულ როლს კი მარქსმა აქ სპეციალურად გაუსვა ხაზი. კიდევ რჩება მარქსის მითითება «წვრილ, თავისი შრომით მცხოვრებ გლეხზე». არც ერთ ნაროდნიკს, რომელსაც კი დაუმოწმებია ეს მითითება, არ შეუწუხებია თავი აეხსნა, თუ როგორ ესმის ის მარქსს, არ ცდილა ეს მითითება დაეკავშირებინა, ერთი მხრით, კონტექსტთან და, მეორე მხრით, მარქსის საერთო მოძღვრებასთან წვრილ მიწათმოქმედებაზე. «კაპიტალის» ციტირებულ ადგილას ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ძლიერ ირყევა ნედლი მასალის ფასები, თუ როგორ არღვევს ეს რყევა წარმოების პროპორციულობასა და სისტემატურობას, თუ როგორ არღვევს მიწათმოქმედების შესაბამისობას მრეწველობასთან. მხოლოდ ამ მხრივ — წარმოების პროპორციულობის, სისტემატურობისა და გეგმიანობის მხრივ — უთანასწორებს მარქსი წვრილ გლეხურ მეურნეობას «შეკავშირებულ მწარმოებელთა» მეურნეობას. ამ მხრივ შუა საუკუნეთა წვრილი მრეწველობაც კი (ხელოსნობა) წააგავს «შეკავშირებულ მწარმოებელთა» მეურნეობას (შეად. «Misère de la philosophie», ციტირ. გამოცემა, p. 90) [95], კაპიტალიზმი კი საზოგადოებრივი მეურნეობის ორივე ამ

სისტემისაგან განირჩევა წარმოების ანარქიით. სადაური ლოგიკით შეიძლება აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ მარქსი წვრილი მიწათმოქმედების სიცოცხლისუნარიანობას აღიარებდა*, რომ ის არ ცნობდა მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის პროგრესულ ისტორიულ როლს? აი რას ამბობს მარქსი ამ საკითხზე სპეციალურ განყოფილებაში მიწათმოქმედების შესახებ, სპეციალურ პარაგრაფში წვრილი გლეხური მეურნეობის შესახებ (თავი 47, § V):

«მიწის წვრილი საკუთრება, თვით თავისი ბუნების გამო, უარჰყოფს შრომის საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარებას, შრომის საზოგადოებრივ ფორმებს, კაპიტალების საზოგადოებრივ კონცენტრაციას, მსხვილი მასშტაბით მესაქონლეობას, მეცნიერების პროგრესულ გამოყენებას.

მევახშეობამ და გადასახადების სისტემამ ის ყველგან დაღუპვამდე უნდა მიიყვანოს. მიწის საყიდლად კაპიტალის მოხმარება ნიშნავს ამ კაპიტალის წართმევას აგრიკულტურისათვის. წარმოების საშუალებათა უსაზღვრო დაქსაქსვა და თვით მწარმოებლების განკერძოება. ადამიანის ძალის უზომო გაფლანგვა. წარმოების პირობების პროგრესული გაუარესება და წარმოების საშუალებათა გაძვირება — აუცილებელი კანონია წვრილი საკუთრებისა. წარმოების ასეთი წესისათვის მოსავლიანი წლები უბედურებაა» (III, 2, 341—342. რუს. თარგ., 667)[97].

«მიწის წვრილი საკუთრება გულისხმობს, რომ მოსახლეობის უზარმაზარი უმრავლესობა ცხოვრობს სოფლებში, რომ სჭარბობს არა საზოგადოებრივი, არამედ განკერძოებული შრომა; რომ აქ, მაშასადამე, გამორიცხულია რეპროდუქციის სხვადასხვაობა და განვითარება, ე. ი. მისი მატე-

* გავიხსენოთ, რომ ენგელსმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე და იმ დროს, როცა მიწათმოქმედების კრიზისი ფასების დაცემასთან დაკავშირებით სავსებით გამოაშკარავდა, საჭიროდ მიიჩნია გადაჭრით გაელაშქრნა ფრანგი «მოწაფეების» წინააღმდეგ, რომლებიც ზოგიერთ დათმობაზე წავიდნენ წვრილი მიწათმოქმედების სიცოცხლისუნარიანობის დოქტრინის მიმართ [96].

რიალური და სულიერი პირობების განვითარება, გამორიცხულია რაციონალური კულტურის პირობები» (III, 2, 347. რუს. თარგ., 672)[98].

ამ სტრიქონების ავტორი არათუ არ არიდებდა თვალს მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების დამახასიათებელ წინააღმდეგობებს, არამედ, პირიქით, შეუბრალებლად ამხელდა მათ. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მას დაეფასებინა კაპიტალიზმის ი ს ტ ო რ ი უ ლ ი როლი.

« ...წარმოების კაპიტალისტური წესის ერთ-ერთი უდიდესი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ის, ერთი მხრით, მიწათმოქმედებას ემპირიული, მემკვიდრეობით მექანიკურად გარდამავალი და საზოგადოების ყველაზე განუვითარებელი ნაწილის მოსაქმეობიდან აქცევს აგრონომიის შეგნებულ და მეცნიერულ გამოყენებად, რამდენადაც ეს საზოგადოდ შესაძლებელია კერძო მიწათმფლობელობის პირობებში; რომ ის, ერთი მხრით, სრულებით აცალკევებს მიწათმფლობელობას ბატონობისა და მონობის ურთიერთობიდან, და, მეორე მხრით, სრულებით აცალკევებს მიწას, როგორც წარმოების პირობას, მიწათმფლობელობისა და მიწათმფლობელისაგან... ერთი მხრით, მიწათმოქმედების რაციონალიზაცია, რომელიც პირველად ჰქმნის მისი საზოგადოებრივი გაძღოლის შესაძლებლობას, — მეორე მხრით, მიწის საკუთრების აბსურდამდე მიყვანა, ასეთია წარმოების კაპიტალისტური წესის დიდი დამსახურება. როგორც ყველა სხვა მისი ისტორიული დამსახურება, ესეც შედეგია უშუალო მწარმოებელთა სრული გაღატაკებისა» (III, 2, 156—157. რუს. თარგ., 509—510)[99].

მარქსის განცხადებათა ასეთი კატეგორიულობის შემდეგ, თითქოს, შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს იმის შესახებ, თუ როგორ უყურებდა ის სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის პროგრესული ისტორიული როლის საკითხს. თუმცაღა, ბ-მა ნ.—ონმა კიდევ ერთი რამ მოიმიზეზა: მან მოიყვანა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კრიზისზე ენგელსის აზ-

რი, რომელიც, თითქოს, უარჰყოფს დებულებას მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის პროგრესული როლის შესახებ *.

ვნახოთ, რას ამბობს, ნამდვილად, ენგელსი. ის თავს უყრის მარქსის თეორიის მთავარ დებულებებს დიფერენციული რენტის შესახებ და ამყარებს იმ კანონს, რომ «რაც უფრო მეტი კაპიტალი ბანდდება მიწაში, რაც უფრო მაღალია მიწათმოქმედებისა და საზოგადოდ ცივილიზაციის განვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში, მით უფრო მაღლა იწევს რენტა — როგორც აკრობით, ისე რენტების მთელი ჯამი, მით უფრო კოლოსალურია ის ხარკი, რომელსაც საზოგადოება უხდის მსხვილ მიწათმფლობელებს დამატებითი მოგების ფორმით» («Das Kapital», III, 2, 258. რუს. თარგ., 597) [100]. ამ კანონით აიხსნებაო, — ამბობს ენგელსი, — იმ «მსხვილ მიწათმფლობელთა კლასის გასაოცარი გამძლეობა», რომელნიც იტვირთებიან აუარებელი ვალებით და მიუხედავად ამისა ყოველი კრიზისის დროს «ფეხზე დგებიან»,—მაგალითად, ინგლისში პურის კანონების გაუქმებამ, რომელმაც დასწია პურის ფასები, არათუ არ გააჩანაგა ლენდლორდები, არამედ, პირიქით, უაღრესად გაამდიდრა ისინი.

* იხ. «ნოვოე სლოვო», 1896 წ., № 5, თებერვალი, ბ-ნ ნ. —ონის წერილი რედაქციისადმი, გვ. 256 — 261. აქვეა «ციტატი» «ისტორიის მორალის» შესახებ. გასაკვირია, რომ არც ბ-ნ ნ. —ონს და არც სხვა ვისმეს იმ მრავალრიცხოვან ნაროდნიკ-ეკონომისტთა შორის, რომელნიც ცდილობდნენ თანამედროვე სამიწათმოქმედო კრიზისი დაემოწმებინათ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის პროგრესული ისტორიული როლის თეორიის დასარღვევად, არასოდეს არ დაუყენებიათ საკითხი პირდაპირ, განსაზღვრული ეკონომიური თეორიის ნიადაგზე; — არასოდეს არ მოუყვანიათ ის ძირითადი საბუთები, რომელთა გამოც მარქსმა სცნო სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის ისტორიული როლის პროგრესულობა, და გარკვევით არ დაუსახელებიათ, თუ ამ საბუთებიდან რომელს და რა მიზეზით უარჰყოფენ ისინი. როგორც ამ, ისე სხვა შემთხვევებშიც, ნაროდნიკ-ეკონომისტები ამჯობინებენ პირდაპირ კი არ გამოვიდნენ მარქსის თეორიის წინააღმდეგ, არამედ კმაყოფილდებიან ბუნდოვანი გადაკრული ლაპარაკით და «რუსი მოწაფეებისაკენ» თავის ქნევით. ამ თხზულებაში ჩვენ მხოლოდ რუსეთის ეკონომიკას ვეხებით, აღნიშნული საკითხის შესახებ კი ჩვენი მსჯელობის მოტივები ზემოთ გვქონდა მოყვანილი.

ამნაირად, შესაძლებელია ისეთი შთაბეჭდილება დაიბადოს, რომ თითქოს კაპიტალიზმს არ ძალუძს შეასუსტოს იმ მონოპოლიის ძალა, რომელსაც მიწის საკუთრება წარმოადგენს.

«მაგრამ მუდმივი არაფერი არ არის», — განაგრძობს ენგელსი. — ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის საოკეანო გემებმა, აგრეთვე ინდოეთის რკინიგზებმა გამოიწვიეს ახალი კონკურენტების გაჩენა. ჩრდილო ამერიკის პრერიებმა, არგენტინის ველებმა და სხვ. მსოფლიო ბაზარი იაფი პურით აავსეს. «და ამ კონკურენციის — ხელუხლები ველების ნიადაგის და აუტანლად დაბეგრილი რუსი და ინდოელი გლეხების კონკურენციის — წინააღმდეგ უკვე არ შეეძლო გაეძლო ევროპელ მოიჯარადრეს და გლეხს ძველი რენტით. ევროპის მიწების ერთმა ნაწილმა საბოლოოდ დაჰკარგა კონკურენციის ძალა მარცვლეული პურის წარმოებაში, რენტა ყველგან დაეცა, ევროპისათვის საერთო წესად გადაიქცა ჩვენი მე-2 შემთხვევა, მე-2 ვარიანტი, სახელდობრ: პურის ფასის თანდათანი დაცემა და დამატებითი კაპიტალის დაბანდების ნაყოფიერების თანდათანი დაცემა. აქედან წარმოსდგება აგრარიების გოდება, დაწყებული შოტლანდიიდან იტალიამდე და სამხრეთ საფრანგეთიდან აღმოსავლეთ პრუსიამდე. საბედნიეროდ, ჯერ ყველა ველი როდია დახნული; მათი სივრცე ჯერ კიდევ საკმარისია მთელი ევროპული მსხვილი მიწათმფლობელობის გასანადგურებლად, წვრილის დამატებით» (ib., 260. რუს. თარგ., 598; სიტყვა «საბედნიეროდ» გამოტოვებულია) [101].

თუ მკითხველმა ყურადღებით წაიკითხა ეს ადგილი, მისთვის აშკარა უნდა იყოს, რომ ენგელსი სწორედ იმის წინააღმდეგს ლაპარაკობს, რაც ბ-ნ ნ. — ონს სურს თავს მოახვიოს მას. ენგელსის აზრით, თანამედროვე მიწათმოქმედების კრიზისი დაბლა სწევს რენტას და სავსებით მოსპობასაც კი უქადის მას; ე. ი. სამიწათმოქმედო კაპიტალიზმი ახორციელებს მისთვის დამახასიათებელ ტენდენციას — მოსპოს მიწის საკუთრების მონოპოლია. არა, ჩვენს ბ-ნ ნ. — ონს «ციტატების» მხრივ პირდაპირ ბედი არ სწყალობს. სამიწათმოქმედო

კაპიტალიზმი კიდევ ერთ ახალ, უზარმაზარ ნაბიჯს დგამს წინ; ის უზომოდ აფართოებს მიწათმოქმედების პროდუქტების სავაჭრო წარმოებას მსოფლიო ასპარეზზე მთელი რიგი ახალი ქვეყნების გამოყვანით; ის სდევნის პატრიარქალურ მიწათმოქმედებას მისი უკანასკნელი თავშესაფრიდან, როგორიცაა ინდოეთი ან რუსეთი; ის ჰქმნის მიწათმოქმედებაში ჯერ არნახულ პურის ნამდვილ საფაბრიკო წარმოებას, დამყარებულს მუშათა მასების კოოპერაციაზე, რომელნიც აღჭურვილნი არიან ყველაზე უფრო გაუმჯობესებული მანქანებით; ის უკიდურესად ამწვავებს ძველი ევროპული ქვეყნების მდგომარეობას, ამცირებს რენტას, რითაც ძირს უთხრის თითქოს ყველაზე უფრო მკვიდრ მონოპოლიებს და მიწის საკუთრებას აქცევს «აბსურდად» არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც; ის ისეთი სიცხადით აყენებს სამიწათმოქმედო წარმოების განსაზოგადოების აუცილებლობის საკითხს, რომ ამ აუცილებლობას დასავლეთ ევროპაში შეძლებული კლასების წარმომადგენლებიც კი გრძნობენ *. და ენგელსი, მისი დამახასიათებელი მხნე ირონიით მ ი ე ს ა ლ მ ე ბ ა მსოფლიო კაპიტალიზმის უკანასკნელ ნაბიჯებს: საბედნიეროდ, — ამბობს ის, — ჯერ კიდევ საკმარისია დაუხნავად დარჩენილი ველები, რომ საქმე მომავალშიც ამნაირადვე წარიმართოსო. გულკეთილი ბ-ნი ნ. — ონი კი, à propos des bottes ** შენატრის ძველი დროის «მიწის მხვნელ-მთესველ გლეხს», «საუკუნეობით ნაკურთხს»... ჩვენი მიწათმოქმედების უძრაობას და სამიწათმოქმედო ჩაგვრის ყოველნაირ ფორმებს, რომელთა შერყევა ვერ შესძლო ვერც «საუფლისწულო არეულობამ და ვერც თათრობამ» და რომელთა უაღრესად გაბედული შერყევა, — ო, საშინელებავ! — დაიწყო ახლა ამ საოცარმა კაპიტალიზმმა! O, sancta simplicitas! ***

* განა დამახასიათებელი არ არის, მართლაც, ასეთი «დროების ნიშნები», როგორც ცნობილი Antrag Kanitz (კანიცის წინადადება. რ ე დ.) გერმანიის რაიხსტაგში [02], ან ამერიკელი ფერმერების გეგმა ყველა ელევატორის სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევისა?

** — უადგილო ადგილას. რ ე დ.

*** — ო, წმინდა უბრალოებავ! **რ ე დ.**

თ ა ვ ი V

კაპიტალიზმის პირველი სტადიები მრეწველობაში

გადავდივართ ახლა მიწათმოქმედებიდან მრეწველობაზე. ჩვენი ამოცანა აქაც ისეთია, როგორც მიწათმოქმედების მიმართ: ანალიზი უნდა გავუკეთოთ რეფორმისშემდეგ-დროინდელი რუსეთის მრეწველობის ფორმებს, ე. ი. შევისწავლოთ დამმუშავებელ მრეწველობაში არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა წყობა და ამ წყობის ევოლუციის ხასიათი. დავიწყოთ მრეწველობის ყველაზე უფრო მარტივი და პრიმიტიული ფორმებით და თვალი ვადევნოთ მათ განვითარებას.

I. შინამრეწველობა და ხელოსნობა

შინამრეწველობას ჩვენ ვუწოდებთ ნედლი მასალის გადამუშავებას იმავე მეურნეობაში (გლეხის ოჯახში), სადაც ეს მასალა მოპოვებულია. შინასარეწები შეადგენენ ნატურალური მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას; ამ მეურნეობის ნაშთები თითქმის ყოველთვის დაცულია იქ, სადაც წვრილი გლეხობაა. ამიტომ ბუნებრივია, რომ რუსულ ეკონომიურ ლიტერატურაში ვხვდებით არაერთგზის მითითებას ამგვარ მრეწველობაზე (სელის, კანაფის, ხის და სხვათა ნაწარმის შინ დამზადება საკუთარი მოხმარებისათვის). მაგრამ შინამრეწველობის რამდენადმე ფართოდ გავრცელება შეიძლება ახლანდელ დროში დადასტურდეს მხოლოდ იშვიათ, ყველაზე უფრო მიყრუებულ ადგილებში; მათ რიცხვს ეკუთვნოდა სულ უკანას-

კნელ დრომდე, მაგალითად, ციმბირი. მრეწველობა, როგორც პროფესია, ჯერ კიდევ არ არსებობს ამ ფორმით: სარეწი აქ განუყრელად დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან ერთ მთელში.

მრეწველობის პირველ ფორმას, რომელიც გამოეყოფა პატრიარქალურ მიწათმოქმედებას, წარმოადგენს ხელოსნობა, ე. ი. ნაწარმის დამზადება მომხმარებლის დაკვეთით *. ამავე დროს მასალა შეიძლება ეკუთვნოდეს მომხმარებელ-დამკვეთს ან ხელოსანს, ხოლო ხელოსნის შრომის ანაზღაურება ხდება ან ფულით, ანდა ნატურით (ხელოსნის სადგომი და შესანახი, პროდუქტის წილის მიცემა, მაგ., ფქვილისა და სხვ.). თუმცა ხელოსნობა ქალაქის ყოფაცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ის მნიშვნელოვნად არის გავრცელებული სოფლადაც და გლეხური მეურნეობის დამატების დანიშნულებას ასრულებს. სოფლის მოსახლეობის განსაზღვრულ პროცენტს შეადგენენ ხელოსანი-სპეციალისტები, რომლებიც (ხან მხოლოდ და მხოლოდ, ხან კი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით) ამუშავებენ ტყავს, კერავენ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს, ასრულებენ სამჭედლო სამუშაოს, ღებავენ შინაურ ქსოვილებს, ალამაზებენ გლეხურ მაუდს, ფქვავენ ხორბალს და სხვ. ჩვენი ეკონომიური სტატისტიკის მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო არავითარი ზუსტი ცნობები რუსეთში ხელოსნობის გავრცელების დონის შესახებ არ მოიპოვება, ცალკეული მითითებანი კი მრეწველობის ამ ფორმის შესახებ გაბნეულია გლეხური მეურნეობის თითქმის ყველა აღწერაში, ეგრეთწოდებული «შინამრეწველობის» ** გამოკვლევებში, შეგხვდებათ აგრეთვე

---

* Kundenproduktion. შეად. Karl Bücher, «Die Entstehung der Volkswirtschaft». Tüb. 1893 (დაკვეთით წარმოება. შეად. კარლ ბიუხერი, «სახალხო მეურნეობის წარმოშობა». ტიუბინგენი, 1893. რ ე დ.) [103].

** ნათქვამის დასადასტურებლად ციტატების მოყვანა აქ შეუძლებელია: შინამრეწველობის ყველა გამოკვლევაში აუარებელი მასალაა გაბნეული ხელოსნობის შესახებ, თუმცა — უფრო გავრცელებული აზრით — ხელოსნები შინამრეწველებს არ ეკუთვნიან. ჩვენ კიდევ არა ერთხელ

ოფიციალურ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაშიც*. საერობო სტატისტიკური კრებულები, როცა გლეხთა სარეწების რეგისტრაციას ახდენენ, ხანდახან გამოჰყოფენ «ხელოსანთა» ცალკე ჯგუფს (შეად. რუდნევი, I. c.), მაგრამ მას (გავრცელებული სიტყვახმარების გამო) ყველა მშენებელ მუშას მიაკუთვნებენ. პოლიტიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით ეს აღრევა ყოვლად მიუღებელია, რადგან მშენებელი მუშების მასა ეკუთვნის არა დამოუკიდებელ მრეწველთა კატეგორიას, რომლებიც მომხმარებელთა დაკვეთით მუშაობენ, არამედ დაქირავებულ მუშებს, რომლებსაც მოიჯარადრეები ამუშავებენ. რასაკვირველია, სოფლის ხელოსნის გარჩევა წვრილი საქონელმწარმოებლისაგან ან დაქირავებული მუშისაგან ყოველთვის როდია ადვილი; ამისთვის საჭიროა ყოველი წვრილი მრეწველის შესახები ცნობების ეკონომიური განხილვა. წვრილი მრეწველობის დანარჩენ ფორმებიდან ხელოსნობის მკაფიოდ გამოყოფის შესანიშნავ ცდას წარმოადგენს პერმის შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერის მონაცემთა დამუშავება**. ადგილობრივ სოფლის ხელოსანთა რაოდენობა დაახლოებით განისაზღვრა გლეხური მოსახლეობის

დავინახავთ, თუ რამდენად გამოურკვეველია ეს ტერმინი «შინამრეწველობა».

* ამ სტატისტიკის ქაოსური მდგომარეობა განსაკუთრებით ნათლად იმით სურათდება, რომ მას აქამდე არ შეუმუშავებია წესები, რომლებითაც შესაძლებელი იყოს სახელოსნო და საფაბრიკო-საქარხნო დაწესებულებათა გარჩევა. 60-იან წლებში, მაგალითად, უკანასკნელთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ სოფლის წმინდა ხელოსნური ტიპის სამღებროებს («ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული», ტ. I, გვ. 172 — 176), 1890 წ. — ერთმანეთში ურევდნენ გლეხთა მაუდსათელებს და მაუდის ფაბრიკებს (ო რ ლ ო ვ ი ს «ფაბრიკა-ქარხნების საძიებელი», მე-3 გამოც., გვ. 21) და სხვ. ასეთი აღრევისაგან არ არის თავისუფალი აგრეთვე უახლესი «ფაბრიკა-ქარხნების სია» (სპბ. 1897). იხ. მაგალითები ჩვენს «ეტიუდებში», გვ. 270—271. (იხ. თხზულებანი, ტომი 4, გვ. 13 — 14. რ ე დ.).

** ჩვენს «ეტიუდებში» ამ აღწერას ცალკე სტატია ვუძღვენით, გვ. 113 — 199. (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 435 — 566. რ ე დ.). პერმის «შინამრეწველთა» შესახებ ტექსტში მოყვანილი ყველა ფაქტი ამოღებულია ამ სტატიიდან.

ერთი პროცენტით, ამასთან (როგორც ეს მოსალოდნელიც იყო) ხელოსანთა უდიდესი პროცენტი აღმოჩნდა იმ მაზრებში, სადაც მრეწველობა ყველაზე ნაკლებად არის განვითარებული. წვრილ საქონელმწარმოებლებთან შედარებით ხელოსნები უფრო მტკიცედ არიან დაკავშირებულნი მიწასთან: 100 ხელოსანზე მოდის 80,6 მიწათმოქმედი (დანარჩენ «შინამრეწველთათვის» ეს პროცენტი ნაკლებია). ხელოსნებიც იყენებენ დაქირავებულ შრომას, მაგრამ ამგვარ მრეწველთა შორის ამას უფრო ნაკლებად ვხვდებით, ვიდრე დანარჩენთა შორის. ასევე, ხელოსანთა სახელოსნოები ძალიან პატარაა (მუშების რიცხვის მიხედვით). საშუალოდ ხელოსან-მიწათმოქმედი შოულობს 43,9 მანეთს წელიწადში, არამიწათმოქმედი კი — 102,9 მან.

ჩვენ ვჯერდებით ამ მოკლე შენიშვნებს, რადგან ხელოსნობის დაწვრილებითი განხილვა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. მრეწველობის ამ ფორმაში ჯერ კიდევ არ არის სასაქონლო წარმოება; აქ ჩნდება მხოლოდ საქონლის მიმოქცევა იმ შემთხვევაში, როცა ხელოსანი გასამრჯელოს ფულად იღებს, ანდა ყიდის მუშაობით მიღებულს პროდუქტის ნაწილს და ყიდულობს თავისთვის ნედლ მასალას და წარმოების იარაღებს. ხელოსნის შრომის პროდუქტი არ გამოდის ბაზარზე და თითქმის არ სცილდება გლეხის ნატურალური მეურნეობის ფარგლებს *. ამიტომ ბუნებრივია, რომ ხელოსნობა ხასიათდება ისეთივე რუტინით, დაქუცმაცებულობითა და შეზღუდულობით, როგორც წვრილი პატრიარქალური მიწათმოქმედება. განვითარების ერთადერთი ელემენტი, რომელიც თან ახლავს

* გლეხთა ნატურალურ მეურნეობასთან ხელოსნობის სიახლოვე ზოგჯერ იწვევს გლეხთა ცდას — მოაწყონ ხელოსნური შრომა მთელი სოფლისათვის: გლეხები ხელოსანს აძლევენ ხარჯს და ავალებენ იმუშაოს სოფლის ყველა მცხოვრებისათვის. ახლანდელ დროში მრეწველობის ამგვარ წყობას შეიძლება შეხვდეთ მხოლოდ როგორც გამონაკლისს, ან ყველაზე მივარდნილ განაპირა ადგილებში (მაგალითად, ამიერკავკასიის ზოგიერთ სოფელში ამგვარად მოწყობილია სამჭედლო სარეწი. იხ. «რუსეთის შინამრეწველობის ანგარიშები და გამოკვლევანი», ტ. II, გვ. 321).

მრეწველობის ამ ფორმას, არის ის, რომ ხელოსნები სხვა ადგილებში მიდიან საშოვარზე. ასეთი გასვლა საკმაოდ ფართოდ იყო განვითარებული ჩვენს სოფლებში, განსაკუთრებით წინათ; ჩვეულებრივ ამას შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ მისვლის ადგილებში დამოუკიდებელი სახელოსნოები ეწყობოდა.

II. ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛᲥᲠᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲬᲕᲠᲘᲚ ᲡᲐᲠᲔᲬᲔᲑᲨᲘ

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხელოსანი გამოდის ბაზარზე, თუმცა არა იმ პროდუქტით, რომელსაც თვითონ აწარმოებს. ბუნებრივია, რომ, რაკი ერთხელ ბაზარზე გამოვიდა, შემდეგში ის იწყებს ბაზრისათვის წარმოებასაც, ე. ი. იქცევა ს ა ქ ო ნ ე ლ მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ა დ. ეს გადასვლა თანდათანობით ხდება, თავდაპირველად ცდის სახით: ჰყიდიან პროდუქტებს, რომლებიც შემთხვევით შერჩენიათ ან თავისუფალ დროს დაუმზადებიათ. გადასვლის თანდათანობა ძლიერდება კიდევ იმით, რომ ბაზარი ნაწარმის გასასაღებლად პირველად მეტისმეტად ვიწროა ხოლმე, ასე რომ მანძილი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ძალიან უმნიშვნელოდ იზრდება, პროდუქტი წინანდებურად უშუალოდ გადადის მწარმოებლის ხელიდან მომხმარებლის ხელში, ამასთან პროდუქტის გაყიდვას ხანდახან წინ უძღვის მისი გადაცვლა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე*. სასაქონლო მეურნეობის შემდგომი განვითარება გამოიხატება ვაჭრობის გაფართოებით, სპეციალისტ ვაჭარ-შემყიდველების გაჩენით; ნაწარმის გასაღების ბაზარს წარმოადგენს არა სოფლის ვიწრო ბაზარი ან იარ-

* შაგ., თიხის ჭურჭლის გადაცვლა მარცვლეულ პურზე და სხვ. პურის სიიაფის დროს ქოთნის ექვივალენტად ხანდახან ითვლებოდა იმდენი პური, რამდენსაც ჩაიტევდა ქოთანი. შეად. «ანგარიშები და გამოკვლევები», I, 340. — «ვლადიმირის გუბ. მრეწველობა», V, 140. — «შინამრეწველობის კომისიის შრომები», I, 61.

მარკა *, არამედ მთელი ოლქი, შემდეგ მთელი ქვეყანა და ზოგჯერ სხვა ქვეყნებიც კი. მრეწველობის პროდუქტების წარმოება, როგორც საქონლისა, პირველ საძირკველს უდებს მრეწველობის გამოყოფას მიწათმოქმედებისაგან და მათ შორის ურთიერთ გაცვლას. ბ-ნი ნ.—ონი, მისი დამახასიათებელი შაბლონური და აბსტრაქტული გაგების გამო, იმით კმაყოფილდება, რომ «მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის გამოყოფას» აცხადებს საზოგადოდ «კაპიტალიზმის» თვისებად და თავს არ იწუხებს არც ამ გამოყოფის სხვადასხვა ფორმების, არც კაპიტალიზმის სხვადასხვა სტადიების გარჩევით. ამიტომ საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ყველაზე უფრო წვრილი სასაქონლო წარმოება გლეხთა სარეწებში უკვე იწყებს მრეწველობის გამოყოფას მიწათმოქმედებისაგან, თუმცა განვითარების ამ სტადიაზე მრეწველი და მიწათმოქმედი უმეტეს შემთხვევებში ჯერ კიდევ არ არიან ერთმანეთისაგან განცალკევებულნი. შემდგომ გადმოცემაში ჩვენ ცხადვყოფთ, თუ როგორ იწვევენ კაპიტალიზმის უფრო განვითარებული სტადიები სამრეწველო საწარმოთა გამოცალკევებას სამიწათმოქმედო საწარმოთაგან, მრეწველობის მუშების გამოცალკევებას მიწათმოქმედთაგან.

სასაქონლო წარმოების ჩანასახი ფორმების დროს «შინამრეწველთა» შორის კონკურენცია ჯერ კიდევ ძალიან სუსტია, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ბაზარი ფართოვდება და მოიცავს ფართო რაიონებს, ეს კონკურენცია უფრო ძლიერდება და არღვევს წვრილი მრეწველის პატრიარქალურ კეთილდღეობას, რომელიც დამყარებულია მის ფაქტიურად მონო-

* ერთი ასეთი სასოფლო იარმარკის გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ იარმარკის მთელი ბრუნვის 31% (დაახლოებით 15 ათასი მან. 50 ათასი მანეთიდან) სწორედ «შინამრეწველურ» პროდუქტებზე მოდიოდა. იხ. «შინამრეწველობის კომისიის შრომები», I, 38. თუ რამდენად ვიწროა თავდაპირველად გასაღების ბაზარი წვრილი საქონელმწარმოებლებისათვის, ეს ჩანს, მაგალითად, იქიდან, რომ პოლტაველი ხარაზები ასაღებენ თავის ნაწარმს მხოლოდ 60 ვერსის მანძილზე თავისი სოფლის ირგვლივ. «ანგარ. და გამოკვ.», I, 287.

პოლიურ მდგომარეობაზე. წვრილი საქონელმწარმოებელი გრძნობს, რომ მისი ინტერესები, დანარჩენი საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ, მოითხოვენ ამ მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნებას, და ამიტომ ეშინია მას კონკურენციისა. ის მიმართავს ყოველნაირ, როგორც პირად, ისე კოლექტიურ ღონისძიებებს, რათა შეაჩეროს კონკურენცია, რათა მეტოქეები «არ შემოუშვას» თავის რაიონში, რათა განამტკიცოს თავისი მდგომარეობა როგორც წვრილი მეპატრონისა, რომელსაც ჰყავს მყიდველთა განსაზღვრული წრე. კონკურენციის ეს შიში ისე მკაფიოდ ააშკარავებს წვრილი საქონელმწარმოებლის ნამდვილ საზოგადოებრივ ბუნებას, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ მის დამახასიათებელ ფაქტებზე. ჯერ მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც ხელოსნობას ეხება. კალუგელი ცხვრის ტყავის დამამზადებლები დადიან სხვა გუბერნიებში ტყავის მოსაქნელად; ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ეს სარეწი ეცემა; მებატონეები ტყავის მოსაქნელად გაშვებულთ დიდ ღალას ახდევინებდნენ და თანაც სასტიკად ადევნებდნენ თვალყურს, რომ ამ მეტყავეებს სცოდნოდათ თავისი «განსაზღვრული ადგილი» და არ მიეცათ სხვა მომქნელებისთვის სხვის რაიონში შეჭრის ნება. ასე მოწყობილი სარეწი იმდენად მომგებიანი იყო, რომ «უბნის» გადაცემაში იღებდნენ 500 და 1 000 მანეთს და ხელოსნის სხვა რაიონში შესვლა ზოგჯერ სისხლის ღვრას იწვევდა. ბატონყმობის გაუქმებამ ძირი გამოუთხარა ამ შუასაუკუნეობრივ კეთილდღეობას; «რკინიგზებით მიმოსვლის სიადვილეც ხელს უწყობს ამ შემთხვევაში კონკურენციას»*. ამგვარსავე მოვლენებს ეკუთვნის წვრილ მრეწველთა მისწრაფება — დამალონ ტექნიკური გამოგონებანი და გაუმჯობესებანი, სხვებისგან დაფარონ ხელსაყრელი საქმიანობა, რათა არ დაუშვან «დამღუპველი კონკურენცია», მისწრაფება, რომელიც შემჩნეულია მთელ რიგ სარეწებში და რომელსაც პირდაპირ საერთო წესის ხასიათი

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», I, 35 — 36.

აქვს. ახალი სარეწის დამაარსებელნი ან ის პირნი, რომელთაც ძველ სარეწში რაიმე გაუმჯობესება შეაქვთ, ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რათა თავის თანამესოფლეთ დაუმალონ ხელსაყრელი მოსაქმეობა, მიმართავენ სხვადასხვა ხრიკს (მაგ., მოსატყუებლად საწარმოში სტოვებენ ძველ მოწყობილობას), არავის არ უშვებენ თავის სახელოსნოებში, მუშაობენ სარდაფებში და წარმოების შესახებ არაფერს ეუბნებიან საკუთარ შვილებსაც კი*. ფოჩის ქსოვის სარეწის ნელ განვითარებას მოსკოვის გუბერნიაში «ხსნიან ჩვეულებრივ იმით, რომ ახლანდელ მწარმოებელთ არ სურთ გაიჩინონ ახალი კონკურენტები. ამბობენ, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, ისინი ცდილობენ გარეშე პირებს არ დაანახვონ თავისი მუშაობაო, ასე რომ გარეშე მოწაფეები მხოლოდ ერთ მწარმოებელს ჰყავს» **. ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის სოფელ ბეზოდნის შესახებ, რომელიც ცნობილია თავისი სალითონო სარეწით, ვკითხულობთ: «საგულისხმოა, რომ ბეზოდნის მცხოვრებლები აქამდე» (სახელდობრ 80-იანი წლების დასაწყისამდე; სარეწი არსებობს 50-იანი წლების დასაწყისიდან) «გულმოდგინედ უმალავენ თავის ოსტატობას მეზობელ გლეხებს. არაერთხელ ცდილან ისინი სათემო მმართველობაში გამოეტანათ დადგენილება, რომ ის, ვინც გადასცემდა ამ ოსტატობას სხვა სოფელში, დასჯილი ყოფილიყო;

* იხ. «შინამრეწ. კომ. შრომები», I, 81, V, 460; IX, 2 526. — «მოსკოვის გუბ. სარეწები», ტ. VI, ნაკვ. 1, 6 — 7; 253; ტ. VI, ნაკვ. 2, 142; ტ. VII, ნაკვ. 1, ნაწ. 2, «საბეჭდავი სარეწის» დამაარსებელის შესახებ. — «ვლადიმირის გუბ. მრეწველობა», I, 145, 149. — «ანგარიშები და გამოკვლევები», I, 89.— გ რ ი გ ო რ ი ე ვ ი: «პავლოვოს რაიონის კლიტე-დანის შინამრეწველური წარმოება» (გამოცემა «ვოლგას» დამატება. მ. 1881), გვ. 39. ბ-ნ ვ. ვ.-ს მოჰყავს ზოგიერთი ამ ფაქტთაგანი თავის «შინამრეწველობის ნარკვევებში» (სპბ. 1886), გვ. 192 და შემდ.; მას აქედან მხოლოდ ის დასკვნა გამოჰყავს, რომ შინამრეწველნი არ გაურბიან სიახლის შემოღებასო; მას აზრადაც არ მოსდის, რომ ეს ფაქტები ახასიათებენ წვრილ საქონელმწარმოებელთა კლასობრივ მდგომარეობას თანამედროვე საზოგადოებაში და მათ კლასობრივ ინტერესებს.

** «მოსკოვის გუბ. სარეწები», VI, 2, 193.

თუმცა ამ ფორმალობას ვერ მიაღწიეს, მაგრამ დადგენილება ზნეობრივად მაინც ჰბოჭავს ყოველ მათგანს, რის გამოც ისინი არ ათხოვებენ თავის ქალიშვილებს მეზობელი სოფლების საქმროებზე და, რამდენადაც შესაძლებელია, არ ირთავენ იქაურ ქალებს» *.

ეკონომისტ-ნაროდნიკები არათუ ცდილობდნენ მიეჩქმალათ ის ფაქტი, რომ აუარებელი წვრილი მწარმოებელი გლეხი საქონელმწარმოებელია, არამედ მათ მთელი ლეგენდაც კი შეჰქმნეს რაღაც ღრმა ანტაგონიზმის შესახებ, რომელიც თითქოს არსებობს წვრილი გლეხური სარეწებისა და მსხვილი მრეწველობის ეკონომიურ ორგანიზაციას შორის. ამ შეხედულების უსაფუძვლობა, სხვათა შორის, ჩანს ზემოთ მოყვანილი ცნობებიდანაც. თუ მსხვილი მრეწველი არავითარ საშუალებას არ ერიდება, რათა თავისი მონოპოლია უზრუნველჰყოს, «შინამრეწველი»-გლეხი ამ მხრით მისი ღვიძლი ძმაა; წვრილი ბურჟუა ისწრაფის თავისი მცირე საშუალებებით დაიცვას არსებითად იგივე კლასობრივი ინტერესები, რომელთა დასაცავად მსხვილი მეფაბრიკე ეტანება პროტექციონიზმს, პრემიებს, პრივილეგიებს და სხვ. **

III. წვრილ სარეწთა ზრდა რეფორმის შემდეგ. ამ პროცესის ოარი ფორმა და მისი მნიშვნელობა

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს წვრილი წარმოების კიდევ შემდეგი თვისებები, რომლებიც ყურადღების ღირსია. ახალი სარეწის გაჩენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოასწავებს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ზრდის პრო-

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX, 2404.

** წვრილი ბურჟუა გრძნობს, რომ კონკურენცია მას დაღუპავს, და ცდილობს შეაჩეროს იგი, — ისევე, როგორც მისი იდეოლოგი, ნაროდნიკი, გრძნობს, რომ კაპიტალიზმი ანგრევს მის საყვარელ «ბურჯებს», და ამიტომ ისწრაფის «თავიდან აიცილოს», არ დაუშვას, შეაჩეროს და სხვ. და სხვ.

ცესს. ამიტომ ასეთი პროცესი აუცილებლად უნდა ხდებოდეს ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რამდენადაც იქ მეტ-ნაკლებად ჯერ კიდევ არსებობს გლეხობა და ნახევრადნატურალური მიწათმოქმედება, რამდენადაც ძველი დროის სხვადასხვა დაწესებულებანი და ტრადიციები (ცუდ გზებთან დაკავშირებით და სხვ.) ხელს უშლიან მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას უშუალოდ დაიკავოს შინამრეწველობის ადგილი. სასაქონლო მეურნეობის განვითარებაში გადადგმული ყოველი ნაბიჯი აუცილებლად იწვევს იმას, რომ გლეხობიდან გამოიყოფიან სულ ახალი და ახალი მრეწველები; ეს პროცესი, ასე ვთქვათ, ჰქმნის ახალ ნიადაგს, ამზადებს კაპიტალიზმის მიერ ახალი ადგილების შემდგომ დაპყრობას ქვეყნის უფრო ჩამორჩენილ ნაწილებში ან მრეწველობის უფრო ჩამორჩენილ დარგებში. კაპიტალიზმის იგივე ზრდა ქვეყნის სხვა ნაწილებში და მრეწველობის სხვა დარგებში სულ სხვანაირად იჩენს თავს; არა წვრილი სახელოსნოებისა და შინაშუშების რიცხვის გამრავლებით, არამედ მათი შემცირებით, რომელთაც ნთქამს ფაბრიკა. გასაგებია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების შესასწავლად საჭიროა ზედმიწევნით ზუსტად განვასხვაოთ ეს პროცესები; მათი ერთმანეთში არევას არ შეიძლება ცნებათა სრული არევდარევა არ მოჰყვეს *.

რეფორმისშემდგომ რუსეთში წვრილი სარეწების ზრდა, რაც მოასწავებდა კაპიტალიზმის განვითარების პირველ ნაბიჯებს, გამოიხატებოდა და გამოიხატება ორნაირად: ჯერ ერთი, წვრილ მრეწველთა და ხელოსანთა გადასახლებით ცენტრალური, დიდი ხნით ადრე დასახლებული და ეკონო-

---

* აი საინტერესო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეთავსებულია ერთსა და იმავე გუბერნიაში, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე სარეწში ეს ორი სხვადასხვანაირი პროცესი. თვითმქსოვი სარეწი (ვიატკის გუბერნიაში) წარმოადგენს ქსოვილთა შინაწარმოების დამატებას. ამ სარეწის განვითარება მოასწავებს სასაქონლო წარმოების გაჩენას, რომელიც მოიცავს ქსოვილების წარმოების ერთ-ერთი იარაღის დამზა-

მიურად უფრო განვითარებული გუბერნიებიდან განაპირა მხარეებში; მეორეც, ახალი წვრილი სარეწების გაჩენით და უკვე არსებული სარეწების გაფართოებით ადგილობრივ მოსახლეობაში.

პირველი ამ პროცესთაგანი ერთ-ერთი გამოხატულებაა განაპირა მხარეების იმ კოლონიზაციისა, რომელზეც ჩვენ უკვე მივუთითეთ ზემოთ (თავი IV, § II). ნიჟნი-ნოვგოროდის, ვლადიმირის, ტვერის, კალუგის და სხვ. გუბერნიების გლეხი-მრეწველი, რაკი გრძნობს კონკურენციის გაძლიერებას მოსახლეობის გამრავლებასთან ერთად და კაპიტალისტური მანუფაქტურისა და ფაბრიკის ზრდას, რომელიც ემუქრება წვრილ წარმოებას, — მიდის სამხრეთისაკენ, სადაც «ხელოსნები ჯერ კიდევ ცოტანი არიან, საშოვარი მეტია და ცხოვრებაც უფრო იაფია. ახალ ადგილზე არსდებოდა პატარა სახელოსნო, რაც დასაბამს აძლევდა ახალ გლეხურ სარეწს, რომელიც შემდეგ ვრცელდებოდა ამ სოფელში და მის ახლომახლო. ამრიგად, ქვეყნის ცენტრალური ადგილები, რომელთაც საუკუნეობრივი სამრეწველო კულტურა აქვთ, ხელს უწყობდნენ ასეთივე კულტურის განვითარებას ქვეყნის ახალ ნაწილებში, სადაც ხალხი თანდათან სახლდებოდა. ამრიგად, კაპიტალისტური ურთიერთობა (რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, წვრილ გლეხურ სარეწებსაც ახასიათებს) მთელ ქვეყანას ედებოდა *.

დებას. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ გუბერნიის მივარდნილ ადგილებში, მის ჩრდილო ნაწილში, თვითმქსოვი მანქანა თითქმის უცნობია («ვიატკის გუბ. სარეწთა აღწერის მასალები», II, 27), და იქ «სარეწი შესაძლო იყო ხელახლა გაჩენილიყო», ე. ი. მას შეეძლო პირველად შეენგრია გლეხების პატრიარქალური ნატურალური მეურნეობის კედელი. ამავე დროს გუბერნიის სხვა ნაწილებში ეს სარეწი უკვე ეცემა, და ამ დაცემის შესაძლო მიზეზად მკლევარნი სთვლიან «საფაბრიკო ბამბეული ქსოვილების სულ უფრო და უფრო გავრცელებას გლეხობაში» (გვ. 26). მაშასადამე, აქ სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის ზრდა უკვე გამოიხატება ფაბრიკის მიერ წვრილი სარეწის გამოდევნით.

* იხ., მაგ., ს. ა. კოროლენკო, l. c., სამრეწველო მუშების მოძრაობაზე განაპირა მხარეებისაკენ, სადაც მათი ნაწილი რჩება. «შინამრეწველო-

გადავდივართ იმ ფაქტებზე, რომლებიც გამოხატავენ ზემოაღნიშნულ მეორე პროცესს. წინასწარ შევნიშნავთ, რომ, როცა აღვნიშნავთ წვრილი გლეხური სახელოსნოებისა და სარეწების ზრდას, ჩვენ ჯერჯერობით არ ვეხებით მათი ეკონომიური ორგანიზაციის საკითხს: შემდგომი გადმოცემიდან ცხადი გახდება, რომ ეს სარეწები ან იწვევენ მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის და სავაჭრო კაპიტალის გაჩენას, ან წარმოადგენენ კაპიტალისტური მანუფაქტურის შემადგენელ ნაწილს.

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის არზამასის მაზრის ქურქჩობა გაჩნდა ქალაქ არზამასში, შემდეგ თანდათან გადავიდა საგარეუბნო სოფლებში და მოედო უფრო და უფრო დიდ რაიონს. ჯერ სოფლებში ქურქჩები ცოტანი იყვნენ, დაქირავებული მუშები კი მათ ბევრი ჰყავდათ; მომუშავენი იაფი იყვნენ, რადგან ქირავდებოდნენ სწავლის მიზნით. რაკი ხელობას შეისწავლიდნენ, ისინი ხსნიდნენ სხვადასხვა ადგილას თავის პატარ-პატარა სახელოსნოებს და ამნაირად ამზადებდნენ უფრო ფართო ნიადაგს კაპიტალის ბატონობისათვის, რომელიც ახლა უკვე იმორჩილებს მრეწველთა უმეტეს ნაწილს *. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ დაქირავებული მუშების ეს სიმრავლე ახალაღმოცენებული სარეწის პირველ სახელოსნოებში და ამ დაქირავებული მუშების შემდგომი გადაქცევა წვრილ მეპატრონეებად ყველაზე უფრო გავრცელებული

ბის კომისიის შრომები», ნაკვ. I (ცენტრალური გუბერნიებიდან სტავროპოლის გუბერნიაში მოსულ მრეწველთა სიჭარბის შესახებ); ნაკვ. III, გვ. 33 — 34 (ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის ვიეზდნოვის ხარაზების გადასახლება ქვედა ვოლგის ქალ ქებში); ნაკვ. IX (იმავე გუბერნიის სოფელ ბოგოროდსკის მეტყავეებმა მთელ რუსეთში დააარსეს ქარხნები). «ვლადიმირის გუბ. სარეწები», IV, 136 (ვლადიმირელმა მეჭურჭლეებმა თავისი წარმოება შეიტანეს ასტრახანის გუბერნიაში). შეად. «ანგარიშები და გამოკვლევები», ტ. I, გვ. 125, 210; ტ. II, 160 — 165, 168, 228 — ზოგადი შენიშვნა იმის შესახებ, რომ ველიკოროსული გუბერნიებიდან მოსული მრეწველები სჭარბობენ «მთელ სამხრეთში».

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», III.

მოვლენაა, რომელსაც საერთო წესის ხასიათი აქვს*. ცხადია, დიდი შეცდომა იქნებოდა აქედან ის დასკვნა გამოგვეყვანა, რომ «სხვადასხვა ისტორიულ მოსაზრებათა წინააღმდეგ... არა მსხვილი სახელოსნოები ნთქამენ წვრილებს, არამედ წვრილები იზრდებიან მსხვილებიდან»**. პირველი სახელოსნოების სიდიდე სრულებითაც არ გამოხატავს საწარმოს რაიმე კონცენტრაციას; ეს სიდიდე აიხსნება იმით, რომ ამ სახელოსნოებს ერთეული ხასიათი აქვთ და რომ გარშემო მცხოვრები გლეხები ისწრაფიან შეისწავლონ იქ მომგებიანი ხელობა. რაც შეეხება გლეხთა სარეწების ძველი ცენტრებიდან გარეშემო სოფლებში გავრცელების პროცესს, ეს პროცესი ძალიან ხშირი მოვლენაა. ასე, მაგ., რეფორმის შემდგომ ეპოქაში განვითარდნენ (როგორც სარეწით მოცული სოფლების რიცხვის, ისე მრეწველთა რაოდენობისა და წარმოების თანხის მიხედვით) შემდეგი, თავისი მნიშვნელობით გამოჩენილი, სარეწები: ფოლად-საზეინკლო პავლოვში, სატყავო-სახარაზო სოფ. კიმრში, ფეხსაცმლის ქსოვა ქ. არზამასში და მის მიდამოებში, ლითონის სარეწი სოფ. ბურმაკინში, ქუდის სარეწი სოფელ მოლვიტინში და მის რაიონში, მინის, ქუდის და არშიის სარეწები მოსკოვის გუბერნიაში, ოქრომჭედლობა კრასნოსელსკის რაიონში და სხვ***. ტულის მაზრის 7 თემის შინასამრეწველო სა-

---

* მაგ., ამავე მოვლენას აღნიშნავენ მოსკოვის გუბერნიის საღებავ სარეწში («მოსკოვის გუბ. სარეწები», VI, I, 73—99), ქუდის (ibid., VI, ნაკვ. I), ქურქჩის (ibid., VII, ნაკვ. I, ნაწ. 2), პავლოვოს ფოლად-საზეინკლო (გრიგორიევი, I. c., 37—38) და სხვ. სარეწებში.

** ასეთი დასკვნა მყისვე გამოიყვანა აღნიშნული ხასიათის ერთ-ერთი ფაქტის შესახებ ბ-მა ვ. ვ.-მ თავის «კაპიტალიზმის ბედში», 78—79.

*** ა. სმირნოვი: «პავლოვო და ვორსმა». მ. 1864. — ნ. ლაბზინი: «დანის და სხვ. მრეწველობის გამოკვლევა». სპბ. 1870. — გრიგორიევი, 1. c. — ნ. ანენსკი. «მოხსენება და სხვ.» «ნაოსნობისა და მრეწველობის ნიჟნი-ნოვგოროდის მოამბის» 1891 წ. № 1-ში. — გორბატოვის მაზრის საერობო სტატისტიკის «მასალები», ნიჟნი-ნოვგოროდი, 1892. — ა. ნ. პოტრესოვი, მოხსენება შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის კომიტეტის

რეწების შესახებ დაწერილი სტატიის ავტორი აღნიშნავს, როგორც საერთო მოვლენას, «საგლეხო რეფორმის შემდეგ ხელოსნების რიცხვის გადიდებას», «შინამრეწველებისა და ხელოსნების გაჩენას ისეთ ადგილებში, სადაც რეფორმამდე ისინი არ მოიპოვებოდნენ» *. ასეთივე აზრის არიან მოსკოვის სტატისტიკოსებიც **. ჩვენ შეგვიძლია ეს აზრი დავასაბუთოთ სტატისტიკური მონაცემებით მოსკოვის გუბერნიის 10 სარეწში 523 შინასამრეწველო დაწესებულების გაჩენის დროის შესახებ ***.

დაწესებულებათა მთელი რიცხვი	დაწესებულებათა რიცხვი, რომელნიც დაარსებული არიან								
	არაა ცნობილი დროდის	დიდი ხანის	XIX საუკუნეში, წლები						
			10-იანი	20-იანი	30-იანი	40-იანი	50-იანი	60-იანი	70-იანი
523	13	46	3	6	11	11	37	121	275

სწორედ ასევე პერმის გუბერნიის შინამრეწველობის აღწერამ გამოააშკარავა (8 884 წვრილი სახელოსნო და შინა-

---

სპბ-ის განყოფილებაში 1895 წ. — «რუსეთის იმპერიის სტატისტიკური მატიანე», II, ნაკვ. 3. სპბ. 1872. — «შინამრეწველობის კომისიის შრომები», VIII. — «ანგარიშები და გამოკვლევები», I, III. — «შინამრეწველობის კომისიის შრომები», VI, XIII. — «მოსკოვის გუბ. სარეწები», VI, ნაკვ. I, გვ. 111, ib. 177; VII, ნაკვ. II. გვ. 8. — «რუსეთის მრეწველობის ისტ.-სტატ. მიმოხილვა», II, სვეტი VI, წარმოება I. — «ვესტნიკ ფინანსოვ», 1898, № 42. შეად. აგრეთვე «ვლადიმირის გუბ. სარეწები», III, 18 — 19 და სხვ.

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX, 2303 — 2304.

** «მოსკოვის გუბ. სარეწები», VII, ნაკვ. I, ნაწ. 2, 196.

*** ცნობები ჯაგრისის, ქინძისთავის, დოგმის, ქუდის, სახამებლის, ფეხსაცმლის, საჩეჩი, სპილენძ-სასარაჯო, ფოჩის და ავეჯეულის სარეწების შესახებ ამოღებულია შინამრეწველთა კომლობრივი აღწერებიდან, რაც მოყვანილია «მოსკოვის გუბ. სარეწებში» და ბ-ნ ისაევის იმავე სახელწოდების წიგნში.

სამრეწველო დაწესებულების დაარსების დროის ცნობების მიხედვით), რომ რეფორმისშემდგომი ეპოქა ხასიათდება წვრილ სარეწთა განსაკუთრებით სწრაფი ზრდით. საინტერესოა უფრო ახლოს გავეცნოთ ახალი სარეწების გაჩენის ამ პროცესს. შალეულის და ნახევრადაბრეშუმის ქსოვილთა წარმოება ვლადიმირის გუბერნიაში გაჩნდა ახლოხანს, 1861 წელს. ჯერ ეს წარმოება წარმოადგენდა გარესარეწს, შემდეგ კი სოფლებშიც ჩნდებიან «ხელოსნები», რომლებიც არიგებენ ნართს. ერთი პირველი «მეფაბრიკეთაგანი» ერთ დროს ბურღულით ვაჭრობდა, რასაც ყიდულობდა ტამბოვის და სარატოვის «ველებში». რკინიგზების გაყვანის შემდეგ პურის ფასები გათანასწორდა, პურის ვაჭრობა მილიონერების ხელში მოექცა, და ჩვენმა ვაჭარმაც გადაწყვიტა თავისი კაპიტალი სამრეწველო საფეიქრო საწარმოში დაებანდებინა; ის დადგა ფაბრიკაში, გაეცნო საქმეს და გადაიქცა «ხელოსნად»*. ამრიგად, ახალი «სარეწის» გაჩენა ამ ადგილას გამოწვეული იყო იმით, რომ ქვეყნის საერთო ეკონომიური განვითარება დევნიდა კაპიტალს ვაჭრობიდან და მიაქანებდა მას მრეწველობაში**. ჩვენ მიერ მაგალითისათვის დასახელებული სარეწის მკვლევარი აღნიშნავს, რომ მის მიერ აღწერილი შემთხვევა სრულებითაც არ წარმოადგენს ერთეულ მოვლენას: გლეხები, რომლებიც გარესარეწებით ცხოვრობდნენ, «იყვნენ ყოველნაირი სარეწების პიონერები, თავისი ტექნიკური ცოდნა შეჰქონდათ საკუთარ სოფელში, მიჰყავდათ თან გარესარეწზე ახალი მუშა-ძალები, ხოლო მდიდარ გლეხებს მადას უღიზიანებდნენ იმ საარაკო მოგების მოთხრობით, რომელსაც სარეწი აძლევს სახელოსნოს მეპატრონეს და ხელოსანს.

---

* «ვლადიმირის გუბ. სარეწები», III, 242 — 243.

** თავის გამოკვლევაში რუსული ფაბრიკის ისტორიული ბედის შესახებ მ. ი. ტ.-ბარანოვსკიმ ცხადჰყო, რომ სავაჭრო კაპიტალი მსხვილი მრეწველობის გაჩენის აუცილებელ ისტორიულ პირობას წარმოადგენდა. იხ. მისი წიგნი: «ფაბრიკა და სხვ.». სპბ. 1898.

მდიდარი გლეხი, რომელიც ფულს ლიტრაში ინახავდა ან პურით ვაჭრობდა, უსმენდა ამ მოთხრობას და ჰკიდებდა ხელს სამრეწველო საწარმოებს» (ibidem). სახარაზო და სათელი სარეწები ვლადიმირის გუბერნიის ალექსანდროვის მაზრის ზოგ ადგილას გაჩნდა ამნაირად: სამიტკლე სახელოსნოების ან წვრილი დასარიგებელი კანტორების პატრონები, როცა ხედავდნენ ხელით მქსოველობის დაცემას, აწყობდნენ სხვა წარმოების სახელოსნოებს, ქირაობდნენ ხანდახან ოსტატებს საქმის გასაცნობად და ბავშვების სასწავლად*. იმდენად, რამდენადაც მსხვილი მრეწველობა დევნის წვრილ კაპიტალს ერთი წარმოებიდან,— ეს კაპიტალი მიემართება სხვა წარმოებაში, რითაც ბიძგს აძლევს მის განვითარებას იმავე მიმართულებით.

•

რეფორმისშემდგომი ეპოქის ის საერთო პირობები, რომლებიც იწვევდნენ სოფლად წვრილი სარეწების განვითარებას, ძალიან მკაფიოდ აქვთ დახასიათებული მოსკოვის გუბერნიის სარეწთა მკვლევარებს. «ერთი მხრით, ამ დროის განმავლობაში გლეხობის ყოფაცხოვრების პირობები შესამჩნევად გაუარესდა, — ვკითხულობთ არშიის სარეწის აღწერილობაში, — მეორე მხრით კი, მოსახლეობის მოთხოვნილებანი — მისი იმ ნაწილისა, რომელიც უკეთეს პირობებში იმყოფება, — მნიშვნელოვნად გაიზარდა» **. და ავტორი აღნიშნავს, მის მიერ აღებული ოლქის მონაცემების მიხედვით, უცხენოთა და პურეულის არმთესველთა რიცხვის გადიდებას და ამასთან ერთად — მრავალცხენიანი გლეხების რიცხვისა და გლეხთა პირუტყვის საერთო რაოდენობის გადიდებას. ამრიგად, ერთი მხრით, გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომელნიც საჭიროებდნენ «გარესაშოვარს» და ეძებდნენ სარეწ სამუშაოს, მეორე მხრით, მდიდრდებოდა შეძლებულ ოჯახთა უმცირესობა, თავს უყრიდა «მონაგარს» და პოულობდა «საშუა-

* «ვლადიმირის გუბ. სარეწები», II, 25, 270.

** «მოსკოვის გუბ. სარეწები», ტ. VI, ნაკვ. II, გვ. 8 და შემდეგი.

ლებას დაექირავებინა ერთი ან ორი მუშა ანდა დაერიგებინა სამუშაო ღარიბი გლეხებისათვის სახლებში». «აქ ჩვენ, რასაკვირველია, არ ვეხებით იმ შემთხვევებს, — განმარტავს ავტორი, — როცა ასეთი ოჯახების წრიდან გამოდიან პიროვნებანი, რომელნიც ცნობილი არიან კულაკების, სოფლის წურბელების სახელით, არამედ ვიხილავთ მხოლოდ გლეხი მოსახლეობის ცხოვრების სრულიად ჩვეულებრივ მოვლენებს».

ამრიგად, ადგილობრივი მკვლევარნი მიუთითებენ გლეხობის დაშლასა და წვრილ გლეხურ სარეწთა ზრდას შორის არსებულ კავშირზე. და ეს სავსებით გასაგებია. იმ ცნობებიდან, რომლებიც მოყვანილი იყო II თავში, გამომდინარეობს, რომ მიწათმოქმედი გლეხობის დაშლას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა წვრილი გლეხური სარეწების ზრდა. რაც უფრო ეცემოდა ნატურალური მეურნეობა, მით უფრო იქცეოდა მრეწველობის ცალკეულ დარგებად ნედლეულის სხვადასხვა სახის დამუშავება; გლეხური ბურჟუაზიის და სოფლის პროლეტარიატის გაჩენა ადიდებდა მოთხოვნილებას წვრილ გლეხურ სარეწთა პროდუქტებზე და ამავე დროს აწვდიდა ამ სარეწებს თავისუფალ მუშახელს და თავისუფალ ფულად სახსრებს*.

IV. წვრილ საქონელმწარმოებელთა დაშლა. მოსკოვის ბუბერნიის შინამრეწველთა კომლობრივ აღწერათა მონაცემები

განვიხილოთ ახლა, თუ როგორია ის საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც იქმნება მრეწველობაში წვრილ საქონელმწარმოებელთა შორის. ამ ურთიერთობის ხასიათის გამორკვევა იმგვარი ამოცანაა, როგორიც

* ბ-ნ ნ. — ონის ძირითადი თეორიული შეცდომა, როცა ის მსჯელობს «სარეწების კაპიტალიზაციის» შესახებ, მდგომარეობს იმაში, რომ ის უგულებელჰყოფს სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის პირველ ნაბიჯებს მის თანდათანობითს სტადიებში. ბ-ნ ნ. — ონი პირდაპირ ნახტომს აკეთებს «სახალხო წარმოებიდან» «კაპიტალიზმისაკენ», —

ჩვენ დავსახეთ ზემოთ, II თავში, წვრილ მიწათმოქმედთა მიმართ. სამიწათმოქმედო მეურნეობის ოდენობის მაგიერ ჩვენ ახლა საფუძვლად უნდა ავიღოთ სარეწის მეურნეობათა ოდენობა; უნდა დავაჯგუფოთ წვრილი მრეწველები მათი წარმოების ოდენობის მიხედვით, განვიხილოთ დაქირავებული შრომის როლი თვითეულ ჯგუფში, ტექნიკის მდგომარეობა და სხვ.* შინამრეწველთა კომლობრივი აღწერები, რაც საჭიროა ასეთი ანალიზისათვის, ჩვენ გვაქვს მოსკოვის გუბერნიის შესახებ**. მთელი რიგი სარეწებისათვის მკვლევართ მოჰყავთ ზუსტი სტატისტიკური ცნობები, რომლებიც ეხებიან ყოველი ცალკე შინამრეწველის წარმოებას, ზოგჯერ მის მიწათმოქმედებასაც (დაწესებულების დაარსების დრო, ოჯახის წევრი და დაქირავებული მუშების რიცხვი, წლიური წარმოების ჯამი, შინამრეწველის ცხენების რაოდენობა, მიწის დამუშავების წესი და სხვ.). ამასთან ამ გამოკვლევის დროს არავითარ ჯგუფურ ცხრილებს არ იძლევიან, და ჩვენ იძულებული ვიყავით თვითონ შეგვედგინა ეს

და შემდეგ, სასაცილო გულუბრყვილობით, გაკვირვებას გამოთქვამს, რომ კაპიტალიზმი მას გამოუდის უნიადაგო, ხელოვნური და სხვ.

* ბ-ნი ვარზერი, როცა აღწერს ჩერნიგოვის გუბერნიის «შინამრეწველობას», აღნიშნავს «ეკონომიური ერთეულების სხვადასხვაობას» (ერთი მხრით, ოჯახები, რომელთა შემოსავალი 500 — 800 მან. უდრის, მეორე მხრით —«თითქმის მათხოვრები») და ამბობს შემდეგს: «ასეთ პირობებში მეურნეობათა კომლობრივი აღწერა და მათი დაჯგუფება მეურნეობათა საშუალო ტიპების განსაზღვრულ რიცხვად მთელი მათი სამეურნეო ვითარებით — ერთადერთი საშუალებაა მთელი სისრულით წარმოვიდგინოთ შინამრეწველთა ეკონომიური ყოფაცხოვრების სურათი. ყოველივე დანარჩენი იქნება შემთხვევითი შთაბეჭდილებებით გამოწვეული ფანტაზია, ან არითმეტიკულ გამოანგარიშებათა კაბინეტური შრომა, დამყარებული სხვადასხვაგვარ საშუალო ნორმებზე...» («შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. V, გვ. 354).

** «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VI და VII, «მოსკოვის გუბ. სარეწები» და ა. ი ს ა ე ვ ი: «მოსკოვის გუბ. სარეწები», მ. 1876 — 1877, ორი ტომი. სარეწთა მცირე რიცხვის შესახებ ასეთივე ცნობები დაბეჭდილია «ვლადიმირის გუბ. სარეწებში». თავისთავად ცხადია, რომ

ცხრილები, დაგვეყო ყოველი სარეწის შინამრეწველნი თანრიგებად (I დაბალი; II საშუალო და III მაღალი) თვითეული დაწესებულების მუშების (ოჯახის წევრებისაც და დაქირავებულებისაც) რიცხვის მიხედვით, და ზოგჯერ წარმოების ოდენობის, ტექნიკური მდგომარეობისა და სხვ. მიხედვით. საზოგადოდ, შინამრეწველთა თანრიგებად დაყოფის საფუძველი განვსაზღვრეთ ყველა იმ ცნობით, რაც მოყვანილი იყო სარეწის აღწერილობაში; ამასთან საჭირო იყო სხვადასხვა სარეწისათვის სხვადასხვანაირი საფუძველი მიგვეღო შინამრეწველთა თანრიგებად დასაყოფად, მაგალითად, ძალიან წვრილ სარეწებში დაბალი თანრიგისათვის მიგვეკუთვნებინა ერთი მუშის მყოლი, საშუალოსათვის — 2 მუშის, მაღალისათვის 3 და მეტი მუშის მყოლი დაწესებულებანი; უფრო მსხვილ სარეწებში კი დაბალი თანრიგისათვის მიგვეკუთვნებინა 1 — 5 მუშის მყოლი, საშუალოსათვის 6 — 10 მუშის მყოლი დაწესებულებანი და სხვა. დაჯგუფების სხვადასხვა წესი რომ არ გვეხმარა, ისე შეუძლებელი იქნებოდა წარმოგვედგინა ცნობები სხვადასხვა სიდიდის დაწესებულებათა შესახებ თ ვ ი თ ე უ ლ ი სარეწის მიხედვით. ამნაირად შედგენილი ცხრილი მოთავსებულია დამატებაში (იხ. დამატ. I); იქ ნაჩვენებია, თუ რა ნიშნების მიხედვით არიან დაყოფილნი თვითეული სარეწის შინამრეწველები თანრიგებად; თვითეული სარეწის ყოველი თანრიგისათვის მოყვანილია აბსოლუტური ციფრები დაწესებულებებისა, მუშებისა (როგორც ოჯახის წევრის, ისე დაქირავებულისა), წარმოების ჯამისა, დაქირავებული მუშების მყოლი დაწესებულებებისა და დაქირავებული მუშებისა; შინამრეწველთა მიწათმოქმედების

ამ თავში ჩვენ ვიხილავთ მხოლოდ ისეთ სარეწებს, რომლებშიც წვრილი საქონელმწარმოებელნი მუშაობენ ბაზრისათვის და არა შემყიდველებისათვის, — უმრავლეს შემთხვევაში მაინც. შემყიდველებისათვის მუშაობა უფრო რთული მოვლენაა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ცალკე განვიხილავთ. შემყიდველებისათვის მომუშავე შინამრეწველთა კომლობრივი აღწერები გამოუსადეგარია, როცა ვმსჯელობთ წვრილ საქონელმწარმოებელთა ურთიერთობაზე.

დასახასიათებლად გამოანგარიშებულია ცხენების საშუალო რაოდენობა 1 მეურნეზე თვითეულ თანრიგში და იმ შინამრეწველთა პროცენტი, რომელნიც ამუშავებენ მიწას «მომუშავის» საშუალებით (ე. ი. მიმართავენ სოფლის მუშების დაქირავებას). ცხრილი მოიცავს სულ 37 სარეწს 2 278 დაწესებულებით, 11 833 მომუშავით და 5 მილიონ მანეთზე მეტი წარმოების თანხით, ხოლო თუ არ ჩავთვლით 4 სარეწს, რომელთა გამოკლება საერთო ჯამიდან აიხსნება ცნობების უსრულობით ან ამ სარეწთა განსაკუთრებული ხასიათით*,— დარჩება სულ 33 სარეწი, 2 085 დაწესებულება, 9 427 მომუშავე და 3 466 ათასი მანეთი წარმოების თანხა, ხოლო შესწორებით (2 სარეწის მიხედვით) იქნება დაახლოებით $3^3/_4$ მილიონი მანეთი.

რადგან ყველა ამ 33 სარეწის ცნობების განხილვა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს და ძალიან დამამძიმებელიც იქნებოდა, ჩვენ ეს სარეწები გავყავით 4 კატეგორიად: 1) 9 სარეწი, რომლებსაც ჰყავთ 1 დაწესებულებაზე საშუალოდ 1,6-დან 2,5-დე მუშა (როგორც ოჯახის წევრნი, ისე დაქირავებულნი ერთად); 2) 9 სარეწი — მუშების საშუალო რიცხვი 2,7-დან 4,4-დე; 3) 10 სარეწი — მუშების საშუალო რიცხვი 5,1-დან 8,4-დე, და 4) 5 სარეწი — მუშების საშუალო რიცხვი 11,5-დან 17,8-მდე. ამრიგად, ყოველ კატეგორიაში შეერთებული არიან სარეწები, რომლებიც საგრძნობლად უახლოვდებიან ერთმანეთს 1 დაწესებულების მუშათა რიცხვის მხრით, და ქვემოთ ჩვენ მხოლოდ ამ 4 კატეგორიის სარეწთა ცნობებით დავკმაყოფილდებით. მოვიყვანთ ამ ცნობებს in extenso.

---

* ამის გამო ნაკრებიდან გამორიცხულია ფაიფურის «სარეწი», რომლის 20 დაწესებულებაში არის 1 817 დაქირავებული მუშა. ცნებათა არევ-დარევისათვის, რაც ჩვენში სუფევს, დამახასიათებელია, რომ მოსკოველმა სტატისტიკოსებმა ეს სარეწიც «შინამრეწველურ» სარეწთა რიცხვს მიაკუთვნეს (იხ. ნაკრები ცხრილები VII ტომის III ნაკვეთში, l. c.).

სარეწთა კატეგორიები	აბსოლუტური რიცხვი * ა) დაწესებულებების ბ) მუშების გ) წარმოების თანხა მანეთობით	%-ული განაწილება ** ა) დაწესებულებების ბ) მუშების გ) წარმ. თანხის				ა) % დაქირავებული მუშების მყოლი დაწესებულებებისა ბ) % დაქირავებული მუშებისა				წარმოების საშუალო თანხა მანეთობით ა) 1 დაწესებულებაზე ბ) 1 მუშაზე				მუშების საშუალო რიცხვი 1 დაწესებულებაზე ა) ოჯახის წევრებისა ბ) დაქირავებულებისა გ) სულ			
		ნ/ნ	თანრიგები I	II	III	ნ/ნ	თანრიგები I	II	III	ნ/ნ	თანრიგები I	II	III	ნ/ნ	თანრიგები I	II	III
1-ლი (9 სარეწი)	831	100	57	30	13									1,9	1,26	2,4	3,3
	1 776	100	35	37	28	12	2	19	40	430	243	527	1 010	0.2	0,02	0,2	1,2
	357 890	100	32	37	31	11	1	9	27	202	182	202	224	2,1	1,3	2,6	4,5
მე-2 (9 სარეწი)	348	100	47	34	19									2,5	1,9	2,9	3,7
	1 242	100	30	35	35	41	25	43	76	1 484	791	1 477	3 291	1,0	0,3	0,8	3,0
	516 268	100	25	34	41	26	13	21	45	415	350	399	489	3,5	2,2	3,7	6,7
მე-3 (10 სარეწი)	804	100	53	33	14									2,4	2,0	2,7	2,3
	4 893	100	25	37	38	64	35	95	100	2 503	931	2 737	8 063	3,7	0.8	3,9	14,9
	2 013 918	100	20	37	43	61	25	59	86	411	324	411	468	6,1	2,8	6,6	17,2
მე-4 (5 სარეწი)	102	100	38	33	29									2.1	2.2	2,1	2,1
	1 516	100	15	24	61	84	61	97	100	5 666	1 919	3 952	12714	12.7	3,5	8,7	29,6
	*** 577 930	100	13	23	64	85	60	81	93	381	331	363	401	14.8	5,7	10,8	31,7
ჯამი ყველა კატეგორიის მიხედვით (33 სარეწი)	2 085	100	53	32	15									2,2	1,8	2,6	2,9
	9 427	100	26	35	39	40	21	57	74	1 664	651	1 756	5 029	2,3	0,4	2,2	9,0
	3 466 006	100	21	34	45	51	20	46	75	367	292	362	421	4,5	2,2	4,8	11,9

* ლიტერები ა) ბ) c) ნიშნავს, რომ ციფრები, რომლებსაც სათაურში ნაჩვენები მნიშვნელობა აქვთ, მოთავსებულია უჯრედებში ერთიმეორის ქვევით.

** ეს არის პროცენტები სარეწთა მოცემული კატეგორიის ან მოცემული თანრიგის დაწესებულებათა და მუშათა მთელი რიცხვის მიმართ.

*** ორი სარეწისათვის პროდუქტის ღირებულების (= წარმოების თანხის) ნაცვლად მოცემულია ცნობები დასამუშავებლად შემოსული ნედლეულის ღირებულების შესახებ. ეს წარმოების თანხას 300 ათასით ამცირებს.

ეს ცხრილი აჯამებს იმ უმთავრეს ცნობებს შინამრეწველთა მაღალ და დაბალ თანრიგთა თანაფარდობის შესახებ, რომლებიც ჩვენ გამოგვადგება შემდგომი დასკვნებისათვის. შეჯამებული ცნობები ოთხივე კატეგორიის შესახებ შეგვიძლია დავასურათოთ დიაგრამით, რომელიც სწორედ ისევეა აგებული, როგორც დიაგრამა, რითაც ჩვენ II თავში დავასურათეთ მიწათმოქმედი გლეხობის დაშლა. თვითეული თანრიგისათვის ჩვენ განვსაზღვრავთ დაწესებულებათა მთელი რაოდენობის, ოჯახის წევრი მუშების მთელი რიცხვის, დაქირავებული მუშების მყოლ დაწესებულებათა მთელი რაოდენობის, მუშების (ერთად როგორც ოჯახის წევრის, ისე დაქირავებულის) მთელი რიცხვის, წარმოების მთელი თანხის და დაქირავებული მუშების მთელი რიცხვის პროცენტულ წილს და აღვნიშნავთ ამ პროცენტულ წილს (II თავში აღწერილი წესით) დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 405 გვ.).

განვიხილოთ ახლა ამ ცნობებიდან გამომდინარე დასკვნები.

დავიწყოთ დაქირავებული შრომის როლის საკითხით. 33 სარეწში დაქირავებული შრომა სჭარბობს ოჯახურს: მუშების მთელი რიცხვის 51% დაქირავებულია. მოსკოვის გუბერნიის «შინამრეწველთათვის» ეს პროცენტი ნამდვილზე უფრო ნაკლებიც არის. ჩვენ გამოვიანგარიშეთ ცნობები მოსკოვის გუბერნიის 54 სარეწის შესახებ, რომელთა მუშების რაოდენობა ზუსტადაა აღნუსხული, და მივიღეთ 29 446 მუშიდან 17 566 დაქირავებული მუშა, ე. ი. 59,65%. პერმის გუბერნიისათვის დაქირავებულ მუშათა რიცხვი ერთად აღებულ ყველა შინამრეწველსა და ხელოსანს შორის უდრის 24,5%, მარტო საქონელმწარმოებელთა შორის კი — 29,4% — 31,2%. მაგრამ ეს საერთო ციფრები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოიცავენ არა მარტო წვრილ საქონელმწარმოებლებს, არამედ კაპიტალისტურ მანუფაქტურასაც. ამიტომ უფრო საინტერესოა ის დასკვნა, რომ დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ი ს რ ო ლ ი მ ა ტ უ ლ ობ ს დ ა წ ე სებულებათა ოდენობის გაფართოების პარა-

ლელურად: ეს შესამჩნევია როგორც ერთი კატეგორიის მეორესთან შედარების დროს, ისე ერთი და იგივე კატეგორიის სხვადასხვა თანრიგის შედარების დროსაც. რაც უფრო დიდია დაწესებულებანი, მით უფრო მაღალია დაქირავებული მუშების მყოლ დაწესებულებათა პროცენტი, მით უფრო მაღალია დაქირავებული მუშების პროცენტი. ნაროდნიკ-ეკონომისტები ჩვეულებრივ კმაყოფილდებიან განცხადებით, რომ «შინამრეწველთა» შორის სჭარბობენ წვრილი დაწესებულებანი, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის წევრი მუშები არიანო, ამასთან დასასაბუთებლად ხშირად იმოწმებენ «საშუალო» ციფრებს. როგორც ზემომოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ეს «საშუალო» ციფრები გამოუსადეგარია მოვლენის ამ მხრივ დასახასიათებლად, და ისეთ წვრილ დაწესებულებათა რიცხობრივი სიჭარბე, სადაც ოჯახის წევრი მუშები მუშაობენ, სრულიად არ უარჰყოფს იმ ძირითად ფაქტს, რომ *წვრილი სასაქონლო წარმოების ტენდენცია იხრება დაქირავებული შრომის სულ უფრო და უფრო მეტად გამოყენებისაკენ, კაპიტალისტური სახელოსნოების შექმნისაკენ.* გარდა ამისა, მოყვანილი ცნობები აბათილებენ აგრეთვე ნაროდნიკების მეორე, არანაკლებად გავრცელებულ მტკიცებას, რომ «შინამრეწველურ» წარმოებაში დაქირავებული შრომა მხოლოდ ოჯახური შრომის «დამატებას» წარმოადგენს, რომ მას მოგების მიზნით კი არ მიმართავენო და სხვ.*. ნამდვილად კი, თურმე, წვრილ მრეწველთა შორისაც, — ისევე როგორც წვრილ მიწათმოქმედთა შორის, — *დაქირავებული შრომის მზარდი გამოყენების პროცესი ოჯახის წევრი მუშების რიცხვის ზრდის პარალელურად სწარმოებს.* სარეწთა უმრავლესობაში ჩვენ ვხედავთ, რომ დაბალი თანრიგიდან მაღლისაკენ მატულობს დაქირავებული შრომის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ იზრდება ოჯახის წევრი მუშების რიცხვიც თითო და-

* იხ., მაგ., «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VI, ნაკვ. 1, გვ. 21.

დიაგრამა წინა ცხრილის შეჯამებული მონაცემებისა

——— მთლიანი ხაზი უჩვენებს პროცენტობით (ზევიდან) შინამრეწველთა უმაღლესი, მესამე, თანრიგის წილს 33 სარეწის დაწესებულებათა, მუშათა და სხვ. რიცხვის საერთო ჯამში.

- - - - - - პუნქტირ-ხაზი უჩვენებს პროცენტობით (ქვევიდან) შინამრეწველთა დაბალი, პირველი, თანრიგის წილს 33 სარეწის დაწესებულებათა, მუშათა და სხვ. რიცხვის საერთო ჯამში.



წესებულებაზე. დაქირავებული შრომის გამოყენება კი არ სპობს განსხვავებას «შინამრეწველთა» ოჯახურ შემადგენლობაში, არამედ აძლიერებს ამ განსხვავებას. დიაგრამა ნათლად გვიჩვენებს წვრილ სარეწთა ამ საერთო თვისებას: მაღალ თანრიგში ხდება დაქირავებული მუშების უზარმაზარი მასის კონცენტრაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანრიგი საუკეთესოდ არის უზრუნველყოფილი ოჯახის წევრი მუშებით. ამრიგად, «ოჯახური კოოპერაცია» კაპიტალისტური კოოპერაციის საფუძველს წარმოადგენს*. თავისთავად ცხადია, რომ ეს «კანონი» ეხება მხოლოდ უწვრილეს საქონელმწარმოებლებს, მხოლოდ კაპიტალიზმის ჩანასახებს; ეს კანონი ამტკიცებს, რომ გლეხობის ტენდენცია მდგომარეობს მისი წვრილ ბურჟუად გადაქცევაში. რაკი უკვე გაჩნდნენ სახელოსნოები, რომლებსაც დაქირავებული მუშები საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყავთ, — «ოჯახური კოოპერაციის» მნიშვნელობა აუცილებლად უნდა დაეცეს. და ჩვენ, მართლაც, ვხედავთ ჩვენი ცნობებიდან, რომ ეს კანონი არ ვრცელდება უმაღლესი კატეგორიების უფრო მსხვილ თანრიგებზე. როცა «შინამრეწველი» იქცევა ნამდვილ კაპიტალისტად, რომელსაც დაქირავებული ჰყავს 15-დან 30-მდე მუშა, — მის სახელოსნოებში ოჯახური შრომის როლი ეცემა უმცირეს ოდენობამდე (მაგ., უმაღლესი კატეგორიის მაღალ თანრიგში ოჯახის წევრი მუშები შეადგენენ მუშათა მთელი რიცხვის მხოლოდ 7%-ს). სხვანაირად რომ ვთქვათ: რამდენადაც «შინამრეწველური» სარეწები ისე მცირედი მოცულობისანი არიან, რომ იქ უმთავრეს როლს «ოჯახური კოოპერაცია» ასრულებს, იმდენად ეს ოჯახური კოოპერაცია კაპიტალისტური კოოპერაციის განვითარების უტყუარ თავდებს წარმოადგენს. მაშასადამე, აქ სრული სიცხადით იჩენს თავს სასაქონლო წარმოების დიალექტიკა, რომელიც «საკუთარი ხელით შექმნილ ცხოვრე-

* იგივე დასკვნა გამომდინარეობს პერმის «შინამრეწველთა» შესახები ცნობებიდან; იხ. ჩვენი «ეტიუდები», გვ. 126 — 128 (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 456 — 459. რ ე დ.).

წესებულებაზე. დაქირავებული შრომის გამოყენება კი არ სპობს განსხვავებას «შინამრეწველთა» ოჯახურ შემადგენლობაში, არამედ აძლიერებს ამ განსხვავებას. დიაგრამა ნათლად გვიჩვენებს წვრილ სარეწთა ამ საერთო თვისებას: მაღალ თანრიგში ხდება დაქირავებული მუშების უზარმაზარი მასის კონცენტრაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანრიგი საუკეთესოდ არის უზრუნველყოფილი ოჯახის წევრი მუშებით. ამრიგად, «ოჯახური კოოპერაცია» კაპიტალისტური კოოპერაციის საფუძველს წარმოადგენს*. თავისთავად ცხადია, რომ ეს «კანონი» ეხება მხოლოდ უწვრილეს საქონელმწარმოებლებს, მხოლოდ კაპიტალიზმის ჩანასახებს; ეს კანონი ამტკიცებს, რომ გლეხობის ტენდენცია მდგომარეობს მისი წვრილ ბურჟუად გადაქცევაში. რაკი უკვე გაჩნდნენ სახელოსნოები, რომლებსაც დაქირავებული მუშები საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყავთ, — «ოჯახური კოოპერაციის» მნიშვნელობა აუცილებლად უნდა დაეცეს. და ჩვენ, მართლაც, ვხედავთ ჩვენი ცნობებიდან, რომ ეს კანონი არ ვრცელდება უმაღლესი კატეგორიების უფრო მსხვილ თანრიგებზე. როცა «შინამრეწველი» იქცევა ნამდვილ კაპიტალისტად, რომელსაც დაქირავებული ჰყავს 15-დან 30-მდე მუშა, — მის სახელოსნოებში ოჯახური შრომის როლი ეცემა უმცირეს ოდენობამდე (მაგ., უმაღლესი კატეგორიის მაღალ თანრიგში ოჯახის წევრი მუშები შეადგენენ მუშათა მთელი რიცხვის მხოლოდ 7%-ს). სხვანაირად რომ ვთქვათ: რამდენადაც «შინამრეწველური» სარეწები ისე მცირედი მოცულობისანი არიან, რომ იქ უმთავრეს როლს «ოჯახური კოოპერაცია» ასრულებს, იმდენად ეს ოჯახური კოოპერაცია კაპიტალისტური კოოპერაციის განვითარების უტყუარ თავდებს წარმოადგენს. მაშასადამე, აქ სრული სიცხადით იჩენს თავს სასაქონლო წარმოების დიალექტიკა, რომელიც «საკუთარი ხელით შექმნილ ცხოვრე-

* იგივე დასკვნა გამომდინარეობს პერმის «შინამრეწველთა» შესახები ცნობებიდან; იხ. ჩვენი «ეტიუდები», გვ. 126 — 128 (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 456 — 459. რ ე დ.).

ბას» სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე დამყარებულ ცხოვრებად აქცევს.

გადავდივართ ცნობებზე შრომის ნაყოფიერების შესახებ. ცნობები წარმოების თანხის შესახებ, რომელიც მოდის თვითეულ თანრიგში თითო მუშაზე, გვიჩვენებს, რომ წ ა რ მ ო ე ბ ა თ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ ი ზ რ დ ე ბ ა შ რ ო მ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა ც. ეს შემჩნეულია სარეწთა უდიდეს უმრავლესობაში და სარეწთა ყველა კატეგორიაში გამოუკლებლად. დიაგრამა ამ კანონის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს; ის გვიჩვენებს, რომ მაღალი თანრიგის წილად მოდის წარმოების მთელი თანხის მეტი ნაწილი, ვიდრე მისი წილია მუშათა საერთო რიცხვში; დაბალ თანრიგში კი ეს თანაფარდობა შექცევითია. წარმოების თანხა, რომელიც მოდის 1 მუშაზე მაღალი თანრიგის დაწესებულებებში, 20%—40%-ით უფრო მეტია ასეთსავე თანხაზე დაბალი თანრიგის დაწესებულებებში. მართალია, მსხვილ დაწესებულებებს ჩვეულებრივ უფრო ხანგრძლივი სამუშაო პერიოდი აქვთ, და ხანდახან ისინი უფრო ძვირფას მასალას ამუშავებენ, ვიდრე წვრილები, მაგრამ არც ერთ ამ გარემოებას არ შეუძლია უარჰყოს ის ფაქტი, რომ მსხვილ სახელოსნოებში შრომის ნაყოფიერება გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე წვრილ სახელოსნოებში*. ეს სხვანაირად შეუძლებელიც არის. მსხვილ სახელოსნოებში 3—5-ჯერ უფრო მეტი მუშაა (ერთად აღებული როგორც ოჯახის წევრი, ისე დაქირავებული), ვიდრე წვრილებში, ხოლო კოოპერაციის უფრო ფართო მასშტაბით გამოყენებას არ შეუძლია გავლენა არ მოახდინოს შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. მსხვილი სახელოსნოები ყოველთვის უკეთ არიან ხოლმე ტექნიკუ-

* სახამებლის სარეწის შესახებ, რომელიც შეტანილია ჩვენს ცხრილებში, არის სხვადასხვა სიდიდის სახელოსნოებში სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობის მაჩვენებელი ცნობები. თურმე (როგორც ზემოთ დავინახეთ), ერთი და იმავე სამუშაო პერიოდის განმავლობაში ერთი მუშა მსხვილ სახელოსნოში იძლევა უფრო მეტ პროდუქტს, ვიდრე წვრილ სახელოსნოში.

რად მოწყობილნი, აღჭურვილნი არიან უკეთესი ინსტრუმენტებით, იარაღებით, ხელსაწყოებით, მანქანებით და სხვ. მაგ., ჯაგრისის სარეწის «წესიერად მოწყობილ სახელოსნოში» უნდა იყოს 15-მდე მუშა, დუგმის სარეწში — 9—10 მუშა. სათამაშოების სარეწში შინამრეწველთა უმრავლესობა საქონლის გასაშრობად ჩვეულებრივი ღუმელებით სარგებლობს, უფრო მსხვილ მეპატრონეებს აქვთ განსაკუთრებული საშრობი ღუმელები, ხოლო ყველაზე მსხვილ მრეწველებს — განსაკუთრებული საშრობი შენობები. ლითონის სათამაშოების წარმოებაში ცალკე სახელოსნოები აქვს 8 მეპატრონეს 16-დან, რაც თანრიგობით ასე გამოიხატება: I) 0 — 6-ს; II) 3 — 5-ს და III) 5 — 5-ს. 142 მესარკეს და მეჩარჩოეს აქვს 18 ცალკე სახელოსნო, რაც თანრიგობით ნაწილდება შემდეგნაირად: I) 3 — 99-ს: II) 4 — 27 და III) 11 — 16-ს. ცხავის საწნავ სარეწში ცხავების წნა ხელით სწარმოებს (I თანრიგი), ქსოვა კი — მექანიკურად (II და III თანრიგი). სათერძო სარეწში 1 მეპატრონეზე მოდის საკერავი მანქანა თანრიგობით: I) 1, 3; II) 2, 1 და III) 3, 4 და სხვ. და სხვ. ავეჯის სარეწის გამოკვლევაში ბ-ნი ისაევი აღნიშნავს, რომ მარტოხელა მუშაობას თან სდევს შემდეგი არახელსაყრელი მომენტები: 1) მარტოხელა ხელოსნებს არა აქვთ იარაღების სრული შემადგენლობა; 2) ისინი იძულებულნი არიან შეზღუდონ დასამზადებელი საქონლის სხვადასხვაობა, რადგან დიდი საგნებისათვის სადგომში სამყოფი ადგილი არ არის; 3) ცალობით მასალის ყიდვა მათ უფრო ძვირად უჯდებათ (30% — 35%-ით უფრო ძვირად); 4) ისინი იძულებული არიან უფრო იაფად გაყიდონ საქონელი ნაწილობრივ იმიტომ, რომ წვრილ «შინამრეწველს» უნდობლად უყურებენ, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ მას ფული ესაჭიროება*.

* წვრილი მწარმოებელი ებრძვის ამ არახელსაყრელ პირობებს სამუშაო დღის გახანგრძლივებით და შრომის დაძაბულობის გაძლიერებით (l. c., გვ. 38). სასაქონლო მეურნეობის დროს წვრილი მწარმოებელი მიწათმოქმედებაშიც და მრეწველობაშიც მხოლოდ მოთხოვნილებათა შეზღუდვით სძლებს.

ცნობილია, რომ სრულიად ანალოგიურ მოვლენებს ვხედავთ არა მარტო ავეჯის, არამედ წვრილ გლეხურ სარეწთა დიდ უმრავლესობაში. ბოლოს, საჭიროა დავძინოთ, რომ საწარმოთა უმრავლესობაში ერთი მუშის ნაწარმის ღირებულება იზრდება არა მარტო დაბალი თანრიგიდან უმაღლესი თანრიგისაკენ, არამედ აგრეთვე წვრილი სარეწიდან მსხვილისაკენ. საწარმოთა 1-ლ კატეგორიაში ერთი მუშა ამზადებს საშუალოდ 202 მანეთის პროდუქტს, მე-2-ში და მე-3-ში — 400 მანეთისას, მე-4-ში 500 მანეთისაზე მეტს (ციფრი 381, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, უნდა გავადიდოთ ერთნახევარჯერ მაინც). ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ნედლეულის გაძვირებასა და მსხვილ დაწესებულებათა მიერ წვრილების გამოდევნის პროცესს შორის კავშირი არსებობს. კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებაში გადადგმული ყოველი ნაბიჯი აუცილებლად იწვევს ისეთი პროდუქტების გაძვირებას, როგორიცაა ხე-ტყე და სხვ., და, ამრიგად, აჩქარებს წვრილ დაწესებულებათა დაღუპვას.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ წვრილ გლეხურ სარეწებში უზარმაზარ როლს ასრულებენ შედარებით მსხვილი კაპიტალისტური დაწესებულებანი. ისინი დაწესებულებათა საერთო რაოდენობაში პატარა უმცირესობას შეადგენენ, მაგრამ თავს უყრიან მუშათა საერთო რიცხვის ძალიან დიდ ნაწილს და წარმოების საერთო თანხის კიდევ უფრო მეტ ნაწილს. ასე, მოსკოვის გუბერნიის 33 სარეწიდან მაღალი თანრიგის დაწესებულებათა 15%-ში თავმოყრილია წარმოების მთელი თანხის 45%; დაბალი თანრიგის დაწესებულებათა 53 პროცენტზე კი მოდის წარმოების მთელი თანხის მხოლოდ 21%. თავისთავად ცხადია, რომ სარეწთა წმინდა შემოსავლის განაწილება გაცილებით კიდევ უფრო უთანასწორო უნდა იყოს. პერმის გუბერნიის 1894/95 წლის შინამრეწველობის აღწერის მონაცემები ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენენ. როცა შვიდი სარეწიდან გამოვყავით ყველაზე მსხვილი დაწესებულებანი, მივიღეთ

წვრილ და მსხვილ დაწესებულებათა ურთიერთდამოკიდებულების ასეთი სურათი*:

დაწესებულებანი	დაწესებულებათა რიცხვი	მუშების რიცხვი			მთლიანი შემოსავალი		ხელფასი		წმინდა შემოსავალი	
		ოჯახის წევრნი	დაქირავებულნი	სულ	სულ	ერთ დაწესებულებაზე	სულ	1 დაქირავებულ მუშაზე	სულ	1 ოჯახის წევრ მუშაზე
					მანეთი		მანეთი		მანეთი	
დაწესებულებანი სულ	735	1 587	837	2 424	239 837	98,9	28 985	34,5	69 027	43
მსხვილი	53	65	336	401	117 870	293	16 215	48,2	22 529	346
დანარჩენი	682	1 522	501	2 023	121 967	60,2	12 770	25,4	46 498	30,5

მსხვილ დაწესებულებათა სულ მცირედი ნაწილი (საერთო რიცხვის $^1/_{10}$-ზე ნაკლები), რომელსაც ჰყავს მუშათა საერთო რიცხვის $^1/_5$-მდე, თავს უყრის მთელი წარმოების თითქმის ნახევარს და მთელი შემოსავლის დაახლოებით $^2/_5$-ს (აქ ერთად არის აღებული მუშების ხელფასიც და მეპატრონეთა შემოსავალიც). წვრილი მეპატრონეების წმინდა შემოსავალი მსხვილ დაწესებულებებში მომუშავე დაქირავებული მუშების ხელფასზე გაცილებით უფრო ნაკლებია; სხვა ადგილას ჩვენ დაწვრილებით აღვნიშნეთ, რომ ეს მოვლენა გამონაკლისი კი არ არის, არამედ საერთო წესია წვრილი გლეხური სარეწებისათვის**.

* იხ. ჩვენი «ეტიუდები», გვ. 153 და შემდ. (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 498 და შემდ. რ ე დ.), სადაც მოყვანილია ცნობები ყოველი სარეწის შესახებ ცალკე. აღვნიშნავთ, რომ მთელი ეს ცნობები შეეხება შინამრეწველ-მიწათმოქმედთ, რომელნიც ბაზრისათვის მუშაობენ.

** ტექსტში მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ წვრილ გლეხურ სარეწებში უზარმაზარ და უპირატეს როლსაც კი ასრულებენ ის დაწესებულებანი, რომელთა წარმოების თანხა 1 000 მანეთზე მეტია. გავიხსენოთ, რომ ასეთ დაწესებულებებს ჩვენი ოფიციალური სტატისტიკა ყო-

რომ შევაჯამოთ ის დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენ მიერ განხილული ცნობებიდან, უნდა ვთქვათ, რომ წვრილ გლეხურ სარეწთა ეკონომიური წყობილება არის ტიპიური წვრილბურჟუაზიული წყობილება, — ისეთივე, როგორიც ზემოთ აღვნიშნეთ წვრილ მიწათმოქმედთა შორის. წვრილ გლეხურ სარეწთა გაფართოება, განვითარება, გაუმჯობესება არსებულ საზოგადოებრივ-სამეურნეო ატმოსფეროში არ შეიძლება სხვანაირად ხდებოდეს, თუ არა, ერთი მხრით, წვრილი კაპიტალისტების უმცირესობის და, მეორე მხრით, დაქირავებულ მუშათა უმრავლესობის გამოყოფით, ან ისეთ «დამოუკიდებელ შინამრეწველთა» გამოყოფით, რომელნიც დაქირავებულ მუშებზე კიდევ უფრო მძიმედ და უფრო უარესად ცხოვრობენ. მაშასადამე, ყველაზე უფრო პატარა გლეხურ სარეწებში ჩვენ ვხედავთ კაპიტალიზმის ფრიად აშკარა ჩანასახებს, სწორედ იმ კაპიტალიზმისა, რომელსაც სხვადასხვა ეკონომისტ-მანილოვები გვიხატავენ «სახალხო წარმოებისაგან» მოწყვეტილ რამედ. შინაური ბაზრის თეორიის თვალსაზრისითაც გარჩეული ფაქტების მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. წვრილ გლეხურ სარეწთა განვითარება იწვევს იმას, რომ უფრო შეძლებული მრეწველები აფართოებენ მოთხოვნილებას წარმოების საშუალებებზე და მუშა-ძალაზე, რომელსაც სოფლის პროლეტარიატის რიგებიდან აგროვებენ. სოფლელი ხელოსნებისა და წვრილი მრეწველების მიერ დაქირავებული მუშების რიცხვი

ველთვის მიაკუთვნებდა და ახლაც მიაკუთვნებს «ფაბრიკებისა და ქარხნების» რიცხვს [შეად. «ეტიუდები», გვ. 267, 270 (იხ. თხზულებანი, ტომი მე-4, გვ. 6 — 7, 12 — 13. რ ე დ.), და VII თავი, § II]. ამრიგად, ჩვენ ეკონომისტისათვის ნებადართულად რომ მიგვაჩნდეს იმ გავრცელებული ტრადიციული ტერმინოლოგიით სარგებლობა, რომელსაც ვერ გასცილებიან ჩვენი ნაროდნიკები, ნებას მივცემდით ჩვენს თავს დაგვედგინა შემდეგი «კანონი»: გლეხურ, «შინამრეწველურ» დაწესებულებათა შორის უპირატეს როლს ასრულებენ «ფაბრიკები და ქარხნები», რომლებიც ვერ ხვდებიან ოფიციალურ სტატისტიკაში მისი არადამაკმაყოფილებლობის გამო.

მთელ რუსეთში ძალიან საგრძნობი უნდა იყოს, თუ, მაგალითად, მარტო პერმის გუბერნიაში ის აღწევს დაახლოებით $6^1/_2$ ათასს*.

V. კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია

წვრილ საქონელმწარმოებელთა მიერ შედარებით მსხვილი სახელოსნოების დაარსება წარმოადგენს მრეწველობის უფრო მაღალ ფორმაზე გადასვლას. დაქსაქსული წვრილი წარმოებიდან იქმნება *კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია*. «კაპიტალისტური წარმოება... იწყება ნამდვილად იმ მომენტიდან, როცა ერთი და იგივე ინდივიდუალური კაპიტალი ერთდროულად ამუშავებს მუშათა მეტ რიცხვს, მაშასადამე, შრომის პროცესი აფართოვებს თავის ფარგლებს და იძლევა პროდუქტის მეტ რაოდენობას. მუშათა მეტი რიცხვის მოქმედება ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილზე (ან, თუ გნებავთ, შრომის ერთსა და იმავე დარგში), ერთი და იმავე ხარისხის საქონლის საწარმოებლად, ერთი და იმავე კაპიტალისტის ხელმძღვანელობით, ისტორიულად და ლოგიკურად წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების გამოსავალ წერტილს. თვით წარმოების წესის მიმართ მანუფაქტურა, მაგალითად, თავისი შთანასახი ფორმით, თითქმის მე-

* დავძენთ, რომ სხვა გუბერნიებშიც, გარდა მოსკოვის და პერმის გუბერნიებისა, წყაროები გვიჩვენებენ სრულიად ანალოგიურ ურთიერთობას წვრილ საქონელმწარმოებელთა შორის. იხ., მაგ., «ვლადიმირის გუბ. სარეწები», ნაკვ. II, მეფეხსაცმლეთა და მთელავთა კომლობრივი აღწერა; «შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. II— მედინის მაზრის მებორბლეების შესახებ; ნაკვ. II — იმავე მაზრის ცხვრის ტყავის მომქნელების შესახებ; ნაკვ. III—არზამასის მაზრის ქურქჩების შესახებ; ნაკვ. IV — სემიონოვის მაზრის მთელავების და ვასილსკის მაზრის მეტყავეების შესახებ და სხვ. შეად. «ნიჟნი-ნოვგოროდის კრებული», ტ. IV, გვ. 137, — ა. ს. გაცისკი აღნიშნავს მსხვილ სახელოსნოთა გამოყოფას. შეად. ანენსკის მოხსენება პავლოვოს შინამრეწველთა შესახებ (ზემოთ ნაჩვენები), კვირეულა საშოვრის სიდიდის მიხედვით ოჯახების ჯგუფების შესახებ და სხვ. და სხვ. ყველა ეს მითითება ჩვენ მიერ გარჩეულ კომლობრივ აღწერათა ცნობებიდან განირჩევა მხოლოდ სისრულის ნაკლებობით და მასალების სიღარიბით. საქმის არსი კი ყველგან ერთი და იგივეა.

ტით არაფრით არ განირჩევა ამქრული ხელოსნური წარმოებისაგან, გარდა მუშების მრავალი რიცხვისა, რომელთაც ერთდროულად ამუშავებს ერთი და იგივე კაპიტალი. აქ ამქრული ხელოსნის სახელოსნო მხოლოდ გაფართოვებულია» («Das Kapital», I², S. 329)[104].

მაშასადამე, კაპიტალიზმის სწორედ ეს გამოსავალი წერტილია ჩვენს წვრილ გლეხურ («შინამრეწველურ») სარეწებში. სხვა ისტორიული ვითარება (ამქრული ხელოსნობის არარსებობა ან სუსტი განვითარება) სახეს უცვლის მხოლოდ ერთი და იგივე კაპიტალისტური ურთიერთობის გამოვლინების ფორმებს. კაპიტალისტური სახელოსნოს განსხვავება წვრილი მრეწველის სახელოსნოსაგან თავდაპირველად მხოლოდ ერთდროულად მომუშავე მუშების რიცხვში მდგომარეობს. ამიტომ პირველი კაპიტალისტური დაწესებულებანი, რომელნიც რიცხობრივად უმცირესობას შეადგენენ, თითქოს ჰქრებიან წვრილ დაწესებულებათა საერთო მასაში. მაგრამ მუშების მეტი რიცხვის გამოყენება აუცილებლად იწვევს თანამიმდევრულ ცვლილებებს თვით წარმოებაშიც, იწვევს წარმოების თანდათანობით გარდაქმნას. ხელის პირველყოფილი ტექნიკის დროს ცალკეულ მომუშავეთა შორის განსხვავება ყოველთვის ძალიან დიდია (ღონით, სიმარჯვით, დახელოვნებით და სხვ.); უკვე მარტო ამ მიზეზის გამოც წვრილი მრეწველის მდგომარეობა მეტისმეტად მერყეევი ხდება; ბაზრის მერყეობისაგან მისი დამოკიდებულება უმძიმეს ფორმებს იღებს. ხოლო როცა დაწესებულებაში რამდენიმე მუშაა, ინდივიდუალური განსხვავება მათ შორის ისპობა უკვე თვით სახელოსნოში; «ერთდროულად მომუშავე მრავალრიცხოვანი მუშების ერთობლივი სამუშაო დღე უკვე თავისთავად წარმოადგენს საზოგადოებრივი საშუალო შრომის დღეს»[105], და ამიტომ კაპიტალისტური სახელოსნოს წარმოება და მისი პროდუქტების გასაღება გაცილებით უფრო მეტ რეგულარობას და სიმტკიცეს იძენს. იქმნება შესაძლებლობა უფრო სრულად გამოიყენონ ნაგებობანი, საწყობები, ინსტრუმენტები და შრომის იარაღები და სხვ.;

ეს კი იწვევს უფრო მსხვილ სახელოსნოებში წარმოების ღირებულების გაიაფებას*. იმისათვის, რომ წარმოება უფრო ფართო მასშტაბით მოაწყო და ერთსა და იმავე დროს მრავალი მუშა ამუშავო, საჭიროა დააგროვო საკმაოდ მნიშვნელოვანი კაპიტალი, რომელიც ხშირად თავს იყრის არა წარმოების სფეროში, არამედ ვაჭრობის სფეროში და სხვ. ამ კაპიტალის სიდიდე განსაზღვრავს საწარმოში მეპატრონის პირადი მონაწილეობის ფორმას: არის თუ არა ის თვითონაც მუშა, როცა მისი კაპიტალი ჯერ კიდევ ძალიან მცირეა, თუ უარს ამბობს პირად მუშაობაზე და სპეციალდება კომერციულ-სამეწარმო ფუნქციებში. «შეიძლება სახელოსნოს მეპატრონის მდგომარეობა დავუკავშიროთ მისი მუშების რიცხვს», — ვკითხულობთ, მაგალითად, ავეჯის სარეწის აღწერაში. «2 — 3 მომუშავე იმდენად ცოტა ნამეტს აძლევს მეპატრონეს, რომ ის თვითონ მათ გვერდით მუშაობს... 5 მომუშავე კი უკვე იმდენს აძლევს მეპატრონეს, რომ ის რამდენადმე ითავისუფლებს თავს ხელით მუშაობისაგან, ცოტა არ იყოს ზანტობას იწყებს და ასრულებს, უმთავრესად, მეპატრონის ორ უკანასკნელ როლს» (ე. ი. მასალების ყიდვა და საქონლის გასაღება). «როგორც კი დაქირავებული მუშების რიცხვი აღწევს 10-ს ან გადაამეტებს ამ ციფრს, მე-

* მაგ., ვლადიმირის გუბ. მევარაყეთა შესახებ ჩვენ ვკითხულობთ: «მუშების მეტი რიცხვის დროს შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს ხარჯები; აქ უნდა ვიგულისხმოთ სინათლის, ჩასასობის, ქვებისა და მოწყობილობის ხარჯები» («ვლადიმირის გუბ. სარეწები», III, 188). პერმის გუბერნიის სპილენძეულის სარეწში მარტოხელა ხელოსნისათვის საჭიროა ხელსაწყოთა სრული კომპლექტი (16-ნაირი); ორი მუშისთვის საჭიროა «სრულიად უმნიშვნელო დამატება». «სახელოსნოში, სადაც 6 — 8 მუშა მუშაობს, ხელსაწყოების კოლექცია გადიდებულ უნდა იქნას ერთისამად ან ერთიოთხად... სახარატო დაზგა ყოველთვის ერთია — 8-მუშიან სახელოსნოშიც კი» («შინამრეწველობის კომისიის შრომები», X, 2939). მსხვილი სახელოსნოს ძირითადი კაპიტალი უდრის 466 მან., საშუალოსი — 294 მან. წვრილისა – 80 მან., წარმოების თანხა კი — 6 200 მან. — 3 655 მან. — 871 მან. მაშასადამე, წვრილ დაწესებულებებში წარმოება 11-ჯერ უფრო მეტია ძირითადი კაპიტალის თანხაზე, საშუალოში — 12-ჯერ, მსხვილში — 14-ჯერ მეტი.

პატრონე არათუ სწყვეტს ხელით მუშაობას, არამედ თითქმის თავსაც კი ანებებს მუშებზე პირადად ზედამხედველობას: ის ნიშნავს მთავარ ოსტატს, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს მომუშავეებს... აქ ის უკვე იქცევა პატარა კაპიტალისტად, ნამდვილ «მკვიდრ მეპატრონედ» (ისაევი, «მოსკოვის გუბერნიის მრეწველობა», I, 52—53). ჩვენ მიერ მოყვანილი სტატისტიკური ცნობები ნათლად ადასტურებენ ამ დახასიათებას და გვიჩვენებენ ოჯახის წევრი მუშების რიცხვის შემცირებას დაქირავებული მუშების რიცხვის გამრავლების დროს.

მრეწველობის კაპიტალისტური ფორმების განვითარებაში კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის საერთო მნიშვნელობას «კაპიტალის» ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს:

«ისტორიულად კოოპერაციის კაპიტალისტური ფორმა ვითარდება გლეხური მეურნეობის და დამოუკიდებელი ხელოსნური წარმოების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, — აქვს თუ არა ამ უკანასკნელს ამქრული ფორმა... იმის მსგავსად, როგორც კოოპერაციის მეოხებით შრომის მომატებული საზოგადოებრივი საწარმოო ძალა გვევლინება როგორც კაპიტალის საწარმოო ძალა, — ისე თვით კოოპერაცია გვევლინება წარმოების კაპიტალისტური პროცესის სპეციფიკურ ფორმად, წინააღმდეგ დაქსაქსულ დამოუკიდებელ მუშაკთა ან წვრილ მეპატრონეთა წარმოების პროცესისა. ესაა პირველი ცვლილება, რომელსაც განიცდის თვით შრომის პროცესი კაპიტალისადმი დაქვემდებარების გამო... დაქირავებული მუშების დიდი რიცხვის ერთდროული გამოყენება შრომის ერთსა და იმავე პროცესში, რაც ამ ცვლილების პირობას წარმოადგენს, არის კაპიტალისტური წარმოების გამოსავალი წერტილი... ამიტომ, თუ, ერთი მხრით, წარმოების კაპიტალისტური წესი არის ისტორიული აუცილებლობა შრომის პროცესის საზოგადოებრივ პროცესად გადაქცევისათვის, მეორე მხრით, შრომის პროცესის ეს საზოგადოებრივი ფორმა არის კაპიტალის მიერ გამოყენებული წესი—უფრო ხელსაყრელი ექსპლოატაცია გაუწიოს ამ პროცესს მისი საწარმოო ძალის მომატების საშუალებით.

ზემოთ განხილული თავისი უბრალო ფორმით კოოპერაცია ემთხვევა გაფართოებულ წარმოებას, მაგრამ ის არ შეადგენს კაპიტალისტური წარმოების განვითარების განსაკუთრებული ეპოქის არავითარ მტკიცე, დამახასიათებელ ფორმას. სულ ბევრი ის არის, თუ ის დაახლოებით ასეთ როლს თამაშობს მანუფაქტურის ჯერ კიდევ ხელოსნურ ჩანასახებში...» («Das Kapital», I², 344 — 345)[106].

შემდგომ გადმოცემაში ჩვენ დავინახავთ, თუ რა მჭიდროდ უკავშირდებიან რუსეთში წვრილი «შინასამრეწველო» დაწესებულებანი, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, კაპიტალიზმის შეუდარებლად უფრო განვითარებულ და უფრო ფართოდ გავრცელებულ ფორმებს. რაც შეეხება ამ დაწესებულებათა როლს წვრილ გლეხურ სარეწებში, ზემოთ უკვე ნაჩვენები იყო სტატისტიკურად, რომ ეს დაწესებულებანი ჰქმნიან საკმაოდ ფართო კაპიტალისტურ კოოპერაციას წარმოების წინანდელი დაქსაქსულობის ნაცვლად და მნიშვნელოვნად ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას.

ჩვენი დასკვნა წვრილ გლეხურ სარეწებში კაპიტალისტური კოოპერაციის უზარმაზარი როლისა და მისი პროგრესული მნიშვნელობის შესახებ მკვეთრად ეწინააღმდეგება იმ ფართოდ გავრცელებულ ნაროდნიკულ დოქტრინას, თითქოს 'წვრილ. გლეხურ სარეწებში «არტელური საწყისის» ყოველგვარი გამოვლინება სპარბობდეს. ნამდვილად კი, სწორედ პირიქით, — წვრილი მრეწველობა (და ხელოსნობა) მწარმოებელთა უდიდესი დაქსაქსულობით განირჩევა. ამის საწინააღმდეგო შეხედულების დასამტკიცებლად ნაროდნიკულმა ლიტერატურამ ვერაფრის მოცემა ვერ შესძლო, გარდა ერთეული მაგალითების შერჩევისა, რომელთა დიდი უმრავლესობა ეკუთვნის სრულიადაც არა კოოპერაციას, არამედ მსხვილ თუ წვრილ მეპატრონეთა დროებითს, მინიატურულ შეერთებას ნედლეულის ერთად საყიდლად, საერთო სახელოსნოს ასაგებად და სხვ. ამგვარი არტელები ოდნავადაც ვერ არყევენ კაპიტალისტური კოოპერაციის უპი-

რატეს მნიშვნელობას*. სწორი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმაზე, თუ ნამდვილად რა ფართოდ არის გავრცელებული «არტელური საწყისი», საკმარისი არ არის აქა-იქ ამოგლეჯილი მაგალითების მოყვანა; ამისათვის საჭიროა ავიღოთ რომელიმე მთლიანად გამოკვლეული რაიონის ცნობები და განვიხილოთ კოოპერაციის ამა თუ იმ ფორმის შედარებითი გავრცელება და მნიშვნელობა. ასეთია, მაგ., პერმის 1894/95 წლის «შინამრეწველობის» აღწერის მონაცემები, — და ჩვენ უკვე სხვა ადგილას აღვნიშნეთ («ეტიუდები», გვ. 182 — 187 **), თუ წვრილი მრეწველების რა გასაოცარი დაქსაქსულობა გამო

საღებისა და ნედლეულის შესყიდვის სავაჭრო ოპერაციებს და ჩვეულებრივ ამა თუ იმ ფორმით იმორჩილებენ წვრილ მრეწველებს. ვნახოთ, რა კავშირი აქვს ამ მოვლენას წვრილი გლეხური სარეწების საერთო წყობილებასთან და როგორია მისი მნიშვნელობა.

შემყიდველის ძირითადი სამეურნეო ოპერაცია მდგომარეობს იმაში, რომ ის საქონელს (პროდუქტს ან ნედლეულს) გადასაყიდად ყიდულობს. ‹სხვანაირად რომ ვთქვათ, შემყიდველი სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელია. ყოველი კაპიტალის — როგორც სამრეწველო, ისე სავაჭრო კაპიტალის — გამოსავალი წერტილია ცალკე პირთა ხელში თავისუფალ ფულად საშუალებათა დაგროვება (სიტყვა თავისუფალი აქ გულისხმობს ისეთ ფულად საშუალებას, რომლის პირადი საჭიროებისათვის მოხმარება აუცილებლობას არ წარმოადგენს და სხვ.). თუ როგორ ხდება ეს ქონებრივი დიფერენციაცია ჩვენს სოფელში, ეს დაწვრილებით ცხადვყავით ზემოთ მიწათმოქმედი და მრეწავი გლეხობის დაშლის მონაცემების დახმარებით. ამ მონაცემებით გამორკვეულია ერთ-ერთი პირობა, რომელიც იწვევს შემყიდველის გაჩენას, სახელდობრ: წვრილ მწარმოებელთა დაქსაქსულობა, განცალკევებულობა, მათ შორის სამეურნეო მეტოქეობისა და ბრძოლის არსებობა. მეორე პირობა ეხება იმ ფუნქციების ხასიათს, რომლებსაც ასრულებს სავაჭრო კაპიტალი, ე. ი. ნაწარმის გასაღებას და ნედლი მასალის შეყიდვას. სასაქონლო წარმოების უმნიშვნელო განვითარების დროს წვრილი მწარმოებელი იმას სჯერდება, რომ თავის ნაწარმს ასაღებს პატარა ადგილობრივ ბაზარზე, ზოგჯერ — უშუალოდ მომხმარებელზეც კი. ეს არის სასაქონლო წარმოების განვითარების დაბალი სტადია, რომელიც მხოლოდ იწყებს ხელოსნობიდან გამოყოფას. რაც უფრო ფართოვდება ბაზარი, მით უფრო შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ხდება ასეთი წვრილი დაქსაქსული გასაღება (რომელიც სავსებით შეესაბამება წვრილ. დაქსაქსულ წარმოებას). დიდ ბაზარზე გასაღება დიდი, მასობრივი უნდა იყოს. და აი, წარმოების წვრილი ხასიათი შეურიგებელ

წინააღმდეგობაში ვარდება მსხვილი, საბითუმო გასაღების აუცილებლობასთან. არსებულ საზოგადოებრივ-სამეურნეო პირობებში, წვრილ მწარმოებელთა განცალკევებულობისა და დაშლის დროს, ამ წინააღმდეგობიდან სხვა გამოსავალი არ იყო, გარდა იმისა, რომ შეძლებული უმცირესობის წარმომადგენლებმა ხელთ იგდეს გასაღება, მოახდინეს მისი კონცენტრაცია. შემყიდველები ნაწარმს (თუ ნედლეულს) მასობრივად ყიდულობდნენ, ამით ამცირებდნენ გასაღების ხარჯებს, აქცევდნენ გასაღებას წვრილი, შემთხვევითი და უწესო მოვლენიდან მსხვილ და რეგულარულ ოპერაციად, — და მსხვილი გასაღების ამ წმინდა ეკონომიურმა უპირატესობამ აუცილებლად გამოიწვია ის, რომ წვრილი მწარმოებელი ბაზრისაგან მოწყვეტილი და სავაჭრო კაპიტალის ძლიერების წინაშე უმწეო აღმოჩნდა. ამრიგად, სასაქონლო მეურნეობის პირობებში წვრილი მწარმოებელი აუცილებლად დამოკიდებული ხდება სავაჭრო კაპიტალისაგან იმ წმინდა ეკონომიური უპირატესობის გამო, რომელიც აქვს მსხვილ, მასობრივ გასაღებას დაქსაქსულ, წვრილ გასაღებასთან შედარებით*. თავისთავად ცხადია, რომ სინამდვილეში შემყიდველების მოგება ხშირად სრულიადაც არ განისაზღვრება იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს მასობრივი გასაღების ღირებულებასა და წვრილმანი გასაღების ღირებულებას შორის, — სწორედ ისევე, როგორც მრეწველი კაპიტალისტის მოგება ხშირად შესდგება ნორმალური ხელფასის გამონა-

* საზოგადოდ კაპიტალიზმის განვითარებაში სავაჭრო კაპიტალის მნიშვნელობის საკითხზე მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს «კაპიტალის» III ტომს. იხ. განსაკუთრებით III, I, S. 253—254 (რუს. თარგ., 212) სასაქონლო-სავაჭრო კაპიტალის არსის შესახებ; S. 259 (რუს. თარგმ., 217) სავაჭრო კაპიტალის მიერ გასაღების გაიაფების შესახებ; S. 278 — 279 (რუს. თარგ., 233 — 234) იმ მოვლენის ეკონომიური აუცილებლობის შესახებ, რომ «კონცენტრაცია სავაჭრო დაწესებულებაში უფრო ადრე ხდება, ვიდრე სამრეწველო სახელოსნოში»; S. 308 (რუს. თარგ., 259) და S. 310 — 311 (რუს. თარგ., 260 — 261) სავაჭრო კაპიტალის ისტორიული როლის შესახებ, როგორც აუცილებელი «პირობისა წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებისათვის» [107].

ქვითისაგან. მიუხედავად ამისა, მრეწველი კაპიტალისტის მოგების ასახსნელად ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ სამუშაო ძალა იყიდება მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით. ამნაირადვე, შემყიდველის როლის ასახსნელად ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ პროდუქტების ყიდვა-გაყიდვას ის ეწევა საქონლის გაცვლის ზოგადი კანონების მიხედვით. სავაჭრო კაპიტალის ბატონობის მხოლოდ ამ ეკონომიურ მიზეზებს შეუძლიათ მოგვცენ გასაღები იმ სხვადასხვაგვარი ფორმების გასაგებად, რომლებსაც ის იღებს სინამდვილეში და რომელთა შორის მუდმივად გვხვდება (ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა) სრულიად ჩვეულებრივი თაღლითობაც. სხვანაირად მოქცევა, — როგორც ეს სჩვევიათ ნაროდნიკებს, — ე. ი. მხოლოდ «კულაკების» სხვადასხვა ხრიკებზე მითითებით დაკმაყოფილება და ამ საბუთით მოვლენის ეკონომიური ბუნების საკითხის სავსებით უგულებელყოფა იმას ნიშნავს, რომ ვულგარული ეკონომიის თვალსაზრისზე დადგე *.

ჩვენი იმ დებულების დასასაბუთებლად, რომ ბაზრისთვის მომუშავე წვრილ წარმოებასა და სავაჭრო კ[illegible] ბატონობას შორის აუცილებელი მიზეზობრივი კა[illegible] სებობს, ჟფრო დაწვრილებით შევჩერდებით იმის [illegible] საუკეთესო აღწერილობაზე, თუ როგორ ჩნდებიან შე[illegible] ლები და რა როლს ასრულებენ ისინი. ჩვენ მხედველო[illegible] გვაქვს მოსკოვის გუბერნიის არშიის სარეწის გამოკვლე[illegible]

* ნაროდნიკების ტენდენციურმა თვალსაზრისმა, რომლებიც აიდეალებდნენ «შინასამრეწველო» სარეწებს და სავაჭრო კაპიტალს სახავდნენ საბაზრო წვრილი წარმოების აუცილებელ კუთვნილებად კი არა, არამედ რაღაც სავალალო გადახვევად, — სამწუხაროდ, გავლენა მოახდინა სტატისტიკურ გამოკვლევებზეც. ასე, ჩვენ გვაქვს შინამრეწველთა მთელი რიგი კომლობრივი აღწერები (მოსკოვის, ვლადიმირის, პერმის გუბერნიებისა), რომლებიც ზუსტად იკვლევდნენ ყოველი წვრილი მრეწველის მეურნეობას, მაგრამ გვერდს უვლიდნენ შემყიდველთა მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს საკითხს, იმას, თუ როგორ სდგება მისი კაპიტალი და რით განისაზღვრება ამ კაპიტალის სიდიდე, როგორია გასაღებისა და შეყიდვის ღირებულება შემყიდველისათვის და სხვა. შეად. ჩვენი «ეტიუდები», გვ. 169. (იხ. თხზულებანი, ტომი მე-2, გვ. 518 — 519. რ ე დ.).

წინააღმდეგობაში ვარდება მსხვილი, საბითუმო გასაღების აუცილებლობასთან. არსებულ საზოგადოებრივ-სამეურნეო პირობებში, წვრილ მწარმოებელთა განცალკევებულობისა და დაშლის დროს, ამ წინააღმდეგობიდან სხვა გამოსავალი არ იყო, გარდა იმისა, რომ შეძლებული უმცირესობის წარმომადგენლებმა ხელთ იგდეს გასაღება, მოახდინეს მისი კონცენტრაცია. შემყიდველები ნაწარმს (თუ ნედლეულს) მასობრივად ყიდულობდნენ, ამით ამცირებდნენ გასაღების ხარჯებს, აქცევდნენ გასაღებას წვრილი, შემთხვევითი და უწესო მოვლენიდან მსხვილ და რეგულარულ ოპერაციად, — და მსხვილი გასაღების ამ წმინდა ეკონომიურმა უპირატესობამ აუცილებლად გამოიწვია ის, რომ წვრილი მწარმოებელი ბაზრისაგან მოწყვეტილი და სავაჭრო კაპიტალის ძლიერების წინაშე უმწეო აღმოჩნდა. ამრიგად, სასაქონლო მეურნეობის პირობებში წვრილი მწარმოებელი აუცილებლად დამოკიდებული ხდება სავაჭრო კაპიტალისაგან იმ წმინდა ეკონომიური უპირატესობის გამო, რომელიც აქვს მსხვილ, მასობრივ გასაღებას დაქსაქსულ, წვრილ გასაღებასთან შედარებით*. თავისთავად ცხადია, რომ სინამდვილეში შემყიდველების მოგება ხშირად სრულიადაც არ განისაზღვრება იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს მასობრივი გასაღების ღირებულებასა და წვრილმანი გასაღების ღირებულებას შორის, — სწორედ ისევე, როგორც მრეწველი კაპიტალისტის მოგება ხშირად შესდგება ნორმალური ხელფასის გამონა-

* საზოგადოდ კაპიტალიზმის განვითარებაში სავაჭრო კაპიტალის მნიშვნელობის საკითხზე მკითხველს ეურჩევთ გაეცნოს «კაპიტალის» III ტომს. იხ. განსაკუთრებით III, I, S. 253—254 (რუს. თარგ., 212) სასაქონლო-სავაჭრო კაპიტალის არსის შესახებ; S. 259 (რუს. თარგმ., 217) სავაჭრო კაპიტალის მიერ გასაღების გაიაფების შესახებ; S. 278 — 279 (რუს. თარგ., 233 — 234) იმ მოვლენის ეკონომიური აუცილებლობის შესახებ, რომ «კონცენტრაცია სავაჭრო დაწესებულებაში უფრო ადრე ხდება, ვიდრე სამრეწველო სახელოსნოში»; S. 308 (რუს. თარგ., 259) და S. 310 — 311 (რუს. თარგ., 260 — 261) სავაჭრო კაპიტალის ისტორიული როლის შესახებ, როგორც აუცილებელი «პირობისა წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებისათვის» [107].

ქვითისაგან. მიუხედავად ამისა, მრეწველი კაპიტალისტის მოგების ასახსნელად ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ სამუშაო ძალა იყიდება მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით. ამნაირადვე, შემყიდველის როლის ასახსნელად ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ პროდუქტების ყიდვა-გაყიდვას ის ეწევა საქონლის გაცვლის ზოგადი კანონების მიხედვით. სავაჭრო კაპიტალის ბატონობის მხოლოდ ამ ეკონომიურ მიზეზებს შეუძლიათ მოგვცენ გასაღები იმ სხვადასხვაგვარი ფორმების გასაგებად, რომლებსაც ის იღებს სინამდვილეში და რომელთა შორის მუდმივად გვხვდება (ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა) სრულიად ჩვეულებრივი თაღლითობაც. სხვანაირად მოქცევა, — როგორც ეს სჩვევიათ ნაროდნიკებს, — ე. ი. მხოლოდ «კულაკების» სხვადასხვა ხრიკებზე მითითებით დაკმაყოფილება და ამ საბუთით მოვლენის ეკონომიური ბუნების საკითხის სავსებით უგულებელყოფა იმას ნიშნავს, რომ ვულგარული ეკონომიის თვალსაზრისზე დადგე *.

ჩვენი იმ დებულების დასასაბუთებლად, რომ ბაზრისთვის მომუშავე წვრილ წარმოებასა და სავაჭრო კაპიტალის ბატონობას შორის აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი არსებობს, უფრო დაწვრილებით შევჩერდებით იმის ერთ-ერთ საუკეთესო აღწერილობაზე, თუ როგორ ჩნდებიან შემყიდველები და რა როლს ასრულებენ ისინი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოსკოვის გუბერნიის არშიის სარეწის გამოკვლევა

* ნაროდნიკების ტენდენციურმა თვალსაზრისმა, რომლებიც აიდეალებდნენ «შინასამრეწველო» სარეწებს და სავაჭრო კაპიტალს სახავდნენ საბაზრო წვრილი წარმოების აუცილებელ კუთვნილებად კი არა, არამედ რაღაც სავალალო გადახვევად, — სამწუხაროდ, გავლენა მოახდინა სტატისტიკურ გამოკვლევებზეც. ასე, ჩვენ გვაქვს შინამრეწველთა მთელი რიგი კომლობრივი აღწერები (მოსკოვის, ვლადიმირის, პერმის გუბერნიებისა), რომლებიც ზუსტად იკვლევდნენ ყოველი წვრილი მრეწველის მეურნეობას, მაგრამ გვერდს უვლიდნენ შემყიდველთა მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს საკითხს, იმას, თუ როგორ სდგება მისი კაპიტალი და რით განისაზღვრება ამ კაპიტალის სიდიდე, როგორია გასაღებისა და შეყიდვის ღირებულება შემყიდველისათვის და სხვა. შეად. ჩვენი «ეტიუდები», გვ. 169. (იხ. თხზულებანი, ტომი მე-2, გვ. 518 — 519. რ ე დ.).

(«მოსკოვის გუბერნიის სარეწები», ტ. VI, ნაკვ. II). «ვაჭარი ქალების» გაჩენის პროცესი ასეთია. 1820-იან წლებში, ე. ი. ამ სარეწის აღმოცენების დროს, და შემდეგაც, როცა მეარშიე ქალები ჯერ კიდევ ცოტანი იყვნენ, — მთავარ მყიდველებს წარმოადგენდნენ მემამულეები, «ბატონები». მომხმარებელი ახლოს იდგა მწარმოებელთან. რაც უფრო ვრცელდებოდა სარეწი, მით უფრო გზავნიდნენ გლეხები არშიას მოსკოვში, რისთვისაც სარგებლობდნენ «რაიმე შემთხვევით», მაგ., ატანდნენ მესავარცხლეებს. მაგრამ ასეთი პრიმიტიული გასაღების უხერხულობა ძალიან მალე შეიქნა საგრძნობი: «სად შეუძლია გლეხს, რომელიც ამ საქმეზე არ მუშაობს, სახლიდან სახლში იაროს?» ამის შემდეგ გასაღებას ანდობდნენ ერთ-ერთ მეარშიე ქალს, რომელსაც უნაზღაურებდნენ გაცდენილ დროს. «მასვე მოჰქონდა მასალა არშიის საქსოვად». ამრიგად, ცალკ-ცალკე გასაღების არახელსაყრელობა იწვევს ვაჭრობის ცალკე ფუნქციად გამოყოფას, რასაც ასრულებს ერთი პირი, რომელიც აგროვებს მრავალი მუშა ქალის ნაწარმს. ამ მუშა ქალების პატრიარქალური სიახლოვე ერთმანეთთან (ნათესავები, მეზობლები, თანასოფლელები და სხვ.) ჯერ იწვევს გასაღების ამხანაგური ორგანიზაციის ცდას, გასაღების ერთ-ერთი ხელოსანი ქალისთვის მინდობის ცდას. მაგრამ ფულადი მეურნეობა დაუყოვნებლივ არღვევს ძველ პატრიარქალურ ურთიერთობას, დაუყოვნებლივ იწვევს იმ მოვლენებს, რომლებიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ გლეხობის დაშლის შესახებ მასობრივი მონაცემების მიხედვით. პროდუქტის გასასაღებლად წარმოება ასწავლის დროის ფულად დაფასებას. საჭირო ხდება, რომ შუამავალ ქალს აუნაზღაურდეს დაკარგული დრო და შრომა; შუამავალი ეჩვევა ამ საქმეს და პროფესიად აქცევს მას. «ამგვარმა მიმოსვლამ, რომელიც რამდენიმეჯერ მეორდება, შეჰქმნა ვ ა ჭ ა რ ი ქ ა ლ ი ს ტ ი პ ი» (l. c., 30). მოსკოვში რამდენიმეჯერ წამსვლელი იქ მუდმივ კავშირს აბამს, რაც ასე საჭიროა წესიერი გასაღებისათვის. «იქმნება კომისიონერობის შემოსავლით ცხოვრების საჭიროება და ჩვეულება». საკომისიო გასამრჯელოს

გარდა ვაჭარი ქალი «ცდილობს წაუმატოს ფასი მასალას, ქაღალდს, ძაფს», ჯიბეში იდებს არშაზე დანიშნული ფასის ზევით მიღებულ თანხას; ის აცხადებს — დანიშნულ ფასზე ნაკლები მივიღეო, და დასძენს: «გინდა მომეცი, გინდა არაო». «ვაჭარი ქალები იწყებენ... ქალაქიდან საქონლის ზიდვას და ამაში მნიშვნელოვან მოგებას იღებენ». კომისიონერი ქალი, მაშასადამე, იქცევა დამოუკიდებელ ვაჭრად, რომელიც უკვე თავის მონოპოლიად ხდის გასაღებას და სარგებლობს ამ მონოპოლიით ხელოსანი ქალების სრული დამორჩილების მიზნით. სავაჭრო ოპერაციებთან ერთად ჩნდება სავახშო ოპერაციებიც, ფულის სესხება ხელოსანი ქალებისთვის, მათგან საქონლის მიღება დაკლებულ ფასებში და სხვ. «ქალიშვილები... საქონლის გაყიდვაში მანეთზე 10 კაპიკს იხდიან, ამასთან... მათ ძალიან კარგად იციან, რომ ვაჭარი ქალი, გარდა ამისა, კიდევ ღებულობს მათგან, რადგან არშიას უფრო ძვირად ყიდის. მაგრამ მათ სრულებით ვერ წარმოუდგენიათ საქმის სხვანაირად მოწყობა. როცა მე მათ ვეუბნებოდი, რიგრიგობით იარეთ მოსკოვში მეთქი, ისინი მიპასუხებდნენ: ასე უარესი იქნება, არ ვიცით, ვის მივყიდოთ, ვაჭარმა ქალმა კი უკვე კარგად იცის ყოველი ადგილიო. ვაჭარი ქალი ასაღებს მათს მზა საქონელს და მოაქვს შეკვეთები, მასალა, ნაუშის პირი და სხვ. ვაჭარი ქალი მათ ყოველთვის წინდაწინ აძლევს ფულს, ან ასესხებს, და მას შეიძლება პირდაპირ მიჰყიდო ნაჭერი, თუ რაიმე გაჭირვება შეგემთხვა. ერთი მხრით, ვაჭარი ქალი ყველაზე მეტად საჭირო, აუცილებელი პირი ხდება, მეორე მხრით კი, ის თანდათან იქცევა ისეთ პირად, რომელიც სხვისი შრომის ძლიერ ექსპლოატაციას ეწევა, იქცევა კულაკ-ქალად» (32). ამას უნდა დაემატოს, რომ ასეთი ტიპები იქმნებიან იმავე წვრილი მწარმოებლებისაგან: «რამდენიც არ გამომიკითხავს, ყოველთვის იოკვეოდა, რომ ყველა ვაჭარი ქალი წინათ თვითონ ქსოვდა არშიებს, მაშასადამე, თვითონ იცოდნენ ეს წარმოება; ისინი გამოსული არიან ამავე მეარშიეთა წრიდან. მათ თავდაპირველად არავითარი კაპი-

ტალი არ გააჩნდათ და მხოლოდ ცოტ-ცოტათი იწყებდნენ ვაჭრობას ჩითითაც და სხვა საქონლითაც იმისდა მიხედვით, თუ როგორ იძენდნენ ფულს კომისიონერობით» (31) *. ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ სასაქონლო მეურნეობის პირობებში წვრილი მწარმოებელი აუცილებლად გამოჰყოფს თავისი წრიდან საზოგადოდ არათუ უფრო შეძლებულ მრეწველებს, არამედ, კერძოდ, — სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებსაც **. და რაკი ეს უკანასკნელნი გაჩნდნენ, აუცილებელი ხდება წვრილი დაქუცმაცებული გასაღების მსხვილი საბითუმო გასაღებით გამოდევნა ***. აი რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ ნამდვილად როგორ აწყობენ გასაღებას «შინამრეწველთა» შორის მყოფი უფრო მსხვილი მეპატრონეები, რომლებიც ამავე დროს შემყიდველებიც არიან. სავაჭრო საანგარიშეებს მოსკოვის გუბერნიის შინამრეწველნი (მათ შესახებ იხ. სტატისტიკური მონაცემები ჩვენს ცხრილში; დამატება I) უმთავრესად ასაღებენ ბაზრობებზე მთელ რუსეთში. ბაზრობაზე თვითონ რომ ივაჭრო, უნდა გქონდეს, ჯერ ერთი, მნიშვნელოვანი კაპიტალი, რადგან ბაზრობაზე ვაჭრობა მხოლოდ ბითუმად სწარმოებს; მეორეც, უნდა გყავდეს საკუთარი კაცი, რომელიც ნაწარმს ადგილობრივ შეიყიდის და გაუგზავნის ვაჭარს. ამ პირობებს აკმაყოფილებს

* შემყიდველების ეს გაჩენა თვით წვრილ მწარმოებელთა წრიდან საერთო მოვლენაა, რომელსაც თითქმის ყოველთვის ადასტურებენ მკვლევარნი, როცა კი ისინი ამ საკითხს ეხებიან. იხ., მაგ., ასეთივე შენიშვნა «ვაჭარ ქალებზე» ტყავის ხელთათმანების სარეწში («მოსკოვის გუბ. სარეწები», ტ. VII, ნაკვ. II, გვ. 175 — 176), პავლოვოს სარეწის შემყიდველებზე (გრიგორიევი, l. c., 92) და მრავალი სხვ.

** ჯერ კიდევ კორსაკმა («მრეწველობის ფორმების შესახებ») სავსებით სამართლიანად აღნიშნა კავშირი წვრილი გასაღების (აგრეთვე ნედლეულის წვრილ-წვრილად ყიდვის) წამგებიანობასა და «წვრილი დაქუცმაცებული წარმოების საერთო ხასიათს» შორის (გვ. 23 და 239).

*** ძალიან ხშირად ის მსხვილი მეპატრონეები შინამრეწველთა შორის, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ დაწვრილებით ვილაპარაკეთ, ნაწილობრივ თვითონვე არიან ხოლმე შემყიდველებიც. მაგ., მსხვილი მრეწველების მიერ წვრილი მრეწველებისაგან ნაწარმის ყიდვა ძალიან გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს.

«ერთადერთი ვაჭარი-გლეხი», იმავე დროს «შინამრეწველი», რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი კაპიტალი და რომელიც ამასთან საანგარიშეებს აკეთებს (ე. ი. ამზადებს ჩარჩოებისა და ძვლისაგან) და მით ვაჭრობს; 6 მისი შვილი «მხოლოდ და მხოლოდ ვაჭრობას ეწევა», ასე რომ ნადელის დასამუშავებლად საჭირო ხდება ორი მომუშავის დაქირავება. «გასაკვირი არ არის, — შენიშნავს მკვლევარი, — რომ მას საშუალება აქვს თავის საქონლით მონაწილეობა მიიღოს... ყველა ბაზრობაში, შედარებით წვრილი ვაჭრები კი თავის საქონელს ჩვეულებრივ ახლო-მახლო ასაღებენ» («მოსკოვის გუბ. სარეწები», VII, ნაკვ. I, ნაწ. 2, გვ. 141). ამ შემთხვევაში სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელი ჯერ კიდევ იმდენად ვერ გამოჰყოფია «მხვნელ-მთესველ გლეხთა» მასას, რომ მას შერჩენილი აქვს თავისი სანადელო მეურნეობა და პატრიარქალური დიდი ოჯახი. მოსკოვის გუბერნიის საჩეჩელმკეთებელნი სრულ დამოკიდებულებაში არიან იმ მრეწველთაგან, რომელნიც ყიდულობენ მათ ნაწარმს (საჩეჩელა დაზგებს). ეს შემყიდველები ამავე დროს «შინამრეწველებიც» არიან, რომელთაც საკუთარი სახელოსნოები აქვთ; ისინი ღარიბ გლეხებს სესხად აძლევენ ნედლ მასალას იმ პირობით, რომ ნაწარმი «მეპატრონეს» მიუტანონ, და სხვ. წვრილი მრეწველები შეეცადნენ თვითონ გაესაღებინათ მოსკოვში პროდუქტი, მაგრამ ვერ იხეირეს: ძალიან არახელსაყრელი გამოდგა წვრილ-წვრილად, რაღაც 10 — 15 მანეთობით გასაღება (ib., 263). რიაზანის გუბერნიის არშიის სარეწში ვაჭარი ქალები ხელოსნების ხელფასს ზევით 12 — 50% მოგებას იღებენ. უფრო «საიმედო» ვაჭარ ქალებს გასაღების ცენტრებთან წესიერი კავშირი აქვთ გაბმული და ჰგზავნიან საქონელს ფოსტით, რაც სამგზავრო ხარჯებს უნარჩუნებს მათ. თუ რამდენად საჭიროა საბითუმო გასაღება, იქიდან ჩანს, რომ ვაჭრები გასაღების ხარჯებს აუნაზღაურებლად სთვლიან მაშინაც კი, როცა 150 — 200 მანეთის საქონელს ასაღებენ («შინამრეწველობის კომისიის შრომები», VII, 1184). ბელევის არშიის გასაღების ორგანიზაცია ასეთია. ქ. ბელევში არიან სამი

თანრიგის ვაჭარი ქალები: 1) «დალალები», რომლებიც არიგებენ წვრილ შეკვეთებს, თვითონ ჩამოუვლიან ოსტატ ქალებს და აძლევენ საქონელს მსხვილ ვაჭარ ქალებს. 2) შემკვეთელი ვაჭარი ქალები, რომლებიც პირადად იძლევიან შეკვეთებს ანდა ყიდულობენ საქონელს დალალებისაგან და მიაქვთ ის სატახტო ქალაქებში და სხვ. 3) მსხვილი ვაჭარი ქალები (2—3 «ფირმა») საქმეს აწარმოებენ უკვე კომისიონერების საშუალებით, უგზავნიან მათ საქონელს და იღებენ მათგან მსხვილ შეკვეთებს. პროვინციელი ვაჭარი ქალებისთვის «თითქმის შეუძლებელია» საქონლის ზიდვა დიდ მაღაზიებში: «მაღაზიები ამჯობინებენ საქმის დაჭერას ბითუმად შემყიდველებთან, რომლებიც დიდი რაოდენობით აწვდიან... ნაირნაირად ნაქსოვ არშიას»; ვაჭარი ქალები იძულებული არიან მიჰყიდონ საქონელი ამ «მიმწოდებლებს», «მათგან იგებენ ისინი ვაჭრობის ყოველნაირ პირობებს; იგივე მიმწოდებლები აწესებენ ფასებს; ერთი სიტყვით, უმათოდ ხსნა არ არის» («შინამრეწველობის კომისიის შრომები», X, 2823—2824). ამგვარი მაგალითების რიცხვი შეგვეძლო მრავალჯერ გაგვიდიდებინა. მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც სავსებით საკმარისია იმის დასანახავად, თუ რა აბსოლუტურ შეუძლებლობას წარმოადგენს წვრილ-წვრილად და დაქსაქსულად გასაღება მსხვილი ბაზრებისათვის წარმოების დროს. წვრილ მწარმოებელთა დაქსაქსულობისა და მათი სრული დაშლის დროს* მსხვილი გასაღება შეიძლება მოაწყოს მხოლოდ მსხვილმა კ ა პ ი ტ ა ლ მ ა, რომელიც ამის გამო შინამრეწველთ სრული უმწეობისა და დამოკიდებულების პირობებში აყენებს. აქედან შეგვიძლია განვსაჯოთ, თუ რაოდენ შეუსაბამოა გავრცელებული ნაროდნიკული თეორიები, რომლებიც რჩე-

* ბ-ნი ვ. ვ. ირწმუნება, რომ სავაჭრო კაპიტალისადმი დამორჩილებული შინამრეწველი «განიცდის არსებითად სრულიად ზედმეტ ზარალს» («შინამრეწველობის ნარკვევები», 150). ხომ არ ფიქრობს ბ-ნი ვ. ვ., რომ წვრილ მწარმოებელთა დაშლა «არსებითად» «სრულიად ზედმეტი» მოვლენაა, ე. ი. იმ სასაქონლო მეურნეობის არსის თვალსაზრისით, რომელშიც ცხოვრობს ეს წვრილი მწარმოებელი?

ვას იძლევიან გაეწიოს დახმარება «შინამრეწველს» «გასაღების ორგანიზაციის» საშუალებით. წმინდა თეორიული მხრით, ამგვარი თეორიები ეკუთვნიან მეშჩანურ უტოპიებს, რომლებიც დამყარებულია იმის გაუგებლობაზე, რომ სასაქონლო წარმოებასა და კაპიტალისტურ გასაღებას შორის განუწყვეტელი კავშირი არსებობს*. რაც შეეხება რუსეთის სინამდვილის მონაცემებს, მათ ამგვარი თეორიების შემთხზველები პირდაპირ უგულებელჰყოფენ; უგულებელჰყოფენ წვრილ საქონელმწარმოებელთა დაქსაქსულობას და მათ სრულ დაშლას; უგულებელჰყოფენ იმ ფაქტს, რომ მათივე წრიდან გამოდიოდნენ და კვლავ გამოდიან «შემყიდველები»; რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გასაღების ორგანიზაცია მხოლოდ მსხვილ კაპიტალს შეუძლია. ცხადია, რომ, თუ უსიამოვნო, მაგრამ უეჭველი სინამდვილის ყველა ამ მხარეს არ მივიღებთ მხედველობაში, ძნელი აღარ იქნება ოცნებობა in's Blaue hinein** ***.

* «საქმე კულაკი' კი არ არის, არამედ შინამრეწკელთა შორის კაპიტალების ნაკლებობაა», — აცხადებენ პერმელი ნაროდნიკები («პერმის გუბ. შინამრეწველობის მდგომარეობის ნარკვევი», გვ. 8). მაგრამ ვინ არის კულაკი, თუ არა კაპიტალის მქონე შინამრეწველი? უბედურებაც სწორედ ისაა, რომ ნაროდნიკებს არ უნდათ გამოიკვლიონ წვრილ მწარმოებელთა დაშლის ის პროცესი, რომელიც მათი წრიდან გამოჰყოფს მეწარმეთ და «კულაკებს».

** ჰაერში; ფუჭად. რ ე დ.

*** ნაროდნიკული თეორიების quasi-ეკონომიურ (ცრუ-ეკონომიურ. რ ე დ.) დასაბუთებას ეკუთვნის მსჯელობა «დამოუკიდებელი შინამრეწველისათვის» საჭირო «ძირითადი» და «საბრუნავი» კ ა პ ი ტ ა ლ ი ს უმნიშვნელობის შესახებ. ამ ფრიად გავრცელებული მსჯელობის პროცესი ასეთია: შინასამრეწველო სარეწებს დიდი სარგებლობა მოაქვთ გლეხისათვის, და ამიტომ სასურველია მათი გავრცელება. (ჩვენ არ ვჩერდებით ამ სასაცილო იდეაზე, თითქოს გლეხობის მასას, რომელიც ჩანაგდება, შეიძლება დაეხმარო რამდენიმე მათგანის წვრილ საქონელმწარმოებლად გადაქცევით). სარეწების გასავრცელებლად კი უნდა იცოდე, რამდენად დიდია ის «კაპიტალი», რომელიც საჭიროა შინამრეწველისათვის, რომ მან საქმე წარმართოს. აი მრავალთაგან ერთ-ერთი ამგვარი გაანგარიშება. პავლოველი შინამრეწველისათვის, — გვასწავლის ბ-ნი გრიგორიევი, — საჭიროა ძირითადი «კაპიტალი» 3 — 5 მანეთი, 10 — 13 — 15 მანეთი და სხვ., შრომის იარაღთა ღირებულების ჩათვლით, საბრუნავი «კაპიტალი» კი — 6 —8 მან.

ჩვენ საშუალება არა გვაქვს დაწვრილებით ავწეროთ აქ, თუ სახელდობრ როგორ იჩენს თავს სავაჭრო კაპიტალი ჩვენს «შინასამრეწველო» სარეწებში და რა უმწეო და საცოდავ მდგომარეობაში აყენებს ის წვრილ მრეწველს. ამასთან შემდეგ თავში ჩვენ დაგვჭირდება დავახასიათოთ სავაჭრო კაპიტალის ბატონობა განვითარების უმაღლეს სტადიაზე, როცა ის (როგორც მანუფაქტურის დამატება) მასობრივი მასშტაბით აწყობს კაპიტალისტურ შინმუშაობას. აქ კი დავჯერდებით იმ ძირითად ფორმებზე მითითებას, რომლებსაც სავაჭრო კაპიტალი იღებს წვრილ სარეწებში. პირველსა და ყველაზე უფრო მარტივ ფორმას წარმოადგენს ვაჭრის (ან მსხვილი სახელოსნოს პატრონის) მიერ წვრილი საქონელმწარმოებლებისაგან ნაწარმის ყიდვა. შეყიდვის სუსტი განვითარებისას ანდა მეტოქე შემყიდველების სიმრავლის დროს ვაჭრისათვის საქონლის მიყიდვა შეიძლება არც განსხვავდებოდეს ყოველი სხვანაირი გაყიდვისაგან; მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ადგილობრივი შემყიდველი არის ერთადერთი პირი, რომლისთვისაც თავისი ნაწარმის მიყიდვა გლეხს მუდამ შეუძლია, და მაშინ შემყიდველი სარგებლობს თავისი

ერთი კ ვ ი რ ი ს სარჩოს და ნედლი მასალების ხარჯის ჩათვლით. «ამრიგად, პავლოვოს რაიონში ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ოდენობა (sic!) ისე უმნიშვნელოა, რომ იქ დამოუკიდებელი (sic!!) წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყოს და მასალის შეძენა ძალიან ადვილია» (l. c., 75). და მართლაც, რა შეიძლება იყოს ასეთ მსჯელობაზე «ადვილი»? ერთი კალმის მოსმით პავლოველი პროლეტარი გადაქცეულია «კაპიტალისტად», — საკმარისი იყო მხოლოდ «კაპიტალი» გვეწოდებინა მისი კვირეული შესანახისა და გროშის ფასად ღირებული ხელსაწყოებისათვის. ის ნამდვილი კ ა პ ი ტ ა ლ ი კი მსხვილი შემყიდველებისა, რომლებსაც გასაღების მონოპოლია ხელში ჩაუგდიათ, რომლებსაც მხოლოდ შეუძლიათ de facto (ფაქტიურად; ნ. ნდვილად. რ ე დ.) «დამოუკიდებელი» გახდნენ და რომლებიც ათას მანეთობით ატრიალებენ კაპიტალებს, — ეს ნამდვილი კაპიტალი ავტორის მიერ აბსტრაგირებულია! საკვირველი ადამიანები ყოფილან, მართლაც. ეს შეძლებული პავლოველები: მთელ თაობათა განმავლობაში ყოველნაირი უკანონო საშუალებით აგროვებდნენ და ახლაც აგროვებენ ‘ისინი ათას მანეთობით კაპიტალებს, მაშინ როცა უახლესი აღმოჩენების მიხედვით, თურმე, საკმარისია რამდენიმე ათეული მანეთი «კაპიტალი», რომ «დამოუკიდებელი» გახდე!

მონოპოლიური მდგომარეობით, რათა უზომოდ შეამციროს ის ფასი, რასაც ის აძლევს მწარმოებელს. სავაჭრო კაპიტალის მეორე ფორმა არის მისი შეერთება მევახშეობასთან: გლეხი, რომელსაც ფული მუდამ სჭირდება, სესხულობს შემყიდველისაგან ფულს და შემდეგ ვალში აძლევს მას თავის საქონელს. ამ შემთხვევაში (რაც ძალიან გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს) საქონლის გასაღება ყოველთვის ხდება ხელოვნურად დაწეულ ფასებში, რის გამოც შინამრეწველს ხშირად ხელში იმდენიც არ რჩება, რამდენის მიღებაც დაქირავებულ მუშას შეეძლო. ამასთან, კრედიტორის და მოვალის ურთიერთობა აუცილებლად იწვევს უკანასკნელის პირად დამოკიდებულებას, კაბალას, იმას, რომ კრედიტორი სარგებლობს მოვალის გაჭირვების განსაკუთრებული შემთხვევებით და სხვ. სავაჭრო კაპიტალის მესამე ფორმას წარმოადგენს ნაწარმის ფასში საქონლის მიცემა, რაც სოფლელი შემყიდველების ერთ-ერთი ჩვეულებრივი ხერხია. ამ ფორმის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ახასიათებს არა მარტო წვრილ სარეწებს, არამედ საზოგადოდ სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის ყველა განუვითარებელ სტადიას. მხოლოდ მსხვილმა მანქანურმა ინდუსტრიამ, რომელმაც განასაზოგადა შრომა და რადიკალურად გასწყვიტა კავშირი ყოველგვარ პატრიარქალობასთან, გამოდევნა კაბალის ეს ფორმა და გამოიწვია მისი კანონმდებლობითი აკრძალვა მსხვილ სამრეწველო დაწესებულებათა მიმართ. სავაჭრო კაპიტალის მეოთხე ფორმა არის ვაჭრის მიერ ანგარიშის გასწორება სწორედ იმგვარი საქონლით, რომელიც სჭირდება «შინამრეწველს» წარმოებისათვის (ნედლი ან დამხმარე მასალები და სხვ.). წვრილი მრეწველისათვის წარმოების მასალების მიყიდვა შეიძლება შეადგენდეს სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელ ოპერაციასაც, სწორედ იმგვარს, როგორიც არის ნაწარმის შეყიდვის ოპერაცია. თუკი ნაწარმის შემყიდველი იწყებს ანგარიშის გასწორებას იმ ნედლი მასალებით, რომლებიც «შინამრეწველს» ესაჭიროება, ეს ნიშნავს მეტად დიდ ნაბიჯს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაში.

მას შემდეგ, რაც შემყიდველმა წვრილი მრეწველი მოსწყვიტა მზა ნაწარმთა ბაზარს, ახლა იგი მას სწყვეტს ნედლეულის ბაზარს და ამით საბოლოოდ იმორჩილებს შინამრეწველს. ამ ფორმიდან ერთი ნაბიჯია რჩება სავაჭრო კაპიტალის იმ უმაღლეს ფორმამდე, როცა შემყიდველი პირდაპირ ურიგებს მასალას «შინამრეწველებს» განსაზღვრულ ფასებში დასამუშავებლად. შინამრეწველი de facto ხდება დაქირავებულ მუშად, რომელიც მუშაობს კაპიტალისტისათვის თავის სახლში; აქ შემყიდველის სავაჭრო კაპიტალი იქცევა სამრეწველო კაპიტალად *. იქმნება კაპიტალისტური შინმუშაობა. წვრილ სარეწებში ის გვხვდება მეტად თუ ნაკლებად სპორადულად; მისი მასობრივი გამოყენება კი კაპიტალისტური განვითარების შემდგომ უმაღლეს სტადიას ეკუთვნის.

VII. «სარეწი და მიწათმოქმედება»

ასეთია ჩვეულებრივი სათაური გლეხურ სარეწთა აღწერილობის განსაკუთრებული განყოფილებებისა. რადგან კაპიტალიზმის იმ პირვანდელ სტადიაში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, მრეწველი ჯერ კიდევ თითქმის არ გამოჰყოფია გლეხს, ამიტომ მისი კავშირი მიწასთან წარმოადგენს მართლაც ძალიან დამახასიათებელ მოვლენას, რომელიც ცალკე განხილვას მოითხოვს.

დავიწყოთ ჩვენი ცხრილის მონაცემებით (იხ. დამატება I). «შინამრეწველთა» მიწათმოქმედების დასახასიათებლად აქ მოყვანილია, ჯერ ერთი, მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ცხენი ჰყავს საშუალოდ თვითეული თანრიგის მრეწველს. იმ 19 სარეწის თავმოყრით, რომელთა შესახებ ამგვარი მონაცემები მოიპოვება, ერთ მრეწველზე (მეპატრონეზე თუ წვრილ მეპატრონეზე) მივიღებთ საზოგადოდ და საშუალოდ 1,4

* სავაჭრო კაპიტალის წმინდა ფორმა მდგომარეობს საქონლის ყიდვაში და ამავე საქონლის მოგებით გაყიდვაში. სამრეწველო კაპიტალის წმინდა ფორმაა საქონლის ყიდვა და მისი გადამუშავებული სახით გაყიდვა, მაშასადამე, ნედლი მასალის და სხვ. ყიდვა და სამუშაო ძალის ყიდვა, რომელიც ამ მასალას ამუშავებს.

ცხენს, თანრიგების მიხედვით კი: I) 1,1; II) 1,5 და III) 2,0. ამრიგად, რაც უფრო მაღლა დგას მეპატრონე თავისი სარეწაო მეურნეობის ოდენობით, მით უფრო მაღლა დგას ის როგორც მიწათმოქმედი. უფრო მსხვილ მრეწველებს მუშა პირუტყვი თითქმის ორჯერ მეტი ჰყავთ, ვიდრე წვრილ მრეწველებს. მაგრამ თავისი მიწათმოქმედების მდგომარეობით ყველაზე უფრო წვრილი მრეწველებიც (I თანრიგი) საშუალო გლეხობაზე მაღლა დგანან, რადგან საერთოდ და მთლიანად მოსკოვის გუბერნიაში 1877 წელს 1 გლეხურ კომლზე მოდიოდა 0,87 ცხენი *. მაშასადამე, მრეწველ-მეპატრონეებად და წვრილ მეპატრონეებად ხდებიან მხოლოდ უფრო შეძლებული გლეხები, ღარიბი გლეხობიდან კი უმეტეს ნაწილად გამოდიან არა მეპატრონე-მრეწველები, არამედ მრეწველი მუშები («ბინამრეწველთა» დაქირავებული მუშები, საშოვარზე მოსიარულე მუშები და სხვ.). სამწუხაროდ, მოსკოვის გუბერნიის უმრავლეს სარეწთა აღწერებში არ მოიპოვება ცნობები იმ დაქირავებული მუშების მიწათმოქმედების შესახებ, რომლებიც წვრილ სარეწებში მუშაობენ. გამონაკლისს წარმოადგენს ქუდის სარეწი (იხ. საერთო მონაცემები ამის შესახებ ჩვენს ცხრილში, I დამატებაში). აი მეტად საგულისხმო ცნობები მექუდე-მეპატრონეებისა და მექუდე-მუშების მიწათმოქმედების შესახებ.

მექუდეების მდგომარეობა	კომლთა რიცხვი	პირუტყვის რაოდ. 1 კომლზე			ნადელ. რიცხვი სულზე	აქედან		კომლთა რიცხვი			უცხოეთთა რიცხვი	გადასახადის ნარჩენი მანეთობით
		ცხენები	ძროხები	ცხვრები		მუშავდება	მოცალენია	ნადელს ამუშავებ თვითონ	ნადელს ამუშავებ დაქირავ.	ზენა-თესვას არ მისდევენ		
მეპატრონეები	18	1,5	1,8	2,5	52	46	6	17	—	1	—	54
მუშები	165	0,6	0,9	0,8	389	249	140	84	18	63	17	2 402

* იხ. «სოფლის მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის სტატისტიკური მასალების კრებული». მინისტრთა კომ-ტის გამოცემა. დამატება I: საერობო კომლობრივ გამოკვლევათა მონაცემები, გვ. 372—373.

ამრიგად, მეპატრონე-მრეწველები ეკუთვნიან მეტად «წესიერ» მიწათმოქმედთა რიცხვს, ე. ი. გლეხური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, მაშინ როცა დაქირავებული მუშები გაჩანაგებულ გლეხთა მასიდან იკრიბებიან*. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ თანაფარდობის დასახასიათებლად ცნობები, რომლებიც ეხება მეპატრონე-მრეწველების მიერ მიწის დამუშავების წესს. მოსკოველი მკვლევარები განასხვავებენ მიწის დამუშავების სამ წესს: 1) მეპატრონის პირადი შრომის საშუალებით; 2) «დაქირავებით» — ე. ი. რომელიმე მეზობლის დაქირავებით, რომელიც თავისი ინვენტარით ამუშავებს «დაცემული» მეპატრონის მიწას. დამუშავების ეს წესი ახასიათებს ნაკლებად შეძლებულ, გაჩანაგების გზაზე შემდგარ მეპატრონეებს. ამის საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს მე-3 წესს: «მომუშავით» დამუშავებას, ე. ი. მეპატრონის მიერ სოფლის მეურნეობის («მიწის») მომუშაევთა დაქირავებას; ამ მუშებს ქირაობენ ჩვეულებრივ მთელი ზაფხულობით, ამასთან უფრო გაცხარებული მუშაობის დროს მეპატრონე მიახმარს მათ სახელოსნოს მუშებსაც. «ამრიგად, «მიწის» მომუშავის საშუალებით მიწის დამუშავების წესი საკმაოდ ხელსაყრელი საქმეა» («მოსკოვ. გუბ. სარეწები», VI, I, 48). ჩვენს ცხრილში თავმოყრილი გვაქვს ცნობები მიწის დამუშავების ასეთი წესის შესახებ 16 სარეწისათვის, რომელთაგან 7-ში სრულებით არ არიან «მიწის მომუშავეთა» დამქირავებელი მეპატრონეები. ყველა ამ 16 სარეწში იმ მეპატრონე-მრეწველთა პროცენტი, რომლებიც სოფლის მუშებს ქირაობენ, უდრის 12%-ს, თანრიგების მიხედვით კი: I) 4,5%; II) 16,7% და

* დამახასიათებელია, რომ ქუდის სარეწის აღწერილობის ავტორს აქაც «ვერ შეუმჩნევია» გლეხობის დაწლა ვერც მიწათმოქმედებაში და ვერც მრეწველობაში. ყველა ნაროდნიკის მსგავსად, ის თავის დასკვნებში დაკმაყოფილდა სრულიად უშინაარსო ბანალობით: «სარეწი ხელს არ უშლის მიწათმოქმედებას მისდიონო» («მოსკოვის გუბ. სარეწები» VI, I, გვ. 231). ამრიგად, როგორც სარეწის, ისე მიწათმოქმედების წყობილებაში საზოგადოებრივ-ეკონომიური წინააღმდეგობანი არხეინად განზე დატოვებული აღმოჩნდნენ.

III) 27,3%. რაც უფრო შეძლებული არიან მრეწველები, მით უფრო ხშირად ვხვდებით მათ შორის სოფლის მეწარმეებს. მაშასადამე, მრეწავი გლეხობის შესახებ მონაცემების ანალიზი გვაძლევს მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც მიმდინარე პარალელური დაშლის იმავე სურათს, რომელიც ჩვენ უკვე ვნახეთ II თავში მიწათმოქმედი გლეხობის შესახებ მონაცემების საფუძველზე.

«მიწის მომუშავეთა» დაქირავება «შინამრეწველ»-მეპატრონეთა მიერ საზოგადოდ ძალიან გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს ყველა სამრეწველო გუბერნიაში. ჩვენ, მაგალითად, ვხვდებით ცნობებს ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის მდიდარ მეჭილობეთა მიერ მიწათმოქმედი მოჯამაგირეების დაქირავების შესახებ. იმავე გუბერნიის ქურქჩები ქირაობენ მიწათმოქმედ მუშებს, რომელნიც ჩვეულებრივ მოდიან წმინდა სამიწათმოქმედო მეზობელი სოფლებიდან. «კიმრის ვოლოსტის მეთემე გლეხები», მეწაღეობას რომ მისდევენ, «უფრო ხელსაყრელად სთვლიან თავისთვის საკუთარი ყანების დასამუშავებლად დაიქირაონ მოჯამაგირეები და მუშა ქალები, რომლებიც მრავლად მოდიან კიმრში ტვერის მაზრიდან და მეზობელი... ადგილებიდან». კოსტრომის გუბერნიის ჭურჭლის მღებავები თავის დაქირავებულ მუშებს ამუშავებენ ყანაში, როცა ისინი თავისუფალი არიან სარეწის მუშაობისაგან.* «დამოუკიდებელ მეპატრონეებს» (ვლადიმირის გუბერნიის მევარაყეებს) «ჰყავთ განსაკუთრებული, მეყანე მომუშავენი»; ამიტომ არის, რომ მათი ყანები კარგად დამუშავებულია, თუმცა თვითონ «ძალიან ხშირად არც ხვნა იციან და არც თიბვა»**. მოსკოვის გუბერნიაში იმათ გარდა, რომელთა შესახებ მოყვანილია ცნობები ჩვენს ცხრილში, მრავალი მრეწველი ქირაობს «მიწის მომუშავეებს», მაგალითად, მექინძისთავეები, მენაბდეები, სათამაშოების მკეთებლები თავის

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», III, 57, 112; VIII, 1354; IX, 1931, 2093, 2185.

** «ვლადიმირის გუბ. სარეწები», III, 187, 190.

მუშებს ყანაშიც ამუშავებენ; მემძივეებს, მევარაყეებს, მეფოლაქეებს, მეკარტუზეებს, სარაჯებს ჰყავთ მიწათმოქმედი მოჯამაგირეები და სხვ. *. ამ ფაქტის — მრეწველი გლეხების მიერ მიწათმოქმედი მუშების დაქირავების — მნიშვნელობა ძალიან დიდია. ის გვიჩვენებს, რომ წვრილ გლეხურ სარეწებშიც კი თავს იჩენს ის მოვლენა, რომელიც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას ახასიათებს და რომელიც ადასტურებს კაპიტალიზმის პროგრესულ ისტორიულ როლს, სახელდობრ: მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლებას, მის მოთხოვნილებათა გადიდებას. მრეწველი უკვე ზემოდან დასცქერის «გაგრია» მიწათმოქმედს, მის პატრიარქალურ ჩამორჩენილობას და ცდილობს თავიდან მოიცილოს უფრო მძიმე და ნაკლებფასიანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. წვრილ სარეწებში, რომლებიც განირჩევიან კაპიტალიზმის ნაკლები განვითარებით, ეს მოვლენა ჯერ კიდევ ძალიან სუსტად მჟღავნდება; მრეწველობის მუშა მხოლოდ ახლა იწყებს გამოყოფას სოფლის მეურნეობის მუშისაგან. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების შემდგომ სტადიებზე ეს მოვლენა, როგორც დავინახავთ, მასობრივ ხასიათს იღებს.

«სარეწთან მიწათმოქმედების კავშირის» საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ ვთვლით უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ იმ მონაცემების განხილვაზე, რომლებიც შეეხებიან, მოსკოვის გარდა, სხვა გუბერნიებსაც.

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნია. მეჭილობეთა მასის მიწათმოქმედება ეცემა, და ისინი სტოვებენ მიწას; «ცარიელი ადგილები» დაახლოებით შეადგენენ შემოდგომის ყანების $^1/_3$-ს და გაზაფხულის ყანების $^1/_2$-ს. მაგრამ «შეძლებული გლეხებისათვის» «მიწა უკვე ბოროტი დედინაცვალი კი აღარ არის, არამედ მასაზრდოებელი დედაა»: პირუტყვი საკმარისი ჰყავთ, აქვთ ნაკელი, იჯარით იღებენ მიწას, ცდილობენ თავისი ნაკვეთები გადაყოფვიდან გაპორიცხონ და უკეთ უვლიან მათ. «ახლა საკუთარი ძმა — მდიდარი გლეხი — მემამულე გახდა,

* «მოსკოვის გუბ. სარეწები», l. c.

მეორე გლეხი კი — ღარიბი გლეხი — მისგან ბატონყმურ დამოკიდებულებაშია» («შინაგრეწველობის კომისიის შრომები», III, 65). ქურქჩები «ცუდი მხვნელ-მთესველნი» არიან, მაგრამ აქაც საჭიროა გამოვყოთ უფრო მსხვილი მეპატრონენი, რომლებიც «ღარიბი თანასოფლელებისაგან იღებენ მიწას იჯარით» და სხვ.; აი სხვადასხვა ჯგუფის ქურქჩების ტიპიური ბიუჯეტების ჯამები:

ოჯახების ტიპები შეძლების მიხედვით	რამდ. სულია ოჯიეულ	მომუშავე მამაკაცები	დაქირავებული მუშები	მიწა დესეტინობით			ნატურალური	ფულიანი	მიწათმოქმედებიდან	მეპურქჩეობიდან	სულ	ნატურალური	ფულიანი	სულ	ბალანსი	ფულადი გასავ. პროც
					იჯარა მიწა											
							შეძლისაგვალი ძალეთობით					გასავალი ძან.				
მდიდარი	14	3	2	19	5	—	212,8	697	409,8	500	909,8	212,8	503	715,8	+194	70
			დაქირავებულია													
საშუალო	10	2	—	16	—	—	88 *	120	138	70	208	88	124	212	— 4	58
ღარიბი	7	2	თვით ქირავდებიან	6	—	6	15 *	75	50	40	90	15	111	126	— 36	88

მიწათმოქმედთა და მრეწველთა დაშლის პარალელობა აქ სრული სიცხადით მჟღავნდება. მჭედლების შესახებ მკვლევარი ამბობს, რომ «სარეწს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მიწის ხვნას», ერთი მხრით, მდიდარი მეპატრონეებისთვის და, მეორე მხრით, «ბოგანო» მომუშავეებისთვისო (ib., IV, 168).

«ვლადიმირის გუბერნიის სარეწებში» სარეწის და მიწათმოქმედების თანაფარდობის საკითხი შეუდარებლად უფრო საფუძვლიანადაა დამუშავებული, ვიდრე რომელიმე

* «შინაგრეწველობის კომისიის შრომები». III, 38 და შემდეგი. მოყვანილი ციფრები ნაანგარიშევია დაახლოებით, ავტორის იმ ცნობების მიხედვით, თუ რამდენ ხანს ჰყოფნით საკუთარი პური.

სხვა გამოკვლევაში. მთელ რიგ სარეწთა შესახებ მოცემულია სწორი ცნობები არა მარტო «შინამრეწველთა» მიწათმოქმედებისათვის საზოგადოდ (ამგვარი «საშუალო» ციფრები, როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, სავსებით ფიქციურია), არამედ სხვადასხვა თანრიგისა და ჯგუფის «შინამრეწველთა» მიწათმოქმედებისათვის, როგორიც არიან: მსხვილი მეპატრონეები, წვრილი მეპატრონეები, დაქირავებული მუშები; საფეიქრო სახელოსნოს მეპატრონეები და ფეიქრები; მრეწველი მეპატრონეები და დანარჩენი გლეხობა; მეკომურები, რომელნიც ადგილობრივსა და გარესარეწს მისდევენ, და სხვ. საერთო დასკვნა ამ ცნობებიდან, რომელიც გამოჰყავს ბ-ნ ხარიზომენოვს, ასეთია: «შინაშრეწველნი» რომ დავყოთ სამ კატეგორიად: 1) მსხვილ მრეწველებად; 2) წვრილ და საშუალო მრეწველებად; 3) დაქირავებულ მუშებად, აღმოჩნდება, რომ მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა უ ა რ ე ს დ ე ბ ა პირველი კატეგორიიდან დაწყებული მესამისაკენ, მცირდება მიწისა და პირუტყვის რაოდენობა, მატულობს «დაცემულ» მეურნეობათა პროცენტი და სხვ.* სამწუხაროდ, ბ-ნი ხარიზომენოვი ამ ცნობებს ძალიან ვიწროდ და ცალმხრივად მისდგომია, მას მხედველობაში არ მიუღია გლეხ მიწათმოქმედთა დაშლის პარალელური და დამოუკიდებელი პროცესი. ამიტომაც ვერ გამოიყვანა მან ამ ცნობებიდან აუცილებლად გამომდინარე დასკვნა, სახელდობრ, რომ გლეხობა როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში იყოფა წვრილ ბურჟუაზიად და სოფლის პროლეტარიატად**. ამიტომ ცალკე

* იხ. «იურიდიჩესკი ვესტნიკ», 1883, ტ. XIV, №№ 11 და 12.

** თუ რამდენად ახლო იყო ბ-ნი ხარიზომენოვი ამ დასკვნასთან, ეს ჩანს რეფორმისშემდეგდროინდელი ეკონომიური განვითარების დახასიათებიდან, რომელსაც ის იძლევა აბრეშუმის სარეწის აღწერაში: «ბატონყმობამ გაათანასწორა გლეხობის ეკონომიური დონე: ის ხელფეხს უბორკავდა მდიდარ გლეხს, ეხმარებოდა ღარიბს, ხელს უშლიდა ოჯახურ გაყოფას. ნატურალური მეურნეობა მეტისმეტად ავიწროებდა სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის სარბიელს. ადგილობრივი ბაზარი საკმაოდ ფართო გასაქანს არ აძლევდა მის თაოსნობას. ვაჭარი ან მრეწველი გლეხი აგროვებდა ფულს, მართალია, უხიფათოდ, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან

სარეწების აღწერაში ის ხშირად ეშვება ტრადიციულ ნაროდნიკულ მსჯელობამდე საზოგადოდ «მიწათმოქმედებაზე» საზოგადოდ «სარეწის» გავლენის შესახებ (იხ., მაგ., «ვლად. გუბ. სარეწები», II, 228; III, 91), ე. ი. უგულებელჰყოფს როგორც თვით სარეწის, ისე მიწათმოქმედების წყობილებაში არსებულ იმ ღრმა წინააღმდეგობებს, რომლებიც თვითონ იძულებული იყო ეღიარებინა. ვლადიმირის გუბერნიის სარეწების მეორე მკვლევარი, ბ-ნი ვ. პრუგავინი, ამ საკითხში ნაროდნიკულ შეხედულებათა ტიპიური წარმომადგენელია. აი ნიმუში მისი მსჯელობისა. პოკროვსკის მაზრის ბამბის საქსოვი სარეწი «საზოგადოდ არ შეიძლება აღიარებულ იქნას მავნე საწყისად (sic!!) ფეიქრების სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებაში» (IV, 53). ცნობები მოწმობენ დიდძალი ფეიქრების ცუდ მიწათმოქმედებას და აგრეთვე იმას, რომ საფეიქრო სახელოსნოთა მეპატრონეებს საერთო დონეზე გაცილებით უფრო მაღლა აქვთ დაყენებული მიწათმოქმედება (იხ. იქვე); ცხრილებიდან ჩანს, რომ ასეთ სახელოსნოთა ზოგიერთი მეპატრონე სოფლის მუშებსაც კი ქირაობს. დასკვნა: «სარეწი და მიწათმოქმედება ხელიხელჩაკიდებული მიდიან, ერთმანეთის განვითარების და აყვავების პირობას წარმოადგენენ» (60). ეს ერთ-ერთი ნიმუშია

ნელა, გაჭირვებით, — აგროვებდა და ინახავდა სკივრში. 60-იანი წლებიდან პირობები იცვლება. ბატონყმობა ისპობა; კრედიტი, რკინიგზები ჰქმნიან ფართო და დაშორებულ ბაზარს, აძლევენ სარბიელს თაოსან ვაჭარ-გლეხს და მრეწველს. ყველაფერი, რაც კი იყო საშუალო ეკონომიურ დონეზე მაღლა, სწრაფად ფეხზე დგება, ავითარებს ვაჭრობა-მრეწველობას, რაოდენობრივად და თვისობრივად ავრცელებს თავის ექსპლოატაციას. ყველაფერი, რაც კი ამ დონეზე დაბლა იდგა, ეცემა, დაბლა ეშვება, გადადის უმიწაწყლოთა, მეურნეობას მოკლებულ და უცხენოთა რიგებში. გლეხობა იყოფა სამ ჯგუფად — კულაკებად, საშუალო შეძლების მქონეებად და მეურნეობას მოკლებულ პროლეტარიატად. გლეხობის კულაკური ელემენტი სწრაფად ითვისებს კულტურული წრის ყველა ჩვეულებას; ის ბატონურად ცხოვრობს; მისგან გამოდის რუსული საზოგადოების ნახევრადკულტურული ფენების მრავალრიცხოვანი კლასი» (III, 20, 21) [108].

იმ ფრაზებისა, რომელთა საშუალებითაც იჩქმალება ის ფაქტი, რომ გლეხური ბურჟუაზიის განვითარება და აყვავება სარეწშიც და მიწათმოქმედებაშიც ხელიხელჩაკიდებული სწარმოებს *.

პერმის გუბერნიის 1894/95 წლის შინამრეწველობის აღწერის მონაცემებმა იგივე მოვლენები გადაშალეს: წვრილ საქონელმწარმოებლებს (ჩვეულებრივსა და პატარა მეპატრონეთ) მიწათმოქმედება ყველაფერზე მაღლა აქვთ დაყენებული, და ისინი სოფლის მომუშავეებსაც ქირაობენ; ხელოსანთა მიწათმოქმედება უფრო დაბლა დგას, შემყიდველებისათვის მომუშავე შინამრეწველთა მიწათმოქმედების მდგომარეობა კი მთლად ცუდია (დაქირავებული მუშებისა და მეპატრონეთა სხვადასხვა ჯგუფის შესახებ, სამწუხაროდ, ცნობები შეკრებილი არ არის). აღწერამ ცხადჰყო აგრეთვე, რომ «შინამრეწველნი» — არამიწათმოქმედნი განსხვავდებიან მიწათმოქმედთაგან: 1) შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერებით; 2) სარეწის გაცილებით უფრო მეტი წმინდა შემოსავლით; 3) უფრო მაღალი კულტურული დონით და მცოდნეობით. ყველა ეს მოვლენა ადასტურებს ზემოთ გაკეთებულ დასკვნას, რომ მრეწველობას კაპიტალიზმის განვითარების პირველ სტადიაზეც კი ემჩნევა ტენდენცია აამაღლოს მოსახლეობის საარსებო დონე (იხ. «ეტიუდები», გვ. 138 და შემდეგი **).

ბოლოს, სარეწისა და მიწათმოქმედების ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებულია შემდეგი გარემოება. უფრო

* ასეთივე ფრაზებით კმაყოფილდება ამ საკითხის შესახებ ბ-ნი ვ. ვ.-ც თავის «შინამრეწველობის ნარკვევების» VIII თავში. «ხვნა-თესვა... ხელს უწყობს სარეწს» (205). «შინასამრეწველო სარეწები წარმოადგენენ მიწათმოქმედების ერთ-ერთ ყველაზე უფრო საიმედო დასაყრდენს სამრეწველო გუბერნიებში» (219). დამამტკიცებელი საბუთები?—რამდენიც გნებავთ: აიღეთ, მაგალითად, მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ე ბ ი — მეტყავეები, სახამებლის მკეთებლები, ზეთის გამომხდელები (ib., 224) და სხვ., — და თქვენ დაინახავთ, რომ მიწათმოქმედება მათ უფრო მაღლა აქვთ დაყენებული, ვიდრე მასას!

** იხ. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 474 — 475 და შემდეგი. რ ე დ.

მსხვილ დაწესებულებებში ჩვეულებრივ უფრო ხანგრძლივი სამუშაო პერიოდია. მაგ., მოსკოვის გუბერნიის ავეჯეულობის სარეწში თეთრ ხეზე მომუშავეთა რაიონში სამუშაო პერიოდი უდრის 8 თვეს (სახელოსნოს საშუალო შემადგენლობა აქ = 1,9 მუშას), მრუდზე მომუშავეთა რაიონში — 10 თვეს (1 დაწესებულებაზე მოდის 2,9 მუშა), მსხვილი ავეჯეულობის რაიონში — 11 თვეს (1 დაწესებულებაზე — 4,2 მუშა). ვლადიმირის გუბერნიის ფეხსაცმლის სარეწ რაიონში სამუშაო პერიოდი უდრის 40 კვირას 14 წვრილ სახელოსნოში, ხოლო 8 მსხვილ სახელოსნოში (9,5 მუშა 1 დაწესებულებაზე, წვრილში კი — 2,4 მუშა) — 48 კვირას და სხვ. * გასაგებია, რომ ეს მოვლენა დაკავშირებულია მუშების (ოჯახის წევრი, დაქირავებული მრეწავი და დაქირავებული მიწათმოქმედი მუშების) დიდ რიცხვთან მსხვილ დაწესებულებებში და რომ ის ცხადჰყოფს ამ უკანასკნელთა დიდ გამძლეობას და ტენდენციას — დასპეციალდნენ სამრეწველო საქმიანობაში.

შევაჯამოთ ახლა ის მონაცემები, რომლებიც მოყვანილი იყო «სარეწის და მიწათმოქმედების» შესახებ. კაპიტალიზმის დაბალ სტადიაზე, რომელსაც ჩვენ აქ ვიხილავთ, მრეწველი თითქმის ჯერ კიდევ არ გამოყოფია გლეხს. სარეწისა და მიწათმოქმედების შეერთება მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლეხობის დაშლის გაჭეკვებისა და გაღრმავების პროცესში: მდიდარი და შეძლებული მეპატრონეები ხსნიან სახელოსნოებს, ქირაობენ მუშებს სოფლის პროლეტარიატის წრიდან, აგროვებენ ფულს სავაჭრო და სავახშო ოპერაციებისათვის. ღარიბი გლეხობის წარმომადგენელნი კი, პირიქით, გამოჰყოფენ დაქირავებულ მუშებს, შინაჰრეწკელებს, რომლებიც შემყიდველებისათვის მუშაობენ, და წვრილ შინაჰრეწველ-

* წყაროები დასახელებულია ზემოთ. იმავე მოვლენას ააშკარავებს მოსკოვის გუბერნიის მეკალათეების, მეგიტარეების, სახამებლის მკეთებლების კომლობოივი აღწერები. პერმის გუბერნიის შინამრეწველობის აღწერამაც დაადასტურა უფრო გრძელი სამუშაო პერიოდი მსხვილ სახელოსნოებში (იხ. «პერმის გუბერნიის შინამრეწველობის ნარკვევი», გვ. 78. ზუსტი ცნობები ამის შესახებ, სამწუხაროდ, არ არის მოყვანილი).

მეპატრონეთა დაბალ ჯგუფებს, რომლებიც ყველაზე უფრო დაჩაგრული არიან სავაჭრო კაპიტალის ბატონობით. ამრიგად, მიწათმოქმედებასთან სარეწის შეერთება განამტკიცებს და ავითარებს კაპიტალისტურ ურთიერთობას, ავრცელებს მას მრეწველობიდან მიწათმოქმედებაზე და პირიქით *. მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის განცალკევება, რაც კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს, ამ სტადიაზე ჯერ კიდევ სრულიად ჩანასახი ფორმით იჩენს თავს, მაგრამ იგი უკვე იჩენს თავს და — რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — თავს იჩენს სრულებით სხვანაირად, ვიდრე ეს ნაროდნიკებს წარმოუდგენიათ. როცა ნაროდნიკი ამბობს, სარეწი მიწათმოქმედებას არ «ვნებსო», ის ამ ვნებას ხედავს ხელსაყრელი სარეწის გამო სოფლის მეურნეობის მიტოვებაში. მაგრამ საქმის ამგვარად წარმოდგენა შეთხზულია (და არა ფაქტებიდან მიღებული დასკვნა) და ამასთან შეთხზულია ძალიან ცუდად, რადგან ის უგულებელჰყოფს იმ წინააღმდეგობებს, რომლებითაც გაჟღენთილია გლეხობის მთელი სამეურნეო წყობილება. მრეწველობის განცალკევება მიწათმოქმედებისაგან სწარმოებს გლეხობის დაშლასთან დაკავშირებით, სწარმოებს სხვადასხვანაირი გზით სოფლის ორივე პოლუსზე: შეძლებული უმცირესობა აწყობს სამრეწველო დაწესებულებებს, აფართოებს მათ, აუმჯობესებს მიწათმოქმედებას, ქირაობს მიწათმოქმედებისათვის მოჯამაგირეებს, ანდომებს სარეწს წლის სულ უფრო და უფრო მეტ ნაწილს და — სარეწის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე — უფრო ხელსაყრელად სთვლის გამოჰყოს სამრეწველო საწარმო სამი-

* მაგ., ვლადიმირის გუბერნიის მაუდის სარეწში მსხვილი «მეფაბრიკეები» და ოსტატები განირჩევიან მიწათმოქმედების ყველაზე მაღალი დონით. «წარმოების შეფერხების მომენტებში ოსტატები ცდილობენ შეიძინონ მამული, ხელი მოჰკიდონ მეურნეობას, სარეწს კი სრულიად ანებებენ თავს» («ვლად. გუბ. სარეწები», II, 131). ეს მაგალითი აღსანიშნავია, რადგან ასეთი ფაქტები ხანდახან საბაბს აძლევენ ნაროდნიკებს დაასკვნან, რომ «გლეხები ისევ უბრუნდებიან მიწათმოქმედებას», რომ «მიწას მოწყვეტილნი ისევ მიწას უნდა დაუბრუნდნენ» (ბ-ნი ვ. ვ. «ვესტნიკ ევროპა»-ში № 7, 1884 წ.).

წათმოქმედოსაგან, ე. ი. გადასცეს მიწათმოქმედება ოჯახის სხვა წევრებს ან გაჰყიდოს შენობები, პირუტყვი და სხვა და გახდეს მეშჩანი, ვაჭარი*. მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის განცალკევებას ამ შემთხვევაში წინ უძღვის მიწათმოქმედებაში სამეწარმეო ურთიერთობის გაჩენა. სოფლის მეორე პოლუსზე მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის განცალკევება მდგომარეობს იმაში, რომ ღარიბი გლეხობა ჩანაგდება და იქცევა დაქირავებულ (მესარეწე და მიწათმოქმედ) მუშებად. სოფლის ამ პოლუსზე სარეწის ხელსაყრელობა კი არა, არამედ გაჭირვება და განადგურება აიძულებს გლეხობას მიატოვოს მიწა, და არა მარტო მიწა, არამედ დამოუკიდებელი სარეწი შრომაც; მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის განცალკევების პროცესი აქ მდგომარეობს წვრილი მწარმოებლის ექსპროპრიაციის პროცესში.

VIII. «სარეწის შეერთება მიწათმოქმედებასთან»

ასეთია ნაროდნიკების მიერ აჩემებული ფორმულა, რომლის საშუალებითაც ბბ. ვ. ვ., ნ.—ონი და კომპ. ფიქრობენ რუსეთის კაპიტალიზმის საკითხის გადაჭრას. «კაპიტალიზმი» აცალკევებს მრეწველობას მიწათმოქმედებისაგან; «სახალხო წარმოება» აერთებს მათ ტიპიურ და ნორმალურ გლეხურ მეურნეობაში, — ეს უბრალო დაპირისპირება შეადგენს მათი თეორიის საკმაოდ დიდ ნაწილს. ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვაქვს დასკვნები გამოვიყვანოთ იმ საკითხის შესახებ, თუ ჩვენი გლეხობა სინამდვილეში როგორ «აერთებს სარეწს მიწათმოქმედებასთან», რადგან ზემოთ დაწვრილებით იყო განხილული ტიპიური ურთიერთობა როგორც მიწათმოქმედ, ისე მრეწავ გლეხობაში. ჩამოვთვალოთ «სარეწისა და მიწათმოქმედების შეერთების» ის სხვადასხვანაირი ფორმები, რომლებსაც ვხვდებით რუსეთის გლეხური მეურნეობის ეკონომიკაში.

---

* «გლეხებმა აგვისსნეს, რომ ამ ბოლო დროს ზოგიერთი შეძლებული მეპატრონე მრეწველი გადასახლდა მოსკოვში სარეწაოდო». «ჯაგრისის სარეწი 1895 წ. გამოკვლევის მიხედვით», გვ. 5.

1) პატრიარქალური (ნატურალური) მიწათმოქმედება უერთდება შინასარეწველს (ე. ი. პირადი მოხმარებისათვის ნედლეულის დამუშავებას) და საბატონო მუშაობას მიწათმფლობელის სასარგებლოდ.

მიწათმოქმედებასთან გლეხური «სარეწების» ამგვარი შეერთება ყველაზე უფრო ტიპიურია შუა საუკუნეთა სამეურნეო რეჟიმისთვის, რომლის აუცილებელ შემადგენელ ნაწილსაც ის შეადგენს*. რეფორმისშემდგომ რუსეთში ამგვარი პატრიარქალური მეურნეობისაგან, — რომელშიც სრულიადაც არ არის არც კაპიტალიზმი, არც სასაქონლო წარმოება და არც საქონლის მიმოქცევა, — მხოლოდ ნამსხვრევები დარჩნენ, სახელდობრ: გლეხების შინასარეწები და შრომამიგება.

2) პატრიარქალური მიწათმოქმედება უერთდება სარეწს ხელობის სახით.

შეერთების ეს ფორმა ჯერ კიდევ ძალიან ახლოს დგას წინანდელთან, განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ აქ ჩნდება საქონლის მიმოქცევა — იმ შემთხვევაში, როცა ხელოსანი საზღაურს ფულის სახით იღებს და გამოდის ბაზარზე იარაღების, ნედლეულის და სხვ. საყიდლად.

3) პატრიარქალური მიწათმოქმედება უერთდება ბაზრისათვის მრეწველობის პროდუქტების წვრილ წარმოებას, ე. ი. სასაქონლო წარმოებას მრეწველობაში. პატრიარქალური გლეხი იქცევა წვრილ საქონელმწარმოებლად, რომელიც, როგორც ჩვენ ცხადვყავით, ეტანება დაქირავებული შრომის გამოყენებას, ე. ი. კაპიტალისტურ წარმოებას. ამ გადაქცევის პირობას წარმოადგენს გლეხობის დაშლის უკვე განსაზღვრული დონე: ჩვენ დავინახეთ, რომ წვრილი და უწვრილესი მეპატრონეები მრეწველობაში უმეტეს წილად ეკუთვნიან მდიდარ ან

* კორსაკს ზემოთ დასახელებული წიგნის IV თავში მოჰყავს, მაგალითად, ამგვარი ისტორიული მოწმობა, რომ «იღუმენი არიგებდა (სოფელში) სელს სართავად», რომ გლეხები ვალდებული იყვნენ მიწის მფლობელისათვის «მიწის მძიმე მუშაობა ნარდად» შეესრულებინათ.

შეძლებულ გლეხთა ჯგუფს. წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარება მრეწველობაში თავის მხრით შემდგომ ბიძგს აძლევს გლეხ-მიწათმოქმედთა დაშლას.

4) პატრიარქალური მიწათმოქმედება უერთდება დაქირავებით მუშაობას მრეწველობაში (აგრეთვე მიწათმოქმედებაშიც) *.

ეს ფორმა წინანდელის აუცილებელ დამატებას წარმოადგენს: იქ საქონლად ხდება პროდუქტი, აქ კი — სამუშაო ძალა. როგორც დავინახეთ, წვრილ სასაქონლო წარმოებას მრეწველობაში აუცილებლად თან სდევს დაქირავებული მუშების და შემყიდველებისათვის მომუშავე შინამრეწველების გაჩენა. «მიწათმოქმედების სარეწთან შეერთების» ეს ფორმა დამახასიათებელია ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის, და რუსეთის რეფორმისშემდგომი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი თავისებურება ამ ფორმის უაღრესად სწრაფ და უაღრესად ფართო გავრცელებაში მდგომარეობს.

5) წვრილბურჟუაზიული (სავაჭრო) მიწათმოქმედება უერთდება წვრილბურჟუაზიულ სარეწებს (წვრილი სასაქონლო წარმოება მრეწველობაში, წვრილი ვაჭრობა და სხვ.).

---

* როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში და ეკონომიურ სტატისტიკაში ტერმინოლოგიის ისეთი არევდარევა სუფევს, რომ გლეხების «სარეწებად» მიჩნეულია შინამრეწველობაც. შრომამიგებაც, ხელოსნობაც, წვრილი სასაქონლო წარმოებაც, ვაჭრობაც, დაქირავებით მუშაობაც მრეწველობაში, დაქირავებით მუშაობაც მიწათმოქმედებაში და სხვ. აი იმის მაგალითი, თუ როგორ სარგებლობენ ნაროდნიკები ამ არევდარევით ბ-ნი ვ. ვ. ხოტბას ასხამს «სარეწის მიწათმოქმედებასთან შეერთებას» და თანაც საილუსტრაციოდ ასახელებს «ხე-ტყის სარეწს» და «შავ მუშაობას»: «ის (გლეხი) ღონიერია და შეჩვეული მძიმე სამუშაოს, ამიტომ მას ეხერხება ყოველგვარი შავი მუშაობაო» («შინამრეწველობის ნარკვევები», 26). და ამგვარი ფაქტი სხვა მრავალ ფაქტს შორის მოჰყავთ შემდეგი დასკვნის დასასაბუთებლად: «ჩვენ აქ ვხედავთ პროტესტს მოსაქმეობის განცალკევების წინააღმდეგ», «წარმოების იმ ორგანიზაციის სიმტკიცეს, რომელიც შექმნილი იყო ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის ბატონობის პერიოდში» (41). ამრიგად, გლეხის ხე-ტყის მუშად და შავ მუშად გადაქცევაც კი გამოყენებულია, სხვათა შორის, ნატურალური მეურნეობის სიმტკიცის საბუთად!

ამ ფორმის განსხვავება მე-3 ფორმისაგან იმაში მდგომარეობს, რომ წვრილბურჟუაზიული ურთიერთობა აქ მოიცავს არა მარტო მრეწველობას, არამედ მიწათმოქმედებასაც. ეს ფორმა წარმოადგენს სოფლის წვრილი ბურჟუაზიის მეურნეობაში სარეწის მიწათმოქმედებასთან შეერთების ყველაზე უფრო ტიპიურ ფორმას და ამიტომ დამახასიათებელია ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის. მხოლოდ რუს ნაროდნიკ-ეკონომისტებს ხვდათ წილად პატივი — აღმოეჩინათ ისეთი კაპიტალიზმი, რომელიც წვრილი ბურჟუაზიის გ ა რ ე შ ე არსებობს.

ბ) დაქირავებული შრომა მიწათმოქმედებაში უერთდება დაქირავებულ შრომას მრეწველობაში. ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, თუ როგორ იჩენს თავს მიწათმოქმედებასთან სარეწის ა ს ე თ ი შეერთება და როგორია ამ შეერთების მნიშვნელობა.

ამრიგად, ჩვენს გლეხობაში «სარეწებთან მიწათმოქმედების შეერთების» ფორმები მეტისმეტი სხვადასხვაობით განირჩევიან: არის ისეთი ფორმები, რომლებიც გამოხატავენ ყველაზე უფრო პრიმიტიულ სამეურნეო წყობილებას, სადაც ნატურალური მეურნეობა ბატონობს; არის ისეთები, რომლებიც გამოხატავენ კაპიტალიზმის მაღალ განვითარებას; არის მთელი რიგი გარდამავალი საფეხურები ამ ორ ფორმას შორის. ზოგადი ფორმულებით (როგორიცაა, მაგალითად: «სარეწის შეერთება მიწათმოქმედებასთან», ანდა «მრეწველობის განცალკევება მიწათმოქმედებისაგან») შეუძლებელია ერთი ნაბიჯიც კი გადაიდგას კაპიტალიზმის განვითარების ნამდვილი პროცესის გასაგებად.

IX. რამდენიმე შენიშვნა ჩვენი სოფლის წინაკაპიტალისტური ეკონომიკის შესახებ

«რუსეთში კაპიტალიზმის ბედის» საკითხის არსს ჩვენში ხშირად ისე სახავენ, თითქოს მთავარი მნიშვნელობა ჰქონდეს საკითხს: რ ა მ დ ე ნ ა დ ს წ რ ა ფ ა დ? (ე. ი. რამდენად სწრაფად ვითარდება კაპიტალიზმი?). ნამდვილად კი შეუდარებლად უფ-

რო მეტი მნიშვნელობა აქვს საკითხს: სახელდობრ როგორ? და საკითხს: საიდან? (ე. ი. როგორი იყო რუსეთში წინაკაპიტალისტური სამეურნეო წყობილება?). ნაროდნიკული ეკონომიის უმთავრესი შეცდომები მდგომარეობენ იმაში, რომ ის არასწორ პასუხს იძლევა სწორედ ამ ორ საკითხზე, ე. ი. შემცდარად ხატავს იმას, თუ სახელდობრ როგორ ვითარდება კაპიტალიზმი რუსეთში, და იძლევა წინაკაპიტალისტური წესების ყალბ იდეალიზაციას. II (ნაწილობრივ III) და ამ თავში ჩვენ განვიხილეთ კაპიტალიზმის ყველაზე უფრო პრიმიტიული სტადიები წვრილ მიწათმოქმედებაში და წვრილ გლეხურ სარეწებში; ასეთი განხილვის დროს აუცილებელი იყო მრავალჯერ მიგვეთითებინა წინაკაპიტალისტური წესების ნიშნებზე. თუ ახლა შევეცდებით ერთად მოვუყაროთ თავი ყველა ამ ნიშანს, მივიღებთ იმ დასკვნას, რომ წინაკაპიტალისტური სოფელი წარმოადგენდა (ეკონომიურად) წვრილი ადგილობრივი ბაზრების ქსელს, რომლებიც ერთიმეორეს უკავშირებდნენ წვრილ მწარმოებელთა პაწაწა ჯგუფებს, დაქსაქსულთ როგორც თავისი განკერძოებული მეურნეობით, ისე მრავალი შუასაუკუნეობრივი ზღუდით და შუასაუკუნეობრივი დამოკიდებულების ნაშთებით.

რაც შეეხება წვრილ მწარმოებელთა დაქსაქსულობას, ეს ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოიხატება მათი იმ დაშლით, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში. მაგრამ დაქსაქსულობა ამით სრულებითაც არ ისაზღვრება. გლეხები, გაერთიანებულნი თემის საშუალებით პაწაწა ადმინისტრაციულ-ფისკალურ და მიწათმფლობელურ კავშირებად, ნადელის სიდიდის, გადასახდელთა რაოდენობის და სხვ. მიხედვით დაქუცმაცებული არიან მთელ რიგ სხვადასხვა თანრიგებად და კატეგორიებად. ავიღოთ თუნდაც სარატოვის გუბერნიის საერობო-სტატისტიკური კრებული; გლეხობა აქ იყოფა შემდეგ თანრიგებად: ნაბოძარნი, მესაკუთრენი, სრული მესაკუთრენი, სახელმწი-

ფოსანნი, სახელმწიფოსანნი თემური მფლობელობით, სახელმწიფოსანნი სამეოთხედო მფლობელობით, სახელმწიფოსანნი საბატონო გლეხებიდან, საუფლისწულონი, სახაზინო მიწების მოიჯარადრეები, უმიწონი, მესაკუთრენი — ყოფილი საბატონო გლეხები, გამოყიდულ სამოსახლოზე მცხოვრებნი, მესაკუთრენი — ყოფილი საუფლისწულონი, დასახლებულნი — მესაკუთრენი, გადმოსახლებულნი, ნაბოძარნი — ყოფილი საბატონონი, მესაკუთრენი — ყოფილი სახელმწიფოსანნი, გააზატებულნი, არამოღალენი, თავისუფალი მხვნელ-მთესველნი, დროებით ვალდებულნი, ყოფილი საფაბრიკო გლეხები და სხვ. ამას გარდა კიდევ — მიწერილი, მოსული და სხვა გლეხები. ყველა ეს კატეგორია განირჩევა ერთიმეორისაგან აგრარული ურთიერთობის ისტორიით, ნადელების და გადასახდელთა სიდიდით და სხვ. და სხვ. თანრიგთა შიგნითაც ყოველ მათგანში აუარებელი განსხვავებაა: ზოგჯერ ერთი და იმავე სოფლის გლეხები იყოფიან ორ სრულებით სხვადასხვანაირ კატეგორიად: «ბ-ნ NN-ის ყოფილნი» და «ქ-ნ მ. მ-ის ყოფილნი». მთელი ეს სიჭრელე ბუნებრივი და აუცილებელი იყო შუა საუკუნეებში, შორეულ წარსულში; ამჟამად კი გლეხურ საზოგადოებათა წოდებრივი კარჩაკეტილობის შენარჩუნება აშკარაზე აშკარა ანაქრონიზმია და უკიდურესად აუარესებს მშრომელი მასების მდგომარეობას, ამავე დროს კი სრულებითაც არ იცავს მათ ახალი, კაპიტალისტური ეპოქის პირობების სიმძიმისაგან. ნაროდნიკები ჩვეულებრივ თვალს არიდებენ ამ დაქუცმაცებას, და როცა მარქსისტები გამოთქვამენ აზრს, გლეხობის დაშლა პროგრესული მოვლენა არისო, ნაროდნიკები კმაყოფილდებიან შაბლონური შეძახილებით «გაბოგანოების მომხრეთა» წინააღმდეგ, რითაც ისინი ჰფარავენ თავის სრულიად შემცდარ წარმოდგენას წინაკაპიტალისტურ სოფელზე. საკმარისია წარმოვიდგინოთ წვრილ მწარმოებელთა ის გასაოცარი დაქუცმაცება, რომელიც პატრიარქალური მიწათმოქმედების აუცილებელი შედეგი იყო, რომ დავრწმუნდეთ კაპიტალიზმის პროგრესულობაში, რომელიც ძირფესვიანად ანგრევს მეურნეობისა და ცხოვრების

ძველ ფორმებს, მათ საუკუნეობრივ უმოძრაობასა და რუტინას, ანგრევს თავის შუასაუკუნეობრივ ზღუდეებში გაყინულ გლეხთა ბინადრობას და ჰქმნის ახალ საზოგადოებრივ კლასებს, რომლებიც აუცილებლობის გამო მიილტვიან შეკავშირებისაკენ, გაერთიანებისაკენ, სახელმწიფოს და მთელი მსოფლიოს მთელ ეკონომიურ (და არა მხოლოდ ეკონომიურ) ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისაკენ.

აიღეთ გლეხები როგორც ხელოსნები და წვრილი მწარმოებლები, — და თქვენ ამასვე დაინახავთ. მათი ინტერესები არ სცილდებიან გარეშემო სოფლების პატარა რაიონის ფარგლებს. ადგილობრივი ბაზრის უკიდურესი სიმცირის გამო ისინი ვერ ხვდებიან სხვა რაიონების მრეწველებს; მათ, როგორც ცეცხლისა, ისე ეშინიათ «კონკურენციისა», რომელიც ულმობლად ანგრევს წვრილ ხელოსანთა და მრეწველთა პატრიარქალურ სამოთხეს, რომლებსაც არავინ და არაფერი არ აღელვებს მათი რუტინული მცონარეობის პირობებში. ამ წვრილ მრეწველთა მიმართ კონკურენცია და კაპიტალიზმი ასრულებენ სასარგებლო ისტორიულ საქმეს, ამოათრევენ მათ მიყრუებული ადგილებიდან, უყენებენ მათ ყველა იმ საკითხს, რომელნიც უკვე დაყენებულია მოსახლეობის უფრო განვითარებული ფენების წინაშე.

წვრილი ადგილობრივი ბაზრების აუცილებელ კუთვნილებას, გარდა ხელოსნების პრიმიტიული ფორმებისა, წარმოადგენს აგრეთვე სავაჭრო და სავახშო კაპიტალის პრიმიტიული ფორმები. რაც უფრო მიყრუებულია სოფელი, რაც უფრო დაშორებულია ის ახალი კაპიტალისტური წესების, რკინიგზების, დიდი ფაბრიკების, მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების გავლენას, — მით უფრო ძლიერია ადგილობრივი ვაჭრებისა და მევახშეების მონოპოლია, მით უფრო ძლიერია გარეშემო გლეხობის დამორჩილება მათდამი და მით უფრო უხეშ ფორმებს ღებულობს ეს დამორჩილება. ეს წვრილი წურბელა აუარებელია (გლეხთა პროდუქტების სიმცირესთან შედარებით), და მათთვის ბევრნაირი ადგილობრივი სახელია გამოგონილი. გაიხსენეთ ყველა ეს «პრასოლი», «შიბაი», «შჩე-

ტინნიკი», «მაიაკი», «ივაში», «ბულინი» და სხვა, და სხვა. ნატურალური მეურნეობის სიჭარბე, რაც განაპირობებს სოფლად ფულის იშვიათობასა და სიძვირეს, იწვევს იმას, რომ ყველა ამ «კულაკის» მნიშვნელობა მეტისმეტად იზრდება მათი კაპიტალის სიდიდესთან შედარებით. გლეხების დამოკიდებულება ფულის პატრონთაგან აუცილებლად ღებულობს კაბალის ფორმას. ისე, როგორც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ განვითარებული კაპიტალიზმი, თუ არ არის მსხვილი სასაქონლო-სავაჭრო და ფულად-სავაჭრო კაპიტალი, სწორედ ასევე წარმოუდგენელია წინაკაპიტალისტური სოფელი, თუ იქ არ არიან წვრილი ვაჭრები და შემყიდველები, რომელნიც წვრილი ადგილობრივი ბაზრების «ბატონ-პატრონებს» წარმოადგენენ. კაპიტალიზმი თავს უყრის ყველა ამ ბაზარს, აერთებს მათ დიდ ნაციონალურ და შემდეგ მსოფლიო ბაზრად, არღვევს კაბალისა და პირადი დამოკიდებულების პირველყოფილ ფორმებს, ღრმად და ფართოდ ავითარებს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ჩანასახი ფორმით უკვე არსებობენ თემურ გლეხობაშიც, — და ამნაირად ამზადებს ამ წინააღმდეგობათა გადაჭრას.

თ ა ვ ი VI

კაპიტალისტური მანუფაქტურა და კაპიტალისტური შინმუშაობა

I. მანუფაქტურის წარმოშობა და მისი ძირითადი ნიშნები

როგორც ვიცით, მანუფაქტურად იგულისხმება შრომის დანაწილებაზე დამყარებული კოოპერაცია. თავისი წარმოშობით მანუფაქტურა უშუალოდ მოსდევს «კაპიტალიზმის პირველ სტადიებს მრეწველობაში», რაც ზემოთ იყო აღწერილი. ერთი მხრით, სახელოსნოებს, სადაც მუშების მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი რაოდენობაა, თანდათან შემოაქვთ შრომის დანაწილება, და ამრიგად მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია კაპიტალისტურ მანუფაქტურად იქცევა. წინა თავში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები მოსკოვის სარეწების შესახებ ნათლად გვიჩვენებენ მანუფაქტურის ამგვარი წარმოშობის პროცესს: მეოთხე კატეგორიის ყველა სარეწის, მესამე კატეგორიის ზოგიერთი სარეწის და მეორე კატეგორიის ერთეული სარეწების უფრო დიდი სახელოსნოები სისტემატურად მიმართავენ შრომის დანაწილებას ფართო მასშტაბით და ამიტომ კაპიტალისტური მანუფაქტურის ნიმუშებს უნდა მიეკუთვნონ. ქვემოთ მოვიყვანთ უფრო დაწვრილებით ცნობებს ზოგიერთი ამ სარეწის ტექნიკისა და ეკონომიკის შესახებ.

მეორე მხრით, ჩვენ ვნახეთ, რომ წვრილ სარეწებში სავაჭრო კაპიტალი, როცა თავისი განვითარების უმაღლეს

საფეხურს აღწევს, მწარმოებელს უკვე აყენებს დაქირავებული მუშის მდგომარეობაში, რომელიც სანარდო საზღაურად ამუშავებს სხვის ნედლეულს. თუ შემდგომი განვითარება იწვევს იმას, რომ წარმოებაში შემოაქვთ შრომის სისტემატური დანაწილება, რომელიც გარდაქმნის წვრილი წარმოების ტექნიკას, თუ «შემყიდველი» გამოჰყოფს ზოგიერთ დეტალობრივ ოპერაციას და დაქირავებული მუშების საშუალებით აწარმოებს მათ თავის სახელოსნოში, თუ შინ სამუშაოს დარიგებასთან ერთად და მასთან უშუალოდ დაკავშირებით ჩნდება შრომის დანაწილებაზე დამყარებული მსხვილი სახელოსნოები (რომლებიც ხშირად იმავე შემყიდველებს ეკუთვნის), — მაშინ ჩვენს წინაშეა კაპიტალისტური მანუფაქტურის აღმოცენების სხვაგვარი პროცესი *.

მრეწველობის კაპიტალისტური ფორმების განვითარებაში მანუფაქტურას დიდი მნიშვნელობა აქვს—იგი შუალედი რგოლია, ერთი მხრით, ხელოსნობასა და წვრილ სასაქონლო, კაპიტალის პრიმიტიული ფორმების მატარებელ, წარმოებას და, მეორე მხრით, მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას (ფაბრიკას) შორის. წვრილ სარეწებთან მანუფაქტურას აახლოებს ის, რომ მის ბაზისად ისევ ხელით მუშაობის ტექნიკა რჩება, რომ ამიტომ მსხვილი საწარმო რადიკალურად ვერ აძევებს წვრილ საწარმოს, სავსებით ვერ მოსწყვეტს მრეწველს მიწათმოქმედებისაგან. «მანუფაქტურამ ვერც ის შესძლო, რომ დაეპყრო მთელი საზოგადოებრივი წარმოება, ვერც ის, რომ ძირიანფესვიანად (in ihrer Tiefe) გარდაექმნა იგი. იმ ეკონომიურ შენობაზე, რომლის ფართო საფუძველს შეადგენდა ქალაქის ხელოსნობა და დამხმარე სოფლის სარეწები, მანუ-

* კაპიტალისტური მანუფაქტურის აღმოცენების ასეთი პროცესის შესახებ იხ. კ. მარქსი, «Das Kapital», III, 318 — 320. რუს. თარგ., 267 — 270. [109] «მანუფაქტურა ძველებურ საამქროთა წიაღში როდი აღმოცენებულა. უახლესი სახელოსნოს მეთაური გახდა ვაჭარი და არა ძველი ამქრის ოსტატი» («Misère de la philosophie», 190) [110]. მანუფაქტურის ცნების ძირითადი ნიშნები, მარქსის მიხედვით, ჩვენ ჩამოვთვალეთ სხვა ადგილას [«ეტიუდები», 179. (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 533 — 534. რ ე დ.)]

ფაქტურა მოსჩანდა როგორც არქიტექტურული სამკაული» *. ფაბრიკასთან მანუფაქტურას აახლოებს დიდი ბაზრის, დაქირავებული მუშებით მოქმედ მსხვილ საწარმოთა წარმოშობა, მსხვილი კაპიტალის გაჩენა, რომლის სრულ მორჩილებაში იმყოფებიან უქონელ მუშათა მასები.

რუსულ ლიტერატურაში ისეა გავრცელებული ყალბი აზრი ეგრეთწოდებული «საფაბრიკო-საქარხნო» წარმოების მოწყვეტილობაზე «შინამრეწველურისაგან», პირველის «ხელოვნურობაზე» და მეორის «ხალხურ» ხასიათზე, რომ მეტად საგულისხმოდ მიგვაჩნია გადავსინჯოთ ცნობები დამმუშავებელი მრეწველობის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგის შესახებ და ცხადვყოთ, თუ როგორი იყო მათი ეკონომიური ორგანიზაცია მას შემდეგ, რაც ისინი გამოვიდნენ წვრილი გლეხური სარეწების სტადიიდან, იმ დრომდე, სანამ მათ გარდაქმნიდა მსხვილი მანქანური ინდუსტრია.

II. კაპიტალისტური მანუფაქტურა რუსეთის მრეწველობაში

დავიწყოთ ბოჭკოიან ნივთიერებათა დამმუშავებელი მრეწველობით.

1) საფეიქრო სარეწები

ტილოს, მატყლის, ბამბეულის, აბრეშუმის ქსოვილების, სირიფის და სხვ. ფეიქრობას ჩვენში ყველგან შემდეგი ორგანიზაცია ჰქონდა (მსხვილი მანქანური ინდუსტრიის გაჩენამდე). სარეწს სათავეში უდგნენ მსხვილი კაპიტალისტური სახელოსნოები, სადაც ათობით და ასობით იყო დაქირავებული მუშა. ამ სახელოსნოთა პატრონები, რომლებსაც დიდი კაპიტალები ჰქონდათ, ფართო მასშტაბით ყიდულობდნენ ნედლეულს, ნაწილობრივ გადაამუშავებდნენ მას თავის საწარმოებში, ნაწილობრივ კი ნართსა და მისაქსოვს აძლევდნენ წვრილ მწარმოებლებს (საფეიქრო სახელოსნოთა მეპატრონეებს, «ზაგლოდებს», ოსტატებს, გლეხ-«შინამრეწველებს» და სხვ.), რომელნიც შინ ან წვრილ საწარმოებში ქსოვდნენ ფართალს ნარდ

* «Das Kapital», I², S. 383.[111]

საზღაურად. თვით წარმოებას საფუძვლად ედო ხელით შრომა, ამასთან ცალკეულ მუშებს შორის ნაწილდებოდა შემდეგი ცალკეული ოპერაციები: 1) ნართის შეღებვა; 2) ნართის ხვევა (ამ ოპერაციაზე ხშირად ქალები და ბავშვები ხელოვნდებოდნენ); 3) ნართის ქსელვა (მუშა-«მქსელავები»); 4) ფეიქრობა; 5) მისაქსელის დახვევა ფეიქრებისათვის (დამხვევების, მეტწილად ბავშვების სამუშაო). ზოგან დიდ სახელოსნოებში არიან კიდევ განსაკუთრებული მუშები — «გამყრელები» (მისაქსოვის ძაფს უყრიან დგიმის თვალში და ლაფათინში)*. ჩვეულებრივ შრომის დანაწილება ხდება არა მარტო დეტალების, არამედ საქონლის მიხედვითაც, ე. ი. ფეიქრები ხელოვნდებიან ამა თუ იმ სახის ქსოვილის წარმოებაში. წარმოების ზოგიერთი ოპერაციის გამოყოფა შინსამუშაოდ, რასაკვირველია, სრულიად არაფერს არ სცვლის ამგვარი ტიპის მრეწველობის ეკონომიურ წყობილებაში. საფეიქრო ქოხები თუ სახლები, სადაც ფეიქრები მუშაობენ, მანუფაქტურის მხოლოდ გარეგან განყოფილებებს წარმოადგენენ. ამგვარი მრეწველობის ტექნიკურ საფუძველს შეადგენს ხელით წარმოება, როცა შრომა ფართოდ და სისტემატურადაა დანაწილებული; ეკონომიური მხრით, ჩვენ ვხედავთ დიდი კაპიტალის შექმნას, რომელიც განაგებს ნედლეულის შეყიდვას და ნაწარმის გასაღებას მეტად ვრცელ (ნაციონალურ) ბაზარზე და რომლის სრულ მორჩილებაში იმყოფება პროლეტარ-ფეიქართა მასა; მცირერიცხოვანი დიდი საწარმონი (ვიწრო აზრით — მანუფაქტურები) ბატონობენ წვრილ საწარმოთა მასაზე. შრომის დანაწილება იწვევს გლეხობიდან სპეციალისტ-ოსტატების გამოყოფას; ჩნდებიან მანუფაქტურის არასამიწათმოქმედო ცენტრები, როგორც, მაგალითად, სოფელი ივანოვო ვლადიმირის გუბერნიაში (1871 წლიდან — ქალაქი ივანოვო-ვოზნესენსკი; ამჟამად — მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ცენტრი); სოფელი ველიკოე იაროსლავლის გუბერ-

* შეად. «მოსკოვის გუბერნიის სტატისტიკური ცნობების კრებული», ტ. VII, ნაკვ. III (მ. 1883), გვ. 63 — 64.

ნიაში და მრავალი სხვა სოფელი მოსკოვის, კოსტრომის, ვლადიმირის, იაროსლავლის გუბერნიებში; ისინი ახლა უკვე საფაბრიკო დაბებად არიან გადაქცეულნი *. ამგვარად მოწყობილი მრეწველობა ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურასა და სტატისტიკაში ჩვეულებრივ ორ ნაწილად ითიშება: შინ ან არც ისე დიდ საფეიქრო ქოხებში, სახელოსნოებში და სხვ. მომუშავე გლეხებს «შინამრეწველობას» მიაკუთვნებენ, ხოლო უფრო დიდ საფეიქრო ქოხებსა და სახელოსნოებს «ფაბრიკა-ქარხნების» რიცხვში აქცევენ (და ეს ხდება სრულიად შემთხვევით, რადგანაც არ არსებობს არავითარი ზუსტად დადგენილი და ერთნაირად გამოყენებული წესები, რომელთა მიხედვითაც შეიძლებოდეს განვასხვავოთ ერთმანეთისაგან წვრილი და მსხვილი საწარმონი, საფეიქრო ქოხები და მანუფაქტურები, შინმომუშავე და კაპიტალისტის სახელოსნოში მომუშავე მუშები) **. ამკარაა, ამგვარი კლასიფიკაცია, რომელიც ერთ მხარეზე აყენებს ზოგიერთ დაქირავებულ მუშას, ხოლო მეორეზე – ზოგიერთ პატრონებს, რომელნიც იყვანენ (თვით საწარმოს მუშებს გარდა) სწორედ ამ დაქირავებულ მუშებს, — მეცნიერული თვალსაზრისით, არის nonsens ***.

ნათელვყოთ ზემოთქმული «შინამრეწველური ფეიქრობის» ერთ-ერთი სარეწის, სახელდობრ — ვლადიმირის გუბერნიაში არსებული აბრეშუმეულის ფეიქრობის დაწვრილებითი ცნობებით****. «აბრეშუმის სარეწი» ტიპიური კაპიტალისტური მანუფაქტურაა. აქ სჭარბობს ხელით წარმოება. საწარმოთა საერთო რიცხვში უმრავლესობა წვრილი საწარმოა (313-დან 179 საწარმოს, ე. ი. მთელი რაოდენობის 57%-ს, ჰყავს 1 — 5 მუშა თვითეულს), მაგრამ ისინი მეტწილად არ არიან დამოუკიდებელნი და დიდად ჩამორჩებიან მსხვილ საწარმოებს

* ამ ტიპის უმნიშვნელოვანესი დაბები ჩამოთვლილია შემდეგ თავში.

** ამგვარი არევდარევის მაგალითებს შემდეგ თავში მოვიყვანთ.

*** — უაზრობა. რ ე დ.

**** იხ. «ვლადიმირის გუბ. სარეწები», III. ჩვენი შინამრეწველობის ლიტერატურაში აღწერილი ყველა საქსოვი სარეწის შესახებ დაწვრილებითი ცნობების მოყვანა შეუძლებელიც იქნებოდა და ზედმეტიც. ამასთან ამ სარეწების უმეტეს ნაწილში უკვე ფაბრიკა ბატონობს.

თავისი მნიშვნელობით მრეწველობის საერთო ჯამში. 20—150 მუშის მყოლი საწარმოები მთელი რაოდენობის (25) 8 %-ს შეადგენს, მაგრამ აქ თავმოყრილია მუშების მთელი რიცხვის 41,5% და ისინი იძლევიან წარმოების საერთო ჯამის 51%-ს. ამ სარეწის მუშების მთელი რიცხვიდან (2 823) დაქირავებულია 2 092, ე. ი. 74,1%. «წარმოებაში შეხვდებით შრომის როგორც საქონლობრივ, ისე დეტალობრივ დანაწილებას». ფეიქრებმა აქ იშვიათად იციან ერთსა და იმავე დროს «ხავერდის» და «ქარგული ნაკერის» (ამ წარმოების ორი მთავარი საქონლის) კეთება. «სახელოსნოს შიგნით შრომის დეტალობრივი დანაწილება მტკიცედ გატარებულია მხოლოდ მსხვილ ფაბრიკებში» (ე. ი. მანუფაქტურებში), «სადაც დაქირავებული მუშები არიან». სრულიად დამოუკიდებელი მეპატრონე არის მხოლოდ 123, რომლებიც თვითონ ყიდულობენ მასალას და ასაღებენ პროდუქტს; მათ ჰყავთ 242 მუშა — ოჯახის წევრი, და «მათთვის მუშაობს 2 498 დაქირავებული მუშა, რომელნიც უმეტეს ნაწილად ნარდ საზღაურს იღებენ», მაშასადამე, სულ არის 2 740 მუშა ანუ მუშათა საერთო რიცხვის 97%. ამნაირად, ცხადია, რომ ამ მანუფაქტურისტების მიერ სამუშაოს სახლებში დარიგება «ზაგლოდების» (საფეიქრო ქოხების პატრონების) საშუალებით სრულებით არ შეადგენს მრეწველობის განსაკუთრებულ ფორმას, ის მხოლოდ მანუფაქტურაში მოქმედი კაპიტალის ერთ-ერთი ოპერაციაა. ბ-ნი ხარიზომენოვი სამართლიანად შენიშნავს, რომ «წვრილ საწარმოთა მასა (57%), მსხვილი საწარმოების სიმცირისას (8%) და მუშათა პერსონალის უმნიშვნელო რაოდენობის დროს, რომელიც მოდის საშუალოდ თითო საწარმოზე (7 ½ კაცი), ჰფარავს წარმოების ნამდვილ ხასიათს» (l. c., 39). მოსაქმეობის სპეციალიზაცია, რაც დამახასიათებელია მანუფაქტურისათვის, აქ თვალნათლივ აშკა-

«შინამრეწველური ფეიქრობის» შესახებ იხ. აგრეთვე «მოსკოვის გუბ. სტატისტ. ცნობების კრებული», ტ. VI და VII. — «შინამრეწველობის კომისიის შრომები». — «ხელით შრომის სტატისტიკის მასალები» [113]. — «ანგარიშები და გამოკვლევები». — კორსაკი, l. c.

რავდება მრეწველების გამოყოფით მიწათმოქმედებისაგან (მიწას სტოვებენ, ერთი მხრით, გაღატაკებული ფეიქრები, მეორე მხრით — მსხვილი მანუფაქტურისტები) და განსაკუთრებული ტიპის სამრეწველო მოსახლეობის ჩამოყალიბებით, რომელიც გაცილებით უფრო «სუფთად» ცხოვრობს, ვიდრე მიწათმოქმედნი, და რომელიც ზემოდან დასცქერის გლეხს (l. c., 106). ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა აღნუსხავდა ყოველთვის ამა თუ იმ სარეწის მხოლოდ შემთხვევით ამოგლეჯილ ნაწილს *.

მოსკოვის გუბერნიის «სირიფის სარეწი» წარმოადგენს სრულიად ანალოგიური ორგანიზაციის მქონე კაპიტალისტურ მანუფაქტურას **. საესებით ამგვარივეა აგრეთვე სარატოვის გუბერნიის კამიშინის მაზრის სარპინის სარეწი. 1890 წლის «საძიებლის» მიხედვით აქ იყო 31 «ფაბრიკა» 4 250 მუშით და 265 000 მან. წარმოების თანხით, — ხოლო «სიის» მიხედვით — 1 «დამარიგებელი კანტორა» 33 მუშით თვით საწარმოში და 47 ათასი მან. წარმოების თანხით. (მაშასადამე, 1890 წ. საწარმოში მომუშავენი და განზე მომუშავენი ერთმანეთში აურიეს!). ადგილობრივი გამოკვლევების თანახმად, სარპინის წარმოებას 1888 წ. ეკავა დაახლოებით 7 000 დგიმი ***, მისი წარმოების თანხა შეადგენდა 2 მილიონ მანეთს, ამასთან

* «სამხედრო-სტატისტ. კრებულმა» შესძლო დაეთვალა ვლადიმირის გუბერნიაში 1866 წ. 98 აბრეშუმის ფაბრიკა (!) 98 მუშით და 4 000 მან. წარმოების თანხით (!). 1890 წ. «საძიებლის» მიხედვით იყო 35 ფაბრიკა — 2 112 მუშა — 936 ათასი მან. 1894 95 წ. «სიის» მიხედვით: 98 ფაბრიკა — 2 281 მუშა — 1 918 ათასი მან. და კიდევ 2 477 მუშა «განზე, დაწესებულების გარეთ». მოდით და გაარჩიეთ აქ «შინამრეწველნი» «ფაბრიკა-ქარხნის მუშებისაგან»!

** 1890 წ. «საძიებლის» მიხედვით მოსკოვის გარეთ არის 10 სირიფის ფაბრიკა 303 მუშით და 58 ათასი მან. წარმოების თანხით. ხოლო «მოსკოვის გუბ. სტატისტ. ცნობების კრებულის» მიხედვით (ტ. VI, ნაკვ. II) — 400 საწარმო 2 619 მუშით (მათგან 72,8% დაქირავებულია) და 963 ათასი მან. წარმოების თანხით.

*** «ფაბრიკის ინსპექტორთა 1903 წ. ანგარიშების ნაკრები» (სპბ. 1906) მთელ სარატოვის გუბერნიაში ითვლის 33 დამარიგებელ კანტორას 10 000 მუშით. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

«მთელ საქმეს უძღვება რამდენიმე მეფაბრიკე», რომელთა-თვისაც მუშაობენ «შინამრეწველნი», მათ შორის 6 — 7 წლის ბავშვები 7 — 8 კაპიკად დღეში («ანგარიშები და გამოკვლევები», ტ. I) *. და სხვ.

2) საფეიქრო ინდუსტრიის სხვა დარგები. სამთელაო წარმოება

თუ ოფიციალური საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, სამთელაო წარმოებაში «კაპიტალიზმი» მეტად სუსტად არის განვითარებული: მთელს ევროპულ რუსეთში სულ 55 ფაბრიკაა, 1212 მუშით და 454 ათასი მან. წარმოების თანხით (1890 წლის «საძიებელი»). მაგრამ ეს ციფრები გვიჩვენებენ მხოლოდ ფართოდ განვითარებული კაპიტალისტური მრეწველობის შემთხვევით ამოგლეჯილ ნაჭერს. ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიას პირველი ადგილი უჭირავს ქეჩის «საფაბრიკო-საქარხნო» წარმოების განვითარებით, ხოლო ამ გუბერნიაში ხსენებული მრეწველობის მთავარი ცენტრია ქალაქი არზამასი და ქალაქის მახლობლად მდებარე ვიეზდნაია სლობოდა (ამათში 8 «ფაბრიკაა» 278 მუშით და 120 ათასი მან. წარმოების თანხით; 1897 წ. — 3 221 მცხოვრები, სოფ. კრასნოეში კი — 2 835). სწორედ ამ ცენტრების გარეუბნებშია განვითარებული «შინამრეწველური» ქეჩის წარმოება, რომელსაც უკავია დაახლოებით 243 საწარმო, 935 მუშით და 103 847 მან. წარმოების თანხით («შინამრეწველობის კომისიის შრომები», V). ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ამ რაიონში ქეჩის წარმოების ეკონომიური ორგანიზაცია, ჩვენ გრაფიკულ ხერხს მივმართავთ და განსაკუთრებული ნიშნებით

* ამ სარეწის ცენტრია სოსნოვის ვოლოსტი, რომელშიც საერობო აღწერით 1886 წ. ითვლებოდა 4 626 კომლი ორივე სქესის 38 ათასი სულით; სამრეწველო საწარმო — 291. მთლად თემში 10% უსახლკაროა (წინაადმდეგ 6,2%-ისა მაზრაში), 44,5% კომლს არა აქვს ნათესი (წინაადმდეგ 22,8%-ისა მაზრაში). იხ. «სარატოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. XI. — მაშასადამე, კაპიტალისტურმა მანუფაქტურამ აქაც შეჰქმნა სამრეწველო ცენტრები, რომლებიც მუშებს აშორებენ მიწას.

აღვნიშნავთ მწარმოებლებს, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სარეწის საერთო წყობაში.

სამთელაო სარეწის ორგანიზაციის გრაფიკული გამოსახულება

სავსებით დამოუკიდებელი მეპატრონენი, რომელნიც უშუალოდ მწარმოებლისაგან იძენენ მატყლს.


დამოუკიდებელი მეპატრონენი, რომელნიც მატყლს იძენენ არა უშუალოდ მწარმოებლისაგან (ვისგან იძენენ — გვიჩვენებს გრეხილი ხაზი).


დამოკიდებული მწარმოებელნი, რომელნიც მეპატრონეთათვის მუშაობენ მათი მასალით სანარდო ხელფასზე (ვისთვის მუშაობენ — გვიჩვენებს ერთი მთლიანი ხაზი).


დაქირავებული მუშები (ვისთან მუშაობენ — გვიჩვენებს ორი მთლიანი ხაზი).

ციფრები ნიშნავს მუშათა რაოდენობას (დაახლოებით) *.

ის ცნობები, რომლებიც წერტილ-ხაზებისაგან შემდგარ ოთხკუთხედების შიგნითაა მოქცეული, ეხება ეგრეთწოდებულ «ძინამრეწველობას», დანარჩენი კი — ეგრეთწოდებულ «საფაბრიკო-საქარხნო» მრეწველობას.



* წყაროები დასახელებულია ტექსტში. მაგალითად, საწარმოთა რიცხვი დამოუკიდებელი მუშების რიცხვზე ერთიორად ნაკლებია (52 საწარმო სოფ. ვას. ვრაგში, 5+55+110 სოფ. კრასნოეში და 21 საწარმო 4 პატარა სოფელში). პირიქით, ციფრი 8 ქალ. არზამასისა და ვიეზდნაია სლობოდასთვის ნიშნავს «ფაბრიკების» და არა მუშების რიცხვს.

ამნაირად აშკარაა, რომ «საფაბრიკო-საქარხნო» მრეწველობის და «შინამრეწველობის» ერთმანეთისაგან გამოყოფა სავსებით ხელოვნურია, რომ ჩვენ წინ გადაშლილია სარეწის ერთიანი და მთლიანი წყობა, რომელიც სავსებით უდგება კაპიტალისტური მანუფაქტურის ცნებას *. ტექნიკურად, ეს არის ხელით წარმოება. მუშაობის ორგანიზაცია არის კოოპერაცია, რომელიც დამყარებულია შრომის დანაწილებაზე, რაც აქ ორნაირია: საქონლობრივიც (ზოგი სოფელი ამზადებს ქეჩას, ზოგი — წაღას, ქუდს, ლანჩას და სხვ.) და დეტალობრივიც (მაგ., მთელი სოფელი ვასილიევ ვრაგი ჯ ა ნ დ რ ა ვ ს ქუდებსა და ლანჩებს სოფ. კრასნოეს ათვის, სადაც ნახევრადფაბრიკატი საბოლოოდ მზადდება, და სხვ.). ეს კოოპერაცია კაპიტალისტურია, ვინაიდან მას სათავეში უდგას მსხვილი კაპიტალი, რომელმაც შეჰქმნა დიდი მანუფაქტურები და დაიმორჩილა (ეკონომიურ ურთიერთობათა რთული ქსელის საშუალებით) წვრილ საწარმოთა მასა. მწარმოებელთა დიდი უმრავლესობა უკვე მ ე დ ე ტ ა ლ ე მ უ შ ე ბ ა დ გადაიქცა, რომელნიც მეწარმეთათვის მუშაობენ მეტად ანტიჰიგიენურ პირობებში **. სარეწის ხანდაზმულობა და სავსებით ჩამოყალიბებული კაპიტალისტური ურთიერთობა იწვევენ მრეწველთა გამოცალკევებას მიწათმოქმედებისაგან: სოფელ კრასნოეში მიწათმოქმედება სრულიად დაცემულია, და მოსახლეობის

* უნდა შევნიშნოთ, რომ ზემომოყვანილი გრაფიკული სურათი ტიპიური გამოხატულებაა საზოგადოდ ყველა რუსული სარეწისა, რომელიც კი მოწყობილია კაპიტალისტური მანუფაქტურის ტიპის მიხედვით: ყველგან სარეწის სათავეში ჩვენ ვხედავთ მსხვილ დაწესებულებებს (რომლებიც ხანდახან მითვლილია «ფაბრიკა-ქარხანაზე»), და მათდამი წვრილ საწარმოთა მასის სრულ დამორჩილებას, ერთი სიტყვით, შრომის დანაწილებასა და ხელით წარმოებაზე დამყარებულ კაპიტალისტურ კოოპერაციას. არასამიწათმოქმედო ცენტრს მანუფაქტურა სწორედ ასევე ჰქმნის არა მარტო აქ, არამედ სხვა სარეწების უმეტეს ნაწილშიც.

** მუშაობენ შიშველნი, როცა ტემპერატურა R-ით არის 22° — 24°. ჰაერში ტრიალებს მსხვილი და წვრილი მტვერი, მატყლი და მისგან ავარდნილი ყოველგვარი სიბინძურე. იატაკი «ფაბრიკებში» მიწისაა (სახელდობრ — სამრეცხაოებში) და სხვ.

ყოფაცხოვრება განსხვავდება სამიწათმოქმედო ყოფაცხოვრებისაგან*.

სავსებით ანალოგიურია სამთელაო სარეწის ორგანიზაცია მრავალ სხვა რაიონშიც. იმავე გუბერნიის სემიონოვის მაზრის 363 თემში 1889 წ. ამ სარეწზე მუშაობდა 3 180 კომლი 4 038 მომუშავით. 3 946 მუშიდან მხოლოდ 752 მუშაობდა გასაყიდად, 576 დაქირავებული მუშა იყო და 2 618 კაცი მეპატრონეებისათვის მუშაობდა უმეტეს ნაწილად მათი მასალით. 189 კომლი სამუშაოს არიგებდა 1 805 კომლში. მსხვილ მეპატრონეებს აქვთ სახელოსნოები, სადაც მუშაობენ დაქირავებული მუშები, რომელთა რიცხვი 25-დე აღწევს; ეს მეპატრონენი ყიდულობენ წლიურად 10 ათასი მანეთის მატყლს**. მსხვილ მეპატრონეებს ა თ ა ს ი ა ნ ე ბ ს ეძახიან; მათი ბრუნვა 5 — 100 ათას მანეთს შეადგენს; მათ აქვთ მატყლის საკუთარი საწყობები, თავისი დუქნები ნაწარმის გასაყიდად***. ყაზანის გუბერნიაში «სია» ითვლის 5 სამთელაო «ფაბრიკას» 122 მუშით, 48 ათასი მან. წარმოების თანხით და კიდევ გარეთ მომუშავე 60 მუშით. ცხადია, ეს უკანასკნელნი «შინამრეწველებშიაც» არიან მოქცეულნი, რომელთა შესახებ ჩვენ ვკითხულობთ, რომ ისინი ხშირად «შემყიდველებისათვის» მუშაო-

---

* საინტერესოა აქ აღინიშნოს კრასნოელების განსაკუთრებული ჟარგონი; ეს არის დამახასიათებელი თვისება ტერიტორიული კარჩაკეტილობისა, რომელიც მანუფაქტურას მოსდგამს. «სოფ. კრასნოეში ფაბრიკები მ ა ტ რ ო ი ს უ ლ ა დ პ ო ვ ა რ ნ ი ა ე ბ ა დ ი წ ო დ ე ბ ა... მ ა ტ რ ო ი ს უ ლ ი ენა ეკუთვნის ოფენური ენის მრავალრიცხოვანი შტოების რიცხვს, რომელთაგან მთავარია სამი: ო ფ ე ნ უ რ ი, რომელიც იხმარება უმთავრესად ვლადიმირის გუბერნიაში, გ ა ლ ი ვ ო ნ უ რ ი — კოსტრომის გუბერნიაში და მ ა ტ რ ო ი ს უ ლ ი — ნიჟნი-ნოვგოროდისა და ვლადიმირის გუბერნიებში» («შინამრეწველობის კომისიის შრომები», V, გვ. 465). მხოლოდ მსხვილი მანქანური ინდუსტრია არღვევს სავსებით საზოგადოებრივი კავშირურთიერთობის სათვისტომო ხასიათს და მის ადგილას აყენებს ნაციონალურ (და ინტერნაციონალურ) კავშირურთიერთობას.

** «ნიჟნი-ნოვგოროდის გუბ. მიწების შეფასების მასალები», ტ. XI, ნ.-ნ. 1893. გვ. 211 — 214.

*** «შინამრეწველობის კომისიის შრომები», VI.

ბენ და რომ არიან საწარმონი, რომელთაც 60-დე მუშა ჰყავთო*. კოსტრომის გუბერნიის ქეჩის 29 «ფაბრიკიდან» 28 კინეშმის მაზრაშია თავმოყრილი, ამათ ჰყავთ 593 მუშა თვით დაწესებულებაში და 458 — გარეთ («სია», გვ. 68 — 70; ორ საწარმოს მუშები მხოლოდ გარეთ ჰყავთ. ჩნდება უკვე ორთქლის ძრავებიც). «კომისიის შრომებიდან» (XV) ვიცით, რომ ამ გუბერნიის 3 908 მპენტავიდან და მთელავიდან 2 008 სწორედ კინეშმის მაზრაშია თავმოყრილი. კოსტრომელი მთელავნი უმეტეს ნაწილად დამოკიდებულნი ან დაქირავებული მუშები არიან და მეტად ანტიჰიგიენურ სახელოსნოებში მუშაობენ**. ტვერის გუბერნიის კალიაზინის მაზრაში, ერთი მხრით, ვხედავთ შინმუშაობას «მეფაბრიკეებისათვის» («სია», 113), მეორე მხრით, სწორედ ეს მაზრაა «შინამრეწველ»-მთელავთა ბუდე; ამ მაზრიდან გამოდის 3 000-მდე მთელავი, რომელნიც გაივლიან ვერან ადგილს «ზიმნიაკს» (60-იან წლებში აქ იყო ალექსეევის მაუდის ფაბრიკა) და ჰქმნიან «მპენტავთა და მთელავთა უდიდეს მუშათა ბაზარს» ***. იაროსლავლის გუბერნიაშიც განზე მუშაობენ «მეფაბრიკეებისათვის» («სია», 115) და აგრეთვე არიან «შინამრეწველნი», რომელნიც მეპატრონე-ვაჭრებისათვის მუშაობენ მათივე მატყლით, და სხვ.

3) ქუდის, ქერელის და თოკის წარმოება

სტატისტიკური მონაცემები მოსკოვის გუბერნიის ქუდის საარეწის შესახებ ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ზემოთ ****. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მთელი წარმოების და მუშების მთელი რიცხვის $^2/_3$ თავმოყრილია 18 დაწესებულებაში, რომელთაგან თვითეულს საშუალოდ 15,6 დაქირავებული მუშა ჰყავს *****. მექუდე-«შინამრეწველნი» ქუდის წარმოების ოპერაციების მხო-

* «ანგარიშები და გამოკვლევები», III.

** «ანგარიშები და გამოკვლევები, ტ. III.

*** «ვლადიმირის გუბერნიის მრეწველობა», II.

**** იხ. V თავის I დანართი, სარეწ. № 27.

***** ზოგიერთი ეს დაწესებულება ზოგჯერ «ფაბრიკა-ქარხნების» რიცხვში ხვდებოდა. იხ., მაგალ., 1879 წლის «საძიებელი», გვ. 126.

ლოდ ერთ ნაწილს ასრულებენ: ისინი ამზადებენ თ ა ლ ფ ა-კ ე ბ ს და ყიდიან მათ მოსკოველ ვაჭრებზე, რომლებსაც საკუთარი «გასაწყობი დაწესებულებები» აქვთ; თავისი მხრით, მექუდე-«შინამრეწველთათვის» შინ მუშაობენ «მკრეჭავი» ქალები (რომელნიც ღინღლს პარსავენ). ამრიგად, ჩვენ აქ საერთოდ და მთლიანად ვხედავთ შრომის დანაწილებაზე დამყარებულ და ეკონომიური დამოკიდებულობის სხვადასხვა ფორმების ქსელში გახვეულ კაპიტალისტურ კოოპერაციას. სარეწის ცენტრს (პოდოლის მაზრა, სოფ. კლენოვო) აშკარად დასტყობია მრეწველთა (უმთავრესად დაქირავებული მუშების) გამოყოფა მიწათმოქმედებიდან * და მოსახლეობის მოთხოვნილების დონის ამაღლება: ცხოვრობენ «ბევრად უფრო სუფთად», იცვამენ ჩითს, მაუდსაც კი, იძენენ სამოვარს, ივიწყებენ ძველებურ ჩვეულებებს და სხვ., რასაც მწარედ უჩივიან ძველი წესების ადგილობრივი თაყვანისმცემლები **. ახალმა ეპოქამ გამსვლელი მექუდეებიც კი წარმოშვა.

ტიპიური კაპიტალისტური მანუფაქტურაა ქუდის სარეწი კოსტრომის გუბერნიის ბუისკის მაზრის სოფ. მოლვიტინში ***. «სოფ. მოლვიტინში და... 36 სოფელში მთავარი... მოსაქმეობა ქუდის სარეწია». მიწათმოქმედებაზე ხელს იღებენ. 1861 წლის შემდეგ სარეწი ძალიან განვითარდა; საკერავი მანქანები ფართო ხმარებაში შემოვიდა. მოლვიტინში 10 სახელოსნო მთელი წლის განმავლობაში მუშაობს, თვითეული მათგანი 5 — 25 ოსტატ-კაცს და 1 — 5 ოსტატ-ქალს ამუშავებს. «საუკეთესო სახელოსნო... ასი ათას მანეთს აბრუნებს წელიწადში». **** ხდება სამუშაოს შინ დარიგებაც (მაგ., შინ ამზადებენ მასალას ქალები ქუდის ცისათ-

* იხ. ზემოთ, თავი V, § VII.

** «მოსკოვის გუბ. სტატისტიკური ცნობების კრებული», IV, ნაკვ. I, გვ. 282—287.

*** იხ. «შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX და «ანგარიშები და გამოკვლევები», III.

**** მიუხედავად ამისა, რაღაც შემთხვევის გამო ამგვარი სახელოსნოები აქამდე არ მოხვედრილან «ფაბრიკა-ქარხნების» რიცხვში.

ვის). შრომის დანაწილება ასახიჩრებს მუშებს, რომლებიც მეტისმეტად არახელსაყრელ ჰიგიენურ პირობებში მუშაობენ და ჩვეულებრივ ჭლექდებიან. სარეწის დიდი ხნით არსებობამ (200 წელზე მეტი) წარმოშვა ძალიან დახელოვნებული ოსტატები: მოლვიტინელი ოსტატები ცნობილი არიან როგორც სატახტო ქალაქებში, ისე შორეულ რაიონებში.

კალუგის გუბერნიის მედინის მაზრაში ქერელის სარეწის ცენტრია სოფ. პოლოტნიანი ზავოდი. ეს დიდი სოფელია (1897 წლის აღწერით — 3 685 მცხოვრები), სადაც არის უმიწაწყლო და ძალიან მრეწველი მოსახლეობა (1 000-ზე მეტი «შინამრეწველია»); ეს არის მედინის მაზრის ქერელის «შინამრეწველობის» სარეწთა ცენტრი *. ქერელის სარეწი ასეა მოწყობილი: მსხვილ მეპატრონეთ (სამნი არიან; ყველაზე მსხვილი მეპატრონეა ეროხინი) აქვთ სახელოსნოები, სადაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, და მეტად თუ ნაკლებად დიდი საბრუნავი კაპიტალი ნედლეულის შესაძენად. ქერელს «ფაბრიკაში» ჩეჩავენ, — შინ რთავენ მრთველი ქალები, — გრეხენ ფაბრიკაშიც და შინაც. ქსელავენ ფაბრიკაში, — ქსოვენ ფაბრიკაშიც და შინაც. 1878 წ. ქერელის სარეწში 841 «შინამრეწველი» ითვლებოდა; ეროხინს «შინამრეწველადაც» სთვლიან და «მეფაბრიკედაც», რომელიც 1890 და 1894 — 1895 წლებში 94 — 64 მუშას უჩვენებდა თავის სარეწში; «ანგარიშებისა და გამოკვლევების» მიხედვით (ტ. II, გვ. 187) მისთვის მუშაობს «ასობით გლეხი».

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში თოკის სარეწის ცენტრია აგრეთვე არამიწათმოქმედი სამრეწველო სოფლები — გორბატოვის მაზრის ნიჟნი და ვერხნი იზბილეცი **. ბ-ნ კარპოვის ცნობების მიხედვით («კომისიის შრომები», ნაკვ. VIII), ეს არის გორბატოვ-იზბილეცის თოკისა და ბაგირის ერთი რაი-

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», II.

** საერობო სტატისტიკით («მასალები», ნაკვ. VII. ნ.-ნ. 1892) ამ სოფლებში 1889 წ. ითვლებოდა 341 და 119 კომლი, 1 277 და 540 სული ორივე სქესისა. ნადელიანი კომლი იყო 253 და 103, სარეწის მქონე კომლი— 284 და 91, ამათგან არამიწათმოქმედი — 257 და 32. უცხენო — 218 და 51. ნადელებს იჯარით სცემს 237 და 53.

ონი; ქალ. გორბატოვის მეშჩანების ნაწილიც სარეწს მისდევს, და თვით სოფლები ნიჟნი და ვერხნი იზბილეცი — «თითქმის ქალ. გორბატოვის ნაწილია», მცხოვრებნი მეშჩანურად ცხოვრობენ, ყოველდღე სვამენ ჩაის, იცვამენ ნაყიდ ტანისამოსს, სჭამენ თეთრ პურს. სულ სარეწს მისდევს 32 სოფლის მოსახლეობის $^2/_3$, სახელდობრ 4 701 მომუშავე (2 096 მამაკაცი და 2 605 ქალი); მათ დაახლოებით $1^1/_2$ მილიონი შანეთის წარმოება აქვთ. სარეწი დაახლოებით 200 წელიწადია არსებობს და ახლა ეცემა. ორგანიზაცია ასეთია: ყველანი 29 მეპატრონისათვის მუშაობენ მეპატრონეების მასალით, იღებენ ნაღდ საზღაურს, «სავსებით დამოკიდებულნი არიან მეპატრონეთაგან» და დღე-ღამეში 14 — 15 საათს მუშაობენ. საერობო სტატისტიკის მონაცემებით (1889 წ.) სარეწს მისდევს 1 699 მუშა-მამაკაცი (ამათ ემატება 558 ქალი და არაშრომითი ასაკის მამაკაცი). 1 648 მომუშავიდან მხოლოდ 197 მუშაობს ბაზრისათვის, 1 340 მუშაობს მეპატრონისათვის * და 111 კაცი დაქირავებით მუშაობს 58 მეპატრონის სახელოსნოებში. 1 288 ნადელიანი კომლიდან თვითონ ამუშავებს მთელ სახნავს მხოლოდ 727 კომლი, ე. ი. $^1/_2$-ზე ცოტა მეტი. 1 573 ნადელიანი მომუშავიდან მიწათმოქმედებას სრულიად არ მისდევს 306, ე. ი. 23,2 %. თუ ვიკითხავთ, ვინ არიან ეს «მეპატრონეები», — ჩვენ «შინამრეწველობის» დარგიდან უნდა გადავიდეთ უკვე «საფაბრიკო-საქარხნო» მრეწველობაზე. 1894/95 წ. «სიის» მიხედვით აქ იყო თოკის ორი ფაბრიკა, რომელთაც 231 მუშა თვით დაწესებულებაში ჰყავდათ და 1 155 — განზე; მათი წარმოების თანხა 423 ათას მან. უდრიდა. ორივე დაწესებულებას უკვე შეუძენია მექანიკური ძრავები (რაც არ იყო არც 1879 და არც 1890 წელს), — მაშასადამე, ჩვენ აქ თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ ხდება კაპიტალისტური მანუფაქტურა კაპიტალისტურ მანქანურ ინდუსტრიად, როგორ იქცევიან «შინამრეწველი» დამრიგებელნი და შემყიდველნი ნამდვილ მეფაბრიკეებად.

* შეად. «ნიჟნი-ნოვგოროდის კრებული», ტ. IV, მღვდ. როსლავლევის სტატია.

1894/95 წლის შინამრეწველობის აღწერით პერმის გუბერნიაში აღნიშნულია 68 ბაგირ-თოკის გლეხური საწარმო 343 მუშით (ამათში 143 დაქირავებული) და 115 ათასი მან. წარმოებით *. ამ წვრილ საწარმოებს სათავეში უდგანან ერთად აღრიცხული მსხვილი მანუფაქტურები: 6 მეპატრონეს 101 მუშა ჰყავს (91 დაქირავებული), მათი წარმოების თანხა უდრის 81 ათას მან. ** ამ მსხვილ დაწესებულებათა წარმოების წყობა ყველაზე რელიეფური ნიმუშია «ორგანული მანუფაქტურისა» (მარქსის მიხედვით, [113], ე. ი. ისეთი მანუფაქტურისა, სადაც სხვადასხვა მუშები ასრულებენ ნედლეულის თანამიმდევრობითი გადამუშავების სხვადასხვა ოპერაციებს, როგორიცაა: 1) ქერელის ძენძვა; 2) ჩეჩვა; 3) რთვა; 4) დახვევა; 5) გაფისვა; 6) დოლაბზე შემოხვევა; 7) ძაფის გაყრა დაზგიდან გახვრეტილ ფიცარში; 8) ძაფის გაყრა თუჯის მორგვში; 9) ჩალიჩის დაგრაგვნა, ბაგირის დაგრეხა და მისი შეკვრა ***.

როგორც ჩანს, ამგვარივე ორგანიზაცია აქვს ქერელის დამმუშავებელ მრეწველობას ორიოლის გუბერნიაშიც: წვრილ გლეხურ საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობიდან გამოიყოფიან მსხვილი მანუფაქტურები, უმეტესად ქალაქებში, და ხვდებიან «ფაბრიკა-ქარხნების» რიცხვში (1890 წლის «საძიებლით» ორიოლის გუბერნიაში ითვლება ქერელის საძენძი 100 ფაბრიკა 1 671 მუშით და 795 ათასი მან. წარმოების თანხით). ქერელის სარეწში გლეხები მუშაობენ «ვაჭრებისათვის» (ალბათ იმავე მანუფაქტურისტებისათვის) მათივე მასალით, ნარდად, ამასთან მუშაობა სპეციალურ ოპერაციებად იყოფა: «მჩეჩავნი» ჩეჩავენ ქერელს; «მრთველნი» რთავენ; ამძენ-

---

* «პერმის გუბერნიის შინამრეწველობის მდგომარეობის ნარკვევი», გვ. 158; ცხრილის ჯამში შეცდომაა — ნამდვილი თუ კორექტურული.

** Ibid., ცხრილის გვ. 40 და 188. ალბათ, იგივე საწარმოებია აღნიშნული «სიაშიც», გვ. 152. მსხვილ და წვრილ საწარმოთა შესადარებლად ჩვენ ცალკე გამოვყავით მიწათმოქმედნი-საქონელმწარმოებელნი, იხ. «ეტიუდები», გვ. 156. (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 499 — 502. რ ე დ.).

*** «პერმის გუბ. შინამრეწველობა ციმბირ-ურალის გამოფენაზე», ნაკვ. III, გვ. 47 და შემდეგი.

ძავები» კაჭაჭისაგან სწმენდენ; «მებორბლენი» ბორბალს ატრიალებენ. სამუშაო მეტად მძიმეა; ბევრი ჭლექით და თიაქრით სნეულდება. ისეთი მტვერია, რომ «შეუჩვევლად $^1/_4$ საათსაც ვერ გასძლებ». მუშაობენ უბრალო ფარდულებში გათენებიდან დაღამებამდე, მაისიდან დაწყებული სექტემბრამდე*.

4) ხის დამუშავების წარმოებანი

კაპიტალისტური მანუფაქტურის ყველაზე ტიპიური ნიმუში ამ დარგში არის ზანდუკის სარეწი. მაგ., პერმელ მკვლევართა ცნობებით, «მისი ორგანიზაცია ასეთია: რამდენიმე დიდი მეპატრონე, რომელთაც აქვთ სახელოსნოები დაქირავებული მუშებით, ყიდულობს მასალებს, ნაწილობრივ თვითონ ამზადებს ნაკეთობას, უმთავრესად კი მასალას ურიგებს წვრილ სადეტალო სახელოსნოებს, თავის სახელოსნოებში კი ააწყობს ზანდუკის ნაწილებს და, საბოლოოდ გამოყვანის შემდეგ, საქონელს ბაზარზე გზავნის. შრომის დანაწილება — მანუფაქტურის ეს ტიპიური პირობა და ტექნიკური საფუძველი — წარმოებაში. ფართოდ არის გამოყენებული: მთელი ზანდუკის გაკეთება იყოფა 10 — 12 ოპერაციად, რომელთაგან თვითეულს მედეტალე-შინამრეწველები ასრულებენ. სარეწის ორგანიზაცია — ეს არის მედეტალე მუშების (Theilarbeiter, როგორც მათ უწოდებენ «კაპიტალში») გაერთიანება კაპიტალის მეთაურობით»**. ეს არის სხვადასხვა შემადგენლობის მრავალგვარი მანუფაქტურა (მარქსის თქმით[114], heterogene Manufaktur), რომელშიც სხვადასხვა მუშები ასრულებენ ნედლეულის პროდუქტად გადამუშავების თანამიმდევრობითს ოპერაციებს კი არა, არამედ ამზადებენ პროდუქტის ცალკე ნაწილებს, რომელთაც შემდეგ

* იხ. საერობო-სტატისტიკური კრებულები ორიოლის გუბერნიის ტრუბჩევის, კარაჩევის, ორიოლის მაზრების შესახებ. მსხვილი მანუფაქტურების კავშირი წვრილ გლეხურ საწარმოებთან აგრეთვე იქიდან ჩანს, რომ ამ საწარმოებშიც ვითარდება დაქირავებული შრომის გამოყენება: მაგ., ორიოლის მაზრაში 16 გლეხს — სართველების მეპატრონეს — 77 მუშა ჰყავს.

** ვ. ილინი, «ეტიუდები», გვ. 176 (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 530. რედ.).

აწყობენ. კაპიტალისტები უპირატესობას «შინამრეწველთა» შინმუშაობას რომ აძლევენ, ეს ნაწილობრივ აიხსნება ამ მანუფაქტურის ზემოაღნიშნული ხასიათით, ნაწილობრივ (და უმთავრესად) კი შინ მომუშავეთა შრომის სიიაფით*. აღსანიშნავია, რომ ამ სარეწის შედარებით დიდი სახელოსნოები ხანდახან «ფაბრიკა-ქარხნების» რიცხვშიც ხვდებიან ხოლმე **.

ალბათ, ამგვარადვეა მოწყობილი ზანდუკის სარეწი ვლადიმირის გუბერნიის მურომის მაზრაში, სადაც «სია» აღნიშნავს 9 «ფაბრიკას» (ყველა ხელით მომუშავეა), რომლებსაც ჰყავთ 89 მუშა თვით დაწესებულებაში და 114 გარეთ; წარმოების თანხა 69 810 მან. უდრის.

ანალოგიურია ეტლის სარეწის ორგანიზაცია, მაგ., პერმის გუბერნიაში: მრავალი წვრილი საწარმოდან გამოიყოფიან მთავარი ამწყობი სახელოსნოები, რომლებსაც ჰყავთ დაქირავებული მუშები; წვრილი შინამრეწველნი წარმოადგენენ მედეტალე მუშებს, რომლებიც ეტლების ნაწილებს ამზადებენ როგორც თავისი საკუთარი, ისე თვით «შემყიდველების» (ე. ი. ამწყობ სახელოსნოთა პატრონების) მასალით***. პოლტაველ მეეტლე-«შინამრეწველებზე» ჩვენ ვკითხულობთ, რომ დაბა არდონში არის სახელოსნოები, რომელთაც ჰყავთ დაქირავებული მუშები და რომელნიც სამუშაოს ოჯახებშიც არიგებენ (უფრო მსხვილ მეპატრონეთ 20-მდე გარეშე მუშა ჰყავთ)****. ყაზანის გუბერნიაში საქალაქო ეტლების წარმოებაში შემჩნეულია შრომის დანაწილება საქონლის მიხედვით: ზოგი სოფელი აწარმოებს მხოლოდ მარხილებს, ზოგი მხოლოდ ოთხთვალას და სხვ. «სოფლად სავსებით აწყობილ საქალაქო ეტლებს (ოლონდ

* იხ. პერმის შინამრეწველობის აღწერის ზუსტი ცნობები ამის შესახებ, იქვე, გვ. 177 (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 400. რ ე დ.).

** იხ. «საძიებელი» და «სია» იმავე პერმის გუბერნიის შესახებ, იმავე (არამიწათმოქმედ) სოფელ ნევიანსკი ზავოდის შესახებ, რომელიც «შინამრეწველური სარეწის» ცენტრია.

*** შეად. ჩვენი «ეტიუდები», გვ. 177 — 178 (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 530. რ ე დ.).

**** «ანგარიშები და გამოკვლევები», I.

მოუჭედლად, უბორბლებოდ და უხელნოდ) ღებულობენ ყაზანელი შემკვეთი ვაჭრები, რომლებიც შემდეგ მათ შინამრეწველ-მჭედლებს აძლევენ მოსაჭედად. ამის შემდეგ ეს ნაწარმი ისევ ქალაქის დუქნებსა და სახელოსნოებში ბრუნდება, სადაც საბოლოოდ დაამუშავებენ, ე. ი. მორთავენ და შელებვენ... ყაზანმა, სადაც წინათ მოჭედავდნენ ხოლმე საქალაქო ეტლებს, ეს სამუშაო თანდათან შინამრეწველებს გადასცა, რომელნიც გაცილებით უფრო იაფად მუშაობენ, ვიდრე ქალაქელი ხელოსნები...»*. მაშასადამე, კაპიტალი ამჯობინებს სამუშაო ოჯახებში დაარიგოს, რადგანაც ამით მუშა-ძალა იაფდება. როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ეტლის სარეწის ორგანიზაცია უმეტეს შემთხვევაში კაპიტალისადმი დამორჩილებულ მედეტალე შინამრეწველთა სისტემას წარმოადგენს.

ვორონეჟის გუბერნიის პავლოვის მაზრის ვეებერთელა სამრეწველო სოფელი ვორონცოვკა (1897 წ. — 9 541 მცხოვრები) თითქო ხის ნაწარმთა ერთ მანუფაქტურას წარმოადგენს («შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. IX, მღვდ. მიტრ. პოპოვის სტატია). სარეწს 800-ზე მეტი ოჯახი მისდევს (აგრეთვე ზოგიერთი კომლი სოფ. ალექსანდროვკისა, სადაც 5 000-ზე მეტი მცხოვრებია). ამზადებენ ფორნებს, ტარანტასებს, ბორბლებს, ზანდუკებს და სხვა, სულ 267 ათასი მანეთისას. დამოუკიდებელი მეპატრონე მესამედზე ნაკლებია; მეპატრონეთა სახელოსნოებში დაქირავებული მუშა იშვიათია**. უმრავლესობა ნარდად მუშაობს ადგილობრივი გლეხ-ვაჭრების შეკვეთით. მუშები მეპატრონეების ვალში არიან ჩაფლულნი და საშინლად იქანცებიან მძიმე მუშაობით: ხალხი უფრო და უფრო სუსტდება. დაბის მოსახლეობა სამრეწველოა, სოფლური ტიპისა არ არის, მიწათმოქმედებას თით-

* Ibid., III.

** ხე-ტყის მსხვილი მოვაჭრე 14 კაცია. მათ აქვთ ო რ თ ქ ლ ი თ მ ო მ უ შ ა ვ ე მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი (დაახლ. 300 მან. ღირებული); ასეთი მანქანა მთელ სოფელში სულ არის 24, თვითეულზე მუშაობს ექვს-ექვსი მუშა. ეს ვაჭრები მასალასაც ურიგებენ მუშებს და იმონებენ კიდეც ფულის წინდაწინ მიცემით.

ქმის არ მისდევს (გარდა მებოსტნეობისა), რადგან მეტად მცირე ნადელები აქვს. სარეწი დიდი ხანია არსებობს, იგი მოსახლეობას სწყვეტს მიწათმოქმედებისაგან და თანდათან აძლიერებს მდიდართა და ღარიბთა განხეთქილებას. მოსახლეობა ცუდად იკვებება, იცვამს «წინანდელზე უფრო მოხდენილად», «მაგრამ არა შეძლების მიხედვით», — იცვამს ყველაფერს ნაყიდს. «მოსახლეობა მრეწველობისა და ვაჭრობის სულისკვეთებით გამსჭვალულა». «ვინც ხელოსნობა არ იცის, თითქმის ყველა რასმე ვაჭრობს... მრეწველობისა და ვაჭრობის ზეგავლენით გლეხი საზოგადოდ უფრო გათამამდა, რამაც იგი უფრო განვითარებული და მოხერხებული გახადა» *.

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბ. სემიონოვის მაზრის სახელგანთქმული კოვზის სარეწი თავისი ორგანიზაციით კაპიტალისტურ მანუფაქტურას უახლოვდება; მართალია, აქ არაა მსხვილი სახელოსნოები, რომლებიც წვრილ სახელოსნოთა მასისაგან განირჩეოდნენ და მათზე ბატონობდნენ, მაგრამ სამაგიეროდ აქ ვხედავთ ღრმად დამკვიდრებულს შრომის დანაწილებას და მედეტალე მუშათა მასის სრულ დამორჩილებას კაპიტალისადმი. სანამ საბოლოოდ გაკეთდებოდეს, კოვზმა 10 ხელში მაინც უნდა გაიაროს, ამასთან შემყიდველები ზოგიერთ ოპერაციას ასრულებენ განსაკუთრებული დაქირავებული მუშების საშუალებით, ან ურიგებენ სპეციალისტ მუშებს (მაგ., შეღებვა); ზოგიერთი სოფელი სპეციალდება ცალკეულ სადეტალო ოპერაციებზე (მაგ., სოფ. დიაკოვო კოვზის შემოთლაში, რაც შემყიდველის დავალებით სრულდება ნარდ საზღაურად, სოფლები ხვოსტიკოვა, დიანოვა, ჟუჟელკი — კოვზის შეღებვაში და სხვ.). შემყიდველები ბითუმად ყიდუ-

---

* აქ უნდა აღინიშნოს საზოგადოდ ის პროცესი, რომლითაც ვითარდება კაპიტალიზმი ხე-ტყის საქმეში. ხე-ტყის მრეწველნი ხე-ტყეს ყიდიან არა ნედლეულის სახით, არამედ ქირაობენ მუშებს, ამუშავებინებენ მათ მასალას, აკეთებინებენ სხვადასხვა ხის საგნებს და შემდეგ ჰყიდიან ამ ნაწარმს. იხ. «შინამრეწველობის კომისიის შრომები», VIII, გვ. 1268, 1314. აგრეთვე «ორიოლის გუბ. სტატ. ცნობების კრებული. ტრუბჩევის მაზრა».

ლობენ ხე-ტყეს სამარის და სხვა გუბერნიებში, რისთვისაც იქ გზავნიან დაქირავებულ მუშათა არტელებს, ხსნიან ნედლი მასალისა და ნაწარმის საწყობებს, შინამრეწველებს აძლევენ დასამუშავებლად მასალის ყველაზე ძვირფას სახეებს და სხვ. მედეტალე მუშათა მასა წარმოადგენს ერთ რთულ საწარმოო მექანიზმს, რომელიც სავსებით დამორჩილებულია კაპიტალისადმი. «მეკოვზეთათვის სულერთია, დაქირავებით მუშაობენ ისინი მეპატრონის კმაყოფაზე და მის შენობაში, თუ თავის ქოხმახებში ცოდვილობენ, — იმიტომ რომ ამ სარეწში, ისე როგორც სხვა სარეწებში, ყოველივე უკვე აწონილ-დაწონილი, გაზომილი და დათვლილია. მეკოვზე იმაზე მეტს ვერ გამოიმუშავებს, რაც უკიდურესად აუცილებელია და ურომლისოდაც ცხოვრება შეუძლებელია» *. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში კაპიტალისტები, რომლებიც მთელ წარმოებას მეთაურობენ, არ იჩქარიან სახელოსნოების დაარსებას, და ხელით მუშაობის ხელოვნებაზე და შრომის ტრადიციულ დანაწილებაზე დამყარებული სარეწი სულს ღაფავს, მიგდებულია და არ ვითარდება. მიწაზე მიჯაჭვული «შინამრეწველნი», რუტინით შებოჭილნი, თითქოს გაქვავებულან: როგორც 1879 წელს, ისე 1889 წელს ისინი ფულს ისევ ძველებურად ასიგნაციებით ითვლიან და არა ვერცხლით.

მოსკოვის გუბერნიის სათამაშოთა სარეწის სათავეში სწორედ ასეთივე კაპიტალისტური მანუფაქტურის ტიპის დაწესებულებანი დგანან **. 481 სახელოსნოდან 20 ჰყავს ათ-ათ მუშაზე მეტი. წარმოებაში ძალიან ფართოდაა გავრცელებული შრომის როგორც საქონლობრივი, ისე დეტალობრივი დანაწილება, რაც უაღრესად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. II, 1879 წ. — იხ. აგრეთვე საერობო-სტატისტიკური «მასალები» სემიონოვის მაზრის შესახებ, ნაკვ. XI. 1893.

** ჩვენ მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები (V თავის I დანართი, სარეწ. № 2, 7, 26) მოიცავენ სათამაშოთა ყველა მკეთებლის მხოლოდ მცირე ნაწილს: მაგრამ ეს მონაცემებიგვიჩვენებენ 11 — 18 მუშის მყოლ სახელოსნოთა გაჩენას.

(მუშის გახეიბრების ფასად). მაგ., ერთი პატარა წვრილი სახელოსნოს შემოსავლიანობა განსაზღვრულია გასაყიდი ფასის 26%-ით, ხოლო მსხვილისა — 58%-ით *. ცხადია, მსხვილ მეპატრონეებს ძირითადი კაპიტალიც გაცილებით უფრო დიდი აქვთ; შეხვდებით ტექნიკურ მოწყობილობასაც (მაგ., სახმობს). სარეწის ცენტრია არამიწათმოქმედი დაბა — სერგიევის გარეუბანი (1 398 მცხოვრებიდან იქ 1 055 მუშაა; წარმოების თანხაა 311 ათასი მან. 405 ათასი მანეთიდან; 1897 წლის აღწერით — 15 155 მცხოვრები). ამ სარეწის ნარკვევის ავტორი აღნიშნავს წვრილი სახელოსნოების ჭარბობას და სხვ., სარეწის გადაქცევას მანუფაქტურად სთვლის უფრო შესაძლებლად, ვიდრე ფაბრიკად, მაგრამ მაინც ნაკლებ დასაჯერებლად. «მომავალშიც, — ამბობს ის, — წვრილ მწარმოებლებს ყოველთვის ექნებათ საშუალება მეტნაკლები წარმატებით გაუწიონ მეტოქეობა მსხვილ წარმოებას» (l. c., გვ. 93). ავტორს ავიწყდება, რომ მანუფაქტურაში, ისევე როგორც წვრილ სარეწებში, ტექნიკურ ბაზისად ყოველთვის ხელით წარმოება რჩება; რომ შრომის დანაწილებას არასოდეს არ შეუძლია ისეთი გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვოს, რომ სრულიად გამოდევნოს წვრილი მწარმოებლები, მეტადრე, თუ უკანასკნელნი ისეთ საშუალებებს მიმართავენ, როგორიცაა სამუშაო დღის გახანგრძლივება და სხვ.; რომ მანუფაქტურა ვერასოდეს ვერ გასწვდება მთელ წარმოებას და მხოლოდ მრავალი წვრილი წარმოების ზედნაშენად დარჩება.

5) ცხოველთა პროდუქტების დამუშავების წარმოებანი. ტყავისა და ქურქჩის წარმოება

ტყავის მრეწველობის ყველაზე ფართო რაიონები წარმოადგენენ «შინამრეწველობისა» და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის სრული შეერთების განსაკუთრებით მკაფიო მაგა-

* «მოსკოვის გუბ. სტატისტიკური ცნობების კრებული», ტ. VI, ნაკვ. II, გვ. 47.

ლითებს, მეტად განვითარებული (სიღრმე-სიგანეზე) კაპიტალისტური მანუფაქტურის მაგალითებს. დამახასიათებელია უკვე ის გარემოება, რომ იმ გუბერნიებში, რომელნიც განირჩევიან «საფაბრიკო-საქარხნო» ტყავეული მრეწველობის სიდიდით (ვიატკის, ნიჟნი-ნოვგოროდის, პერმის, ტვერის), განსაკუთრებით განვითარებულია ამ დარგის «შინამრეწველური» სარეწები.

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის გორბატოვის მაზრის სოფელ ბოგოროდსკოეში 1890 წ. «საძიებლით» იყო 58 «ფაბრიკა» 392 მუშით და 547 ათასი მან. წარმოების თანხით, ხოლო 1894/95 წ. «სიის» მიხედვით — 119 «ქარხანა» 1 499 მუშით დაწესებულებაში, 205 გარეთ მომუშავით და 934 ათასი მან. წარმოების თანხით (ეს უკანასკნელი ციფრები მოიცავენ მხოლოდ ცხოველთა პროდუქტების დამუშავებას — ადგილობრივი მრეწველობის მთავარ დარგს). მაგრამ ეს ცნობები კაპიტალისტური მანუფაქტურის მხოლოდ ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ს ასახავენ. ბ-ნი კარპოვი 1879 წ. ამ სოფელსა და მის რაიონში სთვლიდა 296 საწარმოზე მეტს, რომელთაც 5 669 მუშა ჰყავთ (ამათგან ძალიან ბევრი შინ მუშაობს კაპიტალისტებისათვის) და დაახლოებით 1 490 ათასი მან. წარმოების თანხა აქვთ *: ტყავის, ნათალისაგან ქუსლის შეწებების, კალათის წვნის (საქონლისათვის), ცხენის აკაზმულობის, ცალუღის, ხელჯაგის და ცალკე არსებულ ჭურჭლის სარეწებში. 1889 წლის საერობო აღწერა ამ რაიონში ანგარიშობდა 4 401 მრეწველს, ამასთან 1 842 მუშიდან, რომელთა შესახებ წარმოდგენილია დაწვრილებითი ცნობები, 1 119 დაქირავებულია სხვის სახელოსნოებში, ხოლო 405 კაცი სახლში მუშაობს მეპატრონეებისათვის **. «სოფ. ბოგოროდსკოე, თავისი რვაათასიანი მოსახლეობით, წარმოადგენს ტყავეულის ერთ უზარმაზარ, განუწყვეტლად მოქმედ ქარხანას» ***. უფრო სწორად, ეს არის «ორგა-

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX.

** გორბატოვის მაზრის «მიწების შეფასების მასალები».

*** «შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX.

(მუშის გახეიბრების ფასად). მაგ., ერთი პატარა წვრილი სახელოსნოს შემოსავლიანობა განსაზღვრულია გასაყიდი ფასის 26%-ით, ხოლო მსხვილისა — 58%-ით *. ცხადია, მსხვილ მეპატრონეებს ძირითადი კაპიტალიც გაცილებით უფრო დიდი აქვთ; შეხვდებით ტექნიკურ მოწყობილობასაც (მაგ., სახმობს). სარეწის ცენტრია არამიწათმოქმედი დაბა — სერგიევის გარეუბანი (1 398 მცხოვრებიდან იქ 1 055 მუშაა; წარმოების თანხაა 311 ათასი მან. 405 ათასი მანეთიდან; 1897 წლის აღწერით — 15 155 მცხოვრები). ამ სარეწის ნარკვევის ავტორი აღნიშნავს წვრილი სახელოსნოების ჭარბობას და სხვ., სარეწის გადაქცევას მანუფაქტურად სთვლის უფრო შესაძლებლად, ვიდრე ფაბრიკად, მაგრამ მაინც ნაკლებ დასაჯერებლად. «მომავალშიც, — ამბობს ის, — წვრილ მწარმოებლებს ყოველთვის ექნებათ საშუალება მეტნაკლები წარმატებით გაუწიონ მეტოქეობა მსხვილ წარმოებას» (l. c., გვ. 93). ავტორს ავიწყდება, რომ მანუფაქტურაში, ისევე როგორც წვრილ სარეწებში, ტექნიკურ ბაზისად ყოველთვის ხელით წარმოება რჩება; რომ შრომის დანაწილებას არასოდეს არ შეუძლია ისეთი გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვოს, რომ სრულიად გამოდევნოს წვრილი მწარმოებლები, მეტადრე, თუ უკანასკნელნი ისეთ საშუალებებს მიმართავენ, როგორიცაა სამუშაო დღის გახანგრძლივება და სხვ.; რომ მანუფაქტურა ვერასოდეს ვერ გასწვდება მთელ წარმოებას და მხოლოდ მრავალი წვრილი წარმოების ზედნაშენად დარჩება.

5) ცხოველთა პროდუქტების დამუშავების წარმოებანი. ტყავისა და ქურქჩის წარმოება

ტყავის მრეწველობის ყველაზე ფართო რაიონები წარმოადგენენ «შინამრეწველობისა» და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის სრული შეერთების განსაკუთრებით მკაფიო მაგა-

---

* «მოსკოვის გუბ. სტატისტიკური ცნობების კრებული», ტ. VI, ნაკვ. II, გვ. 47.

ლითებს, მეტად განვითარებული (სიღრმე-სიგანეზე) კაპიტალისტური მანუფაქტურის მაგალითებს. დამახასიათებელია უკვე ის გარემოება, რომ იმ გუბერნიებში, რომელნიც განირჩევიან «საფაბრიკო-საქარხნო» ტყავეული მრეწველობის სიდიდით (ვიატკის, ნიჟნი-ნოვგოროდის, პერმის, ტვერის), განსაკუთრებით განვითარებულია ამ დარგის «შინამრეწველური» სარეწები.

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის გორბატოვის მაზრის სოფელ ბოგოროდსკოეში 1890 წ. «საძიებლით» იყო 58 «ფაბრიკა» 392 მუშით და 547 ათასი მან. წარმოების თანხით, ხოლო 1894/95 წ. «სიის» მიხედვით — 119 «ქარხანა» 1 499 მუშით დაწესებულებაში, 205 გარეთ მომუშავით და 934 ათასი მან. წარმოების თანხით (ეს უკანასკნელი ციფრები მოიცავენ მხოლოდ ცხოველთა პროდუქტების დამუშავებას — ადგილობრივი მრეწველობის მთავარ დარგს). მაგრამ ეს ცნობები კაპიტალისტური მანუფაქტურის მხოლოდ ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ს ასახავენ. ბ-ნი კარპოვი 1879 წ. ამ სოფელსა და მის რაიონში სთვლიდა 296 საწარმოზე მეტს, რომელთაც 5 669 მუშა ჰყავთ (ამათგან ძალიან ბევრი შინ მუშაობს კაპიტალისტებისათვის) და დაახლოებით 1 490 ათასი მან. წარმოების თანხა აქვთ*: ტყავის, ნათალისაგან ქუსლის შეწებების, კალათის წვნის (საქონლისათვის), ცხენის აკაზმულობის, ცალუღის, ხელჯაგის და ცალკე არსებულ ჭურჭლის სარეწებში. 1889 წლის საერობო აღწერა ამ რაიონში ანგარიშობდა 4 401 მრეწველს, ამასთან 1 842 მუშიდან, რომელთა შესახებ წარმოდგენილია დაწვრილებითი ცნობები, 1 119 დაქირავებულია სხვის სახელოსნოებში, ხოლო 405 კაცი სახლში მუშაობს მეპატრონეებისათვის**. «სოფ. ბოგოროდსკოე, თავისი რვაათასიანი მოსახლეობით, წარმოადგენს ტყავეულის ერთ უზარმაზარ, განუწყვეტლად მოქმედ ქარხანას»***. უფრო სწორად, ეს არის «ორგა-

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX.

** გორბატოვის მაზრის «მიწების შეფასების მასალები».

*** «შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX.

ნული» მანუფაქტურა, რომელიც ემორჩილება მსხვილ კაპიტალისტთა მცირე ჯგუფს; უკანასკნელნი იძენენ ნედლეულს, აკეთებენ ტყავს, ამზადებენ მისგან სხვადასხვა ნაწარმს, წარმოებისათვის ქირაობენ რამდენიმე ათას სავსებით ღარიბ მუშას და ბატონობენ წვრილ საწარმოებზე*. ეს სარეწი ძალიან დიდი ხანია არსებობს, სახელდობრ XVII საუკუნიდან; სარეწის ისტორიაში განსაკუთრებით მოსახსენებელი არიან მემამულე შერემეტევები (მე-19 საუკუნის დასაწყისი), რომელთაც საგრძნობლად შეუწყეს ხელი სარეწის განვითარებას და რომელნიც, სხვათა შორის, იცავდნენ აქ დიდი ხნიდან წარმოშობილ პროლეტარიატს ადგილობრივი მდიდრებისაგან. 1861 წლის შემდეგ სარეწი ძალიან განვითარდა, განსაკუთრებით გაიზარდა მსხვილი საწარმოები წვრილების ხარჯზე; საუკუნეობრივმა სარეწაო საქმიანობამ მოსახლეობაში გამოიმუშავა შესანიშნავი ოსტატები, რომელთაც ეს წარმოება მთელ რუსეთს მოჰფინეს. განმტკიცებულმა კაპიტალისტურმა ურთიერთობამ გამოიწვია მრეწველობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან: სოფ. ბოგოროდსკოე არათუ თვითონ თითქმის სრულებით აღარ მისდევს მიწათმოქმედებას, არამედ იგი მიწაზე ხელს აღებინებს ახლო-მახლო მდებარე სოფლების გლეხებსაც, რომელნიც გადადიან ამ «ქალაქში»**. ბ-ნი კარპოვი აღნიშნავს, რომ ამ სო-

* მაგალითად, ცალუღის სარეწის სათავეში დგას 13 მსხვილი მეპატრონე, რომელთაგან თვითეულს 10 — 30 დაქირავებული მუშა ჰყავს და რომელნიც 5 — 10 მუშას კიდევ განზე ამუშავებენ. მსხვილი მეხელჯაგენი ხელჯაგებს გამოჭრიან ხოლმე თავის სახელოსნოებში (სადაც 2 — 3 დაქირავებული მუშაა) და გარეთ ურიგებენ შესაკერავად 10 — 20 ქალს; ეს უკანასკნელნი იყოფიან მ ე თ ი თ ურ ე ე ბ ა დ და მ ე გ ვ ი რ ი ს ტ ე ე ბ ა დ; პირველნი სამუშაოს იღებენ მეპატრონეთაგან და ურიგებენ მეორეთ, რომელთაც ამასთან ექსპლოატაციას უწევენ (1879 წ. ცნობები).

** 1889 წელს 1 812 კომლიდან (9 241 მცხოვრები) 1 469 კომლს ნათესი არა ჰქონდა (1897 წ. — 12 342 მცხოვ.). სოფლები პავლოვო და ბოგოროდსკოე გორბატოვის მაზრის დანარჩენი სოფლებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მათი მცხოვრებნი იშვიათად ესახლებიან სხვაგან; პირიქით, გორბატოვის მაზრის გასული გლეხების მთელი რიცხვიდან 14,9% პავლოვოში

ფელში «მცხოვრებთ სრულიად აღარ ეტყობათ გლეხობა», «ვერასგზით ვერ წარმოიდგენთ, რომ სოფელში ხართ და არა ქალაქში». ეს სოფელი დიდად უსწრებს წინ როგორც გორბატოვს, ისე ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის ყველა დანარჩენ სამაზრო ქალაქს, გარდა არზამასისა. ეს არის «გუბერნიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და სამრეწველო ცენტრი, რომელიც მილიონობით მანეთის საქონელს აწარმოებს და ვაჭრობს». «ბოგოროდსკოეს სამრეწველო და სავაჭრო გავლენის რაიონი ძალიან ფართოა; მაგრამ უფრო მჭიდროდ ბოგოროდსკოეს მრეწველობასთან დაკავშირებულია მისი მიდამოების მრეწველობა დაახლოებით 10 — 12 ვერსის მანძილზე ირგვლივ. ეს სამრეწველო მიდამო თითქოს თვით ბოგოროდსკოეს გაგრძელებას წარმოადგენს». «ბოგოროდსკოეს მცხოვრებნი სრულიად არ გვანან ჩვეულებრივ ტეტია გლეხებს: ესენი არიან მეშჩან-ხელოსნები, საზრიანი, გამოცდილი ხალხი, რომელსაც გლეხი სძულს. ბოგოროდსკოეს მცხოვრების არსებობის ვითარება და ზნეობრივი შეხედულება სავსებით მეშჩანურია». ამას უნდა დავუმატოთ, რომ გორბატოვის მაზრის სამრეწველო სოფლები გამოირჩევიან წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობის შედარებით მაღალი პროცენტით: ასე, სოფ. პავლოვოს, ბოგოროდსკოეს და ვორსმისთვის წერა-კითხვის მცოდნე და მოსწავლე მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა შეადგენს 37,8% და 20,0%, ხოლო მაზრის დანარჩენი ნაწილისთვის — 21,5% და 4,4% (იხ. საერობო-სტატ. «მასალები»).

სავსებით ანალოგიური ურთიერთობა (მხოლოდ ნაკლები მასშტაბით) ახასიათებს ტყავის დამუშავების სარეწებს ბალახნის მაზრის სოფ. კატუნკსა და გოროდეცში, კნიაგინინის მაზრის სოფ. ბოლშოე მურაშკინოში, ვასილიევის მაზრის სოფ. იურინოში, იმავე მაზრის სოფ. ტუბანაევკაში, სპასკოეში, ვატრასსა და ლატიშიხაში. ისეთივე არამიწათმოქმედი ცენტრები, ახლო-მახლო მდებარე მიწათმოქმედი

ცხოვრობს, 4,9% — ბოგოროდსკოეში. 1858 წლიდან 1889 წლამდე მოსახლეობა მაზრაში გაზრდილა 22,1%-ით, ხოლო სოფ. ბოგოროდსკოეში — 42%-ით (იხ. საერ.-სტატისტიკური «მასალები»).

სოფლებით გარშემორტყმული, ისეთივე სხვადასხვაგვარი სარეწები და მრავალრიცხოვანი წვრილი საწარმონი (აგრეთვე შინმომუშავე მუშები), დამორჩილებულნი მსხვილ მეწარმეთადმი, რომელთა კაპიტალისტური სახელოსნოები იშვიათად ხვდება ხოლმე «ფაბრიკა-ქარხნების» რიცხვში *. არ შეეუდგებით დაწვრილებით სტატისტიკურ განხილვას, რომელიც, ზემოაღნიშნულთან შედარებით, ახალს არაფერს შეიცავს, მოვიყვანთ მხოლოდ სოფ. კატუნკის შემდეგ მეტად საინტერესო დახასიათებას **:

«ერთგვარი პატრიარქალობა, მეპატრონეებისა და მუშების ურთიერთობის უბრალოება, თუმც იგი პირველი შეხედვით არ გხვდებათ თვალში, და სამწუხაროდ, (?) წლითი-წლობით სულ უფრო და უფრო ჰქრება, — მოწმობს სარეწების შინამრეწველურ ხასიათს (?). როგორც სარეწების, ისე მოსახლეობის ფაბრიკული ხასიათი მხოლოდ უკანასკნელ ხანებში იჩენს თავს, განსაკუთრებით ქალაქის გავლენით, რომელთანაც ურთიერთობა გაადვილდა ნაოსნობის შემოღებით. ახლა სოფელი უკვე სავსებით სამრეწველო დაბად გამოიყურება: სოფლის მეურნეობის ნიშნების სრული უქონლობა, მჭიდროდ, ქალაქის მაგვარად ნაშენი სახლები, მდიდართა ქვიტკირის სრა-სასახლენი და მათ გვერდით ღარიბთა საცოდავი ქოხმახები, სოფლის შუაგულში შექუჩებული ხისა და ქვიტკირის გრძელი საქარხნო შენობები, — ყოველივე ეს მკვეთრად განასხვავებს კატუნკის მეზობელი სოფლებისაგან და ნათლად ააშკარავებს ადგილობრივი მოსახლეობის სამრეწველო ხასიათს. თვით მცხოვრებნი ხასიათის ზოგი-

---

* იხ. საერობო-სტატ. «მასალები» ხსენებული მაზრების შესახებ. — «შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX და VI. — «საძიებელი» და «სია». — «ანგარიშები და გამოკვლევები», II.

** 1889 წ. აქ იყო 380 კომლი (ნათესი არც ერთს არა ჰქონდა) 1 305 მცხოვრებით. მთელ კატუნკის თემში კომლთა 90,6% მისდევს სხვადასხვა სარეწს, მომუშავეთა 70,1% მისდევს მხოლოდ სარეწს (ე. ი. არ მისდევს მიწათმოქმედებას). წერა-კითხვის ცოდნით ეს ვოლოსტი ბევრად მაღლა დგას მაზრის საშუალო დონეზე, ამ მხრივ ის ჩამორჩება მხოლოდ ჩერნორეცკის — აგრეთვე არამიწათმოქმედ — ვოლოსტს, სადაც ძალიან განვითარებულია სანაოსნო სარეწი. სოფ. ბოლშოე მურაშკინოში 1887 წ. იყო 856 კომლი (აქედან 853 კომლს ნათესი არა ჰქონდა) ორივე სქესის 3 473 სულით. 1897 წ. აღწერით გოროდეცი — 6 330 მცხოვრები, ბ. — მურაშკინო — 5 341, იურინო — 2 189, სპასკოე — 4 494, ვატრასი — 3 012.

ერთი თვისებით აგრეთვე მოგვაგონებენ რუსეთში უკვე ჩამოყალიბებული «ფაბრიკელი» კაცის ტიპს: ოჯახური მოწყობილობის, ტანისამოსის, მიხვრა-მოხვრის ერთგვარი მოხდენილობა, მეტწილად დარდიმანდი ცხოვრება და ნაკლები ზრუნვა ხვალინდელ დღეზე, თამამი, ხანდახან გატყლარჭული სიტყვა-პასუხი, ერთგვარი ამაყობა სოფლელი გლეხის წინაშე, — ყველა ეს თვისება მათ საერთო აქვთ მთელ რუს ფაბრიკელ ხალხთან»*.

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის ქ. არზამასში «საფაბრიკო-საქარხნო» სტატისტიკის მიხედვით 1890 წ. ითვლებოდა სულ 6 ტყავის ქარხანა 64 მუშით («საძიებელი»); და ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია კაპიტალისტური მანუფაქტურისა, რომელიც მოიცავს საქურქჩო, სახარაზო და სხვ. სარეწებს. იგივე მექარხნეები მუშებს შინ ქირაობენ არზამასშიც (1878 წ. ითვლებოდა 400 კაცამდე) და ქალაქის მახლობლად მდებარე ხუთ სოფელშიც, სადაც 360 მექურქჩის სახლიდან 330 არზამასელი ვაჭრებისათვის მუშაობს მათი მასალით; ისინი დღეში მუშაობენ 14 საათს, ღებულობენ თვეში 6—9 მანეთს **; ამიტომაც ქურქჩები ფერდაკარგული, სუსტი, გადაშენების გზაზე დამდგარი ხალხია. ქალაქის მახლობლად მდებარე ვიეზდნაია სლობოდაში 600 ხარაზის სახლიდან 500 მუშაობს მეპატრონეთათვის, რომლებიც მათ გამოჭრილ წაღებს აძლევენ. ეს სარეწი ძველისძველია, დაახლოებით 200 წლისა; იგი უფრო და უფრო იზრდება და ვითარდება. მცხოვრებნი მიწათმოქმედებას თითქმის აღარ მისდევენ, მთელი მათი ცხოვრების სახე წმინდა ქალაქურია, ცხოვრობენ «მდიდრულად». იგივე ითქმის ზემოხსენებულ მექურქჩე სოფლების შესახებაც, რომელთა მცხოვრებნი «ათვალწუნებით უყურებენ მხვნელ-მთესველ გლეხს და «სოფელ-დედას» უწოდებენ მას» ***.

სავსებით ამასვე ვხედავთ ვიატკის გუბერნიაშიც. ვიატ-

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX, გვ. 2567. 1880 წლის ცნობები.

** არზამასის ფაბრიკების მუშათა მდგომარეობა უკეთესია სოფლის მუშის მდგომარეობასთან შედარებით («შინამრეწველობის კომისიის შრომები», III, გვ. 133).

*** Ibid., გვ. 76.

კისა და სლობოდის მაზრები ცენტრებია ტყავის და ქურქჩის როგორც «საფაბრიკო-საქარხნო», ისე «შინამრეწველური» წარმოებისა. ვიატკის მაზრაში ტყავის შინასამრეწველო ქარხნები თავმოყრილია ქალაქის მიდამოებში და წარმოადგენენ დიდი ქარხნების სამრეწველო საქმიანობის «დამატებას» *, — მაგ., მუშაობენ მსხვილ მექარხნეთათვის; მათთვის მუშაობენ მეტ ნაწილად აგრეთვე შინამრეწველი-სარაჯები და მეწებოენი. ქურქჩი მექარხნეები ასობით ამუშავებენ სახლში მუშებს, აკერვინებენ ცხვრის ტყავს და სხვ. ეს ერთი კაპიტალისტური მანუფაქტურაა, ცხვრის ტყავის სათრიმლავი-საქურქე, ტყავეულ-სასარაჯო და სხვ. განყოფილებებით. კიდევ უფრო მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ურთიერთობა სლობოდის მაზრაში (სარეწების ცენტრია ქალაქის მახლობლად მდებარე სოფელი დემიანკა); აქ ჩვენ ვხედავთ მსხვილ მექარხნეთა მცირერიცხოვან ჯგუფს **, რომელნიც სათავეში უდგანან მეტყავე შინამრეწველებს (870 კაცი), ხარაზებს და მეხელჯაგეებს (855 კაცი), მეტყაპუჭეებს (940 კაცი), მკერავებს (309 კაცი; კერავენ ჯუბებს კაპიტალისტების შეკვეთით). საზოგადოდ ტყავის ნაკეთობათა წარმოების ამგვარი ორგანიზაცია, როგორც ჩანს, ძალიან ფართოდაა გავრცელებული: მაგ., ვიატკის გუბერნიის ქალ. სარაპულში «სიის» მიხედვით 6 ტყავის ქარხანა ითვლება, რომელნიც ამასთან ერთად ფეხსაცმელსაც ამზადებენ; მათ, გარდა თვით დაწესებულებაში მომუშავე 214 მუშისა, კიდევ 1 080 მუშა ჰყავთ გარეთ (გვ. 495). ყველა რუს ვაჭარს და მეფაბრიკეს რომ ასევე დაწვრილებით და სწორად ეანგარიშნა მათ მიერ განზე აყვანილი მუშები, სადღა წავიდოდნენ მაშინ ჩვენი

---

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. XI, გვ. 3084. (შეად. 1890 წლის «საძიებელი»). შინამრეწველთა რიცხვში მოხვდა გლეხი-მიწათმოქმედი დოლგუშინი, რომელსაც აქვს ქარხანა, სადაც 60 მუშაა. და ასეთი შინამრეწველი რამდენიმეა.

** 1890 წ. «საძიებლის» მიხედვით, 27-დე მეპატრონე, რომელთაც 700-ზე მეტი მუშა ჰყავთ.

«შინამრეწველნი», ეს ყოველგვარი მანილოვების მიერ შელამაზებული წარმომადგენელნი «სახალხო» მრეწველობისა! *.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ტამბოვის გუბერნიისა და მაზრის სამრეწველო სოფელი რასკაზოვო (1897 წ. — 8 283 მცხოვრები) — ცენტრი როგორც «საფაბრიკო-საქარხნო» მრეწველობისა (მაუდის, საპნის, ტყავის, სპირტსახდელი ქარხნები), ისე «შინამრეწველობისა», ამასთან ეს უკანასკნელი მჭიდროდაა პირველთან დაკავშირებული; სარეწები — ტყავის, ქეჩის (70-დე მეპატრონე, არის საწარმონი, რომლებსაც ჰყავთ 20 — 30 მუშა), წებოს, წაღის, წინდის (არაა კომლი, სადაც წინდებს არ ქსოვდნენ «შემყიდველების» მიერ წონით დარიგებული მატყლისაგან) და სხვ. ამ სოფლის მახლობლად არის დაბა ბელაია პოლიანა (300 კომლი), რომელიც ასეთივე სარეწებით არის ცნობილი. მორშანის მაზრაში შინამრეწველობის სარეწების ცენტრი — სოფელი პოკროვსკოე-ვასილიევსკოე იმავე დროს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ცენტრიც არის (იხ. «საძიებელი» და «ანგარიშები და გამოკვლევები», ტ. III). კურსკის გუბერნიაში, როგორც სამრეწველო სოფლები და «შინამრეწველობის» სარეწების ცენტრები, შესანიშნავია დაბები: ველიკომიხაილოვკა (ნოვოოსკოლსკის მაზრა, 1897 წ. — 11 853 მცხოვრები), ბორისოვკა (გრაივორ. მაზრა, 18 071 მცხოვრები), ტომაროვკა (ბელგორ. მაზრა, 8 716 მცხოვრები), მიროპოლიე (სუჯანის მაზრა, 10 ათასზე მეტი მცხოვრები. იხ. «ანგარიშები და გამოკვლევები», ტ. I, 1888 — 1889 წწ.

* შეად. აგრეთვე «სია», გვ. 489, ვლადიმირის გუბ. შუის მაზრის ცნობილი «შინამრეწველური» სოფლის დუნილოვის შესახებ. 1890 წლის «საძიებელი» აქ ანგარიშობს 6 ჭურჭის ქარხანას 151 მუშით, ხოლო «შინამრეწველობის კომისიის შრომების» (ნაკვ. X) ცნობით ამ რაიონში არის 2 200-დე ჭურჭი და 2 300 მეჭურჭე; 1877 წ. იყო $5^1/_2$ ათასამდე «შინამრეწველი». ალბათ, ამგვარადვე არის მოწყობილი იმავე მაზრაში ძუის საცრის წარმოების სარეწი, რომელსაც მისდევს 40-დე სოფელი და 4 000-დე კაცი — ეგრეთწოდებული «მარდასელები» (მთელი რაიონის სახელწოდებაა). პერმის გუბერნიის ტყავის და სახარაზო სარეწის ამგვარივე ორგანიზაცია ჩვენ ავწერეთ «ეტიუდებში», გვ. 171 და შემდეგი (იხ. თხზულებანი, ტომი მე-2, გვ. 522 და შემდეგი. რ ე დ.).

ცნობები). ამავე სოფლებში თქვენ შეხვდებით აგრეთვე ტყავის «ქარხნებსაც» (იხ. 1890 წ. «საძიებელი»). მთავარი «შინასამრეწველო» სარეწია ტყავისა და სახარაზო. ის ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის 1-ლ ნახევარში წარმოიშვა და მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის უმაღლეს განვითარებას მიაღწია, «წმინდა კომერციული ხასიათის მტკიცე ორგანიზაციად» ჩამოყალიბდა. მთელ საქმეს მონოპოლიურად დაეპატრონენ მოიჯარადრენი, რომელნიც ყიდულობდნენ ტყავს და დასამუშავებლად ურიგებდნენ შინამრეწველებს. რკინიგზებმა მოსპეს კაპიტალის ეს მონოპოლიური ხასიათი, და კაპიტალისტ-მოიჯარადრეებმა თავისი კაპიტალი სხვა, უფრო მომგებიან საწარმოებში გადაიტანეს. ახლა ორგანიზაცია ასეთია: 120 კაცამდე მსხვილი მეწარმეა; მათ აქვთ სახელოსნოები, სადაც დაქირავებული მუშები ჰყავთ; ისინი აგრეთვე სახლებშიც არიგებენ სამუშაოს. წვრილი დამოუკიდებელი მეპატრონე (რომელიც მსხვილი მეპატრონისაგან ყიდულობს ტყავს) არის 3 000-მდე კაცი; შინ მომუშავე (მსხვილი მეპატრონეებისათვის) — 400 კაცი და ამდენივე დაქირავებული მუშა; არიან აგრეთვე შეგირდები. სულ ხარაზი 4 000-ზე მეტია. გარდა ამისა, აქ არიან მეჭურჭლე-შინამრეწველნი, სახატეს მკეთებელნი, ხატის მხატვარნი, სუფრის მქსოველნი და სხვ.

უაღრესად დამახასიათებელ და ტიპიურ კაპიტალისტურ მანუფაქტურას წარმოადგენს ოლონეცის გუბერნიის კარგოპოლის მაზრის სინჯაფის სარეწი, რომელიც საქმის ესოდენი ცოდნით, მესარეწე მოსახლეობის მთელი ცხოვრების ესოდენ მართალი და გულუბრყვილო გადმოცემით აქვს აღწერილი ოსტატ-მასწავლებელს «შინამრეწველობის კომისიის შრომებში» (ნაკვ. IV). მისი აღწერით (1878 წ.) სარეწი მე-19 საუკუნის დასაწყისიდან არსებობს: 8 მეპატრონეს 175 მუშა ჰყავს, მათთვის მუშაობს აგრეთვე 1 000-დე მკერავი-ქალი შინ და დაახლოებით 35 ოჯახამდე ქურქჩი (სოფლებში), სულ 1 300 — 1 500 კაცი; წარმოების თანხა უდრის 360 ათას მან. როგორც კურიოზი, აღსანიშნავია, რომ, როცა ეს წარმოება

ჰყვაოდა, მაშინ ის «საფაბრიკო-საქარხნო» სტატისტიკაში არ მოხვედრილა. 1879 წ. «საძიებელში» მის შესახებ არავითარი ცნობა არაა. ხოლო როცა იგი დაცემის გზას დაადგა, მაშინ სტატისტიკაშიც მოხვდა. 1890 წ. «საძიებლის» მიხედვით ქ. კარგოპოლში და მის მაზრაში 7 ქარხანაა 121 მუშით და 50 ათასი მან. წარმოების თანხით, ხოლო «სიის» მიხედვით — 5 ქარხანა 79 მუშით (57 გარეთ მომუშავის გარდა) და 49 ათასი მან. წარმოების თანხით*. ამ კაპიტალისტურ მანუფაქტურაში მეტად საგულისხმო წესები არსებობს, როგორც ნიმუში იმისა, თუ რა კეთდება ჩვენს ძველებურ, სავსებით თვითმყოფ «შინამრეწველურ სარეწებში», რომლებიც გადაკარგულია რუსეთის ერთ მრავალრიცხოვან მივარდნილ ადგილთაგანში. ხელოსნები დღეში მუშაობენ 15 საათს მეტად არაჯანსაღ ატმოსფეროში, ღებულობენ თვეში 8 მანეთს, წელიწადში — 60 — 70 მანეთზე ნაკლებს. მეპატრონეების შემოსავალი წლიურად 5 000 მანეთამდეა. მეპატრონეთა და მოკიდებულება მუშებისადმი «პატრიარქალურია»: ძველებური ჩვეულების თანახმად მეპატრონე მუქთად იძლევა ბურახს და მარილს, რომელსაც მუშები მეპატრონის მზარეულს თხოვენ ხოლმე. მეპატრონისადმი მადლობის ნიშნად (სამუშაოს «მიცემისათვის») მუშები მუქთად გლეჯენ სინჯაფებს კუდს, აგრეთვე ტყავს წმენდენ მუშაობის გათავების შემდეგ. ხელოსნები მთელი კვირა სახელოსნოებში ცხოვრობენ, მეპატრონენი ვითომ ხუმრობით სცემენ ხოლმე მათ (გვ. 218, 1. c.), აკეთებინებენ ყოველგვარ სამუშაოს — აბრუნებინებენ თივას,

* აი 1894 წ. ცნობები «შინამრეწველთა» შესახებ. «გამოყვანილი სინჯაფის ქურქს კერავენ ქ. კარგოპოლის უღარიბესი მეშჩანი ქალები და პავლოვოს თემის გლეხი ქალები. მათ ამაში სულ მცირე საზღაური ეძლევათ», ასე რომ მკერავი ქალი თვეში აკეთებს მხოლოდ 2 მან. 40 კაპ. — 3 მან. თავისი ხარჯით, და ასეთი გამომუშავებისათვის (ქირა ნარდობლივია) იგი წელმოხრილი უნდა იჯდეს 12 საათს დღეში. «ეს მეტისმეტად დაძაბული და თავაუღებელი სამუშაო ძალიან აუძლურებს ადამიანს». მკერავთა რიცხვი ახლა 200-მდეა («შინამრეწველობა ოლონეცის გუბერნიაში», ბბ. ბლაგოვეშჩენსკისა და გარიაზინის ნარკვევი. პეტროზავოდსკი, 1895. გვ. 92 — 93).

აწმენდინებენ თოვლს, ატანინებენ წყალს, არეცხინებენ თეთრეულს და სხვ. მუშახელის სიიაფე გასაოცარია თვით კარგოპოლშიც, მისი მიდამოების გლეხები კი «მზად არიან თითქმის მუქთად იმუშაონ». წარმოება ხელითაა, არის შრომის სისტემატური დანაწილება, შეგირდობა ხანგრძლივია (გრძელდება 8 — 12 წელიწადს); შეგირდების ბედი ადვილი წარმოსადგენია.

6) ცხოველთა პროდუქტების დამუშავების დანარჩენი წარმოებანი

კაპიტალისტური მანუფაქტურის განსაკუთრებით შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ტვერის გუბერნიის კორჩევის მაზრის სოფელ კიმრისა და მისი მიდამოების სახელგანთქმული საწაღე სარეწი*. ეს ძველისძველი სარეწია, არსებობს მე-16 საუკუნიდან. რეფორმისშემდეგდროინდელ ხანაში ეს სარეწი კვლავ იზრდება და ვითარდება. პლეტნევის გამოანგარიშებით 70-იანი წლების დამდეგს ამ სარეწის რაიონში 4 თემი იყო, ხოლო 1888 წ. — უკვე 9 თემი. სარეწის ორგანიზაციის საფუძველი შემდეგში მდგომარეობს. წარმოების სათავეში დგანან დიდ სახელოსნოთა მეპატრონენი, რომელთაც ჰყავთ დაქირავებული მუშები და რომელნიც გამოჭრილ ტყავს შესაკერავად არიგებენ ოჯახებში. ბ-ნ პლეტნევის აზრით, ასეთი მეპატრონე იყო 20, რომელთაც ჰყავდათ 124 მომუშავე და 60 ყმაწვილი და ჰქონდათ 818 ათასი მან. თანხის წარმოება, ამასთან, ავტორის გამოანგარიშებით,

* იხ. «რუსეთის იმპერიის სტატისტიკური მატიანე», II, ნაკვ. III. სპბ. 1872. მასალები რუსეთის შინამრეწველობის და ხელით შრომის შესასწავლად. დამუშავებულია ლ. მაიაკოვის მიერ. ვ. ა. პლეტნევის სტატია. ეს ნაშრომი საუკეთესოა სარეწის მთელი ორგანიზაციის აღწერის სიცხადით. მერმინდელი შრომები ძვირფას სტატისტიკურ და საყოფაცხოვრებო ცნობებს იძლევიან, მაგრამ ნაკლებ დამაკმაყოფილებლად გვიხსნიან ამ რთული სარეწის ეკონომიურ წყობილებას. იხ. შემდეგ «შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. VIII, ბ-ნ პოკროვსკის სტატია. — «ანგარიშები და გამოკვლევები», ტ: I.

ამ კაპიტალისტებისათვის შინ მუშაობდა დაახლოებით 1 769 მომუშავე და 1 833 ყმაწვილი. შემდეგ მიჰყვებიან წვრილი მეპატრონენი, რომლებსაც ჰყავთ 1 — 5 დაქირავებული მუშა და 1 — 3 ყმაწვილი. ეს მეპატრონენი თავის საქონელს უმთავრესად სოფ. კიმრის ბაზრებზე ასაღებენ; მათი რიცხვია 224, ჰყავთ 460 მომუშავე და 301 ყმაწვილი; წარმოების თანხა — 187 ათასი მან. მაშასადამე, სულ არის 244 მეპატრონე, 2 353 მომუშავე (მათ რიცხვში 1 769 შინამომუშავე) და 2 194 მომუშავე-ყმაწვილი (მათ რიცხვში 1 833 შინამომუშავე); წარმოების თანხა — 1 005 ათასი მან. შემდეგ არის კიდევ სახელოსნოები, რომლებიც სხვადასხვა სადეტალო ოპერაციას ასრულებენ; საჭიმი (ტყავის წმენდა საქლეშით); სანათალო (ნათალის დაწებება); საქონლის განსაკუთრებული გადამზიდავნი (4 მეპატრონე, 16 მომუშავე და 50-დე ცხენი); განსაკუთრებული დურგლები (ამზადებენ ყუთებს) და სხვ.* მთელი რაიონისათვის, პლეტნევის ანგარიშით, წარმოების თანხაა 4,7 მილიონი მანეთი. 1881 წ. ანგარიშობდნენ 10 638 შინამრეწველს, გამსვლელებთან ერთად — 26 000 კაცს, წარმოების თანხას კი — 3,7 მილიონ მან. მუშაობის პირობების შესახებ უნდა აღინიშნოს უზომოდ გრძელი სამუშაო დღე (14 — 15 საათი) და მუშაობის მეტად ანტიჰიგიენური პირობები, ანგარიშის საქონლით გასწორება და სხვ. სარეწის ცენტრი, სოფელი კიმრი, «უფრო პატარა ქალაქს ჰგავს» («ანგარიშები და გამოკვლევები», I, 224); მცხოვრებნი ცუდი

* შეად. «ანგარიშები და გამოკვლევები»: მრეწველთა 7 ჯგუფი: 1) ტყავეული საქონლით მოვაჭრენი; 2) ფეხსაცმლის შემყიდველნი: 3) მსხვილ სახელოსნოთა მეპატრონენი (5 — 6 კაცი), რომელნიც დამზადებას აწარმოებენ და სახლებში არიგებენ საქონელს; 4) დაქირავებული მუშების მყოლი წვრილი სახელოსნოების მეპატრონენი; აგრეთვე სახლებში არიგებენ სამუშაოს; 5) მარტოხელნი, რომელნიც მუშაობენ ან ბაზრისათვის, ან მეპატრონეთათვის [sub (ქვეშ. რ ე დ.) 3 და 4]; 6) დაქირავებული მუშები (ოსტატები, ქარგლები, ყმაწვილები); 7) «მეკალაპოტენი, დამბალთველნი, აგრეთვე საჭიმ, საცხებ და სამოქლონო სახელოსნოთა მეპატრონენი და მუშები» (გვ. 227, I. ტ.). 1897 წ. აღწერით სოფ. კიმრში ითვლება 7 017 მცხოვრები.

მიწათმოქმედნი არიან, მთელი წლის განმავლობაში სარეწს მისდევენ; მხოლოდ სოფლელი შინამრეწველნი სტოვებენ სარეწს თიბვის დროს. სოფ. კიმრში სახლები ქალაქურია, მცხოვრებთ ქალაქური ზნე-ჩვეულება (მაგ., «კოპწიაობა») ახასიათებს. «საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში» ეს სარეწი სულ უკანასკნელ ხანამდე არ იყო შეტანილი, ალბათ, იმიტომ, რომ მეპატრონენი «თავის თავს ხალისით უწოდებენ შინამრეწველებს» (ib., 228). «სიაში» პირველად აღინიშნა კიმრის რაიონის 6 ფეხსაცმლის სახელოსნო თვით წარმოებაში მომუშავე 15—40 მუშით და გარეთ მომუშავე მუშების დაუსახელებლად. რასაკვირველია, აქ უამრავი ხარვეზია.

მანუფაქტურასვე ეკუთვნის მოსკოვის გუბერნიის ბრონიცკის და ბოგოროდსკის მაზრების სარეწი — ღილის წარმოება ჩლიქებიდან და ცხვრის რქებიდან. სარეწზე მუშაობს 487 მუშა 52 საწარმოში; წარმოების თანხა — 264 ათასი მან. ისეთი საწარმონი, სადაც 5 კაცზე ნაკლები ჰყავთ, არის 16; სადაც 5—10 კაცია — 26; სადაც 10 და მეტი კაცია — 10. მუშებს აქ არ ქირაობს მხოლოდ 10 მეპატრონე, რომელნიც მსხვილი მეპატრონეებისათვის მუშაობენ მათივე მასალით. სავსებით დამოუკიდებელი არიან მხოლოდ მსხვილი მრეწველები (რომლებსაც, როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, უნდა ჰყავდეთ 17—21 მუშა თვითეულ საწარმოზე). ცხადია, «საძიებელში» ისინი «მეფაბრიკეებად» არიან მოხსენებულნი (იხ. გვ. 291 : 2 საწარმო 4 ათასი მან. წარმოების თანხით და 73 მუშით). ეს «ორგანული მანუფაქტურაა»; რქებს თავდაპირველად ეგრეთწოდებულ «სამჭედლოში» (ხის ქოხი ქურით) ხლეჩენ, შემდეგ გადააქვთ ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო ში, სჭრიან საფშვენ წნეხზე, გამოჰყავთ მათზე ნახატი სატვიფრო წნეხით, ბოლოს კი მართავენ და აკრიალებენ დაზგაზე. სარეწში არიან შეგირდები. სამუშაო დღე 14 საათია. ჩვეულებრივია ანგარიშის საქონლით გასწორება. მეპატრონეთა დამოკიდებულება მუშებისადმი პატრიარქალურია, სახელდობრ: მეპატრონე მუშებს «ბიჭებს» ეძა-

ხის, და ანგარიშსწორების წიგნსაც «ბიჭების წიგნი» ეწოდება. ანგარიშის გასწორების დროს მეპატრონე მუშებს ნოტაციას უკითხავს და სავსებით არასოდეს არ ასრულებს მათ «თხოვნას» ფულის მიცემის შესახებ.

ასეთივე ტიპისაა რქის სარეწი, რომელიც ჩვენს წვრილი სარეწების ცხრილში შევიდა (V თავის I დანართი, სარეწ. № 31 და 33). «შინამრეწველები», რომელთაც ათობით ჰყავთ დაქირავებული მუშები, «საძიებელშიც» «მეფაბრიკეებად» არიან გამოყვანილნი (გვ. 291). წარმოებაში გამოყენებულია შრომის დანაწილება; სამუშაოს სახლებშიც არიგებენ (სავარცხლების გამმართავნი). სარეწის ცენტრი ბოგოროდსკის მაზრაში არის დიდი სოფელი ხოტეიჩი, სადაც მიწათმოქმედება უკვე მეორე რიგშია მოქცეული (1897 წ. — 2 494 მცხოვრები). სავსებით სამართლიანადაა ნათქვამი მოსკოვის ერობის გამოცემაში: «მოსკ. გუბ. ბოგოროდსკის მაზრის შინამრეწველური სარეწები 1890 წ.», — რომ ეს სოფელი «სავარცხლის წარმოების უდიდეს მანუფაქტურას წარმოადგენს» (გვ. 24. ხაზგასმა ჩვენია). 1890 წ. ამ სოფელში ითვლებოდა 500-ზე მეტი მრეწველი, რომელნიც 3,5-დან 5,5 მილიონამდე სავარცხელს ამზადებდნენ. «ხშირად რქის გამყიდველი ამავე დროს ნაწარმის შემყიდველიცაა, გარდა ამისა, ხანდახან მსხვილი მესავარცხლეც». განსაკუთრებით ცუდია იმ მეპატრონეთა მდგომარეობა, რომელნიც იძულებული არიან რქა დასამუშავებლად «გარიგებით» აიღონ: «ფაქტიურად მათი მდგომარეობა მსხვილ საწარმოთა დაქირავებული მუშების მდგომარეობაზე უარესია». გაჭირვება აიძულებს მათ გასწიონ მთელი თავისი ოჯახის შრომის უზომო ექსპლოატაცია, გაადიდონ სამუშაო დღე, ამუშაონ მოზარდები. «ზამთრობით ხოტეიჩში მუშაობა ღამის პირველი საათიდან იწყება, და დანამდვილებით ძნელი სათქმელია, როდის თავდება იგი «გარიგებით» მომუშავე «დამოუკიდებელი» შინამრეწველის ქოხში». ფართოდ არის შემოღებული ანგარიშის გასწორება საქონლით. «ეს სისტემა, რომელიც დიდი ვაივაგლახით აღმოფხვრილია

ფაბრიკებში, ჯერ კიდევ სავსებით ძალაშია წვრილ შინამრეწველურ საწარმოებში» (27). ალბათ, ასეთივეა რქის ნაწარმთა სარეწის ორგანიზაცია ვოლოგდის გუბერნიის კადნიკოვის მაზრაში, დაბა უსტიეს რაიონში (ეგრეთწოდებული «უსტიანშჩინა»), სადაც 58 სოფელი შედის. ბ-ნ ვ. ბორისოვის ანგარიშით («შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. IX), აქ 388 შინამრეწველია, რომელთაც აქვთ 45 ათასი მან. თანხის წარმოება; ყველა შინამრეწველი მუშაობს კაპიტალისტებისათვის, რომლებიც რქებს ს.-პეტერბურგში ყიდულობენ, ხოლო კუს — საზღვარგარეთ.

მოსკოვის გუბ. ჯაგრისის სარეწს სათავეში უდგანან მსხვილი საწარმონი, სადაც მრავალი დაქირავებული მუშაა და სისტემატურად ტარდება შრომის დანაწილება* (იხ. V თავის I დანართი, სარეწი № 20). საინტერესოა აღვნიშნოთ აქ ის ცვლილება, რომელიც მოხდა ამ სარეწის ორგანიზაციაში 1879 წლიდან 1895 წლამდე (იხ. მოსკოვის ერობის გამოცემა: «ჯაგრისის სარეწი 1895 წლის გამოკვლევის მიხედვით»). ზოგიერთი შეძლებული მრეწველი მოსკოვს გადასახლდა სარეწის მოსაწყობად. მრეწველთა რიცხვი გადიდდა 70%-ით, ამასთან განსაკუთრებით გაიზარდა ქალების (+170%) და გოგოების (+159%) რიცხვი. დაქირავებული მუშების მყოლ მსხვილ სახელოსნოთა რიცხვი შემცირდა; იმ საწარმოების პროცენტი, სადაც დაქირავებული მუშები არიან, 62%-დან 39%-დე დაეცა. ეს აიხსნება იმით, რომ მეპატრონეები სამუშაოს ოჯახებში დარიგებაზე გადავიდნენ. სატრიალებელი ჩარხის შემოღებამ (კალაპოტის გასახვრეტად) დააჩქარა და გააადვილა ჯაგრისის დამზადების ერთი მთავარი პროცესთაგანი. გაძლიერდა მოთხოვნილება «მეჯაგრეებზე» (შინამრეწველები, რომლებიც ჯაგარს «ჩასვამენ» კალაპოტში), და ეს ოპერაცია უფრო და უფრო გასპეციალდა

* «მხერხავი» ხერხავს კალაპოტს ჯაგრისათვის; «მებურღე» მას ხვრეტავს; «მწმენდავი» წმენდს ჯაგარს; «მეჯაგრე» ჯაგარს ნახვრეტში «სვამს»; «დურგალი» ფირფიცარს აწებებს ჯაგრისზე («მოსკ. გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VI, ნაკვ. I, გვ. 18).

და ქალის, როგორც უფრო იაფი სამუშაო ძალის, ხვედრად გადაიქცა. ქალებმა შინ დაიწყეს ჯაგრისის ჩასმა, რაშიც საზღაურს ნაჭრობით ღებულობენ. ამნაირად, შინ მუშაობის გაძლიერება აქ გამოიწვიეს ტექნიკის პროგრესმა (სატრიალებელი ჩარხი), შრომის დანაწილების პროგრესმა (ქალები მხოლოდ ჯაგარს სვამენ), კაპიტალისტური ექსპლოატაციის პროგრესმა (ქალების და გოგოების შრომა უფრო იაფია). ამ მაგალითით განსაკუთრებით ნათლად ირკვევა, რომ შინ მუშაობა სრულებით არ სპობს კაპიტალისტური მანუფაქტურის ცნებას, არამედ, პირიქით, ზოგჯერ მისი შემდგომი განვითარების ნიშანსაც კი წარმოადგენს.

7) მინერალური პროდუქტების დამუშავების წარმოებანი

კერამიკულ წარმოებათა განყოფილებაში კაპიტალისტური მანუფაქტურის მაგალითს გვაძლევს გჟელის რაიონის (მოსკოვის გუბერნიის ბრონიცკის და ბოგოროდსკის მაზრებში 25 სოფლისაგან შემდგარი ოლქი) სარეწები. მათ შესახებ სტატისტიკური მონაცემები შევიდა ჩვენს წვრილი სარეწების ცხრილში (V თავის I დანართი, სარეწ. №№ 15, 28 და 37). ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ გჟელის სამ სარეწს — ქოთნის, ფაიფურისა და მხატვრობის სარეწებს შორის არსებული დიდი განსხვავების მიუხედავად, თვითეული სარეწის საწარმოთა ცალკე თანრიგების ურთიერთ გადასვლა ასუსტებს ამ განსხვავებას, და ჩვენ ვიღებთ მთელ რიგ სახელოსნოებს, რომელნიც მოცულობით თანამიმდევრად იზრდებიან. აი მუშების საშუალო რიცხვი, რომელიც თვითეულ საწარმოზე მოდის ამ სამი სარეწის თანრიგების მიხედვით: 2,4 — 4,3 — 8,4 — 4,4 — 7,9 — 13,5 — 18 — 69 — 226, 4. ესე იგი წყება უმცირესი სახელოსნოდან უმსხვილეს სახელოსნომდე ადის. მსხვილი საწარმონი კაპიტალისტურ მანუფაქტურას რომ ეკუთვნიან (რამდენადაც მათ არ შემო-

ულიათ მანქანები, ისინი ფაბრიკათა რიცხვში არ გადასულან), ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ საგულისხმოა არა მარტო ეს, არამედ ის ფაქტიც, რომ წ ვ რ ი ლ ი ს ა წ ა რ მ ო ნ ი მ ს ხ ვ ი ლ ე ბ თ ა ნ ა რ ი ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ნ ი, რომ ჩვენ აქ ვხედავთ მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ე რ თ წ ყ ო ბ ა ს და არა ამა თუ იმ ტიპის ეკონომიური ორგანიზაციის ცალკეულ სახელოსნოებს. «გუელი ერთ ეკონომიურ მთელს წარმოადგენს» (ისაევი, l. c., 138), და რაიონის მსხვილი სახელოსნოები წვრილებიდან წარმოიშვნენ და ნელა, თანდათან გაიზარდნენ (ib., 121). აქ ხელით წარმოებაა *, ამასთან საგრძნობლად არის გამოყენებული შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა: მექოთნეებთან ჩვენ ვხედავთ მჩარხავებს (რომლებიც სპეციალდებიან ჭურჭლის სახეების მიხედვით), პროდუქტის გამომწველ მუშებს და სხვ., ზოგჯერ კი ცალკეულ მომუშავესაც საღებავების დასამზადებლად. ფაიფურის მექარხნეებში შრომის დანაწილება ძალიან ზედმიწევნითია: დამფქველნი, მჩარხავნი, მიმწოდებელნი, მებრძმედენი, მხატვარნი და სხვ. მჩარხავნი ჭურჭლის ცალკეული სახეების კეთებაშიც კი სპეციალდებიან (შეად. ისაევი, l. c., 140: ერთ შემთხვევაში შრომის დანაწილება მუშაობის ნაყოფიერებას 25%-ით ადიდებს). სამხატვრო სახელოსნოები მუშაობენ ფაიფურის მექარხნეებისათვის, მაშასადამე, ისინი მხოლოდ უკანასკნელთა მანუფაქტურების განყოფილებებს წარმოადგენენ, რომლებიც განსაკუთრებულ დეტალობრივ ოპერაციას ასრულებენ. ჩამოყალიბებული კაპიტალისტური მანუფაქტურისათვის დამახასიათებელია, რომ აქ სპეციალობად ხდება ფიზიკური ძალაც. ასე, გუელში ზოგიერთი სოფელი (თითქმის

* უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სარეწში, ისევე როგორც ზემოაღწერილ საფეიქრო სარეწებში, კაპიტალისტური მანუფაქტურა, არსებითად, გუშინდელი დღის ეკონომიკას წარმოადგენს. რეფორმისშემდეგდროინდელი ეპოქა ხასიათდება იმით, რომ ეს მანუფაქტურა მსხვილ მანქანურ ინდუსტრიად გადაიქცა. გუელის იმ ქარხნების რაოდენობა, რომლებიც ორთქლის ძრავებს იყენებენ, იყო: 1866 წ.— 1, 1879 წ. — 2, 1890 წ. — 3. (ცნობები «ფინ. სამინისტროს წელიწდეულისა», ნაკვ. I, და 1879 და 1890 წლების «საძიებლისა»).

მთლად) თიხის თხრას მისდევს; მძიმე და თან ისეთი სამუშაოსათვის, რაც განსაკუთრებულ ოსტატობას არ საჭიროებს (დამფქველის სამუშაო), იყენებენ თითქმის მხოლოდ ტულისა და რიაზანის გუბერნიებიდან მოსულ მუშებს, რომლებიც სუსტ გჟელელებს სჯობნიან ჯან-ღონით. დიდად გავრცელებულია ანგარიშის საქონლით გასწორება. მიწათმოქმედება ცუდ მდგომარეობაშია. «გჟელელები გადაგვარებული თაობაა» (ისაევი, 168), — ისინი გულ-მკერდ სუსტნი, მხრებვიწრონი, ძალანაკლულნი არიან, მხატვარნი ადრე კარგავენ მხედველობას და სხვ. შრომის კაპიტალისტური დანაწილება აჩიავებს და ამახინჯებს ადამიანს. სამუშაო დღე 12 — 13 საათია.

8) ლითონის დამუშავების წარმოებანი. პავლოვოს სარეწები

პავლოვოს სახელგანთქმული ფოლად-საზეინკლო სარეწები მოიცავენ ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის გორბატოვის მაზრის და ვლადიმირის გუბერნიის მურომის მაზრის მთელ რაიონს. ეს სარეწები ძველისძველად წარმოიშვნენ. სმირნოვი აღნიშნავს, რომ პავლოვოში ჯერ კიდევ 1621 წ. 11 სამჭედლო ყოფილა (აღწერის დავთრით). მე-19 საუკუნის ნახევარში ეს სარეწები უკვე სავსებით ჩამოყალიბებული კაპიტალისტური ურთიერთობის ფართოდ გაშლილ ქსელს წარმოადგენდნენ. რეფორმის შემდეგ ხსენებული რაიონის სარეწები ისევ ვითარდებოდნენ ყოველმხრივ. 1889 წ. საერობო აღწერის თანახმად, გორბატოვის მაზრაში სარეწს მისდევდა 13 თემში და 119 სოფელში 5 953 კომლი, 6 570 მუშა მამაკაცი (ამ სოფლების ყველა მომუშავის 54%) და 2 741 მოხუცი, მოზარდი და ქალი, სულ 9 311 კაცი. მურომის მაზრაში, ბ-ნ გრიგორიევის გამოანგარიშებით, 1881 წ. იყო 6 მესარეწე თემი, 66 სოფელი, 1 545 კომლი და 2 205 მუშა მამაკაცი (ამ სოფლის ყველა მომუშავის 39%). შეიქმნა არა მარტო მსხვილი მრეწავი სოფლები, რომლებიც მი-

წათმოქმედებას აღარ მისდევდნენ (პავლოვო, ვორსმა), არამედ ახლომახლო მდებარე სოფლების გლეხებიც კი თავს ანებებდნენ მიწათმოქმედებას: პავლოვოს და ვორსმის გარეთ გორბატოვის მაზრაში სარეწებს მისდევდა 4 492 მომუშავე, რომელთაგან 2 357, ე. ი. ნახევარზე მეტი, არ ეწეოდა მიწათმოქმედებას. ისეთი ცენტრების ცხოვრება, როგორც პავლოვოა, სულ ქალაქურად მოეწყო, იქ გამომუშავდა გაცილებით უფრო განვითარებული მოთხოვნილებანი, უფრო კულტურული მოწყობილობა, ტანისამოსი, ცხოვრება და სხვ., ვიდრე მახლობელ «გაგრია» მიწათმოქმედთა შორის *.

პავლოვოს სარეწების ეკონომიური ორგანიზაციის საკითხის შესახებ ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ის უდავო ფაქტი, რომ «შინამრეწველების» სათავეში დგანან უაღრესად ტიპიური კაპიტალისტური მანუფაქტურები. მაგ., ზავიალოვების საწარმოში (რომელსაც ჯერ კიდევ 60-იან წლებში ჰყავდა სახელოსნოში 100-ზე მეტი მუშა, ხოლო ახლა ორთქლის ძრავიც აქვს შემოღებული) ჯიბის დანა 8 — 9 ხელში გადის: მასზე მუშაობენ — მკვერავი, გამომპირავი, მეტარე (ჩვეულებრივ შინ), მწრთობი, გამკრიალებელი, დამხვეწავი, პირის ამწყობი, დაღდამსმელი. ეს არის ფართო კაპიტალისტური კოოპერაცია, რომელიც შრომის დანაწილებაზეა დამყარებული, ამასთან მედეტალე მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს არა კაპიტალისტის სახელოსნოში, არამედ შინ, თავის სახლში. აი ბ-ნ ლაბზინის ცნობები (1866 წ.) სოფ. პავლოვოს, ვორსმისა და ვაჩის უდიდეს საწარმოთა შესახებ ამ რაიონის წარმოების ყველა დარგისათვის: 15 მეპატრონეს ჰყავდა 500 მუშა საწარმოებში და 1 134 მუშა განზე, სულ 1 634 კაცი; მათი წარმოების თანხა უდრიდა 351, 7 ათას მან. თუ რამდენად შეეფერება ამჟამად მთელ რაიონს

* იხ. ზემოთ პავლოვოს და ვორსმის მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობის უფრო მაღალი დონისა და სოფლებიდან ამ ცენტრებში გლეხების გადასახლების შესახებ.

ეკონომიური ურთიერთობის ასეთი დახასიათება, ეს შემდეგი ცნობებიდან ჩანს *:

რაიონები	რიცხვი მომუშავეთა, რომელნიც სარეწს მისდევენ და მუშაობენ.					წარმოების დაახლოებითი თანხა მილიონ მან.
	ბაზრისათვის	მეპატრონისათვის	დაქირავებით	მეპატრონისათვის და დაქირავებით	ს უ ლ	
პავლოვოს	3 132	2 819	619	3 438	6 570	2
სოფ. სელიტბის	41	60	136	196	237	
მურომის	500	?	?	2 000	2 500	1
ს უ ლ	3 673	—	—	5 634	9 307	3

ამრიგად, მრეწველობის ის ორგანიზაცია, რომელიც ჩვენ მოვხაზეთ, ყველა რაიონში სჭარბობს. საერთოდ და მთლიანად, მუშების მთელი რიცხვის ს ა მ მ ე ხ უ თ ე დ ა მ დ ე კაპიტალისტურად მუშაობს. მაშასადამე, აქაც ვხედავთ, რომ მანუფაქტურას გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს მრეწველობის საერთო წყობაში ** და დამორჩილებული ჰყავს მუშათა მასა, მაგრამ არ ძალუძს ძირიანად აღმოფხვრას წვრილი წარმოება. ამ უკანასკნელის შედარებითი გამძლეობა სავსებით აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ პავლოვოს მრეწვე-

* საერ.-სტატისტ. «მასალების» და ბ-ნ ანენსკის «მოხსენების», აგრეთვე ა. ნ. პოტრესოვის გამოკვლევის ცნობები (მოყვან. ზემოთ). ციფრები მურომის რაიონის შესახებ დაახლოებითია. 1897 წ. აღწერით, ვორსმის მოსახლეობა უდრის 4 674, პავლოვოსი — 12 431.

** მოყვანილი ცნობები ამ ბატონობას სავსებით ვერ გამოხატავენ: ქვემოთ ტექსტში ნათქვამი გვიჩვენებს, რომ ბაზრისათვის მომუშავე შინამრეწველნი კ ი დ ე ვ უ ფ რ ო დამორჩილებული არიან კაპიტალისადმი, ვიდრე მეპატრონეებისათვის მომუშავენი, ხოლო ეს უკანასკნელნი კ ი დ ე ვ უ ფ რ ო, ვიდრე დაქირავებული მუშები. პავლოვოს სარეწები განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენებენ სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის იმ განუწყვეტელ კავშირს, რომელიც ახასიათებს საზოგადოდ კაპიტალისტურ მანუფაქტურას წვრილ მწარმოებლებთან დამოკიდებულებაში.

ლობის ზოგიერთ დარგში ჯერ კიდევ სრულებითაც არ არის შემოღებული მექანიკური წარმოება (მაგ., კლიტის წარმოებაში); მეორეც, იმით, რომ წვრილი მწარმოებელი დაცემისაგან ისეთი საშუალებებით იცავს თავს, რომელთა გამოყენებით ის გაცილებით უფრო დაბლა ეცემა, ვიდრე დაქირავებული მუშა. ეს საშუალებებია სამუშაო დღის გახანგრძლივება, საარსებო დონისა და მოთხოვნილებათა დონის შემცირება. «შინამრეწველთა ის ჯგუფი, რომელიც მეპატრონეებისათვის მუშაობს, ხელფასის ნაკლებ რყევას განიცდის» (გრიგორიევი, l. c., 65); მაგ., ზავიალოვთან ყველაზე ცოტას მეტარე ღებულობს: «ის შინ მუშაობს, ამიტომ ნაკლები ხელფასითაც კმაყოფილდება» (68). «მეფაბრიკეებისათვის» მომუშავე შინამრეწველთ «საშუალება ეძლევათ ცოტათი მეტი გააკეთონ, ვიდრე თავისი პროდუქტის ბაზარზე გამტანი შინამრეწველი საშუალოდ იღებს. ხელფასის მომატება განსაკუთრებით ემჩნევა იმ მუშებს, რომლებიც თვით ფაბრიკებში ცხოვრობენ» (70) *. სამუშაო დღე «ფაბრიკებში» $14^1/_2$—15 საათია, maximum 16 საათი. «შინ მომუშავე შინამრეწველთ კი სამუშაო დღე არასოდეს არა აქვთ 17 საათზე ნაკლები, ხანდახან 18 და 19 საათამდეც აღწევს დღე-ღამეში» (ibid.). გასაკვირი არ იქნება, 1897 წ. 2 ივნისის კანონმა[115] აქ შინ მუშაობის გაძლიერება რომ გამოიწვიოს; დიდი ხანია დროა ამგვარმა «შინამრეწველებმა» მთელი თავისი ზრუნვა და ღონისძიება იქითკენ მიმართონ, რომ მეპატრონეებს ფაბრიკები მოაწყობინონ! მოიგონოს აგრეთვე მკითხველმა პავლოვის ცნობილი «დაგირავება ცოლებისა», «წაყვანა», «გაცვლა» და კაბალის და პირადი დამცირების ამგვარივე სახეები, რომლებითაც დაბეჩავებულია quasi-დამოუკიდებელი წვრილი

* ხელფასის შემცირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე მიწასთან კავშირი. სოფლელი შინამრეწველნი «საზოგადოდ პავლოველ მეკლიტეებზე ნაკლებს შოულობენ» (ანენსკი, «მოხსენება», გვ. 61). მართალია, ᲔᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ უნდა მივიღოთ, რომ პირველთ თავისი საკუთარი პური აქვთ, მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ «სოფლის ჩვეულებრივი შინამრეწველის მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე პავლოვის საშუალო მეკლიტის მდგომარეობაო» (61).

მწარმოებელი *. საბედნიეროდ, მსხვილი მანქანური ინდუსტრია, რომელიც სწრაფად ვითარდება, ისე ადვილად არ ურიგდება ექსპლოატაციის ამ უცუდეს ფორმებს, როგორც მანუფაქტურა. წინდაწინვე მოგვყავს ცნობები ამ რაიონში საფაბრიკო წარმოების ზრდის შესახებ **.

წლები	«ფაბრიკა-ქარხნების» რიცხვი	მუშათა რიცხვი			წარმ. თანხა (ათას მან.)	ორთქლით მომუშავე საწარმოთა რიცხვი	საწარმონი 15 და მეტი მუშით
		საწ: მოეკ	გარეთ	სულ			
1879	31	?	?	1 161	498	2	12
1890	38	1 206-დე	1 155-დე	2 361	594	11	24
1894/95	31	1 905	2 197	4 102	1 134	19	31

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ სულ უფრო და უფრო მეტი მუშა იყრის თავს მსხვილ საწარმოებში, რომლებიც მანქანების ხმარებაზე გადადიან ***.

* კრიზისების დროს არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პირდაპირ მუქთად მუშაობენ, «თეთრს შავზე», ე. ი. მზა ნაწარმს ნედლეულზე სცვლიან, და ეს «საკმაოდ ხშირად» ხდება ხოლმე (გრიგორიევი, ibid., 93).

** «საძიებლისა» და «სიის» ცნობები, რომლებიც შეეხება მთელ რაიონს, სოფ. სელიტბის და ვაჩის და მათი რაიონების ჩათვლით. 1890 წ. «საძიებელს» განზე მომუშავენი უსათუოდ საფაბრიკო-საქარხნო მუშების საერთო რიცხვში ჰყავს ჩათვლილი; ჩვენ განზე მომუშავეთა რაოდენობა დაახლოებით განვსაზღვრეთ და შესწორება შევიტანეთ მხოლოდ ორი (ზავიალოვების და ფ. ვარიპაევის) უდიდესი საწარმოს შესახებ. «სიასა» და «საძიებელში» აღნიშნულ «ფაბრიკა-ქარხანათა» რიცხვის შესადარებლად საჭიროა ავიღოთ მხოლოდ ისეთი საწარმონი, სადაც 15 და მეტი მუშაა (იხ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ჩვენს «ეტიუდებში», სტატია — «ჩვენი საფაბრ.-საქარხნო სტატისტიკის საკითხისათვის» (იხ. თხზულებანი, ტომი 4. რ ე დ.).

*** პავლოვოს მრეწველობის ერთ დარგში, სახელდობრ კლიტის წარმოებაში, პირიქით, მცირდება იმ სახელოსნოთა რიცხვი, სადაც დაქირავებული მუშები მუშაობენ. ა. ნ. პოტრესოვმა (l. c.), რომელმაც დაწვრილებით აღნიშნა ეს ფაქტი, დაასახელა მისი მიზეზიც: კოვ-

9) ლითონის დამუშავების სხვა წარმოებანი

კაპიტალისტურ მანუფაქტურას ეკუთვნის აგრეთვე ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიისა და მაზრის სოფ. ბეზვოდნოეს სარეწები. ესეც ერთი სამრეწველო სოფელთაგანია, რომლის მოსახლეობის მეტმა ნაწილმა სრულიად დაანება თავი მიწათმოქმედებას და რომელიც რამდენიმე სოფლისაგან შემდგარი სარეწაო ოლქის ცენტრს წარმოადგენს. 1889 წლის საერობო აღწერით («მასალები», ნაკვ. VIII, ნ.-ნ. 1895), ბეზვოდნოეს თემში (581 კომლი) კომლთა 67,3%-ს ნათესი არა ჰქონდა, კომლთა 78,3% უცხენო იყო, კომლთა 82,4%-ს ჰქონდა სარეწი, კომლთა 57,7% წერა-კითხვა იცოდა და მოსწავლე ჰყავდა (წინააღმდეგ მაზრის საშუალო 44,6%-ისა). ბეზვოდნოეს სარეწები ამზადებენ ლითონის სხვადასხვა საგნებს: ჯაჭვს, ანკესს, ლითონის ფარს; წარმოების თანხა 1883 წ. განისაზღვრებოდა $2^1/_2$ მილიონი მანეთით*, 1888/89 წ. — $1^1/_2$ მილიონი მანეთით**. სარეწის ორგანიზაცია — მუშაობა სწარმოებს მეპატრონეებისათვის მათივე მასალით, სამუშაო განაწილებულია მედეტალე მუშებს შორის და სრულდება ნაწილობრივ მეწარმეთა სახელოსნოებში, ნაწილობრივ კი შინ. მაგ., ანკესის წარმოებაში სხვადასხვა ოპერაციას ასრულებენ «მომგრეხნი», «მკვეთავნი» (მუშაობენ განსაკუთრებულ სადგომში) და «წამწვეტებელნი» (ქალები და ბავშვები, რომელნიც ანკესს წვერს ულესავენ სახლში), ამასთან ესენი ყველანი კაპიტალისტისათვის მუშაობენ ნარდად, და მომგრეხი თავის მხრით სამუ-

ნოს გუბერნიის კლიტის ფ ა ბ რ ი კ ი ს კონკურენცია (ძმ. შმიდტების ფაბრიკა – 1890 წ. — 500 მუშა, 500 ათასი მან. თანხის წარმოება; 1894/95წ. — 625 მუშა, 730 ათასი მან.).

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX. სოფ. ბეზვოდნოეს მცხოვრებთა რიცხვი 1897 წ. — 3 296.

** «ანგარიშები და გამოკვლევები», ტ. I. — «სიის» მიხედვით ამ რაიონშია 4 «ფაბრიკა», სადაც მუშაობს 21 მუშა დაწესებულებებში და 29 მუშა განზე, წარმოების თანხა — 68 ათასი მანეთი.

შაოს აძლევს მკვეთავს და წამწვეტებელს. «რკინის მავთულის გაჭიმვა ახლა სწარმოებს ცხენით მომუშავე ოწინარით; წინათ მავთულს სჭიმავდნენ ბრმები, რომლებიც აქ ბლომად იყრიდნენ თავს...» ესეც კაპიტალისტური მანუფაქტურის ერთი «სპეციალობათაგანი»! «ეს წარმოება თავისი პირობებით ძალიან განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან. აქ მუშაობენ შეხუთულ ჰაერში, რომელიც გაჟღენთილია ცხენის დანაგროვი განავალის მავნე ანაორთქლით» *. კაპიტალისტური მანუფაქტურის ასეთივე ტიპის მიხედვით არის მოწყობილი მოსკოვის გუბერნიაში ცხავსაწნავი **, ქინძისთავის *** და ოქრომკედის **** სარეწები. ამ უკანასკნელ სარეწში 80-იანი წლების დამდეგს ითვლებოდა 66 დაწესებულება 670 მუშით (აქედან 79% დაქირავებული) და 368 ½ ათასი მან. წარმოების თანხით, ამასთან ზოგი ამ კაპიტალისტური დაწესებულებათაგანი ხანდახან «ფაბრიკა-ქარხნების» რიცხვშიაც ხვდებოდა ხოლმე *****.

ალბათ, ასეთივე ტიპისაა საზეინკლო სარეწების ორგანიზაცია იაროსლავლის გუბერნიისა და ამავე სახელწოდების მაზრის ბურმაკინის თემში (და მის ახლო-მახლო მდებარე თემებში). ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აქ ვხედავთ შრომის იმავე დანაწილებას (მჭედლები, მესაბერვლენი, ზეინკლები), დაქირავებული შრომის ასევე ფართოდ გამოყენებას (ბურმაკინის თემის 307 სამჭედლოდან 231-ში დაქირავებული მუშები არიან), აქაც მსხვილი კაპიტალი ბატონობს ყველა ამ მედეტალე მუშაზე (შემყიდველები დგანან სათავეში; მათთვის მუშაობენ მჭედლები, მჭედლებისათვის მუშაობენ ზეინკლები), აქაც შესყიდვა შეერთებულია ნაკეთობის წარმოებასთან კა-

---

* «ანგარიშები და გამოკვლევები», I, გვ. 186.

** V თავის I დანართი, სარეწი № 29.

*** Ibid., № 32.

**** «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VI, ნაკვ. I, ნაწ. 2, და «ბოგოროდსკის მაზრის სარეწები 1890 წ.».

***** იხ., მაგ., «სია», № 8819.

პიტალისტურ სახელოსნოებში, რომელთაგან ზოგიერთი ხანდახან ხვდება «ფაბრიკა-ქარხნების» სიაში *.

წინა თავის დანართში მოყვანილი იყო სტატისტიკური მონაცემები მოსკოვის გუბერნიის ლანგრისა და სპილენძის სარეწების შესახებ ** (უკანასკნელი სარეწი იმ რაიონშია, რომელსაც «ზაგარიეს» უწოდებენ). ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ამ სარეწებში დაქირავებული შრომა უპირატეს როლს ასრულებს, რომ მათ სათავეში დგანან ისეთი დიდი სახელოსნოები, რომლებშიც საშუალოდ თვითეულ საწარმოზე 18 — 23 დაქირავებული მუშა და 16 — 17 ათასი მან. წარმოების თანხა მოდის. ამას თუ დავუმატებთ, რომ აქ ძალიან ფართოდაა გატარებული შრომის დანაწილება ***, მაშინ ცხადი გახდება, რომ ჩვენს წინაშე ნამდვილი კაპიტალისტური მანუფაქტურაა ****. «წვრილ სამრეწველო ერთეულებს, რომლებიც ტექნიკისა და შრომის დანაწილების არსებულ პირობებში ანომალიას წარმოადგენენ, დიდი სახელოსნოების გვერდით შეუძლიათ იარსებონ მხოლოდ შრომის უკიდურესი გახანგრძლივებით» (ისაევი, l. c., გვ. 33), — მაგ., მელანგრეებში 19 საათამდე. სამუშაო დღე საზოგადოდ აქ 13 — 15 საათია, წვრილ მეპატრონეებთან კი 16 — 17 საათი. ფარ-

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. VI, 1880 წ. გამოკვლევები. — «ანგარიშები და გამოკვლევები», ტ. I (1888 — 1889), შეად. გვ. 271 «თითქმის მთელი წარმოება... თავმოყრილია იმ სახელოსნოებში, სადაც დაქირავებული მუშები არიან». შეად. აგრეთვე «იაროსლავლის გუბ. მიმოხილვა», ნაკვ. II, იარ. 1896, გვ. 8, 11.—«სია», გვ. 403.

** V თავის I დანართი, სარეწ. № 19 და 30.

*** მესპილენძეთ სახელოსნოში ესაჭიროებათ სხვადასხვა ოპერაციის 5 შემსრულებელი; მელანგრეთ minimum (სულ ცოტა. რ ე დ.) — 3, ხოლო «ნორმალურ სახელოსნოს» უნდა 9 მუშა. «უდიდეს საწარმოებში» გატარებულია «(შრომის) ზედმიწევნით დანაწილება, რომლის მიზანია ნაყოფიერების გადიდება» (ისაევი, l. c., 27 და 31).

**** 1890 წ «საძიებლით» ზაგარიეს რაიონში ითვლება 14 ქარხანა 184 მუშით და 37 ათასი მან. წარმოების თანხით. ამ ციფრების შედარება საერობო სტატისტიკის ზემომოყვანილ მონაცემებთან გვიჩვენებს, რომ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა ამ შემთხვევაშიც ფართოდ განვითარებული კაპიტალისტური მანუფაქტურის მხოლოდ ზედაფენებს სწვდება.

თოდ არის გავრცელებული ხელფასის საქონლით გადახდა (როგორც 1876, ისე 1890 წწ.)*. უნდა დავუმატოთ, რომ სარეწის დიდი ხნის არსებობამ (ის გაჩნდა არა უგვიანეს მე-19 საუკუნის დასაწყისისა) და მუშაობის ფართო სპეციალიზაციამ ამ შემთხვევაშიც მეტად დახელოვნებული მომუშავენი წარმოშვეს: ზაგარიელები განთქმულნი არიან თავისი ოსტატობით. სარეწში გაჩნდა ისეთი სპეციალობანიც, რომელნიც წინასწარ მომზადებას არ მოითხოვენ და რომელთა შესრულება მცირეწლოვან მუშებსაც კი შეუძლიათ. «უკვე ეს შესაძლებლობა, — სამართლიანად შენიშნავს ბ-ნი ისაევი, — სახელდობრ მცირეწლოვან მუშად ყოფნა და ხელობის, ასე ვთქვათ, უსწავლელად შესწავლა, იმის მაჩვენებელია, რომ ხელოსნობის სული, რომელიც მუშა-ძალის აღზრდას თხოულობდა, ჰქრება; მრავალი დეტალობრივი წესის სიმარტივე მოასწავებს ხელოსნობის მანუფაქტურად გადაქცევას» (l. c., 34). შევნიშნავთ მხოლოდ, რომ «ხელოსნობის სული» რამდენადმე მაინც მუდამ რჩება მანუფაქტურაში, ვინაიდან მისი ნიადაგი იგივე ხელით წარმოებაა.

10) ოქრომჭედლობის, სამოვრისა და გარმონის წარმოებანი

კოსტრომის გუბერნიისა და მაზრის სოფ. კრასნოე ერთი იმ სამრეწველო სოფელთაგანია, რომლებიც ჩვეულებრივ ჩვენი «სახალხო» კაპიტალისტური მანუფაქტურის ცენტრებს წარმოადგენენ. ეს დიდი სოფელი (1897 წ. — 2 612 მცხოვრები) წმინდა ქალაქურ ხასიათს ატარებს, მოსახლეობა ქალაქურად ცხოვრობს და მიწათმოქმედებას (სულ მცირე გამონაკლისს გარდა) არ მისდევს. სოფ. კრასნოე ცენტრია ოქრომჭედლობის სარეწისა, რომელიც მოიცავს 4 ვოლოსტს და 51 პატარა სოფელს (ამათში შედის ნერეხტის მაზრის სიდოროვის თემი); მათში 735 კომლია და 1 706-დე მომუშავე**. «სარეწის მთა-

* შეად. «ბოგოროდსკის მაზრის შინამრეწველობა».

** «შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. IX, ბ-ნ ა. ტილლოს სტატია. — «ანგარიშები და გამოკვლევები», ტ. III (1893 წ.). სარეწი

ვარ წარმომადგენლებად, — ამბობს ბ-ნი ტილლო, — უსათუოდ უნდა ჩაითვალონ სოფ. კრასნოეს მსხვილი მრეწველები: ვაჭრები პუშილოვები, მაზოვები, სოროკინები, ჩულკოვები და სხვანი. ისინი ყიდულობენ მასალას — ოქროს, ვერცხლს, სპილენძს, იყვანენ ოსტატებს, იძენენ მზა ნაწარმს, უკვეთენ სამუშაოს ოჯახებში, იძლევიან ნაწარმის ნიმუშებს და სხვ.» (2043). მსხვილ მრეწველებს აქვთ სახელოსნოები — «რაბოტორნები» (ლაბორატორიები), სადაც კვერავენ და ადნობენ ლითონს, რომელსაც შემდეგ გასაკეთებლად ურიგებენ «შინამრეწველებს»; მათ აქვთ ტექნიკური მოწყობილობა — «პრეცები» («პრესები» — წნეხები, ტვიფრები სხვადასხვა საგნის ამოსაჭრელად), «სარტყამები» (ნახატების აღსატვიფრავად), «საგლინავები» (ლითონის გასაჭიმავად), დაზგები და სხვ. შრომის დანაწილება ფართოდაა გამოყენებული წარმოებაში: «თითქმის ყოველი ნაკეთობის სამუშაო დამკვიდრებული წესით რამდენიმე კაცის ხელში გადის. მაგალითად, საყურეს გასაკეთებლად მრეწველი-მეპატრონე ვერცხლს ჯერ გადასცემს თავის სახელოსნოს, სადაც მას ნაწილობრივ დაგლინავენ, ნაწილობრივ კი სჭიმავენ მავთულისებრ; შემდეგ ეს მასალა შეკვეთით გადადის ცალკე ხელოსნის ხელში; თუ უკანასკნელს ოჯახი ჰყავს, ეს სამუშაო რამდენიმე პირს შორის იყოფა: ერთი ვერცხლის ფირფიტიდან ტვიფრით იღებს საყურის ნახატს თუ ფორმას, მეორე მოკაკვავს მავთულს რგოლად, რომლითაც საყურე ყურში გაიყრება, მესამე დააკავშირებს ამ საგნებს და, ბოლოს, მეოთხე გააკრიალებს გამზადებულ საყურეს. მთელი ეს მუშაობა საძნელო არაა, დიდ მომზადებას არ საჭიროებს; ძალიან ხშირად საყურეს აკავშირებენ და აკრიალებენ ქალები და 7 — 8 წლის ბავშვები» (2041)*. სამუშაო დღე აქაც საშინლად გრძელია, ჩვეუ-

---

სულ ვითარდება. შეად. კორესპონდენცია, მოთავსებული 1897 წ. «რუსსკიე ვედომოსტში», № 231. 1898 წ. «ვესტნ. ფინანსოვ», № 42. წარმოების თანხა 1 მილიონ მანეთზე მეტია, აქედან 200 ათასამდე მანეთს ღებულობენ მუშები და 300 ათასამდე მანეთს შემყიდველები და ვაჭრები.

* «ნაკეთობის თვითეულ სახეს და თვითეულ ნაწილსაც კი კრასნო-

ლებრივ 16 საათს აღწევს. ანგარიშის გასწორება ხდება ხოლმე სანოვაგით.

სარეწის ეკონომიურ წყობას ნათლად გვიხატავენ ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები (რომლებიც უკანასკნელ დროს გამოაქვეყნა სასინჯაო პალატის ადგილობრივმა ინსპექტორმა)[116]:

ხელოსანთა ჯგუფები	ხელოსანთა რიცხვი	%	ყველა მუშის რიცხვი (დაახლოებ.)	%	ნაწარმის რაოდენობა (ფუთ.)	%
არ წარმოუდგენია ნაწარმი	404	66,0	1000	58	—	—
წარმოადგინა ნაწარმი 12 გირვანქამდე	81				11	1,3
წარმოადგინა 12—120 გირვანქა	194	26,4	500	29	236	28,7
წარმოადგინა 120 და მეტი გირვანქა	56	7,6	206	13	577	70,0
სულ	735	100	1 706	100	824	100

«ორი პირველი ჯგუფი (ხელოსანთა მთელი რიცხვის ორ მესამედამდე) უნდა გავუთანაბროთ არა შინამრეწველთ, არამედ ფაბრიკის მუშებს, რომლებიც შინ მუშაობენ». უმაღლეს ჯგუფში «დაქირავებული შრომა უფრო და უფრო ხშირად გვხვდება... ხელოსნები უკვე სხვის ნაწარმსაც ყიდულობენ»; ჯგუფის უმაღლეს ფენებში «სჭარბობს შეყიდვა», და «ოთხ შემყიდველს სულაც არა აქვს სახელოსნო»*.

ელებს შორის თავისი ოსტატები ჰყავს, ამიტომ ძალიან იშვიათად შეხვდებით, რომ ერთსა და იმავე ოჯახში აკეთებდნენ, მაგალითად, ბეჭდებსა და საყურეებს, სამაჯურებსა და გულის ქინძისთავებს და სხვ. ჩვეულებრივ ერთ რომელიმე საგანს ნაწილ-ნაწილად ამზადებენ მუშა-სპეციალისტები, რომლებიც არათუ სხვადასხვა სახლში, არამედ სხვადასხვა სოფელშიც კი ცხოვრობენ» («ანგარიშები და გამოკვლევები», ტ. III, გვ. 76).

* «ვესტნიკ ფინანსოვ», 1898 წ., № 42.

ქალაქ ტულისა და მისი მიდამოების სამოვრისა და გარმონის სარეწები კაპიტალისტური მანუფაქტურის უაღრესად ტიპიურ ნიმუშებს წარმოადგენენ. საზოგადოდ ამ რაიონის «შინამრეწველურ» სარეწებს მეტად ძველი ისტორია აქვთ: მათი დასაწყისი XV საუკუნეს განეკუთვნება*. ისინი განსაკუთრებით ვითარდებიან მე-17 საუკუნის ნახევრიდან; ამ დროიდან ითვლის ბ-ნი ბორისოვი ტულის სარეწების განვითარების მეორე პერიოდს. 1637 წ. აგებულ იქნა პირველი თუჯჩამომსხმელი ქარხანა (ჰოლანდიელ ვინიუსის მიერ). ტულელი მეიარაღენი შეადგენდნენ განსაკუთრებული მჭედლობის გარეუბანს, წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ წოდებას, რომელსაც განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები ჰქონდა. 1669 წ. ტულაში წარმოიშვა პირველი თუჯჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც მოაწყო შესანიშნავმა ტულელმა მჭედელმა, და სარეწი გადადის ურალსა და ციმბირში**. ამ დროიდან იწყება მესამე პერიოდი ტულის სარეწების ისტორიაში. ხელოსნებმა დაიწყეს თავისი საწარმოების შექმნა; ისინი ხელობას ასწავლიდნენ მახლობელი სოფლების გლეხებსაც. 1810—1820-იან წლებში გაჩნდა სამოვრის პირველი ფაბრიკები. «1825 წ. ტულაში იყო უკვე 43 სხვადასხვა ფაბრიკა, რომლებიც მეიარაღეებს ეკუთვნოდა, და ამჟამად არსებული თითქმის ყველა ფაბრიკაც ეკუთვნის ოდესღაც ყოფილ მეიარაღეებს, ახლა კი ტულელ ვაჭრებს» (l. c., 2262). მაშასადამე, აქ ჩვენ ვხედავთ უშუალო მონაცვლეობასა და კავშირს ძველ ამქარ ხელოსნებსა და მერმინდელი კაპიტალისტური მანუფაქტურის პრინციპალებს შორის. 1864 წ. ტულელი მეიარაღენი განთავისუფლდნენ ბატონყმობისაგან[117] და გადაირიცხნენ მეშჩანებად; ხელფასი დაეცა

* იხ. ბ-ნ ვ. ბორისოვის სტატია «შინამრეწველობის კომისიის შრომებში», ნაკვ. IX.

** ტულელმა მჭედელმა ნიკიტა დემიდოვ-ანტუფიევმა ქ. ტულის პირდაპირ ქარხანა ააშენა, რითაც პეტრე დიდის გული მოიგო, და 1702 წ. მიიღო ნევიანის ქარხანა. მისი ჩამომავალნი არიან ცნობილი ურალელი სამთო მრეწველები დემიდოვები.

სოფლელი შინამრეწველების ძლიერი კონკურენციის გამო (რამაც გამოიწვია აგრეთვე მრეწველების დაბრუნება ქალაქიდან სოფელში); მუშებმა მიმართეს სამოვრის, კლიტის, დანის, გარმონის სარეწებს (ტულის პირველი გარმონები გაჩნდა 1830—1835 წლებში).

სამოვრის სარეწი ახლა შემდეგნაირად არის მოწყობილი. სათავეში დგანან მსხვილი კაპიტალისტები, რომლებიც ფლობენ სახელოსნოებს, ათობით და ასობით დაქირავებული მუშებით, ამასთან ბევრ სადეტალო ოპერაციას ისინი აკისრებენ შინ მომუშავეთაც—როგორც ქალაქელებს, ისე სოფლელებს; სადეტალო ოპერაციების ამ შემსრულებლებს ხანდახან თვითონვე აქვთ სახელოსნოები, სადაც დაქირავებული მუშები ჰყავთ. იგულისხმება, რომ მსხვილ სახელოსნოებთან ერთად არის აგრეთვე წვრილებიც, კაპიტალისტებისაგან დამოკიდებულების ყველა თანმიმდევრობითი საფეხურით. შრომის დანაწილება ამ წარმოების მთელი წყობის საზოგადო საფუძველს შეადგენს. სამოვრის კეთების პროცესი შემდეგ ცალკეულ ოპერაციებად იყოფა: 1) სპილენძის ფინის მილებში ჩაწყობა (მომართვა); 2) მათი დაკავშირება; 3) წიბურების მოქლიბვა; 4) ქვესადგარების მიკეთება; 5) ნაწარმის კვერვა (ეგრეთწოდებული «тяхтание»); 6) შინაგანი მხარის წმენდა; 7) სამოვრისა და ყელის მოხარატება; 8) მოკალვა; 9) ქვედადგარებსა და ზედადგარებში წნეხით სასულის გახვრეტა; 10) სამოვრის აწყობა. ცალკე სამუშაოს შეადგენს აგრეთვე სპილენძის წვრილი ნაწილების ჩამოსხმა: ა) ჩამოყალიბება და ბ) ჩამოსხმა*. სამუშაოს სახლებში დარიგებისას თვითეულ ამ ოპერაციას შეუძლია განსაკუთრებული «შინამრეწველური» სარეწი შეჰქმნას. ერთი ასეთი «სარეწთაგანი» აღწერილია ბ-ნ ბორი-

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. X, ბ-ნ მანოხინის მიერ პერმის გუბ. სუქსუნის სამოვრის სარეწის საუცხოო აღწერა. ორგანიზაცია იგივეა, რაც ტულის სარეწში. შეად. იქვე, ნაკვ. IX, ბ-ნ ბორისოვის სტატია: 1882 წ. გამოფენაზე შინამრეწველური სარეწების შესახებ.

სოვის მიერ «შინამრეწველობის კომისიის შრომების» VII ნაკვეთში. ეს სარეწი (სამოვრის გამმართავი) იმაში მდგომარეობს, რომ გლეხები ვაჭრების მასალით ნარდ ფასად ასრულებენ ერთ-ერთ ზემოაღწერილ სადეტალო ოპერაციას. შინამრეწველები ქ. ტულიდან 1861 წლის შემდეგ სოფელში გადავიდნენ სამუშაოდ: სოფელში თავის რჩენა უფრო იაფია და მოთხოვნილების დონეც უფრო დაბალია (I. c., გვ. 893). ბ-ნი ბორისოვი «შინამრეწველის» ამ გამძლეობას სამართლიანად ხსნის სამოვრის ხელით კვერვის შენარჩუნებით: «სოფლელი შინამრეწველი ყოველთვის უფრო მისაღებია შემკვეთ-მეფაბრიკისათვის, იმიტომ რომ ის 10—20%-ით უფრო იაფად მუშაობს, ვიდრე ქალაქის ხელოსანი» (916).

სამოვრის წარმოების ოდენობას 1882 წ. ბ-ნი ბორისოვი განსაზღვრავდა დაახლოებით 5 მილიონი მანეთით და 4—5 ათასი მუშით (აგრეთვე შინამრეწველით). საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა ამ შემთხვევაშიც მთელი კაპიტალისტური მანუფაქტურის მხოლოდ ნაწილს მოიცავს. 1879 წ. «საძიებლის» ანგარიშით ტულის გუბერნიაში იყო სამოვრის 53 «ფაბრიკა» (ყველა ხელით მომუშავე) 1 479 მუშით და 836 ათასი მან. წარმოების თანხით. 1890 წ. «საძიებლით» — 162 ფაბრიკა — 2 175 მუშა — 1 100 ათასი მან., ოღონდ სახელდებულ სიაში შეტანილია მხოლოდ 50 ფაბრიკა (1 ორთქლისა) — 1 326 მუშა — 698 ათასი მან. ცხადია, აქ «ფაბრიკებისთვის» მიუმატებიათ ასეული წვრილი საწარმოც. ბოლოს, «სიის» ცნობით, 1894/95 წ. ყოფილა 25 ფაბრიკა (4 ორთქლისა) 1 202 მუშით (+607 განზე მომუშავე) და 1 613 ათასი მან. წარმოების თანხით. ამ ცნობებში არ შეიძლება ერთმანეთთან შედარებულ იქნას (ზემოხსენებული მიზეზით, აგრეთვე წინანდელ წლებში დაწესებულების მუშებისა და გარეთ მომუშავეთა ერთმანეთში არევის გამო) არც ფაბრიკების რაოდენობა, არც მუშების რიცხვი. უეჭველია მხოლოდ ის, რომ მსხვილი მანქანური ინდუსტრია უფრო და უფრო დევნის მანუფაქტურას: 1879 წ. ორ ფაბრიკას ჰყავდა 100 და მეტი მუშა;

1890 წ. — 2-ს (ერთი ორთქლისა), 1894/95 წ. — 4-ს (სამი ორთქლისა) *.

სრულიად ასეთივე ორგანიზაცია აქვს გარმონის სარეწს, რომელიც ეკონომიური განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე დგას **. «გარმონის წარმოებაში ათზე მეტი ცალკე სპეციალობა იღებს მონაწილეობას» («შინამრეწველობის კომისიის შრომები», IX, 236); გარმონის სხვადასხვა ნაწილის დამზადება ან ზოგიერთი სადეტალო ოპერაციის წარმოება ცალკე, quasi-დამოუკიდებელი «შინამრეწველური» სარეწების საგანს შეადგენს. «ჩვეულებრივ დროს ყველა შინამრეწველი მუშაობს ფაბრიკებისათვის ან მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი სახელოსნოებისათვის, რომელთა მეპატრონეებისაგან ღებულობენ მასალას; გარმონის გაძლიერებული მოთხოვნისას კი ჩნდება მრავალი წვრილი მწარმოებელი, რომელნიც შინამრეწველებისაგან იძენენ ცალკე ნაწილებს, თვითონ აწყობენ გარმონს, მიაქვთ ადგილობრივ დუქნებში—მაღაზიებში, სადაც მაშინ გარმონს დიდი ხალისით ყიდულობენ» (ibid.). ბ-ნ ბორისოვის გამოანგარიშებით, 1882 წ. ამ სარეწში ითვლებოდა 2 — 3 ათასი მუშა და 4 მილიონამდე მანეთის წარმოება; საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკით 1879 წ. იყო ორი «ფაბრიკა» 22 მუშით, წარმოების

* როგორც ჩანს, ანალოგიური ნიშნები ახასიათებენ ქ. ტულისა და მისი მიდამოების საზეინკლო სარეწების ორგანიზაციას. ბ-ნ ბორისოვის ანგარიშით, 1882 წ. ამ სარეწებში ჩაბმული იყო 2 — 3 ათასი მუშა, რომლებიც დაახლოებით $2^1/_2$ მილიონი მანეთის ნაწარმს ამზადებდნენ. ამ «შინამრეწველების» სავაჭრო კაპიტალსადმი დამორჩილება ძალიან დიდია. ტულის გუბერნიის კავეულობის «ფაბრიკებსაც» ჰყავთ ხანდახან განზე მომუშავენი (შეად. «სია», გვ. 393 — 395).

** გარმონის წარმოების განვითარება საინტერესოა აგრეთვე, როგორც პირველყოფილი ხალხური ინსტრუმენტების გამოდევნის პროცესი და როგორც ფართო, ნაციონალური ბაზრის შექმნის პროცესი: ასეთი ბაზრის უქონლად შრომის დეტალობრივი დანაწილება ვერ იქნებოდა, ხოლო შრომის დაუნაწილებლად პროდუქტი ვერ გაიაფდებოდა: «გარმონმა (თავისი) სიიაფის წყალობით თითქმის საყოველთაოდ განდევნა პირველყოფილი სიმებიანი ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტი — ბალალაიკა» («შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. IX, გვ. 2276).

თანხა 5 ათასი მან.; 1890 წ. — 19 ფაბრიკა 275 მუშით, წარმოების თანხა 82 ათასი მან.; 1894/95 წ. — 1 ფაბრიკა 23 მუშით (პლუს 17 განზე მომუშავე), წარმოების თანხა—20 ათასი მან.*. ორთქლის ძრავი სრულებით არ იხმარება. ციფრების მთელი ეს ნახტომები ცხადჰყოფენ იმ გარემოებას, რომ ცალკე საწარმონი, რომელნიც წარმოადგენენ კაპიტალისტური მანუფაქტურის რთული ორგანიზმის შემადგენელ ნაწილს, სულ შემთხვევით არიან ამოგლეჯილნი მთლიანი პროცესიდან.

III. ტექნიკა მანუფაქტურაში. შრომის დანაწილება და მისი მნიშვნელობა

ახლა გავაკეთოთ დასკვნები ზემომოყვანილი ცნობებიდან და განვიხილოთ, თუ რამდენად ახასიათებენ ისინი ჩვენს მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების განსაკუთრებულ სტადიას.

ყველა ჩვენ მიერ განხილული სარეწის საერთო ნიშანს შეადგენს ხელით წარმოების შენარჩუნება და შრომის სისტემატური, ფართოდ გატარებული დანაწილება. წარმოების პროცესი იყოფა რამდენიმე სადეტალო ოპერაციად, რომელთაც ასრულებენ სხვადასხვა სპეციალისტი-ხელოსნები. ასეთი სპეციალისტების მომზადება საკმაოდ ხანგრძლივ სწავლებას მოითხოვს, და ამიტომ მანუფაქტურის ბუნებრივი თანამგზავრია შ ე გ ი რ დ ო ბ ა. ცნობილია, რომ სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის საერთო ვითარებაში ეს მოვლენა იწვევს პირადი დამოკიდებულებისა და ექსპლოატაციის ყველაზე ცუდ ფორმებს **. შეგირდობის გაქრობა დაკავშირებულია

---

* ქ. ტულის 1891 წ. 29 ნოემბრის აღწერით ქალაქში იყო 36 დაწესებულება, რომელიც გარმონს ვაჭრობდა, და 34 საგარმონო სახელოსნო (იხ. «ტულის გუბ. 1895 წ. სამახსოვრო წიგნაკი», ტულა, 1895).

** დავკმაყოფილდებით ერთი მაგალითით. კურსკის გუბ. გრაივოროონის მაზრის დაბა ბორისოვკაში არსებობს ხატის სამხატვრო სარეწი, რომელსაც 500-მდე კაცი მისდევს. ხელოსნებს უმეტეს ნაწილად არ სჭირდებათ დაქირავებული მუშები, მაგრამ მათ ჰყავთ შეგირდები, რომლებიც

მანუფაქტურის უფრო მაღალ განვითარებასთან და მსხვილი მანქანური ინდუსტრიის წარმოშობასთან, როცა მანქანები minimum-ამდე ამცირებენ სწავლების პერიოდს ან როცა ისეთი მარტივი სადეტალო ოპერაციები ჩნდება, რომ მათი შესრულება ბავშვებსაც კი შეუძლიათ (იხ. ზემოთ ზაგარიეს მაგალითი).

ხელის წარმოების, როგორც მანუფაქტურის ბაზისის, შენარჩუნებით აიხსნება ის შედარებითი უმოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით გვხვდება თვალში მანუფაქტურისა და ფაბრიკის დაპირდაპირების დროს. შრომის დანაწილების განვითარება და გაღრმავება ძალიან ნელა ხდება, ასე რომ მანუფაქტურა მთელი ათეული წლობით (და საუკუნეობითაც კი) ინარჩუნებს ერთხელ მიღებულ ფორმას: ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვენ მიერ განხილული სარეწებიდან ძალიან ბევრი მეტად ძველი წარმოშობისაა, და მიუხედავად ამისა უკანასკნელ დრომდე მათი უმრავლესობის წარმოების წესებში არავითარი ღრმა ცვლილება არ მომხდარა.

რაც შეეხება შრომის დანაწილებას, ჩვენ აქ არ გავიმეორებთ თეორიული ეკონომიის საყოველთაოდ ცნობილ დებულებებს მის როლზე შრომის საწარმოო ძალთა განვითარების პროცესში. ხელით წარმოების ნიადაგზე ტექნიკის სხვანაირი პროგრესი, თუ არა შრომის დანაწილების სახით, შეუძლებელიც იქნებოდა *. აღვნიშნავთ მხოლოდ ორ ყველაზე

---

14 — 15 საათს მუშაობენ დღეში. ეს ხელოსნები სამხატვრო სკოლის დაარსების აზრს მტრულად შეხვდნენ, რადგან ეშინოდათ არ დაკარგოდათ მუქთი მუშა-ძალა შეგირდების სახით («ანგარიშები და გამოკვლევები», 1, 333). შინ მუშაობისას ბავშვების მდგომარეობა კაპიტალისტურ მანუფაქტურაში შეგირდების მდგომარეობაზე უკეთესი არ არის, ვინაიდან შინამომუშავე იძულებულია nec plus ultra (უკიდურეს საზღვრამდე. რ ე დ.) გაადიდოს სამუშაო დღე და დასჭიმოს ოჯახის წევრთა მთელი ძალღონე.

* «მსხვილი წარმოების საშინაო ფორმა და მანუფაქტურა აუცილებელი და რამდენიმედ სასურველი გამოსავალია წვრილი დამოუკიდებელი მრეწველობისათვის, როცა ის დიდ რაიონს მოიცავს» (ხარიზომენოვი, «იურიდიული მოამბე», 1883, № 11, გვ. 435).

მნიშვნელოვან გარემოებას, რომლებიც გვირკვევენ შრომის დანაწილების, როგორც მსხვილი მანქანური ინდუსტრიისათვის მოსამზადებელი სტადიის, აუცილებლობას. ჯერ ერთი, წარმოების პროცესის მხოლოდ მთელ რიგ უმარტივეს წმინდა მექანიკურ ოპერაციებად დანაწევრება იძლევა საშუალებას შემოღებულ იქნას მანქანები, რომლებსაც თავდაპირველად უმარტივესი ოპერაციებისათვის იყენებენ და მხოლოდ თანდათან ეუფლებიან უფრო რთულ ოპერაციებს. მაგალითად, საფეიქრო საქმეში მექანიკურმა დაზგამ უკვე დიდი ხანია დაიმორჩილა უბრალო ქსოვილების წარმოება, მაშინ როდესაც აბრეშუმის ქსოვა უმთავრესად ისევ ხელით წარმოებს; საზეინკლო საქმეში მანქანას იყენებენ უწინარეს ყოვლისა ერთ-ერთი უმარტივესი ოპერაციისათვის — გახეხვისათვის და სხვ. მაგრამ წარმოების ეს დაქუცმაცება უმარტივეს ოპერაციებად, — მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელი მოსამზადებელი ნაბიჯია მსხვილი მანქანური წარმოების შემოსაღებად, — ამავე დროს წვრილ სარეწთა ზრდას იწვევს. ახლომახლო მყოფ მოსახლეობას საშუალება ეძლევა ამგვარი სადეტალო ოპერაციები აწარმოოს შინ, ან მანუფაქტურისტების შეკვეთით და მათი მასალით (ჯაგრის ჩასმა ჯაგრის მანუფაქტურაში, ცხვრის ტყავის, ქურქის, ხელჯაგის, ფეხსაცმლის და სხვ. კერვა ტყავის წარმოებაში, სავარცხლის დახვეწა სავარცხლის მანუფაქტურაში, სამოვრის «მომართვა» და სხვ.), ანდა «დამოუკიდებლად» შეიძინოს მასალა, დაამზადოს პროდუქტის ცალკე ნაწილები და მიყიდოს ისინი მანუფაქტურისტებს (ქუდის, ეტლის, გარმონის სარეწი და სხვ.). ეს თითქოს პარადოქსია: წვრილი (ხანდახან «დამოუკიდებელი») სარეწების ზრდა, როგორც კაპიტალისტური მანუფაქტურის ზრდის გამოხატულება, — მაგრამ ეს მაინც ფაქტია. ასეთ «შინამრეწველთა» «დამოუკიდებლობა» სავსებით ფიქციურია. მათი საქმე ვერ წარიმართებოდა, მათ პროდუქტს ზოგჯერ არავითარი სახმარი ღირებულებაც კი არ ექნებოდა სხვა სადეტალო სამუშაოებთან, პროდუქტის სხვა ნაწილებთან დ ა უ კ ა ვ შ ი რ ე ბ ლ ა დ. ეს დაკავშირება

კი შეეძლო შეექმნა* და კიდეც შეჰქმნა მხოლოდ მ ს ხ ვ ი ლ მ ა კ ა პ ი ტ ა ლ მ ა, რომელიც (ამა თუ იმ ფორმით) გაბატონებულია მედეტალე მუშათა მასაზე. ნაროდნიკული ეკონომიის ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა მდგომარეობს იმ ფაქტის უგულებელყოფასა თუ მიჩქმალვაში, რომ მედეტალე-«შინამრეწველი» კაპიტალისტური მანუფაქტურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მეორე გარემოება, რომელსაც განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, არის მანუფაქტურის მიერ დახელოვნებული მუშების მომზადება. მსხვილი მანქანური ინდუსტრია რეფორმისშემდგომ პერიოდში ესოდენ სწრაფად ვერ განვითარდებოდა, მანუფაქტურის მიერ მუშების მომზადების ხანგრძლივი ეპოქა რომ არ ყოფილიყო გავლილი. მაგ., ვლადიმირის გუბ. პოკროვსკის მაზრის «შინამრეწველური» ფეიქრობის მკვლევარნი აღნიშნავენ კუდიკინის თემის ფეიქრების შესანიშნავ «ტექნიკურ ხერხიანობასა და გამოცდილებას» (ამ თემშია სოფ. ორეხოვო და მოროზოვების ცნობილი ფაბრიკები): «ვერსად... ვერ ვნახულობთ ჩვენ შრომის ასეთ დაძაბულობას... აქ ყოველთვისაა შრომის მკაცრი დანაწილება მქსოველსა და მემასრეს შორის... კუდიკელებს წარსულმა... გამოუმუშავა... წარმოების სრულყოფილი ტექნიკური წესები... ყოველგვარ სიძნელეში გარკვევის უნარი»**. «არ შეიძლება ყოველ სოფელში ფაბრიკა ააგოთ და რამდენიც გინდათ იმდენი ააგოთ»,— ვკითხულობთ აბრეშუმის ქსოვის შესახებ: «ფაბრიკა უნდა მიჰყვებოდეს მქსოველს იმ სოფლებში, სადაც უკვე წარმოიშვა გარესამუშაოზე გასვლის» (ან დავუმატებთ, საშინაო მუშაობის) «გზით საქმის მცოდნე მუშაკების კონტინგენტი» ***. ისეთი საწარმონი,

* რატომ მხოლოდ კაპიტალმა შ ე ს ძ ლ ო ამ კავშირის შექმნა? იმიტომ, რომ სასაქონლო წარმოება, როგორც ვნახეთ, წარმოშობს წვრილ მწარმოებელთა დაქუცმაცებულობას და იწვევს მათს სრულ დაშლას, იმიტომ რომ წვრილმა სარეწებმა მემკვიდრეობად დაუტოვეს მანუფაქტურას კაპიტალისტური სახელოსნოები და სავაჭრო კაპიტალი.

** «ვლადიმირის გუბ. მრეწველობა», IV, 22.

*** Ib., III, 63.

როგორიც არის პეტერბურგის ფეხსაცმლის ფაბრიკა [118]*, ვერ განვითარდებოდნენ ისე სწრაფად, რომ, მაგალითად, სოფ. კიმრის რაიონში საუკუნეობით არ გამომუშავებულიყვნენ დახელოვნებული მუშები, რომლებიც ახლა ამ მხარიდან გადიან; და სხვ. ამიტომ, სხვათა შორის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მანუფაქტურა ჰქმნის მთელ რიგ მსხვილ რაიონებს, რომლებიც დასპეციალდნენ განსაზღვრულ წარმოებაში და რომლებმაც მრავალი დახელოვნებული მუშა წარმოშვეს **.

კაპიტალისტურ მანუფაქტურაში შრომის დანაწილება ამახინჯებს და ასახიჩრებს მუშას, აგრეთვე მედეტალე-„შინამრეწველსაც». ჩნდებიან შრომის დანაწილების ვირტუოზები და ხეიბრები; პირველნი — როგორც იშვიათი ერთეულები, რომელთაც განცვიფრებაში მოჰყავთ მკვლევარნი ***; მეორენი — როგორც მასობრივი გაჩენა «შინამრეწველებისა», რომლებიც მკერდსუსტი, უზომოდ განვითარებული ხელების მქონე, «ცალმხრივად კუზიანები»**** არიან და სხვ. და სხვ.

---

* 1890 წ. — 514 მუშა, 600 ათასი მან. წარმოება; 1894/95 წ. — 845 მუშა, 1 288 ათასი მან.

** ძალიან მოსწრებულად ახასიათებს ამ მოვლენას ტერმინი: «საბითუმო ხელოსნობა». «XVII საუკუნიდან, — ვკითხულობთ კორსაკის შრომაში, — სოფლის მრეწველობამ უფრო საგრძნობლად დაიწყო განვითარება: დიდ გზებზე მდებარე მთელმა სოფლებმა, განსაკუთრებით მოსკოვის ახლო-მახლო სოფლებმა, ერთი რომელიმე ხელობის წარმოება დაიწყეს; ზოგი სოფლის მცხოვრებნი მეტყავეები გახდნენ, ზოგისა — ფეიქრები, ზოგისა კიდევ — მღებავები, მეფორნეები, მჭედლები და სხვ.... გასული საუკუნის დამლევს ეს ს ა ბ ი თ უ მ ო ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა, როგორც მას უწოდებენ ზოგიერთები, რუსეთში ძალიან განვითარდა» (l. c., 119 — 121).

*** დავკმაყოფილდებით ორი მაგალითით: სახელგანთქმული პავლოველი მეკლიტე ხვოროვი თითო მისხლიდან 24 ცალ კლიტეს აკეთებდა; ასეთი კლიტის ცალკე ნაწილები ქინძისთავის თავის ოდენა იყო (ლაბზინი, l. c., გვ. 44). მოსკოვის გუბერნიის სათამაშოების ერთი ოსტატი თითქმის მთელ თავის სიცოცხლეში შესაბმელ ცხენებს აკეთებდა და იქამდე მივიდა, რომ დღეში ამზადებდა 400 ცალამდე («მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VI, ნაკვ. II, გვ. 38 — 39).

**** ასე ახასიათებს ბ-ნი გრიგორიევი პავლოველ შინამრეწველებს. «მე შევხვდი ერთ ასეთ მუშას, რომელიც 6 წელიწადი მუშაობდა ერთსა

IV. შრომის ტერიტორიული დანაწილება და მიწათმოქმედების გამოყოფა მრეწველობისაგან

საზოგადოდ შრომის დანაწილებასთან უშუალოდ დაკავშირებულია, როგორც უკვე აღინიშნა, შრომის ტერიტორიული დანაწილება, ცალკეული რაიონების სპეციალიზაცია ერთი პროდუქტის, ზოგჯერ ერთი ხარისხის პროდუქტის ან კიდევ პროდუქტის განსაკუთრებული ნაწილის წარმოებაში. ხელით წარმოების ჭარბობა, მრავალი წვრილი საწარმოს არსებობა, მომუშავის კავშირის შენარჩუნება მიწასთან, ხელოსნის მიჯაჭვა რომელიმე სპეციალობაზე, — ყოველივე ეს აუცილებლად განაპირობებს მანუფაქტურის ცალკე სამრეწველო ოლქების კარჩაკეტილობას; ხანდახან ეს ადგილობრივი კარჩაკეტილობა აღწევს სრულ მოწყვეტას დანარჩენი ქვეყნიერებისაგან, რომელთანაც კავშირი აქვთ მხოლოდ ვაჭარ-მეპატრონეთ *.

ქვემოთ მოყვანილ ტირადაში ბ-ნ ხარიზომენოვი საკმარისად ვერ აფასებს შრომის ტერიტორიული დანაწილების მნიშვნელობას: «იმპერიის თვალუწვდენელი სივრცე დაკავშირებულია ბუნებრივი პირობების დიდ სხვადასხვაობასთან: ერთი ადგილი მდიდარია ტყით და ნადირით, მეორე — პირუტყვით, მესამეში უხვადაა თიხა ან რკინის საბადოები. ეს ბუნებრივი თვისებები განსაზღვრავდნენ მრეწველობის ხასიათსაც. დიდი მანძილი და მიმოსვლის სიძნელე შეუძლებელს ხდიდა ან ძალიან აძვირებდა ნედლეულის გადატან-გადმოტანას. ამის გამო სარეწი ძალაუნებურად უნდა შეკუნჭულიყო იმ ადგილას, სადაც ხელთ ჰქონდათ უხვი ნედლი მასალა. აქედან წარმოსდგა ჩვენი მრეწველობის ნიშანდობლივი თვისება — სასაქონლო წარმოების სპეციალიზაცია უდი-

---

და იმავე გირაგთან და რომელსაც თავისი შიშველი მარცხენა ფეხით იატაკის ფიცარი ნახევარზე მეტად ჩაედრმავებინა; ის მწარე ირონიით ამბობდა, მეპატრონეს უნდა გამაგდოს, როცა ფიცარი ჩემი დგომით მთლად ჩაინგრევაო» (დას. თხზ., გვ. 108—109).

* სინჯაფის სარეწი კარგოპოლის მაზრაში, კოვზის სარეწი სემიონოვის მაზრაში.

დესი და მთლიანი რაიონების მიხედვით» («იურიდ. ვესტნიკ», l. c., გვ. 440).

შრომის ტერიტორიული დანაწილება ნიშანდობლივი თვისებაა არა ჩვენი მრეწველობისა, არამედ მანუფაქტურისა (როგორც რუსეთში, ისე სხვა ქვეყნებში); წვრილი სარეწები ვერ ჰქმნიდნენ ასეთ ფართო რაიონებს, ფაბრიკამ დაარღვია მათი კარჩაკეტილობა და გააადვილა საწარმოების და მუშათა მასის სხვა ადგილებში გადატან-გადაყვანა. მანუფაქტურა არათუ ჰქმნის მთლიან რაიონებს, არამედ ახდენს აგრეთვე სპეციალიზაციას ასეთი რაიონების შიგნით (შრომის დანაწილება საქონლის მიხედვით). ნედლეულის არსებობა ამა თუ იმ ადგილას სრულებითაც არაა სავალდებულო მანუფაქტურისათვის, და საეჭვოც კია ჩვეულებრივი იყოს მისთვის, ვინაიდან მანუფაქტურა უკვე საკმაოდ ფართო სავაჭრო ურთიერთობას გულისხმობს *.

მანუფაქტურის ზემოთ აღწერილ ნიშნებთან დაკავშირებულია ის გარემოება, რომ კაპიტალისტური ევოლუციის ამ სტადიას ახასიათებს მრეწველობისაგან მიწათმოქმედების გამოყოფის განსაკუთრებული ფორმა. ახლა ყველაზე ტიპიური მრეწველია არა გლეხი, არამედ «ოსტატი», რომელიც მიწათმოქმედებას აღარ მისდევს (მეორე პოლუსზე — ვაჭარი და სახელოსნოს მეპატრონე). უმეტეს შემთხვევაში (როგორც ზემოთ ვნახეთ) მანუფაქტურის ტიპის მიხედვით მოწყობილ სარეწებს აქვთ არასამიწათმოქმედო ცენტრები: ან ქალაქები ან (გაცილებით უფრო ხშირად) სოფლები, რომელთა მცხოვრებნი თითქმის აღარ მისდევენ მიწათმოქმედებას და რომელნიც სავაჭრო-სამრეწველო ხასიათის დაბებს უნდა მიეკუთვნონ. მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის გამოყოფას აქ ღრმა საფუძველი აქვს, რომელიც ჩაქსოვილია როგორც მანუფაქ-

* შემოტანილ (ე. ი. არა ადგილობრივ) ნედლეულს ამუშავებენ საფეიქრო სარეწები, პავლოვოს, გუელის, პერმის ტყავის სარეწები და მრავალი სხვ. (შეად. «ეტიუდები», გვ. 122 — 124). (იხ. თხზულებანი, ტომი მე-2, გვ. 449 — 453. რ ე დ.).

ტურის ტექნიკასა და ეკონომიკაში, ისე მის საყოფაცხოვრებო (ან კულტურულ) თავისებურებებში. ტექნიკა მუშას ერთ სპეციალობაზე აბამს და ამიტომ მას ხდის, ერთი მხრით, მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგრად (აუძლურებს და სხვ.), მეორე მხრით, მოითხოვს მისგან ოსტატობის განუწყვეტელ და ხანგრძლივ სწავლას. მანუფაქტურის ეკონომიური წყობა ხასიათდება მრეწველთა გაცილებით უფრო ღრმა დიფერენციაციით, ვიდრე წვრილ სარეწებში, — ხოლო ჩვენ ვნახეთ, რომ წვრილ სარეწებში, მრეწველობის დაშლის პარალელურად, სწარმოებს დაშლა მიწათმოქმედებაშიც. მწარმოებელთა მასის სრული გაღატაკების დროს, რომელიც მანუფაქტურის პირობაც არის და შედეგიც, — მისი მუშა პერსონალი არ შეიძლება შესდგეს ცოტად თუ ბევრად წესიერ მიწათმოქმედთაგან. მანუფაქტურის კულტურულ თავისებურებებს ეკუთვნის, ჯერ ერთი, სარეწის დიდი ხნის (ხანდახან საუკუნეობრივი) არსებობა, რაც განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამს მოსახლეობას; მეორეც, მოსახლეობის უფრო მაღალი საარსებო დონე*. ამ უკანასკნელ გარემოებას ახლა უფრო დაწვრილებით შევეხებით, მაგრამ ჯერ აღვნიშნავთ, რომ მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის

* ბ-ნი ვ. ვ. გვარწმუნებს თავის «შინამრეწველური სარეწების ნარკვევებში», რომ «ჩვენში... ძალიან ცოტაა ისეთი შინასამრეწველო კუთხეები, რომელთაც სავსებით მიეტოვებინოთ სოფლის მეურნეობა» (36), — ჩვენ ვნახეთ ზემოთ, რომ, პირიქით, ასეთი კუთხე ძალიან ბევრია, — და რომ «შრომის დანაწილების ის სუსტი გამოვლინება, რომელსაც ვხვდებით ჩვენს სამშობლოში, უფრო გლეხური მიწათმფლობელობის ოდენობის უცვლელობას უნდა მიეწეროს, ვიდრე სამრეწველო პროგრესის ენერგიასო...» (40). ბ-ნი ვ. ვ. ვერ ამჩნევს იმ გარემოებას, რომ ეს «შინასამრეწველო კუთხეები» განსხვავდებიან ტექნიკის, ეკონომიკის და კულტურის განსაკუთრებული წყობით, რომ ისინი ახასიათებენ კაპიტალიზმის განვითარების განსაკუთრებულ სტადიას. მთავარი, თურმე, ისაა, რომ «სამრეწველო სოფლებმა» მეტნაწილად «მცირე ნადელი» მიიღეს (39) — (1861 წ., როდესაც მათი სამრეწველო ცხოვრება ათეული და ხანდახან ასეული წლობით განიზომებოდა!) — და, ცხადია, მთავრობის ეს შეცდომა რომ არ ყოფილიყო, არც კაპიტალიზმი იქნებოდაო.

სრულ გამოყოფას მანუფაქტურა ვერ ახდენს. ხელის ტექნიკის დროს მსხვილ საწარმოებს არ შეუძლიათ სავსებით გამოდევნონ წვრილები, მეტადრე თუ წვრილი შინამრეწველნი ახანგრძლივებენ სამუშაო დღეს და ამცირებენ თავის მოთხოვნილებათა დონეს: როგორც ვნახეთ, ასეთ პირობებში მანუფაქტურა კიდეც ავითარებს წვრილ სარეწებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ მანუფაქტურის არასამიწათმოქმედო ცენტრის გარეშემო ჩვენ ვხედავთ უმეტეს შემთხვევაში მიწათმოქმედი დაბების მთელ ოლქს, რომლის მცხოვრებნიც აგრეთვე სარეწებს მისდევენ. მაშასადამე, ამ მხრივაც მკაფიოდ ჩანს, რომ მანუფაქტურას ხელით წვრილ წარმოებასა და ფაბრიკას შორის გარდამავალი ხასიათი აქვს. კაპიტალიზმის მანუფაქტურულმა პერიოდმა თუ კი დასავლეთშიც ვერ შესძლო მოეხდინა სამრეწველო მუშების სრული გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან *, — ცხადია, რუსეთში, სადაც შემორჩენილია მრავალი დაწესებულება, რომლებიც გლეხებს მიწაზე ამაგრებენ, ასეთი გამოყოფა არ შეიძლებოდა არ დაგვიანებულიყო. ამიტომ, ვიმეორებთ, რუსეთის კაპიტალისტური მანუფაქტურისათვის ყველაზე ტიპიურია არასამიწათმოქმედო ცენტრი; ეს ცენტრი თავისკენ იზიდავს მოსახლეობას ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდან, — რომელთა მცხოვრებნი ნახევრად მიწათმოქმედნი, ნახევრადმრეწველნი არიან, — და იგი ამ სოფლებზე ბატონობს.

ამასთან განსაკუთრებით საყურადღებოა ასეთი არასამიწათმოქმედო ცენტრების მოსახლეობის უფრო მაღალი კულტურული დონე. წერა-კითხვის მცოდნეობის უფრო მაღალი პროცენტი, მოთხოვნილებათა და ცხოვრების გაცილებით უფრო მაღალი დონე, «უფერული» «დედა-სოფლისაგან» მკვეთრად ჩამოშორება — ასეთია ამგვარი ცენტრების მცხოვრებთა ჩვეულებრივი დამახასიათებელი ნიშნები **. ცხადია,

* «Das Kapital», I², 779 — 780 [110].

** ამ ფაქტის დიდი მნიშვნელობა გვაიძულებს II §-ში მოყვანილი ცნობები შევავსოთ კიდევ შემდეგით. ვორონეჟის გუბერნიის ბობროვის

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს, რომელიც ნათლად მოწმობს კაპიტალიზმის, ამასთან წმინდა «სახალხო» კაპიტალიზმის პროგრესულ ისტორიულ როლს, და მის «ხელოვნურობაზე» არა გვგონია უკიდურესმა ნაროდნიკმაც კი გაბედოს ლაპარაკი, ვინაიდან დახასიათებული ცენტრების უდიდესი უმრავლესობა ჩვეულებრივ «შინამრეწველობას» ეკუთვნის! მანუფაქტურის გარდამავალი ხასიათი აქაც ჩანს, რადგან მოსახლეობის სულიერი სახის გარდაქმნას ის მხოლოდ იწყებს, ამთავრებს კი მსხვილი მანქანური ინდუსტრია.

მაზრის დაბა ბუტურლინოვკა ტყავის წარმოების ერთი ცენტრთაგანია. აქ არის 3 681 კომლი, მათგან მიწათმოქმედებას აღარ მისდევს 2 383. მცხოვრებთა რიცხვი 21 ათასს კაცს აღემატება. აქედან წერა-კითხვის მცოდნე კომლია 53%, წინააღმდეგ 38%-ისა მაზრაში (ბობროვის მაზრის საერობო-სტატისტიკური კრებული). სამარის გუბ. დაბა პოკროვსკაიასა და სოფელ ბალაკოვოში 15 ათასზე მეტი მცხოვრებია თვითეულში, მათ შორის ძალიან ბევრია გარეშეც. მეურნეობას მოკლებულია 50% და 42%. წერა-კითხვის მცოდნეობა საშუალოზე მაღალია. სტატისტიკა აღნიშნავს, რომ სავაჭრო-სამრეწველო სოფლები ს ა ზ ო გ ა დ ო დ განირჩევიან წერა-კითხვის მცოდნეობის უფრო მაღალი დონით და «უმეურნეო კომლთა მასობრივად გაჩენით» (ნოვოუზენსკისა და ნიკოლაევის მაზრების საერობო-სტატისტიკური კრებულები). — «შინამრეწველთა» უფრო მაღალი კულტურული დონის შესახებ შეად. კიდევ «შინამრეწველობის კომისიის შრომები», III, გვ. 42; VII, გვ. 914; სმირნოვი, l. c., გვ. 59; გრიგორიევი, l. c., გვ. 106 და შემ.; ანენსკი, l. c., გვ. 61; «ნიჟნი-ნოვგოროდის კრებული», ტ. II, გვ. 223—239; «ანგარიშები და გამოკვლევები», II, გვ. 243; III, 151. შემდეგ «ვლად. გუბ. სარეწები», III, გვ. 109 — ცოცხლად გადმოცემულია ის საუბარი, რომელიც გაუმართავს მკვლევარს, ბ-ნ ხარიზომენოვს, თავის მეეტლესთან — აბრეშუმის ფეიქართან. ეს ფეიქარი სასტიკად და მკაცრად კიცხავს გლეხთა «უფერულ» ცხოვრებას, მათი მოთხოვნილების დაბალ დონეს, მათ განუვითარებლობას და სხვ. და, ბოლოს, ასეთი წამოძახილით ამთავრებს: «ჰე, ღმერთო, რისთვის-ღა ცხოვრობენ ეს ადამიანები!» უკვე დიდი ხანია შემჩნეულია, რომ რუსი გლეხი ყველაზე უფრო ღარიბია თავისი სიღარიბის შეგნებით. კაპიტალისტური მანუფაქტურის (ფაბრიკა რომ აღარ ვახსენოთ) ოსტატის შესახებ უნდა ითქვას, რომ ა მ მ ხ რ ი ვ ის შედარებით ძალიან მდიდარია.

V. მანუფაქტურის ეკონომიური ფუძეა

ჩვენ მიერ განხილულ, მანუფაქტურის ტიპის მიხედვით მოწყობილ, ყველა სარეწში მუშათა დიდი უმრავლესობა დამოკიდებულია კაპიტალზე, მას ემორჩილება, იღებს მხოლოდ ხელფასს, არ ფლობს არც ნედლ მასალას და არც მზა პროდუქტს. არსებითად, ამ «სარეწებში» მუშების დიდი უმრავლესობა დაქირავებული მუშები არიან, თუმცა ეს ურთიერთობა მანუფაქტურაში ვერასოდეს ვერ აღწევს იმ სისრულეს და სიწმინდეს, რომელიც ფაბრიკას ახასიათებს. მანუფაქტურაში სამრეწველო კაპიტალთან მრავალნაირად გადაწნული და გადახლართულია სავაჭრო კაპიტალი, და კაპიტალისტისაგან მომუშავის დამოკიდებულება იღებს ბევრ სხვადასხვა ფორმასა და ელფერს, დაწყებული დაქირავებული მუშაობით სხვის სახელოსნოში, გაგრძელებული «მეპატრონისათვის» შინ მუშაობით და გათავებული ნედლეულის შეყიდვის თუ პროდუქტის გასაღების საქმეში დამოკიდებულებით. დამოკიდებულ მუშათა მასის გვერდით მანუფაქტურის დროს ყოველთვის არის quasi-დამოუკიდებელ მწარმოებელთა ცოტად თუ ბევრად საგრძნობი რიცხვი. მაგრამ დამოკიდებულების ფორმების მთელი ეს სიჭრელე მხოლოდ ფარავს მანუფაქტურის იმ ძირითად ნიშანს, რომ აქ უკვე მთელი ძალით აშკარავდება განხეთქილება შრომის და კაპიტალის წარმომადგენლებს შორის. გლეხთა განთავისუფლების დროისათვის ჩვენი მანუფაქტურის უდიდეს ცენტრებში ეს განხეთქილება უკვე რამდენიმე თაობის მონაცვლეობით იყო განმტკიცებული. ყველა ზემოთ განხილულ «სარეწში» ჩვენ ვხედავთ მოსახლეობის მასას, რომელსაც არავითარი საარსებო სახსარი არ გააჩნია, გარდა მქონებელი კლასის პირთაგან დამოკიდებული მუშაობისა, ხოლო მეორე მხრით ვხედავთ შეძლებულ მრეწველთა პატარა უმცირესობას, რომლის ხელშია (ამა თუ იმ ფორმით) რაიონის თითქმის მთელი წარმოება. აი ეს ძირითადი ფაქტი აძლევს ჩვენს მანუფაქტურას მკვეთრად გამოხატულ კაპიტალისტურ ხასიათს წინა სტადიისაგან განსხვავებით. კაპიტალისაგან დამოკიდე-

ბულება და დაქირავებით მუშაობა იქაც იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო რაიმე მტკიცე ფორმად ჩამოყალიბებული, არ მოიცავდა მრეწველთა მასას, მოსახლეობის მასას, არ იწვევდა განხეთქილებას წარმოების მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის. წარმოებაც წინა სტადიაში თვითონ ინარჩუნებს კიდევ წვრილ ხასიათს — განსხვავება მეპატრონესა და მუშას შორის შედარებით მცირეა, — მსხვილი კაპიტალისტები (რომელნიც ყოველთვის სათავეში უდგანან მანუფაქტურას) თითქმის არ არიან, — არ არიან მედეტალე მუშებიც, რომელნიც მიჯაჭვულნი იყვნენ ერთ ოპერაციაზე და ამით მიჯაჭვულნი იყვნენ კაპიტალზეც, რაც ამ სადეტალო ოპერაციებს ერთ საწარმოო მექანიზმად აერთიანებს.

აი ერთი ძველი მწერლის ცხობა, რომელიც ნათლად ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მონაცემების ამ დახასიათებას: «სოფ. კიმრში, ისე როგორც სხვა ეგრეთწოდებულ მდიდარ რუსულ სოფლებში, მაგ., პავლოვოში, ნახევარი მოსახლეობა ლატაკები არიან, რომელნიც მარტო მოწყალებით ცხოვრობენ... თუ მომუშავე ავად გახდა და ამავე დროს ის მარტოხელა კაცია, შეიძლება შემდეგ კვირაში ულუკმაპუროდ დარჩეს» *.

ამრიგად, უკვე 60-იან წლებში სავსებით გამომჟღავნდა ძირითადი თვისება ჩვენი მანუფაქტურის ეკონომიკისა: დაპირისპირებულობა მთელი რიგი «შესანიშნავი» «სოფლების» «სიმდიდრესა» და «შინამრეწველთა» უდიდესი უმრავლესობის სრულ პროლეტარიზაციას შორის. ამ თვისებასთან დაკავშირებულია ის გარემოება, რომ მანუფაქტურის ყველაზე ტიპიური მომუშავენი (სახელდობრ ის ოსტატები, რომლებსაც მიწასთან სავსებით ან თითქმის სავსებით გაუწყვეტიათ კავშირი) ეტანებიან კაპიტალიზმის არა წინა სტადიას, არამედ მის

* ნ. ოვსიანიკოვი. «ვოლგისპირეთის ზედა ნაწილის დამოკიდებულება ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობისადმი». სტატია «ნიჟნი-ნოვგოროდის კრებულში», ტ. II (ნ.-ნ. 1869). ავტორი ემყარება სოფ. კიმრის შესახებ 1865 წლის ცნობებს. ეს მწერალი ბაზრობის მიმოხილვასთან ერთად ახასიათებს ბაზრობაზე წარმოდგენილ სარეწებში არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას.

შემდგომ სტადიას, უფრო ახლოს დგანან მსხვილი მანქანური ინდუსტრიის მუშასთან, ვიდრე გლეხთან. ზემომოყვანილი ცნობები შინამრეწველთა კულტურული დონის შესახებ ამას ნათლად ადასტურებენ. მაგრამ ასეთი შეხედულების გავრცელება მანუფაქტურის მუშათა პერსონალის მთელ მასაზე არ შეიძლება. წვრილი საწარმოებისა და წვრილი მეპატრონეების მასის ისევ არსებობა, მიწასთან კავშირის შენარჩუნება და შინმუშაობის უაღრესად ფართო განვითარება, — ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ მანუფაქტურაში ჩაბმული მეტად ბევრი «შინამრეწველი» ისევ გლეხობას ეტანება, ისწრაფის წვრილ მეპატრონედ გადაიქცეს, ილტვის წარსულისაკენ და არა მომავლისაკენ*, ყოველგვარი ილუზიით ინუგეშებს თავს, თითქოს შესაძლებელი იყოს (უკიდურესად დაძაბული მუშაობით, მომჭირნეობისა და მოხერხების საშუალებით) დამოუკიდებელ მეპატრონედ გადაქცევა**. აი ამ წვრილბურჟუაზიული ილუზიების მეტად სამართლიანი შეფასება, რომელსაც იძლევა ვლადიმირის გუბერნიის «შინამრეწველური სარეწების» მკვლევარი:

«მსხვილი მრეწველობის საბოლოო გამარჯვება წვრილ მრეწველობაზე, მრავალრიცხოვან საფეიქრო ქოხებში გაფანტულ მომუშავეთა გაერთიანება ერთი აბრეშუმის ფაბრიკის კედლებში, მხოლოდ დროის საკითხია, და რაც უფრო მალე მოხდება ეს გამარჯვება, მით უკეთესია ფეიქრებისათვის.

აბრეშუმის მრეწველობის თანამედროვე ორგანიზაციას ახასიათებს ეკონომიური კატეგორიების მერყეობა და გაურკვევლობა, მსხვილი წარმოების ბრძოლა წვრილ წარმოებასთან და მიწათმოქმედებასთან. ეს ბრძოლა წვრილ მეპატრონეს და ფეიქარს აყიტაციის ტალღებში ითრევს, არაფერს არ აძლევს მათ, სწყვეტს მიწათმოქმედებისაგან, ავალიანებს და მთელი სიმძიმით ატყდება მათ თავს წარმოების შეჩერების დროს. წარმოების კონცენტრაცია არ შეამცირებს ფეიქრის ხელფასს, მაგრამ ის ზედმეტად გახდის მუშების გადაბირებასა და გაბრუებას, მათ მიზიდვას ბეს მიცემით, რომელიც

* სწორედ ისევე, როგორც მათი იდეოლოგი-ნაროდნიკები.

** მანუფაქტურულ პერიოდში ასეთი გადაქცევა კიდევ შესაძლებელია თვითმოქმედების ერთეული გმირებისათვის (როგორიც არის, მაგ., დუჟკინი ვ. კოროლენკოს «პავლოვოს ნარკვევებში»), მაგრამ ეს შეუძლებელია არაფრისმქონე მედეტალე მუშათა მასისათვის.

მათ წლიურ შემოსავალს არ შეესაბამება. ურთიერთი კონკურენციის შესუსტებისას მეფაბრიკეებს ინტერესი აღარ ექნებათ დიდძალი თანხები ხარჯონ იმისათვის, რომ ფეიქარი ვალებში გახვიონ. ამასთან მსხვილი წარმოება იმდენად აშკარად უპირდაპირებს ერთმანეთს მეფაბრიკისა და მომუშავეთა ინტერესებს, ერთის სიმდიდრეს და სხვების სიღატაკეს, რომ ფეიქარს არ შეიძლება თვითონ მეფაბრიკედ გადაქცევის მისწრაფება დაებადოს. წვრილი წარმოება ფეიქარს მეტს არ აძლევს, ვიდრე მსხვილი, მაგრამ მას არა აქვს ისეთი ურყევი ხასიათი, როგორიც უკანასკნელს აქვს, და ამიტომ ის გაცილებით უფრო ღრმად ხრწნის მუშას. ფეიქარ-შინამრეწველს რაღაც ყალბი პერსპექტივები ეხატება, ის ელის იმ მომენტს, რომელიც საშუალებას მისცემს თავისი ს ა კ უ თ ა რ ი დ ა ზ გ ა გ ა ი ჩ ი ნ ო ს. ამ იდეალის მისაღწევად ის მთელ ძალ-ღონეს ძაბავს, ვალში ვარდება, ქურდობს, სტყუის, თავის თანაამხანაგებში უკვე ხედავს არა ერთნაირ უბედურებაში მყოფ მეგობრებს, არამედ მტრებს, მეტოქეებს იმ უბადრუკი დაზგის შეძენის საქმეში, რომელიც ეხატება მას შორეულ მომავალში. წვრილ მეპატრონეს არ ესმის თავისი ეკონომიური სივგლახე. ის ელაქუცება შემყიდველებს და მეფაბრიკეებს, უმალავს ამხანაგებს ნედლეულის შეყიდვის და ფაბრიკატის გასაღების ადგილსა და პირობებს. მას თავისი თავი დამოუკიდებელ მეპატრონედ წარმოუდგენია, ნამდვილად კი ნებაყოფლობით ხდება საცოდავ ბრმა იარაღად, სათამაშოდ მსხვილი ვაჭრების ხელში. ჯერ ჭუჭყიდან ვერც კი ამომძვრალა, 3 — 4 დაზგა ძლივს გაუმართავს, და უკვე ლაპარაკობს მეპატრონის მძიმე მდგომარეობაზე, ფეიქრების სიზარმაცესა და ლოთობაზე, იმაზე, რომ მეფაბრიკე ვალების დაკარგვისაგან უზრუნველყოფილი უნდა იყოსო. წვრილი მეპატრონე სამრეწველო მონობის მოარული პრინციპია ისევე, როგორც დალოცვილ ძველ დროში მსახურთუფროსი და მეკუჭნავე ბატონყმური მონობის ცოცხალი განსახიერება იყვნენ. როდესაც წარმოების იარაღები სავსებით არაა გამოყოფილი მწარმოებლისაგან და უკანასკნელს შესაძლებლობა ეძლევა დამოუკიდებელი მეპატრონე გახდეს, როდესაც შემყიდველსა და ფეიქარს შორის არსებულ ეკონომიურ ნაპრალს აერთებენ მეფაბრიკეები. წვრილი მეპატრონენი და «ზაგლოდები», რომელნიც მართავენ და ყვლეფენ დაბალ ეკონომიურ კატეგორიებს და ამავე დროს თვითონვე იყვლიფებიან მაღალი კატეგორიების მიერ, — მაშინ მომუშავეთა საზოგადოებრივი შეგნება ბნელდება, ხოლო მათი წარმოდგენა ფიქციებით ირყვნება. ჩნდება კონკურენცია იქ, სადაც სოლიდარობა უნდა იყოს, ხოლო ერთიმეორისადმი არსებითად მტრული ეკონომიური ჯგუფების ინტერესები ერთიანდება. აბრეშუმის წარმოების თანამედროვე ორგანიზაცია არ კმაყოფილდება მარტო ეკონომიური ექსპლოატაციით, იგი თავის აგენტებს პოულობს ექსპლოატირებულთა შორის, მათი საშუალებით აბნელებს მომუშავეთა შეგნებას და რყვნის მათ გულსა და სულს» («ვლადიმირის გუბ. სარეწები», ნაკვ. III, გვ. 124—126).

VI. სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი მანუფაქტურაში. «შემუიდველი» და «მეფაბრიკე»

ზემომოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ მსხვილი კაპიტალისტური სახელოსნოების გვერდით კაპიტალიზმის განვითარების ხსენებულ საფეხურზე ჩვენ ყოველთვის ვხვდებით წვრილ საწარმოთა მეტად მნიშვნელოვან რაოდენობას; ეს უკანასკნელნი რიცხვით ჩვეულებრივ კიდეც ჭარბობენ, მაგრამ წარმოების საერთო ჯამში სავსებით დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ. მანუფაქტურის დროს წვრილ საწარმოთა ეს შემორჩენა (და განვითარებაც კი, როგორც ზემოთ ვნახეთ) სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ხელით წარმოების დროს მსხვილ საწარმოებს არა აქვთ გადამწყვეტი უპირატესობა წვრილ საწარმოთა წინაშე; შრომის დანაწილება, რაც უმარტივეს სადეტალო ოპერაციებს საჭიროდ ხდის, ხელს უწყობს წვრილ სახელოსნოთა გაჩენას. ამიტომ კაპიტალისტური მანუფაქტურისათვის ტ ი პ ი უ რ ი ა სწორედ შედარებით მსხვილ საწარმოთა მცირე რიცხვის არსებობა წვრილ საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობის გვერდით. არის თუ არა რაიმე კავშირი ამათ შორის? ზემომოყვანილი ცნობები ეჭვს არ სტოვებენ, რომ მათ შორის უმჭიდროესი კავშირი არსებობს, რომ მსხვილი საწარმონი სწორედ ამ წვრილი საწარმოებიდან იზრდებიან, რომ ზოგჯერ წვრილი საწარმონი მანუფაქტურის მხოლოდ გარეგან განყოფილებებს წარმოადგენენ, რომ მათ დამაკავშირებელ როლს უმრავლეს შემთხვევაში ასრულებს სავაჭრო კაპიტალი, რომელიც ეკუთვნის მსხვილ მეპატრონეებს და იმორჩილებს წვრილებს. მსხვილი სახელოსნოს მეპატრონემ ფართო მასშტაბით უ ნ დ ა აწარმოოს ნედლეულის შეყიდვა და ნაწარმის გასაღება; რაც უფრო დიდია მისი ვაჭრობის ბრუნვა, მით უფრო მცირდება (პროდუქტის ერთეულზე) საქონლის შეყიდვისა და გაყიდვის, მისი დაწუნების, შენახვისა და სხვ. და სხვ. ხარჯები, და აი იწყება მასალის ცალობრივ გაყიდვა წვრილ მეპატრონეებზე, შეყიდვა მათი ნაწარმისა, რასაც მანუფაქტურისტი ისე ჰყიდის,

როგორც საკუთარ ნაწარმს*. თუ ნედლეულის გაყიდვისა და ნაწარმის ყიდვის ამ ოპერაციებს (როგორც ეს ხშირად ხდება) კაბალა და მევახშეობა უერთდება, თუ წვრილი მეპატრონე მასალას ნისიად იღებს და ნაწარმს ნისიადვე აბარებს, მაშინ მსხვილი მანუფაქტურისტი თავის კაპიტალში ისეთ დიდ მოგებას იღებს, როგორსაც ის ვერასოდეს ვერ მიიღებდა დაქირავებული მუშებისაგან. შრომის დანაწილება ახალ ბიძგს აძლევს მსხვილი მეპატრონეებისაგან წვრილ მეპატრონეთა დამოკიდებულების ასეთი ურთიერთობის განვითარებას: პირველნი ან ოჯახებში არიგებენ მასალას დასამუშავებლად (ან განსაზღვრული სადეტალო ოპერაციების შესასრულებლად), ანდა იძენენ «შინამრეწველობისაგან» პროდუქტის ნაწილებს, განსაკუთრებული ხარისხის პროდუქტებს და სხვ. ერთი სიტყვით, უ ა ღ რ ე ს ა დ მ ჭ ი დ რ ო დ ა გ ა ნ უ ყ რ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ი ს ა ვ ა ჭ რ ო დ ა ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო კ ა პ ი ტ ა ლ ს შ ო რ ი ს მანუფაქტურის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თავისებურებაა. აქ «შემყიდველი» თითქმის ყოველთვის ენასკვება მანუფაქტურისტს («მეფაბრიკეს», ჩვეულებრივი, უმართებულო სახელწოდებით, რომლითაც ყოველი ცოტად თუ ბევრად დიდი

---

* ზემოხსენებულს დავუმატებთ კიდევ ერთ მაგალითს. მოსკოვის გუბერნიის ავეჯის სარეწში (1876 წლის ცნობები ბ-ნ ისაევის წიგნიდან) ყველაზე მსხვილი მრეწველები არიან ზენინები, რომლებმაც ძვირფასი ავეჯის წარმოება შემოიღეს და «დახელოვნებულ ოსტატთა მთელი თაობანი აღზარდეს». 1845 წ. მათ ააგეს თავისი სახერხი ჭარხანა (1894/95 წ. — 12 ათასი მან., 14 მუშა, ორთქლის ძრავი). უნდა აღვნიშნოთ, რომ სულ ამ სარეწში ითვლებოდა 708 საწარმო, 1 979 მუშა, რომელთაგან 846 = 42,7% დაქირავებული იყო, და 459 ათასი მან. წარმოების თანხა. 60-იანი წლების დასაწყისიდან ზენინები იწყებენ მასალის ბითუმად შეძენას ნ.-ნოვგოროდში; ყიდულობენ ყავარს ვაგონობით 13 მანეთად ასეულს, და ჰყიდიან მას წვრილ შინამრეწველებზე 18 — 20 მანეთად. 7 სოფელში (სადაც 116 მომუშავე ჰყავთ) უმრავლესობა ავეჯს აწოდებს ზენინს, რომელსაც მოსკოვში აქვს ავეჯის და ფირფიცრის საწყობი 40 ათასი მან. ბრუნვით (საწყობი დაარსდა 1874 წ.). ზენინებისთვის მუშაობს ოცამდე მარტოხელი მუშა.

სახელოსნო «ფაბრიკად» ითვლება). ამიტომ უმეტეს შემთხვევაში მონაცემები მსხვილ დაწესებულებათა წარმოების სიდიდის შესახებ თავისთავად ა რ ა ვ ი თ ა რ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს ა რ ი ძ ლ ე ვ ი ა ნ მათს ნამდვილ მნიშვნელობაზე ჩვენს «შინამრეწველურ სარეწებში» *, ვინაიდან ასეთ დაწესებულებათა მეპატრონენი იყენებენ არა მარტო თავის დაწესებულებათა მუშების შრომას, არამედ შინამუშების მასის შრომასაც, აგრეთვე (de facto) იმ quasi-დამოუკიდებელ წვრილ მეპატრონეთა მასის შრომასაც კი, რომელთა მიმართ ისინი «შემყიდველებად» გამოდიან **. ამრიგად, რუსული მანუფაქტურის მონაცემები განსაკუთრებული სიცხადით ააშკარავებენ «კაპიტალის» ავტორის მიერ დადგენილ იმ კანონს, რომ სავაჭრო კაპიტალის განვითარების დონე უკუპროპორციულია სამრეწველო კაპიტალის განვითარების დონისა [120]. და მართლაც, ჩვენ შეგვიძ-

---

* აი მაგალითი ტექსტში ნათქვამის საილუსტრაციოდ. ორიოლის გუბ. ტრუბჩევის მაზრის სოფ. ნეგინში არის ზეთსახდელი ქარხანა 8 მუშით და 2 ათასი მან. წარმოების თანხით (1890 წ. «საძიებელი»). როგორც ჩანს, ეს პატარა ქარხანა ცხადჰყოფს, რომ ადგილობრივ ზეთსახდელ წარმოებაში კაპიტალის როლი მეტად სუსტია. მაგრამ სამრეწველო კაპიტალის სუსტი განვითარება მოასწავებს მხოლოდ სავაჭრო და სავახშო კაპიტალის დიდად განვითარებას. საერობო-სტატისტიკური კრებულიდან ამ სოფლის შესახებ ვტყობილობთ, რომ 186 კომლიდან 160 კომლი სავსებით დამონებული ჰყავს ადგილობრივ მექარხნეს, რომელიც მ ა თ მ ა გ ი ე რ ი ხ დ ი ს ყ ვ ე ლ ა გ ა მ ო ს ა ღ ე ბ ს, სესხად აძლევს მათ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს, რ ა ც კ ი ს ა ჭ ი რ ო ა (და ეს ხდება მრავალი წლის განმავლობაში) და სამაგიეროდ ვალში ღებულობს კანაფს დაკლებულ ფასად. ამგვარადვეა დამონებული ორიოლის გუბერნიის დიდძალი გლეხობა. ასეთ პირობებში განა უნდა გვახარებდეს სამრეწველო კაპიტალის სუსტი განვითარება?

** ამიტომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი გამოვა ამგვარი «შინამრეწველური სარეწების» ეკონომიური ორგანიზაციის სურათი, თუ მსხვილ მანუფაქტურისტებს არ განვიხილავთ (ეს ხომ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაა და არა შინამრეწველობა!), ხოლო «შემყიდველებს» ჩავთვლით «არსებითად სრულიად ზედმეტ და მხოლოდ პროდუქტის გასაღების მოუწყობლობით გამოწვეულ» მოვლენად (ბ-ნი ვ. ვ. «შინამრეწველობის ნარკვევები», 150)!

ლია II §-ში აღწერილი ყველა სარეწი შემდეგნაირად დავახასიათოთ: რაც უფრო ცოტაა მათში მსხვილი სახელოსნოები, მით უფრო განვითარებულია «შეყიდვა», და პირიქით; იცვლება მხოლოდ ფორმა კაპიტალისა, რომელიც ბატონობს ორივე შემთხვევაში და რომელიც «დამოუკიდებელ» შინამრეწველს ხშირად გაცილებით უარეს მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე დაქირავებული მუშის მდგომარეობაა.

ნაროდნიკული ეკონომიის ძირითადი შეცდომა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი უგულებელჰყოფს ან ჩქმალავს იმ კავშირს, რომელიც არსებობს, ერთი მხრით, მსხვილ და წვრილ საწარმოებსა და, მეორე მხრით, სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალს შორის. «პავლოვოს რაიონის მეფაბრიკე შემყიდველის მხოლოდ გართულებული სახეაო», — ამბობს ბ-ნი გრიგორიევი (l. c., გვ. 119). ეს მართალია არა მარტო პავლოვოს მიმართ, არამედ კაპიტალისტური მანუფაქტურის ტიპის მიხედვით მოწყობილ სარეწთა უმრავლესობის მიმართაც; მართალია შებრუნებული დებულებაც: შემყიდველი მანუფაქტურაში «მეფაბრიკის» გართულებული სახეა; სხვათა შორის, ამაში მდგომარეობს მანუფაქტურაში შემყიდველის ერთ-ერთი არსებითი განსხვავება შემყიდველისაგან წვრილ გლეხურ სარეწებში. მაგრამ არ შეიძლება «შემყიდველსა» და «მეფაბრიკეს» შორის არსებული კავშირის ამ ფაქტში დავინახოთ რაღაც საბუთი წვრილი მრეწველობის სასარგებლოდ (როგორც ამას ბ-ნი გრიგორიევი და მრავალი სხვა ნაროდნიკი ფიქრობს), — ეს იქნებოდა სრულიად თვითნებური დასკვნა და ფაქტების გადასხვაფერება ერთხელვე აკვიატებული იდეის გასამართლებლად. როგორც ვნახეთ, მთელი რიგი ცნობები ადასტურებენ, რომ სავაჭრო კაპიტალის შეერთება სამრეწველო კაპიტალთან უაღრესად აუარესებს უშუალო მწარმოებლის მდგომარეობას დაქირავებული მუშის მდგომარეობასთან შედარებით, ახანგრძლივებს მის სამუშაო დღეს, ამცირებს მის ხელფასს, აფერხებს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

VII. კაპიტალისტური შინმუშაობა, როგორც მანუფაქტურის დანაჭატი

კაპიტალისტური შინმუშაობა, — ე. ი. მეწარმისაგან მიღებული მასალის ნარდად გადამუშავება შინ, ოჯახში, — როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, წვრილ გლეხურ სარეწებშიც გვხვდება. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ იგი გვხვდება (და ფართო მასშტაბით) ფაბრიკის, ე. ი. მსხვილი მანქანური ინდუსტრიის გვერდითაც. ამრიგად, კაპიტალისტური შინმუშაობა გვხვდება მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების ყველა სტადიაზე, მაგრამ იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია სწორედ მანუფაქტურისათვის. არც წვრილ გლეხურ სარეწებს, არც მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას მაინც და მაინც არ ესაჭიროებათ შინმუშაობა. კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურული პერიოდი კი, — რომელიც ხასიათდება მომუშავის მიწასთან კავშირის შენარჩუნებით, მსხვილ საწარმოთა ირგვლივ წვრილ საწარმოთა სიმრავლით, — ძნელია, თითქმის შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სამუშაოს შინ დაურიგებლად*. და, როგორც დავინახეთ, რუსეთის ცნობები, მართლაც, ადასტურებენ, რომ კაპიტალისტური მანუფაქტურის ტიპის მიხედვით მოწყობილ სარეწებში სამუშაოს შინ დარიგება ძალიან ფართოდაა გავრცელებული. აი რატომ ვფიქრობთ, რომ უფრო მართებული იქნება სწორედ ამ თავში განვიხილოთ კაპიტალისტური შინმუშაობის დამახასიათებელი თავისებურებანი, თუმცა ზოგიერთი ქვემომოყვანილი მაგალითი არ შეიძლება სპეციალურად მანუფაქტურას მიეკუთვნოს.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ შინმუშაობის დროს კაპიტალისტსა და მომუშავეს შორის შუამავლების სიმ-

* დასავლეთ ევროპაშიც, როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის მანუფაქტურულ პერიოდს ახასიათებდა შინმუშაობის ფართო განვითარება, მაგ., საფეიქრო სარეწებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საათის წარმოების, როგორც მანუფაქტურის კლასიკური მაგალითის, აღწერის დროს მარქსი ამბობს, რომ საათის ციფერბლატი, ზამბარაკი და კოლოფი იშვიათად კეთდება თვით მანუფაქტურაში, რომ საზოგადოდ მედეტალე მუშა ხშირად შინ მუშაობს (‹Das Kapital›, I, 2-te Aufl., S. 353—354) [121].

რავლე. მსხვილ მეწარმეს არ შეუძლია თვითონ დაურიგოს მასალა მრავალ ასეულ და ათასეულ მუშას, რომელნიც ზოგჯერ სხვადასხვა სოფელში არიან გაფანტულნი; საჭირონი ხდებიან შუამავალნი (ზოგიერთ შემთხვევაში შუამავალთა იერარქიებიც), რომელნიც მასალას ბითუმად იღებენ და წვრილ-წვრილად არიგებენ. ჩნდება ნამდვილი sweating system, სისტემა ოფლის გამოწურვისა, სისტემა მეტად მძაფრი ექსპლოატაციისა: მომუშავესთან ახლო მდგომმა «ხელოსანმა» (ან «საფეიქრო ქოხის პატრონმა» თუ «მოვაჭრე» ქალმა არშიის სარეწში და სხვ. და სხვ.) იცის, თუ როგორ ისარგებლოს ამ მომუშავის გაჭირვების განსაკუთრებული შემთხვევებით, და იმუშავებს ექსპლოატაციის ისეთ ხერხებს, რომლებიც მსხვილ საწარმოში წარმოუდგენელი იქნებოდა და რომლებიც სრულიად სპობენ რაიმე კონტროლისა და მეთვალყურეობის შესაძლებლობას *.

Sweating system-ასთან ერთად და, შეიძლება, როგორც ერთ-ერთი მისი ფორმა, უნდა აღინიშნოს truck-system, ხელფასის სანოვაგით გადახდა, რაც ფაბრიკებში იდევნება, ხოლო შინამრეწველურ სარეწებში ისევ ბატონობს, განსაკუთრებით სამუშაოს შინ დარიგების დროს. ზემოთ, ცალკე სარეწების აღწერის დროს, მოყვანილი იყო ამ გავრცელებული მოვლენის მაგალითები.

შემდეგ, კაპიტალისტური შინმუშაობა აუცილებლად დაკავშირებულია მუშაობის მეტად ანტიჰიგიენურ ვითარე-

* ამიტომ არის, სხვათა შორის, რომ ფაბრიკა ებრძვის ასეთ შუამავლებს, მაგ., «მოცალე» მუშებს, რომლებიც თვითონ ქირაობენ თანაშემწე ხელქვევით მუშებს. შეად. კობელიაცკი: «საცნობო წიგნი მეფაბრიკეებისათვის და სხვ.». სპბ. 1897, გვ. 24 და შემდეგი. შინამრეწველური სარეწების შესახებ შექმნილი მთელი ლიტერატურა სავსეა ფაქტებით, რომლებიც ცხადჰყოფენ, თუ რა საშინელ ექსპლოატაციას უწევენ შუამავლები შინამრეწველებს შინ სამუშაოს დარიგების დროს. მაგალითისათვის აღვნიშნავთ კორსაკის საერთო შენიშვნას, l. c., გვ. 258, «შინამრეწველური» ფეიქრობის აღწერას (მოყვან. ზემოთ), მოსკოვის გუბერნიის ქალთა სარეწების აღწერას («მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VI და VII) და მრ. სხვ.

ბასთან. მუშაკის სრული სიღატაკე, მუშაობის პირობების რაიმე წესებით მოწესრიგების სრული შეუძლებლობა, საცხოვრებელი და სამუშაო სადგომის შეერთება, — აი ის პირობები, რომლებიც შინ მომუშავეთა ბინებს სანიტარულ უმსგავსობათა და პროფესიულ ავადმყოფობათა კერად აქცევენ. მსხვილ საწარმოებში კიდევ შესაძლებელია ბრძოლა ანალოგიური მოვლენების წინააღმდეგ, შინმუშაობა კი ამ მხრივ კაპიტალისტური ექსპლოატაციის ყველაზე «ლიბერალური» სახეა.

უზომოდ ხანგრძლივი სამუშაო დღე კაპიტალისტისათვის შინმუშაობისა და საერთოდ წვრილი სარეწების აგრეთვე ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. ზემოთ უკვე იყო მოყვანილი «ფაბრიკებში» და «შინამრეწველებთან» სამუშაო დღის შედარებითი ხანგრძლიობის ზოგიერთი მაგალითი.

შინმუშაობის დროს თითქმის ყოველთვის ვხვდებით წარმოებაში ქალების და სულ ნორჩი ბავშვების ჩაბმას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობას მოსკოვის გუბერნიის ქალთა სარეწების აღწერიდან. ქაღალდის ხვევაზე 10 004 ქალი მუშაობს; ბავშვები 5 — 6 წლიდან (!) იწყებენ მუშაობას, დღიური ხელფასი — 10 კაპ., წლიური — 17 მან. ქალთა სარეწებში სამუშაო დღე საზოგადოდ 18 საათამდე ადის. საქსოვ სარეწში მუშაობას იწყებენ 6 წლიდან, დღიური ხელფასი — 10 კაპ., წლიური — 22 მან. ქალთა სარეწების ჯამი: მუშა ქალი — 37 514; მუშაობას იწყებენ 5 — 6 წლის ასაკიდან (19-დან 6 სარეწში, ამასთან ეს 6 სარეწი იძლევა 32 400 მუშა ქალს); საშუალო დღიური ხელფასი — 13 კაპ., წლიური—26 მან. 20 კაპ.*

კაპიტალისტური შინმუშაობის ერთი ყველაზე მავნებელი მხარეთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი იწვევს მომუშავის მოთხოვნილებათა დონის დაწევას. მეწარმეს საშუალება

* ქ-ნ გორბუნოვას, რომელმაც აღწერა ქალთა სარეწები, შეცდომით გამოჰყავს 18 კაპ. და 37 მან. 77 კაპ., — ის თვითეული სარეწის შესახებ მხოლოდ საშუალო ცნობებს ანგარიშობს და მხედველობაში არ იღებს მუშა ქალთა სხვადასხვა რიცხვს სხვადასხვა სარეწში [122].

ეძლევა მუშები აირჩიოს ისეთ მივარდნილ კუთხეებში, სადაც მოსახლეობის საარსებო დონე ძალიან დაბალია და სადაც მიწასთან დაკავშირება შესაძლებელს ხდის თითქმის მუქთად იმუშაონ. მაგ., სოფლის ჩულქის საწარმოს პატრონი ამბობს: მოსკოვში ბინები ძვირია, ამასთან ხელოსან ქალებს «თეთრი პური... უნდა აჭამო... ჩვენთან კი თავისივე ქოხში მუშაობენ, ჭამენ შავ პურს... აბა, ჩვენ მოსკოვი როგორ შეგვეჯიბრებაო?» *. ქაღალდის სახვევ სარეწში ხელფასის უაღრესი სიიაფე იმით აიხსნება, რომ გლეხების ცოლებისათვის, მათი ქალიშვილებისათვის და სხვ. ეს მხოლოდ დამხმარე საშოვარია. «ამნაირად, ამ წარმოების არსებული სისტემა იმათ, ვინც მარტოოდენ მისი შემოსავლით ცხოვრობს, მეტისმეტად უმცირებს ხელფასს, იმათთვის, ვინც მარტო საფაბრიკო შრომით ცხოვრობს, იგი ხელფასს მოთხოვნილებათა minimum-ზე დაბლა სწევს, ანდა აფერხებს ამ მოთხოვნილებათა დონის ამაღლებას. ერთიც და მეორეც მეტად არანორმალურ პირობებს ჰქმნის» **. «ფაბრიკა იაფ ფეიქარს ეძებს, — ამბობს ბ-ნი ხარიზომენოვი, — და ამგვარ ფეიქარს ის ნახულობს მის მშობლიურ სოფელში, მრეწველობის ცენტრების მოშორებით... უდავო ფაქტია, რომ რაც უფრო შორდებით მრეწველობის ცენტრებს და უახლოვდებით პერიფერიებს, მით უფრო კლებულობს ხელფასი» ***. მაშასადამე, მეწარმეებმა მშვენივრად იციან იმ პირობების საუკეთესო გამოყენება, რომლებიც ხელოვნურად აჩერებენ მოსახლეობას სოფლებში.

ამ სისტემის არანაკლებ მავნებელი მხარეა შინ მომუშავეთა დაქსაქსულობა. აი საქმის ამ მხარის მკაფიო დახასიათება, რომელსაც თვითონ შემყიდველნი იძლევიან: «როგორც ერთის, ისე მეორის» (ტვერელ მჭედლებში ლურსმნის წვრილი და მსხვილი შემყიდველების) «ოპერაციები ერთსა და იმავე საფუძველს ემყარება — ლურსმნის წაღებისას ნაწილი

* «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VII, ნაკვ. II, გვ. 104.
** Ibidem, გვ. 285.
*** «ვლადიმირის გუბერნიის სარეწები», III, 63, შად. ibidem, 250.

ფულად გადაიხადონ, ნაწილი რკინით და ყოველთვის იყოლიონ მჭედლები მათს სახლში, რათა ისინი მ ე ტ დ ა თ მ ო ბ ა ზ ე დ ა თ ა ნ ხ მ დ ნ ე ნ».* ამ სიტყვებში იმალება ჩვენი «შინამრეწველობის» «სიცოცხლისუნარიანობის» საიდუმლოების უბრალო ახსნა!

შინ მომუშავეთა დაქსაქსულობა და შუამავალთა სიმრავლე ბუნებრივად იწვევენ კაბალის გაძლიერებას, პირადი დამოკიდებულების ყოველგვარ ფორმას, რაც ჩვეულებრივ თან ახლავს «პატრიარქალურ» ურთიერთობას სოფლის მივარდნილ კუთხეებში. მუშების დავალიანება მეპატრონეთა მიმართ ყველაზე გავრცელებული მოვლენაა «შინამრეწველურ» სარეწებში საზოგადოდ და შინ მუშაობის დროს კერძოდ**. ჩვეულებრივ მუშა არა მარტო Lohnsklave-ა***, არამედ Schuldsklave-ცაა****. ზემოთ მოყვანილი იყო ზოგიერთი მაგალითი იმ მდგომარეობისა, რომელშიც აყენებს მუშას სოფლური ურთიერთობის «პატრიარქალობა»*****.

გადავდივართ კაპიტალისტური შინმუშაობის დახასიათებიდან მისი გავრცელების პირობებზე. უწინარეს ყოვლისა

---

* «ანგარიშები და გამოკვლევები», I, 218. შეად. ibid., 280: მეფაბრიკე ივროდოვის ჩვენება, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელია სამუშაო შინ დაურიგოს ხელით მოუშავე ფეიქრებს.

** მეპატრონეთა მიმართ მუშების დავალიანების მაგალითები მოსკოვის გუბერნიის ჯაგრის («მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VI, ნაკვ. 1. გვ. 32). სავარცხლის (ibid., 261), სათამაშოების (VI, ნაკვ. II, 44), მძივის და სხვ. სარეწებში. აბრეშუმის სარეწში ფეიქარი ყელამდე ვალებშია ჩაფლული მეფაბრიკის მიმართ, რომელსაც მის მაგივრად შეაქვს გამოსაღები და რომელსაც საზოგადოდ «იჯარით აჰყავს ფეიქარი ისევე. როგორც იჯარით იღებენ მიწას» და სხვ. («ვლადიმირის გუბ. სარეწები», III, 51 - 55).

*** დაქირავებული მონა. რ ე დ.

**** ვალით დამონებული. რ ე დ.

***** «რასაკვირველია, — ეკითხულობთ ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის მჭედლების შესახებ, — მეპატრონე აქაც ეწევა მუშის შრომის ექსპლოატაციას. მაგრამ უფრო ნაკლებად (?), თანაც ეს ხდება რაღაც პატრიარქალურად, საერთო თანხმობით (!), ყოველგვარი გაუგებრობის გამოუწვევლად» («შინამრეწველობის კომისიის შრომები», IV, 199).

უნდა აღვნიშნოთ ამ სისტემის კავშირი გლეხების ნადელზე მიმაგრებასთან. გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლების უქონლობა, მიწის თავიდან მოსაშორებლად ზოგჯერ ფულის დახარჯვის აუცილებლობა (სახელდობრ, როცა მიწის გადასახადი მიწის შემოსავალს აჭარბებს, ასე რომ მონადელე იძულებულია კიდევ ფული აძლიოს თავის მოიჯარადრეს), გლეხური თემის წოდებრივი კარჩაკეტილობა — ყოველივე ეს ხელოვნურად აფართოებს კაპიტალისტური შინმუშაობის ასპარეზს, ხელოვნურად ბორკავს გლეხს ამ ექსპლოატაციის უარესი ფორმებით. ამრიგად, დრომოჭმული დაწესებულებები და წოდებრიობით მთლად გაჟღენთილი აგრარული წესწყობილება უაღრესად მავნე გავლენას ახდენენ როგორც მიწათმოქმედებაზე, ისე მრეწველობაზე, ინარჩუნებენ წარმოების ტექნიკურად ჩამორჩენილ ფორმებს, რომლებიც დაკავშირებული არიან კაბალისა და პირადი დამოკიდებულების უდიდეს განვითარებასთან, მშრომელთა მეტად მძიმე და მეტად უმწეო მდგომარეობასთან *.

შემდეგ, უეჭველია აგრეთვე კაპიტალისტებისათვის შინმუშაობის კავშირი გლეხობის დაშლასთან. შინმუშაობის ფართო გავრცელება ორ პირობას გულისხმობს: 1) სოფლის მასობრივი პროლეტარიატის არსებობას, რომელმაც უ ნ დ ა გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა და ამასთან გაყიდოს იაფად; 2) ადგილობრივი პირობების კარგად მცოდნე შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი გლეხების არსებობას, რომლებიც იკისრებდნენ აგენტების როლს სამუშაოს დარიგების დროს. ვაჭრის გამოგზავნილი ნოქარი ყოველთვის როდი შესძლებს ამ როლის შესრულებას (განსაკუთრებით ცოტად თუ ბევრად რთულ სარეწებში) და

* რასაკვირველია, ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყოველთვის იქნება სოფლის პროლეტარიატი, რომელიც თანხმდება აიღოს შინასამუშაო მეტისმეტად ცუდ პირობებში; მაგრამ დრომოჭმული დაწესებულებანი აძლიერებენ შინამუშაობის გამოყენების სფეროს და აძნელებენ მასთან ბრძოლას. ჯერ კიდევ კორსაკმა აღნიშნა 1861 წელს ის კავშირი, რომელიც არსებობს ჩვენში შინამუშაობის დიდად გავრცელებასა და ჩვენს აგრარულ წესწყობილებას შორის (l. c., 305 — 307).

საეჭვოა, რომ მან ეს როლი ოდესმე ისე «არტისტულად» შეასრულოს, როგორც ამას შესძლებს ადგილობრივი გლეხი, «თავისი ძმაკაცი»*. მსხვილი მეწარმენი, ალბათ, თავის ოპერაციებს სანახევროდაც კი ვერ შეასრულებდნენ სამუშაოს შინ დარიგების დროს, მათ თავის განკარგულებაში რომ არ ჰყავდეთ წვრილ მეწარმეთა მთელი არმია, რომელთაც შეიძლება ნისიად ან საკომისიოდ მიეცეს საქონელი და რომელნიც ხარბად ეტანებიან ყოველ შემთხვევას — გააფართოონ თავისი პატარა სავაჭრო ოპერაციები.

ბოლოს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს კაპიტალისტურ შინმუშაობას კაპიტალიზმის მიერ შექმნილი ჭარბი მოსახლეობის თეორიაში. არავის არ ულაპარაკნია იმდენი რუსეთის კაპიტალიზმის მიერ მუშების «განთავისუფლებაზე», როგორც ბბ. ვ. ვ.-ს, ნ.—ონს და სხვა ნაროდნიკებს, ამავე დროს არც ერთ მათგანს არც კი უცდია განეხილა მუშათა «სარეზერვო არმიის» ის კონკრეტული ფორმები, რომლებიც იქმნებოდა და იქმნება რუსეთში რეფორმისშემდგომ ეპოქაში. არც ერთ ნაროდნიკს არც კი შეუნიშნავს ის წვრილმანი, რომ შინ მომუშავე მუშები კაპიტალიზმის «სარეზერვო არმიის» თითქმის უდიდეს ნაწილს შეადგენენ**. სამუშაოს შინ დარიგებით მეწარმეებს საშუალება ეძლევათ დაუყოვნებლივ

---

* ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მსხვილი მეპატრონე-მრეწველნი, შემყიდველნი, საფეიქრო ქოხის პატრონნი, ხელოსანნი იმავე დროს შეძლებული მიწათმოქმედნი არიან. «ხელოსანი, — ვკითხულობთ, მაგ., მოსკოვის გუბერნიის სირიფის ფეიქრობის აღწერაში («მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VI, ნაკვ. II, გვ. 147), — ისეთივე გლეხია, როგორც მისი ფეიქარი, ოღონდ მას თავის ფეიქართან შედარებით ზედმეტი ქოხი აქვს, ცხენი და ძროხა ჰყავს, შეუძლია მთელ ოჯახს ჩაი ასვას ორჯერ დღეში».

** ნაროდნიკების ეს შეცდომა მით უფრო უხეშია, რომ მათ უმრავლესობას სურს მარქსის თეორიას მისდიოს, თუმცა მარქსმა უაღრესად მკვეთრად გაუსვა ხაზი «თანამედროვე შინამუშაობის» კაპიტალისტურ ხასიათს და სპეციალურად აღნიშნა, რომ ეს შინამუშები შეადგენენ კაპიტალიზმის დამახასიათებელი შედარებითი ჭარბი მოსახლეობის ერთ-ერთ ფორმას («Das Kapital», I², S. S. 503 u. ff.; 668 u. ff.; თავი 23, განსაკუთრებით § 4)[128].

გაადიდონ წარმოება მათთვის სასურველ ფარგლებამდე, ისე რომ დიდი თანხები და დიდი დრო არ დახარჯონ სახელოსნოების ასაგებად და სხვ. წარმოების ასეთი დაუყოვნებლივი გაფართოება კი ძალიან ხშირად გამოწვეულია ბაზრის პირობებით, როდესაც მოთხოვნილება ძლიერდება მრეწველობის ამა თუ იმ მსხვილი დარგის (მაგ., სარკინიგზო მშენებლობის) გამოცოცხლების გამო, ან ისეთ გარემოებათა გამო, როგორიც არის ომი და სხვ. *. ამიტომ იმ პროცესის მეორე მხარეს, რომელიც ჩვენ II თავში დავახასიათეთ როგორც სოფლის მეურნეობის მრავალმილიონიანი პროლეტარიატის წარმოშობა, წარმოადგენს, სხვათა შორის, კაპიტალისტური შინმუშაობის დიდად განვითარება რეფორმისშემდგომ ხანაში. «სად წავიდა მუშახელი, განთავისუფლებული საშინაო, ნამდვილად კი ნატურალური, მეურნეობისაგან,რომელიც მხოლოდ თავისი ოჯახისა და მახლობელი ბაზრის მცირერიცხოვანი მომხმარებლებისათვის იყო ნავარაუდევი? მუშე-

* ერთი პატარა მაგალითი. მოსკოვის გუბერნიაში ძალიან გავრცელებულია სამკერვალო სარეწი (სულ გუბერნიაში საერობო სტატისტიკის გამოანგარიშებით 1870-იანი წლების დამლევს ითვლებოდა 1 123 ადგილობრივი და 4 291 გამსვლელი მკერვალი), ამასთან მზა ტანისამოსის მკერვალთა უმეტესი ნაწილი მოსკოველი ვაჭრებისათვის მუშაობს. სამკერვალო სარეწის ცენტრია ზვენიგოროდის მაზრის პერხუშევის თემი (იხ ცნობები პერხუშეველ მკერვალთა შესახებ V თავის I დანართში, სარეწი № 36). განსაკუთრებით კარგად მიჰყავდათ საქმე პერხუშეველ მკერვალთ 1877 წლის ომის დროს. მუშაობდნენ სამხედრო კარვები, საგანგებო მოიჯარადრეთა შეკვეთით, ამასთან ოსტატები დღეში 5 — 6 მან. «ხეირობდნენ»—სამი საკერავი მანქანით და 10 დღიური მუშა ქალის საშუალებით. უკანასკნელთ აძლევდნენ თითო აბაზს დღეში. «ამბობენ, ამ გახურებული მუშაობის დროს შადრინში (პერხუშევის თემის მთავარი სოფელი) 300-ზე მეტი დღიური მუშა ქალი იყო თავმოყრილი სხვადასხვა გარეშემო სოფლებიდანო» («მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VI, ნაკვ. II, l. c., 256). «ამ დროს პერხუშეველმა მკერვალებმა, უფრო სწორად — სახელოსნოთა პატრონებმა, იმდენი შეიძინეს, რომ თითქმის ყველანი ჩინებულად მოეწყვნენ» (ibid.). ეს ასობით დღიური მუშა ქალი, რომელთაც 5—10 წელიწადში, შეიძლება, ერთხელ უხდებათ ასეთი გაცხარებული მუშაობა, მუდამ მზად უნდა იყვნენ, პროლეტარიატის სარეზერვო არმიის რიგებში.

ბით ავსილი ფაბრიკები, მსხვილი საშინაო წარმოების სწრაფად გაფართოება გვაძლევენ ამის ნათელ პასუხს» («ვლადიმირის გუბ. სარეწები», III, 20. ხაზგასმა ჩვენია). თუ რამდენად დიდი უნდა იყოს ახლა რუსეთში იმ მუშების რიცხვი, რომლებსაც მეწარმენი შინ ამუშავებენ მრეწველობისათვის, ეს აშკარა გახდება შემდეგ პარაგრაფში მოყვანილი ციფრებიდან.

VIII. რა არის «შინამრეწველობა»?

ორ წინა თავში ჩვენ უმთავრესად ვეხებოდით იმ მრეწველობას, რომელსაც ჩვენში ჩვეულებრივ «შინამრეწველობა» ეწოდება; ახლა შევეცდებით პასუხი გავცეთ სათაურში დასმულ კითხვას.

დავიწყოთ ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემით, რათა გავიგოთ. თუ მრეწველობის ზემოგანხილული ფორმებიდან სახელდობრ რომელს გულისხმობს ლიტერატურა «შინამრეწველური სარეწების» საერთო მასაში.

გლეხური «სარეწების» გამოკვლევის დასკვნაში მოსკოველმა სტატისტიკოსებმა შეაჯამეს ყველა და ყოველგვარი არასამიწათმოქმედო მოსაქმეობა. მათი ანგარიშით გამოვიდა ადგილობრივ (საქონლის დამამზადებელ) სარეწებში 141 329 კაცი (ტ. VII, ნაკვ. III), მაგრამ ამაში მოხვდნენ ხელოსნებიც (ნაწილი ხარაზებისა, მემინეებისა და მრავ. სხვ.), ხე-ტყის მხერხავები და სხვ. და სხვ. აქედან არანაკლებ 87 ათასი კაცი წარმოადგენს (ცალკეული სარეწების გამოანგარიშებით, რაც ჩვენ მოვახდინეთ) კაპიტალისტების მიერ დაქირავებულ შინმომუშავეებს*. 54 სარეწში, რომელთა შესახებაც ჩვენ შევძელით ცნობების შეჯერება, 29 446-დან დაქირავებული მუშაა 17 566, ე. ი. 59,65%.

* მოგაგონებთ, რომ ბ-ნ ხარიზომენოვის ანგარიშით (ზემოთ ციტირ. სტატია) მოსკოვის გუბერნიის 42 სარეწის 102 245 მუშიდან 66% მუშაობს ისეთ სარეწებში, სადაც უეჭველად გაბატონებულია მსხვილი წარმოების საშინაო სისტემა.

ვლადიმირის გუბერნიისათვის ჩვენ ასეთი შედეგები მივიღეთ («ვლადიმირის გუბ. სარეწების» ხუთი ნაკვეთის მიხედვით): 31 სარეწში სულ არის 18 286 მუშა; აქედან 15 447 მუშა იმ სარეწებშია, სადაც გაბატონებულია კაპიტალისტური შინმუშაობა (მათ რიცხვში 5 504 დაქირავებული მუშა, ე. ი., ასე ვთქვათ, მეორე ხარისხის დაქირავებული). შემდეგ, 150 სოფლელი ხელოსანი (მათ შორის 45 დაქირავებული) და 2 689 წვრილი საქონელმწარმოებელი (მათ შორის 511 დაქირავებული). სარეწებში კაპიტალისტურად ჩაბმული მუშების საერთო რიცხვი უდრის (15 447 + 45 + 511 =) 16 003, ე. ი. 87,5% *. კოსტრომის გუბერნიაში (ბ-ნ ტილლოს ცხრილების მიხედვით, იხ. «შინამრეწველობის კომისიის შრომები») ითვლება 83 633 ადგილობრივი მრეწველი; აქედან 19 701 ხე-ტყის მუშა (ესენიც «შინამრეწველები»!), 29 564 — კაპიტალისტებისათვის შინ მომუშავე; დაახლოებით 19 954 კაცი სარეწებში, სადაც წვრილი საქონელმწარმოებელნი სჭარბობენ, და 14 414-დე სოფლელი ხელოსანი**. ვიატკის გუბერნიის 9 მაზრაში ითვლება (იმავე «შრომების» თანახმად)

* სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს საშუალება გავეცნოთ უახლეს შრომას იაროსლავლის გუბერნიის შინამრეწველობის შესახებ («შინამრეწველური სარეწები». იაროს. საგუბ. ერობის სტატ. ბიუროს გამოცემა. იაროსლავლი, 1904). «რუსსკ. ვედომოსტში» (1904, № 248) მოთავსებული ვრცელი რეცენზიის მიხედვით, ეს მეტად საგულისხმო გამოკვლევა უნდა იყოს. გუბერნიაში ითვლება 18 000 შინამრეწველი (საფ.-საქარხ. მუშა 1903 წ. ითვლებოდა 33 898). სარეწები ეცემა. საწარმონი, რომლებსაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, $^1/_5$-ა. დაქირავებული მუშები შეადგენენ შინამრეწველთა მთელი რიცხვის $^1/_4$. იმ საწარმოებში, სადაც 5 და მეტი მუშაა, შინამრეწველთა მთელი რიცხვის 15% მუშაობს. ყველა შინამრეწველის სწორედ ნახევარი მუშაობს მეპატრონეთათვის, უკანასკნელთა მასალით. მიწათმოქმედება დაქვეითებულია: შინამრეწველთა $^1/_6$ უცხენო და უძროხოა; $^1/_3$ მიწას ამუშავებს დაქირავებული შრომით; $^1/_5$-ს ნათესები არა აქვს. შინამრეწველის ხელფასი — 1 $^1/_2$ მან. კვირაში! (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

** ყველა ეს ციფრი დაახლოებითია, ვინაიდან ნამდვილ ცნობებს ხსენებული წყარო არ გვატყობინებს. სოფლის ხელოსანთა რიცხვში არიან მეწისქვილენი, მჭედელნი და სხვ.

60 019 ადგილობრივი მრეწველი; მათგან 9 672 მეწისქვილე და ზეთისმხდელი; 2 032 — წმინდა ტიპის ხელოსანი (ქსოვილების შეღებვა); 14 928 — ნაწილობრივ ხელოსანი, ნაწილობრივ საქონელმწარმოებელი, რომლებთან დიდად სჭარბობს დამოუკიდებელი შრომა; 14 424 მუშაობს კაპიტალისადმი ნაწილობრივ დამორჩილებულ სარეწებში; 14 875 — კაპიტალისადმი სრულიად დამორჩილებულ სარეწებში; 4 088 — სარეწებში, სადაც სავსებით გაბატონებულია დაქირავებული შრომა. იმ ცნობების მიხედვით, რაც მოთავსებულია «შრომებში» სხვა გუბერნიების შესახებ, ჩვენ შევადგინეთ იმ სარეწთა ცხრილი, რომელთა ორგანიზაციის შესახებ ცოტად თუ ბევრად დაწვრილებითი ცნობები მოიპოვება. მივიღეთ 97 სარეწი 107 957 მუშით, 21 151 ათასი მან. წარმოების თანხით. მათ შორის იმ სარეწებში, სადაც სჭარბობს დაქირავებული შრომა და კაპიტალისტური შინმუშაობა — 70 204 მუშა (18 621 ათასი მან.); იმ სარეწებში, სადაც დაქირავებული მუშები და კაპიტალისტებისათვის შინმომუშავენი მხოლოდ უმცირესობას შეადგენენ — 26 935 მუშა (1 706 ათასი მან.); და, ბოლოს, იმ სარეწებში, სადაც თითქმის სავსებით გაბატონებულია დამოუკიდებელი შრომა — 10 818 მუშა (824 ათასი მან.). იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მოთავსებულია საერობო-სტატისტიკურ მასალებში ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის გორბატოვის და სემიონოვის მაზრების 7 სარეწის შესახებ, იქ ითვლება 16 303 შინამრეწველი, აქედან 4 614 მუშაობს ბაზრისათვის; 8 520 — «მეპატრონისათვის» და 3 169 დაქირავებულია, ე. ი. 11 689 კაპიტალისტურად გამოყენებული მუშაა. პერმის გუბერნიის 1894/95 წლის შინამრეწველობის აღწერის ცნობებით, 26 ათასი შინამრეწველიდან 6,5 ათასი (25%) დაქირავებული მუშაა და 5,2 ათასი (20%) შემყიდველისათვის მომუშავე, ე.ი. 45% კაპიტალისტურად გამოყენებული მუშაა*.

* იხ. «ეტიუდები», გვ. 181 — 182. «შინამრეწველთა» რიცხვში შედიან აგ ხელოსნებიც (25%). თუ ხელოსნებს გამოვაკლებთ, მივიღებთ 29,3% დაქირავებულ მუშას და კიდევ 29,5% შემყიდველისათვის მომუშავეს (გვ.

რაც უნდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი იყოს ეს ცნობები (სხვა ჩვენ არ გვქონდა), ისინი მაინც ნათლად მოწმობენ, რომ, საერთოდ და მთლიანად, «შინამრეწველთა» რიცხვში მრავალი კაპიტალისტურად გამოყენებული მუშა ხვდება. მაგალითად, კაპიტალისტებისათვის შინ მომუშავეთა რიცხვი (ზემომოყვანილი ცნობების მიხედვით) 200 ათას კაცს აღემატება. ეს რაღაც 50 — 60 მაზრაში, რომელთაგან ყველა როდია სავსებით გამოკვლეული. მთელ რუსეთში ასეთი მუშა, ალბათ, ორ მილიონამდე იქნება*. ხოლო თუ ამას მივუმატებთ «შინამრეწველთა» მიერ დაქირავებულ მუშებს, — ამ დაქირავებულ მუშათა რიცხვი, როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, არც ისე მცირეა, როგორც ჩვენში ზოგჯერ ფიქრობენ, — მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ციფრი 2 მილიონი სამრეწველო მუშა, ეგრეთწოდებულ «ფაბრიკა-ქარხნებს» გარეთ კაპიტალისტურად გამოყენებული, — ეს ციფრი უფრო მინიმალურია, ვიდრე გადამეტებული**.

---

122), ე. ი. 58,8% კაპიტალისტურად გამოყენებულ მუშას. (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 536 — 538 და 449. რ ე დ.)

* მაგ., საკონფექციო ინდუსტრიაში კაპიტალისტური შინმუშაობა განსაკუთრებით განვითარებულია, ეს ინდუსტრია კი ჩქარა ვითარდება. «ისეთი პირველი საჭიროების საგნის მოთხოვნილება, როგორიც არის მზა ტანისამოსი, წლითი-წლობით მატულობს» (ვესტნ. ფინ.», 1897, № 52, ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის მიმოხილვა). ეს წარმოება დიდი მასშტაბით მხოლოდ 80-იანი წლებიდან განვითარდა. ამჟამად მარტო მოსკოვში მზადდება არანაკლებ 16 მილიონი მანეთის ტანისამოსი 20 ათასამდე მუშის საშუალებით. მთელს რუსეთში ამ წარმოების ღირებულება, როგორც ვარაუდობენ, 100 მილიონ მანეთს აღწევს («რუსეთის მრეწველობის წარმატებანი საექსპორტო კომისიების მიმოხილვათა მიხედვით». სპბ. 1897, გვ. 136 — 137). ს.-პეტერბურგში 1890 წლის აღწერით, საკონფექციო წარმოებაში (ჯგუფი XI, კლასები 116 — 118) გამოვიდა 39 912 კაცი, მრეწველების ოჯახთა ჩათვლით, აქედან 19 ათასი მუშა, 13 ათასი მარტოხელა კაცი ოჯახითურთ («ს.-პეტერბურგი 1890 წ. 15 დეკემბრის აღწერის მიხედვით»). 1897 წ. აღწერით, მთელ რუსეთში სულ ითვლება ტანსაცმლის წარმოებაში მომუშავე 1 158 865 კაცი, მათი ოჯახების წევრნი — 1 621 511; სულ 2 780 376 კაცი (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე -2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

** მოგაგონებთ, რომ რუსეთში «შინამრეწველთა» რიცხვს ანგარიშობენ არანაკლებ 4 მილიონს (ბ-ნ ხარიზომენოვის ციფრია. ბ-ნი ანდრეევი ანგა-

კითხვაზე: «რა არის შინამრეწველობა?» — ორ უკანასკნელ თავში წარმოდგენილი ცნობები გვაიძულებენ ვუპასუხოთ, რომ ეს მეცნიერული კვლევისათვის აბსოლუტურად გამოუსადეგარი ცნებაა, რომლითაც ჩვეულებრივ გულისხმობენ მრეწველობის ყოველნაირ ფორმებს, დაწყებული საშინაო სარეწით და ხელოსნობით და გათავებული დაქირავებული შრომით მეტად მსხვილ მანუფაქტურებში *. ეკონომიური ორგანიზაციის სულ სხვადასხვაგვარი ტიპების ეს აღრევა, რაც გაბატონებულია «შინამრეწველურ სარეწთა» ** მრავალ აღწერაში, სრულიად უკრიტიკოდ და სრულიად უაზროდ გადმოიღეს ეკონომისტ-ნაროდნიკებმა, რომლებმაც დიდი ნაბიჯი გადადგეს უკან, მაგ., ისეთ მწერალთან შედარებით, როგორიცაა კორსაკი, და ცნებათა გაბატონებული არევდარევით ისარგებლეს ფრიად კურიოზული თეორიების შესაქმნელად. «შინამრეწველობას» განიხილავდნენ როგორც ეკონომიურად ერთგვაროვან, თავისი თავის თანაბარ რამეს და უ პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ დ ნ ე ნ (sic!) «კაპიტალიზმს», რომელშიც პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად, «საქარხნო-საფაბრიკო» მრეწველობას გულისხმობდნენ. აიღეთ, მაგ., ბ-ნი ნ. — ონი. «ნარკვევების» 79-ე გვერდზე თქვენ წაიკითხავთ სათაურს:

რიშობდა $7^1/_2$ მილიონ კაცს, მაგრამ მისი გამოანგარიშების წესები მეტისმეტად თვითნებურია) [124]; მაშასადამე, ტექსტში მოყვანილი შეჯამებული ცნობები მოიცავენ «შინამრეწველთა» საერთო რიცხვის დაახლოებით $^1/_{10}$ ნაწილს.

* შეად. «ეტიუდები», გვ. 179 და შემდეგი. (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 534 — 535 და შემდეგი. რ ე დ.)

** მრეწველობის ფორმათა მეცნიერული განსაზღვრისათვის ტერმინ «შინამრეწველობის» შენარჩუნების სურვილმა ჩვენს ლიტერატურაში გამოიწვია ამ «შინამრეწველობის» შესახებ წმინდა სქოლასტიკური მსჯელობანი და დეფინიციები. ერთ მეცნიერს შინამრეწველი «ესმოდა» როგორც მხოლოდ საქონელმწარმოებელი, მეორე ხელოსანსაც ჩაურთავდა; ერთი აუცილებელ ნიშნად სთვლიდა მიწასთან კავშირს, მეორე — გამონაკლისს უშვებდა; ერთი გამორიცხავდა დაქირავებულ შრომას, მეორე — შესაძლებლად სცნობდა მის გამოყენებას, მაგალითად, 16 მუშამდე და სხვ. და სხვ. თავისთავად იგულისხმება, ამგვარი მსჯელობიდან (მრეწველობის სხვადასხვა ფორმის გამოკვლევის ნაცვლად) არაფერი არ გამოვიდოდა.

«სარეწების კაპიტალიზაცია» (?) *, და შემდეგ პირდაპირ, სრულიად უშინიშვნოდ და განუმარტებლად — «მონაცემები ფაბრიკა-ქარხნების შესახებ»... როგორც ხედავთ, გულის ამჩვილებელი მიამიტობაა: «კაპიტალიზმი» = «საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობას», ხოლო საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობა = იმას, რაც ამ სათაურით აღნიშნულია ოფიციალურ გამოცემებში. და ესოდენ ღრმა «ანალიზის» საფუძველზე კაპიტალიზმის ანგარიშიდან რიცხავენ კაპიტალისტურად გამოყენებულ მუშათა იმ მასებს, რომლებიც «შინამრეწველთა» რიცხვში ხვდებიან. ასეთი «ანალიზის» საფუძველზე სრულიად უვლიან გვერდს რუსეთის მრეწველობის სხვადასხვა ფორმის საკითხს. ასეთი «ანალიზის» საფუძველზე ჩნდება ერთ-ერთი ყველაზე უაზრო და მავნე ცრურწმენა, თითქოს ერთმანეთს უპირისპირდებოდეს ჩვენი «შინამრეწველობა» და ჩვენი «საქარხნო-საფაბრიკო» მრეწველობა, თითქოს მეორე მოწყვეტილი იყოს პირველს, თითქოს «ხელოვნური» იყოს «საქარხნო-საფაბრიკო» მრეწველობა და სხვ. ეს სწორედ ცრურწმენაა, იმიტომ რომ არავის არასოდეს არც კი უცდია შეხებოდა იმ მონაცემებს, რომლებიც მრეწველობის ყველა

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ტერმინის — «შინამრეწველობის» გამძლეობა ყველაზე უფრო აიხსნება რუსეთის საზოგადოების წოდებრიობით: «შინამრეწველი» — ეს დაბალ წოდებათა მრეწველია, რომელსაც შეიძლება მეურვეობა გაუწიო და რომლის შესახებ შეიძლება დაუბრკოლებლად შეთხზა ათასნაირი გეგმა; ამასთან მრეწველობის ფორმას არ გაარჩევენ. ხოლო ვაჭარს და აზნაურს (თუნდაც ისინი წვრილი მრეწველნიც იყვნენ) «შინამრეწველთა» რიცხვს იშვიათად მიაკუთვნებენ. «შინამრეწველური» სარეწები — ეს ჩვეულებრივ ყოველნაირი გლეხური და მხოლოდ გლეხური სარეწებიაო.

* ეს ტერმინი — «კაპიტალიზაცია», რაც ასე მოსწონთ ბბ. ვ. ვ.-ს და ნ. —ონს, დასაშვებია საგაზეთო სტატიაში, სიმოკლისათვის, — მაგრამ ის სრულიად შეუფერებელია ეკონომიურ გამოკვლევაში, რომლის მთელი მიზანია განიხილოს კაპიტალიზმის სხვადასხვა ფორმები და სტადიები, მათი მნიშვნელობა, მათი კავშირი, მათი თანამიმდევრობითი განვითარება. «კაპიტალიზაციად» რაც გინდათ ის შეგიძლიათ იგულისხმოთ: ერთი «მომუშავის» დაქირავებაც, საქონლის შეყიდვაც და ორთქლის ფაბრიკაც. მოდით და გაიგეთ რამე, თუ ყოველივე ეს ერთად არის არეული!

დარგში გვიჩვენებს უმჭიდროეს და განუყრელ კავშირს «შინამრეწველობასა» და «საფაბრიკო-საქარხნო» მრეწველობას შორის.

ამ თავის ამოცანა სწორედ იმის გამორკვევა იყო, თუ რაში მდგომარეობს ეს კავშირი და სახელდობრ ტექნიკის, ეკონომიკისა და კულტურის რა განსაკუთრებულ ნიშნებს შეიცავს მრეწველობის ის ფორმა, რომელიც დგას რუსეთში წვრილ მრეწველობასა და მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას **შორის.**

თ ა ვ ი VII

მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარება

I. ფაბრიკის მეცნიერული ცნება და «საფაბრიკო-საქარხნო» სტატისტიკის მნიშვნელობა [125]

მსხვილ მანქანურ (საფაბრიკო) მრეწველობაზე .რომ გადავდივართ, უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი მეცნიერული ცნება სრულებით არ შეესაბამება ამ ტერმინის ჩვეულებრივ, გავრცელებულ მნიშვნელობას. ჩვენს ოფიციალურ სტატისტიკაში და საზოგადოდ ლიტერატურაში ფაბრიკა ესმით როგორც ყოველი მეტად თუ ნაკლებად მსხვილი სამრეწველო დაწესებულება, რომელშიც დაქირავებული მუშების მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი რაოდენობა მუშაობს. მარქსის თეორია კი მსხვილ მანქანურ (საფაბრიკო) ინდუსტრიას უწოდებს კაპიტალიზმის მხოლოდ განსაზღვრულ, სახელდობრ უმაღლეს, საფეხურს მრეწველობაში. ამ სტადიის ძირითადი და ყველაზე არსებითი ნიშანი მდგომარეობს წარმოებისათვის მანქანების სისტემის გამოყენებაში*. მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლა მოასწავებს სრულ ტექნიკურ გადატრიალებას, რომელიც აქარწყლებს ხელით მუშაობის ოსტატობას, რაც ხელოსანს საუკუნეთა განმავლობაში მოუპოვებია, ხოლო ამ ტექნიკურ გადატრიალებას აუცილებლად მოსდევს წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობის მძაფრი მსხვრევა, საბოლოო განხეთქილება წარმოების მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, კავშირის სავსებით გაწყვეტა ტრადიციასთან, კაპიტალიზმის ყველა ბნელი მხარის გამწვავება და გაფარ-

* «Das Kapital», I, თავი 13.

თოება და ამასთან ერთად შრომის მასობრივი განსაზოგადოებაც კაპიტალიზმის მიერ. ამრიგად, მსხვილი მანქანური ინდუსტრია კაპიტალიზმის უკანასკნელი სიტყვაა, მისი უარყოფითი და «დადებითი მომენტების» უკანასკნელი სიტყვა *.

აქედან ცხადია, რომ კაპიტალიზმის განვითარების საკითხში სწორედ მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლას აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. ვინც ამ ორ სტადიას ერთმანეთში ურევს, ის ვერ გაიგებს იმ გარდამქმნელ, პროგრესულ როლს, რომელსაც კაპიტალიზმი ასრულებს. სწორედ ამ შეცდომას სჩადიან ჩვენი ეკონომისტი-ნაროდნიკები, რომლებიც, როგორც უკვე ვნახეთ, გულუბრყვილოდ აიგივებენ საზოგადოდ კაპიტალიზმს «საფაბრიკო-საქარხნო» მრეწველობასთან, რომლებსაც განუზრახავთ «კაპიტალიზმის მისიის» და მისი «გამაერთიანებელი მნიშვნელობის» ** საკითხიც კი საქარხნო-საფაბრიკო სტატისტიკის მონაცემებზე უბრალო მითითებით გადაწყვიტონ. გარდა იმისა, რომ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხებში ამ მწერლებმა (როგორც ამას დაწვრილებით ცხადვყოფთ ქვემოთ) საკვირველი უმეცრება გამოიჩინეს, — მათი კიდევ უფრო ღრმა შეცდომა მდგომარეობს მარქსის თეორიის საოცრად შაბლონურ და ვიწრო გაგებაში. ჯერ ერთი, სასაცილოა მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარების საკითხი მხოლოდ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხად გადააქციო. ეს მარტო სტატისტიკის საკითხი როდია, ეს არის იმ ფორმებისა და სტადიების საკითხი, რომლებსაც გადის კაპიტალიზმის განვითარება ამა თუ იმ ქვეყნის მრეწველობაში. როდესაც ამ ფორმების არსი და მათი განმასხვავებელი თავისებურებანი გამორკვეულია, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი ამა თუ იმ ფორმის განვითარება ცხადჰყო სათანადოდ დამუშავებული

---

* Ibid., I², S. 499.[126]

** ბ-ნი ნ. — ონი «რუსსკოე ბოგატსტვო»-ში, 1894 წ., № 6, გვ. 103 და 119. — იხ. აგრეთვე მისი «ნარკვევები» და ბ-ნ ვ. ვ.-ს «კაპიტალიზმის ბედი», passim.

სტატისტიკური მონაცემების საშუალებით. ხოლო როცა ჩვენებური სტატისტიკის მონაცემებით კმაყოფილდებიან, ეს აუცილებლად იწვევს კაპიტალიზმის სრულიად სხვადასხვა ფორმების აღრევას, იწვევს იმას, რომ ხეების გადამკიდენი ტყეს ველარ ამჩნევენ. მეორეც, კაპიტალიზმის მთელ მისიას თუ «საფაბრიკო-საქარხნო» მუშების რიცხვის გადიდებაში ხედავთ, ეს ნიშნავს, რომ ისევე ღრმად გაგიგიათ მარქსის თეორია, როგორც გაიგო იგი ბ-ნმა მიხაილოვსკიმ, რომელიც გაკვირვებით კითხულობს, თუ რატომ ლაპარაკობენ კაპიტალიზმის მიერ შრომის განსაზოგადოებაზე, როცა მთელი ეს განსაზოგადოება მხოლოდ იმას შეიცავს, რომ რამდენიმე ასი თუ ათასი მუშა ერთ სადგომში ხერხავს, სჭრის, სთლის, რანდავსო და სხვ. *.

შემდგომი გადმოცემის ამოცანა ორნაირია: ერთი მხრით, დაწვრილებით განვიხილავთ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მდგომარეობის საკითხს და მისი მონაცემების გამოსადეგობის საკითხს. ეს, მეტნაწილად უარყოფითი, მუშაობა აუცილებელია იმიტომ, რომ ჩვენს ლიტერატურაში პირდაპირ ბოროტად სარგებლობენ ამ სტატისტიკის ციფრებით. მეორე მხრით, გავარჩევთ იმ მონაცემებს, რომლებიც მოწმობენ მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ზრდას რეფორმისშემდეგდროინდელ ეპოქაში.

II. ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა

რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ძირითადი წყაროა ის უწყებები, რომლებსაც მეფაბრიკეები და მექარხნეები ყოველწლიურად უდგენენ ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტს, მიმდინარე საუკუნის დასაწყისშივე გამოცემული კანონის მოთხოვნების თანახმად **. კანონის ფრიად

* «ოტეჩ. ზაპ.», 1883 წ., № 7; ბ-ნ პოსტორონნის წერილი რედაქციისადმი.

** ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის წყაროების საფუძვლიანი მიმოხილვა იხ. «რუსეთის იმპერიის სტატისტიკურ მატიანეში», სერია II,

დაწვრილებითი განკარგულებანი მეფაბრიკეების მიერ ცნობების წარმოდგენის შესახებ მხოლოდ კეთილ სურვილად რჩება, და საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკას დღემდე შერჩენილი აქვს თავისი ძველი, წმინდა რეფორმამდელი ორგანიზაცია, — იგი გუბერნატორთა ანგარიშების უბრალო დანამატია. სრულიად არ არის ზუსტად განსაზღვრული «ფაბრიკისა და ქარხნის» ცნება, და ამიტომ საგუბერნიო, აგრეთვე სამაზრო ადმინისტრაციის ორგანოები ამ ტერმინს სულ სხვადასხვაგვარად იყენებენ. არ არის არავითარი ცენტრალური ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობდეს ცნობების წესიერ, ერთგვაროვან მოგროვებას და მათ შემოწმებას. სამრეწველო საწარმოების სხვადასხვა უწყებათა შორის (სამთო, ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტი, შეუწერელ გამოსაღებთა დეპარტამენტი და სხვ.) განაწილება კიდევ უფრო აძლიერებს ამ არევდარევას. *

II დანართში ჩვენ მოგვყავს ის მონაცემები რეფორმისშემდეგდროინდელი ეპოქის ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შესახებ, რომლებიც მოიპოვება ოფიციალურ, სახელდობრ 1863 — 1879 და 1885 — 1891 წლების გამოცემებში. ეს მონაცემები ეხება მხოლოდ აქციზით დაუბეგრავ წარმოებებს, ამასთან არის სხვადასხვა დროის ცნობები წარმოებათა სხვადასხვა რიცხვის შესახებ (ყველაზე სრულია 1864 — 1865, 1885 და შემდეგი წლების ცნობები); ამიტომ ჩვენ გამოვყავით 34 წარმოება, რომელთა შესახებ მოიპოვება 1864 — 1879 და 1885 — 1890 წლების, ე. ი. 22 წლის ცნობები. ამ ცნობების ღირსების დასაფასებლად საჭიროა უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი გამოცემები. დავიწყოთ 60-იანი წლებით.

ნაკვ. 6. სპბ. 1872. «ევროპული რუსეთის საფ.-საქ. მრეწველობის სტატისტიკის 1868 წ. მასალები». დამუშავებულია ბ-ნ ბოკის მიერ. შესავალი, გვ. I — XXIII.

* იხ. სტატია «ჩვენი საფაბ.-საქარხნო სტატისტიკის საკითხისთვის» «ეტიუდებში», სადაც დაწვრილებითაა გარჩეული ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის უახლესი გამოცემა ჩვენი საფაბ.-საქარხნო მრეწველობის შესახებ. (იხ. თხზულებანი, ტომი მე-4. რ ე დ.)

60-იანი წლების საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის შემდგენლებს ძალიან კარგად ესმოდათ, რომ მათ მიერ დასამუშავებელი მონაცემები მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელია. ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ მუშათა რიცხვი და წარმოების თანხა საგრძნობლად შემცირებულია მეფაბრიკეთა ჩვენებებში; «არც კი არსებობს სხვადასხვა გუბერნიისათვის ერთგვაროვანი განსაზღვრა იმისა, თუ რა არის ფაბრიკა და ქარხანა, რადგან მრავალ გუბერნიას, მაგალითად, ფაბრიკა-ქარხნების რიცხვში შეაქვს ქარის წისქვილები, აგურის გამოსაწვავი ფარდულები და წვრილი სამრეწველო დაწესებულებანი, სხვები კი მათ არც ანგარიშობენ, რის გამო მნიშვნელობა ეკარგება შედარებით ჩვენებასაც კი სხვადასხვა გუბერნიაში არსებულ ფაბრიკა-ქარხნების საერთო რაოდენობის შესახებ»*. კიდევ უფრო მკაცრ შენიშვნებს გამოთქვამენ ბუშენი, ბოკი და ტიმირიაზევი **, რომლებიც, გარდა ამისა, მიუთითებენ, რომ ფაბრიკის მუშათა რიცხვში ჩათვლილია შინ მომუშავე მუშები; აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი მეფაბრიკე აჩვენებს მხოლოდ თვით ფაბრიკაში მცხოვრებ მუშებს, და სხვ. «მანუფაქტურული და საქარხნო მრეწველობის სწორი ოფიციალური სტატისტიკა,— ამბობს ბ-ნი ბუშენი,— არ არის და არც იქნება მანამდე, სანამ არ შეიცვლება თავდაპირველი მასალების შეგროვების მთავარი საფუძვლები» ***. «ბევრი წარმოების დარგში ფაბრიკა-ქარხანათა ცხრილებში მოხვდა, ალბათ გაუგებრობით, მრავალი წმინდა ხელოსნური და შინამრეწველური საწარმო, რომელნიც სრულიად მოკლებული არიან ქარხნისა და ფაბრიკის ხასიათს» ****. ამის გამო «წელიწდეულის» რედაქციამ უარი თქვა დაბეჭდილი მონა-

* პ. სემიონოვი «სტატისტიკური მატიანის» (I, 1866 წ.) წინასიტყვაობაში, გვ. XXVII.

** «ევროპული რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის უმთავრესი დარგების სტატ. ატლასი ფაბრიკა-ქარხნების სახელობითი სიის დართვით», 3 ნაკვეთი, სპბ. 1869, 1870 და 1873.

*** «ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული», I, გვ. 140.

**** Ibid., გვ. 306.

ცემების მიხედვით ჯამის გამოყვანაზეც კი, რადგან «არ უნდოდა საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ყალბი და აშკარად გადაჭარბებული ციფრები»*. მკითხველს სწორი წარმოდგენა რომ მივცეთ ამ აშკარა გადაჭარბების სიდიდეზე, მივმართოთ «წელიწდეულის» მონაცემებს, რომელიც ყველა დანარჩენი წყაროსაგან ხელსაყრელად განსხვავდება იმით, რომ იძლევა ფაბრიკა-ქარხნების სახელობით სიას და წარმოების თანხას 1 000 მანეთზე ზევით. ახლა (1885 წლიდან) წარმოების ნაკლები თანხის მქონე დაწესებულებანი ფაბრიკების სიიდან გამორიცხულია. ამ წვრილი დაწესებულებების აღნუსხვა «წელიწდეულის» მიხედვით გვიჩვენებს, რომ ფაბრიკების საერთო რიცხვში შევიდა 2 366 ასეთი საწარმო 7 327 მუშით და 987 ათასი მან. წარმოების თანხით. მაინც, «წელიწდეულის» მიხედვით, 71 წარმოებაში ფაბრიკების რიცხვია 6 891, მუშათა რიცხვი — 342 473 და წარმოების თანხა—276 211 ათასი მან. მაშასადამე, წვრილი საწარმონი იძლევიან ყველა საწარმოს 34,3%, მუშების მთელი რიცხვის 2,1% და წარმოების საერთო თანხის 0,3%. თავისთავად ცხადია, რომ უაზრობაა ესოდენ წვრილი საწარმონი (საშუალოდ თითო საწარმოზე მოდის 3 მუშაზე ცოტა მეტი და 500 მანეთზე ნაკლები წარმოების თანხა) ფაბრიკებად ჩავთვალოთ, და რომ მათს რამდენადმე მაინც სრულ რეგისტრაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს კიდევ ცოტაა, რომ ამგვარი საწარმონი ჩვენი სტატისტიკის მიხედვით ფაბრიკათა რიცხვში ხვდებოდნენ, — იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ასობით შინამრეწველს სრულიად ხელოვნურად და თვითნებურად აერთიანებდნენ ერთი «ფაბრიკის» სახით. მაგალითად, იგივე «წელიწდეული» ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის გორბატოვის მაზრის იზბილენის თემის ბაგირის წარმოებაში აღნიშნავს «იზბილენის თემის გლეხთა ფაბრიკას; მუშა — 929; სართავი ჯარა — 308; წარმოების თანხა — 100 400 მან.» (გვ. 149); ან იმავე მაზრის სოფ. ვორსმში ფაბრიკა «გრაფ შერემეტიევის დროებით-ვალდებული გლეხებისა; სამჭედლო — 100; დაზ-

* Ibid., გვ. 306.

გა (სახლებში) — 250; სალესავი ჯარა ცხენისა — 3, ხელისა — 20; მუშა — 902; წარმოების თანხა — 6 610 მან.» (გვ. 281). ადვილი მისახვედრია, თუ რა წარმოდგენას იძლევა სინამდვილეზე ასეთი სტატისტიკა!*

60-იანი წლების საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს «სამხედრო-სტატისტიკურ კრებულს» (ნაკვ. IV. რუსეთი. სპბ. 1871 წ.). იქ მოყვანილია მონაცემები რუსეთის იმპერიის ყველა ფაბრიკა-ქარხნის შესახებ, სამთოსა და სააქციზოს ჩათვლით, და 1866 წ. ევროპული რუსეთისათვის ნაანგარიშევია, არც მეტი, არც ნაკლები, 70 631 ფაბრიკა, 829 573 მუშა და 583 317 ათასი მან. წარმოების თანხა!! ასეთი კურიოზული ციფრები გამოვიდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ისინი აღებულია არა ფინანსთა სამინისტროს უწყებებიდან, არამედ ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის განსაკუთრებული ცნობებიდან (ამასთან ეს ცნობები კომიტეტის არც ერთ გამოცემაში არ ყოფილა დაბეჭდილი, და არ არის ცნობილი, თუ ვინ, როგორ და როდის შეკრიბა და დაამუშავა ისინი) **; მეორეც,

* რაც შეეხება მეფაბრიკეების მიერ თავიანთ ჩვენებებში მუშების რიცხვისა და წარმოების თანხის განგებ შემცირებას, ამ შემთხვევაში ზემოხსენებული წყაროები შემოწმების ორ საინტერესო ცდას იძლევიან. ტიმირიაზევს შეუდარებია ასზე მეტი მსხვილი მეფაბრიკის ჩვენება, ოფიციალური სტატისტიკისათვის მიცემული, მათსავე ჩვენებასთან 1865 წლის გამოფენისათვის. უკანასკნელი ციფრები პირველ ციფრებზე მეტი გამოვიდა 22%-ით (l. c., I, გვ. IV — V). 1868 წ. ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა საცდელად მოახდინა მოსკოვისა და ვლადიმირის გუბერნიების საფ.-საქ. მრეწველობის განსაკუთრებული გამოკვლევა (1868 წ. ამ ორ გუბერნიაში თავმოყრილი იყო ევროპული რუსეთის ფაბრიკა-ქარხნის მუშების მთელი რიცხვის და ფაბრიკა-ქარხნების წარმოების მთელი თანხის თითქმის ნახევარი). თუ გამოვყოფთ იმ წარმოებებს, რომელთა შესახებ გვაქვს როგორც ფინანსთა სამინისტროს, ისე ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის მონაცემები, მაშინ მივიღებთ ასეთ ციფრებს: ფინანსთა სამინისტროს ცნობებით ითვლებოდა 1 749 ფაბრიკა, 186 521 მუშა, 131 568 ათასი მან. წარმოების თანხა, ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის გამოკვლევით კი — 1 704 ფაბრიკა, 196 315 მუშა თვით დაწესებულებაში პლუს 33 485 განზე მომუშავე და 137 758 ათასი მან. წარმოების თანხა.

** ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ცნობები პირდაპირ ამოღებული

იმიტომ, რომ «სამხედრო-სტატისტიკური კრებულის» შემდგენელნი სულ ადვილად აქცევდნენ ფაბრიკათა რიცხვში მეტად წვრილ საწარმოებს («სამხედრო-სტატისტიკური კრებული», გვ. 319), ამასთან ძირითად ცნობებს სხვა მასალებით ავსებდნენ: ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის ცნობებითაც, საინტენდანტოს ცნობებითაც, საარტილერიო და საზღვაო უწყებათა ცნობებითაც, დასასრულ, «სულ სხვადასხვაგვარი წყაროებიდან» ამოღებული ცნობებით (ibid., გვ. XXIII)*. ამიტომ, როცა ბბ. ნ. — ონი **, კარიშევი *** და კაბლუკოვი **** «სამხედრო-სტატისტიკური კრებულის» მონაცემებით სარგებლობენ თანამედროვე მონაცემებთან შესადარებლად, ისინი იჩენენ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ძირითადი წყაროების სრულ უცოდინარობას და ამ სტატისტიკისადმი უაღრესად არაკრიტიკულ დამოკიდებულებას.

თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებაში, როცა გაიმართა კამათი მ. ი. ტ.-ბარანოვსკის მოხსენების გამო, სადაც აღნიშნული იყო «სამხ.-სტატისტიკურ კრებულის» ციფრების

იყოს გუბერნატორების ანგარიშებიდან, რომლებიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყოველთვის უზომოდ აზვიადებენ ფაბრიკა-ქარხნების რიცხვს.

* თუ როგორ ფართოდ იყენებდა «სამხედრო-სტატისტიკური კრებული» ფაბრიკის ცნებას, ეს ნათლად ჩანს შემდეგიდან: «წელიწდეულის» სტატისტიკას ის უწოდებს «ჩვენი მ ს ხ ვ ი ლ ი საწარმოების სტატისტიკას» (გვ. 319, ხაზი ავტორებისაა). როგორც ვნახეთ, ამ «მსხვილი» საწარმოების ერთ მესამედს 1000 მანეთზე ნაკლები წარმოების თანხა აქვს!! ჩვენ აღარ შევუდგებით უფრო დაწვრილებით იმის მტკიცებას, რომ «სამხ.-სტატისტიკური კრებულის» ციფრებით ხელმძღვანელობა შეუწყნარებელია საფ.-საქ. სტატისტიკის თანამედროვე მონაცემებთან შესადარებლად, ვინაიდან ეს ამოცანა უკვე შესრულებულია ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის მიერ (იხ. მისი წიგნი «ფაბრიკა» და სხვა, გვ. 336 და შემდეგი). შეად. «ეტიუდები», გვ. 271 და 275. (იხ. თხზულებანი, ტომი 4, გვ. 13 — 14 და 18 — 19. რ ე დ.)

** «ნარკვევები», გვ. 125, და «რუსსკოე ბოგატსტვო», 1894 წ., № 6.

*** «იურიდ. ვესტნ.», 1889 წ., № 9, და «რუსეთის სახალხო მეურნეობის მასალები», მოსკოვი, 1898 წ.

**** «ლექციები სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესახებ». მოსკოვი 1897 წ., გვ. 13.

სრული მცდარობა, — ზოგიერთი პირი აცხადებდა, რომ თუ შეცდომაა მუშათა რიცხვში, ეს შეცდომა ძალიან მცირეა, დაახლოებით 10 — 15%-ითო. ასე ამბობდა, მაგალითად, ბ-ნი ვ. ვ. (იხ. კამათის სტენოგრაფიული ანგარიში. სპბ. 1898, გვ. 1). მას «მიემხრო» ბ-ნი ვ. პოკროვსკი, რომელიც აგრეთვე მხოლოდ ლიტონი განცხადებით დაკმაყოფილდა (გვ. 3). ეს პირები და მათი მომხრეები არც კი ცდილან კრიტიკულად განეხილათ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის სხვადასხვა წყაროები და კმაყოფილდებოდნენ ზოგადი განცხადებებით იმის შესახებ, რომ საფაბ.-საქარხნო სტატისტიკა არაა დამაკმაყოფილებელი, რომ უკანასკნელ ხანებში ის თანდათან უფრო ზუსტ (??) ცნობებს იძლევაო, და სხვ. ამრიგად, ძირითადი საკითხი ბბ. ნ. — ონის და კარიშევის უხეში შეცდომისა პირდაპირ მ ი ი ჩ ქ მ ა ლ ა, როგორც სრულიად სამართლიანად შენიშნა პ. ბ. სტრუვემ (გვ. 11). ამიტომ ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია აღვნიშნოთ «სამხ.-სტატ. კრებულის» მონაცემებში არსებული გაზვიადებანი, რომლებიც სულ ადვილად შეუძლია შენიშნოს და უნდა შენიშნოს ყველამ, ვინც კი ყურადღებით ეპყრობა წყაროებს. 71 წარმოების შესახებ არის როგორც ფინანსთა სამინისტროს («ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული», I), ისე უცნობი წყაროს («სამხედრო-სტატ. კრებული») 1866 წლის პარალელური მონაცემები. ამ წარმოებებში, მეტალურგიულ წარმოებათა გამოკლებით, «სამხ.-სტატ. კრებულმა» საფაბრიკო-საქარხნო მუშათა რიცხვი ევროპულ რუსეთში 50 ა თ ა ს ი კ ა ც ი თ გადაამეტა. შემდეგ, იმავე წარმოებებში, რომელთა შესახებ «წელიწდეული» იძლევა მხოლოდ შეუმოწმებელ ციფრებს მთელი იმპერიისათვის და ხელს იღებს მათ დეტალურ დამუშავებაზე ამ ციფრების «აშკარა გადაჭარბების» გამო («წელიწდეული», გვ. 306), — «სამხ.-სტატ. კრებული» ანგარიშობს კ ი დ ე ვ ზ ე დ მ ე ტ *95* ა თ ა ს მუშას. აგურის წარმოებაში გადამეტებულია მუშათა რიცხვი m i n i m u m *10* ა თ ა ს ი კ ა ც ი თ; ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია შევადაროთ ერთმანეთს «სამხ.-სტატ. კრებულის» საგუბერნიო მონაცემები, აგრეთვე «ფინ. სამინ. უწყების ცნობებისა და მასა-

ლების კრებულის» (1866 წ. № 4 და 1867 წ. № 6) მონაცემები. მეტალურგიულ წარმოებებში «სამხედრო-სტატ. კრებულმა» «წელიწდეულთან» შედარებით მუშათა რიცხვი *86* ათასით გადაამეტა, — ალბათ, მან აქ ჩათვალა სამთო მუშების ნაწილი. სააქციზო წარმოებებში «სამხ.-სტატ. კრებულის» გადამეტება შეადგენს, როგორც შემდეგ პარაგრაფში ცხადვყოფთ, დაახლოებით *40* ათას კაცს. სულ გადიდებულია *280* ათასი კაცით. ეს მინიმალური დაარასრული ციფრია, ვინაიდან ყველა წარმოებისათვის «სამხ.-სტატ. კრებულის» მონაცემების შესამოწმებლად ჩვენ მასალა არა გვაქვს. აქედან შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რამდენად იცნობენ ამ საკითხს ის პირნი, რომელნიც ამტკიცებენ — ბბ. ნ. — ონს და კარიშევს დიდი შეცდომა არ ჩაუდენიათო!

1870-იან წლებში გაცილებით ნაკლები გაკეთდა საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონაცემების შესაჯამებლად და დასამუშავებლად, ვიდრე 1860-იან წლებში. «ფინანსთა სამინისტროს წელიწდეულში» 1867 — 1879 წლების ცნობები დაბეჭდილია მხოლოდ 40 (აქციზით დაუბეგრავი) წარმოების შესახებ (ნაკვ. VIII, X და XII, იხ. დანართი II), ამასთან დანარჩენ წარმოებათა გამორიცხვა მოტივებულია იმით, რომ მეტისმეტად «არადამაკმაყოფილებელია მასალა» იმ წარმოებათა შესახებ, «რომელნიც დაკავშირებული არიან სასოფლო-სამეურნეო ყოფაცხოვრებასთან ანდა ეკუთვნიან ხელოსნურ და შინამრეწველურ სარეწებს» (ნაკვ. VIII, გვ. 482; აგრეთვე ნაკვ. X, გვ. 590). 1870-იანი წლების ყველაზე ძვირფასი წყაროა ბ-ნ პ. ორლოვის «ფაბრიკა-ქარხნების საძიებელი» (1-ლი გამოცემა, სპბ. 1881 წ., 1879 წლის ცნობები ამოღებულია იმავე უწყებებიდან, რომელთაც მეფაბრიკეები უდგენენ ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტს). ამ გამოცემაში სახელწოდებათა აღნიშვნით ჩამოთვლილია ყველა საწარმო, რომელთაც აქვთ წარმოების თანხა არანაკლებ 2 ათასი მანეთი. დანარჩენი დაწესებულებანი, როგორც წვრილი და შინამრეწველურ დაწესებულებათაგან გამოუყოფელი საწარმონი, არ არიან შეტანილნი სახელობით სიაში, მაგრამ ისი-

ნიაღნიშნულიარიან იმშეჯამებულ ცნობებში, რომლებიც «საძიებელს» მოჰყავს. ვინაიდან განსაკუთრებული ჯამი იმ საწარმოების შესახებ, რომელთაც 2 ათას მან. და მეტი წარმოების თანხა აქვთ, არაა მოყვანილი, ამიტომ «საძიებლის» ზოგადი მონაცემები, ისევე როგორც წინანდელი გამოცემანი, ერთმანეთში ურევენ წვრილ და მსხვილ საწარმოებს, ამასთან სხვადასხვა წარმოებისა და სხვადასხვა გუბერნიის წვრილ საწარმოთა სხვადასხვა რიცხვი ხვდება (რასაკვირველია, სრულიად შემთხვევით) სტატისტიკაში *. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ წარმოებათა შესახებ «საძიებელი» იმეორებს (გვ. 396) «წელიწდეულის» შენიშვნას, უარს ამბობს «დაახლოებითი ჯამის» გამოყვანაზეც კი (ხაზი ავტორისაა) მონაცემთა უსწორობის და უსრულობის გამო **. მაგრამ, მიუხედავად ასეთი (როგორც ქვემოთ დავინახავთ, სრულიად სამართლიანი) მსჯელობისა, «საძიებლის» საერთო ჯამში მაინც შეტანილია ყველა ეს განსაკუთრებით არასაიმედო ცნობა, შედარებით შემოწმებულ და საიმედო ცნობებთან ერთად. მოგვყავს «საძიებლის» ზოგადი ცნობები ევროპული რუსეთის შესახებ, ოღონდ აღვნიშნავთ, რომ ეს ცნობები, წინანდელი ცნობებისაგან განსხვავებით, მოიცავენ აქციზით დაბეგრილ წარმოებებსაც («საძიებლის» მეორე, 1887 წ. გამოცემა, იძლევა 1884 წ. ცნობებს; მესამე, 1894 წ. გამოცემა — 1890 წლის ცნობებს):

წლები	ფაბრიკა-ქარხანათა რიცხვი	წარმოების თანხა ათას მან.	მუშათა რიცხვი
1879***	27 986	1 148 134	763 152
1884	27 235	1 329 602	826 794
1890	21 124	1 500 871	875 764

* მაგალითები მოყვანილი იქნება შემდეგ პარაგრაფში. აქ კი დავიმოწმებთ «საძიებლის» 679 და შემდეგ გვერდებს; ვინც იქ ჩაიხედავს, ყველა ადვილად დარწმუნდება ტექსტში ნათქვამის სიმართლეში.

** «საძიებლის» მე-3 გამოცემაში (სპბ. 1894 წ.) ეს შენიშვნა არაა განმეორებული და ტყუილად არ არის განმეორებული, ვინაიდან ცნობები იგივე დარჩა.

*** ზოგიერთი არასრული ცნობა შევსებულია დაახლოებით; იხ. «საძიებელი», გვ. 695.

ჩვენ ქვემოთ ცხადვყოფთ, რომ სინამდვილეში სრულებით არ მომხდარა ფაბრიკათა რიცხვის ის შემცირება, რომელსაც ეს ცნობები აღნიშნავენ; მთელი საქმე ის არის, რომ სხვადასხვა დროს წვრილ საწარმოთა სხვადასხვა რაოდენობა ხვდებოდა ფაბრიკათა რიცხვში. მაგ., 1884 წ. იყო 1000 მანეთზე მეტი წარმოების თანხის მქონე 19 277 საწარმო, 1890 წ. კი — 21 124; 2 ათასი მანეთი და მეტი წარმოების თანხით: 1884 წ. — 11 509, 1890 წ. კი — 17 642*.

1889 წლიდან ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტმა დაიწყო გამოცემა კრებულისა — «რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მონაცემთა ნაკრები» (1885 და შემდეგი წლებისა). ეს მონაცემები დამყარებულია იმავე მასალაზე (მეფაბრიკეთა უწყებებზე), ამასთან მისი დამუშავება სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი და ჩამორჩება 60-იანი წლების ზემოდასახელებულ გამოცემათა ცნობების დამუშავებას. ერთადერთი გაუმჯობესება ის არის, რომ წვრილი საწარმონი, ე. ი. ისეთი საწარმონი, რომელთაც წარმოების თანხა 1000 მანეთზე ნაკლები აქვთ, არ არიან ჩათვლილნი ფაბრიკა-ქარხნების რიცხვში, და ამ წვრილ საწარმოთა შესახებ ცნობები მოყვანილია ცალკე, წარმოების მიხედვით გაუნაწილებლად **. რასაკვირველია, «ფაბრიკის» ასეთი ნიშანთვისება სრულებით არ არის საკმარისი: ცნობების შეგროვების თანამედროვე წესების დროს ლაპარაკიც შეუძლებელია იმ საწარმოების სრულ რეგისტრაციაზე, რომელთაც 1 000 მანეთზე მეტი წარმოების თანხა აქვთ. «ფაბრიკების» გამოყოფა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ წარმოებათა

* იხ. ფაბრიკათა დაჯგუფება წარმოების თანხის მიხედვით «საძიებლის» მეორე და მესამე გამოცემაში.

** თავისთავად ცხადია, რომ ცნობები ამ წვრილ საწარმოთა შესახებ სრულიად შემთხვევითია: ზოგიერთ გუბერნიაში და ზოგიერთ წელს მათ ანგარიშობენ ასობით და ათასობით, ზოგიერთში კი — ათეულობით და ერთეულობით. მაგ., ბესარაბიის გუბ. 1887-დან 1890 წლამდე: 1 479 — 272 — 262 — 1 684, პენზის გუბ. 1885 — 1891 წლამდე: 4 — 15 — 0 — 1 127 — 1 135 — 2 148 — 2 264 და სხვ. და სხვ.

მიხედვით ხდება სრულიად შემთხვევით, მაგ., წყლისა და ქარის წისქვილები ზოგიერთ გუბერნიაში და ზოგიერთ წელს ჩათვლილია ფაბრიკათა რიცხვში, სხვაგან და სხვა დროს კი — არა *. ავტორი სტატიისა «რუსეთის საფაბრ.-საქარხნო მრეწველობის 1885 — 1887 წლების მთავარი შედეგები» (ამავე წლების «ნაკრებში») არაერთხელ სჩადის შეცდომას, რადგან ყურადღებას არ აქცევს სხვადასხვა გუბერნიის ცნობათა სხვადასხვაგვაროობას და შეუდარობას. ბოლოს, «ნაკრების» დახასიათებისათვის დავუმატებთ, რომ 1891 წლამდე იგი მოიცავდა მხოლოდ აქციზით დაუბეგრავ წარმოებათ, ხოლო 1892 წლიდან — ყველა წარმოებას, სამთო და სააქციზო წარმოების ჩათვლით; ამასთან ცალკე არაა გამოყოფილი ის ცნობები, რომელთა შედარება შეიძლებოდეს წინანდელ ცნობებთან, და სრულიად არაა განმარტებული სამთო ქარხნების ფაბრიკა-ქარხანათა საერთო რიცხვში შეტანის წესი (მაგ., სამთო-საქარხნო სტატისტიკა არასოდეს არ იძლეოდა სამთო ქარხნების წარმოების ღირებულებას, არამედ აღნიშნავდა მხოლოდ პროდუქტის რაოდენობას. როგორ განსაზღვრავდნენ «ნაკრების» შემდგენელნი წარმოების თანხას, — გამოურკვეველია).

1880-იან წლებს ეკუთვნის აგრეთვე ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შესახებ ცნობათა ერთი წყარო, რომელიც ყურადღების ღირსია როგორც თავისი უარყოფითი თვისებებით, ისე იმით, რომ სწორედ მისი ცნობებით სარ-

---

* შეად. «ეტიუდებში» მოყვანილი მაგალითები, გვ. 274. (იხ. თხზულებანი, ტომი 4, გვ. 17 — 18. რ ე დ .). ბ-ნი ტ. - ბარანოვსკი ცოტათი ცდება, როცა ამტკიცებს, ნამდვილი ფაბრიკების რიცხვი 1885-დან 1891 წლამდე შემცირდაო («ფაბრიკა», გვ. 350) და როცა ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა წარმოების თითო ფაბრიკაში სხვადასხვა დროს მომუშავე მუშების საშუალო რიცხვს (Ib., 355) «ნაკრების» მონაცემები მეტად ქაოსურია და, თუ განსაკუთრებულად არ დაამუშავე, ისე მათი გამოყენება ასეთი დასკვნებისათვის შეუძლებელია.

გებლობს ბ-ნი კარიშევი *. ეს არის «რუსეთის 1884/85 წ. ცნობების კრებული» (სპბ. 1887. ცენტრ. სტატისტიკური კომიტეტის გამოცემა), რომლის ერთ-ერთ ცხრილში ნაჩვენებია «ევროპული რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის წარმოების თანხა, 1885 წ.» (ცხრილი XXXIX); ფაბრიკათა და მუშათა რიცხვი მოცემულია მხოლოდ მთელი რუსეთისათვის, გუბერნიების მიხედვით დაუნაწილებლად. ცნობების წყაროს წარმოადგენს «ბბ. გუბერნატორების ანგარიშთა მონაცემები» (გვ. 311). მონაცემები მოიცავენ ყველა წარმოებას, მათ შორის სამთო და სააქციზო წარმოებასაც, ამასთან თვითეული წარმოებისათვის გამოანგარიშებულია მუშების «საშუალო» რიცხვი და წარმოების თანხა თითო ქარხანაზე მთელი ევროპული რუსეთის მიმართ. აი ამ «საშუალო» რიცხვების «ანალიზს» შესდგომია ბ-ნი კარიშევი. მათი მნიშვნელობის დასაფასებლად ჩვენ ერთმანეთს შევადარებთ «კრებულისა» და «ნაკრების» მონაცემებს (ასეთი შედარებისათვის საჭიროა პირველ მონაცემებს გამოვაკლოთ მეტალურგიული, სააქციზო, თევზის და «სხვა» წარმოებანი; დარჩება 53 წარმოება; მონაცემები ეხება ევროპულ-რუსეთს).

წყაროები	რიცხვი: ფაბრიკებისა	რიცხვი: მუშებისა	წარმოების თანხა ათას მან.
«რუსეთის ცნობების კრებული»	54 179	559 476	569 705
«ვაჭრ. და მანუფ. დეპ-ტის ნაკრები»	14 761	499 632	672 079
	+ 39 418	+ 59 844	— 102 374
	+ 267 %	+ 11,9%	— 15,2%

* ნ. ა. კარიშევი. «რუსეთის დამმუშავებელი მრეწველობის უმთავრესი დარგების გავრცელების სტატისტიკური მიმოხილვა». «იურიდ. ვესტნ.», 1889 წ., № 9, სექტემბერი. ბ-ნ კარიშევის უახლეს ნაშრომთან ერთად, რაც გარჩეულია ჩვენს «ეტიუდებში», ეს სტატია წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ როგორ არ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონაცემები.

ამრიგად, გუბერნატორთა ანგარიშებმა «ფაბრიკათა» რიცხვში მოაქციეს ათი ათასობით წვრილი სასოფლო-სამეურნეო და შინასამრეწველო დაწესებულება! რასაკვირველია, ამგვარი დაწესებულებანი ფაბრიკათა რიცხვში ხვდებოდნენ სრულიად შემთხვევით ცალკე წარმოებებისა, ცალკე გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით. აი ზოგიერთი წარმოების ქარხანათა რიცხვის მაგალითები «კრებულისა» და «ნაკრების» მიხედვით: ქურქჩეულის — 1 205 და 259; ტყავის — 4 079 და 2 026; ნეჭა-ტომრის — 562 და 55; სახამებელ-ბადაგის — 1 228 და 184; საფქვავი — 17 765 და 3 940; ზეთსახდელი — 9 341 და 574; კუპრის — 3 366 და 328; აგურის — 5 067 და 1 488; ჭურჭლისა და შორენკეცის — 2 573 და 147. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ღირსების «სტატისტიკას» მივიღებთ, თუ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის «საწარმოთა სიდიდეზე»* იმ «საშუალო რიცხვების» მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებიც «ფაბრიკების» ამგვარ გამოთვლაზეა დამყარებული! ბ-ნი კარიშევი კი სწორედ ამნაირად მსჯელობს, როცა მსხვილ მრეწველობას მხოლოდ იმ წარმოებათ მიაკუთვნებს, სადაც მუშათა ზემოხსენებული «საშუალო რიცხვი» ერთ ქარხანაზე (მთელი რუსეთისათვის) ასზე მეტია. ასეთი ფენომენალური მეთოდის საშუალებით ის დასკვნა გამოდის, რომ წარმოების მთელი თანხის მხოლოდ $^1/_4$-ს იძლევა «ზემოხსენებული სიდიდის მსხვილი მრეწველობა»!! (გვ. 47 ციტირებული სტატიისა) **. ქვემოთ ჩვენ ცხადვყოფთ, რომ

* ბ-ნ კარიშევის სტატიის IV პარაგრაფი. უნდა შევნიშნოთ, რომ «ნაკრების» ნაცვლად «კრებულთან» შესადარებლად შეიძლება ავიღოთ ბ-ნ ორლოვის «საძიებელი», რომლის მეორე გამოცემას (1884 წ.) ბ-ნი კარიშევიც იმოწმებს.

** «ამნაირად, უკანასკნელის» (მთელი წლიური წარმოების) «$^3/_4$ იძლევიან შედარებით წვრილი ტიპის საწარმონი. ამ მოვლენის ფესვები უნდა ვეძიოთ რუსეთის სახალხო მეურნეობის მრავალ არსებითად მნიშვნელოვან ელემენტში. ამაში შედის, სხვათა შორის, სოფლის მოსახლეობის მასის მიწათმოწყობა, გამძლეობა თემისა (sic!), რომელიც შეძლებისდაგვარად აფერხებს ჩვენში საფაბრიკო-საქარხნო მუშათა პროფესიული კლასის განვითარებას. ამას ეკომბინირება (!) პროდუქტთა გადამუ-

ნამდვილად იმ ფაბრიკებში, სადაც 100 და მეტი მუშაა, ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის წარმოების მთელი თანხის ნახევარზე მეტია კონცენტრირებული.

უნდა შევნიშნოთ, რომ ადგილობრივი საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტების ცნობებს (რომლებსაც გუბერნატორთა ანგარიშები ემყარებიან) ყოველთვის ახასიათებს «ფაბრიკის და ქარხნის» ცნების სრული გაურკვევლობა და წვრილი საწარმოების შემთხვევითი რეგისტრაცია. მაგალითად, სმოლენსკის გუბერნიაში 1893/94 წ. ზოგიერთი მაზრა ათობით წვრილ ზეთსახდელს მიაკუთვნებდა ფაბრიკებს, ზოგიერთი კი — არც ერთს; კუპრის «ქარხანა» გუბერნიაში ნაანგარიშევია 152 (1890 წლის «საძიებლით»—არც ერთი), ისეთივე შემთხვევითი რეგისტრაციით ცალკეულ მაზრებში და სხვ. *. იაროსლავლის გუბერნიისათვის 90-იან წლებში ადგილობრივი სტატისტიკა ანგარიშობს 3 376 ფაბრიკასა და ქარხანას (წინააღმდეგ 472-ისა 1890 წლის «საძიებლის» მიხედვით), ამასთან ჩათვლილია (ცალკეულ მაზრებში) ასობით წისქვილი, სამჭედლო, კარტოფილის წვრილი ქარხანა და სხვ. **.

სულ ბოლო დროს ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში რეფორმა მოხდა, რამაც შესცვალა ცნობების შეკრების პროგრამა, შესცვალა «ფაბრიკის და ქარხნის» ცნება (შეტანილია ახალი ნიშნები: მექანიკური ძრავის ან არანაკლებ 15 მუშის არსებობა) და რამაც ცნობების შეკრებასა და შემოწმებაში ჩაბა საფაბრიკო ინსპექცია. ამ საკითხის დაწვრილებით გასაცნობად მკითხველს მივუთითებთ ჩვენი «ეტიუდე-

---

შ ა ვ ე ბ ი ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი ს ა შ ი ნ ა ო ფ ო რ მ ა რუსეთის სწორედ იმ (შუა) ზოლში, სადაც მოთავსებულია უმთავრესად ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები» (ibid., ხაზი ბ-ნ კარიშევისაა). საბრალო «თემი»! ყველაფრისათვის მხოლოდ ის უნდა იყოს პასუხისმგებელი, მის სწავლულ თაყვანისმცემელთა სტატისტიკური შეცდომებისთვისაც კი!

* ცნობები ბ-ნ დ. ეობანკოვის წიგნიდან: «სმოლენსკის გუბერნიის ფაბრიკა-ქარხნების სანიტარული გამოკვლევა» (სმოლენსკი, ნაკვ. I, 1896).

** «იაროსლავლის გუბერნიის მიმოხილვა», ნაკვ. II, იარ. 1896. შეადაგრეთვე «ტულის გუბერნიის 1895 წ. სამახსოვრო წიგნაკი» (ტულა, 1895), განყოფ. I, გვ. 14 — 15: «ფაბრიკა-ქარხნების 1893 წ. უწყისი».

ბის» ზემოხსენებულ სტატიაზე*, სადაც დაწვრილებით განხილულია ახალი პროგრამით შედგენილი «ფაბრიკა-ქარხნების სია» (სპბ. 1897)** და სადაც ნაჩვენებია, რომ, რეფორმის მიუხედავად, ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკას გაუმჯობესება თითქმის არ ეტყობა; რომ ცნება «ფაბრიკა და ქარხანა» სრულებით გაურკვეველი დარჩა; რომ ცნობები ძალიან ხშირად ძველებურადვე სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებენ და რომ ამიტომ საჭიროა უდიდესი სიფრთხილე ამ ცნობებით სარგებლობის დროს ***. ქაოსური მდგომარეობიდან ჩვენს სამრეწველო სტატისტიკას მხოლოდ წესიერად, ევროპულად მოწყობილი სამრეწველო აღწერა გამოიყვანს ****.

---

* იხ. თხზულებანი, ტომი მე-4. რ ე დ.

** ბ-ნ კარიშევის გამოანგარიშებით, «სიის» მიერ მოცემულ ცნობათა ჯამი ევროპული რუსეთის მიმართ ასეთია: 14 578 ფაბრიკა 885 555 მუშით და 1 345 346 ათასი მან. წარმოების თანხით.

*** საფაბრიკო ინსპექტორთა ანგარიშების ნაკრებში, რასაც ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო სცემს (1901 — 1903 წლებისა), არის ცნობები ფაბრიკა-ქარხნების, აგრეთვე იქ დაბანდებული მუშების რიცხვის შესახებ (რუსეთის 64 გუბ.); ფაბრიკა-ქარხნები დანაწილებულია ჯგუფებად მუშათა რიცხვის მიხედვით (20-დე; 21 — 50; 51 — 100; 101 — 500; 501 — 1 000; 1 000-ზე მეტი). ეს წინგადადგმული დიდი ნაბიჯია ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკისათვის. ცნობები მსხვილი სახელოსნოების შესახებ (21 და მეტი მუშა), ალბათ, რამდენადმე მაინც საიმედოა. ცნობები იმ «ფაბრიკათა» შესახებ, სადაც 20 მუშაზე ნაკლებია, აშკარად შემთხვევითი და სრულიად უვარგისია. მაგალითად, ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიისათვის 1903 წ. ნაჩვენებია 266 ფაბრიკა, სადაც თვითეულში 20-ზე ნაკლები მუშაა; მათში სულ 1 975 მუშაა, ე. ი. საშუალოდ 8 მუშაზე ნაკლები. პერმის გუბერნიაში — 10 ასეთი ფაბრიკაა 159 მუშით! ცხადია, ეს სასაცილოა. 1903 წლის ჯამი 64 გუბერნიისათვის: 15 821 ფაბრიკა 1 640 406 მუშით, ხოლო თუ ამას გამოვაკლებთ იმ ფაბრიკა-ქარხნებს, სადაც 20 მუშაზე ნაკლებია, მაშინ გამოგვივა 10 072 ფაბრიკა და ქარხანა 1 576 754 მუშით. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

**** შეად. «ვესტნიკ ფინანსოვ», 1896 წ., № 35. ნიჟნი-ნოვგოროდის ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებებისა და გამართული კამათის ანგარიში. ბ-ნმა მიხაილოვსკიმ ძალიან მკაფიოდ დაახასიათა საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ქაოსური მდგომარეობა, როცა აღწერა, თუ როგორ მოგზა-

ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მიმოხილვიდან გამომდინარეობს, რომ უმეტეს შემთხვევაში მისი ცნობებით სარგებლობა განსაკუთრებული დამუშავების ჩაუტარებლად არ შეიძლება და რომ ამ დამუშავების მთავარი მიზანი უნდა იყოს შედარებით გამოსადეგის გამოყოფა აბსოლუტურად უვარგისისაგან. ამ მხრივ შემდეგ პარაგრაფში განვიხილავთ ცნობებს უმნიშვნელოვანეს წარმოებათა შესახებ, ახლა კი დავსვამთ კითხვას: იზრდება თუ მცირდება ფაბრიკების რიცხვი რუსეთში? ამ კითხვის მთავარი სიძნელე ისაა, რომ ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში «ფაბრიკის» ცნება მეტად ქაოსურად იხმარება; ამიტომ ამ კითხვის იმ უარყოფით პასუხს, რომელსაც ხანდახან იძლეოდნენ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ცნობების მიხედვით (მაგ., ბ-ნი კარიშევი), არ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა დავადგინოთ «ფაბრიკის» ცნების ერთი რაიმე ზუსტი ნიშანი, — უამპირობოდ უაზრობა იქნება მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარების დასურათება იმ საწარმოთა შესახები ცნობებით, რომელთა რიცხვში სხვადასხვა დროს ხვდებოდა სხვადასხვა რაოდენობა წვრილი წისქვილებისა, ზეთსახდელებისა, აგურის საწვავებისა და სხვ. და სხვ. ასეთ ნიშნად ავიღოთ საწარმოში დაბანდებულ მუშათა რიცხვი არანაკლებ 16-ისა, — მაშინ მივიღებთ, რომ ევროპულ რუსეთში 1866 წ. ამგვარი სამრეწველო საწარმო იყო maximum 2,5 — 3 ათასი, 1879 წ. იყო დაახლოებით 4,5 ათასი, 1890 წ. — დაახლოებით 6 ათასი, 1894/95 წ. — და-

---

ურობს შეკითხვის ფურცელი «პოლიციის დაბალ მოსამსახურემდე, რომელიც, ბოლოს, ხელწერილით აბარებს მას, რასაკვირველია, იმ სამრეწველო საწარმოთ, რომლებსაც თვით ის ყურადღების ღირსად სცნობს, უფრო ხშირად კი იმათ, რომლებსაც გასულ წელსაც ჩააბარა»;—თუ როგორ ივსება ეს ფურცელი ან «გასული წლის მსგავსად» დაწერილი პასუხებით — (საკმარისია გადახედოთ ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის «ნაკრებს» ცალკე გუბერნიების ცალკე წარმოებათა მიხედვით, რომ დარწმუნდეთ ნათქვამის სიმართლეში), — ან სრულიად უაზრო პასუხებით და სხვ.

ახლოებით 6,4 ათასი, 1903 წ. — დაახლოებით 9 ათასი *. მაშასადამე, რუსეთში რეფორმის შემდგომდროინდელ ხანაში ფაბრიკების რიცხვი იზრდება და საკმაოდ სწრაფადაც იზრდება.

III. მსხვილი მრეწველობის განვითარების ისტორიულ-სტატისტიკური მონაცემების განხილვა

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით მსხვილი მრეწველობის განვითარების გასაგებად საჭიროა გამოიყოს ამ სტატისტიკის შედარებით ვარგისი მასალა სრულიად უვარგისი მასალისაგან. ამ მიზნით განვიხილოთ ჩვენი დამმუშავებელი მრეწველობის უმთავრესი წარმოებანი.

1) საფეიქრო წარმოებანი

მატყლის დამმუშავებელ წარმოებათა სათავეში დგას მაუდის წარმოება, რომელიც 1890 წ. იძლეოდა 35 მილიონ

* ცნობები ეხება ყველა წარმოებას (ე. ი. სააქციზო წარმოების ჩათვლით), სამთოს გარდა. 1879, 1890 და 1894/95 წლების ცნობები გამოვიანგარიშეთ «საძიებლისა» და «სიის» მიხედვით. «სიის» ცნობებიდან გამოკლებულია სტამბები, რომლებსაც წინათ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა არ ანგარიშობდა (იხ. «ეტიუდები», გვ. 273). (იხ. თხზულებანი, ტომი 4, გვ. 17. რ ე დ.). 1866 წ. ჩვენ «ყოველწლიურის» ცნობებით 71 წარმოების შესახებ, გვაქვს საწარმოთა მთელი რიცხვიდან — 6 891 საწარმოდან — 1 861 დაწესებულება, სადაც მუშაობდა 16 და მეტი მუშა; 1890 წ. ეს 71 წარმოება იძლეოდა 16 და მეტი მუშის მყოლ დაწესებულებათა მთელი რაოდენობის დაახლოებით $^4/_5$. «ფაბრიკის» ცნების ჩვენ მიერ აღებული ნიშანი ყველაზე უფრო ზუსტად მიგვაჩნია, ვინაიდან ფაბრიკათა რიცხვში იმ საწარმოების ჩათვლა, სადაც 16 და მეტი მუშაა, უდავო იყო ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის სულ სხვადასხვა პროგრამისა და ყველა წარმოებისათვის. უეჭველია, საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა ვერასოდეს ვერ აღნიშნავდა და ვერც ახლა აღნიშნავს ყ ვ ე ლ ა საწარმოს, სადაც არის 16 და მეტი მუშა (იხ. მაგალითები VI თავში, § II), მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ წინათ მეტი იყო გამოტოვებული, ვიდრე ახლა. 1903 წ. ცნობები აღებულია „საფაბრიკო ინსპექტორთა ანგარიშების ნაკრებიდან». ევროპული რუსეთის 50 გუბერნიაში არის 8 856 ფაბრიკა და ქარხანა, რომელთაგან თვითეულში 20-ზე მეტი მუშაა.

მანეთზე მეტ წარმოების თანხას და სადაც ჩაბმული იყო 45 ათასი მუშა. ამ წარმოების ისტორიულ-სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ მუშათა რიცხვის საგრძნობ შემცირებას, სახელდობრ 72 638-იდან 1866 წ. 46 740-დე 1890 წ. *. ამ მოვლენის შესაფასებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 1860-იან წლებამდე მაუდის წარმოებას განსაკუთრებული, ორიგინალური ორგანიზაცია ჰქონდა: იგი თავმოყრილი იყო შედარებით მსხვილ საწარმოებში, რომლებიც, მიუხედავად ამისა, კაპიტალისტურ საფაბრიკო ინდუსტრიას კი არ მიეკუთვნებოდნენ, არამედ ემყარებოდნენ ყმების ან დროებით-ვალდებული გლეხების შრომას. ამიტომ 60-იანი წლების «საფაბრიკო-საქარხნო» მრეწველობის მიმოხილვებში თქვენ შეხვდებით მაუდის ფაბრიკათა დაყოფას: 1) მემამულეთა ანუ თავად-აზნაურთა ფაბრიკებად და 2) ვაჭართა ფაბრიკებად. პირველნი ამზადებდნენ უმთავრესად მაუდს ჯარისათვის, ამასთან სახაზინო იჯარა თანასწორად ნაწილდებოდა ფაბრიკებს შორის აპარატების რაოდენობის მიხედვით. სავალდებულო შრომა განაპირობებდა ამგვარ საწარმოთა ტექნიკის ჩამორჩენილობას და მათ მიერ გაცილებით მეტი მუშების გამოყენებას ვაჭართა ფაბრიკებთან შედარებით, რომლებიც ნებით დაქირავებულ შრომას ემყარებოდნენ **. მაუდის წარმოებაში მუშათა რიცხვის შემცირება უმთავრესად სწორედ მემამულურ გუბერნიებში ხდება; ასე, 13 მემამულურ

* ყველა შემთხვევაში, სადაც განსაკუთრებული შენიშვნა არაა, ჩვენ ვიღებთ 1866 წლისათვის «წელიწდეულის» ცნობებს, 1879 და 1890 წლებისათვის—«საძიებლების» ცნობებს.—«ისტორ.-სტატ. მიმოხილვა» (ტ. II) მაუდის წარმოების შესახებ იძლევა ყოველწლიურ ცნობებს 1855 წლიდან 1879 წლამდე; აი მუშათა საშუალო რიცხვი ხუთწლობით 1855—1859 წლებიდან 1875—1879 წლებამდე: 107 433; 96 131; 92 117; 87 960 და 81 458.

** იხ. «რუსეთის მანუფაქტურული მრეწველობის სხვადასხვა დარგის მიმოხილვა», ტ. I, სპბ. 1862, განსაკუთრებით გვ. 165 და 167. შეად. აგრეთვე «სამხედრო-სტატ. კრებული», გვ. 357 და შემდეგი. ამჟამად მაუდის მეფაბრიკეთა სიაში იშვიათად შეხვდები იმ სახელგანთქმულ თავადაზნაურულ გვარებს, რომლებიც 1860-იან წლებში დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ.

გუბერნიაში (რაც ჩამოთვლილია «მანუფ. მრეწ. მიმოხილ-ვაში») მუშათა რიცხვი შემცირდა 32 921-დან 14 539-მდე (1866 და 1890 წწ.), ხოლო 5 ვაჭრულ გუბერნიაში (მოსკოვის, გროდნოს, ლიფლიანდიის, ჩერნიგოვისა და ს.-პეტერბურგის) — 31 291-დან 28 257-მდე. აქედან ცხადია, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმდინარეობასთან; მიუხედავად ამისა, ორივე მიმდინარეობა კაპიტალიზმის განვითარებას გამოხატავს, სახელდობრ: ერთი მხრით, საბატონო-პოსესიური ხასიათის მემამულურ საწარმოთა დაცემას, მეორე მხრით — ვაჭართა საწარმოებიდან წმინდა კაპიტალისტური ფაბრიკების განვითარებას. 60-იანი წლების მაუდის წარმოების მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობა სრულებით არ იყო ფ ა ბ რ ი კ ი ს მუშა ამ ტერმინის ზუსტი მნიშვნელობით; ესენი იყვნენ დამოკიდებული, მემამულეთათვის მომუშავე გლეხები*. მაუდის წარმოება წარმოადგენს რუსეთის ისტორიაში იმ თვითმყოფი მოვლენის მაგალითს, რომელიც გამოიხატება ყმის შრომის გამოყენებით მრეწველობაში. ვინაიდან ჩვენ აქ მარტო რეფორმის-შემდეგდროინდელ ხანას ვეხებით, ჩვენთვის საკმარისია ზემოხსენებული მოკლე მითითება, რომ ამ მოვლენამ გამოხატულება ჰპოვა საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში**. სწორედ

---

* აი ორიოდე მაგალითი საერობო სტატისტიკიდან. სარატოვის გუბ. ვოლსკის მაზრის ნ. -პ. გლადკოვის მაუდის ფაბრიკის შესახებ (1866 წ. — 306 მუშა) ჩვენ ამ მაზრის საერ.-სტატ. კრებულში (გვ. 275) ვკითხულობთ, რომ გლეხებს იძულებით ამუშავებდნენ ბატონის ფაბრიკაში. «ფაბრიკაში მუშაობდნენ დაქორწინებამდე, ხოლო შემდეგ მობეგრენი ხდებოდნენ». რიაზანის გუბ. რანენბურგის მაზრის სოფ. რიასში 1866 წ. იყო მაუდის ფაბრიკა, სადაც მუშაობდა 180 მუშა. გლეხები საბატონო ბეგარას ფაბრიკაში მუშაობით იხდიდნენ. ფაბრიკა 1870 წ. დაიხურა («რიაზანის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. II, ნაკვ. I. მ. 1882, გვ. 330).

** იხ. ნ ი ს ე ლ ო ვ ი ჩ ი. «რუსეთის იმპერიის საქარხნო-საფაბრიკო კანონმდებლობის ისტორია». ნაწ. I და II. სპბ. 1883 — 1884. — ა. ს ე მ ი ო ნ ო ვ ი. «რუსეთის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის შესახები ისტორიული ცნობების შესწავლა». სპბ. 1858—1859, 3 ნაწილი.—ვ. ი. ს ე მ ი-

ამ დარგში მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარების წარმოსადგენად მოვიყვანთ კიდევ ორთქლის ძრავების სტატისტიკიდან შემდეგ ცნობებს: ევროპულ რუსეთში 1875—1878 წწ. მატყლსართავ და მაუდის წარმოებაში ითვლებოდა 167 მექანიკური საწარმო, სადაც იყო 209 ორთქლის მანქანა 4 632 ცხენის ძალისა, ხოლო 1890 წ.—197 საწარმო, სადაც იყო 341 ორთქლის მანქანა 6 602 ცხენის ძალისა. მაშასადამე, ორთქლის გამოყენება არც ისე ჩქარა ვითარდებოდა, რაც აიხსნება ნაწილობრივ მემამულეთა ფაბრიკების ტრადიციებით, ნაწილობრივ კი იმ გარემოებით, რომ მაუდის ქსოვილების ადგილს იკავებდა უფრო იაფი მატყლის კამვოლური და შერეული ქსოვილები*. მატყლსაქსოვ წარმოებაში 1875—1878 წწ. იყო 7 მექანიკური საწარმო 303 ცხენძალის 20 ორთქლის მანქანით, ხოლო 1890 წ.—28 მექანიკური საწარმო 1 375 ცხენძალის 61 ორთქლის მანქანით**.

მატყლის დამუშავების წარმოებათაგან კიდევ აღვნიშნავთ ქეჩის წარმოებას, რომელიც განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს საფაბრ.-საქარხნო სტატისტიკის სხვადასხვა დროის ცნობების შედარების შეუძლებლობას: 1866 წ. ითვლებოდა 77 ფაბრიკა 295 მუშით, 1890 წ.—57 ფაბრიკა 1 217 მუშით. პირველი რიცხვიდან წვრილ საწარმოებზე, რომლებსაც 2 ათას მანეთზე ნაკლები წარმოების თანხა აქვთ, მოდის 60

ოვსკი. «გლეხები ეკატერინე II მეფობის დროს». სპბ 1881.—«მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული. სანიტარული სტატისტიკის განყოფილება», ტ. IV, ნაწ. I (საერთო ჯამი). მ. 1890, ა. ვ. პოგოჟევის სტატია. «მოსკოვის გუბ. მემამულურ-პოსესიური ფაბრიკების შესახებ». — მ. ტ.-ბარანოვსკი. «რუსეთის ფაბრიკა». სპბ. 1898, ტ. I.

* შეად. «რუსეთის მრეწველობის წარმატებანი საექსპერტო კომისიების მიმოხილვათა მიხედვით». სპბ. 1897, გვ. 60.

** ორთქლის ძრავების შესახებ ცნობები აქაც და ქვემოთაც ამოღებულია შრომიდან — «მასალები ორთქლის ძრავების სტატისტიკისათვის რუსეთის იმპერიაში». ცენტრ. სტატ. კომიტეტის გამოცემა. სპბ. 1882; 1890 წ. ცნობები ამოღებულია შრომიდან — «ნაკრები ცნობები საფ.-საქ. მრეწველობის შესახებ», ხოლო ცნობები მექანიკურ საწარმოთა შესახებ — «საძიებლიდან».

საწარმო 137 მუშით, მეორედან — 1 საწარმო 4 მუშით; 39 წვრილი საწარმო ნაანგარიშევია 1866 წ. ნიჟნი-ნოვგოროდის გუბ. სემიონოვის მაზრაში, სადაც ახლაც დიდად განვითარებულია სამთელაო სარეწი, რომელსაც, მიუხედავად ამისა, «შინამრეწველობას» აკუთვნებენ და არა «საფაბრიკო-საქარხნო» წარმოებას (იხ. თავი VI, § II, 2).

შემდეგ, საფეიქრო წარმოებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბამბის დამუშავების წარმოებას, რომელშიც ახლა 200 ათასზე მეტი მუშაა ჩაბმული. აქ ჩვენ ვხედავთ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ერთ უდიდეს შეცდომათაგანს, სახელდობრ: ფაბრიკის მუშების და შინ კაპიტალისტურად დასაქმებული მუშების ერთმანეთში არევას. აქ (ისე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში) მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარება შინ მომუშავე მუშების ფაბრიკაში მიზიდვით გამოიხატებოდა. ცხადია, რა დამახინჯებული სახით წარმოგვიდგება ეს პროცესი, თუ «ფაბრიკების» რიცხვში ჩავთვლით დამარიგებელ კონტორებსა და საფეიქრო ქოხებს, თუ შინ მომუშავე მუშებს და ფაბრიკის მუშებს ერთმანეთში ავურევთ! 1866 წ. ჩვენ («წელიწდეულის» მიხედვით) ვიანგარიშეთ 22 ათასამდე შინ მომუშავე მუშა, რომელნიც ჩათვლილი არიან ფაბრიკის მუშათა რიცხვში (ეს რიცხვიც სრული როდია, რადგან მოსკოვის გუბერნიის შესახებ «წელიწდეულში»,—ალბათ, შემთხვევითი მიზეზების გამო,—გამოტოვებულია ის შენიშვნები «სოფლად მუშაობაზე», რომელნიც ასე მრავლადაა ვლადიმირის გუბერნიის შესახებ). 1890 წ. («საძიებლით») ჩვენ ასეთი მუშა ვიანგარიშეთ მხოლოდ 9 ათასამდე. აშკარაა, საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ციფრები (1866 წ. — 59 ათასი მუშა ბამბეულის საქსოვ ფაბრიკებში, 1890 წ. — 75 ათასი) ამციერებენ საფაბრიკო მუშათა რიცხვის იმ ზრდას, რომელიც სინამდვილეში ხდებოდა *. აი ცნობები იმის შესახებ, თუ

* შეად. ტ.-ბარანოვსკი, l. c., გვ. 420. — სოფლად კაპიტალისტების მიერ დაბანდებულ ხელით მომუშავე ფეიქართა მთელ რიცხვს სემიონოვი 1859 წ. დაახლოებით განსაზღვრავს 385 857 კაცით (I. c., III, 273); ამათ

სხვადასხვა დროს რა და რა საწარმო ხვდებოდა ბამბეულის საქსოვ «ფაბრიკათა» რიცხვში*:

წლები	ბამბეულის საქსოვ «ფაბრიკათა» მთელი რიცხვი	მათ შორის ფაბრიკები	მათ შორის კონტორები	მათ შორის საფეიქრო ქოხები
1866	436	256	38	142
1879	411	209	66	136
1890	311	283	21	7

ამნაირად, «ფაბრიკათა» რიცხვის შემცირება, რასაც «სტატისტიკა» გვიჩვენებს, ნამდვილად ნიშნავს ფაბრიკის მიერ კონტორებისა და საფეიქრო ქოხების გამოდევნას. ცხადეყოთ ეს ორი ფაბრიკის მაგალითით:

წლები	ი. მ. ტერენტიევის ფაბრიკა ქ. შუიაში						ი. ნ. გარელინის ფაბრიკა ქ. ივან.-ვოზნესენსკში					
		მექანიკ. საქსოვი დაჯგების რიცხვი	მუშათა რიცხვი			წარმოების თანხა ათას მან.		მექანიკ. საქსოვი დაჯგების რიცხვი	მუშათა რიცხვი			წარმოების თანხა ათას მან.
			საწარმოში	გარეთ	სულ				საწარმოში	გარეთ	სულ	
1866	ხელის	—	205	670	875	130	დამარიგ. კონტორა	—	?	1 917	1 917	158
1879	ორთქლ.	648	920	—	920	1 346	ორთქლ.	893	1 274	—	1 274	2 137
1890	»	1 502	1 043	—	1 043	1 244	»	1 141	1 483	—	1 483	2 058
1894/95	»	?	1 160	—	1 160	1 878	»	?	2 134	—	2 134	2 933

ის კიდევ უმატებს 200 ათას მუშას, რომელნიც ჩაბმული არიან სოფლად «სხვა საფაბრიკო წარმოებებში» (გვ. 302, ibid.). ახლა, როგორც ზემოთ ვნახეთ, კაპიტალისტურად დასაქმებულ შინ მომუშავე მუშათა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია.

* საფეიქრო ქოხებად ჩათვლილია ისეთი საწარმონი, რომელთა წარმოების თანხა 2 000 მანეთზე ნაკლებია. მოსკოვის და ვლადიმირის გუ-

მაშასადამე, უწყებულ დარგში მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარების გასათვალისწინებლად ყველაზე მოხერხებულია ავიღოთ ცნობები მექანიკური საქსოვი დაზგების რაოდენობის შესახებ. 1860-იან წლებში ასეთი დაზგა იყო 11 ათასამდე *, 1890-იან წლებში — 87 ათასამდე. მაშასადამე, მსხვილი მანქანური ინდუსტრია ძალიან სწრაფად განვითარდა. ბამბეულის ნართის და ქსოვილის წარმოებაში 1875 — 1878 წწ. ითვლებოდა 148 მექანიკური საწარმო 20 504 ცხენძალის 481 ორთქლის მანქანით, ხოლო 1890 წ. — 168 მექანიკური საწარმო 38 750 ცხენძალის 554 ორთქლის მანქანით.

სწორედ ასეთსავე შეცდომას სჩადის ჩვენი სტატისტიკა ტილოს წარმოების შესახებაც, — არასწორად გვიჩვენებს საფაბრიკო-საქარხნო მუშათა რიცხვის შემცირებას (1866: 17 171; 1890: 15 497). ნამდვილად კი, 1866 წ. ტილოს მეფაბრიკეებს 16 900 დაზგიდან მხოლოდ 4 749 დაზგა ჰქონდათ საწარმოში, ხოლო დანარჩენი 12 151 საფეიქრო ქოხების პატრონებს ედგათ **. მაშასადამე, საფაბრიკო მუშათა რიცხვში მოხვდა 1866 წ. დაახლოებით 12 ათასი შინ მომუშავე მუშა, ხოლო 1890 წ.—მხოლოდ 3 ათასამდე (ნაანგარიშევია «საძიებლის მიხედვით»). მექანიკური საქსოვი დაზგების რიცხვი კი გაიზარდა 2 263-დან 1866 წ. (ნაანგარიშევია «სამხ.-სტატ.

ბერნიების ფაბრიკა-ქარხანათა იმ სპეციალური გამოკვლევის ცნობებში, რაც ცენტ. სტატ. კომიტეტმა 1868 წელს ჩაატარა, არაერთხელ არის აღნიშნული, რომ წვრილ საფეიქრო დაწესებულებათა წარმოების თანხა მხოლოდ მუშაობის ხელფასია. კონტორებად ჩათვლილია ის დაწესებულებანი, რომელნიც სახლებში არიგებენ სამუშაოს. 1866 წლისათვის ამ დაწესებულებათა რიცხვი არაა სრული, რადგან მოსკოვის გუბერნიის ცნობებში აშკარა ხარვეზებია.

* «სამხედრო-სტატ. კრებული», 380. — «მანუფაქტურული მრეწველობის მიმოხილვა», ტ. II. სპბ. 1863, გვ. 451. — 1898 წ. ანგარიშობდნენ 100 630 მექანიკურ საქსოვ დაზგას ბამბეულის საფეიქრო წარმოებაში (ალბათ, მთელი იმპერიისათვის). «რუსეთის მრეწველობის წარმატებანი», გვ. 33.

** «სამხ.-სტატ. კრებული», გვ. 367—368; საინტენდანტოს ცნობები.

კრებულის» მიხედვით) 4 041-მდე 1890 წელს, ხოლო ჯარა— 95 495-დან 218 012-მდე. სელის ნართისა და ქსოვილის წარმოებაში 1875 — 1878 წწ. იყო 28 მექანიკური საწარმო 1 604 ცხენძალის 47 ორთქლის მანქანით, ხოლო 1890 წ. — 48 მექანიკური საწარმო 5 027 ცხენძალის 83 ორთქლის მანქანით *.

ბოლოს, საფეიქრო წარმოებათაგან უნდა აღინიშნოს კიდევ საღებავი, საჩითავი და საგამომყვანო წარმოებანი, სადაც საფაბ.-საქარხნო სტატისტიკა ფაბრიკებში ურევს ყველაზე წვრილ ხელოსნურ საწარმოთ, რომელთაც 1 — 2 მუშა ჰყავთ და რამდენიმე ასი მანეთის წარმოება აქვთ **. ცხადია, რომ აქედან გამომდინარეობს მრავალი გაუგებრობა, რომელიც ჩქმალავს მსხვილი მანქანური ინდუსტრიის სწრაფ ზრდას. აი ცნობები ამ ზრდის შესახებ: 1875 — 1878 წწ. მატყლის სარეცხ, სამღებრო, სათეთრებელ და საგამომყვანო წარმოებებში იყო 80 მექანიკური საწარმო 2 634 ცხენძალის 255 ორთქლის მანქანით, ხოლო 1890 წ. — 189 მექანიკური საწარმო 9 100 ცხენძალის 858 ორთქლის მანქანით.

2) ხის დამუშავების წარმოებანი

ამ განყოფილებაში ყველაზე უტყუარი ცნობები მოიპოვება ხე-ტყის სახერხ წარმოებაზე, თუმცა წინათ აქაც თვლიდნენ წვრილ საწარმოებს ***. რეფორმისშემდეგდროინდელ ხანაში ამ წარმოების დიდი განვითარება (1866 წ.: 4 მილიონი მან.; 1890: 19 მილიონი მან.), რასაც თან სდევდა მუშათა

* აბრეშუმის საფეიქრო წარმოებაში 1879 წ. იყო 495 მექანიკური და 5 996 ხელით საქსოვი დაზგა («ისტორ.-სტატისტ. მიმოხილვა»), ხოლო 1890 წ. პირველი — 2 899 და მეორე—$7^1/_2$ ათასზე მეტი.

** მაგ., 1879 წ. ამ წარმოებებში 729 ფაბრიკას ანგარიშობდნენ; აქედან 466 ფაბრიკას ჰყავდა 977 მუშა და ჰქონდა 170 ათასი მან. წარმოების თანხა. ახლაც ბევრი ამგვარი «ფაბრიკის» მონახვა შეიძლება, მაგალითად, ვიატკის და პერმის გუბ. შინამრეწველურ საწარმოთა აღწერილობაში.

*** შეად. «სამხედრო-სტატისტიკური კრებული», გვ. 389. «მანუფაქტურული მრეწველობის მიმოხილვა», I, 309.

რიცხვის საგრძნობი ზრდა (4 და 15 ათასი) და ორთქლით მომუშავე საწარმოთა რიცხვის მატება (26 და 430), განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ ის ნათლად ადასტურებს ხე-ტყის მრეწველობის ზრდას. ხე-ტყის სახერხი წარმოება შეადგენს მხოლოდ ერთ-ერთ ოპერაციას ხე-ტყის მრეწველობისას, რომელიც მსხვილი მანქანური ინდუსტრიის პირველი ნაბიჯების აუცილებელი თანამგზავრია.

რაც შეეხება ამ განყოფილების დანარჩენ წარმოებებს, როგორიცაა: საავეჯო-სადურგლო, საჭილობო, საფისო-საკუპრო, მათ შესახებ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკას განსაკუთრებით ქაოსური ცნობები მოეპოვება. ამ წარმოებებში ესოდენ მრავალ წვრილ საწარმოს წინათ თვითნებურად «ფაბრიკებს» მიაკუთვნებდენ და ხანდახან ახლაც მიაკუთვნებენ *.

3) ქიმიური წარმოებანი, ცხოველთა პროდუქტების დამუშავების და კერამიკული წარმოებანი

საკუთრივ ქიმიური წარმოების მონაცემებს შედარებით მეტი სისწორე ახასიათებს. აი მისი ზრდის ცნობები: რუსეთში 1857 წ. 14 მილიონი მანეთის ქიმიური პროდუქტი იხარჯებოდა (3,4 მილიონი მან. წარმოება და 10,6 მილიონი მან. შემოზიდვა); 1880 წ. — $36^1/_4$ მილიონი მან. ($7^1/_2$ მილიონი მან. წარმოება და $28^3/_4$ შემოზიდვა); 1890 წ.—42,7 მილიონი მან. (16,1 მილიონი მან. წარმოება და 26,6 შემო-

* მაგ., 91 ჭილობის ფაბრიკიდან 1879 წ. 39-ს ჰქონდა 1 000 მანეთზე ნაკლები წარმოების თანხა (შეად. «ეტიუდები», გვ. 155) (იხ. თხზულებანი, ტომი 2. გვ. 503. რედ.) საფისო-საკუპრო წარმოებაში 1890 წ. ითვლებოდა 140 ქარხანა. რომელთაგან თვითეულს 2 ათას მან. მეტი წარმოების თანხა ჰქონდა; 1879 წ. ითვლებოდა 1 033 ქარხანა, ამათგან 911 ჰქონდა 2 ათას მან. ნაკლები წარმოების თანხა; 1866 წ. ითვლებოდა 669 ქარხანა (მთელს იმპერიაში), ხოლო «სამხ.-სტატ. კრებული» 3 164-საც ანგარიშობდა!! (შეად. «ეტიუდები», გვ. 156 და 271). (იხ. თხზულებანი, ტომი 2. გვ. 502, და ტომი 4, გვ. 10. რედ.).

ზიდვა)*. ეს ცნობები განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ ქიმიურ წარმოებებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც მსხვილი მანქანური ინდუსტრიისათვის დამხმარე მასალების, ე. ი. საწარმოო (და არა პირადი) მოხმარების საგნების დამამზადებელ წარმოებებს. პოტასუმისა და გვარჯილის წარმოების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკათა რიცხვი სარწმუნო არაა ისევ წვრილ საწარმოთა ჩათვლის გამო**.

ქონის დამუშავების მრეწველობა რეფორმისშემდეგდროინდელ ხანაში აშკარა დაცემით ხასიათდება. ასე, 1866—1868 წწ. ქონის სანთლის და ქონის სადნობი წარმოების თანხა იყო 13,6 მილიონი მანეთი, ხოლო 1890 წ.—5 მილიონი მან.*** ეს დაცემა აიხსნება იმ გარემოებით, რომ გასანათებლად უფრო და უფრო იხმარებოდა მინერალური ზეთი, რომელიც ძველებური ქონის სანთლის ადგილს იჭერდა.

ტყავის წარმოებაში (1856: 2 038 საწარმო 11 463 მუშით, 14,6 მილიონი მან. წარმოების თანხით; 1890 წ.: 1 621 საწარმო 15 564 მუშით და 26,7 მილიონი მან. წარმოების თანხით) სტატისტიკა მუდამ ერთმანეთში ურევს ქარხნებსა და წვრილ საწარმოებს. მასალის შედარებით მაღალი ღირებულება, რომელიც განაპირობებს წარმოების მაღალ თანხას, და ის გარემოება, რომ ეს წარმოება ძალიან ცოტა ნუშახელს ითხოვს, დიდად აძნელებენ შინასამრეწველო და საქარხ-

---

* «სამხ.-სტატ. კრებული», «ისტორ.-სტატ. მიმოხილვა» და «საწარმოო ძალები», IX, 15.—მუშათა რიცხვი 1865 წ.—5 645; 1890 წ.—25 471; 1875—1878 წწ.—38 მექანიკური საწარმო 332 ცხენძალის 34 ორთქლის მანქანით, 1890 წ. კი—141 მექანიკური საწარმო 3 319 ცხენძალის 238 ორთქლის მანქანით.

** შეად. 1879 და 1890 წწ. «საძიებლის» ცნობები პოტასუმის წარმოების შესახებ. გვარჯილის წარმოება ახლა თავმოყრილია ს.-პეტერბურგის ერთ ქარხანაში, მაშინ როდესაც 60-იან და 70-იან წლებში არსებობდა «საბურტო» დაგვარჯილება (ბურტი—ნაკელის გროვა).

*** 60-იან და 70-იან წლებში ქარხანათა რიცხვში აქაც შეჰქონდათ შრავალი წვრილი საწარმო.

ნო საწარმოთა ერთმანეთისაგან გამიჯვნას. 1890 წ. ქარხანათა საერთო რიცხვში (1 621) მოხვდა მხოლოდ 103 საწარმო, რომელთაც 2 ათას მანეთზე ნაკლები წარმოების თანხა ჰქონდათ; 1879 წ. — 2 008 საერთო რიცხვში 3 320 *; 1866 წ. 2 308 ** ქარხნიდან 1 042 ჰქონდა 1 000 მანეთზე ნაკლები წარმოების თანხა (ამ 1 042 ქარხანაში იყო 2 059 მუშა და 474 ათასი მან. წარმოების თანხა). მაშასადამე, ქარხანათა რიცხვი იზრდებოდა, თუმცა საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა მათ შემცირებას გვიჩვენებს. ტყავის წვრილი საწარმო კი ახლაც ძალიან ბევრია: მაგ., ფინანსთა სამინისტროს გამოცემა «რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა და ვაჭრობა» (სპბ. 1893) ანგარიშობს $9^1/_2$ ათასამდე შინასამრეწველო ქარხანას 21 000 მუშით და 12 მილიონი მან. წარმოების თანხით. ეს «შინასამრეწველო» საწარმონი იმათზე გაცილებით უფრო მსხვილია, რომელთაც 60-იან წლებში «საფაბრიკო-საქარხნო» საწარმოთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ. ვინაიდან წვრილი საწარმონი «ფაბრიკა-ქარხანათა» რიცხვში ხვდება არაერთნაირი რაოდენობით სხვადასხვა გუბერნიასა და სხვადასხვა წელს, ამიტომ ამ წარმოების სტატისტიკურ ცნობებს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ. 1875—1878 წწ. ამ წარმოებაში, ორთქლის ძრავის სტატისტიკით, იყო 28 მექანიკური საწარმო 488 ცხენძალის 33 ორთქლის მანქანით, ხოლო 1890 წ. იყო 66 მექანიკური ქარხანა 1 112 ცხენძალის 82 ორთქლის მანქანით. ამ 66 ქარხანაში თავმოყრილია 5 522 მუშა (მთელი რიცხვის მესამედზე მეტი) და 12,3 მილიონი მან. წარმოების თანხა (მთელი თანხის 46%), ასე რომ წარმოების კონცენტრაცია მეტად მნიშვნელოვანია, და

* 1875 წ. პროფ. კიტარი თავის «რუსეთის ტყავის წარმოების რუკაში» ანგარიშობს 12 939 ქარხანას $47^1/_2$ მილიონი მან. წარმოების თანხით, საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა კი—2 764 ქარხანას $26^1/_2$ მილიონი მან. წარმოების თანხით («ისტორ.-სტატ. მიმოხილვა»). ამ განყოფილების მეორე წარმოებაში, მექურჭეობაში, ასევე არეულია ფაბრიკები და წვრილი საწარმოები: შეად. 1879 და 1890 წლების «საძიებელი».

** «სამხ.-სტატ. კრებულში» ნაანგარიშევია 3 690ll

შრომის ნაყოფიერება უდიდეს საწარმოებში საშუალოზე გაცილებით მაღალია*.

კერამიკული წარმოებანი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ცნობების ხასიათის მიხედვით ორ თანრიგად იყოფა: ზოგან თითქმის არაა არეული ერთმანეთში მსხვილი და წვრილი წარმოება. ამიტომ სტატისტიკის ცნობები შედარებით სარწმუნოა. აქ შედის წარმოებანი: შუშის, ფაიფურისა და ქაშანურის, ალებასტრისა და ცემენტისა. განსაკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელი წარმოების ჩქარი ზრდა, რაც საშენებლო მრეწველობის განვითარებას მოწმობს: წარმოების თანხა 1855 წ. ითვლებოდა 530 ათასი მან. («სამხედრო-სტატ. კრებული»), 1890 წ. — 3 825 ათასი მან.; მექანიკური საწარმო 1875 — 1878 წლებში იყო 8, 1890 წ. — 39. პირიქით, ქოთნისა და აგურის წარმოებებში წვრილი საწარმოების ჩათვლა ფართო მასშტაბით ხდება, და ამიტომ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ცნობები მეტად არადამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით გაზვიადებულია 60-იანი და 70-იანი წლების ცნობები. მაგ., ქოთნის წარმოებაში 1879 წ. ითვლებოდა 552 საწარმო 1 900 მუშით და 538 ათასი მან. წარმოების თანხით, 1890 წ. — 158 საწარმო 1 978 მუშით და 919 ათასი წარმოების თანხით. თუ წვრილ საწარმოებს (2 ათას მან. ნაკლები წარმოების თანხით) გამოვრიცხავთ, მივიღებთ: 1879 წ.: 70 საწარმოს 840 მუშით და 505 ათასი მან. წარმოების თანხით; 1890 წ.: 143 საწარმოს 1 859 მუშით და 857 ათასი მან. წარმოების თანხით. ესეიგი სტატისტიკის მიერ ნაჩვენებ «ფაბრიკათა» რიცხვის შემცირებისა და მუშათა რიცხვის მატების შეჩერების ნაცვლად, სინამდვილეში საგრძნობლად გაზრდილა ერთიც და მეორეც. აგურის წარ-

* თუ 1890 წ. «საძიებელში» აღნიშნულ ქარხნებს დავანაწილებთ დაარსების დროის მიხედვით, ვნახავთ, რომ გამოურკვეველია. 1 506 ქარხნიდან როდის არის დაარსებული — 97, 1850 წლამდე დაარსებულია — 331; 1850-იან წლებში — 147; 60-იან წლებში — 239; 70-იან წლებში — 320; 80-იან წლებში — 351; 1890 წ. — 21. ყოველ შემდგომ ათეულ წელში მეტი ქარხანა არსდებოდა, ვიდრე წინა ათეულ წელში.

მოების შესახებ 1879 წ. ოფიციალური ცნობები — 2 627 საწარმო 28 800 მუშით და 6 963 ათასი მან. წარმოების თანხით; 1890 წ. — 1 292 საწარმო 24 334 მუშით და 7 249 ათასი მან. წარმოების თანხით, ხოლო წვრილი საწარმოების (2 ათას მან. ნაკლები წარმოების თანხით) გამოკლებით: 1879 წ. — 518 საწარმო 19 057 მუშით და 5 625 ათასი მან. წარმოების თანხით; 1890 წ. — 1 096 საწარმო 23 222 მუშით და 7 240 ათასი მან. წარმოების თანხით *.

4) მეტალურგიული წარმოებანი

მეტალურგიულ წარმოებათა საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის არევდარევის წყაროს წარმოადგენს, ჯერ ერთი, წვრილი საწარმოების ჩათვლა (განსაკუთრებით 60-იან და 70-იან წლებში) **, მეორეც, და უმთავრესად, სამთო ქარხნების «ქვემდებარება» სამთო დეპარტამენტისადმი და არა ვაჭრობა-მანუფაქტურის დეპარტამენტისადმი. ფინანსთა სამინისტროს ცნობები ჩვეულებრივ «პრინციპულად» გამორიცხავენ სამთო ქარხნებს, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა რაიმე ერთგვარი და უცვლელი წესები (და მართლაც ძნელი იყო მათი შექმნა) სამთო ქარხნების დანარჩენთა რიცხვიდან გამოყოფისა. ამიტომ ფინანსთა სამინისტროს გამოცემებში საფაბ-

* ამ წარმოებათა წვრილ დაწესებულებებს ახლა შინასამრეწველო საწარმოთა რიცხვს მიაკუთვნებენ. შეად. მაგალითისათვის წვრილ სარეწთა ცხრილი (დანართი I) ან «ეტიუდები», გვ. 158—159 (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 380—381. რ ე დ.). «ფინანსთა სამინისტროს წელიწდეულმა» (ნაკვ. I) უარი თქვა ამ წარმოებათა შესახებ ჯამის გამოყვანაზე ცნობების აშკარა გაზვიადების გამო. მას შემდეგ სტატისტიკის პროგრესი მასალის ღირსების შესახებ სითამამის მატებასა და უდარდელობაში მდგომარეობს.

** მაგ., 60-იან წლებში «რკინეულის ქარხნებს» ზოგიერთ გუბერნიაში მიაკუთვნებდნენ ათობით სამჭედლოს. იხ. «ფინ. სამ. უწყების ცნობათა და მასალათა კრებული», 1866 წ., № 4, გვ. 406; 1867 წ., № 6, გვ. 384. — «სტატ. მატიანე», სერია II, ნაკვ. 6.— შეად. აგრეთვე ზემოთ მოყვანილი (§ II) მაგალითი, რომელიც ეხება 1866 წ. «წელიწდეულის» მიერ პავლოვოს რაიონის წვრილ შინამრეწველთა ჩათვლას «მეფაბრიკეების» რიცხვში.

რიკო-საქარხნო სტატისტიკის შესახებ ყოველთვის ჩათვლილია რამდენიმე სამთო ქარხანაც, ამასთან ამ ჩათვლის მასშტაბი სხვადასხვანაირია სხვადასხვა გუბერნიაში და სხვადასხვა წელს*. ზოგად ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ იზრდებოდა რეფორმის შემდეგ ორთქლის ძრავის გამოყენება მეტალურგიაში, ჩვენ მოვიყვანთ ქვემოთ, სამთო მრეწველობის განხილვის დროს.

5) კ ვ ე ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა ნ ი

ეს წარმოებანი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ჩვენთვის საინტერესო საკითხის გამო, ვინაიდან საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ცნობების არევდარევა აქ უმაღლეს ხარისხს აღწევს. ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის საერთო ჯამში კი ამ წარმოებათ თვალსაჩინო ადგილი უკავიათ. ასე, 1890 წლის «საძიებლით» ევროპული რუსეთის ყველა 21 124 ფაბრიკიდან, სადაც 875 764 მუშა და 1 501 მილიონი მან. წარმოების თანხაა, ამ წარმოებებზე მოდის 7 095 ფაბრიკა 45 ათასი მუშით და 174 მილიონი მან. წარმოების თანხით. საქმე ისაა, რომ ამ განყოფილების მთავარი წარმოებანი — საფქვავი, ბურღულისა და ზეთსახდელი — სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამუშავებას წარმოადგენენ. რუსეთში წვრილი საწარმონი, რომელნიც ამ დამუშავებას ეწევიან, ასობით და ათასობით ითვლება თვითეულ გუბერნიაში, და რადგანაც არავითარი საერთოდ მიღებული წესი არ არსებობს ამ საწარმოთა რიცხვიდან «ფაბრიკა-ქარხნების» გამოსაყოფად, სტატისტიკაც სრულიად შემთხვევით ასახელებს ამ წვრილ საწარმოებს. ამიტომაც «ფაბრიკა-ქარხნების» რიცხვი სხვადასხვა წელს და სხვადასხვა გუბერნიაში

* იხ. მაგალითები «ეტიუდებში», გვ. 269 და 284 (იხ. თხზულებანი, ტომი 4, გვ. 7-8 და 24. რ ე დ.),— იმ შეცდომის განხილვა, რომელსაც სჩადის ბ-ნი კარიშევი ამ გარემოების უგულებელყოფით. 1879 წ. «საძიებელი», მაგ., ანგარიშობს კულებაკისა და ვიქსუნის სამთო ქარხნებს ან მათ განყოფილებებს (გვ. 356 და 374), რომელნიც გამორიცხულია 1890 წ. «საძიებელში».

გასაოცარ ნახტომებს აკეთებს. აი, მაგალითად, ქარხანათა რიცხვი საფქვავ წარმოებაში სხვადასხვა წლისა და სხვადასხვა წყაროს მიხედვით: 1865 წ. — 857 («ფინანსთა სამინისტროს უწყების ცნობათა და მასალათა კრებული»); 1866 წ.: 2 176 («წელიწდეული»); 1866 წ.: 18 426 («სამხედრო-სტატ. კრებული»); 1885 წ.: 3 940 («ნაკრები»); 17 765 («რუსეთის ცნობების კრებული»); 1889, 1890 და 1891 წწ.: 5 073, 5 605 და 5 201 * («ნაკრები»); 1894/95 წ.: 2 308 («სია»). 1892 წ. გამოანგარიშებული ყველა 5 041 წისქვილიდან («ნაკრები») 803 იყო ორთქლის, 2 907 წყლის, 1 323 ქარის და 8 ცხენის! ზოგი გუბერნია მარტო ორთქლის წისქვილებს სთვლიდა, ზოგი — წყლისას (1-დან 425-მდე), ზოგი კიდევ (უმცირესობა) — როგორც ქარისას (1-დან 530-მდე), ისე ცხენისას. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მნიშვნელობა აქვს ასეთ სტატისტიკას და მისი ცნობების გულდანდობით გამოყენებაზე დამყარებულ დასკვნებს **! ცხადია, მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ზრდის შესახებ რომ ვიმსჯელოთ, საჭიროა თავდაპირველად დავადგინოთ განსაზღვრული ნიშანი «ფაბრიკის» ცნებისათვის. ასეთ ნიშნად ვიღებთ ორთქლის ძრავის არსებობას: ორთქლის წისქვილები მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ეპოქის დამახასიათებელი თანამგზავრია ***.

მივიღებთ ამ დარგში ს ა ფ ა ბ რ ი კ ო წარმოების განვითარების ასეთ სურათს ****:

---

* და, გარდა ამისა, 32 957 «წვრილი წისქვილი», რომელიც შეტანილი არაა «ფაბრიკა-ქარხნების» რიცხვში.

** იხ. მაგალითები ბ-ნ კარიშევის ამგვარი დასკვნებისა «ეტიუდების» ზემოთ დასახელებულ სტატიაში (იხ. თხზულებანი, ტომი 4. რ ე დ.).

*** აშკარაა, წყლით მომუშავე მ ს ხ ვ ი ლ ი წისქვილებიც ფაბრიკების ხასიათს ატარებენ, მაგრამ წვრილთა რიცხვიდან მათ გამოსაყოფად ჩვენ ცნობები არ გვაქვს. 1890 წლის «საძიებლის» მიხედვით ჩვენ ვიანგარიშეთ 250 წყლის წისქვილი, სადაც 10 და მეტი მუშაა დაბანდებული. ყველა ამ წისქვილში იყო 6 378 მუშა.

**** «სანქტ.-სტატ. კრებული», «საძიებელი» და «ნაკრები». 1894/95 წლის «სიის» მიხედვით ევროპულ რუსეთში ითვლებოდა 1 192 ორთქლის წისქვილი. ორთქლის ძრავის სტატისტიკა 1875 — 1878 წწ. ანგარიშობს 294 ორთქლის წისქვილს ევროპული რუსეთისათვის.

ევროპული რუსეთის 50 გუბერნია

წ ლ ე ბ ი	ორთქლის წისქვილების რიცხვი	მუშათა რიცხვი	წარმოების თანხა ათას მან.
1866	126	?	?
1879	205	3 621	21 353
1890	649	10 453	67 481
1892	803	11 927	80 559

ამავე მიზეზის გამო არც ზეთსახდელი წარმოების სტატისტიკაა დამაკმაყოფილებელი. მაგალითად, 1879 წ. ითვლებოდა 2 450 ქარხანა 7 207 მუშით და 6 486 ათასი მან. წარმოების თანხით, 1890 წ. კი — 383 ქარხანა 4 746 მუშით და 12 232 ათასი მან. წარმოების თანხით. მაგრამ ქარხნებისა და მუშათა რიცხვის ეს შემცირება მხოლოდ მოჩვენებითია. თუ 1879 და 1890 წლების ცნობებს ერთმანეთის შესადარად გავხდით, ე. ი. თუ გამოვრიცხავთ იმ საწარმოებს, რომლებშიც წარმოების თანხა 2 ათას მანეთზე ნაკლებია (და რომელნიც არ შესულან სახელობითს სიებში), მაშინ იქნება: 1879 წ.—272 საწარმო 2 941 მუშით და 5 771 ათასი მან. წარმოების თანხით, ხოლო 1890 წ. — 379 საწარმო 4 741 მუშით და 12 232 ათასი მან. წარმოების თანხით. ამ წარმოებაში მსხვილი მანქანური ინდუსტრია ნაკლები სისწრაფით რომ არ ვითარდებოდა, ვიდრე საფქვავ წარმოებაში, ეს ჩანს, მაგ., ორთქლის ძრავთა სტატისტიკიდან: 1875 — 1878 წწ. იყო 27 ორთქლის ქარხანა 521 ცხენძალის 28 ორთქლის მანქანით, ხოლო 1890 წ. — 113 მექანიკური ქარხანა 1 886 ცხენძალის 116 ორთქლის მანქანით.

ამ განყოფილების დანარჩენი წარმოებანი შედარებით წვრილია. აღვნიშნავთ, რომ, მაგ., მდოგვისა და თევზის წარმოებაში 60-იანი წლების სტატისტიკა ანგარიშობდა ასობით ისეთ წვრილ საწარმოს, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვთ ფაბრიკებთან და რომლებსაც დღეს უკანასკნელთა რიცხვს არ მიაკუთვნებენ. თუ რა შესწორებას საჭიროებს ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის სხვადასხვა წლის ცნობები, ჩანს შემდეგიდან: საფქვავი წარმოების გამოკლებით, 1879 წ. «საძიებელი» ამ განყოფილებაში ანგარიშობს

3 555 ქარხანას 15 313 მუშით, ხოლო 1890 წ. — 1 842 ქარხანას 19 159 მუშით. 7 წარმოებაში * 1879 წ. ჩათვლილია 2 487 წვრილი საწარმო (თვითეული 2 ათას მან. ნაკლები წარმოების თანხით) 5 176 მუშით და 916 ათასი მან. წარმოების თანხით, 1890 წ. კი — შვიდი საწარმო ათი მუშით და ორი ათასი მან. წარმოების თანხით! მაშასადამე, ცნობების შესადარობისათვის საჭიროა ერთ შემთხვევაში გამოვაკლოთ ხუთი ათასი მუშა, ხოლო მეორეში — ათი კაცი!

6) სააქციზო და დანარჩენი წარმოებანი

ზოგიერთ სააქციზო წარმოებაში ჩვენ ვამჩნევთ 1860-იანი წლებიდან დღევანდლამდე ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რიცხვის შემცირებას, მაგრამ ამ შემცირების ოდენობა სრულებით არაა ისეთი, როგორც ამას ამტკიცებს ბ-ნი ნ. —ონი **, რომელსაც ბრმად სწამს ყოველი დაბეჭდილი ციფრი. საქმე ის არის, რომ სააქციზო წარმოებათა უმრავლესობის შესახებ ცნობების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს «სამხედრო-სტატისტიკური კრებული», რომელიც, როგორც ვიცით, მეტისმეტად აზვიადებს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ჯამს. მაგრამ მისი ცნობების შესამოწმებლად ჩვენ, სამწუხაროდ, ცოტა მასალა მოგვეპოვება. სპირტსახდელ წარმოებაში «სამხ.-სტატ. კრებული» 1866 წ. ანგარიშობდა 3 836 ქარხანას 52 660 მუშით (1890 წ.: 1 620 ქარხანას 26 102 მუშით), ამასთან ქარხნების რიცხვი არ შეესაბამება ფინანსთა სამინისტროს ცნობებს, რომელიც ანგარიშობდა 1865/66 წ. 2 947 მოქმედ ქარხანას, ხოლო 1866/67 წწ. — 3 386 ***. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მუშათა რიცხვი გაზვიადებულია 5 — 9 ათასით.

---

* ზეთსახდელი, სახამებლის, საბადაგო, საალაო, საშაქარლამო, საკონსერვო და ძმრის წარმოება.

** «რუსსკ. ბოგატსტვო», 1894, № 6, გვ. 104—105.

*** «ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული», I, გვ. 76 და 82. ყველა ქარხნის რიცხვი იყო 4 737 და 4 645 (ამაში შედის უმოქმედო ქარხნების რიცხვიც).

არყის წარმოებაში «სამხ.-სტატ. კრებული» ანგარიშობს 4 841 ქარხანას 8 326 მუშით (1890: 242 ქარხანა 5 266 მუშით); აქედან ბესარაბიის გუბერნიაში — 3 207 ქარხანას 6 873 მუშით. ამ ციფრის შეუსაბამობა თვალში გვხვდება. და მართლაც, ფინანსთა სამინისტროს ცნობებიდან* ვიცით, რომ ბესარაბიის გუბერნიაში არყის ქარხანათა ნამდვილი რიცხვი იყო 10—12, მთელ ევროპულ რუსეთში კი — 1 157. მაშასადამე, მუშათა რიცხვი გაზვიადებულია minimum 6 ათასით. გადამეტების მიზეზი, როგორც ჩანს, ისაა, რომ ბესარაბიელმა «სტატისტიკოსებმა» მექარხნეებს მიაკუთვნეს ვენახის მეპატრონეები (იხ. ქვემოთ თამბაქოს წარმოების შესახებ). ლუდის და თაფლის წარმოებაში «სამხ.-სტატ. კრებული» ანგარიშობს 2 374 ქარხანას 6 825 მუშით (1890: 918 ქარხანა 8 364 მუშით), მაშინ როდესაც «ფინანსთა სამინისტროს ყოველწლიური» ევროპული რუსეთისათვის 1866 წ. ანგარიშობს 2 087 ქარხანას. მუშათა რიცხვი აქაც გაზვიადებულია**. ჭარხლის შაქრის და რაფინადი შაქრის წარმოებებში «სამხ.-სტატ. კრებული» მუშათა რიცხვს აჭარბებს 11 ათასით, როცა ანგარიშობს 92 126 კაცს «ფინანსთა სამინისტროს წელიწდეულის» ცნობებში აღნიშნული 80 919 კაცის ნაცვლად (1890 წ.: 77 875 მუშა). თამბაქოს წარმოებაში «სამხ.-სტატ. კრებული» ანგარიშობს 5 327 ფაბრიკას (!) 26 116 მუშით (1890: 281 ფაბრიკა 26 720 მუშით); აქედან ბესარაბიის გუბერნიაში — 4 993 ფაბრიკას 20 038 მუშით. ნამდვილად კი რუსეთში თამბაქოს ფაბრიკა 1866 წ. იყო 343, ბესარაბიის გუბერნიაში კი—13***. მუშათა რიცხვის გაზვიადება და-

* «წელიწდეული», I, გვ. 104.

** მაგ., სიმბირსკის გუბერნიაში «სამხ.-სტატ. კრებული» ანგარიშობს 218 ქარხანას (!) 299 მუშით და 21.6 ათასი მან. წარმოების თანხით («წელიწდეულის» მიხედვით ამ გუბერნიაში იყო 7 ქარხანა). ეს, ალბათ, წვრილი საშინაო ანუ გლეხური საწარმოებია.

*** «ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული», გვ. 61. შეად. «მანუფაქტურული მრეწველობის მიმოხილვა» (ტ. II, სპბ. 1863), სადაც მოცემულია 1861 წლის დაწვრილებითი ცნობები: 534 ფაბრიკა 6 937 მუშით.

ახლოებით 20 ათასს შეადგენს, და თვით «სამხ.-სტატ. კრებულის» შემდგენელნი აღნიშნავენ, რომ «ბესარაბიის გუბერნიისათვის ნაჩვენები ფაბრიკები... სხვა არაფერია, თუ არა თამბაქოს პლანტაციებიო» (გვ. 414). ბ-ნ ნ.—ონს, ალბათ, ზედმეტად მიუჩნევია ჩაეხედა იმ სტატისტიკური გამოცემის ტექსტში, რომლითაც ის სარგებლობდა; ამიტომ იგი შეცდომას ვერ ამჩნევს და სერიოზულად მსჯელობს «თამბაქოს ფაბრიკებში... მუშათა რიცხვის უმნიშვნელო გადიდების შესახებ» (ციტირებული სტატია, გვ. 104)!! ბ-ნი ნ.—ონი საქციზო წარმოებათა მუშების რიცხვის ჯამს პირდაპირ იღებს «სამხ.-სტატ. კრებულიდან» და 1890 წლის «საძიებლიდან» (186 053 და 144 332) და გამოჰყავს შემცირების პროცენტი... «დასაქმებული მუშათა რიცხვი 25 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა, მათი რაოდენობა 22,4%-ით ნაკლები გახდა»... «აქ» (ე. ი. სააქციზო წარმოებებში) «ჩვენ ვხედავთ, რომ მატებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია, მუშათა რიცხვი უბრალოდ შემცირდა წინანდელ რაოდენობასთან შედარებით $^1/_4$-ით» (ibid.). მართლაც, ამაზე «უბრალო» რაღა იქნება! უნდა აიღოთ პირველი ციფრი, რომელიც კი ხელთ მოგხვდებათ, და გამოიანგარიშოთ პროცენტი! ხოლო იმ მცირე გარემოებას, რომ «სამხ.-სტატ. კრებულის» ციფრი ორმოცი ათასითაა გაზვიადებული, შეიძლება არც მიაქციოთ ყურადღება.

7) დასკვნები

ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის კრიტიკას, რაც მოცემულია ორ უკანასკნელ პარაგრაფში, მივყევართ შემდეგ უმთავრეს დასკვნებამდე:

1. რუსეთში ფაბრიკების რიცხვი რეფორმის შემდეგ დროინდელ ხანაში სწრაფად მატულობს.

ამის საწინააღმდეგო დასკვნა, რომელიც ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ციფრებიდან გამომდინარეობს, შეცდომაა. საქმე ის არის, რომ ჩვენში ფაბრიკების რიცხვში

ხოლო ბესარ. გუბერნიაში — 31 ფაბრიკა 73 მუშით. თამბაქოს ფაბრიკათა რიცხვი ძალიან მერყეობს წლების მიხედვით.

ხვდებიან წვრილი ხელოსნური, შინამრეწველური და სასოფლო-სამეურნეო საწარმონი, ამასთან რაც უფრო ვშორდებით ახლანდელ დროს, მით უფრო მეტი წვრილი საწარმო ხვდება ფაბრიკების რიცხვში.

2. ამნაირადვე ჩვენი სტატისტიკა აჭარბებს წინა დროის ფაბრიკა-ქარხნის მუშათა რიცხვს და ფაბრიკა-ქარხნების წარმოების ოდენობას. ეს ხდება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ წინათ მეტი წვრილი საწარმო შეჰქონდათ ფაბრიკების რიცხვში. ამიტომ განსაკუთრებით არასარწმუნოა იმ საწარმოთა შესახები ცნობები, რომელთაც კავშირი აქვთ შინამრეწველურ სარეწებთან*. მეორეც, ეს ხდება იმიტომ, რომ წინათ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რიცხვში მეტი რაოდენობით აქცევდნენ კაპიტალისტურად შინ დასაქმებულ მუშებს, ვიდრე ახლა.

3. ჩვენში ჩვეულებრივ ჰგონიათ, რაკი ოფიციალური საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ციფრებია აღებული, თითქო მათი შედარება შეიძლებოდეს იმავე სტატისტიკის სხვა ციფრებთან, თითქო ისინი მეტად თუ ნაკლებად სარწმუნო ცნობებად უნდა მივიჩნიოთ, სანამ წინააღმდეგი არაა დამტკიცებული. ხოლო იქიდან, რაც ჩვენ ზემოთ ვთქვით, გამომდინარეობს შებრუნებული დებულება: სახელდობრ ის, რომ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა გუბერნიის ცნობების ყოველგვარი შედარება არასარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს, სანამ წინააღმდეგი არაა დამტკიცებული.

* თუ ავიღებთ საერთო ცნობებს, რომლებიც ეხება ყველა წარმოებას და დროის დიდ მანძილს, გადაჭარბება, რაც აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარეობს, დიდი არ იქნება, ვინაიდან წვრილი საწარმონი მუშათა მთელი რიცხვისა და წარმოების მთელი თანხის მცირე პროცენტს იძლევიან. თავისთავად ცხადია, ამასთან იგულისხმება თანაბარი წყაროებიდან აღებული ცნობების შედარება (ფინანსთა სამინისტროს ცნობების შედარებაზე გუბერნატორთა ანგარიშების ცნობებთან ან «სამხედრო-სტატ. კრებულის» ცნობებთან ლაპარაკიც არ შეიძლება).

IV. სამთო მრეწველობის განვითარება*

რუსეთის რეფორმისშემდეგდროინდელი განვითარების ამოსავალ პერიოდში სამთო მრეწველობის მთავარი ცენტრი ურალი იყო. ურალი, რომელიც სულ უკანასკნელ დრომდე ცენტრალური რუსეთიდან მკვეთრად გამოყოფილი რაიონი იყო, ამავე დროს წარმოადგენს მრეწველობის მეტად ორიგინალურ წყობას. ურალში «შრომის ორგანიზაციას» დიდი ხნიდან საფუძვლად ედო ბატონყმობა, რომელიც აქამდეც, თვით მე-19 საუკუნის ბოლომდე, ეტყობა სამთო-საქარხნო ყოფაცხოვრების მეტად მნიშვნელოვან მხარეებს. ოდესღაც ბატონყმობა იყო საფუძველი ურალის უმაღლესი აყვავებისა და მისი ბატონობისა არა მარტო რუსეთში, არამედ რამდენადმე ევროპაშიც. მე-18 საუკუნეში რუსეთის ერთი მთავარი საექსპორტო საგანთაგანი რკინა იყო; რკინა გაიტანეს: 1782 წ. დაახლოებით 3,8 მილიონი ფუთი, 1 800—1815 წლებში — 2 —,1 1/2 მილიონი ფუთი, 1815 — 1838 წლებში—1 1/3 მილიონ ფუთამდე. ჯერ კიდევ «მე-19 საუკუნის 20-იან

* წყაროები: სემიონოვი. «რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის ისტორიული ცნობების შესწავლა». ტ. III. სპბ. 1859. გვ. 323 — 339.—«სამხედრო-სტატისტიკური კრებული», სამთო სარეწის განყოფილება.—«ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული». ნაკვ. I. სპბ. 1809. — 1864—1867 წლების «სამთო დარგის სტატისტიკური ცნობების კრებული». სპბ. 1864—1867 (სამთო ინჟინერთა კორპუსის სამეცნიერო კომიტეტის გამოცემა). — ი. ბოგოლიუბსკი. «რუსეთის იმპერიის სამთო სტატისტიკის შედგენის ცდა». სპბ. 1878. — «რუსეთის მრეწველობის ისტორიულ-სტატისტიკური მიმოხილვა». სპბ. 1883. ტ. I (კეკენის სტატია). — «რუსეთის სამთო-საქარხნო მრეწველობის 1890 წ. სტატისტიკური ცნობების კრებული». სპბ. 1892. — იგივე 1901 წ. (სპბ. 1904) და 1902 წ. (სპბ. 1905).—კ. სკალკოვსკი. «რუსეთის 1877 წ. სამთო-საქარხნო წარმოება». სპბ. 1879 წ. — «რუსეთის სამთო-საქარხნო მრეწველობა». სამთო დეპარტ. გამოცემა ჩიკაგოს გამოფენისათვის. სპბ. 1893 (შედგენილი კეპენის მიერ). — «რუსეთის 1890 წ. ცნობების კრებული». ცენტრ. სტატ. კომიტეტის გამოცემა. სპბ. 1890. — იგივე 1896 წლისა. სპბ. 1897. — «რუსეთის საწარმოო ძალები». სპბ. 1896, განყ. VII. — 1896—1897 წწ. «ვესტნიკ ფინანსოვ».—პერმის გუბ. ეკატერინბურგისა და კრასნოუფიმსკის მაზრების საერობო-სტატისტიკური ცნობების კრებულები და სხვ.

წლებში რუსეთი იღებდა თუჯს $1^1/_2$-ჯერ მეტს, ვიდრე საფრანგეთი, $4^1/_2$-ჯერ მეტს, ვიდრე პრუსია, 3-ჯერ მეტს, ვიდრე ბელგია». მაგრამ იგივე ბატონყმობა, რომელმაც ხელი შეუწყო ურალის ამგვარ ამაღლებას ევროპული კაპიტალიზმის შთანასახი განვითარების ხანაში, მიზეზი გახდა ურალის დაცემისა კაპიტალიზმის აყვავების ხანაში. რკინის მრეწველობის განვითარება ურალში ძალიან ნელა მიმდინარეობდა. რუსეთი 1718 წ. იღებდა $6^1/_2$ მილიონ ფუთამდე თუჯს, 1767 წ. — $9^1/_2$ მილიონ ფუთამდე, 1806 წ. — 12 მილიონ ფუთს, 30-იან წლებში — 9 — 11 მილიონ ფუთს, 40-იან წლებში — 11 — 13 მილიონ ფუთს, 50-იან წლებში — 12—16 მილიონ ფუთს, 60-იან წლებში — 13 — 18 მილიონ ფუთს, 1867 წ. — $17^1/_2$ მილიონ ფუთს. ასი წლის განმავლობაში წარმოება ვერც კი გაორკეცდა, და რუსეთი მეტად ჩამორჩა სხვა ევროპულ ქვეყნებს, სადაც მსხვილმა მანქანურმა ინდუსტრიამ მეტალურგიის გიგანტური განვითარება გამოიწვია.

ურალის უძრაობის მთავარი მიზეზი იყო ბატონყმობა; სამთო მრეწველები მემამულენიც იყვნენ და მექარხნენიც, ისინი თავის ბატონობას ამყარებდნენ არა კაპიტალსა და კონკურენციაზე, არამედ მონოპოლიასა * და თავიანთ მფლობელობითს უფლებაზე. ურალელი მექარხნენი ახლაც უდიდესი მიწათმფლობელნი არიან. 1890 წ. იმპერიის ყველა 262 რკინის ქარხანას ჰქონდა 11,4 მილიონი დესეტინა მიწა (მათ შორის 8,7 მილიონი დეს. ტყე), აქედან 10,2 მილიონი დეს. ეკუთვნოდა ურალის 111 ქარხანას (7,7 მილიონი დეს. ტყე). მაშასადამე, საშუალო რიცხვით ურალის თვითეული ქარხანა უზარმაზარ ლატიფუნდიებს, ასი ათასობით დეს. მიწას ფლობს. ამ ადგილებიდან გლეხთა ნადელების გამოჭრა სავსებით დღესაც არ არის დასრულებული. ურალში მუშახელის შე-

* გლეხთა განთავისუფლებისას ურალელი სამთო მრეწველები განსაკუთრებით მოითხოვდნენ და კიდევაც მიაღწიეს იმ კანონის შენარჩუნებას, რომელიც კრძალავდა საქარხნო ოლქებში ცეცხლით მოქმედი საწარმოების გახსნას. იხ. ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა «ეტიუდებში», გვ. 193—194. (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 556—575. რ ე დ.)

ძენის საშუალებას წარმოადგენს არა მარტო დაქირავება, არამედ შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ა ც. საერობო სტატისტიკის გამოანგარიშებით, მაგ., პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრაში ათასობითაა გლეხური მეურნეობა, რომელნიც ქარხნებიდან სარგებლობენ მიწით, საძოვრით, ტყით და სხვ. ან უფასოდ, ან მცირე ფასის გაღებით. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს უფასო სარგებლობა ნამდვილად ძალიან ძვირად ჯდება, ვინაიდან მისი მეოხებით მეტისმეტად მცირდება ხელფასი; ქარხნები ღებულობენ «თავის», ქარხანაზე მიჯაჭულ და იაფ მუშებს*. აი როგორ ახასიათებს ამ ურთიერთობას ბ-ნი ვ. დ. ბელოვი:

ურალი ძლიერია, — მოგვითხრობს ბ-ნი ბელოვი, — მუშით, რომელიც «თავისებურმა» ისტორიამ აღზარდა. «საზღვარგარეთის ან თუნდ პეტერბურგის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშისათვის უცხოა ამ ქარხნების ინტერესები: ის დღეს აქაა, ხვალ კი—სხვაგან. თუ ფაბრიკის საქმე კარგად მიდის, ისიც მუშაობს; თუ მოგება ზარალით შეიცვალა, ის იღებს თავის გუდანაბადს და მიდის ისევე მალე და ადვილად, როგორც მოვიდა. ის და ქარხნის მეპატრონე მუდმივი მტრები არიან ერთმანეთისა... სულ სხვა მდგომარეობაშია ურალის ქარხნების მუშა: ის ადგილობრივი მცხოვრებია, რომელსაც იქვე, ქარხანასთან, აქვს თავისი მიწა, საკუთარი მეურნეობა, ბოლოს, იქვე ჰყავს თავისი ოჯახი. ქარხნის კეთილდღეობასთან მჭიდროდ, განუყოფელად არის დაკავშირებული მისი საკუთარი კეთილდღეობაც. თუ

* ურალელი მუშა «ნახევრად მიწათმოქმედია, ასე რომ სამთო მუშაობა მას კარგ დახმარებას უწევს მეურნეობაში, თუმცა იგი იქ უფრო ნაკლებად ფასდება, ვიდრე დანარჩენ სამთო-საქარხნო რაიონებში» («ვესტნიკ ფინანსოვ», 1897, № 8). როგორც ვიცით, ბატონყმობისაგან ურალელ გლეხთა განთავისუფლების პირობები შეფარდებული იყო სწორედ გლეხობის სამთო მუშაობისადმი დამოკიდებულებასთან; სამთო-საქარხნო მოსახლეობა იყოფოდა ხელოსნებად, რომელთაც მიწა არ ჰქონდათ და მთელი წელიწადი უნდა ემუშავნათ ქარხანაში, და სოფლის მუშებად, რომელთაც ნადელი ჰქონდათ და უნდა შეესრულებინათ დახმარე სამუშაო. უაღრესად დამახასიათებელია ის ტერმინი, რომელიც დღევანდლამდე შენახულა ურალელი მუშების მიმართ, სახელდობრ ის, რომ ისინი «ვალში ვარდებიან» სამუშაოებზე. როცა კითხულობთ, მაგ., საერობო სტატისტიკაში «ცნობას მუშათა ჯგუფის შესახებ, რომელიც დავალიანებულია არტინის ქარხნის საამქრო სამუშაოზე», ძალაუნებურად გახსენდებათ გარეკანს და დახედავთ თარიღს: ნუთუ ეს მართლა ოთხმოცდათოთხმეტი წელია და არა რომელიღაც ორმოცდაოთხი წელი? [121].

ქარხნის საქმე კარგად მიდის, — ისიც კარგადაა; თუ ცუდად მიდის, — ისიც ცუდადაა, წასვლა კი არ შეიძლება (sic!): აქ მარტო გუდანაბადი როდია (sic!): წასვლა იმას ნიშნავს, რომ დაანგრიო მთელი შენი ცხოვრება, მიატოვო მიწაც, მეურნეობაც, ოჯახიც... და აი, ის მზადაა გადაიტანოს წლები, მზადაა იმუშაოს ნახევარ ფასად ან, რაც იგივეა, სანახევროდ უმუშევრად დარჩეს, ოღონდ ლუკმაპურის შოვნის საშუალება მისცეს სხვა ისეთსავე ადგილობრივ მუშას. ერთი სიტყვით, ის მზად არის თავის პატრონს ყოველნაირი პირობაზე დაეთანხმოს, ოღონდ იქკე ქარხანასთან დარჩეს... ამ-რიგად. ურალის მუშებსა და ქარხნებს შორის განუყოფელი კავშირი არსებობს: მათი ურთიერთობა ისეთივეა, როგორიც იყო წინათ, ბატონყმობისაგან განთავისუფლებამდე; ამ ურთიერთობის მხოლოდ ფორმა შეიცვალა, სხვა ფორმერი. წინანდელი ყმობის პრინციპი ურთიერთ სარგებლობის დიადი პრინციპით შეიცვალა» *.

ურთიერთ სარგებლობის ეს დიადი პრინციპი პირველ ყოვლისა ხელფასის განსაკუთრებული დაკლებით იჩენს თავს. «სამხრეთში... მუშა ორჯერ და სამჯერ უფრო მეტად ფასობს, ვიდრე, მაგალითად, ურალში», — მაგ., რამდენიმე ათასი მუშის შესახებ შეკრებილი ცნობების მიხედვით, 450 მანეთად (თვითეული მუშა წელიწადში) წინააღმდეგ 177 მანეთისა. სამხრეთში «როგორც კი შესაძლებელი გახდება მინდვრის მუშაობით რიგიანი საშოვრის მიღება, — სულერთია ეს მათ სამშობლოში იქნება, თუ სხვაგან, — მუშები სტოვებენ ქარხნებს, მაღაროებს და სამადნოებს» («ვესტნიკ ფინანსოვ», 1897, № 17, გვ. 265). ურალში კი რიგიან საშოვარზე ოცნებაც არ შეიძლება.

ურალელი მუშის დაბალ ხელფასთან და კაბალურ მდგომარეობასთან ბუნებრივად და მჭიდროდ არის დაკავშირებული ურალის ტექნიკური ჩამორჩენილობა. ურალში თუჯის გამოყვანა უმთავრესად ხდება ხის სათბობით, ძველებურად მოწყობილ ბრძმედებში, ცივი ან ოდნავ გამთბარი საბერველით. 1893 წ. ცივსაბერვლიანი ბრძმედი ურალში იყო 110-დან 37, სამხრეთში კი — 18-დან 3. მინერალური სათბობით მომუშავე ერთი ბრძმედი საშუალოდ იძლეოდა 1,4 მილიონ

* «შინამრეწველობის გამომკვლევი კომისიის შრომები». ნაკვ. XVI, სპბ. 1887. გვ. 8 — 9 და შემდეგი. იგივე ავტორი ქვევით ლაპარაკობს «ჯანსაღ სახალხო» მრეწველობაზე!

ფუთს წელიწადში, ხის სათბობით მომუშავე კი — 217 ათას ფუთს. 1890 წ. ბ-ნი კეპენი წერდა: «რკინის გამოყვანის კრიტიკული წესი ისევ მტკიცედ არის დამკვიდრებული ურალის ქარხნებში, მაშინ როცა რუსეთის სხვა ნაწილებში იგი საკვლევით იდევნება პუდლინგირებით»[128]. ორთქლის ძრავი ურალში გაცილებით უფრო სუსტად არის გამოყენებული, ვიდრე სამხრეთში. დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე ურალის კარჩაკეტილობა, რუსეთის ცენტრისაგან მისი მოწყვეტილობა უზარმაზარი მანძილისა და სალიანდაგო გზის უქონლობის გამო. სულ უკანასკნელ დრომდე ურალიდან მოსკოვში პროდუქტები წელიწადში ერთხელ მოჰქონდათ უმთავრესად მდინარეებით — პრიმიტიული «ჩამოცურების» საშუალებით *.

ამრიგად, რეფორმამდელი წესწყობილების პირდაპირი ნაშთები, შრომამიგების ძლიერი განვითარება, მუშათა მიმაგრება, შრომის დაბალი ნაყოფიერება, ტექნიკის ჩამორჩენილობა, მცირე ხელფასი, ხელით წარმოების ჭარბობა, მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა პრიმიტიული და პირველყოფილ-მტაცებლური ექსპლოატაცია, მონოპოლიები, კონკურენციის შევიწროება, კარჩაკეტილობა და ახლანდელ საერთო სავაჭრო-სამრეწველო მოძრაობისაგან მოწყვეტილობა,— ასეთია ურალის ზოგადი სურათი.

სამთო მრეწველობის სამხრეთი რაიონი ** ბევრნაირად ურალის დიამეტრალურ წინააღმდეგობას წარმოადგენს. რამ-

* შეად. ამ პრიმიტიული ჩამოცურების აღწერა ბ-ნ მამინ-სიბირიაკის მოთხრობაში — «მებრძოლნი». ამ მწერლის ნაწარმოებებში მკაფიოდ იხატება ურალის განსაკუთრებული, თითქმის რეფორმისწინადროინდელი, ყოფაცხოვრება, — ქარხნებზე მიჯაჭვული მოსახლეობის უუფლებობა, უმეცრება და დამცირებულობა, «ბატონების» «კეთილსინდისიერი ყმაწვილური გარყვნილება», ადამიანთა იმ საშუალო ფენის (რაზნოჩინცები, ინტელიგენცია) არარსებობა, რომელიც ასე დამახასიათებელია ყველა ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, კაპიტალისტური განვითარებისათვის.

** სამთო სტატისტიკაში «სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ რუსეთად» იგულისხმება ვოლინის, დონის, ეკატერინოსლავის, კიევის, ასტრახანის, ბესარაბიის, პოდოლის, თავრიდის, ხარკოვის, ხერსონისა და ჩერ-

დენადაც ურალი ძველია და იქ გაბატონებული წესები «საუკუნეებით დაკანონებულია», იმდენად სამხრეთი ახალგაზრდაა და ჩამოყალიბების პერიოდში იმყოფება. წმინდა კაპიტალისტურმა მრეწველობამ, რომელიც აქ გაჩნდა უკანასკნელ ათეულ წლებში, არ იცის არც ტრადიციები, არც წოდებრიობა, არც ეროვნება, არც განსაზღვრული მოსახლეობის კარჩაკეტილობა. სამხრეთ რუსეთში მასობრივად მოდიოდა და მოდის უცხოეთის კაპიტალი, მოდიოდნენ და მოდიან უცხოელი ინჟინრები და მუშები, ხოლო ახლანდელი ციებ-ცხელების ხანაში (1898) იქ მთელი ქარხნები გადმოაქვთ ამერიკიდან *. საერთაშორისო კაპიტალს არ გაძნელებია შემოელწია საბაჟო კედლების შიგნით და მოწყობილიყო «უცხო» ნიადაგზე: ubi bene, ibi patria **... აი სტატისტიკური ცნობები სამხრეთის მიერ ურალის უკანდაწევის შესახებ [129]:

წლები	გადადნობილია თუჯი ათას ფუთობით						სულ იმპერიაში ამოღებულია ქვანახშირი მილიონ ფუთ.
	სულ იმპერიაში	%	ურალში	%	სამხრეთში	%	
1867	17 028	100	11 084	65,1	56	0,3	26,7
1877	24 579	100	16 157	65,7	1 596	6,5	110,1
1887	37 389	100	23 759	63,5	4 158	11,1	276,8
1897	114 782	100	41 180	35,8	46 349	40,4	683,9
1902	158 618	100	44 775	28,2	84 273	53,1	1 005,21

ნიგოვის გუბერნიები. სწორედ ამათ ეხება მოყვანილი ციფრები. ყოველივე ის, რაც ქვემოთ ეხება სამხრეთს, შეიძლება ითქვას აგრეთვე (მცირედი ცვლილებით) პოლონეთზეც, რომელიც წარმოადგენს მეორე, რეფორმისშემდგომი დროის შესანიშნავ სამთო რაიონს.

* «ვესტნ. ფინ.», 1897 წ., № 16: ნიკოპოლ-მარიუპოლის საზოგადოებამ შეუკვეთა ამერიკაში და იქიდან რუსეთში გადმოიტანა მილსაგლინავი ქარხანა.

** — სადაც კარგია, სამშობლოც იქაა. რ ე დ.

ამ ციფრებიდან ცხადად ჩანს, თუ რა ტექნიკური რევოლუცია ხდება ამჟამად რუსეთში და საწარმოო ძალთა განვითარების რა დიდი უნარი აქვს მსხვილ კაპიტალისტურ ინდუსტრიას. ურალის ბატონობა მონური შრომის, ტექნიკური ჩამორჩენილობისა და უძრაობის ბატონობა იყო *. პირიქით, ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ სამთო მრეწველობა რუსეთში უფრო ჩქარა ვითარდება, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, რამდენადმე უფრო ჩქარაც კი, ვიდრე ჩრდილო ამერიკაში. 1870 წ. რუსეთი ამზადებდა თუჯის მსოფლიო წარმოების 2,9% (22 მილიონ ფუთს 745 მილიონიდან), 1894 წელს კი — 5,1% (81,3 მილიონ ფუთს 1 584,2-დან) («ვესტნ. ფინ.», 1897, № 22). უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში (1886 — 1896) თუჯის გამოდნობა რუსეთში გასამკეცდა (32½ და 96½ მილიონი ფუთი), მაშინ როდესაც საფრანგეთმა, მაგ., ამ-

* თავისთავად ცხადია, ურალის სამთო მრეწველები საქმის ვითარებას ცოტა სხვანაირად გვიხატავენ. აი რა მჭევრმეტყველურად მოთქვამდნენ ისინი შარშანდელ ყრილობებზე: «ურალის ისტორიული დამსახურება ყველამ იცის. ორასი წლის განმავლობაში მთელი რუსეთი მისი ქარხნების ნაწარმით ხნავდა, მკიდა, ჭედდა, თხრიდა და სჭრიდა. ის გულზე ატარებდა ურალის სპილენძისაგან გაკეთებულ ჯვრებს, დაიარებოდა ურალის ღერძით, ისროდა ურალის ფოლადის თოფით, აცხობდა ბლინს ურალის ტაფაზე, აჩხრიალებდა ურალის შაურიანებს ჯიბეში. ურალი აკმაყოფილებდა მთელი რუსი ხალხის მოთხოვნილებას...» (რომელიც თითქმის არ ხმარობდა რკინას. 1851 წ. რუსეთში თუჯის მოხმარებას თვითეულ მცხოვრებზე ანგარიშობდნენ 14 გირვანქას, 1895 წ. — 1,13 ფუთს, 1897 წ. — 1,33 ფუთს) «...ამზადებდა მისი საჭიროებისა და გემოვნების შესაფერ პროდუქტებს. ის უხვად (?) აბნევდა თავის ბუნებრივ სიმდიდრეს, არ მისდევდა მოდას, არ იყო გატაცებული რელსების, საბუხრე ცხაურების და მონუმენტების ფაბრიკაციით. და აი ამ დიდი ხნის სამსახურის სანაცვლოდ იგი ერთ მშვენიერ დღეს დავიწყებული და მიგდებული შეიქნა» («ვესტნ. ფინ.», 1897, № 32: «ურალის სამთო-სამრეწველო ყრილობათა შედეგები»). მართლაც, რა ათვალწუნება და უპატივცემლობაა «საუკუნეებით დაკანონებული» წყობილებისა! აქ ყველაფერში დამნაშავე სულ ის ბზაკვრული კაპიტალიზმია, რომელმაც ასეთი «მერყეობა» შეიტანა ჩვენს სახალხო მეურნეობაში. სულ სხვა საქმე იყო ძველებურად — ჩვენებურად ცხოვრება, «რელსების ფაბრიკაციით გაუტაცებლობა» და ურალურ ტაფაზე ბლინის გამოცხობა!

გვარი ნაბიჯი გადადგა 28 წელიწადში (1852 — 1880), ჩრ. შტატებმა —23 წელიწადში (1845 — 1868), ინგლისმა — 22 წელიწადში (1824 — 1846), გერმანიამ — 12 წელიწადში (1859 — 1871; იხ. «ვესტნ. ფინ.», 1897, № 50). კაპიტალიზმის განვითარება ახალგაზრდა ქვეყნებში საგრძნობლად ჩ ქ ა რ დ ე ბ ა ძველი ქვეყნების მაგალითით და დახმარებით. რა თქმა უნდა, უკანასკნელი ათი წელი (1888 — 1898) პერიოდია განსაკუთრებული სამრეწველო ციებ-ცხელებისა, რომელიც, როგორც ყოველი კაპიტალისტური აყვავება, აუცილებლად იწვევს კრიზისს; მაგრამ სხვანაირად, თუ არა ნახტომებით, საზოგადოდ კაპიტალისტური განვითარება არ შეიძლება ხდებოდეს.

წარმოებაში მანქანების გამოყენება და მუშათა რიცხვის ზრდა გაცილებით უფრო ჩქარი იყო სამხრეთში, ვიდრე ურალში *:

წელი	გამოყენებული იყო სამთო წარმოებაში ორთქლის მანქანა და ძალა						სამთო მუშათა რიცხვი (მარილის მოპოვებაში ჩაბმულ მუშათა გარდა)		
	სულ რუსეთში		ურალში		სამხრეთში				
	ორთქ. მანქ.	ძალა	ორთქ. მანქ.	ძალა	ორთქ. მანქ.	ძალა	სულ რუსეთში	ურალში	სამხრეთში
1877	895	27 880	268	8 070	161	5 129	256 919	145 455	13 865
1893	2 853	115 429	550	21 330	585	30 759	444 646	238 630	54 670

ამრიგად, ორთქლის ძალის რაოდენობა ურალში გაიზარდა მხოლოდ $2^1/_2$-ჯერ, სამხრეთში კი ე ქ ვ ს ჯ ე რ; მუშათა რიცხვი ურალში — $1^2/_3$-ჯერ, სამხრეთში კი — თითქმის ო თ ხ ჯ ე რ **. მაშასადამე, სწორედ კაპიტალისტური მსხვილი მრეწვე-

* ბ-ნ ბოგოლიუბსკის ანგარიშით, 1868 წ. სამთო საქმეში იხმარებოდა 526 ორთქლის მანქანა 13 575 ძალისა.

** ურალის რკინის წარმოებაში მუშების რიცხვი 1886 წ. იყო 145 910 კაცი, 1893 წ. — 164 126; სამხრეთში კი — 5 956 და 16 467. მომატებუ-

ლობა სწრაფად ზრდის მუშათა რიცხვს და ამასთანავე უაღრესად ამაღლებს მათი შრომის ნაყოფიერებას.

სამხრეთთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ კავკასიაც, რომელსაც აგრეთვე ახასიათებს სამთო მრეწველობის გასაოცარი ზრდა რეფორმისშემდგომ პერიოდში. ნავთობის მოპოვება, რაც 60-იან წლებში მილიონ ფუთსაც კი არ აღწევდა (557 ათასი 1865 წ.), 1870 წ. უდრიდა 1,7 მილიონ ფუთს, 1875 წ. — 5,2 მილიონ ფუთს, 1880 — 21,5 მილიონ ფუთს, 1885 წ. — 116 მილიონ ფუთს, 1890 წ. — 242,9 მილიონ ფუთს, 1895 წ. — 384,0 მილიონ ფუთს, 1902 წ. — 637,7 მილიონ ფუთს. თითქმის მთელ ნავთობს იღებენ ბაქოს გუბერნიაში, და ქალაქი ბაქო «უმნიშვნელო ქალაქიდან გადაიქცა რუსეთის პირველხარისხოვან სამრეწველო ცენტრად, სადაც 112 ათასი მცხოვრებია»*. ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების წარმოებათა დიდად განვითარებამ გააძლიერა რუსეთში ნავთის მოხმარება, რამაც სავსებით განდევნა ამერიკული პროდუქტი (პირადი მოხმარების ზრდა პროდუქტის ფაბრიკული გადამუშავებით გაიაფებასთან ერთად), და კიდევ უფრო გააძლიერა ნავთობის ნარჩენების მოხმარება სათბობის სახით ფაბრიკებში, ქარხნებში და რკინიგზებზე (საწარმოო მოხმარების ზრდა)**. კავკასიის სამთო მრე-

---

ლა (დაახლოებით) $^1/_3$-ით და $2^3/_4$-ჯერ. არაა 1902 წლის ცნობები ორთქლის მანქანის და ძალის რაოდენობის შესახებ. სამთო მუშების რიცხვი კი (მარილის მომპოვებელ მუშათა ჩაუთვლელად) 1902 წ. მთელ რუსეთში იყო 604 972, აქედან ურალში—249 805, ხოლო სამხრეთში — 145 280.

* «ვესტნ. ფინ.», 1897 წ., № 21. 1863 წ. ბაქოში იყო 14 ათასი მცხოვრები, 1885 წ. — 45,7 ათასი.

** 1882 წ. ორთქლმავალთა 62%-ზე მეტი შეშით თბებოდა, 1895/96 წ. კი — 28,3% — შეშით, 30% — ნავთობით, 40,9% — ქვანახშირით («საწარმოო ძალები», XVII, 62). ნავთობის მრეწველობამ, როგორც კი დაიპყრო შინაური ბაზარი, მაშინვე დაიწყო საგარეო ბაზრების ძებნა, და ნავთობის გატანა აზიაში ძალიან სწრაფად იზრდება («ვესტნ. ფინ.» 1897 წ., № 32), წინააღმდეგ ზოგიერთ იმ რუს ეკონომისტთა აპრიორული წინასწარმეტყველებისა, რომელთაც ძალიან უყვართ ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთის კაპიტალიზმს საგარეო ბაზრები არა აქვსო.

წველობის მუშათა რიცხვიც ძალიან ჩქარა იზრდებოდა, სახელდობრ, 3 431-დან 1877 წ. ავიდა 17 603-მდე 1890 წ., ე. ი. გაიზარდა ხუთჯერ.

სამხრეთის მრეწველობის წყობის ნათელსაყოფად ავიღოთ დონეცის აუზის ქვანახშირის წარმოების ცნობები (აქ მაღაროების საშუალო ოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე რუსეთის ყველა დანარჩენ რაიონში). თუ მაღაროებს დავაჯგუფებთ მუშათა რაოდენობის მიხედვით, ასეთ სურათს მივიღებთ *:

მაღაროთა ჯგუფები მუშათა რიცხვის მიხედვით	დონეცის აუზი						მოდის ერთ მაღაროზე				
	რიცხვი			ამოღებულია ნახშ. ათას ფუთ.	რიცხ. ორთქლ.				ორთქლის		ითვლ. მუშაზე ნახშირი ათას ფუთ.
	მაღაროებ.	ფახტ. და წოლხვრ.	მუშებისა		მანქან.	ძალისა	მ უ შ ა	ქვანახშირი ათას ფუთ.	მანქანა	ძალა	
I. მაღ., სადაც 10-მდე მუშაა	27	31	172	178	—	—	6,4	6,6	—	—	1,0
II. » 10— 25 »	77	102	1 250	3 489	8	68	16,2	45,3	0.1	0,8	2,8
III. » 25— 100 »	119	339	5 750	28 693	62	766	48,3	241,1	0,5	6,4	4,9
IV. » 100— 500 »	29	167	6 973	59 130	87	1 704	240,4	2 038,9	3	58,7	8,4
V. » 500—1000 »	5	67	3 698	23 164	24	756	739,6	4 632,8	4,8	151,2	6,3
VI. » 1000 და მეტი მუშაა	3	16	5 021	53 605	29	1 724	1 673,6	17 868,3	9,6	574,6	10,6
მაღაროები, სადაც მუშების რიცხვი გამოუკვეველია	9	40	? (2 296)	15 008	18	808					
ს უ ლ	269	762	25 167	183267	228	5 826	93,5	681,3	0,9	21,6	7,3

ამრიგად, ამ რაიონში (და მხოლოდ აქ) არის ძალიან წვრილი, გლეხური მაღაროები, რომლებიც, მიუხედავად სიმრავლისა, სრულიად უმნიშვნელო როლს ასრულებენ საერთო წარმოებაში (104 წვრილი მაღარო იძლევა ქვანახშირის მთელი

* მონაცემები ამოღებულია მაღაროების სიიდან, რომელიც მოთავსებულია «სამთო-საქარხნო მრეწველობის 1890 წ. ცნობების კრებულში».

მოპოვების მხოლოდ 2%-ს) და განირჩევიან შრომის მეტად დაბალი ნაყოფიერებით. პირიქით, 37 უდიდეს მაღაროში ჩაბმულია მუშების მთელი რიცხვის თითქმის $^3/_5$ და ყველა ეს მაღარო იძლევა ქვანახშირის მთელი მოპოვების 70%-ზე მეტს. შრომის ნაყოფიერება მატულობს მაღაროთა სიდიდის ზრდასთან ერთად, მატულობს მანქანების გამოყენების დამოუკიდებლადაც კი (შეად., მაგ., მაღაროთა V და III თანრიგები ორთქლის ძალის რაოდენობისა და თითო მუშაზე წარმოების ოდენობის მიხედვით). წარმოების კონცენტრაცია დონეცის აუზში უფრო და უფრო იზრდება: ასე, 4 წლის განმავლობაში, 1882 — 1886, ქვანახშირის 512 გამგზავნთაგან 21-ს გაჰქონდა 5 000-ზე მეტი ვაგონი (ე. ი. 3 მილიონი ფუთი) თვითეულს, სულ 229,7 ათასი ვაგონი 480,8 ათასიდან, ე. ი. ნახევარზე ცოტა ნაკლები. ოთხი წლის განმავლობაში კი, 1891 — 1895, იყო 872 გამგზავნი, რომელთაგან 55-ს გაჰქონდა 5 000-ზე მეტი ვაგონი თვითეულს, სულ კი 925,4 ათასი ვაგონი 1 178,8 ათასიდან, ე. ი. მთელი რაოდენობის $^8/_{10}$-ზე მეტი *.

მოყვანილ ცნობებს სამთო მრეწველობის განვითარების შესახებ ორი მხრივ აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა: ჯერ ერთი, ისინი განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებენ საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის იმ ცვლილების ბრსს, რომელიც ხდება რუსეთის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში; მეორეც, ისინი ნათელჰყოფენ იმ თეორიულ დებულებას, რომ განვითარების გზაზე მყოფ კაპიტალისტურ საზოგადოებაში განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ამზადებენ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ებ ს, ე. ი. არა პირადი, არამედ საწარმოო მოხმარების საგნებს. საზოგადოებრივი მეურნეობის ორი წყობის შეცვლა სამთო მრეწველობაში განსაკუთრებული სიცხადით აშკარავდება იმის გამო, რომ აქ ორივე წყობის ტიპიური წარმომადგენლები განსაკუთრებული რაიონებია: ერთ რაი-

* ნ. ს. ა ვ დ ა კ ო ვ ი ს ცნობებიდან: «დონეცის ქვანახშირის მრეწველობის მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა». ხარკოვი, 1896 წ.

ონში ვხედავთ წინაკაპიტალისტურ ძველ წყობას მისი პრიმიტიული და რუტინული ტექნიკით, ადგილზე მიმაგრებული მოსახლეობის პირადი დამოკიდებულებით, წოდებრივი ტრადიციების, მონოპოლიების სიმტკიცით და სხვ., მეორე რაიონში — ყოველგვარ ტრადიციასთან კავშირის სავსებით გაწყვეტას, ტექნიკურ გადატრიალებას და წმინდა კაპიტალისტური მანქანური ინდუსტრიის სწრაფ ზრდას*. ამ მაგალითით განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეკონომისტ-ნაროდნიკების შეცდომა. ისინი უარჰყოფენ რუსეთში კაპიტალიზმის პროგრესულობას და მიუთითებენ, რომ ჩვენი მეწარმენი მიწათმოქმედებაში ხალისით მიმართავენ შრომამიგებას, მრეწველობაში — სამუშაოს შინ დარიგებას, სამთო საქმეში ცდილობენ მუშის მიმაგრებას, წვრილი საწარმოების კონკურენციის კანონით აკრძალვას და სხვ. და სხვ. ამგვარი მსჯელობის ულოგიკობა და იქ ისტორიული პერსპექტივის აშკარად დარღვევა თვალში გვხვდება. მართლაც, საიდან გამოდის, რომ ჩვენ მეწარმეთა ეს მისწრაფება — გამოიყენონ მეურნეობის წინაკაპიტალისტური წესების სარგებლიანობა, ჩვენს კაპიტალიზმს უნდა მიეწეროს და არა სიძველის იმ ნაშთებს, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებენ და რომლებიც ბევრ შემთხვევაში მხოლოდ კანონის ძალით არსებობენ? განა გასაკვირია, რომ, მაგ., სამხრეთელ სამთო მრეწველებს სწყურიათ მუშათა მიმაგრება და წვრილ საწარმოთა კონკურენციის კანონმდებლობითი აკრძალვა, თუ სამთო მრეწველობის მეორე რაიონში ეს მიმაგრება და ეს აკრძალვა ძველთაგანვე არსებობს დღემდე, თუ მეორე რაი-

* უკანასკნელ დროს ურალიც იწყებს გარდაქმნას ცხოვრების ახალი პირობების გავლენით, და ეს გარდაქმნა კიდევ უფრო დაჩქარდება, როცა ურალი მჭიდროდ დაუკავშირდება «რუსეთს» რკინიგზით. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება იმ განზრახვის განხორციელებას, რომ ურალი რკინიგზით შეაერთონ სამხრეთთან ურალის მადნის დონეცის ქვანახშირზე გადასაცვლელად. დღემდე ურალი და სამხრეთი თითქმის არ უწევენ ერთმანეთს მეტოქეობას, ისინი მუშაობენ სხვადასხვა ბაზრებისათვის და უმთავრესად სახაზინო შეკვეთებით არსებობენ. მაგრამ უხვი სახაზინო შეკვეთები მუდამ არ იქნება.

ონში მექარხნენი, დაბალი ტექნიკის პირობებში, უფრო იაფი და მორჩილი მუშახელით თუჯის წარმოებაში უდავიდარაბოდ ღებულობენ «კაპიკს კაპიკზე და ხანდახან კაპიკნახევარსაც კაპიკზე» *? განა არ უნდა გვიკვირდეს, პირიქით, რომ ასეთ პირობებში არიან ადამიანები, რომლებიც იქამდეც კი მიდიან, რომ აიდეალებენ რუსეთის წინაკაპიტალისტურ საშეურნეო წყობილებას, ადამიანები, რომელთაც არ უნდათ დაინახონ კაპიტალიზმის განვითარების შემფერხებელი ყველა დრომოჭმული დაწესებულების მოსპობის მწვავე და მომწიფებული საჭიროება **?

მეორე მხრით, სამთო მრეწველობის ზრდის ცნობები საყურადღებოა იმით, რომ ისინი თვალნათლივ გვიჩვენებენ კაპიტალიზმისა და შინაური ბაზრის უფრო სწრაფ ზრდას საწარმოო მოხმარების საგნების მიმართ პირადი მოხმარების საგანთა წარმოების ზრდასთან შედარებით. ამ გარემოებას უგულებელჰყოფს, მაგ., ბ-ნი ნ.—ონი, რომელიც ფიქრობს, რომ სამთო მრეწველობის პროდუქტებზე მთელი შინაური მოთხოვნილება «ალბათ, ძალიან მალე იქნება» დაკმაყოფილებულიო («ნარკვევები», 123). საქმე ისაა, რომ ლითონის, ქვანახშირის და სხვ. მოხმარების სიდიდე (1 მცხოვრებზე) არ რჩება და არც შეიძლება უცვლელი დარჩეს კაპიტალისტურ საზოგადოებაში, არამედ აუცილებლად მ ა ტ უ ლ ო ბ ს. რკინიგზის ქსელის ყოველი ახალი ვერსი, ყოველი ახალი სახელოსნო, სოფლის ბურჟუას მიერ შეძენილი ყოველი გუთანი ზ რ დ ი ს სამთო მრეწველობის პროდუქტებზე მოთხოვნილების სიდიდეს. თუ რუსეთში 1851 წლიდან 1897 წლამდე თვითეულ მცხოვრებზე, მაგ., თუჯის მოხმარება 14

* ეგუნოვის სტატია «შინამრეწველობის ანგარიშებსა და გამოკვლევებში», ტ. III, გვ. 130.

** მაგალითად, ბ-მა ნ.—ონმა მთელი თავისი დრტვინვა მარტოოდენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართა (შეად. კერძოდ სამხრეთის სამთო მრეწველების შესახებ, «ნარკვევების» გვ. 211 და 296) და ამრიგად სრულიად დაამახინჯა რუსეთის კაპიტალიზმის დამოკიდებულება ჩვენი სამთო მრეწველობის წინაკაპიტალისტური წყობის მიმართ.

გირვანქიდან $1^1/_3$ ფუთამდე გაიზარდა, ეს უკანასკნელი სიდიდეც ძალიან უნდა გაიზარდოს, რომ მიუახლოვდეს თუჯის მოთხოვნილების იმ დონეს, რომელიც მოწინავე ქვეყნებში თუჯზე არსებობს (ბელგიასა და ინგლისში 6 ფუთზე მეტი მოდის 1 მცხოვრებზე).

V. მატულობს თუ არა მუშების რიცხვი მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებში?

საფაბრიკო-საქარხნო და სამთო მრეწველობის ცნობების განხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია პასუხი გავცეთ ამ საკითხს, რომელიც ასე აინტერესებდათ ეკონომისტ-ნაროდნიკებს და რომელსაც ისინი უარყოფითად სწყვეტდნენ (ბბ. ვ. ვ., ნ.—ონი, კარიშევი, კაბლუკოვი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთში ფაბრიკა-ქარხნის მუშათა რიცხვი თუ იზრდება, ყოველ შემთხვევაში, უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მოსახლეობაო). თავდაპირველად უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხი უნდა ეხებოდეს ან იმას — იზრდება თუ არა სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა მიწათმოქმედი მოსახლეობის ანგარიშზე (ამაზე ქვემოთ), ანდა იმას — მატულობს თუ არა მუშათა რიცხვი მსხვილ მანქანურ ინდუსტრიაში. არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ წვრილ სამრეწველო საწარმოებში ან მანუფაქტურაში მუშათა რიცხვი უნდა იზრდებოდეს განვითარების გზაზე მყოფ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ვინაიდან ფაბრიკა მუდამ სპობს მრეწველობის უფრო პრიმიტიულ ფორმებს. ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონაცემები კი, როგორც ზემოთ დაწვრილებით გავარკვიეთ, სრულიადაც არ ეხება ყოველთვის ფ ა ბ რ ი კ ა ს ამ ტერმინის მეცნიერული მნიშვნელობით.

რომ განვიხილოთ მონაცემები ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, უნდა ავიღოთ, ჯერ ერთი, ყველა წარმოების ცნობები; მეორეც, ხანგრძლივი პერიოდის ცნობები. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილ იქნას მონაცემთა შესადარობა. ჩვენ ვიღებთ 1865 და 1890

წლებს, — რეფორმისშემდგომი ხანის ოცდახუთწლიან პერიოდს. შევაჯამოთ ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ხელთ გვაქვს. საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა 1865 წლის შესახებ იძლევა ყველაზე უფრო სრულ ცნობებს; ამ სტატისტიკით ევროპულ რუსეთში ყველა წარმოებაში ითვლება ფაბრიკა-ქარხნების 380 638 მუშა, გარდა სპირტსახდელი, ლუდსახდელი, ჭარხლის შაქრის და თამბაქოს წარმოებისა *. ამ წარმოებათა მუშების რაოდენობის გამოსარკვევად ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ერთადერთი მონაცემებით, რაც «სამხედრო-სტატ. კრებულში» მოიპოვება, ამასთან ეს მონაცემები, როგორც ზემოთ დავამტკიცეთ, უნდა შესწორდეს. თუ მივუმატებთ დასახელებულ წარმოებათა ** 127 935 მუშას, მივიღებთ, რომ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მთელი რიცხვი 1865 წელს ევროპულ რუსეთში (აქციზით დაბეგრილ და დაუბეგრავ წარმოებებში) უდრიდა 508 573 კაცს ***. 1890 წლის სათანადო ციფრი იქნება 839 730 კაცი ****. მომატებულია 65%-ით, ე. ი. უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე მოსახლეობის ზრდა. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ნამდვილად მომატება უსათუოდ მეტი იყო, ვიდრე ეს ციფ-

* «ფინანსთა სამინისტროს უწყების ცნობებისა და მასალების კრებული», 1867, № 6. ზემოთ უკვე იყო ნაჩვენები, რომ თანამედროვე ცნობებთან შესადარებლად უნდა ავიღოთ მხოლოდ იმავე წყაროს ცნობები, ვ. ი. ფინანსთა სამინისტროს ცნობები.

** ლუდსახდელ წარმოებაში 6 825 კაცი; გადაჭარბება აქაც არის, მაგრამ შესასწორებლად ცნობები არ მოიპოვება; ჭარხლის შაქრის წარმოებაში — 68 334 («ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული»), თამბაქოსაში — 6 116 (შესწორებულია) და სპირტსახდელ წარმოებაში — 46 660 (შესწორებულია).

*** ბ-ნ ტ.-ბარანოვსკის მოჰყავს 1866 წლისათვის ბ-ნ ვეშნიაკოვის ციფრი — 493 371 კაცი («ფაბრიკა», გვ. 339). ჩვენ არ ვიცით, როგორაა მიღებული ეს ციფრი, რომელიც ძალიან მცირედ განსხვავდება ჩვენ მიერ მოყვანილი ციფრისაგან.

**** 1890 წ. «საძიებლით». საერთო რიცხვს, 875 764 კაცს, უნდა გამოვაკლოთ იმ მუშების რიცხვი, რომლებიც განმეორებული არიან სამთო სტატისტიკაში, სახელდობრ: ასფალტის წარმოებაში—291, მარილის სახდელ წარმოებაში—3 468 და სალიანდაგოში—32 275.

რ ე ბ ი გ ვ ი ჩ ვ ე ნ ე ბ ე ნ: როგორც ზემოთ დაწვრილებით დავამტკიცეთ, 1860-იანი წლების საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონაცემები გადაჭარბებულია იმის გამო, რომ იქ ჩათვლილია წვრილი შინამრეწველური, სახელოსნო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე შინ მომუშავე მუშები. სამწუხაროდ, ყველა ამ გადაჭარბების სრული შესწორება ჩვენ არ შეგვიძლია მასალის სიმცირის გამო, ნაწილობრივ შესწორებაზე კი ვამჯობინებთ ხელი ავიღოთ, მით უფრო, რომ ქვემოთ მოყვანილი იქნება უფრო ზუსტი ცნობები უდიდესი ფაბრიკების მუშათა რაოდენობის შესახებ.

გადავდივართ სამთო-საქარხნო სტატისტიკაზე. 1865 წ. სამთამადნო მუშების რიცხვი მოცემულია მხოლოდ სპილენძის და რკინის წარმოებისათვის, აგრეთვე ოქროს და პლატინის საბადოებისათვის; ევროპულ რუსეთში — 1 3 3 1 7 6 კ ა ც ი *. 1890 წ. ამავე წარმოებებში იყო 2 7 4 7 4 8 მ უ შ ა **, ე. ი. ე რ თ ი ო რ ა დ დ ა უ ფ რ ო მ ე ტ ი. ეს უკანასკნელი რიცხვი იძლევა ევროპული რუსეთის სამთამადნო მუშების 1890 წ. მთელი რიცხვის 80,6%-ს; თუ დავუშვებთ, რომ ხსენებული წარმოებანი 1865 წ. მოიცავდნენ აგრეთვე სამთამადნო მუშების მთელი რიცხვის 80,6% ***, მაშინ მივიღებთ სამთამადნო მუშათა რიცხვის ჯამს 1865 წლისთვის — 1 6 5 2 3 0

* იხ. 60-იანი წლების სამთო მუშათა რიცხვის შესახებ: «სტატისტიკური მატიანე», I, 1866 წ.—«ფინანსთა სამინისტროს ყოველწლიური», I. — 1864 — 1867 წლების «სამთო დარგის სტატ. ცნობების კრებული». სპბ. 1864 — 1867, სამთო-სამეცნიერო კომიტეტის გამოცემა.

** «სამთო მრეწველობის 1890 წ. სტატ. ცნობების კრებული». სპბ. 1892. ამ «კრებულის» მიხედვით საერთო რიცხვი — ევროპულ რუსეთში 342 166 მუშა, ხოლო ნავთის ქარხანათა მუშების (რაც გამოანგარიშებულია «საძიებელში») გამოკლებით და ზოგიერთი მცირე შეცდომის გასწორებით — 340 912 კაცი.

*** დანარჩენ სამთო წარმოებათა შორის არის ისეთები, სადაც მუშათა რიცხვი, ალბათ, ოდნავ გაიზარდა (მარილის მოპოვება); არის ისეთები, სადაც მუშათა რიცხვი ძალიან უნდა გაზრდილიყო (ქვანახშირის, ქვის სატეხი); არის ისეთებიც, რომელნიც სრულებით არ არსებობდნენ 1860-იან წლებში (მაგალითად, ვერცხლის წყლის მოპოვება).

კაცს, ხოლო 1890 წლისათვის — 340 912 კაცს. მატება 107%-ს შეადგენს.

შემდეგ, მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა მუშების რიცხვს ეკუთვნიან აგრეთვე რკინიგზელი მუშები. 1890 წ. ევროპულ რუსეთში პოლონეთთან და კავკასიასთან ერთად ისინი შეადგენდნენ 252 415 კაცს*. გამოურკვეველია, რამდენი იყო რკინიგზელი მუშა 1865 წ., მაგრამ ეს შეგვიძლია განვსაზღვროთ საკმაო მიახლოებით, რადგან რკინიგზელი მუშების რიცხვი, რომელიც მოდის ქსელის თვითეულ ვერსზე, ძალიან ცოტათი ირყევა. თუ ვერსზე 9 მუშას ვიანგარიშებთ, მივიღებთ რკინიგზელი მუშების რიცხვს 1865 წ. — 32 076 კაცს**.

შევაჯამოთ ჩვენი გაანგარიშება.

მუშათა რიცხვი მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებში (ათასობით)

წლები	საფაბ.-საქარხნო მრეწველობაში	სამთო მრეწველობაში	რკინიგზებზე	სულ
1865	509	165	32	706
1890	840	340	252	1 432

* «რკინიგზებისა და შიდა სამდინარო გზების სტატისტიკური მიმოხილვა». სპბ. 1893, გვ. 22. გზათა სამინისტროს გამოცემა. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონდა ცნობები მარტო ევროპული რუსეთის გამოსაყოფად. ჩვენ ვთვლით არა მარტო მუდმივ რკინიგზელ მუშებს, არამედ დროებით (10 447 კაცი) და დღიურ რკინიგზელ მუშებსაც (74 504). დროებითი მუშის საშუალო წლიური ხელფასი უდრის 192 მან., დღიურისა — 235 მან. საშუალო დღიური საზღაური — 78 კაპ. მაშასადამე, როგორც დროებითი, ისე დღიური მუშები წლის დიდი ნაწილის განმავლობაში მუშაობენ, — ამიტომ შეცდომაა მათი გამოტოვება, როგორც ამას ბ-ნი ნ. — ონი აკეთებს («ნარკვევები», 124).

** 1886 წ. თითო ვერსზე რკინიგზელი მუშა მოდიოდა — 9,0; 1890 წ. — 9,5; 1893 წ. — 10,2; 1894 წ. — 10,6; 1895 წ. — 10,9; ამრიგად, ამ ციფრს აშკარად ეტყობა ზრდის ტენდენცია. იხ. «რუსეთის ცნობების კრებული» 1890 და 1896 წლებისა და «ვესტ. ფინ.», 1897 წ., № 39. — აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პარაგრაფში საქმე გვაქვს მხოლოდ 1865 და 1890 წლების ცნობათა შედარებასთან; ამიტომ სულერთია — რკინიგზელი მუშების რიცხვს მთელი იმპერიისათვის ავიღებთ თუ მარტო ევროპული რუსე-

ამრიგად, მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა მუშების რიცხვი 25 წლის განმავლობაში გადიდებულა ერთიორად და უფრო მეტად, ე. ი. იგი იზრდებოდა არათუ გაცილებით უფრო ჩქარა, ვიდრე საზოგადოდ მოსახლეობა, არამედ ქალაქის მოსახლეობაზეც უფრო ჩქარა *. მაშასადამე, ეჭვს გარეშეა, რომ მუშები უფრო და უფრო შორდებიან მიწათმოქმედებას და წვრილ სარეწებს და გადადიან მსხვილ სამრეწველო საწარმოებში **. ამას მეტყველებენ სწორედ იმ სტატისტიკის ცნობები, რომელსაც ასე ხშირად მიმართავდნენ და ასე ბოროტად იყენებდნენ ჩვენი ნაროდნიკები. მაგრამ მათ მიერ სტატისტიკის ბოროტად გამოყენების კულმინაციური წერტილია შემდეგი, ჭეშმარიტად ფენომენალური ხერხი: ანგარიშობენ ფაბრიკა-ქარხნის მუშათა რიცხვის თანაფარდობას მთელი მოსახლეობისადმი(!) და მიღებული ციფრის (დაახლოებით 1%) მიხედვით მასლაათობენ იმის შესახებ, თუ რა მცირეა ეს «ერთი მუჭა» *** მუშები! ბ-ნი კაბლუკოვი,

---

თისათვის; 9 კაცს ვიანგარიშებთ ვერსზე თუ ნაკლებს; სამთო მრეწველობის ყველა დარგს ავიღებთ თუ მხოლოდ იმათ, რომელთა შესახებ მოიპოვება 1865 წ. ცნობები.

* ევროპულ რუსეთში 1863 წ. იყო 6,1 მილიონი ქალაქელი მოსახლეობა, ხოლო 1897 წ. — 12,0 მილიონი.

** უახლესი ცნობები მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა მუშების რიცხვის შესახებ ასეთია. არის 1900 წ. ცნობები აქციზით დაუბეგრავ საწარმოთა ფაბრიკა-ქარხნის მუშების რიცხვის შესახებ, 1903 წ. ცნობები — სააქციზო საწარმოთა შესახებ, 1902 წ. ცნობები — სამთო მუშათა შესახებ. რკინიგზელ მუშათა რიცხვი შეიძლება განისაზღვროს, თუ ვიანგარიშებთ 11 კაცს თითო ვერსზე (1904 წ. 1 იანვრის ცნობები). იხ. «რუსეთის წელიწდეული», 1906, და «სამთო-საქარხნო მრეწველობის ცნობების კრებული», 1902 წ.

ამ ცნობათა შეჯამებით გამოდის: ევროპული რუსეთის 50 გუბერნიაში 1900 — 1903 წწ. საფაბრიკო-საქარხნო მუშა — 1 261 571; სამთო მუშა — 477 025; რკინიგზელი მუშა — 468 941. სულ — 2 207 537. მთელი რუსეთის იმპერიაში საფაბრიკო-საქარხნო მუშა — 1 509 516; სამთო მუშა —626 929; რკინიგზელი მუშა — 655 929. სულ — 2 792 374. ტექსტში ნათქვამს სავსებით ადასტურებს ეს ციფრებიც. (შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის.)

*** ნ. —ონი, l. c., 326 და სხვ.

მაგ., იმეორებს* მოსახლეობის მიმართ «რუსეთის ფაბრიკის მუშების» პროცენტის ამ გამოანგარიშებას და ასე განაგრძობს: «დასავლეთში კი (!!) დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმული მუშების რაოდენობა...» (ყოველი გიმნაზიელისთვისაც ხომ ცხადია, რომ ეს სულაც არ არის ერთი და იგივე: «ფაბრიკის მუშები» და «დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმული მუშები»?)... «სულ სხვა თანაფარდობას იძლევა მთელი მოსახლეობისადმი», სახელდობრ 53%-იდან ინგლისში 23%-დე საფრანგეთში. «ძნელი არ არის დავინახოთ: განსხვავება ფაბრიკის მუშათა კლასისა (!!) იქ და ჩვენში ისე დიდია, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ჩვენი და დასავლეთ ევროპის განვითარების მსვლელობის გაიგივებაზე». და ამას წერს პროფესორი და სპეციალობით სტატისტიკოსი! იგი არაჩვეულებრივი სიმამაცით, ერთი დაკვრით ორ სიყალბეს სჩადის: 1) ფაბრიკის მუშების ნაცვლად გამოყვანილი არიან დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმული მუშები; 2) ამ უკანასკნელთა ნაცვლად გამოყვანილია მოსახლეობა, რომელიც დამმუშავებელ მრეწველობას მისდევს. განვმარტოთ ჩვენი სწავლული სტატისტიკოსებისათვის ამ განსხვავების მნიშვნელობა. საფრანგეთში, 1891 წლის აღწერით, დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმული იყო 3,3 მილიონი მუშა — მოსახლეობის მეათედ ნაწილზე ნაკლები (მოსაქმეობის მიხედვით განაწილებული 36,8 მილიონი მცხოვრები; 1,3 მილიონი არაა განაწილებული მოსაქმეობის მიხედვით). ესენი ყველა სამრეწველო დაწესებულებისა და საწარმოს მუშები არიან და არა მარტო ფაბრიკის მუშები. მოსახლეობა კი, რომელიც დამმუშავებელ მრეწველობას მისდევს, 9,5 მილიონი იყო (დაახლოებით მთელი მოსახლეობის 26%); აქ მუშათა რიცხვს ემატებიან მეპატრონენი და სხვა (1 მილიონი), შემდეგ მოსამსახურენი — 0,2 მილიონი, ოჯახის წევრნი — 4,8 მილიონი და შინამოსამსახურენი — 0,2 მილიონი**. რუსეთში

* «ლექციები სოფლის მეურნეობის ეკონომიის შესახებ», მ. 1897 წ., გვ. 14.

** «The Statesman's Yearbook», 1897, page 472 («პოლიტიკური წელიწდეული», 1897, გვ. 472. რ ე დ.).

არსებული სათანადო თანაფარდობის საილუსტრაციოდ მაგალითისათვის უნდა ავიღოთ ცალკეული ცენტრები, ვინაიდან ჩვენში არ არის მთელი მოსახლეობის მოსაქმეობის სტატისტიკა. ავიღოთ ერთი — ქალაქის და ერთი — სოფლის ცენტრი. პეტერბურგში საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკით 1890 წ. ითვლებოდა ფაბრიკა-ქარხნის 51 760 მუშა («საძიებლით»), ხოლო ს.-პეტერბურგის 1890 წ. 15 დეკემბრის აღწერით დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმული იყო ორივე სქესის 341 991 სული, რომელნიც შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ *:

ორივე სქესის პირთა რიცხვი

	დამოუკიდებელნი (ე. ი. ისეთნი, რომელ-ნიც თავს თვითონ ირჩენენ)	ოჯახის წევრნი და შინამოსამსახურენი	ს უ ლ
მეპატრონე	13 853	37 109	50 962
ადმინისტრაცია (მოსამსახ.)	2 226	4 574	6 800
მუშა	148 111	61 098	209 209
მარტოხელა	51 514	23 506	75 020
ს უ ლ	215 704	126 287	341 991

მეორე მაგალითი: ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის გორბატოვის მაზრის სოფ. ბოგოროდსკოეში (რომელიც, როგორც ვნახეთ, მიწათმოქმედებას არ მისდევს და «თითქოს ერთ მთლიან ტყავის ქარხანას» წარმოადგენს) 1890 წ. «საძიებლით» ითვლება ფ ა ბ.-ქ ა რ ხ ნ ი ს 3 9 2 მ უ შ ა, მაშინ როდესაც თვით მრეწავი მოსახლეობა, 1889 წლის საერობო აღწერით, 8 ათასამდეა (მთელი მოსახლეობა = 9 241 კაცს; სარეწის მქონე ოჯახი 9/10-ზე მეტი). დაე ამ ციფრებს კარგად ჩაუფიქრდნენ ბბ. ნ.—ონი, კაბლუკოვი და კომპანია!

* «ს.-პეტერბურგი 1890 წ. აღწერით». სპბ. 1893 წ. აღებულია სარეწაო მოსაქმეობის II — XV ჯგუფების ჯამი. სულ სარეწაო მოსაქმეობას მისდევს 551 700 კაცი, აქედან 200 748 კაცი არის სავაჭრო, გადაზიდვისა და სატრაქტირო მრეწველობაში. — «მარტოხელად» ნაგულისხმევია წვრილი მწარმოებელი, რომელსაც დაქირავებული მუშა არა ჰყავს.

მეორე გამოცემის დამატება. ახლა ჩვენ გვაქვს 1897 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების შედეგები მთელი მოსახლეობის მოსაქმეობის სტატისტიკის შესახებ. აი ჩვენ მიერ დამუშავებული მონაცემები მთელი რუსეთის იმპერიისათვის* (მილიონობით):

მოსაქმეობა:	დამოუკიდებელნი	ოჯახის წევრნი	მთელი მოსახლეობა
	ორივე სქესის		
ა) მოხელენი და ჯარი	1,5	0,7	2,2
ბ) სამღვდელოება და თავისუფალი პროფესიები	0,7	0,9	1,6
გ) რანტიები და პენსიონერები	1,3	0,9	2,2
დ) თავისუფლებას მოკლებულნი, პროსტიტუტები, გაურკვეველნი, უცნობნი	0,6	0,3	0,9
სულ არამწარმოებელი მოსახლეობა	*4,1*	*2,8*	*6,9*
ე) ვაჭრობა	1,6	3,4	5,0
ვ) მიმოსვლა და ურთიერთობა	0,7	1,2	1,9
ზ) კერძო სამსახური, შინამოსამსახურენი, დღიური მუშები	3,4	2,4	5,8
სულ ნახევრადმწარმოებელი მოსახლეობა	*5,7*	*7,0*	*12,7*
თ) სოფლის მეურნეობა	18,2	75,5	93,7
ი) მრეწველობა	5,2	7,1	12,3
სულ მწარმოებელი მოსახლეობა	*23,4*	*82,6*	*106,0*
სულ	33,2	92,4	125,6

* «მოსახლეობის 1897 წ. 28/I პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემთა დამუშავების შედეგების საერთო ნაკრები იმპერიისათვის». ცენტრ. სტატ. კომ. გამოცემა, ტ. II, ცხრილი XXI, გვ. 296. მოსაქმეობის ჯგუფები მე ასე მაქვს შედგენილი: ა) 1, 2 და 4; ბ) 3 და 5 — 12; გ) 14 და 15; დ) 16 და 63 — 65; ე) 46 — 62; ვ) 41 — 45; ზ) 13; თ) 17 — 21; ი) 22 — 40.

თავისთავად ცხადია, ეს მონაცემები სავსებით ადასტურებენ ზემოთქმულს, სახელდობრ — თუ რაოდენ უაზროა ნაროდნიკული ხერხი ფაბრიკა-ქარხნის მუშების რიცხვის შედარებისა მთელ მოსახლეობასთან.

მოყვანილი მონაცემები რუსეთის მთელი მოსახლეობის საქმიანობის მიხედვით განაწილების შესახებ საინტერესოა უწინარეს ყოვლისა დავაჯგუფოთ ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი შ რ ო მ ის დ ა ნ ა წ ი ლ ებ ი ს, როგორც რუსეთის მთელი სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის საფუძვლის, საილუსტრაციოდ. ამ თვალსაზრისით მთელი მოსახლეობა უნდა გაიყოს სამ დიდ ნაწილად: I. სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა. II. სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა. III. არამწარმოებელი (უფრო სწორად: ვინც სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობას არ იღებს) მოსახლეობა. ზემოხსენებული ცხრა ჯგუფიდან (ა — ი) მხოლოდ ერთი ჯგუფი არ შეიძლება მივაკუთვნოთ პირდაპირ და მთლიანად არც ერთს ამ სამ ძირითად ნაწილთაგანს. ეს არის სახელდობრ ჯგუფი ზ: კერძო სამსახური, შინამოსამსახურენი, დღიური მუშები. ეს ჯგუფი დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობას შორის უნდა გავანაწილოთ. ჩვენ პირველს მივაკუთვნეთ ამ ჯგუფის ის ნაწილი, რომელიც ნაჩვენებია როგორც ქალაქებში მცხოვრები (2,5 მილიონი), ხოლო მეორეს — მაზრებში მცხოვრებნი (3,3 მილიონი). მაშინ ჩვენ მივიღებთ რუსეთის მთელი მოსახლეობის განაწილების შემდეგ სურათს:

რუსეთის სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა	97,0	მილიონი
სავაჭრო-სამრეწველო	21,7	»
არამწარმოებელი	6,9	»
ს უ ლ	125,6	მილიონი

ამ სურათიდან ცხადად ჩანს, ერთი მხრით, რომ რუსეთში საქონლის მიმოქცევა და, მაშასადამე, სასაქონლო წარმოება

სავსებით განმტკიცებულია. რუსეთი კაპიტალისტური ქვეყანაა. მეორე მხრით, აქედან ჩანს, რომ თავისი ეკონომიური განვითარების მხრივ რუსეთი ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილია სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით.

შემდეგ. იმ ანალიზის მერე, რომელიც ჩვენ ამ თზხულებაში მოვახდინეთ, რუსეთის მთელი მოსახლეობის მოსაქმეობის სტატისტიკა შეიძლება და კიდეც უნდა იქნას გამოყენებული იმის დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ი განსაზღვრისათვის, თუ რა ძ ი რ ი თ ა დ კატეგორიებად იყოფა რუსეთის მთელი მოსახლეობა თავისი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი მდგომარეობით, ე. ი. თავისი მდგომარეობით წარმოების საზოგადოებრივ წყობაში.

ასეთი — რასაკვირველია, მხოლოდ დაახლოებითი — განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა ის გარემოება, რომ ჩვენ ვიცით გლეხობის საერთო დაყოფა ძირითად ეკონომიურ ჯგუფებად. ხოლო რუსეთის სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის მთელი მასა სავსებით შეგვიძლია ჩავთვალოთ გლეხობად, ვინაიდან მემამულეთა რიცხვი საერთო ჯამში სრულიად უმნიშვნელოა. მით უფრო, რომ მემამულეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩათვლილია რანტიებად, მოხელეებად, უმაღლეს წარჩინებულ ადამიანებად და სხვ. გლეხთა 97-მილიონიან მასაში კი უნდა გავარჩიოთ სამი ძირითადი ჯგუფი: დაბალი — მოსახლეობის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ფენები, საშუალო — უღარიბესი წვრილი მეურნენი და უმაღლესი — შეძლებული წვრილი მეურნენი. ამ ჯგუფების, როგორც სხვადასხვა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ელემენტების, ძირითადი ეკონომიური ნიშნები ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ ზემოთ. დაბალი ჯგუფი — უქონებელი მოსახლეობაა, რომელიც უმთავრესად ან სანახევროდ ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს გ ა ყ ი დ ვ ი თ ცხოვრობს. საშუალო ჯგუფი — უღარიბესი წვრილი მეურნეებია, ვინაიდან საშუალო გლეხი საუკეთესო წელიწადში თუ ახერხებს ძლივ-ძლივობით გაიტანოს თავი, მაგრამ აქ არსებობის მ თ ა ვ ა რ ი წყაროა «დამოუკიდებელი» (ვითომდა დამოუკიდებელი, რა თქმა უნდა) წ ვ რ ი ლ ი მ ე ურ ნ ე ო ბ ა. დასასრულ, უმაღლესი ჯგუფია შეძლებული

წვრილი მეურნენი, რომელნიც ყვლეფენ ნადელიანი მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან მასას და საზოგადოდ ყოველგვარ დაქირავებულ მუშებს.

ამ ჯგუფთა დაახლოებითი წილი საერთო ჯამში არის: 50%, 30% და 20%. ზემოთ ჩვენ მუდამ ვიღებდით კომლთა ან მეურნეობათა რიცხვის წილს. ახლა ავიღოთ მოსახლეობის წილი. ამ ცვლილებით მატულობს დაბალი ჯგუფი და კლებულობს უმაღლესი ჯგუფი. მაგრამ სწორედ ასეთი ცვლილება ხდებოდა, უეჭველად, რუსეთში გასული ათეული წლის მანძილზე, როგორც ამას უდავოდ მოწმობს გლეხობის უცხენოდ დარჩენა და გაჩანაგება, სოფლად სიღატაკისა და უმუშევრობის ზრდა და სხვ.

მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობიდან დაახლოებით 48,5 მილიონი არის პროლეტარული და ნახევრად-პროლეტარული მოსახლეობა; 29,1 მილიონამდე უღარიბესი წვრილი მეურნე და მათი ოჯახები და 19,4 მილიონამდე მოსახლეობა შეძლებულ წვრილ მეურნეობებშია.

შემდეგ იბადება კითხვა, როგორ უნდა განაწილდეს საავაჭრო-სამრეწველო და არამწარმოებელი მოსახლეობა. უკანასკნელში არის მოსახლეობის აშკარად მსხვილბურჟუაზიული ელემენტები: ყველა რანტიე («რომელიც ცხოვრობს კაპიტალის და უძრავი ქონების შემოსავლით» — ჩვენი სტატისტიკით მე-14 ჯგუფის პირველი ქვეჯგუფი — 0,9 მილიონი), მერე ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილი, მსხვილი სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი და სხვ. სულ აქ იქნება $1^1/_2$ მილიონამდე. იმავე არამწარმოებელი მოსახლეობის მეორე პოლუსზე არიან არმიის, ფლოტის, ჟანდარმერიის, პოლიციის დაბალი მოხელენი (1,3 მილიონამდე), შინამოსამსახურენი და მრავალრიცხოვანი მოსამსახურენი (სულ $^1/_2$ მილიონამდე), თითქმის $^1/_2$ მილიონი მათხოვარი, მაწანწალა და სხვ. და სხვ. აქ მხოლოდ დაახლოებით შეიძლება დავანაწილოთ ჯგუფები, რომლებიც უფრო უახლოვდებიან ძირითად ეკონომიურ ტიპებს: 2 მილიონამდე — პროლეტარულ და

ნახევრადპროლეტარულ მოსახლეობას (ნაწილობრივ ლუმპენები), 1,9 მილიონამდე — უღარიბეს წვრილ მეურნეებს და 1,5 მილიონამდე — შეძლებულ წვრილ მეურნეებს; ამ რიცხვში ვაქცევთ მოსამსახურეების, ადმინისტრაციის, ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და სხვ. მეტ ნაწილს.

ბოლოს, სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობაში, უეჭველია, ყველაზე მეტი არის პროლეტარიატი, ყველაზე ღრმა უფსკრულია მასსა და მსხვილ ბურჟუაზიას შორის. მაგრამ აღწერა არ იძლევა არავითარ მონაცემებს ამ მოსახლეობის დანაწილებაზე მეპატრონეებად, მარტოხელებად, მუშებად და სხვ. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ნიმუშად ავიღოთ ზემომოყვანილი მონაცემები პეტერბურგის სამრეწველო მოსახლეობის შესახებ, რომელიც განაწილებულია წარმოებაში მდგომარეობის მიხედვით. ამ მონაცემების საფუძველზე დაახლოებით შეიძლება 7%-დე მივაკუთვნოთ მსხვილ ბურჟუაზიას, 10% შეძლებულ წვრილ ბურჟუაზიას, 22% უღარიბეს წვრილ მეურნეებს და 61% პროლეტარიატს. რასაკვირველია, მთელ რუსეთში წვრილი წარმოება მრეწველობაში გაცილებით უფრო გამძლეა, ვიდრე პეტერბურგში, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ ნახევრადპროლეტარულ მოსახლეობას არ ვაკუთვნებთ მეპატრონეთათვის შინ მომუშავე მარტოხელათა და შინამრეწველთა მასას. მაშასადამე, საერთოდ და მთლიანად, აღებული თანაფარდობა, ალბათ, ცოტათი თუ განსხვავდება სინამდვილისაგან. სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობისათვის ჩვენ მაშინ მივიღეთ 1,5 მილიონამდე მსხვილი ბურჟუაზია, 2,2 მილიონამდე შეძლებული წვრილი მწარმოებელი, 4,8 მილიონამდე გაჭირვებული წვრილი მწარმოებელი და 13,2 მილიონამდე მოსახლეობის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ფენები.

თუ შევაერთებთ სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო-სამრეწველო და არამწარმოებელ მოსახლეობას, მთელი რუსეთის მოსახლეობისათვის მივიღებთ კლასობრივი მდგომარეობის მიხედვით ასეთ დაახლოებითს განაწილებას:

		მთელი მოსახლეობა ორივე სქესისა
მსხვილი ბურჟუაზია, მემამულენი, უმაღლესი მოხელენი და სხვ.	დაახლ.	3,0 მილიონი
შეძლებული წვრილი მეურნენი	»	23,1 »
უღარიბესი წვრილი მეურნენი	»	35,8 »
პროლეტარები * და ნახევრადპროლეტარები	»	63,7 »
ს უ ლ	დაახლ.	125,6 მილიონი

ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ ჩვენი კადეტი და მოკადეტო ეკონომისტები და პოლიტიკოსები აღშფოთებულნი ხმას აღიმაღლებენ რუსეთის ეკონომიკის ამგვარი «გამარტივებული» წარმოდგენის წინააღმდეგ. ეს ხომ ასე ადვილია და ასე ხელსაყრელიცაა — მიჩქმალო დეტალურ ანალიზში ეკონომიურ წინააღმდეგობათა სიღრმე და ამავე დროს ჩივილი მორთო მ ი თ ლ ი ა ნ ა დ აღებულ ამ წინააღმდეგობებზე სოციალისტური შეხედულების «სიტლანქის» გამო. ჩვენ მიერ გამოყვანილი დასკვნის ამგვარი კრიტიკა, რა თქმა უნდა, მოკლებულია მეცნიერულ მნიშვნელობას.

რასაკვირველია, ამა თუ იმ ციფრის მ ი ა ხ ლ ო ვ ე ბ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი ს შესახებ შესაძლებელია ნაწილობრივი უთანხმოებანი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აღინიშნოს ბ-ნ ლოსიცკის შრომა: «ეტიუდები რუსეთის მოსახლეობაზე 1897 წლის აღწერის მიხედვით» («მირ ბოჟი», 1905, № 8). ავტორი სარგებლობს აღწერის უშუალო მონაცემებით მუშათა და შინამოსამსახურეთა რიცხვის შესახებ. ამ მონაცემებით, ის რუსეთის პროლეტარულ მოსახლეობას განსაზღვრავს 22 მილიონით; — გლეხ და მიწათმფლობელ მოსახლეობას — 80 მილიონით, მეპატრონეებს და ვაჭრობასა და მრეწველობაში მოსამსახურეებს — დაახლოებით 12 მილიონით და არამრეწავ მოსახლეობას — დაახლოებით 12 მილიონით.

ამ მონაცემებით, პროლეტარიატის რაოდენობა ძალიან უახლოვდება ჩვენს დასკვნებს **. «საშოვარზე» დამოკიდებულ

* არანაკლებ 22 მილიონი. იხ. ქვევით.

** აქ უადგილოა დაწვრილებით შევეხოთ მუშათა და შინამოსამსახურეთა იმ სტატისტიკას, რომლითაც სარგებლობდა ბ-ნი ლოსიცკი. რო-

ღარიბ გლეხებში, შინამრეწველებში და სხვ. ნახევრადპროლეტარული მოსახლეობის დიდი მასის არსებობის უარყოფა იმას ნიშნავს, რომ სასაცილოდ აიღო ყველა მონაცემი რუსეთის ეკონომიკის შესახებ. საკმარისია გავიხსენოთ $3^1/_4$ მილიონი უცხენო კ ო მ ლ ი მარტო ევროპულ რუსეთში, 3,4 მილიონი ერთცხენიანი კომლი, საერობო სტატისტიკის მთელი ცნობები იჯარის, «საშოვრების», ბიუჯეტების და სხვ. შესახებ, რომ უეჭველი იყოს ნახევრადპროლეტარული მოსახლეობის მრავალრიცხოვნობა. თუ მივიღეთ, რომ პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული მოსახლეობა ერთად შეადგენს გლეხობის ნახევარს, ამით, ალბათ, არასგზით არ გადავაჭარბებთ, არამედ, პირიქით, შევამცირებთ მის რაოდენობას. ხოლო მიწათმოქმედი მოსახლეობის გამოკლებით პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ფენების პროცენტი უეჭველად კიდევ უფრო მეტია.

შემდეგ, თუ არ გვინდა მთლიანი ეკონომიური სურათი დაქუცმაცდეს, შეძლებულ წვრილ მეურნეებს უნდა მივაკუთვნოთ მნიშვნელოვანი ნაწილი სავაჭრო-სამრეწველო ადმინისტრაციისა, მოსამსახურეებისა, ბურჟუაზიული ინტელიგენციისა, მოხელეებისა და სხვ. ჩვენ აქ შეიძლება ძალიან დიდი სიფრთხილე გამოვიჩინეთ, როცა ასეთი მოსახლეობის რაოდენობა მეტისმეტად მაღალი ციფრით განესაზღვრეთ: საკვლევით შესაძლებელია, რომ უნდა გაგვედიდებინა უღარიბეს წვრილ მეურნეთა რიცხვი და შეგვემცირებინა შეძლებულთა რიცხვი. მაგრამ ამგვარი დაყოფა, რასაკვირველია, არ ჩემულობს უეჭველ სტატისტიკურ სიზუსტეს.

სტატისტიკა თვითმიზნად კი არ უნდა იქცეოდეს, როგორც ეს ჩვენში ძალიან ხშირად ხდება, არამედ უნდა აშუქებდეს ყოველმხრივი ანალიზით დადგენილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას. რუსეთის მოსახლეობაში წვრილ-ბურჟუაზიული ფენების მრავალრიცხოვნების მიჩქმალვა ჩვენი ეკონომიური სინამდვილის სურათის პირდაპირ გაყალბება იქნებოდა.

გორც ჩანს, ეს სტატისტიკა სცოდავს მუშების რიცხვის მეტად მნიშვნელოვანი შ ე მ ც ი რ ე ბ ი თ.

VI. ორთქლის ძრავების სტატისტიკა

წარმოებაში ორთქლის ძრავის გამოყენება მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ამიტომ საინტერესოა განვიხილოთ ამ საკითხზე არსებული მონაცემები. თუ რამდენი იყო ორთქლის ძრავი 1875—1878 წლებში, ამას გვაუწყებს «რუსეთის იმპერიის ორთქლის ძრავთა სტატისტიკის მასალები» (სპბ. 1882. ცენტრ. სტატ. კომ. გამოცემა)*. 1892 წლისთვის ჩვენ გვაქვს «საფ.-საქარხნო მრეწველობის მონაცემთა კრებულის» ციფრები, რომლებიც მოიცავენ ყველა საფაბრიკო-საქარხნო და სამთამადნო წარმოებას. აი ამ მონაცემთა შედარება:

ორთქლის ძრავების რიცხვი მრეწველობაში

	1875 — 1878 წწ.			1892 წ.		
	ორთქლ. ქვაბი	ორთქლ. მანქანა	მათი ძალა	ორთქლ. ქვაბი	ორთქლ. მანქანა	მათი ძალა
ევრ. რუსეთი (50 გუბ.)	7 224	5 440	98 888	11 272	10 458	256 469
პოლონეთი	1 071	787	14 480	2 328	1 978	81 346
კავკასია	115	51	583	514	514	5 283
ციმბირი და თურქესტანი	100	75	1 026	134	135	2 111
სულ იმპერიაში	8 510	6 353	114 977	14 248	13 085	345 209

16 წლის განმავლობაში ორთქლის ძრავთა რიცხვი ძალის რაოდენობის მხრით რუსეთში სამჯერ გაზრდილა, ევროპულ რუსეთში კი — $2^1/_2$-ჯერ. ორთქლის მანქანების რიცხვი ნაკლები რაოდენობით გადიდებულა, ასე რომ თვითეული ორთქლის მანქანის საშუალო ძალა საგრძნობლად აწეულია, სახელდობრ ევროპულ რუსეთში 18-დან 24 ძალამდე, ხოლო პო-

* წარმოებათა 13 ჯგუფიდან, 1892 წელთან შესადარებლად, ვრიცხავთ: I ჯგუფს (სოფლის მეურნეობა), XII-ს (ტიპო- და ლითოგრაფია) და XIII-ს («წყალსადენი» და სხვ.). ლოკომობილები დათვლილია ორთქლის მანქანებთან ერთად.

ლონეთის სამეფოში 18-დან 41 ძალამდე. მაშასადამე, ამ პერიოდის განმავლობაში მსხვილი მანქანური ინდუსტრია ძალიან სწრაფად ვითარდებოდა. 1875—1878 წლებში ორთქლის ძალის რაოდენობით დანარჩენ გუბერნიებზე წინ იყო შემდეგი გუბერნიები: ს.-პეტერბურგის (17 808 ძალა), მოსკოვის (13 668), კიევის (8 363), პერმის (7 348), ვლადიმირის (5 684), — სულ ამ ხუთ გუბერნიაში იყო 52 871 ცხენის ძალა, დაახლოებით ევროპულ რუსეთში არსებული ძალის მთელი რიცხვის $^3/_5$-მდე; შემდეგ მიდიან პოდოლის (5 480), პეტროკოვის (5 071), ვარშავის (4 760) გუბერნიები. 1892 წ. ეს რიგი იცვლება: პეტროკოვის (59 063), ს.-პეტერბურგის (43 961), ეკატერინოსლავის (27 839), მოსკოვის (24 704), ვლადიმირის (15 857), კიევის (14 211),— უკანასკნელ ხუთ გუბერნიაში 126 572 ცხენის ძალა, ე. ი. ევროპულ რუსეთში არსებული ძალის მთელი რიცხვის თითქმის $^1/_2$; შემდეგ მიდიან ვარშავის (11 310) და პერმის (11 245) გუბერნიები. ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ ორი ახალი ინდუსტრიული ცენტრის წარმოშობას: პოლონეთსა და სამხრეთში. პეტროკოვის გუბერნიაში ორთქლის ძალის რიცხვი გაიზარდა 11,6-ჯერ, ეკატერინოსლავისა და დონისაში ერთად *—2 834-დან 30 932 ცხენის ძალამდე, ე. ი. 10,9-ჯერ. ესოდენ სწრაფად გაზრდილმა ამ ინდუსტრიულმა ცენტრებმა, რომლებიც ბოლოში იყვნენ მოქცეულნი, პირველი ადგილები დაიკავეს და უკან დასწიეს ძველი სამრეწველო ცენტრები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაცემებითაც აშკარავდება ს ა წ ა რ მ ო ო მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის, სახელდობრ სამთო და მეტალურგიული მრეწველობის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა. 1875 — 1878 წლებში ამ მრეწველობაში იხმარებოდა 22 966 ცხენძალის 1 040 ორთქლის მანქანა (ევრ. რუსეთში). ხოლო 1890 წელს — 74 204 ცხენძალის 1 960 ორთქლის მანქანა, ე. ი. 14 წელიწადში მათი რაოდენობა უფრო მეტად გაზრდილა, ვიდრე ორთქლის ძრავების მთელი რიცხვი მთელ

* ჩვენ ამ გუბერნიებს ვაერთებთ 1878 წლის შემდეგ მათი საზღვრების შეცვლის გამო.

მრეწველობაში 16 წლის მანძილზე. წარმოების საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს მთელ მრეწველობაში *.

VII. მსხვილი ფაბრიკების ზრდა

ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონაცემთა არადამაკმაყოფილებლობამ, რაც ზემოთ დავამტკიცეთ, გვაიძულა მიგვემართა უფრო რთული გამოანგარიშებისათვის იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ვითარდებოდა რეფორმის შემდეგ მსხვილი მანქანური ინდუსტრია რუსეთში. ჩვენ ამოვკრიბეთ 1866, 1879, 1890 და 1894/95 წლების ცნობები უდიდესი ფაბრიკების შესახებ, სახელდობრ: ისეთების შესახებ, რომელთაც 100 და მეტი მუშა ჰყავთ საწარმოში **. განზე მომუშავენი მკაცრად გამოყოფილია მხოლოდ 1894/95 წლების «სიის» ცნობებში; ამიტომ შესაძლებელია წინა (განსაკუთრებით 1866 და 1879) წლების ცნობები რამდენიმედ მაინც გაზვიადებული დარჩა, მიუხედავად იმ შესწორებისა, რომელზეც ლაპარაკია შენიშვნაში.

მოგვყავს ცნობები ამ უდიდესი ფაბრიკების შესახებ.

---

* თუ რა დიდად განვითარდა ორთქლის ძრავის გამოყენება რუსეთში 1892 წლის შემდეგ, ეს ჩანს იქიდან, რომ 1904 წ., საფაბრიკო ინსპექტორთა ანგარიშების თანახმად, 64 გუბერნიაში ითვლებოდა 27 579 საფაბრიკო-საქარხნო ორთქლის ქვაბი, სულ კი, სასოფლო-სამეურნეოთა გარდა, 31 887 ორთქლის ქვაბი. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს).

** წყაროები: «ფინ. სამინისტროს წელიწდეული», I (ცნობები მხოლოდ 71 წარმოების შესახებ); «საძიებელნი», 1 და 3 გამოც. — ცნობები ყველა წარმოების შესახებ, ისევე როგორც «სიაში»; მაგრამ «სიის» და «საძიებლის» ცნობათა შესადარებლად უკანასკნელის სიაში შესულ წარმოებათ უნდა გამოვაკლოთ რელსის წარმოება. გამორიცხულია ის საწარმონი, სადაც შინამუშები შეტანილია ფაბრიკა-ქარხნის მუშათა რიცხვში. ზოგან შინამუშების ეს ჩათვლა პირდაპირ აღნიშნულია დასახელებულ გამოცემათა შენიშვნებში; ზოგან იგი აშკარავდება სხვადასხვა წლის ცნობათა შედარებიდან: შეად., მაგ., 1879, 1890 და 1894/95 წლების ცნობები სარატოვის გუბ. ბამბის საქსოვი წარმოების შესახებ. (შეად. თავი VI, § II, 1.) — Sinzheimer («Ueber die Grenzen der Weiterbildung des fabrikmässigen Grossbetriebes in Deutschland». Stuttg. 1893) [ზ ი ნ ც ხ ე ი მ ე რ ი («გერმანიის მსხვილი საფაბრიკო წარმოების გავრცელების საზღვრების შესახებ». შტუტგარტი, 1893). რ ე დ]. მსხვილ საფაბრიკო საწარმოდ სთვლის ისეთ საწარმოს, სადაც 50 და მეტი მუშაა. ეს ნორმა, ჩვენი აზრით, არაა დაბალი, მაგრამ რუსული ცნობების გამოანგარიშების სიძნელის გამო ჩვენ მხოლოდ უდიდესი ფაბრიკებით დავკმაყოფილდით.

ევროპული რუსეთის უდიდესი ფაბრიკები წლებში

ფაბრიკების ჯგუფები მუშათა რაოდენობის მიხედვით	1866				1879				1890				1894/95			
	ფაბრ. რიც.				ფაბრ. რიც.				ფაბრ. რიც.				ფაბრ. რიც.			
	სულ	მათ შორის ორთქლის ძრავით	მუშათა რაოდენობა	წარმოების თანხა ათას მანეთობით	სულ	მათ შორის ორთქლის ძრავით	მუშათა რაოდენობა	წარმოების თანხა ათას მანეთობით	სულ	მათ შორის ორთქლის ძრავით	მუშათა რაოდენობა	წარმოების თანხა ათას მანეთობით	სულ	მათ შორის ორთქლის ძრავით	მუშათა რაოდენობა	წარმოების თანხა ათას მანეთობით
A) 100—499 მუშით	512	204	109 061	99 830	641	354	141 727	201 542	712	445	156 699	186 289				
B) 500—999 მუშით	90	68	59 867	48 359	130	119	91 887	117 830	140	140	94 305	148 546				
C) 1000 და მეტი მუშით	42	35	62 801	52 877	81	76	156 760	170 533	99	99	213 333	253 130				
სულ *	644	307	231 729	201 066	852	549	390 374	489 905	951	694	464 337	587 965				
A) 100—499 მუშით					981	534	219 735	289 006	1 133	769	252 656	355 258				
B) 500—999 მუშით					166	145	115 586	142 648	183	183	121 553	190 265				
C) 1000 და მეტი მუშით					91	83	174 322	198 272	115	115	248 937	313 065				
სულ **					1 238	762	509 643	629 926	1 431	1 067	623 146	858 588				
A) 100—499 მუშით					979	532	219 436	288 759	1 131	767	252 063	352 526	1 136	935	252 676	374 444
B) 500—999 მუშით					164	144	113 936	140 791	182	182	120 936	186 115	215	212	143 453	229 363
C) 1000 და მეტი მუშით					86	78	163 044	177 537	108	108	226 207	276 512	117	117	259 541	351 426
სულ ***					1 229	754	496 416	607 087	1 421	1 057	599 206	815 153	1 468	1264	655 670	955 233

* 1866—1879—1890 წლების ცნობები შეიცავს 71 წარმოებას, რომელთა შესახებ მოიპოვება 1866 წ. ცნობები.

** 1879—1890 წლების ცნობები შეიცავს ყველა წარმოებას, როგორც აქციზით დაბეგრილს, ისე დაუბეგრავს.

*** 1879—1890—1894/95 წლების ცნობები ეხება ყველა წარმოებას, სარელსო (ფოლადის ჩამომსხმელი) წარმოების გარდა.

დავიწყოთ ამ ცხრილის ანალიზი 1866 — 1879 — 1890 წწ. ცნობებით. ამ წლების განმავლობაში მსხვილი ფაბრიკების მთელი რიცხვი ასე იცვლებოდა: 644 — 852 — 951 ანუ პროცენტობით: 100 — 132 — 147. მაშასადამე, 24 წლის განმავლობაში მსხვილ ფაბრიკათა რიცხვი გადიდებულა თითქმის ერთნახევარჯერ, ამასთან, თუ ავიღებთ ცნობებს მსხვილ ფაბრიკათა ცალკე თანრიგების შესახებ, დავინახავთ, რომ რაც უფრო მსხვილია ფაბრიკები, მით უფრო ჩქარა იზრდება მათი რიცხვი (A: 512 — 641 — 712 ფაბრიკა; B: 90 — 130 — 140; C: 42 - 81 — 99). ეს მოწმობს წარმოების კონცენტრაციის ზრდას.

მექანიკურ საწარმოთა რიცხვი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ფაბრიკების მთელი რიცხვი; ასე, პროცენტობით: 100 — 178 — 226. მსხვილ საწარმოთა სულ უფრო და უფრო მეტი რიცხვი გადადის ორთქლის ძრავის გამოყენებაზე. რაც უფრო მსხვილია ფაბრიკები, მით უფრო მეტია მათ შორის მექანიკური საწარმო; თუ გამოვიანგარიშებთ ამ საწარმოთა პროცენტს მოცემული თანრიგის ფაბრიკების საერთო რიცხვის მიმართ, მივიღებთ შემდეგ ციფრებს: A) 39% — 53% — 63%; B) 75% — 91% — 100%; C) 83% — 94% — 100%. ორთქლის ძრავის გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული წარმოების ოდენობის გაფართოებასთან, წარმოებაში კოოპერაციის გაფართოებასთან.

მუშათა რიცხვი ყველა მსხვილ ფაბრიკაში პროცენტობით ასე იცვლებოდა: 100 — 168 — 200. 24 წლის განმავლობაში მუშათა რიცხვი გაორკეცდა, ე. ი. მან გაასწრო «ფაბრიკა-ქარხნის მუშათა» საერთო რიცხვის გადიდებას. თითო მსხვილ ფაბრიკაზე მუშების საშუალო რიცხვი წლების მიხედვით იყო: 359 — 458 — 488 კაცი, ხოლო თანრიგების მიხედვით: A) 213 — 221 — 220; B) 665 — 706 — 673; C) 1 495 — 1 935 — 2 154. მაშასადამე, უდიდესი ფაბრიკები თავს უყრიან მუშათა უფრო და უფრო მეტ ნაწილს. 1866 წ. იმ ფაბრიკებში, სადაც 1 000 და მეტი მუშაა, მსხვილი ფაბრიკების მუშათა მთელი რიცხვის 27% იყო; 1879 წ. — 40%; 1890 წ. — 46%.

ყველა მსხვილი ფაბრიკის წარმოების თანხის ცვლილება პროცენტობით ასე გამოიხატება: 100 — 243 — 292, ხოლო თანრიგების მიხედვით: A) 100 — 201 — 187; B) 100 — 245 — 308; C) 100 — 323 — 479. მაშასადამე, ყველა მსხვილი ფაბრიკის წარმოების თანხა გაზრდილა თითქმის სამჯერ, ამასთან რაც უფრო მსხვილია ფაბრიკები, მით უფრო სწრაფად ხდება ეს ზრდა. მაგრამ თუ შევადარებთ თვითეული ცალკე წლის შრომის ნაყოფიერებას სხვადასხვა თანრიგის მიხედვით, მაშინ რამდენიმედ სხვა სურათს დავინახავთ. წარმოების თანხის საშუალო სიდიდე, რომელიც თვითეულ მუშაზე მოდის ყველა მსხვილ ფაბრიკაში, იქნება: 866 მან. — 1 250 — 1 260, თანრიგების მიხედვით კი: A) 901 — 1 410 — 1 191; B) 800 — 1 282 — 1 574; C) 841 — 1 082 — 1 188. მაშასადამე, თვითეული ცალკე წლის მიხედვით არ მატულობს წარმოების თანხა (ერთი მუშის ხვედრი) დაბალი თანრიგიდან მაღალისაკენ. ეს იმიტომ ხდება, რომ სხვადასხვა თანრიგში არათანაბრად ხვდება სხვადასხვა წარმოების ფაბრიკები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნედლი მასალის სხვადასხვა ღირებულებით და, მაშასადამე, თვითეულ მუშაზე წლიური წარმოების სხვადასხვა სიდიდით *.

ასევე დაწვრილებით 1879—1890 წლების და 1879—1890 1894/95 წლების ცნობების განხილვა ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, რადგანაც ეს იქნებოდა ყოველივე ზემოთქმულის განმეორება ცოტა სხვანაირი პროცენტული თანაფარდობის გამო.

უკანასკნელ დროს «საფაბრიკო ინსპექტორთა ანგარიშების კრებულში» მოყვანილია ცნობები მუშათა რაოდენობის მიხედვით ფაბრიკა-ქარხნების ჯგუფებად დანაწილების შესახებ. აი ეს ცნობები 1903 წლისათვის:

---

* მაგალითად, 1866 წ. A თანრიგში შევიდა 17 რაფინადი შაქრის ქარხანა, რომლებშიც თვითეულ მუშაზე მოდის დაახლოებით 6 ათასი მან. წლიური წარმოება, მაშინ როდესაც (უმაღლეს თანრიგებში შესულ) საფეიქრო ფაბრიკებში 500 — 1 500 მან. წლიური წარმოება მოდის თვითეულ მუშაზე.

საფ.-საკ. საწარმოთა ჯგუფები		რუსეთის 64 გუბერნიაში		ევროპული რუსეთის 50 გუბერნიაში [130]	
		საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი
20	მუშაზე ნაკლები	5 749	63 652	4 533	51 728
21 — 50	მუშა	5 064	158 602	4 253	134 194
51 — 100	»	2 271	156 789	1 897	130 642
101 — 500	»	2 095	463 366	1 755	383 000
501 — 1000	»	404	276 486	349	240 440
1000-ზე მეტი	»	238	521 511	210	457 534
	სულ	15 821	1 640 406	12 997	1 397 538

ეს ცნობები შეიძლება შევადაროთ ზემომოყვანილ ცნობებს მხოლოდ ერთგვარი, — თუმც სრულიად უმნიშვნელო, — უსწორობის დაშვებით. ყოველ შემთხვევაში, ეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ მსხვილი ფაბრიკების (სადაც 99-ზე ან 100-ზე მეტი მუშაა) და მათი მუშების რიცხვი სწრაფად იზრდება. იზრდება აგრეთვე მუშების და, მაშასადამე, წარმოების კონცენტრაცია უდიდეს ფაბრიკებში ამ მსხვილი ფაბრიკების რიცხვიდან.

თუ ერთმანეთს შევადარებთ ცნობებს მსხვილი ფაბრიკების შესახებ და ჩვენი ოფიციალური სტატისტიკის ცნობებს ყველა «ფაბრიკა-ქარხნის» შესახებ, დავინახავთ, რომ 1879 წ. მსხვილი ფაბრიკები შეადგენდნენ ყველა «ფაბრიკა-ქარხნის» 4,4%, თავს უყრიდნენ ფაბრიკა-ქარხნის მუშების მთელი რიცხვის 66,8% და წარმოების მთელი თანხის 54,8%. 1890 წ. მსხვილი ფაბრიკები შეადგენდნენ ყველა «ფაბრიკა-ქარხნის» 6,7%, თავს უყრიდნენ ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშის 71,1% და წარმოების მთელი თანხის 57,2%. 1894/95 წ. მსხვილი ფაბრიკები შეადგენდნენ ყველა «ფაბრიკა-ქარხნის» 10,1%, თავს უყრიდნენ ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშის 74% და წარმოების მთელი თანხის 70,8%. 1903 წ. მსხვილი ფაბრიკები, რომლებსაც 100-ზე მეტი მუშა ჰყავდათ, ევროპულ რუსეთში შეადგენდნენ ფაბრიკა-ქარხნების მთელი რიცხვის 17% და თავს უყრიდნენ ფაბრიკა-ქარხნის მუშათა მთელი რიცხვის

100 — 201 — 187; B) 100 — 245 — 308; C) 100 — 320 — 477. Слѣд., сумма производства всѣхъ крупныхъ фабрикъ возрасла почти втрое, причемъ чѣмъ крупнѣе фабрики, тѣмъ быстрѣе шло это возрастаніе. Но если мы сравнимъ производительность труда за каждый отдѣльный годъ по различнымъ разрядамъ, то увидимъ нѣсколько иное. Средняя величина суммы производства, приходящаяся на одного рабочаго во всѣхъ крупныхъ фабрикахъ, будетъ: 866 руб.—1.250—1.260 а по разрядамъ: A) 901—1.410—1.191; B) 800—1.282—1.574; C) 841—1.082—1.188. Слѣд., за каждый отдѣльный годъ не наблюдается повышенія суммы производства (приходящейся на одного рабочаго) отъ низшаго разряда къ высшему. Происходитъ это отъ того, что въ разные разряды попадаютъ въ неравномъ отношеніи фабрики разныхъ производствъ, отличающихся различной стоимостью сырого матеріала, а, слѣдовательно, и различной величиной годового производства на одного рабочаго *).

Разбирать столь же подробно данныя за 1879—1890 гг. и за 1879—1890—1894—5 гг. мы находимъ лишнимъ, такъ какъ это значило бы повторять по поводу нѣсколько иныхъ процентныхъ отношеній все сказанное выше.

Въ послѣднее время въ „Сводѣ отчетовъ фабричныхъ инспекторовъ" приводятся данныя о распредѣленіи фабрикъ и заводовъ на группы по числу рабочихъ. Вотъ эти данныя за 1903-й годъ:

Въ 1908 г. (65 губ. Евр. Росс.)

Число заведеній	Число рабочих	Группы ф.-з. заведеній.	Въ 64 губ. Россіи. Число заведеній	Число рабочихъ.	Въ 50 губ. Евр. Росс. Число заведеній.	Число рабочихъ.
5.403 -	63954	Менѣе 20 рабоч.	5.749	63.652	4.533	51.728
4159 -	152908	21—50 „	5.064	158.062	4.253	134.194
2112 -	150.888	51—100 „	2.271	156.789	1.897	130.642
2169 -	496.329	101—500 „	2.095	463.366	1.755	383.000
433 -	280639	501—1000 „	494	276.486	349	240.440
299 -	663.891	Свыше 1000 „	238	521.511	210	457.534
14.985 -	1.808.109	Всего . . .	15.821	1.640.406	12.997	1.397.538

Данныя эти могутъ быть сравниваемы съ вышеприведенными лишь при допущеніи нѣкоторой неточности, правда, ничтожной. Во всякомъ случаѣ эти данныя показываютъ, что число крупныхъ

*) Напр., за 1866 г. въ разрядъ *A* вошло 17 сахарорафинадныхъ заводовъ, въ которыхъ на 1 рабочаго приходится около 6 тыс. руб. годового производства, тогда какъ на текстильныхъ фабрикахъ (вошедшихъ въ высшіе разряды) приходится 500—1.500 р. годового производства на одного рабочаго.

1908 { 100 р. и заб., мин. 101 и более р-ч. } 1903

заб. р-ч.

2.901 - 1.440.859

2.737 - 1.261.363

405-ე გვერდი წიგნისა — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (1908 წლის გამოცემა) ვ. ი. ლენინის შენიშვნებით

შემცირებულია

76,6%*. ამრიგად, მსხვილი, უმთავრესად ორთქლით მომუშავე, ფაბრიკები, თავისი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, თავს უყრიან ყველა «ფაბრიკა-ქარხნის» მუშათა რიცხვისა და წარმოების თანხის უმთავრეს და უფრო და უფრო მზარდ ნაწილს. თუ რა დიდი სისწრაფით იზრდება ეს მსხვილი ფაბრიკები რეფორმისშემდგომ ხანაში, — ეს ჩვენ უკვე ვნახეთ. მოვიყვანოთ ახლა კიდევ მონაცემები სამთო მრეწველობის ასეთსავე მსხვილ საწარმოთა შესახებ*.

ევრ. რუსეთის უდიდესი სამრეწველო საწარმონი 1890 წელს

ფაბრიკების, ქარხნების, სამადნოების, მაღაროების და სხვათა ჯგუფები მუშების რიცხვის მიხედვით	სამთო მრეწველობაში			საფაბ.-საქარხნო და სამთო მრეწველობაში		
	საწარმოთა რიცხვი		მუშათა რიცხვი	საწარმოთა რიცხვი		მუშათა რიცხვი
	სულ	მათ შორის ორთქ. ძრავიანი		სულ	მათ შორის ორთქ. ძრავიანი	
A) 100 — 499 მუშა	236	89	58 249	1 369	858	310 906
B) 500 — 999 »	73	38	50 607	256	221	172 160
C) 1000 და მეტი »	71	49	149 098	186	164	398 035
ს უ ლ	380	176	257 954	1 811	1 243	881 101

სამთო მრეწველობის მსხვილ საწარმოებში მუშების კონცენტრაცია კიდევ უფრო ძლიერია (თუმცა პროცენტი იმ საწარმოებისა, რომლებიც წარმოებაში იყენებენ ორთქლის ძრავს, უფრო დაბალია); 305 ათასი მუშიდან 258 ათასი,

* შეჯამებული ცნობები ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შესახებ «საძიებლისა» და «სიის» მიხედვით მოყვანილი იყო ზემოთ, II §-ში [შეად. «ეტიუდები», გვ. 276. (იხ. თხზულებანი, ტომი 4, გვ. 20. რ ე დ.)]. უნდა შევნიშნოთ, რომ «ფაბრიკა-ქარხნების» მთელი რიცხვისადმი მსხვილი ფაბრიკების რიცხვის პროცენტული თანაფარდობის გადიდება უწინარეს ყოვლისა იმის მაჩვენებელია, რომ «ფაბრიკა-ქარხნის» ცნება ჩვენს სტატისტიკაში თანდათან ვიწროვდება.

** მონაცემები გამოანგარიშებულია «სამთო-საქარხნო მრეწველობის 1890 წ. სტატ. ცნობების კრებულის» მიხედვით, ამასთან გამორიცხულია ის ქარხნები, რომლებიც შეტანილია «საძიებელში». ამ გამორიცხვით ევრ. რუსეთის სამთო მუშათა ჯამი შემცირდება 35 ათასით (340 — 35=305 ათასი).

ე. ი. სამთო მუშების 84,5% თავმოყრილია იმ საწარმოებში, სადაც 100 და მეტი მუშაა; სამთო მუშების თითქმის ნახევარი (145 ათასი 305 ათასიდან) დაბანდებულია მცირერიცხოვან უდიდეს ქარხნებში, რომელთაც 1 000 და მეტი მუშა ჰყავთ. ხოლო ევროპული რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო და სამთო მუშების მთელი რიცხვიდან (1 180 ათასი. 1890 წ.) სამი მეოთხედი (74,6%) თავმოყრილია იმ საწარმოებში, რომელთაც 100 და მეტი მუშა ჰყავთ; თითქმის ნახევარი (570 ათასი 1 180 ათასიდან) თავმოყრილია იმ საწარმოებში, სადაც 500 და მეტი მუშაა *.

ზედმეტად არ მიგვაჩნია შევეხოთ აქ ბ-ნ ნ.—ონის მიერ აღძრულ საკითხს 1880—1890 წლების პერიოდში 1865—1880 წლების პერიოდთან შედარებით კაპიტალიზმის განვითარებისა და «საფაბრიკო მოსახლეობის» ზრდის «შენელების» შესახებ **. ამ შესანიშნავი აღმოჩენიდან ბ-ნ ნ.—ონი, მისთვის ჩვეული თავისებური ლოგიკის მეოხებით, ახერხებს იმ დასკვნის გამოყვანას, თითქოს «ფაქტები სავსებით ადასტურებენ» «ნარკვევებში» წამოყენებულ დებულებას, რომ «კაპიტალიზმი, თავისი განვითარების განსაზღვრულ ფარგლებს რომ მიაღწევს, ამცირებს თავის საკუთარ შინაურ ბაზარს».—ჯერ ერთი, პირდაპირ უაზრობა იქნებოდა შინაური ბაზრის შემცირება «გადიდების შენელებიდან» დაგვესკვნა. რაკი ფაბრიკა-ქარხნის მუშათა რიცხვი მოსახლეობაზე უფრო სწრაფად იზრდება (ხოლო ეს სწორედ ასეა თვით ბ-ნ ნ.—ონის ცნობებით: 1880-დან 1890 წლამდე გადიდება უდრის 25%),—ცხადია, მოსახლეობა თავს ანებებს მიწათმოქმედებას, და შინაური ბაზარი იზრდება პირადი მოხმარების საგნებისთვისაც კი (აღარ ვლაპარაკობთ წარმოების საშუალებათა ბაზრის შესახებ). მეორეც, პროცენ-

---

* 1895 წლის სამრეწველო აღწერით გერმანიის მთელ მრეწველობაში, სამთო სამშენებლო მრეწველობის ჩათვლით, რაც რუსეთში არ აღირიცხება, იყო 248 საწარმო 1 000 და მეტი მუშით; ამ საწარმოებში ირიცხებოდა 430 286 მუშა. მაშასადამე, რუსეთის უდიდესი ფაბრიკები გერმანიის ფაბრიკებზე უფრო დიდები არიან.

** «რუსსკ. ბოგატსტვო», 1894, № 6. გვ. 101 და შემდეგი. ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები მსხვილი ფაბრიკების შესახებ ადასტურებენ აგრეთვე, რომ 1879—1890 წლებში ზრდის პროცენტი ნაკლებია 1866—1879 წლებთან შედარებით.

ტულად გამოხატული «ზრდის დაკლება» ყოველთვის უნდა ხდებოდეს კაპიტალისტურ ქვეყანაში განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, ვინაიდან მცირე სიდიდე ყოველთვის უფრო ჩქარა იზრდება პროცენტულად, ვიდრე მსხვილი სიდიდე. იმ ფაქტიდან, რომ კაპიტალიზმის განვითარება დასაწყისში განსაკუთრებული სისწრაფით სწარმოებს, მხოლოდ იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ ახალგაზრდა ქვეყანა ისწრაფის დაეწიოს უფრო ძველ ქვეყნებს. დაწყებითი პერიოდის პროცენტული ზრდის აღიარება ნორმად შემდგომი პერიოდებისათვის კი სწორი არ არის. მესამეც, თვით «ზრდის შემცირების» ფაქტი სულაც არ მტკიცდება ბ-ნ ნ.—ონის მიერ აღებული პერიოდების შედარებით. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ციკლობრივად სწარმოებდეს; ამიტომ სხვადასხვა პერიოდის შესადარებლად უნდა ავიღოთ მთელი რიგი წლების ცნობები*, რომ ნათლად გამოჩნდეს განსაკუთრებული აყვავების, აღმავლობის წლები და დაქვეითების წლები. ბ-ნი ნ.—ონი ასე არ იქცევა და სჩადის დიდ შეცდომას, ვერ ამჩნევს, რომ 1880 წელი განსაკუთრებული აღმავლობის წელი იყო. ეს კიდევ ცოტაა, ბ-ნი ნ.—ონი არ დაერიდა საწინააღმდეგო დებულებაც კი «შეეთხზა». «უნდა შევნიშნოთ კიდევ,—მსჯელობს ის,—რომ შუალედი (1865 და 1890 წლებს შორის) 1880 წელი მოუსავლიანი იყო, ამიტომ ამ წელს რეგისტრირებული მუშების რიცხვი ნორმალურზე ნაკლები იყო»!! (ibid., გვ. 103—104). საკმარისი იყო ბ-ნ ნ.—ონს ჩაეხედა თვით იმ გამოცემის ტექსტში, საიდანაც ამოუღია 1880 წლის ციფრები («საძიებელი», მე-3 გამოცემა), და იქ ამოიკითხავდა, რომ 1880 წელი ხასიათდება მრეწველობის «ნახტომით», განსაკუთრებით ტყავის და მანქანათმშენებლობის წარმოებაში (გვ. IV), რომ ეს დამოკიდებული იყო ომის შემდეგ ნაწარმის გაძლიერებულ

* როგორც ეს ჰქნა, მაგ., ბ-მა ტ.-ბარანოვსკიმ თავის «ფაბრიკაში», გვ. 307 და დიაგრამა. დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ 1879 წ. და კიდევ უფრო 1880 და 1881 წლები განსაკუთრებული აღმავლობის წლები იყო.

მოთხოვნილებაზე და მთავრობის გაძლიერებულ დაკვეთებზე. საკმარისია გადაფურცლოთ 1879 წლის «საძიებელი», რომ ნათლად წარმოიდგინოთ ამ ნახტომის სიდიდე*. მაგრამ ბ-ნი ნ. — ონი არ ერიდება ფაქტების პირდაპირ დამახინჯებას თავისი რომანტიკული თეორიის გასამართლებლად.

VIII. მსხვილი მრეწველობის განლაგება

მსხვილი მანქანური ინდუსტრიის დასახასიათებლად, უდიდეს საწარმოებში წარმოების კონცენტრაციის საკითხის გარდა, საყურადღებოა კიდევ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ცალკეულ ცენტრებში წარმოების კონცენტრაციისა და სხვადასხვა სახის საფაბრიკო ცენტრების საკითხი. სამწუხაროდ, ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა არათუ არადამაკმაყოფილებელ და შესადარებლად უვარგის მასალას იძლევა, არამედ მას სრულიად არასაკმაოდაც ამუშავებს: მაგ., თანამედროვე გამოცემებში მრეწველობის განლაგება ნაჩვენებია მხოლოდ მთელი გუბერნიების მიხედვით (და არა ქალაქებისა და მაზრების მიხედვით, როგორც ეს არის 60-იანი წლების საუკეთესო გამოცემებში, რომლებიც აგრეთვე რუკებით გვიხატავდნენ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განლაგებას). მაგრამ, სწორი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ მსხვილი მრეწველობის განლაგებაზე, საჭიროა ავიღოთ ცნობები ცალკეული ცენტრების, ე. ი. ცალკეული ქალაქების, საფაბრიკო დაბების ან ერთმანეთთან ახლო მდებარე საფაბრიკო დაბათა ჯგუფების მიხედვით; გუბერნიები და მაზრები კი — ძალიან მსხვილი ტერიტორიული ერთეულებია**. ამიტომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ამოგვეკრიბა 1879

* იხ., მაგალითად, მაუდის წარმოება — ჯარისთვის მაუდის გაძლიერებული დამზადება; ტყავის წარმოება — დიდი გაცხოველება; ტყავის ნაწარმს მსხვილი ფაბრიკა «სამხედრო უწყებისათვის» ამზადებს 2,5 მილიონი მანეთისას (გვ. 288). იჟევსკის და სესტრორეცკის ქარხნები საარტილერიო ნაწარმს ამზადებენ 7¹/₂ მილიონი მანეთისას 1890 წ. 1 ¹/₂ მილიონი მან. ნაცვლად. სპილენძის წარმოებაში ყურადღებას იქცევს ჯარისათვის საჭირო ნაწარმთა და სამხედრო ხელსაწყოთა დამზადება (გვ. 388 — 389); დენთის ქარხნები მუშაობენ მთელი ძალ-ღონით და სხვ.

** «... (მოსკოვის გუბერნიის) მაზრების ტერიტორიაზე ფაბრიკები და

და 1890 წლების «საძიებლებიდან» ცნობები ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში კონცენტრაციის შესახებ. დანართში მოთავსებულ ცხრილში (დანართი III) შედის ცნობები ევროპული რუსეთის 103 საფაბრიკო ცენტრის შესახებ, რომლებიც აერთიანებენ ფაბრიკა-ქარხნის მუშების მთელი რაოდენობის დაახლოებით ნახევარს *.

ცხრილში ნაჩვენებია რუსეთის საფაბრიკო ცენტრების სამი მთავარი ტიპი: 1) ქალაქები. ისინი პირველ ადგილზე არიან და ხასიათდებიან როგორც მუშების, ისე საწარმოთა უდიდესი კონცენტრაციით. ამ მხრით განსაკუთრებით გამოირჩევიან დიდი ქალაქები. დედაქალაქებში 1890 წ. თავმოყრილია 70 ათასი ფაბრიკა-ქარხნის მუშა თვითეულში (აქ ჩათვლილია დედაქალაქთა გარეუბნებიც), რიგაში — 16 ათასი, ივანოვო-ვოზნესენსკში — 15 ათასი, ბოგოროდსკში — 10 ათასი მუშა, დანარჩენ ქალაქებში — 10 ათასზე ნაკლები. საკ-

ქარხნები სრულიადაც არ არის თანაბრად განაწილებული: უაღრესად სამრეწველო მაზრებში ისეთ ადგილებთან ერთად, რომლებსაც საფაბრიკო საწარმოების ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი თავმოყრის გამო შეიძლება ნამდვილი საფაბრიკო ცენტრები ეწოდოს, შეხვდებით მთელ თემებს, რომლებიც თითქმის სრულიად მოკლებული არიან ყოველგვარ საფაბრიკო მრეწველობას, და პირიქით, მაზრებში, რომლებშიც საერთოდ ნაკლებადაა ფაბრიკა-ქარხნები, შეხვდებით ისეთ რაიონებს, სადაც მეტად თუ ნაკლებად საგრძნობლადაა განვითარებული ესა თუ ის სარეწი და სადაც შინა-სამრეწველო და საფეიქრო ქოხების გვერდით გაჩნდა საფაბრიკო წარმოების ყველა ატრიბუტის მქონე უფრო მსხვილი საწარმოებიც («მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული». სანიტ. სტატ. განყოფილება, ტ. IV, ნაწ. I, მ. 1890, გვ. 141). ეს გამოცემა, რომელიც საუკეთესოა საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის თანამედროვე ლიტერატურაში, მსხვილი მრეწველობის განლაგებას ასურათებს საფუძვლიანად შედგენილი რუკის საშუალებით. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განლაგების სრულ სურათს აკლია მხოლოდ ცენტრების დაჯგუფება ფაბრიკებისა და მუშების რიცხვის და წარმოების თანხის მიხედვით.

* ცხრილში შედის მხოლოდ ის საწარმონი, სადაც წარმოების თანხა 2 ათას მანეთზე ნაკლები არაა, ხოლო წისქვილებიდან აღნიშნულია მარტო ორთქლის წისქვილები. განზე მონუშავენი გამოვრიცხეთ, სადაც კი ვიცოდით, რომ ისინი ჩათვლილი არიან საფაბრიკო მუშათა რიცხვში; ასეთი გამორიცხვა აღნიშნულია ვარსკვლავით (*). მრეწველობის 1879 წლის აღმავლობას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ამ მონაცემებზედაც.

მარისია თვალი გადაავლოთ ზოგიერთი დიდი ქალაქის საფაბრიკო-საქარხნო მუშათა ოფიციალურ რიცხვს (ოდესა — 8,6 ათასი 1890 წ., კიევი — 6 ათასი, დონის როსტოვი — 5,7 ათასი და სხვ.), რათა დარწმუნდეთ, რომ ეს ციფრები მეტისმეტად შემცირებულია. ს.-პეტერბურგის მაგალითი, რაც ზემოთ მოვიყვანეთ, გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ უნდა გავადიდოთ ეს ციფრები, რომ მივიღოთ ამგვარი ცენტრების სამრეწველო მუშათა ნამდვილი რიცხვი. ქალაქებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე გარეუბნებიც. დიდი ქალაქების გარეუბნები ხშირად წარმოადგენენ მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებს. მაგრამ ჩვენი ცნობებით შევძელით გამოგვეყო მხოლოდ ერთი ასეთი ცენტრი — ს.-პეტერბურგის გარეუბნები, სადაც 1890 წ. ითვლება 18,9 ათასი მუშა. მოსკოვის მაზრის ზოგიერთი სოფელიც, რაც შესულია ჩვენს ცხრილში, არსებითად გარეუბნებს წარმოადგენს *.

ცენტრების მეორე ტიპი არის საფაბრიკო სოფლები, რომლებიც განსაკუთრებით ბევრია მოსკოვის, ვლადიმირის და კოსტრომის გუბერნიებში (ჩვენს ცხრილში შესული 63 უმნიშვნელოვანესი სასოფლო ცენტრიდან 42 ამ გუბერნიებშია). ამ ცენტრების სათავეში დგას დაბა ორეხოვო-ზუევო (ცხრილში ცალ-ცალკეა ნაჩვენები ორეხოვო და ზუევო, მაგრამ ეს ერთი ცენტრია); მუშათა რაოდენობით იგი მხოლოდ დედაქალაქებს

* «... მოსკოვის ახლოს მდებარე დიდი სოფელი ჩერკიზოვო, ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, ერთ დიდ ფაბრიკას წარმოადგენს და მოსკოვის გაგრძელება არის, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით... იქვე, გვერდით, სემიონოვის სადარაჯოს იქით... ისევ მრავალი სხვადასხვაგვარი ფაბრიკაა... აქედან ახლო მანძილზე მოჩანს სოფელი იზმაილოვო თავისი საფეიქრო საწარმოებით და იზმაილოვოს უზარმაზარი მანუფაქტურით». ეს არის მოსკოვის ჩრდილოეთით. სამხრეთით, «სერპუხოვის სადარაჯოს იქით, ჩვენ ვხვდებით პირველ ყოვლისა დანილოვის უზარმაზარ მანუფაქტურას, რომელიც მთელ პატარა ქალაქს წარმოადგენს... ქვევით, ერთმანეთისაგან ცოტა დაშორებით, აგურის დიდი ქარხნების მთელი რკალია» და სხვ. (დასახ. «სტატ. ცნობების კრებული», IV, ნაწ. 1, გვ. 143 — 144). მაშასადამე, სინამდვილეში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის კონცენტრაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შეგვეძლო წარმოგვედგინა ჩვენს ცხრილში.

ჩამორჩება (26,8 ათასი 1890 წ.)*. ზემოხსენებულ სამ გუბერნიაში, აგრეთვე იაროსლავლისა და ტვერის გუბერნიებში სასოფლო საფაბრიკო ცენტრების უმეტესობას შეადგენენ უდიდესი საფეიქრო ფაბრიკები (ბამბეულის სართავ-საქსოვი, ტილოს, მატყლის საქსოვი და სხვ.). წინათ ასეთ სოფლებში თითქმის ყოველგან იყო დამარიგებელი კანტორები, ე. ი. ცენტრები კაპიტალისტური მანუფაქტურისა, რომელსაც დამორჩილებული ჰყავდა ხელით მომუშავე ახლო-მახლო მყოფ ფეიქართა მასა. იმ შემთხვევაში, როცა სტატისტიკა ერთმანეთში არ ურევს შინ მომუშავე და ფაბრიკის მუშებს, ცნობები ასეთი ცენტრების განვითარების შესახებ ნათლად გვიჩვენებენ, თუ როგორ იზრდება მსხვილი მანქანური ინდუსტრია, რომელიც ათასობით გლეხს იზიდავს ახლო-მახლო სოფლებიდან და ფაბრიკის მუშებად აქცევს მათ. შემდეგ, სასოფლო საფაბრიკო ცენტრების მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენენ მსხვილი სამთო და მეტალურგიული ქარხნები (კოლომენისა სოფ. ბობროვში, იუზოვისა, ბრიანსკისა და სხვ.); მათ შორის უმრავლესობა სამთო მრეწველობას ეკუთვნის და ამიტომ არ შესულა ჩვენს ცხრილში. ჭარხლის შაქრის ქარხნები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიათა დაბა-სოფლებში მდებარეობენ, ჰქმნიან აგრეთვე მრავალ სასოფლო საფაბრიკო ცენტრს; მაგალითისთვის ჩვენ ავიღეთ ერთი უდიდესი დაბათაგანი — სმელა კიევის გუბერნიაში.

საფაბრიკო ცენტრების მესამე ტიპია «შინამრეწველობის» სოფლები, რომლებშიც უმსხვილესი საწარმოები ხშირად «ფაბრიკებად და ქარხნებად» ითვლება. ასეთი ცენტრების ნიმუშებად ჩვენს ცხრილში აღებულია სოფლები პავლოვო, ვორსმა, ბოგოროდსკოე, დუბოვკა. ასეთი ცენტრების ფაბრიკა-ქარხნის მუშათა რიცხვის შედარება ამ ცენტრების მთელ მრეწავ მოსახლეობასთან ჩვენ ზემოთ მოვახდინეთ სოფ. ბოგოროდსკოესათვის.

თუ დავაჯგუფებთ ჩვენს ცხრილში შესულ ცენტრებს თვითეული ცენტრის მუშათა რიცხვის და ცენტრების სახეობის მიხედვით (ქალაქები და სოფლები), მივიღებთ შემდეგ მონაცემებს (იხ. შემდ. გვ.).

* 1879 წ. აქ ითვლებოდა მხოლოდ 10,9 ათასი მუშა. ცხადია, აქ რეგისტრაციის სხვადასხვა წესია ნახმარი.

საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ცენტრები ევროპულ რუსეთში

ცენტრების თანრიგები მუშათა რიცხვის და ცენტრების სახეების მიხედვით	1879						1890					
	ცენტრებ. რიცხ.			ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი	წარმოების თანხა ათას მანეთობით	მუშების რიცხვი	ცენტრებ. რიცხ.			ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი	წარმოების თანხა ათას მანეთობით	მუშების რიცხვი
	ქალაქში	სოფელში	სულ				ქალაქში	სოფელში	სულ			
ცენტრი 10 000 და მეტი მუშით	4	1	5	1 393	279 398	158 670	6	1	7	1 644	361 371	206 862
ცენტრი 5—10 ათასი მუშით. .	6	—	6	148	65 974	49 340	10	4	14	931	151 029	90 229
ცენტრი 1—5 ათასი მუშით. .	22	37	59	1 029	174 171	133 712	17	48	65	804	186 422	144 255
სულ ცენტრები 1 ათასი და მეტი მუშით	32	38	70	2 570	519 543	341 722	33	53	86	3 379	698 822	441 346
ცენტრი 1 ათასზე ნაკლები მუშით.	8	20	28	260	17 144	14 055	6	10	16	259	8 159	9 898
ცენტრი უმუშებოდ .	—	5	5	1	—	—	1	—	1	—	—	—
სულ .	40	63	103	2 831	536 687	355 777	40	63	103	3 638	706 981	451 244
ქალაქები (და გარეუბნები). . .	40	—	40	2 574	421 310	257 181	40	—	40	3 327	535 085	298 651
სოფლები (რაბათები და დაბები)	—	63	63	257	115 377	98 596	—	63	63	311	171 896	152 593

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ 1879 წ. 103 ცენტრში თავმოყრილი იყო 356 ათასი მუშა (მთელი რიცხვიდან — 752 ათასიდან), ხოლო 1890 წ. — 451 ათასი (876 ათასიდან). მაშასადამე, მუშათა რიცხვი გაიზარდა 26,8%-ით, მაშინ როდესაც საზოგადოდ მსხვილ ფაბრიკებში (100 და მეტი მუშა) გადიდდა მხოლოდ 22,2%-ით, ხოლო ფაბრიკა-ქარხნის მუშათა საერთო რიცხვი იმავე ხნის განმავლობაში გადიდდა მხოლოდ 16,5%-ით. ამრიგად, ხდება მუშების თავმოყრა უდიდეს ცენტრებში. 1879 წ. მარტო 11 ცენტრს ჰყავდა 5 ათასზე მეტი მუშა, 1890 წ. კი — უკვე 21 ცენტრს. განსაკუთრებით გვხვდება თვალში ისეთი ცენტრების რიცხვის ზრდა, სადაც 5 — 10 ათასი მუშაა; ეს ხდებოდა ორი მიზეზით: 1) სამხრეთში (ოდესა, დონის როსტოვი და სხვ.) საფაბრიკო მრეწველობის თვალსაჩინო ზრდის გამო; 2) ცენტრალურ გუბერნიებში საფაბრიკო სოფლების ზრდის გამო.

საქალაქო და სასოფლო ცენტრების შედარება გვიჩვენებს, რომ უკანასკნელნი 1890 წ. მოიცავდნენ უმნიშვნელოვანესი ცენტრების მუშათა მთელი რიცხვის დ ა ა ხ ლ ო ებ ი თ მ ე ს ა მ ე დ ს (152 ათასს 451 ათასიდან). მთელი რუსეთისათვის ეს თანაფარდობა მეტი უნდა იყოს, ე. ი. ფაბრიკა-ქარხნის მუშების მესამედზე მეტი უნდა იყოს ქალაქებს გარეთ. მართლაც, ჩვენს ცხრილში ყველა შესანიშნავი საქალაქო ცენტრი შევიდა, მაშინ როდესაც სასოფლო ცენტრები, რომელთაც ჰყავთ რამდენიმე ასეული მუშა, ჩვენ მიერ მოხსენებულის გარდა კიდევ ძალიან ბევრია (სოფლები, სადაც არის შუშის, აგურის, სპირტსახდელი, ჭარხლის შაქრის და სხვ. ქარხნები). სამთო მუშებიც უმთავრესად ქალაქებს გარეთ არიან განლაგებულნი. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ევროპული რუსეთის ფაბრიკა-ქარხნის მუშებისა და სამთო მუშების მთელი რაოდენობის არანაკლებ ნახევარი (და შეიძლება მეტიც) ქალაქებს გარეთ არის განლაგებული. ამ დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის გვიჩვენებს, რომ რუსეთში ი ნ დ უ ს ტ რ ი უ ლ ი

მოსახლეობა თავისი ოდენობით საგრძნობლად აღემატება ქ ა ლ ა ქ ი ს მოსახლეობას*.

თუ განვიხილავთ საქალაქო და სასოფლო ცენტრებში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარების შედარებითი სისწრაფის საკითხს, ვნახავთ, რომ სასოფლო ცენტრები ამ მხრივ უსათუოდ წინ დგანან. იმ საქალაქო ცენტრების რიცხვი, სადაც 1 000 და მეტი მუშაა, აღებული პერიოდის განმავლობაში სულ ცოტათი გაიზარდა (32-დან 33-დე), ხოლო ასეთივე სასოფლო ცენტრების რიცხვი ძალიან დიდად გაიზარდა (38-დან 53-დე). 40 საქალაქო ცენტრში მუშათა რიცხვი მხოლოდ 16,1%-ით გადიდდა (257-დან 299 ათასამდე), ხოლო 63 სასოფლო ცენტრში — 54,7%-ით (98½-დან 152½ ათასამდე). თვითეულ საქალაქო ცენტრზე მუშათა საშუალო რიცხვმა მოიმატა მხოლოდ 6,4 ათასიდან 7,5 ათასამდე, ხოლო თვითეულ სასოფლო ცენტრზე — 1,5 ათასიდან 2,4 ათასამდე. ამრიგად, როგორც ჩანს, საფაბრიკო მრეწველობას ტენდენცია აქვს განსაკუთრებული სისწრაფით გავრცელდეს ქალაქებს გარეთ; — შეჰქმნას ახალი საფაბრიკო ცენტრები და საქალაქო ცენტრებზე უფრო მეტად დააჩქაროს მათი განვითარება; — შეიჭრას სოფლის მივარდნილ ადგილებში, რომლებიც, თითქოს, მოწყვეტილია მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა გარემოს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება გვიჩვენებს, ჯერ ერთი, თუ რა სისწრაფით გარდაქმნის ხოლმე მსხვილი მანქანური ინდუსტრია საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობებს. ის, რაც წინათ საუკუნეობით იქმნებოდა, ახლა სულ რაღაც ათეულ წელიწადში ხორციელდება. საკმარისია შევადაროთ, მაგალითად, ისეთი არასამიწათმოქმედო ცენტრების წარმოშობა, როგორიცაა წინა თავში მოხსენებული «შინამრეწველობის სოფლები»: ბოგოროდსკოე,

* მოსახლეობის 1897 წ. 28 იანვრის აღწერა სავსებით ადასტურებს ამ დასკვნას. მთელ იმპერიაში ქალაქის მოსახლეობა შეადგენს ორივე სქესის 16 828 395 სულს. სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, უდრის 21,7 მილიონს. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

პავლოვო, კიმრი, ხოტეიჩი, ველიკოე და სხვ., — თანამედროვე ფაბრიკის მიერ ახალი ცენტრების შექმნის პროცესს, რომელიც სოფლის მოსახლეობას ერთბაშად ათასობით იზიდავს ინდუსტრიულ დაბებში *. შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას დიდი ბიძგი ეძლევა. სამეურნეო ცხოვრების აუცილებელ პირობად ხდება მოსახლეობის ადგილგადანაცვლება, მუდმივად ერთ ადგილას ბინადრობისა და კარჩაკეტილობის ნაცვლად, როგორც ეს წინათ იყო. მეორეც, ფაბრიკების სოფლად გადანაცვლება გვიჩვენებს, რომ კაპიტალიზმი სძლევს იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც მას უქმნის გლეხური თემის წოდებრივი კარჩაკეტილობა, და თავის სასარგებლოდაც კი იყენებს ამ კარჩაკეტილობას. თუ სოფლად ფაბრიკების მოწყობა მრა-

* «დაბა კრივოი როგში 1887-დან 1896 წლამდე მოსახლეობა გაიზარდა 6 000-დან 17 000-დე; დნეპრის საზოგადოების კამენსკის ქარხანაში 2 000-დან 18 000-დე; სადგურ დრუჟკოვკის ახლოს, სადაც ჯერ კიდევ 1892 წ. მარტო სასადგურო ნაგებობანი იყო, ახლა 6 000 სულისაგან შემდგარი სოფელია წამოჭიმული; გდანცევის ქარხანაში 3 500-მდე სულია; სადგურ კონსტანტინოვკის მახლობლად, სადაც აგებულია მთელი რიგი ქარხნები, იქმნება ახალი დასახლებული პუნქტი, იუზოვკაში შეიქმნა ქალაქი 29 000 მცხოვრებით... ნიჟნედნეპროვსკში, ეკატერინოსლავის ახლოს, უდაბურ, ქვიშიან ადგილას, სადაც ახლა მთელი რიგი ქარხნებია, წარმოიშვა ახალი დაბა 6 ათასი მცხოვრებით. მარიუპოლის ქარხანა იზიდავს 10 000 მცხოვრებისგან შემდგარ ახალშენს და სხვა. ქვანახშირის მაღაროების რაიონში იქმნება დასახლებული ცენტრები» («ვესტნ. ფინ.», 1897, № 50). «რუსსკ. ვედ.»-ის (1897 წ., № 322, 21 ნოემბერი) ცნობით, ბახმუტის სამაზრო საერობო კრება შუამდგომლობს, რომ ათასმოსახლიანი სავაჭრო სოფლები გადააკეთონ დაბებად, ხოლო ხუთიათასმოსახლიანი — ქალაქებად... «ჩვენში ხდება... გაუგონარი ზრდა სავაჭრო და საქარხნო დაბებისა... სულ უკვე 30-დე დაბაა, რომლებიც წარმოიშვა და წმინდა ამერიკული სისწრაფით იზრდება... ვოლინცევში, სადაც ეწყობა და ნოემბრის პირველ რიცხვებში ამუშავდება უდიდესი მეტალურგიული ქარხანა ორი ბრძმედით— ფოლადჩამომსხმელი და რელსსაგლინავი ბრძმედით, ითვლება 5 — 6 ათასი მოსახლე, რომელნიც ეწევიან სულ უკანასკნელ ხანამდე თითქმის სრულიად უდაბური ველის გაშენებას. მუშათა მოსახლეობის მოზღვავებასთან ერთად მოეშურებიან ვაჭრები, ხელოსნები, საზოგადოდ წვრილი მრეწველნი, რომელნიც ვარაუდობენ, რომ ადვილად და ჩქარა გაასაღებენ ყოველგვარ საქონელს მუშათა მოსახლეობაში».

ვალ უხერხულობას აწყდება, სამაგიეროდ ეს საქმე უზრუნველყოფილია იაფი მუშახელით. გლეხს არ უშვებენ ფაბრიკაში, — თვით ფაბრიკა მიდის გლეხთან*. გლეხს არა აქვს სრული თავისუფლება (ურთიერთთავდებობისა და თემიდან გასვლის შეფერხების გამო) თვითონ ეძიოს ხელსაყრელი დამქირავებელი, ხოლო დამქირავებელმა ძალიან კარგად იცის ყველაზე იაფი მუშის მოძებნა. მესამეც, სასოფლო საფაბრიკო ცენტრების მნიშვნელოვანი რაოდენობა და მათი სწრაფი ზრდა გვიჩვენებს, თუ რამდენად უსაფუძვლოა აზრი, თითქოს რუსული ფაბრიკა მოწყვეტილი იყოს გლეხთა მასას, თითქოს მას სუსტი გავლენა ჰქონდეს გლეხობაზე. პირიქით, ჩვენი საფაბრიკო მრეწველობის განლაგების თავისებურება გვიჩვენებს, რომ მისი გავლენა ძალიან ფართოა და რომ ეს გავლენა არ ისაზღვრება საწარმოთა კედლებით**. მაგრამ, მეორე მხრით, ჩვენი საფაბრიკო მრეწველობის განლაგების აღნიშნულმა თავისებურებამ არ შეიძლება აგრეთვე დროებით არ შეაფერხოს ის გარდამქმნელი მოქმედება, რომელსაც ახდენს მსხვილი მანქანური ინდუსტრია მასში ჩაბმულ მოსახლეობაზე. ფაბრიკა, რომელიც მიყრუებული ადგილის გლეხს ერთბაშად აქცევს მუშად, რამდენიმე ხნით კიდეც უზრუნველყოფს თავისთავს ყველაზე იაფი, განუვითარებელი, ნაკლები მოთხოვნილების მქონე «მუშახელით». მაგრამ აშკარაა, რომ ამგვარი შეფერხება დიდხანს ვერ იარსებებს და რომ მისი ანაზღაურება ხდება იმ სარბიელის კიდევ უფრო გაფართოების ფასად, რომელზედაც ვრცელდება მსხვილი მანქანური ინდუსტრიის გავლენა.

---

* «ფაბრიკა ეძებს იაფ ფეიქარს, რომელსაც ის ნახულობს სამშობლო სოფელში... ფაბრიკამ უნდა მისდიოს ფეიქარს...» («ვლადიმირის გუბ. სარეწები», III, 63).

** გავიხსენოთ ზემოთ მოყვანილი ფაქტი (თავი III, § IV, გვ., 228 — 229, შენ.), რომელიც შეეხება ეკატერინოსლავის გუბ. ბახმუტის მაზრის სამთო მრეწველობის გავლენას ადგილობრივ სამიწათმოქმედო წყობაზე. — დამახასიათებელია აგრეთვე მიწათმფლობელთა ჩვეულებრივი წუწუნი — ფაბრიკებმა მოსახლეობა «გარყვნესო».

IX. ხე-ტყის მრეწველობისა და სამშენებლო მრეწველობის განვითარება

მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას (და მისი ზრდის მეტისმეტად დამახასიათებელ თანამგზავრს) წარმოადგენს სათბობის და საშენი მასალის მომცემი მრეწველობის და სამშენებლო მრეწველობის განვითარება. დავიწყოთ ხე-ტყის მრეწველობით.

ტყის ჩეხა და საკუთარი საჭიროებისათვის მისი თავდაპირველი დამუშავება გლეხობის ძველისძველ მოსაქმეობას შეადგენს, რომელიც თითქმის ყველგან შედის მიწათმოქმედის საერთო მუშაობის ფარგლებში. მაგრამ, როცა ხე-ტყის მრეწველობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ ხე-ტყის დამზადებას მხოლოდ გასაყიდად. რეფორმისშემდგომი ხანა ამ მრეწველობის განსაკუთრებული ზრდით ხასიათდება: ხე-ტყეზე მოთხოვნილება სწრაფად იზრდებოდა, იზრდებოდა როგორც პირადი მოხმარების საგანზე (ქალაქების ზრდა, სოფლად არასამიწათმოქმედო მოსახლეობის გამრავლება, გლეხთა მიერ საკუთარი ტყის დაკარგვა მათი განთავისუფლების დროს), ისე, განსაკუთრებით, საწარმოო მოხმარების საგანზე. ვაჭრობის, მრეწველობის, ქალაქური ცხოვრების, სამხედრო საქმის, რკინიგზების და სხვ. და სხვ. განვითარება, — ყოველივე ეს იწვევდა ხე-ტყეზე მოთხოვნილების დიდად გაძლიერებას მისი არა ადამიანების, არამედ კაპიტალის მიერ მოსახმარებლად. მაგალითად, სამრეწველო გუბერნიებში შეშის ფასი «ყოველდღეობით კი არა, ყოველ საათობით» იზრდებოდა: «უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში (1881 წლისთვის) შეშის ფასმა ერთიორად და უფრო მეტად მოიმატა» *. «ხე-ტყის ფასი გიგანტური ნაბიჯებით იზრდება» **. კოსტრომის გუბერნიაში «ფაბრიკების მიერ ხე-ტყის განადგურებასთან ერთად შეშის ფასი 7 წლის განმავ-

* «ვლადიმირის გუბ. სარეწები», I, 61.

** Ibid., IV, 80.

ლობაში ერთიორად გაიზარდა»* და სხვ. ხე-ტყის მასალის საზღვარგარეთ გაზიდვა გაიზარდა 5 947 ათას მანეთიდან 1856 წ. 30 153 ათას მანეთამდე 1881 წ. და 39 200 ათას მანეთამდე 1894 წ., ე. ი. გაიზარდა პროპორციით 100 : 507 : 659**. ევროპულ რუსეთში საშინაო სამდინარო გზებით 1866 — 1868 წწ. საშუალოდ გადაჰქონდათ სამშენებლო ხე-ტყის მასალა და შეშა 156 მილიონი ფუთი წლიურად***, 1888 — 1890 წწ. კი საშუალოდ — 701 მილიონი ფუთი წლიურად****, ე. ი. გადაზიდვის ოდენობა ერთიოთხად და უფრო მეტად გაიზარდა. რკინიგზებით 1888 — 1890 წლებში საშუალოდ გადაჰქონდათ 290 მილიონი ფუთი*****, მაშინ როდესაც 1866 — 1868 წწ., ალბათ, არა უმეტეს 70 მილიონი ფუთისა******, ე. ი. ხე-ტყის მასალა 60-იან წლებში სულ გადაზიდულ იქნა 226 მილიონ ფუთამდე, ხოლო 1888 — 1890 წწ. — 991 მილიონი ფუთი, — გადაზიდვა გადიდებულა ერთიოთხად და უფრო მეტად. ამრიგად, ეჭვს გარეშეა ტყის მრეწველობის უდიდესი ზრდა რეფორმისშემდგომ ხანაში.

როგორია ამ მრეწველობის ორგანიზაცია? — წმინდა კაპიტალისტური. მიწათმფლობელთაგან ხე-ტყეს ყიდულობენ მეწარმენი — «ხე-ტყის მრეწველნი», რომელნიც ქირაობენ მუშებს ხე-ტყის საჩეხად, სახერხად, დასაცურებლად და სხვ. მაგალითად, მოსკოვის გუბერნიაში, ერობის სტატისტიკოსთა ანგარიშით, ხე-ტყის სარეწის მიმდევარი 24 ათასი გლეხიდან

---

* უ ბ ა ნ კ ო ვ ი. «გარესაშოვრების გავლენა მოსახლეობის მოძრაობაზე». კოსტრომა, 1887, გვ. 25.

** «საწარმოო ძალები». რუსეთის საგარეო ვაჭრობა, გვ. 39. ხე-ტყის მასალა გატანილ იქნა 1902 წ. 55,7 მილიონი მანეთისა, 1903 წ. — 66,3 მილიონი მან. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

*** «სამხედ.-სტატ. კრებული», გვ. 486 — 487.

**** «რკინიგზებისა და საშინაო სამდინარო გზების სტატ. მიმოხილვა». სპბ. 1893 (გზათა სამინისტროს გამოცემა), გვ. 40.

***** Ibid., გვ. 26.

****** ვანგარიშობთ მთელი სარკინიგზო ტვირთის დაახლოებით 1/5 («სამხ.-სტატ. კრებული», გვ. 511; შეად. 518 — 519).

ხე-ტყის მრეწველი მხოლოდ 337 ითვლებოდა*. ვიატკის გუბ. სლობოდის მაზრაში ითვლებოდა 123 ხე-ტყის მრეწველი («წვრილები მეტნაწილად მსხვილების მოიჯარადრენი არიან», უკანასკნელნი კი მხოლოდ ათ კაცს შეადგენენ), სატყეო საქმეში ჩაბმული მუშა კი — 18 865 კაცი, რომელთაგან თვითეულის ხელფასი უდრის $19^1/_2$ მან.** ბ-ნ ს. კოროლენკოს ანგარიშით, მთელ ევროპულ რუსეთში სატყეო სამუშაოებზე დასაქმებულია 2 მილიონამდე გლეხი***, და ეს რიცხვი არ უნდა იყოს გადაჭარბებული, თუ, მაგალითად, ვიატკის გუბერნიის 9 მაზრაში (11-დან) ითვლებოდა დაახლოებით 56 430 ხე-ტყის მუშა, მთელ კოსტრომის გუბერნიაში — დაახლოებით 47 ათასი****. სატყეო სამუშაო იმ სამუშაოთა რიცხვს ეკუთვნის, სადაც ძალიან დაბალი ხელფასია. მისი ჰიგიენური პირობები საზიზღარია, და აქ მუშათა ჯანმრთელობა საშინლად ნადგურდება; უღრან ტყეებში მიტოვებულ მუშათა მდგომარეობა მეტისმეტად უმწეოა; მრეწველობის ამ დარგში შეუზღუდველად სუფევს კაბალა, truck-system და სხვა ამგვარი მოვლენები, რაც თან ახლავს ხოლმე გლეხთა «პატრიარქალურ» სარეწებს. ამ დახასიათების დასადასტურებლად მოვიყვანთ ადგილობრივ მკვლევართა ზოგიერთ აზრს. მოსკოველი სტატისტიკოსები აღნიშნავენ «სანოვაგის სავალდებულო წაღებას», რაც ჩვეულებრივ მნიშვნელოვნად ამცირებს ხე-ტყის მუშათა ხელფასს. კოსტრომელი ხე-ტყის მუშები «ტყეში არტელებად ცხოვრობენ სახელდახელოდ, უხეიროდ აგებულ ქოხებში, რომლებშიც ღუმელი არაა და რომლებსაც კერის ცეცხლით ათბობენ. ცუდი საჭმელი —

* «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VII, ნაკვ. I, ნაწ. 2. ხშირად ჩვენში სატყეო საქმეშიც ზუსტად ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან მეპატრონეებსა და მუშებს და უკანასკნელთაც ხე-ტყის მრეწველებს ეძახიან.

** «შინამრეწველობის კომისიის შრომები», XI, 397.

*** «ნებით დაქირავებული შრომა».

**** გამოანგარიშებულია «შინამრეწველობის კომისიის შრომების» მიხედვით.

ცუდი ხარშო და კვირის განმავლობაში ქვად ქცეული პური, საშინელი ჰაერი... მუდამ ნახევრადნესტიანი ტანისამოსი... ყოველივე ეს დამღუპველ გავლენას ახდენს ხე-ტყის მრეწველთა ჯანმრთელობაზე». ხალხი «სატყეო» ვოლოსტებში «გაცილებით უფრო ბინძურად» ცხოვრობს, ვიდრე საშოვარზე გამსვლელ ვოლოსტებში (ე. ი. იმ ვოლოსტებში, სადაც გარესარეწები სჭარბობს) *. ნოვგოროდის გუბერნიის ტიხვინის მაზრის შესახებ ვკითხულობთ: «მიწათმოქმედება... შემოსავლის დამხმარე წყაროს შეადგენს, თუმცა ყველა ოფიციალურ ცნობაში შეხვდებით, რომ ხალხი ხვნა-თესვას მისდევს... ყოველივეს, რასაც გლეხი იღებს თავისი არსებითი საჭიროებისათვის, იგი შოულობს ხე-ტყის მრეწველებისაგან ხე-ტყის დამზადებითა და წყალში ჩაცურებით. მაგრამ კრიზისი მალე დადგება. 5 — 10 წლის შემდეგ ტყე აღარ იქნება...» «ხე-ტყის სარეწზე მომუშავე უფრო ბურლაკია; ზამთარს ის ულრანი ტყის ბანაკში ატარებს... ხოლო გაზაფხულზე, რაკი საოჯახო მუშაობას გადაჩვეულია, მიეშურება შეშის წყალში ჩასაშვებად და დასაცურებლად; მას მხოლოდ მინდვრის გახურებული მუშაობა და თიბვა აიძულებს ბინადარი გახდეს...» გლეხები ხე-ტყის მრეწველთა «სამუდამო კაბალაში» იმყოფებიან **. ვიატკელი მკვლევარნი აღნიშნავენ, რომ სატყეო სამუშაოზე დაქირავება ჩვეულებრივ ხდება გადასახადების აკრეფის დროს, რომ მეპატრონეებისაგან სანოვაგის აღება ძალიან ამცირებს ხელფასს... «როგორც ხე-ტყის მჭრელნი,

---

* L. c., გვ. 19 — 20, 39. შეად. სრულიად ანალოგიური აზრი, გამოთქმული «შინამრეწველობის კომისიის შრომებში», XII, 265.

** «შინამრეწველობის კომისიის შრომები», VIII, გვ. 1372 — 1373, 1474. «ტყის მრეწველობის საჭიროებათა გამო ტიხვინის მაზრაში განვითარდა სანჭედლო, სატყავო, საქურქჩო და ნაწილობრივ საწაღო წარმოება; პირველი ამზადებს ბარჯებს, ხოლო დანარჩენები ამზადებენ წაღებს, ჯუბებს და ხელჯაგებს». სხვათა შორის, ჩვენ აქ ვხედავთ იმის მაგალითს, თუ როგორ იწვევს წარმოების საზუალებათა წარმოება (ე. ი. კაპიტალისტური მეურნეობის პირველი ქვედარგის ზრდა) მოხმარების საგანთა (ე. ი. მეორე ქვედარგის) წარმოებას. წარმოება კი არ მისდევს მოხმარებას, არამედ მოხმარება მისდევს წარმოებას.

ისე შეშის მჭრელნი იღებენ 17 კაპიკამდე ზაფხულის დღეში და ცხენიანად 33 კაპიკამდე დღეში... ასეთი სრულიად უმნიშვნელო ხელფასი საკმარისი საზღაური არ არის შრომისათვის, თუ გავიხსენებთ, რომ ეს სამუშაო უაღრესად ანტიჰიგიენურ პირობებში სრულდება»* და სხვ. და სხვ.

ამრიგად, ხე-ტყის მუშები წარმოადგენენ ერთ-ერთ დიდ შემადგენელ ნაწილს სოფლის პროლეტარიატისას, რომელსაც სულ მცირეოდენი ნაკვეთი მიწა აქვს და რომელიც იძულებულია უაღრესად არახელსაყრელ პირობებში გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა. ეს მოსაქმეობა მეტისმეტად ცვალებადი და არამუდმივია. ამიტომ მეტყველ მუშები წარმოადგენენ სარეზერვო არმიის (ანუ კაპიტალისტური საზოგადოების შედარებითი ჭარბი მოსახლეობის) იმ ფორმას, რომელსაც თეორიამ ფ ა რ უ ლ ი უწოდა**: სოფლის მოსახლეობის განსაზღვრული (და, როგორც ვნახეთ, საკმაოდ დიდი) ნაწილი მუდამ მზად უნდა იყოს ამგვარი სამუშაოს შესასრულებლად, ის მუდამ უნდა საჭიროებდეს ასეთ სამუშაოს. ასეთია კაპიტალიზმის არსებობისა და განვითარების პირობა. რაც უფრო ისპობა ტყეები ხე-ტყის მრეწველთა მტაცებლური მეურნეობის დროს (ეს პროცესი კი უდიდესი სისწრაფით სწარმოებს), — მით უფრო საგრძნობი ხდება შეშის ქვანახშირით შეცვლის საჭიროება, მით უფრო სწრაფად ვითარდება ქვანახშირის მრეწველობა, რომელიც მხოლოდ ერთადერთი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური ინდუსტრიის მტკიცე ბაზისი. იაფი სათბობი, რომელიც ყოველთვის შეიძლება რამდენიც გნებავთ იშოვნოთ განსაზღვრულ და ნაკლებად მერყევ ფასად, — ასეთია თანამედროვე

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», XI, 399 — 400, 405, 147. შეად. მრავალრიცხოვანი მითითება ორიოლის გუბ. ტრუბჩევსკის მაზრის საეროჲ კრებულში იმაზე, რომ «მიწათმოქმედებას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს», მთავარი როლი კი სარეწებს, განსაკუთრებით ხეტყის სარეწს, ეკუთვნის («ტრუბჩევსკის მაზრის სტატ. ცნობების კრებული». ორიოლი, 1887, განსაკუთრებით შენიშვნები ცალკეული სოფლების შესახებ).

** «Das Kapital», I², S. 668. [131]

ფაბრიკის მოთხოვნა. ხე-ტყის მრეწველობას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა*. ამიტომ ხე-ტყის მრეწველობის უპირატესობა ქვანახშირის მრეწველობასთან შედარებით სათბობის მიწოდების საქმეში კაპიტალიზმის ნაკლებად განვითარებულ მდგომარეობას შეესაბამება. რაც შეეხება წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობას, ამ მხრივ ხე-ტყის მრეწველობა დაახლოებით ისეთსავე დამოკიდებულებაშია ქვანახშირის მრეწველობასთან, როგორც კაპიტალისტური მანუფაქტურა მსხვილ მანქანურ ინდუსტრიასთან. ხე-ტყის მრეწველობა გამოხატავს ტექნიკის უაღრესად პრიმიტიულ მდგომარეობას, როცა ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება პირველყოფილი საშუალებებით ხდება; ქვანახშირის მრეწველობა იწვევს სრულ გადატრიალებას ტექნიკაში და მანქანების ფართო გამოყენებას. ხე-ტყის მრეწველობა მწარმოებელს ისევ გლეხად სტოვებს, ქვანახშირის მრეწველობა კი მას ფაბრიკის მუშად აქცევს. ხე-ტყის მრეწველობა თითქმის სავსებით ხელუხლებლად სტოვებს ცხოვრების მთელ ძველ, პატრიარქალურ წყობას, ულრან ტყეებში გადაკარგულ მუშებს ახვევს კაბალის ყველაზე ცუდ ფორმებში, სარგებლობს მათი სიბნელით, უმწეობითა და დაქსაქსულობით. ქვანახშირის მრეწველობა იწვევს მოსახლეობის მოძრაობას, ჰქმნის მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებს და აუცილებლად წარმოშობს წარმოების საზოგადოებრივ კონტროლს. ერთი სიტყვით, ამ ცვლილებას ისეთივე პროგრესული მნიშვნელობა აქვს, როგორც მანუფაქტურის შეცვლას ფაბრიკით**.

---

* აი ამის ილუსტრაცია იმ ცნობებიდან, რომლებიც მოთავსებულია «პოლონეთის სამეფოს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის გამომკვლევი კომისიის წევრთა ანგარიშში» (სპბ. 1888, ნაწ. I). ქვანახშირი პოლონეთში ერთიორად უფრო იაფია, ვიდრე მოსკოვში. სათბობის საშუალო გასავალი ერთ ფუთ ნართზე პოლონეთში უდრის 16—87 კაპ., მოსკოვის ოლქში კი — 50 — 73 კაპ. მოსკოვის ოლქში იმარაგებენ 12 — 20 თვის, ხოლო პოლონეთში 3 თვის, მეტწილად კი 1 — 4 კვირის საყოფ სათბობს.

** ბ-ნი ნ. —ონი, როდესაც ხე-ტყის მრეწველობის ქვანახშირის მრეწველობით შეცვლის საკითხს ეხება («ნარკვევები», 211, 243), ჩვეულებისამებრ

სამშენებლო საქმეც თავდაპირველად აგრეთვე გლეხის საოჯახო სამუშაოთა სფეროში შედიოდა, — და ახლაც ამ სფეროში შედის, რამდენადაც ისევ არსებობს ნახევრადნატურალური გლეხური მეურნეობა. შემდგომი განვითარება იწვევს იმას, რომ მშენებელი მუშები იქცევიან სპეციალისტ-ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ა დ, რომლებიც მომხმარებელთა შეკვეთით მუშაობენ. სოფლებში და პატარ-პატარა ქალაქებში ახლაც საგრძნობლად განვითარებულია სამშენებლო მრეწველობის ასეთი ორგანიზაცია; ხელოსანი ჩვეულებრივ ინარჩუნებს კავშირს მიწასთან და მუშაობს წვრილ მომხმარებელთა ძალიან ვიწრო წრისათვის. კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მრეწველობის ამ წყობის შენარჩუნება შეუძლებელი ხდება. ვაჭრობის, ფაბრიკების, ქალაქების, რკინიგზების ზრდა მოითხოვს სრულიად სხვანაირ ნაგებობებს, რომლებიც არც თავისი არქიტექტურით და არც სიდიდით არა ჰგავს პატრიარქალური ეპოქის ძველებურ შენობებს. ახალი ნაგებობანი მოითხოვენ მეტად სხვადასხვანაირ და ძვირფას მასალას, მოითხოვენ სულ სხვადასხვა სპეციალობის მუშათა მასების კოოპერაციას, მოითხოვენ ხანგრძლივ დროს თავისი დასრულებისათვის;

მარტო წუწუნით კმაყოფილდება. ჩვენი რომანტიკოსი ცდილობს არ შენიშნოს ის პატარა გარემოება, რომ ქვანახშირის კაპიტალისტური მრეწველობის უკან დგას ისევ კაპიტალისტური ხე-ტყის მრეწველობა, რომელიც ექსპლოატაციის გაცილებით უარესი ფორმებით ხასიათდება. სამაგივროდ ის ბევრს ლაპარაკობს «მუშათა რიცხვის» შესახებ! რა არის რაღაც 600 ათასი ინგლისელი მაღაროელი მილიონობით უმუშევარ გლეხებთან შედარებით? — ამბობს ის (211). ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: კაპიტალიზმის მიერ შედარებითი ჭარბი მოსახლეობის შექმნა ეჭვს გარეშეა, მაგრამ ბ-ნ ნ. — ონს სრულიად ვერ გაუგია ამ მოვლენის კავშირი მსხვილი მანქანური ინდუსტრიის მოთხოვნილებებთან. იმ გლეხთა რიცხვის შედარება, რომელნიც თუნდაც დროებით და არარეგულარულად ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოს, სპეციალისტ-მაღაროელთა რიცხვთან, რომელთაც მხოლოდ ქვანახშირი ამოაქვთ, სრულიად უაზრო ხერხია. ამგვარი ხერხით ბ-ნი ნ.—ონი მხოლოდ იმისთვის სარგებლობს, რომ მიჩქმალოს თავისი თეორიის დამარღვეველი ფაქტი — რუსეთში როგორც ფაბრიკის და სამთო მრეწველობის მუშათა რიცხვის, ისე საზოგადოდ მთელი სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის სწრაფი ზრდა.

ამ ახალ ნაგებობათა განლაგება სრულიად არ ეგუება მოსახლეობის ტრადიციულ განლაგებას: მათ აგებენ დიდ ქალაქებში ან გარეუბნებში, დაუსახლებელ ადგილებში, ახალგაყვანილი რკინიგზების ხაზის ახლოს და სხვ. ადგილობრივი ხელოსანი იქცევა გამსვლელ მუშად, რომელსაც ქირაობს მეწარმე-მ ო ი ჯ ა რ ა დ რ ე; ეს უკანასკნელი თანდათან ძვრება მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის და ნამდვილ კაპიტალისტად იქცევა. კაპიტალისტური მეურნეობის ნახტომებრივი განვითარება, ხანგრძლივი ცუდი წლების შეცვლა «სამშენებლო ციებ-ცხელების» (ახლანდელი — 1898 წლის მსგავს) პერიოდებად დიდად უწყობს ხელს სამშენებლო საქმეში კაპიტალისტური ურთიერთობის გაფართოებასა და გაღრმავებას.

ასეთია განსახილველი მრეწველობის რეფორმისშემდეგდროინდელი ევოლუცია რუსული ეკონომიური ლიტერატურის მონაცემების მიხედვით*. ეს ევოლუცია განსაკუთრებით ნათლად იხატება შრომის ტერიტორიული დანაწილებით, ცალკე ვრცელი რაიონების შექმნით, რომლებშიც მუშათა მოსახლეობა სპეციალდება ამა თუ იმ სახის სამშენებლო სამუშაოზე**. რაიონების ამგვარი სპეციალიზაცია უკვე გულისხმობს სამშენებლო სამუშაოთა მსხვილი ბაზრების შექმნას და ამასთან დაკავშირებით კაპიტალისტური ურთიერთობის წარმოშობას. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ცნობები

* როგორც უკვე შემთხვევა გვქონდა ზემოთ აღგვნიშნა, ამ ევოლუციის დადასტურება ძნელდება იმით, რომ ჩვენს ლიტერატურაში საზოგადოდ მშენებელ მუშებს ხშირად «ხელოსნებს» უწოდებენ და სრულიად უმართებულოდ ამ კატეგორიაში ათავსებენ დაქირავებულ მუშებსაც. — დასავლეთში სამშენებლო მრეწველობის ორგანიზაციის ანალოგიური განვითარების შესახებ იხ., მაგალითად, Webb, «Die Geschichte des britischen Trade Unionismus», Stuttgart, 1895, S. 7 (ვ ე ბ ი, «ბრიტანეთის ტრედუნიონიზმის ისტორია», შტუტგარტი, 1895, გვ. 7. რ ე დ.).

** მაგალითად, იაროსლავლის გუბერნიაში განსაკუთრებით განთქმულია დანილოვის მაზრა მელუმელეებით, მებათქაშეებით და კალატოზებით, ამასთან მისი სხვადასხვა ვოლოსტიდან უმთავრესად ერთ-ერთი აქ აღნიშნული პროფესიის ხელოსნები გამოდიან. განსაკუთრებით ბევრი მღებარი გამო-

ერთ-ერთი ასეთი რაიონის შესახებ. ვლადიმირის გუბერნიის პოკროვსკის მაზრა ძველთაგანვე ცნობილია დურგლებით, რომლებიც უკვე საუკუნის დასაწყისს შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს. რეფორმის შემდეგ დურგლობა ისევ ძლიერდება *. «დურგლების რაიონში ოსტატებისა და მეფაბრიკეების ანალოგიურ ელემენტს წარმოადგენენ მოიჯარადრენი», რომელნიც ჩვეულებრივ გამოდიან დურგლების არტელის ყველაზე მოხერხებულ წევრთაგან. «ხშირია შემთხვევა, როცა მოიჯარადრე 10 წელიწადში 50 — 60 ათას მანეთს და მეტ წმინდა მოგებას იღებს. ზოგიერთ მოიჯარადრეს 300 — 500 დურგალი ჰყავს, და ეს მოიჯარადრენი უკვე ნამდვილი კაპიტალისტები გახდნენ... აქაური გლეხები ტყუილად როდი ამბობენ, «დ ურ გ ლ ე ბ ი თ ვ ა ჭ რ ო ბ ა ზ ე მ ო მ გ ე ბ ი ა ნ ი ს ხ ვ ა ა რ ა ფ ე რ ი ა ო»» **. ძნელია ამაზე უფრო მკაფიოდ დაახასიათო თვით არსი სარეწის თანამედროვე ორგანიზაციისა! «დურგლობამ ღრმა კვალი დააჩნია აქაური გლეხური ცხოვრების მთელ წყობას... გლეხი-დურგალი ნელ-ნელა ანებებს თავს მიწათმოქმედებას და ბოლოს სრულებით სტოვებს მას». დედაქალაქებში ცხოვრებამ დურგალს კულტურულობის დაღი დააჩნია: ის გაცილებით უფრო სუფთად ცხოვრობს გარეშემო გლეხებთან შედარებით და მკვეთრად განსხვავდება თავისი «ინტელიგენტობით», «გონებრივი განვითარების შედარებით მაღალი დონით» ***.

დის იაროსლავლის მაზრის ვოლგისიმიერი რაიონიდან, დურგალი — მოლოგის მაზრის შუა რაიონიდან და სხვ. («იაროსლავლის გუბ. მიმოხილვა», ნაკვ. II. იარ. 1896, გვ. 135 და სხვ.).

* 50-იანი წლების მიწურულს არგუნის რაიონიდან (არგუნის თემი სარეწის ცენტრია) გამოდიოდა დაახლოებით 10 000 დურგალი. 60-იან წლებში პოკროვსკის მაზრის 548 სოფლიდან 503 სოფელში დურგლები ცხოვრობდნენ («ვლადიმირის გუბ. სარეწები», IV, გვ. 161 და შემდეგი).

** Ibid., გვ. 164 — 165. ხაზგასმა ჩვენია.

*** Ibid., 165 — 166. ამგვარსავე დახასიათებას იძლევიან სხვა წყაროებიც. იხ. ჟ ბ ა ნ კ ო ვ ი: «გარესაშოვართა გავლენა კოსტრომის გუბ. მოსახლეობის 1866 — 1883 წწ. მოძრაობაზე». კოსტრ. 1887. — «კოსტრომის გუბ. სოლიგალიჩის მაზრის საქალაქო გარესაშოვართა შესახებ». — «იურ.

იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობების მიხედვით, რაც ჩვენ მოგვეპოვება, ევროპულ რუსეთში მშენებელ მუშათა საერთო რიცხვი საკმაოდ დიდი უნდა იყოს. კალუგის გუბერნიაში 1896 წ. ითვლებოდა 39 860 მშენებელი მუშა, როგორც ადგილობრივი, ისე გამსვლელი. იაროსლავლის გუბერნიაში 1894/95 წ. — ოფიციალური ცნობებით — 20 170 გამსვლელი მუშა იყო, კოსტრომის გუბერნიაში — $39^1/_2$ ათასამდე გამსვლელი მუშა, ვიატკის გუბერნიის 9 მაზრაში (11-დან) — $30^1/_2$ ათასამდე გამსვლელი მუშა (80-იან წლებში), ტვერის გუბერნიის 4 მაზრაში (12-დან) — 15 585 მუშა, როგორც ადგილობრივი, ისე გამსვლელი; ნიჟნი-ნოვგოროდის გუბ. გორბატოვის მაზრაში — 2 221 ადგილობრივი და გამსვლელი მუშა. რიაზანის გუბერნიიდან, 1875 — 1876 წწ. ოფიციალური ცნობებით, წლიურად გამოდიოდა მარტო დურგალი არანაკლებ 20 ათასი კაცი. ორიოლის გუბერნიის ორიოლის მაზრაში 2 ათასი მშენებელი მუშაა, პოლტავის გუბერნიის 3 მაზრაში (15-დან) — 1 440, სამარის გუბ. ნიკოლაევის მაზრაში — 1 339 *. ამ

ვესტნ.», 1890, № 9. — «ბაბია სტორონა», კოსტრ. 1891. — «გარესაშოვართა გამოკვლევის ზოგადი პროგრამის შედგენის ცდა». — «გარესარეწები სმოლენსკის გუბერნიაში 1892 — 1895 წწ.». სმოლენსკი, 1896. — «გარესაშოვართა გავლენა მოსახლეობის მოძრაობაზე», «ვრაჩ», 1895, № 25. — იხ. აგრეთვე დასახელებული «იაროსლავლის გუბ. მიმოხილვა», «შინამრეწველობის კომისიის შრომები», «კალუგის გუბ. 1896 წ. სტატისტ. მიმოხილვა», კალუგა, 1897; «ნიჟნი-ნოვგოროდის გუბ. 1896 წ. სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა», ნ.-ნ., 1897, და სხვა საერობო-სტატისტიკური გამოცემანი.

* გარდა წინა შენიშვნაში დასახელებული წყაროებისა, არსებობს კიდევ საერობო კრებულები. ბ-ნ ვ. ვ.-ს («შინამრეწველობის ნარკვევები», 61) მოჰყავს ცნობები პოლტავის, კურსკის და ტამბოვის გუბერნიების 13 მაზრის შესახებ. მშენებელი მუშა (ბ-ნი ვ. ვ. ტყუილად სთვლის მათ ყველას «წვრილ მრეწველებად») სულ არის 28 644, მაზრების მთელი მოზრდილი მამრობითი მოსახლეობის 2,7%-იდან 22,1%-მდე. თუ ნორმად მივიღებდით საშუალო პროცენტს (8,8%), ევროპული რუსეთისათვის გამოვიდოდა $1^1/_3$ მილიონი მშენებელი მუშა (თუ ვიანგარიშებთ 15 მილიონ მამრობითი სქესის მოზრდილ მუშას). დასახელებულ გუბერნიებს კი საშუალო ადგილი უჭირავთ ყველაზე უფრო განვითარებული და ყველაზე ნაკლებად განვითარებული სამშენებლო სარეწების მქონე გუბერნიებს შორის.

ციფრების მიხედვით, ევროპული რუსეთის მშენებელ მუშათა რიცხვი უნდა იყოს არანაკლებ ერთი მილიონი კაცი*. ეს ციფრი უფრო მინიმალურად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ყველა წყარო მოწმობს, რომ მშენებელ მუშათა რიცხვი რეფორმისშემდგომ ხანაში სწრაფად იზრდება**. მშენებელი მუშები წარმოადგენენ ახალწარმოშობილ სამრეწველო პროლეტარიატს, რომლის კავშირი მიწასთან,— უკვე ამჟამადაც სუსტი***, — წლითიწლობით უფრო და უფრო სუსტდება. მშენებელი მუშები თავისი მდგომარეობით ძალიან განსხვავდებიან ხე-ტყის მუშებისაგან და უფრო ფაბრიკის მუშებს უახლოვდებიან. ისინი მუშაობენ მსხვილ საქალაქო და სამრეწველო ცენტრებში, რომლებიც, როგორც დავინახეთ, საგრძნობლად ამაღლებენ მათს კულტურულ დონეს. თუ დაქვეითების გზაზე მდგომი ხე-ტყის მრეწველობა დამახასიათებელია იმ კაპიტალიზმის სუსტად განვითარებული ფორმებისა, რომელიც კიდევ ურიგდება ცხოვრების პატრიარქალურ წყობას, სამაგიეროდ, განვითარებადი სამშენებლო მრეწველობა ახასიათებს კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიას. იწვევს სამრეწველო მუშათა ახალი კლასის გაჩენას და მოასწავებს ძველი გლეხობის მძლავრ დაშლას.

---

* 1897 წ. 28 იანვრის აღწერით («საერთო ნაკრები», 1905 წ.) მთელი იმპერიის სამშენებლო მრეწველობაში დამოუკიდებელი მოსახლეობა (რომელიც თვითონვე შოულობს თავის საარსებო საშუალებებს) არის 717 ათასი კაცი პლუს 469 ათასი მიწათმოქმედი, რომელნიც სხვათა შორის მისდევენ ამ მრეწველობას. (შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის.)

** სამშენებლო მრეწველობის სიდიდის წარმოსადგენად რამდენადმე გამოგვადგება ცნობები ცეცხლისაგან დაზღვეულ შენობათა ღირებულების შესახებ. 1884 წ. ეს ღირებულება შეადგენდა 5 968 მილიონ მან., 1893 წ. — 7 854 მილიონ მან. («საწარმოო ძალები», XII, 65). ეს იძლევა ყოველწლიურ მატებას — 188 მილიონ მან.

*** მაგალითად, იაროსლავლის გუბერნიაში სამუშაოდ გარეთ გადის მთელი მოსახლეობის 11 — 20 %, ე. ი. მუშა მამაკაცთა 30 — 56%; გასულთა 68,7 % მთელი წლის განმავლობაში არ ბრუნდება

X. ფაბრიკის დანამატი

ფაბრიკის დანამატს ჩვენ ვუწოდებთ დაქირავებული შრომისა და წვრილი მრეწველობის იმ ფორმებს, რომელთა არსებობა უშუალოდ დაკავშირებულია ფაბრიკასთან. მათ მიეკუთვნებიან უწინარეს ყოვლისა (ნაწილობრივ) მეტყევე და მშენებელი მუშები, რომელთა შესახებ უკვე ვილაპარაკეთ და რომლებიც ზოგჯერ პირდაპირ საფაბრიკო ცენტრების სამრეწველო მოსახლეობაში შედიან, ზოგჯერ კი მახლობელი სოფლების მოსახლეობას ეკუთვნიან*. შემდეგ, ესენი არიან იმ ტორფიან ჭაობებზე დაბანდებული მუშები, რომლებსაც ზოგჯერ თვით ფაბრიკების მეპატრონენი ამუშავებენ**; ესენი არიან მეურმენი, მტვირთავნი, საქონლის ჩამლაგებელნი და საზოგადოდ ეგრეთწოდებული შავი მუშები, რომელნიც ყოველთვის შეადგენენ საფაბრიკო ცენტრების მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს. მაგალითად, პეტერბურგში, 1890 წლის 15 დეკემბრის აღწერით, «დღიური, შავი მუშების» ჯგუფში რეგისტრირებული იყო 44 814 კაცი (ორივე სქესისა); შემდეგ, ტვირთზიდვის მრეწველობაში — 51 ათასი კაცი (ორივე სქესისა), რომელთაგან $9^1/_2$ ათასი სპეციალურად ტვირთის და საპალნის გადაზიდვით არის დასაქმებული. გარდა ამისა, ფაბრიკისათვის ზოგიერთ დამხმარე სამუშაოს ეწევიან წვრილი «დამოუკიდებელი» მრეწველები; საფაბრიკო ცენტრებში თუ მათ მიდამოებში ჩნდება ისეთი სარეწები, როგორიცაა

(ციაროსლავლის გუბ. მიმოხილვა»). აშკარაა, ესენი ყველანი «მხოლოდ ოფიციალურად სახელწოდებით არიან გლეხები» (გვ. 117).

* მაგალითად, რიაზანის გუბერნიაში, «მარტო ხლუდოვის ფაბრიკაში» (1894/95 წ.: 4 849 მუშა, 6 მილიონი მან. წარმოება) «ზამთრობით შეშის საზიდავად 7 000-დე ცხენი მუშაობს, რომელთა მეტი ნაწილი ეგორიევის მაზრის გლეხებს ეკუთვნის»[132] («შინამრეწველობის კომისიის შრომები», VII, გვ. 1109 — 1110).

** ტორფის წარმოების სტატისტიკაშიც ქაოსი სუფევს. ჩვეულებრივ მას «საფაბრიკო-საქარხნო» წარმოებებს არ აკუთვნებენ (შეად. კობელიაცკი, «საცნობო წიგნი», გვ. 15), მაგრამ ხანდახან კი აკუთვნებენ, მა-

კასრის კეთება ზეთის და სპირტის სახდელი ქარხნებისათვის *, კალათის წვნა შუშის ჭურჭლის ჩასაწყობად **, ყუთის კეთება კავეული და საზეინკლო ნაწარმის ჩასალაგებლად, კალაპოტის დამზადება სადურგლო და საზეინკლო იარაღებისათვის ***, სარჭის კეთება ფეხსაცმლის საწარმოებისათვის, «სათრიმლავის» დამზადება ტყავის ქარხნებისათვის **** და სხვ., ჭილობის ქსოვა საფაბრიკო პროდუქტის შესახვევად (კოსტრომის და სხვ. გუბერნიებში), «ჩალის» დამზადება ასანთისათვის (რიაზანის, კალუგის და სხვ. გუბერნიებში), ქაღალდის კოლოფების წებვა თამბაქოს ფაბრიკებისათვის (პეტერბურგის მიდამოებში) *****, ხის ფხვნილის დამზადება ძმრის ქარხნებისათვის ******, დაცვივნული ნართის დამუშავება წვრილი სართავებით (ლოძში), რაც განვითარდა მსხვილი ფაბრიკების მოთხოვნის შედეგად ******* და სხვ. და სხვ. ყველა ეს წვრილი მრეწველი ისევე, როგორც ზემოხსენებული დაქირავებული მუშები, ან საფაბრიკო ცენტრების სამრეწველო მოსახლეობას ეკუთვნის, ან მახლობელი სოფლების ნახევრადმიწათმოქმედ მოსახლეობას. შემდეგ, როდესაც

გალითად, «სიის» მიხედვით ვლადიმირის გუბერნიაში ტორფს ამუშავებენ 12 ადგილას და ამაზე დაბანდებულია 2 201 მუშა, ამასთან ტორფის მოპოვებას «სია» აღნიშნავს მარტო ამ გუბერნიაში, თუმცა მისი მოპოვება სხვა გუბერნიებშიც ხდება. სვირსკის ცნობებით («ვლადიმირის გუბ. ფაბრიკა-ქარხნები») 1890 წ. ვლადიმირის გუბერნიაში ტორფის მოპოვებაზე მუშაობდა 6 038 კაცი. მთელ რუსეთში ტორფის დამუშავებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი ბევრად მეტი უნდა იყოს.

* «შინამრეწველობის კომისიის შრომები», ნაკვ. VI.

** Ibid., ნაკვ. VIII, ნოვგოროდის გუბ.-ში.

*** Ibid., ნაკვ. IX, ტულის მაზრის საგარეუბნო თემებში.

**** პერმის გუბერნიაში, ქალ. კუნგურის ახლო, ტვერის გუბერნიაში — სოფ. კიმრში და სხვ.

***** იხ. «ს.-პეტერბურგის მაზრის ერობის გამგეობის 1889 წ. ანგარიში». ბ-ნ ვოინოვის ანგარიში V საექიმო უბნის შესახებ.

****** «ანგარიშები და გამოკვლევები», I, გვ. 360.

******* «პოლონეთის სამეფოს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის გამოკვლევათა ანგარიშები». სპბ. 1888, გვ. 24.

ფაბრიკა ნახევარფაბრიკატის დამზადებით კმაყოფილდება, ის ზოგჯერ წარმოშობს წვრილ სარეწებს, რომლებიც შემდგომ დაამუშავებენ ნახევარფაბრიკატს; მაგალითად, ნართის მექანიკურმა წარმოებამ განავითარა შინამრეწველური ფეიქრობა, სამთამადნო ქარხნების ახლოს ჩნდებიან «შინამრეწველნი», რომელნიც ლითონის საგნებს ამზადებენ, და სხვა. ბოლოს, კაპიტალისტური შინმუშაობაც ხშირად მხოლოდ ფაბრიკის დანამატია *. ყველა ქვეყანაში მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ეპოქა ხასიათდება კაპიტალისტური შინმუშაობის ფართო განვითარებით მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა, მაგალითად, საკონფექციო დარგი. ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი იმაზე, თუ რამდენად გავრცელებულია ასეთი მუშაობა რუსეთში, რა პირობებით განირჩევა იგი და რატომ მიგვაჩნია უფრო სწორად მისი აღწერა იმ თავში, სადაც ლაპარაკია მანუფაქტურის შესახებ.

ფაბრიკის დანამატის რამდენადმე სრული აღწერისათვის საჭიროა მოსახლეობის მოსაქმეობის სრული სტატისტიკა ან საფაბრიკო ცენტრების და მათი მიდამოების მთელი ეკონომიური ცხოვრების მონოგრაფიული აღწერა. მაგრამ ის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებიც კი, რომლებითაც ჩვენ ძალაუნებურად ვკმაყოფილდებით, გვიჩვენებენ, თუ რამდენად მცდარია ჩვენში გავრცელებული აზრი, თითქოს საფაბრიკო მრეწველობა მოწყვეტილი იყოს მრეწველობის სხვა სახეებს; საფაბრიკო

* «სიის» ცნობებით ჩვენ ვიანგარიშეთ 16 ფაბრიკა, რომლებსაც ჰყავთ 1 000 და მეტი მუშა თვითეულს და რომელნიც განზე ამუშავებენ აგრეთვე 7 857 კაცს. 14 ფაბრიკაში, რომელთაც ჰყავთ 500 — 999 მუშა, 1 352 განზე მომუშავეა. «სიის» მიერ განზე მუშაობის რეგისტრაცია სრულიად შემთხვევითია და შეიცავს უამრავ ხარვეზს. «საფაბრიკო ინსპექტორთა ანგარიშების ნაკრები» 1903 წლისათვის ანგარიშობს 632 დამარიგებელ კანტორას 65 115 მუშით. რასაკვირველია, ეს ცნობები მეტისმეტად უსრულოა, მაგრამ მაინც დამახასიათებელია, რომ ამ კანტორებისა და მათ მიერ დაქირავებული მუშების დიდი უმრავლესობა საფაბრიკო მრეწველობის ცენტრებზე მოდის (მოსკოვის ოლქი: 503 კანტორა, 49 345 მუშა. სარატოვის გუბერნია — სარეპტის ტილო — 33 კანტორა, 10 000 მუშა). (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე - 2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

მოსახლეობა — იმ მოსახლეობას, რომელიც ფაბრიკის კედლებს შიგნით არ არის დასაქმებული. მრეწველობის ფორმების, ისე როგორც საზოგადოდ ყოველი საზოგადოებრივი ურთიერთობის, განვითარება ხდება მხოლოდ დიდი თანდათანობით, მრავალი ერთმანეთში გადახლართული, გარდამავალი ფორმისა და წარსულისაკენ მოჩვენებითი უკანდაბრუნების პირობებში. მაგალითად, წვრილ სარეწთა ზრდა შეიძლება გამოხატავდეს (როგორც ვნახეთ) კაპიტალისტური მანუფაქტურის პროგრესს; ახლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ ხანდახან ფაბრიკასაც შეუძლია წვრილი სარეწები განავითაროს. «შემყიდველისათვის» მუშაობაც შეიძლება იყოს როგორც მანუფაქტურის, ისე ფაბრიკის დანამატი. სწორად რომ შევაფასოთ ამგვარ მოვლენათა მნიშვნელობა, საჭიროა დავუკავშიროთ ისინი მრეწველობის მთელ წყობას მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე და ამ განვითარების ძირითად ტენდენციებს.

XI. მრეწველობის სრული გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან

მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის სრულ გამოყოფას მ ხ ო ლ ო დ მსხვილი მანქანური ინდუსტრია ახდენს. რუსეთის მონაცემები სავსებით ადასტურებენ ამ დებულებას, რომელიც «კაპიტალის» ავტორმა დაადგინა სხვა ქვეყნებისათვის*, მაგრამ რომელსაც ჩვეულებრივ უგულებელჰყოფენ ეკონომისტი-ნაროდნიკები. ბ-ნი ნ. — ონი თავის «ნარკვევებში» წარამარა ლაპარაკობს «მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის გამოყოფაზე», და სრულიად არ ფიქრობს იმაზე, რომ ზუსტი ცნობების მიხედვით გამოარკვიოს, თუ სახელდობრ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი და რა სხვადასხვა ფორმას იღებს იგი. ბ-ნი ვ. ვ. აღნიშნავს, რომ ჩვენი სამრეწველო მუშა მიწასთან არის დაკავშირებული (მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა შ ი; ჩვენი ავტორი საჭიროდ არ სთვლის განასხვაოს კაპიტალიზმის ცალკეული სტადიები, თუმცა თავს ისე გვაჩვენებს, ვითომც

* «Das Kapital», I³, S. 779 — 780.[132]

«კაპიტალის» ავტორის თეორიის მიმდევარი იყოს!), და ამის გამო აცხადებს, რომ «ჩვენი (ხაზი ავტორისაა) კაპიტალისტური წარმოება» «სამარცხვინოდ (sic!) არის დამოკიდებული» მუშა-მიწათმოქმედისაგანო და სხვ. («კაპიტალიზმის ბედი», 114 და სხვ.). როგორც ჩანს, ბ-ნ ვ. ვ.-ს არ გაუგონია, ხოლო თუ გაუგონია, დავიწყებია ის, რომ არა მარტო «ჩვენში», არამედ ყველგან დასავლეთშიც მსხვილ მანქანურ ინდუსტრიამდე კაპიტალიზმმა მუშა სავსებით ვერ ჩამოაშორა მიწას! ბოლოს, ბ-ნი კაბლუკოვი სულ უკანასკნელ დროს ფაქტების შემდეგი განსაცვიფრებელი დამახინჯებით უმასპინძლდება სტუდენტებს: «მაშინ როდესაც დასავლეთში მუშის არსებობის ერთადერთ წყაროს ფაბრიკაში შრომა შეადგენს, ჩვენში, შედარებით მცირე გამონაკლისს გარდა (sic!!!), მუშა ფაბრიკაში მუშაობას დამხმარე მოსაქმეობად სთვლის, მას უფრო მიწა იზიდავს»*.

ამ საკითხის ფაქტიური დამუშავება მოგვცა მოსკოვის სანიტარულმა სტატისტიკამ, სახელდობრ ბ-ნ დემენტიევის შრომამ, რომელიც შეეხება «ფაბრიკის მუშების კავშირს მიწათმოქმედებასთან»**. სისტემატურად შეკრებილი ცნობები, რომლებიც დაახლოებით 20 ათას მუშას მოიცავენ, გვიჩვენებენ, რომ ფაბრიკის მუშებიდან სოფლად სამუშაოდ გადის სულ 14,1%. მაგრამ გაცილებით უფრო საყურადღებოა აღნიშნულ შრომაში ძალიან საფუძვლიანად დამტკიცებული ის ფაქტი, რომ მუშებს სწორედ მექანიკური წარმოება სწყვეტს მიწისაგან. ამის დასადასტურებლად მოყვანილი მრავალი ციფრიდან ვიღებთ შემდეგ, ყველაზე მკაფიოდ მეტყველ ციფრებს***:

---

* «ლექციები სოფლის (sic!) მეურნეობის ეკონომიის შესახებ», გამოცემა სტუდენტებისათვის. მ. 1897, გვ. 13. ეგებ, სწავლულ სტატისტიკოსს შესაძლებლად მიაჩნია «შედარებით მცირე გამონაკლისად» ჩასთვალოს ყველა შემთხვევის 85% (იხ. ქვემოთ ტექსტში)?

** «მოსკოვის გუბ. სტატისტ. ცნობების კრებული». სანიტ. სტატ. განყოფილება, ტ. IV, ნაწ. II მ. 1893. გადმობეჭდილია ბ-ნ დემენტიევის ცნობილ წიგნში: «ფაბრიკა და სხვ.».

*** «სტატ. ცნობების კრებული», l. c., გვ. 292. «ფაბრიკა», მე-2 გამოცემა, გვ. 36.

ფაბრიკები და ქარხნები	მინდვრის სამუშაოზე გასულთა პროცენტი	
ხელის ბამბის საქსოვი ფაბრიკები სამღებროებით	72,5	ხელით წარმოება
აბრეშუმსაქსოვი	63,1	
ფაიფურ-ქაშანურის	31,0	
ხელის საჩითავი და საქუსარის განმანაწილებელი კანტორები	30,7	
მაუდის (სრული წარმოება)	20,4	
ბამბ ს სართავი და თვითსაქსოვი	13,8	მექანიკური წარმოება
თვითსაქსოვი საჩითავი და გამომყვანი განყოფილებებით	6,2	
მანქანათმშენებელი ქარხანა	2,7	
საჩითავი და გამომყვანი მექანიკური	2,3	

ჩვენ ავტორის ცხრილს მივუმატეთ 8 წარმოების განაწილება ხელის და მექანიკურ წარმოებად. მეცხრე — მაუდის — წარმოების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ნაწილობრივ ხელით მოქმედებს, ნაწილობრივ კი — მექანიკური საშუალებით. და აი, ხელის ფაბრიკების ფეიქრებიდან მინდვრის სამუშაოზე გადის 63%-მდე, ხოლო თვითსაქსოვი ჩარხებით მომუშავე ფეიქრებიდან არავინ არ გადის; მაუდის ფაბრიკების იმ განყოფილებათა მუშებიდან, რომელნიც მექანიკურ ძალას იყენებენ, გადის 3,3%. «მაშასადამე, უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რომელიც აიძულებს ფაბრიკის მუშებს კავშირი გასწყვიტონ მიწასთან, არის ხელით წარმოების გადასვლა მექანიკურ წარმოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელით წარმოების ფაბრიკათა რაოდენობა, შედარებით, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია, მათი მუშების რიცხვი მექანიკურ ფაბრიკათა მუშების რიცხვთან შედარებით სრულიად უმნიშვნელოა, ამიტომაც ვღებულობთ მინდვრის სამუშაოზე გამსვლელთა ისეთ მცირე პროცენტს, როგორიცაა 14,1% საზოგადოდ ყველა მოზრდილი მუშისათვის, და 15,4% მხოლოდ გლეხური წოდების მოზრდილებისათვის»*. უნდა გავიხსენოთ, რომ მოსკოვის გუბერნიის ფაბრიკების სანიტარული გამოკვ-

* «კრებული», გვ. 260 — 282. «ფაბრიკა», გვ. 26.

ლევის ცნობებმა ასეთი ციფრები მოგვცეს: მექანიკური ძრავით მუშაობს ყველა ფაბრიკის 22,6% (მათ შორის 18,4% ორთქლის ძრავით); აქ თავმოყრილია ყველა მუშის 80,7%. ხელით მომუშავე ფაბრიკა არის 69,2%, მუშები კი იქ მხოლოდ 16,2%-ს შეადგენენ. მექანიკური ძრავის მქონე 244 ფაბრიკაში 92 302 მუშაა (თვითეულ ფაბრიკაზე მოდის 378 მუშა), ხოლო ხელით მომუშავე 747 ფაბრიკაში არის 18 520 მუშა (თვითეულ ფაბრიკაზე — 25 მუშა) *. ჩვენ ზემოთ ცხადვყავით, თუ რამდენად დიდია რუსეთის ყველა საფაბრიკო მუშის კონცენტრაცია უდიდეს, მეტნაწილად მექანიკურ, საწარმოებში, სადაც საშუალოდ თვითეულ საწარმოზე 488 და მეტი მუშა მოდის. ბ-მა დემენტიევმა დაწვრილებით გამოიკვლია, თუ რა გავლენას ახდენს მიწასთან კავშირის გაწყვეტაზე მუშათა დაბადების ადგილი, ადგილობრივ და მოსულ მუშათა შორის არსებული განსხვავება, წოდებათა სხვადასხვაობა (მეშჩანები და გლეხები), — და აღმოჩნდა, რომ ყველა ამ განსხვავებას სრულიად ჩრდილავს ძირითადი ფაქტორის გავლენა: ხელით წარმოების გადასვლა მექანიკურ წარმოებაზე **. «რა მიზეზსაც უნდა შეეწყო ხელი წინანდელი მიწათმოქმედის საფაბრიკო მუშად გარდაქმნისათვის, ეს სპეციალური მუშები უკვე არსებობენ. ისინი მხოლოდ ირიცხებიან გლეხებად, მაგრამ სოფელთან დაკავშირებული არიან

* «კრებული», ტ. IV, ნაწ. I, გვ. 167, 170, 177.

** ბ-ნი ჟბანკოვი თავის «სმოლენსკის გუბ. ფაბრიკა-ქარხნების სანიტარულ გამოკვლევაში» (სმოლენსკი, 1894 — 1896) მინდვრის სამუშაოზე გამსვლელ მუშათა რიცხვს მხოლოდ დაახლოებით ანგარიშობს მარტო იარცევის მანუფაქტურისათვის 10 — 15% რაოდენობით (ტ. II, გვ. 307, 445; 1893/94 წ. იარც. მანუფაქტურაში ითვლებოდა 3 106 მუშა სმოლენსკის გუბერნიის 8 810 საფაბრიკო-საქარხნო მუშიდან). ამ ფაბრიკაში დროებითი მუშა იყო: მამაკაცი — 28% (ყველა ფაბრიკაში — 29%) და ქალი — 18,6% (ყველა ფაბრიკაში — 21%. იხ. ტ. II, გვ. 469). უნდა აღინიშნოს, რომ დროებით მუშათა რიცხვზეა მითვლილი: 1) ის, ვისაც ფაბრიკაში დაუყვია ერთ წელზე ნაკლები; 2) ვინც მიდის საზაფხულო სამუშაოზე; 3) ვინც «საზოგადოდ რაიმე მიზეზის გამო სწყვეტდა ქარხანაში მუშაობას რამდენიმე წლით» (II, 445).

მარტო გამოსაღებით, რაც მათ შეაქვთ პასპორტის გამოცვლისას, ვინაიდან ნამდვილად მათ სოფლად არ გააჩნიათ არც მეურნეობა, ძალიან ხშირად არც სახლი, რომელიც ჩვეულებრივ გაყიდულია. მათ თვით მიწის უფლებაც კი, ასე ვთქვათ, მხოლოდ იურიდიულად აქვთ შენარჩუნებული, და მრავალ ფაბრიკაში 1885 — 1886 წწ. მომხდარმა არეულობამ ცხადჰყო, რომ თვითონ ეს მუშები თავის თავს სოფლისათვის სრულიად უცხო ელემენტებად სთვლიან, ისევე როგორც სოფლის გლეხები, თავის მხრით, ამ მუშებს, მათივე თანასოფლელთა შთამომავალთ, უცქერიან როგორც მოსულ უცხო ელემენტებს. მაშასადამე, ჩვენ წინ არის უკვე ჩამოყალიბებული კლასი მუშებისა, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი თავშესაფარი, ფაქტიურად არა აქვთ არავითარი საკუთრება, კლასი, რომელიც არაფრით არაა შებოჭილი და რომელიც დღიდან დღემდე ცხოვრობს. და ეს კლასი გუშინ კი არ გაჩენილა. მას უკვე აქვს თავისი საფაბრიკო გენეალოგია და მისი საგრძნობი ნაწილი უკვე მესამე თაობისაა»*. ბოლოს, მიწათმოქმედებასთან ფაბრიკების კავშირის გაწყვეტის საკითხზე საინტერესო მასალას იძლევა უახლესი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა. «ფაბრიკა-ქარხნების სიაში» (1894/95 წ. ცნობები) მოყვანილია ცნობები, თუ რამდენ დღეს მუშაობს წელიწადში თვითეული ფაბრიკა. ბ-მა კასპეროვმა არ დააყოვნა ეს ცნობები ნაროდნიკული თეორიების სასარგებლოდ გამოეყენებინა; მისი გამოანგარიშებით, «რუსეთის ფაბრიკა წელიწადში საშუალოდ 165 დღეს მუშაობს», «ფაბრიკების 35% ჩვენში 200 დღეზე ნაკლებს მუშაობს წლიურად»**. თავისთავად ცხადია, რომ «ფაბრიკის» ცნების განუსაზღვრელობის გამო ამგვარ ზერელე ციფრებს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, რაკი ნაჩვენები

* «კრებული», გვ. 296. «ფაბრიკა», გვ. 44 — 46.

** «რუსეთის სამრეწველო განვითარების სტატისტიკური შედეგები». თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების წევრის მ. ი. ტ.-ბარანოვსკის მოხსენება და ამ მოხსენების ირგვლივ გამართული კამათი III განყოფილების სხდომებზე. სპბ. 1898, გვ. 41.

არაა, თუ რამდენი მუშა რამდენ დღეს მუშაობს წელიწადში. ჩვენ გამოვიანგარიშეთ «სიის» სათანადო ცნობები იმ მსხვილი (100 და მეტი მუშის დამქირავებელი) ფაბრიკების შესახებ, რომლებშიც, როგორც ზემოთ ვნახეთ (§ VII), დაკავებულია საფაბრიკო-საქარხნო მუშათა მთელი რიცხვის $^3/_4$-დე. აღმოჩნდა, რომ წელიწადში სამუშაო დღეების საშუალო რიცხვი შეადგენს თანრიგების მიხედვით: A) 242; B) 235; C) 273 *, ხოლო ყველა მსხვილი ფაბრიკისათვის — 244. თუ თვითეული მუშის სამუშაო დღეების საშუალო რიცხვს განვსაზღვრავთ, მივიღებთ წელიწადში 253 სამუშაო დღეს— მსხვილი ფაბრიკის მუშისათვის საშუალო რიცხვს. ყველა 12 განყოფილებიდან, რომლებადაც დანაწილებულია წარმოებანი «სიაში», მხოლოდ ერთში, სახელდობრ XI განყოფილებაში (კვების პროდუქტები) არის სამუშაო დღეების საშუალო რიცხვი დაბალი თანრიგებისათვის 200-ზე ნაკლები: A) 189; B) 148; C) 280. ამ განყოფილების A და B თანრიგის ფაბრიკებში მუშაობს 110 588 მუშა = მსხვილი ფაბრიკების ყველა მუშის (655 670) 16,2"/₀. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ განყოფილებაში შეერთებულია სრულიად სხვადასხვაგვარი წარმოებანი, მაგალითად, ჭარხლის შაქრის და თამბაქოს, სპირტსახდელი და საფქვავი და სხვ. დანარჩენ განყოფილებებში თვითეული ფაბრიკის სამუშაო დღეების საშუალო რიცხვი შემდეგია: A) 259; B) 271; C) 272. ამრიგად, რაც უფრო მსხვილია ფაბრიკა, მით უფრო მეტ დღეს მუშაობს იგი წლის განმავლობაში. მაშასადამე, ევროპული რუსეთის ყველა უდიდესი ფაბრიკის შესახებ მოცემული საერთო ცნობები ადასტურებენ მოსკოვის სანიტარული სტატისტიკის დასკვნებს და გვიმტკიცებენ, რომ ფაბრიკა ჰქმნის მუდმივი საფაბრიკო მუშების კლასს.

ამრიგად, ცნობები რუსეთის საფაბრიკო მუშათა შესახებ სავსებით ადასტურებენ «კაპიტალის» თეორიას, რომ სწო-

* უნდა გავიხსენოთ, რომ A თანრიგი შეიცავს ფაბრიკებს, რომლებსაც ჰყავთ 100 — 499 მუშა, B — 500 — 999 მუშა და C — 1000 და მეტი მუშა.

რედ მსხვილი მანქანური ინდუსტრია ახდენს სრულ და გადამწყვეტ გადატრიალებას სამრეწველო მოსახლეობის ცხოვრების პირობებში, საბოლოოდ აშორებს მას მიწათმოქმედებას და უკანასკნელთან დაკავშირებულ პატრიარქალური ცხოვრების საუკუნეობრივ ტრადიციებს. მაგრამ, პატრიარქალურ და წვრილბურჟუაზიულ ურთიერთობას რომ არღვევს, მსხვილი მანქანური ინდუსტრია, მეორე მხრით, ჰქმნის პირობებს, რომლებიც აახლოვებენ მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში დაქირავებულ მუშებს: ჯერ ერთი, მას საზოგადოდ გადააქვს სოფლად ცხოვრების ის სავაჭრო-სამრეწველო წყობა, რომელიც თავდაპირველად არასამიწათმოქმედო ცენტრებში შემუშავდა; მეორე, იგი იწვევს მოსახლეობის მოძრაობას და ჰქმნის როგორც სოფლელი, ისე მრეწავი მუშების დაქირავების მსხვილ ბაზრებს; მესამე, მიწათმოქმედებაში მანქანების შეტანით მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას სოფლად მოჰყავს დახელოვნებული სამრეწველო მომუშავენი, რომლებიც ყველაზე მაღალი საარსებო დონით განირჩევიან.

XII. კაპიტალიზმის განვითარების სამი სტადია რუსეთის მრეწველობაში

ახლა შევაჯამოთ ის ძირითადი დასკვნები, რომლებსაც ვღებულობთ მონაცემებიდან ჩვენს მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ*.

ამ განვითარების მთავარი სტადია სამია: წვრილი სასაქონლო წარმოება (წვრილი, უმთავრესად გლეხური სარეწები) — კაპიტალისტური მანუფაქტურა — ფაბრიკა (მსხვილი მანქანური ინდუსტრია). ფაქტები სავსებით აქარწყლებენ ჩვენში გავრცელებულ შეხედულებას «საფაბრიკო-საქარხნო-მრეწველობისა და «შინამრეწველობის» ერთმანეთისაგან მოწყვეტილობის შესახებ. პირიქით, მათი დაყოფა წმინდა ხე-

* რაკი, როგორც წინასიტყვაობაში იყო აღნიშნული, რეფორმისშემდგომი ეპოქით ვკმაყოფილდებით, ჩვენ განზე ვტოვებთ მრეწველობის იმ ფორმებს, რომლებიც ყმა მოსახლეობის შრომას ემყარებოდა.

ლოვნურია. მრეწველობის ჩვენ მიერ აღნიშნულ ფორმათა კავშირი და თანამომდევნობა უაღრესად მჭიდრო და უაღრესად უშუალოა. ფაქტები სავსებით აშკარად გვიჩვენებენ, რომ წვრილი სასაქონლო წარმოების ძირითადი ტენდენცია კაპიტალიზმის განვითარებაში, კერძოდ — მანუფაქტურის შექმნაში მდგომარეობს, ხოლო მანუფაქტურა ჩვენ თვალწინ უდიდესი სისწრაფით იქცევა მსხვილ მანქანურ ინდუსტრიად. შესაძლოა, მრეწველობის თანამიმდევრობით ფორმებს შორის არსებული მჭიდრო და უშუალო კავშირის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო გამოხატულებას ის ფაქტი წარმოადგენდეს, რომ მთელი რიგი დიდი და უდიდესი მეფაბრიკეები თვითონ წვრილზე უწვრილესი მრეწველები იყვნენ და რომ მათ ყველა საფეხური გაიარეს «სახალხო წარმოებიდან» «კაპიტალიზმამდე». სავა მოროზოვი იყო ყმაგლეხი (თავი დაიხსნა 1820 წ.), მწყემსი, მეეტლე, ფეიქარი-მუშა, ფეიქარი-შინამრეწველი, რომელიც ქვეითად დაიარებოდა მოსკოვში, რომ შემყიდველებისათვის მიეყიდნა თავისი საქონელი; შემდეგ — წვრილი საწარმოს — დამარიგებელი კანტორის — ფაბრიკის მფლობელი. ის გარდაიცვალა 1862 წ., როცა მას და მის მრავალრიცხოვან შვილებს 2 დიდი ფაბრიკა ჰქონდათ. 1890 წ. 4 ფაბრიკაში, რაც მის შთამომავლებს ეკუთვნოდა, იყო 39 ათასი მუშა, რომელნიც 35 მილიონი მანეთის ნაწარმს ამზადებდნენ *. ვლადიმირის გუბერნიის აბრეშუმის წარმოებაში მთელი რიგი მსხვილი მეფაბრიკეები ფეიქარ-მუშათა და ფეიქარ-შინამრეწველთა წრიდან გამოვიდნენ.** ივანოვო-ვოზნესენსკის უდიდესი მეფაბრიკეები (კუვაევები, ფოკინები, ზუბკოვები, კოკუშკინები, ბობროვები და მრავალი სხვ.) შინამრეწველთაგან გამოვიდნენ.***

---

* «ვლადიმირის გუბ. სარეწები», IV, 5 — 7. — 1890 წ. «საძიებელი».— შ ი შ მ ა რ ი ო ვ ი: «ნიჟნი-ნოვგოროდისა და შუისკ-ივანოვოს რკინიგზების რაიონის მრეწველობის მოკლე მიმოხილვა». სპბ. 1892, გვ. 28 — 32.

** «ვლადიმირის გუბ. სარეწები», III, გვ. 7 და შემდეგი.

*** შიშმარიოვი, 56 — 62.

მოსკოვის გუბ. ფარჩის ფაბრიკები ყველანი შინასამრეწველო საფეიქრო ქოხები იყო*. პავლოვოს რაიონის მეფაბრიკე ზავიალოვს, ჯერ ისევ 1864 წ. «კარგად ახსოვდა ის დრო, როცა ის თვითონ უბრალო მომუშავედ იყო ხელოსან ხაბაროვთან»**. მეფაბრიკე ვარიპაევი წვრილი შინამრეწველი იყო***; კონდრატოვი შინამრეწველი იყო, ფეხით დადიოდა პავლოვოში და თან დაატარებდა თავისი ნაწარმით სავსე პარკს****. მეფაბრიკე ასმოლოვი ცხენების მდევარი იყო მეწვრილმანეებთან, მერე—წვრილი ვაჭარი, თამბაქოს ნაწარმთა პატარა სახელოსნოს მეპატრონე, მერე — მრავალმილიონიანი ბრუნვის მქონე ფაბრიკის პატრონი***** და სხვ. და სხვ. საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ განსაზღვრავდნენ ეკონომისტ-ნაროდნიკები ამ და ამის მსგავს შემთხვევებში «ხელოვნური» კაპიტალიზმის დასაწყისს და «სახალხო» წარმოების დასასრულს?

მრეწველობის ზემოდასახელებული სამი ძირითადი ფორმა ერთმანეთისაგან უწინარეს ყოვლისა ტექნიკის სხვადასხვა წყობით განირჩევა. წვრილი სასაქონლო წარმოება ხასიათდება სრულიად პრიმიტიული, ხელის ტექნიკით, რომელიც თითქმის უხსოვარი დროიდან უცვლელი რჩებოდა. მრეწველი ისევ გლეხად რჩება, რომელიც ტრადიციით ითვისებს ნედლეულის დამუშავების ხერხებს. მანუფაქტურას შემოაქვს შრომის დანაწილება, რაც ტექნიკის არსებით გარდაქმნას ახდენს და გლეხს ხელოსნად, «მედეტალე მუშად» აქცევს. მაგრამ ხელით წარმოება მაინც რჩება, — და წარმოების წესების პროგრესი მის ნიადაგზე აუცილებლად ძალიან ნელა სწარმოებს. შრომის დანაწილება სტიქიურად ხდება, გადმოდის ტრადიციითვე, ისევე როგორც თვით გლეხური მუშა-

---

* «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VII, ნაკვ. III მ. 1883, გვ. 27 — 28.

** ა. სმირნოვი, «პავლოვო და ვორსმა», გვ. 14.

*** ლაბზინი, l. c., გვ. 66.

**** გრიგორიევი, l. c., 36.

***** «ისტორ.-სტატ. მიმოხილვა», ტ. II, გვ. 27.

ობა. მხოლოდ მსხვილი მანქანური ინდუსტრია ახდენს რადიკალურ ცვლილებას, აძევებს ხელით მუშაობის ოსტატობას, გარდაქმნის წარმოებას ახალ, რაციონალურ საფუძველზე, სისტემატურად იყენებს წარმოებაში მეცნიერების მონაცემებს. სანამ რუსეთში კაპიტალიზმი მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას შექმნიდა, მრეწველობის იმ დარგებშიც, რომლებშიც მას ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია ეს ინდუსტრია, — ჩვენ ვხედავთ ტექნიკის თითქმის სრულ უძრაობას, ვხედავთ იმავე ხელის დაზგას, იმავე წყლის ან ქარის წისქვილს, რომელიც წარმოებაში საუკუნეების წინ იხმარებოდა. პირიქით, მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც ფაბრიკამ დაიმორჩილა, ჩვენ ვხედავთ სრულ ტექნიკურ გადატრიალებას და მანქანური წარმოების წესების უაღრესად ჩქარ პროგრესს.

ტექნიკის სხვადასხვა წყობასთან დაკავშირებით ჩვენ ვხედავთ კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა სტადიას. წვრილი სასაქონლო წარმოება და მანუფაქტურა ხასიათდება წვრილ საწარმოთა ჭარბობით, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთია მსხვილი. მსხვილი მანქანური ინდუსტრია საბოლოოდ აძევებს წვრილ საწარმოებს. კაპიტალისტური ურთიერთობა წვრილ სარეწებშიც მყარდება (დაქირავებული მუშების მყოლი სახელოსნოებისა და სავაჭრო კაპიტალის სახით), ოღონდ აქ ის ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული და არ ღებულობს წარმოების მონაწილე პირთა ჯგუფების მკაცრი დაპირისპირების ხასიათს. აქ ჯერ კიდევ არ არის არც მსხვილი კაპიტალი, არ არიან არც პროლეტარიატის ფართო ფენები. მანუფაქტურაში უკვე ვხედავთ, რომ იქმნება ერთიც და მეორეც. წარმოების საშუალებათა მეპატრონესა და მომუშავეს შორის უფსკრული უკვე საგრძნობ ფარგლებს აღწევს. ჩნდება «მდიდარი» სამრეწველო დაბა-სოფლები, სადაც მცხოვრებთა მასას სრულიად არაფრისმქონე მომუშავენი შეადგენენ. ვაჭართა მცირერიცხოვანი წრე, რომელიც ნედლეულის შესასყიდად და პროდუქტის გასასაღებლად უდიდეს თანხებს ატრიალებს, და დღიდან დღემდე მცხოვრები მედეტალე მუშათა მასა, — ასეთია მანუფაქტურის ზო-

გადი სურათი. მაგრამ წვრილ საწარმოთა სიმრავლე, მიწასთან კავშირის შენარჩუნება, წარმოებაში და ცხოვრების მთელ წყობაში ტრადიციის დაცვა, — ყოველივე ეს ჰქმნის მრავალ შუათანა ელემენტს მანუფაქტურის უკიდურესობათა შორის და აფერხებს ამ უკიდურესობათა განვითარებას. მსხვილ მანქანურ ინდუსტრიაში ყველა ეს ზღუდე ჰქრება; საზოგადოებრივ დაპირისპირებათა უკიდურესობა უმაღლეს განვითარებას აღწევს. კაპიტალიზმის ყველა ბნელი მხარე თითქოს ერთად იყრის თავს: როგორც ვიცით, მანქანა დიდ იმპულსს იძლევა სამუშაო დღის უზომო გახანგრძლივებისათვის; წარმოებაში ებმიან ქალები და ბავშვები; იქმნება (და საფაბრიკო წარმოების პირობების გამო უნდა შეიქმნას) უმუშევართა სარეზერვო არმია და სხვ. მაგრამ შრომის განსაზოგადოება, რომელსაც დიდი მასშტაბით ახდენს ფაბრიკა, და მის მიერ დასაქმებული მოსახლეობის გრძნობათა და აზრთა გარდაქმნა (კერძოდ, პატრიარქალური და წვრილბურჟუაზიული ტრადიციების დაშლა) რეაქციას იწვევს: მსხვილი მანქანური ინდუსტრია, წინა სტადიებისაგან განსხვავებით, დაჟინებით მოითხოვს წარმოების გეგმაშეწონილ მოწესრიგებას და მასზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებას (ამ ტენდენციის ერთ-ერთი გამოხატულებაა საფაბრიკო კანონმდებლობა)*.

კაპიტალიზმის სხვადასხვა საფეხურზე იცვლება თვით წარმოების განვითარების ხასიათი. წვრილ სარეწებში ეს განვითარება მისდევს გლეხური მეურნეობის განვითარებას; ბაზარი ერთობ ვიწროა, მანძილი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის დიდი არ არის, მცირე წარმოება ადვილად ეგუება ნაკლებად მერყევ ადგილობრივ მოთხოვნილებას. ამიტომ უდიდესი გამძლეობა ახასიათებს მრეწველობას ამ სტადია-

* საფაბრიკო კანონმდებლობასა და მსხვილი მანქანური ინდუსტრიის მიერ წარმოშობილ პირობებსა და ურთიერთობას შორის არსებული კავშირის შესახებ იხ. ბ-ნ ტ.-ბარანოვსკის წიგნის — «რუსეთის ფაბრიკის» — მეორე ნაწილის II თავი და განსაკუთრებით მისი სტატია 1897 წ. ივლისის «ნოვოე სლოვოში».

ზე, მაგრამ ეს გამძლეობა იგივეა, რაც ტექნიკის უძრაობა და შუა საუკუნეთა ტრადიციების ყოველგვარ ნაშთებში გახვეული პატრიარქალური საზოგადოებრივი ურთიერთობის შენარჩუნება. მანუფაქტურა მუშაობს დიდი ბაზრისათვის, ზოგჯერ — მთელი ერისათვის, და ამის შესაბამისად წარმოება ღებულობს კაპიტალიზმის დამახასიათებელ მერყევ ხასიათს და ეს მერყეობა ფაბრიკის დროს უდიდეს ძალას აღწევს. მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარება არ შეიძლება სხვანაირად ხდებოდეს, თუ არა ნახტომებით, აყვავებისა და კრიზისების პერიოდების დროდადრო შენაცვლებით. ფაბრიკის ეს ნახტომებრივი ზრდა უაღრესად აძლიერებს წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგებას; ფაბრიკა ხან მასობრივად იზიდავს მუშებს სამრეწველო ციებ-ცხელების ხანაში, ხან გარეთ გამოჰყრის მათ. მსხვილი მანქანური ინდუსტრიის არსებობისა და განვითარების პირობად ხდება უმუშევართა და ყოველგვარ სამუშაოს მაძიებელთა უზარმაზარი სარეზერვო არმიის შექმნა. II თავში ჩვენ ცხადვყავით, თუ გლეხობის რომელი ფენებიდან სდგება ეს არმია, ხოლო შემდგომ თავებში ნაჩვენები იყო მოსაქმეობის ის მთავარი სახეებიც, რომლებისთვისაც კაპიტალს გამზადებული ჰყავს ეს რეზერვები. მსხვილი მანქანური ინდუსტრიის «მერყეობა» ყოველთვის იწვევდა და იწვევს იმ ადამიანთა რეაქციულ წუწუნს, რომელნიც მოვლენებს ისევ წვრილი მწარმოებლის თვალით უყურებენ და ივიწყებენ, რომ მხოლოდ ამ «მერყეობამ» შესცვალა წინანდელი უძრაობა წარმოების წესებისა და მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის სწრაფი გარდაქმნით.

ამ გარდაქმნის ერთ-ერთი გამოხატულებაა მრეწველობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან, მრეწველობაში საზოგადოებრივი ურთიერთობის განთავისუფლება ბატონყმური და პატრიარქალური წყობილების იმ ტრადიციებისაგან, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს სოფლის მეურნეობას. წვრილ სასაქონლო წარმოებაში გლეხი ჯერ კიდევ სრულად არ ჩამოყალიბებულა მრეწველად, ის უმეტეს შემთხვევაში ისევ მიწათმოქმედად რჩება, და წვრილი მრეწ-

ველობისა და წვრილი მიწათმოქმედების ეს კავშირი იმ-დენად ღრმაა, რომ ჩვენ ვხედავთ საინტერესო კანონს — მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში წვრილ მწარმოებელთა პარალელური დაშლის კანონს. წვრილი ბურჟუაზიისა და დაქირავებული მუშების გამოყოფა სახალხო მეურნეობის ორივე დარგში ერთად სწარმოებს და ამით დაშლის ორივე პოლუსზე ამზადებს მრეწველის გათიშვას მიწათმოქმედებისაგან. მანუფაქტურაში ეს გათიშვა უკვე ძალიან საგრძნობია. ჩნდება მთელი რიგი სამრეწველო ცენტრები, რომლებიც მიწათმოქმედებას აღარ მისდევენ. მრეწველობის მთავარი წარმომადგენელი ხდება უკვე არა გლეხი, არამედ ვაჭარი. და მანუფაქტურისტი, ერთი მხრით, და «ოსტატი», მეორე მხრით. მრეწველობა და შედარებით. განვითარებული სავაჭრო ურთიერთობა დანარჩენ ადგილებთან ამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და მის კულტურულობას; მანუფაქტურის მუშაკი გლეხ-მიწათმოქმედს უკვე მაღლიდან დასცქერის. მსხვილი მანქანური ინდუსტრია ამთავრებს ამ გარდაქმნას, საბოლოოდ აცალკევებს მრეწველობას მიწათმოქმედებისაგან, ჰქმნის, როგორც ვნახეთ, მოსახლეობის განსაკუთრებულ, ძველი გლეხობისათვის სრულიად უცხო კლასს, რომელიც ძველი გლეხობისაგან განირჩევა ცხოვრების სხვანაირი წყობით, ოჯახური ურთიერთობის სხვანაირი წყობით, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ მოთხოვნილებათა მაღალი დონით*. წვრილ სარეწებსა და მანუფაქტურაში ჩვენ ყოველთვის ვხედავთ პატრიარქალური ურთიერთობისა და პირადი დამოკიდებულების სხვადასხვაგვარი ფორმების ნაშთებს, რომლებიც, კაპიტალისტური მეურნეობის საერთო

* «ფაბრიკელის» ტიპის შესახებ შად. ზემოთ, თავი VI, § II, 5, გვ. 353 — 354. — აგრეთვე «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებული», ტ. VII, ნაკვ. III, მ. 1883, გვ. 58 (ფაბრიკელი — რეზონიორი, «ჭკვიანი»). — «ნიჟნინოვგოროდის კრებული», I, გვ. 42 — 43; ტ. IV, გვ. 335. — «ვლადიმირის გუბ. სარეწები", III, 113 — 114 და სხვ. — «ნოვოე სლოვო», 1897 წ., ოქტომბერი, გვ. 63. — შად. აგრეთვე ბ-ნ ჟბანკოვის ზემოხსენებული თხზულებანი, რომელნიც ახასიათებენ ქალაქად სავაჭრო-სამრეწველო მოსაქმეობაზე გამსვლელ მუშებს.

პირობებში, მეტისმეტად აუარესებენ მშრომელთა მდგომარეობას, ამდაბლებენ და რყვნიან მათ. მსხვილი მანქანური ინდუსტრია, ერთად რომ უყრის თავს მუშათა მასებს, რომლებიც ხშირად ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იკრიბებიან, უკვე აბსოლუტურად ვერ ურიგდება პატრიარქალობისა და პირადი დამოკიდებულების ნაშთებს და ხასიათდება ჭეშმარიტად «ათვალწუნებითი დამოკიდებულებით წარსულისადმი». და ერთი არსებითი პირობათაგანი, რომლებმაც შესაძლებელი და აუცილებელი გახადეს წარმოების მოწესრიგება და მისი საზოგადოებრივი კონტროლი, იყო სწორედ კავშირის ეს გაწყვეტა დახავსებულ ტრადიციებთან. კერძოდ, როცა ფაბრიკის მიერ მოსახლეობის ცხოვრების პირობების გარდაქმნაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ წარმოებაში ქალთა და მოზარდთა ჩაბმა არსებითად პროგრესული მოვლენაა*. უდავოა, რომ კაპიტალისტური ფაბრიკა მუშა მოსახლეობის ამ ფენებს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებს, რომ მათ მიმართ განსაკუთრებით საჭიროა სამუშაო დღის შემცირება და მოწესრიგება, მუშაობის ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა და სხვ.; მაგრამ რეაქციული და უტოპიური იქნებოდა მისწრაფება — სრულიად აეკრძალათ ქალთა და მოზარდთა სამრეწველო მუშაობა ან დაეცვათ ცხოვრების ის პატრიარქალური წყობილება, რომელიც უარჰყოფს ასეთ მუშაობას. მსხვილი მანქანური ინდუსტრია არღვევს მოსახლეობის ამ ფენების პატრიარქალურ კარჩაკეტილობას, რომლებიც წინათ ვერ სცილდებოდნენ შინაური, ოჯახური ურთიერთობის ვიწრო წრეს, საზოგადოებრივი წარმოების უშუალო მონაწილედ ხდის მათ და ამით წინ სწევს მათ განვითარებას, აძლიერებს მათ დამოუკიდებლობას, ე. ი. ჰქმნის ცხოვრების ისეთ პირობებს, რომ-

* «საძიებლის» ცნობებით ევროპული რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებში 1890 წ. სულ იყო 875 764 მუშა, აქედან 210 207 (24%) ქალი, 17 793 (2%) ბიჭი და 8 216 (1%) გოგო.

ლებიც წინაკაპიტალისტური ურთიერთობის პატრიარქალურ უძრაობაზე გაცილებით მაღლა დგანან *.

მრეწველობის განვითარების პირველი ორი სტადია ხასიათდება მოსახლეობის ბინადრობით. წვრილი მრეწველი, გლეხად რომ რჩება, მიწის მეურნეობით თავის სოფელზეა მიმაგრებული. მანუფაქტურის ოსტატი ჩვეულებრივ მიჯაჭვული რჩება მრეწველობის იმ პატარა, კარჩაკეტილ რაიონზე, რომელსაც მანუფაქტურა ჰქმნის. თვით მრეწველობის წყობაში მისი განვითარების პირველ და მეორე სტადიაზე ისეთი არაფერია, რაც არღვევდეს მწარმოებლის ამ ბინადრობასა და კარჩაკეტილობას. ურთიერთობა მრეწველობის სხვადასხვა რაიონებს შორის იშვიათია. მრეწველობის სხვა ადგილებში გადატანა ხდება მხოლოდ ცალკეული წვრილი მწარმოებლების გადასახლების გზით, რომლებიც ახალ წვრილ სარეწებს აარსებენ სახელმწიფოს განაპირა მხარეებში. პირიქით, მსხვილი მანქანური ინდუსტრია აუცილებლად ჰქმნის მოსახლეობის მოძრაობას; სავაჭრო ურთიერთობა ცალკეულ

* «ღარიბი ფეიქარი დედაკაცი მიდის ფაბრიკაში მამასა და ქმართან ერთად, მუშაობს მათ გვერდით და მათგან დამოუკიდებლად. ის ისეთივე მარჩენალია ოჯახისა, როგორც მამაკაცი». «ფაბრიკაში... ქალი თავისი ქმრისაგან სრულიად დამოუკიდებელი მწარმოებელია». ფაბრიკის მუშა ქალთა წერა-კითხვის მცოდნეობა განსაკუთრებით სწრაფად იზრდება («ვლადიმირის გუბ. სარეწები», III, 113, 118, 112 და სხვ.). სავსებით სამართლიანია ბ-ნ ხარიზომენოვის შემდეგი დასკვნა: მრეწველობა სპობს «დედაკაცის სამეურნეო დამოკიდებულებას ოჯახისა... და მამაკაცისაგან... უცხო ფაბრიკაში დედაკაცი მამაკაცს უთანაბრდება; ეს პროლეტარის თანასწორობაა... მრეწველობის კაპიტალიზაცია თვალსაჩინო როლს ასრულებს ქალის მიერ ოჯახში დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში». «მრეწველობა უქმნის ქალს ახალს და ოჯახისა და ქმრისაგან სრულიად დამოუკიდებელ მდგომარეობას» («იურიდ. ვესტნიკ», 1883 წ., № 12, გვ. 582, 596). «მოსკოვის გუბ. სტატ. ცნობების კრებულში» (ტ. VII, ნაკვ. II, მ. 1882 წ., გვ. 152, 138 —139) მკვლევარნი ადარებენ მუშა ქალის მდგომარეობას ჩულქის ხელით წარმოებასა და მანქანურ წარმოებაში. დღიური ხელფასი ხელით წარმოებაში დაახლოებით არის 8 კაპ., მანქანურში — 14 – 30 კაპ. მანქანურ წარმოებაში მუშა ქალის მდგომარეობა ასეა აწერილი: «...ჩვენს წინ დგას უკვე თავისუფალი ქალიშვილი, რომე-

რაიონებს შორის უაღრესად ფართოვდება; რკინიგზები აადვილებენ მიმოსვლას. მუშებზე მოთხოვნილება საერთოდ და მთლიანად იზრდება, ხან მატულობს სამრეწველო ციებ-ცხელების ხანაში, ხან ეცემა კრიზისების ხანაში, ასე რომ მუშების გადასვლა ერთ საწარმოდან მეორეში, ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში აუცილებელი ხდება. მსხვილი მანქანური ინდუსტრია ჰქმნის მთელ რიგ ახალ ინდუსტრიულ ცენტრებს, რომლებიც წინათ გაუგონარი სისწრაფით წარმოიშობიან ზოგჯერ დაუსახლებელ ადგილებში, — მოვლენა, რომელიც მუშათა მასობრივი გადანაცვლების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ ეგრეთწოდებულ არასამიწათმოქმედო გარესარეწების სიდიდესა და მნიშვნელობაზე. ახლა კი დავკმაყოფილდებით მოსკოვის გუბერნიის საერობო სანიტარული სტატისტიკის ცნობების მოკლე აღნიშვნით. 103 175 საფაბრიკო-საქარხნო მუშის გამოკითხვამ ცხადჰყო, რომ უწყებული მაზრის ფაბრიკებში მუშაობს იმავე მაზრის მკვიდრი მცხოვრები 53 238 მუშა, ე. ი. მთელი რაოდენობის 51,6%. მაშასადამე, ყველა მუშის თითქმის ნახევარი ერთი მაზრიდან გადმოსახლებულა მეორეში. მოსკოვის გუბერნიიდან გამოსული მუშა აღმოჩნდა 66 038 — 64% *.

ლიც არავითარი დაბრკოლებით აღარაა შეზღუდული, განთავისუფლებულია ოჯახისა და ყველაფრისაგან, რაც კი შეადგენს გლეხი ქალის არსებობის პირობებს, ქალიშვილი, რომელსაც ყოველ წუთს შეუძლია გადავიდეს ადგილიდან ადგილზე, გამოიცვალოს დამქირავებელი და რომელიც ყოველ წუთს შეიძლება დარჩეს უმუშევრად... ულუკმაპუროდ... ხელით წარმოებისას მქსოველ ქალს სულ უმნიშვნელო ხელფასი აქვს, ხელფასი, რომელიც საჰმელ-სასმელის ხარჯის დასაფარავადაც არ კმარა, ხელფასი, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, რომ ქალი, როგორც ნადელიანი მეკომურის ოჯახის წევრი, რამდენიმედ მაინც სარგებლობს ამ მიწის პროდუქტებით; მანქანური წარმოების დროს ოსტატი ქალი, სანოვაგის და ჩაის გარდა, ღებულობს ხელფასს, რომელიც საშუალებას აძლევს... მას იცხოვროს ოჯახის გარეთ და აღარ ისარგებლოს ოჯახის მიერ მიწიდან მიღებული შემოსავლით... ამავე დროს ოსტატი ქალის ხელფასი მანქანური წარმოების დროს, არსებულ პირობებში, უფრო უზრუნველყოფილია».

* მრეწველობის მხრივ ნაკლებად განვითარებულ სმოლენსკის გუბერ-

მუშების ერთ მესამედზე მეტი მოსულა სხვა გუბერნიებიდან (უმთავრესად, მოსკოვის მეზობელი ცენტრალური სამრეწველო ზოლის გუბერნიებიდან). ამასთან ცალკე მაზრების შედარება გვიჩვენებს, რომ ყველაზე უფრო სამრეწველო მაზრები განირჩევიან თავისი მაზრის მუშების ყველაზე ნაკლები პროცენტით: მაგალითად, მრეწველობის მხრივ ნაკლებად განვითარებულ მოჟაისკის და ვოლოკოლამსკის მაზრებში საფაბრიკო-საქარხნო მუშების 92 — 93% იმავე მაზრის მკვიდრი მცხოვრებია, სადაც ისინი მუშაობენ. მრეწველობის მხრივ დიდად განვითარებულ მოსკოვის, კოლომნის და ბოგოროდსკის მაზრებში თავისი მაზრის მუშათა პროცენტი ჩამოდის 24%— 40% — 50%-მდე. მკვლევართ აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ «მაზრაში საფაბრიკო წარმოების მნიშვნელოვანი განვითარება ხელს უწყობს ამ მაზრაში გარეშე ელემენტების მოზღვავებას» *. ეს ცნობები გვიჩვენებენ აგრეთვე (დავძენთ ჩვენი მხრივ), რომ სამრეწველო მუშების გადანაცვლება ისეთივე ნიშნებით ხასიათდება, როგორიც ჩვენ მიწათმოქმედი მუშების გადანაცვლების შესახებ აღვნიშნეთ. სახელდობრ, სამრეწველო მუშებიც მიდიან არა მარტო იმ ადგილებიდან, სადაც მუშახელი ჭარბადაა, არამედ იქიდანაც, სადაც მუშახელის ნაკლებობაა. მაგალითად, ბრონიცკის მაზრა მოსკოვის გუბერნიის სხვა მაზრებიდან და სხვა გუბერნიებიდან იზიდავს 1 125 მუშას და ამავე დროს 1 246 მუშას უშვებს უფრო სამრეწველო — მოსკოვის და ბოგოროდსკის — მაზრებში. მაშასადამე, მუშები მიდიან არა მარტო იმიტომ, რომ ვერ შოულობენ «ადგილობრივ საქმეს», არამედ იმიტომაც, რომ ისინი იქ მიისწრაფიან, სადაც მათთვის უმჯობესია. რაც უნდა ელემენტარული იყოს ეს ფაქტი, ზედმეტი არ იქნება ერთხელ კიდევ მოვაგონოთ იგი ნაროდნიკ-ეკონომისტებს, რომლებიც აიდეალებენ ადგილობრივ მოსაქმეობას,

ნიაში ხუთი ათასი საფაბრიკო-საქარხნო მუშის გამოკითხვამ ცხადჰყო, რომ მათ შორის 80% სმოლენსკის გუბერნიისავე მკვიდრია (ჟბანკოვი, I. c.,II, 442).

* «მოსკოვის გუბერნიის სტატისტ. ცნობების კრებული», სანიტ. სტატ. განყ., ტ. IV, ნაწ. I (მ. 1890), გვ. 240.

ჰგმობენ გარესარეწებს და უგულებელჰყოფენ მოსახლეობის იმ მოძრაობის პროგრესულ მნიშვნელობას, რომელსაც კაპიტალიზმი ჰქმნის.

ზემოთ აწერილი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას განასხვავებენ მრეწველობის წინანდელი ფორმებისაგან, შეიძლება მოკლედ ასე გამოვთქვათ: შრომის განსაზოგადოება. მართლაც, უზარმაზარი ნაციონალური და ინტერნაციონალური ბაზრისათვის წარმოებაც, ქვეყნის სხვადასხვა რაიონთან და სხვადასხვა ქვეყანასთან ნედლი და დამხმარე მასალის შესასყიდად მჭიდრო კომერციული ურთიერთობის განვითარებაც, უდიდესი ტექნიკური პროგრესიც, უზარმაზარ საწარმოთა მიერ წარმოებისა და მოსახლეობის კონცენტრაციაც, პატრიარქალური ყოფაცხოვრების დახავსებული ტრადიციების დარღვევაც, მოსახლეობის ამოძრავებაც, მომუშავის მოთხოვნილებისა და განვითარების დონის ამაღლებაც,— ყოველივე ეს ელემენტებია იმ კაპიტალისტური პროცესისა, რომელიც სულ უფრო და უფრო განასაზოგადოებს ქვეყნის წარმოებას და მასთან ერთად წარმოების მონაწილეთაც.*

* უკანასკნელ სამ თავში გადმოცემული მონაცემები გვიჩვენებენ, ჩვენი აზრით, რომ მრეწველობის კაპიტალისტური ფორმებისა და სტადიების მარქსის მიერ მოცემული კლასიფიკაცია უფრო სწორი და უფრო შინაარსიანია, ვიდრე ახლა გავრცელებული ის კლასიფიკაცია, რომელიც ერთმანეთში ურევს მანუფაქტურასა და ფაბრიკას და მრეწველობის განსაკუთრებულ ფორმად გამოჰყოფს შემყიდველისათვის მუშაობას (ჰელდი, ბიუხერი). მანუფაქტურისა და ფაბრიკის ერთმანეთში არევა იმას ნიშნავს, რომ კლასიფიკაციის საფუძვლად აიღოთ წმინდა გარეგნული ნიშნები და გამოგეპაროთ ტექნიკის, ეკონომიკისა და ყოფაცხოვრებითი ვითარების ის არსებითი თავისებურებანი, რომლებიც ერთმანეთისაგან განასხვავებენ კაპიტალიზმის მანუფაქტურულ და მანქანურ პერიოდებს. რაც შეეხება კაპიტალისტურ შინმუშაობას, ის, უეჭველია, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კაპიტალისტური მრეწველობის მექანიზმში. უეჭველია, აგრეთვე, რომ შემყიდველის შეკვეთით მუშაობა განსაკუთრებით დამახასიათებელია სწორედ მანქანამდელი კაპიტალიზმისათვის, მაგრამ იგი გვხვდება (და არა მცირედი მასშტაბით) კაპიტალიზმის განვითარების სულ სხვადასხვა პერიოდში. შეუძლებელია შემყიდველისათვის მუშაობის მნიშვნელობის გაგება, თუ მას არ დავუკავშირებთ მრეწველობის მთელ წყობას

რუსეთის მსხვილი მანქანური ინდუსტრიის კაპიტალიზმის შინაური ბაზრისადმი დამოკიდებულების საკითხზე ზემოთ მოყვანილ ცნობებს ასეთ დასკვნამდე მივყევართ. რუსეთში საფაბრიკო მრეწველობის სწრაფი განვითარება ჰქმნის წარმოების საშუალებათა (საშენი მასალა, სათბობი, ლითონი და სხვ.) ვეებერთელა ბაზარს, რომელიც უფრო და უფრო იზრდება, განსაკუთრებული სისწრაფით ზრდის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ამზადებს საწარმოო და არა პირადი მოხმარების საგნებს. მაგრამ ამავე დროს პირადი მოხმარების საგნების ბაზარიც სწრაფად ფართოვდება იმის გამო, რომ იზრდება მსხვილი მანქანური ინდუსტრია, რომელიც მოსახლეობის უფრო და უფრო მეტ ნაწილს იზიდავს მიწათმოქმედებიდან სავაჭრო-სამრეწველო მოსაქმეობისაკენ. რაც შეეხება ფაბრიკის პროდუქტების შინაურ ბაზარს, ამ ბაზრის შექმნის პროცესი დაწვრილებით იყო განხილული ამ შრომის პირველ თავებში.

გარკვეულ ხანაში ან კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ სტადიაზე. გლეხიც, რომელიც სოფლის მედუქნის შეკვეთით კალათებს წნავს, პავლოველი მეტარეც, რომელიც ზავიალოვის შეკვეთით შინ ამზადებს დანის ტარებს, მუშა ქალიც, რომელიც კერავს ტანისამოსს, ფეხსაცმელს, ხელთათმანს, აწებებს კოლოფებს მსხვილი მეფაბრიკეების თუ ვაჭრების დავალებით, — ყველა ესენი შემყიდველისათვის მომუშავეები არიან, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში კაპიტალისტურ შინმუშაობას სხვადასხვა ხასიათი და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, ჩვენ სულაც არ უარვყოფთ, მაგალითად, ბიუხერის დამსახურებას მრეწველობის წ ი ნ ა კაპიტალისტური ფორმების გამოკვლევაში, მაგრამ მრეწველობის კაპიტალისტურ ფორმათა მისი კლასიფიკაცია შემცდარად მიგვაჩნია.—ბ-ნ სტრუვეს შეხედულებებს (იხ. «მირ ბოჟია», 1893, № 4) ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმდენად, რამდენადაც ის ღებულობს ბიუხერის თეორიას (აღნიშნულ ნაწილში) და მას რუსეთის «შინამრეწველობას» უფარდებს. (მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დაიწერა, — 1899 წ., — ბ-მა სტრუვემ უკვე დაასრულა თავისი მეცნიერული და პოლიტიკური განვითარების ციკლი. თუ ის წინათ ირყეოდა ბიუხერსა და მარქსს შორის, ლიბერალურ და სოციალისტურ ეკონომიას შორის, ახლა იგი წმინდა წყლის ლიბერალური ბურჟუა გახდა. ამ სტრიქონების დამწერი ამაყობს იმით, რომ მან შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყო სოციალ-დემოკრატიის გაწმენდას ამგვარი ელემენტებისაგან. შ ე ნ ი შ ვ ნ ა მე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

თ ა ვ ი VIII

შინაური ბაზრის შექმნა

ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ შევაჯამოთ მონაცემები, რომლებიც წინა თავებში განვიხილეთ, და შევეცადოთ წარმოვადგინოთ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ურთიერთდამოკიდებულება მათს კაპიტალისტურ განვითარებაში.

I. საქონლის მიმოქცევის ზრდა

როგორც ცნობილია, საქონლის მიმოქცევა წინ უსწრებს სასაქონლო წარმოებას და შეადგენს ამ უკანასკნელის წარმოშობის ერთ-ერთ პირობას (მაგრამ არა ერთადერთ პირობას). ამ შრომაში ჩვენი ამოცანა ჩვენ განვსაზღვრეთ სასაქონლო და კაპიტალისტური წარმოების მონაცემების განხილვით და ამიტომ განზრახვა არა გვაქვს დაწვრილებით შევჩერდეთ იმ მნიშვნელოვან საკითხზე, თუ როგორ იზრდებოდა საქონლის მიმოქცევა რეფორმისშემდეგდროინდელ რუსეთში. იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ შინაური ბაზრის ზრდის სიჩქარეზე, საკმარისია ქვემოთ მოყვანილი მოკლე ცნობები.

რუსეთის რკინიგზების ქსელი გაიზარდა 3 819 კილომეტრიდან 1865 წ. 29 063 კილომეტრამდე 1890 წ. *, ე. ი. გადიდდა უფრო მეტად, ვიდრე 7-ჯერ. სათანადო ნაბიჯი ინგლისმა გადადგა უფრო ხანგრძლივ პერიოდში (1845 წ. —

* «Uebersichten der Weltwirtschaft», l. c. («მსოფლიო მეურნეობის მიმოხილვა», ციტირებული ადგილი. რ ე დ.). 1904 წ. — 54 878 კილომეტრი ევროპულ რუსეთში (პოლონეთის სამეფოსა, კავკასიასა და ფინეთთან ერთად) და 8 351 აზიის რუსეთში. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

4 082 კმ., 1875 წ. — 26 819 კმ., გადიდდა 6-ჯერ), გერმანიამ— უფრო მოკლე პერიოდში (1845 წ. — 2 143 კმ., 1875 წ. — 27 981 კმ., გადიდდა 12-ჯერ). წლიურად გაყვანილი რკინიგზების ვერსთა რაოდენობა ძალიან ირყეოდა სხვადასხვა პერიოდში: მაგალითად, 5 წელიწადში, 1868 — 1872, გაყვანილ იქნა 8 806 ვერსი, 5 წელიწადში კი, 1878 — 1882, მხოლოდ 2 221 ვერსი*. ამ რყევის ფარგლების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ უმუშევართა რა დიდი სარეზერვო არმიაა საჭირო კაპიტალიზმისათვის, რომელიც ხან აფართოებს და ხან ამცირებს მუშახელის მოთხოვნილებას. რუსეთის სარკინიგზო მშენებლობის განვითარებაში იყო დიდი აღმავლობის ორი პერიოდი: 60-იანი წლების დასასრული (და 70-იანი წლების დასაწყისი) და 90-იანი წლების მეორე ნახევარი. 1865-დან 1875 წლამდე რუსეთის სარკინიგზო ქსელის საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 1 $^1/_2$ ათას კილომეტრს, ხოლო 1893-დან 1897 წლამდე — დაახლოებით 2 $^1/_2$ ათას კილომეტრს.

რკინიგზებით ტვირთის გადაზიდვა შემდეგნაირად განისაზღვრებოდა: 1868 წ. — 439 მილიონი ფუთი; 1873 წ. — 1 117 მილიონი ფუთი; 1881 წ. — 2 532 მილიონი ფუთი; 1893 წ. — 4 846 მილიონი ფუთი; 1896 წ. — 6 145 მილიონი ფუთი; 1904 წ.—11 072 მილიონი ფუთი. არანაკლები სისწრაფით გაიზარდა მგზავრთა მიმოსვლა: 1868 წ.—10,4 მილიონი მგზავრი; 1873 წ.—22,7; 1881 წ. — 34,4; 1893 წ. — 49,4; 1896 წ. — 65,5; 1904 წ. — 123,6**.

წყლის ტრანსპორტის განვითარება შემდეგ სურათს იძლევა (ცნობები ეხება მთელ რუსეთს)***:

---

* ვ. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს კ ი. «რუსეთის სარკინიგზო ქსელის განვითარება», «თავისუფ. ეკ. საზ.-ბის ინსტიტუტის შრომები». 1898 № 2.

** «სამხედ.-სტატ. კრებული», 511. — ბ-ნი ნ. —ონი, «ნარკვევები», დამატება. — «საწარმოო ძალები», XVII, გვ. 67. — «ვესტნ. ფინ.», 1898, № 43.—«რუსეთის წელიწდეული», 1905 წ. სპბ. 1906.

*** «სამხედ.-სტატ. კრებული », 445.— «საწარმოო ძალები», XVII, 42. — «ვესტნ. ფინ.», 1898, № 44.

წლები	გემები		ორთქლმავალ-ნი რიცხვი	გემთა ტვირთზიდვის უარი მილიონ ფ.			გემების ღირ. მილიონ მან.			გემების მომსახურეთა რიცხვი		
	რიცხვი	ძალა		ორთქლ.	არაორთქლ.	სულ	ორთქლ.	არაორთქლ.	სულ	ორთქლ.	არაორთქლ.	სულ
1868	646	47 313	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
1884	1 246	72 105	20 095	6,1	362	368,1	48,9	32,1	81	18 766	94 099	112 865
1890	1 824	103 206	20 125	9,2	401	410,2	75,6	38,3	113,9	25 814	90 356	116 170
1895	2 539	129 759	20 580	12,3	526,9	539,2	97,0	46,0	143,9	32 689	85 608	118 297

ევროპული რუსეთის შინაგანი სამდინარო გზებით გადაზიდულ იქნა: 1881 წ.—899,7 მილიონი ფუთი ტვირთი; 1893 წ.—1 181,5 მილიონი ფუთი; 1896 წ. — 1 553 მილიონი ფუთი. ამ ტვირთის ღირებულება იყო: 186,5 მილიონი მან.; — 257,2 მილიონი მან.; — 290 მილიონი მან.

რუსეთის კომერციული ფლოტი 1868 წ. შეიცავდა 51 გემს, 14,3 ათასი ლასტის [134] ტევადობით, და 700 იალქნიან ხომალდს, 41,8 ათასი ლასტის ტევადობით, ხოლო 1896 წ. — 522 გემს, 161,6 ათასი ლასტის ტევადობით*.

სავაჭრო ნაოსნობის განვითარება საგარეო ზღვების ყველა ნავსადგურში ასეთი იყო. ხუთი წლის, 1856 — 1860 წწ., განმავლობაში შემოსული გემების რიცხვი პლუს გასული გემების რიცხვი საშუალოდ იყო 18 901, 3 783 ათასი ტონის ტევადობით: საშუალოდ, 1886 — 1890 წწ. — 23 201 გემი (+ 23%), 13 845 ათასი ტონის ტევადობით (+ 266%). მაშასადამე, ტევადობა გაიზარდა 3 ²/₃-ჯერ. 39 წლის განმავლობაში (1856 — 1894) ტევადობა გაიზარდა 5,5-ჯერ, ამასთან, თუ ცალცალკე ავიღებთ რუსეთის და უცხოეთის გემებს, მაშინ პირველთა რიცხვი ამ 39 წელიწადში გადიდდა

* «სამხ.-სტატ. კრებული», 758, და «ფინ. სამინისტროს წელიწდეული», I, 363. — «საწარმოო ძალები», XVII, 30.

3,4-ჯერ (823-დან 2 789-დე), ხოლო მათი ტევადობა — 12,1-ჯერ (112,8 ათასი ტონიდან 1 368,0 ათას ტონამდე), მაშინ როდესაც უკანასკნელთა რიცხვი გადიდდა 16%-ით (18 284-დან 21 160-დე), მათი ტევადობა კი — 5,3-ჯერ (3 448 ათასი ტონიდან 18 267 ათას ტონამდე) *. უნდა აღვნიშნოთ, რომ შემოსულ და გასულ გემთა ტევადობის სიდიდე ცალკეული წლების მიხედვით აგრეთვე ძალიან საგრძნობლად იცვლება (მაგ., 1878 წ. — 13 მილიონი ტონა, 1881 წ. — 8,6 მილიონი ტონა), ხოლო ამ ცვლილების მიხედვით შეგვიძლია რამდენადმე წარმოდგენა ვიქონიოთ შავი მუშების, ნავსადგურის მუშების და სხვ. მოთხოვნილების შეცვლაზეც. კაპიტალიზმი აქაც მოითხოვს ისეთ ადამიანთა მასის არსებობას, რომლებიც მუდამ საჭიროებენ სამუშაოს და ყოველთვის მზად არიან პირველი მოთხოვნისთანავე მოჰკიდონ ხელი მას, რაც უნდა დროებითი ხასიათის იყოს ეს სამუშაო.

საგარეო ვაჭრობის განვითარება ჩანს შემდეგი ცნობებიდან **:

წ ლ ე ბ ი	რუსეთის მცხოვრებთა რიცხვი უფინეთოდ მილიონობით	შემოზიდვა-გაზიდვის ღირებულება ერთად მილიონ საკრედიტო მანეთობით	საგარეო ვაჭრობის მთელი ბრუნვის ღირებულება თვითეულ მცხოვრებზე მანეთობით
1856 — 1860	69,0	314,0	4,55
1861 — 1865	73,8	347,0	4,70
1866 — 1870	79,4	554,2	7,00
1871 — 1875	86,0	831,1	9,66
1876 — 1880	93,4	1 054,8	11,29
1881 — 1885	100,6	1 107,1	11,00
1886 — 1890	108,9	1 090,3	10,02
1897 — 1901	130,6	1 322,4	10,11

საბანკო ბრუნვისა და კაპიტალის დაგროვების სიდიდეზე საერთო წარმოდგენას შემდეგი ცნობები იძლევა. სახელმწიფო ბანკის გაცემის საერთო თანხა გაიზარდა 113 მილიონ მანეთიდან 1860 — 1863 წწ. (170 მილიონი მან. 1864 — 1868

* «საწარმოო ძალები». რუსეთის საგარეო ვაჭრობა, გვ. 56 და შემდეგი.

** Ibid., გვ. 17. 1904 წ. «რუსეთის წელიწდეული». სპბ. 1905.

წწ.) 620 მილიონ მანეთამდე 1884 — 1888 წწ., ხოლო მიმდინარე ანგარიშზე შეტანილი ანაბრის თანხა — 335 მილიონ მანეთიდან 1864 — 1868 წწ. 1 495 მილიონ მანეთამდე 1884 — 1888 წწ.*. შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა და სალაროთა (სასოფლო და სამრეწველო) ბრუნვა გაიზარდა 2 $^3/_4$ მილიონ მანეთიდან 1872 წ. (21,8 მილიონი მან. 1875 წ.) 82,6 მილიონ მანეთამდე 1892 წ., 189,6 მილიონ მანეთამდე 1903 წ.**. მიწათმფლობელობის დავალიანება გაიზარდა 1889 წლიდან 1894 წლამდე შემდეგნაირად: დაგირავებული მიწის შეფასება ავიდა 1 395 მილიონ მანეთიდან 1 827 მილიონ მანეთამდე, ხოლო სესხის თანხა — 791 მილიონ მანეთიდან 1 044 მილიონ მანეთამდე***. შემნახველ სალაროთა ოპერაციები განსაკუთრებით განვითარდა 80-იან და 90-იან წლებში. 1880 წ. ითვლებოდა 75 სალარო, 1897 წ. — 4 315 (მათ შორის 3 454 ფოსტა-ტელეგრაფისა). ანაბარი იყო 1880 წ. — 4,4 მილიონი მან., 1897 წ. — 276,6 მილიონი მან. წლის ბოლოს ნაშთი შეადგენდა 9,0 მილიონ მან. 1880 წ. და 494,3 მილიონ მან. 1897 წ. კაპიტალის წლიური მატების მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შიმშილობის წლები, 1891 და 1892 წწ. (52,9 და 50,5 მილიონი მან.) და უკანასკნელი ორი წელი (1896 წ.: 51,6 მილიონი მან.; 1897 წ.: 65,5 მილიონი მან.)****.

უახლესი ცნობები შემნახველ სალაროთა კიდევ უფრო მეტ განვითარებას გვიჩვენებენ. 1904 წ. მთელ რუსეთში იყო 6 557 შემნახველი სალარო, მეანაბრეთა რიცხვი — 5,1 მილიონი, ანაბრის საერთო თანხა — 1 105,5 მილიონი მანეთი. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენში როგორც ძველ ნაროდნიკებს, ისე სოციალიზმის ახალ ოპორტუნისტებს არაერთხელ გამოუთქვამთ მეტად (რბილად რომ ვთქვათ) გულუბრყვილო აზრები — შემნახველ სალაროთა ზრდა «სახალხო» კეთილდღეობის მაჩვენებელიაო. ამიტომ, მგონი, ზედმეტი არ იქნება შევა-

* «რუსეთის ცნობების კრებული», 1890, CIX.

** «რუსეთის ცნობების კრებული», 1896, ცხრილი CXXVII.

*** Ibidem.

**** «ვესტნ. ფინ.», 1898, № 26.

დაროთ ერთმანეთს ამ სალაროთა ანაბრების განაწილება რუსეთში (1904) და საფრანგეთში (1900 — ცნობები ამოღებულია «Bulletin de l'Office du travail»-იდან, 1901, № 10).

რუსეთში: ანაბრების ოდენობა	მეანაბრეთა რიცხვი ათასობით	%	ანაბრების თანხა მილიონ მანეთობით	%
25 მანეთამდე	1 870,4	38,7	11,2	1,2
25 — 100 »	967,7	20,0	52,8	5,4
100 — 500 »	1 380,7	28,6	308,0	31,5
500 მან. ზევით	615,5	12,7	605,4	61,9
სულ	4 834,3	100	977,4	100

საფრანგეთში: ანაბრების ოდენობა	მეანაბრეთა რიცხვი ათასობით	%	ანაბრების თანხა მილიონ მანეთობით	%
100 ფრანკამდე	5 273,5	50,1	143,6	3,3
100 — 500 »	2 197,4	20,8	493,8	11,4
500 — 1000 »	1 113,8	10,6	720,4	16,6
1000 ფრ. ზევით	1 948,3	18,5	2 979,3	68,7
სულ	10 533,0	100	4 337,1	100

რამდენი მასალაა აქ ნაროდნიკულ-რევიზიონისტულ-კადეტური აპოლოგეტიკისათვის! საინტერესოა, სხვათა შორის, რომ ანაბრები რუსეთშიც მეანაბრეთა მოსაქმეობისა და პროფესიის 12 ჯგუფად არის განაწილებული. როგორც ჩანს, ყველაზე მეტი ანაბარი ხვდება მიწათმოქმედებას და სოფლის სარეწებს — 228,5 მილიონი მან., და ეს ანაბარი ძალიან სწრაფად იზრდება. სოფელი ცივილიზაციის გზას ადგება, და გლეხის გაჩანაგებით სარგებლობა სულ უფრო და უფრო ხელსაყრელი ხდება.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს უახლოეს თემას. ჩვენ ვხედავთ, რომ ცნობები მოწმობენ საქონლის მიმოქცევისა და კაპიტალის დაგროვების უდიდეს ზრდას. როგორ იქმნებოდა სარბიელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში კაპიტალის გამოსაყენებლად და როგორ იქცეოდა სავაჭრო კაპიტალი სამრეწველო კაპიტალად, ე. ი. როგორ ხმარდებოდა იგი წარმოებას და როგორ ჰქმნიდა კაპიტალისტურ ურთიერთობას წარმოების მონაწილეთა შორის, — ეს უკვე ზემოთ იყო ნაჩვენები.

II. სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდა მიწათმოქმედი მოსახლეობის ანგარიშზე ისეთი მოვლენაა, რომელიც აუცილებელია ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. როგორ გამოიყოფა თანმიმდევრობით მრეწველობა მიწათმოქმედებისაგან, ესეც განხილული გვქონდა, და ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ შევაჯამოთ ცნობები ამ საკითხის გამო.

1) ქალაქების ზრდა

განსახილველი პროცესის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებას ქალაქთა ზრდა წარმოადგენს. აი ამ ზრდის ცნობები, რომლებიც შეეხება რეფორმისშემდგომი დროის ევროპულ რუსეთს (50 გუბერნიას) *:

წლები	ევრ. რუსეთის მოსახლეობა ათასობით			ქალაქის მოსახლეობის პროცენტი	ქალაქები, რომლებშიც ითვლება მოსახლეობა				მოსახლეობა დიდი ქალაქებისა, სადაც ითვლება (ათასობით)				მოსახლეობა 14 ქალაქისა (ათასობით), რომლებიც 1863 წ. 33-ზე ნაკლებ დიდ ქალაქებად ითვლებოდნენ
	სულ	ქალაქებში	მაზრებში		200 ათასზე მეტი	100—200 ათასი	50—100 ათასი	სულ დიდი ქალაქი	200 ათასზე მეტი	100—200 ათასი	50—100 ათასი	სულ	
1863	61 420,5	6 105,1	55 315,4	9,94	2	1	10	13	891,1	119,0	683,4	1 693,5	1 741,9
1885	81 725,2	9 964,8	71 760,4	12,19	3	7	21	31	1 854,8	998,0	1 302,7	4 155,5	3 103,7
1897	94 215,4	12 027,1	82 188,3	12,76	5	9	30	44	3 238,1	1 177,0	1 982,4	6 397,5	4 266,3

* 1863 წლის ციფრები ამოღებულია «სტატისტიკური მატიანედან» (I, 1866) და «სამხედრო-სტატ. კრებულიდან». ორენბურგისა და უფის გუბერნიების ქალაქის მოსახლეობის ციფრები შესწორებულია ქალაქთა ცხრილების მიხედვით. ამის გამო ქალაქის მოსახლეობა ჩვენ გამოგვდის 6 105,1 ათასი და არა 6 087,1 ათასი, როგორც «სამხედრო-სტატ. კრებული» გვიჩვენებს. — 1885 წ. ცნობები ამოღებულია «რუსეთის 1884/85 წ. ცნობების კრებულიდან». — 1897 წლისათვის ციფრები აღებულია 1897 წლის 28 იანვრის აღწერის მასალებიდან («რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წ.

>200 ათ.		100-200 ათ.		50-100 ათ.	
[illegible]	297.432	[illegible]	113.001	[illegible]	66.143
[illegible]	[illegible]	[illegible]	108.706	[illegible]	72.231
	282.943	[illegible]	159.568	[illegible]	53.999
[illegible]	1.035.664	[illegible]	119.819	[illegible]	65.452
[illegible]		[illegible]	121.216	[illegible]	84.146
[illegible]	1.267.023	[illegible]	131.508	[illegible]	63.927
[illegible]	405.041	[illegible]	137.109	[illegible]	52.005
		[illegible]	111.048	[illegible]	57.965
		[illegible]	174.846	[illegible]	53.728
				[illegible]	73.543
				[illegible]	64.505
				[illegible]	52.898
				[illegible]	91.494
				[illegible]	95.124
				[illegible]	72.740
				[illegible]	69.858
				[illegible]	61.851
				[illegible]	55.488
				[illegible]	53.060
				[illegible]	58.648
				[illegible]	91.672
				[illegible]	59.539
				[illegible]	55.967
				[illegible]	50.710
				[illegible]	53.477
				[illegible]	69.219
				[illegible]	92.060
				[illegible]	61.841
				[illegible]	64.578
				[illegible]	70.610

5 [illegible]

3.238.103

9 [illegible]

1.176.981

30 [illegible]

1.982.426

44 [illegible]

Σ = 6.397.510

ევროპული რუსეთის ქალაქთა დაჯგუფება, შესრულებული ვ. ი. ლენინის მიერ მოსახლეობის 1897 წ. აღწერის მონაცემთა მიხედვით

ამრიგად, ქალაქის მოსახლეობის პროცენტი თანდათან მატულობს, ე. ი. ხდება მოსახლეობის მიზიდვა მიწათმოქმედებიდან სავაჭრო-სამრეწველო მოსაქმეობისაკენ*. ქალაქები ერთიორად უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა: 1863 წლიდან 1897 წლამდე მთელი მოსახლეობა გამრავლდა 53,3%-ით, სოფლისა — 48,5-ით, ქალაქისა კი — 97,0%-ით. 11 წლის მანძილზე (1885 — 1897) «ქალაქებში სოფლის მოსახლეობის მინიმალური მოზღვავება», ბ-ნ ვ. მიხაილოვსკის განსაზღვრით, უდრიდა $2^1/_2$ მილიონ კაცს**, ე. ი. 200 ათასზე მეტ კაცს წელიწადში.

იმ ქალაქთა მოსახლეობა, რომელნიც მსხვილ ინდუსტრიულ და სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენენ, გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საზოგადოდ ქალაქთა მოსახლეობა. იმ ქალაქთა რიცხვი, სადაც 50 ათასი და მეტი მცხოვრებია, ერთისამად და უფრო მეტად გაიზარდა 1863 წლიდან 1897 წლამდე (13 და 44). 1863 წ. ქალაქელთა მთელი რიცხვიდან მხოლოდ 27%-მდე (1,7 მილიონი 6,1 მილიონიდან) იყო თავმოყრილი ამგვარ მსხვილ ცენტრებში; 1885 წ. — 41%-მდე (4,1 მილიონი 9,9 მილიონიდან)***, ხოლო 1897 წ. უკვე ნახევარზე მეტი, 53%-მდე (6,4 მილიონი 12 მილიონიდან).

პირველი საყოველთაო აღწერა», ცენტ. სტატ. კომიტეტის გამოცემა. სპბ, 1897 და 1898, ნაკვ. 1 და 2). 1897 წლის აღწერით, ქალაქების მუდმივი მოსახლეობა უდრის 11 830,5 ათასს, ე. ი, 12,55%. ჩვენ ავიღეთ ქალაქებში ნამდვილად არსებული მოსახლეობა. — უნდა აღვნიშნოთ, რომ 1863 — 1885 — 1897 წწ. ცნობათა სრულ ერთგვარობას და შესადარობას ვერ ენდობა კაცი. ამიტომ ჩვენ ვადარებთ მხოლოდ ყველაზე ზოგად თანაფარდობას და ცალკე გამოვყოფთ ცნობებს დიდ ქალაქთა შესახებ.

* «იმ ქალაქურად დასახლებულ ადგილთა რიცხვი, რომელთაც სამიწათმოქმედო ხასიათი აქვთ, ძალიან მცირეა, ხოლო მათი მცხოვრებლების რიცხვი, ქალაქელთა საერთო რიცხვთან შედარებით, სრულიად უმნიშვნელოა» (ბ-ნი გრიგორიევი წიგნში: «მოსავლისა და აურის ფასის გავლენა», ტ. II, გვ.126).

** «ნოვ. სლოვო», 1897, ივნისი, გვ. 113.

*** ბ-ნ გრიგორიევს მოჰყავს ცხრილი (I. c., 140), რომლიდანაც ჩანს. რომ 1885 წ. ყველა ქალაქის 85,6%-ს 20 000 მცხოვრებზე ნაკლები ჰყავდა. მათში იყო 38,0% ქალაქელი; ყველა ქალაქის 12,4%-ს (660-დან 82) ჰყავდა 2 000-ზე ნაკლები მცხოვრები, მათში იყო ქალაქელთა მთელი რიცხვის მხოლოდ 1,1% (9 962 ათასიდან 110 ათასი).

ამრიგად, თუ 60-იან წლებში ქალაქის მოსახლეობის ხასიათი განისაზღვრებოდა უმთავრესად შედარებით არც ისე დიდ ქალაქთა მოსახლეობით, 1890-იან წლებში ამ მხრით დიდმა ქალაქებმა სრულ უპირატესობას მიაღწიეს. იმ 14 ქალაქის მოსახლეობა, რომელნიც ყველაზე დიდები იყვნენ 1863 წ., გამრავლდა 1,7 მილიონიდან 4,3 მილიონამდე, ე. ი. 153%-ით, მაშინ როდესაც ქალაქის მთელი მოსახლეობა საზოგადოდ გაიზარდა მხოლოდ 97%-ით. მაშასადამე, მსხვილი ინდუსტრიული ცენტრების უდიდესი ზრდა და მთელი რიგი ახალი ცენტრების წარმოშობა რეფორმისშემდგომი ხანის ერთ-ერთი მეტად დამახასიათებელი სიმპტომია.

2) შინაური კოლონიზაციის მნიშვნელობა

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ (თავი I, § II, გვ. 25 — 26), მიწათმოქმედი მოსახლეობის ანგარიშზე ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდის კანონი თეორიას გამოჰყავს იმ გარემოებიდან, რომ მრეწველობაში ცვალებადი კაპიტალი აბსოლუტურად იზრდება (ცვალებადი კაპიტალის ზრდა ნიშნავს სამრეწველო მუშათა რიცხვის ზრდას და მთელი სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდას), ხოლო მიწათმოქმედებაში «განსაზღვრული ნაკვეთი მიწის დასამუშავებლად საჭირო ცვალებადი კაპიტალი აბსოლუტურად კლებულობს». «მაშასადამე, — დასძენს მარქსი, — მიწათმოქმედებაში ცვალებადი კაპიტალის ზრდა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მუშავდება ახალი მიწა, ეს კი ისევ გულისხმობს არამიწათმოქმედი მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ ზრდას» [135]. აქედან ცხადია, რომ ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდის მოვლენას წმინდა სახით შეიძლება მხოლოდ მაშინ შევხვდეთ, როცა ჩვენ წინ არის უკვე დასახლებული ტერიტორია, სადაც ყველა მიწა უკვე დაკავებულია. ასეთი ტერიტორიის მოსახლეობას, რომელსაც კაპიტალიზმი ერეკება მიწათმოქმედებიდან, ისღა დარჩენია, რომ გადასახლდეს ან სამრეწველო ცენტრებში, ან სხვა ქვეყნებში. მაგრამ მდგომარეობა არსებითად იცვლება, თუ საქმე გვაქვს იმგვარ ტერიტორიასთან, სადაც ჯერ კიდევ არაა დაკავებული ყველა მიწა და რომელიც ჯერ

კიდევ არაა მთლად დასახლებული. ასეთი ტერიტორიის მოსახლეობას, რომელიც დასახლებული რაიონის მიწათმოქმედებიდან გამოიდევნება, შეუძლია გადავიდეს ტერიტორიის დაუსახლებელ ნაწილში და ხელი მოჰკიდოს «ახალი მიწის დამუშავებას». მაშინ მივიღებთ მიწათმოქმედი მოსახლეობის ზრდას, და ეს ზრდა შეიძლება მიმდინარეობდეს (განსაზღვრული დროის განმავლობაში) არანაკლებ ჩქარა, თუ უფრო სწრაფად არა, ვიდრე ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა პროცესი: 1) კაპიტალიზმის განვითარება ძველ, დასახლებულ ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში; 2) კაპიტალიზმის განვითარება «ახალ მიწაზე». პირველი პროცესი გამოხატავს შექმნილი კაპიტალისტური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას; მეორე — ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის წარმოშობას ახალ ტერიტორიაზე. პირველი პროცესი ნიშნავს კაპიტალიზმის გაღრმავებას, მეორე — კაპიტალიზმის გაფართოებას. ცხადია, ამ პროცესების ერთმანეთში არევა აუცილებლად გამოიწვევს შემცდარ წარმოდგენას იმ პროცესზე, რომელიც იზიდავს მოსახლეობას მიწათმოქმედებიდან სავაჭრო-სამრეწველო მოსაქმეობისაკენ.

რეფორმისშემდეგდროინდელი რუსეთი გვიჩვენებს, რომ ორივე პროცესი სწორედ ერთდროულად იჩენს თავს. რეფორმისშემდგომი ხანის დასაწყისში, 60-იან წლებში, ევროპული რუსეთის სამხრეთი და აღმოსავლეთი განაპირა მხარეები მეტწილად დაუსახლებელ ტერიტორიას წარმოადგენდნენ, რომელსაც აწვებოდა გადასახლებულთა ძლიერი ტალღა ცენტრალური სამიწათმოქმედო რუსეთიდან. ახალ მიწებზე ახალი მიწათმოქმედი მოსახლეობის სწორედ ეს გაჩენა რამდენადმე ჩქმალავდა პარალელურად მიმდინარე პროცესს — მოსახლეობის გადასვლას მიწათმოქმედებიდან მრეწველობაზე. ნათლად რომ წარმოვიდგინოთ რუსეთის ეს თავისებურება ქალაქის მოსახლეობის მონაცემების მიხედვით, აუცილებელია ევროპული რუსეთის 50 გუბერნია ცალკეულ ჯგუფებად დავყოთ. მოგვყავს ცნობები, რომლებიც ეხება ევროპული რუსეთის 9 რაიონის ქალაქის მოსახლეობას 1863 და 1897 წლებში (იხ. გვ. 666).

ევროპული რუსეთის გუბერნიათა ჯგუფები	გუბერ. რიცხ.	მოსახლეობა ათასობით 1863			1897			ქალაქის მოსახლეობის %		მოსახლეობის მატების % 1863 წლიდან 1897 წლამდე		
		სულ	სოფლად	ქალაქად	სულ	სოფლად	ქალაქად	1863	1897	სულ	სოფლის	ქალაქის
I. სატახტო ქალაქებისა	2	2 738,4	1 680,0	1 058,4	4 541,0	1 989,7	2 551,3	38,6	56,2	65	18	141
II. სამრეწვ. და არასამიწათმოქმ.	9	9 890,7	9 165,6	725,1	12 751,8	11 647,8	1 104,0	7,3	8,6	29	26	52
სატახტო ქალაქთა გუბ., არასამიწათმოქმ. და სამრეწვ.	11	12 629,1	10 845,6	1 783,5	17 292,8	13 637,5	3 655,3	14,1	21,1	36	25	105
III. ცენ.-სამიწ., მალოროს. და შუა ვოლგ.	16	20 491,9	18 792,5	1 699,4	28 251,4	25 464,3	2 787,1	8,3	9,8	38	35	63
IV. ნოვოროს., ქვედა ვოლგ. და აღმოს	9	9 540,9	8 472,6	1 067,7	18 386,4	15 925,6	2 460,8	11,2	13,3	92	87	130
პირველი ოთხი ჯგუფ. ჯამი	33	42 661,3	38 110,7	4 550,6	63 930,6	55 027,4	8 903,2	10,5	13,9	49	44	95,6
V. ბალტიისპირეთის	3	1 812,3	1 602,6	209,7	2 387,0	1 781,6	605,4	11,5	25,3	31	11	188
VI. დასავლეთის	6	5 548,5	4 940,3	608,2	10 126,3	8 931,6	1 194,7	10,9	11,8	82	81	96
VII. სამხ.-დასავლეთის	3	5 483,7	4 982,8	500,9	9 605,5	8 693,0	912,5	9,1	9,5	75	74	82
VIII. ურალის	2	4 359,2	4 216,5	142,7	6 086,0	5 794,6	291,4	3,2	4,7	39	37	105
IX. განაპირა ჩრდილოეთის	3	1 555,5	1 462,5	93,0	2 080,0	1 960,0	120,0	5,9	5,8	33	34	29
სულ	50	61 420,5	55 315,4	6 105,1	94 215,4	82 188,2	12 027,2	9,94	12,76	53,3	48,5	97,0

ჯგუფებში შესული გუბერნიები: I) სპბ. და მოსკოვის; II) ვლადიმირის, კალუგის, კოსტრომის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ნოვგოროდის, ფსკოვის, სმოლენსკის, ტვერისა და იაროსლავლის; III) ვორონეჟის, ყაზანის, კურსკის, ორიოლის, პენზის, პოლტავის, რიაზანის, სარატოვის, სიმბირსკის, ტამბოვის, ტულის, ხარკოვისა და ჩერნიგოვის; IV) ასტრახანის, ბესარაბიის, დონის, ეკატერინოსლავის, ორენბურგის, სამარის, თავრიდის, ხერსონისა და უფის; V) კურლანდიის, ლიფლანდიისა და ესტლანდიის; VI) ვილნოს, ვიტებსკის, გროდნოს, კოვნოს, მინსკისა და მოგილიოვის; VII) ვოლინის, პოდოლსკისა და კიევის; VIII) ვიატკისა და პერმის; IX) არხანგელსკის, ვოლოგდისა და ოლონეცის.

ჩვენთვის საყურადღებო საკითხში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობებს სამი რაიონის შესახებ. ეს რაიონებია: 1) არასამიწათმოქმედო-სამრეწველო (პირველი ორი ჯგუფის 11 გუბერნია, მათ შორის ორი სატახტო ქალაქის გუბერნია)*. ეს ის რაიონია, საიდანაც ემიგრაცია სხვა რაიონებში ძალიან სუსტი იყო. 2) ცენტრალური სამიწათმოქმედო (13 გუბერნია — მესამე ჯგუფი). ამ რაიონიდან ემიგრაცია ძალიან ძლიერი იყო, ნაწილობრივ წინა რაიონში, უმთავრესად კი მომდევნო რაიონში. 3) სამიწათმოქმედო განაპირა მხარეები (მეოთხე ჯგუფის 9 გუბერნია) — ის რაიონი, რომელიც დასახლდა რეფორმისშემდგომ ხანაში. ქალაქის მოსახლეობის პროცენტი ყველა ამ 33 გუბერნიაში, როგორც ცხრილიდან ჩანს, ძალიან მცირედ განსხვავდება მთელი ევროპული რუსეთის ქალაქის მოსახლეობის პროცენტისაგან.

პირველ, არასამიწათმოქმედო ანუ სამრეწველო, რაიონში ჩვენ ვხედავთ ქალაქის მოსახლეობის პროცენტის განსაკუთრებით სწრაფ ზრდას: 14,1%-იდან 21,1%-დე. სოფლის მოსახლეობის ზრდა აქ ძალიან სუსტია, — თითქმის ერთიორად უფრო სუსტი, ვიდრე საზოგადოდ მთელ რუსეთში. პირიქით, ქალაქის მოსახლეობის ზრდა საშუალოზე გაცილებით მაღალია (105% წინააღმდეგ 97%-ისა). თუ რუსეთს შევადარებთ დასავლეთ ევროპის სამრეწველო ქვეყნებს (როგორც ამას ხშირად შვრებიან ჩვენში), ეს ქვეყნები უნდა შევადაროთ მარტო ამ რაიონს, ვინაიდან მხოლოდ ის იმყოფება სამრეწველო კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით დაახლოებით თანაბარ პირობებში.

მეორე, ცენტრალურ-სამიწათმოქმედო, რაიონში ჩვენ სხვა სურათს ვხედავთ. აქ ქალაქის მოსახლეობის პროცენტი ძა-

* სწორედ ჩვენს მიერ აღებული არასამიწათმოქმედო გუბერნიების სატახტო ქალაქების გუბერნიებთან შეერთების სისწორე მტკიცდება იმით, რომ სატახტო ქალაქების მოსახლეობა უმთავრესად ამ გუბერნიებიდან გამოსული ელემენტებით ივსება. პეტერბურგის 1890 წ. 15 დეკ. აღწერით აქ სულ იყო 726 ათასი გლეხი და მეშჩანი; აქედან 544 ათასი (ე. ი. სამი მეოთხედი) იყო იმ 11 გუბერნიის გლეხი და მეშჩანი, რომლებიდანაც ჩვენ შევადგინეთ პირველი რაიონი.

ლიან დაბალია და საშუალოზე ნელა იზრდება. როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის ზრდა 1863 წლიდან 1897 წლამდე აქ გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე საშუალოდ მთელ რუსეთში. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ამ რაიონიდან გადასახლებულთა ძლიერი ნაკადი აწვებოდა განაპირა მხარეებს. ბ-ნ ვ. მიხაილოვსკის გამოანგარეშებით, 1885 წლიდან 1897 წლამდე აქედან გადასახლდა 3 მილიონ კაცამდე, ე. ი. მოსახლეობის ერთ მეათედ ნაწილზე მეტი*.

მესამე რაიონში, განაპირა მხარეებში, ჩვენ ვხედავთ, რომ ქალაქის მოსახლეობის პროცენტი გაიზარდა საშუალოზე ცოტა ნაკლებ (11,2%-დან 13,3%-მდე, ე. ი. პროპორციით 100 : 118, საშუალოდ 9,94 — 12,76, ე. ი. პროპორციით 100: 128). ამავე დროს ქალაქის მოსახლეობის ზრდა აქ იყო არათუ უფრო სუსტი, არამედ საშუალოზე გაცილებით მაღალი (+130% წინააღმდეგ +97 %-ისა). მაშასადამე, მოსახლეობის მიზიდვა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ ძალიან ძლიერი იყო, მაგრამ იგი იჩქმალება ემიგრაციის გამო მიწათმოქმედი მოსახლეობის უზარმაზარი ზრდით: ამ რაიონში სოფლის მოსახლეობამ მოიმატა 87%-ით წინააღმდეგ მთელი რუსეთის სოფლის მოსახლეობის საშუალო მატებისა 48,5%-ით. ცალკეულ გუბერნიებში მოსახლეობის ინდუსტრიალიზაციის პროცესის ეს მიჩქმალვა კიდევ უფრო აშკარაა. მაგალითად, თავრიდის გუბერნიაში ქალაქის მოსახლეობის პროცენტი 1897 წ. ისეთივე დარჩა, როგორიც იყო 1863 წ. (19,6%), ხოლო ხერსონის გუბერნიაში ამ პროცენტმა კიდეც დაიკლო (25,9%-დან 25,4%-მდე), თუმცა ორივე გუბერნიის ქალაქთა ზრდა ცოტათი ჩამორჩებოდა სატახტო ქალაქების ზრდას (+131, +135% წინააღმდეგ +141%-ისა ორივე სატახტო ქალაქის გუბერნიაში). მაშასადამე, ახალი მიწათმოქმედი მოსახლეობის გაჩენა ახალ ტერიტორიაზე თავის მხრით იწვევს არამიწათმოქმედი მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ ზრდას.

* L. c., გვ. 109. «დასავლეთი ევროპის უახლეს ისტორიაში ამის მსგავსი მოძრაობა არაა» (110 — 111).

3) საფაბრიკო და სავაჭრო-სამრეწველო დაბა-სოფელთა ზრდა

ინდუსტრიული ცენტრების მნიშვნელობა, გარდა ქალაქებისა, აქვთ, ჯერ ერთი, გარეუბნებს, რომლებიც ყოველთვის როდი ითვლებიან ქალაქებთან ერთად და რომლებიც დიდი ქალაქის მიდამოების სულ უფრო და უფრო მეტ რაიონს მოიცავენ; მეორეც, საფაბრიკო დაბებსა და სოფლებს. ასეთი ინდუსტრიული ცენტრები * განსაკუთრებით ბევრია სამრეწველო გუბერნიებში, რომლებშიც ქალაქის მოსახლეობის პროცენტი მეტად დაბალია **. ზემომოყვანილი რაიონობრივი ცნობების ცხრილი ქალაქის მოსახლეობის შესახებ გვიჩვენებს, რომ 9 სამრეწველო გუბერნიაში ეს პროცენტი 1863 წ. იყო 7,3%, 1897 წ. — 8,6%. საქმე ისაა, რომ ამ გუბერნიების სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა უმთავრესად თავმოყრილია არა ქალაქებში, არამედ ინდუსტრიულ სოფლებში. ვლადიმირის, კოსტრომის, ნიჟნი-ნოვგოროდის და სხვა გუბერნიების «ქალაქთა» შორის მრავალია ისეთი ქალაქი, სადაც უფრო ნაკლები მცხოვრებია, ვიდრე სამი, ორი და ერთი ათასიც კი, მაშინ როდესაც მთელი რიგი «სოფლები» შეიცავენ თვითეული 2 — 3 — 5 ათასს მარტო საფაბრიკო-საქარხნო მუშას. რეფორმისშემდგომ ეპოქაში, — სამართლიანად ამბობს «იაროსლავლის გუბერნიის მიმოხილვის» შემდგენელი (ნაკვ. II, 191), — «ქალაქებმა კიდევ უფრო სწრაფად იწყეს ზრდა; ამას დაემატა აგრეთვე ახალი ტიპის, ქალაქისა და სოფლის შუათანა ტიპის საფაბრიკო-საქარხნო ცენტრების მოსახლეობის ზრდა». ზემოთ უკვე მოყვანილი იყო ცნობები ამ ცენტრების უზარმაზარი ზრდისა და იქ თავმოყრილ საფაბრიკო-საქარხნო მუშათა რიცხვის შესახებ. ჩვენ ვნახეთ, რომ

---

* იხ. მათ შესახებ ზემოთ, თავი VII, § VIII, და VII თავის III დანართი.

** ჯერ კიდევ კორსაკის მიერ აღნიშნული ამ გარემოების მნიშვნელობის შესახებ შეადარე ბ-ნ ვოლგინის სამართლიანი შენიშვნები (l. c., გვ. 215 — 216).

ასეთი ცენტრები ცოტა როდია მთელ რუსეთში, არა მარტო სამრეწველო გუბერნიებში, არამედ სამხრეთშიც. ურალში ქალაქის მოსახლეობის პროცენტი ძალიან დაბალია: ვიატკისა და პერმის გუბერნიებში 1863 წ. — 3,2% და 1897 წ. — 4,7%, მაგრამ აი «ქალაქური» და ინდუსტრიული მოსახლეობის შედარებითი სიდიდის ერთი მაგალითი. პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრაში ქალაქის მოსახლეობა უდრის 6,4 ათასს (1897 წ.), მაშინ როდესაც 1888 — 1891 წლების საერობო აღწერით მაზრის საქარხნო ნაწილში 84,7 ათასი მცხოვრებია, რომელთაგან 56 ათასი სულ აღარ მისდევს მიწათმოქმედებას და მხოლოდ 5,6 ათასი ირჩენს თავს უმთავრესად მიწით. ეკატერინბურგის მაზრაში, საერობო აღწერით, 65 ათასი სული უმიწაწყლოა და მხოლოდ 81 ათასს აქვს სათიბი. მაშასადამე, მარტო ორი მაზრის ინდუსტრიული ქალაქგარეშე მოსახლეობა მთელი გუბერნიის ქალაქის მოსახლეობაზე მეტია (1897 წ. — 195,6 ათასი!).

ბოლოს, საფაბრიკო დაბებს გარდა, ინდუსტრიული ცენტრების მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო სოფლებს, რომლებიც ან სათავეში უდგანან მსხვილ შინასამრეწველო რაიონებს, ან სწრაფად განვითარდნენ რეფორმისშემდგომ ხანაში იმის გამო, რომ მდებარეობდნენ მდინარეთა ნაპირებზე, რკინიგზის სადგურების ახლოს და სხვ. ასეთი სოფლების რამდენიმე მაგალითი მოყვანილი იყო VI თავში, § II, ამასთან იქ ჩვენ ვნახეთ, რომ ამგვარი სოფლები, ისე როგორც ქალაქები, მოსახლეობას იზიდავენ სხვა სოფლებიდან და რომ ისინი, ჩვეულებრივ, მოსახლეობის მიერ წერა-კითხვის მცოდნეობის უფრო მაღალი დონით გამოირჩევიან *. სანიმუშოდ კიდევ მოგვყავს ცნობები ვორო-

* თუ რამდენად დიდია რუსეთში იმ სოფელთა რიცხვი, რომელნიც მოსახლეობის მეტად მსხვილი ცენტრები არიან, ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ «სამხედრო-სტატ. კრებულის» შემდეგი (თუმცა მოძველებული) ცნობების მიხედვით: ევროპული რუსეთის 25 გუბერნიაში 60-იან წლებში ითვლებოდა 1 334 სოფელი, რომელთაგან თვითეულში 2 ათას მცხოვრებზე მეტი იყო; მათ შორის 108 სოფელში იყო 5 — 10 ათასი მცხ., ექვსში —

ნეჟის გუბერნიის შესახებ, რათა ნათელვყოთ საქალაქო და არასაქალაქო სავაჭრო-სამრეწველო დასახლებული ადგილების შედარებითი მნიშვნელობა. ვორონეჟის გუბერნიის «ნაკრები» იძლევა კომბინაციურ ცხრილს, სადაც დაჯგუფებულია გუბერნიის 8 მაზრის სოფლები. ამ მაზრებში არის 8 ქალაქი 56 149 მცხოვრებით (1897 წ.). სოფლებს შორის კი განირჩევა ოთხი — 9 376 კომლით, 53 732 მცხოვრებით, ე. ი. ეს სოფლები ქალაქებზე გაცილებით უფრო დიდია. ამ სოფლებში 240 სავაჭრო და 404 სამრეწველო საწარმოა. კომლთა მთელი რიცხვიდან 60% სულ არ ამუშავებს მიწას, 21% ამუშავებს დაქირავებით ან სანახევროდ, 71% არ გააჩნია არც მუშა პირუტყვი, არც ინვენტარი, 63% ყიდულობს პურს მთელი წლის განმავლობაში, 86% მრეწაობას ეწევა. როცა ამ ცენტრების მთელ მოსახლეობას სავაჭრო-სამრეწ-

---

10-დან 15 ათასამდე, ერთში — 15-დან 20 ათასამდე და ერთში — 20 ათასზე მეტი (გვ. 169). კაპიტალიზმის განვითარება არა მარტო რუსეთში, არამედ ყველა ქვეყანაში იწვევდა ახალი ინდუსტრიული ცენტრების წარმოშობას, რომელთაც ოფიციალურად ქალაქებს არ მიაკუთვნებდნენ. «განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის ჰქრება: მზარდი ინდუსტრიული ქალაქების ახლოს ეს ხდება იმიტომ, რომ სამრეწველო საწარმოები და მუშათა ბინები გადააქვთ ქალაქის გარეუბნებსა და მიდამოებში; დაქვეითების გზაზე შემდგარი პატარა ქალაქების ახლოს ეს ხდება იმიტომ, რომ უკანასკნელნი უახლოვდებიან გარეშემო სოფლებს, აგრეთვე იმიტომ, რომ ვითარდებიან მსხვილი ინდუსტრიული სოფლები... განსხვავება ქალაქის და სოფლის დასახლებულ ადგილებს შორის ისპობა მრავალრიცხოვანი გარდამავალი ფორმების წარმოშობის გამო. სტატისტიკამ ეს დიდი ხანია აღიარა, — მან განზე დატოვა ქალაქის ისტორიულ-იურიდიული ცნება და მის ნაცვლად წამოაყენა სტატისტიკური ცნება, რომელიც დასახლებულ ადგილებს ერთმანეთისაგან მხოლოდ მცხოვრებთა რაოდენობით განასხვავებს» (*Bücher*. «Die Entstehung der Volkswirtschaft». Tüb. 1893. S. 296 — 297 და 303 — 304). რუსეთის სტატისტიკა ამ მხრივაც ძალიან ჩამორჩა ევროპულს. გერმანიასა და საფრანგეთში («Statesman's Yearbook», p. 536, 474) ქალაქებს მიაკუთვნებენ იმ დასახლებულ ადგილებს, რომლებშიც 2 000 მცხოვრებზე მეტია, ინგლისში — net urban sanitary districts (ქალაქური ტიპის სანიტარულ ოლქებს. რ ე დ.), ე. ი. საფაბრიკო სოფლებსაც და სხვ. მაშასადამე, რუსული ცნობები «ქალაქის» მოსახლეობის შესახებ ყოვლად შეუძლებელია შევადაროთ ევროპულ ცნობებს.

ველო მოსახლეობას მივაკუთვნებთ, ჩვენ არათუ არ ვაჭარ-ბებთ, არამედ ვამცირებთ კიდეც ამ უკანასკნელის ოდენობას, ვინაიდან ამ 8 მაზრაში 21 956 მეურნეობა სულაც არ ამუ-შავებს მიწას. და მაინც, ჩვენ მიერ აღებულ სამიწათმოქმედო გუბერნიაში ქალაქებს გარეთ სავაჭრო-სამრეწველო მოსახლე-ობა ნაკლები არაა, ვიდრე ქალაქებში.

4) არასამიწათმოქმედო გარესარეწები

ქალაქებზე საფაბრიკო, საქარხნო და სავაჭრო-სამრეწ-ველო დაბა-სოფლების დამატებითაც კი ვერ ამოიწურე-ბა სავსებით რუსეთის მთელი ინდუსტრიული მოსახლეობა. გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლების უქონლობა, გლეხური თემის წოდებრივი კარჩაკეტილობა სავსებით გვიხსნის რუ-სეთის იმ შესამჩნევ თავისებურებას, რომ აქ ინდუსტრიულ მოსახლეობას უნდა მივაკუთვნოთ სოფლის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, რომელიც საარსებო სახსრებს სამრეწ-ველო ცენტრებში მუშაობით იძენს და წლის ნაწილს ამ ცენტრებში ატარებს. ჩვენ ვლაპარაკობთ ეგრეთწოდებულ არა-სამიწათმოქმედო გარესარეწებზე. ოფიციალური თვალ-საზრისით, ეს «მრეწველები» — მიწათმოქმედი გლეხები არიან, რომლებსაც მხოლოდ «დამხმარე საშოვრები» აქვთ, — და ნა-როდნიკული ეკონომიის წარმომადგენელთა უმრავლესობამ სწორედ ეს თვალსაზრისი შეითვისა განუსჯელად. ამ თვალ-საზრისის უსაფუძვლობის უფრო დაწვრილებით დამტკიცება ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საჭირო აღარაა. როგორც უნდა შევხედოთ ამ მოვლენას, ყოველ შემთხვევაში, სრუ-ლიად უეჭველია, რომ იგი გამოხატავს მიწათმოქმედე-ბიდან სოფლის მოსახლეობის გამოცალკევებას და მის გადასვლას სავაჭრო-სამრეწველო მო-საქმეობაზე*. რამდენად იცვლება ამ ფაქტით ის წარ-

* ბ-ნი ნ.—ონი სულაც ვერ ამჩნევს რუსეთში მოსახლეობის ინდუსტრიალიზაციის პროცესს! ბ-ნი ვ. ვ. ამჩნევს და კიდეც აღიარებს, რომ გასვლის ზრდა გამოხატავს მიწათმოქმედებიდან მოსახლეობის გამო-

მოდგენა ინდუსტრიული მოსახლეობის ოდენობაზე, რომელსაც იძლევიან ქალაქები,— ეს შემდეგი მაგალითით შეგვიძლია დავინახოთ. კალუგის გუბერნიაში ქალაქის მოსახლეობის პროცენტი გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ არის მთელ რუსეთში (8,3% წინააღმდეგ 12,8%-ისა). მაგრამ აი ამ გუბერნიის 1896 წ. «სტატისტიკურ მიმოხილვას» გამოჰყავს, პასპორტების შესახებ ცნობების მიხედვით, იმ თვეების საერთო რიცხვი, როცა გამსვლელი მუშები სხვაგან იმყოფებიან. თურმე, იგი უდრის 1 491,6 ათას თვეს; ეს, 12-ზე გაყოფის შემდეგ, იძლევა სხვაგან გასული მოსახლეობის 124,3 ათას სულს, ე. ი. «დაახლოებით მთელი მოსახლეობის 11%» (l. c., 46)! მიუმატეთ ეს მოსახლეობა ქალაქისას (1897 წ.: 97,9 ათასი) და აღმოჩნდება, რომ ინდუსტრიული მოსახლეობის პროცენტი ძალიან მნიშვნელოვანია.

რასაკვირველია, გამსვლელი არამიწათმოქმედი მუშების ერთი ნაწილი რეგისტრირდება ქალაქთა ნამდვილი მოსახლეობის რიცხვში, აგრეთვე შედის იმ არაქალაქური ინდუსტრიული ცენტრების მოსახლეობაში, რომლებზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი. მაგრამ მხოლოდ ერთი ნაწილი, ვინაიდან ამ მოსახლეობის მოხეტიალობის გამო მისი აღრიცხვა ცალკეული ცენტრების აღწერით ძნელია; გარდა ამისა, მოსახლეობის აღწერა ჩვეულებრივ ზამთარში ხდება, მაშინ როცა მრეწავი მუშების უდიდესი ნაწილი გაზაფხულზე გადის სახლიდან. აი ცნობები ამის შესახებ არასამიწათმოქმედო გასვლის ზოგიერთი მთავარი გუბერნიისათვის *.

ცალკევებას («კაპიტალიზმის ბედი», 149); მაგრამ მას არათუ არ შეაქვს ეს პროცესი «კაპიტალიზმის ბედის» შესახებ თავის წარმოდგენათა ერთობლიობაში, არამედ ცდილობს მიჩქმალოს იგი ლამენტაციებით იმის გამო, რომ «არიან ადამიანები, რომლებსაც ყოველივე ეს მეტად ბუნებრივად მიაჩნიათ» (კაპიტალისტური საზოგადოებისათვის? ხოლო ბ-ნ ვ. ვ.-ს შეუძლია წარმოიდგინოს კაპიტალიზმი ამ მოვლენის გარეშე?) «და თითქმის სასურველადაც კი» (ibid.). სასურველად, ყოველნაირი «თითქმის» დაუმატებლად, ბ-ნო ვ. ვ.!

* «1880 და 1885 წლებში მოსკოვის გუბ. გლეხ მოსახლეობაზე გაცემული საცხოვრებელი მოწმობანი». — «ტვერის გუბ. 1897 წ. სტატისტ.

გაცემულ საცხოვრებელ მოწმობათა რაოდენობის პროცენტული განაწილება									
წლის დრო	მოსკოვის გუბ. (1885 წ.)		ტვერის (1897)	სმოლენსკის (1895)	ფსკოვისა (1895) პასპორტები		კოსტრომის (1880 წ.)		
							კაცის		ქალების პასპორტები
	კაცის	ქალის	კაცის და ქალის		კაცის	ქალის	პასპორტი	ბილეთი	
ზამთარი	19,3	18,6	22,3	22,4	20,4	19,3	16,2	16,2	17,3
გაზაფხული	*32,4*	*32,7*	*38,0*	*34,8*	*30,3*	*27,8*	*43,8*	*40,6*	*39,4*
ზაფხული	20,6	21,2	19,1	19,3	22,6	23,2	15,4	20,6	25,4
შემოდგომა	27,8	27,4	20,6	23,5	26,7	29,7	24,6	22,8	17,9
სულ	100,1	99,9	100	100	100	100	100	100	100

გაცემული პასპორტების მაქსიმუმი რაოდენობა ყველგან გაზაფხულზე მოდის. მაშასადამე, დროებით სხვაგან წასული მუშების დიდი ნაწილი არ ხვდება ქალაქების აღწერაში*. მაგრამ ეს დროებითი ქალაქელებიც შეგვიძლია მეტი

წელიწდეული». — ჟბანკოვი: «გარესარეწები სმოლენსკის გუბერნიაში». სმოლენსკი, 1896. — მისივე: «გარესაშოვრების და სხვ. გავლენა». კოსტრომა. 1887. — «ფსკოვის გუბ. გლეხი მოსახლეობის სარეწები». ფსკოვი, 1898. — მოსკოვის გუბერნიის შესახებ პროცენტებში შეპარული შეცდომები ვერ გასწორდა, რადგან აბსოლუტური ცნობები არაა მოცემული. — კოსტრომის გუბერნიის შესახებ მოიპოვება მარტო მაზრობრივი ცნობები, ისიც მხოლოდ პროცენტულად: ამიტომ ჩვენ ავიღეთ მაზრობრივ ცნობათა საშუალონი, რის გამოც ცალკე გამოვყოფთ კოსტრ. გუბერნიის ცნობებს. იაროსლავლის გუბერნიისათვის ანგარიშობენ, რომ გამსვლელ მრეწველთაგან მთელი წლის განმავლობაში სხვაგან არის 68,7%; შემოდგომაზე და ზამთარში — 12,6%; გაზაფხულსა და ზაფხულში — 18,7%. უნდა აღინიშნოს, რომ ცნობები იაროსლავლის გუბერნიის შესახებ («იაროსლავლის გუბ. მიმოხილვა», ნაკვ. II, იაროსლ. 1896) არ შეიძლება შედარებულ იქნას წინა ცნობებთან, ვინაიდან დამყარებულია მღვდლებისა და სხვ. ჩვენებებზე და არა საპასპორტო ცნობებზე.

* ცნობილია, მაგალითად, რომ ს.-პეტერბურგის გარეუბნებში მოსახლეობა ზაფხულობით მეტად საგრძნობლად მატულობს ხოლმე.

უფლებით მივაკუთვნოთ ქალაქის, ვიდრე სოფლის მოსახლეობას: «იმ ოჯახს, რომელიც წლის თუ მისი დიდი ნაწილის განმავლობაში საარსებო სახსრებს ქალაქში მუშაობით იძენს, გაცილებით მეტი საფუძველი აქვს ბინადრობის ადგილად თავისი არსებობის უზრუნველმყოფელი ქალაქი ჩასთვალოს, ვიდრე სოფელი, რომელთანაც მას მხოლოდ ნათესაური და ფისკალური ურთიერთობა აკავშირებს»*. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღესაც ამ ფისკალურ კავშირურთიერთობას, ეს ჩანს, მაგალითად, იქიდან, რომ გამსვლელ კოსტრომელთაგან «მეპატრონენი იშვიათად ღებულობენ მიწის გამოსაღებთა განსაზღვრულ მცირე ნაწილსაც კი, არამედ მიწას ჩვეულებრივ აქირავებენ იმისათვის, რომ დამქირავებლებმა იგი შემოღობონ, ხოლო ყველა გამოსაღებს თვითონ მეპატრონე იხდის» (დ. ჟბანკოვი: «ბაბია სტორონა». კოსტრ. 1891 წ., გვ. 21). «იაროსლავლის გუბერნიის მიმოხილვაშიც» (ნაკვ. II, იარ. 1896) არაერთხელ არის აღნიშნული ის გარემოება, რომ გამსვლელი მრეწავი მუშები იძულებული არიან თავი დაიხსნან სოფლისა და ნადელისაგან (გვ. 28, 48 149, 150, 166 და სხვ.)**.

---

* «კალუგის გუბ. 1896 წ. სტატისტ. მიმოხილვა». კალუგა, 1897, გვ. 18, განყ. II.

** «გარესარეწები... ფორმაა, რომელიც ჰფარავს ქალაქების ზრდის შეუწყვეტელ პროცესს... სათემო მიწათმფლობელობა და რუსეთის ფინანსური და ადმინისტრაციული ცხოვრების სხვადასხვა თავისებურება ნებას არ აძლევენ გლეხებს ისე ადვილად გახდნენ ქალაქელები, როგორც ეს შესაძლებელია დასავლეთში... ის (გამსვლელი) იურიდიული ძაფებითაა სოფელთან დაკავშირებული, ხოლო არსებითად, თავისი მოსაქმეობით, ჩვეულებით და გემოვნებით სავსებით ეზიარა ქალაქს და ხშირად სოფელთან კავშირი მისთვის მძიმე ტვირთს წარმოადგენს» («რუსსკაია მისლ», 1896 წ., № 11, გვ. 227). ეს სავსებით მართალია, მაგრამ პუბლიცისტისათვის ეს არ კმარა. რატომ გადაჭრით არ დაუჭირა მხარი ავტორმა გადასვლა-გადმოსვლის სრულ თავისუფლებას, თემიდან გლეხების გამოსვლის თავისუფლებას? ჩვენს ლიბერალებს კიდევ ეშინიათ ჩვენი ნაროდნიკებისა. მაგრამ ამაოდ.

აი, შესადარებლად, ნაროდნიკობის თანამგრძნობ ბ-ნ ჟბანკოვის მსჯელობა: «ქალაქიდან გასვლა, ასე ვთქვათ, მეხთამრიდია (sic!)

რამდენად დიდია გამსვლელი არამიწათმოქმედი მუშების რიცხვი? იმ მუშების რიცხვი, რომლებიც ყოველნაირ გარესარეწს მისდევენ, იქნება არანაკლებ 5—6 მილიონი. მართლაც, 1884 წ. ევროპულ რუსეთში გაცემულია 4,67 მილიონამდე პასპორტი და ბილეთი *, ხოლო საპასპორტო შემოსავალი 1884-დან 1894 წლამდე გაიზარდა ერთი მესამედით და უფრო მეტად (3,3-დან 4,5 მილიონ მანეთამდე). 1897 წ. გაიცა სულ რუსეთში 9 495,7 ათასი პასპორტი და ბილეთი (აქედან ევროპული რუსეთის 50 გუბერნიაში — 9 333,2 ათასი). 1898 წ. — 8 259,9 ათასი (ევროპულ რუსეთში — 7 809,6 ათასი) **. ზედმეტ (ადგილობრივ მოთხოვნილებასთან შედარებით) მუშათა რიცხვს ევროპული რუსეთისათვის ბ-ნი ს. კოროლენკო განსაზღვრავს 6,3 მილიონით. ზემოთ ჩვენ ვნახეთ (თავი III, § IX, გვ. 267—268), რომ 11 სამიწათმოქმედო გუბერნიაში გაცემული პასპორ-

---

ჩვენი სატახტო და დიდი ქალაქების გაძლიერებული ზრდის და ქალაქისა და უმიწაწყლო პროლეტარიატის გამრავლების წინააღმდეგ. როგორც სანიტარული, ისე სოციალურ-ეკონომიური მხრით გარესაშოვართა ეს გავლენა სასარგებლოდ უნდა ჩავთვალოთ: ვიდრე ხალხის მასა სავსებით არ ჩამოშორებია მიწას, რომელიც გამსვლელ მუშებს ერთგვარად უზრუნველჰყოფს» (ამ «უზრუნველყოფას» კი ისინი ფულით აღწევენ თავს!), «ეს მუშები ვერ გახდებიან კაპიტალისტური წარმოების ბრმა იარაღად, და ამასთან ერთად რჩება სამიწათმოქმედო-სამრეწველო თემების მოწყობის იმედი» («იურიდიჩესკი ვესტნიკ», 1890, № 9, გვ. 145). წვრილბურჟუაზიული იმედების შენარჩუნება, განა ეს მართლაც სასარგებლო არაა? რაც შეეხება «ბრმა იარაღს», როგორც ევროპის გამოცდილება, ისე ყველა ფაქტი, რაც რუსეთში ხდება, გვიჩვენებს, რომ ეს კვალიფიკაცია გაცილებით უფრო შეეფერება იმ მომუშავეს, რომელიც დაკავშირებულია მიწასა და პატრიარქალურ ურთიერთობასთან, ვიდრე იმას, ვისაც ეს კავშირი გაუწყვეტია. თვით ბ-ნ ებანკოვის ციფრები და ცნობები გვიჩვენებენ, რომ გამსვლელი «პიტერელი» გაცილებით უფრო მცოდნე, უფრო კულტურული, უფრო განვითარებულია, ვიდრე რომელიმე «ტყიანი» მაზრის კოსტრომელი ბინადარი.

* ლ. ვესინი. «გარესარეწების მნიშვნელობა და სხვ.», «დელო», 1886, № 7, და 1887, № 2.

** «აქციზით დაბეგრილ წარმოებათა და სხვ. 1897 — 1898 წწ. სტატისტიკა», სპბ. 1900. შეუწერელ გამოსაღებთა მთავარი სამმართველოს გამოცემა.

ტების რიცხვი აჭარბებს ბ-ნ ს. კოროლენკოს ანგარიშს (2 მილიონი წინააღმდეგ 1,7 მილიონისა). ახლა შეგვიძლია მივუმატოთ ცნობები 6 არასამიწათმოქმედო გუბერნიის შესახებ: ბ-ნი კოროლენკო მათში სთვლის 1 287,8 ათას ზედმეტ მუშას, ხოლო გაცემული პასპორტების რაოდენობა უდრის 1 298,6 ათასს *. ამრიგად, ევროპული რუსეთის 17 გუბერნიაში (11 შავმიწიანი + 6 არაშავმიწიანი გუბერნია) ბ-ნი ს. კოროლენკო სთვლის 3 მილიონ ზედმეტ (ადგილობრივ მოთხოვნილებასთან შედარებით) მუშას. 90-იან წლებში კი ამ 17 გუბერნიაში გაუცია თ 3,3 მილიონი პასპორტი და ბილეთი. 1891 წ. ეს 17 გუბერნია იძლეოდა მთელი საპასპორტო შემოსავლის 52,2%. მაშასადამე, გ ა მ ს ვ ლ ე ლ მ უ შ ა თ ა რ ი ც ხ ვ ი, ა შ კ ა რ ა ა, ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა 6 მ ი ლ ი ო ნ კ ა ც ს. ბოლოს, ბ-ნ უვაროვს საერობო სტატისტიკის (მეტწილად მოძველებულის) მონაცემთა მიხედვით ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ბ-ნ ს. კოროლენკოს ციფრი ჭეშმარიტებასთან ახლოსაა, ხოლო ციფრი — 5 მილიონი გამსვლელი მუშა — «უაღრესად დასაჯერებელია» **.

ახლა ვიკითხოთ, რამდენად დიდია არამიწათმოქმედ და მიწათმოქმედ გამსვლელ მუშათა რიცხვი? ბ-ნი ნ. — ონი ძალიან თამამად და სრულიად შემცდარად ამტკიცებს, რომ «გლეხური გარესარეწების უდიდესი უმრავლესობა სწორედ სამიწათმოქმედო ხასიათისაა» («ნარკვევები», გვ. 16). ჩასლავსკი, რომელსაც ბ-ნი ნ. — ონი ეყრდნობა, გაცილებით უფრო ფრთხილად ლაპარაკობს, არავითარ ცნობებს არ იშველიებს

* გუბერნიები: მოსკოვის (1885 წ., მოძველებული ცნობები), ტვერის (1896 წ.), კოსტრომის (1892 წ.), სმოლენსკის (1895 წ.), კალუგის (1895 წ.) და ფსკოვის (1896 წ.). წყაროები ზემოთაა დასახელებული. ცნობები ეხება როგორც ქალების, ისე მამაკაცების სხვაგანყოფნის ყველა სახეს.

** «საზოგადოებრივი ჰიგიენის, სასამართლო და პრაქტიკული მედიცინის მოამბე». 1896 წ., ივლისი. მ. უ ვ ა რ ო ვ ი: «გარესარეწის გავლენა რუსეთის სანიტარულ მდგომარეობაზე». ბ-ნ უვაროვს გამოჰყავს 20 გუბერნიის 126 მაზრის ცნობები.

და კმაყოფილდება ზოგადი მოსაზრებებით იმ რაიონების სიდიდეზე, რომლებიც უშვებენ არამიწათმოქმედ და მიწათმოქმედ მუშებს. ხოლო ბ-ნ ნ. — ონის ცნობები რკინიგზებით მგზავრთა მიმოსვლის შესახებ სრულიად არაფერს ამტკიცებენ, ვინაიდან არამიწათმოქმედი მუშებიც უმთავრესად გაზაფხულზე გადიან შინიდან, ამასთან ისინი გაცილებით მეტად სარგებლობენ რკინიგზებით, ვიდრე მიწათმოქმედი მუშები *. პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ გამსვლელი მუშების უმრავლესობას (თუმცა არა «უდიდეს უმრავლესობას»), ალბათ, არამიწათმოქმედი მუშები შეადგენენ. ეს აზრი ემყარება, ჯერ ერთი, საპასპორტო შემოსავლის განაწილების ცნობებს და, მეორეც, ბ-ნ ვესინის ცნობებს. ჯერ კიდევ ფლეროვსკიმ 1862/63 წ. «სხვადასხვა სახელწოდების საბაჟო» შემოსავლის (მესამედზე მეტს საპასპორტო შემოსავალი იძლეოდა) განაწილების ცნობების მიხედვით ის დასკვნა გამოიყვანა, რომ საშოვარზე გლეხები უმთავრესად სატახტო ქალაქთა გუბერნიებიდან და არასამიწათმოქმედო გუბერნიებიდან მიდიან **. თუ ჩვენ იმ 11 არასამიწათმოქმედო გუბერნიას ავიღებთ, რომლებიც ზემოთ (ამ პარაგრაფის მეორე პუნქტი) ერთ რაიონად გავაერთიანეთ და რომლებიდანაც არამიწათმოქმედი მუშების დიდი უმრავლესობა გადის, — დავინახავთ, რომ ამ გუბერნიებში 1885 წ. იყო მთელი ევროპული რუსეთის მოსახლეობის მხოლოდ 18,7% (1897 წ. — 18,3%), მაშინ როდესაც საპასპორტო შემოსავალს ისინი 1885 წ. იძლეოდნენ 42,9% (1891 წ. — 40,7%) ***. არამიწათმოქმედ მუშებს კიდევ ძალიან ბევრი გუბერნია უშვებს, და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მიწათმოქმედი მუშები გამსვლელთა ნახევარზე ნაკლებს შეადგენენ. ბ-ნი ვესინი ევროპული

* შეად. ზემოთ, გვ. 268 — 269, შენიშვნა.

** «მუშათა კლასის მდგომარეობა რუსეთში». სპბ. 1869, გვ. 400 და შემდეგი.

*** საპასპორტო შემოსავლის მონაცემები აღებულია 1884/85 და 1896 წ. «რუსეთის ცნობების კრებულიდან». 1885 წ. ევროპული რუსეთის საპასპორტო შემოსავალი შეადგენდა 37 მან. 1 000 მცხოვრებზე; 11 არასამიწათმოქმედო გუბერნიაში — 86 მან. 1 000 მცხოვრებზე.

რუსეთის 38 გუბერნიას (რომლებიც იძლევიან ყოველგვარი სახის სხვაგანყოფნის 90%) ჯგუფებად ანაწილებს გასვლის სხვადასხვა სახის ჭარბობის მიხედვით და გვაწვდის შემდეგ ცნობებს *:

გუბერნიათა ჯგუფები	სხვაგანყოფნის მოწმობათა რიცხვი 1884 წ. (ათასობით)			მოსახლეობა 1885 წელს ათასობით	1000 მცხოვრებზე მოწმობა
	პასპორტი	ბილეთი	სულ		
I. 12 გუბერნია, სადაც არასამიწათმოქმედო გასვლა ჭარბობს	967,8	794,5	1 762,3	18 643,8	94
II. 5 გარდამავალი გუბერნია	423,9	299,5	723,4	8 007,2	90
III. 21 გუბერნია, სადაც სამიწათმოქმედო გასვლა ჭარბობს	700,4	1 046,1	1 746,5	42 518,5	41
38 გუბერნია	2 092,1	2 140,1	4 232,2	69 169,5	61

* ცხრილის ორი უკანასკნელი სვეტი ჩვენი დამატებულია. I ჯგუფში შევიდა: არხანგელსკის, ვლადიმირის, ვოლოგდის, ვიატკის, კალუგის, კოსტრომის, მოსკოვის, ნოვგოროდის, პერმის, ს.-პეტერბურგის, ტვერისა და იაროსლავლის გუბერნიები; მეორეში: ყაზანის, ნიჟნი-ნოვგოროდის, რიაზანის, ტულისა და სმოლენსკის გუბერნიები; მესამეში: ბესარაბიის, ვოლინის, ვორონეჟის, ეკატერინოსლავის, დონის, კიევის, კურსკის, ორენბურგის, ორიოლის, პენზის, პოდოლსკის, პოლტავის, სამარის, სარატოვის, სიმბირსკის, თავრიდის, ტამბოვის, უფის, ხარკოვის, ხერსონისა და ჩერნიგოვის გუბერნიები.—უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დაჯგუფებაში არის უსწორობანი, რომელნიც აზვიადებენ სამიწათმოქმედო გასვლის მნიშვნელობას. სმოლენსკის, ნიჟნი-ნოვგოროდისა და ტულის გუბერნიები უნდა შევიდნენ I ჯგუფში (შად. «ნიჟნი-ნოვგოროდის გუბ. 1896 წ. სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა», თავი XI. — «ტულის გუბ. 1895 წ. სამახსოვრო წიგნაკი», განყ. VI, გვ. 10: გარესარეწებზე გასულთა რიცხვი ნაანგარიშევია 188 ათას კაცად, ბ-ნ ს. კოროლენკოს კი გამოჰყავს მხოლოდ 50 ათასი ზედმეტი მუშა! — ამასთან ჩრდილოეთის 6 არაშავნიადაგიანი მაზრა იძლევა 107.

«ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ გარესარეწები უფრო განვითარებულია პირველ ჯგუფში, ვიდრე უკანასკნელში... შემდეგ, მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, რომ ჯგუფთა განსხვავების მიხედვით განირჩევა აგრეთვე თვით სამუშაოდ სხვაგანყოფნის ხანგრძლიობაც. სადაც არასამიწათმოქმედო გარესარეწები სჭარბობს, იქ სხვაგანყოფნის ხანგრძლიობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია» («დელო», 1886, № 7, გვ. 134).

ბოლოს, აქციზით და სხვ. დაბეგრილ წარმოებათა ზემოთ აღნიშნული სტატისტიკა საშუალებას გვაძლევს გაცემულ საცხოვრებელ მოწმობათა რიცხვი გავანაწილოთ ევროპული რუსეთის ყველა 50 გუბერნიის მიხედვით. თუ აღნიშნულ შესწორებებს შევიტანთ ბ-ნ ვესინის დაჯგუფებაში და გავანაწილებთ იმავე ჯგუფებს შორის იმ 12 გუბერნიას, რომლებიც 1884 წ. არ იყო ჩათვლილი (I ჯგუფს მივაკუთვნებთ ოლონეცისა და ფსკოვის გუბერნიებს; II ჯგუფს— ბალტიისპირეთისა და ჩრდილო-დასავლეთისას, ე. ი. 9 გუბერნიას; III ჯგუფს — ასტრახანისას), — მაშინ მივიღებთ ასეთ სურათს:

გუბერნიათა ჯგუფი	გაცემულ საცხოვრებელ მოწმობათა რაოდენობა 1897	1898 *
I. 17 გუბერნია, სადაც არასამიწათმოქმედო გასვლა სჭარბობს	4 437 392	3 369 597
II. 12 გარდამავალი გუბერნია	1 886 733	1 674 231
III. 21 გუბერნია, სადაც სამიწათმოქმედო გასვლა სჭარბობს	3 009 070	2 765 762
სულ 50 გუბერნიაში	9 333 195	7 809 590

ათას გასულს). კურსკის გუბერნია უნდა შევიდეს II ჯგუფში (ს. კოროლენკო, l. c.: 7 მაზრიდან უმეტეს ნაწილად გადიან სახელოსნო სარეწებზე, დანარჩენი 8 მაზრიდან — მხოლოდ სამიწათმოქმედო სარეწებზე). სამწუხაროდ, ბ-ნი ვესინი არ იძლევა საგუბერნიო ცნობებს სხვაგანყოფნის მოწმობათა რიცხვის შესახებ.

* სხვათა შორის. ამ ცნობათა მიმოხილვის ავტორი (l. c., თავი VI, გვ. 639) 1898 წ. პასპორტების გაცემის შემცირებას ხსნის მოუსავლობის და სას.-

ამ ცნობების თანახმად, გარესარეწები გაცილებით უფრო ძლიერია I ჯგუფში, ვიდრე III ჯგუფში.

ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ მოსახლეობის მოძრაობა რუსეთის არასამიწათმოქმედო ზოლში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე სამიწათმოქმედო ზოლში. არამიწათმოქმედ გამსვლელ მუშათა რიცხვი უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე მიწათმოქმედი მუშებისა, და უნდა შეადგენდეს არანაკლებ სამ მილიონ კაცს.

გასვლის დიდ და თანდათან გაძლიერებულ ზრდას ადასტურებს ყველა წყარო. საპასპორტო შემოსავალი 2,1 მილიონი მანეთიდან 1868 წ. (1,75 მილიონი მან. 1866 წ.) ავიდა 4,5 მილიონ მანეთამდე 1893/94 წ., ე. ი. გაიზარდა ერთიორად და უფრო მეტად. გაცემული პასპორტების და ბილეთების რიცხვი მოსკოვის გუბერნიაში 1877 წლიდან 1885 წლამდე გადიდდა 20 %-ით (მამაკაცებისა) და 53 %-ით (ქალებისა); ტვერის გუბერნიაში 1893 წლიდან 1896 წლამდე — 5,6 %-ით; კალუგის გუბერნიაში 1885 წლიდან 1895 წლამდე— 23 %-ით (ხოლო სხვაგანყოფნის თვეების რიცხვი — 26 %-ით); სმოლენსკის გუბერნიაში — 100 ათასიდან 1875 წ. 117 ათასამდე 1885 წ. და 140 ათასამდე 1895 წ.; ფსკოვის გუბერნიაში — 11 716-დან 1865— 1875 წწ. 14 944-დე 1876 წ. და 43 765-დე 1896 წ. (მამაკაცებისა). კოსტრომის გუბერნიაში 1868 წ. გაიცა 23,8 პასპორტი და ბილეთი 100 მამაკაცზე, 0,85 — 100 დედაკაცზე, ხოლო 1880 წ.— 33,1 და 2,2 და სხვ. და სხვ.

მიწათმოქმედებიდან მოსახლეობის გამოცალკევებისა და მისი ქალაქში გადასვლის მსგავსად, არასამიწათმოქმედო

სამ. მანქანების გავრცელების გამო სამხრეთ გუბერნიებში ზაფხულობით მუშათა გასვლის შემცირებით. ეს ახსნა არაფრად არ ვარგა, ვინაიდან გაცემულ საცხოვრებელ მოწმობათა რიცხვი ყველაზე ნაკლებად შემცირდა III ჯგუფში, ყველაზე მეტად — I ჯგუფში. განა შეიძლება ერთმანეთს შეედაროს 1897 და 1898 წლების რეგისტრაციის წესები? (შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე - 2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

გასვლა პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს. იგი მოსახლეობას მიერეკება მივარდნილი, ჩამორჩენილი, ისტორიისაგან მივიწყებული მიყრუებული ადგილებიდან და ითრევს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ორომტრიალში. იგი ადიდებს მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობას* და ამაღლებს მის შეგნებულობას**, ნერგავს მასში კულტურულ ჩვეულებებს და მოთხოვნილებებს***. გლეხებს სხვაგან წასასვლელად იზიდავენ «უმაღლესი მოტივები», ე. ი. პიტერელის დიდი გარეგნული განვითარებულობა და კოხტაობა; ისინი ეძებენ «სადაც უმჯობესია». «პიტერში მუშაობა და ცხოვრება სოფლისაზე ადვილ მუშაობად და ცხოვრებად ითვლება»****. «სოფლის ყველა მცხოვრებს გაგრიას უწოდებენ, და გასაკვირი ისაა, რომ ამ სახელწოდებას არ სთვლიან შეურაცხყოფად, თვითონაც ასე უწოდებენ თავის თავს, მხოლოდ უსაყვედუ-

---

* ჟბანკოვი: «გარესარეწების და სხვ. გავლენა», გვ. 36 და შემ. კოსტრომის გუბერნიის გასასვლელ მაზრებში წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცთა პროცენტი=55,9 %; საფაბრიკო მაზრებში=34,9 %; ბინადარ (ტყიან) მაზრებში=25,8 %; დედაკაცებისა: 3,5 % — 2,0 % — 1,3%; მოსწავლეთა: 1,44 % — 1,43 % — 1,07 %. გასასვლელი მაზრებიდან ბავშვები სწავლობენ აგრეთვე ს.-პეტერბურგში.

** «წერა-კითხვის მცოდნე პიტერელები გაცილებით უკეთ და უფრო შეგნებულად მკურნალობენ თავს» (ibid., 34), ასე რომ მათში გადამდები ავადმყოფობა ისე დამღუპველად ვერ მოქმედებს, როგორც «ნაკლებკულტურულ» (ხაზი ავტორისაა) თემებში.

*** «საშოვარზე გასვლის მაზრები თავისი ცხოვრების კეთილმოწყობით საგრძნობლად სჯობია სამიწათმოქმედო და ტყიან ადგილებს... პიტერელების ტანისამოსი გაცილებით უფრო სუფთა, მოხდენილი და ჰიგიენურია... ბავშვებს უფრო სუფთად უვლიან, რის გამო მათში უფრო იშვიათია მუნი და კანის სხვა სნეულება» (ibid., 39. შეად. «გარესარეწები სმოლენსკის გუბერნიაში», გვ. 8). «გამსვლელი სოფლები დიდად განსხვავდებიან ბინადარი სოფლებისაგან: ბინა, ტანისამოსი, მთელი ზნე-ჩვეულება, დროსტარება მეშჩანურ ცხოვრებას უფრო მოგაგონებთ, ვიდრე გლეხურ ცხოვრებას» («გარესარეწები სმოლენსკის გუბერნიაში», გვ. 3). კოსტრომის გუბერნიის გამსვლელ თემთა «სახლების ნახევარში თქვენ შეხვდებით ქალალდს, მელანს, ფანქარს და კალამს» («ბაბია სტორონა»,67—68).

**** «ბაბია სტორონა», 26—27, 15.

რებენ მშობლებს, რომ ისინი სასწავლებლად არ გააბარეს პიტერში. თუმცაღა, აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლის ეს გ ა გ რ ი ა მცხოვრებნიც არც ისე გაგრიები არიან, როგორც წმინდა სამიწათმოქმედო ადგილებში: ისინი უნებურად ითვისებენ პიტერელთაგან გარეგნულობას და ზნე-ჩვეულებებს, სატახტო ქალაქის ბრწყინვალება ნაწილობრივ მათაც აშუქებს» *. იაროსლავლის გუბერნიაში (გარდა გამდიდრების მაგალითებისა) «კიდევ სხვა მიზეზი მიერეკება ადამიანს სახლიდან. ეს მიზეზია საზოგადოებრივი აზრი; იგი იმ ადამიანს, რომელსაც პეტერბურგში ან სადმე სხვაგან არ უცხოვრია და რომელიც მიწათმოქმედებას ან რაიმე ხელობას მისდევს, მწყემსის სახელს მიაკუთვნებს მთელ მის სიცოცხლეში, — და ასეთი ადამიანი ძნელად შოულობს საცოლეს» («იაროსლავლის გუბ. მიმოხილვა» II, 118). ქალაქში გასვლა ამაღლებს გლეხის მოქალაქობრივ პიროვნებას, ათავისუფლებს მას დამოკიდებულებისა და წოდებრიობის იმ აურაცხელ პატრიარქალურ და პირად ურთიერთობათაგან, რაც ასე ძლიერია სოფლად... ** «გასვლის არსებობის ხელშემწყობ პირველხარისხოვან ფაქტორად ჩაითვლება პიროვნების თვითშეგნების ზრდა ხალხში. ბატონყმობისაგან განთავისუფლებამ, სოფლის მოსახლეობის უფრო ენერგიული ნაწილის მიერ ქალაქურ ცხოვრებასთან ძველთაგანვე დამყარებულმა ურთიერთობამ დიდი ხანია იაროსლავლელ გლეხობაში გააღვიძეს სურვილი — დაიცვას თავისი «მე», თავი დააღწიოს გაჭირვებულ და დამოკიდებულ მდგომარეობას, რომელსაც არგუნებს მას სოფლის ცხოვრების პირობები, და მოიპოვოს უჭირველი, დამოუკიდებელი და საპატიო მდგომარეობა... გლეხი, რომელიც გარესაშოვრებით სხვაგან ცხოვრობს, თავს გრძნობს უფრო თავისუფლად, აგრეთვე უფრო თანასწორად სხვა წოდების პირთა შორის, აგ-

* Ibid., გვ. 27.

** მაგალითად, კოსტრომელ გლეხებს აიძულებს გადაეწერონ მეშჩანებში, სხვათა შორის, შესაძლო «ფიზიკური სასჯელი», რომელიც «კიდევ უფრო საშინელია მორთულ-მოკაზმული პიტერელისათვის, ვიდრე გაგრიასათვის» (ibid., 58).

რეთვე მრავალ სხვა შემთხვევაშიც, — ამიტომაც სოფლის ახალგაზრდობა თანდათან უფრო და უფრო მიისწრაფის ქალაქებისაკენ» («იაროსლავლის გუბ. მიმოხილვა», II, 189—190).

ქალაქებში გასვლა ძველ პატრიარქალურ ოჯახს ასუსტებს, ქალს უფრო დამოუკიდებელ მდგომარეობაში აყენებს და მამაკაცთან ათანასწორებს. «ბინადარ ადგილებთან შედარებით, სოლიგალიჩური და ჩუხლომური ოჯახი» (კოსტრომის გუბერნიის ყველაზე გამსვლელი მაზრები) «გაცილებით უფრო ნაკლებ მტკიცეა არა მარტო უფროსის პატრიარქალური ძალაუფლების მხრივ, არამედ მშობლებისა და შვილების, ქმრისა და ცოლის ურთიერთდამოკიდებულების მხრივაც. 12 წლის ასაკიდან პიტერში გაგზავნილი შვილებისაგან, რა თქმა უნდა, აღარაა მოსალოდნელი მშობლებისადმი ძლიერი სიყვარული და მშობლიური კერისადმი მიდრეკილება; ისინი ძალაუნებურად კოსმოპოლიტები ხდებიან: «სადაც კარგია, სამშობლოც იქაა»» *. «სოლიგალიჩელი ქალი, რომელიც მიჩვეულია ქმრის უბატონოდ და დაუხმარებლად ცხოვრებას, სულ აღარ ჰგავს სამიწათმოქმედო ზოლის დაბეჩავებულ გლეხ ქალს: ის ხელშეუვალი, დამოუკიდებელია... ცოლების ცემა და წამება აქ იშვიათი გამონაკლისია... საზოგადოდ თითქმის ყველგან და ყველაფერში ჩანს დედაკაცის თანასწორობა მამაკაცთან» **.

დასასრულ — last but not least *** — არასამიწათმოქმედო გასვლა ხელფასს უდიდებს არა მარტო გამსვლელ დაქირავებულ მუშებს, არამედ შინ დარჩენილებსაც.

ყველაზე მკაფიოდ ეს ფაქტი იხატება იმ საერთო მოვლენით, რომ არასამიწათმოქმედო გუბერნიები, რომლებიც უფრო მაღალი ხელფასით ხასიათდებიან, ვიდრე სამიწათმოქმედო გუბერნიები, ამ უკანასკნელთაგან იზიდავენ სოფლის მუშებს ****. აი საყურადღებო ცნობები კალუგის გუბერნიის შესახებ:

* Ibid., 88.

** «იურიდიჩესკი ვესტნიკ», 1890 წ., № 9, გვ. 142.

*** — უკანასკნელი სათვალავით და არა მნიშვნელობით. რედ.

**** შეად. თავი IV, § IV, გვ. 306 — 308.

მაზრათა ჯგუფები გასვლის სიდიდის მიხედვით	მამრ. სქესის გამსვლელ მუშათა კროცენტი მამრ. სქესის მთელი მოსახლეობის მიმართ	თვიური ხელფასი მანეთობით	
		გამსვლელი მრეწველისა	წლიური სოფლელი მუშისა
I.	38,7	9	5,9
II.	36,3	8,8	5,3
III.	32,7	8,4	4,9

«ეს ციფრები სავსებით გვირკვევენ... იმ მოვლენებს: 1) რომ გარესარეწები გავლენას ახდენენ ხელფასის გადიდებაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და 2) რომ ისინი იზიდავენ მოსახლეობის საუკეთესო ძალებს» *. იზრდება არა მარტო ფულადი, არამედ რეალური ხელფასიც. იმ მაზრათა ჯგუფში, რომლებიც 100 მომუშავეზე იძლევიან 60-ზე არანაკლებ გამსვლელს, წლიური მოჯამაგირის საშუალო ქირა უდრის 69 მან. ან 123 ფუთ ჭვავს; მაზრებში, სადაც 40—60 % გამსვლელი მუშაა, — 64 მან. ან 125 ფუთ ჭვავს; იმ მაზრებში, რომლებიც 40 %-ზე ნაკლებ გამსვლელს იძლევიან, — 59 მ. ან 116 ფუთ ჭვავს **. ამავე ჯგუფების მაზრებში პროცენტი კორესპონდენციებისა, რომლებშიც მუშახელის ნაკლებობას უჩივიან, თანდათან კლებულობს: 58 % — 42 % — 35 %. დამუშავებელ მრეწველობაში ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე მიწათმოქმედებაში, — და «სარეწები, მრავალი ბ-ნ კორესპონდენტის აზრით, ხელს უწყობენ გლეხობაში ახალ მოთხოვნილებათა განვითარებას (ჩაი, ჩითი, ჩექმა, საათი და სხვ.), ზრდიან ამ მოთხოვნილებათა საერთო დონეს და ამნაირად გავლენას ახდენენ ხელფასის გადიდებაზე» ***. აი ერთი კორესპონდენტის ტიპიური აზრი: «(მუშების) ნაკლებობა ყოველთვის დიდია, მიზეზი კი ისაა, რომ გარეუბნელი მოსახლეობა განებივრებულია, მუშაობენ რკინიგზის სახელოსნოებში და იქვე მსახურობენ. კალუგის სიახლოვე და იქაური ბაზ-

* «კალუგის გუბ. 1896 წ. სტატ. მომოხილვა», განყ. II, გვ. 48.
** Ibid., განყ. I, გვ. 27.
*** Ibid., გვ. 41.

რები მუდამ იზიდავენ მახლობელი სოფლების მცხოვრებთ კვერცხის, რძის და სხვ. საგნების გასაყიდად, და შემდეგ — თავაწყვეტილი ლოთობა სამიკიტნოებში; მიზეზი ისაა, რომ მთელი მოსახლეობა ცდილობს მიიღოს დიდი ჯამაგირი და ამავე დროს არაფერი არ აკეთოს. სოფლის მუშად დარჩენა სირცხვილად ითვლება, ამიტომ ეტანებიან ქალაქებს, სადაც შეადგენენ პროლეტარიატს და მუქთამჭამელებს; სოფელი კი იჩაგრება საქმიან და ჯანსაღ მომუშავეთა უყოლობის გამო»*. გარესარეწების ამგვარ შეფასებას ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ნაროდნიკული შეფასება ვუწოდოთ. მაგალითად, ბ-ნ ჟბანკოვის აზრით, მიდიან არა ზედმეტი, არამედ «საჭირო» მომუშავენი, რომლებსაც მოსული მიწათმოქმედნი სცვლიან; მისთვის «აშკარაა», რომ «ამგვარი ურთიერთშეცვლა ძალიან საზარალოა»**. ვისთვის, ბ-ნო ჟბანკოვო? «დედაქალაქებში ცხოვრება აჩვევს მრავალ მდარე ხარისხის კულტურულ მოთხოვნილებას და ფუფუნებისა და კოხტაობის სიყვარულს, რასაც ფუჭად (sic!!) ეწირება დიდი ფული»***; ამ სიკოხტავეზე და სხვ. გაწეული ხარჯი მეტწილად «უნაყოფოა» (!!)****. ბ-ნი გერცენშტეინი პირ-

* Ibid., გვ. 40. ხაზი ავტორისაა.

** «ბაბია სტორონა», 39 და 8. «ხომ არ მოახდენენ ეს ნამდვილი (მოსული) მიწათმოქმედნი თავისი შეძლებული ცხოვრების პირობებით გამომაფხიზლებელ გავლენას მკვიდრ მცხოვრებლებზეც, რომლებსაც თავისი არსებობის საფუძვლად გარესაშოვრები მიაჩნიათ და არა მიწა?» (გვ. 40). «თუმცა, — სწუხს ავტორი, — ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ საწინააღმდეგო გავლენის მაგალითი». აი ეს მაგალითი: ვოლოგდელებმა იყიდეს მიწა და ცხოვრობდნენ «ძალიან შეძლებულად». «ჩემ შეკითხვაზე ერთ გრიაზნოვეცელი გლეხისადმი, თუ რად გაუშვა პიტერში თავისი შვილი, როცა საკმარისად აქვს ყველაფერი, — შემდეგი პასუხი მივიღე: «ეს ასეა, ჩვენ ღარიბები არა ვართ, მაგრამ ჩვენში მეტად უფერული ცხოვრებაა, მან კი, სხვების წაბაძვით, თვითონ მოინდომა განათლება, ის შინაც კი ნასწავლი იყოო»» (გვ. 25). საწყალი ნაროდნიკები! აბა როგორ არ უნდა იწუხონ იმაზე, რომ თვით შეძლებული, მიწის მყიდველი მხვნელ-მთესველი გლეხების მაგალითიც კიველარ «აფხიზლებს» ახალგაზრდობას, რომელიც, «განათლებას» მოწყურებული, გაურბის თავის «უზრუნველმყოფელ ნადელს»!

*** «გარესაშოვრების და სხვ. გავლენა», 33, ხაზი ავტორისაა.

**** «იურიდ. ვესტნიკ», 1890, № 9, 138.

დაპირ გოდებს «მოჩვენებითს ცივილიზაციაზე», «ფართო ღრეობაზე», «თავაწყვეტილ ქეიფზე», «აღვირახსნილ ლოთობასა და იაფფასიან გარყვნილებაზე» და სხვ.*. მოსკოველ სტატისტიკოსებს მასობრივი გასვლის ფაქტიდან პირდაპირ გამოჰყავთ აუცილებლობა «იმ ღონისძიებებისა, რომლებიც შეამცირებდნენ გარესაშოვართა მოთხოვნილებას»**. ბ-ნი კარიშევი მსჯელობს გარესარეწების შესახებ: «ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ უაღრესად სერიოზული პრობლემის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ გლეხური მიწათსარგებლობის გადიდებით იმ ზომამდე, რომელიც საკმარისი იქნება ოჯახის უმთავრეს (!) საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად»***.

და ამ კეთილი გულის ბატონთაგან არავის მოსდის აზრად, რომ სანამ «უაღრესად სერიოზული პრობლემის გადაჭრაზე» დავიწყებდეთ ლაპარაკს, საჭიროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გლეხებს მიენიჭოთ გადასვლა-გადმოსვლის სრული თავისუფლება, მიწაზე უარისთქმისა და თემიდან გამოსვლის თავისუფლება, თავისუფლება — დასახლდნენ («თავდასახსნელი» ფულის გადაუხდელად) სახელმწიფოს ყოველ, ქალაქის თუ სოფლის, თემში!

ამრიგად, რუსეთში მიწათმოქმედებიდან მოსახლეობის გამოცალკევება გამოიხატება ქალაქების, გარეუბნების, საფაბრიკო-საქარხნო და სავაჭრო-სამრეწველო დაბა-სოფლების ზრდით (რასაც რამდენადმე ჩრდილავს შინაური კოლონიზაცია), აგრეთვე არასამიწათმოქმედო გასვლით. ყველა ეს პროცესი, რომლებიც სწრაფად განვითარდა და ვითარდება სიღრმე-სიგანით რეფორმისშემდგომი ხანის განმავლობაში, წარმოადგენს კაპიტალისტური განვითარების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს და ცხოვრების ძველი ფორმების მიმართ ღრმა პროგრესული მნიშვნელობის მქონეა.

---

* «რუსსკაია მისლ» (არა «რუსსკ. ვესტნიკ», არამედ «რუსსკ. მისლ»), 1887 წ., № 9, გვ. 163.

** «საცხოვრებელი და სხვ. მოწმობანი», გვ. 7.

*** «რუსსკ. ბოგატსტვო», 1896, № 7, გვ. 18. ამრიგად, «უმთავრესი» საჭიროებანი უნდა დააკმაყოფილოს ნადელმა, ხოლო დანარჩენი საჭიროებანი, ალბათ, — «ადგილობრივმა საშოვრებმა», რაც მიიღება იმ «სოფლიდან», რომელიც «იჩაგრება საქმიან და ჯანსაღ მომუშავეთა უყოლობის გამო»!

III. დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდა

კაპიტალიზმის განვითარების საკითხში თითქმის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს დაქირავებული შრომის გავრცელების მასშტაბს. კაპიტალიზმი სასაქონლო წარმოების განვითარების ის სტადია არის, როდესაც თვით სამუშაო ძალაც იქცევა საქონლად. კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ სახალხო მეურნეობის მთელი სამუშაო ძალა წარმოებაში გამოყენებულ იქნას მხოლოდ მეწარმეთა მიერ მათი ყიდვა-გაყიდვის შემდეგ. თუ როგორ იჩენდა თავს ეს ტენდენცია რეფორმისშემდეგდროინდელ რუსეთში, ჩვენ შევეცადეთ დაწვრილებით გაგვეხილა ზემოთ, და ახლა დასკვნები უნდა გავაკეთოთ ამ საკითხის გამო. ჯერ შევაჯამოთ წინა თავებში მოყვანილი მონაცემები სამუშაო ძალის გამყიდველთა რაოდენობის შესახებ, მერე კი (შემდეგ პარაგრაფში) დავასურათოთ სამუშაო ძალის მყიდველთა კონტინგენტი.

სამუშაო ძალის გამყიდველებს იძლევა ქვეყნის მუშა მოსახლეობა, რომელიც მონაწილეობს მატერიალურ ღირებულებათა წარმოებაში. ფიქრობენ, რომ ეს მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 15 $^1/_2$ მილიონ მოზრდილ მუშა მამაკაცს *. II თავში ნაჩვენები იყო, რომ გლეხობის დაბალი ჯგუფი სხვა არაფერია, თუ არა სოფლის პროლეტარიატი; ამასთან აღნიშნული იყო (გვ. 192, შენიშვნა), რომ ამ პროლეტარიატის მიერ სამუშაო ძალის გაყიდვის ფორმები ქვემოთ იქნებოდა განხილული. შევაჯამოთ ახლა დაქირავებულ მუშათა წინათ ჩამოთვლილი თანრიგები: 1) სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშები. მათი რიცხვია დაახლოებით 3 $^1/_2$ მილიონი

* «სტატისტ. მასალების და სხვ. ნაკრები» (მინისტრთა კომიტეტის კანცელარიის 1894 წ. გამოცემა) იძლევა ციფრს — 15 546 618. ეს ციფრი ამგვარადაა გამოყვანილი. ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ქალაქის მოსახლეობა უდრის იმ მოსახლეობას, რომელიც მონაწილეობას არ ღებულობს მატერიალურ ღირებულებათა წარმოებაში. მამრობითი სქესის მოზრდილი გლეხი მოსახლეობა შემცირებულია 7 %-ით (4 $^1/_2$ %—ვინც სამხედრო ბეგარას იხდის და 2 $^1/_2$ % — სამოქალაქო სამსახურში მყოფი).

(ევროპულ რუსეთში). 2) საფაბრიკო-საქარხნო, სამთამადნო და რკინიგზის მუშები — დაახლოებით $1^1/_2$ მილიონი. სულ ხუთი მილიონი პროფესიული დაქირავებული მუშა. შემდეგ, 3) მშენებელი მუშები — დაახლოებით 1 მილიონი. 4) მუშები, რომლებიც ჩაბმული არიან სატყეო საქმეში (ტყის მოჭრა და მისი თავდაპირველი დამუშავება, დაცურება და სხვ.), მიწის სამუშაოებში, რკინიგზების გაყვანაში, საქონლის დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებში და საზოგადოდ ინდუსტრიული ცენტრების ყოველგვარ «შავ» სამუშაოში. ესენი შეადგენენ დაახლოებით 2 მილიონს *. 5) მუშები, რომელთაც კაპიტალისტები შინ ამუშავებენ, აგრეთვე დაქირავებით მომუშავენი დამმუშავებელ მრეწველობაში, რომელსაც არ მიაკუთვნებენ «საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას». ესენი დაახლოებით 2 მილიონს შეადგენენ.

სულ ერთად — დაახლოებით ათი მილიონი დაქირავებული მუშა. აქედან გამოვრიცხავთ ქალებსა და ბავშვებს — დაახლოებით $^1/_4$,** რჩება $7^1/_2$ მილიონი დაქირავებული მოზრდილი მუშა მამაკაცი, ე. ი. დაახლოებით ნახევარი ქვეყნის მთელი მოზრდილი მამრობითი მოსახლეობისა, რომელიც მატერიალურ ღირებულებათა შექმნაში მონაწილეობს ***. დაქირავე-

* ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მარტო ტყის მუშა ითვლება 2 მილიონამდე. იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც ორი უკანასკნელი, ჩვენ მიერ აღნიშნული სახის საქმეში არიან ჩაბმულნი, არანიწათმოქმედ გამსვლელ მუშათა მთელ რიცხვზე მეტი უნდა იყოს, ვინაიდან მშენებელი ნუშების, შავი მუშების და მეტადრე ტყის მუშების ნაწილი ადგილობრივ მუშებს ეკუთვნის და არა გამსვლელ მუშებს. ჩვენ კი ვნახეთ, რომ არამიწათმოქმედ გამსვლელ მუშათა რიცხვი 3 მილიონზე ნაკლები არაა.

** როგორც ვნახეთ, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ქალი და ბავშვი მუშათა მთელი რიცხვის $^1/_4$-ზე ცოტათი მეტია. სამთო, სამშენებლო, სატყეო და სხვ. მრეწველობაში ქალი და ბავშვი ძალიან ცოტაა. პირიქით, კაპიტალისტურ შინმუშაობაში ისინი, ალბათ, უფრო მეტ მონაწილეობას იღებენ, ვიდრე მამაკაცები.

*** გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ სრულიადაც არ ვჩემულობთ ამ ციფრების სტატისტიკურ სიზუსტეს, არა-

ბული მუშების ამ ვეებერთელა მასის ერთმა ნაწილმა სრულიად გასწყვიტა კავშირი მიწასთან და მხოლოდ სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს. ამ ნაწილს ეკუთვნის საფაბრიკო-საქარხნო (აგრეთვე, უეჭველია, სამთამადნო და რკინიგზის) მუშათა უდიდესი უმრავლესობა, შემდეგ, გარკვეული ნაწილი მშენებელი, ნავსადგურის და შავი მუშებისა; ბოლოს, საკმაოდ დიდი ნაწილი კაპიტალისტური მანუფაქტურის მუშებისა და არასამიწათმოქმედო ცენტრების ის მცხოვრებნი, რომელნიც კაპიტალისტებისათვის შინ მუშაობენ. მეორე, უფრო დიდ, ნაწილს ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია კავშირი მიწასთან, იგი თავის გასავალს რამდენადმე ფარავს თავის მეტისმეტად მცირე ნაკვეთ მიწაზე მოწყობილი სამიწათმოქმედო მეურნეობის პროდუქტებით და, მაშასადამე, წარმოშობს ნადელიანი დაქირავებული მუშების იმ ტიპს, რომლის დაწვრილებით დასურათება ჩვენ ვცადეთ II თავში. წინანდელ გადმოცემაში უკვე ნაჩვენები იყო, რომ დაქირავებული მუშების მთელი ეს უზარმაზარი მასა წარმოიშვა, უმთავრესად, რეფორმისშემდგომ ხანაში და რომ იგი დღესაც სწრაფად იზრდება.

საგულისხმოა აღინიშნოს ჩვენი დასკვნის მნიშვნელობა იმ შედარებითი ჭარბი მოსახლეობის საკითხისათვის (ანუ უმუშევართა სარეზერვო არმიის კონტინგენტის საკითხისათვის), რომელსაც კაპიტალიზმი ჰქმნის. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაქირავებული მუშების საერთო რიცხვის შესახებ არსებული ცნობები განსაკუთრებული სიცხადით ააშკარავებენ ნაროდნიკული ეკონომიის ძირითად შეცდომას ამ საკითხში. როგორც უკვე შემთხვევა გვქონდა სხვა ადგილას აღგვენიშნა («ეტიუდები», გვ. 38 — 42 *), ეს შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომისტ-ნაროდნიკებს (ბბ. ვ. ვ.-ს, ნ. —ონს და სხვ.), რომლებიც ბევრს ლაპარაკობდნენ კაპიტალიზმის მიერ

მედ გვინდა მხოლოდ დაახლოებით ცხადვყოთ დაქირავებული შრომის ფორმათა სხვადასხვაგვარობა და მის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვნება.

* იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 206 — 213. რ ე დ.

მუშების «განთავისუფლებაზე», არც კი უფიქრიათ გამოეკვლიათ რუსეთის კაპიტალისტური ჭარბი მოსახლეობის კონკრეტული ფორმები; შემდეგ — იმაში, რომ მათ სრულიად ვერ გაიგეს სარეზერვო მუშათა დიდი მასის აუცილებლობა თვით ჩვენი კაპიტალიზმის არსებობისა და განვითარებისათვის. «საფაბრიკო-საქარხნო» მუშათა რაოდენობის შესახებ უბადრუკი სიტყვების და კურიოზულ გაანგარიშებათა საშუალებით* ისინი კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას კაპიტალიზმის შეუძლებლობის, მცდარობის, უნიადაგობის და სხვ. დამამტკიცებელ საბუთად აქცევდნენ. ნამდვილად კი რუსეთის კაპიტალიზმი ვერასოდეს ვერ განვითარდებოდა თანამედროვე სიმაღლემდე, ერთ წელიწადსაც კი ვერ იარსებებდა, წვრილ მწარმოებელთა ექსპროპრიაცია რომ არ ჰქმნიდეს დაქირავებულ მუშათა მრავალმილიონიან მასას, რომელიც პირველი დაძახებისთანავე მზადაა დააკმაყოფილოს მეწარმეთა მაქსიმალური მოთხოვნილება მიწათმოქმედებაში, სატყეო და სამშენებლო საქმეში, ვაჭრობაში, დამმუშავებელ, სამთამადნო, სატრანსპორტო მრეწველობაში და სხვ. ჩვენ ვამბობთ: მაქსიმალური მოთხოვნილება, — იმიტომ რომ კაპიტალიზმი შეიძლება მხოლოდ ნახტომებით ვითარდებოდეს, მაშასადამე, იმ მწარმოებელთა რაო-

* გავიხსენოთ ბ-ნ ნ.—ონის მსჯელობა «ერთი მუჭა» მუშების შესახებ, აგრეთვე ბ-ნ ვ. ვ.-ს შემდეგი, ჭეშმარიტად კლასიკური, გაანგარიშება («თეორიული ეკონომიის ნარკვევები», გვ. 131). ევროპული რუსეთის 50 გუბერნიაში არის 15 547 ათასი მოზრდილი, გლეხური წოდებიდან გამოსული მამაკაცი მუშა; აქედან «კაპიტალის მიერ გაერთიანებულია» 1 020 ათასი (863 ათასი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში + 160 ათასი რკინიგზელი მუშა); დანარჩენი «მიწათმოქმედი მოსახლეობაა». «დამმუშავებელი მრეწველობის სრული კაპიტალიზაციის» დროს «კაპიტალისტურ საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობას» დასჭირდება ორჯერ მეტი მუშახელი (13,3 %, ნაცვლად 7,6%-ისა, ხოლო მოსახლეობის დანარჩენი 86,7% «მიწასთან დარჩება და უსაქმოდ იქნება ნახევარი წლის განმავლობაში»). როგორც ეტყობა, კომენტარებით მხოლოდ შევასუსტებთ იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენს ეკონომიური მეცნიერების და ეკონომიური სტატისტიკის ეს საუცხოო ნიმუში.

დენობა, რომლებიც იძულებული არიან სამუშაო ძალა გაყიდონ, ყოველთვის უნდა იყოს მუშების მიმართ კაპიტალიზმის საშუალო მოთხოვნილებაზე მეტი. თუ ჩვენ ახლა გამოვიანგარიშეთ სხვადასხვა თანრიგის დაქირავებულ მუშათა საერთო რიცხვი, ამით სულაც არ გვინდოდა გვეთქვა, რომ კაპიტალიზმს შეუძლია მუდმივ მიუჩინოს ყველა მუშას საქმე. მოსაქმეობის ასეთი მუდმივობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში არაა და არც შეიძლება იყოს, რა თანრიგის დაქირავებული მუშებიც უნდა ავიღოთ. მრავალი მილიონი მოხეტიალე და ბინადარი მუშიდან გარკვეული ნაწილი ყოველთვის რჩება უმუშევართა რეზერვში, და ეს რეზერვი ხან დიდად მატულობს კრიზისების წლებში, ან განსაზღვრულ რაიონში ამა თუ იმ მრეწველობის დაცემისას, ან მანქანური წარმოების განსაკუთრებით სწრაფი გაფართოების დროს, რაც მიერეკება მუშებს ქარხნებიდან, — ხან კი მინიმუმამდე ეშვება, იწვევს მუშების იმ «ნაკლებობას», რომელსაც ხშირად უჩივიან ხოლმე მრეწველობის ცალკე დარგების მეწარმენი ცალკეულ წლებში, ქვეყნის ცალკეულ რაიონებში. ცოტად თუ ბევრად საიმედო სტატისტიკური ცნობების სრული უქონლობის გამო, შეუძლებელია დაახლოებითაც კი განისაზღვროს უმუშევართა რაოდენობა საშუალო წლის განმავლობაში; მაგრამ უეჭველია, რომ ეს რიცხვი ძალიან დიდი უნდა იყოს: ამას მოწმობს როგორც კაპიტალისტური მრეწველობის, ვაჭრობის და მიწათმოქმედების ის დიდი რყევა, რომელიც არაერთხელ აღინიშნა ზემოთ, ისე გლეხთა დაბალი ჯგუფების ბიუჯეტის ჩვეულებრივი დეფიციტი, რასაც ადასტურებს საერობო სტატისტიკა. სამრეწველო და სასოფლო პროლეტარიატის რიგებში გადატყორცნილ გლეხთა რიცხვის ზრდა და დაქირავებულ შრომაზე მოთხოვნილების გადიდება, ეს ერთი და იგივე მედალის ორი მხარეა. რაც შეეხება დაქირავებული შრომის ფორმებს, ეს ფორმები მეტისმეტად მრავალნაირია კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც ჯერ კიდევ ყოველმხრივ გარემოცულია წინაკაპიტალისტური რეჟიმის ნაშთებით და დაწესებულებებით. დიდი შეცდომა იქნებოდა ამ

მრავალნაირობის უგულებელყოფა, — და ამ შეცდომას სჩადიან ისინი, ვინც, ბ-ნ ვ. ვ.-ს მსგავსად, მსჯელობს, რომ კაპიტალიზმმა «თავისთვის მიიზომა კუთხე მილიონნახევარი მუშით და მას არ სცილდებაო»*. კაპიტალიზმის ნაცვლად აქ ხელში გვრჩება მარტოდმარტო მსხვილი მანქანური ინდუსტრია. მაგრამ რა თვითნებურად, რა ხელოვნურად ამწყვდევენ აქ ამ 1 ½ მილიონ მუშას განსაკუთრებულ «კუთხეში», რომელიც ვითომ არაფრით არაა დაკავშირებული დაქირავებული შრომის დანარჩენ დარგებთან! ნამდვილად კი, ეს კავშირი ძალიან მჭიდროა, და მის დასახასიათებლად საკმარისია დავასახელოთ თანამედროვე სამეურნეო წყობილების ორი ძირითადი ნიშანი. ჯერ ერთი, ამ წყობილებას საფუძვლად უდევს ფულადი მეურნეობა. «ფულის მეუფება» მთელი ძალით აშკარავდება მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც, ქალაქშიც და სოფელშიც, მაგრამ სრულ განვითარებას იგი მხოლოდ მსხვილ მანქანურ ინდუსტრიაში აღწევს, სრულიად აძევებს პატრიარქალური მეურნეობის ნაშთებს, თავს იყრის ვეებერთელა დაწესებულებათა (ბანკების) მცირე რიცხვში, უშუალოდ უკავშირდება მსხვილ საზოგადოებრივ წარმოებას. მეორეც, თანამედროვე სამეურნეო წყობილებას საფუძვლად უდევს სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა. აიღეთ თუნდ სავსებით წვრილი მწარმოებლები მიწათმოქმედებაში ან მრეწველობაში, და თქვენ დაინახავთ, რომ ისეთი მწარმოებელი, რომელიც თვითონ არ ქირავდება ან სხვას არ ქირაობს, გამონაკლისია. მაგრამ მაინც ეს ურთიერთობა სრულ განვითარებასა და მეურნეობის წინანდელი ფორმებისგან სავსებით გამოცალკევებას მხოლოდ მსხვილ მანქანურ ინდუსტრიაში აღწევს. ამიტომ ის «კუთხე», რომელიც ზოგიერთ ნაროდნიკს ასე ულმნიშვნელოდ ეჩვენება, ნამდვილად, ასახიერებს თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობის კვინტესენციას, ხოლო ამ «კუთხის» მოსახლეობა, ე. ი. პროლეტა-

* «ნოვოე სლოვო», 1896, № 6, გვ. 21.

რიატი, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მხოლოდ მოწინავე რაზმია, ავანგარდია მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელი მასისა*. ამიტომ, თუ მთელ თანამედროვე სამეურნეო წყობილებას ამ «კუთხეში» დამყარებული ურთიერთობის თვალსაზრისით განიხილავ, მხოლოდ მაშინ გეძლევა საშუალება გაერკვე წარმოების მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფის ძირითად ურთიერთდამოკიდებულებაში და, მაშასადამე, განიხილო მოცემული წყობილების განვითარების ძირითადი მიმართულება. პირიქით, ვინც ამ «კუთხეს» ზურგს აქცევს და სამეურნეო მოვლენებს წვრილი პატრიარქალური წარმოების ურთიერთობის თვალსაზრისით განიხილავს, ისტორიის მსვლელობა მას ან გულუბრყვილო მეოცნებედ აქცევს, ან წვრილი ბურჟუაზიისა და აგრარიების იდეოლოგად.

IV. სამუშაო ძალის შინაური ბაზრის შექმნა

რეზიუმე რომ გაეუკეთოთ იმ მონაცემებს, რომლებიც ამ საკითხის შესახებ ზემოთ მოვიყვანეთ, ჩვენ დავკმაყოფილდებით ევროპულ რუსეთში მუშათა მიმოძრაობის სურათით. ასეთ სურათს გვაძლევს მიწათმოქმედების დეპარტამენტის გამო-

* Mutatis mutandis (სათანადო ცვლილებებით. რ ე დ.), მსხვილი მანქანური ინდუსტრიის დაქირავებულ მომუშავეთა დამოკიდებულებაზე დანარჩენი დაქირავებული მომუშავეებისადმი იგივე შეიძლება ითქვას, რასაც ამბობენ ცოლ-ქმარი ვებები ტრედ-იუნიონისტების არა-იუნიონისტებთან დამოკიდებულებაზე ინგლისში. «ტრედ-იუნიონების წევრები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 4 %-ნდე: ტრედ-იუნიონების რიგებში ითვლება 20 %-დე მოზრდილი, ფიზიკური შრომით მცხოვრები მომუშავე მამაკაცი». მაგრამ «Die Gewerkschaftler .. zählen... in der Regel die Elite des Gewerbes in ihren Reihen. Der moralische und geistige Einfluss, den sie auf die Masse ihrer Berufsgenossen ausüben, steht deshalb ausser jedem Verhältniss zu ihrer numerischen Stärke» (*S.* & *B.* Webb: «Die Geschichte des britischen Trade Unionismus», Stuttgart, Dietz, 1895, S. S. 363, 365, 381) [«ტრედ-იუნიონების შემადგენლობაში... როგორც წესი, შედიან თვითეული დარგის მუშათა ყველაზე რჩეული ჯგუფები. ამიტომ ის მორალური და სულიერი გავლენა, რომელსაც ისინი ახდენენ მუშების დანარჩენ მასაზე, სრულიად არ არის მათი რაოდენობის პროპორციული» (ს. და ბ. ვებები: «ბრიტანეთის ტრედ-იუნიონიზმის ისტორია», შტუტგარტი, დიტცი, 1895, გვ. 363, 365, 381). რ ე დ.].

ცემა *, რომელიც დამყარებულია მეპატრონეთა ჩვენებებზე. მუშათა მიმოძრაობის სურათი იძლევა საერთო წარმოდგენას, თუ სახელდობრ როგორ იქმნება სამუშაო ძალის შინაური ბაზარი; ჩვენ ხსენებული გამოცემის მასალით ვსარგებლობთ, ოღონდ ვცდილობთ ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მიწათმოქმედი და არამიწათმოქმედი მუშების მიმოძრაობა, თუმცა იმ რუკაზე, რომელიც დართული აქვს ხსენებულ გამოცემას და მუშათა მიმოძრაობას გამოსახავს, ეს განსხვავება არაა აღნიშნული.

მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი მუშების უმთავრესი მიმოძრაობა შემდეგია: 1) ცენტრალური სამიწათმოქმედო გუბერნიებიდან სამხრეთ და აღმოსავლეთ განაპირა მხარეებისაკენ. 2) ჩრდილოეთის შავნიადაგიანი გუბერნიებიდან სამხრეთის შავნიადაგიანი გუბერნიებისაკენ, საიდანაც მუშები, თავის მხრით, განაპირა მხარეებში მიდიან (შეად. თავი III, § IX, გვ. 265, და § X, გვ. 271—272). 3) ცენტრალური სამიწათმოქმედო გუბერნიებიდან სამრეწველო გუბერნიებისაკენ (შეად. თავი IV, § IV, გვ. 306—308). 4) ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი სამიწათმოქმედო გუბერნიებიდან ჭარხლის პლანტაციების რაიონისაკენ (აქ მუშები ნაწილობრივ გალიციიდანაც მოდიან).

ა რ ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი მ უ შ ე ბ ი ს უმთავრესი მიმოძრაობა: 1) სატახტო და დიდი ქალაქებისაკენ უმთავრესად არასამიწათმოქმედო გუბერნიებიდან, მაგრამ მნიშვნელოვანწილად სამიწათმოქმედო გუბერნიებიდანაც. 2) სამრეწველო რაიონისაკენ ვლადიმირის, იაროსლავლის და სხვა გუბერნიათა ფაბრიკებში იმავე ადგილებიდან. 3) გადასვლა მრეწველობის ახალი ცენტრებისაკენ ან მისი ახალი დარგებისაკენ, არასაფაბრიკო

* «სასოფლო-სამეურნეო და სტატისტიკური ცნობები მეპატრონეთაგან მიღებული მასალების მიხედვით. ნაკვ. V. ნ ე ბ ი თ დ ა ქ ი რ ა ვ ებ ულ ი შ რ ო მ ა მფლობელობით მეურნეობებში და მუშების მიმოძრაობა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მხრივ ევროპული რუსეთის სტატისტიკურ-ეკონომიურ მიმოხილვასთან დაკავშირებით». შედგენილია ს. ა. კ ო რ ო ლ ე ნ კ ო ს მიერ. მიწათმოქმედების და სოფლის მრეწველობის დეპარტამენტის გამოცემა. სპბ. 1892.

და სხვ. მრეწველობის ცენტრებისაკენ. ამას მიეკუთვნება გადასვლა: ა) სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიათა ჭარხლის შაქრის ქარხნებში; ბ) სამხრეთის სამთამადნო რაიონში; გ) ნავსადგურებში სამუშაოდ (ოდესა, დონის როსტოვი, რიგა და სხვ.); დ) ტორფის დასამუშავებლად ვლადიმირის და სხვა გუბერნიებში; ე) ურალის სამთო-სამრეწველო რაიონში; ვ) თევზის სარეწებში (ასტრახანი, შავი და აზოვის ზღვა და სხვ.); ზ) სახომალდო და სანაოსნო სამუშაოებზე, ტყის საჭრელად და დასაცურებლად და სხვ.; თ) სარკინიგზო სამუშაოებზე და სხვ.

ასეთია მუშების ის მთავარი მიმოძრაობანი, რასაც აღნიშნავენ კორესპონდენტ-დამქირავებელნი და რაც ცოტად თუ ბევრად არსებით გავლენას ახდენს სხვადასხვა ადგილებში მუშათა დაქირავების პირობებზე. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ამ მიმოძრაობის მნიშვნელობა, შევადაროთ მას მონაცემები მუშების გასვლისა და მისვლის სხვადასხვა რაიონში არსებული ხელფასის შესახებ. ჩვენ ვკმაყოფილდებით ევროპული რუსეთის 28 გუბერნიით, ვყოფთ მათ 6 ჯგუფად მუშათა მიმოძრაობის ხასიათის მიხედვით და ვღებულობთ ასეთ მონაცემებს *:

---

* სხვა გუბერნიებს გამოვრიცხავთ, რომ არ გავართულოთ ჩვენი გადმოცემა ისეთი ცნობებით, რომლებიც არაფერს ახალს არ იძლევიან განსახილველი საკითხის შესახებ; ამასთან დანარჩენი გუბერნიები ან განზე მდებარეობენ მუშათა მთავარი. მასობრივი მიმოძრაობიდან (ურალი, ციმბირი), ან განსხვავდებიან ეთნოგრაფიული და ადმინისტრაციულ-იურიდიული თავისებურებებით (ბალტიისპირეთის გუბერნიები, ებრაელთა ბინადრობის გუბერნიები, ბელორუსიის გუბერნიები და სხვ.). მონაცემები ამოღებულია ზემოთ მოყვანილი გამოცემიდან. ხელფასის ციფრები საშუალოა საგუბერნიო ციფრებისა; დღიური მუშის საზაფხულო საზღაური საშუალოა სამი პერიოდისთვის: ხვნა-თესვისა, თიბვისა და მოსავლის აღებისათვის. რაიონებში (1 — 6) შევიდნენ შემდეგი გუბერნიები: 1) თავრიდის, ბესარაბიისა და დონის; 2) ხერსონის, ეკატერინოსლავის, სამარის, სარატოვისა და ორენბურგის; 3) სიმბირსკის, ვორონეჟისა და ხარკოვის; 4) ყაზანის, პენზის, ტამბოვის, რიაზანის, ტულის, ორიოლისა და კურსკის; 5) ფსკოვის, ნოვგოროდის, კალუგის, კოსტრომის, ტვერისა და ნიჟნი-ნოვგოროდის; 6) ს.-პეტერბურგის, მოსკოვის, იაროსლავლისა და ვლადიმირის.

გუბერნიათა რაიონები მუშათა მიმოძრაობის ხასიათის მიხედვით	საშუალო ხელფასი 10 წლის განმავლობაში (1881—1891)					მუშათა მიმოძრაობის ოდენობა			
	წლიურ მოუშ.		ფულადი ხელფასი 1% მთელ ხელფასის მიმართ	ვადიან (ბაზრებიდან) ნაკვეთ	დღიურ მუშაობას ბაზრებში თვეში ლარებით	სამიწათმოქმედო		არასამიწათმოქმედო	
	სარჩოს გაუცემლად	სარჩოს ჩათვლით				მოსვლა	გასვლა		მოსვლა
	მ ა ნ ე თ ი			მან.	კაპ.				
1. დიდი სამიწათმოქმედო მოსვლა	98,00	143,50	64,8	55,67	82	1 მილიონ მუშამდე	—	—	მნიშვნელოვანი რიცხვი სამთო რაიონში
2. დიდი სამიწათმოქმედო მოსვლა; გასვლა უმნიშვნელოა	69,80	111,40	62,6	47,30	63	1 მილიონ მუშამდე	უმნიშვნელო რიცხვი	—	
3. მნიშვნელოვანი სამიწათმოქმედო გასვლა; მოსვლა სუსტია	58,67	100,67	58,2	41,50	53	უმნიშვნელო რიცხვი	300 ათასზე მეტი მუშა	უმნიშვნელო რიცხვი	უმნიშვნელო რიცხვი
4. დიდი, მეტწილად სამიწათმოქმედო, გასვლა, მაგრამ არასამიწათმოქმედო გასვლაც	51,50	92,95	55,4	35,64	47		$1^1/_2$ მილიონ მუშაზე მეტი		—
5. დიდი არასამიწათმოქმედო გასვლა. სამიწათმოქმედო მოსვლა სუსტია	63,43	112,43	56,4	44,00	55	უმნიშვნელო რიცხვი	ძალიან უმნიშვნელო რიცხვი	$1^1/_4$ მილიონ მუშამდე	—
6. დიდი არასამიწათმოქმედო მოსვლა: საკმაოდ მნიშვნელოვანია სამიწათმოქმედო მოსვლაც	79,80	135,80	58,7	53,00	64	საკმაოდ მნიშვნ. რიცხვი	—	(სატახტო ქალაქებში)	დიდი რიცხვი

ეს ცხრილი ნათლად გვიჩვენებს იმ პროცესის საფუძველს, რომელიც ჰქმნის სამუშაო ძალის შინაურ ბაზარს და, მაშასადამე, კაპიტალიზმის შინაურ ბაზარსაც. კაპიტალისტურად ყველაზე განვითარებული ორი მთავარი რაიონი იზიდავს მუშათა მასას: სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის რაიონი (სამხრეთი და აღმოსავლეთი განაპირა მხარეები) და სამრეწველო კაპიტალიზმის რაიონი (სატახტო ქალაქების გუბერნიები და სამრეწველო გუბერნიები). ხელფასი ყველაზე დაბალია გასვლის რაიონში, ცენტრალურ სამიწათმოქმედო გუბერნიებში, რომელნიც განირჩევიან კაპიტალიზმის ნაკლები განვითარებით როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში *; მისვლის რაიონებში კი ხელფასი მატულობს ყოველგვარ სამუშაოსთვის, მატულობს აგრეთვე ფულადი ხელფასის თანაფარდობა მთელი ხელფასის მიმართ, ე. ი. ძლიერდება ფულადი მეურნეობა ნატურალური მეურნეობის ანგარიშზე. შუათანა რაიონები, რომელნიც უდიდესი მისვლის რაიონებსა (და უმაღლეს ხელფასს) და გასვლის რაიონს (და უმცირეს ხელფასს) შორის არიან, გვიჩვენებენ მუშათა იმ ურთიერთშენაცვლებას, რაც ზემოთ იყო აღნიშნული: მუშები მიდიან იმდენი რაოდენობით, რომ გასვლის ადგილას ჩნდება მუშათა ნაკლებობა, რაც იზიდავს მოსულებს უფრო «იაფი» გუბერნიებიდან.

არსებითად, ჩვენს ცხრილში წარმოდგენილი ორმხრივი პროცესი მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ მოსახლეობის მიზიდვისა (მოსახლეობის ინდუსტრიალიზაცია) და სავაჭრო-

---

* ამრიგად, გლეხები იმ ადგილებიდან, სადაც ყველაზე უფრო საგრძნობია პატრიარქალური სამეურნეო ურთიერთობა, სადაც უფრო მეტად შენახულია შრომამიგება და მრეწველობის პრიმიტიული ფორმები, მასობრივად გარბიან იმ ადგილებისაკენ, რომლებიც გამოირჩევიან «საფუძვლების» სრული დაშლით. ისინი გაურბიან «სახალხო წარმოებას» და სრულიად არ უსმენენ «საზოგადოებიდან» უკან დადევნებულ ძახილს. ამ ძახილში კი გარკვევით ისმის ორი ხმა: «ნაკლებად არიან მიჯაჭვულნი!» — მრისხანედ ღმუის შავრაზმელი სობაკევიჩი. — «ნადელით საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილნი», — თავაზიანად უსწორებს მას კადეტი მანილოვი.

სამრეწველო, კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარებისა (მიწათმოქმედების ინდუსტრიალიზაცია) აჯამებს ყოველივე იმას, რაც ზემოთ ითქვა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის შინაური ბაზრის შექმნის საკითხზე. კაპიტალიზმის შინაურ ბაზარს ჰქმნის კაპიტალიზმის პარალელური განვითარება მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში *, ერთი მხრით, სასოფლო და სამრეწველო მეწარმეთა კლასის და, მეორე მხრით, სასოფლო და სამრეწველო დაქირავებულ მუშათა კლასის წარმოშობა. მუშათა მიმოძრაობის მთავარი ნაკადები გვიჩვენებენ ამ პროცესის მთავარ ფორმებს, მაგრამ სრულიადაც არა ყველა მის ფორმას; ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ამ პროცესის ფორმები სხვადასხვანაირია გლეხურ და მემამულურ მეურნეობაში, სხვადასხვანაირია სავაჭრო მიწათმოქმედების სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვანაირია მრეწველობის კაპიტალისტური განვითარების სხვადასხვა სტადიაზე და ა. შ.

თუ რამდენად დამახინჯებული და დაბნეულია ეს პროცესი ჩვენი ნაროდნიკული ეკონომიის წარმომადგენლების მიერ, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ბ-ნ ნ. —ონის «ნარკვევების» მეორე განყოფილების VI §-იდან, რომელსაც საგულისხმო სათაური აქვს: «საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა გადანაწილების გავლენა მიწათმოქმედი მოსახლეობის სამეურნეო მდგომარეობაზე». აი როგორ ესმის ეს «გადანაწილება» ბ-ნ ნ. —ონს: «...კაპიტალისტურ... საზოგადოებაში შრომის საწარმოო ძალის ყოველი ზრდა იწვევს მუშათა სათანადო რიცხვის «განთავისუფლებას», რომელნიც იძულებულნი ხდე-

* თეორიულმა ეკონომიამ დიდი ხანია დაადგინა ეს უბრალო ჭეშმარიტება. მარქსზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელმაც პირდაპირ მიუთითა მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარებაზე, როგორც «სამრეწველო კაპიტალისათვის შინაური ბაზრის» შემქმნელ პროცესზე («Das Kapital», I[4], S. 776, თავი 24, § 5) [136], დავიმოწმებთ ად. სმიტს. «ხალხთა სიმდიდრის» პირველი წიგნის XI თავში და მესამე წიგნის IV თავში მან მიუთითა კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარების ყველაზე დამახასიათებელ თვისებებზე და აღნიშნა ამ პროცესის პარალელიზმი ქალაქთა ზრდის და მრეწველობის განვითარების პროცესთან.

ბიან ეძიონ რაიმე სხვა საშოვარი; ხოლო რადგანაც ეს ხდება წარმოების ყველა დარგში, და ასეთი «განთავისუფლება» სწარმოებს კაპიტალისტური საზოგადოების მთელ ზედაპირზე, — ამიტომ მათ სხვა გამოსავალი არ დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ მიმართონ წარმოების იმ იარაღს, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენიათ, სახელდობრ — მიწას» (გვ. 126)... «ჩვენი გლეხები მიწას მოკლებულნი არ არიან, ამიტომაც მისკენ აქვთ მათ მიმართული თავისი ძალ-ღონე. როცა ფაბრიკაში სამუშაოს ჰკარგავენ, ან იძულებულნი არიან მიატოვონ თავისი დამხმარე საშინაო მოსაქმეობა, ისინი სხვა გამოსავალს ვერ ნახულობენ, გარდა იმისა, რომ იწყებენ მიწის გაძლიერებულ ექსპლოატაციას. ყველა საერობო სტატისტიკური კრებული ადასტურებს ნათესის გაფართოების ფაქტს...» (128).

როგორც ხედავთ, ბ-ნ ნ. — ონს სცოდნია სრულიად განსაკუთრებული კაპიტალიზმი, რომელიც არსად არასოდეს არ ყოფილა, რომელიც არც ერთ ეკონომისტ-თეორეტიკოსს არ შეეძლო წარმოედგინა. ბ-ნ ნ. — ონის კაპიტალიზმი არ იზიდავს მოსახლეობას მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ, არ ჰყოფს მიწათმოქმედთ მოწინააღმდეგე კლასებად. სრულიად პირიქით. კაპიტალიზმი «ათავისუფლებს» მუშებს მრეწველობისაგან და «მათ» მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ მიწას მიმართონ, ვინაიდან «ჩვენი გლეხები მიწას მოკლებულნი არ არიან»!! ამ «თეორიას», რომელიც პოეტური უწესრიგობით ორიგინალურად «გადაანაწილებს» კაპიტალისტური განვითარების ყველა პროცესს, საფუძვლად უდევს ზოგადნაროდნიკული გულუბრყვილო ხერხები, დაწვრილებით განხილული წინა გადმოცემაში: გლეხური ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის ერთმანეთში აღრევა, სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდის უგულებელყოფა, მრეწველობაში კაპიტალიზმის თანამიმდევრობითი ფორმების და მისი სხვადასხვაგვარი გამოხატულების ანალიზის ნაცვლად ზღაპრების შეთხზვა «კაპიტალისტური» «საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობისაგან» «სახალხო» «შინამრეწველური სარეწების» მოწყვეტილობის შესახებ.

V. განაპირა მხარეების მნიშვნელობა. შინაური თუ საგარეო ბაზარი?

პირველ თავში ჩვენ ცხადვყავით, იმ თეორიის მცდარობა, რომელიც კაპიტალიზმის საგარეო ბაზრის საკითხს უკავშირებს პროდუქტის რეალიზაციის საკითხს (გვ. 58 — 59 და შემდეგი). კაპიტალიზმისათვის საგარეო ბაზრის აუცილებლობა აიხსნება სრულიადაც არა შინაურ ბაზარზე პროდუქტის რეალიზაციის შეუძლებლობით, არამედ იმ გარემოებით, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია წარმოების ერთი და იგივე პროცესები გაიმეოროს წინანდელ ფარგლებში, უცვლელ პირობებში (როგორც ეს იყო წინაკაპიტალისტური რეჟიმების დროს), რომ ის აუცილებლად იწვევს წარმოების უსაზღვრო ზრდას, რომელიც ვეღარ თავსდება წინანდელი სამეურნეო ერთეულების ძველ, ვიწრო ფარგლებში. კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი უთანაბრო განვითარების დროს წარმოების ერთი დარგი მეორეს უსწრებს და ცდილობს გადალახოს სამეურნეო ურთიერთობის ძველი რაიონის საზღვრები. ავიღოთ, მაგალითად, რეფორმისშემდგომი ეპოქის დასაწყისის საფეიქრო ინდუსტრია. რადგანაც ის კაპიტალისტურად საკმაოდ დიდად იყო განვითარებული (მანუფაქტურა, რომელიც ფაბრიკად იქცეოდა), მან სავსებით დაიპყრო ცენტრალური რუსეთის ბაზარი. მაგრამ მსხვილი ფაბრიკები, რომლებიც ასე სწრაფად იზრდებოდნენ, ვეღარ დაკმაყოფილდებოდნენ ბაზრის წინანდელი ფარგლებით; მათ დაიწყეს ბაზრის ძებნა უფრო შორს, იმ ახალ მოსახლეობაში, რომელმაც მოახდინა ნოვოროსიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ იმიერვოლგის, ჩრდილო კავკასიის, შემდეგ ციმბირისა და სხვათა კოლონიზაცია. მსხვილი ფაბრიკების მისწრაფება — გადალახონ ძველი ბაზრების ფარგლები, უეჭველია. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ იმ რაიონებში, რომლებიც ამ ძველ ბაზრებს წარმოადგენდნენ, საზოგადოდ, საფეიქრო მრეწველობის მეტი პროდუქტი ვერ მოიხმარებოდა? ხომ არ ნიშნავს ეს, მაგალითად, რომ სამრეწველო და ცენტრალური სამიწათმოქმედო გუბერნიები, საზოგადოდ, მეტ ფაბრიკატს ვეღარ მოიხმარენ? არა. ჩვენ

ვიცით, რომ გლეხობის დაშლის, სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდისა და ინდუსტრიული მოსახლეობის გამრავლების გამო ფართოვდებოდა და ახლაც ფართოვდება თვით ამ ძველი რაიონის შინაური ბაზარიც. მაგრამ შინაური ბაზრის ამ გაფართოებას აფერხებს მრავალი გარემოება (უმთავრესად, სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის განვითარების დამაბრკოლებელ, დახავსებულ დაწესებულებათა არსებობა); და მეფაბრიკეები, რა თქმა უნდა, არ დაიწყებენ ლოდინს, რომ სახალხო მეურნეობის სხვა დარგები თავის კაპიტალისტურ განვითარებაში საფეიქრო ინდუსტრიას დაეწიონ. მეფაბრიკეებს ბაზარი დაუყოვნებლივ ესაჭიროებათ, და თუ სახალხო მეურნეობის სხვა მხარეთა ჩამორჩენილობა ავიწროებს ბაზარს ძველ რაიონში, ისინი ბაზარს დაუწყებენ ძებნას სხვა რაიონში ან სხვა ქვეყანაში, ანდა ძველი ქვეყნის კოლონიებში.

მაგრამ რა არის კოლონია პოლიტიკურ-ეკონომიური აზრით? ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ, მარქსის მიხედვით, ამ ცნების ძირითადი ნიშნები შემდეგია: 1) დაუკავებელი, თავისუფალი, ახალმოშენეთათვის ადვილად მისაწვდომი მიწების არსებობა; 2) შრომის უკვე ჩამოყალიბებული მსოფლიო დანაწილების, მსოფლიო ბაზრის არსებობა, რომლის მეოხებით კოლონიებს შეუძლიათ დახელოვნდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მასობრივ წარმოებაში და მათ სამაგიეროდ მიიღონ მზა სამრეწველო ნაწარმი, «რაც, სხვა პიროებებში, მათვე უნდა დაემზადებინათ» (იხ. ზემოთ, გვ. 291—292, შენიშვნა, თავი IV, § II). ევროპული რუსეთის სამხრეთი და აღმოსავლეთი განაპირა მხარეები, რომლებიც რეფორმისშემდგომ ხანაში დასახლდნენ, სწორედ აღნიშნული თვისებებით რომ ხასიათდებიან და ეკონომიური მნიშვნელობით ცენტრალური ევროპული რუსეთის კოლონიებს წარმოადგენენ, ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ თავის ადგილას*. კოლონიის ეს ცნება

*«... მხოლოდ მათი მეოხებით, წარმოების ამ სახალხო ფორმების მეოხებით, და მათზე დამყარებით, მოხდა მთელი სამხრეთ რუსეთის კოლონიზაცია და დასახლება» (ბ-ნი ნ.—ონი, «ნარკვევები», 284). რა შესა-

კიდევ უფრო შეეფერება სხვა განაპირა მხარეებს, მაგალითად, კავკასიას. რუსეთის მიერ მისი ეკონომიური «დაპყრობა» გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა, ხოლო ეს ეკონომიური დაპყრობა სავსებით აქამდეც არ დასრულებულა. რეფორმისშემდგომ ხანაში, ერთი მხრით, ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია *, მიწის ფართო დამუშავება კოლონისტების მიერ (განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიაში), რომელთაც გასაყიდად მოჰყავდათ ხორბალი, თამბაქო და სხვ. და რომელნიც სოფლის მრავალ დაქირავებულ მუშას იზიდავდნენ რუსეთიდან. მეორე მხრით, თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი «შინამრეწველური» საოეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციის გამო, აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონისა და სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამუშავება **; ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს.ეცემოდა რქის დამუშავება ყანწად საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და მისი ისტორიული ნადიმების დაცემის გამო, ეცემოდა ქუდის სარეწი აზიური კოსტუმის ევროპულით შეცვლის გამო, ეცემოდა რუმბებისა და ქვევრების

ნიშნავად ფართო და შინაარსიანია ეს ცნება: «წარმოების სახალხო ფორმები»! იგი ყველაფერს მოიცავს, რაც გნებავთ: პატრიარქალურ გლეხურ მიწათმოქმედებასაც, შრომამიგებასაც, პრიმიტიულ ხელოსნობასაც, წვრილ სასაქონლო წარმოებასაც და იმ ტიპიურ-კაპიტალისტურ ურთიერთობასაც გლეხური თემის შიგნით, რომელიც ჩვენ ვნახეთ ზემოთ თავრიდის და სამარის გუბერნიათა ცნობების მიხედვით (თავი II) და სხვ. და სხვ.

* შეად. სტატიები ბ-ნ პ. სემიონოვისა («ვესტნ. ფინ.», 1897, № 21) და ვ. მიხაილოვსკისა («ნოვ. სლოვო», ივნისი, 1897 წ.).

** იხ. კ. ხატისოვის სტატია «შინამრეწველობის ანგარიშებისა და გამოკვლევების» II ტომში და პ. ოსტრიაკოვის სტატია «შინამრეწველობის კომისიის შრომების» V ნაკვეთში.

წარმოება ადგილობრივი ღვინოსათვის, რომელიც პირველად გამოჰქონდათ გასაყიდად (რაც იწვევდა მეკასრეობის განვითარებას) და რომელიც თავის მხრით იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმისშემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა, და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ეროვნულ კოსტუმს და ევროპული ლაქიის კოსტუმით მოსავდა მას (გლ. უსპენსკი)[137]. კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციისა და მისი მიწათმოქმედი მოსახლეობის გაძლიერებული ზრდის პროცესთან ერთად სწარმოებდა აგრეთვე (ამ ზრდით მიჩქმალული) პროცესი მოსახლეობის მიზიდვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ. ქალაქის მოსახლეობა კავკასიაში გაიზარდა 350 ათასიდან 1863 წ. 900 ათასამდე 1897 წ. (კავკასიის მთელი მოსახლეობა 1851-დან 1897 წლამდე გაიზარდა 95%-ით). საჭირო არაა დავძინოთ, რომ იგივე მოხდა და ხდება შუა აზიაშიც, ციმბირშიც და სხვ.

ამრიგად, ბუნებრივად იბადება კითხვა, სადაა საზღვარი შინაურ და საგარეო ბაზარს შორის? სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრის აღება საკითხის მეტისმეტად მექანიკური გადაწყვეტა იქნებოდა, — და იქნებოდა კი გადაწყვეტა? თუ შუა აზია შინაური ბაზარია, ხოლო სპარსეთი — საგარეო, მაშინ რას მივაკუთნოთ ხივა და ბუხარა? თუ ციმბირი შინაური ბაზარია, ხოლო ჩინეთი — საგარეო, მაშინ რას მივაკუთნოთ მანჯურია? ამგვარ კითხვებს დიდი მნიშვნელობა არა აქვთ. მთავარია ის, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია იარსებოს და განვითარდეს, თუ იგი მუდამ არ აფართოებს თავისი ბატონობის სფეროს, თუ ახალი ქვეყნების კოლონიზაციას

არ მოახდენს და ძველ, არაკაპიტალისტურ ქვეყნებს მსოფ-ლიო მეურნეობის მორევში არ ჩაითრევს. და კაპიტალიზმის ეს თვისება უდიდესი ძლიერებით იჩენდა და იჩენს თავს რეფორმისშემდეგდროინდელ რუსეთში.

მაშასადამე, კაპიტალიზმისათვის ბაზრის შექმნის პროცესი წარმოადგენს ორ მხარეს, სახელდობრ: კაპიტალიზმის გაღრ-მავებას, ე. ი. კაპიტალისტური მიწათმოქმედებისა და კაპი-ტალისტური მრეწველობის შემდგომ ზრდას მოცემულ, გან-საზღვრულ და კარჩაკეტილ ტერიტორიაზე,—და კაპიტალიზმის გაფართოებას, ე. ი. კაპიტალიზმის ბატონობის სფეროს გავრ-ცელებას ახალ ტერიტორიებზე. ამ ნაშრომის გეგმის თანახმად, ჩვენ პროცესის თითქმის მხოლოდ პირველ მხარეს დავეერდით და ამიტომ განსაკუთრებით საჭიროდ ვთვლით აქ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მის მეორე მხარეს მეტისმეტად დიდი მნიშვნე-ლობა აქვს. განაპირა მხარეების კოლონიზაციისა და რუსეთის ტერიტორიის გაფართოების პროცესის ცოტად თუ ბევრად სრული შესწავლა, კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ შრომას მოითხოვდა. ჩვენთვის საკმარისია აქ აღვნიშნოთ, რომ რუსეთი სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყო-ფება მის განაპირა მხარეებში თავისუფალი და საკოლონი-ზაციოდ მისაწვდომი მიწების სიმრავლის გამო*. აზიის რუ-სეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენ თვით ევროპულ რუ-

* ტექსტში აღნიშნულ გარემოებას აქვს მეორე მხარეც. კაპიტალიზმის გაღრმავება ძველ, დიდი ხნიდან დასახლებულ ტერიტორიაზე ფერხდება გა-ნაპირა მხარეების კოლონიზაციის გამო. კაპიტალიზმის დამახასიათებელ და მის მიერ წარმოშობილ წინაალმდეგობათა გადაჭრის ვადა დროებით გრძელ-დება იმის გამო, რომ კაპიტალიზმს შეუძლია ადვილად გაფართოვდეს. მაგალითად, მრეწველობის უაღრესად მოწინავე ფორმებისა და მიწათმოქ-მედების ნახევრადშუასაუკუნეობრივი ფორმების ერთდროული არსებობა, უეჭველია, აშკარა წინაალმდეგობას წარმოადგენს. რუსეთის კაპიტალიზმს რომ არ შესძლებოდა გაფართოება უკვე რეფორმისშემდგომი პერიოდის და-საწყისში დასახლებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაშინ ამ წინააღ-მდეგობას კაპიტალისტურ მსხვილ ინდუსტრიასა და სოფლის ცხოვრების არქაულ დაწესებულებებს (გლეხთა მიმაგრება მიწაზე და სხვ.) შორის

სეთშიც გვაქვს ისეთი განაპირა მხარეები, რომლებიც, უზარმაზარი მანძილისა და ცუდი გზების გამო, სამეურნეო აზრით, ცენტრალურ რუსეთთან ჯერ კიდევ მეტად სუსტად არიან დაკავშირებულნი. ავიღოთ, მაგალითად, «შორეული ჩრდილოეთი» — არხანგელსკის გუბერნია; მიწისა და ბუნების სიმდიდრეთა თვალუწვდენელი სივრცე ჯერ სულ მცირედ არის გამოყენებული. ერთ-ერთი მთავარი ადგილობრივი პროდუქტი, ხე-ტყე, უკანასკნელ დრომდე უმთავრესად ინგლისში გადიოდა. მაშასადამე, ამ მხრით ევროპული რუსეთის ეს რაიონი ინგლისისათვის საგარეო ბაზარს წარმოადგენდა, ხოლო რუსეთისათვის იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა შინაური ბაზრად. რასაკვირველია, რუსი მეწარმენი შურით უყურებდნენ ინგლისელ მეწარმეთ, და ახლა, არხანგელსკამდე რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ისინი სიხარულით ცას სწვდებიან, რადგან წინასწარ გრძნობენ «სულიერ აღმაფრენას და სამეწარმეო საქმიანობას მხარის მრეწველობის სხვადასხვა დარგში» *.

VI. კაპიტალიზმის «მისია»

დასასრულ, ჩვენ დაგვრჩენია კიდევ დასკვნები გავაკეთოთ იმ საკითხზე, რომელსაც ლიტერატურაში კაპიტალიზმის «მისიის» საკითხს უწოდებენ, ე. ი. კაპიტალიზმის ისტორიულ როლზე რუსეთის სამეურნეო განვითარებაში. ამ როლის პროგრესულობის აღიარება სავსებით შესათავსებელია (როგორც ვეცადეთ დაწვრილებით ცხადგვეყო ეს ჩვენი ფაქტიური ახსნა-განმარტების ყოველ საფეხურზე) კაპიტალიზმის

მალე უნდა გამოეწვია ამ დაწესებულებათა სრული გაუქმება, გზის სავსებით გაწმენდა სამიწათმოქმედო კაპიტალიზმისათვის რუსეთში. მაგრამ საკოლონიზაციო განაპირა მხარეებში ბაზრის ძებნის და პოვნის შესაძლებლობა (მეფაბრიკისათვის), ახალ მიწებზე გადასვლის შესაძლებლობა (გლეხისათვის) ასუსტებს და აყოვნებს ამ წინააღმდეგობის სიმწვავეს და მის გადაჭრას. თავისთავად იგულისხმება, რომ კაპიტალიზმის ზრდის ასეთი დაყოვნება უდრის უახლოეს მომავალში მისი კიდევ მეტად და უფრო ფართოდ ზრდის მომზადებას.

* «საწარმოო ძალები», XX, 12.

უარყოფითი და ბნელი მხარეების სრულ აღიარებასთან, კაპიტალიზმის უეჭველად დამახასიათებელ იმ ღრმა და ყოველმხრივ საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა სრულ აღიარებასთან, რომლებიც ააშკარავებენ ამ ეკონომიური რეჟიმის ისტორიულად გარდამავალ ხასიათს. სწორედ ნაროდნიკები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ საქმე ისე წარმოგვიდგინონ, თითქოს კაპიტალიზმის ისტორიული პროგრესულობის აღიარება მის აპოლოგეტობას ნიშნავდეს, სწორედ ნაროდნიკები სცოდავენ, საკმარისად ვერ აფასებენ (ხან კიდეც ჩქმალავენ) რუსეთის კაპიტალიზმის ყველაზე ღრმა წინააღმდეგობებს, ჩქმალავენ გლეხობის დაშლას, ჩვენი მიწათმოქმედების ევოლუციის კაპიტალისტურ ხასიათს, სოფლელი და ნადელიანი მესარეწე დაქირავებული მუშების კლასის წარმოშობას, ჩქმალავენ იმ გარემოებას, რომ ჩვენს ნაქებ «შინამრეწველობაში» სავსებით სჭარბობენ კაპიტალიზმის დაბალი და უცუდესი ფორმები.

კაპიტალიზმის პროგრესული ისტორიული როლი მოკლედ ორი დებულებით გამოითქმება: საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალთა გადიდება და მისი განსაზოგადოება. მაგრამ ეს ორი ფაქტი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მეტად სხვადასხვაგვარი პროცესებით ვლინდება.

საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალთა განვითარება სრული სიცხადით მხოლოდ მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ეპოქაში იჩენს თავს. კაპიტალიზმის ამ უმაღლეს სტადიამდე კიდევ რჩებოდა ხელით წარმოება და პირველყოფილი ტექნიკა, რომელიც წმინდა სტიქიური გზით და უაღრესად ნელა ვითარდებოდა. ამ მხრით რეფორმისშემდგომი ეპოქა მკვეთრად განირჩევა რუსეთის ისტორიის წინა ეპოქებისაგან. კავისა და საცეხველის, წყლის წისქვილისა და ხელით საქსოვი დაზგის რუსეთი სწრაფად იქცეოდა გუთნისა და სალეწი მანქანის, ორთქლის წისქვილისა და ორთქლის საქსოვი დაზგის რუსეთად. არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი, კაპიტალისტური წარმოებისადმი დამორჩილებული, დარგი, რომელშიც არ ხდებოდეს ტექნიკის ასეთივე სრული გარდა-

ქმნა. ამ გარდაქმნის პროცესი თვით კაპიტალიზმის ბუნების გამო არ შეიძლება სხვანაირად წარმოებდეს, თუ არა მთელ რიგ უთანაბრობათა და არაპროპორციულობათა პირობებში: აყვავების პერიოდებს სცვლიან კრიზისების პერიოდები, მრეწველობის ერთი დარგის განვითარება იწვევს მეორის დაცემას, მიწათმოქმედების პროგრესი მოიცავს ერთ რაიონში სოფლის მეურნეობის ერთ მხარეს, მეორეში — მეორე მხარეს, ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდა წინ უსწრებს მიწათმოქმედების ზრდას და სხვ. ნაროდნიკ მწერალთა მთელი რიგი შეცდომები იქიდან წარმოსდგება, რომ ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ეს არაპროპორციული, ნახტომისებური, აზარტული განვითარება არ იყოს განვითარება *.

კაპიტალიზმის მიერ საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარების მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების საშუალებათა (საწარმოო მოხმარების) ზრდა ძალიან უსწრებს წინ პირადი მოხმარების ზრდას: ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, თუ როგორ ვლინდება ეს მიწათმოქმე-

* «ვნახოთ, რას მოგვიტანს კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება იმ შემთხვევაშიც კი, ინგლისის ზღვაში ჩაძირვაც რომ შევძლოთ და მისი ადგილი ჩვენ დავიკავოთ» (ბ-ნი ნ. — ონი, «ნარკვევები», 210). ინგლისისა და ამერიკის ბამბეულის მრეწველობაში, რომელიც მსოფლიო მოთხოვნილების $^2/_3$ აკმაყოფილებს, მუშაობს სულ 600 ათას კაცზე ცოტა მეტი. «და გამოდის, კიდევაც რომ ჩავიგდოთ ხელში მსოფლიო ბაზრის უმნიშვნელოვანესი ნაწილი... კაპიტალიზმი მაინც ვერ გამოიყენებდა სამუშაო ძალის მთელ მასას, რომელსაც ის დღეს შეუწყვეტლივ ართმევს სამუშაოს. მართლაც, რას ნიშნავს რაღაც 600 ათასი ინგლისელი და ამერიკელი მუშა იმ მილიონობით გლეხთან შედარებით, რომელნიც მთელი თვეობით სხედან სრულიად უსაქმოდ» (211).

«დღემდე ისტორია იყო, მაგრამ ახლა ის აღარ არის». დღემდე საფეიქრო ინდუსტრიაში კაპიტალიზმის განვითარების ყოველ ნაბიჯს თან ახლდა გლეხობის დაშლა, სავაჭრო მიწათმოქმედებისა და სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის ზრდა, მოსახლეობის მიზიდვა მიწათმოქმედებიდან მრეწველობაში, «მილიონობით გლეხთა» გადასვლა სამშენებლო, სატყეო და ყოველნაირ სხვაგვარ არასამიწათმოქმედო სამუშაოებზე დაქირავებით, ხალხის მასების განაპირა მხარეებში გადასახლება და ამ განაპირა მხარეების გადაქცევა კაპიტალიზმის ბაზრად. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დღემდე იყო, ახლა კი, თურმე, აღარაფერი ამის მსგავსი არა ხდება!

დებასა და მრეწველობაში. ეს თავისებურება გამომდინარეობს კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციის ზოგადი კანონებიდან და სავსებით შეესაბამება ამ საზოგადოების ანტაგონისტურ ბუნებას *.

კაპიტალიზმის მიერ შრომის განსაზოგადოება თავს იჩენს შემდეგი პროცესებით. ჯერ ერთი, თვით სასაქონლო წარმოების ზრდა სპობს ნატურალური მეურნეობის დამახასიათებელ წვრილ სამეურნეო ერთეულთა დაქუცმაცებულობას და წვრილ ადგილობრივ ბაზრებს უზარმაზარ ნაციონალურ (და შემდეგ მსოფლიო) ბაზრად აერთიანებს. თავისთვის წარმოება იქცევა წარმოებად მთელი საზოგადოებისათვის, და რაც უფრო განვითარებულია კაპიტალიზმი, მით უფრო ძლიერდება წინააღმდეგობა წარმოების ამ კოლექტიურ ხასიათსა და მითვისების ინდივიდუალურ ხასიათს შორის. მეორე, წარმოების წინანდელი დაქუცმაცებულობის ნაცვლად კაპიტალიზმი ჰქმნის მის, წინათ გაუგონარ, კონცენტრაციას რო-

* წარმოების საშუალებათა მნიშვნელობის უგულებელყოფამ და «სტატისტიკისადმი» ზერელე დამოკიდებულებამ გამოიწვიეს ბ-ნ ნ.—ონის შემდეგი დებულება, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს: «...დამმუშავებელი მრეწველობის დარგში მთელი (!) კაპიტალისტური წარმოება, უკეთეს შემთხვევაში, ჰქმნის ახალ ღირებულებას არა უმეტეს 400 — 500 მილიონი მანეთისა» («ნარკვევები», 328). ბ-ნი ნ.—ონი ამ ანგარიშს ამყარებს სამპროცენტიანი და შეწერილი გამოსაღების ცნობებზე, მაგრამ იმაზე არ ფიქრობს, შეუძლიათ თუ არა ამგვარ ცნობებს მოიცვან «მთელი კაპიტალისტური წარმოება დამმუშავებელი მრეწველობის დარგში». ეს კიდევ ცოტაა, ის იღებს ცნობებს, რომლებიც არ მოიცავენ (მისივე სიტყვით) სამთო-საქარხნო მრეწველობას, და, მიუხედავად ამისა, «ახალ ღირებულებებს» მხოლოდ ზეღირებულებას და ცვალებად კაპიტალს აკუთვნებს. ჩვენს თეორეტიკოსს ავიწყდება, რომ მუდმივი კაპიტალიც მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც პირადი მოხმარების საგნებს ამზადებენ, ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ახალ ღირებულებას შეადგენს, — ის გადაიცვლება მრეწველობის იმ დარგების ცვალებად კაპიტალსა და ზეღირებულებაზე, რომლებიც ამზადებენ წარმოების საშუალებებს (სამთო-საქარხნო მრეწველობა, სამშენებლო, სატყეო მრეწველობა, რკინიგზების გაყვანა და სხვ.). ბ-ნი ნ.—ონი ერთმანეთში რომ არ ურევდეს «საფაბრიკო-საქარხნო» მუშათა და დამმუშავებელ მრეწველობაში კაპიტალისტურად დასაქმებულ მუშათა მთელ რიცხვს, ის ადვილად შეამჩნევდა თავისი გაანგარიშების მცდარობას

გორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში. ეს კაპიტალიზმის ამ თავისებურების ყველაზე მკაფიო და ყველაზე აშკარა, მაგრამ არა ერთადერთი გამოხატულებაა. მესამე, კაპიტალიზმი სპობს პირადი დამოკიდებულების იმ ფორმებს, რომლებიც მეურნეობის წინანდელი სისტემების განუყრელ კუთვნილებას შეადგენდნენ. რუსეთში ამ მხრით კაპიტალიზმის პროგრესულობა განსაკუთრებით მკვეთრად აშკარავდება, რადგანაც ჩვენში მწარმოებლის პირადი დამოკიდებულება არსებობდა (რამდენადმე დღესაც არსებობს) არა მარტო მიწათმოქმედებაში, არამედ დამმუშავებელ მრეწველობაშიც (ბატონყმურ შრომაზე დამყარებული «ფაბრიკები»), სამთოსაქარხნო მრეწველობაშიც, თევზის მრეწველობაშიც * და სხვ. დამოკიდებული თუ კაბალური გლეხის შრომასთან შედარებით, ნებითდაქირავებული მუშის შრომა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს. მეოთხე, კაპიტალიზმი აუცილებლად ჰქმნის მოსახლეობის მიმოძრაობას, რომელსაც საზოგადოებრივი მეურნეობის წინანდელი სისტემები არ მოითხოვდნენ და რომელიც მათი არსებობის დროს რამდენადმე ფართო მასშტაბით შეუძლებელი იყო. მეხუთე, კაპიტალიზმი მუდამ ამცირებს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მისდევს მიწათმოქმედებას (სადაც ყოველთვის საზოგადოებრივ-სამეურნეო ურთიერთობის ყველაზე

* მაგალითად, რუსეთის თევზის მრეწველობის ერთ-ერთ მთავარ ცენტრში, მურმანსკის ნაპირას, ეკონომიური ურთიერთობის «ძველისძველ» და ბეშმარიტად «საუკუნეობით დაკანონებულ» ფორმას წარმოადგენდა «პოკრუტი» — მუშების დაქირავება საზღვაო სარეწთათვის, რომელიც სავსებით ჩამოყალიბდა უკვე XVII საუკუნეში და თითქმის არ შეცვლილა სულ უკანასკნელ ხანამდე. ««პოკრუტელების» და მათი მეპატრონეების ურთიერთდამოკიდებულება არ განისაზღვრება მარტო სარეწაო დროით: პირიქით, იგი მოიცავს «პოკრუტელების» მთელ სიცოცხლეს. რომელნიც თავიანთ მეპატრონეთაგან მუდმივ ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან» («რუსეთის არტელების მასალების კრებული». ნაკვ. 2. სპბ. 1874, გვ. 33). საბედნიეროდ, კაპიტალიზმი, როგორც ჩანს, ამ დარგშიც ხასიათდება «ათვალწუნებითი დამოკიდებულებით საკუთარი ისტორიული წარსულისადმი». «მონოპოლიას... სცვლის... სარეწის კაპიტალისტური ორგანიზაცია, რომელშიც ჩაბმული არიან ნებითდაქირავებული მუშები» («საწარმოო ძალები», V, გვ. 2 — 4).

ჩამორჩენილი ფორმები ბატონობენ), ზრდის მსხვილი ინდუსტრიული ცენტრების რიცხვს. მეექვსე, კაპიტალისტური საზოგადოება აძლიერებს მოსახლეობის შეკავშირების, გაერთიანების მოთხოვნილებას და ამ გაერთიანებებს აძლევს განსაკუთრებულ ხასიათს, წინადროინდელ გაერთიანებებთან შედარებით. კაპიტალიზმი არღვევს შუასაუკუნეობრივი საზოგადოების ვიწრო, ადგილობრივ, წოდებრივ კავშირებს, ჰქმნის გააფთრებულ კონკურენციას, ამავე დროს მთელ საზოგადოებას თიშავს წარმოებაში სხვადასხვა მდგომარეობის მქონე პირთა დიდ ჯგუფებად და თვითეული ასეთი ჯგუფის შიგნით უაღრესად ხელს უწყობს გაერთიანებას *. მეშვიდე, ძველი სამეურნეო წყობის ყველა აღნიშნული ცვლილება, კაპიტალიზმის მიერ გამოწვეული, აუცილებლად იწვევს აგრეთვე მოსახლეობის სულიერი ცხოვრების ცვლილებასაც. ეკონომიური განვითარების ნახტომისებური ხასიათი, წარმოების წესების სწრაფი გარდაქმნა და მისი უზარმაზარი კონცენტრაცია, ურთიერთობაში პირადი დამოკიდებულებისა და პატრიარქალობის ყოველგვარი ფორმის გაუქმება, მოსახლეობის მიმოძრაობა, მსხვილი ინდუსტრიული ცენტრების გავლენა და სხვ., — ყოველივე ეს არ შეიძლება არ იწვევდეს თვით მწარმოებელთა ხასიათის ღრმა ცვლილებას, და ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა რუს მკვლევართა სათანადო დაკვირვებანი.

რაც შეეხება ნაროდნიკულ ეკონომიას, რომლის წარმომადგენლებთან ჩვენ მუდამ გვიხდებოდა კამათი, შეგვიძლია მათთან ჩვენი უთანხმოების მიზეზები მოკლედ შემდეგნაირად გამოვხატოთ. ჯერ ერთი, ნაროდნიკების მხრივ თვით გაგება იმ პროცესისა, თუ სახელდობრ როგორ ვითარდება რუსეთში კაპიტალიზმი, აგრეთვე მათი წარმოდგენა სამეურნეო ურთიერთობის იმ წყობისა, რომელიც კაპიტალიზმზე ადრე არსებობდა რუსეთში, ჩვენ არ შეგვიძლია უსათუოდ შემცდარად არ მივიჩნიოთ, ამასთან ჩვენი თვალსაზრისით განსაკუთრებით ისაა მნიშვნელოვანი, რომ ისინი უგულებელჰყო-

* შეად. «ეტიუდები», გვ. 91, შენიშ. 85; გვ. 198. (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 291 და 564 — 565. რ ე დ.).

ფენ კაპიტალისტურ წინააღმდეგობებს გლეხური (როგორც სამიწათმოქმედო, ისე სარეწაო) მეურნეობის წყობაში. შემდეგ, რაც შეეხება საკითხს, ნელა თუ ჩქარა ვითარდება კაპიტალიზმი რუსეთში, აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას უნდა შევადაროთ ეს განვითარება. თუ რუსეთის წინაკაპიტალისტურ ეპოქას შევადარებთ კაპიტალისტურ ეპოქასთან (და სწორედ ასეთი შედარებაა საჭირო საკითხის სწორად გადასაჭრელად), მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება კაპიტალიზმის დროს უაღრესად სწრაფად მიმდინარეობს. ხოლო თუ განვითარების მოცემულ სისწრაფეს შევადარებთ იმას, როგორიც შესაძლებელია საზოგადოდ ტექნიკის და კულტურის თანამედროვე დონის პირობებში, მაშინ მართლაც უნდა აღვიაროთ, რომ კაპიტალიზმის მოცემული განვითარება რუსეთში ნელა მიმდინარეობს. და ეს განვითარება არც შეიძლება ნელი არ იყოს, ვინაიდან არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ შემორჩენილა ასე უხვად ძველებური დაწესებულებანი, რომელნიც შეუთავსებელია კაპიტალიზმთან, აფერხებენ მის განვითარებას, უსაზღვროდ აუარესებენ იმ მწარმოებელთა მდგომარეობას, ვინც «იჩაგრებიან კაპიტალიზმისგანაც და კაპიტალიზმის არასაკმაო განვითარებისგანაც»[138]. ბოლოს, ნაროდნიკებთან ჩვენი უთანხმოების თითქმის ყველაზე ღრმა მიზეზი ის არის, რომ სხვადასხვანაირია ჩვენი ძირითადი შეხედულებანი საზოგადოებრივ-ეკონომიურ პროცესებზე. ამ პროცესების შესწავლისას ნაროდნიკს ჩვეულებრივ ესა თუ ის ზნეობრივი დასკვნა გამოჰყავს; ის წარმოებაში მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფებს ისე არ უყურებს, როგორც ცხოვრების ამა თუ იმ ფორმის შემქმნელებს; ის მიზნად არ ისახავს წარმოიდგინოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობა, როგორც შედეგი იმ ჯგუფთა ურთიერთდამოკიდებულებისა, რომელთაც სხვადასხვანაირი ინტერესები და სხვადასხვანაირი ისტორიული როლი აქვთ... თუ ამ სტრიქონების დამწერმა შესძლო მოეცა ერთგვარი მასალა ამ საკითხების გამოსარკვევად, მას შეუძლია თავისი შრომა უქმად არ მიიჩნიოს.

დანართი II (VII თავი, გვ. 588)

ევროპული რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის სტატისტიკური მონაცემების შენაჯამები

წლები	მონაცემები წარმოებათა სხვადასხვა რიცხვზე, რომლის შესახებ სხვადასხვა დროის ცნობებია			მონაცემები 34 საწარმოს შესახებ		
	ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი	წარმოების თანხა ათას მან.	მუშათა რიცხვი	ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი	წარმოების თანხა ათას მან.	მუშათა რიცხვი
1863	11 810	247 614	357 835	—	—	—
1864	11 984	274 519	353 968	5 782	201 458	272 385
1865	13 686	286 842	380 638	6 175	210 825	290 222
1866	6 891	276 211	342 473	5 775	239 453	310 918
1867	7 082	239 350	315 759	6 934	235 757	313 759
1868	7 238	253 229	331 027	7 091	249 310	329 219
1869	7 488	287 565	343 308	7 325	283 452	341 425
1870	7 853	318 525	356 184	7 691	313 517	354 063
1871	8 149	334 605	374 769	8 005	329 051	372 608
1872	8 194	357 145	402 365	8 047	352 087	400 325
1873	8 245	351 530	406 964	8 103	346 434	405 050
1874	7 612	357 699	411 057	7 465	352 036	399 376
1875	7 555	368 767	424 131	7 408	362 931	412 291
1876	7 419	361 616	412 181	7 270	354 376	400 749
1877	7 671	379 451	419 414	7 523	371 077	405 799
1878	8 261	461 558	447 858	8 122	450 520	432 728
1879	8 628	541 602	482 276	8 471	530 287	466 515
1885	17 014	864 736	615 598	6 232	479 028	436 775
1886	16 590	866 804	634 822	6 088	464 103	442 241
1887	16 723	910 472	656 932	6 103	514 498	472 575
1888	17 156	999 109	706 820	6 089	580 451	505 157
1889	17 382	1 025 056	716 396	6 148	574 471	481 527
1890	17 946	1 033 296	719 634	5 969	577 861	493 407
1891	16 770	1 108 770	738 146	—	—	—

შენიშვნები

1. აქ თავმოყრილია ევროპული რუსეთის რეფორმისშემდგომი ეპოქის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მონაცემები, რომელთა მონახვაც კი შევძელით ოფიციალურ გამოცემებში, როგორიცაა: «რუსეთის იმპერიის სტატისტიკური მატიანე». სპბ. 1866. I. — «ფინანსთა სამინისტროს უწყების ცნობებისა და მასალების კრებული». 1866 წ. № 4, აპრილი, და 1867 წ. № 6, ივნისი. — «ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული». ნაკვ. I, VIII, X და XII. — «რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მონაცემთა კრებული», ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის 1885 — 1891 წლების გამოცემა. ყველა ეს მონაცემი ემყარება ერთსა და იმავე წყაროს, სახელდობრ — მეფაბრიკეებისა და მექარხნეების მიერ ფინანსთა სამინისტროსათვის მიწოდებულ უწყისებს. ამ მონაცემთა ნიშვნელობასა და ღირსებაზე დაწვრილებით არის ნათქვამი წიგნის ტექსტში.

2. 34 წარმოება, რომელთა შესახებ მოყვანილია 1864 — 1879 და 1885 — 1890 წლების ცნობები, შემდეგია: ბამბის სართავი; ბამბის საქსოვი; სელის სართავი; საჩითავი; ქერელის სართავი და საბაგირო; მატყლის სართავი; მაუდის; მატყლის საქსოვი; აბრეშუმის საქსოვი და ბაბთის; ფარჩის, ყაითნის; ოქრომკედის სართავი და ფათალოსი; მოქსოვილ ნაკეთობათა წარმოება; სამღებრო; გამოყვანა - გაწყობის; მუშამბისა და გამკრიალებელი; საწერი ქაღალდის; შპალერის; რეზინის; ქიმიური და საღებავის; კოსმეტიკური; ძმრის; მინერალური წყლების; ასანთის; ლუქისა და სანდალოზის; ტყავის, ნატისა და ტარსიკონის; წებოს; სტეარინის; საპნის, ქონის სანთლის; თაფლის სანთლის; შუშის, ბროლისა და სარკის ფაიფურისა და ქაშანურის; მანქანათმშენებელი; თუჯსამსხმელო; სპილენძისა და ბრინჯაოსი; მავთულის, ლურსმნისა და ლითონის ზოგიერთი წვრილი ნაკეთობის წარმოება.

დანართი III (VII თავი, გვ. 613)

ევროპული რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ცენტრები

გუბერნია	მაზრა (ან ქალაქი)	სოფელი	1879 ფაბ.-ქარხ. რიცხვი	1879 წარმოების თანხა ათას მანეთობით	1879 მუშათა რიცხვი	1890 ფაბ.-ქარხ. რიცხვი	1890 წარმოების თანხა ათას მანეთობით	1890 მუშათა რიცხვი	მცხოვრებთა რიცხვი 1897 წ. აღწ.
მოსკოვის	ქალაქი	მოსკოვი	618	95 403	61 931	806	114 788	67 213	1 035 664
	მოსკოვის	სლაბ. დანილოვსკაია. . . .	3	2 502	1 837	6	10 870	3 910	3 958
		სოფ. ჩერკიზოვო	1	53	125	12	449	322	?
		სოფ იზმაილოვო	—	—	—	1	1 604	1 104	3 416
		სოფ. პუშკინო.	2	3 060	1 281	1	620	1 076	3 151
		დ. ბალაშიხა	1	1 050	905	1	3 045	2 687	?
		სოფ. რეუტოვო	1	2 900	2 235	1	2 180	2 134	3 256
	ვლადიმრის	სოფ. ნარა-ფომინსკოე . . .	3	2 690	1 955	3	2 445	1 133	?
	ბრონიცის	სოფ. ტროიც.- რამენსკ. . .	1	3 573	2 893	1	4 773	5 098	6 865
	კლინის	სოფ. სოლნეჩ. გორა	1	60	304	2	1 384	1 073	?
		სოფ. ნეკრასინი	1	1 300	538	1	3 212	2 794	?
	კოლომნის	სოფ. ოზერა	4	214	1 163	5	4 950	5 574	11 166
		დ. სადკი	3	1 775	1 865	1	1 598	1 850	?
		სოფ. ბობროვო	1	4 558	2 556	1	4 608	3 396	5 116
	ქალაქი	დმიტროვი მიდამოებით . .	2	3 600	3 462	3	4 167	3 565	
	დმიტროვის	სოფ. მურომცევო	1	1 774	2 371	1	2 076	1 816	?
	ქალაქი	სერპუხოვი მიდამოებით. . .	21	18 537	9 780	23	11 265	5 885	?
	სერპუხოვის	სოფ ნეფედოვა	—	—	—	1	2 735	2 000	?
	ქალაქი	ბოგცროდსკი და მის ახლო სოფ. გლუხოვო	16	3 870	9 548	16	8 880	10 405	9 309
	ბოგოროდსკის	პავლ. პოსადი	15	2 623	2 751	13	1 760	2 071	9 991
		სოფ. ისტომკინო.	1	2 006	1 426	1	2 007	1 651	2 085
		სოფ. კრესტოვოზ.	4	740	935	5	1 415	1 670	?
		სოფ. ზუევო	10	3 216	2 059	9	5 876	2 054	9 908
		სულ გუბერნიაში უმოსკოვოდ	92	60 101	49 989	108	81 419	63 268	—

შენიშვნა. სულ «გუბერნიაში» — ნიშნავს გუბერნიის ჩამოთვლილი ცენტრების შეჯამებულ ცნობებს.

შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. შესადარებლად ვუმატებთ 1897 წლის აღწერის ციფრებს მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ. სამწუხაროდ, ცენ. სტატ. კომიტეტის გამოცემაში — «მაზრების ქალაქები და დაბები, სადაც 2.000 და მეტი მცხოვრებია» — არავითარი დაწვრილებითი ცნობები არაა.

გუბერნია	ქაზრა (ან ქალაქი)	სოფელი	1879 ფაბ.-ქარხ. ოიცხები	1879 წარმოების თანხა ათას მანეთობით	1879 მეუშაკთა ოიცხები	1890 ფაბ.-ქარხ. ოიცხები	1890 წარმოების თანხა ათას მანეთობით	1890 მეუშაკთა ოიცხები	მცხოვრებთა ოიცხები 1897 წ. აღწ.
ტვერის	ქალაქი	ტვერი მიდამ	23	6 440	8 404	26	8 720	6 875	53 477
	ქალაქი	ვიშნ. ვოლოჩ. მიდ.	1	1 780	1 221	2	3 584	2 393	16 722
	ვიშნი ვოლოჩეკის	სოფ. ზავაროვო	1	1 130	2 003	1	1 020	2 186	?
	კორჩევსკის	სოფ. კუზნეცოვო	1	400	861	1	500	1 220	2 503
	ქალაქი	რჟევი.	15	1 894	3 533	6	411	765	21 397
		გუბერნიაში	41	11 644	16 022	36	14 235	13 439	—
რიაზანის	ქალაქი	ეგორიევსკი	20	4 126	3 532	15	5 598	5 697	19 241
ნიჟნი-ნოვგოროდის	ქალაქი	არზამასი	24	394	380	18	255	366	10 591
	გორბატოვის	სოფ. ბოგოროდსკოე . . .	41	315	219	58	547	392	12 342
		სოფ. პავლოვო	21	235	272	26	240	589	12 431
		სოფ. ვორსმა	3	116	303	4	181	894	4 674
	ბალახნის	სოფ. სორმოვო	1	2 890	1 911	1	1 500	1 000	2 963
		გუბერნიაში	90	3 950	3 085	107	2 723	3 241	—
გროდნოს	ქალაქი	ბელოსტოკი	59	2 122	1 619	98	2 734	3 072	63 927
	ბელოსტოკის	დ. სუპოასლი	7	938	854	5	447	585	2 459
ყაზანის	ქალაქი	ყაზანი	66	8 083	3 967	78	7 663	4 787	131 508
ტამბოვის	ტამბოვის	სოფ. რასკაზოვო	19	1 067	2 128	13	940	2 058	8 283
ჩერნიგოვის	სურაჟის	დ. კლინცი	15	1 892	2 456	27	1 548	1 836	12 166
სმოლენსკის	დუხოვშჩინის	სოფ. იარცევო	1	2 781	2 523	1	4 000	3 106	5 761

გუბერნია	მაზრა (ან ქალაქი)	სოფელი	1879 ფაბ.-ქარხ. რიცხვი	1879 წარმოების თანხა ათას მანეთობით	1879 მუშათა რიცხვი	1890 ფაბ.-ქარხ. რიცხვი	1890 წარმოების თანხა ათას მანეთობით	1890 მუშათა რიცხვი	მცხოვრებთა რიცხვი 1897 წ. აღწ.
კალუგის	ჟიზდრის	სოფ. ლიუდინოვო	1	2 488	3 118	1	529	1 050	7 784
	მედინის	სოფ. ტროიცკოე და კონ-დროვო	1	1 047	1 019	1	1 330	1 285	?
ორიოლის	ბრიანსკის	ბეჟეც. სად. ახლო	1	6 970	3 265	1	8 485	4 500	19 054
		სოფ. სერგიევო-რადიცკი	1	1 000	1 012	1	257	400	2 808
ტულის	ქალაქი	ტულა	95	3 671	3 661	248	8 648	6 418	111 048
ვლადიმირის	პოკროვის	დ. ნიკოლსკოე, სად. ორეხო-ვოსთან	2	7 316	10 946	3	22 160	26 852	25 233
		სოფ. დულევო	1	425	1 100	1	600	1 400	7 219
		სოფ. ლიკინა	1	317	389	2	1 184	1 155	3 412
		ქალ. კირჟაჩი	11	1 025	1 437	9	628	825	?
	ქალაქი	შუია	38	5 161	4 879*	32	6 857	5 478	?
	შუისა	ქალ. ივ.-ვოზნეს.	49	20 867	9 943	52	26 403	15 887	4 799
		სოფ. ტეიკოვო.	4	5 918	3 524*	4	4 642	3 581	53 949
		სოფ. კოხმა	9	3 232	2 413	6	2 769	1 666*	5 780
	ქალაქი	მელენკი	16	1 597	2 769	15	2 509	2 498	3 337
	მელენკის	სოფ. გუსი	2	2 284	3 438	2	3 748	5 241	8 904
	ქალაქი	ვიაზნ. და სოფ. იარცევო	8	2 879	3 017	6	3 012	3 331	12 007
		მის მახლობლად	1	—	—	1	2 390	1 961	7 398
	ვიაზნიკის	სოფ. იუკა	1	5 530	4 248	1	5 000	3 879	3 378
	ალექსანდროვის	სოფ. კარაბანოვო	2	3 522	1 688	1	4 950	2 771	?
		სოფ. სტრუნინო	8	2 671	2 154	6	2 703	2 157	8 662
	ქალაქი	პერეიასლავლი.	4	1 760	1 723	5	1 940	2 062	14 570
	ქალაქი	კოვროვი მიდ.	1	1 350	838	1	1 632	1 332	?
		სოფ. გორკი	1	676	575	2	895	885	?
		სოფ. კოლობოვო	1	2 200	1 819	1	—	2 000	5 486
	კოვროვის	სოფ. სობინო	3	1 834	1 335	2	567	871	?
		სოფ. სტაეროვო	26	1 406	1 407*	27	943	1 274*	12 589
	ვლადიმირის	მურომი	12	1 062	1 138*	7	1 163	1 126*	5 637
	ქალაქი	იურიევ-პოლსკი							
	ქალაქი								
		გუბერნიაში [illegible]	201	73 027	60 780	186	96 715	87 727	—

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ვარსკვლავი იმის მ[illegible]ომ საფაბრიკო-საქარხნო მუშათა რიცხვში ჩათვლილი არ არიან განზე მომუშავენი.

გუბერნია	მაზრა (ან ქალაქი)	სოფელი	1879 ფაბ.-ქარხ. ნოსტები	1879 წარმოების ნახევა ათას მანეთობით	1879 ბუნაცია ნოსტები	1890 ფაბ.-ქარხ. ნოსტები	1890 წარმოების ნახევა ათას მანეთობით	1890 ბუნაცია ნოსტები	მეცხოველეობა ნოსტები 1897 წ. აღწ.
ტვერის	ქალაქი	ტვერი მიდამ	28	6 440	8 404	26	8 720	6 875	53 477
	ქალაქი	ვიშნი ვოლოჩეკის	1	1 780	1 221	2	3 584	2 398	16 722
	ვიშნი ვოლოჩეკის	სოფ. ზავაროვო	1	1 180	2 008	1	1 020	2 186	?
	კორჩევსკის	სოფ. კუზნეცოვო	1	400	861	1	500	1 220	2 503
	ქალაქი	რუკევი	15	1 894	3 583	6	411	765	21 397
			41	11 644	16 022	36	14 235	13 439	—
			20	4 126	3 532	15	5 598	5 697	19 241
			24	394	380	18	255	366	10 591
			41	315	219	58	547	392	12 342
			21	235	272	26	240	589	12 431
			3	116	803	4	181	894	4 674
			1	2 890	1 911	1	1 500	1 000	2 963
			90	3 950	3 085	107	2 723	3 241	—
			59	2 122	1 619	98	2 734	3 072	63 927
			7	938	854	5	447	585	2 459
			66	8 083	3 967	78	7 663	4 787	131 508
			19	1 067	2 128	13	940	2 058	8 283
			15	1 892	2 456	27	1 543	1 836	12 166
			1	2 781	2 523	1	4 000	3 106	5 761

გუბერნია	მაზრა (ან ქალაქი)	სოფელი	1879			1890			მცხოვრებთა რიცხვი 1897 წ. აღწ.
			ფაბ.-ქარხ. რიცხვი	წარმოების თანხა ათას მანეთობით	მუშათა რიცხვი	ფაბ.-ქარხ. რიცხვი	წარმოების თანხა ათას მანეთობით	მუშათა რიცხვი	
კალუგის	ჟიზდრის	სოფ. ლიუდინოვო	1	2 488	3 118	1	529	1 050	7 784
	მედინის	სოფ. ტროიცკოე და კონდროვო	1	1 047	1 019	1	1 330	1 285	?
ორიოლის	ბრიანსკის	ბეჟიც. სად. ახლო	1	6 970	3 265	1	8 485	4 500	19 054
		სოფ. სერგიევო-რადიცკი	1	1 000	1 012	1	257	400	2 808
ტულის	ქალაქი	ტულა	95	3 671	3 661	248	8 648	6 418	111 048
ვლადიმირის	პოკროვის	დ. ნიკოლსკოე, სად. ორეხოვოსთან	2	7 316	10 946	3	22 160	26 852	25 233
		სოფ. დულევო	1	425	1 100	1	600	1 400	7 219
		სოფ. ლიკინა	1	317	389	2	1 184	1 155	3 412
		ქალ. კირჟაჩი	11	1 025	1 437	9	628	825	?
	შუისა ქალაქი	შუია	38	5 161	4 879*	32	6 857	5 473	?
		ქალ. ივ.-ვოზნეს.	49	20 867	9 943	52	26 403	15 387	4 799
		სოფ. ტეიკოვო	4	5 913	3 524*	4	4 642	3 581	53 949
		სოფ. კონნა	9	3 232	2 413	6	2 769	1 666*	5 780
	მელენკის ქალაქი	მელენკი	16	1 597	2 769	15	2 509	2 498	3 337
		სოფ. გუსი	2	2 284	3 438	2	3 748	5 241	8 904
	ვიაზნიკის ქალაქი	ვიაზნ. და სოფ. იარცევო მის მახლობლად	8	2 879	3 017	6	3 012	3 331	12 007
		სოფ. იუია	1	—	—	1	2 390	1 961	7 398
	ალექსანდროვის	სოფ. კარაბანოვო	1	5 530	4 248	1	5 000	3 879	3 378
		სოფ. სტრუნინო	2	3 522	1 688	1	4 950	2 771	?
	ქალაქი	პერეიასლავლი	8	2 671	2 154	6	2 703	2 157	8 662
	ქალაქი	კოვროვი მიდ.	4	1 760	1 723	5	1 940	2 062	14 570
	კოვროვის	სოფ. გორკი	1	1 350	838	1	1 632	1 332	?
		სოფ. კოლობოვო	1	676	575	2	895	885	?
	ვლადიმირის	სოფ. სობინო	1	2 200	1 819	1	—	2 000	5 486
		სოფ. სტავროვო	3	1 834	1 335	2	567	871	?
	ქალაქი	მურომი	26	1 406	1 407*	27	943	1 274*	12 589
	ქალაქი	იურიევ-პოლსკი	12	1 062	1 138*	7	1 183	1 126*	5 637
		გუბერნიაში	201	73 027	60 780	186	96 715	87 727	—

შენიშვნა. ვარსკვლავი იმის მაჩვენებელია, რომ საფაბრიკო-საქარხნო მუშათა რიცხვში ჩათვლილი არ არიან განზე მომუშავენი.

გუბერნია	მაზრა (ან ქალაქი)		სოფელი	1879			1890			მცხოვრებთა რიცხვი 1897 წ. აღწ.
				ფაბ.-ქარხ. რიცხვი	წარმოების თანხა ათას მანეთობით	მეუშაოთა რიცხვი	ფაბ.-ქარხ. რიცხვი	წარმოების თანხა ათას მანეთობით	მეუშაოთა რიცხვი	
ს.-პეტერბურგის		ქალაქი	ს.-პეტერბურგი	588	117 500	48 888	490	126 645	51 760	1 267 023
	გარეუბნები		ს.-პეტერბურგისა	84	40 085	24 943	51	35 927	18 939	
		ქალაქი	ნარვა მიდამ.[1]	7	12 361	6 484	6	15 288	7 566	16 577
	ცარსკოე სელოსი		დ. კოლპინო	1	3 148	1 872	1	2 906	1 930	12 241
			გუბერნიაში	630	173 094	82 187	548	180 766	80 195	—
კიევის	ჩერკასკის	ქალაქი	კიევი	76	3 279	1 858	125	16 186	5 901	247 432
			დ. სმელა	9	4 070	1 484	8	4 715	1 238	15 187
კოსტრომის		ქალაქი	კოსტრომა	32	3 899	5 181	24	5 220	4 907	41 268
	კინეშმის	ქალაქი	კინეშმა მიდამ.	4	421	157	9	1 737	1 748	7 564
			სოფ. ტუზინო	3	768	950	3	1 866	2 420	?
			სოფ. ბონიაჩკი	3	1 865	2 365	3	1 331	1 495	3 158
			სოფ. ნავოლოკი	—	—	—	1	1 314	1 305	?
			სოფ. ვიჩუგა	1	940	800	2	684	1 138	?
			სოფ. ნ. გოლჩიხა	4	389	265	4	260	686*	?
	ნერეხტის	ქალაქი	ნერეხტა	1	883	1 204	—	—	—	3 002
			სოფ. კისელევო	2	1 189	1 196	3	2 855	2 368	?
			სოფ. იაკოვლევსკოე	5	1 041	1 095*	5	1 378	2 177*	?
			სოფ. პისკოვო	4	1 634	417	5	923	1 773	2 668
			სოფ. ფროლოვკა	1	1 700	1 300	1	1 750	1 530	?
		ქალაქი	იურიევეცი	2	883	569	1	750	830	4 778
	იურიევეცის		სოფ. როდნიკი	4	1 154	776	3	2 188	2 792	3 225
			გუბერნიაში	66	16 266	16 275	64	22 256	25 169	—

* აქ ნაწილობრივ შედის ესტლანდიის გუბერნიაც (კრონგოლმის მანუფაქტურა).

გუბერნია	მაზრა (ან ქალაქი)	სოფელი	1879			1890			მცხოვრებთა რიცხვი 1897 წ. აღწ.
			ფაბ.-ქარხ. რიცხვი	წარმოების თანხა ათას მანეთობით	მუშათა რიცხვი	ფაბ.-ქარხ. რიცხვი	წარმოების თანხა ათას მანეთობით	მუშათა რიცხვი	
ლიფლანდიის	ქალაქი	რიგა	151	19 094	11 962	226	26 568	16 306	256 197
იაროსლავლის	ქალაქი	იაროსლავლი მიდ.	49	5 245	4 206	47	12 996	9 779	70 610
	იაროსლავლის	ნორსკის პოსადი	1	2 500	2 304	2	1 980	1 639	2 134
		ველიკოსელსკის ვოლოსტი	1	910	956	6	2 169	2 992	4 534
		გუბერნიაში	51	8 655	7 466	55	17 145	14 410	—
ხარკოვის	ქალაქი	ხარკოვი	102	4 225	2 171	122	5 494	3 406	174 846
სარატოვის	ქალაქი	სარატოვი	108	4 495	1 983	89	7 447	2 224	137 109
	ქალაქი	ცარიცინი	25	272	218	57	1 086	751	55 967
	ცარიცინის	დ. დუბოვკა	21	157	110	26	221	270	16 255
		გუბერნიაში	149	4 924	2 311	172	8 754	3 245	—
სამარის	ქალაქი	სამარა	(?) 1	18	10	48	4 560	1 377	91 672
ხერსონის	ქალაქი	ოდესა	159	13 750	3 763	306	29 407	8 634	405 041
დონის	ქალაქი	ნახიჩევანი	34	873	732	45	3 472	3 098	29 312
	ქალაქი	ნოვოჩერკასკი	15	278	128	28	965	467	52 005
	ქალაქი	დ/როსტოვი	26	4 898	2 750	92	13 005	5 756	119 886
ეკატერინოსლავის	ქალაქი	ეკატერინოსლავი	33	1 003	469	63	4 841	3 628	121 216
	ბახმუტის	დ. იუზოვკა	1	2 000	1 800	3	8 988	6 332	28 076
	ეკატერინოსლავის	სოფ. კამენსკოე	—	—	—	1	7 200	2 400	16 878
		ორივე გუბერნიაში	109	9 052	5 379	232	39 071	21 681	—
		სულ ჩამოთვლილ 108 ცენტრში	2 881	536 687	355 777	3 638	706 981	451 244	—

არაკრიტიკული კრიტიკა

(ბ-ნ პ. სკვორცოვის სტატიის «ხაქონლის ფეტიშიზმის» გამო, «ნაუჩნოე ობოზრენიე», № 12, 1899 წ.)

დაწერილია 1900 წ. მარტში

დაბეჭდილია ჟურნალ «ნაუჩნოე ობოზრენიე»-ში, 1900 წ., მაისი — ივნისი [139]

იბეჭდება «ნაუჩნოე ობოზრენიე»-ს ტექსტის მიხედვით

ხელმოწერილია: ვ ლ ა დ ი მ ი რ ი ლ ი ნ ი

«იუპიტერი ბრაზობს»... დიდი ხანია ვიცით, რომ ასეთი სანახაობა ძალიან სასეიროა და რომ მრისხანე მეხისმტყორცნელის წყრომა ნამდვილად მხოლოდ სიცილს იწვევს. ამ ძველ ჭეშმარიტებას კიდევ ერთხელ ადასტურებს ბ-ნი პ. სკვორცოვი, რომელიც მთელი გროვა შერჩეული «ბრაზიანი» სიტყვებით თავს დაატყდა ჩემს წიგნს რუსეთის კაპიტალიზმის შინაური ბაზრის შექმნის პროცესის შესახებ.

I

«მთლიანად აღებული პროცესის გამოსახატავად, — მედიდურად მასწავლის ბ-ნი სკვორცოვი, — საჭიროა გადმოსცეთ წარმოების კაპიტალისტური წესის საკუთარი გაგება, მარტოოდენ რეალიზაციის თეორიის დამოწმებით დაკმაყოფილება კი სრულიად ზედმეტია». რატომ უნდა იყოს «ზედმეტი» შინაური ბაზრის თეორიის დამოწმება წიგნში, რომელიც მიძღვნილია შინაური ბაზრის მონაცემების ანალიზისადმი, — ეს საიდუმლოებად რჩება ჩვენი მრისხანე იუპიტერისა, რომელსაც «საკუთარი გაგების გადმოცემად» «გაუგია»... ამონაწერები «კაპიტალიდან», რომლებიც სანახევროდ არ ეხება საკითხს. «შეიძლება ვუსაყვედუროთ ავტორს ის დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი» (ბ-ნ სკვორცოვის გონებამახვილობის ნიმუში!) «წინააღმდეგობა, რომ, თუმცა იგი მიზნად ისახავს განიხილოს საკითხი» (თუ როგორ იქმნება რუსეთის კაპიტალიზმის შ ი ნ ა უ რ ი ბაზარი), «მაგრამ თ ე ო რ ი ი ს დ ა მ ო წ მ ე ბ ი ს შემდეგ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ასეთი საკითხი სულაც არ არსებობს». ბ-ნი სკვორცოვი იმდენად კმაყოფილია ამ თავისი შენიშვნით, რომ მას რამდენჯერმე იმეორებს, ხოლო

იმას ვერ ხედავს თუ არ სურს დაინახოს, რომ ეს შენიშვნა უხეშ შეცდომაზეა დამყარებული. პირველი თავის ბოლოში ნათქვამი მაქვს, რომ «შინაური ბაზრის საკითხი, როგორც კაპიტალიზმის განვითარების დონის საკითხისაგან დამოუკიდებელი, ცალკე, თავისთავადი საკითხი, სრულიადაც არ არსებობს» (63)[140]. მერე? არ ეთანხმება ამას კრიტიკოსი? არა, ეთანხმება, ვინაიდან ერთი გვერდით წინ ჩემს მითითებას «სამართლიანს» უწოდებს. ხოლო თუ ასეა, მაშინ რატომ სტეხს იგი ხმაურს და რატომ ცდილობს ჩემი დასკვნიდან ყველაზე არსებითი ნაწილი ამოაგდოს? ესეც საიდუმლოებად რჩება. შესავალი თეორიული თავის ბოლოში პირდაპირ დასახელებული მაქვს თემა, რომელიც მაინტერესებს: «ის საკითხი, თუ როგორ იქმნება რუსეთის კაპიტალიზმის შინაური ბაზარი, შემდეგი საკითხით გამოიხატება: როგორ და რა მიმართულებით ვითარდება რუსეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა მხარე? რაში მდგომარეობს ამ სხვადასხვა მხარეთა კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება?» (64). ხომ არ ჰგონია კრიტიკოსს, რომ ეს საკითხები განხილვის ღირსი არაა? არა, ის ამჯობინებს გვერდი აუაროს იმ თემას, რომელიც მე დავისახე, და მიმითითოს სხვა თემებზე, რომელთათვისაც, იუპიტერის ბრძანებით, მე ხელი უნდა მომეკიდა. მისი აზრით, მე უნდა «გამომეხატა პროდუქტის როგორც იმ ნაწილის რეპროდუქცია და ბრუნვა, რომელიც მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში იწარმოება კაპიტალისტურად, ისე იმ ნაწილისაც, რომელსაც აწარმოებენ დამოუკიდებელი მწარმოებელი გლეხები... მეჩვენებინა მათი თანაფარდობა, ე. ი. მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის და ზედმეტი ღირებულების სიდიდე საზოგადოებრივი შრომის თვითეულ აღნიშნულ ქვედარგში» (2278). ეს ხომ პირდაპირ წკრიალა და სრულიად უშინაარსო ფრაზაა! ვიდრე იმ პროდუქტის რეპროდუქციას და ბრუნვას გამოვხატავდეთ, რომელიც კაპიტალისტურად იწარმოება მიწათმოქმედებაში, საჭიროა ჯერ გამოვარკვიოთ, სახელდობრ როგორ და რამდენად ხდება მიწათმოქმედება კაპიტალის-

ტური, გლეხებში თუ მემამულეებში, ამა თუ იმ რაიონში და სხვ. ამის გამოურკვევლად (მე კი სწორედ ამას ვარკვევდი ჩემს წიგნში) ბ-ნ სკვორცოვის ნაქადაგები გამოხატვა მთელ რიგ გაცვეთილ ფრაზებად დარჩება. სანამ ვილაპარაკებდეთ პროდუქტის იმ ნაწილზე, რომელიც მრეწველობაში კაპიტალისტურად იწარმოება, საჭიროა ჯერ გავიგოთ, სახელდობრ რა მრეწველობა ხდება და რამდენად ხდება რუსეთში კაპიტალისტური. მე სწორედ ამის გამორკვევას ვცდილობდი, მაგალითად, იმ მონაცემთა დამუშავების საშუალებით, რომლებიც შინამრეწველობას შეეხება. მრისხანე კრიტიკოსი ყოველივე ამის გამო მედიდურად სდუმს და ფრიად სერიოზულად მიწვევს — ერთი ადგილი ვტკეპნო და დავკმაყოფილდე უაზრო გაცვეთილი ფრაზებით კაპიტალისტური მრეწველობის შესახებ! ფაქტიურ შესწავლას მოითხოვს აგრეთვე საკითხი, თუ სახელდობრ რომელი გლეხები არიან რუსეთში «დამოუკიდებელი მწარმოებლები»; მეც სწორედ ამ შესწავლის ცდა წარმოვადგინე ჩემს წიგნში. ბ-ნი სკვორცოვი ამ საკითხს რომ ჩაფიქრებოდა, აღარ იტყოდა იმგვარ შეუსაბამობას, თითქოს მუდმივი, ცვალებადი კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების კატეგორიების გადატანა უყოყმანოდ შეიძლებოდეს «დამოუკიდებელ მწარმოებელ-გლეხთა» მეურნეობაზე. ერთი სიტყვით, ბ-ნ სკვორცოვის მიერ წამოყენებული თემის დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ ჩემს მიერ დასახული საკითხების გამორკვევის შ ე მ დ ე გ. ჩემს მიერ საკითხის დაყენების შესწორების სახით, მრისხანე კრიტიკოსი მიიწევს უკან, კონკრეტული და ისტორიულად განსაკუთრებული სინამდვილის ანალიზიდან მარქსის უბრალო გადმოწერისაკენ.

სხვათა შორის, შეუძლებელია დუმილით ავუაროთ გვერდი ბ-ნ პ. სკვორცოვის შემდეგ ოინს, რომელიც ჩინებულად ახასიათებს ჩვენი კრიტიკოსის ხერხებს. პროფ. ზომბარტი (ამბობს ბ-ნი პ. სკვორცოვი) გვიჩვენებს, რომ გერმანიის ექსპორტი ჩამორჩება გერმანიის მრეწველობის განვითარებას. «ეს ცნობები, — განმარტავს ბ-ნი პ. სკვორცოვი, — სწორედ ბაზრების ჩემს გაგებას ადასტურებენო». ხომ ჩინებულად არის

ნათქვამი? ბ-ნი სკვორცოვი თავისი მსჯელობით ამართლებს ცნობილ თქმულებას: საიდან სადაო. ხალხი რეალიზაციის თეორიის შესახებ კამათობს, — კაპიტალიზმი კი, ისევე როგორც ბატონყმობა, ზედმეტი შრომით არსებობსო! თუ ასეთ შეუდარებელ ოინებს მივუმატებთ რამდენიმე მრისხანე შემოძახილს, მივიღებთ ბ-ნ სკვორცოვის მთელ «კრიტიკას».

მაგრამ თვით მკითხველმა განსაჯოს: ჩემი «გაუგებლობის» ნათელსაყოფად ბ-ნ პ. სკვორცოვს 2279 და 2280 გვერდზე მოუტანია ამონაწერები პირველი თავის სხვადასხვა ადგილიდან, ამოუგლეჯია ცალკეული სიტყვები ცალკეული ფრაზებიდან და გაიძახის: «მ ო ნ ა ხ ვ ა, გ ა ც ვ ლ ა, შ ი ნ ა უ რ ი ბ ა ზ რ ი ს თეორია, შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ს მ ო ნ ა ხ ვ ა და ბოლოს ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ ა! არა მგონია, განსაზღვრათა ასეთი სიზუსტე მოწმობდეს იმას, რომ ბ-ნ ილინს ნათლად ესმოდეს მარქსის რეალიზაციის «შესანიშნავი» თეორია!?» ეს ხომ სრულიად ისეთივე «კრიტიკაა», როგორიც ის, რომელსაც ოდესღაც დასცინოდა ჩერნიშევსკი; აიღებს კაცი ხელში «ჩიჩიკოვის თავგადასავალს» და იწყებს «გაკრიტიკებას»: «ჩი-ჩი-კოვი, ჩხი-ჩხი... ჰო, რა სასაცილოა! მონახვა, გაცვლა... არა მგონია, ეს ნათელი იყოს...»[141]. უჰ, რა გამანადგურებელი კრიტიკაა!

ჩემი წიგნის 41 გვ. მე ვამბობ, რომ პროდუქტის გარჩევა ნატურალური ფორმის მიხედვით აუცილებელი არ იყო ინდივიდუალური კაპიტალის წარმოების ანალიზის დროს, მაგრამ უთუოდ აუცილებელია საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციის ანალიზის დროს, ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში (და მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში) ლაპარაკია სწორედ პროდუქტის ნატურალური ფორმის ანაზღაურებაზე. ბ-ნი სკვორცოვი ამტკიცებს, რომ მე მარქსი «ვერ გამიგია», მკაცრ შენიშვნას მაძლევს «თავისუფალი თარგმანისათვის», სთვლის «საჭიროდ დაწვრილებით მოიყვანოს ციტატები «კ ა პ ი ტ ა ლ ი»-დან» (ამასთან ციტატებში სწორედ ისაა ნათქვამი, რაც მე გადმოვეცი) და თავს ესხმის ჩემს შემდეგ

სიტყვებს: «ახლა კი», ე. ი. საზოგადოებრივი და არა ინდივიდუალური კაპიტალის რეპროდუქციის ანალიზის დროს, «საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ საიდან მიიღებენ მუშები და კაპიტალისტები თავიანთ მოსახმარ საგნებს? საიდან მიიღებენ კაპიტალისტები წარმოების საშუალებებს? რანაირად დაფარავს ნაწარმოები პროდუქტი ყველა ამ მოთხოვნილებას და რანაირად შეჰქმნის წარმოების გაფართოების შესაძლებლობას?» ბ-ნი სკვორცოვი ხაზს უსვამს ამ ადგილს და წერს: «ჩემს მიერ ხაზგასმულ ადგილებში მართლაც არის რეალიზაციის თეორია, მაგრამ არა მარქსისა, არამედ ბ-ნ ილინისა, თეორია, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს მარქსის არავითარ თეორიასთან» (2282). მაგრად არის ნათქვამი! მაგრამ ვნახოთ, როგორია დასაბუთება. რასაკვირველია, საბუთები მარქსიდან მოყვანილი ციტატებია, მათ შორის შემდეგი ციტატი: «საკითხი, როგორც ის უშუალოდ წინგვიძს (sic!) *, ასეთია: როგორ იცვლება წარმოებაში დახარჯული კაპიტა-

* სხვათა შორის, თარგმანის შესახებ. ბ-ნ სკვორცოვს ჩემი წიგნიდან მოჰყავს შემდეგი ფრაზა: «...თითქოს მათი (საწარმოო ძალთა) განვითარების საზღვარი მხოლოდ საზოგადოების აბსოლუტური მოხმარებითი უნარიანობა იყოს» (48), და სასტიკ შენიშვნას მაძლევს: «ბ-ნი ილინი...ვერ ამჩნევს თარგმანის სიუშნოეს, მაშინ როდესაც დედანში უბრალოდ და ნათლად არის ნათქვამი: «als ob nur die absolute Konsumptionsfähigkeit der Gesellschaft ihre Grenze bilde»» (2286). რით არის ცუდი ეს (სავსებით სწორი) თარგმანი, კრიტიკოსი ამას არ განმარტავს. ხოლო მისი სისასტიკე რომ დავახასიათოთ, საკმარისია მოვიყვანოთ მ ი ს ი თარგმანის ორიოდე ნიმუში. გვ. 2284: «ხოლო თუ ყოველწლიური ნორმალური რეპროდუქცია მოცემული ოდენობით წარმოგვიდგება, ამით აგრეთვე წარმოგვიდგება...» (დედანში: ist damit auch unterstellt); გვ. 2285: «საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა მარტივ რეპროდუქციას. შემდეგ წარმოდგენილი იქნება» (დედანში: Ferner wird unterstellt) «არათუ მარტო პროდუქტები იცვლებიან მათი ღირებულების მიხედვით» და სხვ. ამგვარად, კეთილ ბ-ნ სკვორცოვს, უეჭველია, მტკიცედ სწამს, რომ unterstellen ნიშნავს წარმოდგენას, და რომ wird unterstellt — მყობადი დროა.

ალარ ვეხები მრისხანე კრიტიკოსის სტილს, რომელიც გვთავაზობს ასეთ ფრაზებსაც: «ახლა წარმოების კაპიტალისტური წესი უდრის სამეწარმოქმედო მრეწველობას» (2293).

ლი მისი ღირებულების მიხედვით ყოველწლიური პროდუქტიდან და როგორ ეხლართება ამ შეცვლის მოძრაობა კაპიტალისტების მიერ ზედმეტი ღირებულების, ხოლო მომუშავეთა მიერ შრომის საზღაურის მოხმარებას?» დასკვნა: «მე ვფიქრობ, საკმაოდ ნათელვყავი, რომ რეალიზაციის იმ თეორიას, რომელსაც ბ-ნი ილინი მარქსის თეორიად ასაღებს, საერთო არაფერი აქვს მარქსის მიერ მოცემულ ანალიზთან» და სხვ. მე დამრჩენია ისევ ვიკითხო: ხომ ჩინებულია? რა განსხვავებაა ჩემს ნათქვამსა და იმას შორის, რაც ნათქვამია მარქსიდან ამონაწერებში, — ეს ჩვენი მრისხანე კრიტიკოსის საიდუმლოებად რჩება. ცხადია მხოლოდ, რომ ჩემი მომაკვდინებელი ცოდვა ყოფილა «თავისუფალი თარგმანი» ან, ალბათ, ის, რომ მე მარქსს «ჩემი სიტყვებით» გადმოვცემ, როგორც ამბობს ბ-ნი სკვორცოვი სტატიის სხვა ადგილას (2287). აბა, წარმოიდგინეთ! მარქსს «ჩემი სიტყვებით» გადმოვცემ! «ნამდვილი» მარქსიზმი ისაა, რომ «კაპიტალი» ზეპირად დაისწავლო და უთავბოლოდ მოიყვანო იქიდან ციტატები... à la* ბ-ნ ნიკოლაი — ონისა.

აი ილუსტრაციაც ამ უკანასკნელი შენიშვნის დასადასტურებლად. მე ვამბობ, რომ კაპიტალიზმი «ჩნდება მხოლოდ როგორც საქონლის ფართოდ განვითარებული ბრუნვის შედეგი», ხოლო მეორე ადგილას, რომ «კაპიტალიზმი სასაქონლო წარმოების განვითარების ის სტადიაა, როდესაც სამუშაო ძალაც საქონლად იქცევა». მრისხანე იუპიტერი ჰქუხს და სჩექს: «თუ რა პირობებში ჩნდება კაპიტალიზმი... წერა-კითხვის ოდნავ მცოდნე ყოველმა მკითხველმა იცის» (sic!), «ბ-ნ ილინის ბურჟუაზიული ჰორიზონტი» და სხვა მსგავსი მარგალიტები, რომლებითაც დამშვენებულია გაბრაზებულ ბ-ნ სკვორცოვის პოლემიკა. ამას მისდევს ციტატები მარქსიდან: პირველი ციტატი სწორედ იმას ამბობს, რაც მე მაქვს ნათქვამი (სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა კაპიტალისტური წარმოების ძირითადი პირობაა); მეორე ამბობს, რომ ბრუნვის წესი წარ-

* — მსგავსად. რ ე დ.

შოების საზოგადოებრივი ხასიათიდან გამომდინარეობს, და არა პირიქით («Das Kapital», II. B., 93)[142]. ბ-ნ სკვორცოვს ჰგონია, რომ ამ უკანასკნელი ციტატით მან საბოლოოდ გაანადგურა თავისი ოპონენტი. ნამდვილად კი ჩემ მიერ დაყენებული საკითხი მან სხვა საკითხით შესცვალა და დაამტკიცა, რომ მას უადგილო ციტატების მოყვანის უნარი აქვს. რაზე ვლაპარაკობდი მე ინკრიმინირებულ ადგილას? იმაზე, რომ კაპიტალიზმი საქონლის ბრუნვის შედეგია, ე. ი. კაპიტალისტური წარმოებისა და საქონლის ბრუნვის ისტორიულ თანაფარდობაზე. ხოლო რაზეა ლაპარაკი «კაპიტალის» მეორე ტომიდან (რომელიც მიძღვნილია კაპიტალის ბრუნვის საკითხისადმი) მოყვანილ ციტატში? კაპიტალისტური წარმოების კაპიტალისტური ბრუნვისადმი დამოკიდებულებაზე; მარქსი ამ ადგილას (S. 92. II. B. [143]) ეკამათება იმ ეკონომისტებს, რომლებიც ერთმანეთს უპირდაპირებდნენ ნატურალურ მეურნეობას, ფულად მეურნეობას და საკრედიტო მეურნეობას, როგორც საზოგადოებრივი წარმოების მოძრაობის სამ დამახასიათებელ ეკონომიურ ფორმას; მარქსი ამბობს, რომ ეს მართალი არაა, რადგან როგორც ფულადი, ისე საკრედიტო მეურნეობა ბრუნვის მხოლოდ იმ წესებს გამოხატავს, რომლებიც კაპიტალისტური წარმოების განვითარების სხვადასხვა საფეხურს ახასიათებენ, და აკეთებს დასკვნითს შენიშვნას ა მ ე კ ო ნ ო მ ი ს ტ ე ბ ი ს «ბურჟუაზიული ჰორიზონტის» შესახებ. ბ-ნ სკვორცოვის აზრით, «ნამდვილი» მარქსიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ჩაიფრინდე მარქსის უკანასკნელ სიტყვას და იმეორო იგი — თუნდაც იმ ოპონენტის წინააღმდეგ, რომელსაც ფიქრადაც არ ჰქონია ელაპარაკნა ნატურალური, ფულადი და საკრედიტო მეურნეობის თანაფარდობაზე. ახლა მკითხველმა განსაჯოს, თუ ვის ახასიათებს აქ «ვერგაგება» და რა ჯურის ლიტერატურას მიეკუთვნება მსგავსი საქციელი. მრისხანე შემოძახების ხმაურში ბ-ნმა სკვორცოვმა არათუ აამუშავა საკითხის «შეცვლის მომენტი», არამედ სრულიადაც აუარა გვერდი კაპიტალისტური წარმოებისა და საქონლის ბრუნვის თანაფარ-

დობის საკითხს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც მე ჩემს წიგნში მრავალჯერ ვუბრუნდები და ხაზს ვუსვამ სავაჭრო კაპიტალის, როგორც კაპიტალისტური წარმოების წინამორბედის, ისტორიულ როლს. ბ-ნ სკვორცოვს ამის საწინააღმდეგო თითქოს არაფერი აქვს (რამდენადაც ამაზე ის კრინტს არ ძრავს). ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ რა აზრი აქვს იმ ხმაურს, რომელიც მან ასტეხა ჩემი იმ სიტყვების გამო, რომ კაპიტალიზმი საქონლის ბრუნვის შედეგია? განა სავაჭრო კაპიტალი არ გამოხატავს ვაჭრობის, ე. ი. საქონლის ბრუნვის განვითარებას გარეშე კაპიტალისტური წარმოებისა? და ეს კითხვები ისევ და ისევ რჩება გაჯავრებული იუპიტერის საიდუმლოებად.

რომ მოვრჩეთ იმ «კრიტიკას», რომლითაც გამოილაშქრა ბ-ნმა სკვორცოვმა ჩემი შრომის თეორიული ნაწილის წინააღმდეგ, საჭიროა განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მრისხანე შემოძახება და ტლანქი შეცდომა, რომლებითაც სავსეა სტატია «საქონლის ფეტიშიზმი».

ჩემს წიგნში ნათქვამია: «კაპიტალისტური ქვეყნისათვის საგარეო ბაზრის საჭიროება განისაზღვრება... იმით, რომ კაპიტალიზმი შედეგია მხოლოდ ფართოდ განვითარებული საქონელბრუნვისა, რომელიც სცილდება სახელმწიფოს ფარგლებს. ამიტომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კაპიტალისტური ერი საგარეო ვაჭრობის გარეშე, და ასეთი ერი არც არსებობს. როგორც მკითხველი ხედავს, ეს მიზეზი ისტორიული ხასიათისაა» (59). მრისხანე იუპიტერი «მაკრიტიკებს»: «მე, როგორც მკითხველი, ვერ ვხედავ, რომ ეს მიზეზი ისტორიული ხასიათისაა. სრულიად ლიტონი მითითებაა» (2284) და სხვ. თუ საქონელბრუნვა კაპიტალიზმის აუცილებელი ისტორიული წინამორბედია, ნუთუ კიდევ საჭიროა იმის განმარტება, თუ რატომ არის «ეს მიზეზი ისტორიული ხასიათისა»?

კაპიტალიზმის აბსტრაქტული თეორიისათვის არსებობს მხოლოდ განვითარებული და სავსებით ჩამოყალიბებული კაპიტალიზმი, ხოლო მისი წარმოშობის საკითხი განზე რჩება.

«ბ-ნი ილინი... კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციისათვის... საგარეო ბაზრის დახმარებას მიმართავს» (2286). მკითხველს, რომელიც იცნობს ჩემს «ეტიუდებს» და «კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში», არა მგონია დასჭირდეს იმის განმარტება, რომ ეს ისეთივე ხერხით შესრულებული ოინბაზობაა, როგორც ზემოთ აღნიშნული. ციტატი მარქსიდან: «...საგარეო ვაჭრობა მხოლოდ სცვლის ადგილობრივ საქონელს სხვა მოხმარებითი თუ ნატურალური ფორმის საქონლით...»[144]. დასკვნა: «ყოველი წერა-კითხვის მცოდნე, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებათა გარდა, მიხვდება, რომ მარქსი პირდაპირ ბ-ნ ილინის თეორიის საწინააღმდეგოს ლაპარაკობს, რომ საგარეო ბაზარზე არაა საჭირო ვეძიოთ «ექვივალენტი პროდუქტის გასასაღებელი ნაწილისათვის», «კაპიტალისტური პროდუქტის მეორე ნაწილისათვის, რომელსაც შეუძლია პირველი შესცვალოს» (2284). ო, დიდებულო ბ-ნო სკვორცოვო!

«ბ-ნი ილინი... გვერდს უვლის კაპიტალისტური საზოგადოების არსებით თვისებებს, ამრიგად, აქცევს მას გეგმაშეწონილ წარმოებად, — პროპორციულობა ცალკე წარმოებათა განვითარებაში, უსათუოდ, წარმოების გეგმაშეწონილებას ნიშნავს, — და, ბოლოს, იმავე რაოდენობის პროდუქტს თავისუფლად ასაღებს ქვეყნის შიგნით» (2286). «კრიტიკოსის» ეს ახალი ოინი დამყარებულია იმაზე, რომ მე მაჩრის იმ აზრს, თითქოს კაპიტალიზმი მუდმივ პროპორციულობას უზრუნველჰყოფდეს. მუდმივი, შეგნებულად გატარებული პროპორციულობა, მართლაც, გეგმაშეწონილება იქნებოდა, — მაგრამ არა ის პროპორციულობა, რომელიც «მყარდება მხოლოდ როგორც მთელ რიგ მუდმივ რყევათა საშუალო ოდენობა» (სწორედ ეს მაქვს აღნიშნული იმ ადგილას, რომელიც ბ-ნ სკვორცოვს მოჰყავს). მე პირდაპირ ვამბობ, რომ პროპორციულობა (ან შესაბამობა) თეორიითაა «ნ ა გ უ ლ ი ს ხ მ ე ვ ი», სინამდვილეში კი იგი «მ უ დ ა მ ი რ ღ ვ ე ვ ა», რომ კაპიტალის ერთი განაწილების მეორეთი შეცვლისათვის, რაც პროპორციულობას ჰქმნის, «ს ა ჭ ი რ ო ა კ რ ი ზ ი ს» (ყველა ხაზგას-

მულ სიტყვას ნახავთ იმავე 59—60 გვერდებზე, რომელთაც ბ-ნი სკვორცოვი ასახელებს). ახლა ვიკითხოთ, რა უნდა ვიფიქროთ იმ კრიტიკოსზე, რომელიც თავის მოწინააღმდეგეს მიაწერს კაპიტალიზმის გეგმაშეწონილ წარმოებად გარდაქცევას და ამისათვის სწორედ იმავე გვერდს და სწორედ იმავე აბზაცს იმოწმებს, სადაც ეს მოწინააღმდეგე ამბობს, რომ კაპიტალიზმისათვის საჭიროა კრიზისი, რათა შეჰქმნას პროპორციულობა, რომელიც მუდამ ირღვევა??

II

გადავდივართ ბ-ნ სკვორცოვის სტატიის მეორე ნაწილზე, რომელიც ეხება ჩემს წიგნში მოყვანილი და ანალიზებული ფაქტიური მონაცემების კრიტიკას. ეგებ აქ მაინც ვნახოთ ოდნავ სერიოზული კრიტიკა იმ საკითხების სფეროში, რომლებზეც სპეციალურად უმუშავნია ბ-ნ სკვორცოვს?

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება წარმოადგენს სასაქონლო მეურნეობის საფუძველს და შინაური ბაზრის შექმნის ძირითად პროცესს, — მოჰყავს ბ-ნ სკვორცოვს ჩემი სიტყვები,— «ხოლო უბრალოდ «შრომის დანაწილება», უნდა ვიგულისხმოთ, არა საზოგადოებრივი შრომისა, — საფუძველია მანუფაქტურისა»... ამ «ირონიის მცდელობით» კრიტიკოსი ამჟღავნებს, რომ მას არ ესმის ელემენტარული განსხვავება საზოგადოებაში შრომის დანაწილებასა და სახელოსნოში შრომის დანაწილებას შორის: პირველი ჰქმნის (სასაქონლო მეურნეობის ვითარებაში — პირობა, რომელიც პირდაპირ მაქვს აღნიშნული, ასე რომ ბ-ნ სკვორცოვის მიერ ინდოეთის თემში არსებული შრომის დანაწილების მოგონება ეკუთვნის ამ ავტორის სამწუხარო ჩვეულებას — უადგილო ადგილას მოიყვანოს მარქსიდან ციტატები) განკერძოებულ საქონელმწარმოებელთ, რომელნიც თავისთავად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აწარმოებენ სხვადასხვა გასაცვლელ პროდუქტებს; მეორე არ სცვლის მწარმოებელთა დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი და მხოლოდ გარდაქმნის მათს მდგომარეობას სახელოსნოში. ამავე მიზეზით, რამდენადაც მე გამეგება, მარქსი ხან «შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე»* ლაპარაკობს, ხან

* «კაპიტალის» პირველი ტომის მეთორმეტე თავში, რომელიც მანუ-

უბრალოდ შრომის დანაწილებაზე. თუ ბ-ნი სკვორცოვი სხვანაირად ფიქრობს, მას წყრომით აღსავსე, მაგრამ ყოვლად უშინაარსო შენიშვნები კი არ უნდა გადმოესროლა, არამედ თავისი აზრი უნდა გამოეთქვა და განემარტა.

«შრომის დანაწილება სულაც არაა მანუფაქტურის დამახასიათებელი ნიშანი, რადგან შრომის დანაწილება ფაბრიკაშიც არსებობს».

ძალიან კარგი, ბ-ნო სკვორცოვო! მაგრამ მე განა მარტო ამ ნიშნით განვასხვავებ მანუფაქტურას ფაბრიკისაგან? კრიტიკოსს რომ მოესურვებინა ცოტათი მაინც სერიოზულად გამოერკვია, თუ რამდენად სწორად მესმის მე «მანუფაქტურის დამახასიათებელი ნიშნები» (ეს ძალიან საინტერესო და არც ისე უბრალო საკითხია, როგორც პირველი შეხედვით შეიძლება იფიქროთ), განა ის არ აღნიშნავდა, რომ იმავე პარაგრაფში, რომელზეც ლაპარაკია, პირდაპირ მიწერია: «მანუფაქტურის ცნების ძირითადი ნიშნები, მარქსის Ეიხედვით, ჩვენ ჩამოვთვალეთ სხვა ადგილას («ეტიუდები», 179 *)» (გვ. 450, შენიშვნა 1)? «ეტიუდებში» შრომის დანაწილება გამოყვანილია მხოლოდ როგორც ერთი ნიშანი, მთელ რიგ სხვა ნიშნებს შორის. მაშასადამე, ბ-ნ სკვორცოვის სტატიის მკითხველი სრულიად დამახინჯებულ წარმოდგენას მიიღებს ჩემს შეხედულებაზე და სრულიად ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მიიღებს კრიტიკოსის საკუთარ შეხედულებათა შესახებ.

შემდეგ. ცდა იმისა, რომ მთელი რიგი ეგრეთწოდებული «შინამრეწველური» სარეწები წარმოდგენილ იქნას როგორც რუ-

---

ფაქტურის საკითხს ეხება, არის განსაკუთრებული პარაგრაფი შემდეგი სათაურით: «შრომის დანაწილება მანუფაქტურაში და შრომის დანაწილება საზოგადოებაში». ამ პარაგრაფის დასაწყისში მარქსი ამბობს: «მოკლედ შევეხოთ ურთიერთობას შრომის მანუფაქტურულ და შრომის საზოგადოებრივ დაყოფას შორის, რომელიც ყოველი სასაქონლო წარმოების საერთო საფუძველს შეადგენს» («Das Kapital», I², S. 362) [145]. ხომ ჭკუის სასწავლებელია ჩვენი გულმოსული იუპიტერის საქციელის შედარება ამასთან?

* იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 533—534. რ ე დ.

სეთის კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადია, თუ არ ვცდები, ჩემს წიგნში პირველად მოხდა, და მე, ცხადია, სრულიად არ ვფიქრობ, რომ ეს საკითხი სავსებით გადაწყვეტილია (მით უფრო, რომ მე იგი განხილული მაქვს ერთგვარი სპეციალური თვალსაზრისით). ამიტომ მე წინდაწინვე მოველოდი ჩემს შეხედულებათა კრიტიკას, მოველოდი მით უფრო მეტი საფუძვლით და მეტი ინტერესით, რომ ზოგიერთმა რუსმა მარქსისტმა უკვე გამოთქვა რამდენიმედ განსხვავებული შეხედულებანი (იხ. «კაპიტალიზმის განვითარება», გვ. 652 — 653, შენიშვნა). როგორ ეხება ამ საკითხს ბ-ნი პ. სკვორცოვი? მისი «კრიტიკა» მთლიანად წარმოადგენს თავისი ლაკონიური მრისხანებით დიდებულ დარიგებას, — რომ არ კმარა «მექანიკური ჩამოთვლა დაქირავებულ მუშათა რიცხვისა, წარმოების თანხისა ამა და ამ წლებში და წარმოების ამა თუ იმ დარგში» (2278). თუ ეს დარიგება არ ეხება ჩემი წიგნის იმ განყოფილებას, რომელიც მიძღვნილია საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხისადმი (ბ-ნი სკვორცოვი ამაზე ერთ სიტყვასაც არ ამბობს), მაშინ იგი უნდა მიეკუთვნოს სწორედ თავს მანუფაქტურის შესახებ, რომლის დიდი ნაწილი ფაქტიური მონაცემებით არის სავსე. როგორ შეიძლებოდა ამ მონაცემთა გამოუყენებლად რაიმეს გადაწყვეტა, — ამ საიდუმლოებას მრისხანე კრიტიკოსი არ გვიმხელს, მე კი ისევ იმ აზრს ვადგივარ, რომ უმჯობესია გადმოცემის სიმშრალე დამბრალდეს, ვიდრე მკითხველს საბაბი მიეცეს იფიქროს, რომ ჩემი შეხედულება დამყარებულია «კაპიტალის» «ციტირებაზე» და არა რუსეთის ცნობების შესწავლაზე. თუ ბ-ნ სკვორცოვს ჰგონია, რომ ჩემი ჩამოთვლა «მექანიკურია», მაშასადამე, ის შემცდარად სთვლის იმ დასკვნებს, რომლებიც მე გამოვიყვანე ამ მონაცემებიდან VI თავის მე-2 ნახევარში და გავიმეორე VII თავში, § XII? — მაშასადამე, ის არ ეთანხმება იმას, რომ ეს მონაცემები გვიჩვენებენ სარეწის განსაკუთრებულ წყობას, რომელსაც ახასიათებს: 1) ტექნიკის, 2) ეკონომიკის და 3) კულტურის განსაკუთრებული წყობა? მრისხანე იუპიტერს ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს თავის «კრიტიკაში»,

რომელშიც, თუ გაბრაზებულ შემოძახებას ჩამოვაცილებთ, აბსოლუტურად არავითარი შინაარსი აღარ რჩება. ეს ხომ ცოტაა, უპატივცემულესო ბ-ნო სკვორცოვო!

ახლა შევეხოთ საგლეხო გამოსაღებთა როლს სასაქონლო მეურნეობის განვითარების საქმეში. მე ვამტკიცებდი, რომ გამოსაღებნი თავის დროზე გაცვლის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდნენ, მაგრამ ახლა სასაქონლო მეურნეობა უკვე იმდენად განმტკიცდა, რომ გამოსაღებთა ეს მნიშვნელობა «ძალიან სუსტდება». ბ-ნი სკვორცოვი ამისათვის თავს გვესხმის მთელი გროვა საცოდავი და საშინელი სიტყვებით, როგორიცაა «საქონლის ფეტიშიზმი», ყველაფერს აერთიანებს, «ყოვლისშემძლეობა», სასაქონლო წარმოების ძლიერება და სხვ., მაგრამ, სამწუხაროდ, მაგარი სიტყვები მხოლოდ ჰფარავენ მრისხანე კრიტიკოსის უძლურებას გააბათილოს ჩემ მიერ გამოყვანილი დასკვნა. «თვით ბ-ნი კაუტსკი, — წერს ბ-ნი სკვორცოვი, — რომელსაც ბევრ რამეში ემსგავსება ბ-ნი ილინი»... (საწყალი «ბ-ნი კაუტსკი», რომელიც «ემსგავსება» «საქონლის ფეტიშისტს», იჩენს «კაპიტალის» სრულ გაუგებლობას და ჰგავს «ბურჟუაზიული ჰორიზონტით» შეზღუდულ ბ-ნ ილინს! გადაურჩება კი ის «ნამდვილი» მარქსისტის შემოკვრას?)... «ისიც კი ამბობს, რომ საგლეხო ნატურალური ბეგრის ფულად ბეგრად გადაქცევა გლეხებში ფულის მოთხოვნილებას აძლიერებს» (2288). ძალიან კარგი, ბ-ნო მრისხანე კრიტიკოსო, მაგრამ ეს ხომ სრულიად არ ეხება იმ საკითხს, თუ რა როლს ასრულებს გ ლ ე ხ ე ბ ი ს ფ უ ლ ა დ გ ა ს ა ვ ა ლ შ ი გამოსაღები დანარჩენ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გასაწევ ხარჯებთან შედარებით. ა მ საკითხს კაუტსკი ა რ ც კ ი ე ხ ე ბ ა — ბ-ნი სკვორცოვი ისევ და ისევ ააშკარავებს თავის შესანიშნავ ტალანტს — მოიყვანოს ხოლმე უადგილო ციტატები. «ძირითადი საკითხი, — გამოთქვამს ბ-ნი სკვორცოვი თავის მეორე საწინააღმდეგო მოსაზრებას, — რომელიც აუხსნელია საბიუჯეტო მონაცემებითაც, მდგომარეობს იმაში, თუ საიდან იშოვის უცხენო გლეხი 25 მანეთს გამოსაღებთა

გადასახდელად» (ფულადი გასავლის 25 პროცენტი, 100 მანეთიდან 25 მანეთი ბ-მა სკვორცოვმა უკვე მხოლოდ 25 მანეთად გადააქცია!), «ხოლო ცხენიანი — 10 მან.? — და არა იმაში, შემოსავლის რა ნაწილს (?) შეადგენს გამოსაღები გლეხების მთელ ფულად გასავალში» (2290). ბ-ნ სკვორცოვს ვურჩევ აიღოს შესანიშნავი აღმოჩენის პატენტი: «მეცნიერული კრიტიკის» სულ ახალი და სულ იოლი საშუალება, რომელიც სავსებით სპობს მოწინააღმდეგეს. თქვენი მოწინააღმდეგე თავისი რამდენიმე ასგვერდიანი წიგნის ერთ-ერთ გვერდზე სხვათა შორის აყენებს კითხვას, თუ რა წილი მოდის გამოსაღებზე მთელ ფულად გასავალში. საკმარისია მხოლოდ მოიყვანოთ ეს ადგილი, შეაპაროთ მოწინააღმდეგეს სხვა საკითხი, — და თქვენ ბრწყინვალედ დაამტკიცებთ, რომ მოწინააღმდეგე «საქონლის ფეტიშისტია», რომელიც იმდენად გულქვა ვინმეა, რომ არც კი ფიქრობს იმაზე, თუ საიდან იშოვის საწყალი უცხენო გლეხი 25 მანეთს! შემდეგ კი, წიგნის სხვა გვერდები, სადაც ლაპარაკია შემოსავლისადმი გამოსაღების დამოკიდებულებაზე, შემოსავლის შემადგენლობასა და წყაროზე, — შეგიძლიათ გამოტოვოთ და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცოთ მოწინააღმდეგის «ბურჟუაზიული ჰორიზონტი». მართლაც, აიღეთ პატენტი, ბ-ნო სკვორცოვო!

აი კიდევ ნიმუში იმისა, თუ როგორ სარგებლობს ბ-ნი სკვორცოვი ამ აღმოჩენით. მე ვთხოვ მკითხველს ყურადღებას: «მეცნიერული კრიტიკის» ასეთ მარგალიტებს თქვენ ამაოდ დაუწყებთ სხვაგან ძებნას.

საქმე ეხება ისევ იმ 167 გვერდს, სადაც ლაპარაკია ბიუჯეტის ცნობებზე საგლეხო გამოსაღებთა საკითხის გამო. იქ მე აღვნიშნავ გამოსაღებთა როლს გლეხის ფულად გასავალში და განვაგრძობ: «თუ ჩვენ ვილაპარაკებთ არა იმაზე, თუ რა როლს ასრულებს გამოსაღები გაცვლის განვითარებაში, არამედ იმაზე, თუ რა შეფარდებაშია ის შემოსავალთან, დავინახავთ, რომ ეს შეფარდება განუზომლად მაღალია. თუ რა მძიმედ აწვება თანამედროვე გლეხს რეფორმისწინადროინდელი ტრადიციები, ეს ყველაზე უფრო მკაფიოდ

ჩანს გამოსაღებთა არსებობიდან, რომელნიც ნთქამენ წვრილი მიწათმოქმედის, ან თუნდაც ნადელიანი მოჯამაგირის მთლიანი გასავლის ერთ მეშვიდედ ნაწილს. გარდა ამისა, გამოსაღებთა განაწილება თემის ფარგლებში საოცრად უთანაბროა: რაც უფრო შეძლებულია გლეხი, მით უფრო ნაკლებ წილს შეადგენს გამოსაღები მთელი მისი გასავლის მიმართ. უცხენო გლეხი თავის შემოსავალთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტს იხდის, ვიდრე მრავალცხენიანი (იხ. ზემოთ გასავლის განაწილების ცხრილი)...» ყოველ მკითხველს, რომელიც ოდნავ მაინც ყურადღებით ეპყრობა იმას, რასაც კითხულობს. ბუნებრივად უნდა დაბადებოდა კითხვა: რატომ ვლაპარაკობ მე თემის შიგნით გამოსაღებთა განაწილებაზე, როცა ბიუჯეტები ეხება არა მარტო სხვადასხვა თემის, არამედ სხვადასხვა მაზრის გლეხთა მეურნეობებს? იქნებ აქ განაწილების უთანაბრობა შემთხვევითია, — იქნებ ის დამოკიდებულია ერთი დესეტინა სანადელო მიწის სხვადასხვანაირ დაბეგვრაზე სხვადასხვა მაზრაში თუ სხვადასხვა თემში, საიდანაც აღებულია მეურნეობანი ტიპიური ბიუჯეტების შესადგენად? და აი, ამ აუცილებელი შეკამათების თავიდან ასაცილებლად, მე იქვე, ნათქვამის შემდეგ, განვმარტავ: «... ჩ ვ ე ნ ვ ლ ა პ ა რ ა კ ო ბ თ გ ა მ ო ს ა ღ ე ბ თ ა გ ა ნ ა წ ი ლ ებ ა ზ ე თ ე მ ი ს შ ი გ ნ ი თ, ი მ ი ტ ო მ რ ო მ, თ უ გ ა მ ო ს ა ღ ე ბ ი ს ა დ ა ბ ე გ რ ი ს ო დ ე ნ ო ბ ა 1 დ ე ს ე ტ ი ნ ა ნ ა დ ე ლ ზ ე გ ა ვ ი ა ნ გ ა რ ი შ ე თ, მ ა შ ი ნ მ ა თ ი ო დ ე ნ ო ბ ა თ ი თ ქ მ ი ს გ ა თ ა ნ ა ბ რ ე ბ ი თ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ე ბ ა...» კრიტიკოსი თუ მოისურვებდა ამ სიტყვების შემოწმებას, მისთვის საკმარისი იქნებოდა შეედარებინა 160 გვერდზე მოთავსებული ცხრილი (გამოსაღებთა და ბეგარათა ოდენობა 1 მეურნეობაზე), 168 გვ. მოთავსებულ ცხრილთან (სანადელო მიწის რაოდენობა 1 კომლზე), — და ის ადვილად დარწმუნდებოდა, რომ, მართლაც, ბიუჯეტის ცნობებით, მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო მეურნეობები სხვადასხვა თემს და სხვადასხვა მაზრასაც კი ეკუთვნის, გამოსაღებთა და ბეგარათა ოდენობა 1 დესეტინა ნადელზე თ ი თ ქ მ ი ს გათანაბრებითია.

და აი ახლა შეხედეთ და დატკბით, თუ რა ხერხებით სპობს თავის ოპონენტს ბ-ნი კრიტიკოსი. ის ამოგლეჯს ჩემს მიერ ხაზგასმულ სიტყვებს 1 დესეტინა ნადელზე გამოსაღებთა გაანგარიშების შესახებ; ვერ ამჩნევს (sic!), რომ ეს სიტყვები ეხება მ ხ ო ლ ო დ ს ა ბ ი უ ჯ ე ტ ო მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ს; ამ სიტყვებს მიაწერს იმ აზრს, რომ გამოსაღებთა ოდენობა 1 დესეტინა ნადელზე თითქმის გათანაბრებითია საზოგადოდ რუსეთის მთელ გლეხობაში; ამ უკანასკნელი «დასკვნისათვის» ძლევამოსილად მამხელს იმაში, რომ ვითომ არ ვიცნობ საერობო-სტატისტიკურ გამოცემებს, და მოჰყავს ორი ცხრილი იმ (საყოველთაოდ ცნობილი) ფაქტის დასადასტურებლად, რომ სხვადასხვა თემში, ვოლოსტსა და მაზრაში გამოსაღებთა ოდენობა 1 დესეტინა ნადელზე გათანაბრებითი არ არის. ამ ოინბაზობის შემდეგ კრიტიკოსი კიდევ დასძენს: «მართლაც, თემის შიგნით, რომელმაც ერთი და იგივე ოდენობის ნადელი მიიღო, გადასახდელთა ოდენობა თითქმის კი არა, ნაშდვილად გათანაბრებითია. საქმე ისაა, რომ ბ-მა ილინმა არ იცის, თუ სახელდობრ რომელ თემზე ლაპარაკობს ის. ბ-ნ ილინის მიერ საერობო სტატისტიკური ცნობების ბოროტად გამოყენებას ბოლო რომ მოვუღოთ» და სხვ... (2292). მე ძალიან მაინტერესებს ვიცოდე, შეიძლება თუ არა სადმე მეცნიერულ ლიტერატურაში იყოს ამ ჯურის კრიტიკის სხვა ნიმუში.

რაკი გავეცანით იმ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც ბ-ნმა სკვორცოვმა «დაამტკიცა» ჩემ მიერ მოყვანილი საბიუჯეტო მონაცემების სრული «უვარგისობა», ჩვენ, ეტყობა, შეგვიძლია ავცდეთ იმ მაგარ (და უძლურ) გამოთქმებს, რომლებითაც გამოხატავს კრიტიკოსი თავის უკმაყოფილებას თვით საბიუჯეტო მონაცემების გამოყენების გამო. როცა მ ა ს ო ბ რ ი ვ ს ა ბ ი უ ჯ ე ტ ო მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ს მოითხოვს, ბ-ნი სკვორცოვი, ალბათ, ისევ ისეთ რამეზე ლაპარაკობს, რაც საქმეს არ ეხება, ვინაიდან კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ მეურნეობათა აღწერები, რომლებითაც მე ვსარგებლობდი, არასოდეს არ ყ ო ფ ი ლ ა და ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს მასობრივი. კონკრეტულ მეურნეობათა ბიუჯეტების

ლიტერატურა მე აღნიშნული მაქვს გაკრიტიკებული პარაგრაფის დასაწყისში და მე, თავისთავად ცხადია, მხოლოდ მადლობელი ვიქნებოდი კრიტიკოსისა, თუ ის შეავსებდა ან შეასწორებდა ჩემს მითითებებს. მაგრამ ბ-ნ სკვორცოვს «გაკრიტიკება» ემარჯვება ისე, რომ საქმის არსს არ შეეხოს! ჩვენს ცდას, რომ დავამტკიცოთ ბიუჯეტების ტიპიურობა საბიუჯეტო და «მასობრივი მონაცემების» მიხედვით 1 უცხენო და 1 ერთცხენიანი კომლის ოჯახის, ნათესის, იჯარის საშუალო ოდენობის, პირუტყვის საშუალო რაოდენობის შედარებით (ჩემი წიგნის 169 გვ.), მრისხანე კრიტიკოსი პირდაპირ «კურიოზს» უწოდებს; რა მიზეზით, არ ვიცი; შეიძლება იმ მიზეზით, რომლითაც ერთ «კრიტიკოსს» სასაცილოდ მიაჩნდა სიტყვა ჩიჩიკოვი? ბიუჯეტები «უკვე იმიტომ... არ არის ტიპიური, რომ... პურის... შემოდგომიდან გასხვისება და გაზაფხულიდან შეძენა ძალიან იშვიათი მოვლენა იყო ვორონეჟის გუბერნიაში, მაშინ როდესაც მთელი რუსეთისათვის» ასეთი გასხვისება ვითომც დამტკიცებულია ბ-ნ ნიკ.—ონის მიერ (2291). ტყუილად როდი უთქვამთ მართებულად, რომ les beaux esprits se rencontrent*: «ნამდვილი» მარქსისტი ბ-ნი პავლე სკვორცოვი, როცა პოულობს წინააღმდეგობას «ნამდვილი» მარქსისტის ბ-ნ ნიკოლაი—ონის მტკიცებასა და საერობო-სტატისტიკურ ცნობებს შორის, საკითხს უყოყმანოდ სწყვეტს იმ აზრით, რომ ცნობები ტიპიური არაა, და არა იმ აზრით, რომ ბ-ნ ნიკ.—ონის სიტყვები არაა სწორი ან ერთობ ზოგადია. და შემდეგ: რა დამოკიდებულება აქვს პურის შემოდგომაზე გაყიდვის და გაზაფხულზე ყიდვის საკითხს იმ ბიუჯეტების ტიპიურობაზე დავასთან, რომლებითაც ამ საკითხის განხილვისათვის არც კი ვსარგებლობ?

III

იმ უმადური მუშაობის შემდეგ, რაც შეჩეჩებული აზრების განმარტებას ეხება, სასიამოვნოა, ბოლოს, შეხვდე შენს წინააღმდეგ გამოთქმულ არსებით აზრს, თუნდაც იგი

* — დიდ ადამიანებს ერთმანეთისა ესმით. რ ე დ.

ფორმულირებული იყოს იმ მრისხანე შემოძახებით («ფეტიშიზმი», «სრული გაუგებლობა»), რომელიც, როგორც ჩანს, ბ-ნ სკვორცოვს ძალიან დამაჯერებლად მიაჩნია, და თუნდაც კრიტიკოსის საკუთარი შეხედულებანი უფრო ვარაუდით იყოს მისახვედრი, ვიდრე ნათლად გადმოცემული. ბ-ნი სკვორცოვი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ ჩემი შეხედულება «წითელ ზოლად არის გავლებული მთელ თხზულებაში».

უფრო მკაფიოდ რომ განვასხვაოთ ჩვენი უთანხმოება, ერთმანეთს დავუპირისპირებ საწინააღმდეგო შეხედულებათა ორ უკიდურეს გამოხატულებას: ბ-ნი სკვორცოვი, ალბათ, ფიქრობს (ყოველ შემთხვევაში ეს გამომდინარეობს მის მიერ გამოთქმული საწინააღმდეგო აზრებიდან), რომ რაც უფრო ნაკლებ მიწას მიიღებდნენ გლეხები განთავისუფლების დროს და რაც უფრო ძვირად მიიღებდნენ მას, მით უფრო სწრაფად განვითარდებოდა კაპიტალიზმი რუსეთში. მე ვფიქრობ პირიქით: *რაც უფრო მეტ მიწას მიიღებდნენ გლეხები განთავისუფლების დროს და რაც უფრო იაფად მიიღებდნენ მას, მით უფრო სწრაფად, უფრო ფართოდ და უფრო თავისუფლად განვითარდებოდა კაპიტალიზმი რუსეთში*, მით უფრო მაღალი იქნებოდა მოსახლეობის ცხოვრების დონე, მით უფრო ფართო იქნებოდა შინაური ბაზარი, მით უფრო სწრაფად გამოიყენებდნენ მანქანებს წარმოებაში, ერთი სიტყვით, მით უფრო დაემსგავსებოდა რუსეთის ეკონომიური განვითარება ამერიკის ეკონომიურ განვითარებას. აღვნიშნავ მხოლოდ ორ გარემოებას, რომელიც, ჩემი აზრით, ადასტურებს ამ უკანასკნელი შეხედულების სისწორეს: 1) ჩვენში მიწის სიმცირისა და გამოსაღებთა სიმძიმის ნიადაგზე მეტად მნიშვნელოვან რაიონში განვითარდა კერძომფლობელობითი მეურნეობის შრომამიგების სისტემა, ე. ი. ბატონყმობის პირდაპირი ნაშთი*, და სრულიადაც არა კაპიტალიზმი; 2) სახელ-

* სხვათა შორის. ამ უკანასკნელ დებულებას (შრომამიგება რომ ბატონყმობის ნაშთია) მე პირდაპირ ვაყენებ ჩემს წიგნში. ბ-ნი სკვორცოვი ამაზე არ ლაპარაკობს, მხოლოდ ეხება ჩემს შენიშვნას, რომ შრომა-

დობრ ჩვენს განაპირა მხარეებში, სადაც ბატონყმობა ან სულ არ იყო, ანდა ყველაზე სუსტი იყო, სადაც გლეხებს ყველაზე ნაკლებად აწუხებთ მიწის სიმცირე, შრომამიგება, გამოსაღებთა სიმძიმე, — იქ ყველაზე უფრო მეტად განვითარდა კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში. ასეთი დაპირდაპირება აუცილებლად საჭიროა სწორედ «ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის მეორეში გადასვლის» იმ პირობების ანალიზისათვის, რომელთა უგულებელყოფას ასე მრისხანედ და ასე უსაფუძვლოდ მაბრალებს ბ-ნი სკვორცოვი.

უკიდურესი შაბლონურობა ბ-ნ სკვორცოვის შეხედულებებისა იმ ეკონომიური პროცესების შესახებ, რომლებიც ხდება ჩვენს გლეხურ მეურნეობაში, აშკარავდება აგრეთვე მისი შენიშვნებით გადასახლება-დასახლებაზე და კაპიტალიზმის მიერ შუასაუკუნეობრივი ზღუდეების დარღვევაზე. განა მე მართალი არ ვიყავი, როდესაც ბ-ნ პავლე სკვორცოვს ბ-ნ ნიკოლაი — ონს ვადარებდი? გადასახლების საკითხს ორივენი «სწყვეტენ» მეტისმეტად მარტივი და მხოლოდ უარყოფითი შენიშვნით იმ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომელნიც «მნიშვნელობას აკუთვნებენ» გადასახლებას. მაგრამ ამგვარი დასკვნა ხომ გამოდგება მხოლოდ ყველაზე პრიმიტიული... ე. ი. «ნამდვილი» მარქსიზმისათვის, რომელიც სრულიად განყენებული... ზოგადი ფრაზებით კმაყოფილდება. რას ნიშნავს გადასახლებისათვის «მნიშვნელობის მიკუთვნება»? თუ ჩვენ ამ სიტყვებს პირდაპირი აზრით გავიგებთ, მაშინ განა მოინახება თუნდაც ერთი ისეთი ჭკუათამყოფელი ეკონომისტი, რომელიც მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ს ა რ ა კ უ თ ვ ნ ე ბ დ ე ს ყოველწლიურ გადასახლებას. თუ ამ სიტყვებს გავიგებთ კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს სპეციალური აზრით,

---

მიგება, არსებითად, «რუსსკაია პრავდა»-ს დროიდან მომდინარეობს, და ბობოქრობს მის გამო: აქ კლიუჩევსკის დამოწმებაცაა, XII საუკუნის შინაური ბაზრებიც, საქონლის ფეტიშიზმიც, იმის მტკიცებაც, თითქოს ჩემთვის «სასაქონლო წარმოება სასწაულთმოქმედი და ყოვლისამხსნელი სათავეა ისტორიაში (sic!), დაწყებული «რუსსკაია პრავდი»-დან» (sic!!). ეს, ალბათ, იმავე «ჩხი-ჩხი»-ს ტიპის კრიტიკაა, რომელსაც, მგონი, ისედაც ერთობ დიდი ადგილი დავუთმე სტატიის დასაწყისში.

მაშინ ბ-ნი სკვორცოვი, ჯერ ერთი, ამახინჯებს ჩემს აზრს, ვინაიდან მე მის მიერ მოყვანილ ადგილას სწორედ საწინააღმდეგოს ვამბობ. მეორეც, ეკონომისტმა, რომელიც თავის ამოცანას ხედავს იმაში, რომ შეისწავლოს რუსეთის ეკონომიური წყობილებისა და განვითარების თავისებურებანი (და არა მარტო იმაში, რომ დაწვრილებით მოიყვანოს,— და ხშირად უადგილოდ მოიყვანოს, — ციტატები მარქსიდან), აუცილებლად უნდა დააყენოს საკითხი: სახელდობრ რა გავლენას ახდენს გადასახლება რუსეთში? ეს საკითხი სპეციალურად არ შემისწავლია, მაგრამ მე ბ-ნ სკვორცოვის მიერ მითითებულ ადგილას აღვნიშნე, რომ ჩემი დასკვნები გლეხობის დაშლის საკითხზე სავსებით ეთანხმება ბ-ნ გურვიჩის დასკვნას*. ამას გარდა, მე წიგნის სხვა ადგილებშიც არაერთხელ ვეხები გადასახლების საკითხს. იქნებ, ეს ჩემი შეხედულება სწორი არ არის, მაგრამ ბ-ნი სკვორცოვი სრულიად არაფერს იძლევა მის გასასწორებლად თუ შესავსებად და მრისხანე შემოძახებით სრულიად ჩრდილავს საქმის არსს. შემდეგ, ჩემი შენიშვნები საბაბს აძლევენ ბ-ნ სკვორცოვს დაასკვნას, რომ «საქონლის ფეტიშისტს ახლა სწამს თავისი ფეტიშის სასწაულთმოქმედი ძალა» (sic!). ჭეშმარიტად, შეიძლება ითქვას, რომ «გამანადგურა»! მაგრამ, ფრიად პატივცემულო ბ-ნო კრიტიკოსო, უარჰყოფთ თუ არა თქვენ ჩემს მოსაზრებებს? რად არ გააცნობთ საზოგადოებას თქვენს ფ ა ქ ტ ი ურ მოსაზრებებს და არ განიხილავთ ცნობებს ე რ თ ი მ ა ზ რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ მ ა ი ნ ც? ეს ხომ მეტად ბუნებრივი იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც სპეციალურად მუშაობს საერობო სტატისტიკაში! და მე ნებას მივცემ ჩემ თავს ისევ ამ აზრს ვადგე, მიუხედავად ბ-ნ სკვორცოვის ასეთი საშინელი სიტყვებისა (ფეტიშიზმი, სასწაულთმოქმედი ძალა), რომლებ-

* სხვათა შორის ბ-ნ გურვიჩის შესახებ. თავისი დაუსაბუთებელი და გულზვიად-აბუჩადამგდები დამოკიდებულებით იმ მწერლის «დასკვნებისადმი», რომელიც მარქსისტულ ლიტერატურაში ცნობილია როგორც ორი წიგნის ავტორი და როგორც ჟურნალების თანამშრომელი, — ბ-ნი სკვორცოვი ააშკარავებს მხოლოდ დიდ წარმოდგენას თავის თავზე.

მაც, — ვის შეუვა ამაში ეჭვი? — შეიძლება ვინმე შეაშინოს*.

ბოლოს, უკანასკნელი საკითხი, რომლის გამო შ ე ი ძ ლ ე ბ ა არსებითად ილაპარაკო ბ-ნ სკვორცოვთან, არის გლეხობის შესახებ საერობო-სტატისტიკურ მონაცემთა დაჯგუფების საკითხი. ბ-ნი სკვორცოვი სპეციალურად მუშაობდა და, თუ არ ვცდებით, ახლაც მუშაობს საერობო სტატისტიკაში; ამიტომ მისგან მოსალოდნელი იყო ფაქტებზე დამყარებული შენიშვნები, რომლებიც განგვიმარტავდნენ ამ სადავო და მეტად საინტერესო საკითხს. «ჩვენ უარვყოფთ a limine, — ვწერდი მე, — ნადელის მიხედვით დაჯგუფებას და ვსარგებლობთ მხოლოდ და მხოლოდ სამეურნეო შეძლების მიხედვით (მუშა პირუტყვისა და ნათესის მიხედვით) დაჯგუფებით», და ქვემოთ აღვნიშნავდი, რომ ნადელის მიხედვით დაჯგუფება, რომელიც გაცილებით უფრო გავრცელებულია ჩვენს საერობო სტატისტიკაში, სრულიად გამოუსადეგარია იმიტომ, რომ ცხოვრება არღვევს (თემის შიგნით) სანადელო მიწათმფლობელობის გამთანაბრებლობას: საკმარისია მოვიგონოთ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი და ყვე-

* ჩემი სიტყვებიდან: «კაპიტალიზმამდე მიწათმოქმედება რუსეთში ზოგიერთებისათვის იყო საბატონო საქმე, ბატონის თავშესაქცევი, სხვებისათვის კი — ვალდებულება, ბეგარა» (359 — 360), ბ-ნ სკვორცოვის ახრით, «თურმე გამოდის, რომ მთელი საზოგადოებრივი ფორმაცია, წარმოების ბატონყმური წესი, მხოლოდ ბატონის თავშესაქცევი ყოფილა». არა, ბ-ნო სკვორცოვო, ეს სულაც არ «გამოდის», ვინაიდან მე თავის ადგილას მივუთითე, რომ «ბატონყმური მეურნეობა წარმოადგენდა ერთგვარ სწორ და დასრულებულ სისტემას» (207) და აქ დავახასიათე ამ სისტემის მხოლოდ ე რ თ-ე რ თ ი ნიშანი. სამეამულო მეურნეობაში «ბატონური თავშექცევის» ელემენტი რომ იყო, ამას ადვილად დაინახავს ყველა, ვინც გაიხსენებს «ბატონყმური და კაბალური სოფლის ობლომოვების» ცნობილ ტიპებს (240); — ამას აღნიშნავენ ერობის სტატისტიკოსებიც, რომელთაც ეკუთვნის თვით გამოთქმა: «საბატონო თავშესაქცევი» (234); — ამას ამტკიცებენ აგრეთვე რუსეთში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების ერთი პერიოდის ცნობებიც: მეამულეთა ცდა — საზღვარგარეთიდან გამოეწერათ მუშებიც და მანქანებიც (209 და 246) სხვა არა იყო რა, თუ არა «საბატონო თავშექცევა». — «როდის და სად გადაიქცია კაპიტალიზმმა ბატონი მეამულე» (ბ-ნი პ. ს. ტყუილად ფიქრობს, რომ ეს კატეგორია მხოლოდ «ბატონყმობის წარმოშობის» წინადროინდელ ხანას ახასიათებს; ის დამახასიათებელია ბატონყმობის ხანისთვისაც) «და დამოკიდებული გლეხი მრეწველებად, ბ-ნი ილინი, სამწუხაროდ, არ ლაპარაკობს» (223) მე ამას ვეხები წიგნის II, III და განსაკუთრებით IV თავში, სადაც ლაპარაკია სწორედ მიწათმოქმედების ს ა ვ ა ჭ რ ო-ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო საწარმოდ გადაქცევაზე. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩემი შენიშვნები ამ პროცესის შესახებ შევსებასა და შესწორებას საჭიროებდნენ; მე ეჭვი არ მეპარება, რომ ყოველი სერიოზული და მცოდნე კრიტიკოსი შესძლებდა ამას, ბ-ნმა სკვორცოვმა კი, სამწუხაროდ, საქმის არსი უბრალო მრისხანე შემოძახებით მიჩქმალა. **ეს ხომ არ კმარა!**

ლას მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები, როგორიცაა ნადელების გაცემა, მათი მიტოვება, მიწის ყიდვა და იჯარა, მიწათმოქმედებასთან სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა და დაქირავებით მუშაობის შეერთება. «ეკონომიურმა სტატისტიკამ დაჯგუფებას აუცილებლად უნდა დაუდოს საფუძვლად მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ო დ ე ნ ო ბ ა დ ა ტ ი პ ე ბ ი» (106). ბ-ნ სკვორცოვის «კრიტიკა» შემდეგში მდგომარეობს: «ბ-ნი ილინი უკმაყოფილოა გლეხობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა ნადელის მიხედვით დაჯგუფებით. არსებობს სტატისტიკური მონაცემების ორი (sic!) დაჯგუფება. ერთია ისტორიული, როცა ერთ მთელად გროვდება თემები (!), რომლებსაც თვითეულ სარეგიზიო სულზე თანაბარი ოდენობის ნადელი აქვთ, — და მეორე, ფაქტიური, დაჯგუფებაა ის, როცა ერთ მთელად გროვდება თანაბარი ოდენობის ნადელის მქონე გლეხური მეურნეობანი, სულერთია, რომელ თემსაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. ისტორიული დაჯგუფება სწორედ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ნათლად გვიჩვენებს, რა პირობებში მოხდა გლეხობის გადასვლა ბატონყმური საზოგადოებიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაში...» და სხვა ამ, აგრეთვე ზემოთ განხილულ, თემაზე... «ბ-ნ ილინის მიერ წარმოდგენილი დაჯგუფება... საბოლოოდ რევს ჩვენი გლეხობის ერთი საზოგადოებრივი ფორმაციიდან მეორეში გადასვლის პირობების ისტორიულ გაგებას. ბ-ნ ილინის წინადადება უფრო სარეწაო აღწერას (sic!) შეეხება, როგორც ეს ხდება გერმანიაში» (2289). ესაა ნიმუში ბ-ნ სკვორცოვის კრიტიკისა მისი სპეციალობის საგანში და იმ საკითხში, რომლის გამო, რაც უნდა გინდოდეს, მარქსის «ციტირება» შეუძლებელია. კითხვა ისმის, რა შუაშია ეს მსჯელობა თ ე მ ე ბ ი ს «ისტორიულ» დაჯგუფებაზე, როცა მე კ ო მ ლ ო ბ რ ი ვ ცნობათა დაჯგუფებაზე ვლაპარაკობ? რა სასწაულით შეუძლია თანამედროვე კომლობრივ ცნობათა დაჯგუფებას «საბოლოოდ არიოს» დიდი ხნის წინათ დადგენილი ისტორიული ცნობები თემების შესახებ? სიტყვა «ისტორიული» ხომ ბ-ნ სკვორცოვს ამ საკითხში მხოლოდ იმდენად შეუძლია იხმაროს, რამდენად ის ზ უ რ გ ს

აქცევს ისტორიას: თუ თემების დაჯგუფება თვითეულ სარევიზიო სულზე ნადელის ოდენობის მიხედვით შეეხება იმის ისტორიას, რაც 40 წლის წინათ იყო, მაშინ ისტორიაა ისიც, რაც ჩვენ თვალწინ ხდება უფრო და უფრო მეტი სისწრაფით. შემდეგ,სრულიად გაუგებარია, როგორ შეუძლია იმ კაცს, რომელიც საერობო სტატისტიკაში მუშაობს და რომელიც ყველა მოვლენაზე სხვანაირად არ ლაპარაკობს, თუ არა წინასწარმეტყველის კილოთი, დაწეროს, რომ «არსებობს ორი დაჯგუფება» (თემებისა — ნადელის მიხედვით და კომლებისა — ნადელის მიხედვით), როდესაც ყველამ იცის, რომ არსებობს ძალიან ბევრი დაჯგუფება: ნათესის, მუშა პირუტყვის, მომუშავეების, მოჯამაგირეების, სახლის მფლობელობის და სხვ. მიხედვით? როგორ შეუძლია ბ-ნ სკვორცოვს ასე გადაჭრით და სრულიად დაუსაბუთებლად გამოაცხადოს ერთი დაჯგუფება ნადელის მიხედვით «ფაქტიურ» დაჯგუფებად, როდესაც სადავო საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, არის თუ არა ეს დაჯგუფება ფაქტიური? მე ცხადვყოფ მთელი რიგი მაზრების მიხედვით, რომ სანადელო მიწის განაწილება მეურნეობათა შორის ახლაც შედარებით მნიშვნელოვანი «გამთანაბრებლობით» ხასიათდება (შეძლებულ კომლთა 20%-ზე, რომელიც მოსახლეობის 26 — 30% შეადგენს, მოდის 29 — 36% სანადელო მიწა სხვადასხვა მაზრაში თუ მაზრათა ჯგუფებში), მაშინ როდესაც მეურნეობის, მუშა პირუტყვის, ნათესის, გაუმჯობესებული იარაღების და სხვ. ფაქტიურ მაჩვენებელთა განაწილება გამოუკლებლივ ყველგან გაცილებით ნაკლებად გამთანაბრებელია. ბ-ნი სკვორცოვი ახერხებს გააკრიტიკოს და გააცამტვეროს კიდეც ჩემი დებულებანი ისე, რომ ერთი სიტყვითაც არ შეეხოს საქმის არსს.

თავისთავად ცხადია, რომ მე, რაკი სპეციალობით სტატისტიკოსი არა ვარ, არც დამიჩემებია დაჯგუფების საკითხის გადაჭრა. მაგრამ ვფიქრობ, რომ საერობო სტატისტიკის ძირითად საკითხებზე (კომლობრივი ცნობების დაჯგუფების წესების საკითხი კი ძირითადი საკითხია, როგორც აღვნიშ-

ნავ ბ-ნ სკვორცოვის მიერ ციტირებულ ადგილას) უფლება აქვს ილაპარაკოს და ვალდებულიც არის ილაპარაკოს ყველა ეკონომისტმა და არა მარტო ერობის სტატისტიკოსმა. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ეკონომისტი, რომელიც რუსეთის ეკონომიურ სინამდვილეს სწავლობდეს და ამავე დროს ელეოდეს საერობო სტატისტიკის მონაცემებს, და თუ საერობო სტატისტიკა თავისი გზით წარიმართება, ხოლო ეკონომისტების მუშაობა — თავისი გზით, მაშინ ვერც ერთი ვერ მიაღწევს დამაკმაყოფილებელ შედეგებს. ნადელის მიხედვით დაჯგუფება რომ ა რ ა ა დამაკმაყოფილებელი ფაქტიური დაჯგუფება, ეს რამდენადმე უკვე აღიარეს თვით ერობის სტატისტიკოსებმაც, რომლებმაც მთელი რიგი დაჯგუფება მოგვცეს მუშა პირუტყვისა და ნათესის მიხედვით, რითაც მე ვისარგებლე ჩემ წიგნში. ამ საკითხის გადასინჯვა განსაკუთრებით საჭიროა სწორედ ახლა, როცა საკითხის მნიშვნელობას განსაკუთრებით ხაზს უსვამს თითქმის ყველა მარქსისტი და როცა ამ მნიშვნელობას არ უარჰყოფენ არც სხვა მიმართულებათა ეკონომისტები. ბ-ნი სკვორცოვი კი კრიტიკის ნაცვლად გვთავაზობს ზვიად, მაგრამ სრულიად უშინაარსო ფრაზებს, როგორიცაა: «საჭიროა საერობო კრებულთა შეჯამება, სადაც დაწვრილებით იქნება აღნუსხული გლეხური მეურნეობის წარმოება და რეპროდუქცია, ისე რომ ყოველ მსურველს შეეძლოს ხელთ აიღოს ასეთი კრებული და შეამოწმოს ბ-ნ ილინის, პოსტნიკოვის და გურვიჩის «დასკვნები»» (2292). დიახ, რასაკვირველია, «საჭიროა შეჯამება», მაგრამ ეს სიტყვები ცარიელ სიტყვებად რომ არ დარჩეს და შეჯამებამ მართლაც პასუხი მოგვცეს იმ მთავარ პრობლემებზე, რომლებსაც აყენებს რუსეთის თანამედროვე ეკონომიური წყობა და ამ წყობის ევოლუცია, ამისათვის საჭიროა დაისვას და ყოველმხრივ განხილულ იქნას ძირითადი საკითხი შეჯამების წესებისა, — განხილულ იქნას უსათუოდ საერთო ლიტერატურაში და არა მარტო ერობის სტატისტიკოსთა შორის, მით უფრო არა ამა თუ იმ საერობო-სტატისტიკური ბიუროს ოთხ კედელში. ეს საკითხი მე წამო-

ვაყენე ჩემ წიგნში და ვცადე დამესახა მისი გადაჭრა. გადაჭრის სისწორეს. რასაკვირველია, მე ვერ შევაფასებ, მაგრამ უფლება მაქვს დავასკვნა, რომ ბ-ნ სკვორცოვს, მიუხედავად თავისი მრისხანებისა, სრულიად არაფერი არ უთქვამს ამ საკითხზე, პირიქით, ის სრულიად უმოტივოდ გამოვიდა რუტინის დამცველად, იმ თვალსაზრისის დამცველად, რომელიც ძველი იყო უკვე 1885 წელს (იხ. შენიშვნა «კაპიტალიზმის განვითარების» 104 — 105 გვერდზე, სადაც მე ვიმოწმებ ბ-ნ ვ. ვ.-ს სტატიას — «ადგილობრივი სტატისტიკური გამოცემის ახალი ტიპი», მის აღიარებას, რომ «საჭიროა ციფრობრივი ცნობები შეუფარდო გლეხების არა სულ სხვადასხვაგვარ ეკონომიურ ჯგუფთა ისეთ კონგლომერატს, როგორიცაა სოფელი ან თემი, არამედ თვით ამ ჯგუფებს», და ვაყენებ კითხვას, თუ რატომ თვით ბ-მა ვ. ვ.-მ ერთხელ მაინც ვერ ისარგებლა ამ სულ სხვადასხვაგვარ ჯგუფთა შესახებ ცნობებით).

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა «ორთოდოქსიის» შესახებ; ეს ზედმეტი არ იქნება იმიტომ, რომ ბ-ნ სკვორცოვის გამოსვლა «ნამდვილი» მარქსისტის როლში განსაკუთრებით საჭიროდ ხდის რაც შეიძლება ზედმიწევნით განვსაზღვროთ ჩვენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოზიცია. სულაც არ მინდა ბ-ნ სკვორცოვის გვერდით დავაყენო ბ-ნი ბ. ავილოვი, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია შევეხო ამ უკანასკნელის სტატიის ერთ ადგილს, რაც მოთავსებულია «ნაუჩნოე ობოზრენიეს» იმავე წიგნში. Postscriptum-ის* ბოლოში ბ-ნი ბ. ავილოვი ამბობს: «ბ-ნი ილინი (ემხრობა) «ორთოდოქსიას». მაგრამ, გვგონია, «ორთოდოქსიისათვის», ე. ი. მ ა რ ქ ს ი ს უ ბ რ ა ლ ო გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, კიდევ ბევრია ადგილი...» (გვ. 2308). ვფიქრობ, ჩემს მიერ ხაზგასმული სიტყვები, ალბათ, გაუგებრობაა, ვინაიდან მე სავსებით გარკვეულად მაქვს ნათქვამი, რომ ო რ თ ო დ ო ქ ს ი ა ს რ უ ლ ი ა დ ა რ მ ე ს მ ი ს რ ო გ ო რ ც მ ა რ ქ ს ი ს უ ბ რ ა ლ ო გ ა ნ მ ა რ-

---

* — მინაწერის. რ ე დ.

ტ ე ბ ა. სწორედ იმ სტატიაში, რომელიც მხედველობაში აქვს ბ-ნ ბ. ავილოვს, სიტყვებს: «არა, უკეთესია ისევ «ორთოდოქსიის ნიშნის ქვეშ» დავრჩეთ!» — მოსდევს შემდეგი: «არ უნდა გვჯეროდეს, თითქოს ორთოდოქსია საშუალებას გვაძლევდეს უსაბუთოდ მივიღოთ რაიმე, თითქოს ორთოდოქსია უარჰყოფდეს კრიტიკულ გარდაქმნასა და შემდგომ განვითარებას, თითქოს ის საშუალებას გვაძლევდეს მივჩქმალოთ ისტორიული საკითხები აბსტრაქტული სქემებით. თუ არიან ორთოდოქსი მოწაფენი, რომელთაც მიუძღვით ეს მართლაცდა მძიმე ცოდვები, მაშინ ბრალი მთლიანად ასეთ მოწაფეებს ედებათ და არა ორთოდოქსიას, რომელსაც დიამეტრულად საწინააღმდეგო თვისებები ახასიათებს» («ნაუჩნოე ობოზრენიე», 1899 წ., № 8, გვ. 1579 *) [146]. ამნაირად, მე პირდაპირ ვამბობ, რომ უსაბუთოდ რისიმე მიღება, კრიტიკული გარდაქმნისა და განვითარების უარყოფა მძიმე დანაშაულია, ხოლო იმისათვის, რომ გარდაქმნა და განავითარო, აშკარაა, «უბრალო განმარტება» არ კმარა. უთანხმოება იმ მარქსისტებს შორის, რომლებიც მისდევენ ეგრეთწოდებულ «ახალ კრიტიკულ ნაკადს», და იმათ შორის, რომლებიც ემხრობიან ეგრეთწოდებულ «ორთოდოქსიას», იმაში მდგომარეობს, რომ მათ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ უნდათ გარდაქმნან და განავითარონ მარქსიზმი: ზოგს უნდა დარჩეს თანამიმდევარ მარქსისტად, განავითაროს მარქსიზმის ძირითადი დებულებანი ცვალებადი პირობებისა და სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივ თავისებურებათა შესაბამისად და შემდგომ დაამუშაოს მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმის თეორია და პოლიტიკურ-ეკონომიური მოძღვრება; სხვები კი უარჰყოფენ მარქსის მოძღვრების ზოგიერთ მეტად თუ ნაკლებად არსებით მხარეს, დგებიან, მაგალითად, ფილოსოფიაში არა დიალექტიკური მატერიალიზმის მხარეზე, არამედ ნეოკანტელობის მხარეზე, პოლიტიკურ ეკონომიაში — იმათ მხარეზე, ვინც მარქსის ზოგიერთ მოძღვრებას მიაწერს «ტენდენციურობას» და

* იხ. თხზულებანი, ტომი 4, გვ. 102. რ ე დ.

სხვ. პირველნი ამისათვის მეორეებს აბრალებენ ეკლექტიზმს და, ჩემი აზრით, სავსებით სამართლიანადაც აბრალებენ. მეორენი პირველთ «ორთოდოქსალურებს» უწოდებენ და, როცა ამ სიტყვას ვხმარობთ, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი მოწინააღმდეგეებმა იხმარეს პოლემიკაში, რომ «ორთოდოქსალურნი» უარჰყოფენ არა კრიტიკას საზოგადოდ, არამედ მხოლოდ ეკლექტიკოსთა «კრიტიკას» (რომელთაც მხოლოდ იმდენად აქვთ უფლება «კრიტიკის» მომხრეებად იწოდებოდნენ, რამდენადაც კანტის და მისი მიმდევრების მოძღვრებას ფილოსოფიის ისტორიაში ეწოდება «კრიტიციზმი», «კრიტიკული ფილოსოფია»). იმავე სტატიაში მე კიდეც დავასახელე ის მწერლები (გვ. 1569, შენიშვნა, და გვ. 1570, შენიშვნა) *, რომლებიც, ჩემი აზრით, წარმომადგენელნი არიან მარქსიზმის არა ეკლექტიკური, არამედ თანამიმდევრობითი და მთლიანი განვითარებისა და რომელთაც ამ განვითარებისათვის, — ფილოსოფიის დარგშიც, პოლიტიკური ეკონომიის დარგშიც, ისტორიისა და პოლიტიკის დარგშიც, — გაცილებით მეტი გააკეთეს, ვიდრე, მაგალითად, ზომბარტმა ან შტამლერმა **, რომელთა ეკლექტიკური შეხედულებების უბრალო განმეორებას ახლა ბევრი წინგადადგმულ დიდ ნაბიჯად სთვლის. არა მგონია საჭირო იყოს დავძინო, რომ ეკლექტიკური მიმართულების მიმდევრები უკანასკნელ დროს თავს იყრიდნენ ედ. ბერნშტეინის გარშემო. ამ მოკლე შენიშვნებით დავკმაყოფილდები ჩემი «ორთოდოქსიის» საკითხის გამო, როგორც იმიტომ, რომ ჩემი სტატიის საგანს ეს პირდაპირ არ ეხება, ისე იმიტომ, რომ მე მოკლებული ვარ საშუალებას დაწვრილებით გავავითარო პირველთა შეხედულებანი და იძულებული ვარ გერმანულ ლიტერატურაზე მივუთითო

* იხ. თხზულებანი, ტომი 4, გვ. 86 — 88 რ ე დ.

** შეად. სამართლიანი შენიშვნები შტამლერის წინააღმდეგ ბ-ნ კუნოგისა, რომლის სტატიის ერთი ნაწილი გადმოთარგმნილი იყო «ნაუჩნოე ობოზრენიეში» 1899 წელს, შემდეგ ბ. ლვოვის: «სოციალური კანონი» (იქვე) და ბ-ნ სადი გუნტერის სტატიის თარგმანი, რასაც შეგვპირდა «ნაუჩნოე ობოზრენიე» 1900 წლისათვის.

იმათ, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს. ამ საკითხში რუსული დაკა მხოლოდ გერმანული დავის გამოხმაურებაა, და ამ უკანასკნელის გაუცნობლად შეუძლებელია საკითხის არსზე სავსებით ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ *.

---

* სწორედ ასეთსავე ეკლექტიზმს წარმოადგენს, ჩემი აზრით, ის «ახალი» «კრიტიკული» მიმართულება, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში «იწყებს გამოსახვას» ამ უკანასკნელ დროს (შეად. სტრუვეს სტატიები «ყიზნში», 1899, № 10, და 1900, № 2; ტ.-ბარანოვსკისა «ნაუჩნოე ობოზრენიეში», 1899, № 5, 1900, № 3). პირველმა აქ დასახელებულმა მწერალმა დაიწყო ეკლექტიზმისადმი მიდრეკილების «გამოსახვა» ამ ხუთ წელზე მეტი ხნის წინათ თავის «კრიტიკულ შენიშვნებში», და მათი გამოქვეყნებისთანავე იყო ცდა (როგორც თვითონ სტრუვეს ინება გახსენება) «თვალი აეხილათ» საზოგადოებისათვის და დაენახვებინათ, რომ მის შეხედულებაში მარქსიზმი და ბურჟუაზიული მეცნიერება ერთმანეთშია არეული. ამიტომ უცნაურია გაიგონოთ სტრუვესაგან ასეთი ფრაზა: «მარქსის მოძღვრების ეგრეთწოდებული (ამაოდაა, ალბათ, ე გ რ ე თ წოდებული? ვ. ი.) «ბურჟუაზიული» კრიტიკისათვის პირდაპირ თვალის არიდება და ამ მოძღვრების განმეორება და გადასხვაფერება დღევანდლამდე არა მარტო უსარგებლო, არამედ მავნებელიც კი იყო» («ყიზნ», № 2, 305). «პირდაპირ თვალის არიდება» არა მარტო ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის, არამედ სულ უაზრო, წყვდიადის შემცველი მოძღვრებებისთვისაც კი, რასაკვირველია, მავნებელია; ეს ბანალური დღეკილი აზრია. მაგრამ ერთია დაინახო ბურჟუაზიული მეცნიერება, თვალყური ადევნო მას, გამოიყენო იგი, მაგრამ კ რ ი ტ ი კ უ ლ ა დ მოეპყრო მას და არ დაარღვიო საკუთარი მსოფლმხედველობის მთლიანობა და გარკვეულობა, მეორეა — ქედი მოიხარო ბურჟუაზიული მეცნიერების წინაშე და იმეორო, მაგალითად, ის სიტყვები მარქსის «ტენდენციურობის» და სხვ. შესახებ, რომლებსაც სრულიად გარკვეული აზრი და მნიშვნელობა აქვთ. გარდა ამისა, თუ ვილაპარაკებთ «განმეორებასა და გადასხვაფერებაზე», ნუთუ ბემ-ბაკერკისა და ვიზერის, ზომბარტისა და შტამლერის განმეორება და გადასხვაფერება თავისთავად a priori მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე მარქსის განმეორება და გადასხვაფერება? ნუთუ სტრუვემ, რომელმაც მოახერხა უკვე (მიაქციეთ ყურადღება: რუსულ ლიტერატურაში) «ჰავნებლობის» (sic!) დანახვა მარქსის განმეორებაში, ვერ შენიშნა და ვერ აჩვენებს მოდათქცეული ბურჟუაზიული «მეცნიერების» ბოდიერ შესწორებათა არაკრიტიკული განმეორების ჰავნებლობას? რამდენად უნდა დამორდეს კაცი მარქსიზმს, რომ ამგვარ შეხედულებას დაადგეს და თანამ. დროვე «აზროვნების ქანაობას» ასე შეიუწყნარებლად «აარიდოს თვალი»! სტრუვე თავისი სტატიის ბოლოში განსაკუთრებულ სურვილს გამოთქვამს, რომ მე გავოთქვა ჩემი აზრი იმ საკითხების შესახებ, რომლებსაც ეგრეთწოდებული «კრიტიკა» აყენებს. ამაზე შევნიშნავ, რომ ამჟამად მე განსაკუთრებით მაინტერესებს ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში თანამედროვე ეკლექტიკური მიმართულების საკითხი და რომ იმედს არ ვკარგავ თავის დროზე წარმოვადგინო ამ მიმართულების სისტემატური განხილვა; ხოლო ეკლექტიზმის... ყოველი ცალკე «ძირითადი წინააღმდეგობისა» და «ძირითადი ანტინომიის» გამოკიდება (მაპატიონ ეს პატივცემულმა «კრიტიკოსებმა»!) მე სრულიადაც არ მიმაჩნია საინტერესოდ. ამიტომ ჯერჯერობით დავკმაყოფილდები კონტრსურვილით: დაე, ახალი «კრიტიკული მიმართულება» მაინტოოდენ გადაკრულ სიტყვებს კი ნუ დასჯერდება, არამედ სრულიად გარკვევით გამოიახოს. რაც უფრო მალე ეხდება ეს, მით უკეთესია, ვინაიდან მით უფრო ნაკლებ არეულ-დარეულს ეკნება ადგილი და მით უფრო ნათლად შეიგნებს საზოგადოება განსხვავებას მარქსიზმსა და მარქსის ბურჟუაზიული კრიტიკის ახალ «მიმართულებას» შორის.

შენიშვნები

[1] ვ. ი. ლენინის წიგნი «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» უდიდესი კვლევითი შრომის შედეგია.

უშუალო მუშაობა წიგნზე სამ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ლენინი ამ მუშაობას შეუდგა 1896 წლის იანვარს საპყრობილეში, მალე მას შემდეგ, რაც დაპატიმრებულ იქნა «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» საქმის გამო. საპატიმროდან გამოგზავნილ პირველსავე წერილში, 1896 წლის 2 (14) იანვარს ლენინი წერს:

«ერთი გეგმა მაქვს, რომელიც ძალიან მაინტერესებს ჩემი დაპატიმრების დროიდან, და ეს ინტერესი თანდათან უფრო მიძლიერდება. უკვე დიდი ხანია გატაცებული ვარ ერთი ეკონომიური საკითხით (დამმუშავებელი მრეწველობის საქონლის გასაღება ქვეყნის შიგნით). დავაგროვე ერთგვარი ლიტერატურა, შევადგინე მისი დამუშავების გეგმა, ცოტა რამ კიდეც დავწერე და ვაპირებ ცალკე წიგნად გამოვცე ჩემი ნაშრომი, თუ იგი საჟურნალო სტატიის ფარგლებს გასცდება».

ამავე წერილში ლენინი დავალებას იძლევა, უშოვონ წიგნები მის მიერ შედგენილი სიის მიხედვით, და იუწყება თავისი ნაშრომის აგების გეგმას.

«წიგნების სია, — წერს ლენინი, — ორ ნაწილადაა დაყოფილი: ორ ნაწილად იყოფა ჩემი თხზულებაც. ა. — ზოგადი თეორიული ნაწილი. იგი უფრო ცოტა წიგნს მოითხოვს, ასე რომ იმედი მაქვს ყოველ შემთხვევაში დავწერო ეს ნაწილი, თუმცა მეტ მოსამზადებელ მუშაობას საჭიროებს. ბ. — თეორიულ დებულებათა მიყენება რუსეთის მონაცემებისადმი. ეს ნაწილი ძალიან ბევრ წიგნს მოითხოვს. მთავარი სიძნელე იქნება: 1) საერობო გამოცემები. თუმცალა, მათი ნაწილი მაქვს, ხოლო ნაწილი შეიძლება გამოვიწერო (მცირე მონოგრაფიები), ნაწილი კიდევ ნაცნობ სტატისტიკოსთა საშუალე-

ბით ვიშოვო; 2) მთავრობის გამოცემები — კომისიების შრომები, ყრილობათა ანგარიშები და ოქმები და სხვ. ეს დიდმნიშვნელოვანი რამ არის; მათი შოვნა უფრო ძნელია. ზოგი, მგონი, უმეტესობაც კი, მოიპოვება თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

თავისიანებისადმი გაგზავნილ წერილებში ლენინი ჩამოთვლის წიგნებს, იუწყება, თუ სად იშოვონ წიგნები და როგორ მოაწყონ მათი სწორი და წესიერი გაცვლა. უკვე საპატიმროში შეუგროვებია ლენინს ვრცელი მასალა, რისთვისაც გამოუყენებია პეტერბურგის ბიბლიოთეკები (მეცნიერებათა აკადემიისა, თავისუფალი ეკონომიური საზოგადოებისა და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა). გადასახლების ადგილისაკენ — ციმბირისაკენ მგზავრობის დროსაც ლენინს არ შეუწყვეტია მუშაობა მასალების შესაგროვებლად. კრასნოიარსკში შეჩერებისას (გზად სოფელ შუშენსკოესაკენ) მან შეისწავლა წიგნები და ჟურნალები, რომლებიც აღმოჩნდა ვაჭარ გ. ვ. იუდინის მდიდარ კერძო ბიბლიოთეკაში, აგრეთვე ადგილობრივ საქალაქო ბიბლიოთეკაში.

გადასახლებაში ყოფნისას ლენინს წიგნები და მასალები სულ სხვადასხვა ადგილიდან მისდიოდა. მისი დავალებით მ. ი. ულიანოვას მოსკოვის რუმიანცევის სახელობის ბიბლიოთეკის სხვადასხვა წიგნებიდან ბევრი რამ ამოუწერია; ეს ამონაწერები ლენინს მისვლია 1897 წლის მაისის დამლევს. ლენინი ახალ წიგნებს იღებდა თავისიანებისაგან, აგრეთვე საავტორო ჰონორარის ანგარიშში იმ ჟურნალების რედაქციებისაგან, რომლებშიც მისი სტატიები იბეჭდებოდა. თავისიანებისა და ნაცნობების საშუალებით მოწესრიგდა წიგნების გადაგზავნაც პეტერბურგისა და მოსკოვის ბიბლიოთეკებიდან. ცალკეული საერობო სტატისტიკური გამოცემები ლენინს გამოუწერია თავისი კრებულის «ეკონომიური ეტიუდებისა და სტატიების» სანაცვლოდ, რომლის საავტორო ეკზემპლარები 1898 წლის დამლევს მიღებია. ბევრი წიგნი ჩაუტანია ნ. კ. კრუპსკაიას 1898 წლის გაზაფხულზე. ლენინის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც შინაურებს მისი თხოვნით სოფელ შუშენსკოეში გაუგზავნიათ, მთელ წელიწადს მოგზაურობდა რუსეთში და მხოლოდ 1898 წლის ივნისში იქნა მიღებული.

ასე მოახერხა ლენინმა, ყოველი სიძნელის მიუხედავად, შეეკრიბა და გამოეყენებინა თავისი გამოკვლევისათვის ყველა საჭირო მასალა. ერთი ნაწილი წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» მოსამზადებელი მასალებისა, რომლებიც ახასიათებენ ამ ნაწარმოების მომზადების პროცესში ლენინის მიერ გაწეული კვლევითი მუშაობის მოცულობასა და მეთოდებს, გამოქვეყნებულია ლენინის კრებულში XXXIII.

«კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» შავად დამთავრებულ იქნა 1898 წლის აგვისტოში. ხელნაწერის საბოლოო დამუშავებას კიდევ საკმაოდ ბევრი შრომა და დრო დასჭირდა. «უკანასკნელ ხანს ის, — წერდა ლენინზე ნ. კ. კრუპსკაია 1898 წლის 14 (26) ოქტომბერს, — მთლად ჩაეფლო თავის ბაზრებში და დილიდან საღამომდე წერს». ნოემბერსა და დეკემბერში ლენინი აგრეთვე გაძლიერებით მუშაობს წიგნზე; ის, როგორც ნ. კ. კრუპსკაია იუწყება 22 ნოემბრის (4 დეკემბრის) წერილში, «უკვე სავსებით და საბოლოოდ ჩაეფლო თავის ბაზრებში...»

1898 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში დამთავრებულ იქნა წიგნის პირველი ორი თავი. ეს თავები ნ. კ. კრუპსკაიას ცალკე რვეულებად გადაუწერია და შინაურებისათვის გაუგზავნია გამომცემლობისათვის გადასაცემად.

1899 წლის 30 იანვარს (11 თებერვალს) ლენინს დაუმთავრებია მუშაობა წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» უკანასკნელ ორ თავზე და ამ შრომის დანართებზე; ხელნაწერის ეს ნაწილი გამომცემლობას გაეგზავნა 1899 წლის 3 (15) თებერვალს.

ხელნაწერის ყოველ თავს კითხულობდნენ და იხილავდნენ მაშინ მინუსინის ოლქში გადასახლებული სოციალ-დემოკრატები. «მე «გაუგებელ მკითხველად» გამომყავს თავი, — წერდა ნ. კ. კრუპსკაია 1898 წლის 14 (26) ოქტომბერს, — ვცდილობ რაც შეიძლება «გაუგებელი» ვიყო და ასე ვიმსჯელო «ბაზრების» გადმოცემის სიცხადეზე, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერს გამოვაბი კილი».

ლენინს თავისი შრომა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ ნავარაუდევი ჰქონდა არა სწავლული სპეციალისტებისათვის, არამედ რევოლუციური ინტელიგენციის ფართო წრეებისათვის. აქედან გამომდინარეობდა მისი მოთხოვნა — წიგნი ისე გამოცემულიყო, რომ მასობრივ მკითხველს ყოველნაირად გაადვილებოდა მისი შესწავლა. თავისიანებისადმი მინაწერ წერილებში იგი იძლევა დაწვრილებით მითითებებს წიგნის ფორმატის, შრიფტისა და ბეჭდვის, ცხრილების განლაგების, კორექტურის გაკეთების წესის შესახებ.

წიგნი გამოვიდა ძველი სტილით 1899 წლის 26 და 31 მარტს შუა ფსევდონიმით «ვლადიმირ ილინი». განცხადება წიგნის გამოსვლის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ «რუსსკიე ვედომოსტში» 1899 წლის 15 (27) აპრილს. გამოცემის ტირაჟი — 2400 ეკზემპლარი — ძალიან მალე გაიყიდა. წიგნი უმთავრესად სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობის წრეებში საღდებოდა. მუშათა წრეებში იგი ვრცელდებოდა იქ მომუშავე პროპაგანდისტებისა და აგიტატორების მეშვეობით.

ბურჟუაზიული პრესა ცდილობდა ყური მოეყრუა ლენინის მეცნიერულ ნაშრომზე. მხოლოდ 1899 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა

პირველი რეცენზიები, რომლებიც მტრულ ხასიათს ატარებდნენ. ერთ-ერთ რეცენზიაზე ლენინმა გამანადგურებელი პასუხი გასცა სტატიაში «არაკრიტიკული კრიტიკა», რომელიც მოთავსებული იყო ჟურნალ «ნოვოე ობოზრენიეს» 1900 წლის მაის-ივნისის ნომერში (იხ. ეს ტომი, გვ. 721 — 751).

1908 წელს გამოვიდა მეორე გამოცემა წიგნისა «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (იხ. შენიშვნა 6).

ეს გამოცემა იბეჭდება მეორე (1908 წლის) გამოცემის მიხედვით, რომელიც გადასინჯული და შევსებულია ლენინის მიერ; ამასთან გათვალისწინებულია ლენინის ყველა მითითება წიგნის პირველი — 1899 წლის — გამოცემის გამო. — *1.*

2 ვ. ვ. — ვ. პ. ვორონცოვის ფსევდონიმი.

ნ. — ო ნ ი ან ნ ი კ ო ლ ა ი — ო ნ ი — ნ. ფ. დანიელსონის ფსევდონიმი.

ვორონცოვი და დანიელსონი XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ფრიად თვალსაჩინო იდეოლოგები იყვნენ. — *5.*

3 ლენინს კაუტსკის წიგნი «აგრარული საკითხი» მიუღია გადასახლებაში, 1899 წლის მარტს; კაუტსკი მაშინ ჯერ კიდევ მარქსისტი იყო. ამ დროისათვის მეტი ნაწილი წიგნისა «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» უკვე აწყობილი იყო, და ლენინს გადაუწყვეტია წინასიტყვაობაში მიეთითებინა კაუტსკის ნაშრომზე. 1899 წლის 17 (29) მარტს ლენინს გამოუგზავნია Postscriptum-ი წინასიტყვაობისათვის. «თუ გვიან არ არის, — წერდა ის, — ძალიან მინდა იგი დავბეჭდო... იქნებ, თუ წინასიტყვაობა აწყობილია, Postscriptum-ის აწყობა კიდევ შესაძლებელი იყოს?» წინასიტყვაობის დამატება ცენზორს ჩავარდნია ხელში და იქ შეუსწორებიათ. ამის გამო ლენინი 1899 წლის 27 აპრილის (9 მაისის) წერილში იუწყება: «შევიტყე, რომ P. S. წინასიტყვაობისათვის დაგვიანებულა, წინასწარ ცენზურაში მოხვედრილა და, როგორც ჩანს, «დაზარალებულა»». — *7.*

4 წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» მეორე გამოცემაში (1908 წელი) პარაგრაფების ნუმერაცია შეიცვალა, რადგან ლენინმა წიგნში მთელი რიგი დამატებანი შეიტანა. ის ადგილი, რომელსაც აქ ლენინი მიუთითებს, ამ გამოცემაში არის II თავში, § XII, ბ, გვ. 179 — 181. — *8.*

5 რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშემწყობ საზოგადოებაში 1899 წლის 17 თებერვალს განიხილეს მოხსენება თემაზე: «ხომ არ შეიძლება ნაროდნიკობის შერიგება მარქსიზმთან». განხილვაში მონაწილეობდნენ ლიბერალური ნაროდნიკობის წარმომადგენლები

და «ლეგალური მარქსისტები». ვ. პ. ვორონცოვმა (ვ. ვ.) განაცხადა, დასავლეთის მარქსისტები უფრო ახლოს დგანან რუსულ ნაროდნიკობასთან, ვიდრე რუს მარქსისტებთანო. ამ სხდომის მოკლე ანგარიში დაიბეჭდა 1899 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) პეტერბურგის რეაქციულ გაზეთ «ნოვოე ვრემიაში». — *10.*

6 მეორე გამოცემა წიგნისა «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» გამოვიდა 1908 წელს. ცნობა მისი გამოსვლის შესახებ დაიბეჭდა 1908 წლის მარტს «კნიჟნაია ლეტოპისის» მე-10 ნომერში.

მეორე გამოცემისათვის ლენინმა ხელახლა გადასინჯა ტექსტი, გაასწორა ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომები და შეიტანა მრავალი დამატება, აგრეთვე დაწერა ახალი წინასიტყვაობა, რომელიც დათარიღებულია 1907 წლის ივლისით. წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» მეორე გამოცემაში საცენზურო გამოთქმები «მოწაფეები», «მშრომელთა მომხრეები» ლენინმა შესცვალა პირდაპირი სახელწოდებებით — მარქსისტები, სოციალისტები; «ახალი თეორიის» მოხსენება შეცვლილია მარქსსა და მარქსიზმზე მითითებით.

ლენინმა თავის წიგნში შეიტანა მნიშვნელოვანი დამატებანი უფრო ახალი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. 1896 — 1900 წლების სამხედრო ცხენთაღწერათა შედეგების ანალიზისადმი მიძღვნილია ახალი (XI) პარაგრაფი მეორე თავში. ლენინს მოჰყავს ახალი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ მის წინანდელ დასკვნებს რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ, კერძოდ მოჰყავს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ახალი მასალები; იძლევა მოსახლეობის 1897 წლის საყოველთაო აღწერის შედეგთა ანალიზს, რომელიც უფრო სრულად გადაშლის რუსეთის კლასობრივი სტრუქტურის სურათს (იხ. თავი VII, § V, გვ. 593 — 599, «მ ე ო რ ე გ ა მ ო ც ე მ ი ს დ ა მ ა ტ ე ბ ა»).

მეორე გამოცემაში შეჯამებულია აგრეთვე შედეგები «ლეგალურ მარქსისტებთან» ბრძოლისა იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც აღძრულია წიგნში «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველი რევოლუციის გამოცდილებამ საკვანძოთ გაამართლა ლენინის მიერ მოცემული დახასიათება «ლეგალური მარქსისტებისა», როგორც ბურჟუაზიული ლიბერალებისა, რომლებიც მარქსისტული სამოსით იფარავდნენ თავს და ცდილობდნენ მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიის ინტერესებისათვის გამოეყენებინათ.

წიგნის მეორე გამოცემაში ლენინმა შეიტანა 24 ახალი ტექსტქვეშა შენიშვნა (გვ. 7, 32, 48—49, 168—169, 170, 175, 198, 225—226, 245, 311, 319—320, 455, 529, 531, 551, 590, 602, 618, 622, 631,

634, 652—653, 654, 680—681), 2 ახალი პარაგრაფი (გვ. 154—157 და 593—599), ერთი ახალი ცხრილი (გვ. 606), დაწერა 8 აბზაცი, ახალი ტექსტი და წინანდელი აბზაცების 3 დიდი დამატება (გვ. 343—348, 247—249, 250—251, 333—335) და შეიტანა დაახლოებით 75 წვრილმანი დამატება და გასწორება.

ლენინს მუშაობა წიგნზე «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» არ შეუწყვეტია მეორე გამოცემის გამოსვლის (1908 წელი) შემდეგაც. ამას მოწმობს წიგნის მეორე გამოცემის 405 გვერდზე ლენინის მიერ 1910 ან 1911 წელს შეტანილი დამატებანი, სადაც ფაბრიკები და ქარხნები დანაწილებულია ჯგუფებად 1908 წელს იქ დაბანდებული მუშების რიცხვის მიხედვით (იხ. ილუსტრაცია ამ ტომის 607 გვერდზე და შენიშვნა 130).

მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ლენინი ამბობს, შესაძლებელია მომავალში ჩემი თხზულება გადავამუშაოო, და აღნიშნავს, რომ მაშინ საჭირო გახდებოდა ნაშრომის ორ ტომად გაყოფა: პირველი ტომი მიეძღვნებოდა რუსეთის რევოლუციამდელი ეკონომიკის ანალიზს, მეორე ტომი — რევოლუციის შედეგების შესწავლასო.

1905 — 1907 წლების რევოლუციის შედეგების შესწავლისადმი მიძღვნილია ლენინის მთელი რიგი მერმინდელი ნაშრომები, მათ შორის «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციაში», დაწერილი 1907 წლის დამლევს. — *13.*

7 მარქსს მოჰყავს ჰაინეს გამოთქმა ამყოლებზე: «მე დავთესე დრაკონების კბილები, მოვიმკე კი რწყილები» — თავის ნაშრომში «კარლ გრიუნი. «სოციალური მოძრაობა საფრანგეთსა და ბელგიაში» (დარმშტადტი, 1845), ანუ ჭეშმარიტი სოციალიზმის ისტორიოგრაფია» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. IV, 1938, გვ. 507). — *15.*

8 ოქტიაბრისტების პარტია (ანუ «17 ოქტომბრის კავშირი») წარმოადგენდა მსხვილი სამრეწველო კაპიტალისა და იმ მსხვილ მემამულეთა ინტერესებს, რომლებიც მეურნეობას კაპიტალისტურად წარმართავდნენ. ოქტიაბრისტები სიტყვით სცნობდნენ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტს, რომლითაც რევოლუციით შეშინებულმა მეფემ ხალხს სამოქალაქო უფლებები აღუთქვა, მაგრამ საქმით არც კი ფიქრობდნენ ცარიზმის შეზღუდვას. ისინი სავსებით უჭერდნენ მხარს მეფის მთავრობის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას. — *16.*

9 1907 წლის 3 ივნისს დაითხოვეს II სახელმწიფო სათათბირო და გამოსცეს III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ახალი კანონი,

რომელიც მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის უზრუნველჰყოფდა უმრავლესობას სათათბიროში; მეფის მთავრობამ ვერაგულად დაარღვია საკუთარი, 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი, მოსპო კონსტიტუციური უფლებანი, სამართალში მისცა და კატორღაში გადაასახლა II სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. ეგრეთწოდებული სამი ივნისის სახელმწიფო გადატრიალება კონტრრევოლუციის დროებით გამარჯვებას მოასწავებდა. — ...

10 პირველ გამოცემაში წიგნისა «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (1899 წელი) ამ თავს ეწოდებოდა „თეორიის დამოწმება». — *21.*

11 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 562 — 563.
წიგნის მთელ მანძილზე ლენინი მარქსის «კაპიტალზე» მითითებისას სარგებლობს გერმანული გამოცემით (პირველი ტომი — მეორე გამოცემა, 1872 წელი, მეორე ტომი — 1885 წლის გამოცემა და მესამე ტომი — 1894 წლის გამოცემა) და ყველა ციტატს იძლევა საკუთარი თარგმანით. — *23.*

12 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 562. — *26.*

13 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 598, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 815 და 817. — *28.*

14 ზ ე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა — ზედმეტი ღირებულება (mehrwert, მარქსის მიხედვით). თავის 90-იანი წლების ნაშრომებში ლენინი ხმარობს ტერმინს «ზედმეტი ღირებულება» ტერმინ «ზედმეტ ღირებულებასთან» ერთად. შემდეგში იგი ხმარობს მხოლოდ ტერმინს «ზედმეტი ღირებულება». — *29.*

15 აქ და შემდეგ დანათქვამი «შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს» ლენინს ეკუთვნის. ეს შენიშვნები დაწერილია წიგნის მეორე გამოცემის (1908 წელი) მომზადების დროს. — *32.*

16 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 409, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 504. — *34.*

17 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 323, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 399. — *36.*

18 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 464, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 649. — *36.*

19 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 465, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 649. — *37.*

20 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 136 — 138, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 220 – 222. — *37.*

21 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 314, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 388. — *38.*

22 კ. მარქსი. «კაპიტალი». ტ. II, 1936, გვ. 341, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 422. — *41.*

23 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 303 — 455, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 374—561. — *43.*

24 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 274, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 330. — *45.*

25 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 381, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 469 — 470. — *46.*

26 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 272, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 335. — *47.*

27 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 220 ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 263. — *47.*

28 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 225, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 269. — *48.*

29 ედ. ბერნშტეინის წიგნაკი «სოციალიზმის წანამძღვრები და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები», რომელიც რევიზიას უკეთებდა რევოლუციურ მარქსიზმს, 1899 წელს გამოქვეყნდა და ლენინმა მიიღო გადასახლებაში ყოფნისას, უკვე მას შემდეგ, რაც გამოვიდა პირველი გამოცემა წიგნისა «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». ამიტომ ლენინის შენიშვნები ბერნშტეინის დებულებათა გამო შეიძლებოდა შესულიყო წიგნის «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» მხოლოდ მეორე გამოცემაში.

ლენინი ბერნშტეინს «ჰეროსტრატესავით სახელგანთქმულს» უწოდებს. ჰ ე რ ო ს ტ რ ა ტ ე ბერძენია, რომელიც ცხოვრობდა IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. გადმოცემით, მან თავის მშობელ ქალაქ ეფესში ცეცხლი წაუკიდა არტემიდის შესანშნავ ტაძარს მხოლოდ იმისათვის, რომ შთამომავლობაში დარჩენილიყო მისი სახელი. ჰეროსტრატეს სახელი საზოგადო გახდა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მზად არიან პირადი სახელის მოსახვეჭად დანაშაული ჩაიდინონ. — *48.*

30 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 429. — *48.*

31 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 274, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 330. — *49.*

32 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 743.

ლენინის შენიშვნები «კაპიტალის» თარგმანში დაშვებულ შეცდომებზე ეხება ნ. — ონის (დანიელსონის) 1896 წლის თარგმანს.— *52.*

33 კ. მარქსი. «კაპიტალი» ტ. II, 1936, ენგელსის წინასიტყვაობა, გვ. 18, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 17. — *54.*

34 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 740 — 741. — *57.*

35 იხ. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 743 — 745. — *58.*

36 ვ ო ლ გ ი ნ ი — გ. ვ. პლეხანოვის ფსევდონიმი. ციტირებული ნაშრომი შესულია მის თხზულებათა IX ტომში. — *59.*

37 გლეხობის სოფლის ბურჟუაზიად და პროლეტარიატად დაშლის პროცესის შესასწავლად ლენინმა გამოიყენა ვრცელი ლიტერატურა სოფლის თემისა და გლეხური მეურნეობის შესახებ, კერძოდ საეროობო სტატისტიკის მასალები. საგუბერნიო და სამაზრო საერობო გამგეობათა საერობო სტატისტიკის ორგანოები (რომლებიც 1861 წლის რეფორმის შემდეგ შეიქმნა) ატარებდნენ სტატისტიკურ გამოკვლევებს (გლეხურ მეურნეობათა კომლობრივ აღწერებს, გლეხთა ბიუჯეტების შესწავლას და ა. შ.) და სცემდნენ მდიდარი ფაქტიური მასალის შემცველ მრავალრიცხოვან მიმოხილვებსა და სტატისტიკურ კრებულებს მაზრებისა და გუბერნიების მიხედვით. მაგრამ ერობის სტატისტიკოსები, რომელთა შორის ნაროდნიკები სჭარბობდნენ, ზოგჯერ ტენდენციურად ამუშავებდნენ და არასწორად აჯგუფებდნენ სტატისტიკურ მონაცემებს, რითაც საგრძნობლად ფასს უკარგავდნენ მათ. საშუალო ციფრების სვეტებში ჰქრებოდა არსებითი განსხვავებანი და ნიშნები გლეხობის ცალკეული ჯგუფებისა, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარების მსვლელობაში წარმოიშვნენ. ლენინი ყოველმხრივ სწავლობს, გულდასმით ამოწმებს და ამუშავებს საერობო სტატისტიკის მონაცემებს. იგი თვითონ ახდენს გამოანგარიშებას, ადგენს ნაკრებ ცნობებსა და ცხრილებს, იძლევა გლეხურ მეურნეობათა შესახებ მიღებული მონაცემების მარქსისტულ ანალიზს და მეცნიერულ დაჯგუფებას. ლენინი იყენებს საერობო სტატისტიკის მდიდარ მასალას და გვიჩვენებს რუსეთის ეკონომიური განვითარების ნამდვილ სურათს. საერობო სტატისტიკის დამუშავებულ მასალებს ლენინი ფართოდ იყენებს ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლაშიც. — *65.*

38 ვ. ე. პოსტნიკოვის წიგნი «სამხრეთ რუსეთის გლეხური მეურნეობა» ლენინს დაწვრილებით გარჩეული აქვს თავის ერთ-ერთ პირველ ნაშრომში — «ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში» (იხ. თხუზულებანი, ტომი I). — *65.*

39 ამ წყაროს სრული სახელწოდებაა «თავრიდის გუბერნიის სტატისტიკური ცნობების კრებული. მელიტოპოლ‹ს მაზრის სოფლების სამეურნეო მდგომარეობის სტატისტიკური ცხრილები. კრებულის პირველი ტომის დანართი». სიმფეროპოლი, 1885. — *70.*

40 სარევიზიო სულები — ბატონყმური რუსეთის მამრობითი მოსახლეობა, რომელიც სულადობრივი ხარკით იბეგრებოდა (უმთავრესად გლეხები და მეშჩანები) და ამ მიზნით აღირიცხებოდა განსაკუთრებული აღწერებით (ეგრეთწოდებული «რევიზიებით»). ასეთი «აღწერები» რუსეთში ტარდებოდა 1718 წლიდან; 1858 წელს ჩატარდა უკანასკნელი, მეათე, «აღწერა». სარევიზიო სულების მიხედვით მთელ რიგ რაიონებში ხდებოდა მიწის გადაყოფა სოფლის თემების შიგნით. — *103.*

41 ლენინის მიერ ამ კრებულთა არშიებზე მოცემული შენიშვნები, რომლებიც შეიცავენ წინასწარ გაანგარიშებას, იხ. ლენინის კრებული XXXIII, გვ. 144 — 150. — *130.*

42 იხ. ა. ნ. ენგელგარდტი. «სოფლიდან. 11 წერილი. 1872 — 1882» სპბ. 1885. 1937 წელს წიგნი ხელახლა გამოსცა სოციალურ-ეკონომიური ლიტერატურის გამომცემლობამ. — *142.*

43 სამხედრო ცხენთაღწერა — მობილიზაციის შემთხვევაში არმიისათვის გამოსადეგი ცხენების რაოდენობის აღრიცხვა, — მეფის რუსეთში, როგორც წესი, ყოველ ექვს წელიწადში სწარმოებდა. პირველი აღწერა ჩატარდა დასავლეთი ზოლის 33 გუბერნიაში 1876 წელს. მეორე აღწერა ჩატარდა 1882 წელს მთელ ევროპულ რუსეთში. მისი შედეგები გამოქვეყნდა 1884 წელს სახელწოდებით: «ცხენთა 1882 წლის აღწერა». 1888 წელს აღწერა ჩატარდა 41 გუბერნიაში და 1891 წელს — დანარჩენ 18 გუბერნიაში და კავკასიაში. მიღებული მონაცემები დაამუშავა ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა, რომელმაც ისინი გამოაქვეყნა კრებულებში: «რუსეთის იმპერიის სტატისტიკა. XX. 1888 წლის სამხედრო ცხენთაღწერა» (სპბ. 1891) და «რუსეთის იმპერიის სტატისტიკა. — XXXI. 1891 წლის სამხედრო ცხენთაღწერა» (სპბ. 1894). შემდეგი აღწერა მოხდა 1893 — 1894 წლებში ევროპული რუსეთის 38 გუბერნიაში შედეგები გამოქვეყნებულია სახელწოდებით: «რუსეთის იმპერიის სტატისტიკა. XXXVII. 1893 და 1894 წლების სამხედრო ცხენთაღწერა» (სპბ. 1896). მონაცემები 1899 — 1901 წლების სამხედრო ცხენთაღწერისა, რაც ჩატარდა ევროპული რუსეთის 43 გუბერნიაში, კავკასიის ერთ გუბერნიაში და ასტრახანის გუბერნიის ყალმუხეთის ტრამალზე, შეადგენენ «რუსეთის იმპერიის სტატისტიკის» LV ტომს (სპბ. 1902). — *149.*

44 ბლაგოვეშჩენსკის კრებულის მასალათა დაწვრილებითი ანალიზი ლენინის მიერ მოცემულია ცალკე რვეულში და კრებულის არშიებზე გაკეთებულ შენიშვნებში, რაც გამოქვეყნებულია ლენინის კრებულში XXXIII, გვ. 89 — 99. — *150.*

45 ასეთი სათაური აქვს ლიბერალური ნაროდნიკის ვ. პ. ვორონცოვის (ვ. ვ.) ერთ-ერთ ნაშრომს, რომელიც გამოვიდა 1892 წელს. — *153.*

46 აქ და შემდეგ მრავალჯერ მოხსენებული «რ უ ს ე თ ი ს შ ი ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს გ ა მ ო მ კ ვ ლ ე ვ ი კ ო მ ი ს ი ი ს შ რ ო მ ე ბ ი» წარმოადგენენ 16-ტომიან გამოცემას, რომელიც ნაკვეთებად გამოდიოდა 1879 წლიდან 1887 წლამდე. «რუსეთის შინამრეწველობის გამომკვლევი კომისია» (შემოკლებული სახელწოდება — «შინამრეწველობის კომისია») დაარსდა 1874 წელს ვაჭრობისა და მანუფაქტურის საბჭოსთან, 1870 წელს შემდგარი მეფაბრიკე-მექარხნეთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის შუამდგომლობით. კომისიის შემადგენლობაში შეეიდნენ ფინანსთა, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროების, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების, თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების, სოფლის მეურნეობის მოსკოვის საზოგადოების, რუსეთის ტექნიკური საზოგადოების და რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშემწყობი საზოგადოების წარმომადგენლები. «შინამრეწველობის კომისიის» მიერ თავის «შრომებში» გამოქვეყნებული ძვირფასი მასალები შეკრებილი იყო, უმთავრესად, ადგილობრივი, ხშირად ნაკლებად ცნობილი თანამშრომლების მიერ. ლენინმა დაწვრილებით შეისწავლა კომისიის «შრომები» და ამოიღო იქიდან მრავალი ცნობა და ფაქტი, რომლებიც გვიხატავენ რუსეთის შინამრეწველობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას. — *159.*

47 ამ სვეტში ლენინი ათავსებს აგრეთვე მებაღეობისა და მეცხოველეობის შემოსავალს. — *161.*

48 თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებაში 1897 წლის მარტს განხილულ იქნა პროფ. ა. ი. ჩუპროვის მოხსენება პურის ფასების შესახებ.

 თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა იყო პრივილეგიური სამეცნიერო საზოგადოება, დაარსებული 1765 წელს, როგორც წესდებაში აღნიშნული იყო, იმ მიზნით, რომ «სახელმწიფოში გაავრცელებინა მიწათმოქმედებისა და მრეწველობისათვის სასარგებლო ცნობები». თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება აერთიანებდა ლიბერალური თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ მეცნიერებს; იგი ატარებდა საანკეტო გამოკვლევებს, ექსპედიციებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და

ქვეყნის სხვადასხვა რაიონის შესასწავლად; პერიოდულად სცემდა «თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების შრომებს», სადაც იბეჭდებოდა გამოკვლევათა შედეგები და საზოგადოების სექციებში წაკითხული მოხსენებებისა და გამართული კამათის სტენოგრამები. «თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების შრომებს» ლენინი არაერთხელ იხსენიებს თავის ნაშრომებში. — ***166.***

49 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 715. — ***166.***

50 სოფლად კულაკობის სახით მტკიცე დასაყრდენის შესაქმნელად მეფის მთავრობამ 1906 წლის 9 (22) ნოემბერს გამოსცა ეგრეთწოდებული სტოლიპინის საადგილმამულო კანონი იმის შესახებ, რომ გლეხები თემიდან ხუტორებად გამოეყოთ. ამ კანონის მიხედვით ირღვეოდა მიწის თემური სარგებლობა; ყოველ გლეხს წინადადება ეძლეოდა პირად სამფლობელოდ აეღო თავისი მიწის ნაკვეთი, გამოჰყოფოდა თემს. გლეხს შეეძლო გაეყიდა თავისი ნაკვეთი, რაც წინათ აკრძალული იყო. საზოგადოება ვალდებული იყო თემიდან გასული გლეხებისათვის ერთ ადგილას გამოეყო მიწა (ხუტორი, ოტრუბი). სტოლიპინშჩინის დახასიათება და შეფასება მოცემულია ლენინის მთელ რიგ ნაშრომებში, კერძოდ ნაშრომში «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში». იხ. აგრეთვე «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1938 წ. რუსული გამოცემა, გვ. 94 — 95. — ***168.***

51 ლენინი დრეკსლერის მონაცემებს ანალიზს უკეთებს თავის ნაშრომში «აგრარული საკითხი და მარქსის «კრიტიკოსები»» (თავი XI. «მესაქონლეობა წვრილ და მსხვილ მეურნეობაში»). — ***170.***

52 გამოთქმები «მეოთხედი ცხენი», «ცოცხალი ნაწევარი» ეკუთვნის მწერალ გლებ უსპენსკის. იხ. მისი ნარკვევები «ცოცხალი ციფრები» კრებულში «რჩეული ნაწარმოებნი», 1938 წლის გამოცემა. — ***170.***

53 იხ. ი. ვ. იანსონი. «რუსეთის და დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოების შედარებითი სტატისტიკა», ტ. II. მრეწველობა და ვაჭრობა. განყოფილება I. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა. სპბ. 1880, გვ. 422 — 423, 326 და სხვ. — ***174.***

54 რუსეთში 1891 წლის შიმშილობაზე და მის როლზე გლეხობის დაშლის დაჩქარებაში, მაშასადამე, კაპიტალიზმის განვითარებისათვის შინაური ბაზრის შექმნაში ენგელსი წერდა თავის სტატიაში «სოციალიზმი გერმანიაში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 239 — 254). ენგელსი ამ თემას ეხებოდა აგრეთვე 1891 წლის 29 ოქტომბრის, 1892 წლის 15 მარტისა და 18 ივნისის წერილებში ნიკოლაი — ონისადმი («კარლ

მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის წერილები ნიკოლაი — ონისადმი მათ მიერ სხვა პირებისადმი მიწერილი წერილების ზოგიერთი ადგილის დამატებით». სპბ. 1908). იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 367 — 370. — *178.*

55 ლენინის შენიშვნები ფ. ა. შჩერბინას სტატიაზე გამოქვეყნებულია ლენინის კრებულში XXXIII, გვ. 70 — 84. — *182.*

56 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 392, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 552. — *186.*

57 ვ ა ლ უ ე ვ ი ს კ ო მ ი ს ი ა — «რუსეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გამომკვლევი კომისია», რომელსაც მეთაურობდა მეფის მინისტრი პ. ა. ვალუევი. 1872 — 1873 წლებში კომისიამ შეაგროვა დიდძალი მასალა რეფორმისშემდგომ რუსეთში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ: გუბერნატორთა მოხსენებანი, მემამულეთა, თავადაზნაურობის წინამძღოლთა, სხვადასხვა საერობო გამგეობათა, ვოლოსტების სამმართველოთა, პურის ვაჭართა, სოფლის ხუცესთა, კულაკთა, სტატისტიკურ და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებათა განცხადებანი და ჩვენებანი. ეს მასალები გამოქვეყნდა «რუსეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის მოხსენებებში», პეტერბურგი, 1873 წელი. — *187.*

58 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 695.
ლენინის შენიშვნა, რომ ტერმინი «Arbeitsrente» არასწორად არის გადმოცემული გამოთქმით «შრომის რენტა», ეხება ნიკოლაი — ონის (დანიელსონის) 1896 წლის თარგმანს. — *188.*

59 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 700 — 701. — *189.*

60 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 702. — *189.*

61 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 703. — *190.*

62 «ნ ა ბ ო ძ ა რ ი გ ლ ე ხ ე ბ ი» — ერთი ნაწილი მემამულეთა ყოფილი გლეხებისა, რომლებმაც 1861 წლის რეფორმის დროს მემამულისაგან მუქთად (გამოუსყიდავად) მიიღეს სამათხოვრო ნაკვეთი, რაც შეადგენდა ამა თუ იმ ადგილის ეგრეთწოდებული «უმაღლესი» ანუ «ბრძანებულებითი», ე. ი. კანონით დადგენილი საგლეხო ნაკვეთის მხოლოდ ერთ მეოთხედს. წინანდელი საგლეხო ნაკვეთების მთელ დანარჩენ ნაწილს ეპატრონებოდა მემამულე, რომელსაც თავისი «ნაბოძარი», ძალით გაბოგანოებული გლეხები კაბალაში ჰყავდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც.

«ს ა მ დ ღ ი უ რ ე ბ ი» — ერთ-ერთი კატეგორია დაქირავებული სასოფლო-სამეურნეო მუშებისა, რომლებსაც მიწის ნაკვეთი და ღატაკური მეურნეობა ჰქონდათ; ესენი იყვნენ დღიური მუშები, რომლებიც იძულებული იყვნენ კაბალურ პირობებში, ლუკმა პურისათვის ან 20 — 30 მანეთად მთელი ზაფხულის მანძილზე ემუშავნათ კვირაში სამ დღეს კულაკის ან მემამულის მეურნეობაში. ნაკვეთის მქონე სოფლელი მუშის ეს სახე განსაკუთრებით გავრცელებული იყო მეფის რუსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ გუბერნიებში. — *194.*

63 ო ს ტ ზ ე ი ს მ ხ ა რ ე — მეფის რუსეთის ბალტიისპირა მხარე, რომელშიც შედიოდნენ ესტლანდიის, კურლანდიისა და ლიფლანდიის გუბერნიები. ახლა ეს არის ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორია. — *194.*

64 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 107 — 108, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 182. — *199.*

65 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 525. — *200.*

66 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 297 — 298, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 359 — 360. — *200*

67 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 295, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 356. — *200.*

68 ნაროდნიკების თეორიას «ხალხური წარმოების» შესახებ ლენინი აკრიტიკებს უკვე ნაშრომში «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» (იხ. თხზულებანი, ტ. I, წიგნის მესამე ნაკვეთი). — *200.*

69 ამ თავის პირველი ექვსი პარაგრაფი თავდაპირველად დაიბეჭდა სტატიის სახით ჟურნალ «ნაჩალოში» № 3, 1899 წლის მარტი (გვ. 96 — 117), სათაურით «საბატონო მეურნეობის გამოდევნა კაპიტალისტური მეურნეობის მიერ რუსეთის თანამედროვე მიწათმოქმედებაში». სტატიას თან ახლდა რედაქციის შემდეგი შენიშვნა: «ეს სტატია წარმოადგენს რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ ავტორის მიერ დაწერილი დიდი გამოკვლევის ნაწყვეტს». — *204.*

70 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937 გვ. 287. — *208.*

71 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 696. — *208.*

72 დ რ ო ე ბ ი თ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი — მემამულეთა ყოფილი გლეხები, რომლებიც 1861 წელს ბატონყმობის გაუქმების შემ-

დეგაც, მემამულეთაგან თავისი ნაკვეთის გამოსყიდვის დაწყებამდე, ვალდებული იყვნენ ეძლიათ ხარკი (ღალა ან საბატონო ბეგარა).

ურთიერთთავდებობა — ყოველი სოფლის თემის გლეხთა იძულებითი კოლექტიური პასუხისმგებლობა ფულადი გადასახდელის თავის დროზე და სრულად შეტანისათვის და სახელმწიფოს და მემამულეთა სასარგებლოდ ყოველგვარი ბეგარის შესრულებისათვის (გამოსაღები, გამოსასყიდი გადასახდელი, რეკრუტთა შეგროვება და სხვ). გლეხთა დამონების ეს ფორმა, რომელიც რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც იყო შემორჩენილი, გაუქმებულ იქნა მხოლოდ 1906 წელს. — *210.*

73 კრებული «მოსავლისა და პურის ფასების გავლენა რუსეთის სახალხო მეურნეობის ზოგიერთ მხარეზე» (ორ ტომად) ლენინს მიუღია სოფელ შუშენსკოეში 1897 წელს და გულდასმით შეუსწავლია წიგნზე — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» მუშაობის დროს. ამას მოწმობს ლენინის მიერ კრებულის არშიებზე გაკეთებული მრავალი შენიშვნა. ლენინი ამხელს ნაროდნიკების მიერ აჩემებულ მეთოდს — დაემახინჯებინათ სინამდვილე სტატისტიკურ «საშუალოთა» დახმარებით, რომლებიც ჩქმალავდნენ გლეხობის დაშლას; გულდასმით ამოწმებს და იყენებს კრებულში მოთავსებულ კონკრეტულ მასალას. ასე, პირველი ტომის 153 გვერდზე ლენინი ადგენს შეჯამებულ ცნობას რუსეთის ცალკეულ გუბერნიებში მეურნეობის სხვადასხვა სისტემის (კაპიტალისტურის, შრომამიგებისა და შერეულის) გავრცელების შესახებ. სხვა წყაროებიდან ამოღებული მცირეოდენი დამატებებით ეს მასალები შევიდა ამ ცხრილში. — *212.*

74 საბულულო მუშაობა — ასე იწოდებოდა მეფის რუსეთის მთელ რიგ რაიონებში ნატურალური კაბალური იჯარა, როცა მოიჯარადრე მიწათ-მფლობელს უხდიდა ნახევარ მოსავალს ბულულზე («კოპნა»), ზოგჯერ მეტსაც კი, და, გარდა ამისა, აძლევდა მას თავისი შრომის ნაწილს სხვადასხვანაირი «შრომამიგების» სახით. — *219.*

75 Truck-system — ხელფასის გასტუმრების სისტემა, როცა მუშებს ხელფასი ეძლევათ საქონლის სახით საფაბრიკო დუქნებიდან, რომლებიც მეფაბრიკეებს ეკუთვნით. მეპატრონენი მუშებს აიძულებენ ფულადი ხელფასის ნაცვლად ამ დუქნებში მიიღონ მდარე ხარისხის სახმარი საგნები, ისიც მაღალ ფასად. ეს სისტემა, რომელიც მუშების ექსპლოატაციის დამატებითი საშუალებაა, რუსეთში განსაკუთრებით გავრცელებული იყო შინასარეწების რაიონებში. — *219.*

76 «რუსკაია პრავდა» — კიევის რუსეთის XI — XII საუკუნეების კანონთა და მთავრების დადგენილებათა პირველი წერილობითი კრებული. «რუსკაია პრავდის» ხანებში მთავრები და ბოიარები

აყმევებდნენ მიწათმოქმედთ — სმერდებს, ეპატრონებოდნენ მათ მიწებს და აიძულებდნენ თავიანთ მამულებში ემუშავნათ. სმერდებს აკაბალებდნენ მონასტრებიც, რომლებიც დიდ ადგილმამულებს ფლობდნენ. — *223.*

77 1897 წლის 1 და 2 მარტის კამათის სტენოგრაფიული ანგარიში დაბეჭდილია «თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების შრომებში», 1897, № 4. — *233.*

78 პ ი ნ დ ა რ ი — ძველი საბერძნეთის ლირიკოსი პოეტი. მის მრავალრიცხვოვან ნაწარმოებთაგან ჩვენამდე მოაღწია ქებათა ოთხმა ტომმა, რომლებშიც პოეტი ხოტბას ასხამს თამაშობაზე გამარჯვებულთ. პინდარის სახელი საზოგადო გახდა ყოველი წრეგადასული «მეხოტბისათვის».

«კაპიტალისტური ფაბრიკის პინდარს» მარქსი «კაპიტალის» პირველ ტომში უწოდებს კაპიტალიზმის აპოლოგეტს, დოქტორ იურს. — *260.*

79 ზ ვ ე გ ი ნ ც ე ვ ი ს კ ო მ ი ს ი ა შეიქმნა 1894 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილებასთან «გარესარეწების მოწესრიგებისა და სასოფლო-სამეურნეო მუშების მიმოძრაობის რეგულირების» ღონისძიებათა შესამუშავებლად. — *272.*

80 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 244. — *275.*

81 წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» პირველ გამოცემაში (1899 წელი) ამ ცხრილს შემდეგი სახე ჰქონდა: — *284.*

ევროპეული რუსეთის

პერიოდები	მოსახლეობა				ნათესი				რამდენი ათასი წმინდა მოსავალი			
					ყველა პურ., ე. ი. მარცვ. პური, პლუს კარტოფ.							
	ათასობით	%%-ბით				%%-ბით				%%-ბით		
1864—66	61 400	100			72 225	100			152 851	100		
1870—79	69 853	114	100		75 620	104	100		211 325	138	100	
1883—87	81 725	132	117	100	80 293	111	106	100	255 178	166	120	100
1885—94	86 282	140	123	105	92 616	128	122	115	265 254	173	126	104

82 ლენინის შენიშვნები ამ კრებულის გამო და წინასწარი გაანგარიშებანი გამოქვეყნებულია ლენინის კრებულში XXXIII, გვ. 165—175.—*286.*

83 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 666 — 667. — *292.*

84 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 591. — *292.*

85 «შენაცვლებადი ნივთი» («res fungibilis»)—ძველი იურიდიული ტერმინია. «შენაცვლებად ნივთებს» «სეთ ნივთებს უწოდებენ, რომლებიც ხელშეკრულებაში განისაზღვრება უბრალო თვლით, ზომა-წონით («ამდენი და ამდენი ფუთი ჭვავი», «ამდენი და ამდენი ცალი აგური»); მათგან განირჩევა «შეუნაცვლებადი ნივთები» — ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები («ასეთი და ასეთი ნივთი», «ასეთი და ასეთი ნომრიანი საგანი»). — *305.*

86 იხ. ე. მ. დემენტიევი. «ფაბრიკა, რას აძლევს იგი მოსახლეობას და რას ართმევს მას». მოსკოვი, 1893, გვ. 88 — 97. — *339.*

87 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1933, გვ. 405. — *361.*

88 კ. მარქსი. რჩეული ნაწარმოებნი, ტ. II, 1940, გვ. 249 — 339. — *363.*

89 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I. 1935, გვ. 530, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 728. — *370.*

90 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 272, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 335. — *370.*

91 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 551 და 512, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 760 და 705. — *371.*

92 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 208, 209, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 255, 257. — *372.*

50 გუბერნია

«ჩეტვერტია» ნათესი				წმინდა მოსავალი				მოსახლეობის 1 სულზე მოდის მოსავალი «ჩეტვერტობით»		
	%%-ბით				%%-ბით					
								მარცვლეული	ბოსტნეული	სულ ერთად
6 918	100			16 996	100			2,21	0,27	2,48
8 757	126	100		30 379	178	100		2,59	0,43	3,02
10 847	156	123	100	36 164	212	119	100	2,68	0,44	3,12
16 552	239	187	152	44 348	260	146	123	2,57	0,50	3,07

93 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 544 და 711. — *373.*

94 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 109 — 110, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 127 — 128. — *376*

95 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1933, გვ. 329. — *376.*

96 აქ ნაგულისხმევია ენგელსის სტატია «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში», რომელიც დაბეჭდილია გერმანულ ს.-დ. ჟურნალ «Die Neue Zeit»-ის 1894/95 წლის მე-10 ნომერში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 439—461). «ფრანგი. მოწაფეები» — საცენზურო სახელწოდება მარქსისტებისა (ანუ «მარქსისტული მიმართულების ფრანგი სოციალისტებისა», როგორც მათ ენგელსი აღნიშნულ ნაშრომში უწოდებს). — *377.*

97 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 711. — *377.*

98 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 716. — *378.*

99 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 544 — 545. — *378.*

100 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 639. — *379.*

101 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 640 — 641. — *380.*

102 1894 — 1895 წლებში აგრარიების წარმომადგენელმა გრაფმა კანიცმა გერმანიის რაიხსტაგში შეიტანა მისი სახელით ცნობილი წინადადება («Antrag Kanitz»), რომ მთავრობას თავის ხელში აეღო საზღვარგარეთიდან შემოსატანი მთელი მარცვლეულის შესყიდვა და შემდეგ თვითონ გაეყიდა იგი საშუალო ფასებში. ეს წინადადება უარყოფილ იქნა როგორც პრუსიის სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის, ისე რაიხსტაგის მიერ. — *381.*

103 ლენინი ბიუხერის გამოკვლევას, მრეწველობის განვითარების სტადიებისა და ფორმების მის კლასიფიკაციას შეფასებას აძლევს წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» VII თავში, 652 — 653 გვერდზე მოთავსებულ შენიშვნაში. ბიუხერის ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც სახალხო მეურნეობის წარმოშობას ეხება, ლენინმა რუსულად გადმოთარგმნა, ალბათ, გადასახლების დროს, სოფელ შუშენსკოეში. ლენინის თარგმანი არ გამოქვეყნებულა. — *383.*

104 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 240, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 354. — *414.*

105 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 241, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 355. — *414.*

106 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 251, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 368 — 369. — *417.*

107 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 244, 248 — 249, 265 — 266, 291, 293, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 291, 297, 318, 352, 354. — *420.*

108 «ვლადიმირის გუბერნიის სარეწები», ტ. III, ს. ხარიზომენოვის გამოკვლევა. მოსკოვი, 1882, გვ. 20 — 21. — *437.*

109 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 300 — 302, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 362 — 364. — *450.*

110 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1933, გვ. 386. — *450.*

111 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 279, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 406. — *451.*

112 «რუსეთის იმპერიის სტატისტიკური მატიანე». II. ნაკვეთი მესამე. მასალები რუსეთის შინამრეწველობისა და ხელით შრომის შესასწავლად. ნაწილი პირველი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის გამოცემა. სპბ. 1872. — *454.*

113 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 257 — 264, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 376 — 386. — *464.*

114 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 257 — 264, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 376 — 386. — *465.*

115 1897 წლის 2 ივნისის კანონით სამრეწველო საწარმოებისა და სარკინიგზო სახელოსნოებისათვის დაწესდა 11 $^1/_2$ საათი სამუშაო დღე. ამ კანონამდე სამუშაო დღე რუსეთში განსაზღვრული არ იყო და 14 — 15 საათს და უფრო მეტს აღწევდა. მეფის მთავრობა იძულებული იყო 1897 წლის 2 ივნისის კანონი გამოეცა მუშათა მოძრაობის ზემოქმედებით, რომელსაც ლენინის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი» ხელმძღვანელობდა. კანონის დაწვრილებითი გარჩევა და მისი კრიტიკა ლენინის მიერ მოცემულია ბროშურაში «ახალი საფაბრიკო კანონი» (იხ. თხზულებანი, ტომი 2). — *490.*

116 ამის მომდევნო ცხრილი შედგენილია ასეთივე, მაგრამ უფრო ვრცელი ცხრილის საფუძველზე, რომელიც მოთავსებულია «ვესტნიკ ფინანსოვ»-ში, 1898, № 42. — *497.*

117 1864 წლამდე ტულელი მეიარაღენი იყვნენ ყმები, სახაზინო (სახელმწიფო) მეიარაღენი და ცალკეულ რაბათებში ცხოვრობდნენ (სახა-

ზინო სამჭედლო რაბათი და სხვ.). ისინი იყოფოდნენ ლულის, თოფისხის, საკეტის, ხელსაწყოს და სხვა საამქროებად. დამხმარე სამუშაოთა შესასრულებლად ტულის ქარხნებზე მიწერილი იყვნენ რამდენიმე სოფლის ყმა გლეხები. ეს გლეხები მეიარაღეთათვის ამზადებდნენ ხის ნახშირს, დარაჯობდნენ ქარხნებზე მიწერილ ტყეებს, მუშაობდნენ საქარხნო ეზოებში. ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების მომენტისათვის ტულაში სულ 4 ათასამდე მეიარაღე ოსტატი ირიცხებოდა, მათგან 1 276 ოსტატი ქარხნებში მუშაობდა და 2 362 ოსტატი — შინ; ოჯახებიანად მეიარაღეთა რიცხვი 20 ათას კაცს აღემატებოდა. — *498.*

118 ნაგულისხმევია ფაბრიკა «ს.-პეტერბურგის ფეხსაცმლის მექანიკური წარმოების ამხანაგობა» (დაარსდა 1878 წელს). 1894/95 წელს ფაბრიკაში იყო 845 მუშა, წარმოების თანხა 1 287 912 მანეთს აღწევდა (ნაჩვენებია «ფაბრიკებისა და ქარხნების სიაში». სპბ. 1897, № 13450, გვ. 548 — 549). — *506.*

119 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 600 — 601, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 817 — 818. — *510.*

120 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 294 — 295, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. 1, 1939, გვ. 354 — 355. — *518.*

121 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 257 — 258, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 377 — 378. — *520.*

122 მ. კ. გორბუნოვა. «ქალთა სარეწები მოსკოვის გუბერნიაში». ნაკვ. IV («მოსკოვის გუბერნიის სტატისტიკური ცნობების კრებული. სამეურნეო სტატისტიკის განყოფილება», ტ. VII, ნაკვ. II, მოსკოვი, 1882). შესავალი, გვ. IX. — *522.*

123 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 371 და შემდეგი, 512 და შემდეგი, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 525 და შემდეგი, 706 და შემდეგი. — *526.*

124 ნაგულისხმევია ე. ნ. ანდრეევის ნაშრომი «შინამრეწველობა რუსეთში «რუსეთის შინამრეწველობის გამომკვლევი კომისიის» გამოკვლევათა და სხვა წყაროთა მიხედვით». სპბ. 1885 («დამხმარე სარეწებზე» მომუშავე პირთა განსაზღვრა $7^1/_2$ მილიონი კაცით მოცემულია აღნიშნული წიგნის 69 გვერდზე) და ამავე ავტორის ბროშურა «შინამრეწველობა რუსეთში». სპბ. 1882, გვ. 12. — *532.*

125 მეფის რუსეთის რეფორმისშემდგომი პერიოდის მსხვილი მრეწველობის განვითარების დასახასიათებლად ლენინმა დაამუშავა იმ

დროის საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მრავალრიცხოვან წყაროთა მასალები (კრებულები, ცალკეული მონოგრაფიები და გამოკვლევები, ოფიციალური ცნობარები, სხვადასხვა საჟურნალო და საგაზეთო ანგარიშები, მოხსენებები და სხვ.). ლენინის მუშაობას სტატისტიკურ მონაცემთა შემოწმების, დამუშავების, შეჯამებისა და მეცნიერული დაჯგუფების დარგში ახასიათებენ მის მიერ წიგნებზე გაკეთებული შენიშვნები და სხვა მასალები, რომლებიც გამოქვეყნებულია ლენინის XXXIII კრებულის მეორე განყოფილებაში. ლენინის მიერ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ძირითადი წყაროების შეფასება იხ. აგრეთვე მის სტატიაში «ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხის გამო» (თხზულებანი, ტომი 4). — *535.*

126 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 368, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 408. — *536.*

127 აქ ლაპარაკია «პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრის სტატისტიკის მასალებზე», ნაკვ. V, ნაწ. 1 (საქარხნო რაიონი), ყაზანი, 1894. ამ წიგნის 65-ე გვერდზე არის ცხრილი, რომლის სათაურია «ცნობები არტინის ქარხნის საამქრო სამუშაოებზე 1892 წელს დავალიანებული მუშათა რაზმის შესახებ». — *575.*

128 ლენინს მოჰყავს ციტატი წიგნიდან «რუსეთის სამთო-საქარხნო მრეწველობა». სამთო დეპარტამენტის გამოცემა. კოლუმბის 1893 წლის მსოფლიო გამოფენა ჩიკაგოში. სპბ. 1893, გვ. 52.—*577.*

129 წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» პირველი გამოცემის ცხრილში იყო 1890 და 1896 წლების მონაცემები, რომლებიც გამოტოვებულია მეორე გამოცემაში. გარდა ამისა, პირველი გამოცემის 1897 წლის ცნობები რამდენადმე განსხვავდება იმავე წლის მონაცემებისაგან, რომლებიც მოყვანილია მეორე გამოცემაში. ცხრილის სათანადო ნაწილი პირველ გამოცემაში ასეთია:

1890	56 560	100	28 174	49,7	13 418	23,7	367,2
1896	98 414	100	35 457	36,6	39 169	39,7	547,2
1897	113 982	100	40 850	35,8	46 350	40,6	—

1897 წლის ცნობებს პირველ გამოცემაში დართული აქვს ტექსტქვეშა შენიშვნა, რომელიც აგრეთვე გამოტოვებულია მეორე გამოცემაში: «ანგარიშობენ, რომ 1898 წელს თუჯი იმპერიაში გამოდნობილი იყო 133 მილიონი ფუთი, აქედან 60 მილიონი ფუთი სამხრეთში და 43 მილიონი ფუთი ურალში («რუსსკიე ვედომოსტი», 1899, № 1)». — *578.*

130 ეს ცხრილი ლენინმა შემდეგ შეავსო 1908 წლის სათანადო მონაცემებით (იხ. ილუსტრაცია 607 გვერდზე). ლენინის მინაწერში მოყვანილი ცნობები აღებულია «საფაბრიკო ინსპექტორთა 1908 წლის ანგარიშების კრებულიდან» (გვ. 50—51), რომელიც გამოვიდა 1910 წელს. მაშასადამე, ლენინის დამატება განეკუთვნება 1910 ან 1911 წელს. — *606.*

131 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 512, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 706. — *625.*

132 «ხლუდოვის ფაბრიკა» — «ძმ. ა. და გ. ხლუდოვების ეგორიევსკის ძაფსართავი ფაბრიკის ამხანაგობა» (ფაბრიკა მდებარეობდა რიაზანის გუბ. ქ. ეგორიევსკში). ლენინის შენიშვნაში, ფრჩხილებში, მოყვანილი ცნობები (მუშების რაოდენობისა და წარმოების თანხის შესახებ) ამოღებულია «ფაბრიკა-ქარხნების სიიდან». სპბ. 1897, № 763. — *632.*

133 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 600—601, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 818 — 819. — *635.*

134 ლ ა ს ტ ი — სახომალდო საწყაო, რასაც ხმარობდნენ რუსეთის სავაჭრო გემებზე; უდრის ორ ტონას. — *656.*

135 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 562. — *664.*

136 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 598, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 815. — *699.*

137 იხ. გლებ უსპენსკის ნარკვევი «კავკასიაში». თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1918. — *704.*

138 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. XIV, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 7. — *712.*

139 ლენინის სტატია «ა რ ა კ რ ი ტ ი კ უ ლ ი კ რ ი ტ ი კ ა» დაწერილია მის მიერ 1900 წლის მარტში; დაიბეჭდა ჟურნალ «ნაუჩნოე ობოზრენიეს» 1900 წლის მაის-ივნისის ნომერში. ეს სტატია არის პასუხი ერთ-ერთი «ლეგალური მარქსისტის» — პ. ნ. სკვორცოვის მტრული რეცენზიისა ლენინის წიგნზე «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». «არაკრიტიკული კრიტიკა» ლენინის უკანასკნელი სტატიაა, რომელიც მან დაწერა და გამოაქვეყნა ლეგალურ პრესაში საზღვარგარეთ წასვლამდე. — *721.*

140 ლენინის მითითებებში წიგნზე «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» 1899 წლის გამოცემის გვერდები შეცვლილია ამ ტომის გვერდებით: 29-ე შეცვლილია 63-ე გვერდით, 14 — 41, 19 — 47 —48,

26 — 58 — 60, 297 — 450 — 451, 437 — 652 — 653, 101 — 166 — 167, 96 — 159 — 160, 102 — 168, 102 — 169, 232 — 360, 129 — 207 — 208, 152 — 240 — 241, 148 — 234, 130 — 209, 153 — 242, 60 — 106, 58 — 104 — 105. — *724.*

141 ფრჩხილებში მოყვანილი სიტყვები («ჩი-ჩი-კოვი...» და სხვ.) წარმოადგენენ ნ. გ. ჩერნიშევსკის ნაწარმოების — «რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევების» ერთი ადგილის გადასხვაფერებას: «... «მკვდარი სულების» გონებამახვილური განხილვა შეიძლებოდა შემდეგნაირად დაწერილიყო. უნდა ამოეწერათ წიგნის სათაური «Похождения Чичикова или Мертвые души» და დაეწყოთ პირდაპირ ასე: «Прохлаждения Чхи! чхи! кова — не подумайте, читатель, что я чихнул... და სხვ., და სხვ. ოცი წლის წინათ იყვნენ ისეთი მკითხველები, რომლებსაც ეს გონებამახვილობად მიაჩნდათ» (იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. «რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევები». სპბ. 1892, გვ. 64). — *726.*

142 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 100, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 118 — 119. — *729.*

143 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 99, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 118. — *729.*

144 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 408, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 503 — 504. — *731.*

145 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 264, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 386 — 387. — *733.*

146 ლენინის სტატია «კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის», დაბეჭდილი «ვ. ილინის» ხელმოწერით ჟურნალ «ნაუჩნოე ობოზრენიეში», № 8, 1899 წლის აგვისტო (იხ. თხზულებანი, ტომი 4). — *748.*

შინაარსი

I

კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. მსხვილი მრეწველობის შინაური ბაზრის წარმოშობის პროცესი . . . . . 1 — 719

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა 5

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა 13

თავი I. ეკონომისტ-ნაროდნიკების თეორიული შეცდომები 21

I შრომის საზოგადოებრივი დანაწილება 21

მრეწველობის დარგების რაოდენობის გადიდება 21. — შინაური ბაზრის შექმნა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გამო 22 — 23. — ამ პროცესის გამოვლინება მიწათმოქმედებაში 23 — 24. — ეკონომისტ-ნაროდნიკების შეხედულებანი 24.

II სამრეწველო მოსახლეობის ზრდა სამიწათმოქმედო მოსახლეობის ანგარიშზე 25

ამ მოვლენის აუცილებელი კავშირი თვით სასაქონლო და კაპიტალისტური მეურნეობის ბუნებასთან 25 — 26.

III წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგება 27

ნაროდნიკების შემცდარი შეხედულება 27. — «კაპიტალის» ავტორის შეხედულება ამ საგანზე 28.

IV ზეღირებულების რეალიზაციის შეუძლებლობის ნაროდხიკული თეორია 29

ბბ. ვ. ვ-ს და ნ. — ონის თეორიის დედაარსი; მისი მცდარობა 29 — 32.—«საგარეო ბაზრის» უმართებულო მოშველიება რეალიზაციის საკითხის გადასაწყვეტად 33.—კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ზერელე შეფასება აღნიშნული მწერლების მიერ 34.

V ა. სმიტის შეხედულებანი მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებასა და ბრუნვაზე კაპიტალისტურ საზოგადოებაში და ამ შეხედულებათა კრიტიკა მარქსის მიერ 35

მუდმივი კაპიტალის გამორიცხვა ა. სმიტის მიერ 35 — 37. — ამ შეცდომის გავლენა ნაციონალური შემოსავლის თეორიაზე 37 — 40.

VI მარქსის რეალიზაციის თეორია 40

მარქსის თეორიის ძირითადი წანამძღვრები 40 — 41. — პროდუქტის რეალიზაცია მარტივი რეპროდუქციის დროს 41 — 43. — მთავარი დასკვნა მარქსის რეალიზაციის თეორიიდან 43 — 45. — საწარმოო მოხმარების მნიშვნელობა 44 — 47. — წინააღმდეგობა წარმოების განუსაზღვრელ გაფართოებისაკენ მისწრაფებასა და განსაზღვრულ მოხმარებას შორის 47 — 50.

VII ნაციონალური შემოსავლის თეორია 50

პრუდონი 50 — 52. — როდბერტუსი 52 — 54. თანამედროვე ეკონომისტები 54 — 55. — მარქსი 55 — 57.

VIII რატომ არის საჭირო კაპიტალისტური ერისათვის საგარეო ბაზარი? 58

საგარეო ბაზრის საჭიროების მიზეზები 58 — 60. — საგარეო ბაზარი და კაპიტალიზმის პროგრესულობა 60 — 61.

IX პირველი თავიდან გამომდინარე დასკვნები 61

ზემოთ განხილულ დებულებათა რეზიუმე 61 — 62. — შინაური ბაზრის საკითხის დედაარსი 63 — 64.

თავი II. გლეხობის დაშლა 65

I საერობო სტატისტიკის მონაცემები ნოვოროსიის შესახებ 65

გლეხობის სამეურნეო ჯგუფები 66 — 67. — სავაგრო მწარმოებლობა და სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა 67 — 68. — უმაღლესი ჯგუფი; კონცენტრაცია მიწისა 68, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარისა 69, შრომის უმაღლესი ნაყოფიერება 69 — 71. — ბ-ნ. ვ. ვ-ს მსჯელობა უცხენობის შესახებ 71 — 72. — მოჯამაგირეთა დაქირავება და ბ-ნ ვ. ვ-ს მსჯელობა ამ მოვლენაზე 72 — 73. — გლეხობის დაბალი ჯგუფი; მიწის იჯარით გაცემა 74 — 75. — საშუალო ჯგუფი, მისი მერყეობა 76 — 77. — ბბ. ვ. ვ. და კარიშევი გლეხთა მიერ მიწის იჯარით აღების შესახებ 78 — 81. — როგორ უყურებენ ნაროდნიკები ბ-ნ პოსტნიკოვის გამოკვლევას 81 — 82.

II საერობო სტატისტიკის მონაცემები სამარის გუბერნიის შესახებ 83

მონაცემები ნოვოუზენსკის მაზრის გლეხობის სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობის შესახებ 83 — 86. — სხვადასხვა ჯგუ-

ფის მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა 86 — 87. — ბ-ნი კაიშევი იჯარისა და პურის ფასის შესახებ 87—88. — დაქირავებული შრომა; შინაური ბაზრის შექმნა გლეხობის დაშლით 88 — 90. — სოფლის პროლეტარიატი სამარის გუბერნიაში 91.

III საერობო სტატისტიკის მონაცემები სარატოვის გუბერნიის შესახებ 91

მონაცემები სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობის შესახებ 91 — 93. — მოჯამაგირეთა დაქირავება 93 — 94.—«სარეწები» საერობო სტატისტიკის მიხედვით 93 — 95.—იჯარა 95—96.— ბბ. კარიშევის, ნ. — ონისა და მარესის მსჯელობა იჯარის შესახებ 96 — 102. — კამიშინისა და სხვა მ..ზრების შედარება 102 — 103. — გლეხთა კომლების დაჯგუფების საკითხის მნიშვნელობა 103 — 107.

IV საერობო სტატისტიკის მონაცემები პერმის გუბერნიის შესახებ 107

მონაცემები სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობის შესახებ 107 — 109. — მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების დაქირავება და მისი მნიშვნელობა 109 — 112. — მიწის განაყიერება 112. — გაუმჯობესებული იარაღები 112 — 113. — სავაგრო-სამრეწველო დაწესებულებანი 113 — 114.

V საერობო სტატისტიკის მონაცემები ორიოლის გუბერნიის შესახებ 115

მონაცემები სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობის შესახებ 115 — 116. — დაშლის არასრული სურათი ორიოლის გუბერნიის მონაცემების მიხედვით 116 — 117.

VI საერობო სტატისტიკის მონაცემები ვორონეჟის გუბერნიის შესახებ 118

დაჯგუფების ხერხები ვორონეჟის კრებულებში 118 — 119. — ზადონსკის მაზრის მონაცემები 119 — 120. — სარეწები 120 — 122.

VII საერობო სტატისტიკის მონაცემები ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის შესახებ 123

მონაცემები სამი მაზრის მეურნეობათა ჯგუფების შესახებ 123 — 126.

VIII სხვა გუბერნიების საერობო სტატისტიკის მონაცემების მიმოხილვა 126

ნოვგოროდის გუბ., დემიანსკის მაზრა 127 — ჩერნიგოვის გუბ., კოზელეცკის მაზრა 128. — ენისეის გუბ. 128 — 129. — პოლტავის გუბ., სამი მაზრა 130 — 131. — კალუგის გუბ. 131. — ტვერის გუბ. 132.

IX გლეხობის დაშლის შესახებ ზემოთ განხილული საერობო-სტატისტიკური ცნობების ნაკრები . . . 133

ნაკრების შედგენის ხერხები 133 — 135. — ნაკრები ცხრილი და დიაგრამა 136 — 139 და 149 — 150. — დიაგრამის ცალკეული სვეტების განხილვა 141 — 147. — სხვადასხვა ადგილის ერთმანეთთან შედარება გლეხობის დაშლის დონის მიხედვით 147 — 148.

X საერობო სტატისტიკისა და სამხედრო ცხენთაღწერის მონაცემთა შენაჯამები 149

საერობო სტატისტიკის მონაცემები 21 გუბერნიის 112 მაზრის შესახებ 149 — 151. — სამხედრო ცხენთაღწერის მონაცემები ევროპული რუსეთის 49 გუბერნიის შესახებ 150 — 151. — ამ მონაცემების მხიშვნელობა 152 — 154.

XI 1888 — 1891 და 1896 — 1900 წლების სამხედრო ცხენთაღწერების შედარება 154

ევროპული რუსეთის 48 გუბერნიის მონაცემები 154 — 156. — ბბ. ვიხლიაევისა და ჩერნენკოვის სტატისტიკური გარჯიშობანი 156 — 157.

XII საერობო-სტატისტიკური ცნობები გლეხური ბიუჯეტების შესახებ 157

ცნობების ხასიათი და დამუშავების ხერხები 157 — 159.— (ა). ბიუჯეტების საერთო შედეგები 159 — 168. — გასავალ-შემოსავლის ოდენობა 159 — 160. — გასავლის შემადგენლობა 160. — შემოსავლის შემადგენლობა 161 — 162. — ბიუჯეტების ფულადი წილი 164 — 165. — გამოსალებთა მნიშვნელობა 166 — 168. — (ბ). გლეხური მიწათმოქმედების დახასიათება 168 — 173. — საერთო ცნობები მეურნეობათა შესახებ 168 — 169. — ქონება და ინვენტარი 169 — 170. — მეურნეობაზე გაწეული ხარჯები 170 — 171. — მიწათმოქმედების შემოსავალი 171 — 172. — მოჩვენებითი გამონაკლისი 172 — 173. — (გ). საარსებო დონის დახასიათება 173 — 185. — საჭმლის ხარჯი ნატურით 173 — 174. — საჭმლის ხარჯი ფულად 175. — დანაოჩენი ხარჯები პირად მოხმარებაზე 176. — ფულადი ხარჯი პირად და წარმოებითს მოხმარებაზე 177 — 178.—ბ-ნი ნ.—ონი გლეხობის მაღალი «ფენის» შესახებ 178.— გლეხებისა და სოფლის მუშების საარსებო დონის შედარება 179 — 182. — ბ-ნ შჩერბინას ხერხები 182 — 185.

XIII მე-II თავიდან გამომდინარე დასკვნები 185

სასაქონლო მეურნეობის მნიშვნელობა 185. — 1) კაპიტალისტური წინააღმდეგობანი თემის შიგნით 185 — 186. — 2) «განგლეხება» 186 — 187. — 3) ამ პროცესის დახასიათება «კაპიტალში» 188 — 190. — 4) გლეხური ბურჟუაზია 190 — 192. — 5) სოფლის პროლეტარიატი. ნადელიანი სოფლის მუშის საერთო-ევროპული ტიპი 191 — 195. — 6) საშუალო გლეხობა 196. — 7) შინაური ბაზრის შექმნა კაპიტალიზმისათვის 196 — 197. — 8) დაშლის ზრდა; გადასახლებათა მნიშვნელობა 197 — 198. — 9) სავაკრო და სავაჭრო კაპიტალი. როგორ აყენებს ამ საკითხს თეორია. კაპიტალის ამ

ფორმების კავშირი სამრეწველო კაპიტალთან 199 — 202. — 10) შრომამიგება და მისი გავლენა გლეხობის დაშლაზე 202 — 203.

თავი III. მიწათმფლობელთა გადასვლა საბატონო მეურნეობიდან კაპიტალისტურ მეურნეობაზე 204

I საბატონო მეურნეობის ძირითადი ნიშნები 204
მეურნეობის ბატონყმური სისტემის დედაარსი და მისი პირობები 204 — 209.

II მეურნეობის საბატონო სისტემის შეერთება კაპიტალისტურთან 209
ძველი სისტემის ნაშთები რეფორმის შემდგომ 209 — 210.—შრომამიგების და კაპიტალისტური სისტემა 210 — 211; მათი შეფარდებითი გავრცელება 212 — 215. — შრომამიგების სისტემის კაპიტალისტურ სისტემაში გადასვლა 214.

III შრომამიგების სისტემის დახასიათება 215
შრომამიგების სახეები 215 — 217. — ნატურალური იჯარა და მისი მნიშვნელობა 217 — 219. — შრომის ანაზღაურება შრომამიგების სისტემის დროს 218 — 222. — პირადი დაბოკიდებულება შრომამიგების სისტემის დროს 222 — 223. — შრომამიგების სისტემის საერთო შეფასება 223 — 224.

IV შრომამიგების სისტემის დაცემა 224
შრომამიგების ორი სახე 224 — 225. — გლეხობის დაშლის მნიშვნელობა 226 — 228. — ბ-ნ სტეპუტის შეფასება 228 — 229. — შეფასება ლიტერატურის მიხედვით 229 — 230.

V ნაროდნიკული დამოკიდებულება საკითხისადმი . . 231
შრომამიგების იდეალიზაცია 231 — 232. — ბ-ნ კაბლუკოვის აზრი 232 — 237.

VI ენგელგარდტის მეურნეობის ისტორია 237
მეურნეობის თავდაპირველი მდგომარეობა და მისი თანდათანობით შეცვლის ხასიათი 237 — 242.

VII მანქანების გამოყენება სოფლის მეურნეობაში . . . 242
ოთხი პერიოდი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებაში 242 — 243. — ოფიციალური სტატისტიკის არასისრულე 243 — 247. — ცნობები სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების შესახებ 247 — 253.

VIII მანქანების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში . 254
მანქანების გამოყენების კაპიტალისტური ხასიათი 254 — 257. — მანქანების გამოყენების შედეგები 256 — 263. — ნაროდნიკების არათანმიმდევრობა 263 — 264.

IX დაქირავებული შრომა მიწათმოქმედებაში 265
«სამიწათმოქმედო გარესარეწები» 265, მათი მნიშვნელობა 265 — 266, მათი მოცულობა 266 — 268. — სასოფლო-სამე-

ურნეო მუშების რაოდენობა მთელ ევროპულ რუსეთში 269 — 271.

X ნებით დაქირავებული შრომის მნიშვნელობა მიწათმოქმედებაში 271

სასოფლო-სამეურნეო მუშების მდგომარეობა 271 — 272.— დაქირავების განსაკუთრებული ფორმები 272—275.—წვრილ და მსხვილ მეპატრონეთა მუშების მდგომარეობა 275 — 277.—საზოგადოებრივი კონტროლის ჩანასახები 277 — 279 — სამიწათმოქმედო გასვლის შეფასება ნაროდნიკების მიერ 279 — 282.

თავი IV. სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა . . . 283

I რეფორმის შემდგომ რუსეთში სამიწათმოქმედო წარმოებისა და სავაჭრო მიწათმოქმედების სახეების ზოგადი მონაცემები 283

პურეულისა და კარტოფილის წარმოება 1864 — 1866, 1870 — 1879, 1883 — 1887, 1885 — 1894 წლებში 283 — 285. — კარტოფილის ნათესები და მათი მნიშვნელობა 284 — 286.— სავაჭრო მიწათმოქმედების რაიონები 286 — 288. — ბ-ნ კაბლუკოვის მსჯელობა 288 — 289.

II სავაჭრო მარცვლეული მეურნეობის რაიონი 289

მარცვლეული პურის წარმოების მთავარი ცენტრის გადანაცვლება 289 — 290 მნიშვნელობა განაპირა ზონეებისა როგორც კოლონიებისა 290 — 291. — მიწათმოქმედების კაპიტალისტური ხასიათი ამ რაიონში 291 — 295.

III სავაჭრო მესაქონლეობის რაიონი. სარძეო მეურნეობის განვითარების ზოგადი მონაცემები 295

მესაქონლეობის მნიშვნელობა სხვადასხვა რაიონში 295—297. — ბბ კოვალევსკისა და ლევიტსკის გაანგარიშება 297. — ყველის წარმოების განვითარება 298 — 301. — ოფიციალური ცნობების ნაკლულობა 301. — ტექნიკური პროგრესი 301 — 302.

IV გაგრძელება. მემამულეური მეურნეობის ეკონომიკა ზემოაღნიშნულ რაიონში 302

მიწათმოქმედების რაციონალიზაცია 302 — 303 — «სარძეო პუნქტები» და მათი მნიშვნელობა 303 — 306. — შინაური ბაზრის შექმნა 306. — სასოფლო-სამეურნეო მუშების მოსვლა სამრეწველო გუბერნიებში 306 — 307 — ფლის განმავლობაში სამუშაოთა უფრო თანაბრად განაწილება 307 — 310. — წვრილ მიწათმოქმედთა დამოკიდებული მდგომარეობა და მისი შეფასება ბ-ნ ვ. ვ-ის მიერ 310 — 311.

V გაგრძელება. გლეხობის დაშლა სარძეო მეურნეობის რაიონში 312

გლეხებს შორის ძრობების განაწილება 312 — 314. — დაწვრილებითი ცნობები ს.-პეტერბურგის მაზრის შესახებ 314—316. — «პროგრესული» მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობა-

ში» 316 — 318. — ამ პროგრესის გავლენა ღარიბ გლეხებზე 318 — 320.

VI მესელეობის რაიონი 320

საკავკრო მესელეობის ზრდა 320 — 323. — გაცვლა-გამოცვლა სხვადასხვა სახის საკავკრო მიწათმოქმედებას შორის 322 — 324. — «უკიდურესობანი» მესელეობის რაიონში 324. — ტექნიკური გაუმჯობესებანი 325 — 327.

VII სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნიკური დამუშავება 327

სოფლის მეურნეობის საკარხნო ანუ ტექნიკური სისტემის მნიშვნელობა 327 — 328.

1) სპირტის გამოხდა 328

სპირტის გამოხდის გავრცელება სოფლის მეურნეობაში 328 — 330. — კარტოფილის სპირტის გამოხდის განვითარება და მისი მნიშვნელობა 330 — 332.

2) შაქრის ჭარხლის წარმოება 332

ჭარხლის წარმოების ზრდა 332 — 334. — კაპიტალისტური მიწათმოქმედების პროგრესი 333 — 335.

3) კარტოფილის სახამებლის წარმოება 336

მისი ზრდა 336 — 337. — ორი პროცესი ამ წარმოების განვითარებაში 337 — 338. — სახამებლის «სარეწი» მოსკოვის გუბერნიაში 337 — 339 და ვლადიმირის გუბერნიაში 339 — 340.

4) ზეთსახდელი წარმოება 341

მისი განვითარების ორგვარი პროცესი 341. — «შინამრეწველი»-ზეთისხდელები 342 — 343.

5) მეთამბაქოობა 343

VIII სამრეწველო მებოსტნეობა და მებაღეობა; საგარეუბნო მეურნეობა 348

ზრდა კომერციული მებაღეობისა 348 — 349 და ვებოსტნეობისა 349 — 350. — ს.-პეტერბურგის, მოსკოვის, იაროსლავლის გუბერნიების მებოსტნე-გლეხები 349 — 353. — ბოსტნეულის სათბურებში მოყვანა 352 — სამრეწველო მებახჩეობა 352 — 354. — საგარეუბნო მეურნეობა და მისი თავისებურებანი 354 — 356.

IX დასკვნები რუსეთის მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის მნიშვნელობის შესახებ 356

1) მიწათმოქმედების საწარმოდ გადაქცევის შესახებ 356. — 2) კაპიტალიზმის თავისებურებანი მიწათმოქმედებაში 357 — 359. — 3) შინაური ბაზრის შექმნა კაპიტალიზმისათვის 358 — 359. — 4) კაპიტალიზმის პროგრესული ისტორიული როლი რუსეთის მიწათმოქმედებაში 359 — 366.

X ნაროდნიკული თეორიები კაპიტალიზმის შესახებ მიწათმოქმედებაში. «ზომთრის დროის განთავისუფლება». 366

ამ თეორიის შეზღუდულობა და შაბლონურობა 366 — 368. — ის უყურადღებოდ სტოვებს პროცესის უმნიშვნელოვანეს მხარეებს 367 — 373.

XI გაგრძელება. — თემი. — მარქსის შეხედულებანი წვრილ მიწათმოქმედებაზე. — ენგელსისა ზრი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კრიზისის შესახებ 373

ნაროდნიკების მიერ თემის საკითხის არასწორად დაყენება 373 — 376. — მათ არ ესმით «კაპიტალის» ერთ-ერთი ადგილი 376 — 377. — გლეხური მიწათმოქმედების შეფასება მარქსის მიერ 377 — 378. — სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის შეფასება მის მიერ 378. — ბ-ნ ნ. — ონის მიერ უმართებულოდ მოყვანილი ციტატი 378 — 380.

თავი V. კაპიტალიზმის პირველი სტადიები მრეწველობაში 382

I შინამრეწველობა და ხელოსნობა 382

შინამრეწველობის ნაშთები 382. — ხელოსნობის გავრცელების დონე 383 — 384, მისი ძირითადი ნიშნები 385 — 386.

II წვრილი საქონელმწარმოებელი მრეწველობაში. ამქრული სული წვრილ სარეწებში 386

ხელოსნობიდან საქონლო წარმოებაზე გადასვლა 386 — 388. — კონკურენციის შიში 387 — 390.

III წვრილ სარეწთა ზრდა რეფორმის შემდეგ. ამ პროცესის ორი ფორმა და მისი მნიშვნელობა 390

წვრილ სარეწთა ზრდის მიზეზები 390 — 391. — მრეწველობა დასახლება განაპირა მხარეებში 391 — 392. — წვრილ სარეწთა ზრდა ადგილობრივ მოსახლეობაში 393 — 395. — კაპიტალის გადანაცვლება 396. — წვრილ სარეწთა ზრდის კავშირი გლეხობის დაშლასთან 398.

IV წვრილ საქონელმწარმოებელთა დაშლა. მოსკოვის გუბერნიის შინამრეწველთა კომლობრივ აღწერათა მონაცემები 398

საკითხის დაყენება 398. — მონაცემების დამუშავების წესი 398 — 401. — ნაკრები ცხრილი და დიაგრამა 402 და 405. — დასკვნები: დაქირავებული შრომა 403 — 404, 407 — 408, შრომის ნაყოფიერება 408 — 409, შემოსავალი 409 — 411. — შინამრეწველურ სარეწთა წვრილ ბურჟუაზიული წყობა 412.

V კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია 413

მისი მნიშვნელობა და წარმოებაზე გავლენა 413 — 417. — არტელები 417 — 418.

VI სავაჭრო კაპიტალი წვრილ სარეწებში 418
შეპყიდველის წარმომშობი პირობები 418 — 421. — ვაჭარი ქალები არშიის სარეწში 421 — 424. — გასაღების საქმის მოწყობის მაგალითები 424 — 426. — ნაროდნიკების შეხედულება 426 — 427. — სავაჭრო კაპიტალის ფორმები 428 — 430.

VII «სარეწი და მიწათმოქმედება» 430
ცხრილის მონაცემები 430 — 431. — დაქირავებულ მუშათა მიწათმოქმედება 432. — «მიწის მუშაკები» 432 — 433. — სხვა მონაცემები სარეწისა და მიწათმოქმედების შესახებ 434 — 437. — სამუშაო პერიოდის ხანგრძლიობა 438 — 439. რეზიუმე 439 — 441.

VIII «სარეწის შეერთება მიწათმოქმედებასთან» 441
ნაროდნიკების თეორია 441 — 442. — სარეწისა და მიწათმოქმედების შეერთების ფორმები და მათი სხვადასხვა მნიშვნელობა 442—444.

IX რამდენიმე შენიშვნა ჩვენი სოფლის წინაკაპიტალისტური ეკონომიკის შესახებ 444

თავი VI. კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა და კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი შ ი ნ მ უ შ ა ო ბ ა 449

I მანუფაქტურის წარმოშობა და მისი ძირითადი ნიშნები 449
მანუფაქტურის ცნება 449, მისი ორგვარი წარმოშობა 449 — 450 და მნიშვნელობა 450 — 451.

II კაპიტალისტური მანუფაქტურა რუსეთის მრეწველობაში 451

1) საფეიქრო სარეწები 451

2) საფეიქრო ინდუსტრიის სხვა დარგები. სამთელაო წარმოება 456

3) ქუდის, ქერელისა და თოკის წარმოებანი 460

4) ხის დამუშავების წარმოებანი 465

5) ცხოველთა პროდუქტების დამუშავების წარმოებანი. ტყავისა და ქურქჩის წარმოება 470

6) ცხოველთა პროდუქტების დამუშავების დანარჩენი წარმოებანი 480

7) მინერალური პროდუქტების დამუშავების წარმოებანი 485

8) ლითონის დამუშავების წარმოებანი. პავლოვოს სარეწები 487

9) ლითონის დამუშავების სხვა წარმოებანი . . 492

10) ოქრომჭედლობის, სამოვრისა და გარმონის წარმოებანი 495

III ტექნიკა მანუფაქტურაში. შრომის დანაწილება და მისი მნიშვნელობა 502

ხელით წარმოება 502, შეგირდობა 502. — შრომის დანაწილება, როგორც მსხვილი მანქანური ინდუსტრიის მოსამზადებელი სტადია 502 — 506, მისი გაკლენა ძუშებზე 505 — 506.

IV შრომის ტერიტორიული დანაწილება და მიწათმოქმედების გამოყოფა მრეწველობისაგან 507

ბ-ნ. ხარიზომენოვის აზრი 507 — 508. — არასამიწათმოქმედო ცენტრები 508 — 510. — მანუფაქტურის გარდამავალი ხასიათი 510 — 511. — მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება 510.

V მანუფაქტურის ეკონომიური წყობა 512

წარმოების მდგომარეობა 512 — 513. — ბ-ნ ოვსიანიკოვისა და ხარიზომენოვის აზრი 513 — 515.

VI სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი მანუფაქტურაში. «შემყიდველი» და «მეფაბრიკე» 516

მსხვილ და წვრილ საწარმოთა კავშირი ერთმანეთთან 516 — 518. — ნაროდნიკების შეცდომა 519.

VII კაპიტალისტური შინმუშაობა, როგორც მანუფაქტურის დანამატი 520

მისი გავრცელებულობა 520 — 521, მისი დამახასიათებელი ნიშნები 521 — 525, მისი გავრცელების პირობები 525 — 526, მისი მნიშვნელობა ჭარბი მოსახლეობის თეორიაში 526 — 528.

VIII რა არის «შინამრეწველობა»? 528

შინამრეწველთა სტატისტიკის ზოგიერთი შენიშვნები მონაცემი 528 — 531. — კაპიტალისტურად გამოყენებული ძუშების სიჭარბე 531 — 533. — «შინამრეწველის» ცნების გაურკვევლობა და ამ ტერმინის ბოროტად გამოყენება 532 — 534.

თავი VII. მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარება 535

I ფაბრიკის მეცნიერული ცნება და «საფაბრიკო-საქარხნო» სტატისტიკის მნიშვნელობა 535

II ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა 537

მისი წყაროები 537. — 60-იანი წლების გამოცემანი 537 — 540. — «სარხეიდრო-სტატისტიკური კრებულის» განსაკუთრებული ხასიათი 541 — 544. — ბ-ნ ორლოვის «საძიებელი» 544 — 546. — ვაკრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის «კრებულები» 546 — 548. — «რუსეთის ცნობების კოებული 1884/85 წლისა»; ბ-ნ კარიშევის შეცდომები 547 — 550. — საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტთა მონაცემები 549 — 551. —«სია» 551. — იზრდება თუ არა რუსეთში ფაბრიკების რიცხვი? 553.

III მსხვილი მრეწველობის განვითარების ისტორიულ-სტატისტიკური მონაცემების განხილვა 553

1) საფეიქრო წარმოებანი 553

2) ხის დამუშავების წარმოებანი 560

3) ქიმიური წარმოებანი, ცხოველთა პროდუქტების დამუშავების და კერამიკული წარმოებანი 561

4) მეტალურგიული წარმოებანი 565

5) კვების პროდუქტთა წარმოებანი 566

6) საქციზო და დანარჩენი წარმოებანი 569

7) დასკვნები 571

IV სამთო მრეწველობის განვითარება 573

ურალი, მისი თავისებურებანი 573 — 577. — სამხრეთი 577 — 580. — კავკასია 581 — 582. — დიდი და წვრილი მაღაროები დონეცის აუზში 582 — 583. — ძნიშვნელობა ცნობებისა სამთო მრეწველობის განვითარების შესახებ 583 — 586.

V მატულობს თუ არა მუშების რიცხვი მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებში? 586

1865 და 1890 წლების მონაცემები 586 — 590. — ნაროდნიკების მცდარი ხერხი 590.

VI ორთქლის ძრავების სტატისტიკა 600

1875 — 1878 და 1892 წლების ცნობები 600 — 602.

VII მსხვილი ფაბრიკების ზრდა 602

1866, 1879, 1890 და 1894 95 წლების ცნობები 602 — 609. — უდიდესი საწარმოები საფაბრიკო-საქარხნო და სამთო მრეწველობაში 609 — 610. — ბ-ნ ნ. — ონის შეცდომები 610—612.

VIII მსხვილი მრეწველობის განლაგება 612

ცნობები 1879 და 1890 წლებში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ცენტრების შესახებ 612. — ცენტრების სამი ტიპი 613 — 615. — ცენტრების დაჯგუფება 615 — 617. — სოფლის საფაბრიკო ცენტრების ზრდა და მისი მნიშვნელობა 617 — 620.

IX ხე-ტყის მრეწველობისა და სამშენებლო მრეწველობის განვითარება 621

სატყეო საქმის განვითარება 621 — 622; მისი ორგანიზაცია 622 — 626. — კაპიტალიზმის განვითარება სამშენებლო მრეწველობაში 627 — 631.

X ფაბრიკის დანამატი 632

XI მრეწველობის სრული გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან 635

ნაროდნიკების შეცდომა 635. — მოსკოვის საერობო სანიტარული სტატისტიკის მონაცემები 635 — 641.

XII კაპიტალიზმის განვითარების სამი სტადია რუსეთის მრეწველობაში 641

ყველა სტადიის ურთიერთკავშირი 641 — 643. — ტექნიკის თავისებურებანი 643 — 644. — კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდა 644 — 645. — მრეწველობის განვითარების ხასიათი 645 — 647. — მრეწველობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან 647 — 649. — საყოფაცხოვრებო პირობების განსხვავებანი 649 — 652. — შინაური ბაზრის ზრდა 653.

თავი VIII. შინაური ბაზრის შექმნა 654

I საქონლის მიმოქცევის ზრდა 654

განვითარება რკინიგზებისა 654 — 656, წყლის ტრანსპორტისა 656 — 657, ვაჭრობისა და ბანკებისა 657 — 659.

II სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა 660

1) ქალაქების ზრდა 660

2) შინაური კოლონიზაციის მნიშვნელობა . . . 664

3) საფაბრიკო და სავაჭრო-სამრეწველო დაბა-სოფელთა ზრდა 669

4) არასამიწათმოქმედო გარესარეწები 672

არასამიწათმოქმედო გარესარეწები 672 — 687, მათი ოდენობა და ზრდა 672 — 681, მათი პროგრესული როლი 681 — 686, მათი შეფასება ნაროდნიკ-მწერლების ნაწერებში 686 — 687.

III დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდა 688

დაქირავებული მუშების დაახლოებითი რიცხვი 688 — 690. — კაპიტალისტური ბარბმოსახლეობა 691. — ნაროდნიკების შეცდომა 691 — 694.

IV სამუშაო ძალის შინაური ბაზრის შექმნა 694

დაქირავებული მუშების უმთავრესი მიმოძრაობა ხელფასის ოდენობასთან დაკავშირებით 694 — 698. — შინაური ბაზრის შექმნა 698 — 700. — ბ-ნ ნ.— ონის «თეორია» 700.

V განაპირა მხარეების მნიშვნელობა. შინაური თუ საგარეო ბაზარი? 701
კაპიტალიზმის მისწრაფება გაფართოებისადმი 701 — 703. — კავკასიის მაგალითი 703 — 704. — ორი მხარე ბაზრის შექმნის პროცესში 705 — 706.

VI კაპიტალიზმის «მისია» 706
საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდება 706 — 709. — შრომის განსაზოგადოება 709 — 711. — ნაროდნიკებთან უთანხმოების მიზეზები 712.

დანართები:

I მოსკოვის გუბერნიის წვრილი საგლეხო სარეწების სტატისტიკურ მონაცემთა შენაჯამები ცხრილი (თავი V, გვ. 400) . . . . . 712 — 713 შორის

II ევროპული რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის სტატისტიკური მონაცემების შენაჯამები (თავი VII, გვ. 538) 713

III ევროპული რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ცენტრები (თავი VII, გვ. 613) 715

II

არაკრიტიკული კრიტიკა. (ბ-ნ პ. სკვორცოვის სტატიის «საქონლის ფეტიშიზმის» გამო. «ნაუჩნოე ობოზრენიე», № 12. 1899 წ.). . . . . 721—750

I 723
II 732
III 739

შენიშვნები 751

ილუსტრაციები

ვ. ი. ლენინის პორტრეტი. — 1897 წ. . . . . VIII—IX

ვ. ი. ლენინის წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» პირველი გამოცემის გარეკანი. — 1899 წ. 3

ვ. ი. ლენინის წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» მეორე გამოცემის გარეკანი ავტორის საკუთარი წარწერით. — 1908 წ. 11

კ. მარქსის «კაპიტალის» მესამე ტომის პირველი ნაწილის გერმანული გამოცემის (1894 წ.) გარეკანი. ამ წიგნით სარგებლობდა ვ. ი. ლენინი 19

პოლტავის გუბერნიის სტატისტიკური კრებულის (ტ. XIV, 1894 წ.) 276 — 277 გვერდები ვ. ი. ლენინის შენიშვნებით . . . 128—129

დიაგრამა, გამომხატველი ა და ბ ცხრილებისა II თავის IX პარაგრაფში . . . . . 144—145

ვ. ი. ლენინის რვეულის ერთი გვერდი ამონაწერებით და გაანგარიშებით ნ. ა. ბლაგოვეშჩენსკის წიგნიდან — «შეჯამებული სტატისტიკური კრებული» (1895 წ.) . . . . . 150—151

ჟურნალ «ნაჩალოს» 1899 წ. მე-3 ნომრის 96-ე გვერდი. ამ ჟურნალში მოთავსებული იყო ვ. ი. ლენინის წიგნის — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» — III თავის პირველი ექვსი პარაგრაფი 205

დიაგრამა V თავის IV პარაგრაფში მოცემული სარეწთა ცხრილის შეჯამებული მონაცემებისა 405

სამთელაო სარეწის ორგანიზაციის გრაფიკული გამოსახულება. . 457

405-ე გვერდი წიგნისა — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (1908 წლის გამოცემა) ვ. ი. ლენინის შენიშვნებით 607

ევროპული რუსეთის ქალაქთა დაჯგუფება, შესრულებული ვ. ი. ლენინის მიერ მოსახლეობის 1897 წ. აღწერის მონაცემთა მიხედვით 661

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XII-1948.
უე 17248. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 50.
ფასი 8 მან.

•

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემ-
ლობის საქმეთა სამმართველოს 1-ლი
სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
შეკვეთის № 914.